

ჯემალ გამახარია

**წმინდა აღმსარებელი ამბროსი (სელანია)
150-ე წლისთავისთვის**

თბილისი 2012

UDC (უაკ) 271.22-726.2 (479.22)
გ-19

იბეჭდება მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის წყონდიდელი
მიტროპოლიტის პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით

სარედაქციო საბჭო:

ლია ახალაძე (რედაქტორი), ელდარ ბუბულაშვილი, დაზმირ ჯოდჯუა, ხვიჩა კარდავა, დინარა დარსალია, ნანა კვარაცხელია, დავით ჟვანია.

THE COUNCIL OF REDACTION:

Lia Akhaladze (editor), Eldar Bubulashvili, Dazmir Jojua, Khvicha Kardava, Dinara Darsalia, Nana Kvaratskhelia, David Zhvania.

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ:

Лиа Ахаладзе (редактор), Элдар Бубулашвили, Дазмир Джоджуа, Хвича Кардава, Динара Дарсалия, Нана Кварацхелия, Давид Жвания.

მონოგრაფიაში გაშუქებულია წმ. აღმსარებელი ამბროსის (ხელაია) ცხოვრება-მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები მშობლიურ აფხაზეთში – ილორ-ოჩამჩირეში გატარებული ბავშვობიდან დანწყებული ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელობის უმძიმესი წლებით დამთავრებული. მასში შეტანილია აგრეთვე წმინდანის ცალკეული შრომები და დოკუმენტური მასალა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

რეცენზენტი: ბეჟან ხორავა

REVIEW: Bezhan Khorava

РЕЦЕНЗЕНТ: Бежан Хорава

ISBN 978-9941-0-4415-1

შესავალი

წმინდა აღმსარებელი ამბროსი, ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია (1861-1927წწ.), ყველა დროის გამოჩენილ ქართველ სასულიერო და საზოგადო მოღვაწეთა თანავარსკვლავედს მიეკუთვნება. XX საუკუნის 20-იანი წლების შუახანებიდან 80-იანი წლების შუახანებამდე მისი სახელი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მტერთა, „ანაფორიან კონტრრევოლუციონერთა“ შორის მოიხსენიებოდა, ამიტომ ამ დიდი მამულიშვილისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომების შექმნა იმხანად კატეგორიულად იკრძალებოდა. მიუხედავად ამისა, იყო იშვიათი შემთხვევები, როდესაც ცალკეულმა ავტორებმა (ბ.ლომინაძე, რ.მეტრეველი) მოკლედ, მაგრამ მაინც მოახერხეს აღენიშნათ ამბროსი ხელაიას დამსახურებები ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.¹ სათანადო პატივს მიაგებდა მას ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგად ემიგრაციაში აღმოჩენილი ქართველობა (იხ. აქვე, დოკ. №№80, 81), მაგრამ შესაბამისი მასალების უქონლობის გამო ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სოლიდური ნაშრომი საზღვარგარეთაც არ შექმნილა.

80-იანი წლების მეორე ნახევარში – ე.წ. საჯაროობის პერიოდში – გამოჩნდა ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილი პირველი დოკუმენტური პუბლიკაციები, რომელთა ავტორები იყვნენ გ.ბულაძე, ა.მინდიაშვილი, მ.ხუციშვილი, ს.ლექიშვილი, კ.ტოტორჩავა და სხვები. 1994 წელს გამოვიდა ედიშერ გიორგაძის რედაქტორობით მომზადებული დოკუმენტების კრებული „კათალიკოსი ამბროსი (ხელაია)“; შემდგომ წლებში გამოქვეყნდა შ. მჭედლიძის, გ. კობახიძის, ვ. გურგენიძის, ზ. ჟვანიას და სხვათა პუბლიცისტური ხასიათის ნერილები, რომლებიც ბიოგრაფიული ხასიათის მრავალ უზუსტობას შეიცავენ.²

ამბროსი ხელაიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება ს. ვარდოსანიძისა და ნ. პაპუაშვილის მონოგრაფიები, დ. დარსალიასა და გ. საითიძის მიერ შედგენილი კრებულები, ა. კლდიაშვილის (კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის შვილთაშვილი), ე.ბუბულაშვილის, ვ.კიკნაძის, ო.ჯიქურის, დ.ბრაგვაძის და სხვათა ნერილები.

კარგ სამსახურს გაუწევინა მკვლევარებს საცნობარო ხასიათის გამოცემები: კ.ალიბეგაშვილის მიერ შედგენილი „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის წმინდა ამბროსი აღმსარებლის ბიბლიოგრაფია“ (თბ., 2011) და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მომზადებული (მიხეილ ქავთარია, მილენა მეტრეველი, ირმა ხოსიტაშვილი) „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობა“ (თბ., 2011). სამწუხაროდ, კ. ალიბეგაშვილის მიერ შედგენილ „ბიბლიოგრაფიაში“ ვერ მოხვდა ბოლო წლების რამოდენიმე პუბლიკაცია,³ მათ შორის ამბროსი ხელაიას გამოქვეყნებული შრომები. გარდა ამისა, „ბიბლიოგრაფია“ შეიცავს უზუსტობებს, რომლებიც დაკავშირებულია 1896 წელს გარდაცვლილი ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და მისიონერის არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძისა და ამბროსი ხელაიას ერთმანეთში აღრევასთან. მსგავსი შეცდომა ადრეც ყოფილა დაშვებული (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორის მიერ), მაგრამ შემდგომში იგი გასწორდა,⁴ რაც „ბიბლიოგრაფიაში“, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის. ამიტომაც განმეორდა მასში ო. გოგოლაშვილის შეცდომა 1888 წელს ბათუმ-ართვინის ოკრუგში ვითომ ამბროსი ხელაიას (სინამდვილეში კი არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძის) მოგზაურობის შესახებ⁵ და ეს ნაშრომი „ბიბლიოგრაფიაში“ შეიტანა (გვ. 8-9). ამბროსი ხელაიას არასწორად მიენერება არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძის 1890 წლის მისიონერული მოგზაურობა აფხაზეთში („ბიბლიოგრაფია“, გვ. 6); ამასთანავე არც ის ფაქტია გათვალისწინებული, რომ ამბრო-

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.1. თბ., 1975, გვ. 354 (ბ.ლომინაძე); საქართველოს ისტორია. ლექსიკონი I. თბ. 1979, გვ. 46 (რ.მეტრეველი).

2. წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, თბ., 2006, გვ. 11-14.

3. ახალგაზრდობა, 2009, №3, 9-12; საპატრიარქოს უწყებანი, 2010, №11, გვ. 12-14; 2011, №12, გვ. 8-12 და ა.შ.

4. წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 16-17.

5. ო.გოგოლაშვილი. ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოღვაწეობა ბათუმის ოლქში XIX ს. 80-90-იან წლებში. – ანალები, 2009, №5, გვ. 92.

სი კავკასიის გუდაუთაში სტუმრობის შესახებ გაზეთ ივერიაში 1890 წლის 30 აპრილს გამოქვეყნებული წერილის ავტორი ბ.ხ. არის იმუამად სოჭის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ ხელაია.⁶ 1890 წელს გარდაცვლილ მღვდელ იოანე ხელაძეს პატივი მიაგო ასევე არქიმანდრიტმა ამბროსი კავკასიძემ და არა ამბროსი ხელაიამ („ბიბლიოგრაფია“, გვ. 23); 1894 წ. 25 იანვარს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ კიევის ქართველი სტუდენტების წერილშიც არქ. ამბროსი კავკასიძეა მოხსენიებული („ბიბლიოგრაფია“, გვ. 13); იგივე ითქმის იმავე წლის 29 დეკემბერს „ივერიაში“ მოთავსებულ „წერილზე რედაქციის მიმართ“ („ბიბლიოგრაფია“, გვ. 3), რომელთანაც ამბროსი ხელაიას არავითარი კავშირი არა აქვს, ისევე როგორც მარტვილის მონასტერში გარკვეული სამშენებლო სამუშაოების შესრულებაში ხელშეწყობასთან („ბიბლიოგრაფია“, გვ. 21). ამ შემთხვევაშიც გაზეთი „ივერია“ (1895, 12 აპრილი) არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძეს გულისხმობდა.

მაღალ პროფესიულ დონეზეა შედგენილი ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობა. იგი შეიცავს მოკლე ნარკვევს ამბროსი ხელაიას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ამ თემაზე შექმნილი ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის სიას, ამბროსი ხელაიას შრომების, მიმოწერის, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საისტორიო არქივში და ანა კლდიაშვილის პირად კოლექციაში დაცული მასალების აღწერას, საძიებლებს და ა.შ. სამწიხაროდ, „აღწერილობაშიც“ რამდენიმე დასაწერი უზუსტობაა გაპარული. ასე, მაგალითად, საქმე №26 („აღწერილობა“, გვ. 39), რომელიც ავტორთა მიერ 1906 წლითაა დათარიღებული, არ შეიძლება იყოს და არც არის „გამოსამშვიდობებელი სიტყვა თქმული ნოვგოროდის ეპარქიის მრევლის მიმართ“. ნოვგოროდის ეპარქია, როგორც ცნობილია, წმ. ამბროსიმ 1917 წ. ზაფხულში დატოვა. საქმე №26 (ისევე როგორც №№24 და 25) – ეს არის უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებელში წარმოთქმული გამოსამშვიდობებელი სიტყვა (შდრ. საქმეები №№24 და 26). ვინაიდან საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად ამბროსი ხელაია 1905 წლის 24 ნოემბერს დაინიშნა, გამოსამშვიდობებელი სიტყვები 1905 წ. ბოლოთი ან 1906 წ. დასაწყისით (იანვარ-თებერვლით) უნდა დათარიღდეს. საქმეები №№187 და 323 („აღწერილობა“, გვ. 57, 71) წარმოადგენენ 1917წ. 14 იანვარს ნინოების დღესასწაულზე პეტროგრადში ქართული ეკლესიის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვის წინასწარ შედგენილ ორ ვარიანტს (საქმე №187-ის დათარიღებისას დაშვებულია მექანიკური შეცდომა). ამბროსი ხელაიას 1900 წლის 30 ივლისის წერილის (დაცულია საისტორიო არქივში, ფ.1461, აღწ. 1, ს.279, ფ.1-2ა) ადრესატია არა ეპისკოპოსი ლეონიდე („აღწერილობა“, გვ. 80), არამედ ეპისკოპოსი კირიონი. ამას ადასტურებს წერილში მითითებული რუსული წიგნაკის (რომელიც ადრესატს ეკუთვნის) დასახელება – „Назревший вопрос“. „თქვენს წიგნაკში „Назревший вопрос“-ში მოხსენიებულია ქართულად ყურანის თარგმნა“,⁷ – ნათქვამია ამბროსი ხელაიას წერილში. ეს წიგნაკი კი ეპისკოპოს კირიონის 1899 წელს გამოცემული საკმაოდ ფართოდ ცნობილი და თავის დროზე გახმაურებული ნაშრომია, რომელშიც ნამდვილად არის საუბარი ყურანის ქართული თარგმანის არსებობის შესახებ.⁸ ამ ფაქტის გათვალისწინებით, არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ ამბროსი ხელაიას 1900 წლის 30 ივლისის წერილის ადრესატი არის ეპ. კირიონი.

„აღწერილობაში“ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ის ფაქტიც, რომ რატომღაც უთარილოდ მიჩნეული „ბედიის ტაძარი“ („აღწერილობა“, გვ. 36) არის არა დამოუკიდებელი ნაშრომი, არამედ ამბროსი ხელაიას უფრო ვრცელი ნაშრომის – „ბედია და ბედიის ტაძარი“-ს II ნაწილი (რაც ავტორს აღნიშნული აქვს კიდევაც). ამ ერთიანი ნაშრომის I ნაწილი 1920 წლის 11-14 ნოემბერს იმუამად მიტროპოლიტმა ამბროსიმ გაზეთ „მინა“-ში გამოაქვეყნა (რაც ნაშრომის ზუსტი დათარიღების საშუალებასაც იძლევა) „ამბერი“-ს ხელმოწერით. იგი ეხება დასახლებული პუნქტის – ბედიის ისტორიას უძველესი დროიდან

6. ნ.პაპუაშვილი. ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში. თბ., 2005, გვ. 19-20; წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 16, 129-131.

7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფ. 1461, აღწ. 1, ს.279, ფ. 1-2ა.

8. Епископ Кирион. Назревший вопрос. Тб., 1899, გვ. 27.

XIXს. დასაწყისამდე. საქართველოში შემდგომში განვითარებული მოვლენების გამო, გაზეთი დაიხურა ისე, რომ ვერ მოასწრო მკითხველებისთვის დაპირებული გაგრძელების, ანუ II ნაწილის – „ბედიის ტაძრის“ დაბეჭდვა. „ბედია და ბედიის ტაძარი“, როგორც ერთიანი ნაშრომი, 2006წ. გამოქვეყნდა (წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 606-677).

შეიძლება აღინიშნოს კიდევ ერთი უზუსტობა, რომელიც ხშირად გვხვდება XXს. 90-იანი წლების პუბლიცისტური ხასიათის წერილებში. „აღწერილობის“ II ნაწილში „ამბროსი ხელაია. ცხოვრება – მოღვაწეობა“ ნათქვამია, რომ 1904წ. არქიმანდრიტი ამბროსი სინოდალური კანტორის წევრად აირჩიეს („აღწერილობა“, გვ. 12); „აღწერილობაში“ შეტანილი ერთ-ერთი გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით კი, უწმინდესმა სინოდმა (და არა საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ) ასეთი გადაწყვეტილება უფრო გვიან – 1905წ. 24 ნოემბერს მიიღო („აღწერილობა“, გვ. 84). არ შევჩერდებით იმაზე, რომ „აღწერილობაში“ მოხვდა საისტორიო არქივში ამბროსი ხელაიაზე დაცული მასალების მხოლოდ მცირე, სამეცნიერო მიმოქცევაში დღემდე შემოტანილი ნაწილი; მასში საერთოდ ვერ მოხვდნენ მასალები უახლესი ისტორიის, შსს, საპატრიარქოსა და ქუთაისის არქივებიდან.

კალიბრგაშვილის მიერ შედგენილი „ბიბლიოგრაფიისა“ და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მომზადებული „აღწერილობის“ ცალკეული ხარვეზები სულაც არ აკნინებენ აღნიშნულ გამოცემათა (თანაც პირველად განხორციელებულ) მნიშვნელობასა და ღირსებას. ისინი მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ ხარვეზები, პირველ რიგში, გააჩნია ქართულ ისტორიოგრაფიას ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში. დღემდე არ შექმნილა სპეციალურად ამ თემისადმი მიძღვნილი საფუძვლიანი მონოგრაფია, არ არის სრულად მოძიებული და აკადემიურად გამოცემული ამბროსი ხელაიას სამეცნიერო და პუბლიცისტური ხასიათის შრომები; თავის გამომცემელს ელოდება აგრეთვე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 3 ასეულზე მეტი ქადაგება და სიტყვა, წარმოთქმული როგორც რუსეთში იძულებითი სამსახურის ადგილებში, ისე საქართველოში – თბილისში, ცხუმ-აფხაზეთისა და ჭყონდიდის ეპარქიებში; არ არის შესწავლილი წმინდანის თეოლოგიური და ისტორიოგრაფიული შეხედულებანი, მის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

წინამდებარე მონოგრაფია აღნიშნული ხარვეზების მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორებას ისახავს მიზნად. მის პირველ ნაწილში გაშუქებულია ამბროსი ხელაიას მონამებრივი ცხოვრება-მოღვაწეობის, თავდადებული ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპები მშობლიურ აფხაზეთში – ილორ-ოჩამჩირეში – გატარებული ბავშვობიდან დაწყებული ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელობის უმძიმესი, მაგრამ გმირული წლებით დასრულებული. მონოგრაფიის მეორე ნაწილში შევიდა ამბროსი ხელაიას მიერ გაზეთ „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში დაბეჭდილი და დღეისათვის უკვე სრულად გამოვლენილი სტატიები. გარდა 8 ნაწილისაგან შემდგარი სტატიების სერიისა „ქართული ეკლესიის შესახებ“ (რომლის სრული ტექსტის მოპოვება მხოლოდ ახლახან მოხერხდა), ისინი თარგმნილია ქართულადაც და ორივე ენაზე ქვეყნდება. სტატიების ის ნაწილი, რომელიც ადრე დედნის (რუსულ) ენაზე გამოქვეყნდა⁹, წინამდებარე მონოგრაფიაში მხოლოდ ქართული თარგმანის სახით არის წარმოდგენილი. მესამე ნაწილში ქვეყნდება ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური წყაროები, მათ შორის ცნობები წინაპართა შესახებ; სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის ამსახველი მასალები; გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი; წერილები საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებისადმი; სპეციალურად შერჩეული რამდენიმე ქადაგება; 1922-1924 წლებში საქართველოს საგანგებო კომისიაში და უზენაეს სასამართლოში ჩატარებული წინასწარი დაკითხვების პრაქტიკულად ყველა ოქმი.

9. წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 548-579.

10. სხვა სასამართლო პროცესი არც გამართულა. არ შეესაბამება წინამდვილეს მტკიცება, თითქოს „საბჭოთა ხელისუფლებამ კათოლიკოსი ორჯერ გაასამართლა: მემორანდუმის გამო და ანტისაბჭოთა ქმედებებისთვის“ (M. Натмеладзе, А. Даушвили. Новейшая история Грузии. Тб., 2010, გვ. 43)

პირველად სრული მოცულობით ქვეყნდება 1924 წლის 10-19 მარტის ე.წ. სასამართლოს¹⁰ სტენოგრაფიული ანგარიში; ასევე სრული მოცულობით პირველად იხილავს მზის სინათლეს იმავე სასამართლოზე ამბროსი ხელაიას მიერ წარმოთქმული საბოლოო სიტყვა, რომლის ძირითადი ნაწილი 1988 წლიდან არის სამეცნიერო მიმოქცევაში. ამჯერად მასში შეტანილია როგორც პირველი პუბლიკაციისას – 1988 წელს – საბჭოთა ცენზურის მიერ „დანუნებულ“ დოკუმენტიდან ამოჭრილი ადგილები, ისე „საბოლოო სიტყვის“ ძირითადი ტექსტის შედგენის შემდეგ მისი ავტორის მიერ მომზადებული ჩანართები (მოგვანოდა თავისი კოლექციიდან ანა კლდიაშვილმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებთ); მის უნმინდესობას ზუსტად ჰქონდა მითითებული, თუ სად, რომელ გვერდზე და რომელ აბზაცში უნდა ჩასმულიყო ესა თუ ის ჩანართი, რამაც შესაძლებელი გახადა „საბოლოო სიტყვის“ სრული ტექსტის დადგენა. III ნაწილში შეტანილი მასალებიდან შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე საგანგებო კომისიის ანალიტიკური მოხსენების სრული ტექსტი ქართული ეკლესიის მდგომარეობისა და მის წინაღმდეგ გასატარებელი ზომების შესახებ (1926წ. 27 მარტი), ეკატერინე გაბაშვილისა და რაფიელ ივანიცკის წერილები. ქვეყნდება მრავალი სხვა საინტერესო დოკუმენტიც.

მონოგრაფიას თან ერთვის პირთა საძიებელი.

გარდა სამეცნიერო ლიტერატურისა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, სერგო ვარდოსანიძე, ნუგზარ პაპუაშვილი, გოჩა საითიძე, ელდარ ბუბულაშვილი, გივი როგავა, ქეთევან პავლიაშვილი, დინარა დარსალია, გიორგი მჭედლიძე, მერაბ კეზევაძე, ვაჟა კიკნაძე და სხვანი), მონოგრაფიაში გამოყენებულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო, უახლესი ისტორიის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საპატრიარქოს არქივებში, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გ.ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მასალები, ქართულ-რუსული პერიოდიკა, სხვა წყაროები. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (პეტროგრადი), თათრეთის რესპუბლიკის, რიაზანის, ნოვგოროდის საოლქო და სხვა არქივებში ამბროსი ხელაიას შესახებ უეჭველად დაცული მასალების მოძიება; შესაბამისად, უფრო სრულყოფილად ვერ გაშუქდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის (1897-1901წწ.), უსტმედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველობის (1903-1905წწ.), რიაზანის სამების მონასტერში ყოფნის (1909), სტარაია რუსას ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრობის (1910-1917წწ.) პერიოდები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ თუ არა, მომდევნო თაობის მკვლევარებს მაინც მიეცემათ წინამდებარე მონოგრაფიის ამ (და კიდევ სხვა) ხარვეზის გასწორების საშუალება.

გაზეთ „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში გამოქვეყნებული ამბროსი ხელაიას წერილების მოძიებაში აღმოჩენილი დახმარებისათვის, აგრეთვე საინტერესო მასალების მონოდებისთვის და ხელშეწყობისთვის უღრმეს მადლობას მოვასხენებთ პროფესორ ანასტასია განიჩს (მოსკოვი), აფხაზეთიდან ლტოლვილებს და დროებით უცხოეთში მცხოვრებ თამაზ და ნინო ბასარიებს, მანანა ხაბურზანიას (პეტროგრადი), თემურ გელენევას (მოსკოვი), ასევე გოჩა საითიძეს, ანა ჭეიშვილს, სალომე გამახარიას, სოფია გამახარიას, ვახტანგ ჯორჯიკიას, ანზორ სიჭინავას, ხვიჩა ქარდავას, დავით ჟვანიას.

ნაწილი I

ცხოვრება და მოღვაწეობა

1. მოკლე ცნობები ნმ. აღმსარებელი ამბროსის წინაპართა შესახებ

წმინდა აღმსარებელი ამბროსის მამა – ზოსიმე, ბაბუა – დავითი, დიდი ბაბუა – გაბრიელი და, შესაძლოა, უფრო შორეული წინაპრებიც სასულიერო პირები იყვნენ. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო სახელმწიფო არქივში დაცულია 1825წ. 26 მარტიდან საქართველოს ეგზარქოსის დაქვემდებარებაში გადასული სამეგრელოს ეკლესია-მონასტრების 1826 წლის აღწერის მასალები. 58-ე ნომრად ამ მასალებში აღნიშნულია მარტვილთან ახლოს მდებარე სოფ. ინჩხურის წმ. გიორგის პირველი ეკლესია, რომელიც ნაშენებია ქვისგან, დგას „ამაღლებულ მშვენიერ ადგილას“; მისი სიგრძე-სიგანე შეადგენდა 9X6 არშინს (ერთი არშინი უდრიდა 71,12 სმ.); ეკლესიას ჰქონდა ორი კარი დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან. საეკლესიო ნივთებიდან აღსანიშნავია ნაბეჭდი ბიბლია, სპილენძის ჯვარი, წმინდა გიორგის ორი ხატი, მღვდლისა და დიაკონის სრული შესამოსელი და ა.შ. ინჩხურის პირველი წმ. გიორგის ეკლესიის (სოფელში მოქმედებდა წმ. გიორგის მეორე ეკლესიაც) მღვდლად მსახურობდა იმხანად 40 წლის (შესაძლოა ოდნავ მეტის) გაბრიელ ხელაძე //ხელაია (ამბროსის დიდი ბაბუა). სასულიერო განათლება მას ჭყონდიდის მონასტერში არქიმანდრიტ გრიგოლთან მიუღია. ეს უკანასკნელი უნდა იყოს XVIII. 90-იანი წლებიდან ჭყონდიდის მონასტერშივე გაზრდილი გრიგოლ მიქელაძე, რომელიც 1798წ. ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ბესარიონმა (დადიანი) არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა. 1826 წლისთვის არქ. გრიგოლი ხობის მონასტრის წინამძღვრად მსახურობდა. დახლოებით 1810-1811 წლებში 25-26 წლის გაბრიელ ხელაია (ზოგჯერ იგი ხელაძის გვარიდანაც მოიხსენიება) არქ. გრიგოლმა ჯერ დიაკონად, მერე კი მღვდლად აკურთხა. გაბრიელთან ერთად ინჩხურის პირველ წმ. გიორგის ეკლესიაში მსახურობდნენ მისი უფროსი შვილი, 24 წლის დიაკონი დავითი ხელაია (ხელაძე) – ამბროსის ბაბუა – და 22 წლის ძმისშვილი დიაკონი გიორგი. გარდა დავითისა, გაბრიელს ჰყავდა კიდევ ორი ვაჟიშვილი – 7 წლის ეგნატე და 2 წლის პეტრე. 1826 წლისთვის დავითიც ცოლშვილიანი ყოფილა და ორი ვაჟიშვილი ჰყოლია – 3 წლის თევდორე და 2 წლის ვასილი.¹¹

1833 წლის 20 აპრილს სამეგრელოს მიტროპოლიტმა დავითმა (წერეთელი) საქართველოს ეგზარქოსს, არქიეპისკოპოს მოისეის (ბოგდანოვ-პლატონოვი) შეატყობინა, რომ 1833წ. 15 მარტს გარდაიცვალა სოფ. ინჩხურის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი გაბრიელ ხელაია და იქვე დასძინა, რომ აღნიშნულ ეკლესიაში სამსახურს აგრძელებს მხოლოდ ერთი დიაკონი (აქვე, დოკ. №1). 1833 წლის 8 მაისს საპასუხო წერილში ეგზარქოსმა მოისეიმ მიტროპოლიტ დავითს იმ დიაკონის შესახებ, დადგენილი ფორმის მიხედვით, დაწვრილებითი მონაცემების წარმოდგენა მოსთხოვა (აქვე, დოკ. №2). 1833 წლის 24 მაისს მიტროპოლიტმა დავითმა ეგზარქოსს წარუდგინა შუამდგომლობის წერილი გარდაცვლილი მღვდლის გაბრიელ ხელაიას ადგილზე მისი ვაჟის, იმავე ეკლესიის დიაკონის დავითის დანიშვნის შესახებ. სამეგრელოს მღვდელმთავარმა შუამდგომლობას თან დაურთო „უწყება სამღვდელოდ გამზადებულის დიაკონის დავით ხელაიასი, მდგომარისა სამეგრელოს ინჩხურის სოფლის წმინდის გიორგის ეკლესიასა შინა 1833 წელსა“ (აქვე, დოკ. №3). ამ დოკუმენტის მიხედვით, დიაკონი დავით ხელაია უკვე 33 წლისაა და ჰყავს სამი ვაჟიშვილი, რომელთაგან უფროსი (თევდორე) ათი წლისაა, შუათანა (ვასილი) – 7 წლის, უმცროსი – 2 წლის. ეს უკანასკნელი არის ზოსიმე – წმინდა აღმსარებელი ამბროსის მამა. დავით ხელაიას, ისევე როგორც მის მამას, სასულიერო განათლება მარტვილის მონასტერში მიუღია და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ბესარიონის (დადიანი) ხელდასხმით 1822 წლიდან ინჩხურის პირველი წმ. გიორგის ეკლესიის დიაკვნად მსახურობდა.

1833 წ. 8 ივნისის წერილში სამეგრელოს მიტროპოლიტ დავითისადმი ეგზარქოსი

11. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, ს.65409, ფ.134-135..

მოისეი თანხმობას აცხადებდა დიაკონ დავით ხელაიას მღვდლად კურთხევაზე (აქვე, დოკ. №4). 1833წ. 2 აგვისტოს მიტროპოლიტმა დავითმა ეგზარქოსს შეატყობინა, რომ მან აკურთხა „დიაკონი დავით ხელაია მღვდლად ინჩხურის სოფლის წმინდის გიორგის ეკლესიაზედ გარდაცვალებულის მუნყოფილის მღვდლის მოადგილედ მდგომარის 1833 წლის ივლისის 16 რიცხვსა“ (აქვე, დოკ. №5)

არსებული მონაცემებით, XIX საუკუნის 30-40-იანი წლების მიჯნაზე მღვდელი დავით ხელაია ოჯახთან ერთად აფხაზეთში გადავიდა საცხოვრებლად და მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა სამურზაყანოში.¹² მისი ძმა ეგნატეც სასულიერო პირი გახდა და XIXს. 40-იანი წლების შუა ხანებიდან აფხაზეთში სოფ. ეშქეთის (აკვასქის) ეკლესიის მღვდლად მსახურობდა.¹³ XIX საუკუნის 50-იანი წლების შუახანებში იგი ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა. დავითისა და ეგნატეს უმცროსი ძმა პეტრე საერო პირი იყო და ინჩხურში ცხოვრობდა. მათი ბიძაშვილი დიაკონი გიორგი ხელაია მას შემდეგ, რაც დავითი აფხაზეთში გადავიდა, ორ ათეულზე მეტი ხნის მანძილზე ინჩხურის წმ. გიორგის პირველი ეკლესიის მღვდლად მსახურობდა.¹⁴

დავით ხელაიას უფროსი ვაჟიშვილის თევდორეს შესახებ ცნობები ჯერ არ მოგვეპოვება. შუათანა-ვასილი 1846 წლიდან მოქვის ღვთისმშობლის მიძინების ისტორიული ტაძრის მედავითნედ მსახურობდა, ფლობდა ქართულ და აფხაზურ ენებს, იცოდა ქართული წერა-კითხვა და გალობა.¹⁵ ვასილ ხელაია მოქვში მსახურობდა იმ პერიოდში, როდესაც ამ ტაძრის წინამძღვრები იყვნენ ცნობილი მისიონერები – 1849 წელს გარდაცვლილი რომანოზ მერჭულე (წმ. აღმსარებელი ამბროსის მეუღლის ელიზავეტა მერჭულეს ბაბუა), რომელიც 1848 წლის დეკემბრიდან იმავდროულად ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელიც იყო (დაკრძალულია ილორში) და გრიგოლ ჭილაძე (1845-1848 წლებში ილორის წმ. გიორგის, 1849 წლის 1 იანვრიდან მცირე ხნით ჯერ შქანყარის //აძიუბყას, შემდეგ კი მოქვის ეკლესიების მღვდელი).¹⁶ ეს უკანასკნელი 1851 წლის ივლისში გარდაიცვალა. 1851წ. 15 სექტემბერს აფხაზეთის ეპისკოპოსი გერმანე (გოგელაშვილი) საქართველოს ეგზარქოსს, იმჟამად არქიეპისკოპოს (შემდგომში მიტროპოლიტი) ისიდორეს (ნიკოლსკი) სთხოვდა ნებართვას, „მოქვის სამრევლოს მღვდლის ვაკანსიაზე ვაკურთხო მოქვის მედავითნე ვასილ ხელაია, რომელმაც კარგად იცის ქართული საეკლესიო წიგნების კითხვა, გალობა და საეკლესიო წესდება, კატეხიზმო და წმინდა ისტორია; გარდა ამისა, დაიმსახურა მრევლის სიყვარული, იცის აფხაზთა ზნე-ჩვეულებები და ენა.“¹⁷ იმავე დღეს – 1851 წლის 15 სექტემბერს – ვასილ ხელაია 28 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. 1851წ. 22 ნოემბერს აფხაზეთის ეპისკოპოსმა გერმანემ ეგზარქოს ისიდორეს აცნობა ვასილ ხელაიას გარდაცვალებისა და მოქვის ტაძრის მღვდლის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ვასილ გვილიას დანიშვნის შესახებ. „ამასთან დავსძენ, – წერდა აფხაზეთის ეპისკოპოსი, – რომ ზემოხსენებული მოქვის გარდაცვლილი მედავითნის ადგილზე მედავითნედ დავნიშნე მისი უმცროსი ძმა ზოსიმე, რომელმაც კარგად იცის ქართული საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნები და საერთოდ კარგად ფლობს როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ენებს.

მოვახსენებ რა ამის თაობაზე თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მოკრძალებით გთხოვთ, კეთილინებოთ და უბრძანოთ ვისაც ჯერ არს, რათა მღვდელ ვასილ გვილიაზე დროებით დამტკიცდეს მოქვის სამრევლო მისთვის ხელფასის დანიშვნით 1 ოქტომბრიდან იმ დრომდე, ვიდრე მოქვის სამრევლოში დასამტკიცებლად წარ-

12. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 125.

13. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.17729, ფ.7.

14. წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.122,123.

15. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.15520, ფ.3.

16. იქვე, ს. 13756, ფ.1-3; ს.17729, ფ.1-8.

17. იქვე, ს.15520, ფ.2.

მოვადგენდე სხვა მღვდელს. პირველ რიგში, გარდაცვლილი ძმის – ვასილის დამსახურებებისთვის და, მეორეც, მათი ხანდაზმული მშობლების სანუგეშოდ ზოსიმე ხელაია დამტკიცდეს გარდაცვლილი ძმის ადგილზე მედავითნის თანამდებობაზე ხელფასის დარიცხვით მისი ძმის გარდაცვალების დღიდან.“¹⁸ ზოსიმე ხელაიამ მოქვეშე 1860 წლამდე იმსახურა.

ყირიმის ომის წლებში (1853-1856წწ.), როგორც ცნობილია, აფხაზური მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა მხარი თურქეთს დაუჭირა. რუსულმა სამხედრო ნაწილებმა, ადმინისტრაციულმა სტრუქტურებმა, აფხაზეთის მთავარმა, ასევე სამღვდელოებამ (მცირე გამონაკლისის გარდა) 1854წ. მარტ-აპრილში აფხაზეთი დატოვეს. მხოლოდ ააცის, შქანყარისა და კვიტოულის ეკლესიებში სრულდებოდა ღვთისმსახურება.¹⁹ სხვა სოფლებში სასულიერო პირების დატოვება თურქული ოკუპაციის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ ვითარებაში არც ეგნატე და ზოსიმე ხელაიები იქნებოდნენ გამონაკლისები, თუმცა უცნობია, სად გაიხიზნენ ისინი ომის წლებში – სამეგრელოში თუ სამურზაყანოში, სადაც დავით ხელაია მსახურობდა.

მიუხედავად თურქული ოკუპაციისა, ქრისტიანობა აფხაზეთში არ ჩამკვდარა. ეპისკოპოს გერმანეს (გოგელაშვილი) ინიციატივით 1855 წლის დასაწყისში აფხაზეთში მივლინებულმა საეპარქიო კათედრის თარჯიმანმა სიმონ ეშბამ და დიაკონმა იოანე გეგამ, რომელიც იმავე წლის 1 მაისს ეპ. გერმანემ მღვდლად აკურთხა და დროებით ათარის მღვდლის ვაკანტურ ადგილზე დანიშნა, მოიარეს ყველა სამრევლო, გაამხნევეს ქრისტიანები, მონათლეს რამდენიმე ათეული აფხაზი. იოანე გეგამ ღვთისმსახურებას აღავლენდა ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა. 1855წ. მაისში მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ აღსდგა ღვთისმსახურება ლიხნში, გაძლიერდა ქრისტიანთა პოზიციები.²⁰ 1856 წლის ივლისში აფხაზეთიდან დაბრუნებული არქიმანდრიტ ალექსანდრეს (ოქროპორიძე) მონაცემებით, ღვთისმსახურება აღესრულებოდა მხოლოდ ლიხნში, ააცში და ილორში.²¹ სხვა ეკლესიები თურქებს და ჩერქეზებს დაურბევიათ. ყირიმის ომის დასრულების შემდეგ ქართულმა სამღვდელოებამ, რომელთა შორის იყვნენ მამა-შვილი დავით და ზოსიმე ხელაიები, დიდი როლი ითამაშა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეში.

1860წ. იანვრიდან ხელაიების ცხოვრება და მოღვაწეობა ილორის წმინდა გიორგის ეკლესიას უკავშირდება. სამეგრელოსა და აფხაზეთის ეპისკოპოსმა გერონტიმ (პაპიტაშვილი) 29 წლის ზოსიმე ხელაია, რომელმაც სასულიერო განათლება ჯერ კიდევ მოქვეშე დანიშნამდე თავის ბიძასთან – ეგნატესთან მიიღო, 1860 წ. 15 იანვარს დიაკონად, იმავე წლის 23 იანვარს კი ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლად დაადგინა.²² ხელაიებს აქ ჰქონდათ საკუთარი სახლ-კარი 30 დესეტინა (1 სახაზინო დესეტინა ერთ ჰექტარზე ოდნავ მეტია) მიწის ნაკვეთით.²³ ილორშია მათი საძვალეც. აქ არიან დასაფლავებული წმინდა აღმსარებელი ამბროსის ბაბუა და ბებია, დედ-მამა, მეუღლე და მეუღლის წინაპრები, მცირეწლოვანი შვილი, ძმები. აფხაზეთის, სამურზაყანოს, კერძოდ, ილორის მკვიდრად მიიჩნევა თავს წმ. ამბროსიც, რაც ასახულია კიდევაც მის შემოქმედებაში და ასევე ფსევდონიმებში. როგორც ცნობილია, იგი სამ ფსევდონიმს იყენებდა, რომლებიც მხოლოდ აფხაზეთთან არიან დაკავშირებული. ყველაზე ხშირად წმ. ამბროსი საკუთარ შრომებს აქვეყნებდა სადაურობის აღმნიშვნელი ფსევდონიმით „სამურზაყანოელი“; კიდევ ერთ ფსევდონიმს „კორენ-

18. იქვე, ფ. 5-6.

19. იქვე, ს.25933, ფ.7,13,15-16.

20. იქვე, ს.16878, ფ.1-5; ს.25933, ფ.24-25.

21. იქვე, ს.25933, ფ.41.

22. სცსსია, ფ.489, ს.40366, ფ.3; ს.45497, ფ.10-11.

23. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 127.

ბედიელი“ („Corenbedieli“) იყენებდა „ილორელის“ მნიშვნელობით – შუასაუკუნეების ევროპულ რუკებზე აღნიშნულ Corbeudiu-ს (ვენეციური რუკა – XIII ს.), Corenbedia-ს (ვესკონტეს რუკა – 1318 წ.), Corbondia-ს (ძმები პიციგანების რუკა – 1367 წ.), Corebendia-ს (სოლერის რუკა – 1385 წ.), Corobendy (დიეგო ომემის რუკა – 1559 წ.)²⁴ ილორთან აიგივებდა. მესამე ფსევდონიმი „ამბერი“ – აფხაზური სახელია²⁵. გარდა ამისა, იგი ამბროსი ბერთანაც ასოცირდება.

ამრიგად, წმ. აღმსარებელი ამბროსის წინაპრები სულ ცოტა XVIII ს. მეორე ნახევრიდან მაინც სენაკის მაზრის სოფ. ინჩხურში (ამჟამად მარტვილის რაიონი) ცხოვრობდნენ და შთამომავლობითი სასულიერო პირები იყვნენ; XIX ს. 40-იანი წლებიდან კი ისინი აფხაზეთში დამკვიდრდნენ. იმ პერიოდიდან მოყოლებული, დავით ხელაიას შთამომავლები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მხოლოდ აფხაზეთში, ძირითადად სამურზაყანოსა და კოდორის (ოჩამჩირის) უბნებში.

2. წმ. აღმსარებელი ამბროსის გავრცელებისა და სწავლის პერიოდი (1861–1885 წლები)

1861 წლის 7(19) ოქტომბერს ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელს ზოსიმე ხელაიას და მის მეუღლეს მზეხა (ბზეხა) ნიკოლოზის ასულს (ირიბი მონაცემებით, გვარად ასათიანი) უფროსი ვაჟიშვილი ბესარიონი შეეძინათ. მაშინ მიღებული წესის მიხედვით, პირველი შვილი დედამ, ეტყობა, გააჩინა არა მეუღლის ოჯახში – ილორში, არამედ, საკუთარი მშობლების სახლში – სოფ. ინჩხურში. ძნელია, სხვა ახსნა მოუძებნო პატარა ბესარიონის ინჩხურში დაბადების ფაქტს). იმავე სოფლის წმ. გიორგის პირველი ეკლესიის სამეტრიკო წიგნში გაკეთებული ჩანაწერი, გარდა ბავშვის დაბადებისა, იმაზეც იუწყება, რომ 1861წ. 15(27) ოქტომბერს ახალშობილი ბესარიონი აზნაურ ისიდორე ასათიანს (შემდგომში მღვდელი) მოუნათლავს, ნათლისღების საიდუმლო იმავე ეკლესიის მღვდელს გიორგი ხელაიას (დავით ხელაიას ბიძაშვილი) და მედავითნე სტეფანე ხელაიას (შემდგომში მღვდელი) შეუსრულებიათ. სამეტრიკო წიგნში მოწმეთა სახით დაფიქსირებული არიან აზნაური ელისე ასათიანი, გლეხები ხოსი ხელაია და პეტრე ხელაია (დავით ხელაიას ძმა).²⁶ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის იმერეთის განყოფილებას წმ. ამბროსის დაბადების მოწმობა 1872 წლის მაისში (ალბათ, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში იმავე წელს სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით) გაუცია და სამეტრიკო ჩანაწერში მამაზე (ზოსიმე ხელაიაზე) დამატებითი მონაცემები შეუტანია – სიტყვას „მღვდელი“ დაემატა „ილორის წმ. გიორგის ეკლესიისა“.²⁷ ამ დამატებას თავისი ხელმოწერით ადასტურებდა არქიმანდრიტი ბესარიონი (დადიანი), იმჟამად საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი, შემდგომში სამეგრელოს ეპისკოპოსი (1874 წლიდან), ალავერდელი (1886 წლიდან) და იმერეთის ეპისკოპოსი (1898-1900წწ.).

წმინდა აღმსარებელი ამბროსი თავის უმცროს ძმებთან გიორგისთან (დაიბადა 1862 თუ 1863 წელს) და პორფირთან (სავარაუდოდ, 1866 წელს დაიბადა) ერთად ილორში იზრდებოდა. პირველდანიეებითი განათლებაც ძმებმა ოჯახში მიიღეს. შვილების აღზრდითა და განათლებით, პირველ რიგში, დაკავებული იყვნენ მშობლები, აგრეთვე ბაბუა-დავითი და ბებია რუსუდან გერმანეს ასული ფუტკარაძე. დავით ხელაია, ეტყობა, 1867 წელს გარდაიცვალა (ამ წელს რუსუდან ფუტკარაძემ გარდაცვლილი მეუღ-

24. Джемал Гамахария, Бадри Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, с. 820-832.

25. ასე მაგალითად, XIX ს. 90-იან წლებში შქაწყარში (აძიუბუა) ცხოვრობდა ვინმე ამბერ არაბა (სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, ს. 43635, ფ. 2).

26. იქვე, გვ. 122.

27. იქვე, გვ. 123, 374.

ლის ნამსახურობისთვის მთავრობას კუთვნილი პენსია მოსთხოვა).²⁸ გარდაცვალებამდე ის შვილთან ერთად ცხოვრობდა და, ირიბი მონაცემებით, ზოსიმეს არყოფნისას ილორის ეკლესიის წინამძღვრის მოვალეობასაც დროებით ასრულებდა. ასე, მაგალითად, 1861 წლის შუახანებიდან ზოსიმე ხელაია ეპ. გერონტის (პაპიტაშვილი) განკარგულებით დროებით ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ისტორიული ტაძრის წინამძღვარი ხდება, რაც ამ ტაძრის მღვდლის იოანე გეგიას აფხაზური დამწერლობის შესაქმნელად თბილისში მომუშავე კომისიაში გაურკვეველი ვადით გამოძახებამ განაპირობა.²⁹ ტიმოთე სახოკიასთან (თედო სახოკიას მამა, რომელიც 1859 წლიდან ლიხნის ეკლესიის მედავითნედ მსახურობდა) ერთად ზოსიმე ხელაია ლიხნში დაახლოებით 1863 წლის ბოლომდე მსახურობდა. მის დროებით შემცვლელად ილორში თავდაპირველად მღვდელი ტიმოთე ჟორდანიას დაინიშნა (1861 წლის ივლისი), მაგრამ ის მალევე სამეგრელოში დააბრუნეს და კვლავ დროებით ილორის ეკლესია ახლადკურთხეულ მღვდელს იოანე თვალთვაძეს (აფხაზეთის ეპარქიაში 1852 წლიდან დიაკონის ხარისხში მსახურობდა) ჩააბარეს.³⁰ კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1862-1863 წლების ანგარიშში კი ილორის ეკლესიის მღვდლად დასახელებულია ვინმე დავიდოვი.³¹ ვინაიდან დანამდვილებითაა ცნობილი, რომ არც ერთი რუსი ეროვნების მღვდელი აფხაზეთში მაშინ არ მსახურობდა, აღნიშნული პიროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ დავით (Давид//Давидов) ხელაია, თუმცა დასაშვებია სხვა ვერსიის არსებობაც.³²

უნდა ვივარაუდოთ, რომ წმ. ამბროსისა და მისი ძმების აღზრდაში დიდი როლი ითამაშა ბებია – რუსუდან ფუტკარაძემ. XIX ს. 70-იანი წლების შუახანებში ის ჯერ კიდევ ცოცხალია მაშინ, როდესაც ამბროსის დედა 70-იანი წლების დასაწყისში უკვე გარდაცვლილია.³³

ხელაიების ოჯახში ბავშვებს შორის განსაკუთრებული ნიჭიერებით ბესარიონი გამოირჩეოდა. ბიჭვინთის სასულიერო სასწავლებლის გახსნის თაობაზე აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მიერ 1867 წ. 29 მაისს ეგზარქოს ევსევასადმი წარდგენილ მოხსენებას თან ერთვის ახალი სასწავლო წლიდან (იმავლე წლის სექტემბრიდან) სასწავლებელში ჩასარიცხი 30 ბავშვის სია. მათ შორის მესამე ნომრად წერია „ბესარიონ ხელაია, ილორის მღვდლის ზოსიმე ხელაიას შვილი“.³⁴ იგი ამ სიაში ასაკით არის ყველაზე პატარა, მითითებულია, რომ 7 წლისაა, სინამდვილეში კი ჯერ 6 წლისაც არ იყო. როგორც ჩანს, ამ ასაკისთვის ბესარიონს უკვე ჰქონდა საკმარისი მომზადება, რათა სწავლა სასულიერო სასწავლებელში გაეგრძელებინა, ამიტომ წლოვანება წაუმატებიათ.

აფხაზეთის ეპისკოპოს ალექსანდრეს ძალისხმევით მიუხედავად, ბიჭვინთის სასულიერო სასწავლებლის გახსნა ვერ მოხერხდა, რადგანაც მას მხარს არ უჭერდა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი გენერალი ვ. გეიმანი. ამის შემდეგ ბესარიონს და მის მომდევნო ძმას გიორგის სწავლის გაგრძელება კვლავ ოჯახში შეეძლოთ ან ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) სახსრებით ჯერ კიდევ 1862 წლის 25

28. იქვე, გვ.125.

29. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.19062, ფ.24. პირველი აფხაზურენოვანი მღვდელი იოანე გეგია ლიხნის მღვდელი გახდა 1859 წელს. მასთან ერთად (1858 წლიდან) აქ მსახურობდა მთავრის სულიერი მოძღვარი მღვდელმონაზონი ბესარიონი (ვასილ მიქაბერიძე).-სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.19130, ფ.125-129; ფ.489, აღწ.1, ს.20118, ფ.1-3.

30. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.19062, ფ.20,21.

31. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ.928.

32. შესაძლოა, ზოსიმე დავითის ძე ხელაიას მამის სახელის რუსული ფორმა – Давидов – ანგარიშის ავტორებს შეცდომით მის გვარში აერიათ.

33. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 126.

34. წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. კრ. შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარია. თბ., 2006, გვ.143-145.

ოქტომბერს ოჩამჩირეში გახსნილ სამრევლო სკოლაში,³⁵ თუმცა უტყუარი მონაცემები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბესარიონმა 70-იანი წლების დასაწყისში ოჩამჩირის პირველდაწყებითი სკოლა დაამთავრა.³⁶ რომელ სკოლაზე არის აქ საუბარი? ეპ. ალექსანდრეს სახსრებით გახსნილი სამრევლო სკოლა აფხაზეთიდან მისი წასვლის შემდეგ (1868წ.) ვერ იფუნქციონირებდა, არც რაიმე ცნობები არსებობს ამის თაობაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბესარიონი სწავლობდა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ 1872წ. ოჩამჩირეში გახსნილ სკოლაში,³⁷ რომელიც დატოვა ან დაამთავრა იმავე წელს. 1872 წლის სექტემბრიდან ძმები ბესარიონ და გიორგი ხელაიები უკვე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები არიან (აქვე, დოკ. №№6, 6ა).

ილორსა და ოჩამჩირეში ცხოვრების თუ სწავლის პერიოდში პატარა ბესარიონს არაერთი შესაძლებლობა ჰქონდა უშუალოდ ეხილა ისეთი გამოჩენილი ეროვნული და სასულიერო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ აფხაზეთის ეპისკოპოსი წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთის ეპარქიის მმართველი წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე). ეს უკანასკნელი ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში პირველად 1868წ. 27 მაისს სტუმრობდა. სოფელში მეგრულია გაბატონებული, – წერდა თავის მიმოხილვაში ეპ. გაბრიელი, – ამიტომ ილორის ეკლესიაში მან ქართულად სწირა. წირვის დასრულების შემდეგ შეხვდა და ესაუბრა ეკლესიასთან დიდი რაოდენობით შეკრებილ ილორელებს. ეპ. გაბრიელმა თავისი გამოსვლა ააგო შეგონებაზე მათეს სახარებიდან: „მაშ, ეძებთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი“ (მათე, 6,33). მსმენელებს მან განუმარტა, რომ „ამქვეყნიური ბედნიერება როგორც ცალკეული პიროვნებების, ისე განსაკუთრებით მთელი საზოგადოებებისა, ბევრად არის დამოკიდებული ქრისტიანული სულისკვეთების სიძლიერეზე და სიმტკიცეზე“.³⁸ პატარა ბესარიონს უსათუოდ დაამახსოვრებოდა ეს სიტყვები. ყოველ შემთხვევაში, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ის უპირველესად ეძებდა უფლის სასუფეველს და სიმართლეს მისას. 7 წლის ნიჭიერ და ცნობისმოყვარე ყმაწვილზე უთუოდ მოახდენდა შთაბეჭდილებას ეპ. გაბრიელის დაინტერესება ილორში დაცული უნიკალური სინმინდეებით, ასევე დეკანოზ დავით მაჭავარიანისთვის იქვე მიცემული დავალება: „თავისუფალ დროს შეადგინოს მათი აღწერა და საერთოდ ხატებიდან და ნივთებიდან გადაიწეროს ყველა წარწერა.“³⁹ ჩვენთვის უცნობია, შეასრულა თუ არა დეკანოზმა მეუფის ეს დავალება, მაგრამ ცნობილია, რომ სწორედ წმინდა აღმსარებელი ამბროსის კალამს ეკუთვნის გამოუქვეყნებელი ნაშრომი რუსულ ენაზე „სოფელი ილორი და ილორის წმინდა გიორგის ეკლესია“. მასში დეტალურად უნდა ყოფილიყო აღწერილი და განხილული ილორის სინმინდეები და ქართული წარწერები. სამწუხაროდ, ნაშრომი დღემდე დაკარგულად ითვლება.

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში 1870 წლის 20 მაისსაც ბრძანდებოდა. ვინაიდან მომდევნო დღეზე – 21 მაისზე – უფლის ამაღლების დღესასწაული მოდიოდა, მან თავის ქადაგებაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ „რა გააკეთა და რა გვიანდერძა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, ცხოვრობდა რა დედამიწაზე ადამიანებთან ერთად“.⁴⁰ ამჯერად ილორელებს ეპ. გაბრიელთან შეხვედრაზე ბავშვებიც მოუყვანიათ, რომლებიც წინა რიგებში იყვნენ ჩამწკრივებულები.

35. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.20076, ფ.1-3.

36. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.20.

37. ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.1021. სავარაუდოდ, ეპ. ალექსანდრეს მიერ დაფუძნებული სკოლა გადავიდა ამ საზოგადოების გამგებლობაში.

38. წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი. კრ. შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარია. თბ., 2007, გვ. 395.

39. იქვე, გვ.396.

40. იქვე, გვ.452.

მეუფემ დავალება მისცა მშობლებს, პირველ რიგში, დედებს, რომ მათ შვილებისთვის პირველადი ლოცვები და პირველის გადასახვა ესწავლებინათ. დიდი ალბათობით, შეხვედრაზე 9 წლის ბესარიონი და მისი 8 წლის ძმა – გიორგიც იმყოფებოდნენ. შემდგომ წლებში წმ. აღმსარებელი ამბროსი საკუთარ შრომებში ხშირად და დიდი სიყვარულით მოიხსენიებდა წმ. მღვდელმთავარ გაბრიელს როგორც გამოჩენილ მისიონერს, შეუდარებელ მქადაგებელს, ბრწყინვალე მამულიშვილს. შესაძლოა, მისი განსაკუთრებული თაყვანისცემა ეპ. გაბრიელისადმი ბავშვობის პერიოდის დაუვინყვარი შთაბეჭდილებებითაც, აგრეთვე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწავლის პერიოდში აღმოჩენილი დახმარებით იყო განპირობებული.

დაზუსტებული მონაცემებით, ბესარიონ ხელაია სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში უმცროს ძმასთან გიორგისთან ერთად სწავლობდა 1872-1879 წლებში (და არა 1873 წლიდან, როგორც იყო მიღებული ლიტერატურაში). აღნიშნულ წლებში სასწავლებლის ზედამხედველებად მსახურობდნენ ყაზანის სასულიერო აკადემიადამთავრებული მიხეილ გურგენიძე (1872-1878წწ.) და მოსკოვის სასულიერო აკადემიადამთავრებული ამბროსი ხელაძე (1878-1882წწ.). სწორედ ეს უკანასკნელი აწერს ხელს ბესარიონისა და გიორგის მოწმობებს სასწავლებლის დამთავრების შესახებ (აქვე, დოკ. №№6, 6ა). ზედამხედველის თანაშემწეები იყვნენ იონა განერილია (1872-1874წწ.) – მარტვილის საკათედრო ტაძრის დეკანოზის ლუკა განერილიას შვილი, კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ლეონტი გურგენიძე (1875წ.), ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ვ. ნეჩაევი (1877-1882წწ.). 1872-1879 წლებში სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის პედაგოგებად მსახურობდნენ და ძმებს ხელაიებს ასწავლიდნენ ა. ცხადაძე, ი. შარაბიძე, დ. ბარნაბიშვილი, ბ. ჯუღელი, ნ. შვანგირაძე, ა. ვაჰანია, კ. განერილია, ე. მამფორია, ნ. ყუბანეიშვილი, პ. კვიციანიძე და სხვები. სასწავლებლის გამგეობის შემადგენლობაში 1878-1879 სასწავლო წლიდან სამღვდლოების ორი წარმომადგენელი შედიოდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ბესარიონის ნათლია, მღვდელი ისიდორე ასათიანი, რომელსაც 1883 წლამდე ეკავა გამგეობის ნევრის ადგილი.

1877-1878 წლებში სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა. 1877 წლის აგვისტოში თბილისის სასულიერო სემინარიის წარმომადგენლების მიერ ჩატარებულმა რევიზიამ აღნიშნა სასწავლებლის შენობის სავალალო მდგომარეობა, ასევე მიუთითა მთელ რიგ დარღვევებზე ზედამხედველის მიხეილ გურგენიძის საქმიანობაში.⁴¹ 1877წ. ნოემბერში კი სამეგრელოს სამღვდლოების VIII კრების 20 დელეგატმა (მათ შორის ბესარიონის ნათესავმა, მღვდელმა სტეფანე ხელაიამ, რომელიც, როგორც მედავითნე, მონაწილეობდა ახალშობილი ბესარიონის ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებაში) წერილით მიმართა ეპისკოპოს გაბრიელს (რომლის გამგებლობაში სამეგრელოც შემოდიოდა), რათა დაუყოვნებლივ გადაეყენებინა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მიხეილ გურგენიძე. წერილში ნათქვამია: „გურგენიძის ხელში დარჩენაზე საუმჯობესოდ ვხედავთ დაიხუროს სასწავლებელი, სრულიად დარწმუნებული ვართ, ჩვენი ესე თხოვნა თვით მოკლე დროში აღსრულდეს, რომ არ ექნეს შხამი შხამით აღვსილს ჩვენზე გურგენიძეს სასწავლებლის გაფუჭებისა“.⁴²

1878 წელს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს უკვე ახალი ზედამხედველი ჰყავდა – ამბროსი ხელაშვილი. ვითარებაც სასწავლებელში მალევე გამოსწორდა. 1879წ. 6-7 აპრილს ეპისკოპოსმა გაბრიელმა მოინახულა მარტვილის საკათედრო ტაძარი, მის ირგვლივ მდებარე სამრევლოები, „აგრეთვე სამეგრელოს სასულიერო

41. სცსსა, ფ.440, აღწ.1, ს.756, ფ.85-163.

42. იქვე, ფ.168-169.

სასწავლებელი, სადაც ყველა კლასში გაკვეთილებს დაესწრო“⁴³ – ნათქვამია ანგარიშში მეუფის მიერ 1879 წელს იმერეთისა და აფხაზეთის ეპარქიების მიმოხილვის შესახებ. აქ უნდა შემდგარიყო ბესარიონ და გიორგი ხელაიების ერთ-ერთი მორიგი შეხვედრა უდიდეს სასულიერო მოღვაწესთან და მამულიშვილთან, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდა მათ მეხსიერებაში. როგორც ჩანს, ეს არ იყო 1872-1879 წლებში ეპისკოპოს გაბრიელის პირველი სტუმრობა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში. მოგვიანებით, 1916 წლის დეკემბერში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში გამოქვეყნებულ წერილში „ქართველი ეპისკოპოსების უუფლებობა და საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლები“ იმჟამად არქიმანდრიტი ამბროსი წერდა, რომ მას „ახსოვს როგორ ხშირად მოდიოდა სასწავლებელში მარად სახსოვარი ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), როგორ მკაცრად სჯიდა იგი ზოგადად აღზრდისა და სწავლების საქმეში მცირე ნაკლოვანებებისთვის. ეს იყო საუკეთესო ჟამი სასულიერო სასწავლებლების ცხოვრებაში, როცა სამღვდელოებას ჰქონდა ზედამხედველებისა და მათი თანამშენებლის არჩევის უფლება და როცა ქართველ ეპისკოპოსებს არ ჰქონდათ წართმეული სასწავლო დანესებულებებში მეცადინეობების მიმდინარეობაზე ზედამხედველობის უფლება, ახლა კი სულ პირიქით ხდება“.⁴⁴

1879 წელს ძმებმა ხელაიებმა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი დაამთავრეს. იმავე წლის 9 ივნისს სასწავლებლის გამგეობის მიერ გაცემული მოწმობების მიხედვით, ბესარიონი და გიორგი პირველთანრიგოსან კურსდამთავრებულთა რიცხვს მიაკუთვნეს, რაც დადასტურებულია ეპისკოპოს გაბრიელის ხელმოწერით (აქვე, დოკ. №№6, 6ა). სასულიერო სასწავლებლების წესდების 129-ე პარაგრაფის მიხედვით კი, პირველი თანრიგოსნის მოწმობა მის მფლობელს სამოქალაქო სამსახურში შესვლისას პირველი კლასის (რანგის) წოდების მისაღებად აუცილებელი გამოცდის ჩაბარებისგან ანთავისუფლებდა.⁴⁵

სამოქალაქო სამსახურში შესვლა ბესარიონ და გიორგი ხელაიებს არც უფიქრიათ. სასულიერო სასწავლებლის დამთავრებისთანავე ძმებმა თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტეს. 1879 წლის 19 ივნისით არის დათარიღებული ბესარიონ ხელაიას თხოვნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ ავრაამის მიმართ, გასცეს „განკარგულება მისაღებ გამოცდაზე ჩემი დაშვების შესახებ“ (აქვე, დოკ. №7). 1879 წ. ივნისის ბოლოსთვის მისაღები გამოცდები სემინარიაში დასრულდა. ჩარიცხულთა შორის ძმები ხელაიებიც აღმოჩნდნენ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მისაღებ გამოცდაზე რუსულში ჩაჭრილი ბესარიონი ჩარიცხა მას შემდეგ, რაც ეს საგანი მან 1879წ. 31 აგვისტოს ხელახლა ჩააბარა და დადებითი შეფასება მიიღო.⁴⁶ ბესარიონ და გიორგი ხელაიებთან ერთად სემინარიის მოსწავლეები გახდნენ მელიტონ ბალანჩივაძე, ალექსი ბარნოვი, არჩილ ფერაძე, დავით მჭედლიძე, სიმონ ნადირაძე, სიმონ ცინცაძე, პლატონ ცაგარეიშვილი, მარკოზ ჭარაია (აფხაზეთიდან), დავით ნატროევი (ნატროშვილი), სილვესტრ ხუნდაძე, სილვესტრ ჯიბლაძე და ბევრი სხვა (სულ 62 მოსწავლე).⁴⁷

1879 წლის 27 ივნისს სემინარიის I კლასის მოსწავლემ გიორგი ხელაიამ (ბესარიონი ჯერ არ იყო ჩარიცხული) რექტორის არქიმანდრიტ ავრაამის სახელზე შეიტანა თხოვნა, მამის სილარიბის გამო, მისთვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.⁴⁸ თხოვნას თან ერთვოდა ეპისკოპოს გაბრიელის მიერ 1879წ. 7 ივნისს გაცემული შემდეგი შინაარსის მოწმობა: „მოწმობა ესე ეძლევა ჩემგან მისივე თხოვნით აფხაზეთის ეპარქიის

43. წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, გვ.556-557.

44. აქვე, ნაწილი II.

45. სცსსა, ფ.440, აღწ.1, ს.791, ფ.305ა, 307ა.

46. იქვე, ფ.195, 203.

47. იქვე, ფ.198.

48. იქვე, ს.788, ფ.253.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელს ზოსიმე ხელაიას მასზედ, რომ სიღარიბისა და ოჯახის წევრთა მრავალრიცხოვნობის გამო არ შეუძლია თავის შვილებს ბესარიონს და გიორგის საკუთარი სახსრებით მიაღებინოს განათლება რომელიმე სასწავლო დაწესებულებაში, რასაც ხელმოწერითა და ბეჭდით ვამონმებ. ქ. ქუთაისი, 1879წ. 7 ივნისი, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი.⁴⁹ 1879წ. 11 აგვისტოს ეპ. გაბრიელის კანცელარიიდან აფხაზეთის უფროს ბლალოჩინს დეკანოზ დავით მაჭავარიანს შესასრულებლად გადაეგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიიდან შემოსული თხოვნა აფხაზეთიდან ჩარიცხული მოსწავლეების, მღვდლების შვილების ბესარიონ და გიორგი ზოსიმეს ძე ხელაიების, მარკოზ გიორგის ძე ჭარაიას, ბესარიონ დავითის ძე გოგობიას, მღვდლის შვილიშვილის კონსტანტინე პეტრეს ძე ჟორდანიას მშობლების მატერიალური მდგომარეობის თაობაზე ცნობების წარმოდგენის შესახებ.⁵⁰

1879 წ. 1 ნოემბერს მღვდელმა ზოსიმე ხელაიამ წერილობითი თხოვნა (прошение) შეიტანა „თბილისის სასულიერო მართლმადიდებელი სემინარიის გამგეობის“ სახელზე. იგი წერდა, რომ მწირი შემოსავალი არ აძლევს ხუთსულიანი ოჯახის (ხანდაზმული დედის და სამი ვაჟიშვილის, რომელთაგან ორი სემინარიის, ერთი კი – პორფირი – სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები არიან) შენახვის არანაირ საშუალებას; ამიტომ ითხოვდა ბესარიონისთვის ან გიორგისთვის სტიპენდიის დანიშვნას (აქვე, დოკ. №8). 1879 წ. 25 ნოემბერს ძმებმა ხელაიებმა ანალოგიური თხოვნით სემინარიის გამგეობას მიმართეს. „ვიღებთ რა მხედველობაში მამის უკიდურეს სიღარიბეს და ჩვენს გამოუვალ მდგომარეობას, უმორჩილესად ვსთხოვთ გამგეობას ყურადღება მიაქციოს ჩვენს კრიტიკულ მდგომარეობას და ერთ-ერთი ჩვენთაგანი აიყვანოს ხაზინის ხარჯზე“ (აქვე, დოკ. №9), – წერდნენ ბესარიონი და გიორგი ერთობლივ მიმართვაში სემინარიის გამგეობისადმი. 1879 წლის 25 ნოემბრის თხოვნა თითქმის სიტყვა-სიტყვით არის განმეორებული მორიგ ერთობლივ მიმართვაში გამგეობისადმი, რომელიც 1880 წლის 12 მარტით თარიღდება.⁵¹

ამდენმა მიმართვებმა, ბოლოს და ბოლოს, შედეგი გამოიღეს. თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ მიიღო კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საქმეთა მმართველის გენერალ-ლეიტენანტ კ. ტრუბეცკოვის 1880 წლის 30 აპრილით დათარიღებული წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „თბილისის სასულიერო სემინარიის I კლასის მოსწავლე, მღვდელ ხელაიას შვილი, ბესარიონ ხელაია საზოგადოების საბჭომ თავის ხარჯზე ა.წ. 1 მაისიდან თბილისის სემინარიის პანსიონერთა რიცხვში შეიყვანა.

ვაცნობებთ რა ამის შესახებ სემინარიის გამგეობას, დავსძენთ, რომ ბესარიონ ხელაიას შესანახად განკუთვნილი თანხის გაცემა გამგეობის მოთხოვნით მოხდება.⁵²“ 1880წ. 5/6 მაისს სემინარიის პედაგოგთა საერთო კრების გამგეობამ განიხილა გენერალ კ. ტრუბეცკოვის ეს წერილი და დაადგინა: „ცნობად იქნას მიღებული, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ გამოყოფილი ფულის მოთხოვნა მოხდეს დაკანონებული წესის მიხედვით“.⁵³ სტიპენდიის დანიშვნამ ბესარიონისთვის, რომელსაც უკეთესი მოსწრება ჰქონდა ვიდრე გიორგის, ძმებს სწავლის გაგრძელების საშუალება მისცა. 1881 წლის 6 აპრილს გიორგი ხელაია თითქმის ორთვიანი ავადმყოფობის შემდეგ (საკლასო ჟურნალის მიხედვით, 1881წ. 11 თებერვლიდან სემინარიაში არ გამოცხადებულა) გარდაიცვალა, რისი მიზეზიც სემინარიელთა შორის გავრცელებული ტიფი უნდა ყოფილიყო.

უმცროსი ძმის დაღუპვით მიყენებული უდიდესი სულიერი ტრავმის მიუხედავად,

49. იქვე, ფ. 287.

50. იქვე, ფ. 471.

51. იქვე, ს. 799, ფ. 204.

52. იქვე, ფ. 215.

53. იქვე, ფ. 214.

ბესარიონი აგრძელებდა ბეჯითად სწავლას. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე იგონებდა, სემინარიაში სწავლის პერიოდში ბესარიონ ხელაია „ირიცხებოდა საუკეთესო მოწაფედ,“ ბევრს კითხულობდა, „ამხანაგებშიც იყო სამაგალითო ამხანაგი, ყველას მოყვარე და ყველას საყვარელი თავისი კეთილის, პატიოსანის ქცევით და ღირსებით.

მაშინ სემინარიის მოსწავლეთა შორის ძალიან იყო გავრცელებული კოსმოპოლიტობა, ბევრს მაშინდელ გმირებს არც საქართველო სწამდათ, არც ქართველობა, არც ქართული ენის პირობების ძიება, ამგვარის პირებისგან ამბროსი ყოველთვის შორს იდგა.

იგი იყო უაღრესად მოყვარე თავის სამშობლო ქვეყნის, თავის ერის, ქართული მწერლობის და საქართველოს ისტორიის. ამ დროს ამბროსის ხშირი მიმოსვლა ჰქონდა ჩვენთან, წიგნების შესახებ ლაპარაკი, მსჯელობა და ყოველთვის გულნაკლული იყო ქართველი ერის ასე დაცემასა და დაქვეითებაზედ. ასეთის ცოცხალის მამულისშვილობით გახლდათ ამბროსი ხელაია აღვსილი.“⁵⁴

თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდში დაცული საკლასო ჟურნალების მიხედვით, ბესარიონი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე ნარჩინებული მოსწავლე ყოფილა. მისი თანაკლასელი (მესამე კლასიდან), ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ისიდორე რამიშვილი, იხსენებდა რა, თუ როგორ გაჰქონდათ თავი ნაკლებად ნიჭიერ და მისნაირ ზარმაც (საკლასო ჟურნალების მიხედვით, ისიდორე ერთ-ერთი ზარმაცი მოსწავლე იყო) სემინარიელებს, წერდა: „საჭირო იყო, ყოველ შემთხვევაში, რაიმე სცოდნოდათ, სავალდებულო საგნებიდან იმდენი მაინც, რომ თავი გადაერჩინათ გამორიცხვისაგან... ამისათვის იმათ ყავდათ აჩემებული ორი-სამი მოწაფე, რომლებიც ყოველთვის ბეჯითად ამზადებდნენ გაკვეთილებს და რომლებსაც ჯგუფი ყოველი გაკვეთილის წინ შემოეხვევოდა და ალაპარაკებდა გაზეპირებულ გაკვეთილებს. იმათ ლაპარაკიდან იმდენი მაინც ამოქონდათ, რომ თუ მოხვდებოდა მარცხი და მასწავლებელი გამოუძახებდა, ცოტაოდენი რამ მაინც სცოდნოდა. ეს ბეჯითი მოწაფეები არ იზარებდნენ ჩვენ დახმარებას. ასეთები იყვნენ ბესარიონ ხელაია (შემდეგ კათალიკოსი ამბროსი), რუსი მოწაფე ზემსკი, კონსტანტინე ჟორდანი და ორიოდე კიდევ სხვა“.⁵⁵ სემინარია იმ პერიოდისთვის საკმაოდ საფუძვლიან და მრავალმხრივ განათლებას იძლეოდა. პირველ და მეორე კლასებში მან გაიარა წმ. წიგნის განმარტება, რუსული სიტყვიერება, ბერძნული, ლათინური, ფრანგული ენები, ალგებრა და სამოქალაქო ისტორია.⁵⁶ III კლასში ამ საგნებს დაემატა ქართული და ლოგიკა.⁵⁷ 1882/83 სასწავლო წელს (მეოთხე კლასი) ბესარიონმა გაიარა ბერძნული, ლათინური, ფილოსოფიურ მოძღვრებათა მიმოხილვა, ფსიქოლოგია, ფიზიკა.⁵⁸ 1883 წლის 27 იანვარს თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას განცხადებით მიმართეს მელქისედეკ ნაკაშიძემ და ნესტორ კონტრიძემ, რომ ისინი მზად არიან მეცადინეობებისგან თავისუფალ დროს სემინარიელებს უსასყიდლოდ ასწავლონ ქართული საეკლესიო გალობა. მისი შესწავლის მსურველთა შორის აღმოჩნდა ბესარიონ ხელაიაც.⁵⁹ 1884 წლიდან სემინარიაში შემოიღეს საეკლესიო გალობის კურსი, რომელიც პოლიევქტოს კარბელაშვილს მიჰყავდა. V კლასში, ლათინურისა და ბერძნულის გარდა, იგი ეუფლება პედაგოგიკას, ღვთისმეტყველებას (რომელიც იყოფოდა ძირითად, დოგმატურ, შედარებით და ზნეობრივ ღვთისმეტყველებად), ჰომილეტიკას, წმინდა წიგნებს და საეკლესიო

54. კათალიკოსი ამბროსი (ხელაია). თბ., 1994, გვ.5.

55. პირადი არქივების აღწერილობა. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, გვ. 10.

56. სცსსა, ფ.440, აღწ.1, ს.802, ფ.23-28, 80-87; ს.803, ფ.211, 229-229ა, 249-249ა; ს.3225, ფ.4,11,18,27; ს.3226, ფ.8; ს.3228, ფ.4,12.

57. იქვე, ს.817, ფ.143ა-152ა; ს.818, ფ.57ა, 106ა, 118, 123-126; ს.3229, ფ.6,13; ს.3233, ფ.6,13; ს.3234, ფ.4,8,9,12; ს.3235, ფ.6,14; ს.3246, ფ.4,9,17 და ა.შ.

58. იქვე, ს.818, ფ.215ა, 235ა, 269ა; ს.823, ფ.20ა, 51, 103ა და ა.შ.

59. იქვე, ს.854, ფ.1-3. როგორც სემინარიის დამთავრების შესახებ ატესტატიდან ირკვევა, საეკლესიო გალობის კურსი ბესარიონ ხელაიას არ გაუვლია (აქვე, დოკ. №10).

ისტორიას.⁶⁰ VI კლასში ისწავლებოდა პრაქტიკული სახელმძღვანელო მწყემსთათვის, წმინდა წიგნები, ჰომილეტიკა, ლათინური, საეკლესიო ისტორია, დოგმატიკა, ღვთისმეტყველება (ზნეობრივი), ლიტურგიკა, საეკლესიო ქადაგება, ქართული ქადაგება, ქართული სიტყვიერება.⁶¹ ეს უკანასკნელი საგანი თედო ჟორდანიას წინადადებით 1884/85 სასწავლო წელს შემოიღეს და თედო თვითონვე ასწავლიდა მის მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით.⁶²

თბილისის სასულიერო სემინარიაში ძირითადად რუსი ეროვნების პედაგოგები მსახურობდნენ. 1879-1885 წლებში სემინარიაში ასწავლიდნენ ფ. ფავორსკი (საერთო საეკლესიო ისტორია), ა. ბოგოიავლენსკი (რუსეთის სამოქალაქო ისტორია), პ. ფიოდოროვსკი (რუსული სიტყვიერება, ლოგიკა და ფრანგული), გ.ხელიძე (დოგმატური და ძირითადი ღვთისმეტყველება), ნ. ტატიევი\ტატიშვილი (ჰომილეტიკა, ლიტურგიკა, პრაქტიკული სახელმძღვანელო მწყემსთათვის), ი. გორტინსკი და ი. გრიაზნოი (ბერძნული), პ. პოტოცკი (წმ. წიგნები), ა. იაროსლავი (ლათინური), ე. ნარბუტი და ა. კალია (ფრანგული), მ. ბაევი, ა. დემუცკი, ვ.კოტომინი და ი. ტიხომოროვი (ფიზიკა-მათემატიკა), მ. მაჭავარიანი და ვ. აუშევი (გალობა), ნ.სოგინი (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა), პ. სტრატელატოვი (ზოგადი სამოქალაქო და რუსეთის ისტორია), ი. გამყრელიძე (მათემატიკა), ი. ივანოვსკი (ფიზიკა), დ. პოკროვსკი (ძირითადი და ზნეობრივი ღვთისმეტყველება); 1883 წლიდან სემინარიაში მსახურობდნენ თ. ჟორდანია (საეკლესიო ისტორია), ა.ალბოვი (რუსული სიტყვიერება, ლოგიკა, ფსიქოლოგია), 1884 წლიდან – თ. დოლჟანსკი (დოგმატური, ძირითადი და ზნეობრივი ღვთისმეტყველება), 1885 წლიდან – ი.მეკანაროვი (ზოგადი სამოქალაქო და რუსეთის ისტორია), ე. ჩეტირკინი (ჰომილეტიკა, ლიტურგიკა და პრაქტიკული სახელმძღვანელო მწყემსთათვის).

სემინარიაში ბესარიონ ხელაიას სწავლის პერიოდში რექტორის თანამდებობა ეკავათ არქიმანდრიტ ავრაამს, რომელიც 1880 წლიდან არქიმანდრიტმა მისაილმა შეცვალა. ავრაამის რექტორობის პერიოდში სემინარიის ინსპექტორის თანამდებობა ი.კუვშინსკის ეკავა, მისაილის დროს – ი. სტეპანოვს, რომელიც შემდგომ წლებში ხშირად რექტორის მოვალეობასაც ასრულებდა. 1882 წლიდან მისი თანაშემწე იყო დ.დათეშიძე.⁶³ 1883 წლის 25 აპრილს უწმინდესმა სინოდმა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ცნობილი რეაქციონერი და ქართველთმოდულე დეკანოზი პ.ჩუდეციკი დანიშნა. მაშინ ის 39 წლის იყო, დამთავრებული ჰქონდა კოსტრომის სასულიერო სასწავლებელი (1868წ.) და კიევის სასულიერო აკადემია (1873წ.); თბილისში დანიშნამდე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, 1874-1883 წლებში თავრიდის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანამდებობა ეკავა.⁶⁴ სწორედ მისი რექტორობის პერიოდში – 1885 წელს – ბესარიონ ხელაიამ თბილისის სასულიერო სემინარია წარჩინებით ანუ პირველი თანრიგით დაამთავრა და სტუდენტის ნოდება მიენიჭა (აქვე, დოკ. №10). 1884 წლის 22 აგვისტოს დამტკიცებული მართლმადიდებელი სასულიერო სემინარიების წესდების 176-178-ე პარაგრაფების მიხედვით, სტუდენტის ნოდების მქონე სემინარიელებს, ასეთი ნოდების არმქონე პირებთან შედარებით, მნიშვნელოვანი უპირატესობა ენიჭებოდათ საეპარქიო, სასულიერო-სასწავლო და სამოქალაქო სამსახურში შესვლისას.⁶⁵ ახალგაზრდა ნიჭიერი სემინარიელი ბესარიონ

60. იქვე, ს.819, ფ.7, 33-38; ს.823, ფ.413ა, 457ა; ს.873, ფ.16ა, 23ა, 35ა; ს.914, ფ.7, 19,34; ს.917, ფ.6-50; ს.918, ფ.2,6,8,11,15,21,22; ს.922, ფ.8ა, 199 და ა.შ.

61. იქვე, ს.873, ფ.65ა, 72ა, 79ა, 86ა; ს.4267, ფ.20,21,24,25,41,42; ს.4269, ფ.2-9; ს.4270, ფ.2-4 და ა.შ.

62. იქვე, ს.3272, ფ.16-21; ს.3321, ფ.1-5ა, 9-11.

63. ცნობები თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგებისა და ხელმძღვანელების შესახებ აღებულია 1880-1886 წლების საცნობარო გამოცემიდან „კავკასიური კალენდარი“. იხ. აგრეთვე: სცსსა, ფ.440, აღწ.1, ს.839, ფ.4-57; ს.3321, ფ.1-22.

64. სცსსა, ფ.440, აღწ.1, ს.828, ფ.2; ს.839, ფ.44-50.

65. იქვე, ს.5178, ფ.18; მწყემსი, 1885, №10, გვ.2 (სემინარიების წესდება გამოქვეყნებულია ჟურნალში „მწყემსი,

ხელაია არჩევანის წინაშე აღმოჩნდა და ეს არჩევანი მან სულ მალე უფლისა და ერის სამსახურის სასარგებლოდ გააკეთა.

3. ილორში დაბრუნება და სამსახური სოხუმის ეპარქიაში (1885-1897წწ.)

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ბესარიონი ილორში ცხოვრობდა და წელიწადნახევრის განმავლობაში სამსახურის გარეშე რჩებოდა. რომელიმე უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების ოცნებაც ოჯახური პირობების გამო, ვერ აისრულა. იმ პერიოდში იგი თანასოფლელ (ილორელ) ელიზავეტა (კესარია) ალექსის ასულ მერჭულეზე დაქორწინდა და მალევე შეუდგა ეკლიან გზას აღმსარებლობისკენ. 1887წ. 25 მარტს სოხუმის ეპისკოპოსმა გენადიმ (პავლინსკი) სტუდენტი ბესარიონ ხელაია ჯერ სოხუმის საკათედრო ტაძრის დიაკვნად, იმავე წლის 19 აპრილს კი დაბა დახოვსკოეს (სოჭი) მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდლად აკურთხა.⁶⁶ ეს იყო საკმაოდ რთული და მძიმე პერიოდი ქვეყნის ცხოვრებაში, როდესაც რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის მიმართ უკიდურესად გამკაცრდა. ამ პოლიტიკის გამოხატულებას აფხაზეთაგან ნაწილობრივ „განმედილი“ აფხაზეთისა (სოხუმის ოკრუგის) და კავკასიელი მთიელებისაგან დაცლილი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დაჩქარებული უცხოური კოლონიზაცია, სკოლისა და ეკლესიის რუსიფიკაციის გზით ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციის, ქართველი ერის გახლეჩვის, ეროვნებათაშორისი შუღლის ჩამოგდების მცდელობა წარმოადგენდა. იმპერიულ მიზნებს ემსახურებოდა უწმინდესი სინოდის მიერ შემუშავებული და 1885წ. 12 ივნისს უმაღლესად დამტკიცებული გეგმა საქართველოს საეგზარქოსოში ეპარქიების ახალი განაწილების შესახებ. შეიქმნა საქართველოს, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის (ნაცვლად აფხაზეთისა) ეპარქიები. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში სოჭის ოკრუგიც შევიდა. აფხაზეთის ეპარქიის მმართველი ეპ. გაბრიელი (ქიქოძე) სოხუმის ეპისკოპოსად დანიშნულმა რუსმა ეპისკოპოსმა გენადიმ (პავლინსკი) ჩაანაცვლა (დაინიშნა 1886წ. 29 ნოემბერს, იკურთხა 1886წ. 28 დეკემბერს).⁶⁷ 1887 წლის 15 თებერვალს, როდესაც ეპ. გენადი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, დასრულდა ეპისკოპოს გაბრიელის სახელოვანი ეპოქა სოხუმის ეპარქიის ცხოვრებაში და დაიწყო რუსი მღვდელმთავრების თარეშის შავბნელი ხანა. საქართველოსთვის ამ მძიმე და კრიტიკულ ხანას დაემთხვა ბესარიონ ხელაიას სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობის პირველი პერიოდი. „ახალ დროებას“, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდა პატარობიდანვე გამოჩენილი მამულიშვილების, ეპისკოპოსების ალექსანდრესა და გაბრიელის გავლენის ქვეშ მყოფი, დედაქალაქში კი დიდი ილიასა და სხვა „თერგდალეულთა“ ეროვნულ-პატრიოტულ იდეებს ნაზიარები ახალგაზრდა მღვდელი ბესარიონ ხელაია.

XIX საუკუნის 80-იან წლებში სოჭი ნამდვილად არ იყო საუკეთესო ადგილი ეროვნული მოღვაწეობისთვის. აქაურ ეკლესიას ჯერ საკუთარი შენობაც კი არ ჰქონდა, ამიტომ ღვთისმსახურებას ბესარიონი ყოფილი სამხედრო ნაწილის ბარაკის ტიპის ეკლესიაში აღავლენდა. 1874 წელს დაწყებული და მეტისმეტად გაჭიანურებული სოჭის ეკლესიის მშენებლობის პროცესი ზედმეტად პოლიტიზირებული და ხმაუნარიანი აღმოჩნდა. მისი მშენებლობის ინიციატივა ა.ვ. ვერემჩაგინს ეკუთვნოდა. როგორც გაზეთი „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ 1874 წლის 13 მარტს (№64) წერდა, ეს უნდა ყოფილიყო პირველი ეკლესია მოახალშენეთა სამზრუნველოს სოჭის განყო-

1885, №№3,5-7,10-13).

66. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 128.

67. წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, გვ.140-141, 144-145, 671.

ფილებში, რომელიც შავი ზღვის ოკრუგის რუსი კოლონიზატორების რელიგიურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. გაზეთის ცნობით, იგეგმებოდა „მისი კურთხევა წმ. არქისტრატის მიხეილის სახელზე, ე.ი. მისი იმპერატორობითი უმაღლესობის, დიდი მთავრის, კავკასიის მეფისნაცვლის მარადიული ხსენებისთვის, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი იმ მხარის დასახლებას, სადაც ეკლესია უნდა აშენდეს. ამასთანავე სოჭის ეკლესია იქნება მარადიული მოსახსენებელი 1864წ. 21 მაისს კბადას (რომანოვსკოე) ველზე უმძიმესი და ძლევამოსილი 60 წლიანი კავკასიის ომის დასრულების აღსანიშნავად ჩატარებული საზეიმო პარაკლისისა“. ტაძრის პროექტი მეფისნაცვალს მიხეილ რომანოვს დაუმტკიცებია. მის მშენებლობას კი საძირკველი 1874წ. 21 მაისს – კავკასიის ომის დასრულების დღეს (მე-10 წლისთავზე) ჩაეყარა. კავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინრო სამმართველოსთვის მეფისნაცვალს ტაძრის ასაშენებლად საამშენებლო მასალისა და მუშების გამოყოფა უბრძანებია. მშენებლობაზე ზედამხედველობას ა.ვერემჩაგინი ახორციელებდა; ტაძრის პროექტი მან თავის წიგნში „პუტევიე ზამეტკი პო ჩერნომორსკომუ ოკრუგუ“ (მ., 1874) მოათავსა. მთავარი სპონსორობა ნ.მამონტოვმა იკისრა, რომელიც მოსკოვში შემონიშნულობებს აგროვებდა. 1875 წელს თვით იმპერატორ ალექსანდრე II-ს მოუწონებია სოჭის ეკლესიის მშენებლობის იდეა და მისთვის 1000 მან. შეუწირავს, მეფისნაცვალს – 600 მან.⁶⁸ 1877 წლის მარტისთვის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, დანიშნული იყო ეკლესიის მღვდელიც (პ.ტიშკოვი), მაგრამ იმავე წლის 21 მაისს (ეს დღე სპეციალურად უნდა ყოფილიყო შერჩეული), როდესაც თურქებმა სოჭი დაბომბეს, ეკლესია ძლიერ დაზიანდა.⁶⁹ ამის შემდეგ მისი აღდგენა და მშენებლობის დასრულება 13-14 წელი გრძელდებოდა. 1885წ. 18 თებერვლის წერილში კავკასიისა და ეკატერინოდარის ეპისკოპოს გერმანესადმი სოჭის ეკლესიის მღვდელი იოანე კრილოვი ტაძრის მშენებლობის გაჭიანურებაში ა.ვერემჩაგინს, შავი ზღვის ოკრუგის უფროსს ნ.ნიკიფორაკს და სოჭის განყოფილების უფროსს მ.კრაევსკის (რომელიც 1884წელს დაფუძნებულ ეკლესიის საამშენებლო კომიტეტს ხელმძღვანელობდა) ადანაშაულებდა. 1885 წლიდან შავი ზღვის ოკრუგი ეკლესიურად სოხუმის ეპარქიას და, შესაბამისად, საქართველოს საეპარქოსოს დაექვემდებარა. 1886წ. 5 სექტემბერს შავი ზღვის ოკრუგის ბლალოჩინი დეკანოზი მიხ. პავლოვი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას წერდა, რომ სოჭის ეკლესიის მშენებლობაზე უკვე დაიხარჯა 40 ათასი მან. და მისი დასრულებისათვის კიდევ 20 ათასი იყო საჭირო. ის ეჭვსკვემ აყენებდა ამ ეკლესიის მშენებლობის გაგრძელების მიზანშეწონილობასაც კი.⁷⁰ სწორედ ამ დროს დაინიშნა და სოჭის ეკლესიის მშენებლობის პროცესში ჩაერთო ბესარიონ ხელაიაც.

1888 წ. 30 დეკემბერს უწმინდესმა სინოდმა სოჭის ეკლესიის მშენებლობის დასამთავრებლად საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას 9933 მან. გამოუყო. 1889წ. 25 ოქტომბერს კანტორამ მიიღო ბრძანებულება ამ გაჭიანურებული მშენებლობის დასრულების შესახებ. მიმდინარე სამუშაოების დაჩქარების მიზნით სოხუმის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ხოვანსკი) იმავე წლის 4 ნოემბერს „კეთილსაიმედო“ მღვდლებისა და საეკლესიო მამასახლისის შემადგენლობით ჩამოაყალიბა კომიტეტი, რომელსაც ეკლესიის მშენებლობის დასრულება დაავალა. კომიტეტს სათავეში ედგა ჯერ ბლალოჩინი დეკანოზი მიხეილ პავლოვი, რომელიც მალე ველიამინოვსკის მღვდელმა დიმიტრი სობოლევმა შეცვალა. კომიტეტის შემადგენლობაში ბესარიონ ხელაია და სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკ. დავით მაჭავარიანიც შედიოდნენ. კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად ბესარიონი ხელს აწერდა 1890წ. 25 ოქტომბერს შედგენილ აქტს სოჭის ეკლესიის მშენებლობის დასრულების შესახებ.

68. სცსსა, ფ.489, აღნ.1, ს.31814, ფ.2-5,13-14,65-67,83-85.

69. იქვე, ს.41289, ფ.48.

70. იქვე, ს.31814, ფ.151-156.

ეკლესია 1891 წელს აკურთხეს.⁷¹

სოჭის ეკლესიაში ბესარიონ ხელაია 1892 წლის სექტემბრამდე მსახურობდა. 1888 წელს აქ შეეძინა მას პირველი ვაჟიშვილი, რომელიც მალევე გარდაიცვალა. 1889 წელს დაიბადა ქალიშვილი ნინო, 1891 წელს – ვაჟიშვილი ალექსანდრე. სოჭის ეკლესიის კრებულის ნამსახურობის ნუსხების (1887-1891წწ.) მიხედვით, მღვდელი ბესარიონ ხელაია დადებითად ხასიათდება. მათში აღნიშნულია, რომ ბესარიონი ადგილობრივ საეკლესიო-სამრევლო სკოლაში სჯულისკანონს უსასყიდლოდ ასწავლიდა. მისი მეუღლე ელიზავეტა მერჭულე კი დახასიათებულია როგორც „ძალიან კარგი“ ყოფაქცევის ადამიანი.⁷²

სოჭში ყოფნის პერიოდშიც ბესარიონ ხელაიას ყურადღება უფრო აფხაზეთისაკენ იყო მიპყრობილი. ამის დასტურია 1890 წლის 30 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ ბ.ხ.-ს ხელმოწერით გამოქვეყნებული ინფორმაცია იმავე წლის 14-15 აპრილს გუდაუთის უბანში კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ინსპექტორის არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიის სტუმრობის შესახებ.⁷³

1892 წლის 29 სექტემბრიდან ბესარიონ ხელაია სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელია, იმავე წლის 11 ოქტომბერს სოხუმის ეპისკოპოს აგაფოდორის (პრეობრაჟენსკი) მიერ დაფუძნებული საეპარქიო საეკლესიო-არქეოლოგიური კომისიის (ევალებოდა უძველესი ტაძრების აღდგენა და სხვა) წევრი და ხაზინადარი ხდება.⁷⁴ სოხუმის საკათედრო ტაძარში (რომლის წინამძღვრად 1884-1905 წლებში დეკ. დავით მაჭავარიანი მსახურობდა) მამა ბესარიონმა 1892 წლის 22 მაისს ნოვოროსიისკში გადაყვანილი აფხაზეთში ცნობილი მისიონერის იოსებ ბერძენიშვილის⁷⁵ ადგილი დაიკავა. 1879 წლის 6 მარტიდან ი. ბერძენიშვილი იყო როგორც საკათედრო ტაძრის მღვდელი, ისე აფხაზეთ-სამურზაყანოს უფროსი ბლალორინის (თანამდებობა 1869-1885 წლებში არსებობდა) დავით მაჭავარიანის თანამემნე და ბიჭვინთის (სოხუმის ეპარქიის პირველი საბლალორინო) ოლქის ბლალორინიც (მთავარხუცესი). ამ უკანასკნელ თანამდებობასაც 1892 წლის 20 ოქტომბრიდან 1893 წლის პირველ აგვისტომდე ბესარიონ ხელაია ითავსებდა. იგი ენერგიულად ხელმძღვანელობდა სოხუმის ეპარქიის პირველ საბლალორინო ოლქს, რომლის შემადგენლობაში შემოდიოდნენ ააციის სერგი რადონეჟელის, გუდაუთის ღვთისმშობლის საფარველის (მღვდელ. იასონ ჩაჩანიძე), ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების (მღვდ. ი.ლაკერბაია, სამურზაყანოელი), დურიფშის მიქაელ მთავარანგელოზის (მღვდ. ნიკოლოზ კირთაძე), ზვანდრიფშის პეტრე-პავლეს (მღვდ. დიმიტრი გუბელაძე), ჯირხვის სამი წმინდანის – ვასილ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის (მღვდ. გიორგი ჭირაქაძე), მუგუძირხვის ილია წინასწარმეტყველის (მღვდ. ბესარიონ ჟორდანია), ბარმიშის წმ. გიორგის (მღვდ. აბაკუმ თოფურიძე), ოთხარის წმ. ეკატერინეს (მღვდ. იოანე წიგწივაძე, რომელმაც 60-იანი წლების მეორე ნახევარში სასულიერო განათლება ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდელ ზოსიმე ხელაიასთან მიიღო), ბლაბურხვის წმ. გიორგის (მღვდ. ფადეი ურიდია) და კალდახვარის წმ. გიორგის (მღვდ. იულონ ოსიძე) ეკლესიები.⁷⁶ მოგვიანებით ბესარიონი იხსენებდა მისი ბლალორინობის პერიოდში გუდაუთის უბანში სოხუმის ეპისკოპოს აგაფოდორის ჩამოსვლას დეკანოზ დავით მაჭავარიანის თანხლებით. „ვიყავი მოწმეც – წერდა იგი, – იმ სიხარულის, თითქმის ენთუზიაზმის, რომლითაც ეგებებოდა მას (დეკანოზ დავით მაჭავარიანს – ჯ.გ.) ხალხი, იმ მოწინების ტოლფასი პატივისცემისა, რომლითაც ეპყრობოდნენ მას ოდესღაც მისი ყოფილი სუ-

71. იქვე, ფ.158, 172, 179, 191, 192, 198; ს.42034, ფ.2-7.

72. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.41289, ფ.50; წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.127-129, 132-133, 377.

73. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 129-132.

74. იქვე, გვ.21, 163.

75. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.63608, ფ.45.

76. იქვე, ს.44424, ფ.3-67.

ლიერი შვილები, ამჟამად კი ვითარებათა გამო გამაჰმადიანებულნი. იმ მისიონერული მოგზაურობის დროს იყო მომენტები, როდესაც მეუფის თანმხლები პოლიციელების გაუფრთხილებელი სიტყვები და მოქმედებები ხალხის მხრიდან იწვევდნენ პროტესტს, რომელიც როგორც პოლიციის, ისე ზოგადად მთელი მისიის წინააღმდეგ მღელვარებაში გადადიოდა. ზოგჯერ ხალხის ამგვარი აღელვება შეიძლებოდა მოქმედებაში გადაზრდილიყო, მაგრამ როგორც კი მამა დეკანოზი ხალხში გამოჩნდებოდა, ყველაფერი ნორმალურად წარიმართებოდა, ვნებები ჩაცხრებოდა, შეურაცხყოფის მისაყენებლად აღმართულ ხელკეტებს დაუშვებდნენ და გადააგდებდნენ; დეკანოზ მაჭავარიანის მშვიდი შეგონების, დარიგებისა და ქმედების წყალობით, მისია ასეთ სოფლებშიც კი გარკვეულ წარმატებას აღწევდა.⁷⁷ ბესარიონ ხელაია ამით ხაზს უსვამდა, რომ ქართველი მისიონერების დაულაღავი შრომის შედეგად გაქრისტიანებული აფხაზები შოვინისტურად განწყობილი რუსი მღვდელმთავრების ხელში (რომლებმაც არ იცოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ენა, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და პატივს არ სცემდნენ მათ), პირიქით, რწმენას კარგავდნენ. ბლალორჩინის თანამდებობაზე ბესარიონ ხელაია ცნობილმა აფხაზმა პედაგოგმა და სასულიერო მოღვაწემ მღვდელმა (შემდგომში დეკანოზმა) დიმიტრი მარლანიამ შეცვალა, რომელიც იმავდროულად აა-ცის ეკლესიის მღვდელიც გახდა.

ბლალორჩინის თანამდებობიდან ბესარიონ ხელაიას განთავისუფლება შეიძლება აიხსნას აფხაზურ ოლქში, სადაც სულ ქართველი მღვდლები მსახურობდნენ, აფხაზი ეროვნების ბლალორჩინის დანიშვნის მიზანშეწონილობით, აგრეთვე მამა ბესარიონისთვის დაკისრებული ახალ-ახალი საპასუხისმგებლო მოვალეობებით. კერძოდ, 1893 წლის 10 ივნისს იგი დავრდომილ სასულიერო პირთა საეპარქიო სამზრუნველოს კომიტეტის წევრად და ხაზინადარად, იმავე დღესვე საეპარქიო სარევიზიო კომისიის წევრადაც დაინიშნა. 1893წ. 17 ივნისს კი ბესარიონ ხელაია საკათედრო ტაძრის კანდელაკი ხდება,⁷⁸ შეცვალა რა ამ თანამდებობაზე მღვდელი პავლე შმიკოვი. ყოველივე ამის შეთავსება ბლალორჩინის თანამდებობასთან ფიზიკურად შეუძლებელი ან ძალიან მძიმე იყო, თუმცა ეპისკოპოს აგაფოდორს, რომელიც უკვე ტოვებდა სოხუმის ეპარქიას, ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ეჭვსგარეშეა, ანტიქართული, აფხაზთა რუსიფიკაციის მიზნები და სხვა პოლიტიკური მისწრაფებები ამოძრავებდა.

სოხუმის ახალი ეპისკოპოსის პეტრეს (დრუგოვი) დანიშვნის (1893წ. 21 აგვისტო) შემდეგ ვითარება ეპარქიაში რამდენადმე გაუმჯობესდა, საგრძნობლად შემცირდა ზენოლა ქართველებზე. დეკ. დავით მაჭავარიანი 1894წ. 1 იანვარს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) წერდა, რომ „ახალი ეპისკოპოსი ჩვენი ყოვლად სამღვდელო პეტრე ძლიერ კარგი კაცია და შემკობილი განათლებითა, კაცობრივობითა, სიმშვიდითა და ღვთისმოშიშებითა და ზოგადად ყოველთადაც პატივისცემით მიმღებლობითა. კვირადღეობით და დღესასწაულებში ყოველთვის მწირველია და ქადაგებს ძლიერ გრძნობით და მსმენელთა გულის მოსალბობელად. ქართველებსა და რუსებს ჯერ-ჯერობით თანასწორ უყურებს და ღმერთმან განაგრძნობინოს.“⁷⁹ განათლებულმა და ღვთისმოსავმა მღვდელმთავარმა, რომელმაც უარი თქვა საკუთარი სამწყსოს ეროვნული ნიშნით დაყოფაზე, ქართველთა დისკრიმინაციაზე, მალევე შენიშნა საკათედრო ტაძრის განათლებული ახალგაზრდა კანდელაკი და სწორედ განათლების სფეროში მას სხვა დამატებითი მოვალეობები დააკისრა. 1894 წლის 26 აპრილს ბესარიონ ხელაია სოხუმის მთიელთა სკოლის სჯულისკანონის მასწავლებლად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე 1897წ. ბოლომდე იმყოფებოდა. სკოლის ზედამხედველად მსახურობდა დავით აჯამოვი, იქვე მასწავლებლად მუშაობდა ცნობილი სოხუმელი

77. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.461.

78. იქვე, გვ.22, 163, 190.

79. წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, გვ.198.

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ანთიმოზ ჯუღელი⁸⁰ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის სარდლის ვალიკო ჯუღელის მამა). ეპისკოპოსმა პეტრემ 1894წ. 26 აგვისტოს ბესარიონ ხელაია სოხუმის საეპარქიო აღმწველის საეკლესიო საძმოს, მასში შემავალი საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრად და საქმისმწარმოებლად (მდივნად), იმავდროულად მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველად, მღვდლობისა და მედავითნეობის კანდიდატების გამომცდელი კომისიის წევრად დანიშნა.⁸¹ იმ პერიოდში ეპისკოპოსმა პეტრემ საეკლესიო საძმოს (შესაბამისად, საეპარქიო სასწავლო საბჭოს) შემადგენლობის გადახალისება მოახდინა. საბჭოს შემადგენლობიდან გამოიყვანეს სამი წევრი (სამხედრო ნაწილის უფროსი და საბჭოს ხაზინადარი პოლკ. გ.საროკინი, გუმისთის უბნის უფროსი ი. სვისტუნი, საკათედრო ტაძრის მღვდელი, საბჭოს საქმისმწარმოებელი ნ.პოდოლსკი) და შეავსეს ახალი წევრებით, რომელთა შორის იყო ბესარიონ ხელაია. 1894 წლის ბოლოდან 1896 წლის შემოდგომამდე საეკლესიო საძმოს საბჭოს შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: საბჭოს თავმჯდომარე თანამდებობრივად იყო საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკ. დავით მაჭავარიანი, წევრები – გადამდგარი გენერალი გრიგოლ შარვაშიძე, საკათედრო ტაძრის მღვდელი და VI საბლალოჩინო ოლქის (ქ.სოხუმი) ბლალოჩინი ავრამ ივანოვი (ხაზინადარი), ჟანდარმთა უფროსი პეტრე ქორქაშვილი, საკათედრო ტაძრის მღვდელი გიორგი გოლუბცოვი, საეპარქიო კანცელარიის მდივანი ა.ტროიციკი, საკათედრო ტაძრის მღვდელი ბესარიონ ხელაია (საქმისმწარმოებელი). 1896 წლიდან საბჭოს შემადგენლობას დაემატა საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების საეპარქიო ზედამხედველი, მღვდელი ვ.იასტრებოვი.⁸²

საეპარქიო სასწავლო საბჭოს აქ წარმოდგენილი წევრებიდან უკიდურესი რეაქციონერები იყვნენ ა.ტროიციკი, გ.გოლუბცოვი და ვ.იასტრებოვი, რომლებიც სოხუმის ეპისკოპოს არსენ იზოტოვის (1895წ. 2 თებერვალი-1905წ. 26 მარტი) ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით ცხოველური სიძულვილით ებრძოდნენ ყოველივე ქართულს. მათ სახელს უკავშირდება აფხაზეთში ქართულ ენაზე ღვთისმსახურებისა და სწავლების აკრძალვა, ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივება ორ მკვიდრ ხალხს – ქართველებსა და აფხაზებს შორის. ეპ. არსენისა და მისი თანამოაზრე მოვინისტების თარეშს აფხაზეთში საზოგადოების მტკიცე პროტესტი და ორგანიზებული წინააღმდეგობა მოჰყვა, რომელსაც თედო სახოკიას მეთაურობით მოქმედი ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა. რუსულმა ხელისუფლებამ ეს ჯგუფი აფხაზეთის „ქართულ პარტიად“ მონათლა, მასზე ჟანდარმერიის მკაცრი ზედამხედველობა დაანესა და „ქართული პარტიის“ წევრების „ანტისახელმწიფოებრივი“ საქმიანობის გამოძიებას შეუდგა. აფხაზეთის „ქართული პარტიის“ აქტიური წევრი იყო მღვდელი ბესარიონ ხელაიაც. იგი ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა სოხუმის ახალ ეპისკოპოსს. ურთიერთობა მათ შორის განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, როცა 1895 წლის სააღდგომო ლიტურგიაზე ეპისკოპოსმა არსენმა საკათედრო ტაძრის კანდელაკს ბესარიონ ხელაიას სახარების ქართულ ენაზე წაკითხვა აუკრძალა, თუმცა ის სლავურ, ბერძნულ და მკვდარ ლათინურ ენებზე წაკითხეს. „საგაზეთო წყაროებით ყველასათვის ცნობილია, – წერდა 1906 წელს იმჟამად არქიმანდრიტი ამბროსი, – ეპ. არსენის განკარგულება აღდგომას არ წაკითხულიყო ქართული სახარება მაშინ, როდესაც წაკითხეს სხვა ენებზე, მკვდარ ლათინურზეც კი, რომელიც მლოცველთაგან არავის ესმოდა. მლოცველთა ორ მესამედს ქართველები შეადგენდნენ; მოუთმენლად ელოდნენ ისინი წელიწადში ერთხელ მაინც მათთვის გასაგებ ენაზე მოესმინათ

80. Кавказский Календарь на 1898 год. Тифлис, 1897, გვ. 307.

81. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.22, 163, 190.

82. Кавказский Календарь на 1895г. Тифлис, 1894, გვ.324-325; там же на 1896г. Тифлис. 1895, с.343; Там же на 1897 год, Тифлис, 1896, с.361.

ბიბლიის ნაკითხვა, მაგრამ შეცდნენ თავიანთ მოლოდინში. მათდამი ასეთი უყურადღებობით, მათი რელიგიური და ეროვნული გრძნობების ასეთი შეურაცხყოფით გაბრაზებულები ბიბლიის კითხვის დასრულებისთანავე დემონსტრაციულად გავიდნენ ტაძრიდან.⁸³

ეპ. არსენის ეს აღმაშფოთებელი საქციელი მოგვიანებითაც – 1918წ. 1 სექტემბერს – სოხუმის საკათედრო ტაძარში შეკრებილი საზოგადოების წინაშე გამოსვლისას იმჟამად მიტროპოლიტმა ამბროსიმ კიდევ ერთხელ გაიხსენა და ბრძანა: „აი, მაგალითი იმისა, თუ რანაირად იღვენებოდა ყოველივე ქართული. ეს ტაძარი მონმეა იმისა, რომ იმას, ვინც ახლა ამ ამბიონიდან გებაასებათ, მაშინ სობოროს მღვდელს – აღდგომა დღეს აღუკრძალეს ქართულად სახარების წაკითხვა მაშინ, როდესაც მკვდარ ლათინთა ენაზეც იქნა წაკითხული! მის შეკითხვაზე, რა იყო ამის მიზეზი, მიიღო პასუხი „აქ საქართველო არ არისო“. აღკრძალული იყო ქართულად სიტყვის წარმოთქმა და ან რაიმე მღვდელმოქმედების შესრულება ეკლესიის გარეთაც.“⁸⁴ ბესარიონ ხელაიას იქვე გაუცია პასუხი ეპისკოპოს არსენისთვის. ამის შესახებ დოკუმენტურ ცნობებს შეიცავს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისა (რომელიც აფხაზეთის „ქართული პარტიის“ საქმეს იძიებდა) და ეპისკოპოს არსენის 1900 წლის საიდუმლო მიმოწერა. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს აინტერესებდა სოხუმის ეპისკოპოსის პასუხები „ქართული პარტიის“ წევრების საქმიანობასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე (სულ 12 შეკითხვაზე უნდა გაეცა პასუხი). ერთ-ერთი შეკითხვა ასეთი იყო: „6) მართალია თუ არა, რომ მღვდელმა ბესარიონ ხელაიამ, რომელიც ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვის შემოღებას მოითხოვდა, განგიცხადათ, რომ აქ საქართველოა და არა რუსეთი და ამიტომ წირვაც ქართულად უნდა იყვესო?“ ეპისკოპოსმა არსენმა ჟანდარმთა უფროსს მოახსენა: „6) მღვდელმა ხელაიამ კერძო ლაპარაკში, როდესაც მიმტკიცებდა და მთხოვდა ქართული წირვა-ლოცვის შემოღებას, მითხრა, რომ „აქ საქართველოა და არა რუსეთი და წირვა-ლოცვაც ქართულად უნდა იყვესო“.

ბესარიონ ხელაია მოხსენიებულია ჟანდარმთა უფროსის მერვე შეკითხვაშიც და მასზე ეპ. არსენის პასუხში. ჟანდარმი სოხუმის ეპისკოპოსს სთხოვდა: „8) რადგანაც უტყუარი ცნობები მაქვს, რომ ნაცნობობა აქეთ არასაიმედო და წარმართი მიმართულების ხალხთან (აფხაზებთან – ჯ.გ.) თედო სახოკიას, მღვდლებს – ჩხენკელს (აკაკი ჩხენკელის მამა – იოანე. – ჯ.გ.), კერესელიძეს (იოანე – ჯ.გ.), მაჭავარიანს და ბესარიონ ხელაიას, ამიტომ გთხოვთ აღნიშნული პირნი დამიხასიათოთ ზნეობრივის მხრით თითო მათგანი კერძოდ და დაწვრილებით გამაცნოთ მათი მოღვაწეობა“. ეპისკოპოსმა არსენმა (იზოტოვი) ჟანდარმს უპასუხა: „8) რაც შეეხება მღვდლებს – ჩხენკელსა და მაჭავარიანს, არაფერს ცუდ საქმეში შემჩნეული არა მყოლიან და არც მათს მიმართულებაში შეიმჩნევა სამარცხვინო რამ, რაც შეეხება მღვდელს ბესარიონ ხელაიას, აკადემიაში შესვლამდის ცუდი არ შემიმჩნევია და რაც შეეხება მის მიმართულებას, ეს ხომ უკვე ზემონათქვამიდან მის შესახებ ნათლად სჩანს“. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი დაზუსტებულ და უფრო კონკრეტულ შეკითხვას უსვამს სოხუმის ეპისკოპოსს: „11) სცნობთ თუ არა, რომ მღვდელნი მაჭავარიანი, ჩხენკელი, კერესელიძე და ხელაია მავნებელნი და საშიშნი არიან რუსეთის იმპერიის ინტერესებისთვის?“ ეპისკოპოს არსენის პასუხიც არაორაზროვანია: „11) თუ რომ მღვდლები მაჭავარიანი, კერესელიძე და ხელაია მოქმედებენ აფხაზეთ-სამურზაყანოს გასაქართველებლად, მაშინ, რასაკვირველია, მავნეთ უნდა ჩაითვალოს მათი მოღვაწეობა, რადგანაც ამით ისინი წინააღმდეგებიან რუსეთის იმპერიის მიზანსა და მისწრაფებებს.“⁸⁵

83. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.446.

84. იქვე, გვ. 208.

85. ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.595-598; წმ.აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.144-150; დინარა დარსალია. „აქ საქართველოა.“ წმ. ამბროსი აღმსარებლის მოღვაწეობა აფხაზეთში. –

მიმონერაში მოხსენიებული მაჭავარიანი არის სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დავით მაჭავარიანი – იმპერიის უერთგულესი მსახური, რომელმაც ეპისკოპოსების ალექსანდრესა (ოქროპირიძე) და გაბრიელის (ქიქოძე), აგრეთვე უხეში იმპერიული პოლიტიკის ზეგავლენით სიცოცხლის ბოლო წლებში მეტამორფოზა განიცადა და „ქართული პარტიის“ წევრადაც მოვევლინა საზოგადოებას. იოანე კერესელიძე აფხაზეთში 1872-1898 წლებში მოღვაწეობდა. იყო დრანდისა (1872-1878წწ.) და ლიხნის (1878-1883წწ.) სამრევლოების მღვდელი, 1883 წლის 10 ნოემბრიდან ოჩამჩირის აღდგომის ეკლესიის მღვდელი და ოჩამჩირის III საბლალოჩინო ოლქის ბლალოჩინია, იმავდროულად 1892 წლის 15 ოქტომბერს სოხუმის ეპარქიის მისიონერად დაინიშნა. აფხაზეთის „ქართული პარტიის“ წევრობისთვის 1898წ. აგვისტოში ქუთაისში გადაიყვანეს.⁸⁶ სამურზაყანოს ბლალოჩინ იოანე ჩხენკელისადმი (რომელიც არ ყოფილა „ქართული პარტიის“ წევრი) ჟანდარმთა გადამეტებული ყურადღება შეიძლება აიხსნას იმით, რომ მისი შვილი აკაკი ჩხენკელი, თედო სახოკიასთან ერთად, ამ „პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო.

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისა და სოხუმის ეპისკოპოს არსენის მიმონერიდან ნათლად ჩანს, რომ ბესარიონ ხელაია რუსეთის იმპერიის მიზნებისა და მისწრაფებების მონინააღმდეგედ არის შერაცხული. საეკლესიო და საერო ხელისუფალთაგან მისდამი დამოკიდებულებაც შესაბამისი იყო. ეპისკოპოსმა არსენმა მღვდელი ბესარიონ ხელაია მხოლოდ ერთხელ „დაანიანურა“, როდესაც ქ. სოხუმში მღვდელმთავრის სახლის მშენებლობის კომიტეტის წევრად დანიშნა (1895წ. 17 აპრილი). დაპირისპირება პატრიოტ ქართველ მღვდელსა და შოვინისტ რუს მღვდელმთავარს შორის თანდათანობით მწვავედებოდა. 1895წ. 8 ივლისს ბესარიონ ხელაია, როცა იგი, დ.მაჭავარიანის შვებულებაში ყოფნის გამო, საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოვალეობას დროებით ასრულებდა, სოხუმის ოკრუგის სამღვდელთაგანის ყრილობას თავმჯდომარეობდა. მაშინაც მიიღო შენიშვნა ეპ. არსენისგან ყრილობის ოქმების შედგენისას გამოჩენილი „დაუდევრობისთვის“.⁸⁷

1896 წლის 26 თებერვალს სკოლების მართვის შესახებ უმაღლესად დამტკიცებული ახალი დებულების საფუძველზე სოხუმის ეპარქიაში იმავე წლის აგვისტო-ოქტომბერში განხორციელდა საეპარქიო საეკლესიო საძმოსა და მასში შემავალი საეპარქიო სასწავლო საბჭოს შემადგენლობის გადახალისება. დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა შეინარჩუნა თავმჯდომარის თანამდებობა. საბჭოს მუდმივი წევრები კვლავ გახდნენ პ. ქორქაშვილი, ვ. იასტრეხოვი, ბ.ხელაია, ა.ივანოვი, გ.გოლუბცოვი, ა.ტროიციკი; მათ დაემატათ ახალი წევრები – ვ.კოტლიაროვი (სოხუმის პოლიცემისტერი), პ.ბარსკი (სოხუმის ოკრუგის ექიმი), ს.კლდიაშვილი (სოხუმის არქიტექტორი) და დ.აჯამოვი (სოხუმის მთიელთა სკოლის ზედამხედველი). საბჭოს საპატიო წევრები გახდნენ გადამდგარი გენერალი გ. შარვაშიძე, სოხუმის ოკრუგის უფროსი პოლკ. ვ. ბრაკერი და მომრიგებელი მოსამართლე მ. რაძევიჩი.⁸⁸ სულ მალე – 1897წ. 23 იანვარს ბესარიონ ხელაია განთავისუფლდა საბჭოს საქმისმწარმოებლის მოვალეობისგან და ეს ფუნქცია სერპუხოვიდან ჩამოყვანილ გიორგი გოლუბცოვს დაეკისრა, რომელიც სოხუმის საკათედრო ტაძარში 1895წ. 16 ივნისიდან 1919წ. 9 ოქტომბრამდე მსახურობდა ჯერ მღვდლად, 1898წ. 10 იანვრიდან-კანდელაკად (ბესარიონ ხელაიას შემდეგ) და 1905წ. 8 თებერვლიდან-წინამძღვრად (დავით მაჭავარიანის გარდაცვალების შემდეგ). ის იყო

საპატრიარქოს უწყებანი, 2010, №11, გვ.12-14.

86. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.24495, ფ.1-4.

87. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.22-23, 134.

88. საბჭოს ახალი წევრებიდან ყურადღებას იპყრობს ცნობილი ქართველი არქიტექტორის სიმონ კლდიაშვილის პიროვნება, რომელიც 1896-1899 წლებში სოხუმის არქიტექტორად, შემდგომში კი თბილისში მსახურობდა (ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის არქიტექტორია). დანარჩენი წევრების შესახებ იხ.:წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.135, 381-382.

ეპისკოპოს არსენის მარჯვენა ხელი, მისი ნდობით აღჭურვილი პირი, ამიტომ მოხდა „ქართული პარტიის“ აქტიური წევრის ბესარიონ ხელაიასა და სიცოცხლის ბოლო წლებში ეროვნულ პოზიციაზე გადმოსული დავით მაჭავარიანის თანდათანობითი ჩანაცვლება შოვინისტი გიორგი გოლუბცოვით.

ეპ. არსენსა და ბესარიონ ხელაიას შორის არსებული დაპირისპირების შემდგომ გამწვავებას ხელი შეუწყო აფხაზეთის სამღვდელთა ნარმომადგენელთა 1897წ. 16 მარტის მიმართვამ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი, რომელსაც ხელს აწერდა 40 ქართველი მღვდელი. ხელმომწერთა შორის იყვნენ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი პორფირ ხელაია (ბესარიონის ძმა), მოქვის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მღვდელი იესე ჟორდანიას (თედო ჟორდანიას ძმა), რეჩხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი იესე შელია, I ოტობაიის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მღვდელი სპირიდონ რურუა, ქლოუს ამაღლების ეკლესიის მღვდელი ვასილ მაქაცარია, ოთხარის წმ. ეკატერინეს ეკლესიის მღვდელი იოანე წიწნავაძე, ბარმიშის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი აბააკუმ თოფურიძე და სხვები. ისინი შეშფოთებას გამოთქვამდნენ ბოლო პერიოდში აფხაზეთა შორის ქრისტიანობის შესუსტებისა და მაჰმადიანობის მომძლავრების გამო, რაშიც სოხუმის ოკრუგის სასულიერო მთავრობას აღნაშაულებდნენ. აფხაზეთის სამღვდელთა მოითხოვდა, საჩქაროდ „დაინიშნოს მკაცრი გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ რა არის რეგიონში ქრისტიანობის დაცემის მიზეზი.“⁸⁹ ქართული სამღვდელთა ამ მიმართვას საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი რეალური შედეგები არ მოჰყოლია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების მიერ 1899წ. 1 იანვარს სოხუმის ეპარქიაში მაჰმადიანთა შორის სამუშაოდ სპეციალური მისიონერის, ინგილოელი ტარას ივანიცკის მივლინებას),⁹⁰ თუმცა აღნიშნულ საკითხზე მიმონერა სოხუმის ეპისკოპოს არსენსა (იზოტოვი) და სინოდალურ კანტორას შორის თითქმის სამი წელიწადი მიმდინარეობდა. ეპ. არსენი აღიარებდა აფხაზეთა შორის ქრისტიანობის დაცემისა და ცრუმოლოების მომრავლების ფაქტს, რასაც არა საკუთარ შოვინისტურ პოლიტიკას, არამედ მომჩივანი მღვდლების უუნარობას აბრალებდა.⁹¹ შესაბამისად, კიდევ უფრო გაძლიერდა ქართველი სასულიერო პირების დევნა; არაერთმა ქართველმა მღვდელმა იძულებით დაწერილ ახსნა-განმარტებაში უარყო ბრალდებები ეპარქიის ხელმძღვანელის მიმართ, მაგრამ ბევრმა ნებისყოფა გამოიჩინა და მყარად დარჩა თავის პოზიციაზე.⁹²

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი სოხუმის ეპარქიის ქართული სამღვდელთა მიმართვის უკან აფხაზეთის „ქართული პარტია“, პირადად ბესარიონ ხელაია იდგა. რუსი მღვდელმთავრების უგუნური პოლიტიკის გამო აფხაზეთა გამაჰმადიანებაზე მამა ბესარიონი ყურადღებას ამახვილებდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (1896 წლის 21 დეკემბერი) აფხაზეთის მისიონერად ევტიხი მამინაიშვილის დანიშვნასთან და სოხუმის ოკრუგში მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, აგრეთვე შემდგომი წლების პუბლიცისტურ ნერილებში თუ გამოსვლებში.⁹³ ნაშრომში „სტატიის გამო „ხმა სოხუმშიდან““ (1906წ.) ის იხსენებს 1897 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი აფხაზეთის სამღვდელთა მიმართვის თაობაზეც, რამაც ეპ. არსენს საფუძველი მისცა გაეძლიერებინა რეპრესიები მომჩივანთა წინააღმდეგ.⁹⁴

შექმნილ ვითარებაში ბესარიონ ხელაიას სოხუმში დარჩენა შეუძლებელი ხდებოდა,

89. სცსსა, ფ.489, აღნ.1, ს.63448, ფ.7-8.

90. ჯ.გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.562.

91. სცსსა, ფ.489, აღნ.1, ს.63448, ფ.3-6, 49-50.

92. იქვე, ფ.9-48.

93. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.136, 188, 455-476, 493-494 და ა.შ.

94. იქვე, გვ.476.

ამიტომაც გადაწყვიტა მან სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელება. როგორც სოხუმელი ბერძენი მღვდელი ავრაამ ივანოვი (საბჭოთა პერიოდში ე.წ. ცოცხალი ეკლესიის ერქიეპისკოპოსი) მოგვიანებით წერდა, ბესარიონ ხელაიას სოხუმიდან წასვლა და ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელება დიდწილად მის წინააღმდეგ დაწყებულმა დევნამ და რეგიონის რუსიფიკაციის ვოსტორგოვისეულმა პოლიტიკამ განაპირობა.⁹⁵ სამსახურებრივ და პოლიტიკურ დევნას ოჯახური ტრაგედიაც დაემატა – დაზუსტებული მონაცემებით, 1893 წლის 25 ოქტომბერს ახალგაზრდა მეუღლე გარდაეცვალა, რომელიც ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოშია დაკრძალული. დღემდე კარგად შემონახულ საფლავის ქვაზე მკაფიოდ იკითხება: „ლოდს ამას ქვეშე განისვენებს მხევალი ღვთისა მღვდლის ბესარიონ ხელაიას მეუღლე კესარია ალექსის ასული მერჭულესი. მიიცვალა 1893 წელს ოქტომბრის 25 დღეს შობითგან 24 წლისა.“ მამა ბესარიონმა მძიმედ განიცადა მეუღლის გარდაცვალება. ამიერიდან, ის როგორც სამსახურებრივი საქმეებით, ისე სამი მცირეწლოვანი შვილის აღზრდით, მათზე ზრუნვით იყო დაკავებული. მიუხედავად ამისა, დიდი ოჯახის (მამისა და ძმის) დახმარებით მოახერხა სწავლის გაგრძელება ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც მისაღები გამოცდების გარეშე ჩაირიცხა. იმ დროისთვის ბესარიონის მამა ზოსიმე, რომელიც 1860 წლის იანვრიდან 1895 წლის ივნისამდე ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლად მსახურობდა, პენსიაზე იყო გასული და იმავე ეკლესიის შტატგარეშე მღვდლად ირიცხებოდა, თანაც 1892 წლის 10 თებერვლიდან სოხუმის ეპარქიის III (ოჩამჩირის) საბლალოჩინო ოლქის სამღვდლოების მოძღვარიც იყო. 1902 წლის 8 ნოემბერს ილორში მან მონათლა 1902 წ. 29 ოქტომბერს დაბადებული შვილიშვილი ზოსიმე პორფირის ძე ხელაია და მალევე (1902-1903 წლების მიჯნაზე) გარდაიცვალა. ზოსიმეს უმცროსი ვაჟიშვილი, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული (1886წ.) პორფირი 1886 წლის 28 სექტემბრიდან მედავითნედ მსახურობდა ილორში (აკურთხა წმ. მღვდელმთავარმა გაბრიელმა), 1890 წლის 15 იანვრიდან – ემქეთში, 1893 წ. 4 იანვრიდან – ბესლახუბაში. 1895 წლის 4 ივნისს ეპ. არსენმა იგი ჯერ დიაკვნად, იმავე წლის 11 ივნისს კი მამის ადგილზე – ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლად აკურთხა.⁹⁶ პორფირი მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი იყო. უფროსი შვილი იოანე 1895 წელს დაიბადა (დაიღუპა 1915 წელს პიატიგორსკში, სადაც ოფიცერთა კურსებზე სწავლობდა), ილია – 1898 წელს, ტყუპები პეტრე (ამბროსის ნათლული) და პავლე – 1899 წელს, თამარა (ამბროსის ნათლული) – 1900 წელს, ზოსიმე – 1902 წელს.⁹⁷ ყაზანის სასულიერო აკადემიაში ბესარიონის სწავლის პერიოდში (1897-1901წწ.) პორფირი (მიუხედავად მრავალშვილიანობისა) და ზოსიმე მზრუნველობას არ აკლებდნენ ძმისშვილებს და შვილიშვილებს.

1897 წლის ნოემბერში ბესარიონ ხელაიამ სოხუმი დატოვა. მანამდე (1897წ. ივლისში) სამსახურებრივი საქმეები საკათედრო ტაძრის წინამძღვარს დავით მაჭავარიანს, სოხუმის სასაფლაოს ბერძენ მღვდელს ავრაამ ივანოვს და საკათედრო ტაძრის მღვდელს გიორგი გოლუბცოვს გადააბარა, ხოლო იმავე წლის 15 ნოემბერს ეპარქიაში დაკავებული ყველა თანამდებობიდან განთავისუფლდა.⁹⁸

ბესარიონ ხელაია როგორც სასულიერო და საზოგადო მოღვაწე სწორედ სოხუმში ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, 1918 წლის 1 სექტემბერს სოხუმის საკათედრო ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში მან თავად ასე შეაფასა აქ გატარებული წლების მნიშვნელობა მის ცხოვრებაში: „სოხუმი ჩემთვის განსაკუთრებით დაუვიწყარია. აქ აღმეხილა მე პირველად გონების თვალი, აქ ვმსახურობდი როგორც მოძღვარი და, კიდევ თქვენ-

95. იქვე, გვ.360.

96. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.40366, ფ.3; ს.41690, ფ5-6; ს.45497; ს.45822, ფ.3-12; ფ.10-11; ს.46190, ფ.11-12; ს.47984, ფ.9-10; ს.48580, ფ.11-12; ს.59631, ფ.6ა და ა.შ.

97. იქვე, ს.63849, ფ.329-330.

98. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.24.

შიც ვხედავ ნაცნობ პირებს, რომელთანაც მქონია სულიერი კეთილი განწყობილება. აქ გავიგე და შევიგნე ჩვენი ეკლესიის მონობაში ყოფნის აუტანლობა, მდგომარეობის სიმწვავე, – ის, რომ მორწმუნე ერი გამეფებული არაქრისტიანული რეჟიმის გამო ჩქარის ნაბიჯით მიექანებოდა გაურწმუნოების გზაზე. აქ გადაგვარება-გარუსების პოლიტიკა უკიდურესად იყო გამეფებული. აქ ჩამესახა პროტესტის გამოცხადების აუცილებლობა. აქიდან – სოხუმიდან იწყება ჩემი ეკლიანი გზით სიარული, აქ იყო დასაბამი ჩემი ტანჯვა-დევნულობა-ვაება-უბედურობისა. მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ სოხუმი იყო აგრეთვე დასაბამი ჩემის ახლანდელი შედარებით ბედნიერებისა, ვინაიდან მე ბედნიერათ მიმაჩნია ჩემი თავი, რომ ვიხილე ის, რასაც ელტვოდნენ ბევრნი მამულისშვილნი, მაგრამ ვერ იხილეს. ე.ი. მაქვს საშვალეა თქვენთან ერთად გავიზიარო ბედნიერება ეკლესიურად და ეროვნულად თავისუფლებაში ყოფნისა“.⁹⁹ სოხუმის საზოგადოება დიდი გულისტკივილით შეხვდა ცნობას საყვარელი მოძღვრის ქალაქიდან წასვლის შესახებ. 1897 წლის 30 ნოემბერს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ კორესპონდენციაში „კეთილ მოძღვრის წასვლა“ იუწყებოდა: „აქაური საკათედრო ტაძრის მღვდელმა მამა ბესარიონ ხელაიამ სოხუმს თავი დაანება და ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა სწავლის გასაგრძელებლად. მამა ბ.ხელაიას მთელის მრევლის განუსაზღვრელი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თავისი მამა-შვილურისა და სათნო ქცევით. ყველას გული დაწყვიტა საყვარელის მოძღვრის მოშორებამ. მამა ბ. ხელაიას ალაგზე, როგორც ნამდვილად გავიგეთ, ეპარქიის მთავრობას გადაუწყვეტია მღვდლად აკურთხოს სოხუმისავე მღვდელი, ამ ორის წლის წინათ ტიფლისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ბ-ნი მიხეილ გვაზავა, აქაური სამრევლო სკოლის მასწავლებელი.“¹⁰⁰ სოხუმის საკათედრო ტაძარში ბესარიონ ხელაიას მიერ გამოთავისუფლებულ ადგილზე 1898 წლის 25 იანვარს მართლაც დაინიშნა მიხეილ გვაზავა, რომელიც აქ სამი ათეული წლის განმავლობაში მსახურობდა. „კეთილი მოძღვარი“ კი მთელი 20 წლით მოაშორეს სოხუმს, თუმცა მშობლიურ აფხაზეთთან კავშირი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არასოდეს გაუწყვეტია.

4. ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტი (1897–1901წწ.)

მღვდელ ბესარიონ ხელაიას ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩარიცხვა არ ყოფილა რიგითი მოვლენა ქართული სამღვდელოების ცხოვრებაში. ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ს.გორგაძე (1876-1929წწ.), რომელიც ბესარიონთან ერთად გახდა ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტი, 1897 წლის 30 დეკემბერს ჟ. „მწყემსში“ გამოქვეყნებულ წერილში (რომელიც მის რედაქტორს დეკანოზ დავით ლამბაშიძეს გამოუგზავნა) ქართულ საზოგადოებას ამცნობდა „ფრიად სასიხარულო“ ამბავს – ბესარიონ ხელაიას უგამოცდოდ ჩარიცხვას სასულიერო აკადემიაში. გადანწყვეტილება ამის შესახებ უწმინდეს სინოდს 1897 წ. ოქტომბერში მიუღია. ბესარიონის ჩარიცხვა აკადემიაში, მანამდე კი ლეონიდე (ოქროპირიძე), კირიონის (საძაგლიშვილი), დავითისა (კაჭახიძე) და დიმიტრის (აბაშიძე) ბერად აღკვეცა, ს.გორგაძის აზრით, ამართლებდა იმ აზრს, რომ ეს უკანასკნელი ათი წელი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში შავი სამღვდელოების განახლების ხანად უნდა ჩაითვალოს“ (ეტიკობა, ბესარიონს აკადემიაში ჩარიცხვისთანავე ჰქონდა გადანწყვეტილი ბერად აღკვეცა). წერილის ავტორი მოუწოდებდა ახალგაზრდა ქვრივ ქართველ მღვდლებს მიბაძონ მამა ბესარიონის მაგალითს და მიიღონ უმაღლესი სასულიერო განათლება „სამ-

99. იქვე, გვ.203-204.

100. იქვე, გვ.139.

შობლო ეკლესიის სამსახუროდ“.¹⁰¹ ბესარიონმა სულ მალე მიიპყრო აკადემიის ხელმძღვანელობის, პროფესურისა და სტუდენტების ყურადღება. დიდი რეზონანსი და ინტერესი გამოიწვია მის მიერ 1898 წლის 14 იანვარს – წმინდა ნინოს ხსენების დღეს – ყაზანის სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარებამ (იმავე აკადემიის III კურსის სტუდენტის, იმჟამად მთავარდიაკონ დავით კაჭახიძის თანამსახურებით). აღნიშნული ფაქტი მთელს იმპერიაში გახდა ცნობილი. ამის თაობაზე უწმინდესი სინოდის ორგანომ „პრიბავლენიე კ ცერკოვნიმ ვედომოსტიამ“ 1898 წლის 31 იანვარს (№5) ვრცელი ინფორმაცია გამოაქვეყნა (აქვე, დოკ. №10), რომელიც მცირე შემოკლებებით იმპერიის ოფიციალურმა სამთავრობო გაზეთმაც გადმობეჭდა.¹⁰² რუსულ ცენტრალურ პრესაზე დაყრდნობით, გაზეთმა „ივერიამ“ 1898წ. 12 თებერვალს თავის მკითხველებს აუწყა: „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“ სწერს, რომ 14 იანვარს, ნონობა დღეს, ყაზანის სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ქართულად იქმნა გარდახდილი წირვაო. სწირა I კურსის სტუდენტმა მღვდელმა ბესარიონ ხელაიამ III კურსის მთავარდიაკვნის დავითის (ერობაში ექვთიმე კაჭახიძე) თანამსახურებით. წირვაზედ გალობდნენ თბილისის სემინარიის მოსწავლედ ნამყოფი ქართველი და რუსი სტუდენტები და რამდენიმე საგალობელი ქართულის კილოთი იგალობეს. ამ ამბისა გამო „ცერკოვნიე ვედომოსტი“ აღნიშნავს განსხვავებასა და ღირსებას ქართულად წაკითხულის სახარებისას, სამოციქულოსას და ნათქვამ ასამაღლებლებისას და ქვერექსებისას. წირვას დაესწრნენ ზოგიერთი პროფესორები, აუარებელი სტუდენტობა და მათი ყოვლადუსამღვდელოესობა აკადემიის რექტორი“.

1899 წლის იანვრიდან ბესარიონ ხელაიას უწმ. სინოდის სტიპენდიაც დაენიშნა. ამის თაობაზე გაზეთი „ივერია“ იმავე წლის 20 ივნისს წერდა: „ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტს მღვდელს ბესარიონ ხელაიას უწმინდესი სინოდისაგან ამა მდგომარე 1899წ. 1 იანვრიდან დაენიშნა სტიპენდია იმ პირობით, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ მღვდელმა ხელაიამ უნდა იმსახუროს თავის სამშობლოში სასულიერო-სასწავლო უწყებაში, ვალდებული იქნება სამსახურში იმდენი წელიწადნახევარი დაჰყოს, რამდენ წელიწადსაც სტიპენდია ექმნება. წელს ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა ორმა ქართველმა: მღვდელმონაზონმა დავითმა (კაჭახიძე) და იპოლიტე ვართაგავამ. ორივემ ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრეს კურსი. იმჟამად ყაზანში სულ ოთხი ქართველი სტუდენტი დარჩა: სამი – სასულიერო აკადემიაში და ერთიც საბიეთალო ინსტიტუტში“. მამა ბესარიონთან ერთად აკადემიაში სწავლას აგრძელებდნენ ს.გორგაძე და ო.გამბარდია, საბიეთალო (ზოოვეტერინარული) ინსტიტუტში კი მ.მირიანაშვილი სწავლობდა.

სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი ბესარიონ ხელაია, როგორც ნიჭიერი დამწყები მეცნიერი და პუბლიცისტი, პირველად წარსდგა ფართო საზოგადოების წინაშე, როდესაც გაზეთში „ჩერნომორსკი ვესტნიკ“ 1899წ. 6 მაისს „სამურზაკანეც“-ის ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი „გოლოს სამურზაკანცა“. ამ წერილს თავისი წინაისტორია აქვს. 1899წ. 22 თებერვალს (6 მარტს) გაზეთმა „ს.პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ გამოაქვეყნა ანონიმური კორესპონდენცია „სუხუმ“. ჩვენი ვერსიით, ისიც ბესარიონ ხელაიას (ან თედო სახოკიას) კალამს უნდა ეკუთვნოდეს. კორესპონდენციის ავტორი რუსულ საზოგადოებას აუწყებდა სოხუმის ეპარქიაში გამეფებული განუკითხაობის, ეპისკოპოს არსენის ალვირახსნილი შოვინისტური პოლიტიკის შესახებ. მისი უშუალო განკარგულებით ეპარქიაში აიკრძალა მოციქულთა სწორის წმ. ნინოს ხსენების დღის (14 იანვარი) აღნიშვნა; 1897 წლიდან სამურზაკანო-აფხაზეთში ღვთისმსახურება მხოლოდ ძველრუსულ ენაზე აღესრულებოდა; ეპ. არსენი

101. იქვე, გვ.140-141.

102. Правительственный Вестник, 1898, 5 (17) февраля, №25.

არად აგდებდა უწმინდესი სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებას სოხუმის ეპარქიის ქართულ (მეგრულ) სამრევლოებში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარების (ხოლო აფხაზურში – რუსულად, მაგრამ ცალკეული ლოცვების აფხაზურ ენაზე შესრულებით) შესახებ. მიუხედავად ბრძანებულებისა, არსენმა მხოლოდ მერხეულში, აბჟაყვასა და ფახულანში აღადგინა ქართული ღვთისმსახურება. დანარჩენი სამრევლოები, მათ შორის მთელი სამურზაყანოსი, არაქართულ სამრევლოებად გამოაცხადა და მათ მიმართ ძალაში დატოვა 1897 წლის საკუთარი განკარგულება. სტატიის ავტორი იშველიებს სტატისტიკურ მონაცემებს, რომელთა თანახმად, სოხუმის ოკრუგის მოსახლეობა 106719 კაცს შეადგენდა, აქედან 60 ათასამდე ქართველი იყო. კორესპონდენციაში გაკეთებულია მცირე ექსკურსი სამურზაყანოს ისტორიაში იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მხარე იყო და არის სამეგრელოს ნაწილი, მისი მოსახლეობის სამეტყველო ენაა მეგრული დიალექტი. სამურზაყანოს 40299 მაცხოვრებელიდან მხოლოდ 800-ს შეუძლია აფხაზურადაც საუბარი, – ნათქვამია კორესპონდენციაში. მასში მოტანილი იყო ქართველთა დისკრიმინაციის კონკრეტული ფაქტები. ადგილობრივი მოსახლეობა, – წერდა კორესპონდენციის ავტორი, – „აპირებს შუამდგომლობას უწმ. სინოდის წინაშე, რომ მან გასცეს განკარგულება, რათა სოხუმის ეპარქიის ეკლესიებში ღვთისმსახურების აღსრულების შესახებ 1898წ. 3 სექტემბრის ზემოაღნიშნული ბრძანებულება სისრულეში იქნეს მოყვანილი.“

„ს.პეტერბურგსკი ვედომოსტი“-ს კორესპონდენციას „სუხუმ“ გამოეხმაურა ცნობილი რენეგატი კონსტანტინე დავითის ძე მაჭავარიანი. გაზეთში „ჩერნომორსკი ვესტნიკ“ 1899 წლის 31 მარტს – 3 აპრილს (№№72-75) გამოქვეყნდა მისი ვრცელი წერილი „აქვთ თუ არა სამურზაყანოელებს უფლება საკუთარ თავს მეგრელები უწოდონ“. ავტორი საოცარ ტენდენციურობას და არაკომპეტენტურობას ამჟღავნებდა აფხაზეთის ისტორიის საკითხებში. წერილის სათაურში დასმულ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გასაცემად და სამურზაყანოელთა აფხაზობის „დასამტკიცებლად“ გაზეთის 3 აპრილის ნომერში (№75) კ.მაჭავარიანს მხოლოდ ის არგუმენტი მოჰყავდა, რომ აფხაზებს და სამურზაყანოელებს ჰქონდათ საერთო 7 თავადური, 7 აზნაურული და 6 გლეხური გვარი (???!!!). ამ შემთხვევაში ის არ იყო ორიგინალური. კ.მაჭავარიანი იმეორებდა თავისი მამის, დეკანოზ დავით მაჭავარიანისა და გენერალ ნ.ბარტოლომეის ავტორობით 1864 წელს გამოქვეყნებული წერილის „ზოგიერთი რამ სამურზაყანოს შესახებ“ („ნეჩტო ო სამურზაკანი“) დასკვნებს სამურზაყანოელთა და აფხაზთა საერთო გვარების შესახებ,¹⁰³ აგრეთვე ა.ვედენსკის მცდარ მოსაზრებებს იმავე საკითხებზე.¹⁰⁴ მათ „არგუმენტებს“ იყენებდნენ ადრე და იყენებენ დღესაც როგორც შოვინისტები,¹⁰⁵ ისე სეპარატისტები.¹⁰⁶

ბესარიონ ხელაიას „გოლოს სამურზაკანცა“ („სამურზაყანოელის ხმა“) სწორედ რენეგატ კ.მაჭავარიანის, მისი წინამორბედებისა და მიმდევრების წინააღმდეგ დაიწერა. უტყუარ ისტორიულ წყაროებზე (პრ.კესარიელი, არქ.ლამბერტი, წარწერები ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ხატებზე) და სამეცნიერო ლიტერატურაზე (ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, ვ.ჩერნიავსკი) დაყრდნობით მასში ნაჩვენებია, რომ სოხუმის ოკრუგი ისტორიულად მდ.ფსირცხამდე მეგრელებით იყო დასახლებული, მაგრამ შემდგომში ისინი იძულებული გახდნენ მდ.ლალიძამდე დაეხიათ. წერილის დასასრულს ავტორი სთხოვს კ.მაჭავარიანს განმარტოს ისტორიულ წყაროთა მონაცემები საკა-

103. Записки Кавказского отделения Императорского Русского Географического общества, кн. IV. Тифлис, 1864, Смесь, с.75.

104. Сборник сведений о кавказских горцах. Вып. VI. Тифлис, 1872, с. 14-16.

105. Л.Воронов. Абхазия _ не Грузия. М., 1907, გვ.27-29.

106. С.Басария. Абхазия. Сухуми, 1923, с.102; Т.Ачугба. О проблемах национального самосознания населения юговосточной Абхазии. Сухуми, 2006, с.43-44.

მათო საკითხთან დაკავშირებით.¹⁰⁷

საპასუხო წერილში „პასუხი სამურზაყანოელს“ (ჩერნომორსკი ვესტნიკი, 1899, 8-9 მაისი, №№102-103) კ.მაჭავარიანმა ეჭვსქვეშ დააყენა პრ.კესარიელისა და არქ. ლამბერტის ცნობების სანდოობა და ბედიელ გლეხთან, ვინმე ურუს-გუასთან „დიალოგის“ საფუძველზე კვლავ იმეორებდა, სამურზაყანოელები აფხაზები არიანო. ის უარყოფდა მტკიცებას, რომ სამეგრელოს საზღვარი მდ. ფსირცხასთან გადიოდა, ამასთანავე საქართველოს ისტორიის საკითხებში სრულ უმეცრებას ავლენდა.

ამბროსი ხელაიამ საკადრისი პასუხი გასცა კ.მაჭავარიანს წერილში „პასუხი ბ-ნ მაჭავარიანს“ (ჩერნომორსკი ვესტნიკი, 1899, 17, 18, 19 ივნისი, №№133-135).¹⁰⁸ ვინაიდან ოპონენტმა არ მოიტანა და ვერც მოიტანდა კონკრეტულ ისტორიულ მასალას საკუთარი ვერსიის დასამტკიცებლად, ვინაიდან „კვლევის“ მაჭავარიანისეულ მეთოდს (ისტორიული წყაროების ნაცვლად „ზღაპრების“ გამოყენება) არაფერი ჰქონდა საერთო მეცნიერებასთან, ბესარიონ ხელაიამ აღნიშნული წერილით დაასრულა დისკუსია კ.მაჭავარიანთან, რომელიც ხელისუფალთა დაკვეთას ასრულებდა. მისი ნამდვილი სახე კიდევ უფრო აშკარად გამოჩნდა მორიგ წერილში „ბოლო სიტყვა სამურზაყანოელს“ (ჩერნომორსკი ვესტნიკი, 1899, 20 ივნისი, №136; 23 ივნისი, №138). კ.მაჭავარიანი ამტკიცებდა, რომ აფხაზეთი და სამურზაყანო არ წარმოადგენდა სამეგრელოს, შესაბამისად, საქართველოს ორგანულ ნაწილს. ის არც რუს არქეოლოგ ვ. სიზოვს ეთანხმებოდა, რომელმაც სოხუმის მიდამოებში XIXს. 80–იან წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ მის მიერ აღმოჩენილი კულტურის ნაშთები „უმთავრესად ქართული კულტურის ნიშნებს ატარებენ.“ სამაგიეროდ წერილის დასკვნით ნაწილში შეეცადა მეგრული და აფხაზური სახელების შედარების საფუძველზე სამურზაყანოელები კვლავ აფხაზებად გამოეცხადებინა. ბესარიონ ხელაიას ერთ-ერთ არგუმენტს, რომ აფხაზეთში არსებული ქართული ეპიგრაფიკა ამ ტერიტორიის სამეგრელოსადმი კუთვნილებაზე მიუთითებდა, კ.მაჭავარიანმა ასეთი „სიბრძნე“ დაუპირისპირა: „თქვენ ნახავთ უამრავ ქართულ წარწერას სვანეთშიც, ართვინის ოლქშიც, მაგრამ ეს არ გაძლევთ უფლებას თქვათ, რომ სვანები და ართვინელები ასევე მეგრელები არიან.“ ასეთი იყო „ლოგიკა“ გადაგვარებული ქართველისა, რომელიც აფხაზეთში რუსულ საქმეს ემსახურებოდა, რომელიც მთლიანად დაცლილი იყო ზოგადქართული ცნობიერებისაგან.

დისკუსია ბესარიონ ხელაიასა და კ.მაჭავარიანს შორის ეს იყო პირველი ღია დისკუსია აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე. მაშინ გამოიკვეთა ცალკეული პრობლემები (ადმინისტრაციული საზღვარი აფშილებსა და მეგრელებს შორის, სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, სამურზაყანოელთა ეთნიკური კუთვნილება და ა.შ.), რომლებიც დღემდე ინვევენ აზრთა სხვადასხვაობას ქართველ და აფხაზ ისტორიკოსებს შორის. კ.მაჭავარიანის ძირითადი „არგუმენტები“ კვლავაც ცოცხლობენ სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაში, რომლის ერთ-ერთი მესაძირკვე, ლ.ვორონოვთან, ნ.მართან ერთად, თავადაც იყო. ამიტომ 1899 წელს ბესარიონ ხელაიასა (სამურზაკანეც) და კონსტანტინე მაჭავარიანს შორის აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე გამართული დისკუსიის მასალები დღემდე ინარჩუნებენ ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას. ამ დისკუსიაში პირველი გამოხატავდა მეცნიერულ თვალსაზრისს, მეორე – პოლიტიკურ-იმპერიულ შეხედულებას, რომელიც სულ მალე სეპარატისტული ისტორიოგრაფიისა და ანტიქართული იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი გახდა. დისკუსიის მასალები იმაზეც მიუთითებენ, რომ ყაზანის სასულიერო აკადემიაში ბესარიონ ხელაია პირველწყაროებზე დაყრდნობით ეუფლებოდა საქართველოს ისტორიას, ღრმად სწავლობდა აფხაზეთის პრობლემატიკას, აკვირდებოდა

107. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.422-424.

108. იქვე, გვ.425-439.

სამშობლოში მიმდინარე საზოგადოებრივ მოვლენებს. იმავე აკადემიის სტუდენტი, შემდგომში ცნობილი ლიტერატურათმცოდნე იპოლიტე ვართაგავა (1872-1967წწ.), მიიჩნევდა რა ამბროსი ხელაიას უსათუოდ ნიჭიერ, განვითარებულ, უაღრესად პატიოსან, კეთილ, სათნოიან და ერთგულ ადამიანად, მის შესახებ წერდა: „აღმოჩნდა, რომ არამც თუ ჩვენზე ნაკლებ, უმეტესად ყოფილა ქართული ეროვნული საკითხებით დაინტერესებული, ისიც გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა სამშობლოში წარმოებულ ლიტერატურულ-კულტურული ბრძოლის მსვლელობას, ჩვენი ისტორიის პირველწყაროებზე მუშაობდა და დაემზადებინა რამდენიმე ისტორიული თუ სხვა ხასიათის ნარკვევი.

რუსი სტუდენტებიც მალე დარწმუნდნენ, რომ ბესარიონი ზერეკვერედ ნასწავლი ხუცესი კი არ იყო, არამედ დიდად მომზადებული და განვითარებული პიროვნება: ორ სასემესტრო თხზულებებში ბესარიონმა სასტიკ პროფესორთა უაღრესად საპატიო დაფასება მიიღო. ჩემსა და სერგი გორგაძეს შორის გაცხარებული კამათი კვლავინდებურად გრძელდებოდა. ჩვენდა სასიხარულოდ ასეთ კამათს მესამე მონაწილე პირიც გაუჩნდა – ბესარიონი, ვინც პრინციპულად იზიარებდა „ივერიის“ პოზიციას, მაგრამ ჩემსა და სერგის უკიდურესობამდის დაყვანილ კამათს თავის ობიექტურობით, დარბაისლობითა და გულწრფელობით ანელებდა. თითქმის ყოველდღე გაზეთების მიღების შემდეგ მე და სერგი შევდიოდით ბესარიონის პატარა სამყოფელში (მას მისცეს ცალკე ოთახი), ვკითხულობდით გაზეთებს და ვმსჯელობდით. ბესარიონის აზრს ჩვენ დიდად ვაფასებდით და ამისათვის ხანდახან ზოგიერთ საკითხებში შეთანხმებასაც ვაღწევდით.“¹⁰⁹

1900 წლის 11 თებერვალს III კურსის სტუდენტი ბესარიონ ხელაია ბერად აღიკვეცა ამბროსის სახელით. ბერად აღკვეცის წესი აკადემიის ეკლესიაში საზეიმო ვითარებაში აღასრულა აკადემიის რექტორმა ეპისკოპოსმა ანტონმა. დეტალური ინფორმაცია ამის თაობაზე და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მღვდელმონაზონ ამბროსის შესახებ „დუხოვნი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეგზარხატა“-ს დამატებაში (1900, №6, 15 მარტი) გამოაქვეყნა ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა ო.გამზარდიამ.¹¹⁰ შეიტყო თუ არა ამბროსი ხელაიას ბერად აღკვეცის თაობაზე, 1900 წლის 21 მარტს სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა, რომელიც ამბროსის მტკიცებით, ჟანდარმთა პოლიციის მოქმედი აგენტი იყო, კონფიდენციალური წერილი გაუგზავნა ყაზანის სასულიერო აკადემიის რექტორს და აცნობა, რომ „აკადემიის სტუდენტს, სოხუმის ეპარქიის მკვიდრს“ მღვდელმონაზონ ამბროსის „ურთიერთობა ჰქონდა ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებთან, რომლებიც ენეოდნენ აგიტაციას ყოველივე რუსულის წინააღმდეგ.“ არსენი სთხოვდა აკადემიის რექტორს, საიდუმლოდ შეენახა ამ წერილის შინაარსი, „რადგანაც ჟანდარმთა პოლიცია ამ შემთხვევაში მოქმედებს ფარულად.“¹¹¹ ამრიგად, მამა ამბროსი ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდშიც, როგორც ჩანს, ჟანდარმერიის ფარული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ეპ. არსენიც და ჟანდარმებიც თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, ისინი ხვდებოდნენ, მაგრამ ზუსტად არ იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე. როგორც გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ (პარიზი) 1927წ. აპრილში (№16) წერდა, ამბროსი ხელაიას „ახლო მეგობრებმა კარგად იცოდნენ, მაგალითად, რომ როცა ის შეეკვეცა (ბერად აღიკვეცა – ჯ.გ.), მას, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური მიზანი ჰქონდა დასახული, ქართველი ერის განთავისუფლება, საქართველოს დამოუკიდებლობა“ (აქვე, დოკ. №80).

მღვდელმონაზონი ამბროსი 1900 წლიდანვე შეუდგა საკანდიდატო დისერტაციის მუშაობას თემაზე: „ქრისტიანობის ბრძოლა მაჰმადიანობასთან საქართველოში“.

109. კათალიკოსი ამბროსი (ხელაია), გვ.7-8.

110. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.142-144.

111. იქვე, გვ.453.

ეტყობა, მანამდე ის თბილისში ჩამოვიდა, იმუშავა სხვადასხვა წიგნთსაცავებში, მოაგროვა გარკვეული მასალა, დაამყარა კონტაქტები ეპისკოპოს კირიონთან (რომელსაც უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული სოლიდური ნაშრომი ანალოგიურ თემაზე),¹¹² მამა პოლიევქტოს კარბელაშვილთან (თბილისის სასულიერო სემინარიაში ბესარიონ ხელაიას სწავლის პერიოდში საეკლესიო გალობას ასწავლიდა) და სხვებთან. 1900 წ. 12 თებერვალს ყაზანიდან პ.კარბელაშვილისადმი გამოგზავნილ წერილში მღვდელმონაზონი ამბროსი წერდა: „მამაო პოლიევქტო! თქვენგან მოცემული პირობა მბებედვინებს შეგანუხოთ და გთხოვოთ, მომცეთ ცნობა იმ ხელნაწერზე, რომელსაც ვეძებდით. იმედია, შეიტყობთ არის თუ არა სადმე იოანე გრძელიძის „დარღვევა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა“ და ან კიდევ სხვა რამე თუ შეგხვდესთ მაჰმადიანობის შესახებ, არ დაიზარებთ, შემატყობინოთ. თქვენი ერთგული მღვდელმონაზონი ამბროსი (უკვე ბერად აღვიკვეცე)“.¹¹³ უფრო ვრცელი და საინტერესოა მამა ამბროსის მიერ 1900 წ. 30 ივლისს ყაზანიდან ეპისკოპოს კირიონის სახელზე გამოგზავნილი წერილი, რომელიც მოგვყავს მთლიანად: „თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ! დიდად მადლობელი ვარ ხსოვნისათვის და აგრეთვე იმ მზრუნველობისათვის, რომელმაც გამოიწვია თქვენგან წერილის მოწერა. ის ხელთნაწერები, რომლებზედაც თქვენ ინებეთ მოწერა, მე გადავათვალე. აბუკურას თხზულებები, როგორც არაორიგინალურები ქართულ ლიტერატურაში, ჩემთვის იმდენათ საინტერესო არ არიან. მართალია, აბუკურას რუსულ თარგმანს (ამ რამდენიმე წლის წინათ გადმოითარგმნა) და ჩვენი ხელთნაწერების აბუკურას შვა არის განსხვავება; მაგალითად, ქართულში ზოგი ისეთი თავებიც არიან, რომელნიც რუსულ თარგმანში არ მოიპოვებინ, მაგრამ ეს, ჩემის აზრით, იმისგან უნდა იყოს წარმომდგარი, რომ აბუკურას სახელის ზედ წარწერით იოანე დამასკელის ზოგიერთი თხზულებაც არის ცნობილი. ამის მიზეზი ის იყო, რომ თეოდორე ხარანელი სარკინოზთა სანიხალმდებოდ სარგებლობდა ზოგიერთი დამასკელის თხზულებებით და თავის სახელს აწერდა. თქვენს წიგნაკში „Назревший вопрос“-ში მოხსენიებულია ქართულად ყურანის თარგმნა. საინტერესოა ვიცოდეთ, არის თუ არა სადმე ქართულ ენაზე ყურანი და თუ არ არის, თქვენი ცნობა ამ წიგნის თარგმანის შესახებ სადმე მოხსენიებულია თუ არა? ამის გარდა წერა-კითხვის წიგნთსაცავში ფარსადან გორგიჯანისაგან ნათარგმნი „მუსულმანთა სჯულის წიგნი“ შენახული 174 №-თა. ამ წიგნს აქვს არაბული წარწერა. შეიძლება თქვენ გადათარგმნილი გქონდეთ ის არაბული წარწერა. თუ ეს ცნობები გაქვთ, დიდი მადლობელი ვიქნები, თუ კი შეიძლებას მომცემთ, გავიგო ამის თაობაზე რამე.

ჯერჯერობით მე წერა არ დამიწყია. ამის მიზეზი ის იყო, რომ აქ ჩამოსვლისთანავე ციება დამაწყებია და ვერ ვგრძნობდი თავს კარგად.

ამ დღეებში ერთი ქართველი სტუდენტი – კანდელაკი მოგვაკლდა. ერთადერთი იყო აქაურ უნივერსიტეტში და ისიც მოგვტაცა სიკვდილმა. განსვენებული დიდი ნიჭის პატრონი იყო და მეცნიერებაში სახელს მოიხვეჭდა, რადგანაც ახალი, აქამდის მეცნიერებაში არცნობილი ელემენტი აღმოაჩინა ნებოში. ამაზე ცნობაც დაბეჭდილი იყო უნივერსიტეტის გამოცემაში. პროფესორიც, ვისთანაც ის მუშაობდა, დიდად აქებს იმის ნიჭს. გამზარდია დიდ მადლობას გწირავთ შუამდგომლობა და მოხმარებისათვის. იმედია, თუ რამე ახალი აღმოჩნდება ქართულ სამისიონერო ლიტერატურის შესახებ, ინებებთ გამიზიაროთ.

თქვენი მორჩილი და ერთგული მღ. მონაზ. ამბროსი.
1900 წ. 30 ივლისი. ქ. ყაზანი“.¹¹⁴

როგორც შესავალშია ნაჩვენები, წერილის ადრესატი არის ეპ. კირიონი, რომლის 112. Е.К. Двенадцативековая религиозная борьба православной Грузии с исламом. Тб., 1899.

113. გ.საითიძე. წამებული მშობელი ქვეყნისა და ეკლესიისათვის. – ისტორიანი. თბ., 2000, გვ. 92. წერილი მოხსენიებული იოანე გრძელიძე ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე XI ს. სასულიერო პირია (იქვე).

114. გ. საითიძე. წამებული მშობელი ქვეყნისა და ეკლესიისათვის, გვ. 92; სცსსა, ფ. 1461, აღწ. 1 ს.279, ფ.1-2ა.

შრომები საკმაოდ ფართოდ არის გამოყენებული მღვდელმონაზონ ამბროსის საკანდიდატო დისერტაციაში.

1901 წელს ამბროსი ხელაიამ ყაზანის სასულიერო აკადემია 1901 წ. 1 ივნისს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მინიჭებით დაამთავრა. 1901 წლის 19 მაისს აკადემიის რექტორის ეპისკოპოს ალექსის¹¹⁵ ხელმოწერით გაცემულ მოწმობაში ვკითხულობთ: „წარმომდგენმა ამისა, მღვდელმონაზონმა ამბროსიმ (ხელაია), მიმდინარე სასწავლო წელს სავსებით დამაკმაყოფილებლად დაამთავრა აკადემიის სრული კურსი და საკურსო თხზულებისთვის თემაზე „ქრისტიანობის ბრძოლა მაჰმადიანობასთან საქართველოში,“ რეცენზენტის შეფასებით, მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი იმ სურვილით, რომ ავტორმა გადაამუშავოს თავისი თხზულების ცალკეული თავები და წარმოადგინოს ნაშრომი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. ამაზე მიეცა მას, მამა ამბროსის, ეს მოწმობა იმის დამატებით, რომ მისთვის ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მინიჭებას აკადემიის საბჭო ივნისის პირველ რიცხვებში შესძლებს.“¹¹⁶

1901 წლის 14 ივნისს გაზ. „ივერია“ გამოაქვეყნა ინფორმაცია მღვდელმონაზონ ამბროსისა და სხვა ქართველი სტუდენტების მიერ ყაზანის უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შესახებ: „როგორც ყაზანიდან გვატყობინებენ, წელს ყაზანის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებიათ შემდეგ ქართველებს: მ.მირიანაშვილს – საბეითალო ინსტიტუტში, ს. გორგაძეს და მღვდელმონაზონ ამბროსის (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია) – სასულიერო აკადემიაში. მღვდელმონაზონ ამბროსის დაუნერია ჩინებული საკანდიდატო დისერტაცია: «Борьба христианства с исламом в Грузии». პროფესორს მალოვს უთხოვია დისერტანტისათვის, შეავსოს ზოგიერთი თავი ამ დისერტაციისა და კვლავ წარმოადგინოს იგი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.“ ნაშრომი, რომელიც ხელით ნაწერ 512 გვერდს შეიცავს, იყოფა თავებად და პარაგრაფებად. შესავალში ავტორი მიმოიხილავს ორ საკითხს: „მოკლე ცნობები ქართველი ხალხის ისტორიიდან არაბთა პირველ შემოსევამდე“ (გვ. 1-26) და „მოკლე ცნობები მაჰმადიანობის შესახებ საქართველოზე არაბთა შემოსევამდე“ (გვ. 27-38). დისერტაციის თავები და პარაგრაფები დალაგებულია თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით. პირველი თავი შეიცავს სამ პარაგრაფს: „არაბთა შემოსევები და საქართველოში მათი ბატონობის პერიოდი“ (გვ. 39-77), „საქართველოს ძლევამოსილების პერიოდი“ (გვ. 78-130) და „მონღოლების, სპარსელებისა და თურქ-ოსმალების ბატონობის პერიოდი“ (გვ. 131-212). მეორე თავში ორი პარაგრაფია: „მაჰმადიანი ხალხების დამოკიდებულება ქართველებისადმი (საქართველოში მაჰმადიანური რელიგიის გასავრცელებლად ამ ხალხების მიერ გატარებული ზომები)“ (გვ. 213-262) და „ქართული საზოგადოების რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობა მაჰმადიანთა ბატონობის პერიოდში“ (გვ. 263-319). ნაშრომის მესამე თავში მხოლოდ ერთი პარაგრაფია: „ქართული სამღვდლოებისა და ბერ-მონაზონთა დამსახურება მშობლიური ეკლესიისა და საზოგადოების წინაშე მაჰმადიანობის წინააღმდეგ მათ ბრძოლაში“ (გვ. 319-392). გარდა ამისა, დისერტაციაში გაშუქებულია საკითხები: „ანტიმაჰმადიანური ქართული ლიტერატურა“ (გვ. 393-494) და „თარგმნილი ანტიმაჰმადიანური თხზულებები“ (გვ. 495-512).¹¹⁷ ავტორი აკეთებს ზოგად დასკვნას, რომ ქართველი ხალხისა და სამღვდლოების მოღვაწეობა მართლმადიდებელი ქრისტიანობის დასაცავად იყო მეტად ნაყოფიერი, რის შედეგადაც ქართული ეკლესია ურყევად დარჩა მართლმადიდებლობის პოზიციაზე; „მან გამოიარა სახელოვანი ისტორიული ცხოვრების გზა და თავისი ძლევამოსილი მსვლელობა XIX ასწლეულის დასაწყისში საკუთარი ავტოკეფალურობის

115. შემდგომში საქართველოს ეგზარქოსი (1913წ. 4 ოქტომბერი – 1914წ. 20 მაისი) არქიეპისკოპოსი ალექსი II.

116. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 166, ფ. 28.

117. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 1.

განადგურებითა და რუსეთის ეკლესიასთან მიერთებით დაასრულა“.¹¹⁸ მღვდელმონაზონ ამბროსის მიზანს ქართული ეკლესიის ისტორიული დამსახურებისა და, აქედან გამომდინარე, მისი ავტოკეფალურობის გაუქმების („განადგურების“) უსამართლობის წარმოჩენა წარმოადგენდა. ავტორმა მიზანს მიაღწია. ნაშრომი უდავოდ დგას ქართული ისტორიოგრაფიის იმჟამინდელი განვითარების დონეზე და სავსებით იმსახურებს, რომ განხორციელდეს მისი მეცნიერული (შესაბამისი წინასიტყვაობითა და კომენტარებით) გამოცემა. შემდგომ წლებში ავტორი არც თუ ისე იშვიათად იყენებდა დისერტაციაში მოტანილ მასალებს თავის სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნერილებში, მათ შორის „პეტროგრადსკიე ვედომოსტში“ 1917 წლის მაის-სექტემბერში დაბეჭდილ რვა ნაწილისაგან შემდგარი სტატიების სერიაში „ქართული ეკლესიის შესახებ“.¹¹⁹ „ქრისტიანობის ბრძოლა მაჰმადიანობასთან საქართველოში“ არ იყო რიგითი დისერტაცია. სამეცნიეროსთან ერთად, მას გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. წმ. მღვდელმონაზონ კირიონ II 1906 წ. 17 მარტს მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს პეტერბურგიდან წერდა, რომ ეპისკოპოს ლეონიდესთან ერთად 16 მარტს უწმინდეს სინოდში ესწრებოდა სხდომას, რომელზეც რუსეთში გამოცხადებული სინდისის თავისუფლების პირობებში მაჰმადიანთა შორის მისიონერული საქმიანობის მოწყობის საკითხები იხილებოდა. დამსწრეთა შორის ყოფილა ყაზანის სასულიერო აკადემიის პროფესორი მარშანოვი. სხდომაზე, – წერდა კირიონი, – „ჩამოვარდა მაჰმადიანთა წინააღმდეგ ლიტერატურაზე ბაასი. პროფესორმა თქვა (ამისთვის ამ თემაზედ ამბროსი ხელაიას დაუწერია თხზულება აკადემიაში), რომ ამ კითხვის შესახებ ქართულად რამდენიმე თხზულება ყოფილაო, მაგალითად, „აბიკურა“ და სხვაო).¹²⁰ ეს ინფორმაცია პროფ. მარშანოვს, ცხადია, თითქმის 5 წლის წინ ყაზანში დაცული ამბროსი ხელაიას დისერტაციიდან ახსოვდა, რაც თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია და დისერტაციის სამეცნიერო-პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ყაზანის სასულიერო აკადემიიდან მღვდელმონაზონი ამბროსი დაბრუნდა როგორც განსწავლული სასულიერო და ეროვნული მოღვაწე, ნიჭიერი მკვლევარი.

5. საგზოლოში დაბრუნება.

სასულიერო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა (1901წ. ოქტომბერი – 1908 წლის მაისი)

ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ყაზანის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ მღვდელმონაზონი ამბროსი საქართველოში დაბრუნდა. 1901 წლის 15 ოქტომბერს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) იგი თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერში ჩარიცხა (შტატგარეშე), 11 დეკემბერს კი იმავე მონასტრის დროებით მმართველად დანიშნა. იმ დროისთვის პრაქტიკულად გადანაცვლებილი იყო მამა ამბროსის რაჭაში ქელიშის მონასტრის წინამძღვრად გამწესების საკითხი. ჟურნალ „მწყემსის“ 1901 წლის 15-30 ნოემბრის ნომერში (№22) გამოქვეყნებულ დეკანოზ დავით ლამბაშიძის წერილში „ფრიად სასიამოვნო მოვლენა“ საუბარი იყო იმის თაობაზე, რომ მამა ამბროსი ხელაიამ, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა რუსეთში მაღალი თანამდებობები მიეღო, უარი თქვა „სხვა ქვეყანაში სამსახურზე და ამისთანა მცირე ადგილზე აღირჩია სამსახური. პატივი მის მამულის სიყვარულობას! პატივი და დიდება მის გაბედულობას. ჭემმარიტად მკვნესარი გული იხარებს და დაკარგული იმედი გიბრუნდება მომავალზე... ჭემმარიტად შესანიშნავი და სასიხარულო მოვლენა“.

118. იქვე, გვ. 512.

119. აქვე, ნაწილი II.

120. მნიგნობრობა ქართული. სასულიერო მწერლობა. კირიონ II. შემდგენელ-რედაქტორი მ. ქავთარია. თბ., გვ. 502.

ნაა ჩვენს საზოგადოებაში მამა ამბროსის მიერ (ხელაიას) ასე მცირე ადგილზე სამსახურის აღჩვენა“. როცა დეკანოზი დავით ლამბაშიძე ამ სტრიქონებს წერდა, მამა ამბროსის ქელიშის მონასტრის წინამძღვრად დანიშვნის საკითხი მხოლოდ განხილვის სტადიაში იყო. შუამდგომლობა ამის თაობაზე საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას პირველად 1901 წლის 7 ივლისს წარუდგენია უწმინდესი სინოდის წინაშე, რის შესახებაც ინფორმირებული არ ყოფილა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე). ამ უკანასკნელმა 1901 წლის 2 ნოემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას ქელიშის მონასტრის წინამძღვრის ვაკანტურ თანამდებობაზე (1901 წლის 12 ოქტომბერს გარდაცვლილა მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი დანიელი) ლენჯერის (სვანეთი) ფერისცვალების ეკლესიის ილუმენის კლიმენტის კანდიდატურა წარუდგინა. იმავე წლის 7 ნოემბერს, კანტორამ როდესაც იგი ილუმენ კლიმენტის კანდიდატურას იხილავდა, ეპ. ლეონიდესაგან მიიღო დეპეშა: „ქელიშის მონასტრის წინამძღვრის დანიშვნის თაობაზე მოხსენებისას, გთხოვთ იყოლიოთ მხედველობაში მღვდელმონაზონი ამბროსი. მიენიჭოს მას, როგორც ღვთისმეტყველების კანდიდატს, უპირატესობა ყველას წინაშე.“¹²¹ 1901 წლის 9 ნოემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კანცელარიამ სოხუმის საეპარქიო კანცელარიას სთხოვა სოხუმის საკათედრო ტაძრის ყოფილი მღვდლის მამა ამბროსის ფორმულიარის (ნამსახურობის ნუსხა) წარმოდგენა. იმავე წლის 20 ნოემბერს სოხუმის საეპარქიო კანცელარიის მდივნის ა. ტროიციკის ხელმოწერით კანტორამ მიიღო „სოხუმის საკათედრო ტაძრის ყოფილი მღვდლის ბესარიონ ხელაიას – ამჟამად მღვდელმონაზონ ამბროსის 1896 წლის ფორმულიარი, რომელზეც დამატებულია მონაცემები 1897 წელს მომხდარი სამსახურებრივი ცვლილებების შესახებ.“¹²² სოხუმიდან გამოგზავნილი ნამსახურობის ნუსხა შეიცავს ნაცნობ ინფორმაციას 1897 წლის 23 იანვარს საეპარქიო საძმოსა და სასწავლო საბჭოს საქმისმწარმოებლის თანამდებობიდან, ხოლო იმავე წლის 15 ნოემბერს საეპარქიო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. ამბროსის მტრების მიერ შედგენილ ამ დოკუმენტშიც კი ხაზგასმულია, რომ იგი არის „სამაგალითოდ წესიერი ყოფაქცევის“ ადამიანი. 1901 წლის 31 დეკემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ უწმინდეს სინოდს შემდეგი მოხსენება (№16987) წარუდგინა: თანახმად ეპ. ლეონიდეს დეპეშისა, რომელიც სხვებთან შედარებით უპირატესობას ღვთისმეტყველების კანდიდატს მღვდელმონაზონ ამბროსის ანიჭებდა, „ალიძრას შუამდგომლობა უწმინდესი მართებელი სინოდის წინაშე მღვდელმონაზონ ამბროსის ქელიშის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ არქიმანდრიტის ხარისხში აყვანით.“ უწმინდესმა სინოდმა შუამდგომლობა დააკმაყოფილა. 1902 წლის 5 თებერვალს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ უწმინდესი სინოდის კანცელარიიდან მიიღო შემდეგი ბრძანებულება: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებულებით, უწმინდესმა მართებელმა სინოდმა მოისმინა: საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გასული წლის 31 დეკემბრის №16987 მოხსენება, რომელშიც შუამდგომლობს იმერეთის ეპარქიის ქელიშის მონასტრის წინამძღვრის დანიშვნის შესახებ.

ბრძანა: საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შუამდგომლობის თანახმად, იმერეთის ეპარქიის ქელიშის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობაზე დანიშნოს ღვთისმეტყველების კანდიდატი მღვდელმონაზონი ამბროსი (ხელაია) არქიმანდრიტის ხარისხში აყვანით, რის შესახებაც სათანადო განკარგულებებისთვის ბრძანებულება გაეგზავნოს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას. 1902 წლის 29 იანვარი“.¹²³ უწმინდესი სინოდის ეს ბრძანებულება საქართველო-იმერეთის სინოდ-

121. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.46830, ფ.7-8.

122. იქვე, ფ.6.

123. იქვე, ფ.12.

ალურმა კანტორამ 1902წ. 13 თებერვალს მოისმინა და გადაწყვიტა, ამის შესახებ ეპ. ლეონიდეს აცნობოს. მამა ამბროსის არქიმანდრიტის ხარისხში აყვანა მოხდა 1902წ. 3 მარტს, მონასტრის წინამძღვრის მოვალეობის შესრულებას კი იგი 7 მარტს შეუდგა.

ჭელიშის მონასტერში მოღვაწეობის პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი იყო ამბროსის სასულიერო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1902 წლის 28 აგვისტოს ნომერში (№183) გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „ნიკორ-წმინდა (რაჭა)“ ვკითხულობთ: „ჭელიშის მონასტერში აღმოჩნდა 30-მდე ძველი ხელნაწერი, მათ შორის ტყავზედ ნაწერი ოთხთავი და ტყავზედ ნაწერივე დიალოლონი. ორთავე წიგნი XI საუკუნისაა და აქვთ სხვადასხვა საყურადღებო წარწერები. იქვეა შენახული ვერცხლის ბარძიმი მეფე ნარინ-დავითისა; ჭელიშში ათამდე ბერია და მონასტრის წინამძღვრად ეხლა-ხანს გამწესდა არხიმანდრიტი ამბროსი (მღვდლობაში ხელაია)“. ჭელიშის მონასტერში მამა ამბროსიმ აღმოაჩინა „ქართლის მოქცევის“ ადრე უცნობი ვარიანტი (XIVს.), რომელიც მისივე წყალობით მეცნიერებაში დღემდე ჭელიშური ვარიანტის სახელით არის ცნობილი. არქიმანდრიტმა ამბროსიმ ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა და 1907 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე მოხსენების სახით წარმოადგინა. 1909 წ. იგი გამოქვეყნდა¹²⁴ და გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც პირველად გამოსცა „ქართლის მოქცევის“ ჭელიშური ვარიანტის სრული ტექსტი (შატბერდისეული ვარიანტის ტექსტის პარალელურად), ამბროსი ხელაიას მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს „საფუძვლიანი სტატია“ უწოდა. მისი აზრით, ჭელიშური ვარიანტის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ „მან „მოქცევაი ქართლისაის“ ის ადგილები შემოგვინახა, რომლებიც აკლია შატბერდის კრებულს“.¹²⁵ შემდგომში, „ქართლის მოქცევის“ ორივე ვარიანტი სათანადოდ იქნა შესწავლილი და შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.¹²⁶ თავისი მოსაზრება ამ საკითხზე გამოთქვა ეპისკოპოსმა კირიონმაც. ნაშრომში „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ (თბ., 1910) იგი წერდა, „რომ ქრონიკა „მოქცევაი ქართლისაი“ შატბერდის ენციკლოპედიის შედგენამდე დიდი ხნით ადრეა დაწერილი და ერთ-ერთი უძველესი საეკლესიო-ისტორიული ძეგლია. ეს თვალსაზრისი სავსებით დაამტკიცა არქიმანდრიტ ამბროსის მიერ ამას წინათ გამოქვეყნებულმა ჭელიშის მონასტრის „მოქცევაი ქართლისაის“ ახლად აღმოჩენილმა ნუსხამ, რომელშიაც შემონახულია ბერაის (შატბერდის კრებულის შემდგენელი - ჯ.გ.) IX-X სს. ხელნაწერიდან მკრეხელის ხელით ამოგლეჯილი ცნობები. ამ ძვირფასი ცნობების მიხედვით, საქართველოს მოქცევის ისტორია VI საუკუნეში (სხვა ავტორთა მოსაზრებით, IV-V საუკუნეებში – ჯ.გ.) მთავარ გრიგოლს მის ხელთ არსებული ცნობების საფუძველზე შეუდგენია“.¹²⁷

ამბროსი ხელაიას მეცნიერულ აღმოჩენას მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე ივ. ჯავახიშვილმა. იხილავდა რა „მოქცევაი ქართლისაის მატიანეს“, დიდი მეცნიერი წერდა: „არქ. ამბროსი ხელაიას მიერ აღმოჩენილი ჭელიშისეული ხელთნაწერი, რომელშიაც ეს მატიანე აღმოჩნდა, საშუალებას გვაძლევს ამ ნაწარმოების განხილვა უფრო მკვიდრს ნიდაგზე დავამყაროთ. წინათ ჭელიშისეული ხელთნაწერის შესახებ მხოლოდ არქ. ა. ხელაიას მოკლე მოხსენება მოიპოვებოდა, რომელიც „ძველ საქართველო“-ში

124. არქიმანდრიტი ამბროსი. ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა. – ძველი საქართველო, ტ. I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1909, განყოფილება II, გვ. 1-29.

125. Е. Такайшвили. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, вып. 3. Тифлис, 1908, с. 704-815.

126. ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი. თბ., 1924, გვ. 56-58; კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტურჯის ისტორიიდან, ტ. 1. თბ., 1960, გვ. 56-92; პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული, ტ. 4. თბ., 1978, გვ. 254-255, 319-320, 352-353, 434-442, 505-526, და ა.შ.

127. მნიგნობრობა ქართული. სასულიერო მწერლობა. კირიონ II. შემდგენელ-რედაქტორი მ. ქავთარია. თბ., 2011, გვ. 175-176.

(I ტ., 1909) არის დაბეჭდილი. ახლა ბატონ ე. თაყაიშვილის მიერ „მოქცევაი ქართლისაი“ - ს შატბერდისეულიცა და ჭელიშისეული ტექსტიც ერთად არის გამოცემული (Описание, II, 708-727). შატბერდისეულთან შედარებით ჭელიშისეული დედანი უფრო სრულია და ძვირფას ცნობებსაც შეიცავს ჩვენი მათიანის წყაროების შესახებ, რაც შატბერდისეულს ხელთნაწერში სრულებით გამოტოვებულია.¹²⁸ ივ. ჯავახიშვილს „განსაკუთრებით საყურადღებოდ“ მიაჩნდა ჭელიშური ვარიანტის ცნობა გრიგოლ დიაკონის უძველესი ნაწარმოებისა და კიდევ ერთი უცნობი წყაროს არსებობის შესახებ, საიდანაც ვრცლად არის ამოკრებილი ამბები კავკასიაში სპარსთა გაბატონებისა და ქართლში მეფობის გაუქმების შესახებ.

უნიკალურ ისტორიულ სიძველეებს არქიმანდრიტი ამბროსი ეძებდა და პოულობდა არა მხოლოდ ჭელიშის მონასტერში. გაზეთი „ივერია“ 1903 წლის 4 სექტემბრის ნომერში (№188) გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „ს. ლები“ წერდა: „ამავე აგვისტოს თვეში აქაურ მოძღვარს ესტუმრა ჭელიშის მონასტრის (რაჭაშია) წინამძღვარი არქიმანდრიტი მამა ამბროსი (ხელაია); მამა ამბროსის უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. როგორც ნასწავლი კაცი, იგი მეცნიერულის აზრით დადის რაჭის ეკლესიების სანახავად, იძიებს და იკვლევს ძველთა საეკლესიო ნაშთთა: ჯვართა, ხატთა და ხელნაწერთა.“ ამ სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად დაგროვილი მასალების საფუძველზე 1915-1917 წლებში მამა ამბროსიმ, რომელიც მაშინ ნოვგოროდის ეპარქიის ქ.სტარაია რუსაში მსახურობდა, ქართულ ჟურნალებში „განთიადი“ და „ცხოვრება“ გამოაქვეყნა წერილების მთელი სერია საერთო სათაურით „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“;¹²⁹ სამწუხაროდ, ავტორმა მთელი ამ მასალის პუბლიკაციის დასრულება მაშინ ვერ მოახერხა. მზის სინათლე მან მხოლოდ ახლახან იხილა.¹³⁰

მამა ამბროსის მოღვაწეობა ჭელიშის მონასტერში კვლავ და კვლავ იპყრობდა ქართული საზოგადოების ყურადღებას. 1902 წლის 5 ოქტომბერს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სოსიკო მერკვილაძის ვრცელი „წერილი რაჭიდან“, რომელშიც ავტორი ჭელიშის მონასტერზე და მის ახალ წინამძღვარზეც საუბრობდა. ტაძრის დღესასწაულზე მისული სოსიკო მერკვილაძე მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად წირვას დასწრებია. „წირვის შემდეგ, – წერს ავტორი, – მამა ამბროსიმ წარმოსთქვა გრძნობით სავსე ქადაგება, რომლის გაგონებამაც მრავალ მლოცველს სიხარულის ცრემლი მოჰგვარა.“ მოკლე დროში მამა ამბროსის ხალხის გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. კითხვაზე, – „როგორია, ძმობილო, თქვენს უდაბნოს ახალი წინამძღვარი“, – ს. მერკვილაძემ მრევლის ერთ-ერთი წარმომადგენლისგან ასეთი პასუხი მიიღო: „ღმერთმა კარგი დაგმართოსთ, კარგი რამა გვყავს მამა ამბროსი; რომ იტყვიან, ღვთის ენა-პირი ასხიაო, სწორედ ის არის, ამ ხნის კაცი გახლავართ და ჯერ მაგისტანა არავინ მოსულა და არც მაგ დალოცვილის თანა ქადაგება გაგვიგონიაო.“

მამა ამბროსის ძალისხმევით, ჭელიშის მონასტერმა მოკლე დროში დაიწყო აღორძინება როგორც სასულიერო-საგანმანათლებლო კერამ და ეროვნულ-პატრიოტული ღონისძიებების რეგიონულმა ცენტრმა. მონასტრის საქმიანობის არც ეს მხარე გამორჩენია მხედველობიდან გაზეთ „ივერია“ს, რომელმაც 1903 წლის 18 ივნისს გამოაქვეყნა მღვდელ სიმონ ჭელიძის (1923 წლიდან ჭყონდიდელი ეპისკოპოსი, 1930 წლიდან ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი) წერილი „ჭელიშის მონასტერი და მისი წინამძღვარი“. ავტორი წერდა, რომ ისტორიულად ჭელიშის მონასტერი რა-

128. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 112.

129. განთიადი, 1915, №2, გვ. 11-16 (1-6); 1915, №3, გვ. 14-22 (7-15); 1915, №10, გვ. 25-32 (16-21); ცხოვრება, 1915, №2-3, გვ. 37-41 (22-26); 1916, №1, გვ. 24-29 (27-32); 1916, №4, გვ. 27-31 (33-37); 1916, №5, გვ. 23-28 (38-43); 1916, №9, გვ. 31-32 (44-45); 1916, №10, გვ. 23-25 (46-48); 1916, №15, გვ. 29-31 (49-51); 1916, №17-18, გვ. 29-31 (52-54); 1917, №1, გვ. 29-31 (55-57).

130. მწიგნობრობა ქართული. სასულიერო მწერლობა. ამბროსი ხელაია, ნ. I. შემდგენელ-რედაქტორი მ. ქავთარია. თბ., 2011, გვ. 4-467.

ჭაში სასულიერო განათლების მთავარ კერას წარმოადგენდა, მაგრამ ბოლო პერიოდში სამონასტრო ცხოვრება შეჩერდა, ვინაიდან სასულიერო ასპარეზზე მომრავლდა ქართულის სრულყოფილად არმცოდნე სემინარიელები. აღნიშნულ გარემოებას მიაქცია ყურადღება მამა ამბროსიმ, – წერდა ს. ჭელიძე, – და იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს ლოცვა-კურთხევით გადაწყვიტა, „ის სემინარიელნი, რომელნიც სამღვდელოდ ემზადებიან, უთუოდ ვარჯიშობდნენ საღმრთო წერილის კითხვაში ამ მონასტრის ზღუდეთა შორის. აზრი ყოვლად პატიოსანია და, იმედია, ახლო მომავალში განხორციელდება. მაშინ ჩვენს მონასტრებს ხომ სიცოცხლეც მოემატება.“ წერილში იმაზეც არის საუბარი, რომ ჭელიძის მონასტრის წინამძღვარი „დაბრძანდება რაჭის ყველა კუთხეში, ათვალიერებს ძველ ეკლესიებს და ჰკრებს სასარგებლო ცნობებს.“

არქიმანდრიტი ამბროსი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდესთან. ამ უკანასკნელის დავალებით 1903 წელს მან ჩაატარა გელათის მონასტრის რევიზია და წარმოადგინა ანგარიში მონასტრის მამულების დეტალური აღწერითა და მისი სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ კონკრეტული წინადადებებით. მამა ამბროსის აზრით, გელათის მონასტერს, შემოსავლების გაზრდის მიზნით, უნდა გაეშენებინა ხეხილის ბაღი და ვენახი, გამოსაჩენ ადგილზე მოენყო დეკორატიული მცენარეების ბაღი. ასეთი ბაღები, – წერდა არქიმანდრიტი ამბროსი, – დიდ შემოსავალს მოუტანდა მონასტერს, გაამშვენებდა მას და მეტ მომსვლელებს მიიზიდავდა ზაფხულის პერიოდში.¹³¹

მამა ამბროსი, მსახურობდა რა რაჭაში, მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდა მშობლიურ აფხაზეთთან. ეპ.ლეონიდეს ლოცვა-კურთხევით, ის იქ ხშირად ჩადიოდა და, ისევე როგორც XIX. 90-იან წლებში, მხარში ედგა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ადგილობრივ პატრიოტებს. ყოველივე ამის შესახებ ინფორმაციას ფლობდა საერო და სასულიერო მთავრობა, მათ შორის საქართველოს მამინდელი ეგზარქოსი ალექსი (ოპოცკი). ამ უკანასკნელმა 1903 წლის აპრილის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა და ერთი კვირა დეკანოზ იოანე ვოსტორგოვთან ერთად აფხაზეთში (ახალ ათონში, გუდაუთაში, ლიხნში, სოხუმში, დრანდაში) გაატარა; შეხვდა და ესაუბრა სოხუმის ოკრუგის უფროსს პოლკოვნიკ ვ. პროგულბიცკის, ადგილობრივ სამრევლო სკოლებში სწავლების მეგრულ დიალექტზე გადაყვანის „აუცილებლობის“ დამტკიცების მიზნით აგროვებდა ინფორმაციას ქართულსა და მეგრულს შორის არსებული განსხვავების შესახებ.¹³² მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ეგზარქოსმა სრულიად საიდუმლო წერილი აფრინა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის კ. პობედონოსცევის სახელზე, სადაც წერდა: „სოხუმის ოკრუგის უფროსმა მაცნობა, რომ მისდამი რწმუნებული ოკრუგის აფხაზებით და მეგრელებით დასახლებულ სოფლებში ძალიან ხშირად ჩამოდის იმერეთის ეპარქიის ჭელიძის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, რომელსაც სოფლიდან (ჭელიშიდან – ჯ.გ.), ალბათ, იმერეთის ყოვლადსამღვდლო უშვებს. არქიმანდრიტი ამბროსი ყოველთვის საიდუმლოდ ჩამოდის; სანაპიროზე მას ხვდებოდნენ ადგილობრივი მთავრობის მიერ საექვოდ მიჩნეული პირები, რომლებიც გამოირჩევიან რუსოფობიით და რუსული მთავრობის გამაერთიანებელი მისწრაფებებისადმი წინააღმდეგობის განწევით. მამა ამბროსი მართავს რაღაც საიდუმლო თათბირებს, საიდუმლოდ მოგზაურობს სოფლებში და ყოველთვის მისი მოგზაურობების შედეგად სოფლელები იღებენ გადაწყვეტილებებს და თხოვნებს სკოლებში ქართულის სწავლების შემოღების შესახებ.“¹³³ ეჭვსგარეშეა, ეგზარქოს ალექსის ეს წერილი გახდა

131. გიორგი მჭედლიძე, მერაბ კეზევაძე. ქუთაის-გაენათის ეპარქია. ქუთაისი, 2008, გვ.365, 426-427.

132. ამ მოგზაურობის შესახებ იხ. ი. ვოსტორგოვის წერილები ჟურნალებში: Прибавление к Духовному Вестнику Грузинского Экзархата, 1903, №22, გვ.10-47; 1904, №1-2, გვ.20-36; Духовный Вестник Грузинского Экзархата, 1904, №4, გვ.26-41.

133. ნმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.151.

ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სულ მალე ამბროსი ხელაიას რუსეთში განწვევისა, ხოლო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) პენსიაზე გაშვებისა, რადგანაც აღნიშნულ წერილში ისიც იყო დადანიშნული „რუსი ხალხისადმი და რუსული ხელისუფლებისადმი“ კრიტიკულ დამოკიდებულებაში.

1903 წლის 6 სექტემბერს უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტი ამბროსი დონის ეპარქიის უსტ-მედვედიცკაიას (შედიოდა დონის ჯარების ოლქში – **Об-
ласть Войска Донского**, ამჟამად ვოლგოგრადის ოლქის შემადგენლობაში) სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. ნიკორწმინდიდან უსტ-მედვედიცკაიას სტანიცამდე სამგზავროდ 6 ცხენის დასაქირავებლად უწმინდესი სინოდის სამეურნეო სამმართველომ მას 227 მან. გამოუყო.¹³⁴ მოკლე ცნობა არქიმანდრიტ ამბროსის დონის ეპარქიაში გადაყვანის შესახებ გაზეთმა „ივერია“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა (1903წ. 5 ოქტომბერი); ქართულ საზოგადოებას მან აუწყა, რომ „ჭელიშის (რაჭა-შია) მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) გადაუყვანიათ დონის ეპარქიაში უსტ-მედვედიცკის სტანიცის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად“. ჭელიშის მონასტრის ახალ წინამძღვრად კი 1903წ. 27 ნოემბერს კაცხის მონასტრის წინამძღვარი ილუმენი გრიგოლი დაინიშნა.¹³⁵

რუსეთის იმპერიისთვის არაკეთილსაიმედო, პატრიოტულად განწყობილ ქართველ სასულიერო მოღვაწეთა საკუთარი ნების წინააღმდეგ რუსეთში განწვევა, იქ თუნდაც მაღალ და შემოსავლიან თანამდებობებზე დანიშვნა სასჯელის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. ასე დაისაჯა 1902 წელს ეპისკოპოსი კირიონი, ასე დასაჯეს არქიმან-დრიტი ამბროსიც. ექსორიაში მყოფ ორივე გამოჩენილ მამულიშვილს საკმაოდ თბილი ურთიერთობა აკავშირებდათ ერთმანეთთან, რაზეც ამბროსის მიერ უსტ-მედვედიცკა-აიადან 1904 წლის 4 ოქტომბერს იმჟამად ორიოლ-სევსკის ეპისკოპოს კირიონისადმი გაგზავნილი წერილიც მეტყველებს.¹³⁶

სამშობლოს და გარესამყაროს მოწყვეტილი ამბროსი მოთმინებითა და ამავე დროს მონდომებით ასრულებდა თავის მოვალეობას იმ მიყრუებულ სტანიცაში. მისი იქ მოღვაწეობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სასულიერო სასწავლებელში, სასწავლებლის ღვთისმშობლის საფარველის ეკლესიაში წარმოთქმული 22 ქადაგება და სიტყვა (უფრო ადრინდელი ქადაგებებისა და სიტყვების ტექსტები ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია), რომლებიც საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. მათი უმეტესობა ეძღვნება ამა თუ იმ რელიგიურ დღესასწაულს, ცალკეულ თეოლოგიურ საკითხებს, წმინდანთა ცხოვრებას, სწავლა-განათლებისა და მოსწავ-ლეთა აღზრდის თემას, მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს იმპერიაში და ა.შ. ყველა ამ ქადაგებას წითელ ზოლად გასდევს მოწოდება ქრისტიანული მოვალეობე-ბის, უფლის მცნებათა შესრულებისაკენ. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, არქიმანდრიტმა ამბროსიმ ახალ სამსახურში სიტყვა პირველად 1904წ. 1 თებერვალს წარმოსთქვა, როდესაც მან რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებაზე ისაუბრა და ამ ომთან დაკავშირებით იმპერატორის მიერ გამოცხადებული მანიფესტი წაიკითხა. შორეულ აღმოსავლეთში გაჩაღებული ომი ამბროსი ხელაიამ შეაფასა როგორც სამხედრო შეტ-აკება არა მხოლოდ ორ სახელმწიფოს, არამედ ორ კულტურას – ევროპულ და აზიურ კულტურებს, ქრისტიანობასა და წარმართობას შორის.¹³⁷ ეს საკმაოდ გავრცელებუ-ლი იმ პერიოდში მოსაზრება კვლავ გაიმეორა მან 1904 წ. 7 მარტის ქადაგებაშიც და დასძინა, რომ ომი არის უდიდესი ბოროტება, რომლის თავიდან აცილება კაცობრიო-ბამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა; რომ მას თან ახლავს უზარმაზარი მსხვერპლი, ადა-

134. სცსსა, ფ.489, აღნ.1, ს.46830, ფ.14,19.

135. იქვე, ფ.16.

136. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, I. ისტორიის სერია. გორი, 2001, გვ. 28-29 (გამო-აქვეყნა ვაჟა კიკნაძემ).

137. კ.კეკელიძის სახ.ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.4.

მიანების დასახიჩრება, საყოველთაო ნგრევა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები. მამა ამბროსი სთხოვდა მსმენელებს, აღმოუჩინონ დახმარება დაჭრილებს, შეუმსუბუქონ ტანჯვა მეომრებს. „წარმართული იაპონია ც კი, – ბრძანებდა იგი, – როგორც გაზეთები იუნყებიან, ცდილობს გამოიჩინოს კაცთმოყვარეობა, შეუმსუბუქოს ხვედრი არა მხოლოდ საკუთარ დაჭრილებს, არამედ ტყვედ ჩავარდნილ რუსებსაც კი. ამის გამო ის პატივის ღირსია, რაც დაადასტურა კიდეც ჩვენმა მთავრობამ მაღლიერების გამოხატვით“. ამბროსი ხელაია მოუწოდებდა მსმენელებს სასწავლებლის ეკლესიაში ჩააბარონ შემოწირულობები წითელი ჯვრის გასაძლიერებლად, ჯარისკაცების დასახმარებლად.¹³⁸

1905 წ. 30 იანვრის ქადაგება ეძღვნება უწმინდესი სინოდის წერილს მთავრობის მიერ იმავე წლის 9 იანვარს პეტერბურგში დემონსტრანტების დახვრეტის გამო. მამა ამბროსის აზრით, ეს იყო „სამარცხვინო ლაქა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, ლაქა, რომლის ჩამორეცხვა შეუძლებელია. რუსი ხალხის ცხოვრებაში XX ასწლეულის დასაწყისი ამ სისხლიანი ლაქით წარსდგება მთელი განათლებული კაცობრიობის სამსჯავროს, უღმობლად ალალ-მართალი ისტორიის სამსჯავროს წინაშე“. მომხდარის მიზეზს ის ხედავდა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებებში, რომლებმაც ღვთის რისხვა გამოიწვიეს.¹³⁹ 1905წ. 21 ოქტომბრის ქადაგებაში ამბროსი ხელაიამ განაცხადა, რომ ქვეყანაში მიმდინარე სისხლიანი რევოლუცია „გამონვეულია უკმაყოფილებით თანამედროვე ცხოვრების მიმართ, მისი თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური პირობებით, უკეთესი მომავლის საყოველთაო ძიებით“. ცხოვრების გაუმჯობესების გზების ძიებაში ჩართული არიან ქვეყნის საუკეთესო შვილები, – აღნიშნავდა მამა ამბროსი და იმედს გამოსთქვამდა, რომ მათი შრომა კეთილ ნაყოფს გამოიღებდა, მოხდებოდა ცხოვრების განახლება, მშვიდობის აღდგენა. მას, როგორც ღვთისმსახურს, მიაჩნდა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი არის უფლის ნების, მის მცნებათა შესრულებაში, რის შედეგადაც „დამყარდებოდა სწორი ურთიერთობა სახელმწიფოს წევრებს შორის: ძლიერები არ იქნებიან სუსტთა მჩაგვრელები, სუსტები არ ჩათვლიდნენ თავიანთ თავს გულნატკენებად, რომლებსაც ბედმა უმტყუნათ; თითოეული დასჯერდებოდა თავისი შრომის ნაყოფს, ყველა განვიმსჭვალეზოდით ღმერთის წინაშე თანასწორობის ქრისტიანული იდეით, ქრისტესმიერი ძმობის იდეით და ამ ქრისტიანული ჭეშმარიტების შეგნება დაარეგულირებს ჩვენს ცხოვრებას, მშვიდობის სუფევა იქნება ჩვენს შორის“.¹⁴⁰

როგორც თავისუფლებაყრილი ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლი შვილი, ამბროსი ხელაია რუსეთში ბატონყმობის გაუქმების (1861 წ. 19 თებერვალი) 44-ე წლისთავთან (1905წ. 19 თებერვალი) და განსაკუთრებით იმპერატორის 1905წ. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ თავის ქადაგებებში გატაცებით საუბრობდა (1905 წ. 23 ოქტომბერი) უფლის საჩუქარზე – თავისუფლებაზე, რომელიც ადამიანთა უსამართლობამ წაართვა პიროვნებებს. თავისუფლების გამოცხადება საქმის მხოლოდ ნახევარია, მთავარია მისი განხორციელება, რაც მთლიანადაა დამოკიდებული ჩვენზე, „იმზე, თუ როგორ ვისარგებლებთ ჩვენი თავისუფლებით“, რომელიც საჭიროა „ქვეყანაში მშვიდობისა და სიმშვიდის, წესრიგის დამყარებისთვის, ქვეყნის აღორძინებისთვის და არა ანარქიისთვის და საშინელი სისხლისღვრისთვის“,¹⁴¹ – ბრძანებდა მამა ამბროსი.

უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებელზე, ზოგადად განათლებისა და აღმზრდელობითი საკითხებისადმი ამბროსი ხელაიას დამოკიდებულებაზე წარმოდ-

138. იქვე, ს.6.

139. იქვე, ს.14.

140. იქვე, ს.22.

141. იქვე, ს.15, 23.

გენას გვიქმნიან სასწავლებელში დონის ეპისკოპოსის ათანასეს სტუმრობისას,¹⁴² განსაკუთრებით კი კურსდამთავრებულთა გამოშვების დღესთან¹⁴³, ასევე ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან¹⁴⁴ დაკავშირებით წარმოთქმული მისი სიტყვები და ქადაგებები. შედარებით პატარა სასწავლებელი პედაგოგთა და მოსწავლეთა რამდენადმე შეზღუდული კონტინგენტით მისმა ახალმა ზედამხედველმა, აღნიშნულ სფეროში მუშაობის გამოცდილების უქონლობის მიუხედავად, ერთ ოჯახად შეკრა და ყველა პირობა შეუქმნა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფისთვის; რუსულ სასწავლებლებში გამეფებული მეტისმეტი სიმკაცრის (განსაკუთრებით მოსწავლეთა მიმართ) ნაცვლად, კოლექტივში ჰუმანურობის, სიმშვიდისა და სიყვარულის ატმოსფერომ დაისადგურა. ეს ეხებოდა მოსწავლეებთან ურთიერთობასაც. 1905წ. 13 მაისს არქიმანდრიტი ამბროსი უაღრესად თბილად მიესალმა სასწავლებლის კურსდამთავრებულებს და მიულოცა მათთვის ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. „დღეიდან თქვენ ტოვებთ ჩვენს სასულიერო სასწავლებელს, სადაც გაატარეთ ბავშვობისა და ყრმობის საუკეთესო დღეების ნაწილი. დღეს უკანასკნელად ვლოცულობთ ერთად ამ წმინდა ტაძარში (სასწავლებელთან არსებული – ჯ.გ.), რომლის მფარველობითა და კეთილი ზეგავლენით თქვენ, როგორც ქრისტეს ეკლესიის წევრებმა, შეიძინეთ სიყვარული საკუთარი მოვალეობების შესრულებისადმი“, – უთხრა მან კურსდამთავრებულებს და დასძინა, რომ სასწავლებელმა მათ მისცა მყარი რწმენა, ღვთისმოსაობა, კეთილზნეობა. შესაძლოა, ზოგიერთი თქვენთაგანი არ იყო წარმატებული სწავლაში, ცალკეული საგნების ათვისებაში, – თქვა მამა ამბროსიმ, – მაგრამ, „ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ, რომ ყველაზე მთავარი თქვენს აღზრდაში – თქვენი გულის აღზრდა – მიღწეულია“. ეს კი, ზედამხედველის აზრით, იყო საწინდარი იმისა, რომ კურსდამთავრებულები კარგი ქრისტიანები და საზოგადოების სასარგებლო წევრები იქნებოდნენ. სასწავლებლის დამთავრება არ ნიშნავს აღზრდა-განათლების დასრულებას, თქვენ აქ მხოლოდ ცოდნის საწყისებს ეზიარეთ, განაცხადა მამა ამბროსიმ და კურსდამთავრებულებს სწავლის გაგრძელებისკენ და თვითგანათლებისკენ მოუწოდა; იმათ, ვინც ცხოვრების ფერხულში ჩაბმას და, შესაბამისად, „ცხოვრებისეულ ზღვის ტალღებთან“ შეჯახებას აპირებდა, მან ურჩია, გამოიჩინონ ხასიათის სიმტკიცე, განსაკუთრებით ქრისტიანული მოვალეობების შესრულებაში; ყველა კურსდამთავრებული დაარიგა, იკითხონ სასარგებლო წიგნები, მტკიცე რწმენით, ზნეკეთილი საქმეებითა და ქრისტიანული ვალის მოხდით გაუფრთხილდნენ იმ სასწავლებლის ღირსებას, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა მათი გონებრივი და რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდის საქმეს; ბოლოს კი „სუფთა გულით“ დალოცა ახალგაზრდები, უსურვა ღვთის შეწევნა ყველა კეთილ საქმეში.¹⁴⁵

1905 წ. 27 აგვისტოს ამბროსი ხელაიამ მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მეორედ და უკანასკნელად მიულოცა, შესთხოვა უფალს გარდმოავლინოს მათზე დიდი სიბრძნისა და გონიერების სულისკვეთება; გაუხსნას გონება და გული კეთილი ცოდნის მისაღებად; მოუწოდა ბეჯითი სწავლისაკენ, მორჩილებისაკენ დამრიგებლებისა და ხელმძღვანელებისადმი, „რომლებიც ირჯებიან თქვენი სიკეთისთვის, ამდიდრებენ თქვენს გონებას და გულს სასარგებლო ცოდნით“; კარგი სწავლით, ზნეკეთილი საქციელითა და მორჩილებით მოსწავლეებს უნდა დაემტკიცებინათ სიყვარული უფლის ნებისადმი, აგრეთვე მშობლებისადმი, რომლებიც თავად იტანდნენ გაჭირვებას შვილების საკეთილდღეოდ. სწავლა-განათლების მიღება დაუღალავ

142. იქვე, ს.11. 1904წ. 4 სექტემბერს სასწავლებელში სტუმრად მყოფ ეპისკოპოსს არქიმანდრიტმა ამბროსიმ სთხოვა არა უცხოენოვანი (პირადი არქივების აღწერილობა, 3, გვ. 37), არამედ არამართლმადიდებელი ქრისტიანი (инославный) ბავშვების ჩარიცხვის უფლება.

143. იქვე, ს.9, 18.

144. იქვე, ს.10, 19.

145. იქვე, ს.18.

შრომას მოითხოვდა; „მართალია, თავიდან ეს შრომა თქვენ მწარედ მოგეჩვენებათ, მაგრამ კენწეროში გატკბილდების“,¹⁴⁶ განაცხადა ამბროსი ხელაიამ, გაიმეორა რა დავით გურამიშვილის „მცნება“.

უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებლის ქართველი ზედამხედველისთვის განუყოფელია განათლება და სარწმუნოება, „გონებისა და გულის განათლება“. ის იყო უალრესად ჰუმანური და სამართლიანი ხელმძღვანელი, რომელმაც დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა სასწავლებლის პედაგოგთა და მოსწავლეთა შორის, დონის ეპარქიის ხელმძღვანელობის წინაშე.

1905 წ. 6 მაისს ამბროსი ხელაია წმ. ანას II ხარისხის ორდენითაც დაჯილდოვდა,¹⁴⁷ მაგრამ მის მთავარ მიზნად და ოცნებად მაინც სამშობლოში დაბრუნება რჩებოდა. ამის შესახებაც წერდა იგი 1905 წ. 30 მაისს ჟურნალ „მწყემსში“ (№9-10) ეპ. დიმიტრის (აბაშიძე) წინააღმდეგ გამოქვეყნებულ წერილში. საკუთარი ხალხის მიერ სამშობლოდან გაძევებულმა გურია-სამეგრელოს რენეგატმა ეპისკოპოსმა გაზეთში „რუს“ (1905, №74) გაილაშქრა იმავე გაზეთში დაბეჭდილი (1905, №60) საქართველოს რუსი მეგობრის ნ.დურნოვოს სტატიის – „ინორიდცი ლი გრუზინი?“ („ქართველები არიან თუ არა უცხოტომელები?“) წინააღმდეგ.¹⁴⁸ ეპ. დიმიტრის ანტიქართულ წერილს ჯერ ნიკო მარის,¹⁴⁹ შემდეგ კი არქიმადრიტ ამბროსის მძაფრი კრიტიკა მოჰყვა. სამშობლოდან საკუთარი ნების წინააღმდეგ გასახლებული ამბროსი ეპისკოპოსმა დიმიტრიმ ისე მოიხსენია, თითქოს იგი „დასჯილი კი არ არის, ფრიად საამო კაცია თავის უფროსთა თვალში.“ ამ სიტყვებით აღშფოთებული ამბროსი წერდა: „კარგად უნდა იცოდეთ, რომ მთელი 2,5 წელიწადი ვსცდილობდი ადგილი მეშოვნა საქართველოში, სადაც მეტი სარგებლობა შემეძლო მომეტანა ხალხისათვის. კარგად უნდა იცოდეთ, რომ არაერთხელ გამოუცხადებიათ ჩემთვის, სადმე სხვაგან, საექსარხოსოს გარეშე, უნდა მონახო ადგილიო. და ბოლოს, ჩემი სურვილის წინააღმდეგ გადამიყვანეს ახალ ადგილზე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მე მოხელეს თვალით არ ვუყურებდი საქმეს, არ თანაუგრძობდი იმ სამღვდლო პირთ, რომელნიც ხალხის გარუსებას სცდილობდნენ და ამხედრებდნენ ხალხს ეკლესიისა და სამღვდლოების წინააღმდეგ. ხალხი დარწმუნდა, რომ სამღვდლო პირნი, რომლებიც ებრძოდნენ მკვიდრთა სამშობლო ენას, ვერ გაუძღვებოდნენ ბავშვების აღზრდას. ხალხმა მოითხოვა, ჩამოაშორეთ მღვდლები სკოლებს და სამშობლო ენაზე ასწავლეთ ჩვენ ბავშვებსაო. ხალხის გარუსების მოსურნეთ იმდენად თვალი არ უჭრის, რომ შეიგრძნონ მათ მიერ არჩეულ საშუალებათა მავნებლობა. იმ ხალხს, რომელსაც ათასი წლის ისტორია აქვს, რასაკვირველია, ძალაც შესწევს იმდენად, რათა დაიცვას თავისი ეროვნული სახე და სამშობლო ენა. გარუსების ნადილი ვნების მეტს არაფერს მოუტანს ხალხს. ცუდი ქართველი კარგ რუსად ვერ გადაიქცევა. ყველას სჯობს ზნეობრივ ნიადაგზე ხალხთა დაახლოება. რეპრესიული, ხალხის მჩაგვრელი ზომები ყოველთვის არასასურველ შედეგს გამოიწვევს ხოლმე. ამგვარ ზომებით საქართველოს ეკლესია უფსკრულის კიდემდის მიიყვანეს. ეს ყველაზე უფრო ცხადად გამოიყვანდა ყოვლად სამღვდლო დიმიტრის ეპარქიაში, რომელმაც გაჭირვების დროს დატოვა თავისი სამწყსო და პეტერბურგს გაემგზავრა.“¹⁵⁰

მალე ვითარება იმპერიაში რადიკალურად შეიცვალა. 1905-1907 წლების რუსეთის პირველმა დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომელმაც საქართველოში ეროვნულ-

146. «Правда, в начале эти труды покажутся вам горькими, но конец их сладок». _ იქვე, ს.19.

147. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.164.

148. ეპ. დიმიტრის (აბაშიძე) წერილი იხ.: საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI სს). დოკუმენტები და მასალები, ტ.2. გამოსაცემად მოამზადეს მერაბ ვაჩნაძემ და ვახტანგ გურულმა. თბ., 2008, გვ.69-72.

149. ნ. მარის კრიტიკული წერილები ეპ. დიმიტრის (აბაშიძე) წინააღმდეგ იხ.: ცნობის ფურცელი, 1905, 13 და 14 აპრილი.

150. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 158-160.

გამანათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათიც მიიღო, ძირფესვიანად შეარყია რუსეთ-იაპონიის წარუმატებელი ომის (1904-1905წწ.) შედეგად ისედაც დასუსტებული რუსეთის იმპერია. ი.ვოსტოროგოვის მსგავსმა უკიდურესმა შოვინისტებმა საქართველოდან გაქცევით უშველეს თავს. იმავდროულად, რუსეთში იძულებით განწვეულ მამულიშვილებს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცათ. მათ შორის აღმოჩნდა არქიმანდრიტი ამბროსიც. სამშობლოში მისი დაბრუნების შესახებ არაოფიციალური შუამდგომლობა უნმ. სინოდის წინაშე, როგორც ირკვევა, საქართველოდან დევნილმა ორიოლ-სევსკის ეპისკოპოსმა კირიონმა აღძრა. 1905წ. 3 ივნისს არქიმანდრიტი ამბროსი მას (კირიონს) წერდა: „ყოვლად უსამღვდელოესო მწყემსმთავარო, დიდი დამნაშავე ვარ, რომ ძვირათ გწერთ, მაგრამ წერილების წერაში ძალიან ზარმაცი გახლავართ. გავიგე, პეტრეს ქალაქში ბრძანებულხართ და ჩემზედაც გიშრომნიათ. მე ძალიან გამაკვირვა ეპ. ანტონის (პეტროგრადის მიტროპოლიტი ანტონ ვადკოვსკი უნდა იგულისხმებოდეს – ჯ.გ.) აზრმა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე მალე გამოაცვლევინებდა მას აზრს დიმიტრი ალა (იგულისხმება ზემოთხსენებული რენეგატი ქართველი ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე – ჯ.გ.), მწყემსი კეთილი, რომელიც გაიქცა და სამწყსო (გურია-სამეგრელოს ეპარქია – ჯ.გ.) მიატოვა. მაგრამ რას ვიზამთ, დიმიტრისთანას აქვს ახლა უფრო დაჯერება. მაგრამ ამასაც ბოლო მოელება მალე. განა პატიოსანმა კაცმა იმისთანა კაცს, რომელმაც მიატოვა ცხოვარნი თვისნი, უნდა დაუჯეროს რამე? დიმიტრის საქციელზე არა ღირს ლაპარაკი, მხოლოდ მაგონდება ქრისტეს უკვდავი ჭეშმარიტი სიტყვები: „...ხოლო სასყიდლით დადგინებულნი ივლტიან, რამეთუ სასყიდლით დადგენილ არნ...“ დიდი მადლობელი ვარ ჩემზე შრომის მიღებისათვის. არა უშავს, „გაზაფხული“ (იგულისხმება 1881წ. 1 მარტს ამ სათაურით დაწერილი აკაკი წერეთლის ლექსის სულისკვეთება – ჯ.გ.) კარზე მოგვადგა, განახლების დრო დაგვიდგა, მრწამს მალე ყველანი საჭირონი გავხდებით ჩვენს სამშობლოში.

სააღდგომოთ მინდოდა გხლებოდით, მაგრამ ხვალ მივემგზავრები საქართველოში, გულმა ვერ მომითმინა აქ დარჩენა ამ საერთო მოძრაობის დროს. გილოცავთ მომავალ ბრწყინვალე დღესასწაულებს და, თუ ღვთის ნება იქნება, ეგზამენების შემდეგ (თავის სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს უნდა გულისხმობდეს – ჯ.გ.) გაეახლებით თქვენს სანახავად.

ვითხოვ თქვენს ლოცვა-კურთხევას. თქვენი მეუფების ერთგული ამბროსი“.¹⁵¹

უნდა ვივარაუდოთ, რომ 1905 წლის ივნისში საქართველოში ჩამოსული ამბროსი ეპისკოპოს ლეონიდეს ეწვია და სამშობლოში დაბრუნების საქმეში თანადგომა სთხოვა. ამის შემდეგ, 1905 წლის 14 ივნისს, ეპისკოპოსმა ლეონიდემ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას მოხსენება წარუდგინა იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის ეპარქიების წარმომადგენლად კანტორის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე არქიმანდრიტ ამბროსის დანიშვნის შესახებ. „ყველგან, სადაც კი იმსახურა, – ნათქვამია მოხსენებაში, – მან თავი გამოიჩინა როგორც პატიოსანმა, შრომისმოყვარე და უნარიანმა ადამიანმა; სარგებლობს დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების საერთო სიმპათიით, შესაბამისად, ხსენებულ ადგილზე მისი კანდიდატურა ყოველგვარი კონკურენციის გარეშე.“¹⁵² 1905 წლის 5 აგვისტოს სინოდალურმა კანტორამ ეპ. ლეონიდეს მოხსენება მოიწონა. იმავე წლის 10 სექტემბერს ეგზარქოსმა ნიკოლოზმა (ნალიმოვი) შესაბამისი თხოვნით მიმართა დონისა და ნოვოჩერკასკის ეპისკოპოს ათანასეს, რომლის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებელი. 1905წ. 28 სექტემბერს მან წერილობითი თანხმობა განაცხა-

151. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის არქივი, ს.1318.

152. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.161.

და არქიმანდრიტ ამბროსის თბილისში გადმოყვანაზე.¹⁵³ ამ აუცილებელი წინასწარი პროცედურების დასრულების შემდეგ უწმინდესი სინოდის 1905 წლის 24 ნოემბრის ბრძანებით არქიმანდრიტი ამბროსი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და საქართველოს ეპარქიის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ბრძანებაში ნათქვამია: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებულებით, უწმინდესმა მართებელმა სინოდმა მოისმინა: საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ა.წ. 28 ოქტომბრის №10938 მოხსენება, შუამდგომლობით კანტორის შტატიანი წევრის ვაკანტური ადგილის დაკავების შესახებ. ვბრძანებთ: უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შუამდგომლობის თანახმად, უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი არქიმანდრიტი ამბროსი დაინიშნოს ხსენებული კანტორის შტატიან წევრად 600 მანეთის წლიური სარგოთი და მას წინამძღვრის წოდებით გადაეცეს სამართავად საქართველოს ეპარქიის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი; რის შესახებაც სათანადო განკარგულებებისათვის ბრძანება გაეგზავნოს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას. 1905 წლის 24 ნოემბერი.“¹⁵⁴ ამბროსი ხელაიამ სინოდალურ კანტორაში არქიმანდრიტ გიორგი ალადაშვილის ადგილი დაიკავა, რომელიც 1905წ. 27 აგვისტოს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად დაინიშნა.

1905 წ. მიწურულს ამბროსი ხელაიას პირველი ექსორია დასრულდა. სასწავლებელმა მას გულის ამარწყებელი გაცილება მოუწყო. ამის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ თავად მამა ამბროსის გამოსამშვიდობებელი სიტყვების მიხედვით, რომლებშიც მან პრაქტიკულად შეაჯამა თავისი საქმიანობა სასულიერო სასწავლებელში დღიდან მისი იქ დანიშვნისა. ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს როგორ შეეთვისა ამბროსი უცხო კოლექტივს, რომლის ხელმძღვანელადაც, საკუთარი ნების წინააღმდეგ, სრულიად მოულოდნელად დაინიშნა; როგორი ატმოსფერო სუფევდა სასწავლებელში; როგორი ურთიერთობა დაამყარა მან თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და ა.შ. 1906 წ. იანვარ-თებერვლის მიჯნაზე, ეტყობა, სასულიერო სასწავლებელში გაიმართა გამოსამშვიდობებელი საზეიმო ღონისძიება პედაგოგების მონაწილეობით, სადაც ბევრი საქებარი სიტყვა თქმულა ქართველი ზედამხედველის მისამართით. სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად მისთვის ხატი (უცნობია, ვისი) მიუერთმევიათ. საპასუხო სიტყვაში, რომელიც მთლიანად მოგვაქვს, არქიმანდრიტმა ამბროსიმ ბრძანა (მრავალწრივით აღნიშნულია ადგილები, რომელთა ნაკითხვა ვერ მოხერხდა): „ნება მიბოძეთ, ჩემო ამხანაგებო და თანამოსამსახურენო, მეც ვთქვა რამდენიმე სიტყვა ჩემთვის სასიამოვნო თქვენს გამოსამშვიდობებელ სიტყვებზე, თქვენს სიტყვებში გამოხატულ გრძნობებზე, რომელთა გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება. ვფიქრობ, ბევრი ისეთი რამ ითქვა, რასაც არ ვიმსახურებ, ჩემში ვერ ვხედავ ამგვარ ღირსებებს, მაგრამ ყველაფერი სავსე გულითაა ნათქვამი და ამიტომ ვიღებ მაღლიერებით.

პირველმა ცნობამ აქ დანიშნის შესახებ გამოოცა, საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი; ჩემთვის ეს იყო ჭეშმარიტი ვარამი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამით ვკარგავდი მშობლიურ ქვეყანაში სამსახურის შესაძლებლობას, სადაც ჩემს თავს თამამად მივიჩნევდი ხალხისთვის გარკვეულწილად სარგებლობის მომტანად, არამედ სხვა მოსაზრებითაც. სასწავლო საქმე ჩემთვის ახალი იყო, რომელიც დიდ გამოცდილებას მოითხოვდა, ამასთანავე ამ ახალი საქმის დაწყება მიხდებოდა ჩემთვის მაშინ უცხო მხარეში უცნობ თანამოსამსახურეთა შორის. ბუნებრივია, მეუფლებოდა შიში იმასთან დაკავშირებით, რომ სულისკვეთების მიხედვით ხომ არ აღმოვჩნდებოდი უცხო ახალი თანამოსამსახურებისთვის, ხომ არ შემომხედავდნენ ისინი როგორც უცხო გადამთიელს ისე აგდებულად და სიძულვილით, როგორც ჩვეულებრივ გვიყურებდნენ

153. იქვე, გვ.30-31.

154. იქვე, გვ. 166-167.

ჩვენ რუსული მოქალაქეობრიობის დამწერგავები კავკასიაში. დაბოლოს, ვიპოვიდი კი მომავალ თანამშრომლებში ისეთ მეგობრებს, ვფიქრობდი მე, რომლებიც არ გამოიყენებდნენ ჩემს გამოუცდებლობას ახალ საქმეში, ხომ არ შეეცდებოდნენ ჩემს გაგდებას, როგორც სასწავლო კორპორაციის არასასურველი წევრისა? ბევრი ასეთი აზრი და კითხვა მიტრიალებდა თავში და ისინი შიშს კიდევ უფრო მიძლიერებდნენ. კავკასიაში ადამიანების ჩვენდამი უსამართლო დამოკიდებულებას მიჩვეულისთვის ყველა ეს კითხვა არ არის გასაკვირი და... მაგრამ სინამდვილემ სრულიად საპირისპიროში დამარწმუნა.

თქვენ მე მიმიღეთ არა როგორც გადამთიელი, არამედ როგორც თავისიანი; ჩემი აქ სამსახურის პირველი დღიდანვე თავს მშობლიურ გარემოში ვგრძნობდი, სწრაფად შევეჩვიე, სწრაფად დაგინათესავდით სულიერად. თავს არ ვგრძნობდი განდევილად, რომელიც გადმოაგდო აქეთ, უნდა შევნიშნო, მუდამ თანამდევმა შეუბრალებელმა ბედმა. გამოუცდებლობის გამო ახალს ვერაფერს შემოვიტანდი სასწავლო-აღმზრდებლობითი კუთხით ჩვენი სასწავლებლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ რისი გაკეთებაც მე არ შემეძლო, იმას აკეთებდა თქვენი გამოცდილება, თქვენი სიყვარული სასკოლო საქმისადმი, ჩემთვის დახმარების აღმოჩენის, უფრო სწორად, ჩემს მაგივრად მუშაობის ჭეშმარიტი სურვილი. ჩემდამი ამგვარი თქვენი კეთილგანწყობისა და შემწყნარებლობის მეოხებით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო – აღმზრდებლობითი საქმე ჩვენს სასწავლებელში ჩემს დროს თუ არ გაუმჯობესდა, ყოველ შემთხვევაში, სულაც არ გაუარესებულა. თქვენ მე სიყვარულით შემინყნარეთ (პეტრე, ეფეს. მიმართ, 4, 2), თქვენი ქრისტიანული სიყვარული და კეთილგანწყობა ჩემდამი ფარავდნენ ყველა ჩემს ნაკლს... „საქმიანობის ერთგვაროვნება“, საერთო საქმისადმი მსახურება ვერ იქნებოდა ერთადერთი მიზეზი ჩვენი ასეთი მეგობრობის, ჩვენი ერთობის და ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის (Златоуст, кн. I, 359); ამის მიზეზი სულიერ ნათესაობაში უნდა ვეძიოთ, რადგანაც, არაფერია უფრო ძლიერი, ვიდრე სულიერი კავშირები (16, 360).

აი, ჩემს თვალწინ ვხედავ კიდევაც ჩემდამი ამგვარი თქვენი დამოკიდებულების მტკიცებას. ეს ხატი გახდება მუდმივი სანინდარი და მოწმე იმისა, რომ მე გულით დავატარებდე იქნება უთუოდ ქრისტიანულ სიყვარულს თქვენდამი, ხსოვნა თქვენს შესახებ გადმოიღვრება ჩემი უღირსების ლოცვებში ამ წმინდა ხატის წინაშე.

ჩემი აქ სამსახურის განმავლობაში ჩვენს შორის არავითარი გაუგებრობები არ ყოფილა. ჭეშმარიტად ეს არის საუკეთესო პერიოდი ჩემს თითქმის 19 წლიან არამშვიდ სამსახურებრივ მოღვაწეობაში. ...ჩემთვის სასიამოვნო და სასიხარულოც იქნება თქვენთან ერთად გატარებული ცხოვრების გახსენება, თუმცა ჩემი მდევნელები ამ მხარეს ჩემი გადასახლების ადგილად მიიჩნევენ. ჭეშმარიტად, ჩემდამი ამნაირი თქვენი დამოკიდებულებით შერცხვენილნი არიან ჩემი „სულის მძიებლები“ (ფსალმუნნი, 34, 4), რომლებმაც ჩემს წინააღმდეგ ბოროტება ჩაიფიქრეს“ (ოსია, 7, 15)!

მშვიდობით მოვედი, მშვიდობით მიმიღეთ და მშვიდობა სუფევდა ჩვენს შორის, დაე ვიყო მშვიდობით გაცილებული. მე კი ყველაფერ ამისთვის გულითად მადლობას მოგახსენებთ, გთხოვთ რა შეინარჩუნოთ კეთილი ხსოვნა ჩემზე, ქრისტიანული სიყვარულით გადაფაროთ ყველა ჩემი ნაკლი. ქრისტიანული სიყვარული არ შემოიფარგლება სივრცითი ურთიერთობებით. მანძილის სიშორე ვერ გახდება დაბრკოლება ჩვენს შორის კეთილი ურთიერთობების გაგრძელებისთვის, ერთმანეთის მიმართ კეთილი მოგონებისა და სიყვარულის შენარჩუნებისთვის. ამიტომაც, ვფიქრობ მე, მოციქული პავლეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიქნებით „თვალთ და არა გულით თქვენგან ცოტა ხანს განშორებულნი“ (I ეფეს., 2, 17). ვიმედოვნებ, ღმერთმანი, ამას გთხოვთ.

დასასრულს, გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას და წარმატებებს თქვენს ყველა

კეთილ ნამონცებაში თქვენი და ჩვენთვის ძვირფასი სასწავლებლის საკეთილდღეოდ. ღმერთმა ქნას თქვენი სიცოცხლე მრავალჟამიერ.

ესვამ თქვენი ჯანმრთელობისთვის და მსურს ყოველი ჩემს მიერ ნათქვამი სიტყვა „ამინ“ – თან ერთად დავადასტურო ქრისტიანული, მეგობრული, ამახანაგური და ძმური ამბორით“.¹⁵⁵

გამოსამშვიდობებელი სამადლობელი სიტყვა არქიმანდრიტმა ამბროსიმ მისდამი რწმუნებული სასწავლებლის ეკლესიაშიც წარმოსთქვა მოსწავლეების, პედაგოგებისა და მრევლის თანდასწრებით. მთავარი ყურადღება ამჯერად მოსწავლეებზე გამახვილდა. „ჩვენი სასწავლებლის ძვირფასო აღსაზრდელებო!“ – ასე მიმართა მან მოსწავლეებს; ამ მოკლე დროში ძალიან შემეყვარდით, არ ვისაუბრებ, რამდენად სასარგებლო ვიყავი თქვენი აღზრდის საქმეში, მაგრამ თქვენთვის სარგებლობის მოტანის სურვილი დიდი იყო, – ბრძანა მამა ამბროსიმ და ილაპარაკა მოსწავლეებთან მიმართებაში მის მიერ სასწავლებელში დანერგილ სიახლეზე, რომელიც იშვიათობა იყო მთელი იმპერიის მასშტაბითაც კი: „ჩემი აქ სამსახურის მთელს მანძილზე ყველა დამრიგებლისა და ხელმძღვანელის მხრიდან თქვედამი მოპყრობა იყო ძალიან რბილი, ჰუმანური და სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საკმარისად აფასებდით ასეთ დამოკიდებულებას თქვენდამი; თქვენ, მცირე გამონაკლისის გარდა, ეს აგვინაზღაურეთ მორჩილებით, სიბეჯითით და ზნეკეთილობით. მადლობას მოგახსენებთ ამისათვის და კარგი ყოფაქცევისათვის“. ამბროსი ხელაიამ კიდევ ერთხელ წარმატებები უსურვა მოსწავლეებს, მადლობა მოახსენა თანამშრომლებს ნდობისთვის, საქმის ერთგულებისთვის, მშვიდობისთვის, რომელიც სასწავლებელში სუფევდა; მადლობა გადაუხადა აგრეთვე ეკლესიის მსახურთ. „ღმერთმანი, არაფერი დამიშავებია, მაგრამ თუ ვინმეს ვაწყენინე, გთხოვთ შემინდოთ! დაე, ქრისტიანულმა ყოველის მიმტყვებელმა სიყვარულმა გადაფაროს ჩვენი არასწორი ურთიერთობები, თუ მათ ოდესმე ან რამენაირად ჰქონდა ჩვენს შორის ადგილი. „და ღმერთი სიყვარულისა და მშვიდობისა იყოს თქვენთან“ (2 კორ., 13, 11) სამარადისოდ. ამინ“.¹⁵⁶

ამ სიტყვებით დატოვა ამბროსი ხელაიამ დონის ეპარქია, უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებელი და სამშობლოსკენ გამოემართა. ეს მოხდა 1906 წ. 21 იანვარსა (როდესაც მამა ამბროსიმ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას უსტ-მედვედიცკაიას სტანიციდან თბილისამდე სამგზავრო თანხა მოსთხოვა)¹⁵⁷ და 14 თებერვალს შორის პერიოდში.

საქართველოში მისი დაბრუნება დროში დაემთხვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის გაშლილ ბრძოლას, ეპისკოპოსების კირიონისა და ლეონიდეს გამგზავრებას პეტერბურგში, უნმინდეს სინოდში, სადაც ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები იხილებოდა.¹⁵⁸ როგორც მოსალოდნელი იყო, მამა ამბროსი აქტიურად ჩაერთო ამ ბრძოლაში, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო. 1906 წ. 14 თებერვალს პეტერბურგში ეპ. ლეონიდესთან გაგზავნილ წერილში იგი ასე აყალიბებდა საკუთარ (და თანამოაზრეთა) პოზიციას: „დათმობა არაფრისა და რასაც ძალით მოგვცემენ, ვემორჩილებით მხოლოდ დროებით; როდესაც მოხერხებულ დროს ვნახავთ, ვეცდებით განვახორციელოთ, რაც პეტიციებშია ნათხოვნი“ – იგულისხმება სამღვდელთა მის მიერ მთავრობისთვის წარდგენილი პეტიციები ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, მათ შორის იმერეთის სამღვდელთა 1905 წ. 31 მარტის პეტიცია, საქართველოს ეპარქიის სამღვდელთა 1905 წლის 28-30 მაისის კრების გადაწყვეტილება,

155. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.24.

156. იქვე, ს.25.

157. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია). ეპისტოლური მემკვიდრეობა. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები, კომენტარები და საძიებლები დაურთო გოჩას საითიქემ. თბ., 2012, გვ. 66-67.

158. იხ.: წმ. მღვდელმონაქე კირიონ II და აფხაზეთი და სხვ.

ქართველი მღვდელმთავრების კირიონის (საძაგლიშვილი), ლეონიდეს (ოქროპირიძე), გიორგის (ალადაშვილი) და ექვთიმეს (ელიაშვილი) მიერ 1905 წ. 16 ნოემბერს ხელმწიფესთან გაგზავნილი მოხსენება და ა.შ. 14 თებერვლის წერილში ჩამოყალიბებულია მისი ავტორის პრინციპული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართული მხარე არ უნდა დაეთანხმოს ავტოკეფალიის საკითხის რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებაზე განხილვას, ვინაიდან იგი არ მიიღებდა სასურველ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, – წერდა მამა ამბროსი, – „კრებას არ ნაურთმევია ჩვენთვის ავტოკეფალური წესწყობილება ჩვენის ეკლესიისა და არც შეუძლია იმის მოცემა, რაც *de iure* უკვე გვაქვს, მხოლოდ ფაქტიურად ძალმომრეობამ წაგვართვა. ამიტომ წართმეულის დაბრუნება შეუძლია წამრთმელს ან ჩვენ თვითონ რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის მოსპობით, როგორც თქვენ ბრძანეთ თქვენს წარწერაში კომისიის (უნწ. სინოდთან არსებული – ჯ.გ.) პროტოკოლზე. ეს ჩემი და რამდენიმე პირის (დეკანოზები მარკოზ ტყემალაძე, კალისტრატე ცინცაძე და სხვ. – ჯ.გ.) პირადი აზრია და არ მიიღოთ მთლად საქართველოს სამღვდლოების აზრად.“¹⁵⁹ უწმ. სინოდთან არსებული საგანგებო საკრებულოს 1906 წლის 2 და 8 ივნისის სხდომებზე, მიუხედავად ამ საკრებულოს წევრის, ცხუმელი ეპისკოპოსის კირიონის ძალისხმევისა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. 1906 წ. 9 ივნისის საქართველოს ახალ ეგზარქოსად 46 წლის ნიკონი (სოფიისკი) დაინიშნა. კოსტრომის სასულიერო სემინარიისა (1882წ.) და პეტერბურგის სასულიერო აკადემიის (1887 წ. იქვე ბერად აღიკვეცა) დამთავრების (1888წ.) შემდეგ მსახურობდა პეტერბურგშივე სასულიერო სემინარიის ინსპექტორად, ვლადიმირის სასულიერო სემინარიის რექტორად (1891წ. 30 მარტიდან) არქიმანდრიტის ხარისხში აყვანით; იყო ვოლსკის ეპისკოპოსი და სარატოვის ეპარქიის ვიკარი (1896წ. 26 იანვრიდან), ნარვის ეპისკოპოსი და პეტერბურგის ეპარქიის ვიკარი (1899წ. 6 თებერვლიდან), ვიატკის ეპისკოპოსი (1901წ. 10 დეკემბრიდან), ვლადიმირისა და სუზდალის ეპისკოპოსი (1904 წ. 24 ნოემბრიდან). 1906წ. 6 მაისს არქიეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს.¹⁶⁰ იმავე წლის 9 ივნისის საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა, რაც უწმინდესი სინოდის მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე კიდევ ერთხელ და ძალიან მკაფიოდ უარის თქმას ნიშნავდა. 1906 წლის ზაფხულის განმავლობაში ქართული სამღვდლოების წარმომადგენლები ნიკონის დანიშვნასთან დაკავშირებით საპროტესტო დეპეშებს აგზავნიდნენ უწმ. სინოდში.¹⁶¹

ახალ ეგზარქოსს ამ „ურჩი“ სასულიერო პირების დასჯა ევალებოდა. 1906 წლის ზაფხულისთვის ავტოკეფალისტებმა საქართველოს ეპარქიიდან კიდევ ერთი „დანაშაული“ ჩაიდინეს, მიმართეს რა მეფისნაცვალს განცხადებით სიკვდილით დასჯის აკრძალვის შესახებ. განცხადებას ხელს აწერდნენ დეკანოზები მარკოზ ტყემალაძე, ნიკიტა თალაკვაძე, სოლომონ შოშიაშვილი, მღვდლები – იროდიონ გურგენიძე, ილია შუბლაძე, იროდიონ ბერიძე, ილარიონ ჯაში, ქრისტეფორე ციციქიშვილი, კონდრატე თათარიშვილი, პოლიევქტოს კარბელაშვილი, ვასილ კარბელაშვილი, გიორგი გამრეკელი, იონა ბრიხნიჩოვი და სხვები. ამ ფაქტის შესახებ მეფისნაცვალმა 1906 წლის 8 ივლისს უწმინდესი სინოდის ობერპროკურორს შეატყობინა. იმავე წლის 31 ივლისს აღნიშნული საკითხი უწმინდესმა სინოდმა განიხილა. სიკვდილით დასჯის აკრძალვის მოთხოვნა მან შეაფასა, როგორც „მთავრობის მოქმედებების წინააღმდეგ მემბოხური პროტესტის გამოხატვის სურვილი მოციქულური იმედების ამკარა დარღვევით“ (იგულისხმებოდა მოციქულ პეტრეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 13, 1 და 2); უწმინდესი სინოდი ალავერდელ ეპისკოპოსს პეტრეს (კონჭოშვილი) ავალებდა

159. გ.საითიძე. წამებული მშობელი ქვეყნისა და ეკლესიისათვის. – ისტორიანი. თბ., 2000, გვ. 92-93.

160. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.50632, ფ.105-113.

161. იქვე, ს.63851, ფ.6,7 და ა.შ.

განცხადების ავტორებისთვის მწყემსმთავრული დარიგების მიცემას და ღვთისმსახურების უფლების ჩამორთმევას იმათთვის, ვინც „დანაშაულს“ არ მოინანიებდა.¹⁶² 1906 წლის 24 აგვისტოს ეპისკოპოსმა პეტრემ უწმინდესი სინოდის დავალება ფორმალურად შეასრულა, მაგრამ ქართული სასულიერო პირების ნამდვილი დევნა ჯერ კიდევ წინ იყო და ის ეგზარქოს ნიკონის სახელს უკავშირდება.

არქიმანდრიტი ამბროსი იყო იმ „არაკეთილსაიმედო“, „ურჩ“ ღვთისმსახურთა შორის, ვინც ღიად გამოხატავდა უკმაყოფილებას ეგზარქოსის დანიშვნის გამო. უცხადებდა რა ახალ ეგზარქოსს ბოიკოტს, 1906 წლის 8 სექტემბერს ის არ გაჰყვა ნიკონს დიდუბის ეკლესიაში, სადაც მას წირვა უნდა ჩაეტარებინა. ამ ფაქტთან დაკავშირებით უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) იგონებდა, რომ მას შემდეგ, რაც სიონის ტაძრის კანდელაკმა ანტონ თოთიბაძემ უარი განუცხადა ნიკონს მასთან ერთად დიდუბის ეკლესიაში წასვლაზე, „ეგზარქოსმა ახლა არქიმანდრიტი (შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქი) ამბროსი, სინოდის კანტორის წევრი იხმო და შესთავაზა ერთად წასულიყვნენ დიდუბეში. მამა არქიმანდრიტმა უარი უთხრა. ეგზარქოსმა ჰკითხა:

- თქვენც ბოიკოტს აცხადებთ?
- დიახ!
- თქვენ ხომ მარტოხელა ბერი ხართ. კანდელაკს (თოთიბაძეს – ჯ.გ.) კი ბავშვები ჰყავს!
- მე სამი ბავშვი მყავს, მაგრამ ამის გამო როდი გეუბნებით უარს! თუ ბოიკოტია, ბოიკოტი იყოს!
- მაშ, ჩემს პლატონთან (მნესთან) ერთად წავალ. სიტყვამ მოიტანა და როგორ გგონიათ, დიდუბელები შემისვებენ ეკლესიაში?
- ვფიქრობ, მთლად უგუნურებად არ მიგაჩნვიან. თქვენ იქ მიდიხართ არა მარტო სასულიერო, არამედ საერო ძალაუფლებით აღჭურვილი, ჩვენ კი შეგვიძლია, განაწინ აღუდგეთ სამოქალაქო ხელისუფლებას; ჩვენ გარეგან ძალას ვემორჩილებით, ჩვენ ფიზიკური ძალის წინაშე უძღურნი ვართ!

- თქვენ მეტისმეტად გულახდილი ხართ! – დაამთავრა ლაპარაკი ეგზარქოსმა.¹⁶³ ქართული სამღვდელოება ბოიკოტს უცხადებდა ნიკონს, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სრულ დაუმორჩილებლობას. 1906წ. 1 სექტემბრიდან ეგზარქოსი მუდმივად ესწრებოდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომებს არქიმანდრიტ ამბროსისთან ერთად. ეს უკანასკნელი 1 სექტემბერს თავიდან არ მონაწილეობდა დღის წესრიგის რამდენიმე საკითხის განხილვაში, რაც არ იყო, ალბათ, შემთხვევითი. 1 სექტემბრიდან კანტორის ოქმებს, როგორც წესი, ხელს აწერდნენ ეგზარქოსი ნიკონი, ეპ. პეტრე (კონჭოშვილი) და არქიმანდრიტი ამბროსი.¹⁶⁴ ცხადია მას არ მოსწონდა, რომ ახალმა ეგზარქოსმა იმთავითვე დაიწყო რეპრესიები ავტოკეფალური მოძრაობის აქტივისტების, იმ სასულიერო პირების წინააღმდეგ, რომლებმაც ეგზარქოსის დანიშვნა და თბილისში ჩამოსვლა გააპროტესტეს. 1906 წლის 15 დეკემბერს მუშაობა შეწყვიტა უწმ. სინოდთან არსებულმა განსაკუთრებულმა სათათბირომ, რომელიც ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს იხილავდა. ეს იყო მხოლოდ ფორმალური განხილვა, რადგანაც იმპერატორის 1906წ. 11 აგვისტოს ბრძანებულებით, აღნიშნული საკითხი რუსეთის მომავალი, ჯერარდანიშნული საეკლესიო კრების მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო.

შექმნილი ვითარება ახალი ტაქტიკის შემუშავების აუცილებლობას მოითხოვდა. ამ მხრივ საინტერესოა ამბროსი ხელაიას, კალისტრატე ცინცაძისა (ძირითადი ავტორი)

162. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, ს. 63-852, ფ. 19-21, 29.

163. მნიგნობრობა ქართული, ტ.10. სასულიერო მწერლობა. კალისტრატე ცინცაძე, ნ. II. შემდგენელი მიხეილ ქავთარია. თბ., 2010, გვ. 336-337.

164. იქვე, ს.63849, ფ.194-235, 250-280, 309, 329 და ა.შ.

და ანტონ თოთიბაძის მიერ შექმნილი ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი „რა ტაქტიკას უნდა მისდიოს ქართულმა სამღვდელთა მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენისას?“¹⁶⁵ იგი შეიქმნა პრინციპულად ახალ ვითარებაში, როდესაც საერთოდემოკრატიული მოძრაობა რუსეთში დასუსტდა, იმდღავრა რეაქციამ და ხელისუფლების მხრიდან ავტოკეფალიაზე უარის თქმა გარანტირებული იყო. დოკუმენტის ავტორებმა გაითვალისწინეს აგრეთვე მოსალოდნელი საფრთხეებიც – სოხუმის ეპარქიის შესაძლო გამოყოფა, ფილეთიზმი და ა.შ. ისინი რეალურად აფასებდნენ შექმნილ სიტუაციას და მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისთვის უფრო ხელსაყრელი სასტარტო პირობების შექმნას ისახავდნენ მიზნად.

მამა ამბროსის და მის თანამოაზრეებს მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო ჯერ ეკლესიის განთავისუფლება საერო ხელისუფლების (ობერპროკურორის) დიქტატისაგან და მხოლოდ ამის შემდეგ ქართული და რუსული ეკლესიების გამიჯვნა; არჩევითობის პრინციპის აღდგენა, რუს ხალხთან და მის ეკლესიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება; რუსეთის საეკლესიო კრებაზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განხილვაზე უარის თქმა, რადგანაც იგი აუცილებლად უარყოფით გადამწყვეტილებას მიიღებდა და ამ გზით ქართული ეკლესიის მხოლოდ დე-ფაქტო უფლებობას დე-იურედ აქცევდა; გარკვეულ დრომდე ავტოკეფალიის საკითხის ღიად დატოვება (და არა მასზე უარის თქმა); ეკლესიის ეროვნული პრინციპით დაყოფის (ფილეთიზმი) ვერაგული გეგმების ჩაშლა; ისტორიული საქართველოს საკათალიკოსოს კანონიკურ ტერიტორიაზე ფართო ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი ცალკე სამიტროპოლიტოს შექმნა ხუთი ეპარქიის (აფხაზეთ-სამეგრელოს, იმერეთ-გურია-სვანეთის, ქართლი-ახალციხის, კახეთ-ზაქათალის და მცხეთა-თბილისის) შემადგენლობით.

ამბროსი ხელაიასა და მის თანამოაზრეთა მიერ ახალ ვითარებაში წამოყენებული ტაქტიკური გეგმა საკმაოდ შორსმჭვრეტელოური გახლდათ. როგორც უკვე ითქვა, აღნიშნული გეგმის წამოყენება მოხდა არა ავტოკეფალიისთვის აქტიური ბრძოლის მიმდინარეობისას, არამედ მისი პირველი ეტაპის წარუმატებლად დასრულებისა და რეაქციის გამარჯვების პირობებში, როცა აუცილებლობა მოითხოვდა საბოლოო მიზნისკენ მიმავალი შუალედური ნაბიჯების გადადგმას. მსგავს შუალედურ ვარიანტზე მსჯელობა ადრეც ყოფილა. ასე, მაგალითად, როცა ილია ჭავჭავაძე და გიორგი ჟურული 1905-1906 წლების მიჯნაზე უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს ა.ობოლენსკის შეხვდნენ და მასთან ქართული ეკლესიის პრობლემებზე ისაუბრეს, არჩევით ეგზარქოსზე თანახმანი იყვნენ.¹⁶⁶ გარდამავალი პერიოდისთვის ეს იდეა არც კირიონისა და ლეონიდესთვის იყო მიუღებელი.¹⁶⁷ 1906წ. 2 იანვარს პეტერბურგიდან ი.ჩიჯავაძისთვის გამოგზავნილ წერილში ეპ. კირიონი წერდა: „ახლა აქ არიან საქართველოს უკეთესი წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. აგრეთვე აქ არის დ.ზ. მელიქიშვილი. კერძო კრებები ექნებათ, რა თქმა უნდა, აქაურ ქართველებს და რასაც გადასწყვიტავენ, ჩვენ იმას უნდა დავადგეთ. ქართველობას გადაუნწყვეტია ჯერ-ჯერობით ქართველი ეგზარქოსი-მიტროპოლიტის დანიშვნაზედაო, თუმცა ყველას გულში კათალიკოსობის აღდგენა სურს.“¹⁶⁸ ამგვარ მოსაზრებას თუ ჰქონდა არსებობის უფლება 1906 წლის იანვარში, მით უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო იგი იმავე წლის ბოლოსთვის. მიუხედავად ამისა, როგორც უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) იგონებდა, ახალი ტაქტიკური გეგმა საზოგადოების ნაწილმა ავტოკეფალიაზე უარის თქმად აღიქვა. მათ შორის ყოფილა პროფესორი ა.ცაგარელი, რომელმაც მხოლოდ კალისტრატე ცინცაძესთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ შე-

165. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.173-180.

166. წმ. მღვდელმონაშე კირიონ II და აფხაზეთი, გვ.440.

167. იქვე, გვ.111, 113 და ა.შ.

168. იქვე, გვ.93.

იცვალა მოსაზრება ამ საკითხზე.¹⁶⁹

დიდია მამა ამბროსის დამსახურება არა მხოლოდ ავტოკეფალიისთვის ბრძოლაში, არამედ რუსული შოვინისტურ-ასიმილაციური პოლიტიკის მხილებაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი ნაშრომი „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“ („პო პოვოდუ სტატიი „გოლოს იზ სუხუმა“), რომელიც XX ს. დასაწყისის ქართული პუბლიცისტიკის უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს. იგი 1906 წლის მარტში დაინერა და მალევე გამოქვეყნდა ჟურნალში „დუხოვნი ვესტნიკ გრუზინსკოგო ეკზარხატა“ (1906, 10-15 მაისი №9-10), იმავე წელს გამოიცა ცალკე ბროშურადაც. ნაშრომი მიმართულია ი. ვოსტორგოვის მიერ „რუსი“-ს ფსევდონიმით გაზ. „კოლოკოლ“-ში (1906, №45) გამოქვეყნებული წერილის „გოლოს იზ სუხუმა“-ს წინააღმდეგ. ამ პროვოკაციული წერილის შოვინისტი ავტორი აპროტესტებდა ცხუმის კათედრაზე ქართველი მღვდელმთავრის – ეპ. კირიონის დანიშვნას, რაშიც მან სოხუმის ოკრუგში რუსული იმპერიული პოლიტიკის დამარცხების საფრთხე დაინახა. 1906წ. 8 მარტის წერილში ეპ. კირიონისადმი არქიმანდრიტი ამბროსი მიესალმებოდა სოხუმის ეპისკოპოსად მის დანიშვნას და წერდა, რომ ამ აქტმა ძლიერ გაახარა ქართული სამღვდლოება, მაგრამ „პოლიტიკანებს, როგორც ეტყობა, ლახვრად დაესო გულში“. მას მხედველობაში ჰქონდა ი.ვოსტორგოვის ზემოხსენებული წერილი „კოლოკოლ“-ში. „იმედია ღირსეულ პასუხს გასცემთ. – შეიძლება თქვენს შემდეგ მეც რამე მოვახსენო ამ ხულიგნურ წერილის ავტორს“,¹⁷⁰ – ნათქვამია მამა ამბროსის წერილში. სამი კვირის შემდეგ (31 მარტს) ცხუმელი ეპისკოპოსი მღვდელ ი.ჩიჯავაძისგან ასეთ ინფორმაციას იღებს: „დღეს ამბროსიმ წამიკითხა სტატია პასუხათ კოლოკოლისა შენზე „გოლოს იზ სუხუმა“. საუცხოვო რამ არის. ისეთი საბუთები მოჰყავს, რომ უკეთესი არ იქნება... როცა ჩამოხვალ, აქ წაგიკითხამთ.“¹⁷¹

სოხუმში ეპ. კირიონი პირველად 1906 წლის აღდგომის წინაღვეს – 1 აპრილს ჩამოვიდა, ხოლო იმავე თვის ბოლოს თბილისის გავლით კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისში ყოფნისას, იგი გაეცნო ამბროსის ნაშრომის ხელნაწერს. „პო პოვოდუ სტატიი „გოლოს იზ სუხუმა“¹⁷² შეიცავს საფუძვლიან, არგუმენტირებულ კრიტიკას რუსული იმპერიალისტური, შოვინისტური საეკლესიო და სახელმწიფო პოლიტიკისა, რომელიც, ამბროსის აზრით, ვერა თუ ვერ აღწევდა მიზანს, უკუშედეგებს იძლეოდა. ვინაიდან რუსეთის პოლიტიკის არსი საქართველოს მიმართ 1906 წელთან შედარებით დიდად არ შეცვლილა, ამ პოლიტიკის ამბროსი ხელაიასეული კრიტიკა უაღრესად თანამედროვედ ჟღერს. მისი გაცნობა და ღრმად გააზრება სასარგებლო იქნება როგორც ქართული, ისე განსაკუთრებით რუსული საზოგადოებისთვის, სასულიერო, პოლიტიკური და სამეცნიერო წრეებისთვის.

არქიმანდრიტი ამბროსი მალე იქცა მნიშვნელოვან ფიგურად საქართველოში, საერთოეროვნული მასშტაბის სასულიერო და საზოგადო მოღვაწედ, ქართველი ხალხის ერთ-ერთ წინამძღოლად ეკლესიური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში. როგორც რაფიელ ივანიცკი წერდა, ის იყო არა ცალმხრივი ეკლესიური მოღვაწე, არამედ იმავდროულად „თვალსაჩინო პოლიტიკურ ინტერესსაც იჩენდა, განსაკუთრებით ეს შესახებ საქართველოს სქმეთა... ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ის – მაშინ უბრალო არქიმანდრიტი – გვევლინება ფიგურად, რომლის ირგვლივ თავს იყრის მთელი მოწინავე და განათლებული ქართველი სამღვდლოება“ (აქვე, დოკ. №81). ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მისთვის იყო არა ბრძოლის საბოლოო მიზანი, არამედ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების

169.კ. ცინცაძე. ჩემი მოგონებები. თბ., 1907, გვ.173.

170. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.169-170.

171. წმ. მღვდელმონაწამე კირიონ II და აფხაზეთი, გვ.134.

172. ამ ნაშრომის შესახებ იხ.: ნ.პაპუაშვილი. ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში. „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“. თბ., 2005; წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.75-78, 440-485.

წინაპირობაც. 1907 წლის 8 სექტემბერს სიონის ტაძარში ილია ჭავჭავაძის ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში იქ დამსწრე საზოგადოებას მან მოუწოდა, „შეეფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმსრულებლები იმ ცნებებისა, რომელიც განსვენებულმა თავისი მოღვაწეობით გვიანდერდა ჩვენ“ (აქვე, დოკ. №11). ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ წმ. აღმსარებელი ამბროსი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა წმ. ილია მართლის „ცნებების“ განხორციელებისთვის ერთ-ერთ ყველაზე თანმიმდევრულ და თავგანწირულ მებრძოლად.

მამა ამბროსი ზედმინვენით ასრულებდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრის მაღალ და საპატიო მოვალეობას, ასევე მრავალ სხვა დავალებას. 1906წ. 3 მარტს ეგზარქოსის მიერ ის ინიშნება საქართველოს ეპარქიის დავრდომილ სასულიერო პირთა სამზრუნველოს თავმჯდომარედ.¹⁷³ სამზრუნველოს წევრები იყვნენ დეკანოზი სოლომონ შოშიევი (შოშიაშვილი), მღვდლები ალექსანდრე სიმონოვი, მიხეილ მახათაძე, პოლიევქტოს კარბელაშვილი, გიორგი გამრეკელი და ალექსი დავითაშვილი (მდივანი). იმავე წლის 9 მაისს არქიმანდრიტი ამბროსი საქართველოს ეპარქიის საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრი და თავმჯდომარის თანაშემწე (მოადგილე) გახდა. საეკლესიო მუზეუმი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა უძველესი საეკლესიო ნაშთების (ხელნაწერების, ძველი წიგნების, გუჯრების, ნივთების და ა.შ.) შეგროვება-შენახვაში, აღწერა-კატალოგიზაციაში და, რაც მთავარია, შესწავლაში, რუსეთში ქრისტიანობის მიღების 900 წლისთავის აღსანიშნავად 1888 წლის 15 ივნისს შეიქმნა. მუზეუმის კომიტეტის თავმჯდომარეები სხვადასხვა დროს იყვნენ დ. ბაქრაძე (დაარსებიდან 1890წ. 10 თებერვლამდე), არქიმანდრიტი ნიკოლოზი (1890-1895წწ.), დეკ. გრ. პეტრიაშვილი (1895-1897წწ.), არქიმანდრიტი ლეონიდე ოქროპირიძე (1897წ. 1 მაისი – 1898წ. 14 ოქტომბერი), ეპ. კირიონი (1898-1902 წლის 31 მაისი), ეპ. დიმიტრი აბაშიძე (1902წ. 31 მაისი – 1904წ. 25 თებერვალი), ეპ. ექვთიმე ელიაშვილი (1904წ. 26 ნოემბერი – 1905წ.), ეპ. პეტრე კონჭოშვილი (1905-1909წ. 7 თებერვალი), ეპ. დავით კაჭახიძე (1909-1911წწ.), ეპ. ანტონ გიორგაძე (1912 წლის მაისიდან).¹⁷⁴ ალავერდელი ეპისკოპოსი პეტრე, მართალია, 1905 წლის დასაწყისიდან ასრულებდა მუზეუმის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას, მაგრამ სრულყოფილებიანი თავმჯდომარე 1906 წლის 9 მაისიდან გახდა. სწორედ მან წარუდგინა კომიტეტის წევრებს არქიმანდრიტი ამბროსის კანდიდატურა. საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის 9 მაისის სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

„მოისმინეს: კომიტეტის ახლადდანიშნული თავმჯდომარის წინადადება მუზეუმის წევრებად არჩევის შესახებ: საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი არქიმანდრიტი ამბროსისა მასზე კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწის მოვალეობის დაკისრებით ნაცვლად არქიმანდრიტი გიორგისა, ამჟამად გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისა, დეკანოზების: ნიკიტა თალაკვაძისა და კორნელი კეკელიძისა, მღვდლების ილარიონ ჯაშისა, ქრისტეფორე ციციქიშვილისა და სასულიერო სასწავლებლის პედაგოგის შ. შიუკოვისა.

ცნობა: საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრთა რაოდენობა, მოქმედი წესდების მიხედვით, შეზღუდული არ არის.

დაადგინეს: ეთხოვოს ყოვლადსამღვდელო ნიკოლოზს, საქართველოს ეგზარქოსს, მუზეუმის კომიტეტის წევრებად დაამტკიცოს ამ მუხლში მოხსენიებული პირები, რომელთა შორის არქიმანდრიტი ამბროსი – კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწედ“.¹⁷⁵ 1907-1908 წლებში საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის მუშაობაში ეპ. პეტრესთან და არქიმანდრიტ ამბროსისთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ

173. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.165.

174. სცსსა, ფ.1471, აღწ.1, ს.4, ფ.1-2, 8.

175. იქვე, ს.13, ფ.335-335ა.

ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე, სერგი გორგაძე, ილია ფერაძე, მოსე ჯანაშვილი (მუზეუმის გამგე), იოსებ ჩიჯავაძე, პედაგოგი დავით კარიჭაშვილი, ანტონ თოთიბაძე, პოლიევქტოს კარბელაშვილი. საეკლესიო მუზეუმის წევრები იყვნენ აგრეთვე ნიკოლოზ მახათაძე, ვასილ კარბელაშვილი, მარკოზ ტყემალაძე, დავით ლამბაშიძე, დავით ხელაევი, მელიტონ ჩოგოვაძე, იოსებ სანებლიძე, ვასილ ბარნოვი, ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეები, გრიგოლ დიასამიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, თედო ჟორდანიას, მელიტონ კელენჯერიძე, დიმიტრი ხახუტოვი, ა. ნატროშვილი, ბ. ესაძე, ილარიონ ჯაში, ს.რცხილაძე, სიმონ ჯაჯანიძე, გ. გამრეკელი, ა. ქუთათელაძე. მუზეუმის საპატიო წევრებად ითვლებოდნენ ცხუმელი ეპისკოპოსი კირიონი, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, აგრეთვე ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, ნ. კონდაკოვი, ნ. პოკროვსკი და ნ. პეტროვი.¹⁷⁶ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის გადამწყვეტილებით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ არქიმანდრიტ ამბროსის თავმჯდომარეობით 1907 წლის იანვრისთვის შეიმუშავა „ინსტრუქცია საქართველოს ეპარქიის სამღვდლოების საეკლესიო მუზეუმის გამგისთვის, კომიტეტის მდივნისთვის და კომიტეტის ხაზინადარისთვის.“¹⁷⁷ გარდა ამბროსისა, ინსტრუქციას ხელს აწერდნენ კორნელი კეკელიძე, ქრისტეფორე ციციქიშვილი, სერგი გორგაძე და დავით კარიჭაშვილი.

არქიმანდრიტი ამბროსი 1906 წ. 10 სექტემბრიდან დაინიშნა სამღვდლო, სადიაკონო და სამედავითნო კანდიდატთა გამომცდელი კომისიის, 1907 წლის 29 ოქტომბრიდან – მცხეთის საპატრიარქო ტაძრის აღმდგენი კომიტეტის წევრად. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებული ნებისმიერი მოვალეობის შესრულებას. 1907 წლის 30 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ არქიმანდრიტი ამბროსის თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრის მოვალეობის დროებითი შესრულება დაავალა და ამ მოვალეობასაც იგი პირნათლად ასრულებდა იმავე წლის სექტემბრის ბოლომდე – მონასტრის წინამძღვრად ნოვოჩერკასკის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ დავითის (კაჭახიძე) დანიშვნამდე.¹⁷⁸ ამასთანავე, ამბროსის გამგებლობის ქვეშ იყო იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ოქმებში დაცულია მისი მოხსენებები და სხვა მასალები მონასტრის შემოსავლების, მისი კუთვნილი მიწების არენდატორებთან ურთიერთობების შესახებ.¹⁷⁹ ამბროსი იყო მონასტერთან არსებული სოფ. ხაშმის (საგარეჯოს რ-ნი) სკოლის გამგე და ამ სკოლის ხარჯებით დაარსებული ჭრა-კერვის სკოლის ხელმძღვანელიც. 1908 წლის 29 თებერვალს ეგზარქოსმა ნიკონმა საქართველოს ეპარქიის სასწავლო საბჭოს წარდგინებით აღნიშნულ სკოლაში განეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის მამა ამბროსი მწყემსმთავრული კურთხევით და მადლობით დააჯილდოვა შესაბამისი სიგელის გადაცემით.

არქიმანდრიტ ამბროსის ინიციატივით საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ 1907 წ. 22 მარტს მიიღო გადაწყვეტილება საეგზარქოსოს ეკლესიებისთვის ბლანკების, სამეტრიკო წიგნების და სხვა დოკუმენტაციის ქართულ ენაზე დამზადების შესახებ. იმავე წლის 4 აპრილს კანტორამ მიიღო კიდევ ერთი გადაწყვეტილება ამ საკითხზე, რომელიც სტამბის შერჩევას, ბლანკების ტირაჟისა და მისი ღირებულების განსაზღვრას შეეხებოდა. პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე არქიმანდრიტ ამბროსის დაეკისრა.¹⁸⁰ ის იყო კანტორის ყველაზე საქმიანი, აქტიური და დისციპლინირებული წევრი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა

176. იქვე, ს.1, ფ.352-355, 373-374, 385; Кавказский Календарь на 1907год. Тб., 1906, გვ.292; იქვე на 1908 год. Тб., 1907, გვ.292.

177. სცსსა, ფ.1471, აღწ.1, ს.1, ფ.349-350; ს.13, ფ.363-370, 380-381.

178. იქვე, ფ.489, აღწ.1, ს.63892, ფ.529, ს.63894, ფ.256.

179. იქვე, ს.63891, დოკ.№653; ს.63892, ფ.525, 526.

180. იქვე, ს.63892, ფ.523.

სინოდალური კანტორის გადანყვეტილების მიღება 1907 წლის იანვრიდან არქიმანდრიტ ამბროსისთვის კანტორის შემოსავლებზე და მათ ხარჯვაზე ზედამხედველობის უფლების მინიჭების შესახებ. 1907წ. 25 იანვარს მას ეცნობა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შემდეგი გადანყვეტილების შესახებ:

„ამავე კანტორის წევრს არქიმანდრიტ ამბროსის! მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებულებით, უწმინდესი მართებელი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორამ მოისმინა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის სიტყვიერი წინადადება კანტორის ერთ-ერთი წევრისთვის სინოდალურ კანტორაში ფულად ნაწილზე ზედამხედველობის დაკისრების სასურველობისა და სარგებლიანობის შესახებ. ცნობის მიხედვით, ვბრძანებ:

მიგვაჩნია, რა მაღალყოვლადუსამღვდელოესი საქართველოს ეგზარქოსის მიერ გამოთქმული მოსაზრებები უალრესად სასარგებლოდ კანტორის ფულადი მეურნეობის მოსაწესრიგებლად და მასზე უფრო სწორი კონტროლის დასაწესებლად, სინოდალურმა კანტორამ 1907წ. 10 იანვარს განაჩინა: დაგვეალოთ თქვენ მიმდინარე 1907 წლიდან სპეციალური ზედამხედველობის დაწესება კანტორის ფულად ნაწილზე და აქვე თანდართული სანიშნო №3 ფორმის (საქმეში არ არის – ჯ.გ.) შესაბამისად განსაკუთრებული საბუღალტრო წიგნის შემოღება ყოველდღიური ჩანაწერების გაკეთებით ფულის მიმოქცევის თაობაზე შემოსავლებისა და გასავლების მიხედვით, მათი დანაწილებით ცალკე რუბრიკებად თუ განყოფილებებად ქართული საეკლესიო ხაზინის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის პარაგრაფებისა და მუხლების შესაბამისად; გეძლევათ უფლება ამ ბრძანებულების შესრულებისას თავიდან წარმოქმნილი სიძნელებისა და უხერხულობების თაობაზე, აგრეთვე გამოცდილების გათვალისწინებით ჩანაწერების აღნიშნული ფორმის შეცვლის შესახებ საჭიროებისამებრ მოახსენოთ სინოდალური კანტორის კრებას. საქმისწარმოების დარგში კი, კანტორის პროკურორთან თქვენი შეთანხმებით, თქვენს განკარგულებაში დაინიშნოს ცალკე მწერალი კანცელარიიდან. რაზეც გადმოგეცათ ეს ბრძანებულება შესასრულებლად“.¹⁸¹

არქიმანდრიტმა ამბროსიმ ამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობასაც ისე გაართვა თავი, რომ ერთი შენიშვნაც კი არავისგან მიუღია. ზემოთ უკვე ითქვა, რომ როგორც საფინანსო საკითხებში მეტად კომპეტენტური, ამავე დროს უალრესად პრინციპული და პატიოსანი პიროვნება დაინიშნა იგი 1907 წ. 29 ოქტომბერს მცხეთის საპატრიარქო ტაძრის აღმდგენი კომიტეტის წევრად. ამ ისტორიული ტაძრის აღსადგენად წლების მანძილზე მთელს რუსეთის იმპერიაში შეგროვილმა შემოწირულობებმა 1905 წლისთვის 84000 ვერცხლის მანეთი შეადგინეს. მაგრამ ეს საკმაოდ სოლიდური თანხა სინოდალური კანტორის ხაზინადარის ალექსანდრე არდაზიანის მიერ იქნა გაფლანგული. ამის თაობაზე 1906 წ. სექტემბერში ჩატარებული რევიზიის მასალების საფუძველზე უწმ. სინოდმა 1906წ. 20 დეკემბერს მიიღო გადანყვეტილება ა.არდაზიანის საქმის სასამართლოსთვის გადაცემის თაობაზე (ა.არდაზიანის საქმე უწმინდესმა სინოდმა განიხილა აგრეთვე 1907წ. 24 აგვისტოს და 21 დეკემბერს). 1907წ. 22 იანვარს კი უწმ. სინოდმა განიხილა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1906წ. 15 დეკემბრის შუამდგომლობა მცხეთის ტაძრის გადაუდებელი რემონტისთვის (სახურავის შესაკეთებლად) საჭირო თანხის (დაახლოებით 30 ათას მანეთზე მეტი) გამოყოფის შესახებ და ზუსტი ხარჯთაღრიცხვის წარდგენა მოითხოვა. ასეთი ხარჯთაღრიცხვის წარდგენის შემდეგ უწმინდესმა სინოდმა 1907წ. 15 სექტემბერს მიიღო გადანყვეტილება იმპერატორის იმავე წლის 4 აგვისტოს ბრძანების შესასრულებლად მცხეთის ტაძრის რემონტისთვის 36633 მანეთის გამოყოფის შესახებ. აქედან 31624 მანეთი უშუალოდ ტაძრის აღმდგენ კომიტეტს გადაეცა.¹⁸² ყოველივე ამის შემდეგ

181. იქვე, ს.63892, ფ.568-568ა.

182. იქვე, ს.63891, დოკ.№243, 2874; ს.63911, ფ.16; ს.63978, ფ.1-3.

საჭიროდ ჩაითვალა ფინანსურ საკითხებში კომპეტენტურობითა და პატიოსნებით გამორჩეული ამბროსი ხელაიას მცხეთის ტაძრის აღმდგენ კომიტეტში დანიშვნა.

ავტოკეფალისტთა სასტიკი დევნის პირობებში ეგზარქოსი ნიკონი მათ დამოშმინებასაც ცდილობდა. სწორედ ამ მიზნით, 1907წ. 18 იანვარს უწმ. სინოდს მან წარუდგინა მოხსენება საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებში საეკლესიო ქართული ენისა და გალობის სწავლების გაძლიერების შესახებ, როგორც ამას ითვალისწინებდა უწმ. სინოდის 1906 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულება.¹⁸³ საჭირო გახდა შესაბამისი საეკლესიო წიგნების გამოცემა. 1907წ. 5 ნოემბერს სინოდალურმა კანტორამ ეგზარქოს ნიკონის თავმჯდომარეობით, ეპისკოპოსების ლეონიდე ოქროპირიძის (იმერეთის), გიორგი ალადაშვილის (გურია-სამეგრელოს), პეტრე კონჭოშვილის (გორის), გრიგოლ ვაჩნინის (ბაქოს), კანტორის წევრების არქიმანდრიტ ამბროსის, დეკ. მარკოზ ტყემალაძის, მოსკოვის სინოდალური ტიპოგრაფიის მმართველის ს.ვოიტას, კანტორის პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის ს. მგალობლიშვილის და სხვათა მონაწილეობით მოისმინა უწმ. სინოდის 1907წ. 29 სექტემბრის ბრძანებულება ბიბლიისა და სხვა საღვთისმეტყველო წიგნების ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ. სხდომის მონაწილეებმა უწმ. სინოდის ამ ბრძანებულების შესრულება „გადაუდებლად აუცილებელ“ საქმედ აღიარეს. შეიქმნა სპეციალური კომისია ეპ. პეტრე კონჭოშვილის (რომელსაც ბიბლიის ქართულ ტექსტზე მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა) თავმჯდომარეობით. იმავე სხდომამ გადაწყვიტა კომისიის შემადგენლობაში კანტორის შტატგარეშე წევრების სტატუსით დამატებით შეიყვანონ დეკ. კორნელი კეკელიძე, მღვდ. პოლიევქტოს კარბელაშვილი; კომისიის წევრობის კანდიდატებად დაამტკიცეს დეკ. ნიკიტა თალაკვაძე, მღვდლები კალისტრატე ცინცაძე და გიორგი გამრეკელი.¹⁸⁴ 1908 წლის 22 აპრილს უწმ. სინოდმა წარმოდგენილი კანდიდატურები დაამტკიცა (გარდა ნასამართლევი პ.კარბელაშვილისა).¹⁸⁵

როგორც ირკვევა, ცბიერ ეგზარქოსს სულაც არ ჰქონია მიზნად ქართულ ენაზე ზრუნვა, სასულიერო სასწავლებლებში საეკლესიო ქართული ენისა და გალობის სწავლების გაძლიერება. ამაზე მიუთითებს მისი 1908 წლის 20 იანვრის წერილი პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონისადმი (ვადკოვსკი); მასში საუბარი იყო 1907 წლის 12 დეკემბერს გამართულ ეპარქიების სამღვდლოების ყრილობის შესახებ, რომლის მუშაობას ეგზარქოსი თურმე ყოველნაირად ზღუდავდა. „სამღვდლოებამ დაადგინა, – წერდა ნიკონი, – სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნები ქართულად ესწავლებინათ, მაგრამ ამ საქმეს ნამდვილად ვერ განახორციელებდნენ, ვინაიდან..., რაც მთავარია, სახელმძღვანელოების შესადგენად ან სათარგმნელად არ არსებობს ენა, რაზეც უწმინდეს სინოდს საგანგებოდ მოვასხენებ. მე ადრე განვჭვრიტე ეს და ვამბობდი, ქართველები ქართულ ენაზე ღვთისმეტყველების სწავლების საკითხის გადაწყვეტისას სრულ ბანკროტს განიცდიან და იძულებულნი იქნებიან რუსეთის სასულიერო მთავრობა არ დაადანაშაულონ, რომ იგი ქართველებს ქართულ ენაზე სწავლის ნებას არ აძლევს და არ ამზადებს მწყემსთ, რომელთაც ქართულ ენაზე სწავლება შეეძლება. მათ რომც მიეცეთ ნება ქართულ ღვთისმეტყველებაში ვარჯიშისა, საქმე მაინც უნდა განვაგრძოთ ისე, რომ სრულებით არ გადავცდეთ სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს. შეიძლება, როგორც, უწმინდესი სინოდის სახელზე დაწერილ მოხსენებაში ვამბობ, სემინარიას, რადგან იქ ეროვნულ ენაზეა სწავლა, ალექსეითოს სახელმწიფო ხაზინის დახმარება და მინიჭება უფლებებისა, რომელთაც იგი აძლევდა თავის აღზრდილებს, როცა მთლიანად რუსული იყო. მაშინ ქართველები მოინანიებენ, რაც ჩაიდინეს, ტირილით მოითხოვენ გულმონყალებას

183. წმ. მღვდელმონაქო კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 177-181.

184. სცსსა, ფ.489, აღნ.1, ს.63894, ფ.263-265.

185. იქვე, ს.63974, დოკ.№1199.

და ხელს აიღებენ თავიანთ ეროვნულ მისწრაფებებზე, იმის დაბრუნების თხოვნაზე, რაც ჰქონდათ. მათთან მოსარიდებელი არაფერი გვაქვს, ვინაიდან ისე ვძულვართ ჩვენ, რუსები, უკაცრაული პასუხია, როგორც აყროლებული ძალები“.¹⁸⁶ ძალიან ძნელია რაიმე კომენტარი გაუკეთო ნიკონის ამ ამაზრზენ წერილს, რომელიც მთლიანად ამხელს და ბოლომდე აშიშვლებს არა მხოლოდ მისი ავტორის გეგმებს, არამედ უწმინდესი სინოდის ქართველებისადმი სიძულვილით გამსჭვალულ პოლიტიკას.

ნიკონის 1908 წ. 20 იანვრის ზემოთმოტანილი წერილის სულისკვეთების გათვალისწინებით, უწმინდესი სინოდი აგრძელებდა ქართველებზე „ზრუნვას“. 1908 წლის 7 მაისის ბრძანებულებით, უწმ. სინოდმა დააკმაყოფილა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შუამდგომლობა სასულიერო-რელიგიური წიგნების ქართულ ენაზე გამოსაცემად კანტორასთან საცენზურო კომიტეტის დაფუძნების შესახებ. კომიტეტი ყალიბდებოდა სამი წევრისგან, რომლებიც სინოდალური კანტორის მიერ ინიშნებოდნენ. 1908 წლის 21 მაისს კანტორამ განიხილა უწმ. სინოდის აღნიშნული ბრძანებულება და დააფუძნა საცენზურო კომიტეტი საეკლესიო და სასულიერო-რელიგიური წიგნების ქართულ ენაზე გამოსაცემად. კომიტეტის თავმჯდომარედ ალავერდელი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) დაინიშნა, წევრებად – არქიმანდრიტი ამბროსი და დეკ. მარკოზ ტყემალაძე, მდივნად – კანტორის კანცელარიის თანამშრომელი მიხეილ მონასელიძე. იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპისკოპოსებს, ეცნობათ რა საცენზურო კომიტეტის დაფუძნების შესახებ, დაევაღათ თვალ-ყური ადვენონ სასულიერო-პერიოდულ გამოცემებს და აცნობონ კანტორას, ვის ევალება აღნიშნულ ეპარქიებში ქართულ ენაზე გამოცემული საეკლესიო და სასულიერო-რელიგიური წიგნების ცენზურირება.¹⁸⁷ კანტორის ამ გადაწყვეტილებას ხელს აწერდნენ ეგზარქოსი ნიკონი, არქიმანდრიტი ამბროსი და დეკ. მარკოზ ტყემალაძე. ეპარქიებმა ცნობად და სახელმძღვანელოდ მიიღეს კანტორის გადაწყვეტილება; მხოლოდ სოხუმის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (სპეროვსკი), რომელიც აფხაზეთში ყოველივე ქართულის ამოძირკვას ცდილობდა, 1908 წ. 16 ოქტომბერს სინოდალურ კანტორას აცნობა, რომ „სოხუმის ეპარქიაში არავითარი რელიგიურ-ზნეობრივი წიგნები და პერიოდული გამოცემები ქართულ ენაზე არ იბეჭდება და ამის აუცილებლობა მოსალოდნელი არ არის.“ ამიტომ მან უარი თქვა ეპარქიაში ცენზორის დანიშვნაზე.¹⁸⁸

1906 წ. მეორე ნახევრიდან ქართულ სამღვდელოებას საკმაოდ მძიმე პირობებში უბედობდა მოღვაწეობა. ვითარება განსაკუთრებით გართულდა ეგზარქოს ნიკონის (სოფიისკი) დანიშვნისა (1906 წ. 9 ივნისი) და იმავე წლის დეკემბერში უწმ. სინოდში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის საბოლოოდ ჩავარდნის შემდეგ. ახალი ეგზარქოსი თანდათანობით შეუდგა იმ სასულიერო პირების დევნა-შევიწროებას, ვინც გამოხატა პროტესტი მის დანიშვნასთან დაკავშირებით, ვინც მტკიცედ ერთგულობდა ავტოკეფალიის იდეას. ნიკონის დანიშვნამდე ორი დღით ადრე – 1906 წლის 7 ივნისს – წმ. მღვდელმონაშე კირიონი პეტერბურგიდან წერდა: „ვლადიმირის მთავარეპისკოპოსი ნიკონი სინოდს დაუბარებია. კომისიაში ერთმა დეკანოზმა იმის შესახებ სთქვა: „ნიკონი სასტიკი კაცი“.¹⁸⁹ საქართველოს ახლადდანიშნულმა ეგზარქოსმა თავისი საქმიანობით დაადასტურა, რომ ის იყო არა მხოლოდ სასტიკი, არამედ ვერაგი და ცბიერი პიროვნება. ეგზარქოსის დანიშვნით გამოწვეული საყოველთაო უკმაყოფილების ფონზე მან მოახერხა ქართული სამღვდელოების რწმუნებულთა კრების მოწვევა და მისთვის მეტ-ნაკლებად სასურველი გადაწყვეტილებების მიღება. კრება 1906 წ. 12-14 ოქტომბერს თბილისში გაიმართა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ეპისკოპოსები კირიონი (საძაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), გიორგი (ალა-

186. მწერლობა ქართული, ტ.10, ნ.11, გვ. 363-366.

187. იქვე, დოკ. №1237.

188. იქვე, დოკ. №2762.

189. წმ. მღვდელმონაშე კირიონ II და აფხაზეთი, გვ.155.

დაშვილი), პეტრე (კონჭოშვილი) და დელეგატები ეპარქიებიდან. კრებამ დაადგინა: „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტამდე ვიქონიოთ ადმინისტრაციულ-სამსახურებრივი ურთიერთობა საქართველოს ეგზარქოსთან“ იმ პირობით, რომ შემოღებული იქნებოდა ბლალორინების არჩევითობა, ხოლო საეგზარქოსოს ფარგლებში საეკლესიო-სასკოლო საქმის სათავეში მოსწავლეთა ენის მცოდნე და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირები დაინიშნებოდნენ.¹⁹⁰ ქართული სამღვდელთა ნარმომადგენელთა კრების მოთხოვნები, ნიკონის წინადადებით, უწმინდესმა სინოდმა 1907წ. 10 თებერვალს განიხილა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა, შემოიღო რა ბლალორინების არჩევითობა (მაგრამ მღვდელმთავართა წარდგინებით); მრევლს მიეცა აგრეთვე უფლება აერჩია მღვდლობის კანდიდატი, რომელსაც მღვდელმთავარი, საკუთარი შეხედულებებისამებრ, ან დაამტკიცებდა, ან არა.¹⁹¹

ცხადია, მსგავსი „დათმობებით“ ავტოკეფალიისთვის ბრძოლა ვერ შეჩერდებოდა. ხელისუფალთა საპასუხო ზომებიც სულ უფრო და უფრო მკაცრდებოდა. მეფისნაცვალის კანცელარიის განსაკუთრებული საპოლიციო განყოფილება 1906წ. 27 ოქტომბერს პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს ატყობინებდა: „ქართული სამღვდელთა სისტემატური ოპოზიციური განწყობა, რომელმაც ახლადდანიშნული საქართველოს ეგზარქოსის მაღალყოვლადუსამღვდლოესი ნიკონის კავკასიაში ამასწინანდელი ჩამოსვლის წინ უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო და რომელიც ადგილობრივი თუ დედაქალაქის პრესის საკუთრება გახდა, გვაიძულებდა გვევარაუდა მის საფუძველშივე კაბინეტური კვლევა-ძიებისთვის მიუწვდომელი კონსპირაციული ხასიათის მიზეზების არსებობა. ამ კუთხით მოპოვებული აგენტურული მონაცემები მიუთითებენ, რომ ქართული ეკლესიის ნაციონალიზაციის სასარგებლო აგიტაცია ორგანიზებულ ხასიათს ატარებს, რის გამოც და აგრეთვე ადგილობრივი სამღვდელთა შემადგენლობაში ამ არასასურველი მიმდინარეობის სწრაფად გამოკვლევის ინტერესებისთვის, ძიებას მიეცა სათანადო მიმართულება.“¹⁹²

შექმნილ ვითარებაში რით იყო დაკავებული საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი? როგორი იყო ავტოკეფალისტების წინააღმდეგ მისი ბრძოლის ფორმები და მეთოდები? ამაზე საუბარი ნიკონის მკვლევლობასთან დაკავშირებით ჩატარებული წინასწარი გამოძიების მასალებში, რომელიც 1908 წ. 19 აგვისტოთი თარიღდება. მასში ვკითხულობთ, რომ ეგზარქოსი ნიკონი, როგორც „მტკიცე ხასიათის“ და „თავის გადაწყვეტილებებში დაჟინებული“ პიროვნება, სისტემატურად და თანმიმდევრულად ცდილობდა ქართული სამღვდელთა ავტოკეფალური გეგმების ჩაშლას. პირველ რიგში, ის ცდილობდა ავტოკეფალური მოძრაობის ლიდერების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომ მათ ვერ შესძლებოდათ აღნიშნული მოძრაობის განვითარებაზე გავლენის მოხდენა. სწორედ მან მოაწყო ისე, რომ 1908 წ. თებერვალში ეპ. ლეონიდე იმერეთის ეპარქიიდან გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაიყვანეს (ეპისკოპოსებს ლეონიდე ოქროპირიძეს და გიორგი ალადაშვილს ხელისუფლებამ ეპარქიები გაუცვალა) და ძლიერ შეავინროვეს, ხოლო ეპ. კირიონი საერთოდ გაინვიეს საქართველოს საეგზარქოსოდან. მსგავს შემთხვევებში ეგზარქოსი ნიკონი ფრთხილად, მაგრამ ვერაგულად მოქმედებდა. ის თვითონ კი არ ეძებდა საბაზს ავტოკეფალური მოძრაობის ამა თუ იმ ლიდერის თავიდან მოსაშორებლად, არამედ ამისთვის ყოველ ხელსაყრელ მომენტს ოსტატურად იყენებდა. ასე მოხდა, მაგალითად, ეპ. კირიონთან მიმართებაში. როცა მეფისნაცვალმა უწმ. სინოდის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ქართულ სამღვდელთაზე მავნე ზეგავლენის გამო სოხუმის ეპარქიიდან მისი სხვაგან გადაყვანის შესახებ და როცა ეს შუამდგომლობა დასკვნისთვის ეგზარქოსს

190. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.26389, ფ.1-2.

191. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.63893, ფ.151-153.

192. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.26390, ფ.10.

გადმოეგზავნა (დაახლოებით, 1906წ. ნოემბერში), უწმ. სინოდს მან მისწერა: „უთუოდ ვეთანხმები მეფისნაცვალის სიტყვებს ყოვლადსამღვდელო კირიონის სოხუმიდან მოშორების შესახებ,¹⁹³ სადაც მისი ყოფნა განსაკუთრებით არასასურველია მკვიდრ აფხაზურ მოსახლეობაზე პოლიტიკური თვალსაზრისით მავნე გავლენის გამო. ყოვლად სამღვდელო კირიონი ცდილობს მოსპოს ყველაფერი, რაც ეპარქიაში რუსმა მღვდელმთავრებმა გააკეთეს და დაწეროს ქართული არა მხოლოდ აფხაზთა შორის, არამედ რუსებს შორისაც. მაგალითად, რუსულ სამრევლოში ნიშნავს ქართველებს (აბრაუ-დიურსო).¹⁹⁴ საზოგადო მოღვაწეთა თანამდებობებზე ითხოვს ქართველების დანიშვნას, დანყებით სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება შემოიღოს და ა.შ. აუცილებლად მიმაჩნია საეგზარქოსოს ფარგლებს გარეთ სხვა ეპარქიაში მისი გადაყვანა სწორედ იმისთვის, რაზეც მეფისნაცვალს მტკიცებულებები გააჩნია, მაგრამ არამც და არამც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სასარგებლოდ მოღვაწეობისთვის, რათა ის ამით ქართული სამღვდელოებისთვის ესოდენ ძვირფასი იდეის გამო წამებულად არ ვაქციოთ“.¹⁹⁵

მსგავს მეთოდებს მიმართავდა ნიკონი ავტოკეფალური მოძრაობის სხვა ლიდერების წინააღმდეგაც, ცდილობდა რა ხელზე დაეხვია ხელსაყრელი შემთხვევა და მოეხდინა მათი გაუვნებელყოფა. ეგზარქოსს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის „თავგამოდებული მომხრეები“ ეპისკოპოსი პეტრე, არქიმანდრიტი ამბროსი, მღვდლები იოსებ ჩიჯავაძე, პოლიევქტოს კარბელაშვილი, ნიკიტა თალაკვაძე, კალისტრატე ცინცაძე, ილარიონ ჯაში, ანტონ თოთიბაძე და სხვები. ნიკონის არსენალში იყო ავტოკეფალისტების წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი მეთოდებიც, როგორცაა დამსახურებულ ჯილდოზე სასულიერო პირთა წარდგენისას მათთვის გვერდის ავლა, თანამდებობრივ დანიშნულებაზე ან პრესტიჟულ სამრევლოში დანიშვნაზე უარის თქმა, უმნიშვნელო ან მოგონილი „გადაცდომებისთვის“ ხელფასის დაქვითვა და ა.შ.¹⁹⁶

ავტოკეფალური მოძრაობის ნეიტრალიზაციის მიზნით ნიკონმა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაცია განიზრახა. ეგზარქოსის ახალ გეგმას არაფერი ჰქონდა საერთო უწმ. სინოდის 1906 წ. 23 აგვისტოს ბრძანებულებასთან, რომელიც ასევე ითვალისწინებდა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციას. უწმ. სინოდის ამ ბრძანებულების მიხედვით, უნდა განხორციელებულიყო იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიების თვითმდგომ ეპარქიებად გარდაქმნა, მღვდელმთავართა ძალაუფლების გაზრდა, კონსისტორიებისა და საეპარქიო გამგეობების შექმნა (როგორც ეს იყო რუსეთის ეპარქიებში), სინოდალური კანტორის რეორგანიზაცია და მისი გადაქცევა ეგზარქოსთან არსებულ კონსისტორიად, საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებში ქართული საღვთისმსახურო ენის სწავლების გაძლიერება, ბიბლიისა და სხვა საეკლესიო წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა და ა.შ.¹⁹⁷ ეგზარქოს ნიკონის გეგმა კი სრულიად განსხვავებულ მიზნებს ისახავდა. 1907წ. 7 ივლისს იმპერატორს, ხოლო 1908წ. 14 აპრილს უწმ. სინოდს მან წარუდგინა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი, რომლის დამტკიცებას მხარს უჭერდა რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პეტრე სტოლიპინი. პროექტის მიზანს წარმოადგენდა „ქართველთა ავტონომიური და ავტოკეფალური მისწრაფებების და-

193. მეფისნაცვალი ეპისკოპოს კირიონს რევოლუციაში მონაწილეობის ცრუბრალდებასაც უყენებდა (ჯ.გ.).
194. საუფლისწულო მამულის აბრაუ-დიურსოს (ნოვოროსისკთან) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ცხუმის ეპისკოპოსმა კირიონმა 1906წ. 16 აგვისტოს ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ კაპანაძე დანიშნა, რომელმაც იქ სოხუმის ეპარქიიდან კირიონის დათხოვნის შემდეგაც დიდხანს – 1913 წლამდე იმსახურა, სანამ კვლავ აფხაზეთში არ დაბრუნდა (ჯ.გ.).

195. დინარა დარსალია. ცხუმის ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) უცნობი დოკუმენტი (წერილი I). – საპატრიარქოს უწყებები, 2010, №24, 8-21 ივლისი, გვ.17; სცსსა, ფ.94, აღწ.1, ს.85, ფ.151ა.

196. სცსსა, ფ.94, აღწ.1, ს.85, ფ. 151-152.

197. წმ. მღვდელმონაქე კირიონ II და აფხაზეთი, გვ.177-181.

სუსტება ქართველთა წარმოსახვაში კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ყუბანის ოლქის ქ. ანაპიდან სპარსეთისა და თურქეთის საზღვრებამდე არასწორად გაფართოებული საქართველოს საზღვრების შემცირებით, მისი გადაქცევით სახელმწიფოს განაპირა მხარიდან მცირე შიდა ტერიტორიად (вкраплину).“ ამ მიზნის მისაღწევად, ეგზარქოს ნიკონის გეგმის თანახმად, უნდა შექმნილიყო ბაქოს თვითმდგომი ეპარქია, რომელიც, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიის გარდა, შევიდოდა ერევნის გუბერნია და ყარსის ოლქი. ყარსში ჯერ დაფუძნდებოდა ვიკარიატი, რომელიც შემდგომში დამოუკიდებელ ეპარქიად გადაკეთდებოდა. ნიკონი ვარაუდობდა, რომ ასეთი რეორგანიზაცია იმ პირობებში, როდესაც სომხობამ ღიად გამოავლინა მტრული დამოკიდებულება რუსული სახელმწიფოებრიობისადმი, ხოლო პანისლამისტების გავლენის ქვეშ მყოფი აზერბაიჯანელების კეთილსაიმედოობაც დიდ ეჭვს იწვევდა, ძალიან შეუწყობდა ხელს რუსული ეროვნული იდეის განმტკიცებას დღემდე მიტოვებულ, დაქუცმაცებულ და სულიერად დასუსტებულ ადგილობრივ რუსულ მოსახლეობაში. ეგზარქოსი დიდ იმედებს ამყარებდა მომავალი ბაქოს ეპარქიის ერთმორწმუნე ბერძნულ მოსახლეობაზეც, რომელიც რუსებთან ერთად ამ განაპირა მხარეში იმპერიის მყარი დასაყრდენი უნდა გამხდარიყო. „განაპირა მხარეების განმტკიცებისათვის მხოლოდ სამხედრო ძალა საკმარისი არ არის, – ასკვნის ნიკონი, – არამედ საჭიროა სახელმწიფოსთან მათი შეერთება სულიერი კავშირებით, რომლებიც გარეშე ძალაზე უფრო მყარი და საიმედოა.“

საქართველოს „მცირე შიდა ტერიტორიად“ გადაქცევის ნიკონისეული გეგმა ითვალისწინებდა საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფასაც, რომელიც ასევე თვითმდგომი ეპარქია უნდა გამხდარიყო. ეგზარქოსი დეტალურად აღწერდა სოხუმის ეპარქიას ტერიტორიული, დემოგრაფიული და ეკლესიურ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. ნიკონის გეგმის მიხედვით, ეს ეპარქია თავის საზღვრებში დარჩებოდა, ანუ მის შემადგენლობაში იქნებოდა სოხუმის ოკრუგი (5791,71 კვ. ვერსი), შავი ზღვის გუბერნია (7327,31 კვ. ვერსი), სოფ. ფახულანი (ზუგდიდის მაზრა) ერთი მრევლით და ქ. ანაპა (ყუბანის ოლქი) ორი მრევლით. მთელი ეს ტერიტორია, როგორც ეგზარქოსი წერდა, შეადგენდა 13119,1 კვ. ვერსს. სოხუმის ოკრუგის მოსახლეობა, 1897 წლის სახელმწიფო აღწერის მონაცემებით, 106179, შავი ზღვის გუბერნიისა-57478 კაცს შეადგენდა. სოფ. ფახულანში 2515, ანაპაში – 9785 კაცი ცხოვრობდა. ამრიგად, მთელი ეპარქიის მოსახლეობა 175957 კაცს უდრიდა.

სოხუმის ოკრუგის მოსახლეობას, – აგრძელებდა ნიკონი, – უპირატესად აფხაზები და სამურზაყანოელები, ფახულანისა – მეგრელები, შავი ზღვის გუბერნიისა და ქ. ანაპისა – რუსები შეადგენენო. გარდა ამისა, ეპარქიაში ცხოვრობენო პოლონელები, ლიტველები, ლატვიელები, მოლდოველები, გერმანელები, ბერძნები, სომხები, სპარსელები, ებრაელები, ქართველები, იმერლები, სვანები, ჩერქეზები, ფინელები, თურქები და ქურთები. როგორც ვხედავთ, ქართველთა „მწყემსმთავარი“ ერთიან ქართველ ერს არ ცნობდა, მას არ სურდა დაენახა და, შესაბამისად, ანგარიში გაენია სოხუმის ოკრუგის ქართული უმრავლესობისთვის. ამიტომაც წარმოადგინა იგი სამურზაყანოელებად, მეგრელებად, ქართველებად, იმერლებად და სვანებად. თანაც ეგზარქოსს მეგრელები მხოლოდ სოფ. ფახულანში ეგულებოდა მაშინ, როდესაც ეს ქართველური ჯგუფი მთელი სოხუმის ოკრუგის (ნაწილობრივ შავი ზღვის გუბერნიის) ტერიტორიაზე იყო განფენილი. სოხუმის ეპარქიაში მართლმადიდებელთა საერთო რაოდენობა, ნიკონის მონაცემებით, 142395 კაცს შეადგენდა. ის მაღალ შეფასებას აძლევდა მხოლოდ რუსებისა და ბერძნების რელიგიურ-ზნეობრივ მდგომარეობას (ქართველებს ამ მხრივ არც ახსენებდა), აფხაზები კი არ არიანო განმტკიცებული ქრისტიანულ სარწმუნოებაში და მაჰმადიანობისკენ იხრებიანო. ამის მიზეზებს ეგზარქოსი აფხაზურ ენაზე დამწერლობისა და ღვთისმსახურების არარსებობაში,

მღვდლების უმეტესობის მიერ აფხაზურის არცოდნაში ხედავდა, გამოსავალს კი – საეკლესიო წიგნების თარგმნის დასრულების შემდეგ ღვთისმსახურების აფხაზთა მშობლიურ ენაზე აღსრულებაში.

ეგზარქოს ნიკონის მონაცემებით, სოხუმის ეპარქიაში არსებობდა 109 სამრევლო (სოხუმის ოკრუგში 81, შავი ზღვის გუბერნიაში – 25, ანაპაში -2, ს. ფახულანში -1), 137 ეკლესია (მათ შორის 2 საკათედრო ტაძარი სოხუმსა და ნოვოროსიისკში), 101 – სამრევლო, 12-მინერილი, 10-სახლის, 10-მონასტრებთან არსებული, 2-სასაფლაოს, 2-ეგვტერი//საყამნო, 5-სამლოცველო სახლი), 5 მონასტერი (მღვდელმთავრის სახლის გარეშე), მათ შორის 3 მამათა (დრანდის, ახალი ათონისა და წმ. სამების – სოჭთან) და 2 დედათა (მოქვის და კომანის). ეპარქიაში ფუნქციონირებდა 114 საეკლესიო-სამრევლო სკოლა, მათ შორის 2-მეორე კლასის, 7-ორკლასიანი, 64-ერთკლასიანი და 41 წერა-კითხვის. 1906 წლის მონაცემებით, აღნიშნულ სკოლებში 3809 ბავშვი (2778 ბიჭი, 1031 გოგო) სწავლობდა.

ნიკონის გეგმის განხორციელება სახელმწიფოს დაახლოებით 175 ათასი მანეთი უჯდებოდა, რასაც ემატებოდა ყოველწლიური დამატებითი ხარჯები 57730 მანეთის ოდენობით. მთავრობა მზად იყო გაედო ეს კოლოსალური ხარჯები, მაგრამ ეგზარქოსის დაღუპვამ მისი გეგმის რეალიზებაც ჩაშალა.¹⁹⁸

ნიკონის მზაკვრული ანტიქართული პოლიტიკისა და გეგმების შესახებ კარგად იყო ცნობილი ქართული სამღვდლოებისთვის, მთელი საზოგადოებისთვის. 1907 წლის დასაწყისიდან უკვე გაჩნდა ცნობები ეგზარქოსზე თავდასხმის მზადების შესახებ. მისთვის თავისებური გაფრთხილება უნდა ყოფილიყო 1907 წლის 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიხეილ დობრონრაგოვის მკვლელობა, რის შესახებაც უწმ. სინოდს თავად ნიკონმა შეატყობინა.¹⁹⁹

ამ უკიდურესად დაძაბულ ვითარებაშიც, რომელიც შეიქმნა ეგზარქოსის ვერაგული პოლიტიკის შედეგად, ქართული სამღვდლოება ნახევრად იატაკქვეშეთში აგრძელებდა ბრძოლას ავტოკეფალიისთვის. კავკასიის რაიონული ოხრანკის მასალებში შემონახულია მოკლე ცნობა 1908 წლის 22 თებერვალს ეპისკოპოს პეტრეს თავმჯდომარეობით გამართული „ავტოკეფალური ყრილობის“ შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ კალისტრატე ცინცაძე, იოსებ ჩიჯავაძე, პოლიევეტოს და ვასილ კარბელაშვილები და სხვები. დოკუმენტის ავტორი – ოხრანკის საიდუმლო აგენტი – განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ყრილობის კიდევ ერთ მთავარ მონაწილეზე: „არქიმანდრიტი ამბროსი, ძალიან ჭკვიანი, მასთან დადიოდნენ გადაცმულები ქუთაისიდან, მასთან ცხოვრობდა გადასახლებული არქიმანდრიტი ნიკოლოზი, რომელიც მიმალვასშია.“²⁰⁰ აგენტს მხედველობაში ჰყავდა ღვთისმეტყველების კანდიდატი, 1904-1906წწ. გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნამორაძე), რომელიც რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის ბრალდებით უწმ. სინოდმა 1906წ. 31 მაისის გადაწყვეტილებით სვიატოგორსკის მონასტერში (ხარკოვის ეპარქია) გადასახლა, მაგრამ ის იქ არ ჩავიდა – იმალეობდა არქიმანდრიტ ამბროსის ბინაში,²⁰¹ მოგვიანებით კი თურქეთს შეაფარა თავი და მხოლოდ 1917წ. დაბრუნდა საქართველოში; იყო ჯერ გელათის, შემდეგ კი მონამეთას მონასტრების წინამძღვარი, გარდაიცვალა

198. სცსა, ფ.488, აღნ.1, ს.26391, ფ.1-8ა; ფ.94, აღნ.1, ს.85, ფ.152-152ა; ფ.13, აღნ.3, ს.1799, ფ.27-33.

199. სცსა, ფ.440, აღნ.1, ს.2034, ფ.12.

200. იქვე, ფ.94, აღნ.1, ს.85, ფ.23.

201. 1906 თებერვალში არქ. ამბროსი, როგორც სინოდალური კანტორის წევრი, იმერეთის ეპისკოპოსის მოვალეობის შემსრულებლის (ეპ. ლეონიდეს პეტერბურგში ყოფნის პერიოდში) ეპისკოპოს პეტრეს მოთხოვნით ჩავიდა გელათში და ცდილობდა არქ. ნიკოლოზსა და მონასტრის მამებს შორის კონფლიქტის მოგვარებას. მაშინ იყო საუბარი ამბროსისა და ნიკოლოზს შორის მონასტრების გაცვლის შესახებაც, მაგრამ არქ. ნიკოლოზის საქმის გახმაურების გამო ეს ვერ მოხერხდა. – გ.საითიძე. წამებული მშობელი ქვეყნისა და ეკლესიისთვის, გვ.93.

1923 წელს.²⁰²

არქიმანდრიტ ამბროსის და ქართული სამღვდლოების სხვა ღირსეულ წარმომადგენლებს ოხრანკის ზედამხედველობის ქვეშ უხდებოდათ საქმიანობა. მიუხედავად ამისა, ისინი ბოლომდე იხარჯებოდნენ სამსახურში და განსაკუთრებით საზოგადოებრივ ასპარეზზე. არქიმანდრიტმა ამბროსიმ შვებულებაში წასვლა გადაწყვიტა. 1908წ. 13 მაისს სინოდალურმა კანტორამ განიხილა მისი იმავე წლის 8 მაისის მოხსენება ეგზარქოს ნიკონის სახელზე 28 ივნისიდან 20 ივლისამდე შვებულებაში გაშვების შესახებ. კანტორამ დააკმაყოფილა ამბროსის თხოვნა „სათანადო ბილეთის გაცემით“ და გადაწყვიტა, რომ „მისი შვებულების პერიოდში სინოდალური კანტორის სახაზინო – საბუღალტრო განყოფილების გამგებლობა, რომელიც მას, არქიმანდრიტ ამბროსის, ევალება, დაეკისროს სინოდალური კანტორის წევრს დეკანოზ მარკოზ ტყემალაძეს.“²⁰³ არქიმანდრიტ ამბროსის იმჟამინდელ შინაგან განწყობაზე, ქვეყანაში არსებული პირობებით, ყოველგვარი თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეულ უკმაყოფილებაზე მიუთითებს 1908წ. 20 მაისს – უფლის ამალღების დღეს – მის მიერ თავის მონასტერში წარმოთქმული ქადაგება. ისაუბრა რა „დედამინაზე ღვთიური სიკეთისა და სამართლიანობის ზემოთის, ეკლესიის წევრთა შორის მშვიდობის დასამყარებლად“ უფლის მცნებათა პირნათლად შესრულების აუცილებლობაზე, მან თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ჯერ კიდევ 1905წ. 21 ოქტომბერს (დემოკრატიული რევოლუციის აღმავლობის პირობებში) უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში წარმოთქმული ქადაგებიდან ის ადგილი, სადაც ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, რომ საზოგადოების ყველა წევრის მხრიდან ქრისტიანული მოვალეობების შესრულების შემთხვევაში დამყარდებოდა სწორი ურთიერთობა მათ შორის: „ძლიერები არ იქნებიან სუსტთა მჩაგვრელები, სუსტები არ ჩათვლიდნენ თავიანთ თავს გულნატკენებად (обиженными), რომლებსაც ბედმა უმტყუნათ; თითოეული დასჯერდებოდა თავისი შრომის ნაყოფს, ყველა განვიმსჯვალეობდით ღმერთის წინაშე თანასწორობის ქრისტიანული იდეით, ქრისტესმიერი ძმობის იდეით და ამ ქრისტიანული ჭეშმარიტების შეგნება დაარეგულირებს ჩვენს ცხოვრებას, მშვიდობის სუფევა იქნება ჩვენს შორის“. 1905წ. ოქტომბერში ნათქვამ ამ სიტყვებს, რომლებიც არანაკლებ, თუ უფრო მეტად არა, აქტუალური იყო 1908 წლის მაისშიც, ამბროსი ხელაიამ დაუმატა: „მაშინ არ ვიცხოვრებთ ასეთ დახუთულ ატმოსფეროში, არ ექნება ადგილი უწესრიგობებს, მღელვარებებს, ძმათამკვლელ სისხლისღვრებს, რომლებიც ახლა ხდება“.²⁰⁴

ამ მრავლისმეტყველი ქადაგებიდან ერთ კვირაში სისხლი მართლაც დაიღვარა – დაიღუპა ეგზარქოსი ნიკონი. ამის შემდეგ, ცხადია, არქიმანდრიტ ამბროსის შვებულებით არ უსარგებლია. ეგზარქოსის მკვლელობამ რადიკალურად შეცვალა ვითარება საქართველოში, პირველ რიგში, ქართულ ეკლესიაში.

6. ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა და წმ. აღმსარებელი ამბროსის რიაზანში გადასახლება (1908წ. მაისი – 1910წ. თებერვალი)

1908 წლის 28 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ უწმინდეს სინოდს უდებუა: „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა თავის მოვალეობად რაცხს, მოახსენოს უწმინდეს მართებელ სინოდს, რომ 28 მაისს დილის თერთმეტის ნახევარზე კანტორის შენობაში რევოლუციურიდან წარმოებული გასროლებით სასიკვდილოდ დაიჭრა მაღალყოვლადუსამღვდლოესი ნიკონი, საქართველოს ეგზარქოსი.

202. გიორგი მჭედლიძე, მერაბ კეზევაძე. ქუთაისის-გაენათის ეპარქია, გვ.359-360, 423.

203. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.63974, დოკ.№1118.

204. კ.კეკელიძის სახ. საქ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს. 29.

ამის შემდეგ 20 წუთში ის გარდაიცვალა თავის სავანეში; მასზე 9 ქრილობა აღმოჩნდა. მომხდარის შესახებ ეცნობა პოლიციას და სასამართლო ხელისუფალთ“...²⁰⁵ დეპეშას ხელს აწერდნენ ეპისკოპოსები პეტრე (კონჭოშვილი), გრიგოლი (ვახნინი), არქიმანდრიტი ამბროსი და დეკანოზი ანტონ თოთიბაძე. იმავე დღეს „თავის სხდომაზე კანტორამ იმსჯელა ბოროტმოქმედთა ხელით მალაყოვლადუსამღვდელოესი ნიკონის, ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსის, საქართველოს ეგზარქოსის ტრაგიკული გარდაცვალებისა და მისი დაკრძალვის რიგის შესახებ;“ გამოიყო დაკრძალვისთვის საჭირო 1500 მანეთი.²⁰⁶ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქ. პიმენის თავმჯდომარეობით (6 ივნისს იგი ეპისკოპოსმა დავით კაჭახიძემ შეცვალა) შეიქმნა კომისია ეგზარქოსის სახლის ქონების სინოდალური კანტორის გამგებლობაში გადასაცემად. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ არქიმანდრიტი ამბროსი, დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე და კანტორის მდივანი სოფრომ მგალობლიშვილი. სინოდალურმა კანტორამ შექმნა დამკრძალავი კომისიაც (კანტორის წევრი მარკოზ ტყემალაძე, სიონის ტაძრის მღვდელი ალ. სიმონოვი, თბილისის ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის მღვდელი ალ. რაზუმოვსკი); თბილისის ეკლესიების ბლალორჩინებს მიეცათ მითითება, დაენესებინათ მღვდელმსახურთა მორიგეობა განსვენებულის კუბოსთან პანაშვიდის ჩასატარებლად. გადაწყდა ასევე, ეგზარქოსის დალუპვის შესახებ ეცნობოს საეგზარქოსოში შემავალი ეპარქიების მღვდელმთავრებს. კანტორამ სთხოვა ეგზარქოსის კანცელარიას, გასცეს განკარგულება, რათა საქართველოს ეპარქიის ეკლესიებში ნიკონი მოიხსენიონ ერთი წლის განმავლობაში. და ბოლოს, კანტორამ თხოვნით მიმართა თბილისის გენერალ-გუბერნატორს, მიიღოს ზომები ეგზარქოსის სახლის დაცვის უზრუნველსაყოფად.²⁰⁷ სინოდალური კანტორის 1908წ. 28 მაისის ამ სხდომის ოქმს ხელს აწერდნენ ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი (ვახნინი), გორის ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი), ალავერდელი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), არქიმანდრიტი პიმენი, არქიმანდრიტი ამბროსი და დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე.

1908წ. 29 მაისს სინოდალურმა კანტორამ არქიმანდრიტ ამბროსის მონაწილეობით განიხილა 28 და 29 მაისს პეტერბურგიდან მიღებული დეპეშები. „საშინელი ცნობით შეძრწუნებული“ პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის (ვადკოვსკი) ერთ-ერთ დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ უნმ. სინოდის გადაწყვეტილებით ეგზარქოსის მოვალეობას შეასრულებდა არა პირველი ვიკარი, გორის ეპისკოპოსი, ქართველი პეტრე (კონჭოშვილი), არამედ მესამე ვიკარი ბაქოს ეპისკოპოსი რუსი გრიგოლი (ვახნინი). მეორე დეპეშაში კი მიტროპოლიტი ანტონი წერდა, რომ, საკუთარი ანდერძისამებრ,²⁰⁸ ნიკონი დაიკრძალებოდა ვლადიმირში. ეგზარქოსის მოვალეობის შემსრულებლად ეპისკოპოს გრიგოლის დანიშვნის შესახებ დეპეშა ობერ-პროკურორის კანცელარიიდანაც მოვიდა.²⁰⁹

1908 წლის 30 მაისს სინოდალური კანტორის სხდომამ დაამტკიცა დელეგაცია, რომელიც ნიკონის ცხედარს თბილისიდან ვლადიმირამდე გააცილებდა. დელეგაცია-

205. სცსსა, ფ.489, აღნ. 1, ს.50632, ფ.10. ეგზარქოსის მოვალეობის შემსრულებელი ეპ. გრიგოლი (ვახნინი) 28 მაისს უნმ. სინოდს აცნობებდა, რომ დილის 11-ის ნახევარზე, როდესაც ნიკონი ეგზარქოსის სახლიდან იქვე გვერდით მდებარე სინოდალური კანტორის შენობაში კანტორის სხდომაზე დასწრების მიზნით შემოვიდა და კიბეზე ამოდიოდა, ბოროტმოქმედებმა მაუზერიდან ხუთი ტყვია დაახალეს და მიიმაღლნენ (სცსსა, ფ.488, აღნ.1, ს.22737, ფ.7).

206. 1908წ. 3 სექტემბერს და 1909წ. 30 იანვარს სინოდალურმა კანტორამ განიხილა ნიკონის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების საკითხი. გადაწყდა, დაევალოს კანტორის მდივანს სოფრომ მგალობლიშვილს კონსტრომის საოლქო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი ნიკონის ქონების მემკვიდრეთა წინააღმდეგ, რათა მათ ანაზღაურონ საქართველოს ეგზარქოსის დაკრძალვის ხარჯები 1506 მანეთისა და 55 კაპიკის ოდენობით (სცსსა, ფ.489, აღნ.1, ს.63974, დოკ.№2443; ს. 64073, დოკ.№311).

207. სცსსა, ფ. 489, აღნ.1, ს.63974, დოკ.№1318, 1390.

208. ანდერძი ვლადიმირში დაკრძალვის შესახებ ნიკონს ჯერ კიდევ 1905 წლის 31 ოქტომბერს შეუდგენია (სცსსა, ფ.489, აღნ.1, ს.50632, ფ.30-32).

209. სცსსა, ფ.489, აღნ.1, ს.63974, დოკ.№1321.

ის შემადგენლობაში შევიდნენ ეგზარქოსის კანცელარიის უფროსი არქიმანდრიტი ზინობი, სინოდალური კანტორის წევრი დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე, მღვდელი ალ. რაზუმოვსკი (იგი რუსული ეკლესიების ბლალოჩინმა სერგი გოროდცევმა შეცვალა), პროტოდიაკონი კონსტანტინე კარგარეთელი და ეგზარქოსის ჯვრის ეკლესიის იეროდიაკონი რომანი.²¹⁰

ეგზარქოს ნიკონის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტს ქართული საზოგადოება კრიტიკულად აფასებდა. 1908წ. 28 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლებმა და დელეგატებმა ღრმა მწუხარება გამოთქვეს მომხდართან დაკავშირებით, მიიღეს გადაწყვეტილება პანაშვიდზე დასწრებისა და მეფისნაცვალთან შეხვედრის შესახებ. 29 მაისს თბილისის საქალაქო სათათბირომ ეგზარქოსის მკვლელობის გამო აღშფოთება გამოხატა და გლოვის ნიშნად სხდომა დახურა.²¹¹

1908 წლის 30 მაისს ქართული სამღვდლოების წარმომადგენლებმა – არქიმანდრიტმა ამბროსიმ და კიდევ 42 სასულიერო პირმა – ეპისკოპოს გრიგოლს მიართვეს მოხსენება ეგზარქოსის დალუპვასთან დაკავშირებით, „გამოხატეს თავისი მწუხარება... და გულისწყრომა საზიზლარი ბოროტმოქმედების ჩამდენთა მიმართ“.²¹² ეპისკოპოსებმა პეტრემ და ლეონიდემ სამძიმრის წერილი მიართვეს მეფისნაცვალს, რომელშიც გამოხატავდნენ ქვეშევრდომულ გრძნობებს იმპერატორისადმი.²¹³ 1908 წ. 2 ივნისს, როდესაც თბილისის სიონის ტაძარში ქართული საზოგადოება ეგზარქოს ნიკონს ეთხოვებოდა (იმ დღეს ეგზარქოსის ცხედარი თბილისის რკინიგზის სადგურიდან ვლადიმირში გააცილეს), იმპერატორმა მეფისნაცვლის სახელზე გამოგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ღრმად აღშფოთებული ვარ საქართველოს ეგზარქოს ნიკონის საზიზლარი მკვლელობით. დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის კეთილმოაზროვნე მოსახლეობა ამ ბოროტმოქმედებით ისევეა დამწუხრებული, როგორც მე. მადლობას მოვახსენებ იმათ, ვინც მოვიდა თქვენთან გულისწყრომის გამოსახატავად. ნიკოლოზი.“²¹⁴

იმპერატორის მადლობის მიუხედავად, ადგილობრივმა შავრაზმელებმა ეგზარქოსის დალუპვის პირველი დღეებიდანვე დაიწყეს თავდასხმები ავტოკეფალისტებზე, მათი დადანაშაულება ეგზარქოსის მკვლელობაში. 1908 წლის 2 ივნისს ეპ. გრიგოლიც (ვახნინი) კი იძულებული გახდა მიემართა გაზეთ „გოლოს კავკაზა“-ს რედაქტორისთვის და გაებათილებინა შემდეგი სიტყვები იმავე გაზეთის 602-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილიდან „წამებული მწყემსმთავრის კუბოსთან“: „ხალხის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქართული სამღვდლოების არყოფნამ (29 მაისის პანაშვიდზე)“. სიმართლის აღდგენის მიზნით, თავს ვალდებულად ვრაცხ, გაცნობოთ, – წერდა ეპ. გრიგოლი, – რომ ეგზარქოს ნიკონის პანაშვიდზე „ქართული სამღვდლოება ყოველთვის მოდიოდა, აღნიშნულ პანაშვიდზეც (29 მაისს – ჯ.გ.) ქ. თბილისის 37 შტატიანი ქართველი მღვდელიდან 20 ქართველი მღვდელი იმყოფებოდა.“²¹⁵

შავრაზმელებს იმისთვისაც მიუქცევიათ ყურადღება, რომ „ქართული სამღვდლოება ყოველსამღვდლოთა პეტრესა და დავითის, არქიმანდრიტ ამბროსის, პროტოდიაკონ კონსტანტინე კარგარეთელისა და დიაკონ ფხაკაძის სახით გარდაცვლილი ეგზარქოსის პანაშვიდებზე მიცვალებულის სულის მოხსენიებისას, მისი ტიტულიდან გამოტოვებდა სიტყვებს „საქართველოს ეგზარქოსის, ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსის“ და მოიხსენიებდა „მაღალყოვლადუსამღვდლოეს ნიკონს“; როცა ამას

210. იქვე, ს.50632, ფ.24; ს.63974, დოკ.№№1326, 2443.

211. სცსსა, ფ.13, აღწ.3, ს.808, ფ.21, 24.

212. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.22737, ფ.27.

213. Голос Кавказа, 1908, 7 июня.

214. სცსსა, ფ.13, აღწ.3, ს.808, ფ.34.

215. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.22737, ფ.17.

სათანადო ყურადღება მიაქციეს, მათ დაიწყეს მისი სრული ტიტულით მოხსენიება.²¹⁶ ეგზარქოსის მკვლევლობასთან დაკავშირებით ჩატარებული წინასწარი გამოძიების მასალებში ეს ფაქტი, არც თუ ისე უსაფუძვლოდ, ახსნილია იმ გარემოებით, რომ ქართული სამღვდელთა ნიკონს სიცოცხლეში საქართველოს ეგზარქოსად არ აღიარებდა.

გაზეთი „გოლოს კავკაზა“ 1908 წლის 7 ივნისს გამოქვეყნებულ წერილში „სამწლიანი იუბილე“ აღნიშნავდა, რომ თითქოს ქართულმა სამღვდელთა 1905 წლის მაისის ბოლოს ავტოკეფალიის მოთხოვნით თბილისში ჩატარებული და ხელისუფლების მიერ სასტიკად დარბეული კრების მესამე წლისთავი ავტოკეფალისტების წინააღმდეგ მებრძოლი ეგზარქოსის მკვლევლობით აღნიშნა. წერილში მოხსენიებული არიან ეპისკოპოსები პეტრე, ლეონიდე, არქიმანდრიტი ამბროსი (რომელიც 1905 წ. მაისში საქართველოში არ იმყოფებოდა) და მათთან ერთად ის სასულიერო პირები, რომლებიც მართლაც მონაწილეობდნენ 1905 წ. მაისის ბოლოს თბილისში მღვდელ ქრისტეფორე ციციქიშვილის თავმჯდომარეობით ჩატარებული კრების მუშაობაში; იგივე პირები ამჯერად გამოხატავდნენ მწუხარებას ეგზარქოსის დაღუპვის გამო, მაგრამ გაზეთმა ეს თვალთმაქცობად მიიჩნია. 1905 წ. კრების მონაწილეთა და ეგზარქოსის დაღუპვის გამო დამწუხრებული ქართული სამღვდელთა სიების შედარების შემდეგ წერილის ავტორი ასკვნიდა, რომ ცხადი ხდება, ვინ არიან ნიკონის „ინტელექტუალური მკვლევები და სად უნდა ვეძიოთ ძაფები ფიზიკური მკვლევების გამოსავლენად“. ამრიგად, გაზეთმა „გოლოს კავკაზა“-მ უკვე 1908 წ. 7 ივნისს არქიმანდრიტი ამბროსი და სხვა ავტოკეფალისტები ნიკონის მკვლევობაში ეჭვმიტანილებად გამოაცხადა.

იმავედროულად მიმდინარეობდა აგენტურული მასალების შეგროვება. 1908 წ. 2 ივნისს უნდა იყოს დაწერილი ოხრანკის აგენტის „X“-ს მოხსენება თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ ალექსანდრე ერიომინის სახელზე; მასში ნათქვამია, რომ ნიკონის დაღუპვის დღეს დილის 9-10 საათზე სინოდალურ კანტორასთან სამი სასულიერო პირი იმყოფებოდა – ტიმოთე ბაკურაძე, დავით ჩიკვაძე და ობრაზცოვი. ეს უკანასკნელი ყოფილი თბილისელი მღვდლის, ქართველთა ინტერესების დამცველის იონა ბრისნიჩევის თანამებრძოლი, ტ. ბაკურაძე და დ. ჩიკვაძე კი დიაკვნებისა და მედავითნეების პარტიის ლიდერები, სოციალ-დემოკრატების მხარდამჭერები არიანო. „ნიკონი კი მათი მტერი იყო, აი შეთქმულების მთავარი ძაფი“, – წერდა აგენტი და სამივეს დაპატიმრებას მოითხოვდა.²¹⁷

1908 წლის 12 ივნისს ოხრანკის კიდევ ერთი ფარული აგენტი ვინმე „სტორონიკ ზაკონნო №№“ იმავე ალექსანდრე ერიომინს აცნობებდა, რომ ზუგდიდისა და სენაკის მაზრების მოსახლეობაში გავრცელებული ხმების მიხედვით, „ეპისკოპოსები ლეონიდე, გიორგი, პეტრე, არქიმანდრიტი, სინოდალური კანტორის წევრი ამბროსი ხელაია და თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი თალაკვაძე, ყველა ქართველია, თბილისში სულ ახლახან მომხდარი საქართველოს ეგზარქოსის ნიკონის მკვლევობის მთავარი ინიციატორები არიან“. მართალია, წერდა აგენტი, ამის დამამტკიცებელი ფაქტობრივი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზემოთდასახელებულმა პირებმა თბილისში ჩამოსულ ახლადდანიშნულ ეგზარქოსს სათანადო პატივი არ მიაგეს, როგორც ეს რუსულმა სამღვდელთა გააკეთაო. აგენტი ამტკიცებდა: „ზემოთდასახელებული სასულიერო პირები თავიანთი მოღვაწეობით დიდი ხანია, რაც ცნობილები არიან უმაღლესი მთავრობისთვის, ისინი აშკარად გამოხატავენ სიძულვილს ყოველივე არაქართულისადმი. ამრიგად, ზემოთდასახელებული პირების ინიციატივას ემსხვერპლა საქართველოს ეგზარქოსი

216. სცსსა, ფ.95, აღნ.1, ს.85, ფ.154-154ა.

217. იქვე, ფ.17-17ა.

ნიკონი“.²¹⁸

სულ მალე ნიკონის საქმის გამოძიებაც დაიწყო. საეგზარქოსოს კანცელარიაში 1908წ. 10 ივლისს უწმ. სინოდის ობერ-პროკურორ პეტრე იზვოლსკის აცნობა, რომ 28 ივნისს დილის 10 საათზე ეგზარქოსის კანცელარიაში გამოცხადდნენ თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი, მისი ამხანაგი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, შესაბამისი (მეხუთე) უბნის პრისტავი, რამდენიმე პოლიციელი და კაზაკი. გამომძიებელს კანცელარიის 1904-1906 წლების საქმეთა აღწერა, პროკურორს კი 1904 წლიდან მიმონერის მასალები მოუთხოვია. 1904-1908 წლების რამდენიმე საქმე მათ დაუღუქავთ და თან წაუღიათ.²¹⁹

1908 წლის 19 აგვისტოს თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს ალექსანდრე ერიომინს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებით საოლქო სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ი. მალინოვსკის მიერ ჩატარებული წინასწარი გამოძიების მასალები გადაუგზავნა. ამ საკმარის ვრცელ დოკუმენტში მიმოხილულია ქართული ეკლესიის ისტორია; ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლის მიმდინარეობა, რომელიც, გამოძიების მასალების მიხედვით, დაკავშირებული იყო საქართველოს ავტონომიის საკითხთან და, ამდენად, პოლიტიკურ ელფერს ატარებდა; ეგზარქოს ნიკონის პოლიტიკა, ავტოკეფალისტების წინააღმდეგ მისი ბრძოლის ფორმები და მეთოდები; საეგზარქოსოს გარდაქმნის ნიკონისეული გეგმა, რაც, გამომძიებლის მტკიცებით, ქართველთა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. საკითხების მიმოხილვის შემდეგ გაკეთებულია დასკვნა, რომ ეგზარქოსის მკვლელობის მიზეზი გახდა ქართული სამღვდელთა გალიზიანება ნიკონის უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულებით ავტოკეფალიის საკითხისადმი, ავტოკეფალური მოძრაობის ლიდერებისადმი თუ აქტივისტებისადმი და საეგზარქოსოს რეორგანიზაციის მისეული გეგმა, რომელიც კატეგორიულად მიუღებელი იყო ქართველი სასულიერო პირებისთვის, ქართული საზოგადოებისთვის.

წინასწარი გამოძიების მასალებში წამოყენებული და თავისებურად „დასაბუთებული“ ვერსიის დასამტკიცებლად, – ნათქვამია დოკუმენტში, – საჭიროა ავტოკეფალური მოძრაობის აქტივისტებთან ისეთი მტკიცებულებების აღმოჩენა, რომლებიც „სამუშალებას მოგვცემენ გამოვავლინოთ ამ ბოროტმოქმედების ჩადენაში როგორც ფიზიკური, ისე ინტელექტუალური დამნაშავეები“. დასახელებულია 64 ეჭვმიტანილი პირი, მათ შორის ეპისკოპოსები კირიონი (საძაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპოროიძე), პეტრე (კონჭოშვილი), გიორგი (ალადაშვილი), დავითი (კაჭახიძე), არქიმანდრიტი ამბროსი, მღვდელი ქრისტეფორე ციციქიშვილი და მრავალი სხვა, რომელთა ფარული დამუშავება უნდა მოეხდინა ოხრანკას და ჟანდარმთა სამმართველოს. წინასწარი გამოძიების მასალები მთავრდება ასეთი რეკომენდაციით: „დანესდეს ზედამხედველობა ჩამოთვლილ პირებზე იმის გამოსაკვლევად, ხომ არ არიან მათ შორის ზოგიერთები ინტელექტუალური დამნაშავეები საქართველოს გარდაცვლილი ეგზარქოსის მკვლელობაში“.²²⁰

თბილისის საოლქო სასამართლოს პარალელურად ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებულ საკითხებს იძიებდა პეტერბურგიდან საქართველოში 1908 წლის სექტემბერში მოვლენილი სარევიზიო კომისია უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის კანცელარიის ვიცე-დირექტორის ვ. იაცკევიჩისა და სინოდის სამეურნეო სამმართველოს ჩინოვნიკის ნ.სპერანსკის შემადგენლობით. კომისიამ შეამოწმა საქმისწარმოება საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, ეგზარქოსის კანცელარიაში,

218. იქვე, ფ.44-44ა.

219. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.22667, ფ.2-6.

220. სცსსა, ფ.94, აღწ.1, ს.85, ფ.158ა.

იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში. 1908 წლის 23 ნოემბერს თბილისის ოხრანკამ ვიქტორ იაცკევიჩს გადასცა ცნობები „იმ პირებზე, რომლებიც შედიოდნენ ქართული ეკლესიის ე.წ. ავტოკეფალისტთა პარტიის შემადგენლობაში“. პირველ ნომრად დასახელებულია ეპ. ლეონიდე, რომელიც ოხრანკის აზრით, ავტოკეფალისტთა პარტიის „სული და გულია“. მის უახლოეს თანამებრძოლებად დასახელებული არიან ქუთაისის ბლალაჩინი მღვდელი ამბროსი ფოფხაძე, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი).

„არანაკლებ თვალსაჩინო როლს ავტოკეფალური მოძრაობის საქმეში თამაშობს ეპისკოპოსი კირიონიც, რომელიც იმყოფება რა პენსიაზე და ცხოვრობს რა ხარკოვის გუბერნიაში კურიაჟის მონასტერში, იმავდროულად ინარჩუნებს ურთიერთობებს კავკასიაში მცხოვრებ წარმომადგენლებთან – ავტოკეფალისტებთან.“ ვ. იაცკევიჩისთვის გადაცემული დოკუმენტის მიხედვით, „ეპისკოპოსი პეტრე ცნობილია როგორც ავტოკეფალისტთა პარტიის ერთ-ერთი მთავარი პირთაგანი, რომლის მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეპისკოპოსების ლეონიდესა და კირონის მოღვაწეობასთან.“²²¹ ეპ. პეტრეს შემდეგ მოდის არქ. ამბროსი ხელაიას ყველასგან განსხვავებული დახასიათება:

„არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, უკავია რა სინოდალური კანტორის წევრის თანამდებობა და არის რა ძალიან ჭკვიანი და უნარიანი ადამიანი, ითვლება ავტოკეფალური მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწედ; ცნობილია, რომ ის ახლო ურთიერთობაში იმყოფება ეპისკოპოსებთან ლეონიდესთან, გიორგისთან და პეტრესთან, მღვდლებთან თალაკვაძესთან, ცინცაძესთან და ჩიჯავაძესთან; არსებობენ აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ მის ბინაში გარკვეული დროის მანძილზე გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი იმალებოდა.“²²² ქართული სამღვდლოების გარკვეულ წრეებში სწორედ არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნამორაძე) მიიჩნეოდა ეგზარქოს ნიკონის მკვლელად, თუმცა ამის თაობაზე არანაირი მონაცემები გამოძიებას არ გააჩნდა და ეს ვერსია ოფიციალურად არც განიხილებოდა. მოგვიანებით, 1926 წლის 17 დეკემბერს, ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, რომელიც მაშინ საბჭოთა ხელისუფლებასთან იყო შეკრული, თავის უკიდურესად ბინძურ წერილში მიტროპოლიტ კალისტრატესადმი (ცინცაძე) კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ასეთ ბრალდებასაც უყენებდა: „ამბროსიმ იცოდა, რო ნიკოლოზ არქიმანდრიტი იყო ნიკონის მკვლელი და მაინც უნდოდა მისი კურთხევა ეპისკოპოსად“.²²³ როგორც ჩანს, ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს, თუმცა გამოითქვა სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, ეგზარქოსის მკვლელობის შესაძლო ორგანიზატორები შეიძლება ყოფილიყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.²²⁴ აღნიშნული ვერსია საკმარისად დასაბუთებული არ არის. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ნიკონის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან ამბროსი ხელაიას რომ ჰქონოდა პირდაპირი კავშირი, ეპისკოპოსი დავითი მას აუცილებლად დააბეზლებდა ოხრანკის თუ არა, საბჭოთა საგანგებო კომისიის წინაშე მაინც.

თბილისის ოხრანკის მიერ ვ. იაცკევიჩისთვის გადაცემული დოკუმენტები შეიცავდნენ ასევე ცნობებს მღვდლებზე – ამბროსი ფოფხაძეზე, იოსებ ჩიჯავაძეზე, ქრისტეფორე ციციქიშვილზე, ილია შებლაძეზე და სხვებზე. უწმინდესი სინოდის რევიზიამ ვ. იაცკევიჩის ხელმძღვანელობით 1908 წლის ბოლოსთვის მუშაობა დაასრულა,

221. იქვე, ფ.291-292ა.

222. იქვე, ფ.292ა.

223. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.41, გვ. 3. ნიკოლოზ ნამორაძის მიერ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ვერსიას მხარს უჭერს ცნობილი მეცნიერი ელდარ ბუბულაშვილი, რომელსაც ამ საკითხზე სხვა დამატებითი მტკიცებულებებიც გააჩნია (ე. ბუბულაშვილი. საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში. სადოქტ. დის. თბ., 2005).

224. ვ.გურული. ეგზარქოს ნიკონის მკვლელი. – რელიგია, 1993, №1, გვ. 89-96.

მიუთითა საქმისწარმოების სფეროში საეგზარქოსოს დანესებულებებში არსებულ გარკვეულ ნაკლოვანებებზე და, რაც მთავარია, უწმინდეს სინოდს წარუდგინა თავისი რეკომენდაციები საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის, არქიმანდრიტ ამბროსის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და საქართველოდან მისი გასახლების შესახებ.

„ბოროტების აღკვეთის“ მიზნით რევიზიამ წარმოადგინა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის ზემოთგანხილული ნიკონისეული გეგმის ბევრად უფრო გაუარესებული ვარიანტი. ამ ვარიანტის წარმოდგენამდეც უწმ. სინოდი საკმაოდ რადიკალურად იყო განწყობილი. ჯერ კიდევ 1908 წ. 9 ივლისის გაზეთ „გოლოს მოსკვი“-ს ცნობით, სინოდი სერიოზულად იხილავდა ავტოკეფალიის მომხრე საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმების საკითხს. მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებები („საქართველოსთან უთანხმოების ჩამოგდება ხელსაყრელი არ არის“) აფერხებდნენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.²²⁵ ვ. იაცკევიჩმაც ფაქტობრივად საეგზარქოსოს გაუქმების გეგმა წარმოადგინა, რომლის თანახმადაც სოხუმისა და ბაქოს ეპარქიების გამოყოფა მიზანშეწონილად მიიჩნეოდა; უქმდებოდა სინოდალური კანტორა, რომელსაც საეპარქიო კონსისტორიები ჩაანაცვლებდნენ. ეს ზომა, რევიზიის წევრთა აზრით, იმითაც იყო გამართლებული, რომ რეპრესიების გამოუყენებლად „შტატს გარეთ დატოვებდა კანტორის არაკეთილსაიმედო ძმებს“. ქართულ მოსახლეობას, მისი რაოდენობის გათვალისწინებით სამი ეპისკოპოსი ეყოლებოდა: ვიკარი-თბილისის გუბერნიისთვის, დამოუკიდებელი-იმერეთისთვის და ვიკარი-გურია-სამეგრელოსთვის. რევიზიის დასკვნის მიხედვით, მიზანშეწონილად ჩაითვალა: „ბათუმის ოლქი, რომელიც შედარებით ახლახან რუსული სისხლის ფასად რუსეთის სახელმწიფოს მიუერთდა და გვირდება ახლო მომავალში მსხვილი რუსული სავაჭრო ცენტრი გახდეს, საჭიროა განთავისუფლდეს ქართველი ეპისკოპოსების გამგებლობისაგან და ეპარქიალური თვალსაზრისით დაექვემდებაროს სოხუმს.“²²⁶

1908 წ. 10-20 დეკემბერს უწმ. სინოდმა განიხილა რევიზიის მასალები და საეგზარქოსოში საეკლესიო მმართველობის ძირეული რეფორმირების მიზნით, ისევე როგორც 1906 წელს, ამჯერადაც უწმინდეს სინოდთან ჩამოაყალიბა განსაკუთრებული სათათბირო მოსკოვის მიტროპოლიტის ვლადიმირის (საქართველოს ეგზარქოსი 1892-1898 წწ.) თავმჯდომარეობით. რუსეთის საეკლესიო მთავრობის პოზიციის გამომხატველ სათათბიროს კი უფრო რადიკალური პროექტი წარმოუდგენია: „უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა და ამჟამად არსებული საეგზარქოსოს საეპარქიო დანესებულებები დაიშალოს, ეგზარქოსის თანამდებობა და ტიტული გაუქმდეს.“ ამის სანაცვლოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო სამი ეპარქია, რომელთა დასახელებაში (ასევე მღვდელმთავართა ტიტულში) მითითებული იქნებოდა არა „მათი ეთნოგრაფიული შემადგენლობა“, არამედ ქალაქის ან გუბერნიის სახელწოდება. გათვალისწინებული იყო თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის ეპარქიების ჩამოყალიბება. თბილისის ეპარქიის შემადგენლობაში შევიდოდა თბილისის, ელისავეტოპოლის, ბაქოსა და ერევნის გუბერნიები და ყარსის ოლქი. მღვდელმთავარს ექნებოდა ტიტული – თბილისისა და ელისავეტოპოლის მთავარეპისკოპოსი. ეპარქიას ორი ვიკარი ეყოლებოდა – გორის (ქართველი) და ბაქოს (რუსი). ქუთაისის ეპარქია გააერთიანებდა იმერეთის ეპარქიის ტერიტორიას და გურიას. მღვდელმთავრის ტიტული იქნებოდა – ქუთაისისა და ოზურგეთის ეპისკოპოსი. მის დაქვემდებარებაში მყოფ ვიკარს მიენიჭებოდა რაჭის ეპისკოპოსის ტიტული. სოხუმის ეპარქია, განსაკუთრებული სათათბიროს პროექტის მიხედვით, მოიცავდა სოხუმის ოკრუგს (აფხაზეთს), სამეგრელოს, ზემო სვანეთსა და ბათუმის ოლქს. მღვდელმთავარი მიიღებდა

225. სცსსა, ფ.13, აღწ.6, ს.808, ფ.52.

226. იქვე, აღწ.3, ს.1799, ფ.34-36.

სოხუმისა და ახალსენაკის ეპისკოპოსის ტიტულს. ეპარქიას ეყოლებოდა ერთი ვიკარი – ბათუმის ეპისკოპოსი, რომელიც იცხოვრებდა ბათუმში ან ფოთში და მარტვილის მონასტერსაც უხელმძღვანელებდა.

განსაკუთრებული სათათბიროს წინადადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთი და საქართველოს სამხედრო გზა ვჯავამდე და გუდაურამდე ვლადიკავკაზის ეპარქიის შემადგენლობაში შევიდოდა.²²⁷

უნმინდესი სინოდის განსაკუთრებული სათათბიროს პროექტი საქართველოს ტერიტორიულ და ეკლესიურ დაშლა-დაქუცმაცებაზე, ქართველი ერის ერთიანობის მოშლაზე და მის სრულ ასიმილაციაზე იყო გათვლილი. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ მეფისნაცვალმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმაც კი 1909წ. 14 ივნისს უნმ. სინოდის ობერპროკურორისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული პროექტი დაიწუნა. მისი აზრით, ამ პროექტის განხორციელება ნიშნავდა „საეგზარქოსოს საეკლესიო მართვის საქმეში პოლიტიკის შემოტანას, რომელიც მას არა თუ არანაირ სიკეთეს, აშკარა ზიანს მოუტანდა, რადგანაც პროექტით გათვალისწინებულ ზომებს შეუძლიათ გამოიწვიონ მღვდლმართობა, შექმნან რეგიონში ახალი სიძნელეები და გართულებები საეკლესიო მართვის სფეროში.“ მეფისნაცვალს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა, ეგზარქოს ნიკონის გეგმის თანახმად, საქართველოს საეგზარქოსოსგან სოხუმისა და ბაქოს ეპარქიების გამოყოფა. 1909 წლის 11 დეკემბერს ობერპროკურორმა მეფისნაცვალს შეატყობინა უნმ. სინოდის 1909წ. 19 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე განსაკუთრებული სათათბიროს პროექტის განხორციელების გადადების (და არა უარყოფის) შესახებ იმ დრომდე, როდესაც ამ საკითხის განხილვა „საქმის გარემოებათა ერთობლიობით მიზანშეწონილი და აუცილებელი გახდება.“²²⁸ იმავე სხდომაზე უნმინდესმა სინოდმა იმპერატორს ახალი ეგზარქოსის დანიშვნა სთხოვა. საქართველოს ეგზარქოსად 1909წ. 7 დეკემბერს მთავარეპისკოპოსი ინოკენტი (ბელიაევი) დაინიშნა.

ვ. იაცკევიჩის თავმჯდომარეობით ჩატარებული რევიზიის მასალებში ჩამოყალიბებული სხვა ზემოთხსენებული წინადადებების განხილვის შემდეგ უნმინდესმა სინოდმა 1908წ. 22 დეკემბერს მიიღო ბრძანებულება საქართველოს ეგზარქოსის მოვალეობის შემსრულებლის ეპ. გრიგოლის (ვახნიანი) მიმართ. მასში ნათქვამია: „1) საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი არქიმანდრიტი ამბროსი კანტორის წევრისა და იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობებიდან დათხოვნის შემდეგ გადაყვანილ იქნას რიაზანის სამების მონასტრის ძმების რიგებში რიაზანის ყოვლადსამღვდელოს ეპისკოპოს ნიკოდიმის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ და საგანგებო განკარგულებამდე ღვთისმსახურების უფლების აკრძალვით; 2) თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას ეძლევა ბრძანება ადგილობრივი მღვდელმსახურებისგან და სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებისგან ჩამოაყალიბოთ კომისია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საქმეებისა და ქალაქების გადასარჩევად და წესრიგში მოსაყვანად, კომისიის შემადგენლობაში ქართული წარმომავლობის პირების შეყვანით“ (აქვე, დოკ. №12).

უნმ. სინოდის ამ უსამართლო გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენა მოახდინა სახელმწიფო სათათბიროს წევრის, ცნობილი შავრაზმელის ვ. პურიშკევიჩის 1908წ. 10 დეკემბრის გახმაურებულმა განცხადებამაც ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ეპ. კირიონის და სხვა ავტოკეფალისტების ვითომ მონაწილეობის შესახებ, რასაც მოჰყვა რეპრესიების გაძლიერება ქართული სამღვდელოების წინააღმდეგ.²²⁹

1909წ. 9 იანვარს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ განიხილა უნმ. სინოდის 1908წ. 22 დეკემბრის ბრძანებულება და მიიღო გადაწყვეტილება ამ ბრძანებ-

227. იქვე, ფ.36-36ა.

228. იქვე, ფ.37-37ა.

229. იხ. ამის შესახებ: Н. Дурново. Мутный источник. По поводу речи г.Пуришкевича в Государственной Думе по делам грузинской церкви. М., 1909, გვ. 4-13.

ულების არქიმანდრიტ ამბროსისთვის გამოცხადების შესახებ, რომელსაც იმავდროულად მიეცა განკარგულება მისი გამგებლობის ქვეშ მყოფი იოანე ნათლისმცემლის მონასტერში და კანტორაში საქმეების გადაბარების შემდეგ რიაზანის სამების მონასტერში გამგზავრების თაობაზე. განკარგულება მიეცა ასევე სინოდალური კანტორის ხაზინადას, არქიმანდრიტ ამბროსისთვის 1909 წლის 8 იანვრის ჩათვლით კანტორისა და მონასტრის კუთვნილი ხელფასების, აგრეთვე თბილისიდან რიაზანამდე სამგზავრო თანხის ანაზღაურების შესახებ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, მისი ქონება მამა ამბროსიმ დროებით წინამძღვრად დანიშნულ ეპ. დავითს გადააბარა.

1908 წლის 8 იანვარს ამბროსი ხელაიამ განცხადებით მიმართა სინოდალურ კანტორას; მასში აღნიშნავდა, რომ უსიტყვოდ ემორჩილება უწმ. სინოდის გადანყვეტილებას, მაგრამ ძალიან იტანჯება ასეთი გადანყვეტილების მიზეზების არცოდნის გამო. ამიტომ სთხოვა კანტორას, იშუამდგომლოს უწმ. სინოდის წინაშე, რათა მიეცეს პეტერბურგში პირადად ჩასვლისა და მის მიმართ მიღებული გადანყვეტილების მოტივების გაცნობის უფლება. თუ ასეთი ნებართვა, მიზეზთა გამო, არ იქნებოდა გაცემული, მაშინ, როგორც არქიმანდრიტი ამბროსი თავის განცხადებაში წერდა, მისთვის უნდა წაეყენებინათ კონკრეტული ბრალდებები, რათა შესძლებოდა თავის მართლება და დაუმსახურებლად შელახული რეპუტაციის აღდგენა. არქიმანდრიტ ამბროსის დათხოვნასთან დაკავშირებით, 1908 წლის 9 იანვარს სინოდალურ კანტორაში შემოვიდა კანტორის წევრის, ალავერდელი ეპისკოპოსის დავითის (კაჭახიძე) განცხადება. მასში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არქიმანდრიტი ამბროსი, რომელიც „ყველას ყურადღებას იპყრობდა როგორც შრომისმოყვარე, საქმიანი, ძალიან პატიოსანი, კანონიერებისა და წესრიგის დამცველი ადამიანი,“ რომლის მიმართ კარგი შეხედულებისა იყო გარდაცვლილი საქართველოს ეგზარქოსიც, დასჯილია რაღაც გაუგებრობის გამო. ამიტომ ეპ. დავითი ამ საქმის შესწავლას მოითხოვდა. 1908 წ. 9 იანვრის სხდომაზე სინოდალურმა კანტორამ გადანყვეტა არქიმანდრიტ ამბროსისა და ეპ. დავითის განცხადებები განხილვის გარეშე გადაუგზავნოს უწმინდეს სინოდს „კეთილგანსახილველად“.²³⁰

უსამართლო გადანყვეტილება არქიმანდრიტ ამბროსის საქართველოდან გასახლების, მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ და ღვთისმსახურების უფლების ჩამორთმევით რიაზანის სამების მონასტერში გამომწყვდევის შესახებ უწმ. სინოდმა ყოველგვარი სამხილის გარეშე მიიღო. „რაკი მკვლევები ვერ იპოვეს, მთავარეპისკოპოს ნიკონის „იდეური“ მონინალმდეგეების დევნა დაიწყეს, – წერდა უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე). – ერთ-ერთ ასეთ მონინალმდეგედ სინოდის რევიზორმა სინოდის კანტორის წევრი არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) მიიჩნია, რომელმაც უარი თქვა 1906წ. 8 სექტემბერს ეგზარქოსოს დიდუბის ეკლესიაში წაჰყოლოდა“.²³¹ საქართველოდან გასახლების ერთადერთ კანდიდატად არქ. ამბროსის ამორჩევაში სინოდის რევიზორს ვიქტორ იაცკევიჩს უთუოდ დაეხმარა თბილისის ოხრანკის მიერ 1908წ. 23 ნოემბერს მისთვის გადაცემული ცნობები ავტოკეფალისტთა პარტიის თვალსაჩინო წევრების თაობაზე, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

1909 წლის 22 იანვარს ქ. თბილისში სამღვდელთა და საზოგადოების წარმომადგენლებით გადაჭედილ ფერისცვალების მონასტერში მამა ამბროსისთან გამოსამშვიდობებელი პარაკლისი ჩატარდა, რათა ეთქვათ „თავისი საყვარელი არქიმანდრიტისთვის უკანასკნელი „მაპატიე“, – წერდა 1909 წლის 24 იანვარს გაზეთი „ნოვოსტი ზაკავკაზია“. ასეთი გულთბილი გაცხილება, გაზეთ „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე“-ს (1909, 25 იანვარი) მტკიცებით, „მხოლოდ ცოტაოდენ რჩეულთა ხვედრია“; ხალხი ტიროდა იმის გამო, – აგრძელებს გაზეთი, – რომ „ქართული სამღვდელთა საყვა-

230. იქვე.

231. კ. ცინცაძე. ჩემი მოგონებები, გვ.135.

რელი არქიმანდრიტი ამბროსი, გვარად ხელაია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრისა და იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრის მაღალი თანამდებობიდან მიზეზების განმარტების გარეშე გადაყენებულია უწმინდესი სინოდის მიერ და გადასახლებულია რიაზანის წმ. სამების მონასტერში“. მამა ამბროსი სიმშვიდეს ინარჩუნებდა და იქით ამხნევებდა თავის თაყვანისმცემლებს, მოუწოდებდა მათ „ჰქონდეთ ზეციური სამსჯავროს იმედი“. მონასტრიდან, სადაც მას წმ. ნინოს ხატი გადასცეს საჩუქრად, ამბროსი პირდაპირ რკინიგზის სადგურში გაემგზავრა და გაუდგა გზას შორეული რუსეთისკენ. მანამდე მეფისნაცვალს ი. ვორონცოვ-დაშკოვს მოხსენებითი ბარათი მიართვა, რომელშიც ითხოვდა რიაზანის მონასტერში მისი გამომწყვდევის მიზეზების მკაცრ გამოძიებას, „რადგანაც საქართველოდან ასახლებდნენ ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე.“²³²

არქიმანდრიტ ამბროსის გადასახლებამ უაღრესად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ სამღვდელთაზე, საზოგადოებაზე. 1909 წ. 11 თებერვალს ი. ჩიჯავაძე გადასახლებაში მყოფ ეპ. კირიონს აცნობებდა, რომ „5 თებერვალს მიიცვალა მოხუცი ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი – ჯ.გ.); ამბროსის გადაყვანამ დიდი გავლენა იქონია მასზე, სულ დაეცა სულით; მეტადრე შენი შელახვა, ხომ თქმა არ უნდა, ძალიან სწუხდა.“²³³ ქართული სამღვდელთა, მათ შორის არქიმანდრიტ ამბროსის (განსაკუთრებით ეპისკოპოს კირიონის) დასაცავად ხმა აღიმალა საქართველოს რუსმა მეგობარმა ნ. დურნოვომ, რომელმაც სპეციალურ ბროშურაში გააბათილა სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვ. პურიშკევიჩის მიერ 1908წ. 10 დეკემბერს გამოთქმული ცილისწამებები ნიკონის მკვლელთაში ქართველი სასულიერო პირების მონაწილეობის შესახებ. მამა ამბროსი, – წერდა იგი, – ძალიან კორექტული, კეთილსინდისიერი, მაღალი ზნეობისა და პირდაპირობის ადამიანია, რომელიც სინოდალურ კანტორაში ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობდა და იცავდა იქ თავის თანამემამულეებს; როგორც კანტორის წევრი, ის გამოირჩეოდა იმით, რომ იყო საქმიანი და ენერგიული.“²³⁴

რიაზანის სამების მონასტერში არქიმანდრიტი ამბროსი უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა, რის შესახებაც მოგვიანებით თავადვე წერდა გაზეთ „საქართველოში“ (1917, 9 მარტი): „1909 წლის იანვრის მეორე ნახევარში მერგო წილად ცრემლების ფრქვევით მოვშორებოდი სამშობლო მხარეს და გადმოვსახლებულვიყავი ჩრდილოეთისაკენ. 28 იანვარს მივალწიე ჩემთვის საცხოვრებლად დანიშნულ ადგილს. ეს იყო რიაზანის სამების მონასტერი. დიდხანს ვერ მოვახერხე მონასტრის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება. გადატანილი მოგზაურობისა და სულიერი ტანჯვის გამო დაავადმყოფებული ჩამაგდეს ნესტიან სენაკში და ექიმის მოწვევის ნებასაც დიდხანს არ მაძლევდნენ. ამის გამო ჩემი ავადმყოფობა გაგრძელდა მთელი თვე-ნახევარი. პირველ ხანებში ჩემთან შემოსვლის ნებას არავის აძლევდნენ მონასტრის ხაზინადრის, მღვდელმონაზონ ბასილის გარდა. თავისუფლად სიარულის ნებაც არ მქონდა – არამც მონასტრის კედლებს გარეთ, არამედ მონასტრის ეზოშიაც. ამას დაერთო ზამთრის სისასტიკე და დიდი თოვლიც და ამის გამო ვიყავი გამოკეტილი ჩემს ნესტიან სენაკში“ (აქვე, დოკ. №14). ამავე დროს, ამბროსი ხელაიამ ვერა და ვერ მიიღო პასუხი 1909წ. 8 იანვარს სინოდალურ კანტორაში, იმავე წლის 18 თებერვალს კი უწმინდეს სინოდში შეტანილ განცხადებებში დასმულ კითხვებზე. 1909 წლის 7 აპრილს უწმინდესმა სინოდმა, როგორც იქნა, განიხილა არქიმანდრიტ ამბროსის საქმესთან დაკავშირებული სამი დოკუმენტი: 1. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1909 წ. 21 იანვრის მოხსენება, რომელსაც თან ერთვის მამა ამბროსის მიერ 1909 წ. 8 იანვარს კანტორაში შეტანილი ზემოთგანხილული

232.Н. Дурново. Мутный источник, гв.13.

233. ვ. კიკნაძე. ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა. თბ., 2003, გვ.115.

234. Н. Дурново. Мутный источник, гв.21.

განცხადება; 2. ეპ. დავითის (კაჭახიძე) მიერ 1909 წ. 9 იანვარს სინოდალურ კანტორაში შეტანილი განცხადება არქიმანდრიტ ამბროსის უდანაშაულობისა და მისი საქმის შესწავლის აუცილებლობის შესახებ; 3. უნმ. სინოდის სახელზე არქიმანდრიტ ამბროსის 1909 წლის 18 თებერვლის განცხადება მისი საქმის გამოძიების დაჩქარების თაობაზე. მიღებულ დადგენილებაში კი ჩაინერა, რომ „უნმინდესი სინოდი ვერ ხედავს საფუძველს არქიმანდრიტ ამბროსის ზემოთმოტანილი თხოვნის დაკმაყოფილებისთვის და ამის გამო განაჩინა: არქიმანდრიტ ამბროსისა და ალავერდელი ეპისკოპოს დავითის ზემოთდასახელებული განცხადებები დარჩეს გამომხაურების გარეშე (ბეზ პოსლედსტვია).“²³⁵

მამა ამბროსის საქმის გამოძიება 1909 წელს მაინც დაინყო. მას აწარმოებდა უკიდურესი შოვინისტი, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ყოფილი ობერ-პროკურორი, 1906-1915 წლებში რუსეთის იუსტიციის მინისტრი ი. შეგლოვიტოვი. გამოძიებამ ამბროსი ხელაიას დანაშაული ვერ დაადასტურა. მოგვიანებით (1924წ. მარტში), კომუნისტური „სასამართლოს“ წინაშე სიტყვით გამოსვლისას, უნმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ გაიხსენა 1909 წელი და ბრძანა: „მეორე ექსორიობის დროს, მთელი 1909 წლის განმავლობაში, ჩემი საქმე ჰქონდა ხელში გენერალ-პროკურორს, ყოფილ იუსტიციის მინისტრს, ცნობილ შეგლოვიტოვს. მაგრამ მანაც ვერ სცნო შესაძლებლად ის გადაეცა სასამართლოსთვის. შესაძლებელია, ამ არარუსების მოძულესაც ეკლესიური თავისუფლების საკითხი მიაჩნდა იმდენად სათუთ და პატივსაცემ საკითხად, რომ მისი სასამართლოსათვის გადაცემა შეუფერებლად მიაჩნდა. ამის გამო საქმე მოისპო და მე დამიბრუნეს უფლებები, გარდა სამშობლოში დაბრუნებისა“ (აქვე, დოკ. №69). გამოძიების დასრულებისთანავე ამბროსი ხელაიასთვის ღვთისმსახურების უფლების აღდგენაზე მიუთითებს რაიაზანის სამების მონასტრის ეკლესიაში 1909 წლის 25 დეკემბერს მის მიერ ჩატარებული საშობაო ქადაგება, რომელიც მიეძღვნა განმარტებას ანგელოზთა სიტყვებისა, რომლითაც მათ ამცნეს ადამიანებს დედამიწაზე ქრისტეს მოღვაწეობის, ქრისტიანული ეპოქის დაწყების შესახებ: „დიდება მაღალსა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, კაცთა შორის სათნოება“. საქართველოს ეკლესიის უნუგეშო მდგომარეობისა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში პიროვნულად განცდილის გათვალისწინებით, მთავარი ყურადღება ქადაგებაში დაეთმო „ქვეყანასა ზედა მშვიდობას“ – სიტყვებს, რომლებითაც ანგელოზები იუწყებოდნენ „იმ მშვიდობის შესახებ, რომელიც უნდა სუფევდეს ქრისტიანთა შორის მათს ცოდვილ ცხოვრებაში, ანუ მშვიდობაზე ღმერთთან, საკუთარ თავთან და ყველა ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებთან“, – ბრძანებდა არქიმანდრიტი ამბროსი. მან ისაუბრა ანგელოზების მიერ გამოცხადებული მშვიდობის არარსებობის თაობაზეც, რის გამოვლინებასაც წარმოადგენდა მტრობა, სიძულვილი, ძარცვა, მასობრივი ურთიერთგანადგურების სულ უფრო და უფრო სრულყოფილი იარაღის გამოგონების მცდელობები და არაქრისტიანული ცხოვრების სხვა მაგალითები. „ეს ყველაფერი განა შეიძლება იყოს საერთო რელიგიის აღმსარებელ ადამიანებს შორის საყოველთაო მშვიდობის დადგომის ნიშანი?“ – კითხულობდა მამა ამბროსი. მისი აზრით, მშვიდობის სუფევას ხელს უშლიდნენ უფლის მცნებათა შეუსრულებლობა, მოყვასის სიყვარულის არარსებობა (რის გამოც ხდებოდა „დავები, განხეთქილებები, მტრობა, შეუთანხმებლობა“), ქონებრივი უთანასწორობა („თანამედროვეობის მწვავე საკითხი“, მიზეზი უწესრიგობებისა და მღელვარებების), მასობრივი განადგურების იარაღის გამოგონება და მისი მუდმივი სრულყოფა (ნაცვლად შრომის იარაღების დამზადებისა). საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად კი ამბროსი ხელაიას საჭიროდ მიაჩნდა, „რომ ჩვენ – ქრისტიანებმა – მოვაკვიდინოთ ჩვენს შიგნით მცხოვრები მხეცი – ძმათამოძულეობა, დავიწყოთ თვითსრულყოფით, ბიბლიის საწყისე-

235. საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.539, ფ.71.

ბზე ჩვენი ცხოვრების გარდაქმნით“, რადგანაც „მხოლოდ ღმერთისადმი რწმენას და ხალხთა ურთიერთსიყვარულს შეუძლია დედამიწაზე მშვიდობისა და ქრისტესმიერი ძმობის განმტკიცება, ზეცაში მარადიული ნეტარების მონიჭება ჩვენთვის“.²³⁶ გამგები უსათუოდ გაიგებდა, რისი თქმა სურდა „სიძულვილისა“ და „დევის“ შედეგად რიაზანში აღმოჩენილ ქართველ მამულიშვილს.

ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში რიაზანის წმ. სამების მონასტერში გამომწყვდეული, უმძიმეს პირობებში მყოფი, უფლებაყრელი, მაგრამ უდანაშაულო ამბროსი ხელაია, როგორც იქნა გამართლდა, აღუდგა მას ღვთისმსახურების უფლებაც. მიუხედავად ამისა, ექსორია გრძელდებოდა.

7. იმპერატორის სამსახური ნოვგოროდის ეპარქიაში და ბრძოლა საქართველოს ინტარქიის დასაცავად (1910 წ. თებერვალი-1917 წლის აპრილი)

უნმინდესი სინოდის 1910 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტი ამბროსი ნოვგოროდის ეპარქიის სტარაია რუსას უფლის ფერისცვალების პირველი კლასის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა, იმავე წლის 24 დეკემბერს ნოვგოროდის კონსისტორიამ ეპარქიის მონასტრების ბლალოჩინის თანამდებობაც შეუთავსა, თუმცა ბლალოჩინის მოვალეობას იგი იმავე წლის ზაფხულიდან ასრულებდა.²³⁷ იმპერიული ხელისუფლებისთვის მთავარი იყო, ნაციონალისტად და ყოველივე რუსულის მონინალმდეგედ შერაცხულ ნებისმიერ ქართველს საკუთარ სამშობლოში არ ემსახურა; საქართველოდან შორს კი უბოძებდა მას მეტ-ნაკლებად შესაფერის თანამდებობას საკმარისი ხელფასითა და ცხოვრების შედარებით ნორმალური პირობებით. ასე მოხდა 1903 წელს, როდესაც მამა ამბროსი მიყრუებული ადგილიდან – ქელიშის მონასტრიდან დონის ეპარქიაში „დაანინაურეს“ ბევრად მეტი ხელფასით (2100 ვერცხლის მანეთი წელიწადში). იგივე განმეორდა 1910 წელსაც.

ერთ-ერთი პირველი იყო იმუამად პეტერბურგში სამკურნალოდ მყოფი ეპისკოპოსი კირიონი, ვისაც არქიმანდრიტმა ამბროსიმ სტარაია რუსაში ჩასვლის შესახებ შეატყობინა. 1910 წლის 19 თებერვალს კირიონისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა: „ყოვლადსამღვდელოვ! ჩამოვედი და დავსახლდი ჩემს მონასტერში. მონასტერი გვარიანია. ვიყავი ნოვგოროდშიც. მონასტრების ბლალოჩინად შენი ნაცნობი ანატოლია, რომელსაც ნოვგოროდში სასულიერო წრეებში დაუმსახურებია სახელი „გრუზინოფილისა“ და ყველგან ქართველების ქებაშიაო.

სხვათა შორის, ანატოლიმ მითხრა, რომ ის დიდი პატივისმცემელია შენი, დიდად სწუხს, რომ მტრებმა კირიონი მომამდურესო, მაგრამ იმედი მაქვსო, ჩემზე აზრს გამოიცივლისო. დიდის თანაგრძნობით და სიყვარულით მესაუბრა შენზე და მთხოვა მის მაგივრად ლოცვა-კურთხევა გამოვიტხოვო შენგან და სიყვარულით მოგიკითხა. შემატყობინე, როგორ მიდის შენი საქმე ვ-ვის (დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელი უნდა იგულისხმებოდეს²³⁸ – ჯ.გ.) შესახებ, როდის დაგნიშნავენ, გაემგზავრები პეტრეს ქალაქიდან და საით? აქით გამოივლი თუ არა? მომიკითხე მალაქია²³⁹ (ბოლქვაძე – ჯ.გ.) და სამუილი (ცომაია – ჯ.გ.). როდე-

236. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ამბროსი ხელაიას არქივი, ს.31.

237. იქვე, ს.49.

238. წმ. მღვდელმონაშე კირიონ II და აფხაზეთი, გვ.330-338, 469, 470. – ჯ.გ.

239. ეტყობა, მამა ამბროსის ახლო ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგში მოღვაწე ცნობილ იურისტთან მალაქია ბოლქვაძესთან. 1910 წლის 3 მაისს ეს უკანასკნელი ეპ. კირიონს წერდა: „სააღდგომოდ ამბროსიმ წერილი გამომიგზავნა, მისაყვედურებს – რატომ არ გამოიარე იასნი პოლიანადანო. ის კი არ იცის, ჯერ პეტერბურგს არ გავცილებივარ“ (წმ. მღვდელმონაშე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 338). – ჯ.გ.

საც დროს იმოვნინან, იმედი მაქვს მესტუმრებიან, მონასტრულად დაუხვდები, დიდათ სასიამოვნო იქნება ჩემთვის. შენ თუ ინებებ, მოხარული ვიქნები. წერილს ველი ახლის ამბებით. შენი ერთგული და მარადის პატივისმცემელი ამბროსი. ადრესი: г. Старая Русса, Новгородской Губернии. Настоятелю Старорусского Спасопретображенского монастыря...“²⁴⁰

დაახლოებით 1910წ. თებერვლის შუახანებში უნდა იყოს წარმოთქმული სიტყვა, რომლითაც არქიმანდრიტმა ამბროსიმ პირველსავე ღვთისმსახურებაზე მიმართა სტარაია რუსას მონასტრის ძმებს. ახალმა წინამძღვარმა ურთიერთნდობისა და კეთილგანწყობის მოპოვებისათვის აუცილებელ პირობებზე ისაუბრა. პირველ რიგში, აღნიშნა, რომ მას, როგორც წინამძღვარს, საწყის ეტაპზე მაინც ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ნაკლები შეხება ექნებოდა (შესაძლოა, ასეთი იყო სასულიერო მთავრობის მოთხოვნაც) და უმათავრესად ტაძარში სულიერი ურთიერთობების დამყარებაზე იზრუნებდა. ურთიერთნდობისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროს დასამკვიდრებლად, ამბროსი ხელაიას აზრით, აუცილებელი იყო მონასტრის წინამძღვრისა და ძმების მიერ საკუთარი მოვალეობის პირნათლად შესრულება, სრული ჰარმონია სიტყვასა და საქმეს შორის. მოვალეობათა შორის, – აღნიშნა ამბროსიმ, – ყველაზე მთავარია ღმერთისადმი ღრმა რწმენა და ამ რწმენის შეერთება უფლის მცნებათა, უპირველეს ყოვლისა, ღმერთისა და მოყვასისადმი სიყვარულის ცხოვრებაში გატარებასთან.²⁴¹ სულ რაღაც 10 თვეში ნოვგოროდის ეპარქიის მონასტრების ბლალოჩინად დანიშვნა ამბროსი ხელაიას მიერ დიდი ნდობისა და კეთილგანწყობის მოპოვებაზე უნდა მიუთითებდეს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია სტარაია რუსაში და ნოვგოროდის ეპარქიის სხვა მონასტრებში წარმოთქმული ორ ასეულზე მეტი ქადაგება თუ სიტყვა, რომლებშიც არქიმანდრიტი ამბროსი ეხება უამრავ თემას წმინდა თეოლოგიური პრობლემებით დაწყებული, პირველი მსოფლიო ომისა და, როგორც ჩანს, ეპარქიაში ძალზე აქტუალური მემთვრალეობის საკითხებით დამთავრებული. ქადაგებებში, რომლებიც 1911 წლის 2, 16 და 23 ოქტომბერს არის წარმოთქმული, საუბარია ადამიანში ორი საწყისის – ხილულისა და უხილავის, ფიზიკურისა და სულიერის არსებობის შესახებ.²⁴² ისინი შეიცავენ საკმაოდ დამაჯერებელ კრიტიკას მატერიალისტებისა, რომლებიც უარყოფდნენ სულის, შესაბამისად, იმქვეყნიური ცხოვრების არსებობას, აცხადებდნენ, რომ აზროვნებს მატერია და არა სული. ამბროსი მიიჩნევდა, რომ სულიერი საწყისის გარეშე შეუძლებელია ადამიანთა ბუნებაში მრავალი ისეთი მოვლენის ახსნა, როგორცაა განყენებული ცნებებისა და აზრების სამყარო, ზნეობრივ განსაზღვრებათა სამყარო, უმაღლესი რელიგიური ცნობიერების სამყარო თავისი რწმენით ღმერთისადმი მარადიული სიმართლის, მარადიული სიკეთისა და ნეტარების იმედით. მატერიალიზმს იგი „სულიერ თვითმკვლევობას“ უწოდებდა; მისი მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ ცალკეული პიროვნებები, მაგრამ არა კაცობრიობა მთლიანობაში, „რომელიც ყოველთვის დარჩება სულის უმაღლესი მოთხოვნილებების ერთგული“; რადგანაც „სული ადამიანში ღვთიური საწყისია“, – ამბობდა მამა ამბროსი, – „ჩვენი მოვალეობაა მისი სუფთად შენახვა“.²⁴³

1911 წლის 28 აგვისტოს ქადაგებაში მსოფლიო საეკლესიო კრებების მნიშვნელობისა და მათი გადაწყვეტილებების უპირობო დაცვის აუცილებლობის შესახებ, ამბროსი ხელაიამ მოიტანა ორი წმინდანის – ეგვიპტელი მოსე შავისა და ქართველი დედოფლის შუშანიკის (ორივე 28 აგვისტოს მოიხსენიება) მაგალითი, როგორც „ნიმუში

240. კ. კეკელიძის სახ. საქ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის არქივი, ს.1323.

241. იქვე, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.62.

242. იქვე, ს.108, 109, 110.

243. იქვე, ს.110.

მყარი სარწმუნოებისა მამებისთვისაც და დედებისთვისაც“.²⁴⁴

რამდენიმე ქადაგება ეძღვნება პირველი მსოფლიო ომის თემას. ისინი ძირითადად რუსული პატრიოტიზმის (და არა იმპერიალიზმის), სამშობლოსადმი და ეკლესიისადმი ერთგულების იდეითაა გამსჭვალული. რუსეთისათვის განსაცდელის ჟამს რუსული შოვინიზმის წინააღმდეგ აქტიურმა მებრძოლმა ქართველმა პატრიოტმა ამბროსი ხელაიამ, რომელიც „ყოველივე რუსულის მონინააღმდეგედ“ იყო შერაცხული და ამის გამო სამშობლოდან გასახლებული, დაიკავა არა ჩასაფრებულის, არამედ ქვემარტი ქრისტიანის პოზიცია. „გავერთიანდეთ, ძმებო, საერთო სიყვარულში სამშობლოსადმი, ეკლესიისადმი და ერთმანეთისადმი“; „ნუ იქნება ჩვენს შორის ტომთაშორისი და პარტიული მტრობა“,²⁴⁵ – მოუწოდებდა იგი თავის მსმენელებს 1914 წ. 23 ივლისის ქადაგებაში. ამბროსი ხელაია, როგორც რუსული მონასტრის წინამძღვარი ზრუნავდა დაჭრილ რუს მეომრებზე, ომის შედეგად დევნილებად ქცეულ ბავშვებზე. 1914 წლის 19 ოქტომბერს მონასტერში მან გახსნა ლაზარეთი, 1915 წლის 8 ნოემბერს კი – საერთო საცხოვრებელი დევნილი მოსწავლეებისთვის.²⁴⁶

ამბროსი ხელაიას მთავარი საზრუნავი მაინც იყო სამშობლო, რომელთანაც მჭიდრო კავშირი ერთი წუთითაც არ გაუნწყვეტია. გადასახლების პირველ წელს (1909წ.), როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გამოქვეყნდა ამბროსის მიერ 1907 წელს მომზადებული – მისი ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი „ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ნაშრომში ავტორი აღნიშნავდა, რომ ჭელიშის ვარიანტის ერთი ფურცელი დაკარგულია, რაც მას ქართლის მოქცევის შატბერდის ვარიანტის შესაბამის ფრაგმენტთან მისი შედარების საშუალებას არ აძლევდა. „დაკარგულ ფურცელზე უნდა იწყებოდეს ის, – წერდა ამბროსი, – რაც შატბერდის ვარიანტში მეოთხე თავად არის აღნიშნული ამ სათაურით: „თავი დ, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისაი“. მხოლოდ არ ვიცით, ჩვენს ვარიანტში ეს ცალკე თავად არის გამოყოფილი თუ არა“.²⁴⁷ გადასახლებაში მყოფმა ამბროსიმ ჭელიშის ხელნაწერებიდან ამოვარდნილი და ცალკე შენახული ფურცლების მორიგი გადათვალიერებისას იპოვა ქართლის მოქცევის ჭელიშის ვარიანტის ის დაკარგული ფურცელი და წერილთან, ასევე სხვა მასალებთან ერთად თბილისში ექვთიმე თაყაიშვილს გამოუგზავნა. წერილი, რომელიც დათარიღებული არ არის და არც ავტორის მისამართია მითითებული, უცნობია, საიდან არის გამოგზავნილი – რიაზანიდან თუ სტარაია რუსადან (შინარსის მიხედვით, უფრო სავარაუდოა, წერილი 1909 წელს რიაზანიდან იყოს გამოგზავნილი). ამბროსის წერილში ექვთიმე თაყაიშვილისადმი ვკითხულობთ: „ბატონო ექვთიმე! გიგზავნით ხელნაწერებს, თანაც უნდა გთხოვოთ შემდეგი. ჭელიშის მონასტერში ხელნაწერებიდან ამოვარდნილად ნაპოვნი ფურცლები ცალკე მქონდა შენახული და ამათ შორის ამ დღეებში ვიპოვნე შემთხვევით ჭელიშის ნინოს ცხოვრების ვარიანტის ის ფურცელი, რომელიც მე დაკარგულად მიმაჩნდა (იხ. დაბეჭდილი ჩემი მოხსენების 25 გვერდი). ამისთვის თუ შეიძლებოდა ჩემი მოხსენების ბოლოს თუ არა, სადმე კრებულში მაინც უნდა გაუკეთდეს შემდეგი შენიშვნა: 25 გვერდზე მოხსენიებული ვითომ დაკარგული ფურცელი ჭელისში ჩემგან ცალკე ნაპოვნი ფურცელზე მართლაც იწყება ის, რაც შატბერდის ვარიანტში მეოთხე თავად არის აღნიშნული ამ სათაურით: „თავი დ, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისაი“, მაგრამ ჭელიშის ვარიანტში ეს ცალკე თავად არ ყოფილა შეტანილი.

244. იქვე, ს.101.

245. იქვე, ს.168.

246. იქვე, ს.176, 183 (დევნილი მოსწავლეებისთვის საერთო საცხოვრებლის გახსნის 1915წ. 8 სექტემბრით დათარიღება ტექნიკური შეცდომა უნდა იყოს (პირადი არქივის აღწერილობა, 3 კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, გვ. 56).

247. არქიმანდრიტი ამბროსი. ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა. – ძველი საქართველო, ტ.1, ე.თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1909, II განყოფილება, გვ. 23.

კარგი იქნება თუ ბოლო ფურცელზე გაუკეთდება ამნაირი შენიშვნა.

ნეანდრის თხზულებაც მოხსენიებულია – *Краткая История Грузинской Церкви*. Пл. Иоселиан. СПб., 1843., გვ. 15.

თქვენი ერთგული არქიმანდრიტი ამბროსი²⁴⁸

ექვთიმე თაყაიშვილმა მამა ამბროსის თხოვნა შეასრულა და ნაშრომი ბოლოში დართული სათანადო შენიშვნით გამოაქვეყნა.

ურთიერთობა ამბროსი ხელაიასა და ექვთიმე თაყაიშვილს შორის შემდგომშიაც გრძელდებოდა. როგორც სამშობლოდან შორს გადასახლებულ ადამიანს, ამავე დროს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრს, მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს, აინტერესებდა საქართველოში გამოცემული წიგნები. ამასთან დაკავშირებით მამა ამბროსი 1911წ. 22 მაისს ექვთიმე თაყაიშვილს წერდა: „ღრმად პატივცემულო ექვთიმე სიმონის ძე! გთხოვთ უმორჩილესად მიგზავნოთ თავთავის დროზე „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ გამოცემანი. მაქვს, მხოლოდ „ძველი საქართველო“, I ტომი. რაც შეეხება „საქართველოს სიძველეთ“, არც ერთი ტომი არ მიმიღია. აგრეთვე იმედი მაქვს გამომიგზავნით სხვა თქვენს იმ ნაშრომებსაც, რომელნიც ჩემს საქართველოდან გაძევების შემდეგ დაბეჭდეთ.

ნამოსალებად ჩემი შვილი გაეხლებათ და რაც საჭირო იქნება მოგართმევთ. დიდად დამავალებთ.

ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“ თუ საეკლესიო მუზეუმისთვის არ გადაგიციათ, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ბიბლიოთეკის კუთვნილებად ჩაირიცხოს.

სანევრო ფულის შეტანის დროს გთხოვთ მაცნობებდეთ ღია წერილით და შემდეგის მისამართით: *Старая Русса. Новгородской Губернии. Настоятелю Спасопреображенского монастыря.*

თქვენი ღრმად პატივისცემული არქიმანდრიტი ამბროსი²⁴⁹

გადასახლებაში შექმნილი შრომების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამბროსი ხელაია გარკვეულ ლიტერატურას საქართველოდან, ასე თუ ისე, ღებულობდა. ის ოცნებობდა საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებაზე, მაგრამ მხოლოდ ერთხელ და ისიც შვედულებით მოახერხა 1912 წლის ზაფხულში სამშობლოში, მათ შორის აფხაზეთში ჩამოსვლა; მაშინ ის ჩავიდა ილორში (მამა-პაპისეულ სახლში), ბეღიაში, სოხუმში, სადაც ეპისკოპოს ანდრიას (უხტომსკი) შეხვდა, და სხვაგან.

მიუხედავად მრავალგზისი მცდელობისა, ამბროსი ხელაიამ სრულ რეაბილიტაციას, ანუ სამშობლოში სამსახურის უფლების მოპოვებას 1917 წლამდე ვერ მიაღწია, ყველა მისი თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული. გაზეთმა „საქართველომ“ 1915 წლის 15 აგვისტოს (№70) დაბეჭდა კ. გძელის მორიგი წერილი „ივერიის ეკლესიის შესახებ, IV. ათი წლის ისტორია.“ ამ მეტად საინტერესო სერიულ პუბლიკაციაში ავტორმა ახსენა ეგზარქოს ინოკენტის (ბელიაევი) დროს (1909-1913წწ.) ალავერდის ეპისკოპოს დავითის (კაჭახიძე) რუსეთში გადასახლების ფაქტი და იქვე დასძინა: „არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ გაასწრო რუსეთისკენ დავითს, ისიც კაი ხანია იქაა.“ სამშობლოდან დევნილმა მამა ამბროსიმ ჩათვალა, რომ კ. გძელის სიტყვებს შეეძლო საქმეში ჩაუხედავი მკითხველის შეცდომაში შეყვანა, ამიტომ „საქართველო“-ს რედაქციას ქ. სტარაია რუსადან გამოუგზავნა 1915 წ. 21 აგვისტოთი (მარიამობისთვე) დათარიღებული საპასუხო წერილი, რომელშიც საუბრობდა რუსეთში გადასახლებაზე, საქართველოში დაბრუნების მცდელობებზე, ტკივილზე, რომელსაც იწვევს სამშობლოდან იძულებით გადახვეწილ პატრიოტ ადამიანში „მარტოობა სულისა“. სწორედ ამ განცდით არის

248. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, ს.1373.

249. იქვე.

დანერილი „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც მოგვყავს მთლიანად:

„გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის ერთ-ერთ მახლობელ ნომერთაგანში მოათავსოთ ეს ჩემი მცირე შენიშვნა იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებულია „საქართველოს“ №70-ში და რომელშიაც სხვათა შორის მეც ვარ მოხსენიებული.

ის წერილი, რომელზედაც მოგეხსენებათ, ეკუთვნის ბ-ნ გძელს. ამ საგულისხმიერო წერილში ნათქვამია სხვათა შორის, რომ „არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ გაასწრო რუსეთისაკენ დავითსო“ (იგულისხმება ეპისკოპოსი დავითი). ეს წინადადება მეტად უხერხულად მეჩვენა, რადგან ამას შეუძლია მკითხველი იმ დასკვნამდე მიიყვანოს, რომ მე ვითომ ჩემის ნებით მიმიტოვებია სამშობლო მხარე და გადმოსახლებულვიყავი რუსეთში. ნამდვილად კი, როგორც იყო საქმე, უნდა იცოდეს ბ-ნ გძელმაც. მართალია, მე „გამოვასწარი“ ეპ. დავითს რუსეთისაკენ, მაგრამ ეს გამოსწრება იძულებითი იყო.

1908 წლის დამლევს უწმ. სინოდის განკარგულებით სასტიკად ვიქენი დასჯილი: აღმეხადა მღვდელთ-მსახურების უფლება და გაგზავნილ ვიქენი რიაზანის სამების მონასტერში, სადაც გავატარე ერთ წელიწადზე მეტი სასტიკი რეჟიმის ქვეშ. 1910 წელს დამიბრუნეს მღვდელმსახურების უფლება და მომცეს წინამძღვრობის ადგილი. ჩემი გადმოსახლების შემდეგ გადის თითქმის რვა წელიწადი, მაგრამ ყოველ ჩემ თხოვნას სამშობლოში დაბრუნებაზე უწმ. სინოდი უყურადღებოდ სტოვებს. უკანასკნელად პირადათაც გამომიცხადეს, რომ ჩემზე ითვლება რაღაც ძველი ცოდვები, მაგრამ როდესაც მოვითხოვე ამ ცოდვების დასახელება, მითხრეს, რომ ამის თქმა უხერხულია და ვერც გაიგებ როდისმეო. სჩანს, მათ არა აქვთ რაიმე კონკრეტული ფაქტები ჩემს წინააღმდეგ და მხოლოდ მათი პოლიტიკა უნდა თხოულობდეს ჩემი სამშობლოს გარე ყოფნას, როგორც, მათის შეხედულობით, არასაიმედო პირისას. ამის გამო ახლაც, როდესაც სხვა გადმოსახლებულებს ახადეს არასაიმედო პირების სახელი, როდესაც, როგორც გაზეთებმაც გვამცნეს, მოხდა მათი რეაბილიტაცია, ჩემს მდგომარეობას არა ეშველა რა და ახლაც სიტყვიერად მაგებინებენ, რომ ჩემი მდგომარეობის გამოცვლა და გაუმჯობესება მოუხერხებელიაო, რადგან ძველი ცოდვები ამის წინააღმდეგ გვიკარნახებსო. მაგრამ მწამს, რომ დრო მალე გამოიცვლება.

საზოგადოდ, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი და ვიქენები იმისა, რომ ქართველმა კაცმა ნებით მოატოვოს თავისი სამშობლო მხარე, თუნდაც სხვაგან მას მოელოდეს პირადი წარმატება და ბედნიერება, რადგან საქართველოს ჯერ ხანად არ ემეტება მოღვაწეები. ამის გამო, ვიმეორებ, ჩემი აქ ყოფნა არა ნებითი, არამედ იძულებითია. ამნაირივე იძულებითი იყო ჩემი სამსჯავრო დონის ოლქში 1904 და 1905 წლის განმავლობაში.

ბ-ნ გძელის სიტყვების განმარტება მეჩვენა საჭიროდ არა პირადის ინტერესების გამო, არამედ სულ სხვა მოსაზრებით. ჩემგან მიღებულ წერილებში ზოგიერთნი მთვლიან მე ბედნიერათ, რომ მოვმორდი საქართველოს და ვითომ მატერიალურად კარგად მოვეწყვე. ამ წერილების დამწერებს, ალბათ, ჯერ არ გამოუცდიათ მარტობა სულისა, – არ გამოუცდიათ ის სიმწვავე მდგომარეობისა, რომელსაც განიცდის სამშობლოდან გადახვენილი, თუ კი ის გადაგვარების გზაზე არ არის დამდგარი და გული შესტკივა სამშობლოს მდგომარეობაზე. ამნაირებზე შეიძლება იქონიოს გავლენა იმ აზრმა, რომ არქიმანდრიტი ამბროსი ვითომ თავის ნებით გადმოსულიყოს ჩრდილოეთისაკენ და კმაყოფილიც იყოს, და ამან აუშალოს მათ სურვილი სამშობლო მხარის მიტოვებისა. ერთმა სამშობლოდან გაქცეულმა, ვითომ ქართველმა (იგულისხმება ეპისკოპოსი დიმიტრი აბამიძე – ჯ.გ.), ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით კიდევაც ამცნო საზოგადოებას, რომ მე ვითომ კმაყოფილი ვიყავი ჩემი რუსეთში გადმოსახლებით. ეს იყო 1905 წელს, მაშინ როდესაც მე პირველად იძულებით ვიყავი გადაყვანილი დონის ოლქში. ამ რენეგატმა მაშინ მიიღო ჩემგან ღირსეული პასუხი.

ბ-ნი გძელი კი, დარწმუნებული ვარ, მე ნებით გადმოსახლებულად და ამ გადმოსახლების გამო ბედნიერად მგრძნობ პირად არ მთვლის, მაგრამ ბუნდოვანად გამოთქმულ აზრს შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ის პირები, რომელნიც საქმეში ჩახედულნი არ არიან.

არქიმ. ამბროსი

1915 წ. 21 მარიაშობისთვე ქ. სტარაია რუსა.²⁵⁰

აი, ვრცელი ამონარიდი 1915 წლის 3 ნოემბერს ქ. სტატია რუსადან ცნობილი ჟურნალისტის, კრიტიკოსისა და პუბლიცისტის რომანოზ ფანცხავას სახელზე გამოგზავნილი კიდევ ერთი წერილიდან:

„ჩემი საქმის გამობრუნება ძნელია, თუ გარემოება რადიკალურად არ შეიცვალა. ახლა ჩემ მეტი არავინ არ არის სასჯელქვეშ, ჩემ მეტ სხვა ყველას ახადეს საეჭვო პირების სახელი. კირონმა მიიღო კარგი ადგილი, ლეონიდისთვის ხომ ხელი არ უხლიათ, დავითიც კარგათ არის მოწყობილი და, მე ვფიქრობ, თუ მოისურვებს, დაბრუნებაც შეუძლია.

მხოლოდ ამბროსი არ არის ღირსი რამესი და არასაიმედო პირათ არის მიჩნეული სინოდის უწყებაში. არ ვიცი კი რა დააშავა, ალბათ უბედურ მთვარეზე დაბადებული. ყოველ შემთხვევაში, დიდ მადლობას გწმინდავ თანაგრძნობისათვის, რადგანაც ჩვენებთაგანაც არა ვარ ჩვეული თანაგრძნობას. ჩვენებმაც (მაქვს სახეში ზოგიერთები, რომელთაც სახელი აქვთ ჩვენში მოხვეჭილი) ამ ბოლო დროს, როდესაც მეძლეოდა შემთხვევა სამშობლოში დაბრუნებისა, გვარიანად ჩამწიხლეს. ღმერთმა აპატიოს, ჩემ მდგომარეობაში მყოფისთვის ეს არ უნდა ექნათ. მართალია, მე ჩემს თავს დიდათ არ ვაფასებ, დიდი წარმოდგენა არა მაქვს ჩემ ნიჭზე და ძალ-ღონეზე, მაგრამ მეც მინდოდა აქ მემოღვაწევა და ცოტაოდენი მეც მემშრომა სამშობლოსთვის“ (აქვე, დოკ. №13).

1914-1915 წლების მიჯნაზე არქიმანდრიტ ამბროსის ნამდვილად ეძლეოდა „შემთხვევა სამშობლოში დაბრუნებისა“. ეპისკოპოსი ლეონიდე და სხვა პატრიოტები ცდილობდნენ ალავერდის ეპისკოპოსად მის დანიშვნას. ამის შესახებ მამა ამბროსიმ ეპისკოპოს კირონს 1915 წლის იანვარში უამბო, როცა ისინი ერთმანეთს პეტერბურგში შეხვდნენ. კირონის წერილიდან (1915 წ. 16 იანვარი) ტარას კანდელაკისადმი ირკვევა, რომ მანაც სცადა ამ საკითხში ამბროსისთვის დახმარების განევა: „აქ ზოგიერთ წევრებთან (სინოდის – ჯ.გ.) ნავიყვანე და ვსთხოვე ეპისკოპოსობა“.²⁵¹ როგორც თავად არქიმანდრიტი ამბროსი წერდა, სამშობლოში მისი დაბრუნებისთვის ზოგიერთ ვაიქართველსაც ხელი შეუშლია, რის გამოც იგი დიდ გულისტკივილს გამოხატავდა. სტარაია რუსადან საქართველოში გამოგზავნილ 1915 წლის 6 აპრილის წერილში (თუ წერილის შავ ვარიანტში) მამა ანტონისადმი (ეპ. ანტონ გიორგაძე თუ მღვდელი ანტონ თოთიბაძე?) ამბროსი ხელაია წერდა: „დიდი ხანია ვიცანი სოფელი, ვიცი – ქვეყანა ჭრელია. ყველა იმ დრომდია პატრიოტი, ქვეყნის მოკეთე, სანამ ჯიბე სქელი აქვს, სანამ პირადობა და პირადი ინტერესები უზრუნველყოფილი აქვს. ამისთანები მხოლოდ გარეგნულად არიან პატიოსნების მატარებელნი, ხოლო ნამდვილ კი მათთვისებას შეადგენს შურიანობა, ფლიდობა, პირმოთნეობა“.²⁵²

საბედნიეროდ, ჭეშმარიტი პატრიოტებისა და საქართველოდან დევნილი მამულიშვილების გულშემატკივართა რიცხვი ბევრად მეტი იყო, ვიდრე ფლიდებისა და პირმოთნეებისა. ქართული სამღვდელთა ღიად მოითხოვდა გადასახლებაში მყოფი სასულიერო პირების სამშობლოში დაბრუნებას. ასე, მაგალითად, 1914 წლის 28 იანვარს გამართული ქართლ-კახეთის საეპარქიო ყრილობის დელეგატებმა იმავე წლის 7

250. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 486-491.

251. საქართველო, 1915, 29 აგვისტო, №81.

252. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირონის არქივი, ს.181.

თებერვალს საქართველოს ეგზარქოს ალექსი II წარუდგინეს თხოვნა, რათა მას ხელი შეეწყოს ეპ. კირიონის, ეპ. დავითისა (კაჭახიძე) და არქიმანდრიტ ამბროსის საქართველოში დაბრუნებისთვის.²⁵³ ეგზარქოს ალექსის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, საქართველოში ყოფილობის დელეგატთა თხოვნისთვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია.

არც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა შენუხებულა თავისი ყოფილი წევრის ღირსებისა და უფლებების დასაცავად. უფრო მეტიც, 1909-1916 წლებში იგი წერილს წერილზე აგზავნიდა უწმინდეს სინოდში, რიაზანის ეპისკოპოსთან, ნოვგოროდის სასულიერო კონსისტორიაში და მოითხოვდა ამბროსი ხელაიასთვის 4 მანეთისა და 10 კაპიკის დაქვითვას იმ მოტივით, რომ საქართველოდან გასახლებისას მასზე თითქოს არასწორად (4, 1 მანეთით მეტი) გაუციათ სამივლინებო თანხა.²⁵⁴ მამა ამბროსი კი „დავალიანებას“ ჯიუტად არ იხდოდა.²⁵⁵

სამშობლოში დაბრუნებისა და საკუთარ ქვეყნის სამსახურში ჩადგომის სურვილით ანთებული ამბროსი მიზნის მისაღწევად ზნეობით დაშვებულ სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. ერთ-ერთი ასეთი ხერხი გახლდათ საეკლესიო მთავრობასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მცდელობა, მისი წახალისება, რათა ქართული ეკლესიისთვის ზიანი მანაც არ მიეყენებინა. 1915 წლის 25 ნოემბერს ამ სულისკვეთებით გამსჭვალული წერილით მიმართა მამა ამბროსიმ საქართველოს ყოფილ ეგზარქოს პიტირიმს (1914წ. 26 ივნისი – 1915წ. 23 ნოემბერი), რომელიც მანამდე ორი დღით ადრე (23 ნოემბერს) პეტროგრადის მიტროპოლიტად, შესაბამისად უწმ. სინოდის პირველ თავმჯდომარედ დაინიშნა. იმპერატორის ბრძანებულებაში ეს დანიშვნა მოტივირებული იყო იმ დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით, რომელიც პიტირიმმა მართლაც მოიპოვა საქართველოში თავისი ლიბერალურ-ფარისევლური პოლიტიკით. სინამდვილეში იგი დაანინაურეს არა ქართული ეკლესიის სასარგებლოდ განეული ღვაწლისთვის, არამედ იმისათვის, რომ ეგზარქოსობის პერიოდში მოპოვებული ნდობა და ავტორიტეტი ახალ თანამდებობაზე გამოეყენებინა დაგეგმილი საეკლესიო რეფორმის (რომელიც ქართულ ეკლესიას არა თუ ავტოკეფალიას არ მიანიჭებდა, არამედ საეგზარქოსოს გაუქმებასაც კი ითვალისწინებდა) განხორციელებისას საქართველოში გარდაუვალი მღელვარებების თავიდან ასაცილებლად, ავტოკეფალიისთვის მებრძოლ ქართველთა დასაშოშმინებლად. როცა არქიმანდრიტი ამბროსი თავის წერილს წერდა, მან არაფერი იცოდა მოსალოდნელი საეკლესიო რეფორმის შესახებ, ამიტომ მთელი ყურადღება გადატანილი აქვს პიტირიმის მიერ საქართველოში განეული ღვაწლზე. წერილი იწყება იმის შეხსენებით, რომ „ბედუკუღმართობამ, შესაძლოა ადამიანთა ბოლმამ“ ის მოსწყვიტა „საქართველოს ფარგლებში მოღვაწეობას“ (ანუ დასჯილია უსამართლოდ); რუსეთთან შეერთების შემდეგ, – აღნიშნავს წერილის ავტორი, – „ეგზარქოსთა შორის ქართველებს არ ახსოვთ ისეთი, ვინც გაიგებდა ჯვაროსანი ხალხის სულისკვეთებას, ქართული ეკლესიის გასაჭირს და გულწრფელად მოისურვებდა მისი იარების მკურნალობას, როგორც ეს გაიგეთ და მოისურვეთ თქვენ, მაღალყოვლადუსამღვდელოესო მეუფეო“; მცირე ისტორიული ექსკურსის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს, მიუხედავად მაჰმადიანთა ექსპანსიისა, მუდამ მაღლა ეჭირა მართლმადიდებლობის დროშა და სრულიად ჯანსაღმა, სიცოცხლისუნარიანმა ქართულმა ეკლესიამ XIXს. დასაწყისამდე მოაღწია; მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი რამ – მართლმადიდებელი რუსეთის შემადგენლობაში ქართული ეკლესია დაკნინდა, ხალხის რწმენა შეირყა. ამ ვითარებაში პიტირიმის დამსახურებლად ამბროსი ხელაია მიიჩნევდა ქართველებში სარწმუნოებისადმი ინტერესის გამო-

253. იქვე, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.186.

254. იქვე, ვასილ კარბელაშვილის არქივი, ს.49.

255. სცსსა, ფ.489, აღწ. 1, ს.48994, ფ.45-48.

ცოცხლებას, ქართული ეკლესიის იარების განკურნების დაწყებას, ეროვნული ნიშნით სამწყსოს დაყოფაზე უარის თქმას, აჭარაში ქრისტიანობის აღდგენის მცდელობას და ა.შ. სხვა ქართველებთან ერთად ამბროსი ნუხილს გამოხატავდა პიტირიმის პეტროგრაფში გადაყვანის გამო, თუმცა იმედს გამოსთქვამდა, რომ სივრცე და დრო ჭეშმარიტ სიყვარულს დაბრკოლებას ვერ შეუქმნიდა და მეუფის სახით გვეყოლებოდა „დამცველი ქართველი ხალხის რელიგიური ინტერესებისა, დამცველი, რომელიც უკვე აღჭურვილია კიდევ უფრო მეტი ძალაუფლებით, გავლენით და რუსეთის თვითმპყრობელი მბრძანებლის ნდობით“. დასასრულს, მამა ამბროსი შესთხოვდა უფალს, რომ ახალი ეგზარქოსიც იყოს „ისეთივე მოსიყვარულე მწყემსმთავარი და მამა, ისეთივე დამცველი ქართველი ხალხის რელიგიური ინტერესებისა, როგორც იყავით თქვენ“.²⁵⁶ უცნობია მიტროპოლიტ პიტირიმის რეაქცია ამბროსი ხელაიას წერილზე, მაგრამ კარგად არის ცნობილი მისი ანტიქართული პოლიტიკა, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ასეთივე წარუმატებელი იყო მცდელობა ურთიერთობის დამყარებისა უკანასკნელ ეგზარქოსთან პლატონთან (1915 წლის 5 დეკემბერი – 1917 წლის 12 მარტი). ამბროსი ხელაიას მიმართვა (შავი ვარიანტი) პლატონისადმი დაუთარილებელია, მაგრამ ტექსტიდან ირკვევა, რომ იგი დანერვილია ახალი ეგზარქოსის დანიშვნის მეექვსე-მეშვიდე თვეს, ანუ 1916 წ. მაის-ივნისში. იმ პერიოდში პლატონი პეტროგრაფში უწმინდესი სინოდის სხდომებზე იმყოფებოდა, სადაც ქართული ეკლესიის მთლიანობისა და მისი მომავლის საკითხები წყდებოდა. ქართულმა საზოგადოებამ იგი თბილისიდან იმ იმედით გააცილა, რომ უწმ. სინოდის სხდომებზე ქართული ეკლესიის ინტერესებს დაიცავდა. ეტყობა, პეტროგრაფის ქართველობამაც (რომელიც არანაკლებ შემოფოთებული იყო უწმ. სინოდის ანტიქართული გეგმით) მოისურვა საქართველოს ეგზარქოსთან შეხვედრა; მასში მონაწილეობა, როგორც ჩანს, არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიასაც უნდა მიეღო, მაგრამ შეხვედრა არ შემდგარა. მიმართვის ტექსტზე ავტორის ხელით გაკეთებული მინაწერი გვამცნობს: „არ იყო თქმული, რადგან მე არ მივსულვარ პლატონთან დელეგატებთან ერთად“. რა იყო არმისვლის მიზეზი, უცნობია, მაგრამ ხელთა გვაქვს იმ სიტყვის ტექსტი, რომელიც არქიმანდრიტ ამბროსის უნდა ეთქვა პლატონთან შეხვედრისას. მასში უფრო ვრცლად (ვიდრე წერილში პიტირიმისადმი) არის საუბარი ქართული ეკლესიის ისტორიულ დამსახურებაზე; გაკეთებულია იგივე დასკვნა, რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში ქრისტიანობის დასუსტების შესახებ; ხაზგასმულია პიტირიმის დამსახურება; მონიშნულია პლატონის პირველი ნაბიჯებიც, „რომლებიც უეჭველად ქართული ეკლესიის კეთილდღეობისკენ არიან მიმართული“.²⁵⁷ სამწუხაროდ, პლატონის შემდგომი მოღვაწეობა საპირისპირო მიმართულებით წარიმართა.

ამბროსი ხელაიასთვის, ისევე როგორც რუსეთში მოღვაწე სხვა ქართველებისთვის, დიდად სასიხარულო მოვლენა გახლდათ პეტროგრაფის მიტროპოლიტ პიტირიმის (ოკნოვი) ნებართვით იმპერიის სატახტო ქალაქში ქართული ეკლესიის დაფუძნება. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით, გაზ. „საქართველო“ წერდა, რომ პეტროგრაფში არსებული ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც სათავეში ალ. ქორქია ედგა, დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა, „დაეარსებინა ქართული ეკლესია, რომელიც იქნებოდა ერთგვარი პლატფორმა უცხოეთში გაბნეულ ქართველობის თავმოსაყრელად... მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეკლესია დიდ წამებას და დევნას განიცდის და ბევრგან საქართველოში (მაგალითად, სოხუმის ოლქში) ქართული წირვა-ლოცვა ეკლესიიდან განდევნილია, ქართველს უთავისეკლესიოდ ყოფნა მაინც შეუძლებლად მიაჩნია; ყოველსავე ღონეს ღონობს იგი, ეკლესია, ასე თუ ისე, აცოცხ-

256. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.43.

257. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი.ს.340.

ლოს“. მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ქართველობამ ეკლესია შეიძინა. 1917წ. 14 (27) იანვარს-ნინოობა დღეს – „მთელი ქართველობა კოპნიათ მორთულ ტაძარში შეიკრიბა“. მწირველი ყოფილა საქართველოდან სპეციალურად მოწვეული მამა იოსებ ჩიჯავაძე. „ყველა იქ მყოფ ქართველს, – წერდა გაზ. „საქართველო,“ – სახეზე სადღესასწაულო მხიარულება აღბეჭდოდა. მით უმეტეს, რომ საერთო ლოცვაში მათ გვერდს უმშვენებდნენ ნამებულნი ივერიის ეკლესიისანი ეპისკოპოსი კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი და აგრეთვე ეპისკოპოსი ანტონი“²⁵⁸ (გიორგაძე). შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ამბროსი ხელაიამ. ამ სიტყვის ორი ვარიანტია შემორჩენილი – უფრო ვრცელი შავი ვარიანტი, რომელიც არ არის დათარიღებული,²⁵⁹ და მეორე – შედარებით მოკლე, 1917 წლის 14 იანვრით დათარიღებული, რომლითაც, როგორც ჩანს, არქიმანდრიტი ამბროსი წარსდგა პეტროგრაფელი ქართველების წინაშე. „დღეს ქართული ეკლესია ზეიმობს, ხედავს რა შორეულ ჩრდილოეთში გადახვენილ თავის შვილებს, რომლებიც ცდილობენ არ განწყვიტონ მასთან სულიერი კავშირი; ხარობს მოციქულთასწორი ნინო, საქართველოს განმანათლებელი, რომლის ხსენებასაც ნათლად ვდღესასწაულობთ;... გვიხარია ჩვენც, რომ ვუბრუნდებით საკუთარ დედას – ივერიის ეკლესიას;... მოგესალმებით ამგვარი სულიერი სიხარულით, მადლობა ღმერთს, რომელმაც მომცა საშუალება მეც – მშობლიური ქვეყნიდან ვიღაც გაქვევებულს – შეუერთდე ამ სიხარულს, მაღირსა საუბარი თქვენთან – სამშობლოსაგან დროებით განშორებულებთან და მოწყვეტილებთან ან სამსახურებრივი პირობების, ან განათლების გამდიდრებისაკენ მისწრაფების შედეგად, – მისწრაფებისა „ევროპის ფანჯრის“ (პეტროგრაფის – ჯ.გ.) მეშვეობით ეზიაროთ ევროპული კულტურის ნაკადებს, რათა იყოთ სასარგებლონი მშობლიური ქვეყნისთვის“;²⁶⁰ – ასე დაიწყო თავისი სიტყვა არქიმანდრიტმა ამბროსიმ და მსმენელებს შეახსენა უმნიშვნელოვანესი ეტაპები მრავალტანჯული ქართული ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, მისი უდიდესი დამსახურებები.

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციის ტრადიციული აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომელიც დღემდე გრძელდება, არ იძლევა ნოვგოროდის ეპარქიაში სამსახურის პერიოდში მამა ამბროსის მოღვაწეობის (ასევე უფრო ადრე ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის, დონის ეპარქიაში სამსახურის, რიაზანის სამების მონასტერში ყოფნის პერიოდების) უფრო საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას, რისთვისაც აუცილებელია შესაბამის ცენტრალურ და საოლქო არქივებში დაცული მასალების შესწავლა. ერთი რამ მაინც ცხადია: გადასახლებაში მყოფი ამბროსი ხელაიას ფიქრები და ძალისხმევა სახელმწიფოებრიობა წართმეული საქართველოსაკენ, დაქვრივებული ქართული ეკლესიისა და უფლებაყრილი ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაცვისაკენ იყო მიმართული. მისი ყურადღების ცენტრში მუდმივად იდგა შოვინისტთა სამიზნედ ქცეული მშობლიური აფხაზეთი თავისი სპეციფიკური პოლიტიკური და საეკლესიო პრობლემებით. ყოველივე ამის დასტურად გამოდგება არქიმანდრიტ ამბროსის მდიდარი მეცნიერულ-პუბლიცისტური შემოქმედება, რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1912-1917 წლებში დაბეჭდილი ათობით წერილი, რომელთა ერთი ნაწილი 2006 წელს (იხ.: წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი. თბ., 2006) გამოქვეყნდა, მეორე ნაწილი კი მხოლოდ წინამდებარე წიგნის მეშვეობით შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.²⁶¹

258. საქართველო, 1917, 27 იანვარი, №21.

259. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.323.

260. იქვე, ს.187.

261. იხ. აგრეთვე: ჯ. გამახარია, დინარა დარსალია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) აფხაზეთში ქართულთა გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ. – ჟ. ახალგაზრდობა, 2009, №3, გვ.9-12; ჯემალ გამახარია. წმ. აღმსარებელი ამბროსის (ხელაია) წერილი „სოხუმის ეპარქიის შესახებ“. – რელიგიის ისტორიის საკითხები, I. თბ., 2010, გვ.219-247; დინარა დარსალია. წმ. ამბროსი აღმსარებლის უცნობი წერილები საქართველოში სა-

გადასახლებაში მყოფმა ამბროსი ხელაიამ, როგორც ზემოთ ითქვა, 1912 წლის აგვისტოში, სასულიერო მთავრობის ნებართვით, შვებულება პირველად გაატარა სამშობლოში – აფხაზეთში. იმავე წელს მან მოამზადა და ჟურნალში „სოტრუდნიკ ზაკავკაზსკოი მისიი“ (1912, №17), რომელიც სოხუმში გამოდიოდა, მოათავსა წერილი ბედიის ტაძრის შესახებ (სამწუხაროდ, ჟურნალის ეს ნომერი ბიბლიოთეკებში დაცული არ არის).

რუსეთში დაბრუნებული ამბროსი ხელაია 1912 წ. 7(20) ნოემბერს გაზეთში „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ „სამურზაკანეც“-ის ხელმოწერით აქვეყნებს „ჩანაწერს სოხუმის ეპისკოპოს ყოვლადსამღვდელო ანდრიას მოღვაწეობის შესახებ.“²⁶² ეპ. ანდრია (უხტომსკი) სოხუმის კათედრაზე 1911 წლის 25 ივლისიდან 1913 წლის 22 დეკემბრამდე მსახურობდა და თავისი ლიბერალურ-ფარისევლური პოლიტიკით წინამორბედ რუს მღვდელმთავართა ხელში განამეხობილი მრევლის სიყვარული დაიმსახურა.²⁶³ არქიმანდრიტი ამბროსი 1912 წ. 25 აგვისტოს სოხუმში შეხვდა და ესაუბრა მას. „ჩანაწერის“ გამოქვეყნების საბაზი გახდა როგორც ეს შეხვედრა, ისე „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ 1912 წლის 6(19) ოქტომბერს (№224) გამოქვეყნებული მოკლე ინფორმაცია იმჟამად 39 წლის სოხუმის ეპისკოპოსის წარმატებული მოღვაწეობისა და იშვიათი პოპულარობის შესახებ. „ის ენერგიულად მსახურობს რუსეთის სასარგებლოდ;“ როცა ღვთისმსახურებას ასრულებს, „ტაძარი გადაჭედვითა არარუსებით“ (ინოროდცებით), – ნათქვამია ინფორმაციაში. თავის „ჩანაწერში“ მამა ამბროსი ადასტურებს, რომ ეპ. ანდრიამ ქრისტიანული მიმტევებლობითა და სიყვარულით მოახერხა მრავალეროვანი მრევლის, მათ შორის ქართველობის ეკლესიისკენ შემობრუნება. ანდრია უხტომსკის მოღვაწეობა არქიმანდრიტ ამბროსის მიერ გამოყენებულია მხოლოდ ფონად, რათა ამხილოს უკანასკნელი 25 წლის მანძილზე სოხუმის რუსი მღვდელმთავრებისა და კავკასიაში მოღვაწე სხვა შოვინისტების რუსიფიკატორული პოლიტიკა; აჩვენოს, რომ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლები (საკუთარი თავის ჩათვლით) უსამართლოდ არიან დასჯილები. სწორედ ამაში მდგომარეობს „ჩანაწერის“ მთავარი დედაზრი და არა ეპ. ანდრიას ქება-დიდებაში. მომდევნო წერილებში არქიმანდრიტი ამბროსი საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა ეპ. ანდრიას პოლიტიკას სოხუმის ეპარქიაში.

ერთ-ერთი ასეთი წერილი გახლავთ 1913 წლის 10-11 აპრილს გაზეთ „ზაკავკაზიეს“ ორ ნომერში (№№82-83) „ამბერი“-ს ხელმოწერით გამოქვეყნებული „სასურველია თუ არა ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთება?“²⁶⁴ ეს იყო გამოხმაურება სოხუმის ეპისკოპოს ანდრიას წერილზე მის მიერ დაარსებულ ჟურნალში „სოტრუდნიკ ზაკავკაზსკოი მისიი“ (1912, 15 ნოემბერი, №22) შემდეგი სათაურით: „ილორის სამრევლოს ცხოვრებიდან.“ თავის წერილში ეპისკოპოსი მხარს უჭერდა ვითომ ილორის საზოგადოების „ნათელ აზრს“, მოქვის მაგალითისამებრ, დედათა მონასტრის დაფუძნების შესახებ. ამ მზაკვრულ განზრახვას წინ აღუდგა არქიმანდრიტი ამბროსი. მისი წერილი „სასურველია თუ არა ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთება?“ მცირე შემოკლებებით და საკმაოდ კეთილგანწყობილი წინასიტყვაობით გადმობეჭდა ჟურნალმა „სოტრუდნიკ ზაკავკაზსკოი მისიი“ (1913, №№10, 13). ოდნავ მოგვიანებით იმავე ჟურნალმა (1913, №№16-17) მკაცრად გააკრიტიკა „ამბერის“ წერილი და ილორში დედათა მონასტრის გახსნას დაუჭირა მხარი. 1913 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში გაზეთ „ზაკავკაზიეს“ ექვს ნომერში (7, 8, 10, 12-14 დეკემბერი, №№270-272, 274-276) კვლავ „ამბერის“ ხელმოწერით გამოქვეყნდა წერილების სერია საერთო სათაურით: „ილორის ტაძრის რუსულ დე-

სულიერო განათლების შესახებ. – საპატრიარქოს უწყებანი, 2011, 24-30 მარტი, №12, გვ.8-12.

262. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.486-491; აქვე, ნაწ. II.

263. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.691-714.

264. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.492-504.

დათა მონასტრად გადაკეთების შესახებ.²⁶⁵

ილორის ტაძრის შესახებ პუბლიკაციებში ავტორმა წამოჭრა პრობლემათა მთელი სპექტრი. წერილში „სასურველია თუ არა ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთება“? ამბროსი ხელაია ყურადღებას ამახვილებდა აფხაზთა შორის მისიონერული საქმიანობის წარუმატებლობის მიზეზებზე. ამასთან დაკავშირებით ის ვრცლად მიმოიხილავდა აფხაზეთში ადრე დაფუძნებული რუსული მონასტრების საქმიანობის შედეგებს და მისიონერული მიზნებისთვის ილორის ტაძრის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთების მოსურნე ეპისკოპოს ანდრიას შეახსენებდა, რომ ანალოგიური მიზნით დაფუძნებულმა ახალი ათონის, ბიჭვინთის, დრანდისა და მოქვის რუსულმა მონასტრებმა თავიანთი ძირითადი მისია ვერ შეასრულეს. მოხდა პირიქით. ხალხისთვის ყველაზე სათაყვანებელი უძველესი ტაძრების, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერების არა იმდენად მისიონერული, არამედ ასიმილაციორული პოლიტიკის ცენტრებად გადაქცევის მცდელობამ მათ დაუკარგა ძველი დიდება, ისინი ვერ იქცნენ ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიის, ზნეობისა და ცოდნის საწყისების გავრცელების წყაროდ, – წერდა არქიმანდრიტი ამბროსი. ამის საილუსტრაციოდ იგი „სანკტ-პეტერბურგსკი ვედომოსტი“ (1913, №30) გამოქვეყნებულ ეპ. ანდრიას წერილსაც იყენებდა, რომელშიც სოხუმის მღვდელმთავარი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს მართლმადიდებლობის დაცემისა და აფხაზთა მიერ მეჩეთების მშენებლობის ნებართვის მოთხოვნის გამო. ამასთან დაკავშირებით, არქიმანდრიტი ამბროსი სავესებით ლოგიკურად სვამდა კითხვას, სად არის აფხაზეთში არსებული რუსული მონასტრების გავლენა მუსულმან აფხაზეზზე, თუ ამ მონასტრების დაფუძნებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ პირველად ისტორიაში მათ გაუჩნდათ მეჩეთების აშენების სურვილი? დასმულ კითხვაზე ამბროსის პასუხი და დასკვნა ასეთი იყო: აფხაზეზმა ასიმილაციორული პოლიტიკის ცენტრებად გადაქცეული უძველესი ტაძრებისადმი თავყვანისცემა, რითაც ადრე გამოირჩეოდნენ, დაკარგეს; „ქართული სინამდევების რუსულ მონასტრებად გადაკეთებას რელიგიურ-ზნეობრივი თვალსაზრისით არა თუ არ მოაქვს სიკეთე ადგილობრივი მოსახლეობისთვის, არამედ, პირიქით, უალრესად მავნე გავლენას ახდენს, რადგანაც ამიერკავკასიელი ხალხებისთვის ის კარგავს რელიგიური ცენტრის მნიშვნელობას.“²⁶⁶ მისი აზრით, იგივე ბედი ეწეოდა ილორის ეკლესიას რუსულ დედათა მონასტრად მისი გადაკეთების შემთხვევაში. გარდა ამისა, მამა ამბროსის მიაჩნდა, რომ დაირღვეოდა ქართველი ხალხის საკუთრების უფლება, ვინაიდან ილორის წმ. გიორგის ეკლესია არა მხოლოდ ილორელების, მთელი ქართველი ხალხის საკუთრებას და სალოცავს წარმოადგენდა.

წერილების სერიებში „ილორის ტაძრის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთების შესახებ“ ამბროსი ხელაია კონკრეტული ფაქტების მოშველიებით რუსულ მონასტრებს ქართველთა დისკრიმინაციაში ადანაშაულებდა. იყო მაგალითები, როდესაც ახალი ათონის, დრანდისა და მოქვის მონასტრებში ქართველები არ ჩარიცხეს ან ჩარიცხეს, მაგრამ მალე დაატოვებინეს იქაურობა. ყოველივე ამის შემდეგ, – წერდა არქიმანდრიტი ამბროსი, – დამაჯერებლობას იყო მოკლებული ეპ. ანდრიას და მის მხარდამჭერთა მტკიცება იმის შესახებ, რომ ილორის მონასტერი იქნებოდა რუსულ-ქართული, თანაც ქართული თუ შერეული ღვთისმსახურებით.

ილორის ტაძრის რუსულ მონასტრად გადაკეთების წინააღმდეგ ამბროსის მიერ მოტანილ არგუმენტებს შორისაა რესტავრაციის საბაბით მისი არქიტექტურის დამახინჯების რეალური საფრთხე, როგორც ეს მოხდა მცხეთაში, საფარაში, ახალ ათონსა და დრანდაში, რის შესახებაც თავის დროზე შემფოთებით წერდნენ გრაფინია პ.

265. იქვე, გვ. 505-547.

266. იქვე, გვ. 501.

უვაროვა, ე. თაყაიშვილი და სხვები. პ. უვაროვას აზრით, ქართული ტაძრების არქიტექტურის დამახინჯება მიზნად ისახავდა „სრულ გარუსებას“.²⁶⁷

ამბროსი ხელაიამ უარყო ოპონენტის მტკიცება, თითქოს სოლიდური შემოსავლების მქონე ილორის ეკლესია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა განათლების სფეროს. წერილში მოტანილი ფაქტობრივი მონაცემები კი სრულიად საპირისპიროზე მეტყველებენ – ილორის ეკლესიას მეტი სარგებლობა მოჰქონდა სოხუმის ეპარქიისთვის, ვიდრე ბევრად უფრო შემოსავლიან რუსულ მონასტრებს. ილორის ეკლესიის რუსულ მონასტრად გადაკეთების „მთხოვნელები“ სწორედ ამ შემოსავლების ხელში ჩაგდებას ისახავდნენ მიზნად.

ამბროსი ხელაია შეეხო აფხაზეთში ქრისტიანობის ისტორიისა და თავისებურების საკითხს. მისი აზრით, XVII საუკუნეში ბიჭვინთა „გარშემორტყმული იყო გაგრის იქითა მხრიდან კარს მომდგარი ხალხით, რომელმაც თურქთა ზეგავლენით დაივიწყა წინაპართა სარწმუნოება. ქრისტიანული სამყაროსაგან ამგვარმა იზოლაციამ აიძულა კათალიკოსი ზაქარია (ქვარიანი – ჯ.გ.) XVII ს. შუახანებიდან დაეტოვებინა ბიჭვინთა და თავისი რეზიდენცია გელათის მონასტერში გადაეტანა.“²⁶⁸ გაგრის იქითა მხრიდან მოსული ხალხის (იგულისხმებიან აფსუა-აბაზები) თავდასხმების შედეგად აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსებმა მართლაც იძულებით დატოვეს ბიჭვინთა და გელათში გადავიდნენ, თუმცა ეს მოხდა არა XVII საუკუნეში, არამედ XVI ს. შუახანებში. ამის შემდეგ, როგორც ამბროსი ხელაია წერდა, ხატისა და ჯვარის თაყვანისცემამ წარმართული ხასიათი მიიღო. იყო შემთხვევები, როდესაც მორწმუნეები ეკლესიის დაბურვის გამო ხის ფულუროში სპეციალურად მოთავსებულ ჯვარს ეთაყვანებოდნენ. ჯვრის დაკარგვის შემდეგ თაყვანს სცემდნენ იმ ხეს. წარმართული ხასიათი მიიღო მომხდურთა მიერ დანგრეული ეკლესიების თაყვანისცემამაც. ამბროსი ხელაია სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ აფხაზეთში მიმდინარეობდა ქრისტიანული ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიური წარმოდგენების წარმართობაში გარდასახვა მაშინ, როდესაც მისიონერები უძველესი დროიდან, პირიქით, ცდილობდნენ წარმართული ზნე-ჩვეულებებისთვის მართლმადიდებლური შინაარსი მიეცათ.

ოპონენტებს არ მოეწონათ ამგვარი მსჯელობა და ჩათვალეს, რომ „ამბერი“ სარწმუნოებას ცრურწმენებისგან ვერ ანსხვავებდა. ამასთან დაკავშირებით ამბროსი ხელაიამ ვრცლად მიმოიხილა აღნიშნული საკითხი და ფრიად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა. მისიონერი ვალდებულია, – წერდა იგი, – ღრმად გაერკვეს ხალხურ წესჩვეულებებში, რელიგიურ წარმოდგენებში, პატივი სცეს მათ და გაითვალისწინოს თავის საქმიანობაში. ის მისიონერ-ასიმილატორები, რომლებიც ცდილობდნენ ცრურწმუნეობის მოსპობას, ფაქტობრივად აფხაზებს რწმენას ართმევდნენ. ცრურწმენის ძალადობით მოსპობა ხალხურ რელიგიაში ჩაბუდებული ჭეშმარიტების ნასახის მოსპობასაც იწვევდა. რუსული მონასტრების მომრავლების გზით აფხაზთა ცრურწმენის მოსპობისა და ხალხის ასიმილაციის მოსურნეებს ამბროსი ხელაია პასუხობდა, რომ კი არ უნდა მოვსპოთ ხალხური ჩვეულებები, რომლებიც ეროვნული ფიზიონომიის ნაწილს შეადგენენ, არამედ მოვაშოროთ მას ცრურწმუნეობრივი ელემენტები, უფრო სწორად, „უნდა ვეცადოთ ეს ჩვეულებები შევავსოთ ქრისტიანული შინაარსით, კი არ მოვსპოთ, არამედ გავაქრისტიანოთ ისინი, რადგანაც ეროვნული ზნე-ჩვეულებების მოსპობის გზით ხალხთა ასიმილაციის მიზანი, რისკენაც მიისწრაფიან თანამედროვე მისიონერები, ვერ მიიღწევა და ისინი მხოლოდ რწმენას კარგავენ. აი, როგორ მესმის მე მისიონერული სამსახური ისეთ ხალხში, როგორიცაა აფხაზები“.²⁶⁹

აფხაზეთში არსებული სავალალო სარწმუნოებრივი მდგომარეობის ერთ-ერთ

267. იქვე, გვ.513-515.

268. იქვე, გვ.499.

269. იქვე, გვ.542.

მთავარ მიზეზს არქიმანდრიტი ამბროსი რუსული მონასტრების ასიმილაციურულ მისწრაფებებში ხედავდა; გამოთქვამდა რწმენას, რომ ეპ. ანდრია მიხვდებოდა, თუ რამდენად საზიანო შეიძლებოდა გამხდარიყო კიდევ ერთი რუსული მონასტრის დაფუძნება აფხაზეთში და ხელს აიღებდა თავის განზრახვაზე.

ამბროსი ხელაიას წერილების დასკვნითი VI ნაწილი 1913 წლის 14 დეკემბერს გამოქვეყნდა. იმავე წლის 22 დეკემბერს კი ანდრია უხტომსკი, რომელიც მართლაც მიხვდა, რომ ილორთან დაკავშირებით შეცდომაში იყო შეყვანილი, უფის ეპისკოპოსად დაინიშნა. 1914 წლის 24 იანვარს მან სოხუმი დატოვა.

ამბროსი ხელაიას წერილების ზეგავლენით ილორის საკითხმა ფართო რეზონანსი მიიღო. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი სასულიერო მთავრობა კვლავაც ცდილობდა თავისი გეგმების სისრულეში მოყვანას. უნდა ითქვას, რომ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის საკითხი განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1902წ. 3 სექტემბრის შუამდგომლობითა და უწმინდესი სინოდის 1905წ. 17 იანვარს გადაწყვეტილებით იქ მეორე შტატი გაიხსნა,²⁷⁰ მუდამ იყო ფინანსურ და პოლიტიკურ ინტერესებთან დაკავშირებული ინტრიგების საგანი. 1906წ. 27 აგვისტოდან ილორის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნულ კონსტანტინე მაჯგანაძეს (მეორე მღვდელი კი გახლდათ არქ. ამბროსის უმცროსი ძმა პორფირ ხელაია), რომელმაც შედარებით მოაწესრიგა ეკლესიის მეურნეობა და გაზარდა მისი შემოსავლები, ებრძოდნენ სოხუმის ეპისკოპოსები დიმიტრი სპეროვსკი (1907წ. 25 იანვარი – 1911წ. 25 ივლისი), ანდრია უხტომსკი (1911წ. 25 ივლისი – 1913წ. 22 დეკემბერი), სერგი პეტროვი (1913წ. 22 დეკემბერი – 1919წ. 1 სექტემბერი) და მათი დამქაშები.

სოხუმის მღვდელმთავრების საჩივრების საფუძველზე საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ კონსტანტინე მაჯგანაძისა (რომელიც ერთდროულად სოხუმის ეპარქიის IV საბლალორჩინო ოლქის ბლალორჩინიც იყო) და პორფირ ხელაიას საკითხი განიხილა 1909 წლის 10 სექტემბერს, 1910 წლის 14 დეკემბერს, 1911წ. 6 აპრილს; მან შესაბამისი ბრძანებულებები მისცა სოხუმის ეპისკოპოსებს დიმიტრის (1911წ. 14 და 28 თებერვალს) და ანდრიას (1912წ. 16 აგვისტოს). პრობლემა კი კვლავ პრობლემად რჩებოდა. კანტორა მაღალ შეფასებას აძლევდა კონსტანტინე მაჯგანაძის მოღვაწეობას ილორში, მაგრამ მაინც ძალაში ტოვებდა სოხუმის ეპისკოპოსების უსამართლო გადაწყვეტილებებს მის მიმართ, კერძოდ ბლალორჩინის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.²⁷¹

ამბროსი ხელაიას ზემოთგანხილული წერილები და შემდგომში განვითარებული მოვლენები ადასტურებენ, რომ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ირგვლივ ხელოვნურად შექმნილი პრობლემის უკან ნამდვილად ფინანსური და პოლიტიკური ინტერესები (რუსულ მონასტრად გადაკეთება) იდგა. სწორედ კონსტანტინე მაჯგანაძე და პორფირ ხელაია ეწინააღმდეგებოდნენ ილორის წმ. გიორგის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთების იდეას, რომელსაც ეპ. ანდრიას შემდეგ ლობივდა მისი ადგილმონაცვლე ეპ. სერგი. ამ უკანასკნელმა 1915წ. კონსტანტინე მაჯგანაძე ჯერ დააჯარიმა, მერე კი ილორის ეკლესიის წინამძღვრის თანამდებობიდან გაანთავისუფლა და მუხურის ეკლესიაში გადაიყვანა. საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ მასში რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი, აფხაზეთის (ოქუმის) მკვიდრი აკაკი ჩხენკელი ჩაერია. 1915 წლის 10 აგვისტოს პეტროგრადიდან მან შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა საქართველოს ეგზარქოს პიტირიმს (ოკნოვი): „სახელმწიფო სათათბიროს საჩქარო მოწვევამ, საუბედუროდ, საშუალება არ მომცა თქვენი ყოვლადუსამღვდელოესობა მენახა ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაქცევის თაობაზე, რაიც დაკავშირებულია ქართველი ერისგან ძვირფას ნარსულის ძეგლთა დაკარგვასთან. სოხუმის არ-

270. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.63611, ფ.100.

271. იქვე, ს.64077, დოკ.№3248; ს.64171, ფ.46-48.

ქიელმა გადაიყვანა ილორის წინამძღვარი მაჯგანაძე სხვა სამრევლოში, რადგან არ თანაუგრძობდა ეკლესიის გადაგვარების საქმეს.

მიმაჩნია რა მაჯგანაძის აზრი ერთადერთ სამართლიან პოზიციად და ღირსშესანიშნავად რუსის და ქართველი ერის ძმობისა, ნებას ვაძლევ ჩემ თავს ენერგიულად დაუჭირო მხარი მის თხოვნას და ვიდრე სინოდალი კანტორა გასინჯავდეს საქმეს, შეაჩეროთ მაჯგანაძეს გადაყვანა.

სახელმწიფო სათათბიროს წევრი ჩხენკელი.²⁷²

როგორც ჩანს, აკაკი ჩხენკელის დეპეშა ეგზარქოსმა 10 აგვისტოსვე მიიღო. 1915 წლის 11 აგვისტოს კი მან სინოდალური კანტორის სხდომა დანიშნა, სადაც განიხილეს სოხუმის ეპისკოპოს სერგის 1915 წლის 8 ივნისის მოხსენება ეგზარქოს პატრიარქის სახელზე. მოხსენებაში საუბარი იყო ილორის ეკლესიაში ვითომ გამოვლენილ სამეურნეო დარღვევებზე; კანტორამ განიხილა აგრეთვე ეპ. სერგის 18 ივნისის – მოხსენება, რომელსაც თან ერთვოდა ილორის ეკლესიის რევიზიის აქტი. მესამე საკითხად იხილებოდა კონსტანტინე მაჯგანაძის 13 და 29 ივნისის მოხსენებები სინოდალური კანტორისადმი, 22 ივნისის მოხსენება კანტორის პროკურორის და 13 ივნისის – ეგზარქოსის სახელზე. კონსტანტინე მაჯგანაძე თავის მოხსენებებში უსამართლოდ მიიჩნევდა ეპ. სერგის მიერ მის დაჯარიმებას 20 მანეთით²⁷³ და ილორიდან მუხურში გადაყვანას. იგი ითხოვდა გამოძიების დანიშვნას და გამართლების შემთხვევაში ილორში დატოვებას ან სხვა ეპარქიაში გადაყვანას.

სინოდალურმა კანტორამ განაჩინა: „სოხუმის ყოვლადსამღვდელოს მიერ საეკლესიო სახსრების ბოროტად გამოყენებასა და დატაცებაში დადანაშაულების გამო, ილორის ეკლესიის მეურნეობის გამგებლობის საქმეში ილორის ეკლესიის მღვდლების კონსტანტინე მაჯგანაძისა და პორფირ ხელაიას მოქმედებაზე დაინიშნოს ფორმალური გამოძიება და დაევალოს იგი გურია-სამეგრელოს ეპარქიის სუფუნის ეკლესიის მღვდელს მიტროფანე ხოშტარიას.“²⁷⁴

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1915 წლის 11 აგვისტოს სხდომის დასრულების შემდეგ ეგზარქოსმა პიტირიმმა აკაკი ჩხენკელს შემდეგი შინაარსის საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „თანახმად მღვდლის მაჯგანაძის თხოვნისა, დავნიშნე გამოძიება, ხოლო სოხუმის ეპისკოპოსს წინადადება მივეცი დეპეშით, რათა მაჯგანაძე დასტოვოს ილორის ეკლესიის მღვდლად, სანამ მის საქმეს სასინოდო კანტორა გაარჩევდეს.

დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გინახულეთ თქვენს წაბრძანებამდე პეტროგრადში. ჩემი აზრთა თქვენდამი გაზიარება და თქვენი მხარით შესაფერი დაჟინებითი თხოვნა დიდ სარგებლობას მოუტანდა ჯვაროსან საქართველოს იქ, სადაც უძღურია ყოველი ჩემი ზრუნვა და მხურვალე მუდარა.

ნება მიბოძეთ, თქვენი დახმარების იმედი ვიქონიოთ.

საქართველოს ექსარქოსი პიტირიმი“.²⁷⁵

პიტირიმის დეპეშას სოხუმის ეპისკოპოს სერგის მიმართ შედეგი არ მოჰყოლია – კონსტანტინე მაჯგანაძე დარჩა მუხურში. ილორის ეკლესიის წინამძღვრად 1915

272. საქართველო, 1915, 12 აგვისტო, №67.

273. ეგზარქოს ნიკონის დროიდან საქართველოს საეგზარქოსოში ფართოდ დაინერგა სასჯელის ეს ფორმა – როგორც წესი, უსამართლო ფულადი ჯარიმები. სოხუმის ეპისკოპოსი სერგი, აშკარად გამოხატავდა რა სიძულვილს ქართული სამღვდლოების მიმართ, ხშირად აჯარიმებდა მათ სრულიად უსაფუძვლოდაც. ასე მაგალითად, 1915 წელს მან 20 მანეთით დააჯარიმა ილორის ეკლესიის მღვდელი პორფირ ხელაია იმის გამო, რომ საქაროდ მოუწია გამგზავრება პიატიგორსკში, სადაც დაიღუპა მისი უფროსი ვაჟიშვილი, რომელიც ფრონტზე გაგზავნის წინ ოფიცერთა კურსებზე სწავლობდა. მომხდარი ტრაგედიისა და სასწრაფოდ პიატიგორსკში გამგზავრების შესახებ პორფირ ხელაიამ ეპისკოპოსს დეპეშით შეატყობინა, მაგრამ თანაგრძნობის გამოხატვის ნაცვლად 20 მანეთიანი ჯარიმა გამოუწერა (სცსსა, ფ.489, აღნ.1, ს.59631, ფ.5-7ა).

274. სცსსა, ფ.489, აღნ. 1, ს.64397, ფ.25-26.

275. საქართველო, 1915, 15 აგვისტო, №70.

წლის მაისიდან მსახურობდა ცნობილი სასულიერო მოღვაწე, ბლალოჩინი მღვდელი არისტარხ ჭიჭინაძე. მეორე მღვდლის თანამდებობაზე სამსახურს პორფირ ხელაია აგრძელებდა.²⁷⁶

სინოდალური კანტორის მიერ 1915 წლის 11 აგვისტოს მიცემული დავალება მღვდელმა მიტრიფონე ხოშტარიაშვილმა ოპერატიულად შეასრულა და 1915 წლის 16 ნოემბერს კანტორას წარუდგინა მოხსენება გამოძიების შედეგების შესახებ. სინოდალურმა კანტორამ მხოლოდ 1916 წლის 5 მაისს განიხილა იგი და, როგორც მოსალოდნელი იყო, მიიღო გადაწყვეტილება კონსტანტინე მაჯგანაძის მუხურში გადაყვანის თაობაზე ეპ. სერგის განკარგულების ძალაში დატოვების შესახებ, თუმცა ასეთი სასჯელი მიიჩნია ზედმეტად მკაცრად, ვიდრე მღვდელი კონსტანტინე მაჯგანაძე ამას იმსახურებდა, „რადგანაც ილორის ეკლესიის წინაშე მას აქვს უეჭველი დამსახურებები“. კანტორამ მოუწოდა მღვდელ კ. მაჯგანაძეს, ახალ სამსახურში „დაამტკიცოს, რომ დაუმსახურებლად დაისაჯა, რაც ილორიდან მუხურის სამრევლოში მის გადაყვანაში გამოიხატა.“²⁷⁷

ილორის ეკლესიასთან დაკავშირებულ მთელს ამ ისტორიაში მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ გადასახლებაში მყოფი არქიმანდრიტი ამბროსის ძალისხმევით, ადგილზე კი მღვდლების კონსტანტინე მაჯგანაძის, პორფირ ხელაიას თავდადებით და, რა თქმა უნდა, აკაკი ჩხენკელის მხარდაჭერით, ჩაიშალა ილორის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთების გეგმა.

აფხაზეთის პრობლემატიკას, სოხუმის ეპარქიაში არსებულ ვითარებას ეძღვნება აგრეთვე გაზეთში „პეტროგრაფსკი ვედომოსტი“ 1916-1917 წლებში არქიმანდრიტ ამბროსის მიერ გამოქვეყნებული წერილები: „სოხუმის ეპარქიის შესახებ“ (1916, 23 აპრილი//6 მაისი, №88; 28 აპრილი//11 მაისი, №92, 6//19 მაისი, №99), „პასუხად ყოვლადსამღვდლო სერგის“ (1916, 25 ოქტომბერი//7 ნოემბერი, №213), „სოხუმის ეპარქიიდან“ (1916, 23 ნოემბერი//6 დეკემბერი, №233), „წერილი კავკასიიდან“ (1916, 6(19) აგვისტო, №162) და „სოხუმელი საქმოსნები“ (1917, 22 თებერვალი//7 მარტი, №35).

წერილი „სოხუმის ეპარქიის შესახებ“ სამი ნაწილისგან შედგება და გაზეთის სამ ნომერში გამოქვეყნდა. ის შესულია ამბროსისადმი მიძღვნილ კრებულში, თარგმნილია და გამოცემულია ქართულადაც.²⁷⁸ წერილი „სოხუმის ეპარქიის შესახებ“ დაიწერა უწმინდესი სინოდის იმ გეგმის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფას, საეგზარქოსოს საერთოდ გაუქმებას და მის ნაცვლად კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნას ითვალისწინებდა. ამ გეგმის ავტორი გახლდათ ზემოთნახსენები საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი, 1915 წლის 23 ნოემბრიდან პეტერბურგის მიტროპოლიტი პიტირიმი, ერისკაცობაში პავლე ვასილის ძე ოკნოვი. დაიბადა და გაიზარდა რიგაში დეკანოზის ოჯახში. 1879 წ. დაამთავრა რიგის გიმნაზია, 1883წ. – კიევის სასულიერო აკადემია; იქვე ალიკვეცა ბერად. ასწავლიდა კიევის სასულიერო სემინარიაში, 1887 წლიდან სტავროპოლის სასულიერო სემინარიის ინსპექტორია, 1890 წლიდან რექტორი. იმავე წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს, 1891 წლიდან პეტერბურგის სასულიერო სემინარიის რექტორია; 1894 წლიდან ნოვგოროდის, 1904 წლიდან კი კურსკისა და ბელგოროდის ეპისკოპოსია, 1909 წლიდან – არქიეპისკოპოსი. 1911 წლის 4 ოქტომბრიდან ვლადიკავკაზის, 1913 წლის 22 დეკემბრიდან – სამარისა და სტავროპოლის არქიეპისკოპოსი; 1914 წლის 1 ივნისიდან უმაღლესად ებრძანა იყოს საქართველოს ეგზარქოსი, იმავე წელს 26 ივნისს იმპერატორის ბრძანებულებით დაინიშნა ამ თანამდებობაზე.²⁷⁹ 57 წლის ეგზარქოსი 1914 წლის 27 ივლისს თბილისში ჩამოვიდა. როგორც ცნობილია და როგორც ზე-

276. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.58705, ფ.55-63.

277. იქვე, ს.64524, ფ.78.

278. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.548-570; რელიგიის ისტორიის საკითხები. I, გვ.219-247.

279. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.56983, ფ.3, 18, 20-25, 83.

მოთაც ითქვა, თავისი ლიბერალურ-ფარისევლური პოლიტიკით ეგზარქოსმა ქართული საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მისმა დანიანურებამ ქართველობას გარკვეული ილუზიები გაუჩინა. „დღეის შემდეგ ჩვენს ტანჯულ ეკლესიას ეყოლება მფარველი და პატრონი თვით უწმინდეს სინოდში“, – წერდა გაზეთი „საქართველო“ 1915წ. 27 ნოემბერს.

როგორც კი ავტოკეფალიისთვის მებრძოლმა ქართველმა მოღვაწეებმა უწმინდეს სინოდში „მფარველი“ დაიგულეს, უფრო აქტიური მუშაობა გააჩაღეს. 1915-1916 წლებში გაზეთ „საქართველოს“ თითქმის ყოველი ნომერი აჭრელებული იყო წერილებით და სხვადასხვა მასალებით ქართული ეკლესიის საჭირბოროტო საკითხებზე, მათ შორის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. ამ ვითარებაში მიტროპოლიტმა პიტირიმმა ჩვეულ ტაქტიკას გადაუხვია და ქართველთა არა „მფარველობა“, არამედ დასჯა გადასწყვიტა. ავტოკეფალისტთა გააქტიურებას მან საეკლესიო „რეფორმის“ გეგმის შემუშავებით უპასუხა. საქართველოს უკანასკნელმა ეგზარქოსმა არქიეპისკოპოსმა პლატონ როჟდესტვენსკიმ პეტერბურგის მიტროპოლიტ პიტირიმისგან 1916 წლის 8 მარტით დათარიღებული შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო: „უწმინდესი სინოდის 1916 წლის 29 თებერვალ – 1 მარტის №1463 განჩინებით უწმინდეს სინოდთან ჩემი თავმჯდომარეობით ჩამოყალიბებული საგანგებო კომისია რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ეპარქიების რაოდენობის გაზრდისა და ამჟამად არსებული ზოგიერთი მეტად ვრცელი ეპარქიის უფრო მოხერხებული საზღვრების დადგენის საკითხზე.

მივიჩნევ რა აუცილებლად აღნიშნული კომისიის განსახილველად, სხვათა შორის, დავსვა საკითხი სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსგან გამოყოფის შესახებ, მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ თქვენ, მოწყალეო მწყემსმთავარო, ხომ არ ინებებდით ცნოთ შესაძლებლად შესაბამისი განკარგულების გაცემა ჩემთვის რაც შეიძლება ჩქარა სოხუმის ეპარქიის ყველა სამრევლოს სრული სიის წარმოდგენის თაობაზე თითოეული სამრევლოს მართლმადიდებელი მოსახლეობის რაოდენობის ჩვენებითა და ყოველ სამრევლოში ამ მოსახლეობის დაყოფით ეროვნებათა მიხედვით“.²⁸⁰ იგივე შინაარსის წერილი მიტროპოლიტმა პიტირიმმა სოხუმის ეპისკოპოს სერგისაც გაუგზავნა.

1916წ. 22 მარტს დ. ჭიბერაშვილის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილი ინფორმაციის მიხედვით, „საქართველოს საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის პროექტი უკვე დამზადებულია. მის განხილვას სინოდი ნააღდგომევეს შეუდგება. პროექტით საეგზარქოსოს ფარგლებში წმინდა ქართული სამრევლოები მოექცევა. დანარჩენები შევლენ ახლადშექმნილ შავი ზღვის ეპარქიაში“.²⁸¹ უწმინდესი სინოდის გეგმაში, – როგორც გაზეთი „საქართველო“ წერდა, – „ყველამ დაინახა ახალი იერიში ისედაც გაძარცვული და დაუძღურებული ქართული ეკლესიის დასამხობად“.²⁸²

ქართულმა და აფხაზურმა საზოგადოებამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია უწმინდესი სინოდის ვერაგულ გეგმას, რომელსაც ამჟამად პოლიტიკური სარჩული ჰქონდა და მიმართული იყო როგორც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ისე ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური ავტონომიის სახით აღდგენის, სოხუმის ოლქის თვითმმართველობის შექმნის იმჟამად აქტუალური იდეის წინააღმდეგ. ქართველობა კატეგორიულად არ ეთანხმებოდა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებისა და მისგან აფხაზეთის ეპარქიის გამოყოფის გეგმას, მოითხოვდა ავტოკეფალიის აღდგენას, ან არსებული მდგომარეობის სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევამდე შენარჩუნებას. ეს თვალსაზრისია გამოხატული თბილისის გუ-

280. რელიგიის ისტორიის საკითხები, I, გვ.219.

281. საქართველო, 1916, 27 მარტი.

282. საქართველო, 1916, 5 მაისი.

ბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის კოტე აბხაზის 1916 წლის 16 მარტის წერილში სამოქალაქო საკითხებში მეფისნაცვლის თანაშემწის ვ.ნ. ორლოვის მიმართ.²⁸³ ქართული საზოგადოების სახელით, ის არ ეთანხმებოდა უნმ. სინოდის განზრახვას საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებისა და კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსების შესახებ, რის თაობაზეც ობერ-პროკურორს სახელმწიფო სათათბიროშიც განუცხადებია. ამ სამიტროპოლიტოში ქართული ეკლესიის გაერთიანებით, „იგი მთლიანად გაისრისება კავკასიის მიტროპოლიაში, რომელიც გადაჭიმული იქნება წყნარი დონიდან ჯერ-ჯერობით დაუდგენელ სამხრეთის საზღვრებამდე და დაკარგავს იმ ფიზიონომიასაც, რომელსაც საეგზარქოსოში ჯერ კიდევ ინარჩუნებს.“ არსებული პრობლემების მიზეზად კოტე აბხაზი ასახელებს ერთი საუკუნის წინ „ცხოვრების ავტოკეფალური წყობის“ შეჩერებას „და მის შეცვლას ქართველის რელიგიური ფსიქიკისთვის უცხო სინოდალური რეჟიმით. ეს შეუსაბამობები შეიძლება აღმოიფხვრას, – წერდა იგი, – მხოლოდ ქართული ეკლესიისთვის ავტოკეფალური კანონიკური წყობის დაბრუნებით, რომელიც 15 საუკუნე ინარჩუნებდა თავის შვილებში რელიგიური გრძნობების სიმხურვალეს.“ კოტე აბხაზის აზრით, ავტოკეფალიის სწორედ ხელმწიფე იმპერატორის ნებით აღდგენა შექმნიდა „დიდ და ბრწყინვალე ეპოქას ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც თავისი მნიშვნელობით მისი ათასწლოვანი ისტორიის ყველაზე დიდ მოვლენებს გაუტოლდებოდა“. წერილში ნათქვამია, რომ ქართველი ხალხი ამჯერად იმპერატორისგან და მეფისნაცვლისგან დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისგან ახლო ხანებში მოელის მხარდაჭერას ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. იმ შემთხვევაში, თუ საომარი პირობების გამო გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდებოდა, – ნათქვამია წერილში, – ქართული მხარე იხელმძღვანელებდა 1916 წლის 7 და 11 მარტს კოტე აბხაზის მიერ მოწვეული სამღვდელოებისა და მრევლის წარმომადგენელთა თათბირებზე შემუშავებული პრინციპებით: 1) ქართული ეკლესია ავტოკეფალურია, ვინაიდან არანაირი აქტი მისი გაუქმების შესახებ არ არსებობს; 2) ქართული ეკლესია მხოლოდ დაქვრივებულია, ამიტომ იმართება რუსული ეკლესიის საეგზარქოსოს მიერ; 3) კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსება ქართული ეკლესიის მიმართ იქნება ანტიკანონიკური აქტი, რომელიც გამოიწვევს ახალ მიტროპოლიაში ქართული სამღვდელოების ეროვნული იერსახის საბოლოოდ გაქრობას; 4) კავკასიის მიტროპოლიის შექმნა ეწინააღმდეგება იმპერატორის ნებას, რადგანაც 1906 წ. 11 აგვისტოს ქართული ეკლესიის საკითხი განსახილველად მან მომავალ საეკლესიო კრებას გადასცა.

აქედან გამომდინარე, თათბირის წევრებს მიაჩნიათ, – წერდა კოტე აბხაზი, – რომ 1) ავტოკეფალიის აღდგენამდე შენარჩუნდეს საქართველოს საეგზარქოსო განსაკუთრებული საეკლესიო ერთეულის სახით; 2) ამ საეკლესიო ერთეულის საზღვრები შემოიფარგლოს მხოლოდ ქართული ეკლესიის ისტორიული ტერიტორიებით (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებით, ბათუმის ოლქით, სოხუმისა და ზაქათალას ოკრუგებით, არდაგანისა და ოლთისი-ყარსის ოლქებით) და 3) ქართულ ეკლესიაზე გავრცელდეს ყველა ის უფლება, რომელიც რეფორმების შედეგად მიენიჭება ახლადჩამოყალიბებულ სამიტროპოლიტო ოკრუგებს.²⁸⁴ ასეთი იყო ის დროებითი ზომები, რომელთა ცხოვრებაში გატარებით ქართული ეკლესია დანაწევრებას და რუსულ ეკლესიაში აღრევის გზით ჩაფიქრებულ სრულ განადგურებას გადაურჩებოდა. კოტე აბხაზმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ეკლესიურად განთავისუფლების საქმეში.²⁸⁵

— უნმინდესი სინოდის ანტიქართული და ანტიაფხაზური გეგმების ჩაშლაში დიდი როლი ითამაშა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე კოტე აბხაზი ესაუბრა ვ.ნ. ორლოვს ამ წერილის გადაცემამდეც – 1916 წლის 5 მარტს.

284. სცსსა, ფ.13, აღნ.3, ს.1799, ფ.2-5.

285. ს. ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები. თბ., 2010, გვ. 84.

როლი ითამაშა 1916წ. აპრილში თბილისში ჩამოსულმა აფხაზურმა დეპუტაციამ (ა.გ. შარვაშიძე, გ.კ. შარვაშიძე, პ. ანჩაბაძე, მ. ემუხვარი, ა.ინალ-იფა, ნ.მარღანი, ბ.ეზუგბაია, ა.ჩუკბარი და ა.შ.). 26 აპრილს იგი შეხვდა მეფისნაცვალს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვს. შეხვედრაზე დეპუტაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა მისმა ხელმძღვანელმა ა.გ. შარვაშიძემ, რომელმაც ქვეშევრდომული გრძნობების გამოხატვის შემდეგ სოხუმის ოკრუგის მოსახლეობის საჭირობოროტო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებზე, მის ძირითად მოთხოვნებზე ისაუბრა. ეს პრობლემები და მოთხოვნები დეპუტაციამ მოხსენებითი ბარათის სახით ჩამოაყალიბა და საუბრის დასასრულს მეფისნაცვალს მიათვია. მასში სოციალურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო საკითხების გარდა, დასმული იყო ორი მნიშვნელოვანი პრობლემა: „5) სოხუმის ოკრუგი არავითარ შემთხვევაში არ იქნას მიერთებული შავი ზღვის გუბერნიასთან, პირიქით, ვშუამდგომლობთ, სოხუმის ოკრუგი დამოუკიდებელ გუბერნიად გარდაიქმნას.

6) გთხოვთ სოხუმის ეპარქია არ გამოიყოს საქართველოს საეგზარქოსოსგან“.²⁸⁶

1916 წლის 27 აპრილს აფხაზური დეპუტაცია შეხვდა საქართველოს ეგზარქოს პლატონს. პრაქტიკული საკითხების მოსაგვარებლად დეპუტაციის წევრები მიიღო მეფისნაცვლის თანაშემწემ ვ.ნ.ორლოვმა. ყველა შეხვედრაზე დეპუტაცია პრინციპულად აყენებდა სოხუმის ოკრუგის ცალკე გუბერნიად გარდაქმნისა და სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში დატოვების საკითხს; მანვე ამის თაობაზე უწმინდეს სინოდს შუამდგომლობა წარუდგინა.²⁸⁷ აფხაზური დეპუტაციის თბილისში სტუმრობამ თვალი აუხილა კავკასიის რუსულ საერო და სასულიერო ადმინისტრაციას, დიდი რეზონანსი გამოიწვია ქართული ინტელიგენციის წრეებში. გაზეთი „საქართველო“ ამასთან დაკავშირებით წერდა: „ქართველებისა და აფხაზების ერთად გამოსვლა და ხმის ამოღება სასურველ ნაყოფს გამოიღებს... სოხუმის ეპარქია ისევ საქართველოს ეკლესიის განუკვეთელ ნაწილად დარჩა. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ეს უნდა გვახსოვდეს ყოველ საზოგადო საქმეში.“²⁸⁸

უწმინდესი სინოდის გეგმა მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს ერთგულმა მეგობარმა ნ. დურნოვომ „პეტროგრადსკიე ვედომოსტში“ გამოქვეყნებულ და „საქართველოში“ გადმობეჭდილ წერილში, წაუყენა რა უმძიმესი პოლიტიკური, კანონიკური და მორალურ-ზნეობრივი ბრალდებები უმაღლეს სასულიერო უწყებას.²⁸⁹

ქართული ეკლესიის გადარჩენისთვის წარმოებულ უკომპრომისო ბრძოლაში აქტიურად ჩაერთო არქიმანდრიტი ამბროსი. 1916 წლის აპრილ-მაისში „პეტროგრადსკიე ვედომოსტის“ სამ ნომერში „ამბერი“ სხელმონერით გამოქვეყნებული ბრწყინვალე სამეცნიერო-პუბლიცისტური სტატიით „სოხუმის ეპარქიის შესახებ“ მან დააგვირგვინა 1916 წელს კოტე აბხაზის ხელმძღვანელობით დაწყებული, ნ.დურნოვოსა და აფხაზური დეპუტაციის მიერ წარმატებით გაგრძელებული ბრძოლა უწმინდესი სინოდის გეგმების წინააღმდეგ. სტატიის პირველი ნაწილი სამურზაყანოს საკითხს ეხება, რადგანაც სინოდის გეგმა სოხუმის ეპარქიისგან ამ ტერიტორიის გამოყოფას და გურია-სამეგრელოს ეპარქიასთან მის მიერთებასაც ითვალისწინებდა. მამა ამბროსი, ერთის მხრივ, სინოდის საერთო გეგმის ამ ნაწილის წინააღმდეგაც ილაშქრებდა, თუმცა მიესალმებოდა სასულიერო მთავრობის მიერ თავის ძველ პოლიტიკაზე უარის თქმას და იმ ელემენტარული ჭეშმარიტების აღიარებას, რომ სამურზაყანოელები ქართველები არიან.

სტატიის მეორე ნაწილში არქიმანდრიტი ამბროსი იმ დროისთვის არსებულ ქართულ-რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ასაბუთებდა ქართული

286. სცსსა, ფ.13, აღწ.3, ს.1844, ფ.1-2; Закавказская Речь, 1916, 28 апреля.

287. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.744-748.

288. საქართველო, 1915, 5 მაისი.

289. საქართველო, 1916, 16 აპრილი; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.742-743.

და აფხაზური ენების ნათესაობას; აკეთებდა დასკვნას, რომ ამ მონათესავე ხალხების ხელოვნურად ერთმანეთისგან დაშორება არაკეთილსასურველ გავლენას იქონიებდა ქრისტიანობის ბედზე აფხაზეთში. ისტორიულად აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ქართველთა მკვიდრობის შესახებ ავტორის დასკვნები საკმაოდ დასაბუთებულია და დღესაც ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

სტატიის მესამე ნაწილში ამბროსი ხელაია საუბრობდა საქართველოს ეკლესიისგან სოხუმის ეპარქიის, ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან კი სამურზაყანოს სამრევლოების გამოყოფის დაუშვებლობაზე. ავტორის აზრით, აფხაზების ეკლესიური გაერთიანება შავი ზღვის გუბერნიის იმჟამინდელ მოსახლეობასთან გამოიწვევდა ქრისტიანულ საქართველოსთან ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირების განწყვეტას, იმ სარწმუნოების დაგინყებას, რომელსაც აფხაზთა წინაპრები აღიარებდნენ.

აფხაზეთის განცალკევება სამურზაყანოსგან და საერთოდ საქართველოსგან, – წერდა არქიმანდრიტი ამბროსი, – დაუშვებელია იმიტომაც, რომ ძველქრისტიანული ძეგლები – ბიჭვინთა, ფსირცხა, დრანდა, მოქვი, ილორი – აფხაზებისა და ქართველების საერთო კუთვნილებაა, საერთო თავყვანისცემისა და სიამაყის საგანია; ამიტომ საკუთარი უფლებების შელახვად ჩათვლიდნენ ქართველები მათ მიერთებას შავი ზღვის გუბერნიასთან, აფხაზები – ილორის მიერთებას სამეგრელოსთან. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაჩნ ბიჭვინთაზე – ქართველ კათალიკოსთა საბრძანებელზე ამხვილებდა. ქართული ეკლესიისგან მისი მოწყვეტის დაშვება ქართველებს არ შეუძლიათ, – წერდა არქიმანდრიტი ამბროსი, – და თუ ისინი ვერ მოახერხებენ ბიჭვინთის შენარჩუნებას, „მაშინ მარად გოდებაში იქნებიან ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო“. სამართლიანობის დაცვის მიზნით ავტორი შემდეგ რეკომენდაციას იძლევა: სოხუმის ეპარქია დარჩეს აფხაზებს და სამურზაყანოელებს, მაგრამ მისგან გამოიყოს შავი ზღვის გუბერნია; სოხუმში უნდა იჯდეს ცხუმელი, როგორც ეს იყო ისტორიულად.

ამჟამინდელ ვითარებაში, როდესაც საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ და ეკლესიურ მთლიანობას, ამბროსი ხელაიას სტატია „სოხუმის ეპარქიის შესახებ“ სავსებით ინარჩუნებს თავის მეცნიერულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას; დღესაც აქტუალურია ავტორისეული შეფასებები, არგუმენტები, დასკვნები და რეკომენდაციები.

„წერილი კავკასიიდან“ („პეტროგრაფსკიე ვედომოსტი“, 1916, 6/19 აგვისტო, №162) რუსულ და ქართულ ენებზე პირველად წინამდებარე ნიგნში ქვეყნდება.²⁹⁰ აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე მცირე ისტორიული ექსკურსის, აფხაზთა მოქცევის საქმეში ქართველ მისიონერთა (ეპისკოპოსების ანტონ დადიანის, ალექსანდრე ოქროპრიძისა და გაბრიელ ქიქოძის) უზარმაზარი დამსახურების აღნიშვნის შემდეგ ამბროსი ხელაია წერდა, რომ 1885 წლიდან, როდესაც სოხუმის კათედრაზე რუსი მღვდელმთავრების დანიშვნა დაიწყო, ვითარება უარესობისკენ შეიცვალა. მართლმადიდებლობის საქმეს დიდი ზიანი მიაყენა კანონმა სამხედრო სამსახურის შესახებ, რომელიც მუსულმანური აღმსარებლობის აფხაზებს, სპეციალური გადასახადის სანაცვლოდ, ჯარში განწვევისგან ანთავისუფლებდა. მამა ამბროსი მოუწოდებდა „სოხუმის საეპარქიო მთავრობას და საღვთო სამკალის მუშაკებს“, თავი დაანებონ პოლიტიკანობას, საეგზარქოსოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოყოფის, ადგილობრივი სინმინდეების რუსულ მონასტრად გადაკეთების მცდელობას, მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების აკრძალვას და დაკავდნენ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებით, მიიღონ ზომები, რათა განკარგულება არარუსების ჯარში განწვევის შესახებ „არ გახდეს ქრისტიანი აფხაზების ისევ გამაჰმადიანების მიზეზი“.

1916 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) გაზეთში „პეტროგრაფსკიე ვედომო-

290. იხ. აქვე, ნაწ. II.

სტი“ არქიმანდრიტ ამბროსის მიერ „კორენბედიელის“ (ილორელის) ხელმოწერით გამოქვეყნებული სტატია „პასუხად ყოვლადსამღვდელო სერგის“, რომელიც 2006 წელს წმ. ამბროსისადმი მიძღვნილ კრებულში შევიდა და შემდგომში ქართულადაც ითარგმნა,²⁹¹ სოხუმის ეპისკოპოს სერგის (პეტროვი) წინააღმდეგ არის მიმართული. მისი გამოქვეყნების საბაზი გახდა იმავე გაზეთში 1916 წლის 13 (26) ოქტომბერს (№205) მოთავსებული ეპ. სერგის „წერილი რედაქციაში“. აღნიშნულ წერილში სოხუმის ეპისკოპოსი უარყოფდა „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ დაბეჭდილი ნ. დურნოვოს წერილის („ისევ ქართული ეკლესიის შესახებ“) იმ დებულებებს, რომლებიც აფხაზეთში არსებულ ვითარებას ასახავდნენ.²⁹² არქიმანდრიტი ამბროსი იმდენად აღაშფოთა ეპისკოპოს სერგის წერილმა, რომ გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ 1916 წლის 23 ნოემბერს (6 დეკემბერს) კიდევ ერთხელ გამოეხმაურა მას სტატიით „სოხუმის ეპარქიიდან“ ამჯერად უკვე „სამურზაყანოელის“ ფსევდონიმით.

სტატიაში „პასუხად ყოვლადსამღვდელო სერგის“ ავტორი საუბრობს სოხუმის ეპარქიაში ქართველთა რელიგიური დისკრიმინაციის, ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აკრძალვის შესახებ. არქიმანდრიტი ამბროსი აღნიშნავდა, რომ წმ. მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მიერ 1867წ. საკუთარი სახსრებით განახლებული სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის სამრევლოს გაუქმების (1887 წ.) შემდეგ ქართველებს პრაქტიკულად წაერთვათ მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების მოსმენის საშუალება. განსაკუთრებულ ყურადღებას ავტორი ამახვილებდა საკუთარი მრევლის ენის არმცოდნე მღვდელმთავრის ტრაგიზმზე. ეს ეხებოდა ეპ. სერგისაც, რომელიც არათუ არ ფლობდა ქართულ-აფხაზურ ენებს, არამედ ისიც კი არ იცოდა, რომელ სამრევლოში (მაგალითად, ილორში) რა ენაზე მეტყველებდნენ მისი სულიერი შვილები. „ჩვენ აქ საქმე გვაქვს, – წერდა არქიმანდრიტი ამბროსი, – საკუთარი მრევლის ენის არმცოდნე ეპისკოპოსის მდგომარეობის ტრაგიზმთან. მწყემსმთავარმა არ იცის რა ენაზე საუბრობენ მისი სულიერი შვილები! მისი მდგომარეობა შემადრწუნებელია! მაგრამ მას და მის მსგავსთ რატომ არ ესმით ეს, სანამ დასთანხმდებიან ასეთ უცხოენოვან ეპარქიაში კათედრის დაკავებას, რატომ არ ეკითხებიან საკუთარ თავს, იქნებიან თუ არა სასარგებლო ასეთი მრევლისთვის? ხომ არ იქნებიან უცხოენოვანი ცხოვარნი „სხვისი ცხვრები“? გაიგებენ და მოისმენენ მის ხმას? ხომ არ არის ჭეშმარიტება მაცხოვრის სიტყვები, რომ ცხვრები გარბიან ასეთი მწყემსისგან, რადგანაც „უცხოთა ხმას არ იცნობენ“ (იოანე, X, 4-8).

მორიგ სტატიაში „სოხუმის ეპარქიიდან“ მამა ამბროსი კვლავ აკრიტიკებდა ეპ. სერგის „წერილს რედაქციაში“ იმის გამო, რომ სოხუმში ქართველი და ბერძენი მღვდლები მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურებას არ თუ ვერ ასრულებდნენ. აღნიშნული წერილიც თავის დროზე შევიდა ამბროსისადმი მიძღვნილ კრებულში და მოგვიანებით ითარგმნა ქართულად.²⁹³

აფხაზეთის თემას ეხება გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ 1917წ. 22 თებერვალს/7 მარტს (№35) დაბეჭდილი ამბროსი ხელაიას კიდევ ერთი სტატია „სოხუმელი საქმოსნები (პასუხად დეკანოზ ივანოვს)“, რომელიც ქართულ თარგმანთან ერთად პირველად წინამდებარე წიგნში ქვეყნდება.²⁹⁴ სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის ბერძენმა მღვდელმა დეკ. ავრაამ ივანოვმა, რომელიც XIX ს. 90-იან წლებში ამბროსისთან ერთად სოხუმის საკათედრო ტაძარში მსახურობდა, გაზეთში „პეტროგრად-

291. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.571-577; ჯემალ გამახარია, დინარა დარსალია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) აფხაზეთში ქართველთა გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ. – ახალგაზრდობა, 2009, №3, გვ.9-11.

292. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.576-577.

293. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.578-579; ჯემალ გამახარია, დინარა დარსალია. მითითებული ნაშრომი, გვ.11-12.

294. იხ. აქვე, გვ. ან. II.

სკიე ვედომოსტი“ გამოაქვეყნა ამბროსი ხელაიას წერილების („პასუხად ყოვლადსამღვდელო სერგის“ და „სოხუმის ეპარქიიდან“) სანინალმდეგო და ეპ. სერგის დასაცავი წერილი. ამასთან დაკავშირებით დაინერა „სოხუმელი საქმოსნები“. ამბროსი ხელაიამ საკმაოდ ვრცელი და დასაბუთებული პასუხი გასცა დეკანოზ ავრაამ ივანოვს, რომელიც სოხუმელ ქართველთა რაოდენობის ხელოვნურად შემცირების გზით ცდილობდა ქართულ ენაზე ღვთისმსახურების არარსებობის გამართლებას და რომელიც ამტკიცებდა ასევე, რომ სოხუმის სასაფლაოს ეკლესია არ წარმოადგენდა და არ წარმოადგენს ქართული სამრევლოს კუთვნილებას. არქიმანდრიტი ამბროსი განსაკუთრებით აღაშფოთა დეკ. ავრაამ ივანოვის შემდეგმა სიტყვებმა: „სოხუმის ეპისკოპოსები თავიანთ ქვეყანაში არიან და თავისი ხალხისთვის ტაძარში ღვთისმსახურება სლაგურ ენაზე უნდა ჩაატარონ ქართველთა მხრიდან საამისოდ კურთხევისა და ნებართვის საჭიროების გარეშე.“ რამდენად უნდა იყოს ადამიანი ქართველებისადმი სიძულვილით დაბრმავებული, რომ მსგავსი აბსურდი თქვას, – წერდა მამა ამბროსი და აგრძელებდა: „სოხუმის ეპისკოპოსები თავიანთ ქვეყანაში იმყოფებიან, განა ჩვენ საკუთარ ქვეყანაში არ ვიმყოფებით? ისინი ტაძარში ღვთისმსახურებას ასრულებენ თავისი... ჩვენ კი ვისი ხალხი ვართ? ... თქვას მამა ივანოვმა, რომელი საღმრთო და ადამიანური კანონების მიხედვით უნდა გაავლოს ზღვარი ეპისკოპოსმა თავისი სამწყსოს წევრებს შორის: ერთნი მიიჩნიოს თავისიანებად, მეორენი კი – არათავისიანებად? დიახ, სწორედ ამაზე მოვთქვამთ ჩვენ, რომ სოხუმის მღვდელმთავრები არ მიგვიჩნევენ თავის „ცხვრებად“, რომ ჩვენზე არ ზრუნავენ, რომ არღვევენ ქრისტეს მცნებას „თავისი სული დადო ცხვრებისთვის“ (იოანე, X, 11 – ჯ.გ.)... ეს ყველაფერი დიდი ხანია ჩვენ უკვე ვიცით, მაგრამ პირველად გვესმის ასე ღიად მოძღვარ-გამარუსებლის ბაგეთაგან.“

საქართველოს საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის გეგმის ჩავარდნის შემდეგ უწმინდეს სინოდში შეიმუშავეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმების (როგორც პირველი ნაბიჯი საეგზარქოსოს გაუქმებისაკენ) პროექტი. უმაღლესი სასულიერო მთავრობის მორიგ გამოლაშქრებას საქართველოს წინააღმდეგ ამბროსი ხელაიამ უპასუხა „სამურზაყანოელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატიით „უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შესახებ“ („პეტროგრაფსკიე ვედომოსტი“, 1916, 20 ივლისი/2 აგვისტო, №150), რომელიც ქართულ-რუსულ ენებზე პირველად ქვეყნდება.²⁹⁵ ავტორის მტკიცებით, „სინოდალური კანტორა უნდა არსებობდეს ქართული ეკლესიის კანონიკური წყობის აღდგენამდე“, როგორც დაწესებულება, რომელიც უმსუბუქებდა შრომას საქართველოს ეგზარქოსს, საჭიროების შემთხვევაში იცავდა ადგილობრივი სამღვდელოებისა და მოსახლეობის ინტერესებს, უზრუნველყოფდა საქართველოს ეპარქიების ერთიან მართვას და რომელიც თავის დროზე (1814 წელს) ქართული ეკლესიის წინანდელი ავტოკეფალურობისადმი პატივისცემისთვის იყო შექმნილი. იმისათვის, რომ კანტორას მასზე დაკისრებული ფუნქციები შეესრულებინა, ამბროსი ხელაიას აზრით, საჭირო იყო ქართულ-რუსული ენების მცოდნე პროკურორის დანიშვნა (როგორც ამას უმაღლესად დამტკიცებული სინოდალური კანტორის დებულება მოითხოვდა), მისი წევრების მიერ ადგილობრივი საეკლესიო ცხოვრების თავისებურებების ცოდნა და მათი განთავისუფლება ყოველგვარი ზენოლისაგან.

1916 წლის ნოემბრიდან 1917 წლის იანვრამდე ამბროსი ხელაიამ „პეტროგრაფსკიე ვედომოსტში“ დაბეჭდა თემატურად ერთმანეთთან დაკავშირებული სამი სტატია საქართველოში სასულიერო განათლების სფეროში არსებული ვითარების შესახებ: „სასულიერო სემინარია ქუთაისში“ (1916, 20 ნოემბერი//3 დეკემბერი, №232), „ქართველი ეპისკოპოსების უფლებობა და საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლები“

295. იქვე.

(1916, 15//28 დეკემბერი, №248) და „უცნაური კომპენსაცია“ (1917, 28 იანვარი//10 თებერვალი, №19). აღნიშნული სტატიები ითარგმნა ქართულად და გამოქვეყნდა.²⁹⁶ ისინი შეტანილია წინამდებარე მონოგრაფიაშიც.²⁹⁷

ქუთაისში სასულიერო სემინარიის აღდგენა, რომელსაც არქიმანდრიტი ამბროსი ეხმაურება, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. იგი უწმინდესი სინოდის 1904 წლის 15 ივნისის საკმაოდ ხმაურიანი და სასტიკი გად-ანწყვეტილების საფუძველზე დაიხურა, თუმცა სინოდში მანამდეც არაერთხელ უმ-სჯელიათ და მიუღიათ რეპრესიული ზომები რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე ქუთაისელ სემინარისტთა წინააღმდეგ.²⁹⁸ 1908 წლის 7 თებერვალს ეგზარქოსმა ნიკონმა და იმავე წლის 6 მარტს მეფისნაცვალმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმა უწმ. სინო-დის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა ქუთაისის სასულიერო სემინარიის აღდგენის თაობაზე,²⁹⁹ მაგრამ ეგზარქოსის დაღუპვის შემდეგ ეს საკითხი დიდი ხნით მოიხ-სნა დღის წესრიგიდან. მხოლოდ 1915 წლის 9 დეკემბერს საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის, იმჟამად კი პეტროგრადის მიტროპოლიტის პიტირიმის წინადადებით უწმინდესმა სინოდმა მიიღო №16844 გადაწყვეტილება ქუთაისში, „როგორც მთელი ამიერკავკასიის ცენტრალურ პუნქტში თავისი ჯანსაღი კლიმატითა და ცხოვრების შედარებითი სიიაფით“, 1916/17 სასწავლო წლიდან სასულიერო სემინარიის აღდ-გენის შესახებ, რომელიც იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიებს მოემსახურებოდა.³⁰⁰ ახლად აღდგენილი სემინარია თბილისის სასულიერო სემინარიის I-III პარალელური კლასების მოსწავლეებით უნდა დაკომპლექტებულიყო. ამ საკითხის მოსაგვარებლად 1916 წლის 20 მაისიდან ეგზარქოსის კანცელარიასთან მუშაობდა კომისია თბილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის ინსპექტორის დეკანოზ კორნელი კეკელიძის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ თბილისის სა-სულიერო სემინარიის პედაგოგები ს.მურახოვსკი, ვ. ბარნოვი, ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ი. ჭიშვილი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედ-ველი ნ. ხოლმსკი და ამავე სასწავლებლის პედაგოგი ა. გორგაძე.³⁰¹ მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ 1916 წ. 16 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსი პლატონი, სინოდალური კანტორის პროკურორი მ.პოპოვი, საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლალაჩინი არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა) სასულიერო სემინარიის გახსნაში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისში ჩავიდნენ.³⁰² სემინარიის ასეთი დაგვი-ანებით გახსნა გახდა არქიმანდრიტ ამბროსის მიერ სტატიის გამოქვეყნების საბაბი. ავტორი სემინარიის ფაქტობრივი გახსნის საკითხის სასწრაფოდ „ან ასე, ან ისე“ გადაწყვეტას მოითხოვდა.

როგორც იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი) ეგზარქოს პლატონს 1917 წლის 25 იანვარს ატყობინებდა, 1916 წლის 16 ნოემბერს ქუთაისის სემინარ-იაში დაწყებული მეცადინეოები სამივე კლასში მიმდინარეობდა.³⁰³ ერთი სიტყვით, ქუთაისის სასულიერო სემინარიის გახსნის საკითხი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოგ-ვარდა, მაგრამ არქიმანდრიტ ამბროსის ეს არ აკმაყოფილებდა. თავის მორიგ წერ-ილში „ქართული ეპისკოპოსების უუფლებობა და საეგზარქოსოს სასულიერო სასწავ-ლებლები“, რომელიც გამოქვეყნებულია „ამბერი“-ს ხელმოწერით, მთელი იმპერიის გასაგონად ის საუბრობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში და სხვა სასწავლო

296. დინარა დარსალია. წმ. ამბროსი აღმსარებლის უცნობი წერილები საქართველოში სასულიერო განათლებ-ის შესახებ. – საპატრიარქოს უწყებანი, 2011, 24-30 მარტი, №12, გვ.8-12.

297. იხ. აქვე, გვ. ნაწ. II.

298. სცსსა, ფ.488, აღწ.1, ს.26908, ფ.20-21, 32, 34, 77.

299. სცსსა, ფ.13, აღწ.6, ს.793, ფ.1-6.

300. სცსსა, ფ.489, აღ.1, ს.59433, ფ.6-8.

301. იქვე, ფ.22.

302. იქვე, ს.64553, ფ.152.

303. იქვე, ს.59433, ფ.43.

დანესებულებებში გამეფებულ ქართველთა დისკრიმინაციაზე, სასტიკ ეროვნულ ჩაგვრაზე. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, წერილის დასკვნით ნაწილში ამბროსი ხელაია მოითხოვდა, რომ ეს „საქმე მოექცეს ადგილობრივი მღვდელმთავრების მკაცრი კონტროლის ქვეშ, და საერთოდ, ქართველ მწყემსმთავრებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე უფლებები, როგორც აქვთ რუს იერარქებს თავიანთ ეპარქიებში.“

სასულიერო სასწავლებლის თემას ეხება არქიმანდრიტ ამბროსის კიდევ ერთი სტატია „უცნაური კომპენსაცია (საქართველოს საეგზარქოსოში საქმის ვითარების შესახებ)“, რომელიც „კორნებდიელი“-ს ხელმოწერით გამოქვეყნდა. ავტორი უკიდურესად აღშფოთებულია ხელისუფალთა მოთხოვნით, თბილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნოს არა ქართველი, არამედ აუცილებლად რუსი ეროვნების პიროვნება. საქმე იმაში გახლდათ, რომ ქალთა სასწავლებლის ინსპექტორი დეკ. კორნელი კეკელიძე 1916 წლის 23 სექტემბერს უწმინდესმა სინოდმა დანიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად,³⁰⁴ რომელ თანამდებობაზეც ადრე მხოლოდ რუსები ინიშნებოდნენ. რადგანაც ამ შემთხვევაში რუსის „ადგილი“ ქართველმა დაიკავა, ამის „საკომპენსაციოდ“ ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამ ქალთა სასწავლებელში ქართველის მიერ გამონთავისუფლებული ინსპექტორის თანამდებობაზე რუსის დანიშვნა მოითხოვა. ხელისუფალთა მხრიდან ამ, მართლაც, ძალზე უცნაური „კომპენსაციის“ მოთხოვნა გახდა არქ. ამბროსის აღშფოთების მიზეზი. თავის სტატიაში ის ოსტატურად იყენებს „კომპენსაციის“ თემას საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და საეკლესიო პრობლემების იმპერიის მთავარი გაზეთის ფურცლებზე კიდევ ერთხელ წამოსაწევად. ამბროსი ხელაია ლოგიკურად სვამს საკითხს საეგზარქოსოს საუკუნოვანი არსებობის მანძილზე ქართული ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური დანაკარგის კომპენსაციის შესახებ. ვინაიდან „სომხების, პოლონელების, ლიტველების და სხვა არარუსებისგან განსხვავებით, ქართველებს ომის განმავლობაში პოლიტიკური მოთხოვნები და სურვილები არ განუცხადებიათ“, – წერდა არქიმანდრიტი ამბროსი, – ხომ არ დადგა ყამი, მოხდეს ქართველებისთვის იმ სისხლის კომპენსირება, რომელიც მათ პირველ მსოფლიო ომში დაღვარეს და კვლავაც ღვრიან რუსეთის სასარგებლოდ? სტატია მთავრდება ქართული ეკლესიის „ფეხქვეშ გათელილი უფლებების“ ანუ ავტოკეფალიის აღდგენის საერთოეროვნული მოთხოვნის მკაფიო დაფიქსირებით.

ამბროსი ხელაიას ამ სტატიის გამოქვეყნებიდან ერთ თვეში თვითმპყრობელური რეჟიმი დაემხო და დროებით რუსეთი ევროპის ყველაზე თავისუფალი ქვეყანა გახდა. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები „კომპენსაციის“ მისაღებად, ქართული „ეკლესიის ფეხქვეშ გათელილი უფლებების“ აღსადგენად. მამა ამბროსი იმ დროს ჯერ კიდევ ქ. სტარაია რუსაში იმყოფებოდა. იგი სიხარულით შეხვდა 1917წ. თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციას, იმავე წლის 17 მარტს მონაწილეობა მიიღო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გამართულ თავისუფლების გამოცხადებასთან დაკავშირებულ ცერემონიაში და რევოლუციის მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისის ჩატარებაში. თავის სიტყვაში ამბროსი ხელაია გულწრფელად მიესალმა თვითმპყრობელობის დამხობას. „კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ომმა, – განაცხადა მან, – გამოაშკარავა, რომ არსებულმა წყობილებამ დიდი ხანია თავისი დრო მოჭამა, რომ ის კარგს ვერაფერს მოიტანდა, რადგანაც იმ წყობილების დროს შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ბოროტმოქმედებების ჩადენა, მტაცებლობა, საკუთარი მოვალეობისადმი ღალატი, ინტრიგები, ზრუნვა პირადი ინტერესებისათვის საერთოსახელმწიფოებრივის საზიანოდ...“

304. იქვე, ს.59508, ფ.1. კორნელი კეკელიძემ რექტორის თანამდებობაზე შეცვალა არქიმანდრიტი მელქისედეკი, რომელიც 1916წ. 31 აგვისტოს კრონშტადტის ეპისკოპოსად დაინიშნა (სცსსა, ფ.489, აღწ. 1, ს.64544, ფ.24).

ახლა თითოეული პიროვნება თავისუფალია ხელისუფალთა მხრიდან ძალმომრეობისგან; ყველა გახდა პასუხისმგებელი მარტოოდენ ღმერთისა და საკუთარი სინდისის, სასამართლოსა და კანონის წინაშე. სახელმწიფოს უფლებო წევრთა ბაგეთაგან ახლა ახსნილია ბეჭდები, რომლებითაც ისინი იყო დალუქული; ...დამსხვრეულია სულიერი მონობის ბორკილები. მოგვეცა შესაძლებლობა შეუერთდეთ ევროპის ხალხთა კულტურულ ოჯახს. ჭეშმარიტად დიდი ბედნიერებაა, უდიდესი მონაპოვარია ხალხის კეთილდღეობისთვის.

აი, ყველაფერ ამას გილოცავთ, ძმებო, და თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ ღმერთმა მაღირსა თქვენთან ერთად ამ სიხარულის გაზიარება“. ამბროსი ხელაიამ გაიმეორა 1905წ. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით იმავე წლის 23 ოქტომბერს უსტ-მედვედიცკაიას სასულიერო სასწავლებელში წარმოთქმული ზემოთმოტანილი ქადაგებიდან ის მოსაზრება, რომ ღმერთის მიერ ბოძებული თავისუფლების გამოცხადება – საქმის მხოლოდ ერთი ნახევარია, მეორე ნახევარი კი ამ თავისუფლების გამოყენებაა, ცხოვრებაში განხორციელება, რაც საზოგადოების თითოეული წევრის აქტიურობაზეა დამოკიდებული; თავისუფლების ბოროტად გამოყენება დაუშვებელია, მისი დანიშნულება და მიზანია ქვეყანაში მშვიდობისა და სიმშვიდის დამკვიდრება, წესრიგის დამყარება, ქვეყნის აღდგენა და არა ანარქია,³⁰⁵ – ბრძანა მამა ამბროსი.

ეტყობა, ეს იყო დევნილობაში წარმოთქმული უკანასკნელი ქადაგება; სიმბოლურია, რომ იგი მიეძღვნა იმ თავისუფლების გამოცხადებას, რომელიც უნდა გამხდარიყო და გახდა კიდევაც სანინდარი თავისუფლებისათვის მებრძოლი და ამის გამო დასჯილი არქ. ამბროსის დევნილობის დასასრულისა, საქართველოს ეკლესიური და სახელმწიფოებრივი თავისუფლების აღდგენისა. ამისთვის ქართული სამღვდლოება წინასწარ ემზადებოდა 1916 წლის 17 თებერვალს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა ყრილობამ (თავმჯდომარე – ბლალოჩინი მღვდელი კირილე ჯავახია) მოისმინა საკათედრო ტაძრის დეკანოზის კლიმენტი ჭანტურიას, ბლალოჩინი მღვდლის კირილე ჯავახიასა და ყარამან რამიშვილის განცხადებები, გაითვალისწინა საკმაოდ ვრცელი „ისტორიული ცნობა“ საქართველოს ეკლესიის შესახებ 325 წლიდან 1916 წლამდე და მიიღო გადაწყვეტილება ავტოკეფალიის აღსადგენად აუცილებელი ზომების გატარების შესახებ. 1916 წლის 14 მარტს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) ეგზარქოს პლატონს საეპარქიო ყრილობის გადაწყვეტილებები წარუდგინა. ამასთანავე, სასტიკად დაგმო უნმ. სინოდის გეგმა კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის დაფუძნების შესახებ, რომელიც გამორიცხავდა მომავალში ქართული ეკლესიის საკათალიკოსოს სახით აღდგენის შესაძლებლობას. ეპ. ლეონიდემ ეგზარქოსს სთხოვა ხელშეწყობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში, რათა იგი არანაირ შეხებაში არ ყოფილიყო კავკასიის მიტროპოლიასთან, ან სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობამდე საეგზარქოსო ამჟამინდელ მდგომარეობაში დარჩენილიყო.³⁰⁶

1916 წლის 15 დეკემბრით არის დათარიღებული საქართველოს ეპარქიის ყრილობის მოხსენება ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. 1917 წლის 30 იანვარს დეკანოზმა ი. ოქროპირიძემ და მღვდელმა ვასილ კარბელაშვილმა წერილობით სთხოვეს ეგზარქოს პლატონს, რომ ეს მოხსენება მაფისნაცვლისთვის წარედგინა.³⁰⁷ იმავე დღეს (1917წ. 30 იანვარს) იმერეთის სამღვდლოების წარმომადგენლებმა ბლალოჩინმა მღვდელმა სამსონ დევიძემ, მღვდლებმა კონსტანტინე ანთაძემ და დომენტი ჩხიკვაძემ მეფისნაცვლისთვის წარსადგენად ეგზარქოს პლატონს მიართვეს იმერეთის ეპარქიის

305. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.188.

306. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.59470, ფ.3-10.

307. სცსსა, ფ.13, აღწ.3, ს.1799, ფ.9-10.

57-ე ყრილობის (თავმჯდომარე დეკანოზი ი. მარგიანი) 1916 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.³⁰⁸ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამღვდლოების წარმომადგენლებს ეგზარქოსთან შეხვედრაზე თან ახლდნენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მარშლები თავადები კოტე აბხაზი და დავით ნიჟარაძე. როგორც გაზეთი „საქართველო“ იტყობინებოდა, „ექსარქოსმა განუცხადა დეპუტაციას, რომ მისი მიუფება მომხრეა საქართველოს ეკლესიას აღუდგინდეს მისნი ავტოკეფალური უფლებანი და, თავის მხრივ, ეცდება ქართველობის კანონიერ მოთხოვნილებას მხარი დაუჭიროს“.³⁰⁹ ეგზარქოსმა პლატონმა, რა თქმა უნდა, დაპირება არ შეასრულა.

ვინაიდან აფხაზეთის ეპარქიის ქართულ სამღვდლოებას, გასაგები მიზეზების გამო, არ ჰქონდა კრების მონაწილისა და ავტოკეფალიის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღების საშუალება, გაზეთ „საქართველო“ (1917წ. 30 იანვარი) რჩევით, მღვდელმა ბესარიონ კაპანაძემ იმავე გაზეთში განაცხადა, რომ აფხაზეთ-სამურზაყანოს სამღვდლოება „აღძრულ კითხვაში სულითა და გულით თავის მოძმეებთან არის“, სდგას პლატფორმაზე, რომელიც გამოხატულია სოხუმის საეპარქიო კრების 1906წ. 12 იანვრის დადგენილებაში. მასში კი ნათქვამი იყო:

„ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია აღამაღლოს სამღვდლოების სახელი და პატივისცემა აფხაზეთ-სამურზაყანოში და მისი მოქმედება ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს, ის არის, რომ აღდგენილ უნდა იქმნეს ავტოკეფალური ხასიათი საქართველოს ეკლესიისა: საქართველოს ეკლესია სრულიად უნდა გამოეყოს აქამდე არსებულ ცენტრალისტურ-ბიუროკრატიულ წესებს გამგეობისას, მხოლოდ ეს დაუბრუნებს სამღვდლოებას მრევლის იმ ნდობასა და პატივსა, ურომლოდაც მისი მოქმედება ყოვლად შეუძლებელია. როცა ხალხი დარწმუნდება, რომ სამღვდლოებამ ხელი აიღო პოლიტიკანობის როლზე, როცა ხალხი დაინახავს, რომ სამღვდლოება მთავრობის აგენტი-მოხელე კი არ არის, არამედ ნამდვილი მწყემსი და სწორი მქადაგებელი ქრისტეს უკვდავ მოძღვრებისა, მხოლოდ მაშინ შეუძლია ამ ხალხს ნდობით, პატივითა და სიყვარულით მოეკიდოს სამღვდლოების წარმომადგენელთ; ამიტომ ვითვალისწინებთ რა საქართველოს საეგზარქოსოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის (იგულისხმება აფხაზეთ-სამურზაყანოს სამხრეთ-აღმოსავლეთით – ჯ.გ.) სამღვდლოების მიერ აღძრულ კითხვათა სიმძიმესა და საჭიროებას, სამღვდლოება აფხაზეთ-სამურზაყანოსისა, რომელიც ძველთაგანვე შეადგენდა ივერიის ეკლესიის განუყრელ ნაწილს, ერთხმად ვუერთებთ ჩვენს ხმას ჩვენთა თანამოძმეთა დადგენილებასა და მოთხოვნას.“³¹⁰

1917 წლის 26 თებერვალს, როდესაც რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელური რეჟიმი უკვე არა დღეებს, არამედ საათებს ითვლიდა, გურია-სამეგრელოს ეპარქიის წარმომადგენლებმა ბლალორჩინმა დეკანოზმა ეგგენი შენგელაიამ, ბლალორჩინმა მღვდელმა კირილე ჯავახიამ და მღვდელმა ეპიფანე ჩხაიძემ მეფისნაცვალს მიართვეს მოხსენება ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით.³¹¹

ეპარქიებიდან შემოსული მოხსენებები მეფისნაცვალმა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს გადაუგზავნა მომავალ საეკლესიო ყრილობაზე განსახილველად,³¹² თუმცა ეს გზა ქართული სამღვდლოებისთვის მიუღებელი იყო, ამიტომ გადაწყვიტა ესარგებლა იმპერიაში ვითარების რადიკალური შეცვლით, დაწყებული დემოკრატიული გარდაქმნებით. 1917 წლის 12 (25) მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილმა ქართული სამღვდლოებისა და ერისკაცთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა

308. იქვე, ფ.6-8.

309. საქართველო, 1917, 31 იანვარი, №24.

310. იქვე.

311. სცსსა, ფ.13, აღნ.3, ს.1799, ფ.15-16.

312. იქვე, ფ.13.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა. კრებამ „ერთხმად და ერთსულად“ განაჩინა:

„ა) ამიერთგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა შინა ავტოკეფალური საეკლესიო მართველობაი, ხოლო ვიდრე კანონიერად აღირჩეოდეს კათალიკოსი საქართველოს ეკლესიისაი, მოსაყდრედ მისა დაინიშნოს ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი და მასთან, განსაგებლად ეკლესიისა, დაწესდეს დროებით მართველობაი საქართველოს ეკლესიისაი სასულიერო და საეროთა პირთაგან შემდგარი“. იმავე კრებამ გადაწყვიტა „განჩინებაი ესე ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს (სახ. სათათბიროს დრ. კომიტეტის თავმჯდომარეს – ჯ.გ.) უფალს როძიანკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავადს ლვოვს, სინოდის ობერ-პროკურორს უფალს ლვოვს და კავკასიის კომისარიატს ტფილისში.“³¹³

ამბროსი ხელაია მ. სტარაია რუსაში შეიტყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. მაშინათვე განცხადებით მიმართა ნოვგოროდის ეპისკოპოსს და კავკასიაში გამგზავრების მიზნით ერთთვიანი შვებულება ითხოვა. 1917 წ. 28 მარტს თხოვნა დაკმაყოფილდა, მეორე დღეს ამბროსიმ საშვებულებო ბარათიც მიიღო.³¹⁴ სამშობლოში გამგზავრებამდე მან მოამზადა მისალმების ვრცელი ტექსტი, რომელიც „ამბერი“-ს ხელმოწერით გაზეთმა „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ 1917 წლის 7(20) აპრილს (№57) გამოაქვეყნა სათაურით „სალამი ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიას“.³¹⁵ ამ ვრცელი მისალმების პირველი აბზაცის შემოკლებული ვარიანტი მამა ამბროსიმ თბილისშიც გამოგზავნა და იგი ვიტებსკიდან ეპისკოპოს კირიონის მიერ გამოგზავნილ მისალოც დეპეშასთან ერთად გაზეთ „საქართველოს“ 1917 წ. 28 მარტის ნომერში (№69) დაიბეჭდა. არქიმანდრიტი ამბროსი წერდა: „მრავალტანჯულ საქართველოს ვულოცავ სასიხარულო ამბავს მისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისას. გიხაროდენ შენც, მშობელო დედავ, საკათოლიკოსო ეკლესიავ, აღზდექ და მოავლინე შენი ცხოველმყოფლობა ურწმუნოების გზაზე დაყენებულ ხალხის საკეთილდღეოდ, აღმობრწყინდი ძველებურის სისპეტაკით და სინმინდით“. მისალმების ვრცელ რუსულ ვარიანტში კი ამბროსი საუბრობდა ქართული ეკლესიისა და მისი მღვდელმთავრების ისტორიულ დამსახურებებზე, ამჟამინდელ დაბეჩავებულ მდგომარეობაზე, რაც XIX საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებლობის დაკარგვამ და „მჩქეფარე თვითშემოქმედების პარალიზებამ“ გამოიწვია. „მაგრამ, მაღლობა ღმერთს, – ნათქვამია მისალმებაში, – შენ ცოცხლდები და წინანდელი ცხოველმოქმედებისკენ, სისპეტაკისა და სინმინდისკენ მიისწრაფი, გინდა შენს შვილებში გააღვიძო წინანდელი თავგამოდება სარწმუნოებისა და ეროვნული ინტერესების მიმართ. შენი წარსული-წარმატების გარანტიაა, ილხინე და იზეიმე, დედაო ეკლესია! მოგესალმებით შენი კანონიკური წყობის აღდგენასთან დაკავშირებით“. მამა ამბროსი გამოთქვამდა რწმენას, რომ რუსეთის ეკლესიაც მალე აღიდგენდა თავის კანონიკურ წყობას, გამოვიდოდა სავალალო მდგომარეობიდან, „რათა ორივე დამ მშვიდობაში და თანხმობაში იცხოვროს, რათა რუსეთის განახლებულმა ეკლესიამ დახმარების ხელი გაუწოდოს ალორძინების გზაზე შემდგარ ივერიის ეკლესიას. ეს იქნება ამ უკანსკელის მიმართ გასულ ასწლეულში ნებისთ თუ უნებლიეთ ჩადენილი ცოდვების მონანიება.“

1917 წლის აპრილის პირველ ნახევარში ამბროსი ხელაია საქართველოში ჩამოვიდა. 1906-1907 წლებში სოხუმის საეპარქიო სასწავლო საბჭოს ზედამხედველი მღვდელი ტროფიმე ჯოხთაბერიძე, რომელიც იმჟამად ბათუმში მსახურობდა, მაგრამ მჭიდრო კავშირები ჰქონდა აფხაზეთის სამღვდელოებასთან, 1917 წლის 29 მარტს თედო სახოკიას ატყობინებდა იმავე წლის 12 აპრილს სოხუმში დანიშნული სამღვდე-

313. საპატრიარქოს უწყებანი, 2011, 31 მარტი-6 აპრილი, №13, ჩანართი, გვ.2-3.

314. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს.166, ფ.17,18.

315. აქვე, გვ. ნან. II.

ლოებისა და ერისკაცთა წარმომადგენლების კრების შესახებ. ტროფიმე ჯოხთაბერიძე მღვდელ კონსტანტინე მაჯგანაძესთან ერთად ამზადებდა სოხუმში დანიშნულ კრებას, მონაწილეობდა კრებაზე მისაღები დადგენილების პროექტის შედგენაში. ამასთან დაკავშირებით იგი სთხოვდა თედო სახოკიას, როგორც სოხუმელს და ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრს, 9 აპრილისთვის სოხუმში ჩამოსვლას. „მანამ ამბროსიც მოვა და შეიძლება კირიონიც და რჩევას მოგვცემენ,“³¹⁶ – წერდა ტროფიმე ჯოხთაბერიძე.

არქიმანდრიტი ამბროსი სოხუმში არ ჩასულა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე აქტიურად ჩაერთო ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობის საქმიანობაში. იმ პერიოდში ეკლესიის დროებითი მმართველობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა პეტერბურგიდან სპეციალურად მოვლენილ პროფესორ ვლ. ბენეშევიჩთან, რომელიც უწმინდესი სინოდისა და რუსეთის დროებითი მთავრობის პოზიციას იცავდა. ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე ქართული სამღვდლოების გადანყვეტილების მიმართ თავისი დამოკიდებულება დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 27 მარტს გამოხატა. დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერდა მინისტრი – თავმჯდომარე თავადი ლვოვი, ნათქვამია, რომ მთავრობა არ ეხება 12 მარტს აღდგენილი ავტოკეფალიის კანონიკურ მხარეს, მაგრამ აუცილებლად მიაჩნია ამ აქტის სამართლებრივი შედეგების გარკვევა. დროებითი მთავრობის დადგენილებაში ნათქვამია:

„1) დროებითი მთავრობა აღიარებს ავტოკეფალური ქართული ეკლესიის ეროვნულ-ქართულ ხასიათს, რომელიც არ არის შემოფარგლული გარკვეული ტერიტორიით. ყველა მართლმადიდებელი რუსული და სხვა არაქართული სამრევლოები მართლმადიდებელი რუსული ეკლესიის გამგებლობაში რჩებიან.“³¹⁷ ქართული ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობის საბოლოო დადგენა, მთავრობის აზრით, დამფუძნებელი კრების პრეროგატივას წარმოადგენდა. პეტროგრადიდან ჩამოსული ვლ. ბენეშევიჩი ქართული ეკლესიის დროებით მმართველობასთან სწორედ ამ (სამართლებრივ) საკითხებზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს. რუსეთიდან დაბრუნებული არქიმანდრიტი ამბროსიც აქტიურად მონაწილეობდა ამ მოლაპარაკებებში. იმჟამად ჯერ კიდევ დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ თავის დღიურებში³¹⁸ ჩაწერა, რომ 1917 წლის 15 აპრილს „ბენეშევიჩთან ვიყავი; მიუტანე სოხუმის ეპარქიის სიეზდის (ყრილობის – ჯ.გ.) დეპუტატი, რომ ის (ეპარქია) შემოგვიერთდა (საქართველოს ეკლესიას) და ეპ. სერგი (რუსი შავრაზმელი) გამოქცეულია ქალაქში (თბილისში – ჯ.გ.). მიუტანე სენაკის სასულიერო სასწავლებლის ტელეგრაფი. იქ დამხვდნენ ეპ. ანტონი და არქ. ამბროსი (ის ჩამოსულა რუსეთიდან). ბაასობდნენ პლატონზე. კომისარი (ვლ. ბენეშევიჩი – ჯ.გ.) ამტკიცებდა, ის (პლატონი) თქვენი მოკეთეაო, ავტოკეფალიის მომხრეაო.“ ნიკიტა თალაკვაძის დღიურებიდან ვიგებთ, რომ 1917 წლის 18 აპრილს საღამოს საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ვლ. ბენეშევიჩთან მოსალაპარაკებლად ახალი კომისია გაგზავნა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ არქიმანდრიტი ამბროსი, მღვდელი ქრისტეფორე ციციქიშვილი (ესეც შემდეგ შემოიყვანეს ჩვენს სამმართველოში, წინეთ არ ერეოდა „ჩვენს საქმეებში“, – წერდა ნ. თალაკვაძე) და იპოლიტე ვართაგავა. კომისიას დაევალა, განეცხადებინა ვლ. ბენეშევიჩისთვის, რომ რუსეთის სინოდის სესიაზე პლატონის განწვევის შემდეგ სახლი, სადაც ეგზარქოსი ცხოვრობდა, დაუყოვნებლივ გადმოვიდეს ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობის ხელში. ეტყობა, ვლ. ბენეშევიჩმა ეს წინადადება არ მიიღო, უფრო მეტიც, თავად გადავიდა

316. ნმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.192-193.

317. სცსსა, ფ.489, აღნ. 1, ს.60353, ფ.31.

318. ნიკიტა თალაკვაძის მოგონებები და დღიურები შეიცავენ საინტერესო ფაქტობრივ მასალას ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე. ამავე დროს მისი შეფასებები უმეტეს შემთხვევაში უკიდურესად ტენდენტური და არაობიექტურია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ეხება კათალიკოს-პატრიარქების ლეონიდეს, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს და მათი თანამოაზრეების საქმიანობას.

პლატონის ბინაში. როგორც ნიკიტა თალაკვაძე წერდა, 1917წ. 21 აპრილს ვლ. ბენე-შევიჩთან შეტაკება მოსვლია ახალ კომისიასაც – ეპ. ანტონს (გიორგაძე), არქიმანდრიტ ამბროსის, მღვდელ ქრისტოფორე ციციქიშვილს და იპოლიტე ვართაგავას. იმავე დღეს ამბროსი და ქრისტეფორე ციციქიშვილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარესა და დროებითი მთავრობის კომისარს აკაკი ჩხენკელს შეხვდნენ. „დიდი თანაგრძობა აღუთქვამს ჩხენკელს, – წერდა ნ. თალაკვაძე. – გაჯავრდა, სოხუმის ეპისკოპოსი სერგი (შავრაზმელი რუსი) ისე გაუბრუნებიათ აქედან სოხუმში, რომ მე არა გამიგია რაო! ამას არ შევანევ ამდენ ინტრიგებსო. გადმოგვცა რამოდენიმე რჩევა, სხვათა შორის გვითხრა, ვლ. ბენეშევიჩთან დიპლომატიურად (!) აწარმოეთ საქმეო და კომისარიატს მოგვასხენეთ ყოველივეო.“ ამბროსიმ და ქრისტეფორემ 1917წ. 24 აპრილს ეკლესიის დროებით მმართველობას სიტყვიერად მოახსენეს ა. ჩხენკელთან მათი მოლაპარაკების შესახებ. წინააღმდეგობით – 1917 წლის 23 აპრილს – ეკლესიის დროებითი მმართველობის, წევრები ეპ. ლეონიდე, არქიმანდრიტი ამბროსი, დეკანოზი კორნელი კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე, ნიკიტა თალაკვაძე და ისტორიკოსი სერგი გორგაძე ეთნოგრაფიულ საზოგადოებას მიუწვევია თავის კრებაზე, სადაც ეკლესიის საკითხები განუხილავთ.³¹⁹

1917 წლის აპრილში, როდესაც არქიმანდრიტი ამბროსი თბილისში იმყოფებოდა, მოხდა მისი ბიოგრაფიისთვის საგულისხმო ფაქტი. საქართველოს ეკლესიის იმერეთის განყოფილების აღმასრულებელმა კომიტეტმა 17 აპრილს თავის ზემდგომ ორგანოს – საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას სთხოვა არქიმანდრიტი ამბროსის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანა და გელათის მონასტრის წინამძღვრად დანიშვნა. იმავდროულად მას უნდა დაეკავებინა იმერეთის ეპარქიის საქმეთა მმართველ-გამგებლის თანამდებობაც.³²⁰ არქიმანდრიტი ამბროსი თითქოს თანახმა ყოფილა მიეღო იმერეთის სამღვდლოების წინადადება, მაგრამ შემოთავაზებულ მაღალ თანამდებობებზე მისი დანიშვნა, მიზეზთა გამო, არ მომხდარა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ არქ. ამბროსი ჯერ კიდევ სტარაია რუსას ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი და ნოვგოროდის ეპარქიის მონასტრების ბლალოჩინი იყო; ამ თანამდებობებიდან განთავისუფლებას კი იქ ჩასვლა და გარკვეული დრო სჭირდებოდა. როგორც ჩანს, ეკლესიის დროებითმა მმართველობამ უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია 1917წ. ზაფხულში ამბროსის მონაწილეობა ქართული ეკლესიის დელეგაციის მოლაპარაკებებში რუსეთის მთავრობასთან და ეკლესიასთან. გარდა ამისა, არქიმანდრიტი ამბროსი კათალიკოსობის ერთ-ერთ კანდიდატადაც განიხილებოდა. ამ და სხვა მიზეზთა (მაგალითად, ქართული ეკლესიის შესახებ წერილების სერიის მომზადება და გამოქვეყნება იმპერიის სატახტო გაზეთში, და. ა.შ.) გამო მამა ამბროსი კვლავ რუსეთში დაბრუნდა. 1917 წლის 24 აპრილის შემდეგ ნიკიტა თალაკვაძის დღიურებში იგი მოხსენიებული არ არის. როგორც ჩანს, თვის ბოლოსთვის შვებულება დაუმთავრდა და სტარაია რუსაში დაბრუნდა, მაგრამ არა სამსახურის გასაგრძელებლად.

რუსეთში დაბრუნებისთანავე არქიმანდრიტი ამბროსი შეუდგა სამეცნიერო-პუბლიცისტური ნარკვევების სერიის მომზადებას საერთო სათაურით „წერილები ქართული ეკლესიის შესახებ“. 1917 წლის 14 მაისიდან 20 ივლისამდე ამ სერიის ფარგლებში მან მოამზადა 8 სტატია, რომელიც „ამბერი“-ს ხელმოწერით გაზეთში „პეტროგრადსკი ვედომოსტი“ (1917 წ. მაისი-სექტემბერი) გამოაქვეყნა.³²¹ ისინი შეტანილია წინამდებარე მონოგრაფიაში.³²²

319. გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. ნ. თალაკვაძის მემუარები. საინვენტარო №27028. მემუარებში შემავალი დღიურის ფურცლები დანომრილი არ არის.

320. გიორგი მჭედლიძე, მ.კეზევაძე. ქუთაის-გაენათის ეპარქია, გვ.415, 417.

321. Петроградские Ведомости, 1917, 19 мая (1 июня), №76; 28 мая (10 июня), №79; 4 (17) июня, №82; 18 июня (1 июля), №88; 21 июня (4 июля), №89; 12 (25) июля, №96; 12 (25) сентября, №113.

322. იხ. აქვე, ნაწ. II.

პირველი პუბლიკაცია სერიიდან „წერილები საქართველოს ეკლესიის შესახებ“ დაიბეჭდა გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ 1917 წლის 19 მაისს//1 ივნისს (№76). რუსულ საზოგადოებას და მთელს იმპერიას ავტორმა კიდევ ერთხელ ამცნო იმავე წლის 12 მარტს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. ძველი რეჟიმის მომხრეები და პოლიტიკანები ცდილობენ, – წერდა არქიმანდრიტი ამბროსი, – შეუქმნან გადაულახავი დაბრკოლებები ქართულ-რუსულ ეკლესიებს შორის მშვიდობისა და სიყვარულის აღდგენას, მათი სურვილია მართვის ძველი წესების აღდგენა, რადგანაც „თავისუფლებას ისინი მხოლოდ თავიანთთვის აღიარებენ.“ სინოდის დაქვემდებარებაში დაბრუნების გზით შეუძლებელია ორ ეკლესიას შორის მშვიდობისა და სიყვარულის აღდგენა, – ამტკიცებდა ავტორი; ქართული ეკლესია არ დაემორჩილება სინოდს თუნდაც იმიტომ, რომ მას სურს საკუთარ ენაზე ადიდოს უფალი, რომ მრევლს და მწყემსმთავრებს ერთმანეთის ესმოდეო, რასაც ქართველობა მოკლებული იყო ერთი საუკუნის განმავლობაში. მამა ამბროსი იმედს გამოსთქვამდა, რომ რუსული ეკლესია დახმარების ხელს გაუნვდიდა ქართულ ეკლესიას, მაგრამ ისეთი ადამიანებიც მოიძებნებოდნენ, რომლებიც დაინყებდნენ მტკიცებას, თითქოს ქართულ ეკლესიას უნმ. სინოდის მეურვეობის გარეშე არსებობა არ შეუძლია და ა.შ. ამიტომ იმავე სერიის მეორე სტატიამში, რომელიც გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ 1917 წლის 28 მაისს//10 ივნისს (№79) არის დაბეჭდილი, ამბროსი ხელაია ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართული ეკლესიის ამჟამინდელი ტრაგიკული მდგომარეობა არის რუსული სინოდალურ-საეგზარქოსო მმართველობის პირდაპირი შედეგი. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობდა, რომ ქართული ეკლესიის გადარჩენის ერთადერთ გზას და საშუალებას მისი ავტოკეფალიის აღდგენა წარმოადგენდა.

იმათთვის კი, ვინც რუსეთში ფიქრობდა, რომ ქართულ ეკლესიაში არსებული პრობლემები შორეული წარსულის გადმონაშთია, ამბროსი ხელაიამ 1917 წლის 4 (17) ივნისს „პეტროგრადსკიე ვედომოსტში“ (№82) გამოაქვეყნა მესამე სტატია, რომლის ქვესათაურია „ქართული ეკლესიის ეგზარქოსობამდელი პერიოდი“. ეგზარქოსობამდელ პერიოდს ეხება მომდევნო სტატიებიც. მეოთხე სტატიაში („პეტროგრადსკიე ვედომოსტი“, 1917, 18 ივნისი//1 ივლისი, №88) გაშუქებულია ქართველი ხალხის ბრძოლა ქრისტიანობის დასაცავად, მაჰმადიანი დამპყრობლების წინააღმდეგ. იმავე სტატიაში არქიმანდრიტი ამბროსი სვამდა კითხვას: „ჰქონდა თუ არა ქართველი ხალხის ასეთ ბოხოქარ-საბრძოლო ცხოვრებას რაიმე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა? მოახერხეს თუ არა ქართველებმა ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში რამე ყურადსაღების შეტანა? თავიანთი ისტორიული ცხოვრებით, მათ დაიმსახურეს თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, ის, რომ იმათ წარსულ ცხოვრებას და ამჟამინდელ მდგომარეობას მოეკიდონ ერთგვარი პატივისცემითა და ყურადღებით?“ დასმულ კითხვებზე პასუხი გაცემულია V-VIII სტატიებში.

მეხუთე სტატიაში („პეტროგრადსკიე ვედომოსტი“, 1917, 21 ივნისი//4 ივლისი, №89) ავტორი საუბრობდა ქართველი ხალხის ისტორიულ დამსახურებაზე, რომელიც მართლმადიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში გამოიხატება. ამბროსი ხელაიას მიაჩნდა, რომ ქართველობამ, რომელიც წამებულთა ქვეყანაა, საუკუნეების მანძილზე გაღებული სისხლით შეიტანა თავისი წვლილი თანამედროვე ევროპული კულტურის საგანძურში, საქართველო სისხლისაგან იცლებოდა ქრისტიანული ცივილიზაციის ინტერესებისათვის.

VI და VII სტატიებში, რომლებიც 1917 წლის 12 (25) ივლისს „პეტროგრადსკიე ვედომოსტის“ ერთ ნომერშია (№96) გამოქვეყნებული, ავტორი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ პოლიტიკური ძლიერების ჟამს, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში საქართველო არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ აღმოსავლეთისა და ბიზანტიის დაჩაგრულ ქრისტიანებს იცავდა, ეწეო-

და მისიონერულ საქმიანობას კავკასიაში, ირანში, ბულგარეთში და სხვაგან. მსოფლიო ეკლესიის ინტერესების დაცვაში საქართველოს დამსახურება არც თუ ისეთი მცირეა, – ნერდა ამბროსი ხელაია, – რომ ანგარიში არ გაეწიოს მის წარსულს, რომ შეურაცხყოფა მიაყენონ ქართველთა რელიგიურ და ეროვნულ გრძნობებს, რომ არ დავეხმაროთ მათ საკუთარი მრავალტანჯული ეკლესიის კანონიკური წყობის აღდგენაში.

მერვე დასკვნითი სატაგია, რომლის გამოქვეყნება გაზეთმა დაავიანა და მხოლოდ 1917 წლის 12 (25) სექტემბერს (№113) დაიბეჭდა, ეხება უკვე საქართველოს მიერ ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში არა მხოლოდ სისხლით, არამედ „სიბრძნის მელნით“ შეტანილ წვლილს. ამ სფეროში ქართველთა დამსახურების წარმოსაჩენად ამბროსი ხელაია მოკლედ მიმოიხილავდა მდიდარ ქართულ სასულიერო და საერო ლიტერატურას, საუბრობდა ძველქართული წერილობითი ძეგლების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე.

„წერილები ქართული ეკლესიის შესახებ“ გაჯერებულია ისტორიული წყაროებით, რომელთა დიდი ნაწილი ამბროსი ხელაიას გამოყენებული აქვს ჯერ კიდევ ყაზანის სასულიერო აკადემიაში შესრულებულ საკანდიდატო ნაშრომში „ქრისტიანობის ბრძოლა მაჰმადიანობასთან საქართველოში“. მათში გამოყენებულია აგრეთვე იმ დროისთვის მკვლევართათვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ იყო შექმნილი. ეს ყოველივე მეტ დამაჯერებლობას ანიჭებდა ამბროსი ხელაიას ამა თუ იმ დებულებას. სტატიების საერთო დედააზრი და მიზანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერებისა და აუცილებლობის დასაბუთებაში, მთელი იმპერიის მასშტაბით ამ პრობლემის გახმაურებაში, ფართო არაქართველ, პირველ რიგში, რუს მკითხველამდე, საეკლესიო, სამეცნიერო, პოლიტიკურ და სახელისუფლებო წრეებამდე მის მიტანაში, ამ წრეებში თანამოაზრეთა და მხარდამჭერთა მოძიების მცდელობაში მდგომარეობდა. ავტორმა დასახულ მიზნებს დიდწილად მიაღწია.

ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ გადასახლებაში ყოფნის პერიოდში, განსაკუთრებით 1912-1917 წლებში იმპერიის მთავარი გაზეთის ფურცლებზე ქართული ეკლესიის პრობლემების, ცალკე სოხუმის ეპარქიაში არსებული ვითარების მაღალ მეცნიერულ და პუბლიცისტურ დონეზე წარმოჩენა ამბროსი ხელაიას ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა ერისა და მისი ეკლესიის წინაშე.

რუსეთში დაბრუნებული მამა ამბროსი იმდენად იყო დაკავებული და გადატვირთული ქართული ეკლესიის პრობლემებზე მუშაობით, რომ გადაწყვიტა თანდათანობით განთავისუფლებულიყო ნოვგოროდის ეპარქიაში სამსახურისგან. პირველ რიგში, მან ითხოვა ეპარქიის მონასტრების ბლალოჩინის თანამდებობიდან განთავისუფლება. 1917 წლის 26 ივნისს ნოვგოროდის სასულიერო კონსისტორიამ ამბროსის აცნობა, რომ ეპარქიის ხელმძღვანელობის 13 (26) ივნისის განჩინებით ის განთავისუფლებულია ბლალოჩინის თანამდებობიდან, ორი დღის შემდეგ კონსისტორიამ მას ასეთი ბრძანება გაუგზავნა: „საეპარქიო მთავრობის ა.წ. 12-13 ივნისის განჩინებით თქვენ ნება მოგეცათ ისარგებლოთ მოთხოვნილი შვებულებით“.³²³ ამჯერად შვებულება არქიმანდრიტ ამბროსის პეტროგრადში ქართული ეკლესიის დელეგაციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სჭირდებოდა. ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე 1917წ. 9 ივნისიდან 2 აგვისტომდე ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის საკითხებზე ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ რუსეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლების უმაღლესი დონის ხელმძღვანელებთან. ქართული დელეგაცია, რომელსაც მამა ამბროსი ოდნავ მოგვიანებით შეუერთდა, შეხვდა და ესაუბრა უნ-

323 საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.166, ფ.14,19.

მინდესი სინოდის ობერ-პროკურორს ვ.ნ.ლვოვს, მის ამხანაგ ა.ვ.კარტაშოვს, რომელმაც მალე დროებით მთავრობაში სარწმუნოების მინისტრის პოსტი დაიკავა; დროებითი მთავრობის ახალ თავმჯდომარეს ა.კერენსკის, მინისტრ ი.ნერეთელს, პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარეს კ.ჩხეიძეს, უწმინდესი სინოდის თავმჯდომარეს მთავარეპისკოპოს სერგის, სინოდის წევრებს – მიხეილ სამარელს, ანდრია (უხტომსკი) უფელს (სოხუმის ყოფილი ეპისკოპოსი) და სხვებს. ბოლო შეხვედრა ქართულმა დელეგაციამ 1917წ. 2 აგვისტოს უწმინდეს სინოდში გამართა. მოლაპარაკებებს პეტროგრადში, როგორც ამბროსი ხელაია მოგვიანებით აღნიშნავდა, ის შედეგები მოჰყვა, რომ დროებითმა მთავრობამ აღიარა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია (აქვე, დოკ. №76), თუმცა – რუსული მხარე, განსაკუთრებით უწმინდესი სინოდი, მხოლოდ ეროვნულ (და არა ტერიტორიულ) ავტოკეფალიაზე იყო თანახმა.³²⁴ ქართული ეკლესიის დელეგაციის აქტიური მუშაობის შედეგად დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 25 ივლისს მიიღო დადგენილება სახელწოდებით: „რუსეთის სახელმწიფოში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის დროებითი წესები“. იმავე მთავრობის 1917წ. 27 მარტის დადგენილებასთან შედარებით იგი მაინც ტერიტორიული ავტოკეფალიისაკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. თუ 27 მარტის სამთავრობო დადგენილების თანახმად, ყოფილი საეგზარქოსოს არაქართული სამრევლოები უპირობოდ უწმინდესი სინოდის გამგებლობაში რჩებოდნენ, 25 ივლისის დადგენილებაში ჩაინერგა: „აფხაზებსა და ამიერკავკასიის მრევლებს შეუძლიათ, მათი სურვილისამებრ შევიდნენ ქართული ეკლესიის შემადგენლობაში.“³²⁵ ასეთი დადგენილება კი ქართულ ეკლესიას თავის კანონიკურ ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენის საშუალებას აძლევდა.

უწმ. სინოდი მთავრობასთან შეთანხმებით შეუდგა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციას, რუსული ეკლესიის მოწყობას ამიერკავკასიაში. ქართული დელეგაცია ჯერ კიდევ პეტერბურგში იმყოფებოდა, როდესაც 1917წ. 11 ივლისს უწმინდესმა სინოდმა „ამიერკავკასიაში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობის დროებითი წესები“ დაამტკიცა. შეიქმნა რუსეთის ეკლესიის კავკასიის საეგზარქოსო, რომელშიც ერთიანდებოდა რუსული მოსახლეობა და, სურვილის მიხედვით, სხვა არაქართველებიც. ეგზარქოსი, რომლის კათედრა თბილისში იმყოფებოდა, იწოდებოდა თბილისის მიტროპოლიტად და კავკასიის ეგზარქოსად.³²⁶ 1917 წლის 6 ოქტომბერს დროებითმა მთავრობამ ფაქტობრივად დააკანონა უწმინდესი სინოდის 11 ივლისის გადაწყვეტილების ძირითადი დებულებები;³²⁷ მანვე საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას კავკასიის სინოდალური კანტორა უწოდა. 1917წ. 15 ნოემბერს უწმ. სინოდის ბრძანებით, კავკასიის ეგზარქოსის საკათედრო ტაძრად დამტკიცდა თბილისის სამხედრო ტაძარი; თბილისის სასულიერო სემინარიის ახალ შენობას და თბილისის სასულიერო სასწავლებლის შენობას იტოვებდა კავკასიის საეგზარქოსო, სხვა სასულიერო სასწავლო დაწესებულებები ქართული ეკლესიის გამგებლობაში გადადიოდა; მონასტრებისა და სამრევლოების გაყოფა ორ ეკლესიას შორის დაევალა შემთანხმებლურ კომისიას პროფესორ ვლ. ბენეშევიჩის ხელმძღვანელობით; ეგზარქოსის ტიტულს ემატებოდა „ბაქოს მიტროპოლიტი“; ახალი ათონის მონასტრის წინამძღვართან შეთანხმებით, კავკასიის ეგზარქოსი უნდა გამხადარიყო მონასტრის მღვდელ-არქიმანდრიტი და მიეღო იქიდან ყოველწლიური ანაზღაურება; კავკასიის სინოდალური კანტორის ქართველ წევრებს უფლებამოსილება შეუნყდათ.³²⁸

ამრიგად, უწმინდესი სინოდი საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით, ეროვნული ნიშნის მიხედვით (ფილეთიზმი) საქართველოში აყალიბებდა რუსული ეკლესიის

324. კ. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ.186-205.

325. მწერლობა ქართული, ტ.10, ნ. II, გვ. 426-427.

326. სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს.60353, ფ.7.

327. იქვე, ფ.2.

328. იქვე, ფ.8-9.

ადგილობრივ სტრუქტურებს. უწმინდესი სინოდისა და რუსეთის დროებითი მთავრობის პოლიტიკა ყოფილ საეგზარქოსოში ქართული და რუსული ეკლესიების მოწყობის საკითხში შეუვალე იყო, ამიტომ პეტერბურგში მყოფი ქართული ეკლესიის დელეგაცია 1917 წლის აგვისტოში თბილისში დაბრუნდა. დელეგაციასთან ერთად 9 წლიანი ექსორიის შემდეგ, ამჯერად უკვე საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნდა არქიმანდრიტი ამბროსიც.

8. ჭყონდიდისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი (1917წ. საქთმეპარი-1921 წლის საქთმეპარი)

ქართული სამღვდლოება აქტიურად ემზადებოდა პირველი ყრილობისთვის. მოსამზადებელ სამუშაოებს წინასაყრილობო საკრებულო წარმართავდა. 1917წ. 14 აგვისტოს მან მოისმინა ეპისკოპოს ანტონის, არქიმანდრიტ ამბროსისა და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ინფორმაციები პეტერბურგში გამართული მოლაპარაკებების შესახებ და გადაწყვიტა საკუთარი სინდისისა და ქართული ეკლესიის ინტერესების შესაბამისად ემოქმედა.³²⁹ სწორედ ამ ინტერესების შესაბამისად მომზადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის I ყრილობა, რომელიც 1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართა. ყრილობაზე არქიმანდრიტმა ამბროსიმ წაიკითხა მის სახელზე სამურზაყანოელი თავადის მიხეილ ანჩაბაძის მიერ გამოგზავნილი მისალოცი დეპეშა. ამ ფაქტის შესახებ გაზეთი „მეგობარი“ (1917, 16 სექტემბერი) იუწყებოდა: „შემდეგ არქიმანდრიტი ამბროსი მინდობილობით ჰკითხულობს მისალოც დეპეშას სამურზაყანოდან გამოგზავნილ თავად მიხ. ანჩაბაძისაგან. აფხაზეთის საზოგადოება ძმური საღმრთო მიესალმება მოძმე ერს, ულოცავს დღესასწაულს და აუწყებს აფხაზეთის საქართველოსთან შეერთებას. დეპეშაში მოკლედ აღწუსებულია ისტორიული დატები (თარიღები – ჯ.გ.), რომელნიც აფხაზეთის საქართველოსთან ერთობლივ ცხოვრებას მოწმობენ. სწორედ ის ფაქტი, რომ ბაგრატ III, მეფე აფხაზთა და ქართველთა, დასაფლავებულია ბედიის მონასტერში, მაჩვენებელია იმ სულიერი კავშირისა, რომელიც არსებობს აფხაზეთსა და საქართველოს შორის. შემდეგ დეპეშა იგონებს ვოსტორგოვის ხანას, ალფიოროვ-გოლუბცოვის მოღვაწეობას და დასძენს, რომ კრება არ წინააღმდეგს აფხაზეთის სურვილს საქართველოსთან ეკლესიურად შეერთებაზედო.

დეპეშის შემდეგ არქიმანდრიტი ამბროსი არკვევს ამ ფაქტის ისტორიულ მნიშვნელობას და კითხულობს ისტორიული ხასიათის რეფერატს. პროკოფი კესარიელის, ნეანდერის, პაისი და დოსითეოზ პატრიარქების სიტყვებით ამტკიცებს, რამდენად ძლიერი ყოფილა ძველად სარწმუნოება ლაზისტანში და ეხლანდელ აფხაზეთში.“³³⁰

პირველმა საეკლესიო ყრილობამ საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა. მან დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, რომელიც 13 ეპარქიის შექმნას ითვალისწინებდა,³³¹ 17 სექტემბერს ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველ კათოლიკოს-პატრიარქად ყრილობამ წმინდა მღვდელმონაქმე კირიონ II (საძაგლიშვილი) აირჩია. ვინაიდან ამ თანამდებობაზე კენჭს იყრიდა ორი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე-ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე, ამბროსი ხელაიამ თავი შეიკავა კენჭისყრაში მონაწილეობისგან (იხ. აქვე, დოკ. №81).

1917 წლის 1 (14) ოქტომბერს – მცხეთობა – სვეტიცხოვლობის დღეს – მცხ-329. სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927წწ.). თბ., 2009, გვ.47.

330. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.194.

331. საქართველო, 1917, 10(23), 13 (26) ენკენისთვე; სვეტიცხოველი, 1917, №4, გვ.7.

ეთის საკათედრო ტაძარში მოხდა ახლადარჩეული კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II ინტრონიზაცია. მეორე დღეს – 2 (15) ოქტომბერს დიდმონამე არგვეთის მთავართა დავითისა და კონსტანტინეს (მხეიძეთა) ხსენების დღეს არქიმანდრიტი ამბროსი უწმინდესმა და უნეტარესმა კირიონ II ჭყონდიდელ ეპისკოპოსად აკურთხა³³² და მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. ასეთი პატივი ამბროსი ხელაიას ერგო ქართული ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებებისთვის და იმის გამოც, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქციის მთელს აფხაზეთზე გავრცელებამდე I საეკლესიო ყრილობაზე დაფუძნებული ცხუმ-ბედიის ეპარქია დროებით ჭყონდიდის ეპარქიაზე იყო მიწერილი, ანუ მიტროპოლიტი ამბროსი ფაქტობრივად ორ ეპარქიას ხელმძღვანელობდა; სწორედ ის წარმართავდა ეკლესიურად აფხაზეთის შემოერთების რთულ და ხანგრძლივ (ორწლიან) პროცესს. ვითარებას ამ შემთხვევაში ართულებდა ორი მნიშვნელოვანი გარემოება. ჯერ ერთი, არ არსებობდა ქართული სახელმწიფო, რომლის მხარდაჭერის გარეშე ეკლესიას არ შეეძლო თავის კანონიკურ ტერიტორიაზე იურისდიქციის გავრცელება. მეორეც, სოხუმში კვლავაც იჯდა რუსული სინოდისა და დროებითი მთავრობის უკანონო გადაწყვეტილებებით შექმნილი კავკასიის საეგზარქოსოს დაქვემდებარებული რუსი ეპისკოპოსი სერგი (პეტროვი), რომლის გამგებლობაში 1917წ. ბოლოსთვის 30 აფხაზური, 11 ბერძნული და 6 რუსული სამრევლო რჩებოდა.³³³

1917 წლის 2 ნოემბერს სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ მიიღო დადგენილება ცხუმის ისტორიული კათედრის აღდგენის შესახებ და მიტროპოლიტი ამბროსის შემდეგი დავალება მისცა: „ვინაიდან დღეს აფხაზეთი არის მიწერილი ჭყონდიდის ეპარქიაზე, საკათალიკოზო საბჭო მოგმართავთ თქვენ მაღალყოვლადუსამღვდელოესობას და გთხოვთ მიმოვლოთ ეს მხარე (აფხაზეთის) და გააცნოთ ადგილობრივნი მკვიდრნი თუ რაოდენად მოუცილებელი საჭიროება არის როგორც ქართველთათვის, ისე კიდევ უფრო აფხაზთათვის განახლება იმ სარწმუნოებრივ-საეკლესიო კავშირისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აერთებდა ამ ღვიძლ ძმებს.

შედეგი თქვენის მოგზაურობებისა და მეცადინეობისა კეთილი ინებეთ აცნობოთ საკათალიკოზო საბჭოს.“³³⁴

მიტროპოლიტმა ამბროსიმ საკათალიკოსო საბჭოს დადგენილება ნაწილობრივ მაინც შეასრულა, რისი შედეგიც უნდა იყოს სამურზაყანოს ეკლესიებისა და ერისკაცთა წარმომადგენლების გაერთიანებული კრების (თავმჯდომარე – მღვდელი სამსონ სვანიძე) გადაწყვეტილება. „ვინაიდან სამურზაყანო შესულია საქართველოს საკათალიკოსოში“ (1917წ. ივნისის დასაწყისიდან), ნათქვამია მასში, – კრებამ დაადგინა: „1) სანამდე გამოირკვეოდეს სამურზაყანო – აფხაზთა ურთიერთშორის დამოკიდებულება ეკლესიური ცხოვრების მხრივ, დროებით მიეკედლოს ჭყონდიდელის სამიტროპოლიტოს და დღეის რიცხვიდან მოსპოს ყოველივე დამოკიდებულება სოხუმის ეპისკოპოზი სერგი და მისი კანცელარიასთან.“³³⁵ კრების დადგენილებით, სამურზაყანო დაიყო სამ საეკლესიო ოლქად, დამტკიცდა საოლქო საბჭოების შემადგენლობა. სამურზაყანოს სამღვდელოების გადაწყვეტილების შესახებ კრებამ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს და ჭყონდიდელ მიტროპოლიტს, ცხუმ-ბედიის ეპარქიის მმართველს ამბროსის შეატყობინა. 1918 წლის 16 იანვარს გურია-სამეგრელოს (ჭყონდიდის) საეპარქიო საბჭომ დაადგინა, ეთხოვოს საკათალიკოსო საბჭოს, წინადადებით მიმართოს სოხუმის ეპისკოპოს სერგის, რათა მის დაქვემდებარებაში ჯერ კიდევ მყოფ ქართულ მრევლს გამოუცხადოს საქართველოს ეკლესიასთან გაერთიანებისა და დროებით ჭყონდიდის ეპარქიის გამგებლობაში გადასვლის შესახებ. 1918წ. 21 თებერვალს საკათალიკოსო

332. გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახ. მუზეუმი. ნ. თალაკვაძის მემუარები, საინვენტ. №27028.

333. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.783.

334. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.195-197.

335. იქვე, გვ.197-199.

საბჭომ მართლაც მიმართა ასეთი წინადადებით სოხუმის ეპისკოპოსს და სთხოვა მას, გასცეს განკარგულება, რათა ქართულმა სამრევლოებმა „ამიერიდან ყველა საკითხზე ურთიერთობა იქონიონ თავიანთ უშუალო მწყემსმთავართან, ჭყონდიდელ მიტროპოლიტთან მაღალყოვლადუსამღვდელოეს ამბროსისთან“.³³⁶

ქართული ეკლესიის გამგებლობაში აფხაზეთ-სამურზაყანოს 50 სამრევლო შემოვიდა. სოხუმის ეპისკოპოსი ენინაალმდეგებოდა ილორისა და ბედიის სამრევლოების ქართული მხარისთვის გადაცემას, თუმცა ეს ქართული სამრევლოები ნებაყოფლობით, ჭყონდიდის ეპარქიის დაქვემდებარებაში უკვე იმყოფებოდნენ. ამასთან დაკავშირებით მიტროპოლიტმა ამბროსიმ „ამ-ბერი“-ს ხელმოწერით 1918 წლის 31 იანვარს გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდა წერილი „ილორის ბედი“. ისტორიული წყაროების მოშველიებით, ის ამტკიცებდა, რომ ილორი ისტორიულ-გეოგრაფიულად, ადმინისტრაციულად, ეკლესიურად და ეთნოგრაფიულად მუდამ იყო სამეგრელოს ნაწილი, ამიტომაც შემოვიდა იგი ქართული ეკლესიის დაქვემდებარებაში.

სოხუმის რუსი ეპისკოპოსი, როგორც ეს კარგად ჩანს მისი კანცელარიიდან საკათოლიკოსო საბჭოში 1918 წ. 28 და 30 მარტს გაგზავნილი წერილებიდან, ყოველნაირად აჭიანურებდა სხვა ქართული სამრევლოების გადმოცემას ვითომ რუსეთის პატრიარქის შესაბამისი ინსტრუქციის უქონლობის საბაბით და სხვა მოგონილი მიზეზებით.³³⁷ განსაკუთრებით მწვავედ იდგა სოხუმის საკათედრო ტაძრის საკითხი. ამიერკავკასიის კომისარიატის 1918წ. 9 თებერვლის გადანყვეტილებით, აღნიშნული ტაძრის დაფინანსება მიტროპოლიტი ამბროსის ხელში გადავიდა, მაგრამ ამ გადანყვეტილების შესრულება, შესაბამისად, ფინანსური ბერკეტების უფრო ეფექტურად გამოყენება მაშინ ვერ ხერხდებოდა. ვითარებას ის გარემოება ამძიმებდა, რომ მიტროპოლიტი ამბროსი სოხუმში ვერ ჩადიოდა იქ არსებული საომარი და არასტაბილური მდგომარეობის გამო. 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) სახელმწიფო გადატრიალების გზით რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკები პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობენ საქართველოს ეთნიკურად ჭრელ რეგიონებში, მათ შორის აფხაზეთში. 1918წ. თებერვალსა და აპრილ-მაისში ქართულ სამხედრო ფორმირებებს აფხაზეთში ბოლშევიკური აგრესიის მოგერიება მოუხდათ. ქართული სახელმწიფო იმ პერიოდში ჯერ არ არსებობდა. მისი ისტორიული ტერიტორია კი აფხაზეთის ჩათვლით ამიერკავკასიის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, რომელსაც ჯერ 1917წ. 11 ნოემბერს შექმნილი მთავრობა – კომისარიატი (თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი), შემდეგ კი ამიერკავკასიის სეიმი (1918წ. 10 თებერვალი) და მის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობა (თავმჯდომარე – ა. ჩხენკელი) განაგებდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მთავრობას სათავეში ნოე ჟორდანიას ჩაუდგა. ქართული ეკლესია, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II მიესალმნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ უდიდეს ისტორიულ მოვლენას მიესალმა მიტროპოლიტი ამბროსიც. თავის ქადაგებაში ამალღების ბრწყინვალე დღესასწაულზე ეს ორი მოვლენა მან ერთმანეთთან დააკავშირა და განაცხადა: „ამ საღმრთო და სარწმუნოებრივ სიხარულს ჩვენ დავურთოთ მამულისშვილური სიხარულიც. როდესაც ვგრძნობთ უსამზღვრო სიხარულს ჩვენის მაცხოვრის იესო ქრისტეს აღდგომის დღეებში, როდესაც შევხარით ჩვენ სიმათლის და ჭეშმარიტების აღდგენას, მის გამარჯვებას უსამართლობა, სიბოროტე, ძალმომრეობაზე, წმ. ეკლესია გვავალებს გამოვხატოთ ეს ამ სიტყვებით: „ესე არს დღეი, რომელი ჰქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა“.

ამ სიტყვებით შეგვიძლია გამოვხატოთ სიხარული ჩვენი ერის მკვდრეთით აღ-

336. იქვე, გვ.200.

337. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.786-788.

დგომის თაობაზე. ამ სიტყვების თქმით და ლაღადებით განვიხაროთ, ვიზეიმოთ და შევაქოთ დღე ჩვენის მონობისაგან განთავისუფლებისა, უსამართლობა, სიბოროტე და ძალმომრეობის დაძლევისა, სამართლიანობის აღდგენისა. ჭეშმარიტად, 26 მაისი არის დღე დიდის სიხარულისა ჩვენთვის; ქართველ ერის ისტორიაში ის აღინიშნება ოქროს ასოებით. ჭეშმარიტად ჩვენთვის „ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან“, განვიხაროთ და ვიშვებდეთ ამას შინა, მაგრამ მარტო სიხარული არ კმარა.

ეს ჩვენი თავისუფლების დღე ჰქმნა უფალმან, მაშასადამე, ღმერთს უნდა შევსწიროთ მადლობა, ვადიდოთ იგი. მოპოვებული თავისუფლება ჩვენ უნდა განვამტკიცოთ. დიდი სიმხნეა საჭირო სამშობლოს დაცვისათვის, რადგანაც მის გორიზონტზე იკრიბებიან შავი ღრუბლები. გარეშენი მტრულად გვიყურებენ, მზათ არიან ნაგვართვან ის, რაც ძალითა და შეწევნითა ღვთისათა მოვიპოვეთ. ბევრი შრომა, ტანჯვა, მწუხარება და თავგანწირვა მოგველის, ვარდი უეკლოდ ვის უნახავს და მოუკრეფია. ბუნების კანონია ის, რაც დიდებულმა მგოსანმა სთქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს იქმნების რაცა ძვირადო“.³³⁸ წინ გვიდევს ეკლიანი გზა გასავლელად, რომ დავიცვათ ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და ვარონინოთ სარწმუნოების, კულტურის გზაზე მაგარის ნაბიჯით“.³³⁹

ქართული სახელმწიფო ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდებოდა თავის ისტორიულ საზღვრებში, რისთვისაც „ბევრი შრომა, ტანჯვა, მწუხარება და თავგანწირვა“ გახდა საჭირო. მიტროპოლიტი ამბროსისთვის, როგორც აფხაზეთის მკვიდრისთვის და იმავდროულად იქაური მღვდელმთავრისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ 1918წ. 11 ივნისს საქართველოს მთავრობამ და აფხაზეთის სახალხო საბჭომ გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი ფაქტობრივად საქართველოს ავტონომიური ერთეული გახდა, თუმცა ეს საკითხი საბოლოოდ დემოკრატიული წესით არჩეულ აფხაზეთის წარმომადგენლობით ორგანოს უნდა გადაეწყვიტა.

სულ მალე ქართულ ეკლესიას, ქართველ ხალხს თავს დაატყდათ სამინელი ტრაგედია – 1918წ. 27 ივნისს მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში დღემდე დაუდგენელმა პირებმა სიცოცხლეს გამოასალმეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II. ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი იყო დამკრძალავი კომისიის წევრი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მიტროპოლიტი ლეონიდე (თავმჯდომარე), ურბნელი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), ალავერდელი პიროსი (ოქროპირიძე), დეკანოზები კალისტრატე ცინცაძე, ნიკიტა თალაკვაძე და სხვები. კომისიის გადაწყვეტილებით, 1918წ. 7 მკათათვეს (ივლისს) კირიონ II სიონის საკათედრო ტაძარში დაიკრძალა.³⁴⁰ იმ დღეს განსვენებულის ცხედართან სიტყვა წარმოთქვა მიტროპოლიტმა ამბროსიმ, რომლის სრული ტექსტი აქვე ქვეყნდება (აქვე, დოკ. №15).³⁴¹ ქართული ეკლესიის მესაჭეობა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს (ოქროპირიძე) დაეკისრა, რომელიც საკათოლიკოსო საბჭომ 1918წ. 28 ნოემბერს, მიტროპოლიტ ამბროსის აქტიური მხარდაჭერით, საეკლესიო კრების მოწვევის გარეშე კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია;³⁴² 1919წ. 11 თებერვალს კი იგი სრულუფლებიანი კათოლიკოს-პატრიარქი გახდა, იმავე წლის 23 თებერვალს ჩატარდა მისი კურთხევა. როგორც 11, ისე 23 თებერვალს მიტროპოლიტ ამბროსის მიერ წარმოთქმული სი-

338. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, 887, 3. – ვ.გ.

339. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი.ს.191.

340. სცსსა, ფ.1458, აღწ.1, ს.217, ფ.2-13.

341. 1919წ. 26 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის ნახევარ წლისთავზეც სიტყვა მიტროპოლიტმა ამბროსიმ წარმოსთქვა (კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.201).

342. სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი 1918-1921წწ.). თბ., 2000, გვ.20.

ტყვეები სრულად ქვეყნდება (აქვე, დოკ. №№17, 18).

ქართული ეკლესიის იურისდიქციის მთელს მის კანონიკურ ტერიტორიაზე გავრცელება კვლავაც რჩებოდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს ზრუნვის ერთ-ერთ მთავარ საგნად. აღნიშნული საკითხი პირდაპირ იყო დაკავშირებული ამჯერად უკვე ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან და დაცვასთან. 1918 წლის ზაფხულში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა წარმატებით მოიგერიეს სოჭის მხრიდან შემოჭრილი და ახალ ათონამდე მოსული ბოლშევიკური რაზმების შეტევები, განდევნეს მტერი აფხაზეთის ტერიტორიიდან; ამის შემდეგაც გააგრძელეს წინსვლა, 6 ივლისს აიღეს სოჭი, 26 ივლისს – ტუაფსე. საბოლოო მიზანი ტუაფსე – მაიკოპის რკინიგზის დაკავება იყო. იმავე პერიოდში ქართულმა ჯარებმა გაანადგურეს კოდორის უბანში გადმოსხმული თურქული სამხედრო დესანტიც, რომელიც ძირითადად აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებით იყო დაკომპლექტებული.

1918 წლის აგვისტოში თეთრგვარდიელთა გააქტიურებამ ქართული ჯარი აიძულა უკან დაეხია ჯერ მდ. შახემდე, შემდეგ კი – ქ. სოჭამდე. იმ პერიოდში უაღრესად აქტიურად თემად იქცა სოჭის დაბრუნების საკითხი, რომელიც იხილებოდა მთავრობაშიც და საზოგადოებაშიც. 1918 წ. 25 სექტემბერს ეკატერინოდარში საქართველოს მთავრობის დელეგაციის (ე. გეგეჭკორი, გ. მაზნიაშვილი) უშედეგო შეხვედრაზე მოხალისეთა არმიის სარდლობასთან განხილვის მთავარი საგანი სწორედ სოჭის საკითხი იყო. საქართველოსთვის ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას მიტროპოლიტი ამბროსი გამოეხმაურა საფუძვლიანი მეცნიერული სტატიით „საქართველოს ისტორიული საზღვარი შავი ზღვის მხრით“, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე 1918 წლის 16 და 18 ოქტომბერს დაიბეჭდა „ამბერი“-ს ხელმოწერით.³⁴³ სამწუხაროდ, ეს სტატია ბოლო დრომდე მეცნიერთა ყურადღების მიღმა რჩებოდა, თუმცა აღნიშნულ თემაზე არათუ 1918 წლამდე, შემდგომშიც კი ამ დონის სპეციალური გამოკვლევა არ დანერგულა.

მიტროპოლიტი ამბროსი არგუმენტირებულად უარყოფდა იმ დროისთვის გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს ნიკოფსია – იგივე ანაკოფიაა და ქვეყნის ისტორიული საზღვარიც ვითომ იქვე გადიოდა (მ. ჯანაშვილი, კ.მაჭავარიანი, ვ.ი.ჩერნიავსკი, მ. ბროსე, ფრედერიკო დიუბუა დე-მონპერე და სხვ.). მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით იგი დამაჯერებლად ასაბუთებდა, რომ ნიკოფსია – იგივე ძველი ლაზიკაა და თანამედროვე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. საქართველოს სახელმწიფო და ეთნიკური საზღვარიც სწორედ იქ გადიოდა, – ამტკიცებდა ავტორი. ამასთან დაკავშირებით ის სვამდა კითხვას, „თუ რა შეხედულების უნდა ვიყოთ აფხაზეთა რეალურ მოსახლეობაზე XVII საუკუნემდის“ და თვითონვე პასუხობდა: „ამაზე სიტყვის ჩამოგდება სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, ჩემის აზრით, მოუხერხებელია“. ასეთი პასუხით მან ფაქტობრივად გამოხატა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე, რომელიც მანამდეც არაერთხელ დაუფიქსირებია სხვადასხვა შრომებში თუ გამოსვლებში.³⁴⁴

თავისი სტატიის შესავალ და დასკვნით ნაწილებში მიტროპოლიტი ამბროსი აყენებდა საქართველოს ისტორიული უფლებების შეგნებისა და გათვალისწინების აუცილებლობის საკითხს. სწორედ ისტორიული უფლებებით ეკუთვნოდა საქართველოს სოჭის ოკრუგი, მაგრამ თუ იგი მაინც დაიკარგებოდა ჩვენი შეუგნებლობითა და მტერთა ძალმომრეობით, – წერდა ავტორი, – „მაშინ ამ მოკლე წერილს ის მიზანი მაინც შემორჩეს, რომ მან გააღვიძოს ჩვენს ხალხში ისტორიულ უფლებათა შეგნება და მისცეს მას იმისი ცნობა მაინც, რომ საქართველოს ძლიერების დროს ჩვენი საზ-

343. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.589-605.

344. იქვე, გვ. 212, 330, 423, 429, 448, 554-555, 602, 667 და ა.შ.

ღვარი ტულაპსესაც სცილდებოდა.“

„საქართველოს ისტორიული საზღვარი შავი ზღვის მხრით“ ამბროსი ხელაიას ერთ-ერთი სამეცნიერო ნაშრომთაგანია, რომელიც მრავალი თვალსაზრისით დღემდე ინარჩუნებს თავის მეცნიერულ, პოლიტიკურ, პრაქტიკულ მნიშვნელობას და აქტუალობას.

1918 წ. ზაფხულში და შემოდგომაზე საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ზომების შედეგად ვითარება აფხაზეთში ნელ-ნელა მშვიდდებოდა. ამით ისარგებლეს ქართული და აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომლებმაც გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის გარდაცვალების ნახევარი წლისთავისადმი მიძღვნილი პარაკლისის გადასახდელად მიტროპოლიტი ამბროსი სოხუმში მოიწვევს. 1918 წლის 23 აგვისტოს საკათალიკოსოს საბჭომ დეპუტები გაუგზავნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორს გიორგი მაზნიაშვილს, აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარეს ვარლამ შარვაშიძეს და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ხელმძღვანელებს თხოვნით, ხელი შეეწყოს მიტროპოლიტი ამბროსისთვის სოხუმის რომელიმე ტაძარში გიორგი შარვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურების ჩატარებაში.³⁴⁵ 1918 წლის 31 აგვისტოს ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი თანმხლებ პირებთან (არქიმანდრიტი ნაზარ ლეჟავა, ფოთის საკათედრო ტაძრის კრებულს და მგალობელთა გუნდი ქუთაისიდან) ერთად სოხუმში ჩაბრძანდა. 1 სექტემბერს მან ჯერ შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა სოხუმის საკათედრო ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას, მერე წირვა აღავლინა. 2 სექტემბერს მიტროპოლიტმა ამბროსიმ სიტყვა წარმოსთქვა გიორგი შარვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე,³⁴⁶ ჰქონდა შეხვედრები საზოგადოების, ადგილობრივი ხელისუფლების, სამხედროების წარმომადგენლებთან. მიტროპოლიტი ამბროსის სოხუმში სტუმრობის შესახებ ვრცელი მასალა გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველომ“ (1918წ. 2 ოქტომბერი) (აქვე, დოკ. №16). 1 სექტემბერს სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართველთა და აფხაზთა წინაშე გამოსვლისას, – როგორც ეს გაზეთი წერდა, – ამბროსიმ განაცხადა, რომ 22 წლის წინ დატოვა მან საყვარელი ქალაქი სოხუმი და მისი საკათედრო ტაძარი; მაშინ ანტიქართული პოლიტიკა წარმოებდა, იღვენებოდა ქართული ენა, რათა „ამ საშუალებით გაექარწყლებინათ და აღმოეფხვრათ ქართველების გულში სამშობლო ქვეყნის სიყვარული, თუმცა უტყუარ ისტორიული დოკუმენტების მიხედვით საქართველოს საზღვრები არამც თუ სოხუმს, ტუაფსეს იქითაც გადასცილდებოდა, მაგრამ ისინი სოხუმს, ჩვენი მოძმე აფხაზების დედაქალაქს, რუსეთად სთვლიდნენ და ამნაირის აზრებით ჰკვებავდნენ და ზრდიდნენ მკვიდრ მცხოვრებთ. დღეს კი დადგა სხვა გარემოება. ისტორიამ ასი წლის ბოროტი უსამართლობა გაასწორა და იქ, სადაც პირველი საუკუნიდან მშობლიურ ენაზე გაისმოდა ღვთის ვედრება, დღეს ხელახლა შესაძლებელი გახდა მისი აღდგენა“. მიტროპოლიტმა ამბროსიმ ხალხით გადაჭედებულ ტაძარში წირვა ჩაატარა. „გაისმის ტკბილი ქართული გალობა, – წერდა გაზეთი „საქართველო“. – სულგანაბული ისმენს ხალხი ქართულ ღვთისმსახურებას და ყველას ცხადად ეხატება სახეზე სიამოვნება და სიხარული.“ წირვის დასრულების შემდეგ მეუფე ამბროსიმ კვლავ მიმართა ხალხს სიტყვით; ისაუბრა გიორგი შარვაშიძის მოღვაწეობაზე, მის პოლიტიკურ და ეროვნულ იდეალებზე, მისწრაფებებზე; შეეხო უძველესი დროიდან ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის საკითხს, ილაპარაკა რუსული გამთიშველური პოლიტიკის შესახებაც. ქართულ ეკლესიას არასოდეს უნარმოებია და არც ახლა „ანარმოებს მასზე უფრო მცირერიცხოვანი ეროვნების ეკლესიურად შთანთქმის პოლიტიკას, პირიქით, ყოველთვის ხელს უწყობდა სხვა თანამორწმუნე ხალხთა ეკლესიის ნაციონალიზაციას“, – ბრძანა მიტროპოლიტმა. მან დამსწრეთ შეახსენა თუ როგორ ცდილობდნენ სოხუმის

345. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.201-202.

346. იქვე, გვ.203-216.

ქართველი ეპისკოპოსები გაბრიელი და კირიონი აფხაზურ ენაზე ღვთისმსახურების დამკვიდრებას, ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნას და ა.შ. „აფხაზ-ქართველნი უნდა შეერთდნენ ისე, – განაცხადა მეუფემ, – რომ ნაციონალურად თითოეულმა მათგანმა შეინარჩუნოს თავისი საკუთარი ელფერი მსგავსად იმისა, როგორც სხვა და სხვა საამო სუნის ყვავილები, თუმცა შედიან თაიგულში, როგორც მისი ელემენტები, მაგრამ თავის სპეციფიკურ თვისებას კი არ ჰკარგავენ და ამავე დროს ყველანი ერთად შეადგენენ ერთ საუცხოვო და მშვენიერ თაიგულს“. თავისი სიტყვის დასასრულს მიტროპოლიტმა მსმენელებს აფხაზეთ-საქართველოს ერთიანობის შესახებ გიორგი შარვაშიძის ანდერძის განხორციელებისაკენ მოუწოდა.

იმავე დღეს (1 სექტემბერს) მიტროპოლიტმა ამბროსიმ ბოლშევიკებთან შეტაკებაში დაღუპულ რევოლუციონერთა საფლავებზე პარაკლისი გადაიხადა, ხალხი დალოცა და ეტლით გაემართა ნინუას ბინაზე, სადაც ნადიმს დაესწრო. ნადიმზე აფხაზთა ეროვნული საბჭოს ხუთი წევრი მობრძანდა, მათ შორის საბჭოს თავმჯდომარე ვარლამ შარვაშიძე. მან „მოახსენა მათ მეუფებას, რომ ამჟამად არის ნიადაგი აფხაზ-ქართველთა შორის ძველი მეგობრობის განახლება-განმტკიცებისა. აფხაზთა განკერძოებული მოქმედება გაუგებრობის შედეგი იყო, რასაც ხელს უწყობდა რუსთათართა პროვოკაციული მოქმედება“. ამასთანავე ვ. შარვაშიძემ სთხოვა მეუფე ამბროსის შუამდგომლობა ადგილობრივ სამხედრო ხელმძღვანელობასთან, რათა გაენთავისუფლებინათ უდანაშაულოდ დაპატიმრებულები, შეენწყვიტათ მშვიდობიანი მოსახლეობის ანიოკება, სახლ-კარის განადგურება, უდანაშაულოთა დახვრეტები (ასეთ ზომებს, ხშირად გაუმართლებელს, ქართული გვარდიაზე მეტად ქართველთა მხარეს მებრძოლი კაზაკები მიმართავდნენ კოდორის უბანში თურქული დესანტის წინააღმდეგ ბრძოლისას). საკათალიკოსო საბჭომ შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულ ოჯახებს, რასაც დიდი მორალური მნიშვნელობა ექნებოდა და ხელს შეუწყობდა აფხაზ-ქართველთა მეგობრობის განმტკიცებას, – ბრძანა ვ. შარვაშიძემ.

2 სექტემბერს ვ. შარვაშიძე კვლავ ეახლა ჭყონდიდელ მიტროპოლიტს და სამხედროების მიერ აფხაზთა სოფლების გადაწვის შესახებ შეატყობინა. ამასთანავე დასძინა რომ, უკვე აზრი დაკარგა სამხედროების წინაშე შუამდგომლობამ, „ანი თვით გარემოებათა მსვლელობას მივანდოთ აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულების გამორკვევაო“. მიუხედავად ამისა, მიტროპოლიტი ამბროსი მაინც შეხვდა აფხაზეთში განლაგებული სახალხო გვარდიის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ თუხარელს და მის წინაშე დასვა ვ. შარვაშიძის მიერ წამოჭრილი საკითხები. პოლკოვნიკმა „მიტროპოლიტის შუამდგომლობით გაანთავისუფლა 6 ტუსალი აფხაზი და აგრეთვე გაუგზავნა ფიცხელი ბრძანება პოლკოვნიკ კარგარეთელს ოჩამჩირეში, რომ მის მისვლამდე სახლ-კარის გადაწვა შეჩერებულ იქმნეს; გამოყვანილ იქნას ჯარი იმ სოფლებიდან, სადაც მათი ყოფნა სამძიმოა მშვიდობიან მცხოვრებლებისთვის.“

4 სექტემბერს მიტროპოლიტი ამბროსი ხალხით გადაჭედულ ადგილობრივ თეატრში გ. შარვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს დაესწრო, სადაც ბევრი ისაუბრეს განსვენებულის ბიოგრაფიაზე. ქუთაისის გუნდმა შეასრულა ქართული საეკლესიო საგალობლები და საერო სიმღერები.

შემდგომ დღეებში მიტროპოლიტმა ამბროსიმ დაათვალიერა ქალაქის სატუსალო, საავადმყოფო, მოინახულა განაპირა სოფლის დროებითი ეკლესია. ხალხი აღტაცებით შეხვდა მღვდელმთავარს. მან კი „დარიგებით მიმართა ხალხს, განუმარტა სხვათა შორის, თანამედროვე გარემოებათა მსვლელობა და ურჩია არ აყვნენ ბოლშევიკურ დამღუპველ მოძრაობას.“ ამბროსი ხელაიას სოხუმში ყოფნით ისარგებლა აფხაზეთის სხვადასხვა მაზრებიდან სპეციალურად ჩამოსულმა ბევრმა საპატიო და გავლენიანმა პირმა (სასულიერომ და საერომ), შეხვდა მის მეუფებას და ისაუბრეს აქტუალურ

პოლიტიკურ და საეკლესიო საკითხებზე. მიტროპოლიტმა ამბროსიმ ქ. სოხუმი 1918 წლის 9 სექტემბერს დატოვა. „საზოგადოთ მათი მეუფების ყოფნამ სოხუმში ადგილობრივ მცხოვრებლებზე და კერძოდ აფხაზებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“, – ასკვნიდა გაზეთი „საქართველო“.³⁴⁷

ქ. სოხუმში გამართულ ნადიმზე (1918წ. 1 სექტემბერი) აფხაზთა ეროვნული საბჭოს წევრმა ჯოტო შარვაშიძემ მიტროპოლიტ ამბროსის ათასი მანეთი გადასცა „პრემიად იმისთვის, ვინც დასწერს საუკეთესო თხზულებას ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაზე უძველესი დროიდან“. 1918 წლის 1 ოქტომბერს მეუფემ ეს თანხა საკათალიკოსო საბჭოს გადასცა. ამასთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ ლეონიდემ ჯოტო შარვაშიძეს მადლობის წერილი გაუგზავნა.³⁴⁸

სოხუმში ათდღიანმა სტუმრობამ, გამოსვლებმა სოხუმის საზოგადოების წარმომადგენელთა წინაშე, ქადაგებებმა, ღვთისმსახურებამ, სხვადასხვა საინტერესო შეხვედრებმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ წარმოაჩინეს მიტროპოლიტი ამბროსის როგორც გამოჩენილი სასულიერო, ეროვნული და საზოგადო მოღვაწის, დიდი მამულიშვილის პიროვნება, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა პოლიტიკის რთულ ლაბირინთებშიც და სახალხო დიპლომატიკაშიც. იგი რეალურად აფასებდა აფხაზეთში არსებულ ვითარებას, ამიტომ ამ ეტაპზე ერიდებოდა მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას, მოქმედებდა წინდახედულად; მხედველობაში იღებდა იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი ჯერ არ იყო საბოლოოდ გამორკვეული; რომ რეგიონში მოქმედებდნენ საკმაოდ გავლენიანი სხვადასხვა ანტიქართული ძალები, პირველ რიგში, სეპარატისტთა და მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი რუსი თეთრგვარდიელების ადგილობრივ მხარდამჭერთა სახით, რომელთა აქტიურობა და პოზიცია დამოკიდებული იყო საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომის ფრონტებზე ანტიბოლშევიკური ძალების წარმატება – წარუმატებლობაზე. მიტროპოლიტ ამბროსის და მთლიანად ქართულ ეკლესიას არ შეეძლოთ არ გაეთვალისწინებინათ უკიდურესი შოვინისტების, სოხუმის ეპისკოპოს სერგისა და საკათედრო ტაძრის წინამძღვრის დეკანოზ გიორგი გოლუბცოვის ინტენსიური მცდელობები მთელი 1917-1918 წლების განმავლობაში, კავკასიის საეგზარქოსოსგანაც კი სოხუმის ეპარქიის გამოყოფის შესახებ, თანაც აუცილებლად ქართული ეკლესიის იურისდიქციის მთელს აფხაზეთზე გავრცელებამდე; არ შეეძლოთ არ გაეთვალისწინებინათ ასევე ეპ. სერგის მეთაურობით აფხაზეთის რუსული სამღვდელთა ფაქტობრივი დაქვემდებარება ნ. დენიკინის შტაბთან არსებული სამხედრო სამღვდელოების პროტოპრესვიტერისადმი და სხვა არახელსაყრელი გარემოებები.

ბოლშევიკურმა ანარქიამ და სამოქალაქო ომმა, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი, ხელი შეუშალა აფხაზეთთან მიმართებაში შოვინისტთა ზრახვების განხორციელებას. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ კი სამუდამოდ ჩაშალა მათი გეგმები. საფრთხე მაინც არსებობდა (და დღესაც არსებობს). მის ნაწილობრივ განეიტრალებას ცდილობდა მიტროპოლიტი ამბროსი, როდესაც 1918წ. 26 დეკემბრის წერილში საკათალიკოსო საბჭოსადმი დააყენა ეპ. სერგის დაქვემდებარებაში მყოფი საკათედრო ტაძრის მისი (ამბროსის) გვერდის ავლით დაფინანსების შეწყვეტის საკითხი, მით უმეტეს ამ ტაძარში სოხუმის მოსახლეობის უმრავლესობისთვის – ქართველებისთვის წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ სრულდებოდა. გარდა ამისა, ეპ. სერგი და მისდამი დაქვემდებარებული სამრევლოები არ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ქართულ ეკლესიას. „არ მიმაჩნია სამართლიანად ჩვენი რესპუბლიკის ხაზინამ აძლიოს კრედიტი იმ ეკლესიას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მყოფი, არ ინყნარებს მის ქვეშევრდომობას“, – წერდა

347. აქვე, დოკ. №16; საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.689, ფ.6,7,10-11.

348. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.689, ფ.14,15.

მიტროპოლიტი ამბროსი; ამიტომაც მოითხოვა, მის განკარგულებაში გახსნილი სოხუმის ეპარქიის 56 სამრევლოს (მათ შორის საკათედრო ტაძრის) კრედიტი დარჩეს მისსავე განკარგულებაში.³⁴⁹ საკათალიკოსო საბჭომ გაიზიარა მიტროპოლიტ ამბროსის წინადადება და 1919 წ. 10 იანვარს შესაბამისი თხოვნით მიმართა თბილისის სახაზინო პალატას.³⁵⁰ იმავე დღეს – 1918 წლის 26 დეკემბერს – მიტროპოლიტი ამბროსი საკათოლიკოსო საბჭოს უგზავნის კიდევ ერთ წერილს თხოვნით, „მიენეროს სოხუმის ეპისკოპოს სერგის, დაკმაყოფილებულ იქმნას სოხუმელ ქართველების ეს კანონიერი სურვილი (ქართულ ენაზე ნირვა-ლოცვის შემოღება – ჯ.გ.) და ქართველ მღვდელს და წიგნის მკითხველ-მგალობლებს, რომელნიც სოხუმის ტაძარში შეასრულებენ ნირვა-ლოცვას ქართულ ენაზე, ჯამაგირი მიეცეს იმ კრედიტიდან, რომელიც გახსნილია ჩემს განკარგულებაში სოხუმელ ქართველთათვის.“³⁵¹

ეპ. სერგი კი, პირიქით, ფინანსური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას აპირებდა. უფრო მეტიც, 1919 წლის 1 იანვრიდან, ამიერკავკასიის რუსული ეროვნული საბჭოს თანადგომით, ის აპირებდა სოხუმის ოკრუგში თვითმდგომი რუსული ეპარქიის დაფუძნებას. საკათალიკოსო საბჭომ მთავრობის დახმარებით აღკვეთა ეს უკანონობა.³⁵²

ეკლესიის გარშემო შექმნილი რთული ვითარება 1919 წ. 9 იანვარს აფხაზეთის ქართულმა ეროვნულმა საბჭომ განიხილა. მისი თავმჯდომარე ა. გრიგოლია 1919 წ. 10 იანვარს უწმინდეს და უნეტარეს ლეონიდეს აცნობებდა სოხუმის საკათედრო ტაძრისა და სასაფლაოს ეკლესიის რუსული ეკლესიის დაქვემდებარებაში ყოფნის, აფხაზეთში მრევლის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ. „ერთი ნაწილი – სამურზაყანო და გუმისთის ნაწილის მეგრელობა უკვე გადავიდა გურია-სამეგრელოს მიტროპოლიტის განკარგულებაში, – წერდა ა. გრიგოლია, – აფხაზ-ბერძნები კი ითვლებიან რუსი ეპისკოპოსის ხელში. ასე რომ მთელი ეპარქია დანაწილდა და მომავალში უქადის ამ სამისიონერო ეპარქიას დაღუპვა-დაშლას და ქრისტიანობის დაცემას“. აფხაზეთის საეკლესიო საკითხების მოსაწესრიგებლად ქართული ეროვნული საბჭო საკათალიკოსო საბჭოს ერთ-ერთი წევრის სოხუმში ჩასვლას ითხოვდა, „რადგან ამ ოლქში ამ საქმეს აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა“.³⁵³

საკათალიკოსო საბჭომ 1919 წლის 23 იანვარს განიხილა აფხაზეთის ქართული ეროვნული საბჭოს მომართვა და მიიღო გადაწყვეტილება სოხუმში დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის მივლინების შესახებ, მაგრამ მან უარი განაცხადა იქ გამგზავრებაზე სოჭში და გაგრაში მდგარი დენიკინის აფხაზეთის შიდა რაიონებში შემოჭრისა და სხვა საფრთხის არსებობის პირობებში. 1919 წ. 17 მარტს მიტროპოლიტმა ამბროსიმ საკათალიკოსო საბჭოს შეახსენა საკუთარი გადაწყვეტილების (ნ. თალაკვაძის სოხუმში მივლინების) შესახებ და სთხოვა საბჭოს თავისი ერთ-ერთი წევრის სოხუმში მივლინების დაჩქარება. დეკანოზმა ნ. თალაკვაძემ 1919 წ. 19 მარტს კვლავ უარი თქვა აფხაზეთში გამგზავრებაზე.³⁵⁴ 1919 წ. 25 აპრილს კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს დაჟინებული მოთხოვნით საკათალიკოსო საბჭომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც აფხაზეთის საეკლესიო საკითხების მოწესრიგება მიტროპოლიტ ამბროსის დაევა და ამის შესახებ მეუფეს იმავე წლის 30 აპრილის წერილით შეატყობინა. 1919 წლის 21 მაისს საკათალიკოსო საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში მიტროპოლიტი ამბროსი აღნიშნავდა, რომ სოხუმის ქართველობას არ სურდა მისი როგორც მღვდელმთავრის გარევა ისეთ საქმეებში, სადაც საჭირო იყო

349. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.228-230.

350. იქვე, გვ.232-233.

351. იქვე, გვ.231.

352. იქვე, გვ.232, 234-235.

353. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.800-8001

354. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.237, 401-402.

გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა, ამიტომაც მოითხოვა მან საკათალიკოსო საბჭოს წევრის ჩამოსვლა. მიუხედავად ამისა, საკათალიკოსო საბჭოს 30 აპრილის წერილის მიღების შემდეგ 1919 წლის მაისის პირველ ნახევარში, – ნათქვამია მოხსენებაში, – „გავემგზავრე სოხუმში და უკვე გავემართე მოლაპარაკება სოხუმელ ქართველობასთან და აფხაზთა საბჭოს თავმჯდომარე და წევრებთან ამ საკითხის გამო, აგრეთვე მოვამზადე ნიადაგი სოხუმის ეპისკოპოსთან ამ საქმეზე მშვიდობიან მოლაპარაკებისათვის, რომლის გამართვა გადაიდო სხვა დროისათვის, რადგანაც ეპისკოპოსი სერგი ამ ხანად სოხუმში არ ყოფილა. ამ დღეებში მივემგზავრე სარევიზიოდ სამურზაყანო და აფხაზეთში, სოხუმში ჩავალწევ, ალბათ, ერთი თვის შემდეგ და მაშინ მოვახსენებ საკათალიკოსო საბჭოს, რა შედეგი ექნება ჩემს აქ ყოფნას“.³⁵⁵

სოხუმში ჩასულმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ წერილობით სთხოვა ეპისკოპოს სერგის სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის ქალაქის ქართული მოსახლეობისთვის გადაცემის შესახებ. 1919წ. 18 ივნისს სოხუმის ეპისკოპოსმა, თავის მხრივ, აღძრა შესაბამისი შუამდგომლობა ზემდგომი სტრუქტურის – სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობის წინაშე. 1919 წ. 21 ივნისს ხსენებულმა მმართველობამ განიხილა ეპ. სერგის შუამდგომლობა და მას აცნობა შემდეგი: „სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებითა უმაღლესმა საეკლესიო მმართველმა მოისმინეს: თქვენი ყოვლადუსამღვდელოესობის 18 ამა ივნისის №24 მოხსენება, რომელშიც, მიტროპოლიტი ამბროსის თხოვნის თანახმად, შუამდგომლობთ სოხუმის სასაფლაო ეკლესიის სოხუმელი ქართველებისთვის გადაცემის შესახებ, რომელი ეკლესიაც თავის დროზე ქართველთა სახსრებით განახლდა და 1892 წლამდე იქ ქართულ ენაზე ღვთისმსახურება აღევლინებოდა და ჩანანერები კეთებოდა.“

დაადგინეს: ეცნობოს თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას, რომ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება იქონიონ ურთიერთობა მიტროპოლიტ ამბროსი ხელაიასთან, რომელიც არის რუსული ეკლესიისგან განდგომილი ქართული ეკლესიის წარმომადგენელი, მაგრამ სოხუმის ქართულ მართლმადიდებელ მოსახლეობას თუ სჭირდება სოხუმის სასაფლაოს ეკლესია, ხსენებული მოსახლეობისთვის მისი გადაცემის ნება დაერთოს. 1919წ. 21 ივნისი, ეკატერინოდარი.“³⁵⁶ დადგენილებას ხელს აწერდნენ მმართველობის წევრი, თავრიდის არქიეპისკოპოსი დიმიტრი და კანცელარიის უფროსი ე. მახარობლიძე.

სოხუმის სასაფლაოს ეკლესია 1919 წლის სექტემბერში მართლაც გადაეცა გურია-სამეგრელოს ეპარქიას,³⁵⁷ მაგრამ ეპ. სერგის დაქვემდებარებაში ჯერ კიდევ რჩებოდა აფხაზეთის 40 ეკლესია საკათედრო ტაძრის ჩათვლით.³⁵⁸ იმ დროისთვის ვითარება აფხაზეთში მკვეთრად იყო შეცვლილი. დემოკრატიული წესით არჩეულმა აფხაზთა სახალხო საბჭომ 1919წ. 20 მარტს მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის ძალითაც იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული გახდა. 1919 წლის მაისიდან აფხაზეთის ავტონომიას ჰყავდა თავისი მთავრობა (კომისარიატი) დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის თავმჯდომარეობით; სახალხო საბჭოს, რომელსაც აფხაზეთის (და არა აფხაზთა) სახალხო საბჭო ეწოდა, სათავეში ედგა ვარლამ შარვაშიძე. ავტონომიური აფხაზეთის ხელისუფლებას კარგად ესმოდა მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობა. მწყემსმთავრის გარეშე (ეპ. სერგი 1919წ. მარტიდან აფხაზეთში არ იმყოფებოდა) და თეთრგვარდიელებთან შეკრული რუსული სამღვდელოების ამარა რეგიონის დატოვება უკვე დაუშვებელი იყო. ადგილობრივი მთავრობის მხრიდან მკვეთრი ნაბიჯის გადადგმა დააჩქარა ერთმა ინ-

355. იქვე, გვ.238-239.

356. იქვე, გვ.240-241.

357. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.52.

358. იქვე, ფ. 84-86.

ციდენტმა, რის შესახებაც გაზ. „საქართველო“ 1919წ. 9 სექტემბერს წერდა: „ამას წინათ ფრონტის დღეს დღესასწაულობდა აფხაზეთის მთავრობა. სადღესასწაულო წესრიგში ეკლესიაში პარაკლისის გადახდაც იყო; როცა ჯარი მიადგა სალოცავად ტაძარს, რუსის მღვდლებმა ეკლესიის კარები მიუხურეს და უარი უთხრეს ტაძარში პარაკლისის შესრულებაზე. ამ უტიფრობამ და მთავრობის ძალაუფლების უპატივცემულობამ მოთმინებიდან გამოიყვანა აფხაზეთის მთავრობა, დეკრეტით გამოაცხადა აფხაზეთში რუსის ეპისკოპოსობის გაუქმება.“ გაზეთს მხედველობაში აქვს აფხაზეთის 1919 წლის 1 სექტემბერს აფხაზეთის კომისარიატის მიერ მიღებული დეკრეტი მართლმადიდებელი ეკლესიების მართვის შესახებ. სოხუმის საკათედრო ტაძარი, მისი კრებულისა და მღვდელმთავრის სახლები აფხაზეთის საკუთრებად იქნა აღიარებული. ვაკანტურად გამოცხადდა საეპისკოპოსო კათედრა; ახალი მღვდელმთავრის არჩევამდე დაინიშნა ეპარქიის დროებითი მმართველი.³⁵⁹ ეს თანამდებობა 1919წ. 3 სექტემბრიდან არქიმანდრიტ იოანე მარგიშვილს ეკავა. 1919 წლის 13 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარეს დიმიტრი ემუხვარს აცნობა: „სიამოვნებით გაცნობებთ, მოწყალეო ბატონო, რომ საკათალიკოზო საბჭომ, თანახმად თქვენი შუამდგომლობისა, ამა თვის 11 ცხუმ-ბედიის ეპარქიის დროებითი გამგებლობა მიანდო ქყონდიდის მიტროპოლიტს მალაყოვლად უსამღვდელოეს ამბროსის.

მოვიწვევ რა თქვენზედა ღვთის მადლსა და კურთხევას, დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთის მთავარეპისკოპოსი ლეონიდი.³⁶⁰

აფხაზეთის განათლების კომისარმა ი.ლორთქიფანიძემ, გაურკვეველი მიზეზების გამო, მიტროპოლიტ ამბროსის ეპარქიის დროებით მმართველად დანიშვნა მიზანშეუწონლად მიიჩნია, ვინაიდან – წერდა იგი, – „ძლიერ გაართულებს საქმეს ადგილზე.“³⁶¹ შესაძლოა, აფხაზეთის განათლების კომისარს მხედველობაში ჰქონდა მიტროპოლიტ ამბროსის ჩამოსვლის შემდეგ რუსულ სამღვდელოებასთან დაპირისპირების მოსალოდნელი გამწვავება. ასეა თუ ისე, კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ, რომელსაც ი. ლორთქიფანიძემ 1919წ. 14 სექტემბერს თავისი მოსაზრება დეპეშით შეატყობინა, მიტროპოლიტი ამბროსის სოხუმში გამგზავრება დროებით გადადო. როგორც ჩანს, გაუგებრობა მალევე მოიხსნა. 1919 წლის 18 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ სოხუმიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „ჩამოვედი რა ამ თვის 16-ს სოხუმში, 17-ში შევუდეგი სოხუმის ეპარქიის დროებით მართვას. მიტროპოლიტი ამბროსი.“³⁶² ამ დეპეშას კათოლიკოს-პატრიარქმა სოხუმში მეუფე ამბროსის სახელზე გაგზავნილი დეპეშითვე უპასუხა: „გულითადად გილოცავ, რომ შეუდექი სოხუმის ეპარქიის მართვას, ვხარობ ძვირფასი აფხაზი ძმების გამო. ღმერთი მოგივლენთ თქვენ სრულ წარმატებას.“³⁶³ მიტროპოლიტი ამბროსის სოხუმში დანიშვნის შესახებ კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიასაც შეატყობინა.

მეუფე ამბროსი, პირველ რიგში, საეპარქიო ქონების აღწერა-გადმობარებით იყო დაკავებული. ამ საკმარის შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოს შესასრულებლად შეიქმნა სპეციალური კომისია. მის შემადგენლობაში თავის წარმომადგენლად აფხაზეთის მთავრობამ არქიმანდრიტი იოანე მარგიშვილი დანიშნა, რომელსაც ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები უკვე ჰქონდა ჩატარებული. საეპარქიო ქონე-

359. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.803-804.

360. ნმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.242-243.

361. იქვე, გვ. 245.

362. იქვე, გვ.247.

363. იქვე, გვ.261.

ბის მიღების თაობაზე გაფორმდა შესაბამისი აქტები, რომლებიც 1919წ. 30 სექტემბერს არქიმანდრიტმა იოანემ მიტროპოლიტ ამბროსის ჩააბარა.³⁶⁴

მეორე და ყველაზე მთავარ ამოცანას საეპარქიო კრების მომზადება – ჩატარება წარმოადგენდა. მიტროპოლიტმა ამბროსიმ მიიღო გადაწყვეტილება არაჩვეულებრივი (საგანგებო) კრების 7 ოქტომბრისთვის დანიშვნის შესახებ და 1919წ. 19 სექტემბერს ამის თაობაზე კათოლიკოს-პატრიარქს შეატყობინა. მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში ჩატარდა დელეგატთა არჩევნები. ყოველი სამრევლო ორი დელეგატით – მღვდლით და ერისკაცით იყო კრებაზე წარმოდგენილი. კრებამდე ორი დღით ადრე სოხუმის საკათედრო ტაძარში მისულმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ თავის ქადაგებაში მთელი ყურადღება სარწმუნოების განმტკიცების აუცილებლობას დაუთმო. მოგვყავს მისი სრული ტექსტი:

„ძმანო, ქრისტიანენო! დღეს წაკითხული სახარება ღირსია განაფუთი ყურადღებისა; ის გვასწავლის რამდენათ მიიზიდავს ის ჩვენზე ღვთის მადლს.

(შინაარსი სახარებისა). ქანანეველი დედაკაცი...³⁶⁵

დიდია ძალა სარწმუნოების. სარწმუნოებამ განკურნა განრღვეული³⁶⁶, დიდი იყო სარწმუნოება რომაელის ასისტავისა, რომელზედაც ბრძანა ქრისტემ, მთელ ურია-სტანში არ მიხილავს ამნაირი სარწმუნოებაყო. და განიკურნა მონა მისი, რომელზედაც სთხოვდა ქრისტე-მაცხოვარს³⁶⁷. სარწმუნოებამ განკურნა ის დედაკაცი, რომელიც 12 წელი იტანჯებოდა უკურნებელის სნეულებით და რომელმაც ფარულად შეახო ხელი ქრისტეს კალთებს და განიკურნა³⁶⁸. სარწმუნოებამ ჰქმნა ის, რომ ქრისტესთან ჯვარცმული ავაზაკი გახდა სამოთხის მკვიდრი³⁶⁹. რა არ ჰქმნა შესაძლებელად მოციქულების სარწმუნოებამ? ისინი გაუნათლებლნი, ღარიბნი, ფეხშიშველნი მიმოივლიან მთელ მაშინ ცნობილ ქვეყნიერებას, სძლევენ მეფეთა, დიდებულთა, მეცნიერთა და სწავლულთა, სძლევენ წარმართობას, ურწმუნოებას და ქრისტეს სახარებას მოჰყვნიან დედამიწას, ყველას დაუმორჩილებენ მას.

განა კერძო ცხოვრებაში და კერძო საქმეებშიაც არა აქვს მნიშვნელობა სარწმუნოებას? ვინ არ იცის, რომ რწმენა ანიჭებს კაცს გამარჯვებას? თუ კაცს სწამს დაწყებული საქმე, მაშინ ის დაწყებისთანავე ნახევრად გამარჯვებულად უნდა ჩაითვალოს. ხოლო თუ ადამიანს დაწყებული საქმის შესაძლებლობა თვითონ არა სწამს, არა აქვს რწმენა, რომ ღმერთი მისცემს მას გამარჯვებას, მაშინ ძალიან, ძალიან საეჭვოა ის სისრულეში მოიყვანოს, მასში გაიმარჯვოს. რა მეომარი იქნება ის, რომელსაც ომის დროს არა სწამს, რომ გაიმარჯვებს, რომელთაც არა სწამთ, რომ მათ ღმერთი შეენევა? ამნაირივე მხედრობა გაჭირვების დროს თვით გარბის ბრძოლის ველიდან, რის მაგალითები მოგვცა წარმართული წლების უმაგალითო ომებმა.

როდესაც ჯარში შეიტანეს ურწმუნოება, მას წაერთვა სიმტკიცე, წაერთვა უნარი

364. იქვე, გვ.250-255.

365. ქანანელმა დედაკაცმა იესოს მიმართა: „შემიწყალე, მე, უფალო, დავითის ძეო: ჩემი ასული საშინლად იტანჯება ეშმაკისაგან.“ როცა უფალმა დაინახა, რომ იგი ჭმწარიტი მორწმუნეა, „პასუხად მიუგო მას: ეჰა ქალო! დიდია შენი რწმენა, და შენი სურვილისამებრ მოგეგოს შენი! და განიკურნა მისი ასული იმავე წამს“ (მათე, 15, 22-28). – ჯ.გ.

366. უფალმა სარეცელიდან ააყენა დავრდომილი (განრღვეული), რომელსაც მიუტევა ცოდვები. ამის მნახველი განცვიფრებული ხალხი ადიდებდა უფალს (მათე, 9, 1-8). – ჯ.გ.

367. კაპერნაუმში მყოფ იესოს ასისტავმა სთხოვა მისი დავრდომილი მსახურის განკურნება – „მხოლოდ სიტყვა ბრძანე და განიკურნება ჩემი მსახური“; ამით მან ღრმა მორწმუნეობა გამოავლინა, რაზეც უფალმა თქვა: „ჭემმარითად გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც არ შევხვედრივარ ამნაირ რწმენას“ (მათე, 8, 5-10). – ჯ.გ.

368. ქალი, რომელიც 12 წელიწადი სისხლის დენით იტანჯებოდა, დაწმუნებული იყო, რომ თუ ქრისტეს სამოსს შეეხებოდა, მაშინვე განიკურნებოდა. ასეც მოხდა. უფალმა უთხრა მას: „გამხნევედი, შვილო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა. და განიკურნა ქალი იმავე წამს“ (მათე, 9, 20-22). – ჯ.გ.

369. იესოსთან ერთად ჯვარცმული ორი ბოროტმოქმედიდან ერთმა აღიარა თავისი დანაშაული („რაც დავთესეთ, იმას ვიმკით“-ო) და „უთხრა იესოს: მომიხსენე მე უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში, ხოლო იესომ მიუგო მას: ჭმწარიტად გეუბნები შენი: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“ (ლუკა, 23, 33, 41-43). – ჯ.გ.

და სურვილი სამშობლოს დაცვისა.

მორწმუნე ოჯახის ცხოვრება ტკბილი და სათნოებია, ოჯახის წევრთა შორის სუფევს სიყვარული, თანხმობა, შრომისმოყვარეობა, ზომიერება სმა-ჭამა-სიმხი-არულეში, – ერთი სიტყვით, ის, რაც ანიჭებს კაცს ბედნიერებას.

მორწმუნე დედ-მამანი სასარგებლონი არიან სამშობლოსათვის, რადგან ზნეობა-სარწმუნოებით აღსავსე შვილებს უზრდიან მას; იმნაირ შვილებს, რომელთაც შეუძლიათ თავის მოღვაწეობით მოუტანონ სამშობლოს სარგებლობა. ხოლო ურწმუნოება ოჯახის დამრღვევია, ზნეობრივი ნიადაგის გამომცლებელი ცხოვრებაში. რა შვილები უნდა აღუზარდონ ეკლესიას და სამშობლოს იმ დედ-მამამ, რომელთაც თვითონ არა აქვთ სარწმუნოება, არ იზიარებენ სახარების იდეალებს, არ მისდევენ მის ზნეობრივ სწავლას? ამნაირი ოჯახი უნდა ჩაითვალოს ავადმყოფ ოჯახად და უბედურია ის ხალხი, ის სახელმწიფო, ის ერი, რომელიც შესდგება ამნაირის ერთეულებისაგან; მაშინ თვით ერიც დაავადებული და სუსტი იქნება და ამნაირი ერი მიექანება გადაგვარება-განადგურებისაკენ.

სარწმუნოება ანიჭებს კაცს ბედნიერებას, სულის სიმშვიდეს სიკვდილის ჟამსაც კი, ის ნუგეშისმცემელია, რადგან მას სწამს, რომ სიკვდილი მხოლოდ მიცვალებაა, გარდასვლაა მომავალ სასარგებლო ცხოვრებაში. ურწმუნოთა უკანასკნელი ჟამი ცხოვრებისა ვოლტერისებურად აღშფოთებული და აუტანელია.

მოვიხსენიებ იმასაც, რომ უსაფუძვლოა ის აზრი, რომელიც გავრცელებულია ჩვენს ახალგაზრდობაში, ვითომ სარწმუნოება იყოს მტერი თავისუფლებისა. ეს აზრი აშენებულია გაუგებრობაზე. ან თუ შეგნებულად ამბობენ და იმეორებენ ამას, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამნაირი მქადაგებელნი არიან მტერნი ნამდვილის თავისუფლებისა. ნამდვილი თავისუფლების დამყარება, მისი გამაგრება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხში განვამტკიცებთ სარწმუნოებას. თავისუფლება უნდა ემყარებოდეს ქრისტეს ზნეობრივ იდეალებზე, მისი მცნებების აღსრულებაზე. უამისოდ თავისუფლება გარდიქმნება თვითნებობად, როგორც ამას ჰქონდა და ჯერ კიდევ აქვს ჩვენში ადგილი, და ხალხს მოუტანს სარგებლობის წილ მავნებლობას.

ამის დასაბუთება ახლა შორს წაგვიყვანს და ამისთვის, რომ მეტად არ დავღალლო თქვენი ყურადღება, სხვა დროისთვის გადავდებ. აქ ვიტყვი მხოლოდ, რომ მოციქული პავლეც დღეს წაკითხული სამოციქულოში გვეუბნება ამ ზნეობრივი ცხოვრების საჭიროებაზე ხალხის კეთილდღეობისათვის, ხოლო თავისუფლებაც საჭიროა მხოლოდ ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის და სულიერად ამაღლებისათვის. მაშასადამე, სარწმუნოება საჭიროა თავისუფლების გამაგრება-გაფართოებისათვის.

მაშ, მივხედოთ, მორწმუნენო, ქანანეველის ღრმა სარწმუნოებას და მაშინ ჩვენი ცხოვრება იქნება მშვიდი, მყუდრო, ზნეობრივად ამაღლებული, და მაშინ იქნება ნამდვილი ახლად მოპოვებული ჩვენი თავისუფლება; მხოლოდ მაშინ ჩვენი ცხოვრება გადიქნება იმ სასუფეველად, რომელზედაც გვითხრა ქრისტემ, რომ ის ჩვენ შიგან არისო (ლუკა, 17, 21 – ჯ. გ.).³⁷⁰

აფხაზეთის სამღვდელოებისა და ერისკაცთა სრულუფლებიანი წარმომადგენლების საგანგებო კრება 1919 წლის 7 ოქტომბერს გაიმართა. მასში 350 დელეგატი მონაწილეობდა. კრებაზე სიტყვით გამოვიდა მიტროპოლიტი ამბროსი. მან განაცხადა, რომ კრების ერთ-ერთ ამოცანას ივერიის ეკლესიასთან ძველი კავშირის აღდგენა წარმოადგენს; გაამახვილა ყურადღება ეროვნული შუღლის აღმოფხვრის აუცილებლობაზე, ვინაიდან ქრისტიანული ეკლესიისთვის ადამიანების წარმომავლობას, ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს; ამავე დროს იგი პატივს სცემს და ითვალისწინებს ყველა ხალხის ეროვნულ თავისებურებას, რომელიც შეხედულებებში და ღვთისმსახურების წესში გამოიხატება. ყველა ხალხმა უფალი მშობლიურ ენაზე უნდა ადიდოს,

370. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.255-258.

რადგან „მხოლოდ მშობლიურ მეტყველებას შეუძლია მიაღწიოს ადამიანის გულის სიღრმემდე, შეარხოს ადამიანის სულის ყველაზე მგრძობიარე სიმები, განაწყო რელიგიურად“, – ბრძანა მიტროპოლიტმა ამბროსიმ და იქვე დასძინა: „ამიტომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ყოფილ სოხუმის ეპარქიაში გამეფებულ შეუწყნარებლობაზე სხვა ხალხების მიმართ. სიყვარული, ძმობა და ერთობა იმათთან, ვინც უარს არ იტყვის ქრისტიანულ მცნებებზე. აი, როგორი უნდა იყოს ჩვენი ქრისტიანული ცხოვრების მიმართულება.“ ამასთან დაკავშირებით მეუფე ამბროსიმ ისაუბრა იმის თაობაზეც, რომ ბოლო დღეების განმავლობაში მან ყველაფერი იღონა ადგილობრივ რუსულ სამღვდლოებასთან, რომელიც არ აღიარებს ქართულ ეკლესიას, შეთანხმების მისაღწევად, რათა რუსებს მაინც ჰქონოდათ საკუთარი რელიგიური მოთხოვნების მშობლიურ ენაზე დაკმაყოფილების შესაძლებლობა; 1919 წლის 23 სექტემბერს ამ საკითხზე მათ სამრევლოს კრებაც ჩაუტარებიათ, მაგრამ საკათედრო ტაძართან (რომლის დათმობაც არ სურდათ) დაკავშირებით მიუღიათ აფხაზეთის კომისარიატის 1919 წლის 1 სექტემბრის დეკრეტის საწინააღმდეგო რეზოლუცია, რის გამოც შეთანხმება ვერ მოხერხდა. მათ უარი თქვეს მიტროპოლიტი ამბროსის აფხაზეთის მწყემსმთავრად აღიარებაზე, მიუხედავად ამისა, – როგორც მომხსენებელმა ბრძანა, – ის წავიდა ქრისტიანული სიყვარულით ნაკარნახევ დათმობაზე და დაპირდა რუსებს, რომ საკათედრო ტაძარში მათ ექნებოდათ ღვთისმსახურების უფლება. თავისი გამოსვლა მიტროპოლიტმა ამბროსიმ დაასრულა კრების დღის წესრიგში 8 საკითხის დაყენებით: აფხაზეთის კომისარიატის დეკრეტთან დაკავშირებით ეპარქიის კანონიკური მოწყობის შესახებ; სოხუმის ეპარქიის შესანახად სახსრების მოძიების შესახებ; ეპისკოპოსის არჩევა; საკათედრო ტაძრის შტატი; საეპარქიო საბჭოსა და საეპარქიო სასამართლოს წევრების არჩევა; ეპარქიის ოკრუგებად დაყოფა; მღვდელმსახურთა მოსამზადებელი კურსების გახსნა და ამისთვის სახსრების მოძიება; ამასთან დაკავშირებით შენობის საკითხის, ილორისა და სოხუმის სასაფლაოს ეკლესიების მდგომარეობის შესახებ.³⁷¹

პირველ საკითხთან დაკავშირებით, კრებამ მიიღო რა მხედველობაში აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული კავშირი საქართველოსთან, აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე აფხაზეთის შესვლის შემდეგ დაუშვებელია აქ უცხო საეკლესიო ხელისუფლების არსებობა, კრებამ დაადგინა:

1) ავტონომიური აფხაზეთის ტერიტორიაზე ხდება აღდგენა საქართველოს საკათალიკოსოს თვითმდგომი ეპარქიისა სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სახელწოდებით;

2) ეპარქიის სათავეში დგას დამოუკიდებელი ეპისკოპოსი, რომელსაც კათედრა და რეზიდენცია აქვს ქ. სოხუმში;

3) სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში შედის, განურჩევლად ეროვნებისა, ყველა სამრევლო, მონასტერი და საეკლესიო დაწესებულება მდინარეებს ენგურსა და მეხადირს შორის;

4) სარგებლობს რა თავისუფლებით საშინაო ცხოვრებისა და საეკლესიო-სამრევლო განაწესის საკითხებში, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას კანონიკური თვალსაზრისით საქართველოს საკათალიკოსოს ცენტრალურ ორგანოებთან ისეთივე ურთიერთობები აქვს, როგორც საქართველოს ეკლესიის სხვა თვითმდგომ ეპარქიებს;

5) საეკლესიო-სამოქალაქო თვალსაზრისით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამართლებრივი, იურიდიული მდგომარეობის ნორმირება ხდება აფხაზეთის კონსტიტუციით.³⁷²

ამ დადგენილებით (განჩინება №2) საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქცია მთელს აფხაზეთზე გავრცელდა, სოხუმის ეპარქიას სახელი გადაე-

371. იქვე, გვ.258-262.

372. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.806-807.

რქვა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა. მის პირველ მღვდელმთავრად კრებამ, რომელსაც არქიმანდრიტი იოანე მარგიშვილი თავმჯდომარეობდა, ერთხმად აირჩია მიტროპოლიტი ამბროსი (განჩინება №4). 1919 წ. 9 ოქტომბერს ცხუმ-აფხაზეთის ახლადარჩეულმა მიტროპოლიტმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და დედაქალაქის ცალკეული გაზეთების რედაქციებს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „აფხაზეთ-სამურზაყანოს რეგიონის მართლმადიდებელი სამღვდლოებისა და ერისკაცთა საგანგებო კრებამ ამა ოქტომბრის შვიდში ერთსულოვნად და ერთხმად დაადგინა კვლავ გაერთიანდეს ქართულ ეკლესიასთან; ვთხოვთ, თქვენს უწმინდესობას, სოხუმის ეპარქიის ახალი ცხოვრების ჟამის გვირგვინი აკურთხოთ მოციქულებრივი, მამობრივი ჩამობრძანებით, ხოლო საკათალიკოსო საბჭოს – სიყვარულით მიგვიღოს საკათალიკოსოს შემადგენლობაში.

კრების თავმჯდომარე მიტროპოლიტი ამბროსი.“³⁷³

იმავე დღეს საკათალიკოსო საბჭოს წევრმა დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემაც, რომელიც სოხუმში საეკლესიო კრებას ესწრებოდა, კათოლიკოს-პატრიარქს დეპეშით შეატყობინა, რომ „აქაურმა კრებამ განაჩინა შემოერთება საკათალიკოსოსადმი, ეპისკოპოსად აირჩია ამბროსი ჭყონდიდელი.“³⁷⁴ აღფრთოვანებული უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე 9 ოქტომბერსვე მიტროპოლიტი ამბროსის, აფხაზეთი-სამურზაყანოს მორწმუნე ერისა და სამღვდლოების სახელზე სოხუმში აგზავნის შემდეგ საპასუხო დეპეშას: „დედა ეკლესიასთან შემოერთებით და მღვდელმთავრის საუცხოოვო არჩევნებით აფხაზეთის საეკლესიო კრების წევრებმა ოქროს ასოებით ჩაინერეს თავი სამშობლოს მატთანში. ლოცვა-კურთხევა შემოერთებულ ჩემს ძეთა და ასულთ, ხოლო შენ ტკბილი სალამი და ძმური მილოცვა თავისუფალი აფხაზეთის ღირსეულ მწყემსმთავარს.“³⁷⁵

კრების შემდეგ სასწრაფოდ გახდა მოსაგვარებელი საკათედრო ტაძრის მისი ახალი წინამძღვრისთვის – ტროფიმი ჯოხთაბერიძისთვის გადაბარების საკითხი. იმის გამო, რომ სოხუმის რუსული სამღვდლოების კრებამ 1919 წლის 23 სექტემბერს უარი თქვა აფხაზეთის მღვდელმთავრად მიტროპოლიტი ამბროსის აღიარებაზე, მეორე დღესვე მისმა მალაყოვლადუსამღვდლოესობამ საკათედრო ტაძრის წინამძღვარი გიორგი გოლუბცოვი თანამდებობიდან გაანთავისუფლა, რის შესახებაც მას ოფიციალურად კრების შემდეგ – 9 ოქტომბერს ეცნობა. იმავდროულად მიტროპოლიტმა ამბროსიმ გ. გოლუბცოვს სთხოვა იმ დღესვე (9 ოქტომბერს) საკათედრო ტაძარი ტროფიმი ჯოხთაბერიძისთვის გადაებარებინა მღვდელმთავრის მიერ დანიშნული კომისიისა და მთავრობის წარმომადგენლის თანდასწრებით, თანაც გააფრთხილა, რომ არგამოცხადების შემთხვევაში ახალი წინამძღვარი ტაძარს მაინც ჩაიბარებდა. დროულად გაფრთხილების მიუხედავად, გ. გოლუბცოვი საკათედრო ტაძარში არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის მიზეზი შეატყობინა მიტროპოლიტ ამბროსის. ამიტომ ტაძრის გადმობარებაც მის გარეშე განხორციელდა. მომხდარის შესახებ მეუფე ამბროსიმ მაშინათვე აფხაზეთის კომისარიატს აცნობა.³⁷⁶

რიგგარეშე საეპარქიო კრების გადაწყვეტილებები საკათალიკოსო საბჭოს უნდა დაემტკიცებინა, მანამდე კი – 1919 წლის 17 ოქტომბერს, წინასწარი შეთანხმებით, კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე სოხუმს ეწვია. ეს იყო ღირსშესანიშნავი მოვლენა ქალაქისა და ავტონომიის ცხოვრებაში. სოხუმი ძვირფას სტუმარს ზარბაზნების გრიალით მიეგება. ნავსადგურში მრავალრიცხოვან საზოგადოებასთან ერთად კათოლიკოს-პატრიარქს მიეგებნენ მიტროპოლიტი ამბროსი, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ა. გრიგოლია, რომელმაც

373. იქვე, გვ.264-265.

374. იქვე, გვ.265.

375. იქვე, გვ.266.

376.საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს.463, ფ.53.

ნავსადგურში მისასაღმებელი სიტყვა წარმოსთქვა. ქალთა საზოგადოების სახელით სტუმარს ქალბატონი მ. დადიანი-ანჩაბაძისა მიესალმა; აჟღერდა ქართული ჰიმნი.

გაზეთი „საქართველო“, რომელმაც 30 ოქტომბერს დაწვრილებით მიმოიხილა კათოლიკოს-პატრიარქის სოხუმში ერთკვირიანი სტუმრობის ყველა დეტალი, წერდა, რომ ნავსადგურიდან საკათედრო ტაძრისკენ მიმავალ გზაზე მის უწმინდესობას ხალხი მიაცილებდა, ტაძართან კი მას ქართული და ბერძნული სამღვდელოება მიეგება. სტუმარს სიტყვით მიმართა მიტროპოლიტმა ამბროსიმ. იგი იმდენად მნიშვნელოვანი და დღემდე აქტუალურია, რომ მოვიტანთ სრულად:

„უწმინდესო და უნეტარესო მამამთავარო!

კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან აღძრა გული შენის უწმინდესობისა მოხილვად ჩვენის ამ განაპირა კუთხისა. მართალია, უწინაც გიხილავსთ ეს მხარე, ვინაიდან შენი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში არც ერთი კუთხე ჩვენის სამშობლოსა არ დაგრჩენიათ მიმოუხილავი. ყველგან გითესიათ ღვთის სიტყვა, მაგრამ ახლანდელი შენი – უუმაღლესი ხარისხითა აღჭურვილის – მობრძანება სულ სხვაა, განუზომლად უფრო დიდმნიშვნელოვანია. XVII საუკუნის დამლევადან აფხაზეთს არ უხილავს კათოლიკოს-პატრიარქი,³⁷⁷ ვინაიდან ამის შეუძლებლობა შექმნა ოსმალეთის გავლენის გაძლიერებამ ამ მხარეში.

ჯერ ჩვენს პროვინციებს არ უხილავს ახლადღგენილი ჩვენი ავტოკეფალურ ეკლესიის მამათმთავარნი და ჩვენი ქალაქი ბედნიერად სთვლის თავს, რომ პირველობა ამაში მას ერგო.

აფხაზეთი ას ათი წლის მონობის შემდეგ³⁷⁸ განიცდის იმ ხანას, როდესაც მან უნდა მოიგონოს და მონახოს თავისი ისტორიული გზა და შეუერთდეს დედა კათოლიკე ივერიის ეკლესიას. ისტორია კი გვეუბნება, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი ეკლესია მთლიანი იყო, სარწმუნოებაც ჰყვაოდა ამ მხარეში, რაზედაც მკაფიოდ გვეუბნება აბო ტფილელის ცხოვრება, მაშინ ეს მხარე კულტურულადაც მაღლა იდგა. ამის მოწამენი და დამადასტურებელი არიან: ბიჭვინთა, ლიხინი, პსირცხა, დრანდა, მოქვი, ბედია, ტაძრების ნანგრევები წებელდაში, რომელთა შესახებ ამ დღეებში მივიღე ცნობები და სხვანი. ყველა ამ დიდებულ ნაშთებზე ღრმად არის ბეჭედი ქართველთა და აფხაზთა მჭიდრო კავშირისა, ძმურად ხელი ხელჩაკიდებულის შეერთებულის მუშაობისა.

საჭიროა ამ ძველი გზის მონახვა, ამ კავშირის განახლება, ძველებური სარწმუნოების და კულტურის გაღრმავება ამ მხარეში, აფხაზ-ქართველთა კვლავ ძმურად ჩაჰკიდონ ხელი ერთმანეთსა და შეერთებულის ძალით გამარჯვებულად იარონ ცხოვრების გზაზე ამ არსებობისათვის ხალხთა შორის უმაგალითო ჭიდილის დროს, რომ არ შთაინთქან მოზღვავებულ და მახვილით გარემომდგარ მტერთა ოკეანეში. ძალა ერთობაშია. ეს შეიგნეს აქაური მოწინავე მოღვაწეებმა და ხალხმა – აფხაზეთი ეკლესიურად გაერთიანდა საქართველოსთან. ამ ერთობის მხოლოდ განმტკიცებით შეიძლება ჩვენ და განსაკუთრებით კი აფხაზებმა შეინარჩუნონ თავისი ვინაობა, ენა, ზნე-ჩვეულებანი, ნაციონალური თავისებურება-მიდრეკილებანი; ერთის სიტყვით, ყველა ის, რაც ანიჭებს ხალხს ნაციონალურ ელფერს. ამაშია საფუძველი აფხაზთა მომავლის კეთილდღეობისა.

ამნაირი ერთობის გასამტკიცებლად მართლაც ღირდა შეგენუხებით თავი და მიგელოთ შრომა ამ მხარის ნახვისათვის. კურთხეულ იყოს თქვენი ჩამობრძანება ამ ღვთივდაცულ ქალაქში.

შემოვედ, უწმინდესო და უნეტარესო მამამთავარო, ამ მრავალ უსამართლობის მონამე წმ. ტაძარში; იმ ტაძარში, რომელშიაც არ ჰგუობდნენ წირვა-ლოცვას და

377. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) უკანასკნელი კათოლიკოსი, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში ჩავიდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, იყო გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696-1742წწ.). – ჯ.გ.

378. იგულისხმება 1810 წლიდან – რუსეთთან შეერთების დღიდან. – ჯ.გ.

თვით აღდგომის დღესაც კი, როდესაც, მიღებული წესით, ყველა ენაზე იკითხება სახარება, აღკრძალული იყო მხოლოდ ქართულ ენაზე სახარების მოსმენა; შემოვედ, გვაკურთხე და ჩაჰბერე, უწმინდესო მამამთავარო, ცხოველმყოფელი ძალა ჩემს მოღვაწეობას ამ მხარეში. კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა (ფს. 117 (118), 26. – ჯ.გ.).³⁷⁹

საკათედრო ტაძარში პარაკლისის გადახდის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა „მეტად მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დამსწრეთ“. 18 ოქტომბერს უწმინდესი და უნეტარესი ტაძარში ლოცულობდა, 19-ში (კვირას) სწირა მიტროპოლიტის თანამსახურობით. თანამწირველებად იყვნენ ქართველი, ბერძენი და რუსი მღვდლები. წირვა სამივე ენაზე წარმოებდა. იმავე დღეს ბერძენი და რუსი მღვდლები აკურთხეს. წირვაზე დამსწრე საზოგადოებას კათოლიკოს-პატრიარქმა სიტყვით მიმართა.

20 ოქტომბერს საქართველოს მღვდელმთავარმა ადგილობრივი ქართული გარნიზონი მოინახულა, „რომელსაც მიესალმა, მიულოცა, რომ ბედნიერება ხვდათ თავიანთი სამშობლოს სამსახური; განუმარტა თუ რა ერთგულებით უნდა ემსახურონ ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს, რომ იგი განმტკიცდეს, აღორძინდეს“. იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქი წაბრძანდა სასაფლაოსა და ბერძნული ეკლესიების დასათვალიერებლად.

21 ოქტომბერს მისი უწმინდესობა თავისი ამალით ახალი ათონის მონასტერს ეწვია, სადაც სტუმრებს წინამძღვარი და სამოცამდე ბერი ზარების საზეიმო რეკვიტ მიეგება; გადაიხადეს პარაკლისი, ილოცეს საქართველოს მთავრობისა და კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს დღეგრძელობისათვის. პარაკლისის შემდეგ წარმოთქმულ სიტყვაში მალალმა სტუმარმა აღნიშნა, „რომ ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ცნობილი ვისიმე დევნით“.

22 ოქტომბერს დილით კათოლიკოს-პატრიარქი დრანდის მონასტერში ბრძანდებოდა; საღამოს კი სოხუმში მიტროპოლიტის რეზიდენციაში გაიმართა კრება, რომელსაც აფხაზეთის მთავრობისა და ქალაქის წარმომადგენლები დაესწრნენ. „საგანი კრებისა – ახალი ეპარქიის მოწყობა, მოწესრიგება. მოსმენილ იქნა ხარჯთაღრიცხვა ეპარქიის შესანახად. მეტად საგულისხმეო იყო ეს სხდომა. ეპარქიის შესანახად საკმარისი მნიშვნელოვანი ხარჯის დაკისრება იყო საჭირო და, ერთის შეხედვით, ადამიანს უნდა ეფიქრა, რომ სოციალისტური მთავრობა ასე ადვილად ვერ იკისრებდა საეკლესიო საქმისთვის ასეთ ხარჯის გაღებას, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახა. თითქოს ყველას დაავინწყდა პარტიული ჟინიანობა – ფანატიკურობა და შეთქმულები ყოფილიყვნენ, უსათუოდ მივეშველოთ ეპარქიის განმტკიცებასო. სულ ნახევარ საათში გადაწყვიტეს ის, რაც შეიძლება სხვას მთელი დღის საღაობად ეყოფოდა. ერთხმად გამოთქვეს აზრი, რომ ეკლესიის საკითხი დღეს ეროვნული საკითხიაო და მოვალენი ვართ ყველა ზომა მივიღოთ, რომ დაწყებული საქმე შუა გზაზე არ გაიყინოსო. მიტროპოლიტ ამბროსის აღუთქვეს სრული თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება. ასე გასინჯეთ, საეპარქიო მგალობელთა გუნდის შენახვის საკითხიც კი არ იყო დატოვებული უყურადღებოდ. მას თვეში ესაჭიროებოდა 10 000 მანეთი. ერთხმად დაადგინეს, ეს სავალდებულოდ გაუხადონ სოხუმში არსებულ ფილარმონიულ საზოგადოებას“. სხდომის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრეს, აღნიშნა, რომ ქვეყნის ბედნიერებისათვის ერთიანი ძალისხმევაა საჭირო.

23 ოქტომბერს სოხუმის საზოგადოებამ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს პატივსაცემად ნადიმი გამართა, რომელსაც აფხაზეთის მთავრობა, სოხუმის ინტელიგენცია და აფხაზთა წარმომადგენლები დაესწრნენ. წარმოთქმული სიტყვების „დედა აზრი იყო ის, რომ ეკლესია და საეკლესიო საკითხი ქართველი ერისთვის უბრალო, 379. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ, 266-269.

შეუმჩნეველი საკითხი არ არის და რომ ამას მთავრობაც ანგარიშს უწევს. გარკვევით გამოითქვა ისიც, რომ სამღვდლოება და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი ყოველთვის სამშობლოს ერთგულნი ყოფილან და არიან დღესაც. ერთმა ადგილობრივ მთავრობის პირმა ისიც კი განაცხადა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება არის პროგრესული სარწმუნოება და არა რეტროგრადული, როგორც ეს ზოგიერთსა ჰგონია“ (აქვე, დოკ. №19).

იმავე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ აფხაზეთი დატოვა.

1919 წლის 28 ოქტომბერს საკათოლიკოსო საბჭომ თავისი განჩინებით დაამტკიცა აფხაზეთის საეპარქიო კრების გადაწყვეტილება მიტროპოლიტი ამბროსის ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავრად არჩევის შესახებ. იმავე განჩინებით ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს დაევალა ახალი მღვდელმთავრის არჩევამდე გააგრძელოს ჭყონდიდის ეპარქიის მართვაც (1920 წლის ზაფხულში ჭყონდიდის მიტროპოლიტად გიორგი ალადაშვილის დანიშვნის შემდეგ ამბროსი განთავისუფლდა ჭყონდიდელის მოვალეობისაგან). აფხაზეთის საეპარქიო კრების მეორე განჩინების განხილვის შემდეგ საკათოლიკოსო საბჭომ დაადგინა: „1) განჩინება №2 ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამღვდლო და საერო არაჩვეულებრივი კრებისა დამტკიცებულ იქმნას. 2) ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია მიღებულ იქმნას საკათალიკოსოს გამგეობაში. 3) ყოველივე ზემოაღნიშნული მოხსენდეს რესპუბლიკის მთავრობას და მომავალ საეკლესიო კრებას.“³⁸⁰ ამ გადაწყვეტილებების შესახებ მიტროპოლიტი ამბროსის 1919წ. 17 ნოემბერს ეცნობა.

აფხაზეთი სამუდამოდ დაბრუნდა დედა ეკლესიის წიაღში, ქართული ეკლესია ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან აღსდგა თავის კანონიკურ საზღვრებში. ეს ისტორიული აქტი კათოლიკოს-პატრიარქების კირიონ II-სა და ლეონიდეს ლოცვა-კურთხევით მიტროპოლიტმა ამბროსიმ უზარმაზარი ძალისხმევის შედეგად აღასრულა. ამაში მდგომარეობს მისი კიდევ ერთი დიდი დამსახურება ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს, ქართული ეკლესიის წინაშე. აფხაზეთის ეკლესიურმა შემოერთებამ, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავრად მიტროპოლიტი ამბროსის გამწესებამ ბოლო მოუღო ამ რეგიონში მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ნიშნით დაყოფის ანტიკანონიკურ პრაქტიკას, გარეშე ძალების მიერ პოლიტიკური, ანტისახელმწიფოებრივი მიზნებისთვის მისი გამოყენების მცდელობებს.

ცხადია, ეს არ მოსწონდათ სეპარატისტებს. ს. ბასარია ცრუობდა, როცა აცხადებდა: „თბილისიდან გაიქცა თვითნებური ბრძანებულება აფხაზეთის ეკლესიის ქართული კათოლიკოსატისთვის დაქვემდებარების შესახებ და სოხუმში საკუთარი მიტროპოლიტი გამოგზავნეს. ასე იქცეოდა რუსული უწმინდესი სინოდი.“³⁸¹ ს. ბასარია არაფერს ამბობს ვითომ თბილისიდან გამოგზავნილი „საკუთარი მიტროპოლიტის“ ვინაობაზე, რომ ის იყო აფხაზეთის მკვიდრი, რომელიც წლების მანძილზე ებრძოდა უწმინდესი სინოდის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, იცავდა ქართველი და აფხაზი ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს; რომელმაც საერო და საეკლესიო კანონების განუხრელი დაცვით მოახერხა აფხაზეთის განთავისუფლება რუსული ეკლესიის კლანჭებისაგან და მშვიდობიანი მეთოდებით ქართული ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ კვლავ მისი დაბრუნება. 1919 წლის 18 ნოემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე ყველა ეს საკითხი ცხარე დისკუსიის საგანი გახდა. საბჭოს სეპარატისტულად განწყობილმა წევრებმა ა.დემიანოვმა (დენიკინელი), დ. ალანიამ, მ.ტარნავამ და მ.მარლანიამ წარმოადგინეს სადეპუტატო შეკითხვა აფხაზეთის კომისარიატის 1 სექტემბრის დეკრეტისა და მის საფუძველზე გატარებული ღონისძიებების, მათ შორის ახალი მღვდელმთავრის არჩევის უკანონობის შესახებ. შეკითხვას საკმაოდ არგუმენტირებულად უპასუხა განათლების კომისარმა ი. ლორთქიფანიძემ. დებატებში

380. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.280-281.

381. С. Басария. Абхазия. Сухуми, 1923, с.91.

მონაწილეობა მიიღო ბერძენი ეროვნების დეპუტატმა, ცნობილმა სოხუმელმა ექიმმა ი. ფაშალიძმა. მან აღნიშნა, რომ სოციალისტური მთავრობა არ შეიძლება ინდიფერენტული იყოს საეკლესიო საკითხების მიმართ, მას არ აინტერესებს „მოქალაქეები ღმერთზე როგორ ლოცულობენ, ხოლო როცა ლოცულობენ არა ღმერთზე, არამედ სატანაზე, რომელიც ჩვენს კარიბჭესთან დგას (იგულისხმებიან გაგრასთან მომდგარი დენიკინელები – ჯ.გ.), მას ადგილი უნდა მიუჩინოთ... მე მიუთითე დეპუტატ დემიანოვს, რომ ქართული ავტოკეფალური ეკლესია აღიარებული იყო მსოფლიო კრების მიერ. ეს ნიშნავს, რომ კანონიკურად და ისტორიულად ქართული ავტოკეფალური იყო რუსულ ეკლესიაზე ადრე და ქართული ეკლესია დაფუძნდა მაშინ, როცა რუსები პერუნზე (რუსული წარმართული ღვთაება – ჯ.გ.) ლოცულობდნენ... როცა არსებული წყობილების წინააღმდეგ გარკვეული აგიტაცია მიდის, მთავრობა უნდა ჩაერიოს, ასეც მოიქცა კომისარიატი.“ აფხაზეთის სახალხო საბჭომ საკითხის განხილვა ი. ფაშალიძის მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის მიღებით დაასრულა. მასში ნათქვამი იყო, რომ საბჭო დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს განათლების კომისარიატის ახსნა-განმარტებას აფხაზეთში მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის რეფორმის შესახებ.³⁸² სახალხო საბჭოზე საეკლესიო საკითხის განხილვამ და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემდგომმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ აფხაზური სეპარატიზმი და რუსული იმპერიალიზმი ყველა საკითხში ერთობლივად ილაშქრებდნენ საქართველოს წინააღმდეგ.

არ ცხრებოდა იმპერიული პოლიტიკის გამტარებელი აფხაზეთის რუსული სამღვდელოებაც. მიტროპოლიტი ამბროსის სოხუმში ჩამოსვლისთანავე აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ ვარლამ შარვაშიძემ სოხუმის უკვე ყოფილ ეპისკოპოს სერგის წერილობით აცნობა, რომ „საკათოლიკოსო საბჭოს მიერ სოხუმის ეპარქიის კანონიერ მმართველად დანიშნულია მიტროპოლიტი ამბროსი. თქვენი ადგილი აქ აღარ არის“.³⁸³ მიუხედავად ამისა, აფხაზეთის რუსული სამღვდელოება აგრძელებდა ძირგამომთხრელ საქმიანობას, იგი არ ცნობდა 1919 წლის 7 ოქტომბერს ჩატარებული საეპარქიო კრების გადაწყვეტილებებს. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა რამდენიმე ყველაზე შოვინისტურად განწყობილი რუსი მღვდელმსახური სოხუმიდან და ქვეყნიდან გაესახლებინა. საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აფხაზეთზე გავრცელებისა და მასთან დაკავშირებული საკითხები პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაიტანა ამ საერთაშორისო ფორუმზე ნ. დენიკინის წარმომადგენელმა ს. საზონოვმა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს მან აცნობა, რომ ქართველი ხელისუფალნი ახდენენ რუსული ეკლესიების სეკვესტრს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სოხუმშიც, რომელსაც, ს. საზონოვის აზრით, საერთო არაფერი ჰქონდა საქართველოსთან. აღნიშნული საკითხებით დაინტერესდა დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიაში ოლივერ უორდროპი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს ის აცნობებდა სამხრეთ რუსეთში ბრიტანეთის სამხედრო მისიაში ნ. დენიკინის მიერ შეტანილი საჩივრის შესახებ, რომელშიც თეთრგვარდიელი რუსი გენერალი ქართველ ხელისუფალთ სოხუმელი რუსებისთვის ტაძრის, აგრეთვე საეკლესიო ქონების ჩამორთმევაში ადანაშაულებდა და ამ ქონების უკან დაბრუნებას მოითხოვდა. ოლივერ უორდროპი სთხოვდა ე. გეგეჭკორს ამ საკითხზე მისთვის ცნობების მიწოდებას. ერთ-ერთ მიმართვაში ე. გეგეჭკორისადმი ოლივერ უორდროპი დაინტერესდა ასევე, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს რუსული მხარის მტკიცება სოხუმელი რუსი მღვდლების გ.გოლუბცოვისა (საკათედრო ტაძრის ყოფილი წინამძღვარი), ს. პროტოპოპოვის (იმავე ტაძრის მღვდელი) და

382. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.816-821.

383. ს. ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ., 2000, გვ.161.

საეპარქიო კანცელარიის მდივნის ტ. ავტონომოვის ქვეყნიდან გაძევების შესახებ იმის გამო, რომ მათ თითქოს წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველებს საკათედრო ტაძრის ჩამორთმევისას. საგარეო საქმეთა სამინისტროში შემოსული მიმართვები 1919 წ. 10 ნოემბერს საკათოლიკოსო საბჭოს გადაეგზავნა. საბჭომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოპერატიულად მიანოდა კალისტრატე ცინცაძის მიერ ხელმოწერილი ვრცელი ახსნა-განმარტებითი ბარათი ოლივერ უორდროპისთვის საინტერესო საკითხებზე.

ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ სოხუმის რეგიონი თავისი ეპარქიით საუკუნეების განმავლობაში იყო და არის საქართველოსა და მისი ეკლესიის ნაწილი. 1917წ. შემდეგ, – ნათქვამია დოკუმენტში, – აფხაზეთის ეკლესიების უმრავლესობა – 55 სამრევლო საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, დანარჩენ 46 (სინამდვილეში 40) სამრევლოს სოხუმის რუსი ეპისკოპოსი განაგებდა; 1919 წლის მარტიდან ეპ. სერგის რუსეთში გადაყვანამ აფხაზეთის კომისარიატს საშუალება მისცა 1919წ. 1 სექტემბრის ცნობილი დეკრეტი გამოეცა, ხოლო საკათოლიკოსო საბჭოს – დაენიშნა ეპარქიის დროებითი მმართველი, რომელი თანამდებობაც მიტროპოლიტმა ამბროსიმ დაიკავა; ამ უკანასკნელმა, შეუდგა თუ არა თავისი მოვალეობის შესრულებას, წერილობით შესთავაზა დეკანოზ გ. გოლუბცოვს, მღვდელ ს. პროტოპოპოვს და კანცელარიის მდივანს ტ. ავტონომოვს თავიანთ თანამდებობებზე დარჩენა. როგორც საკათალიკოსო საბჭო განმარტავდა, ხსენებულმა პირებმა ასევე წერილობით უარყვეს მიტროპოლიტ ამბროსის წინადადება, ვინაიდან სამხრეთ რუსეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობა უკრძალავდა მათ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებთან ურთიერთობას. ახსნა-განმარტებაში მითითებულია, რომ ამის შემდეგ ჩატარებულმა აფხაზეთის საეპარქიო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიასთან გაერთიანების შესახებ, აირჩია მღვდელმთავარი, სხვა საეპარქიო დაწესებულებები, საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, რომლებმაც აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლის თანდასწრებით ტაძრის ქონება ჩაიბარეს. „ამრიგად, – ვკითხულობთ ახსნა-განმარტებაში, – სოხუმის ეპარქიის ქონება ამჟამადაც მას ეკუთვნის და თუ საკათედრო ტაძრის კრებულისა და საეპარქიო საბჭოს ზოგიერთმა წევრმა არ ისურვა სამსახურში დარჩენა თვითგამორკვეულ სოხუმის ეპარქიაში, ამით მხოლოდ პიროვნებათა შეცვლა მოხდა.“ საკათალიკოსო საბჭო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა, რომ სოხუმის ეპარქიისა და საკათედრო ტაძრის ქონება კანონიერად არჩეული პიროვნებებისა და დაწესებულებების ხელშია და ამიტომ „შეუძლებელია ვინმეს დაუბრუნდეს და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გატანას არ ექვემდებარება.“ გ. გოლუბცოვთან, ს. პროტოპოპოვთან და ტ. ავტონომოვთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებაში ნათქვამია, რომ ისინი „სოხუმიდან გასახლებული არიან ანტისამთავრობო პროპაგანდისა და მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორის წინააღმდეგ ნაქეზების მცდელობებისთვის.“³⁸⁴ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკათალიკოსო საბჭოს ახსნა-განმარტების საფუძველზე შედგენილი ამომწურავი პასუხი ოლივერ უორდროპს გაუგზავნა. ამით სიტუაცია რამდენადმე განიმუხტა, შოვინისტებმა სანადელს ვერ მიაღწიეს, მათ ვერც კანონიერი მფლობელის ხელში გადასული საკათედრო ტაძარი დაიბრუნეს, ვერც საერთაშორისო სკანდალი მოაწყვეს, ვერც მოკავშირეთა თვალში ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის დისკრედიტაცია მოახერხეს. უფრო მეტიც, სულ მალე საქართველოში მოქმედი რუსული ეკლესია მხილებული იქნა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში. 1920წ. 17 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კავკასიის საეგზარქოსო და სინოდალურ კანტორა გააუქმა, მის წევრებს კი სასწრაფოდ დაატოვებინა საქართველოს ტერიტორია.³⁸⁵

მიუხედავად ყველა მხრიდან განხორციელებული შემოტევებისა, მიტროპოლიტი

384. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 291-295.

385. ქ. პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში. თბ., 2000, გვ. 177.

ამბროსი დიდი მონდომებით აგრძელებდა მისთვის მშობლიურ და კარგად ნაცნობ რეგიონში მოღვაწეობას. როგორც აფხაზეთში არსებული საეკლესიო პრობლემების, ისე ზოგადად ქართული ეკლესიის თავის კანონიკურ ფარგლებში აღსადგენად, მიტროპოლიტი ამბროსის აზრით, აუცილებელი იყო საერთაშორისო აღიარების მოპოვება. 1919 წლის 19 დეკემბერს აფხაზეთის მღვდელმთავარი კათოლიკოს-პატრიარქს წერდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებითი მმართველობა რუსულ მონასტრებს და ეკლესიებს უკრძალავდა ქართული ეკლესიის წარმომადგენლებთან ურთიერთობას. რუსული მონასტრები გაორებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ერთის მხრივ, მათ არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის დროებითი საეკლესიო მმართველობისთვის; მეორეს მხრივ, მათ სურდათ საქართველოს ეკლესიასთან კავშირის შენარჩუნება. „თუ სოხუმის ეპარქიის რუსების მონასტრები ჩამოგვშორდა, – წერდა მიტროპოლიტი ამბროსი, – ეს საქართველოს ეკლესიისთვის არამც თუ სასურველი არ არის, არამედ სხვადასხვა მხრით ძლიერ საზიანოც იქნება.“ ვითარება რომ დარეგულირდეს და „ამიერკავკასიის ყველა ნაწილებში აღდგენილ იქნას საქართველოს ტერიტორიული ეკლესია, როგორც ამას მოითხოვს საეკლესიო კანონები, ამისათვის საჭიროა, – წერდა აფხაზეთის მღვდელმთავარი, – რათა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ცნობილი იქმნას აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ, ხოლო ეს რომ მოხდეს, აუცილებელი საჭიროა გაიგზავნოს აღმოსავლეთში საგანგებო დელეგაცია, რომელშიც, ჩემის აზრით, უნდა შევიდეს ერთი მღვდელმთავარი, ერთი მღვდელი და ერთი ერის კაცი. ამ საქმეში უსათუოდ დაგვეხმარება საქართველოს წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში.

ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება დაჩქარებით, რადგან, როგორც საქართველოს აღდგენილი სახელმწიფოს ცნობაა საჭირო სხვა სახელმწიფოთა მიერ, ისე საჭიროა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ცნობა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიათა მიერ, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ.“³⁸⁶

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ანტიეკლესიური პოლიტიკის პირობებში საკათალიკოსო საბჭოს, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის უმთავრესი საზრუნავი ეკლესიის გადარჩენა გახლდათ. მიტროპოლიტი ამბროსის მთელი ძალისხმევა აქეთკენ იყო მიმართული. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია დღიდან დაარსებისა, დაფინანსების არარსებობის გამო, უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1919 წლის 18 დეკემბრის წერილში კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიტროპოლიტი ამბროსი დაჟინებით მოითხოვდა ცენტრალური მთავრობის წინაშე ამ საკითხზე მისი უწმინდესობის მიერ 10 დეკემბერს აღძრული შუამდგომლობის საჩქაროდ აღსრულებას. 1919 წ. 20 დეკემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა დეპუტით შეატყობინა ამბროსის, რომ შუამდგომლობა აღსრულებულია.³⁸⁷ მიუხედავად ამისა, ფინანსური პრობლემა მუდმივად იდგა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინაშე.³⁸⁸ 1921 წლის იანვარში სოხუმში მიტროპოლიტ ამბროსისთან სტუმრად მყოფი მღვდელი ვასილ კარბელაშვილი (1925 წლიდან ეპისკოპოსი სტეფანე) თბილისში დაბრუნებისთანავე კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდა, გადასცა მას აფხაზეთის მღვდელმთავრის წერილი, მოახსენა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მძიმე ფინანსური მდგომარეობისა და მისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის შესახებ. წერილში მიტროპოლიტ ამბროსისადმი, რომლის ერთი ნაწილი თებერვლის დასაწყისში, მეორე ნაწილი კი 20 თებერვლის შემდეგ (25 თებერვლამდე) დაინერა, ვასილ კარბელაშვილი აღნიშნავდა: „ეხლა ველი, თქვენო მეუფებავ, რო ვინახულო როგორმე ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი, რომ იმათზედაც ისეთივე ზეგავლენა მოგახდინო და დავარწმუნო, რომ უთუოდ უნდა დახმარება

386. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.288-290.

387. იქვე, გვ. 282-283, 287, 290.

388. იქვე, გვ.300-301, 308-309, 310, 312-313.

მოგცენ და თქვენი პრესტიჟი, ისედაც მიღებული და აღიარებული ერისა მიერ, ას-
ნიონ მაგათ რწმუნებულ მათდამი მოსამსახურეთა თვალში და ანგარიშს უწევდნენ
ადგილას (ადგილზე, ანუ აფხაზეთში – ჯ.გ.) თქვენს სიტყვას და კეთილგონიერ ნაბი-
ჯის გადადგმასა“. რომ არა 1921წ. თებერვლიდან განვითარებული ტრაგიკული მოვ-
ლენები, როგორც წერილიდან ირკვევა, ვასილ კარბელაშვილი დამდგარა „იმ აზრზედ,
რომ გადმოვიდე სოხუმს და გვერდში ამოვიდგეთ, ვინაიდგან სარწმუნოების სიომ
მანდიდგან უნდა დაჰბეროს საქართველოს და აფხაზეთ-სამეგრელოს ერმა უნდა წარ-
მოშვან კვლავ თავგანწირულნი მუშაკ-მოღვაწენი საქართველოს ეკლესიისათვის და
მის გარეშე მონასტრებ-კელიებისთვის“.³⁸⁹

„თავგანწირულ მუშაკ-მოღვაწეთა“ რიცხვს, პირველ რიგში, მიტროპოლიტი ამ-
ბროსი მიეკუთვნებოდა, რომელსაც მრავალ პრობლემასთან უხდებოდა გამკლავება.
მაგალითად, ეპარქიის მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ წარმოშვა პრობლემები
სამღვდელო პირთა მომზადების საქმეში, რის შესახებაც მიტროპოლიტი ამბროსი
1920 წლის 7 იანვარს კათალიკოს-პატრიარქს მოახსენებდა. იმ დროისთვის ეპარქი-
აში მღვდლის 15 ვაკანტური ადგილი არსებობდა და ამ ადგილების მთხოვნელებიც
არ ჩანდნენ. აფხაზეთის მღვდელმთავარი იძულებული იყო ნაკლებად მომზადებუ-
ლი პირები ეკურთხებინა მღვდლად ან ეს ადგილები თავისუფლად დაეტოვებინა.
მღვდლების გარეშე დარჩენილი აფხაზეთი კი მაჰმადიანობას ღებულობდნენ და ოს-
მალეთისკენ იხრებოდნენ. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს მიტროპოლიტი
ამბროსი, საეპარქიო საგანგებო ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად, სამღვდე-
ლო პირთა მოსამზადებელი კურსების გახსნაში ხედავდა; ამ მიზნით მან მოითხოვა
კომისარიატის 1919წ. 1 სექტემბრის დეკრეტით აფხაზეთის საკუთრებად გამოცხა-
დებული ყოფილი საეპარქიო სასწავლო საბჭოს შენობის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის
გამგებლობაში დატოვება.³⁹⁰ დაგვიანებით, მაგრამ მაინც საქართველოს მთავრობამ
1920წ. 12 აგვისტოს განიხილა ეს საკითხი და დაადგინა: „ცხუმ-აფხაზეთის მიტროპო-
ლიტის შუამდგომლობა ყოფილი სამოსწავლო საბჭოს შენობის საეპარქიო მთავ-
რობის განკარგულებაში დროებით დატოვების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნას.“³⁹¹
მთავრობის ეს გადაწყვეტილება საკათოლიკოსო საბჭომ 1920წ. 13 სექტემბერს აფხ-
აზეთის საეპარქიო მმართველობას გადაუგზავნა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

განსაკუთრებული თემაა მიტროპოლიტი ამბროსი როგორც ცხუმ-აფხაზეთელთა
სულიერი მოძღვარი, როგორც მქადაგებელი და დამრიგებელი. დაახლოებით 1919
წლის ოქტომბრის ბოლოში აფხაზეთის მწყემსმთავარმა ჩაატარა წირვა ოჩამჩირის
აღდგომის ეკლესიაში. „ამიერთაგან თქვენ ხართ ნამდვილნი წევრნი ივერიის ეკლე-
სიისანი და ამას ექნება დიდი გავლენა, რომ აფხაზეთის მკვიდრნი გაერთიანდნენ
საქართველოსთან არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სარწმუნოებრივ-ეკლესიურა-
დაც,“ – განაცხადა მან თავის ქადაგებაში; იქვე დასძინა, რომ საქართველომ აღად-
გინა თავისი ისტორიული უფლებები, თავისი მომავალი დაუკავშირა იმ დროებას,
როდესაც ის იყო დამოუკიდებელი, როდესაც ერთიან საქართველოსთან შეკავშირე-
ბული იყო აფხაზეთიც, „რომელმაც უნდა გამონახოს თავისი ისტორიული გზა კულ-
ტურულად განვითარებისათვის“; მან კრიტიკულად მოიხსენია ადამიანები, რომლებიც
ვითომ ელტვიან მხოლოდ მომავალს და უკან არ იხედებიან. „ჩვენ ახალ ცხოვრებაში
უნდა ვიხელმძღვანელოთ წარსულის გამოცდილებით“, – ბრძანა მეუფემ და მოიტანა
იერემია წინასწარმეტყველის სიტყვები: „ დადექით გზათა ზედა და იკითხნით საუ-
კუნეთანი. იხილეთ რომელ არს გზა კეთილი და ვიდოდეთ მას ზედა“ (იერ., 6. 16).
მან დაარიგა ოჩამჩირელები, „ღვთის მოწოდებას მივსდიოთ, არ ვექმნეთ ურჩნი თუ

389. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი, ს.678.

390. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.295-297.

391. იქვე, გვ.307-308.

არ გვინდა მივიღოთ სასჯელი ღვთისაგან“; შევინახოთ სინდისი, „რომ ის მუდამ იყოს წმინდა და არ გვაძხილებდეს, არ გვტანჯავდეს.“³⁹²

ძალიან მნიშვნელოვანია 1919 წ. 9 ნოემბერს სოხუმის საკათედრო ტაძარში წარმოთქმული ქადაგება ურწმუნოების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც „ამა ქვეყნის მძლავრების უფრო ეშინოდათ“ და ეშინიათ „ვიდრე ღვთისა და სინდისისა“, „ვისაც ალაპარაკებს და ამოქმედებს არა ჭეშმარიტება და სამართლიანობა, არამედ პირადი ინტერესები“. კონკრეტულ მაგალითებზე მეუფემ აჩვენა, რომ ასეთი ადამიანები იყვნენ ძველ რომში და არიან დღესაც; დაასახელა ურწმუნოთა და მცირემორწმუნეთა რამდენიმე კატეგორია. არიან ადამიანები, რომლებსაც თითქოს სწამთ ღმერთი, – ბრძანებდა მიტროპოლიტი ამბროსი, – „თავიანთ თავს სთვლიან ეკლესიის შვილებათ, მაგრამ ფარულად ინახავენ თავის სარწმუნოებას, რადგანაც ეშინიათ, რომ ქრისტიანობის მიმდევრობის გამო არ განიცადონ დევნულობა.“ ასეთ ადამიანებს მეუფე მშიშრებს და შიშის გამო სარწმუნოების მოლაღატეებს უწოდებდა. იყვნენ სარწმუნოების ისეთი მოლაღატეებიც, „რომლებზედაც მოქმედებს ცრუ სირცხვილი. უარყოფა, ურწმუნოება ახლანდელ დროში ნიშანია დანინაურების, კულტუროსნობის და განათლებისა, ხოლო სარწმუნოება არის ნიშანი გაუნათლებლობის და ჩამორჩენისა. ბევრს, რასაკვირველია, ეთაკილება, რომ მიიღონ გაუნათლებლად და ამის ასაცილებლად ძალაუწებურად ეხვევა ურწმუნოების სამოსელში, თუმცა გულით მორწმუნეა.“ თავის ქადაგებაში მეუფე გმობს იმათ, ვინც მაღავეს სარწმუნოებას; თვლის, რომ ისინი არ არიან „ღირსი თანაგრძნობა-პატივისცემისა.“ მისი აზრით, საზოგადოებისთვის უსარგებლო და მავნებელია ის, ვინც „ურწმუნოების, ღვთის უარყოფის, ეკლესიის და სახარების უარყოფის ნილაბი“ გადაიფარა „პირი სახეზე პირადი ინტერესებისათვის. საზიზღარია ამნაირი პიროვნება. ის თავის რწმენას, სულიერ მოთხოვნილებას ანაცლებს თავის კუჭს, თავის პირუტყვეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, თავის წუთიერ ვითომდა კეთილდღეობას.“ ეს სიტყვები, პირველ რიგში, ხელისუფლების სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატების მისამართით იყო ნათქვამი. „გვეშინოდეს არა კაცისა, არამედ მხოლოდ ღვთისა. არ უღალატოთ ჩვენს სარწმუნოებას, რწმენას,“ – ურჩევს მათ აფხაზეთის მღვდელმთავარი და ასე ამთავრებს თავის ქადაგებას: „მადლობა ღმერთს, ჩვენი საზოგადოება, მორწმუნენი თანდათან ერკვევიან, თანდათან უბრუნდებიან სარწმუნოებას, – ჩვენ ის აღარ ვართ, რაც ვიყავით შარშან და განსაკუთრებით შარშანწინ. ამაში დამარწმუნა მე ამ ზაფხულის მოგზაურობამ. ეს ჩვენდა სასიხარულოდ თვალსაჩინოდ ემჩნევა ჩვენი ქალაქის მცხოვრებთაც. ვეცადოთ კიდევ უფრო მოუბრუნდეთ ქრისტეს ცხოველმყოფელ სარწმუნოებას.“³⁹³

აფხაზეთში სარწმუნოების გამოცოცხლებისა და თანდათანობითი აღდგენის, ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მხრიდან პოზიციების რამდენადმე შერბილების მაჩვენებელი უნდა იყოს მიტროპოლიტი ამბროსის მიერ სახალხო გვარდიის მეორე წლისთავთან დაკავშირებით 1919 წ. 12 დეკემბერს სოხუმში ჯარისკაცთა წინაშე წარმოთქმული სიტყვა. მან ის დაიწყო საკუთარი სამშობლოს უბედურებით გულდათუთქული წინასწარმეტყველის იერემიას შემდეგი სიტყვებით: „მახვილო, ვიდრემდის არა დასცხრები, კვლავ ეგე ქარქაშსა შენსა, განისვენე და დასცხერ“ (იერ., 47, 6). ვინაიდან ახლაც არ ცხრება მახვილი და სისხლისღვრა გრძელდება, „ღმერთს შევსთხოვთ მოანიჭოს ჩვენს მხედრობას მტერზე გამარჯვება,“ – განაცხადა მეუფემ. გამოცდილი სამხედრო მეთაურივით მიმოიხილა მან საქართველოს თავისუფლების მტრების, განსაკუთრებით თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნული გვარდიის დამსახურება და იმედი გამოთქვა, რომ „შავრაზმელ მოხალისეებსაც ჩვენი

392. იქვე, გვ.269-272.

393. იქვე, გვ.276-279.

მხედრობა აჩვენებს თავის სიმამაცეს და დაარწმუნებს, რომ საქართველო აბუჩად ასაგდები არ არის, რომ საქართველო ისტორიულად გამოცდილია თავის სამშობლოს დაცვაში და არავის შეალახვინებს სისხლით და ტანჯვით მოპოვებულ თავისუფლებას“; ისაუბრა იმაზე, რომ „ჩვენი მთავრობა“ არ თანაუგრძობს სისხლისღვრას, ეთანხმება რა ქრისტიანულ მოძღვრებას ომების მოსპობის, საომარი იარაღების მიწის სამუშაო იარაღად გადაკეთების შესახებ (ესაია, 2, 4; იოველი, 4,10; მიქა, 4, 3). „მაგრამ ახლო მომავალში ამისი მოლოდინი შეცდომა იქნება, – განუცხადა მიტროპოლიტმა ამბროსიმ ჯარისკაცებს. – ისტორიული მსვლელობა იძულებული ჰყოფს ჩვენს ერს შეურიგდეს მწარე სინამდვილეს. ისტორია მეორდება. მუდამ ამნაირი იყო ჩვენი ხალხის ცხოვრება-მდგომარეობა... მაგრამ პატარა საქართველო, როგორც ბიბლიური პატარა დავითი, წინააღმდეგობადა ხოლმე გოლიათებს და ხმლით იცავდა თავის სამშობლოს“ (ფსალმუნნი, 151, 1-7. – ჯ.გ.). მეუფემ ჯარისკაცებს შეახსენა, რომ ისტორიულად ქართველთა უძლეველობის წყარო იყო სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული; მოუწოდა მათ მამულის სიყვარულის გრძნობა, რომელიც „თქვენც გიღვივით გულში“, გაიორკეცონ სარწმუნოებით და ეკლესიისადმი სიყვარულით, „მაშინ უძლეველი იქნებით, მაშინ სირცხვილეულ იქნებიან მტერნი ჩვენის თავისუფლების.

მაშ, განიხარე ტკბილო სამშობლოვ, შენი საუკეთესო შვილნი შემოკრებილან დღეს სადღესასწაულოდ, რომ ამით მტკიცედ შეკავშირდნენ ჩვენის თავისუფლების მტრებთან საბრძოლველად.

განიხარე შენც, დედა ეკლესიავ, შენნი შვილნი შენ გიგონებენ, შენს ლოცვა-კურთხევას წარიმძღვარებენ თავის სამშობლოს დასაცველად მოღვაწეობაში.

ღმერთო, მიეცი ამათ ძალა საქართველოს მტერთაგან ხსნაში, რომ სამშობლომ შეიძლოს თავისუფლების განმტკიცება და კულტურის გზაზე ჩვენი ერის ჩქარის ნაბიჯით სიარული.“³⁹⁴

საქართველოს თავისუფლების თემა, იდეა არის მთავარი ლაიტმოტივი მიტროპოლიტი ამბროსის ქადაგებისა 1920წ. 28 თებერვალს (12 მარტს) – დამფუძნებელი კრების მოწვევის წლისთავზე (ახლადარჩეულმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 1919წ. 12 მარტს დაამტკიცა და მისმა წევრებმა ხელი მოაწერეს 1918წ. 26 მაისს გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს). თავისი ქადაგება მან ამჯერად პავლე მოციქულის სიტყვებით დაიწყო, რომ თავისუფლება არის ნიჭი ღვთისა (გალატ. 5, 13), რომელიც „წავვერთვა ამქვეყნიურის უსამართლობით და ძალმომრეობით;“ დამოუკიდებლობის აქტმა კი „დაგვიბრუნა ეს თავისუფლება და, რასაკვირველია, ეს დღე მათთვის, ვინც მოტრფიალეს თავისუფლებისა, ვინც მას მოელოდა და მისთვის იბრძოდა, არის დიდი სიხარულის დღე“, – განაცხადა მეუფემ და მოუწოდა მრევლს, რომ არსებული წესწყობილების პირობებში „ხალხის სინდისმა თვალყური უნდა ადევნოს მათ მოქმედებას, ვისაც ცხოვრება აყენებს მართვა-გამგეობის სათავეში. ახლა პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს უფლებამოსილთა თვითნებობისგან, ვინაითგან დაიმსხვრა ბორკილები, რომლითაც მრავალი საუკუნეობის განმავლობაში შებოჭილი ვიყავით, თვითოეული ჩვენგანი პასუხისმგებელია მხოლოდ ღვთის და სინდისის წინაშე, წინაშე მართლმსაჯულებისა და კანონის. საქართველოს რესპუბლიკისათვის დიდმნიშვნელოვანია ეს დღე, როგორც დღე დამფუძნებელი კრების მოწვევის და ამ გზით ჩვენი თავისუფლების გამაგრებისა და კანონიერების გზაზე დადგომისა.“ ეროვნული და პიროვნული თავისუფლება, მიტროპოლიტი ამბროსის აზრით, „უნდა გამოიხატოს მოძმეთადმი სიყვარულში, პატივისცემაში მოძმის პიროვნებისა, მისი რწმენისა და მისწრაფებისა. თუ ჩვენ სიტყვით ვქადაგებთ თავისუფლებას და საქმით მას ვარღვევთ და ვსცდილობთ მხოლოდ პირადი თავისუფლებისათვის, მაშინ ეს იქნე-

394. იქვე, გვ. 283-287.

ბა არა თავისუფლება, არამედ თვითნებობა.“ იმჟამინდელ საქართველოში მეუფე ვერ ხედავდა ნამდვილ პიროვნულ თავისუფლებას, რადგანაც „პიროვნების დაფასება გარეშე პარტიული თვალსაზრისისა არ არსებობს.“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ ვითარებას ის ადარებს ძველ წესწყობილებასთან და აღნიშნავს, რომ კვლავაც არსებობს დიდებისმოყვარეობა „დემოკრატიულ არისტოკრატიის“, კვლავაც ვხედავთ „ახალ მოდის თავადობას“; არ ჩამოვრჩებით ძველ წესწყობილებას მოხელეების მექრთამეობის მიხედვითაც; ახლაც კაცი კაცისთვის მგელია, ისევ სუფევს ერთმანეთის შეუბრალებლობა. თავისუფლებამ თუ ვერ განკურნა საზოგადოება ყველა ამ სენისგან, „მიზეზი იმაშია, რომ ჩვენ მოღვაწეობაში და მოქმედებაში ნამეტანათ შევამცირეთ ზნეობრივი ელემენტი, განვდევენთ შკოლიდან³⁹⁵ და ცხოვრებიდან ქრისტეს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლა, ურომლისოდ ჩვენი მოღვაწეობა ცალმხრივია, მას არ ასულიერებს ღვთის სასოება ჩვენში, ერთმანეთის სიყვარული, ურომლისოდ თავისუფლება იღებს არასასურველ მიმართულებას. უამისოდ თავისუფლება ორივე გვერდით მჭრელი მახვილია, რომელმაც შეიძლება მოგვიტანოს სარგებლობის წილ მავნებლობა, გაამეფოს ანარქია. ამისთვის თავისუფლება, პეტრე მოციქულის თქმით, არა საფარველად უკეთურებისა უნდა გვექონდეს, არამედ ძმათა სიყვარულისთვის (პეტრე, 1, 2, 1-7), ხოლო პავლესით – „არა მიზეზად ხორცთა,“ არამედ სიყვარულით ურთიერთარს მორჩილებისათვის (გალატ., 5, 13), მშვიდობა და ძმური სიყვარულის დაბრუნებისთვის ამქვეყნად. „უკე თუ ურთიერთარს იკბინებოდეთ და შეიჭმებოდეთ, იხილეთნვე უკვე ურთიერთარს განილინეთ (ibid, 5, 15).“ ერთი სიტყვით, მხოლოდ ის თავისუფლებაა ჭეშმარიტი, – გვასწავლის მიტროპოლიტი ამბროსი, – რომელსაც საფუძვლად უდევს „ქრისტეს ზნეობრივი სწავლა“, მხოლოდ ამ შემთხვევაში „გაიფურჩქნება ჩვენი სამშობლო მხარე და ვიქნებით ბედნიერნი.“³⁹⁶

თავის ქადაგებებში მიტროპოლიტი ამბროსი აღნიშნავდა, რომ უნდა ვიყოთ საქმიანი, მოქმედი ქრისტიანები. ამასთან დაკავშირებით ის გამოეხმაურა 1920 წ. ზამთარში გორში მომხდარ მინისძვრას, რომელსაც „სამინელი და გაუგონარი ან იშვიათად გაგონილი უბედურება“ უწოდა, რის შედეგადაც განადგურდა „სამაზრო ქალაქი გორი – ქართლის გული და ათზე მეტი დასახლებული ადგილი – სოფელი“. როგორც აფხაზეთის მღვდელმთავარმა ბრძანა, მინისძვრამ ათასობით ადამიანი ნანგრევებსქვე მოიყოლა, ათეულ ათასობით კი 15 გრადუსიან ყინვაში უსახლკაროდ, სურსათისა და ტანსაცმლის გარეშე დატოვა. ასეთ ვითარებაში „ჩვენი მოვალეობაა გამოვიჩინოთ ქრისტიანული სიყვარული, – განაცხადა მიტროპოლიტმა ამბროსიმ, – და დახმარების ხელი გაუწოდოთ გაუბედურებულთ; ამგვარი ძმათა სიყვარულის ქრისტიანული განწყობის გარეშე არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს ხსნა, რაზეც გასაგებად გვეუბნება ბიბლია, რომელიც სამინელი სამსჯავროს შესახებ მოგვითხრობს“ (საქმე, 10, 4, 31).³⁹⁷ უნდა აღინიშნოს, რომ სუხუმელებმა, განურჩევლად ეროვნებისა, მართლაც გაუწოდეს დახმარების ხელი მინისძვრის შედეგად დაზარალებულებს. 1920წ. 22-23 თებერვალს სოხუმში გამართულმა აფხაზური ინტელიგენციის ყრილობამ პირველ, რიგგარეშე საკითხად სწორედ გორში მომხდარი მინისძვრის საკითხი განიხილა; დელეგატებმა პატივი მიაგეს დალუპულებს, სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს საქართველოს მთავრობას და გადაწყვიტეს მიიღონ აქტიური მონაწილეობა დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების ორგანიზებაში.³⁹⁸

საქართველოს თავისუფლების იდეაზე, ეკლესიის ისტორიულ დამსახურებაზე

395. იგულისხმება 1918წ. 26 ნოემბრის კანონი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ. – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ. 110-111 (ჯ.გ.).

396. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.297-300.

397. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელის არქივი, ს.290.

398. Дж. Гамахария, Б.Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, гв. 103.

ქართული სახელმწიფოს წინაშე, „ღვთისმშობლის წილხვდომილი“ საქართველოს მიერ მრავალი საშიშროებისა და საფრთხის წარმატებით დაძლევაზე, მტერთა მოგერიებისა და თავისუფლების განმტკიცების წინაპირობაზე – ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და სამშობლოს სიყვარულზე ისაუბრა მიტროპოლიტმა ამბროსიმ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ თავის ქადაგებაში 1920 წლის 26 მაისს, რომელიც მოგვაქვს მთლიანად:

„მოგილოცავთ ამ დიდ და დიდმნიშვნელოვან დღეს საქართველოს განთავისუფლება-გათვითცნობიერებისას, მის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადებისას. ეს დღე სასიხარულოა ყველა ერთგული მამულის შვილისათვის; მათთან ერთად მშობლიური დედა-ეკლესიაც ხარობს, ვინაიდან ის მომხრეა თავისუფლებისა, მანაც ბრძოლით მოიპოვა ეს თავისუფლება ერის თავისუფლებაზე ადრე; ხარობს, რომ ეკლესიური თავისუფლება დაედვა საფუძვლად სახელმწიფოებრივი თავისუფლებას. ეს გარემოება გვეუბნება, რომ ჩვენი ეკლესია არ არის ღირსი დევნისა, რომ ის არ არის კლერიკალობის მიმდევარი და რომ უსამართლობა და მავნებელია ტრაფარეტულად მივსდით საფრანგეთის მაგალითს ეკლესიასთან ურთიერთობის დამყარების საქმეში. ჩვენში ეკლესიის თავისუფლებას მოყვა ერის თავისუფლება და დედა-ეკლესიაც თავის შვილთ უგზავნის ლოცვა-კურთხევას, ულოცავს თავისუფალ განვითარების გზას.

საქართველოს ისტორია გვიმტკიცებს, რომ ეკლესიამ დიდი ამაგი დასდო ჩვენს სამშობლოს, იხსნა ის გადაგვარება-განადგურებისაგან; მრავალი საუკუნოების განმავლობაში აუარებელ მძლავრ მტრების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სარწმუნოება ამაგრებდა და აძლევდა სიმხნეს ქართველ ერს და ეს მრავალმონამე ერი, ეს იობი ხალხთა შორის, გამოვიდა გამარჯვებული და შეინახა თავისი ენა, ზნე, ჩვეულება და ეროვნული ელფერი. ესეც ცოტაა, აი, აუარებელი სიმრავლე მონუმენტალურ ნაშთებისა, რომელთა გარეგნული ხუროთმოძღვრული მოხაზულობა, მეცნიერთა სიტყვით, მისულა უმწვერვალეს განვითარებადის. აი, სიმრავლე ხელთნაწერებისა, გონების ნაწარმოებებისა, რომელთა მეოხებით ჩვენ გვიცნობენ საზღვარგარეთ კულტურულ წინაპართა შვილებათ. აი, დღეს წმ. ეკლესია იხსენიებს ექვთიმე ათონელს – მთარგმნელს და მწერალს XI საუკუნისას, რომლის ნაწარმოებთა სიმრავლე განსაკვიფრებელია. ყველა ამას აზის ბეჭედი სარწმუნოებრივ-ეკლესიური.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვდომილია და მუდამუჟამ იფარავდა მას. მაგრამ თქვენ იტყვიან, რისთვის ახლა არ გვეხმარება დედა ღვთისა ძველებურად? რისთვის მოგვაკლდა მისი მფარველობაო?

არა, ახლაც არა ვართ მოკლებული ღვთისმშობლის მფარველობას და ღვთის მოწყალებას, მაგრამ ჩვენ ჩვენის მცირე მორწმუნეობისა გამო არ ვხედავთ მას, არ გვინდა დავინახოთ. მოიგონეთ უკანასკნელი სამი წელიწადი. რა საშიშროება არ მოელოდა ჩვენს სამშობლოს? ფრონტიდან დაბრუნებული ჯარი გვემუქრება წალეკვას, მაგრამ აგვცდა, გადავრჩით უვნებლად.³⁹⁹ ანარქია და სამოქალაქო ომმა მოიცვა მთელი რუსეთი, ჩვენში კი, თუმცა იყო ნიადაგი, სცდილობდნენ შინაური და გარეული მტრები, მან ვერ მოიკიდა ფეხი;⁴⁰⁰ ამხედრდნენ ჩვენს წინააღმდეგ მეზობლები: ოსმალნი,⁴⁰¹ სომხები⁴⁰² და რუსის მოხალისენი,⁴⁰³ მაგრამ მოგვეცა ძალა; მოგვადგა

399. ბოლშევიკებმა 1918 წლის იანვარში სცადეს თვითდემოკრატიული რუსული ჯარის გამოყენება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ქართულმა კორპუსმა და სახალხო გვარდიამ რუსის ჯარი თბილისში არ შეუშვა (ჯ.გ.).

400. 1818-1819 წლებში ბოლშევიკებმა საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში – აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, სამაჩაბლოში, დუშეთში და სხვაგან სცადეს ამბოხების მოწყობა (ჯ.გ.).

401. იგულისხმება 1918 წლის აპრილ-მაისში განხორციელებული თურქული აგრესია (ჯ.გ.).

402. იგულისხმება სომხეთის თავდასხმა საქართველოზე 1918 წლის დეკემბერში (ჯ.გ.).

403. მოხალისეთა არმიამ ნ. დენიკინის სარდლობით 1919 წლის 6 თებერვალს სოჭი და გაგრა დაიკავა (ჯ.გ.).

დიდი გრიგალი ბოლშევიზმისა,⁴⁰⁴ მაგრამ ესეც აგვცდა; ბოლოს ახლაც გვეომება სხვისგან ზურგმომაგრებული ყოფილი ჩვენი მოკავშირე სახელმწიფო (ადერბაიჯანი),⁴⁰⁵ მაგრამ სირცხვილულ იქმნება ეს მოლაღატეც... ვისი ხელი მოქმედებს ამ შემთხვევაში? ვინ გვიფარავს?

თვით სათავეში მყოფნი და პასუხისმგებელნი პოლიტიკაში გვეუბნებიან: „გარემოება ხელს გვინყოფს“, მაგრამ რაა ეს გარემოება? განა ეს ყველა ბრმა შემთხვევაა? განა მასში არ არის აზრი და ნესრიგს არ ექვემდებარება? ვინ არის ამ მიზანშეწონილობის, კანონიერობის მიზეზი? ვინ აძლევს ამ შემთხვევა-გარემოებებს აზრს, თუ არა ღმერთი. ამ დასკვნამდე მიდის მორწმუნე ადამიანი და მართალიცაა ის.

იესო ქრისტეს მონაფენი ერთხელ გენისარეთის ზღვაზე ნავით მიდიოდნენ; იყო შუა ღამეს გადაცილებული. ამოვარდა ქარი, დაიწყო ღელვა, მათ საშიშროება მოეწოდებოდა, შეშინებულნი არიან. ამ დროს ხედავენ ზღვის ზედაპირზე მოდის ქრისტე, მათ მიიღეს მოჩვენებათ და უფრო შეშინდნენ. ქრისტე მაცხოვარმა უთხრა მათ: „ნუ გეშინისთ, მე ვარო“ და დამშვიდდა ბუნება.⁴⁰⁶ ახლაც ჩენთანაა ქრისტე.

როდესაც პეტრე იხრჩობოდა, ზღვაში მომავალ ქრისტეს შესთხოვა: „უფალო, მიხსენ მეო“; მან გაუნოდა ხელი და უთხრა: „ნუ გეშინის, მე შენთანა ვარო“.

მაშ, თავისუფალო სამშობლოვ, ნუ შეგეშინდება ცხოვრების ტალღების. ჩვენთან არს ღმერთი და როდესაც პეტრესაებრ შევსთხოვთ მას: „უფალო, გვიხსენ ჩვენო“, ის გვეტყვის: „გამხნევდით, ნუ გეშინისთ, მე თქვენთანა ვარო“. მაშინ ჩვენ მარტონი არ ვიქნებით: ჩვენი შემწე იქნება ღვთისმშობელი და ქრისტე მაცხოვარი.

მაშ, მოვიკრიბოთ, აღვიჭურვით სარწმუნოებით და ღვთისადმი სასოებით და ამას შეუერთოთ თავგანწირული სიყვარული სამშობლოსადმი. მაშინ მტრები სირცხვილულ იქმნებიან და ჩვენი ერის თავისუფლებაც განმტკიცდება. მაშინ ჩვენი სიხარულიც იქმნება სრული და სამარადისო.

„უკეთუ ღმერთი ჩვენ კერძო არს, ვინა არს ძვირის მყოფელ ჩვენდა“ (რომ. 8, 31).⁴⁰⁷

1921 წლის 14 იანვარს სოხუმის რაზმის (ათასეულის) მესამე წლისთავთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში მიტროპოლიტმა ამბროსიმ კვლავ ისაუბრა სარწმუნოების მნიშვნელობაზე სამხედრო წარმატების საქმეში, მოიტანა სარწმუნოებისთვის და სამშობლოსთვის ბრძოლის გმირული მაგალითები (თემურ ლენგის, ნადირშაჰის წინააღმდეგ), მაგლობა გადაუხადა მეომრებს იმის გამო, რომ სოხუმის „რაზმის თუ ათასეულის არსებობის სამი წლისთავი დაუკავშირეთ სარწმუნოებას, რომ გაიხსენეთ ღმერთი, მას სწირავთ მაგლობას. ეს ჩვენი მხედრობის ზრდაში დიდი სანუგეშო მოვლენაა.“ დასასრულს, მეუფე უსურვებს მეომრებს „დღეგრძელობას, ღვთის მფარველობას, სიმხნევეს და მტერთა ზედა ძლევას.“⁴⁰⁸

მიტროპოლიტი ამბროსის ქადაგებები, მთელი მისი საქმიანობა აფხაზეთში გვარწმუნებს ცნობილი საზოგადო მოღვაწის რაფიელ ივანიცკის სიტყვების სისწორეში: „ამ გაუტანლობისა და ინტრიგობის ხანაში მიტროპოლიტის ხარისხზე აყვანილი ამბროსი ბრძნულად და განსაცვიფრებელის პოლიტიკური ნიჭით განაგებდა ცხუმ-ბედიის (ცხუმ-აფხაზეთის – ჯ.გ.) მეტად საპასუხისმგებლო ეპარქიას. მისი გავლენა და პოპულარობა აფხაზეთში დღითიდღე იზრდებოდა და ბოლოს იგი შეიქმნა მუნ ცენტრალურ პიროვნებად, რომელიც ამ კუთხეში განსასხიერებდა საქართველოს მთლიანობის

404. უნდა იგულისხმებოდეს 1920 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ჩრდილოეთ კავკასიაში, სოჭის ოლქში და აზერბაიჯანში (ჯ.გ.).

405. იგულისხმება გასაბჭოებული აზერბაიჯანის მხრიდან 1920 წლის მაისის დასაწყისში რუსეთის მე-11 არმიის ნაწილების შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე (ჯ.გ.).

406. იხ. მათე, 14, 24-34; მარკოზი, 6, 47-51, 53 (ჯ.გ.).

407. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.304-307.

408. იქვე, გვ. 310-312.

იდეას“ (აქვე, დოკ. №81). ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ნამდვილად იქცა როგორც სულიერ, ისე არაფორმალურ პოლიტიკურ ლიდერად, რომელიც მუდმივად ქადაგებდა როგორც წმინდა რელიგიურ-სარწმუნოებრივ საკითხებზე, ისე ქვეყნის ერთიანობაზე, თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, გარეშე მტრებთან ბრძოლის აუცილებლობაზე, სხვა პოლიტიკურ პრობლემებზე; ყველა ამ საკითხს იგი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან მჭიდრო კავშირში განიხილავდა. მიტროპოლიტი ამბროსი მის მიერ განვლილი მონამებრივი ცხოვრებისეული გზის, სამეცნიერო-პუბლიცისტური შემოქმედების, აფხაზეთში და მთლიანად ერის წინაშე განეული ღვაწლისთვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ მორწმუნე საზოგადოებაში, არამედ თბილისისა და სოხუმის სამთავრობო წრეებშიც. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის ივლისიდან 1921წ. თებერვლამდე (გასაბჭოებამდე) საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი აფხაზეთის სახალხო საბჭოში, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის I სახელმწიფო სათათბიროს (1906წ.), რუსეთის დამფუძნებელი კრების (1917-1918წწ.), საქართველოს დამფუძნებელი კრებისა (1919-1921წწ.) და აფხაზეთის სახალხო საბჭოს (1919-1921წწ.) წევრი ისიდორე რამიშვილი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გახლდათ ამბროსი ხელაიას თანაკლასელი (III-VI კლასებში) თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1885 წელს ერთად დაამთავრეს.⁴⁰⁹ ეს გარემოება, ცხადია, გავლენას ახდენდა მათ ურთიერთობებზე.

მიტროპოლიტი ამბროსი სოხუმშიც არ ივინყებდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. 1920 წელს მან მეორედ მოინახულა ბედია (პირველად 1900 წელს მოინახულა), რომელსაც ბრწყინვალე გამოკვლევა მიუძღვნა სახელწოდებით „ბედია და ბედიის ტაძარი.“ ნაშრომის პირველი ნაწილი, რომელიც ბედიის ისტორიას ეხება, როგორც ზემოთ (შესავალი) უკვე ითქვა, ავტორმა გაზეთში „მინა“ (1920წ. 11-14 ნომერები) დაბეჭდა. მეორე ნაწილი – „ბედიის ტაძარი“ – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ერთიანად ეს ნაშრომი 2006 წელს გამოქვეყნდა.⁴¹⁰

ავტორმა პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ვრცლად გააშუქა ბედიის, როგორც ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის ისტორია უძველესი დროიდან XIX ს. დასაწყისამდე – ლევან V დადიანის მიერ 1814 წელს ბედიის ციხესიმაგრის აღებამდე.

ნაშრომის მეორე ნაწილი, რომელიც უფროა ცნობილი სპეციალისტებისთვის, ეძღვნება ბედიის ტაძრის ისტორიას დაარსებიდან – Xს. ბოლოდან (999წ.) 1920 წლამდე. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის ფონზე განხილულია ბედიის საეპიკოპოსოსთან დაკავშირებული პრობლემები. ეხება რა გუდაყვის ბერძნული კათედრის გაუქმებისა და ბედიაში მისი გადატანის საკითხს, ავტორი ხაზს უსვამს, რომ ეს მოვლენა „უნდა ყოფილიყო შედეგი საქართველოს სამეფოს აღორძინებისა, რომელსაც მოჰყვა საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაცია.“⁴¹¹ „ნაციონალიზაცია“ გაცილებით უფრო სწორი და მისაღები ტერმინია, ვიდრე კ. პატკანოვისა და აგრეთვე ნ. მარის მიერ შეთხზული, შემდგომში ერის ეთნოგენეზის კომუნისტურ იდეოლოგიას მორგებული, ამ გზით კი ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვირვებელი „ქართიზაცია“⁴¹². აღნიშნული თეორია „არაქართულ“ დასავლეთ საქართველოში ქართული ცნობიერებისა და კულტურის არსებობა – განვითარებას VII-IX საუკუნეებში ამ რეგიონის „ქართიზაციით“ ხსნის, რაც ძირშივე მცდარია. მიტროპოლიტი ამბროსის მიხედვით კი, იმთავითვე ქართველებით დასახლებულმა დასავლეთ საქართველომ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ჩათვლით კონსტანტი-

409. სცსსა, ფ.440, აღწ.1, ს.823, ფ.103ა, 173; ს.873, ფ.16ა, 65ა, 79; ს.3223, ფ.13, 15; ს.4270, ფ.2-4 და ა.შ.

410. ნმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.606-677.

411. იქვე, გვ.623.

412. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ.620; ნ.ლომთური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ.48.

ნოპოლისაგან საეკლესიო და პოლიტიკური გამიჯვნის შემდეგ (IX ს. მეორე ნახევარი) უარყო თავსმობხვეული ბერძნული, მოახდინა რა ეკლესიისა და სახელმწიფო ცხოვრების გაეროვნულება, განაცინალურება, ნაციონალიზაცია. აღნიშნული მოსაზრება ზუსტად ასახავს IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში განვითარებულ პროცესებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ყბადაღებულ „ქართიზაციასთან“.

ნაშრომში „ბედია და ბედიის ტაძარი“ დიდი ყურადღება ეთმობა ეპიგრაფიკას. აღსანიშნავია, რომ ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში – 1900 წელს სამშობლოში ჩამოსულმა ამბროსი ხელაიამ ბედიის ტაძარი მოინახულა, გაეცნო მის ეპიგრაფიკას; პირველმა ამოიკითხა ანტონ ჟვანის ძის სახელი წარწერაში ილორის მეორე ხატზე, რომელიც თავის დროზე აკად. მ. ბროსეს ვერ შეუნიშნავს; 1912 წელს კი, – წერდა ავტორი, – გვექონდა შემთხვევა, გვეთქვა რამდენიმე სიტყვა საწინააღმდეგოდ „სოხუმელი არქეოლოგების“ იმ აზრისა, რომლითაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ ცხოვრება და მოღვაწეობა მიტროპოლიტ ანტონი ჟვანის ძისა ეკუთვნის ვითომ XIV საუკუნეს (Сотрудник, 1912, №20, გვ. 312 და 313)“. აღნიშნული წერილის (ყურნალ „სოტრუდნიკის“ მითითებული ნომრის) მიგნება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ბედიის ტაძრის ეპიგრაფიკის, როგორც ისტორიული წყაროს, ანალიზის საფუძველზე ამბროსი ხელაია ცდილობს დაადგინოს მასში მოხსენიებული ისტორიული პიროვნებების ვინაობა, გაარკვიოს ტაძრის, ასევე მის გარშემო არსებული სხვა ნაგებობების (სამიტროპოლიტო სასახლის) აშენებასა და რესტავრაციასთან დაკავშირებული საკითხები.⁴¹³

ნაშრომში საუბარია ბედიის გულანზე, აგრეთვე ტაძრის რელიკვიებზე; პირველად მასში არის საკმაოდ ვრცლად გაშუქებული ბედიის ვლაქერნის ხატისა და ღვთისმშობლის სარტყლის მრავალსაუკუნოვანი ისტორია;⁴¹⁴ გარკვეული უზუსტობებით, მაგრამ ძირითადად მაინც დადგენილია ბედიელთა რიგი, ნაჩვენებია მათი ადგილი და როლი ქვეყნის საეკლესიო თუ საერო ცხოვრებაში.⁴¹⁵ ავტორი ყურადღებას ამახვილებს შინაგან სამონასტრო ცხოვრებაზე, აკეთებს დასკვნას, რომ ბედიის მონასტერში იერუსალიმის ეკლესიის წესი მოქმედებდა.⁴¹⁶ ამბროსი ხელაიამ ამჯერადაც ვერ აუარა გვერდი აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის საკითხებს და ბედიის კათედრის XVIII ს. ბოლოს დაცარიელების მიზეზებზე საუბრისას გაიმეორა ქართველ და რუს ისტორიკოსთა დასკვნა აფხაზთა მიერ გაგრის ვინრობების გადალახვისა და XVII საუკუნეში გუდაუთის მაზრის დაკავების შესახებ, რასაც იქიდან ქართველთა ერთი ნაწილის გასახლება, ხოლო მეორე ნაწილის მომხვედურებში გათქვეფა მოჰყვა.⁴¹⁷

დასკვნით ნაწილში ავტორმა ბედიის ტაძრის აღდგენის აუცილებლობას, მის სარწმუნოებრივ, ეროვნულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. მიტროპოლიტი ამბროსი წერდა:

„ახლა დროება გამოიცვალა. სოხუმში ზის ქართველი მღვდელმთავარი. ბედიის აღდგენას არავინ გაუნევეს წინააღმდეგობას, მხოლოდ საჭიროა სურვილი და საშუალება. ამისთვის, იმედია, მთავრობაც არ დაიშურებს საშუალებას და გადადებს საჭირო თანხას.

იტყვიან, რა საჭიროება მოითხოვს ბედიის ტაძრის აღდგენას? რა სარგებლობა შეუძლია ამას მოუტანოს ჩვენს სახელმწიფოებრივობას? რით იქნება ანაზღაურებული განეული ხარჯი? ამ კითხვებზე საპასუხოთ საჭიროდ მიგვაჩნია ვსთქვათ ორიოდ სიტყვა.

413. ნმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.626-634.

414. იქვე, გვ.642-653.

415. იქვე, გვ.654-661.

416. იქვე, გვ.663-664.

417. იქვე, გვ.667.

იმნაირ კუთხეში, როგორც აფხაზეთია, სადაც მაჰმადიანობა თანდათან ვრცელდება, საჭიროა ვეცადოთ, ხალხი დავუბრუნოთ იმ სარწმუნოებას, რომელსაც აღიარებდნენ მათი მამა-პაპანი, და რომელთან თვითონაც ჯერ-ჯერობით არ შეუწყვეტიათ კავშირი, – ქრისტიანობა აღდგენილ იქმნას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შევისწავლოთ ხალხის ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულება, მისი მიდრეკილებანი და მისწრაფებანი. ესეც ცოტაა. საჭიროა მისი წარსული ცხოვრების შესწავლა, შესწავლა იმ ისტორიული გზის, რომელიც მას გაუვლია და რომელმაც ის მიიყვანა აწინდელ მდგომარეობამდის. თითოეული ხალხის მდგომარეობა არის ნაყოფი მისი მრავალი საუკუნეების განვლილ ცხოვრებისა. მართალია, ხალხის განვითარება ემორჩილება ერთ და იმავე კანონებს, მაგრამ ყველა ხალხის ცხოვრებაში ერთნაირად არ მოქმედებენ ეს კანონები და ეს დამოკიდებულია პირობების სხვა და სხვაობისაგან. ხალხის ხასიათი, მისი ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი იმ ადგილისა, სადაც სცხოვრობს ესა თუ ის ხალხი, ჰავის პირობები, ნიადაგის ასეთი თუ ისეთი ნაყოფიერება და მრავალი სხვა აძლევს ასეთ თუ ისეთ ხასიათს ხალხის ცხოვრებას. ამისთვის თვით ხალხის განვითარების კანონს, რომელზედაც აქვს გავლენა ამ პირობებს, არა აქვს უნივერსალური ხასიათი და ყოველი ხალხის განვითარებას აძლევს თავისებურ, ტიპურ ხასიათს. აქედან ცხადია, რომ ხალხის კულტურულ გზაზე დაყენებისათვის საჭიროა მისგან გავლილი ცხოვრების შესწავლა. არ შეიძლება შევსწავიყოთ კავშირი ხალხის წარსულ ისტორიასთან. პირიქით, ახალი უნდა დავაშენოთ იმ საძირკველზე, რომელიც მრავალი საუკუნეების განმავლობაში დიდი შრომით და მეცადინეობით ხალხს ჩაუყრია თავის ცხოვრებაში.

ძველი ნაშთები აფხაზეთში – ბიჭვინთა, ლიხინი, ჰსირცხა, დრანდა, მოქვი, ილორი, ბედია და სხვანი თავისი ძველი ტაძრებით გვიმტკიცებენ, რომ ეს საძირკველი იყო მაგარი და რომ აფხაზეთის ძველი ქრისტიანული კულტურა ღირსია ყურადღებისა და შესწავლისა.

თვითოეულ ხალხს უყვარს თავისი წარსული და დრო გამოშვებით მას აქვს მოთხოვნილება ეძიოს იდეალები თავის წინაპრების ცხოვრებაში. ეს კაცის ბუნების მოთხოვნილებაა. რაგინდ დიდი განათლებული იყოს კაცი, მას არ შეუძლია იცხოვროს მარტო აწმყოთი და იფიქროს მხოლოდ მომავალზე, ჩვენი აზროვნება ხშირად მიიმართება შორეულ წარსულისაკენ, რომლის შეუსწავლელად არ შეიძლება სავსებით გავიგოთ აწმყო და ავიცდინოთ თავიდან ის შეცდომები, რომლებიც წარსულში დაგვიშვია. ამისთვის უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ხალხის ისტორიულ ტრადიციებს და თუ ხალხს ავინყდება და ან ბუნდოვნათ აქვს წარმოდგენილი ეს ტრადიციები, ჩვენი მოვალეობაა მოვავგონოთ იგი. საჭიროა მოვავგონოთ ხალხს ის კავშირი და პირობები, რომელთა საშუალებით ის ანხორციელებდა თავის სარწმუნოებრივ ცხოვრებას. მხოლოდ მაშინ იქნება საიმედო ხალხის სარწმუნოებრივად განათლების მიღწევა. ის ეტყვის აფხაზებს, რა დიდი სარწმუნოებრივი კავშირი იყო ძველათ ქართველთა და აფხაზთა შორის.

არა მარტო სარწმუნოებრივად, არამედ ეროვნულად და პოლიტიკურადაც ბევრ რამეს ეუბნება ისტორია აფხაზეთის მკვიდრთ. ის უჩვენებს მათ, რომ მტკიცე იყო ძველად კულტურული და პოლიტიკური კავშირი ქართველთა და აფხაზთა შორის. ამისი მაჩვენებელი არიან ქრისტიანული ნაშთები, რომლებითაც მდ (იდარია, აფხაზეთი. ეს არის)⁴¹⁸ საუცხოვო არქიტექტურული ნაშთები, ფრესკები და წარწერები, ხელთნაწერები და ზემოთ მოთხრობილ მატრიანეებით. აფხაზეთი, როგორც გვიმტკიცებენ ეს ნაშთები, ყოველთვის და განსაკუთრებით ქრისტიანობის დასაწყისიდანვე ეკლესიურად და (პოლიტიკურად საქართველოსთან ერთად შეადგენდა გ(ანუ)ყოფელ მთლიან ერთეულს. ეს ნაშთები ეუბნებიან აფხაზებს, რომ ისტორიისაგან ჩვენთ-

418. აქ და ქვემოთ ფრჩხილებში ჩასმულია დაზიანებული ტექსტიდან ჩვენს მიერ ამოკითხული ადგილები.

ვის ნაჩვენები გზა არის ქვეშარიტი გზა, რომ მრავალი საუკუნეების განმავლობაში ღრმად იყო ჩაყრილი ერთობის საძირკველი ქართველთა და აფხაზთა ცხოვრებაში და შეუძლებელია ახლა გადავუხვიოთ ამ ისტორიულ გზას, ხალხის ცხოვრების ჩარხი უკუღმა დავატრიალოთ. ხალხი, რომელიც უარყოფს ისტორიულ გზას, არ იხელმძღვანელებს ისტორიული გამოცდილებით, სწყვეტს მასთან კავშირს, ძნელად შეიძლება გამოვიდეს კულტურულად განვითარების (გზაზე და ვერ) წავა წინ ჩქარის ნა(ბიჯით). (ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენ და...“⁴¹⁹

ნაშრომის – „ბედია და ბედიის ტაძარი“ – მთელი რიგი დებულებები გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. რა თქმა უნდა, მასში გვხვდება სადავო და ზოგჯერ არასწორი დასკვნებიც.⁴²⁰ მიუხედავად ამისა, იგი დღემდე რჩება ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად აღნიშნულ თემაზე.

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია მიტროპოლიტი ამბროსის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდა II საეკლესიო ყრილობის მომზადებასა და მუშაობაში. აფხაზეთის სახელმწიფო არქივში დაცული იყო წინასაყრილობო სათათბიროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც მთლიანად ქართული ეკლესიის, მათ შორის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინასაყრილობო პლატფორმას წარმოადგენდა. მასში მკვეთრად უარყოფითი შეფასება ეძლეოდა საქართველოს „მატერიალისტურ-სოციალისტური მთავრობის“ საეკლესიო პოლიტიკას, მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს: საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებას ყველა სასწავლებელში და ამ სასწავლებელთა უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევის განზრახვას, საეკლესიო და სამონასტრო ადგილ-მამულების ჩამორთმევას, საუფლო დღესასწაულთა უმეტესობის (დიდი პარასკევი, ფერისცვალება, ჯვართამაღლება, მიძინება ღვთისმშობლისა და ა.შ.) სადაგ-სამუშაო დღეებად გამოცხადებას და სხვა. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა გაუმართლებლად იყო მიჩნეული, პირველ რიგში, ისტორიული რეალიების გათვალისწინებით. განსხვავებით საფრანგეთისგან, რომელსაც ბაძავდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, საქართველოს სახელმწიფო და ეკლესია „ძველთაგანვე ერთ სხეულად იყო შედუღებული, ერთი მეორეში დაიბადა, ერთი მეორეს ზრდიდა, აცხოველებდა... ქრისტეს ემბაზში იშვა ქართველი ერი, აღორძინდა და აღიზარდა ის ახალი ცხოვრებისთვის. აქ ჩაისახა მისი მწერლობა, მნიგნობრობა, ფრთა გაშალა ხუროთმოძღვრებამ და საზოგადოდ ქართულმა ხელოვნებამ... ხოლო ყოველი ეს არის ნაწარმოები ქართველი ერის ცხოველი სარწმუნოების გენიისა; ეს არის ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც გამოაფოლადეს ქართველი ერის არსებობაში ქრისტეს ღვთაებრივმა სჯულმა. ამიტომ ქართველი ერიც ისე უფრთხილდებოდა თვის სჯულს, როგორც თვალის ჩინს. უნივერსალურ, საკაცობრიო და საერთაშორისო მნიშვნელობასთან ერთად ქრისტიანობამ მიიღო ჩვენში ღრმა ნაციონალური ხასიათიც. სჯული და მამული ერთმანეთს განამტკიცებდნენ ხოლმე. ისინი ხელისხელ ჩაკიდებულები მიდიოდნენ ჭირში თუ ლხინში. ასე იყო ძველად, ასე იყო რუსთა ბატონობის დროსაც... საქართველო და მისი ეკლესია ერთად ვლიდნენ XIX საუკუნის ეკლიან გზაზე; ერთად დაისახეს მათ განთავისუფლების იდეა, ერთად ზრდიდნენ და ამოძრავებდნენ ისინი ამ იდეას და ერთ დროს ეღირსნენ კიდევ ამ სანუკვარი მიზნის განხორციელებას.“

წინასწარი სათათბიროს შეფასებით, სახელმწიფოსა და ეკლესიის გათიშვა არ იყო მიზანშეწონილი საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობის გამოც; მტრულ გარემოცვაში მყოფი ნორჩი რესპუბლიკის გადარჩენისათვის არა გათიშვა, არამედ ყველა პატრიოტული და კულტურული ძალის გაერთიანება იყო საჭირო.

419. იქვე, გვ.673-676. ხელნაწერის უკანასკნელი ნახევარი სტრიქონი დაზიანებულია.

420. იხ. გ. კალანდია. ოდიშის საეპისკოპოსოები. აბ., 2004, გვ. 77-122; ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I. თბ., 2005, გვ. 21-74; გ. არახამია. ვლადიკავკასიის წმ. ღვთისმშობლის ხატი ბედიის ტაძარში. – მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. თბ., 2005, გვ. 100-107 და ა.შ.

ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა ძლიერ ნაადრევია და სახიფათო, ნათქვამია დოკუმენტში, ვინაიდან 100 წლიანმა პოლიტიკურმა მონობამ დაასუსტა მართლმადიდებლობა (განსაკუთრებით განაპირა მხარეებში) და მასთან ერთად დააქვეითა განათლება, პატრიოტული გრძობა. წინასწარი სათათბირო აცხადებდა, რომ სახელმწიფოს ნებაა ამა თუ იმ გადანყვეტილების მიღება, მაგრამ ეკლესია „ვერასოდეს ვერ აიღებს ხელს თვის მორწმუნე ერზე, ამ ხნის განმავლობაში ნაცად გავლენაზე და დედობრივ მზრუნველობაზე. ჩვენი ეკლესია მუდამყამ ეცდება, რომ ჩვენს ერში და ქვეყანაში სწარმოებდეს მაღლი ღვთისა, ჩვენს ურთიერთობაში ტრიალებდეს მისი მამობრივი მონყალე თვალი და სუფევდეს ჩვენში მშვიდობა, დათმობა და დაზოგვა, სიყვარული, სიბრალული, სინმინდე და სიხარული სულითა წმინდითა.“⁴²¹

წინასწარი სათათბიროს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში მოცემული შეფასებები საფუძვლად დაედო 1920 წლის ივნის-ივლისში შემდგარ მეორე საეკლესიო კრების (გაიხსნა 27 ივნისს) გადანყვეტილებას ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის თაობაზე. კრებამ სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილა: კათალიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტი ლეონიდე აირჩია, იმსჯელა ჭყონდიდელის არჩევნებთან დაკავშირებით, მიიღო გადანყვეტილება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის შესახებ, დაამტკიცა „დებულებანი მიღებული სრულიად საქართველოს 1920 წლის საეკლესიო კრების მიერ“, რომელიც მოიცავს შემდეგ თავებს: 1) საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა; 2) მთავარი გამგეობა; 3) საეპარქიო მართვა-გამგეობა; 4) საოლქო მმართველობა; 5) სამრევლო; 6) საეკლესიო სამართალი.

II საეკლესიო კრებამ დააკანონა შემდეგი ეპარქიები: 1. მცხეთისა და ტფილისისა, 2) ალავერდისა, 3) ბოდბისა; 4) ურბნისისა; 5) აწყურისა; 6) ქუთაისისა; 7) გენათისა; 8) ნიკორწმინდისა; 9) ცაგერისა; 10) ჭყონდიდისა; 11) ბათომ-შემოქმედისა; 12) ცხუმ-აფხაზეთისა.⁴²² მცხეთა-თბილისის მწყემსმთავრად განისაზღვრა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, რომლის ტიტულს დაემატა „მთავარეპისკოპოსი მცხეთისა და ტფილისისა;“ გაიმართა მსჯელობა აფხაზეთის საკითხზეც. კრებამ დაადგინა, რომ „საქართველოს ეკლესიებში დანესებულ იქმნეს რომელიმე დიდ საუფლო დღეს მორწმუნეთა შორის კეთილმნებელობითი შეწირულობის შეკრება აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცების საჭიროებათათვის.“ მოგვიანებით (1921 წლის 31 იანვარს) კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე, შეახსენებდა რა საკათალიკოსო საბჭოს II საეკლესიო კრების ამ დადგენილების თაობაზე, წინადადებას აძლევდა „მას, შევიდეს ამის შესახებ დანვრილებით მსჯელობაში, ე.ი. დანიშნოს შეწირულობათა შესაგროვებელი დღეც და გამოიმუშაოს კიდევ ყველა საჭირო წინასწარი ზომებიც. ჩემის მხრით დავსძენ, რომ აღნიშნული დიდმნიშვნელოვანი დადგენილების განხორციელების შესაფერის დღედ ვთვლი ბრწყინვალე პასექს და შემდეგ კვირიაკებას სული წმიდის მოფენამდე“.

მეორე საეკლესიო კრების დელეგატებმა აფხაზეთიდან საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას 1920 წ. 15 ივლისს მოხსენება წარუდგინეს. მასში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთში ღრმად მოიკიდა ფეხი ისლამმა, რამაც განაპირობა 1918 წლის ზაფხულში კოდორის მაზრაში მუჰაჯირებისგან შემდგარი ასკერების ჩამოყვანა. აფხაზეთი „უმრავლესად გამაჰმადიანდნენ, – ვკითხულობთ მოხსენებაში, – და ვინც დარჩნენ ქრისტიანებად, ისინიც გამაჰმადიანდებიან თუ მთავრობამ ამ საქმეს სათანადო ყურადღება არ მიაქცია.“ ნ. ჟორდანიასგან დელეგატები ითხოვდნენ, „დაუბრუნდეს აფხაზეთის საეპარქიო მთავრობას სტამბა, რომელიც ჩამოერთვა დრანდის მონასტერს და რომელშიაც იბეჭდება ადგილობრივი პარტიული (სოციალ-დემოკრატიული – ჯ.გ.) გაზეთი “ნაშე სლოვო“ (რედაქტორი – დიმიტრი გულია –

421. ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.824-826.

422. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები, გვ.144-146.

ჯ.გ.) სტამბა საჭიროა როგორც ქართული, ისე აფხაზური საეკლესიო და ზნეობრივი წიგნების გამოსაცემად.

გადაიდოს საჭირო თანხა ქართულ და აფხაზურ გალობების და სარწმუნოებრივი წიგნების გასაავრცელებლად აფხაზეთში, თუ შესაძლებელი იქნა, მთლად უფასოდ.⁴²³

მიტროპოლიტი ამბროსის მოღვაწეობა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში, მიუხედავად ამ ფრონტისპირა რეგიონში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებისა, ფინანსური პრობლემებისა, ანტიეკლესიური სამთავრობო პოლიტიკისა, სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებისა, წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. 1919-1920 წლებში აშენდა ეკლესიები და გაიხსნა ახალი სამრევლოები კოჩარაში, ვარჩეში, ლეჩქოფში, ნებელდაში, II ჩხორთოლში, ოტობაიაში და ა.შ. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში შემოვიდნენ გაგრის, აბგარხუკის, ბომბორისა და სხვა ეკლესიები, რომლებიც 1919 წ. ოქტომბერში არ გაერთიანებულან ქართულ ეკლესიასთან. 1919 წლის ოქტომბრისთვის აფხაზეთში 93 სამრევლო არსებობდა,⁴²⁴ 1920 წლის ბოლოსთვის კი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ასზე მეტი ეკლესია ფუნქციონირებდა.⁴²⁵

აფხაზეთში და სრულიად საქართველოში არსებული ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებული რუსულ-ბოლშევიკური აგრესიის შედეგად, როდესაც დაემხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მოხდა მისი ოკუპაცია და ანექსია. ქართულმა ეკლესიამ იმთავითვე პრინციპული პოზიცია დაიჭირა ოკუპანტების მიმართ. თბილისის სამღვდელოების საპროტესტო დემონსტრაციად იქცა 1921 წლის 9 მარტს კოჯრის გამრების – ქართველი იუნკრების ცხედართა გამოსვენება მიხაილოვის საავადმყოფოდან. 33 კუბოს წინ მიუძღოდა მგალობელთა სამი გუნდი ჯვრით და შავი დროშით. პროცესია სამხედრო ტაძრამდე (დღევანდელი პარლამენტის შენობა) გაგრძელდა და მასში მონაწილეობა ათასობით ადამიანმა მიიღო. სამღვდელოება და შეკრებილი დიდძალი საზოგადოება მუხლმოყრილი გამოეთხოვა მტერთან ბრძოლაში დაღუპულ გამრებს.⁴²⁶ საოკუპაციო ხელისუფლებაც, თავის მხრივ, შეურიგებელ მტრად მიიჩნევდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია. ანტიქართული ლოზუნგებით გასაბჭოებული აფხაზეთი საოკუპაციო ორგანოების – რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (ხელმძღვანელი გ. ორჯონიკიძე), საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის და სხვა პარტიული თუ სამხედრო უწყებების წარმომადგენელთა ბათუმის თათბირის (1921წ. 28 მარტი) გადაწყვეტილებით საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად წოდებული აფხაზეთი დროებით გამოყვანილი იქნა თბილისის იურისდიქციიდან და ზემოხსენებული კავკასიის ბიუროს დაქვემდებარებაში გადავიდა. საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთში, რომელიც ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭოს 1918წ. 23 იანვრის დეკრეტით „ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის შესახებ“⁴²⁷ და ითვალისწინებდა საქართველოს რევკომის 1921წ. 15 აპრილის №21 ზუსტად იგივე სახელწოდებისა და შინაარსის დეკრეტს (აქვე, დოკ. №20), პირველი შეტევა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წინააღმდეგ განახორციელა. ამის თაობაზე მოგვიანებით, 1924 წლის 17 მარტს, კომუნისტურ „სასამართლოზე“ გამოსვლისას კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი იხსენებდა: „სოხუმში ახალი მთავრობის თითქმის პირველი აქტი იყო ქართველებისა და აფხაზებისათვის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევა და გადაცემა

423. ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 826.

424. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.463, ფ.95-96.

425. იქვე, ფ.82-83ა, 95-96, 125-125ა.

426. გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტ. სახ. მუზეუმი. ნ. თალაკვაძის მემუარები. საინვენტ. №27028.

427. სკკპ რელიგიის შესახებ, გვ.15-17.

რუსებისათვის... მეორე, ეკლესიისთვის საკეთილო ზომა იყო სამღვდელმთავრო სახლის ჩამორთმევა, ბარგების ქუჩაში გამოყრა, ჩემი კომისარიატიდან კომისარიატში შეიარაღებული მილიციონერების საშუალებით ტარება და ჩემი ხუთი თვის განმავლობაში ხან ვისთან და ხან ვისთან თავის შეფარება, მე-3. კარის ეკლესიის დანგრევა, 4. კანცელარიისა და ისტორიისთვის ძვირფასი არქივის სანახევრო განადგურება... 5. საეკლესიო სახლების ჩამორთმევა... ყველა ეს მოხდა ახალი მთავრობის დამყარების პირველ თვესვე (აქვე, დოკ. №69).“ სოხუმელი სასულიერო მოღვაწის ავრაამ ივანოვის მონუმენტითაც, საბჭოთა ხელისუფლებამ მიტროპოლიტი ამბროსი თავშესაფრის გარეშე დატოვა და ის იძულებული გახდა სასაფლაოს ეკლესიის მღვდლის ეფრემ ცხაკაიას საეკლესიო სახლში ეცხოვრა. ქრისტიანული თავმდაბლობით, ჩვეული მოთმინებითა და სიმტკიცით იტანდა იგი შევიწროებას საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მხრიდან. ამ პირობებშიც მან მაინც მოახერხა ქართული ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ ეპარქიის შენარჩუნება. უფრო მეტიც, 1921 წლის ივნის-ივლისში მიტროპოლიტმა ამბროსიმ შემოიარა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია და დარწმუნდა, რომ ხალხმა პირი იბრუნა სარწმუნოებისკენ.⁴²⁸

მეტად შთამბეჭდავია აფხაზეთში მიტროპოლიტი ამბროსის თითქმის ოთხწლიანი მოღვაწეობის შედეგები. აფხაზეთზე ქართული ეკლესიის იურისდიქციის აღდგენის ისტორიული ამოცანის წარმატებით განხორციელება; ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ჩამოყალიბება და უმძიმეს პირობებში მისი შენარჩუნება-განმტკიცებისთვის ზრუნვა, ეკლესიებისა და სამრევლოების მომრავლება, ათეისტური ხელისუფლების პირობებში მოსახლეობის შემოტრიალება სარწმუნოებისკენ; საქართველოს ერთიანობის, ეროვნული და პიროვნული თავისუფლების (მათ შორის სინდისის თავისუფლების), მამულისათვის თავდადების, პატრიოტიზმის იდეების ქადაგება და დანერგვა მორწმუნე საზოგადოებაში; საბჭოთა ხელისუფლების პირველი შემოტევის მოგერიება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – აი, მოკლე ჩამონათვალი 1917წ. ოქტომბრიდან 1921 წლის აგვისტომდე მიტროპოლიტი ამბროსის მიერ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში განეული ღვაწლისა.

უფლის განგება კი მას გაცილებით უფრო მძიმე ჯვარს უმზადებდა.

9. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად არჩევა და საოკუპაციო რეჟიმთან დაპირისპირება (1921წ. სექტემბერი-1922 წელი)

საქართველოს ოკუპაციით გულდამძიმებული, მონამვლის შედეგად დაავადებული უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე 1921 წლის 11 ივლისს გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის (17 ივლისი) შემდეგ საგანგებოდ შეკრებილმა საკათოლიკოსო საბჭოს სხდომამ, რომელსაც ესწრებოდნენ მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), ეპისკოპოსები დავითი (კაჭახიძე), პიროსი (ოქროპირიძე), დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, ეპიფანე ჯაოშვილი, ნაუმ შავიანიძე, მიიღო გადაწყვეტილება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ამბროსის არჩევის შესახებ.⁴²⁹ 1921 წლის 18 ივლისით არის დათარიღებული ეპისკოპოს პიროსის დეკრემი დეკანოზების პორფირ ხელაიას (ილორი), არისტარხ კალანდარიშვილის (ახალ-სენაკი) და მიხეილ გვაზავას (სოხუმის საკათედრო ტაძარი) სახელზე: „მიტროპოლიტი ამბროსი არჩეულია კათალიკოსის მოსაყდრედ; აცნობეთ, საჩქაროთ ჩამობრძანდეს“.⁴³⁰ საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიამ 19 ივლისს პირადად ამბროსის გაუგზავნა იგივე შინაარსის დეკრემი,

428. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 325.

429. სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ამბროსი, გვ. 71-72.

430. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 317.

რომელშიც ასევე საუბარი იყო მორიგი საეკლესიო კრების 1921წ. 1 სექტემბრისთვის გელათში დანიშვნის შესახებ. 27 ივლისს ეპისკოპოსი პიროსი კვლავ უგზავნის დეკანოზებს პორფირ ხელაიას და მიხეილ გვაზავას: „გადაეცით მიტროპოლიტი ამბროსის, საკათოლიკოსო საბჭო სთხოვს საჩქაროდ ჩამოსვლას.“⁴³¹ მხოლოდ 1921 წლის 1 აგვისტოს მიტროპოლიტი ამბროსიმ საკათოლიკოსო საბჭოს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „რადგანაც, როგორც მეცნობა საბჭოს კანცელარიისგან (19 ივლისი, 1921წ., №1578), მორიგი საეკლესიო კრება დანიშნულია გელათის მონასტერში 1 სექტემბრისთვის ახალი სტილით, მე ამჟამად არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ახლავ ჩამოსვლა ტფილისში, ვინაიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაშიც საქმეები მოსაწესრიგებელია. ამისთვის აგვისტოსთვის მეორე ნახევარში გავემგზავრები ქალაქ ქუთაისში საეკლესიო კრებაზე დასასწრებად, რასაც პატივისცემით ვაცნობებ საკათოლიკოსო საბჭოს. მიტროპოლიტი ამბროსი.“⁴³² როგორც ვხედავთ, აფხაზეთის მღვდელმთავარი დიდი აღტაცებით არ შეხვედრია საკათოლიკოსო საბჭოს ნამდვილად სამართლიან გადაწყვეტილებას. მეუფე ამბროსისთვის, რომელიც შესანიშნავი ორგანიზატორი, ენერგიული და უნარიანი ხელმძღვანელი გახლდათ, უცხო იყო კარიერისტული მისწრაფებები, ამ მიზნით ინტრიგების ხლართვა და ა.შ. მისი ეს შესანიშნავი თვისება კიდევ ერთხელ გამოჟღავნდა 1921 წელს. ყოველგვარი „წინასაარჩევნო კამპანიის“ ჩატარებისა და მომხრეთა წინასწარი „მობილიზების“ გარეშე იგი პირდაპირ გელათში საეკლესიო კრებაზე ჩაბრძანდა, რითაც თავიდან იქნა აცილებული მსგავს შემთხვევებში თითქმის გარდაუვალი დაპირისპირებები და განხეთქილებები.

III საეკლესიო კრება, რომელსაც 212 დელეგატი ესწრებოდა და მიტროპოლიტი ამბროსი თავმჯდომარეობდა, გელათის ღვთისმშობლის ტაძარში 1921წ. 1-5 სექტემბერს გაიმართა. გარდა თავმჯდომარისა, კრების პრეზიდიუმში დასახელდნენ მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), ერისკაცები – დავით ნიჟარაძე და რაფიელ ივანიცკი (ინგილო); სამდივნოში აირჩიეს დეკანოზები ერასტი თუთბერიძე, გიორგი ინაშვილი, ეპიფანე ჯაოშვილი, ნაუმ შავიანიძე. დღის წესრიგში ორი ძირითადი საკითხი იდგა: ახალი კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნები. დასახელდა კათოლიკოს-პატრიარქობის ორი კანდიდატი – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) და ქუთათელ-გენათელი მიტროპოლიტი ნაზარი. ხმათა უმრავლესობით კრებამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტი ამბროსი აირჩია. საკათოლიკოსო საბჭოს წევრები გახდნენ დეკანოზები იოსებ მირიანაშვილი, მარკოზ ტყემალაძე, კალისტრატე ცინცაძე, საერო პირთაგან – ნიკო თავდგირიძე, რაფიელ ივანიცკი, კორნელი კეკელიძე. საკათოლიკოსო საბჭოს წევრებად ითვლებოდნენ აგრეთვე საქართველოს ეკლესიის მოქმედი მღვდელმთავრები. საბჭოს წევრობის კანდიდატები გახდნენ ნ.არჯევანიძე, ი.რატიშვილი, გ.გამრეკელი და გ.იმნაიშვილი. შემდგომში კ. კეკელიძე და რ.ივანიცკი ჩამოშორდნენ საკათოლიკოსო საბჭოს, მათი ადგილები დაიკავეს გელათის კრებაზე არჩეულმა საბჭოს წევრობის კანდიდატებმა ნ. არჯევანიძემ და ი. რატიშვილმა.⁴³³

დედაქალაქში ჩამოსულმა ახლადარჩეულმა კათოლიკოს-პატრიარქმა 1921წ. 18 სექტემბერს პირველი მღვდელმსახურება სამხედრო ტაძარში ჩაატარა და ნახევარი წლის წინ საბჭოთა რუსეთთან ომში დაღუპულ და იმავე ტაძრის ეზოში დაკრძალულ მამულიშვილთა ხსოვნას მიუძღვნა. კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული იუნკრები პირსისხლიანი საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის პარპაშის პირობებში და ამ რეჟიმის მესვეურთა თვალწინ მან „ერთგულ მამულიშ-

431. იქვე.

432. იქვე, გვ. 318.

433. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები, გვ. 148-149; ს.ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს – პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III. თბ., გვ. 75-76.

ვილებად“, „მამულის სიყვარულით“ გამსჭვალულ სამშობლოს დამცველებად მოიხსენია; თქვა, „რომ მათი სისხლი სამშობლოს წინაშე დანთხეული, არის წმინდა“. გააკეთა რა მცირე ექსკურსი ურიცხვ მტერთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლის ისტორიაში, განაცხადა: „ის ხალხი, რომელსაც ასე უყვარს სამშობლო, არ მოკვდება, მას აქვს მომავალი.

აი, ის სისხლიც, რომელსაც ჩვენ ვიგონებთ, ამნაირის მნიშვნელობისა; ის არის თავდები მომავალი თაობის სიმხნე-მამაცობისა, არის მაჩვენებელი იმისა, რომ წინაპართა სული მამულის სიყვარულისა, მისთვის თავდადებისა, არ გამქრალა ჩვენს ხალხში და, მამასადაძმე, შეგვიძლია იმედით ვუყუროთ მომავალს.

დაე, მათი ხსენება იყოს საუკუნო ქართველი მამულისშვილების გულში, რომ ამით მათში ინერგებოდეს ის სულისკვეთება, რომელმაც მომავალშიც არაერთხელ უნდა იხსნას ჩვენი სამშობლო, შეანახვინოს მას თავისუფლება და სარწმუნოება.⁴³⁴

იუნკერთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისის გადახდითა და თავისი ამ განცხადებით კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ღიად და, შეიძლება ითქვას, დემონსტრაციულად დაუპირისპირდა საოკუპაციო ხელისუფლებას.

სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭო ახლადარჩეული კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებისთვის ემზადებოდა, რისთვისაც შეიქმნა სპეციალური კომისია. 1921წ. 4 ოქტომბერს საკათოლიკოსო საბჭომ საქართველოს მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარეს შეატყობინა, „რომ ამა წლის ოქტომბრის 14 მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდება მიტროპოლიტ ამბროსის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად კურთხევა.“⁴³⁵ იმავე დღეს კურთხევის მომწყობმა კომისიამ შს სახალხო კომისარს სთხოვა, მოეხდინა განკარგულება, „რათა ადმინისტრაციამ შესაფერისი ზომები მიიღოს 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობის დღესასწაულისა და კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევის დღეს წესრიგის დასაცავად.“ კომისიამ 4 ოქტომბერს თხოვნით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს „დანიშნულ იქმნეს 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის დღესასწაულის გამო სადღესასწაულო მატარებლები თბილისიდან დილის 8 1/2 საათზე და 10 საათზე; მცხეთიდან: ნაშუადღევს 4 საათზე და საღამოს 7 საათზე. ასეთი სადღესასწაულო მატარებლები მცხეთობას ინიშნებოდა წინადა ნახევარ საათში, მიუხედავად სათბობი მასალის კრიზისისა; აუცილებელი იქნება წელსაც დანიშნა ორჯერ მაინც. უამისოდ ხალხი მოკლებული იქნება საშუალებას შეასრულოს რელიგიური კულტი და ხალხური დღესასწაული. ამასთანავე გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რათა სამხედრო უწყებიდან გვათხოვონ ამ დღისთვის ერთი საბარგო ავტომობილი საჭირო ბარგის გადასაზიდად.“⁴³⁶

ძნელია თქმა, სრულად დაკმაყოფილდა თუ არა კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევის მომწყობი კომისიის თხოვნა, მაგრამ ცნობილია, რომ უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი 14 ოქტომბერს მცხეთაში მატარებლით ჩაბრძანდა. როგორც დეკ. ნიკიტა თალაკვაძე იგონებს, „მცხეთის სადგურზე კათოლიკოსს დაახვედრეს 80-მდე ქალ-ვაჟი შავარდენნი (სპორტსმენები – ჯ.გ.) და იქიდან ნამოიყვანეს ავტომობილით, გალავნის კარებს გარეთ მიაგებეს მცხეთელების წარმომადგენელნი პურ-მარილით, გალავნის კარებში შეეგება სამღვდელოება და წაიყვანეს ტაძარში; კარიბჭეში შეეგება სვეტიცხოვლის წინამძღვარი არქიმ. პავლე (ჯაფარიძე) მოკლე სიტყვით; ხალხი იყო თხლად,⁴³⁷ ძალიან ნაკლებად იყო თბილისის საზოგადოება, კანტი-კუნტად მოსჩანდა ჩვენი ინტელიგენცია. კომუნისტური მთავრობა სრულებით არ გამოცხადებულა. ამბობდნენ, განათლების (ნარკომპროსის) კომისარი კანდელაკი იყოო (ეს კანდელაკი

434. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 318-321.

435. საპატრიარქო არქივი, აღწ.2, ს.539, ფ.48.

436. იქვე, ფ. 49, 50.

437. კათოლიკოს-პატრიარქმა კი თავის სიტყვაში, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, ხაზი გაუსვა „მოსულ მორწმუნეთა სიმრავლეს“ (ჯ.გ.).

აკაკი ჩხენკელის დისწულია). ქუთათელ მიტროპოლიტის პროტოდიაკონმა წაიკითხა საეკლესიო კრების განჩინების ფორმულა კათალიკოსად ამბროსის ალყვანაზე, შემდეგ ნაზარმა (ლეჟავა) და პიროსმა (ოქროპირიძე) რიგ-რიგობით წაიკითხეს ლოცვები და აკურთხეს კათალიკოსად.⁴³⁸ ამის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა წარმოთქვა ისტორიული მნიშვნელობის სიტყვა, რომელიც მოგვყავს სრულად:

„საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნო, ქართველ ერის მოძღვარნო სამღვდელო და სამონაზონო პირნო და აქ შეკრებილნო მორწმუნენო!

უღრმესი გულწრფელობით აღსავსე მადლობას გწირავთ, რომ მიიღეთ შრომა და ამ საღმრთო წირვაზე აღავლინეთ მხურვალე ვედრება ყოვლად მონყალე ღვთისადმი სული წმიდის მადლის შემწეობის გამოსათხოვათ ჩემი უღირსებისათვის!

რა უნდა ვსთქვა ამ ჩემთვის დიდმნიშვნელოვანი წამებში დიდებული სვეტიცხოვლის ამბიონიდან, საიდანაც გაისმოდა მრავალ მჭევრმეტყველ მამათმთავართა მკვეთრი სიტყვა. მეკარგება გაბედულობა, როდესაც ამ ისტორიულ ამბიონზე ვდგევარ და როდესაც წარმოვიდგენ ჩემს უღირსებას. მეხატება წარსული ჩემი ცხოვრება, რომელშიც მე ნათლად ვხედავ ღვთის ჩემს უღირსებაზე განგებულებას, მზრუნველობას, ვხედავ, რომ ხელი უფლისა იყო ჩემ ზედა და მარონინებდა იმ გზით, რომელიც არა სთნდა სულსა ჩემსა და რომელიც კაცობრიულ წარმოდგენით უნდა ამეცილებია თავიდან, რომელიც არ მინდოდა სოფლიური მიდრეკილებათა და ქედფიცხელებისა გამო ჩემისა. ახლაც მწამს, მომიწოდა უფალმა ამ დიდი და მძიმე მსახურებისათვის, მაგრამ რა მეთქმის მორჩილების მეტი და ამ წამებშიაც რა შემფერის, თუ არ დუმილი.

მოციქულებს მოუწოდა უფალმა და ისინი არა სიტყვებით მიმართავენ მას, არა იმას სცდილობენ, რომ თავისი მჭევრმეტყველებით მოაწონონ ვისმეს თავი, არამედ მორჩილება-დუმილით სტოვებენ ყველაფერს და მისდევენ მომწოდებელს. გენისარეთის ტბაზე მესათხვეველნი ითვალისწინებდნენ არა აწმყოს, არამედ იმას, რომ გახდებოდნენ „მესათხვეველეთ კაცთა“ (მათე, 4. 10),⁴³⁹ შემოივლიდნენ მთელ ქვეყნიერებას, სძლევენ მეცნიერთა, მეფეთა და დიდებულთა ამა ქვეყნისათა, დაამხოებდნენ წარმართობას და ქრისტეს სახარებას მიანიჭებდნენ გამარჯვებას. მიუხედავად ამნაირი დიდი მომავლის წინაგრძობისა, მათ ირჩიეს დუმილით და სიტყვის მიუგებლად მისდიონ ქრისტეს მოწოდებას. მით უმეტეს მე არა მეთქმის რა, როდესაც მომავალშიც ვერას ვხედავ, არა ვხედავ, რომ შევიძლო რისიმე საყურადღებოს გაკეთება.

ან მართლაც რა უნდა ვსთქვა. ჩემს უღირსებაზე? მაგრამ ამის შესახებ უკვე მაქვს ნათქვამი სხვა დროს და სხვა ადგილას და არ გავიმეორებ. მხოლოდ ვიტყვი პავლე მოციქულთან ერთად – „მე უძღურებასა შინა და შიშსა და ძრწოლასა“ განვიცდიდი თქვენს შორის (I კორინთ. 2,3).

მამათმთავრობის ტვირთის სიმძიმეზე? მაგრამ ვინ ჩვენგანმა არ უნდა იცოდეს სიმძიმე და სიძნელე მოვალეობის ასრულებისა, მეტადრე ამ აუტანელ დროს, როდესაც სათავეში მყოფნი სიძულვილით და მტრულად უყურებენ ეკლესიას, როდესაც ურწმუნოება გარეგნულად მაინც გამეფებულა და სირცხვილათ მიაჩნიათ თავის სარწმუნოების გამოაშკარავება. მაგრამ ვიცი ჭეშმარიტება მოციქულის სიტყვებისა, რომ მომწოდებელი ღმერთია, ვინაითგან „არავინ თავით თვისით მიიღოს პატივი, არამედ რომელნი წოდებულ არნ ღვთისა მიერ“ (ებრ., 5,4) და რომ „ყოველი მღვდელმთავარი, კაცთაგან მოყვანებული, კაცთათვის დადგის იგი ღვთისა მიმართ“ (ibid, 5.1). მაშასადამე, ჩემი უღირსებაც, ვიმეორებ, ღვთისაგან მოწოდებულია ამ დიდ თანამდებობაზე და ის მომცემს ძალას ხალხისათვის მსახურებისას, ვინაითგან მოციქულ პავლესთან

438. გ. გლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი. ნ. თალაკვაძის მემუარები, საინვენტ. №27028, ფ.30.

439. უფალმა მესათხვეველნი (მებადურები) სიმონი, პეტრედ წოდებული და ანდრია იხილა გალილის ზღვაზე (მათე, 4. 18). გენისარეთი ზღვისპირა ქალაქის სახელია (მათე, 14, 34) – (ჯ.გ.).

ერთად მეც მეუბნება უფალი „ძალა ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო“ (2 კორინთ. 12,6).

გამოვთქვა ნუხილი სარწმუნოების დაცემის შესახებ ჩვენში? მაგრამ ესეც არ უნდა იყოს საჭირო. მახსოვს, რომ ჩემ წინამოადგილემ განსვენებულმა ლეონიდემ ამ ამბიონიდან კათოლიკოზობაზე აყვანის დღეს ბრძანა, რომ საქართველოს ეკლესია ოთხივ კუთხით შავი ღრუბლით არის მოცული და სწუხდა, ვაი თუ ვერ გავფანტო ეს საბედისწერო ღრუბლებიო. მდგომარეობის უნუგეშობის დასამტკიცებლად მან მსმენელებს მიუთითა ამ დიდებულ ტაძრის აწინდელ მდგომარეობაზე და ბრძანებდა, რომ სვეტიცხოველის ტაძარი არ არის ამ შემთხვევაში გამონაკლისი. „ღვთის სახლი დღეს თითქმის ყველგან პატივსაცემია, დარბეული, დამცირებული და ყოველგვარად შევიწროვებულია. სამღვდელოება და მორწმუნენი განიცდიან დევნა-შეურაცხებას, ქრისტიანობა მრავალთ დაუსახავთ მოსასპობათ, მოკლედ, დღეს თითქმის ყველანი ამხედრებულან ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ და მისი მდგომარეობა მოგვაგონებს „კედელსა მიდრეკილსა და ღობესა დასჭენებულსაო“.“ ამნაირად ახასიათებდა განსვენებული მამათმთავარი ჩვენი ეკლესიის მდგომარეობას 1919 წელს და დასძინდა, რომ ვაი თუ ვერ გავაკეთო რამეო. გადავხედოთ ეკლესიის დღევანდელ მდგომარეობას. რას ვხედავთ ახლა? ვხედავთ, რომ ეკლესიის მდგომარეობა არამც თუ არ გამოკეთებულა, არამედ ბევრად უფრო გაუარესებულა, მის გარშემო შავი ღრუბლები უფრო და უფრო საბედისწერო გამხდარა. რისთვის ვერ შესძლო ეკლესიურ საქმის განახლება-გამოკეთება ამ დიდად ნიჭიერმა და მჭევრმეტყველ – პატრიოტ მამათმთავარმა? მისთვის, რომ მას გარემოება ხელს არ უწყობდა, მის გარშემო მჭიდროთ ვერ შეკავშირდნენ ეკლესიის კეთილდღეობისათვის თავდადებულნი მორწმუნენი. ეს ნათლად ამტკიცებს ჩემი სიტყვების სინამდვილეს, იმ სიტყვებისას, რომელიც წარმოვსთქვი სიონის ტაძარში პირველად შესვლის დროს, რომ თუნდაც გენიოსი გვყავდეს ეკლესიურ ცხოვრების სათავეში, ვერას გაარიგებს, თუ თვით შეგნებულ მორწმუნეთა არ გაუწიეს მას დახმარება.

მაგრამ შორს ჩვენგან უიმედობა, ვინაითგან წარსულ ივნის-ივლისის სოფლების შემოვლამ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში დამარწმუნა, რომ ხალხმა პირი იბრუნა სარწმუნოებისაკენ, რომ მას სწყურია სარწმუნოებრივი სწავლა-მოძღვრების მოსმენა, რომ მას ეს სადღეისო აუცილებელ მისწრაფება-მოთხოვნილებად გახდომია, რასაც უწინ ადგილი არ ჰქონდა. ხალხის ამ გარდაქმნაში, სარწმუნოებისაკენ პირის დაბრუნებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, ნუ გაგიკვირდებათ, სოციალისტ-პროპაგანდისტებს, მათ სარწმუნოებისა სანაწინააღმდეგოთ ქადაგებას, მათგან ხალხის წმიდათა წმიდის შეგინება-შელახვას. დიახ, ხალხში არის სარწმუნოება, ის აქამდის დაფერფლილი იყო, ახლა კი თანდათან ღვივდება. განა ამასვე არ გვიმტკიცებს დღევანდელი დღესასწაული, დღეს სვეტიცხოველის თაყვანისსაცემად მოსულ მორწმუნეთა სიმრავლე და განა ყველა ეს არ გვარწმუნებს, რომ შორს უნდა იყოს ჩვენგან უიმედობა.

ჩვენს უიმედობაზე ღმერთი მოგვიგებს იმაზე მეტს, გვანუგეშებს უფრო მეტად და საგრძნობლად, ვინემ ანუგეშა წინასწარმეტყველი ილია, როდესაც ის ისრაილთა ურწმუნოებისა გამო აქაბის⁴⁴⁰ დროს სასონარკვეთილებაში შთავარდა. „დამიტევებიეს ისრაელისა შვიდი ათასი მამაკაცი, რომელთა არა მოუდრიკნეს მუხლნი მათნი ბაალს“ (3 მეფეთა, 19,18). თუ ღმერთმა მაშინ ილიას უთხრა ეს სიტყვები, რომ არიან კიდევ შვიდი ათასი მორწმუნენიო, ახლა ის მიგვითითებს ამ და სხვა ტაძრების დღეობების დროს ზღვა მლოცველებზე, რომელთაც ქედი არ მოუხარეს ახლანდელ ურწმუნოების და უღმერთობის ქადაგებას.

მაშასადამე, ნუ შეძრწუნდები სულო ჩემო, ესავ უფალსა. დადგება და მოახლოებულცი უნდა იყოს ის დრო, როდესაც ამ მორწმუნე ხალხიდან გამოვლენ ჩვენი ეკლესიის

440. აქაბი – ისრაელის მეფე ძვ. წ. 917-895წწ. (ჯ.გ.).

განახლება-აღორძინების საქმეში დამხმარენი და ჩვენ, ეკლესიურ ცხოვრების სათავეში მყოფნი, არ ვიქნებით მარტონი. ამის საბუთს გვაძლევს არა ამერეთი მარტო, არამედ იმერეთიც, სადაც ხალხი სარწმუნოებრივ საქმეში კიდევ უფრო გათვითცნობიერებულია. სარწმუნოებრივ საქმეში ამერ-იმერნი ერთმანეთში შეთანხმებულ-შეკავშირებულნი არიან. ამ მხრივ დიდებულია დღევანდელი დღესასწაული სვეტიცხოვლობა. ეს არის არა მარტო დღესასწაული ტაძრისა, არამედ ამერ-იმერთა გამოხმაურება, მათი მჭიდროდ შეკავშირება ეროვნულად და ეკლესიურად, ვინაიდან ჩემი უღირსება, არჩეული ცათამოხაძავ გელათის თაღებქვეშ, ამ ხახულის, აწყურის, გელათის და ბიჭვინთის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატების სავანეში, საქართველოს ემბაზმა – სვეტიცხოველმა, დღეს ლოცვა-კურთხევით მიმიღო. ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი, რომ ამერ-იმერის კავშირი სიმბოლურად გამოიხატა ჩემს არჩევა-კურთხევაში.

დღევანდელი ჩვენი ერის მდგომარეობა იმას გვიმტკიცებს, რომ ხალხის ცხოვრებაში თითქმის ყველაფერი ცვალებადია, არ იცვლება მხოლოდ მისი სარწმუნოებრივი განცდა. ამისათვის საუკეთესო მატარებელი და დამცველი ეროვნული იდეალებისა არის ეროვნული ეკლესია. ერის პოლიტიკური ცხოვრების შეცვლა არ მოასწავებს ეროვნული სარწმუნოების შეცვლას. პოლიტიკურ რწმენაში და ცხოვრების ცვალებადობაში, სადაც ხშირად ეროვნული იდეალებიც დავიწყებას მიეცემიან, უცვლელია მხოლოდ სარწმუნოებრივი ცხოვრების ნორმები, რის გამოც ეკლესიაში ეროვნული იდეაც სამარადისო და შეუწყვეელია.

ხალხი მჭიდროდ უკავშირებს ერთმანეთს ეკლესიას და სამშობლოს, ვინაიდან ის მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში იცავდა თავის სამშობლოს, მაგრამ ქრისტეს ჯვარსაც ხელიდან არ უშვებდა. ის სისხლს ღვრიდა სარწმუნოების, სამშობლოს დაცვისათვის, მაგრამ სარწმუნოების დაცვაში ხედავდა უსათუოდ მამულის დაცვასაც. ეს მას შესისხლხორცებია, გახდომია ჭეშმარიტებად და აუცილებელ მოთხოვნილებათ. ახლაც ამნაირია ხალხის ფსიხოლოგია და როგორ გინდათ ამოგლიჯოთ ეს ხალხის გულიდან. მრავალ საუკუნოების განმავლობაში ამ მისი (ცხოვრების) ღრმად ჩაყრილ საძირკველზე მას აუშენებია მკვიდრი შენობა თავისი ეროვნული ცხოვრებისა და შემეცნებისა და როგორ გნებავთ ახლა ის საძირკველი გამოუცვალოთ ამ დიად შენობას და ჩაუყაროთ ახალი ამავე სიღრმეში? მოსახერხებელია განა ამნაირი ცდა, საძირკველის გამოცვლა არ შეარყევს თვით შენობას? თუ ეს მოსახერხებელია და საშიშარიც არ არის, მაშინ გკითხავთ, ამ ახალ საძირკველის გამაგრებისათვის რამდენი საუკუნის განუწყვეტელი მედგარი შრომის განმეორებაა საჭირო ხალხისათვის? ვისთვის ან რისთვის არის ეს საჭირო, სასურველი? ასე იტყვიან ისინი, ვინც ხალხს ართმევენ სარწმუნოებას, ეროვნულ შენობას უნდათ გამოაცალონ ბურჯი, რომელზედაც ის აშენებულია და ჩაუყარონ ახალი – ინტერნაციონალიზმის და ურწმუნოების საძირკველი, მაგრამ ფუჭი, უსარგებლო და უნაყოფოა ამნაირი ცდა. ერთადერთი შედეგი ამისა შესაძლებელია მხოლოდ ის იქმნეს, რომ დროებით შეაჩერებენ ხალხის ეროვნულ განვითარებას.

აი, რას უნდა ჩაუფიქრდეს არა მარტო ეკლესიის მორწმუნე წევრი, არამედ ყველა, ვისაც თავის მოღვაწეობის მიზნად დაუსახავს ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მისთვის სამსახური.

მაშ, მორწმუნენო მამულიშვილნო, ორივე – ეკლესიაც და სამშობლოც, ტკბილია, ორივე წმიდათა წმიდაა. შევიგნოთ ისტორიული გაკვეთილების ძალა, შევისწავლოთ ხალხის მრავალსაუკუნოებრივი ცხოვრების ნაყოფი, ხალხის ფსიხოლოგია და ის გვასწავლის და გვეტყვის, რომ საჭიროა შემოვკრბეთ ეროვნული ეკლესიის გარშემო. პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ნუ იქნება ცვალებადი ჩვენი შეხედულება სარწმუნოებაზე. ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას

და ის მოგვცემს ძალას შევანახვიოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება. ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც.

აი, ამნაირად არა ხალხის საზოგადოდ, რომელსაც ინსტინქტად გახდომია ამის შეგნება, არამედ ინტელიგენციის გარდაქმნის მოლოდინი მომცემს მე ძალას ჩემი ცხოვრების მიწურული საღამო შევსწირო ჩვენი ეკლესიის და ერის კეთილდღეობას, მათ სამსახურს. მხოლოდ ამ იმედით ვიტვირთე ეს დიდი ჯვარი მამამთავრობისა და ჩვენი მრავალტანჯულ ეკლესიის საჭეთმპყრობელისა“.⁴⁴¹

კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ თავისი ამ გამოსვლით კიდევ ერთხელ გამოხატა შეურიგებელი პოზიცია ოკუპანტთა მიმართ, ამასთანავე გამოიჩინა განსაცვიფრებელი გამბედაობა და მზადყოფნა თავი შესწიროს „ჩვენი ეკლესიის და ერის კეთილდღეობას, მათ სამსახურს.“

წირვის დასრულების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქისა და მისი ამაღლის პატივსაცემად, გაიმართა სპორტული ღონისძიებები, „ვარჯიშობდნენ ქალ-ვაჟნი, ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე; შემდეგ სოფლის ფალავნებმა ჭიდაობა გამართეს.“ დღის 4 საათისთვის კათოლიკოს-პატრიარქი მცხეთის დედათა მონასტერში მივიდა, სადაც მას მიეგებნენ მონაზვნები, მონასტრის ილუმენია ნინო (ბარათაშვილი), აგრეთვე ბოდბეს მონასტრის ილუმენია ნინო (ვაჩნაძე). მცხეთის დედათა მონასტერში გაიმართა სადილიც.⁴⁴²

ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის რანგში ამბროსიმ, პირველ რიგში, აფხაზეთის ახალი მღვდელმთავარი გამოარჩია. 1921წ. 15 ნოემბერს სვეტიცხოველში ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად მან არქ. იოანე (მარგიშვილი) აკურთხა და დაარიგა, რომ ის იგზავნება უძველესი დროიდან ქართველებით დასახლებულ, ისტორიულად ქრისტიანულ რეგიონში, სადაც XVII საუკუნეში მომხდარი ეთნიკური ცვლილებების შედეგად სარწმუნოებრივი ვითარება შეიცვალა. ახალმა მღვდელმთავარმა კათოლიკოს-პატრიარქისგან მიიღო კურთხევა კეთილ საძოვარზე „არონინოს პირმეტყველნი ცხოვარნი“ და „ედიოს დაკარგულნიც“. ეპისკოპოს იოანესთვის კვერთხის გადაცემისას უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ბრძანა:

„ყოვლად სამღვდელო იოანეს ეპისკოპოსს ცხუმ-აფხაზეთისას კვერთხის ჩაბარების დროს.

ყოვლად სამღვდელო იოანე!

მოგილოცავ იმ მაღლს სულიწმიდისას და დიდ ხარისხს, რომელიც შენ დღეს მიიღე. გახსოვდეს, რომ ეს არის არა მარტო ხარისხი, არამედ დიდი ჯვარი, რომელიც შენ უნდა ატარო მომავალს შენს ცხოვრებაში. შენ უნდა იყო მზათ თავი დასდო ცხოვართათვის. შენი სამსახური ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში განსაკუთრებული იქნება. შენ, როგორც მწყემსმთავარმან, არა მარტო კეთილ საძოვარზე უნდა არონინო პირმეტყველნი ცხოვარნი, არამედ ედიო დაკარგულნიც, რომელნიც უნდა აღიყვანო შენს მხრებზე და მოჰგვარო ქრისტეს. ამნაირ გზადაკარგულ ცხოვარს წარმოადგენს აფხაზეთის მკვიდრთა საგრძნობელი ნაწილი.

აფხაზეთი მუდამ იყო საქართველოს ნაწილი და მასთან საუკეთესო ნაწილიც ჩვენის მშობლიურის ეკლესიისა. აქ, როგორც გვეუბნება წმ. აბო თბილელის ცხოვრება, ჰყვავდა ეკლესიური ცხოვრება. ამის დამადასტურებელია სიმრავლე დიდებულ ნაშთებისა, რომელთაგან ბიჭვინთა, ლიხინი, ფსირცხა, დრანდა, ილორი და ბეღია გადაურჩნენ ჟამთა ვითარებას და მტერთა ბარბაროსობას.

ეს მხარე დასახლებული იყო ქართველთა მოდგმის ხალხით და ეკლესიური ცხოვრება ძალიან მაღლა იდგა XVII ს. ნახევრამდე, როდესაც აფხაზთა გადმოლახეს გაგრის სივინორონი და კაპუეტის მდინარე და დაიმორჩილეს მთელი გუდაუთის მხ-

441. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.321-329.

442. იქვე, ფ.30ა.

არე, დაინყო მაჰმადიანობის პროპაგანდა. ეს განსაკუთრებით გაძლიერდა რუსების კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ. რუსეთის აგრესიულმა დენამ კავკასიისაკენ, მისმა მიდრეკილებამ აქაურ მკვიდრთა დამორჩილებისამ გამოიწვია მის წინააღმდეგ მთიელთა ბრძოლა და ახალი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მოძღვრება მიუზღებდა, რომელიც მიმართული იყო რუსების და განსაკუთრებით მათი სარწმუნოების წინააღმდეგ. მიუზღებდა სცდილობდა მაჰმადის სარწმუნოების გავრცელებით შეეერთებიათ ყველა კავკასიელი მტრების სანინააღმდეგოდ. ამისთვის აფხაზეთში მეტისმეტად გაძლიერდა მაჰმადიანობის ქადაგება და აფხაზეთაგან ბევრი გადაუდგა ქრისტიანობას.

მაშასადამე, შენს ახალ სამწყსოში სამკალი ბევრია და შენგან საქართველოს ეკლესია მოითხოვს თავდადებულ მუშაობას, რომ აფხაზეთში ისევ ძველებურად გაბრწყინდეს ქრისტიანობა, რაშიაც ღმერთი იყოს შენი შემწე.

მიიღე კვერთხი ესე ჩემი უღირსების ხელთაგან, ვითარცა თვით ქრისტეს მარჯვენიდან, რომელიც ამ წამს აქ ჩვენთან არის. ის გაგზავნის შენ დაკარგულ ცხოვართა საძებრად და იყო კვერთხი ესე ნიშნად იმ ძალისა და სიმხნისა, რომელიც საჭიროა, რომ აასრულო მაცხოვრის ბრძანება, მოიძიო დაკარგულნი პირმეტყველნი ცხოვარნი და ყველა ერთად აძოვო, ასაზრდოვო ქრისტეს სწავლითა.⁴⁴³

ეპისკოპოსმა იოანემ აფხაზეთში 1925 წლამდე იმსახურა, თუმცა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, კათოლიკოს-პატრიარქის ნდობა ბოლომდე ვერ გაამართლა.

დაახლოებით 1921წ. ნოემბერში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სომხეთის კათოლიკოსი, წარმოშობით თბილისელი, ქართული ენის მცოდნე გეგორკ V ესტუმრა ეპისკოპოსებისა და სხვა სამღვდლო პირთა თანხლებით. სომხეთის კათოლიკოსმა სიონში მათი უწმინდესობის კირიონ II-ს და ლეონიდეს სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა, ამის შემდეგ სასახლეში ეწვია უწმინდესს და უნეტარესს. მეორე დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავად ეწვია სომხეთის კათოლიკოსს.⁴⁴⁴

უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთაშორისო კავშირების დამყარებას, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებელი აღმოსავლეთის ეკლესიებთან ისტორიული კავშირების აღდგენას. კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს გარდაცვალებისა და 1921 წ. 5 სექტემბერს III საეკლესიო კრებაზე ივერიის ეკლესიის საჭეთმპყრობელად არჩევის შესახებ მან წერილობით შეატყობინა კონსტანტინოპოლის პატრიარქს ბასილ II-ს, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს გრიგოლ III-ს, იერუსალიმის პატრიარქს დამიანეს და ალექსანდრიის პატრიარქს ნიკოლოზს. „ვძრნი და ვშიშობ, – ნათქვამია მათდამი გაგზავნილ წერილში, – რაჟამს გულისხმა ვყოფ მძიმესა მას უღელსა, რომელიც განგებამან ღმრთისამან დამაკისრა მე, გარნა ვითვალისწინებ რა ივერიის ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში მუდმივად პოულობდა ნუგეშსა და დახმარებას ერთმორწმუნე აღმოსავლეთის ეკლესიებიდან.

ვსასოებ, ასეთ შველასა და დახმარებას დღესაც არ იქნება მოკლებული იგი და გულშემატკივარი დედა, აღმოსავლეთის ეკლესია, ზნეობრივად ახლაც გაუნვდის ხელს მას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. 1921წ.⁴⁴⁵

ქართული ეკლესიის ახალ საჭეთმპყრობელს და საკათოლიკოსო საბჭოს წევრებს საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან მუდმივი ტერორის ქვეშ უწევდათ მუშაობა. 1922წ. თებერვლის შუა რიცხვებში საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი რაფიელ ივანიცკი დააპატიმრეს. იმავე წლის 24 მარტს კათოლიკოს-პატრიარქმა თხოვნით

443. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.329-331.

444. იქვე, ფ.46ა.

445. სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ამბროსი, გვ.151.

მიმართა საბჭოთა მთავრობას მისი განთავისუფლების თაობაზე. თხოვნა, თითქოს, დაკმაყოფილდა, მაგრამ რ.ივანიცკი, რომელიც იყო მისი უწმინდესობის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო დასაყრდენი, მალე იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა საქართველო.⁴⁴⁶

საბჭოთა რეჟიმის პირობებში ქართული ეკლესიის წინაშე მრავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა წამოიჭრა, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდნენ. ერთ-ერთ ასეთ პრობლემას სასულიერო სასწავლებლების არარსებობა წარმოადგენდა. უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსის ძალისხმევით 1922წ 27 აპრილს გაიხსნა ლეონიდეს სახელობის სამოძღვრო სასწავლებელი, რომელსაც დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ჩაუდგა სათავეში. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ სზეიმო ღონისძიებას დაესწრო და სიტყვა წარმოსთქვა კათოლიკოს-პატრიარქმა.⁴⁴⁷

ერის მამამთავრის ისედაც მძიმე მისია კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ საქართველოსთვის უდიდესი განსაცდელის ჟამს იკისრა. ეს იყო პერიოდი, როდესაც საოკუპაციო რეჟიმმა დაამხო ქვეყნის დამოუკიდებლობა, გაასხვისა ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, შორსმიმავალი მიზნებით შექმნა ავტონომიური წარმონაქმნები, მათ შორის სრულიად უკანონოდაც, ფიზიკურად გაანადგურა, სამშობლოდან განდევნა, ან საპყრობილებებში გამოამწყვდია მთელი პოლიტიკური ელიტა, მოსპო დემოკრატიული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინსტიტუტები; ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურად ნოდებული რუსეთის კომპარტიის საქართველოს ფილიალის პირისხლიანი მმართველობა და განუკითხაობა დამყარდა. ოკუპანტებმა შეუტიეს ერის ცნობიერებას, ინტელექტუალურ და კულტურულ ელიტას, ქართულ ენას, ტრადიციებს. მიზნად დაისახეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სრული განადგურება. ქართველი კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ რუსეთის კომპარტიის VIII ყრილობაზე (1919წ. 18-23 მარტი) მიღებული მეორე პროგრამით, რომლის მე-13-ე მუხლში შავით თეთრზე ეწერა, რომ პარტია არ დაკმაყოფილდება სახელმწიფოსაგან ეკლესიის, ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფით და თავისი პოლიტიკით მიაღწევს „რელიგიურ ცრურწმენათა სრულ მოსპობას“.⁴⁴⁸ საბჭოთა რუსეთში საკმაოდ მშვიდობიანად თანაარსებობდა ორი „საეკლესიო კურსი“ – ეკლესიის მთლიანი ლიკვიდაცია (ლენინი – ტროცკი) და ეკლესიის მოდერნიზაცია (სტალინი).⁴⁴⁹ ერთიც და მეორეც, სხვადასხვა გზით, სხვადასხვა მეთოდით ტრადიციული ეკლესიის განადგურებას ისახავდა მიზნად. ოკუპირებულ საქართველოში ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს ე.წ. რევოლუციური კომიტეტის (რევკომის) 1921 წლის 15 აპრილის ზემოხსენებული №21 დეკრეტი წარმოადგენდა (აქვე, დოკ. №20). რევკომმა მას მოაყოლა კიდევ ერთი დოკუმენტი – „ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა (განმარტება დეკრეტისა №21)“. მასში ნათქვამია, რომ ეკლესია მუდამ ემსახურებოდა გაბატონებულ კლასებს, ამართლებდა ექსპლოატაციას, ცდილობდა დაჩაგრული კლასების ყურადღება ამქვეყნიური დუხჭირი ცხოვრებიდან საიქიო ნეტარებაზე გადაეტანა. ამიტომ „პროლეტარიატი დაინტერესებულია, – განმარტავდა რევკომი, – სრულიად მოსპოს ყოველივე სარწმუნოება, კულტი, მღვდელმსახურება, როგორც კრიტიკული გონების დამაჩლუნგებელი, დამაბნელებელი“ (აქვე, დოკ. №21). ამრიგად, ეკლესიის სრული განადგურების გეგმა ემყარებოდა როგორც გაბატონებული კომუ-

446. ე.ბუბულაშვილი. საინგილოს ქრისტიანი მოსახლეობა XXს. 20-40-იან წლებში. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (6). თბ., 2009, გვ. 275.

447. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.258; ე.ბუბულაშვილი. უცნობი მასალები სასულიერო განათლების შესახებ XXს. 20-იანი წლების საქართველოში. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (7). თბ., 2010, გვ. 407-409.

448. სკკპ რელიგიის შესახებ, გვ.78.

449. ქ.პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945). ნაწ. I. თბ., 2008, გვ. 441-445.

ნისტური პარტიის პროგრამულ დებულებებს, ისე საბჭოთა „კანონმდებლობას“.

დეკრეტი №21 ქართველი ბოლშევიკების მთავარ გაზეთში „კომუნისტი“ იმავე წლის 20 აპრილს გამოქვეყნდა. 21 აპრილს იმავე გაზეთში დაიბეჭდა ვინმე „კან“-ის წერილი „ეკლესიის სახელმწიფოსგან ჩამოშორება“. ავტორი საყვედურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმის გამო, რომ მან ცხოვრებაში თანმიმდევრულად ვერ გაატარა საკუთარი გადაწყვეტილებები ეკლესიის წინააღმდეგ. ასეთ არანორმალურ მდგომარეობას, – ნათქვამია წერილში, – ერთბაშად ელება ბოლო 15 აპრილის დეკრეტით, რომლის მიხედვითაც სარწმუნოება კერძო სინდისის საქმედაა აღიარებული, ეკლესია ჩამოშორებულია სახელმწიფოსგან, დღემდე მის განკარგულებაში მყოფი ქონება ხალხის კუთვნილებადაა გამოცხადებული, სკოლიდან კი სავსებით განდევნილია სარწმუნოებრივ-საეკლესიო ელემენტები. ავტორი ხვდება, რომ ეს დრაკონული დეკრეტი საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას გამოიწვევდა და მწვავე კრიტიკის საგანი გახდებოდა, „მაგრამ რევოლუციონური მთავრობა, – წერს იგი, – რკინის ხელით დასაწყისშივე აღკვეთს პროვოკაციული მიზნით წარმოებულ მოსალოდნელ გამოსვლებს.“ ეს იმას ნიშნავდა, რომ სამღვდლოებას და მორწმუნე საზოგადოებას ეკრძალებოდათ სიტყვიერი პროტესტის გამოხატვაც კი აღნიშნული დეკრეტის წინააღმდეგ.

„რევოლუციონური მთავრობის რკინის ხელს“ კი წარმოადგენდა საქართველოს რევკომის 1921წ. 25 თებერვლის (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღესვე) დადგენილებითა და 26 თებერვლის №2 ბრძანებით შექმნილი საქართველოს საგანგებო – საგამომძიებლო კომისია სპეკულაციასთან, საბოტაჟთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად, რომელსაც შემოკლებით საგანგებო კომისიას, უფრო ხშირად რუსული აბრევიატურით „ჩეკა“-ს (ჩრეზვიჩაინაია კომისია) უწოდებდნენ. მის პირველ დროებით თავმჯდომარედ გიორგი ელისაბედაშვილი დაინიშნა, რომელიც მალევე კოტე ცინცაძემ შეცვალა.⁴⁵⁰ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (ცეკა) პრეზიდიუმის 1922წ. 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ნაციონალ-უკლონისტად შერაცხული კოტე ცინცაძე ეპიფანე კვანტალიანმა ჩაანაცვლა, რომელიც საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაკ) საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ 1922წ. 10 ნოემბერს დანიშნა.⁴⁵¹ საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის 1926წ. 20 აგვისტოს და საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმის იმავე წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებებით, საქართველოს საგანგებო კომისია სახელმწიფო-პოლიტიკურ სამმართველოდ გარდაიქმნა. 1926წ. 20 ნოემბერს მას სათავეში ჩაუდგა ლავრენტი ბერია,⁴⁵² რომელსაც აღნიშნული უწყების თითქმის დაარსებიდანვე მისი თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წლების განმავლობაში ყველაზე მეტად სწორედ ამ სადამსჯელო უწყების ხელმძღვანელებთან და მის სხვა თანამშრომლებთან უხდებოდა „ურთიერობა“.

საბჭოთა რუსეთში ეკლესიასთან ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების საქართველოზე მექანიკური გადმოტანით საოკუპაციო კომუნისტური რეჟიმი ცდილობდა ანტირელიგიური პროპაგანდის თანდათანობით გაძლიერებას. ამ მიზნით 1921წ. ოქტომბერში საოლქო და სამაზრო პარტიულ ორგანიზაციებში დაიგზავნა საქართველოს კომპარტიის ცეკას ცირკულარი, რომელიც რუსეთის კომპარტიის ცეკას 1921წ. 18 მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ეფუძნებოდა და რელიგიის დარგში გასატარებულ პოლიტიკაზე, ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებაზე ამახვილებდა ყურად-

450. კომუნისტი, 1921, 2 მარტი, 19 აპრილი; მოამბე შსს კომისარიატისა, 1921, №2, გვ.7.

451. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.193, ფ.440-440ა.

452. შსს არქივი, ფ.14, აღწ.3, ს.2, ფ.5; ს.29, ფ.33ა; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ.284, აღწ.1, ს.221, ფ.71ა.

დღეებს.⁴⁵³

საბჭოთა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია რუსეთის ვოლგისპირეთში (ნანილობრივ საქართველოშიც) დამშეულთა გადარჩენის საბაბით საეკლესიო განძეულობის იძულებითი წესით ამოღების კამპანიამ გამოიწვია. რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) 1922 წლის 23 თებერვლის დეკრეტმა „საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის შესახებ“ პატრიარქ ტიხონისა და მთლიანად რუსული სამღვდელოების მხრიდან დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. სრულიად რუსეთის პატრიარქმა თავის სპეციალურ მიმართვაში საეკლესიო განძეულობის ჩაბარებას „უნმინდურება“ უწოდა.⁴⁵⁴ პატრიარქ ტიხონის მიმართვის სისრულეში მოყვანისა და განძეულობის ამოღებაში მთავრობისთვის წინააღმდეგობის განწევის მცდელობისთვის 1922 წლის განმავლობაში რუსეთში დახვრიტეს 45 სასულიერო პირი, მათ შორის პეტროგრადის მიტროპოლიტი ბენიამინი, პატიმრობა მიესაჯა 250 კაცს.⁴⁵⁵ დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა პატრიარქი ნიკონიც, რომელიც 1922 წ. მაისში ციხეში ყოფნისას, კომუნისტური პრესის ინფორმაციით, აიძულეს გამოეცხადებინა დროებითი გადადგომის შესახებ.⁴⁵⁶ იმავე პერიოდში როგორც გაზ. „კომუნისტი“ 1922 წ. 27 მაისს იუნყებოდა, კიევში მიხაილოვის მონასტერში დასრულდა სასამართლო პროცესი. საეკლესიო განძეულობის გადამალვისთვის მონასტრის წინამძღვარს ეპ. ალექსის, შესამოსელის გამგეს სერაფიმეს და არქიეპისკოპოს ტიხონს, ვის ეპარქიაშიც შემოდიოდა მონასტერი, 10-10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, 400 ბერი ქუჩაში გამოყარეს და მონასტრის მთელი ქონების კონფისკაცია მოახდინეს.

ოდნავ განსხვავებული ვითარება იყო საქართველოში. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და ქართული სამღვდელოება კარგად აცნობიერებდნენ საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის კომუნისტური კამპანიის რეალურ მიზანს, რომელიც უზარმაზარი ქონების ხელში ჩაგდებას გარდა, ეკლესიის დასუსტებაში, ხოლო ამ საქმეში (განძეულობის ამოღებაში) წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში, მისი როგორც დამშეულთა სიცოცხლის გადარჩენის მოწინააღმდეგის, მილიონობით ადამიანის ბედისადმი გულგრილის, ფართო საზოგადოების წინაშე დისკრედიტაციაში მდგომარეობდა. რაც მთავარია, სამღვდელოების მხრიდან წინააღმდეგობის განწევა საბჭოთა ხელისუფლებას ეკლესიის მიმართ რეპრესიების ახალი ტალღის აგორების საშუალებასაც აძლევდა. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ საქართველოში სპეციალური სამთავრობო გადანყევტილების მიღებამდე თვითონ გადადგა წინმსწრები ნაბიჯი – მისი წინადადებით, საკათოლიკოსო საბჭომ მოუწოდა სამღვდელოებას დამშეულთა დასახმარებლად გაიღონ შემონირულობები, მათ შორის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის არმქონე განძეულობა. კათოლიკოს-პატრიარქმა ამ შემთხვევაში გაითვალისწინა როგორც რუსეთში განვითარებული ზემოაღნიშნული მოვლენები, ისე საქართველოში დაწყებული პროცესები, კერძოდ, 1921 წ. 29 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო ბიურომ გადაწყვიტა, შექმნას რუსეთის დამშეული გუბერნიების დახმარების კომისია. იმავე წლის 4 აგვისტოს რევკომის №54 დადგენილებით ასეთი კომისია (კომიტეტი) ჩამოყალიბდა.⁴⁵⁷ 1921 წ. 27 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საქართველოს რევკომს, შექმნას საქართველოს დამშეულთა დახმარების კომიტეტი.⁴⁵⁸ 1922 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობამ ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით

453. გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XXსს. თბ., 2002, გვ.295-296.

454. მუშა, 1922, 18 მაისი; Голос Трудовой Абхазии, 1922, 7 мая.

455. კომუნისტი, 1923, 8 ივლისი.

456. Правда, 1922, 17 мая; Голос Трудовой Абхазии, 1922, 4 июня.

457. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.7, ფ.9; მოამბე შსს კომისარიატისა, №15, 1921, გვ.9.

458. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.8, ფ.50.

ასეთი კომიტეტიც ჩამოაყალიბა. 15 თებერვლიდან იგი ფუნქციონირებდა რევოლუციურ კომიტეტთან, შემდგომში – ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან (ცაკი). 1922 წ. 11 ნოემბერს ცაკ-მა მიიღო დადგენილება საქართველოში რუსეთის ფედერაციის დამშეულთა კომიტეტის გაუქმებისა და საქართველოს ცაკ-თან შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი ცენტრალური კომისიის დაარსების შესახებ (1922 წლის 7 დეკემბერს გადაკეთდა ცაკ-თან არსებულ საქართველოში შიმშილობის და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის კომიტეტად).⁴⁵⁹ შემოკლებით მას „პომგოლ“-ს (პომოში გოლოდაიუშიმი) უწოდებდნენ. 1922 წ. 12 თებერვალს დამშეულთა დახმარების კომიტეტმა მიმართა საქართველოს მოსახლეობას, დაირაზმოს დამშეულთა დასახმარებლად.⁴⁶⁰ ქვეყანაში მოსალოდნელი შიმშილობის შესახებ მოხსენება მოისმინა და სპეციალური რეზოლუცია მიიღო საქართველოს საბჭოების I ყრილობამ, რომელიც 1922წ. 25 თებერვალს გაიხსნა. რეზოლუციაში ნათქვამია: „დადასტურდეს, რომ თუ ვინცობაა შიმშილის საფრთხე გაგრძელდა, დამშეულთა სიკვდილის კლანჭებიდან დასახსნელათ მიღებულ იქნას უკიდურესი გმირული ზომები ძვირფას საეკლესიო ნივთების და განძეულობის გაყიდვამდე დამშეულთა სასარგებლოდ.“⁴⁶¹ სულ მალე ხელისუფლება საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევას შეუდგა.⁴⁶²

შექმნილ ვითარებაში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ინიციატივა ისტორიული და კულტურული ღირებულების არმქონე განძეულობის დამშეულთა სასარგებლოდ ნებაყოფლობით ჩაბარების შესახებ გამართლებული იყო და მიზნად ისახავდა როგორც დამშეულთა დახმარებას, ისე რელიგიური და ისტორიულ-კულტურული ღირებულებების მქონე განძეულობის გადარჩენას. საკათოლიკოსო საბჭომ თავისი გადანყვებილების შესახებ დამშეულთა დახმარების კომიტეტს შეატყობინა, რამაც სამთავრობო წრეების კმაყოფილება გამოიწვია და იმ მომენტში რამდენადმე შეარბილა აგრესია ეკლესიის წინააღმდეგ. 1922წ. 10 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა ფ. მახარაძის, მ.ორახელაშვილის, მ. ოკუჯავას და სხვათა შემადგენლობით განიხილა საკათოლიკოსო საბჭოს მიმართვა დამშეულთა დახმარების კომიტეტისადმი და დაადგინა: „სამღვდელოების წამოწყება მისასალმებელია. წინადადება მიეცეს ცაკ-ს განძეულობის ჩამოსართმევად შექმნას კომისია და შეიმუშაოს ინსტრუქცია. ინსტრუქცია წარმოდგენილ იქნას ცეკას პრეზიდიუმზე დასამტკიცებლად.“⁴⁶³ იმავე წლის 13 აპრილს ცეკას პრეზიდიუმმა საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის საკითხებში თავის რწმუნებულად მინათმუქმედების სახალხო კომისარი ს.თოდრია დანიშნა.⁴⁶⁴ საქართველოს ცაკ-მა 1922წ. 25 აპრილს იმსჯელა საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის კომისიის ჩამოყალიბების თაობაზე და რატომღაც დაადგინა, რომ „საკითხი კომისიის მონაცემების შესახებ დარჩეს ღიად“.⁴⁶⁵ ცაკ-ი, როგორც ყოველთვის, პარტიულ დირექტივას ელოდებოდა, რამაც არ დააყოვნა. 1922წ. 5 მაისს საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით ჩამოაყალიბა საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ს. თოდრია (თავმჯდომარე), ჯორბენაძე და კახიანი. 1922წ. 8 მაისს საქართველოს ცაკ-მა გაიმეორა იგივე დადგენილება.⁴⁶⁶ საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა 1922წ. 12 ივნისს წინადადება მისცა საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის

459. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.28, ფ.14,26.

460. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.28, ფ.26; ს.30, ფ.49; ტრიბუნა, 1922, 16 და 18 თებერვალი.

461. საქართველოს საბჭოების I ყრილობა. თბ., 1922, გვ. 206-208.

462. ტრიბუნა, 1922, 25 აპრილი.

463. შსს არქივი, ფ.14, აღნ.1, ს.192, ფ.385.

464. იქვე, ფ.392ა.

465. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.1, ფ.11ა.

466. შსს არქივი, ფ.14, აღნ.1, ს.192, ფ.483ა-484; საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.1, ფ.15ა.

კომისიას „გააძლიეროს თავისი მუშაობა.“⁴⁶⁷

მთელი ქვეყნის მასშტაბით 1922 წ. მაისიდან მიმდინარეობდა საეკლესიო განძეულობის აღწერა, რომელსაც ადგილებზე სამკაცციანი კომისიები აწარმოებდნენ საგანგებო კომისიის სამაზრო-საქალაქო სტრუქტურის – ე.წ. პოლიტიკური ბიუროს (პოლიტიბიურო) რწმუნებულის, სოფლის აღმასკომის თავმჯდომარის (ქალაქის აღმასკომის წარმომადგენლის) და კონკრეტული ეკლესიის მღვდლის შემადგენლობით. მთელი ეს მუშაობა სამაზრო და საქალაქო პოლიტიბიუროების ხელმძღვანელობით წარიმართებოდა. ყოველ ეკლესიაში აღმოჩენილი ქონების, განძეულობის შესახებ დგებოდა ცალკე ოქმი კომისიის სამივე წევრის ხელმოწერით. ამ ოქმების უმეტესი ნაწილი დაცულია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში. მათ შორისაა ზუგდიდის მაზრის 120, სენაკის მაზრის 152, რაჭის მაზრის 77, გორის მაზრის 124, თელავის მაზრის 46, სამტრედიის მაზრის 53 და სხვა მაზრების ეკლესია-მონასტრებზე შედგენილი ოქმები.⁴⁶⁸ გაზეთ „კომუნისტი“-ს ცნობით, საეკლესიო ქონების აღწერა, ღვთისმსახურებისთვის გამოუსადეგარი განძეულობის ჩამორთმევა წარმატებით მიმდინარეობდა აფხაზეთსა და ახალციხეში.⁴⁶⁹

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დამშეულთა დახმარების კომიტეტში შემოსული სახსრების უდიდეს ნაწილი სულაც არ იყო დამშეულებისთვის განკუთვნილი. საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის 1922 წ. 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ჩატარდა დამშეულთა დახმარების კომიტეტის რევიზია, რომლის შედეგები იმავე პრეზიდიუმმა 1922 წ. 18 დეკემბერს მოისმინა. გაირკვა, რომ კომიტეტი შემოსული სახსრების მხოლოდ 25%-ს ხარჯავდა მიზნობრივად, ანუ დამშეულებისთვის. ამის გამო ცეკას პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება დამშეულთა დახმარების კომიტეტის თავმჯდომარეობიდან იმხანად კიდეც „ნაციონალ-უკლონიზმში“ დადანაშაულებული ფ. მახარაძის განთავისუფლებისა და აღნიშნულ თანამდებობაზე მ. ორახელაშვილის დანიშვნის შესახებ.⁴⁷⁰ გაუგებარია, რაში იხარჯებოდა საეკლესიო საგანძურის რეალიზაციიდან შემოსული დიდძალი სახსრები. ინფორმაციას ამის შესახებ ქართულ ეკლესიას არავინ აწვდიდა, მითუმეტეს საოკუპაციო რეჟიმთან მისი ისედაც დაძაბული ურთიერთობის 1922 წლის მაისიდან უკიდურესად გამწვავების შემდეგ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ის 25 პროცენტიც არც თუ ისე ცოტა თანხა იყო. ვოლგისპირეთისა და ყირიმის დამშეულთა სასარგებლოდ საქართველომ 33 ვაგონი სასურსათო პროდუქტი და სხვა დახმარება გააგზავნა. გარდა ამისა, საქართველო უწვლიდა 1200 მიუსაფარ ბავშვს ვოლგისპირეთიდან, რომლებიც, როგორც წესი, მონასტრებში (მაგალითად, ახალ ათონში) და სხვა კეთილმოწყობილ ადგილებში იყვნენ განთავსებული. 1922წ. აგვისტოში რუსეთის ცაკთან არსებულმა დამშეულთა დახმარების ცენტრალურმა კომიტეტმა მადლობა გადაუხადა საქართველოს ვოლგისპირეთისთვის განეული დახმარებისთვის.⁴⁷¹

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი უკიდურესად შეშფოთებული იყო საოკუპაციო ხელისუფლების მკვეთრად გამოხატული ანტიეროვნული პოლიტიკით, რომელიც, პირველ რიგში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობაში, ყოველგვარი თავისუფლების მოსპობაში, ქვეყნის დანაწევრებაში და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სრული განადგურების მცდელობაში გამოიხატებოდა. მან კარგად იცოდა, რომ ეკლესია სულ მალე ყოფნა-არყოფნის წინაშე დადგებოდა. იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში სუფევდა ტერორი და განუკითხაობა, სასტიკად იდევნებოდა პოლიტიკური ოპოზიცია, შეუძლებელი იყო განსხვავებული აზრისა და ღია პრო-

467. შსს არქივი ფ.14, აღწ.1, ს.192, ფ.557; საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღწ.1, ს.22, ფ.22.

468. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღწ.1, ს.49-55.

469. კომუნისტი, 1922, 19 და 23 მაისი, 8 ივნისი.

470. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.194, ფ.9ა, 166.

471. Очерки истории Компартии Грузии. Ч. II. Тб., 1983, стр. 12-13.

ტესტის გამოთქმა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში შექმნილი რეალური ვითარების გამოაშკარავებას, საერთაშორისო მასშტაბით იმის ოფიციალურად დაფიქსირებას, რომ ქართველი ხალხი არ შეგუებია და არც მომავალში შეეგუება მისი ნების წინააღმდეგ განხორციელებული რუსულ-ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ საქართველოს პრობლემა დასავლეთში მაშინ გახდებოდა უფრო აქტუალური და რეზონანსული, თუ მას გააჟღერებდა უფლებამოსილი, ხალხის ნდობით აღჭურვილი, არჩეული ოფიციალური პირი. სრულიად კანონზომიერად-განვლილი ცხოვრებისეული გზიდან, ერის არჩეული მამამთავრის მაღალი სტატუსიდან და პასუხისმგებლობიდან გამომდინარე – ასეთი პიროვნება აღმოჩნდა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. სავსებით შეგნებულად, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გენუის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციას (1922წ. 10 აპრილი – 19 მაისი), სადაც საბჭოთა რუსეთიც იყო მიწვეული, მან მიმართა მემორანდუმით (აქვე, დოკ. №22) – დოკუმენტით, რომელსაც დღიდან გამოქვეყნებისა, ათწლეულების მანძილზე არ დაუკარგავს თავისი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მნიშვნელობა და აქტუალობა. იგი დათარიღებულია 1922წ. 7 თებერვლით.

კათოლიკოს-პატრიარქი მიმართავდა „კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს“, რითაც იმთავითვე მიანიშნებდა საბჭოთა რუსეთისა და კომუნისტური რეჟიმის სახით კიდევ სხვა – „ველური კაცობრიობის“ არსებობაზე. მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი ისტორიული ექსკურსის შემდეგ მემორანდუმის ავტორი წერდა, რომ „მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი“ (ამბროსიმ იცოდა, რომ გენუის კონფერენცია მართო ეკონომიკური საკითხებით არ შემოიფარგლებოდა და მცირე ერთა უფლებებსაც დაიცავდა) თავს დაესხა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს 1921წ. 25 თებერვალს და კვლავ „დაადგა კისრად“ ისტორიაში ჯერარნახული „მძიმე და სამარცხვინო მონობის“ (რუსეთის „ველურობის“ მაჩვენებელი) უღელი. მიუხედავად ოკუპანტების პროპაგანდისტული ხრიკებისა, – წერდა კათოლიკოს-პატრიარქი, – ქართველი ერი ფიზიკური და სულიერი გადაშენების საფრთხის წინაშე დგას, ართმევენ მიწა-წყალს, ქონებას, მშობლიურ ენას, უბილწავენ სარწმუნოებრივ გრძნობას, უნადგურებენ ეკლესიას. მემორანდუმში ორ პუნქტად არის ჩამოყალიბებული ქვეყნის სრული დეოკუპაციის მოთხოვნა: 1) საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანა, მისი დაცვა უცხოელთა თარეშისა და მძლავრობა-მიტაცებისგან; 2) გარედან ძალდატანებისა და კარნახის გარეშე ეროვნული ფსიქიკის, სულისკვეთების, კულტურის შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის ფორმის შემუშავება. დასასრულს, კათოლიკოს-პატრიარქი იმედს გამოთქვამდა, რომ გენუის კონფერენცია დაიხსნიდა საქართველოს „ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებისაგან.“

დღემდე დანამდვილებით არ არის ცნობილი მემორანდუმის შედგენასთან და ევროპაში მის გაგზავნასთან დაკავშირებული გარემოებები. ნ. თალაკვაძის მონაცემებით, გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნის თაოსანი იყო სილიბისტრო ჯიბლაძე, ხოლო ტექსტის ავტორი, როგორც ამბობენ, კ. კეკელიძეაო. კ. კეკელიძის ავტორობა თუ თანაავტორობა, როგორც ეს 1924 წლის მარტის სასამართლოზე მისი გამოსვლიდან (14 მარტი) ჩანს (აქვე, დოკ. №68), არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს (მემორანდუმის ტექსტის თანაავტორის ვინაობასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებაც არსებობს,⁴⁷² თუმცა ეს არ არის პრინციპული მნიშვნელობის საკითხი). ნ. თალაკვაძე წერდა ასევე, რომ 1924 წ. 4 მაისს კათოლიკოს-პატრიარქმა მას გაანდო საიდუმლო მემორანდუმის შესახებ. „ამ დღეებში დიდ ამბებს გაიგებო“, – უთქ-

472. იხ. ამის შესახებ: კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია). ეპისტოლური მემკვიდრეობა (შეადგინა გოჩა საითიძემ), გვ. 34-35.

ვამს მის უწმინდესობას, რომელიც დღე-დღეზე დაპატიმრებას მოელოდა. დაკავების შემთხვევაში „ეცადეთ ჩეკაში არ გამაჩერონ, ციხეში გადამიყვანონ,“ – უბრძანებია კათოლიკოს-პატრიარქს. ნ. თალაკვაძის ვარაუდით, მემორანდუმი, რომელიც ადასტურებდა იმ ვითარებას, რასაც საქართველოს ემიგრირებული მენშევიკური მთავრობა ამტკიცებდა ანტანტისა და მთლიანად ევროპის საზოგადოებრივი აზრის წინაშე, საზღვარგარეთ წაღებული უნდა იყოს დამფუძნებელი კრების წევრის ვლასა მგელაძისა და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქტორის იოსებ იმედაშვილის მიერ; დოკუმენტი საფრანგეთის დელეგაციის წევრს ბარტუს მიართვეს, რათა მას იგი კონფერენციისთვის წარედგინა. აღშფოთებულმა რუსეთის დელეგაციის მეთაურმა გ. ჩიჩერინმა შეკითხვა აფრინა საქართველოს მთავრობისადმი – „მართალია ყოველივე ეს თუ არაო“? კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმი მთელ ქვეყნიერებას მოსდეს რადიოთი, ცნობა ამის შესახებ მოსკოვის გაზეთებშიც დაიბეჭდა, მაგრამ თბილისში ჩამოსული შესაბამისი ნომრები ამ გაზეთებისა ამოღებული იქნა მიმოქცევიდან; კათალიკოსის შესახებ კი შინაური ძიება და ფაქცი-ფუცია, – წერდა ნ. თალაკვაძე.⁴⁷³



ქართული ჯარები სოჭში. 1918 წლის შემოდგომა.

ჩვენი აზრით, სიმართლეს უფრო შეეფერება სოხუმის მკვიდრის ვახტანგ ჯორჯიკიას მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის ჩატანა კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ თურმე ვახტანგის ბაბუას, სოხუმელ ექიმს, ცნობილ მეცნიერს, აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, კათოლიკოს-პატრიარქის დიდი ხნის ახლო მეგობარს და მეზობელს (სოხუმში ორივე დღევანდელი ფ. ენგელსის ქუჩაზე ცხოვრობდა) ალექსანდრე გრიგოლიას (1873-1975 წ.წ.) მიანდო. ბატონმა ვახტანგმა გაგვიზიარა ბაბუის სრულიად საიდუმლო მონაცოლი ამ 473. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. სახ. მუზეუმი. ნ.თალაკვაძის მოგონებები, საინვენტ. №27028, ფ.73.

ფაქტთან დაკავშირებით. მემორანდუმი ალექსანდრე გრიგოლიას იტალიაში წაუღია თავის ძმასთან რაჟდენტთან და აგრეთვე სოხუმელ პოლონელთან ალექსანდრე მალახოვსკისთან (ამ უკანასკნელს მალალ თანამდებობაზე მყოფი ახლო ნათესავი ჰყოლია ვატიკანში) ერთად. მათი მგზავრობის დაფინანსებაში დიდი წვლილი შეუტანია აფხაზეთში ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, იურისტს, 1919-1921 წლებში სახალხო საბჭოს წევრს გ. ზუხბაიას. ალ. გრიგოლია და მისი თანმხლები პირები აჭარაში თურქეთ-საქართველოს საზღვრამდე სოხუმელ გერმანელს ჯაკობო ვან ზიდლერს გაუცილებია, საზღვრის გადალახვაში კი აფხაზური წარმოშობის თურქეთის მოქალაქეს კურთხელ ოლლი კუჩბას გაუწევია დახმარება და მასვე იტალიაში გაუცილებია. იქ კი ა. გრიგოლიას ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე ბაგრატიონი (ამჟამად იტალიაში მცხოვრები ქეთევან ბაგრატიონის ბაბუა) დახვედრია. თავისი მისიის შესრულებაში ალ. გრიგოლიას, გარდა ალექსანდრე ბაგრატიონისა, დახმარებია მაშინ სრულიად ახალგაზრდა გრაფი ჯან გალუაცო ჩიანო (შემდგომში მუსოლინის სიძე და მის მთავრობაში ჯერ პრესისა და პროპაგანდის, 1936-1943 წლებში, კი საგარეო საქმეთა მინისტრი; 1944 წ. დახვრიტეს როგორც ომიდან იტალიის გამოსვლის მომხრე) და მისი ოჯახი. იტალიაში ყოფნისას ალ. გრიგოლია ამ ქვეყნის მეფესაც შეხვედრია. ბატონი ვახტანგ ჯორჯიკია დღემდე ინახავს ძვირფას რელიკვიას – იტალიის მეფის მიერ მისი ბაბუისთვის ნაჩუქარ სათუთუნეს, რომელსაც შიგნიდან ერთ მხარეს აქვს წარწერა იტალიურ ენაზე: „მისი უდიდებულესობის ვიქტორ ემანუილ III საჩუქარი. 15-V-1922“; მეორე მხარეს კი ასეთი წარწერაა: „ა. გრიგოლია“. ეს რელიკვია (სურათი აქვე ქვეყნდება) მასზე აღნიშნული



თარიღით, ბატონ ვახტანგ ჯორჯიკიას მონაცოლთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმის იტალიაში ალ. გრიგოლიასა და მისი თანმხლები პირების მიერ ჩატანის ვერსიის სასარგებლოდ. არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ მემორანდუმის ცალკეული ეგზემპლარები, ერთმანეთის დაზღვევის მიზნით, კათოლიკოს-პატრიარქმა იმავე ვლასა მგელაძესა და იოსებ იმედაშვილს, აგრეთვე, როგორც თვითონ აჩვენა დაკითხვებზე (აქვე, დოკ. №23 და ა.შ.), მღვდელ ი. კაპანაძესა და მის ვილაც ნაცნობსაც გაატანა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად საერთაშორისო იზოლაციაში მყოფი საბჭოთა რუსეთი საგანგებოდ ემზადებოდა გენუის კონფერენციისთვის; ცდილობდა გამოეყენებინა ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული უთანხმოებანი, რათა ნაწილობრივ მაინც გამოსულიყო იზოლაციიდან. კონფერენციის გახსნამდე (10 აპრილი) დიდი ხნით ადრე კომუნისტური პრესა აჭრელებული იყო მასალებით მომავალი კონფერენციის შესახებ. მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი (რომ არაფერი ვთქვათ მოსკოვის გაზეთებზე) 1922 წლის თებერვლიდან აშუქებდა კონფერენციისთვის მზადების მიმდინარეობას. რუსეთის იქ მიწვევა ბოლშევიკების დიდ დიპლომატიურ გამარჯვებად მიიჩნეოდა. გადაწყვეტილება გენუაში კონფერენციის მოწვევის შესახებ ევროპის მოკავშირე სახელმწიფოთა კანის კონფერენციამ (1922წ. იანვარი) მიიღო. იმავე კონფერენციაზე ინგლისმა დაბლოკა საფრანგეთის (არისტიდ ბრიანის) წინადადება გენუაში საქართველოს კანონიერი მთავრობის დაშვების შესახებ. ამით ისარგებლა საბჭოთა რუსეთმა, რომელმაც იტალიის პრემიერს შეატყობინა, რომ გენუაში რუსეთის დელეგაციასთან ერთად ჩავიდოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დელეგაციებიც.⁴⁷⁴ კონფერენციაზე წარმომადგენლობის საკითხი საბჭოთა საქართველოს მთავრობამ – სახალხო კომისართა საბჭომ (სახკომსაბჭომ) 1922წ. 15 მარტს განიხილა და დაადგინა:

„1. საქართველოს სსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლობა იტალიაში მიენდოს რუსეთის სფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელს იტალიაში ამხანაგ ვოროვსკის.

2. წინადადება მიეცეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს სასწრაფო წესით დაამზადოს სათანადო მანდატი ამხანაგ ვოროვსკის სახელზე.“⁴⁷⁵

გენუაში ჩასულ საბჭოთა რუსეთის დელეგაციას თან ახლდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „პრემიერები“, როგორც დამატებითი დელეგატები. საქართველოს ბუდუ მდივანი „წარმოადგენდა.“ მალე გაირკვა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების „პრემიერებს“ მანდატები არ ჰქონდათ და ამიტომ ისინი დელეგატთა სიიდან ამოშალეს. საქართველოს დევნილი მთავრობა, თავის მხრივ, ცდილობდა, გენუის კონფერენციაზე საქართველოს ერთადერთ სრულუფლებიან წარმომადგენლად დაფიქსირებას. გენუაში ჩავიდა ქართული დელეგაცია ა. ჩხენკელის (თავმჯდომარე) ირ. წერეთლის, სვ. მდივანის, გრ. ვეშაპელისა და ზ. ავალიშვილის შემადგენლობით, რათა სათანადო საბუთები მიენოდებინათ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მზად იყვნენ საქართველოს საკითხის მხარდასაჭერად.⁴⁷⁶ ეს ყოველივე ძალიან აღელვებდათ მოსკოვშიც და თბილისშიც. ამიტომაც წერდა გაზ. „კომუნისტი“: „გენუის კონფერენციის წინ და მის განმავლობაში მოსალოდნელია ბევრნაირი სიურპრიზი და ყოველგვარ შემთხვევისათვის ფხიზლად და მზად უნდა ვიყოთ.“⁴⁷⁷ ყველაზე დიდი და მოულოდნელი სიურპრიზი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმი აღმოჩნდა, რომელიც 1922 წლის 5 მაისს გენუის გაზეთმა „კაფარა“-მ გამოაქვეყნა და რომელმაც შოკში ჩააგდო საოკუპაციო ხელისუფლება. კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმი ნაკითხულ იქნა კონფერენციის სამომწესრიგებლო კომისიის (იხილავდა იმ სახელმწიფოთა განცხადებებს, რომლებიც არ იყვნენ მიწვეული კონფერენციაზე) სხდომაზე და დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც კონფერენციის დელეგატთა შორის, ისე ევროპის პოლიტიკურ წრეებში.⁴⁷⁸ ქართული კომუნისტური პრესა ღვარძლიანად და ნიშნის მოგებით წერდა იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის დევნილმა მთავრობებმა, მათ შორის ნოე ჟორდანიას მთავრობამ, მიზანს ვერ მიაღწიეს, რომ

474. გ.ცხოვრებაძე. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925წწ. თბ., 1996 გვ. 68.

475. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.600, აღნ.1, ს.79, ფ.4.

476. გ.ცხოვრებაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

477. კომუნისტი, 1922, 7 აპრილი.

478. გ.ცხოვრებაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

ჩაიშალა ქართველი მენშევიკების ცდა, გენუის კონფერენციაზე ყოფილიყვნენ წარმოდგენილი საქართველოს სახელით, რომ „ეს საკითხი უნდა ჩაითვალოს სამუდამოდ დასამარებულად“ და ა.შ., მაგრამ გაზეთები მემორანდუმს ჯერ არ ახსენებდნენ. საქართველოს კომპარტიის ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების თეზისებში „გენუა და საბჭოთა რესპუბლიკები“ იყო აშკარა, მაგრამ მხოლოდ მინიშნება კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმზეც: „მიუხედავად მენშევიკების ყოველგვარი ცდისა, რათა ბურჟუაზიული სახელმწიფოები ჩარეულიყვნენ საქართველოს მუშების და გლეხების საქმეებში, აქამდე მათ არაფერი გამოუვიდათ“.⁴⁷⁹ საოკუპაციო რეჟიმი დიდხანს დუმდა მემორანდუმთან დაკავშირებით, მაგრამ აქტიურად ემზადებოდა რეპრესიული ზომების მისაღებად. 1922 წლის 30 მაისს საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმმა ერთ-ერთ საკითხად განიხილა „გენუის კონფერენციისადმი საქართველოს პატრიარქ ამბროსის მონოღების შესახებ“ და დაადგინა: „გამოიყოს კომისია ამხანაგების მახარაძის, ცინცაძის, ქავთარაძის შემადგენლობით, რომელი კომისიაც გაეცნოს მასალებს და გადაწყვიტოს პატრიარქ ამბროსის კანონიერ პასუხისგებაში მიცემის საკითხი და წარმოადგინოს ცეკას პრეზიდიუმზე დასამტკიცებლად; იმავე კომისიამ ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს ამ საქმეზე შესაბამისი სააგიტაციო კამპანიის წარმოების გეგმა.“⁴⁸⁰ როგორც ვხედავთ, ცეკა სერიოზულად მოეკიდა საკითხს და შექმნა კომისია ცაკ-ის თავმჯდომარის (ფილიპე მახარაძე), საგანგებო კომისიის (ჩეკას) თავმჯდომარისა (კოტე ცინცაძე) და შს სახალხო კომისრის (სერგო ქავთარაძე) შემადგენლობით, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქის პასუხისგებაში მიცემისა და იდეოლოგიური მუშაობის წარმართვის საკითხები უნდა გადაეწყვიტა. 1922წ. ივნისის პირველი რიცხვებიდან (თუ უფრო ადრე არა) კათოლიკოს-პატრიარქზე ფარული აგენტურული ზედამხედველობა დაწესდა.

კომისია შეუდგა მუშაობას და უკვე 3 ივნისს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ფ. მახარაძის ვრცელი წერილი „მენშევიკების ოინები გენუის კონფერენციაზე“. ავტორი აცხადებდა, რომ „აქამდე ჩვენ ხელთ არ გვექონდა სრული დამამტკიცებელი ფაქტები იმ ოინზაზობისა და იმ სიყალბისა, რომელიც მათ ჩაიდინეს გენუის კონფერენციის დროს ქართველი ხალხის შესახებ მის ზურგს უკან.“ ახლა კი, – აგრძელებდა ფ. მახარაძე, – საზღვარგარეთის გაზეთების მიღების შემდეგ „ხელთა გვაქვს ორი დოკუმენტი საქართველოს შესახებ, რომლებიც გენუის კონფერენციაზე ინვევდნენ სხვადასხვა მითქმა-მოთქმას. ერთი იმათგანი ხელმოწერილია „საქართველოს ეროვნული მთავრობის“ თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მიერ, ხოლო მეორე – „სრულიად საქართველოს“ პატრიარქის ამბროსის მიერ. ამ ორივე დოკუმენტის მიზანი და შინაარსი ერთი და იგივეა, ე.ი. სიყალბის და სიცრუის საშუალებით ქართველი მშრომელი მასის პროვოკაცია. ჩვენი მკითხველები გაეცნობიან ამ დოკუმენტების სრულ ტექსტს. დეე, მკითხველებმა, მთელმა ხალხმა, დეე თვითონ დააფასონ ეს დოკუმენტი; თვითონ მუშებმა და გლეხებმა დასდონ თავისი პირუთვნელი და სასტიკი მსჯავრი და გამოიტანონ განაჩენი ამ დოკუმენტების ავტორების შესახებ.“⁴⁸¹ ფ. მახარაძე, როგორც საკმაოდ გამოცდილი ბოლშევიკი – აგიტატორი, წინასწარ ნიადაგს ამზადებდა „ხალხის“, „მუშებისა“ და „გლეხების“ სახელით კათოლიკოს-პატრიარქის გასამართლებისთვის.

ფ. მახარაძის დაპირებისამებრ, გაზეთ „კომუნისტის“ მორიგ ნომერში სათაურით „საქართველოს „პატრიარქების“ მუშაობა“ დაიბეჭდა მემორანდუმის ტექსტი, ნ. ჟორდანიას მიმართვა კონფერენციის თავმჯდომარისადმი და ამ უკანასკნელის (ლუიჯი ფაქტას) მიმართვა გ. ჩიჩერინისადმი პირველი კომისიის თავმჯდომარის შანცერის მემწეობით.⁴⁸² ნ. ჟორდანიას მიმართვაში ნათქვამია: „ეს არის ეხლა მივიღე ტელე-

479. კომუნისტი, 1922, 25 აპრილი, 13 და 24 მაისი.

480. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.189, ფ.11ა.

481. კომუნისტი, 1922, 3 ივნისი.

482. ლ. თოიძე. ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, ფაქტობრივი ანექსია. თბ., 1991,

გრამა, რომელიც გვატყობინებს, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობის ჯარები აწარმოებენ სამხედრო ოპერაციებს საქართველოს პროვინციებში – სვანეთში, ლეჩხუმში და რაჭაში. მაშინ, როდესაც მე-9 არმია მიემართება კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ, მე-11 არმია მოდის ქუთაისის მხრიდან, გარს ერტყმის ოლქებს, საიდანაც 1921 წელს აჯანყებულმა ხალხმა განდევნა ბოლშევიკების მოხელეები და აღადგინა დემოკრატიული მთავრობა. დასავლეთ საქართველოში იღვრება სიხლი, ხოლო საქართველოს დანარჩენ ნაწილებში მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავედება და მოსალოდნელია სერიოზული კატასტროფები. ქართველი ხალხის სახელით გთხოვთ თქვენ, მიჰმართოთ კონფერენციას ამ შეკითხვით. კონფერენციას შეეძლო სისხლისღვრისთვის ბოლო მოელო, თუ იგი დაუყოვნებლივ მოსთხოვდა რუსეთის დელეგაციას მტრულ მოქმედებათა შეჩერებას და კანაში მიღებულ დადგენილებების მეექვსე მუხლის გაცრცელებას საქართველოზე“.⁴⁸³ კონფერენციის დელეგატებმა, მოისმინეს რა ნ. ჟორდანიას მიმართვა, ეს საკითხი გადასცეს კომისიას, რომელშიც რუსეთის საკითხი იხილებოდა. ამ კომისიის თავმჯდომარის, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის შანცერის წინადადებით მიღებულ იქნა მიმართვა რუსეთის დელეგაციის მეთაურის გ. ჩიჩერინის სახელზე საქართველოს პროვინციებში სისხლისღვრის შეჩერების თაობაზე.⁴⁸⁴ „ამის გამო მაქვს პატივი, – მიმართა კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩიჩერინს, – გაცნობოთ ყოველივე ეს და გთხოვთ აცნობოთ მოსკოვს აღნიშნულ სხდომაზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა დელეგატების აზრი. იმედი მაქვს, რომ თქვენ ანგარიშს გაუწევთ ამას და გააკეთებთ ყოველივეს, რაც თქვენ ხელთ იქნება, იმ ქვეყანაში მშვიდობიანობის დასამყარებლად, რომელმაც ისედაც ბევრი წვალევა გამოიარა ამ მოკლე ხანში მომხდარ ომის დროს.“⁴⁸⁵

ამ და სხვა პუბლიკაციებიდან კარგად ჩანს, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმმა და საქართველოს დევნილი მთავრობის მიმართებმა გენუის კონფერენციისადმი სერიოზულად ააფორიაქეს მოსკოვი და მისი თბილისელი მარიონეტები. ბუდუ მდივანს თითქოს უთქვამს კერძო საუბარში, „დიდი ვნება მოგვიტანა კონფერენციაზე კათოლიკოზის „მონოდებამო“. ამ დოკუმენტმა დაუდასტურა მენშევიკებს ის ბრალდება, რომლითაც ისინი გამოდიოდნენ ჩვენს წინააღმდეგო.“⁴⁸⁶ არსებული რეჟიმისათვის ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცეკას მიერ 1922 წ. 30 მაისს შექმნილმა კომისიამ დავალება ოპერატიულად შეასრულა, „შეისწავლა“ უწმინდესისა და უნეტარესის „საქმე“ და 1922 წლის 12 ივნისს ცეკას პრეზიდიუმზე განსახილველად გაიტანა „საქართველოს პატრიარქ ამბროსის საკითხი გენუის კონფერენციისადმი მის მიმართვასთან დაკავშირებით“. პრეზიდიუმმა კი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დაადგინა: „საჭიროდ ჩაითვალოს სასამართლო პასუხისგებაში მიცემა.“

წინადადება მიეცეს საქართველოს საგანგებო კომისიას, აწარმოოს ამ საკითხზე წინასწარი გამოძიება.“⁴⁸⁷

იმავე დღეს, 1922 წ. 12 ივნისს უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ საკმაოდ ვრცელი ჩვენება მისცა საგანგებო კომისიის რწმუნებულის თანაშემწეს ვინმე ქავყარაძეს. ამას წინ უძლოდა სამხედრო ფორმაში გამონყობილი საგანგებო კომისიის წარმომადგენლის „სტუმრობა“ საკათოლიკოსო საბჭოში, როცა მისი სხდომა მიმდინარეობდა;

გვ. 297-303; ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923წწ.). თბ., 1999, გვ. 364-370.

483. მოკავშირე სახელმწიფოთა საბჭოს მიერ კანაში მიღებული გადაწყვეტილების VI მუხლის თანახმად, გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სახელმწიფოებს უარი უნდა ეთქვათ აგრესიულ მოქმედებებზე მეზობლების წინააღმდეგ (ტრიბუნა, 1922, 26 აპრილი).

484. გ. ცხოვრებაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 71-72.

485. კომუნისტი, 1922, 4 ივნისი.

486. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი. ნ.თალაკვაძის მოგონებები, საინვენტ. №27028, ფ.97.

487. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.192, ფ.557.

დაუპატიჟებელ სტუმარს გამოუცხადებია, რომ კათოლიკოს-პატრიარქს იბარებდა „ჩეკას“ თავმჯდომარე კოტე ცინცაძე. როგორც კალისტრატე ცინცაძე იგონებდა, „ჩეკას“ წარმომადგენელს სთხოვეს, მოეთინა ნახევარი საათი სხდომის დამთავრებამდე, მან კი წინადადება მოგვცა 20 წუთში დაგვესრულებინა სხდომა; ყველა მიხვდა „რისთვის მიაღწია კათოლიკოსს საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ ავტომობილი“. საკათოლიკოსო საბჭოს სხდომაზე, – წერდა კალისტრატე ცინცაძე, – გადაწყდა, მისი უწმინდესობის დაპატიმრების შემთხვევაში ქორეპისკოპოსი ქრისტეფორე მანგლელი დაგვენიშნა ურბნისის მმართველ მღვდელმთავრად და მისთვის მიგვენდო საბჭოში თავმჯდომარეობა და მცხეთა-თბილისის ეპარქიის მართვა-გამგეობა.⁴⁸⁸

1922 წ. 20 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქმა ზემოთხსენებულ ქავჭავაძეს მისცა დამატებითი ჩვენება (აქვე, დოკ. №23). თავის ჩვენებებში წმ. ამბროსი მტკიცედ იცავდა მემორანდუმში საბჭოთა რუსეთისადმი ნაყენებულ ბრალდებებს, მათ შორის ბრალდებებს ოკუპაციისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობის შესახებ. დამატებით ჩვენებაში კი მან ასევე განაცხადა, რომ მემორანდუმის ტექსტი ევროპაში გაატანა იქიდან ჩამოსულ უცხო პიროვნებას, რომელიც მღვდელმა იასონ კაპანაძემ (იმ დროისთვის ამერიკაში იყო ემიგრირებული) მომიყვანაო. კათოლიკოს-პატრიარქის ჩვენებებს, როგორც ჩანს, თვით კოტე ცინცაძეც გარკვეული შთაბეჭდილება მოუხდენია. 12 ივნისს დაკითხვის დასრულების შემდეგ, – უთქვამს მის უწმინდესობას წ. თალაკვაძისთვის, – კოტემ „გამომიშვა, არც კი გამომეთხოვა, ზურგი მომაქცია ისე გავიდა თავის ოთახში და ჩაილაპარაკა – მიაცილეთ სახლამდე, ფეხით ნუ გაუშვებთო. ჩამსვეს ავტომობილში და ერთი შოფერით მხოლოდ, მომიყვანეს სახლში.“⁴⁸⁹

1922 წლის 22 ივნისს ქავჭავაძემ გამოიტანა დადგენილება, რომ კათალიკოს-პატრიარქის მემორანდუმი წარმოადგენს არსებული წყობილების წინააღმდეგ ჩადენილ ბოროტმოქმედებას „რომელიც გამოიხატა პროვოკაციაში, კონტრრევოლუციაში და საბჭოთა ხელისუფლების შებლაღვაში“.⁴⁹⁰ ეს დადგენილება უწმინდესს და უნეტარესს მის სასახლეში მოსულმა ორმა ახალგაზრდა „ჩეკისტმა“ გააცნო, რომლებიც ხელის ქნევით ემუქრებოდნენ კათოლიკოს-პატრიარქს. ის კი ხელის ქნევაზე განრისხებულია, პროტესტი განუცხადებია და უთქვამს: „მე არ მეკადრება თქვენგნით ხელის ქნევა, სხვა არა იყოს რა, თქვენოდენა შვილიშვილები მყავსო.“ ამაზე „ჩეკისტებს“ დარცხვენით უპასუხნიათ: „ჩვენ თითი უცაბედად გავიქნიეთ, თქვენი დამუქრება როდი გვინდოდაო.“⁴⁹¹ 22 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქი საგანგებო კომისიაში მაინც წაუყვანიათ და მისგან მემორანდუმში მოტანილი ბრალდებების დამადასტურებელი საბუთები მოუთხოვიათ. ვინაიდან ასეთი საბუთები მას თან ვერ ექნებოდა, იძულებული გახდა შემდეგი ხელწერილი შეედგინა: „მე, პატრიარქი საქართველოსა ამბროსი, ვალად ვიდგენ მოცემულ წინადადების მიხედვით ოთხი დღის განმავლობაში წარმოვადგინო ფაქტები იმ დებულების გასამართლებლად, რომელნიც მითითებული იყვნენ ჩემგან გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ მემორანდუმში. პატრიარქი ამბროსი.“⁴⁹² ზუსტად მეოთხე დღეს – 1922 წ. 26 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქმა წერილით მიმართა „საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს“ კ. ცინცაძეს. პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის“... და არა საქართველოს სსრ...“ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის შემდგომშიაც მრავალჯერ მიუმართავს მთავრობის თავმჯდომარისთვის, წევრებისთვის, საგანგებო

488. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.102, გვ.192.

489. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი. წ. თალაკვაძის მემუარები, საინვენტ. №27028, ფ.94.

490. საქ. უახლ. ისტ. ცენტრ. არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.122.

491. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი. წ. თალაკვაძის მემუარები, საინვენტ. №27028, ფ. 96ა.

492. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.496.

კომისიისთვის და ყოველთვის ხმარობდა სიტყვებს „საქართველოს რესპუბლიკის...“, ან „საქართველოს“ და არსად – „საქართველოს სსრ“-ს (აქვე, დოკ. №№35, 38, 45, 50 და ა.შ.), რაც მისი მხრიდან არსებული რეჟიმისადმი პროტესტისა და შეურიგებლობის გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. 26 ივნისის წერილში ამბროსი ხელაია ასაბუთებდა, რომ ოკუპაციის შემდეგ საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, გასხვისდა ტერიტორიები, ქვეყანა დაქუცმაცდა, დაკნინებულია ქართული ენა, კულტურა, ნიავდება ქონება, ილახება საწმინდოებრივი გრძობა, იდეებებიან სასულიერო პირები და ა.შ. როგორც სიტყვის, ბეჭდვის, სინდისისა და ერთა თვითგამორკვევის მომხრეს და ამასთანავე მწყემსმთავარს არ შემეძლო არ ამემალღებინა ხმა ყოველივე იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება, – წერდა კათოლიკოს-პატრიარქი და დასასრულს აცხადებდა: „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა ღვთისა და მშობელ ერის წინაშე და თუ ეს ჩამეთვლება დანაშაულად, მზად ვარ, საჯაროდ ვაგო პასუხი“ (აქვე, დოკ. №24). იმავე დღეს (1922წ. 26 ივნისი) მისმა უწმინდესობამ კ. ცინცაძეს მიართვა ბარათი თხოვნით, გასცეს „განკარგულება, რომ, თუ საჭირო არ იქნება პირადათ თქვენ მიერ ჩემი ნახვა, ნუ ინებებთ ჩემს დაბარებას;“ რომ ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნებოდა მისი ასაკი და ავადმყოფობა (აქვე, დოკ. №24, შენ.2).

ამის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი მართლაც დიდხანს – 1923წ. დასაწყისამდე არ დაუბარებიათ საგანგებო კომისიაში, მაგრამ ეს უწყება აგრძელებდა 1922წ. 4 ივნისიდან მის უწმინდესობაზე დანესებულ აგენტურულ ზედამხედველობას. ნიშანდობლივია, რომ ამ აგენტურულ საქმეს „წმინდანი“ ეწოდებოდა. საგანგებო კომისიის – ფარული აგენტები – აფიქსირებდნენ „წმინდანის“ – კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ყოველ ნაბიჯს, აგროვებდნენ ცნობებს მის უახლეს გარემოცვაზე, მხარდამჭერებზე და მოწინააღმდეგეებზე, კავშირებზე ანტისაბჭოთა პარტიებთან, ანტისაბჭოურად განწყობილ ცალკეულ პიროვნებებთან, მაგალითად, პაოლო იაშვილთან და ა.შ (აქვე, დოკ. №26).

ხელისუფლებასთან პირველმა ღია შეტაკებამ და ამასთან გამოჩენილმა სიმტკიცემ დიდად გაზარდა კათოლიკოს-პატრიარქის ავტორიტეტი როგორც სამღვდელოებაში, ისე მთელს საზოგადოებაში. მართალია, ის რჩებოდა საგანგებო ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ თავის მწყემსმთავრულ მისიას უფრო მეტი შემართებით ასრულებდა. პატრიარქი არა მარტო მყარად დარჩა გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის პოზიციაზე, არამედ მზად იყო დაემყარებინა კავშირი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, დაელოცა მისი სამართლიანი და გმირული ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისთვის. როგორც დავით ვაჩნაძე მოწმობს, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ამის გაკეთებას 1922წ. ალავერდობაზე აპირებდა. „რჯულისა და ერისათვის სიკვდილი მწყურია. ველარ ვიტან ამ შეგინებულ, ნაძრახ ქართულ სიცოცხლესო,“⁴⁹³- უთქვამს მაშინ კათოლიკოს-პატრიარქს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ მან ქაქუცა ჩოლოყაშვილთან შეხვედრა მოახერხა, მაგრამ 1922 წლის ალავერდობაზე მისი უწმინდესობა ნამდვილად იმყოფებოდა. სექტემბრის დასაწყისში საკათოლიკოსო საბჭომ საქართველოს მთავრობას კათოლიკოს-პატრიარქის კახეთში (თელავში, შუამთის, ალავერდის მონასტრებში) მოგზაურობის ზუსტად განერილი გრაფიკი წარუდგინა. გრაფიკის მიხედვით, მისი უწმინდესობა თბილისის სადგურიდან თელავის მიმართულებით 16 სექტემბერს მატარებლით უნდა გამგზავრებულიყო. 17 სექტემბერს თელავის საკათედრო ტაძარში (წინამძღვარი ი. შიუკაშვილი), სადაც სამღვდელოების წარმომადგენლები, საეპარქიო სასამართლოს (თავმჯდომარე დეკ. ელიზბარაშვილი) წევრები და ზარების რეკვით გაფრთხილებული მორწმუნე საზოგადოება შეიკრიბებოდა, გაიმართებოდა საზეიმო დახვედრა პურ-მარილით, რის შემდეგაც კათოლიკოს-პატრიარქი საღვთო ლიტურგიას ალავერდენდა. საპატიო სტუმარი 18 სექტემბერსაც თელავში დარჩებოდა.

493. გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV. თბ., 2003, გვ. 547-548.

19 სექტემბერს დაგეგმილი იყო შუამთის მონასტერში გამგზავრება, სადაც მისი უნ-
მინდესობა მეორე დღეს ღამისთევით ლოცვას, 21 სექტემბერს – საღვთო ლიტურ-
ლიას ჩაატარებდა. შემდგომ დღეებში კათოლიკოს-პატრიარქი აპირებდა ძველი შუამ-
თის (22 სექტემბერი), იყალთოს ღვთაების (23 სექტემბერი), თეთრი გიორგის (24
სექტემბერი) და ახლომდებარე სოფლების ეკლესიების დათვალიერებას; 26 სექტემ-
ბერს გაემგზავრებოდა ალავერდში, სადაც შეხვდებოდა მღვდელმონაზვნებს, ახლომ-
დებარე სოფლების სამღვდლოებას და მოსახლეობის წარმომადგენლებს. 27 სექტემ-
ბერს ალავერდში გაიმართებოდა ღამისთევითი ლოცვა, 28 სექტემბერს – საღვთო
ლიტურდია (იხ: ალავერდობაზე გადაღებული ფოტო).



*კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას სტუმრობა კახეთში ალავერდობაზე. 1922 წ.
(ლუარსაბ ტოგონიძის პირადი კოლექცია)*

ამის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი ბრუნდებოდა თელავში და 29 სექტემბერს
გაემგზავრებოდა ველისციხეში.⁴⁹⁴ კახეთში მოგზაურობისას უნმინდესი და უნეტა-
რესი ამბროსი ბოდბეშიც ბრძანდებოდა, უკანასკნელად კი წინანდალში ყოფილა. ნ.
თალაკვაძის მოგონებების მიხედვით და როგორც სურათიდანაც ჩანს, ამ მოგზაურო-
ბის დროს კათოლიკოს-პატრიარქს თან ახლდნენ არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე),
დეკანოზები კალისტრატე ცინცაძე და მელქისედეკ ფხალაძე. თბილისში 5 ოქტომბ-
ერს დაბრუნებულან. კახეთში ჩატარებულ შეხვედრებზე მასპინძლები ხაზს უსვამდ-
ნენ „კათოლიკოსის მამულისშვილობას გენუაში „მოწოდების“ გაგზავნის გამო“.⁴⁹⁵

შესაძლოა, სწორედ კათოლიკოს-პატრიარქისა და მისი თანმხლები პირების კახ-
ეთში სტუმრობამ მისცა ბიძგი საკათოლიკოსო საბჭოს 1922 წლის 19 ოქტომბრის
ერთსულოვან გადაწყვეტილებას ქართულ ეკლესიაში გარკვეული რეორგანიზაციის
ჩატარების შესახებ, რათა იგი „განიწმინდოს მონარქიულ რეჟიმის ზეგავლენის ნაშ-
თებისაგან, შეუფარდდეს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას, განმარტივდეს თანამედროვე
ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით, მაგრამ ისე კი, რომ ხელუხლებელი დარჩეს

494. საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.166, ფ.9.

495. გ.ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი. ნ. თალაკვაძის მოგონებები. საინვენტ. №27028, ფ.138, 144.

ქრისტე მაცხოვრის დიადი მოძღვრების არსებითი მხარე.“ გადამწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ქართულ ეკლესიას შესწევს ძალა და უნარი, უმტკივნეულოდ თავადვე განახორციელოს „თანამედროვე ცხოვრების შესაფერისი ცვლილებანი“; საკათოლიკოსო საბჭომ სასურველად მიიჩნია ამ პროცესში სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის ჩართვა, საეკლესიო ოლქებში სპეციალური კომისიების შექმნა და მათ (ასევე ცალკეული პიროვნებების) მიერ აუცილებელ ცვლილებათა პროექტების წარმოდგენა (აქვე, დოკ. №28). ეს იყო საჭირო და მეტად გაბედული ნაბიჯი კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს მხრიდან, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი და ნაქეზებული ე.წ. განმახლებლების, „ცოცხალი ეკლესიის“ მომხრეებისგან (ეპ. დავით კაჭახიძე, დეკანოზები ი. ჩიჯავაძე, ი. ოქროპირიძე, კ. ჯავახია და ა.შ.) მომდინარე განხეთქილების საფრთხის თავიდან აცილებას. „განმახლებელთა“ მოძრაობას მხარს უჭერდა საბჭოთა იმპერიის უმაღლესი ხელმძღვანელობა. 1922წ. 30 მარტს რუსეთის კომპარტიის პოლიტბიურომ მოისმინა ლ.ტროცკის მოხსენება საეკლესიო საკითხზე. მან აღნიშნა, რომ ტრადიციული მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს საშიშ მოვლენას, რომლის წინაღმდეგ ბრძოლა უნდა წარმართულიყო „განმახლებელთა“ გააქტიურების გზით, თუმცა არც ამ უკანასკნელთა აღზევება იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული.⁴⁹⁶ 1922 წელს „განმახლებლები“ იმდენად გააქტიურდნენ რუსეთში, რომ აიძულეს პატრიარქი გადამდგარიყო და თვითონ აიღეს ხელში მართვა-გამგეობა.⁴⁹⁷ საოკუპაციო რეჟიმს იგივეს განმეორება სურდა საქართველოში, მაგრამ ეკლესიაში საკმარისი დასაყრდენი ვერ იპოვა. არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად პრევენციული ზომების მიღება გახდა საჭირო. ერთ-ერთ ასეთ ზომად შეიძლება მივიჩნიოთ საკათოლიკოსო საბჭოს 1922წ. 19 ოქტომბრის გადამწყვეტილება, რომლის თანახმადაც ტრადიციული ქართული ეკლესია მზად იყო განახლებისთვის, მაგრამ მხოლოდ „ქრისტე მაცხოვრის დიადი მოძღვრების არსებითი მხარის“ შენარჩუნებით. ეს კი ცრუგანმახლებლებისთვის და მათ ზურგს უკან მდგომი საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო. ამიტომ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები უკრძალავდნენ მორწმუნეებს, მოეწყოთ კრებები და განეხილათ საკათოლიკოსო საბჭოს 1922წ. 19 ოქტომბრის მოწოდება, რათა სასულიერო მთავრობისთვის მიეწოდებინათ საკუთარი შეხედულებები ქართული ეკლესიის მომავალ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. ამის გამო საკათოლიკოსო საბჭომ 1922წ. 29 დეკემბერს სპეციალური წერილითაც მიმართა „საქართველოს რესპუბლიკის“ შს კომისარიატს და სთხოვა „ინებოს განკარგულება“, რათა „ქალაქისა და მაზრების ადმინისტრაციის მიერ არ იქმნას აღკრძალული მორწმუნეთა ჯგუფობრივი მუშაობა“ (აქვე, დოკ. №33). ასეთი განკარგულება კი, რა თქმა უნდა, არ გაცემულა.

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი საბჭოთა რეჟიმის ანტიეკლესიურ პოლიტიკას, აგრესიულ ათეისტურ და ანტიეროვნულ, ცრუინტერნაციონალისტურ იდეოლოგიას თავისი ბრწყინვალე ქადაგებებითა და გამოსვლებითაც უპირისპირდებოდა. ამისთვის ის იყენებდა რელიგიურ დღესასწაულებს, განსაკუთრებით გამოჩენილი მამულიშვილებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. მართლმადიდებლობის დღესთან დაკავშირებით სიონში 1922 წ. 20 მარტის ქადაგებაში კომუნისტების გასაგონად ხაზი გაუსვა, რომ არ ახდა მატერიალისტ ვოლტერის სიტყვები იმის შესახებ, რომ 100 წელიწადში ქრიატიანობა თითქოს გაქრებოდა, „ისტორიის საგანი გახდებოდა“, რომ ქრისტიანობა ანტირაციონალური დოქტრინაა, ეწინააღმდეგება ვითომ ადამიანის აზროვნების კანონებს და მის ადგილს მეცნიერება დაიჭერსო; მოიტანა ედისონის მაგალითი, რომელიც ზეზუნებრივი ძალის, ღმერთის არსებობას აღიარებდა. „ცხადია, რომ ურწმუნოება

496. ქ.პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945). ნაწ. I, გვ. 452-453.

497. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ფ.ს.102, გვ. 229.

არანორმალური მოვლენაა ცხოვრებაში. ის ხრწნის საზოგადოებრივ ორგანიზმს. ის ხალხი, რომელიც უარყოფს სარწმუნოებას, ეცემა ზნეობრივად და შორს ვერ წავა განვითარების გზაზე. პირიქით, ის გაჩქარებით მიემართება ეროვნულად განადგურებისაკენ. ამას უნდა ჩაუფიქრდეს ჩვენი ერიც“.⁴⁹⁸ ფაქტობრივად ეს იყო კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევართა კრიტიკა და გაფრთხილება მათთვის.

1922 წ. 11 ივნისს ვერის ეკლესიაში კათოლიკოს-პატრიარქმა ცნობილი მწერლებ-ის დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზანიასა და გრიგოლ რჩეულიშვილის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. მიაგო რა მათ შესაფერისი პატივი როგორც მამულიშვილებს, „ქრისტეს მოძღვრების მიმდევართ და მისი მცნებების ცხოვრებაში გამტარებელთ“, აღნიშნა, რომ „ახლანდელ დროში ბევრს ჩვენს ინტელეგენტთაგანს“ მამულის სიყვარული, თავის ერისთვის ზრუნვა ჩამორჩენის, უკულტურობის მაჩვენებლად მიაჩნიათ; „მათ აინტერესებთ მხოლოდ ზრუნვა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, ვინაიდან ეს განათლების და კულტურულად განვითარების მაჩვენებელია“. ისევ და ისევ კომუნისტების გასაგონად კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა: „ინტერნაციონალური იდეა არის მოტანილი ქრისტესაგან. მას ჰქადაგებენ როგორც სახარება, ისე მოციქულებიც, მაგრამ ამის განხორციელება მათ ესმით ცოტა უკეთესად, ვინემ ჩვენს ვითომ და ინტერნაციონალებს. კაცობრიობისთვის ზრუნვით, მისი ხსნის სურვილით გატაცებულნი ხშირად ივნყებენ თავის ერს... ცხადია, ერისთვის ზრუნვა, მისი განკურნება, მისი კულტურულად ამაღლება არის კაცობრიობის სამსახური... ჩვენში კი არის მიმართულება, რომელიც ყველაფერ ეროვნულს გამოხს, ხალხის ისტორიულ სინამდვილესაც საცინლად იგდებს“.⁴⁹⁹

1922წ. 30 აგვისტოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ მამადავითზე „თავის სამშობლოს საუკეთესო შვილის“ – ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. თავის სიტყვაში, რომელიც აქვე სრულად ქვეყნდება, მორწმუნეებს, დიდი ილიას მაგალითისამებრ, სამშობლოს ერთგულებისაკენ, მამულისთვის თავდადებისაკენ მოუწოდებდა (აქვე, დოკ. №27). მსგავსი ღონისძიებები საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან შეუმჩნეველი არ რჩებოდა და მის გაღიზიანებას იწვევდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საოკუპაციო რეჟიმს არ მოეწონებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თხოვნით კათოლიკოს-პატრიარქის მიერ 1922წ. 12 ნოემბერს დიდი მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების 35-ე წლისთავთან დაკავშირებით მისი სულის მოსახსენიებელი პარაკლისის გადახდა მამა დავითზე, მისი უწმინდესობის მიერ იმ დღეს წარმოთქმული სიტყვა, რომელიც სრულად ქვეყნდება (აქვე, დოკ. №29), და არც გაზეთ „ლომისი“-ს სპეციალური გამოშვება.⁵⁰⁰ მასში გადმობეჭდილი იყო ილია ჭავჭავაძის მენინავე წერილი 1887წ. 30 ოქტომბრის გაზეთ „ივერიიდან“, შემდეგ მოდიოდა დიმიტრი ყიფიანის წერილი ეგზარქოს პავლე ლებედევსადმი (1882წ. 16 ივლისი – 1887წ. 29 სექტემბერი), რომელმაც დასწყევლა საქართველო სოსო ლალიაშვილის მიერ 1883წ. 25 აპრილიდან თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის, ქართველთა მოძულე დეკანოზ პ.ჩუდეცკის (მისი რექტორობის პერიოდში დაამთავრა სემინარია ბესარიონ ხელაიამ) მკვლელობის გამო. გაზეთ „ლომისის“ იმავე ნომერში დაიბეჭდა დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, ვალერიან გუნიას და სხვათა წერილები.

საბჭოთა ხელისუფლებას არანაირად არ სურდა, დაეშვა ქართული ეკლესიის გამოცოცხლება, რაც ბოლო პერიოდში სუსტად, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა. მისი დაშლისა და დანგრევის მიზნით, საგანგებო კომისია საკათალიკოსო საბჭოს შიგნით და მთლიანად სამღვდლოებაში დაპირისპირების პროვოცირებას ახდენდა. ზოგიერთი სასუ-

498. იქვე, ამბროსი ხელაიას არქივი, ს. 256.

499. იქვე, ს.320.

500. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი, ნ.თალაკვაძის მოგონებები, საინვენტ. №27028, ფ.160ა-161.

ლიერო პირი ვერ უძლებდა ძლიერ, უხემ ზენოლას ხელისუფლების მხრიდან და საკუთარი თავის გადასარჩენად ოკუპანტებისთვის მიუღებელ კათოლიკოს-პატრიარქს უპირისპირდებოდა ან „ცოცხალი ეკლესიის“ მსგავს, საბჭოთა რეჟიმისთვის მისაღებ ახალ მიმდინარეობას მიეკედლებოდა. წმინდა პირადი მოტივებით დაუპირისპირდა მის უწმინდესობას ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი იოანე მარლიშვილი. უთანხმოების საბაბად იქცა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც ჩამოყალიბებულია ეპისკოპოს იოანეს (მარგიშვილი) 1922წ. 2 აგვისტოს წერილში საკათოლიკოსო საბჭოსადმი. პროექტი ითვალისწინებდა აფხაზეთის სამიტროპოლიტოს შექმნას, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა სამურზაყანოს ცალკე ეპარქია რეზიდენციით ილორში. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეპ. იოანეს დიდად აწუხებდა ვითომ აფხაზთა „განწყენება“ იმის გამო, რომ იმჟამად ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავარი მიტროპოლიტის ტიტულს არ ატარებდა. წერილში გამოთქმული სურვილი, თვითონ გახდეს სამურზაყანოს ეპისკოპოსი და გადაინაცვლოს ილორში, მხოლოდ იმაზე შეიძლება მიანიშნებდეს, რომ ეპ. იოანემ ვერ გაუძლო ზენოლას, ვერ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მისიას და გადაწყვიტა ქართველებით დასახლებულ, შედარებით მშვიდ, შემოსავლიან რეგიონში ეპარქიის გახსნა და იქ გადასვლა. შემოთავაზებული პროექტის მიუღებლობის შემთხვევაში იგი სხვა ეპარქიაში გადაყვანას ითხოვდა.⁵⁰¹ 1922წ. 23 აგვისტოს ეპ. იოანემ საკათოლიკოსო საბჭოს წერილობით აცნობა, რომ ამ დღიდან ის გადამდგარია თანამდებობიდან. ეს მუქარა მას სისრულეში არ მოუყვანია, მაგრამ იმავე წლის 14 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქს მისწერა, რომ აფხაზეთის ეპარქიაში არსებული მართვა-გამგეობის სისტემის მიუღებლობისა და თბილისში მისი პროექტის უარყოფის გამო „მე იძულებული ვარ თქვენს უწმინდესობას უმდაბლესად განვუცხადო სრული უარი თანამშრომლობაზე საეკლესიო სარბიელზე IV საეკლესიო კრებამდე.“⁵⁰² ძალიან მოკლე დროში (3 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე) ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება (ვითომ გადადგომა, კათოლიკოს-პატრიარქთან კავშირის განწყვეტა) იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მან ეს ნაბიჯი საკუთარი უსაფრთხოების მიზნით ნაჩქარევად გადადგა ხელისუფლების კარნახითა და მასთან თანამშრომლობაში მყოფი მღვდელმთავრების რეკომენდაციით. 1922 წლის 6 აგვისტოდან პატრიარქთან კავშირი განწყვიტა ნავთლულის წმ. ბარბაქუს ეკლესიის წინამძღვარმა, „ცოცხალი ეკლესიის“ მიმდევარმა დეკანოზმა იოსებ ჩიჯავაძემაც. ამ უკანასკნელს მოსკოვში თვითნებურად გამგზავრებისთვის და იქ „ცოცხალი ეკლესიის“ წარმომადგენელთა კრებაში მონაწილეობისთვის კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმოქმედება აუკრძალა, მაგრამ კალისტრატე ცინცაძის თხოვნით სასჯელი მალე ახსნა.⁵⁰³

ეპ. იოანეს (მარგიშვილი) გარდა, კათოლიკოს-პატრიარქს უპირისპირდებოდა ეპ. ქრისტეფორე ციციქიშვილიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს სანინააღმდეგო „ახალი სიტყვის“ გამოცემის გამო სასტიკად გააკრიტიკა თბილისის სამღვდელთა კრებამ, რომელიც 1922წ. 16 თებერვალს გაიხსნა (კრების წინაშე 22 თებერვალს მოხსენებით წარსდგა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი), უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ იმავე წლის 19 მარტს იგი ურბნელ ეპისკოპოსად აკურთხა,⁵⁰⁴ გაითვალისწინა რა მისი დამსახურებები ავტოკეფალიისთვის ბრძოლაში. ეპისკოპოსი ქრისტეფორე საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად იყო განწყობილი და ამ პოზიციებიდან უპირისპირდებოდა საოკუპაციო რეჟიმთან

501. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.308, ფ.187, 194.

502. იქვე, ფ.191, 193.

503. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს. 102, გვ. 229-230, 241-256; გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი, ნ.თალაკვაძის მოგონებები, საინვენტ. №27028, ფ.154-154ა.

504. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი, ნ.თალაკვაძის მოგონებები, საინვენტ. №27028, ფ.58ა, 62.

შეურიგებელ მწყემსმთავარს. გაუგებარია, რა ამოძრავებდა საბჭოთა რეჟიმთან დაპირისპირებულ მიტროპოლიტ ნაზარს – წყენა კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნების წაგების გამო? 1922 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში საკათოლიკოსო საბჭოს სხდომაზე მყოფი მღვდელმთავრები ნაზარი და ქრისტეფორე კათოლიკოს-პატრიარქს ბინაში ეწვივნენ და, როგორც კალისტრატე ცინცაძე წერდა, დაუწყეს „მხილება“, ეკლესია თავზე გვექცევა, შენ არაფერს აკეთებ, ამიტომ სჯობია ტიხონ-პატრიარქს მიბაძო, ანუ გადადგეო. უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ არც მოუსმინა მათ, გავიდა მეორე ოთახში, რის შემდეგაც ნაზარმა და ქრისტეფორემ პატრიარქის რეზიდენცია დატოვეს.⁵⁰⁵

კათოლიკოს-პატრიარქს უპირისპირდებოდა აგრეთვე ცნობილი სასულიერო მოღვაწე ნიკიტა თალაკვაძე, რომელიც ერთი ფეხით ჯერ კიდევ ეკლესიაში რჩებოდა, მეორე ფეხით კი იქიდან გაქცევისკენ და სამოქალაქო სამსახურში შესვლისკენ ეჭირა თვალი. მასთან საუბარში (1922წ. 28 ნოემბერი) უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ეპისკოპოსთა მიერ განხეთქილების შემოტანის მცდელობით ახსნა მთავრობის ახალი შემოტევა ეკლესიის წინააღმდეგ.⁵⁰⁶ მას მხედველობაში ჰქონდა სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულება, კათოლიკოს-პატრიარქის სასახლის ჩამორთმევის შესახებ. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ 1922წ. 19 ნოემბერს „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავრობის თავმჯდომარისადმი (შ.ელიავა) გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ იმავე წლის 17-18 ნოემბერს მის სასახლეში გამოცხადდნენ თბილისის აღმასკომის საბინაო განყოფილების მუშაკები, ასევე კომკავშირის (ვისთვისაც გადაუცია მთავრობას ეს შენობა) აქტივისტები, საგანგებო კომისიის თანამშრომლები, შეიარაღებული პირები და კატეგორიულად მოითხოვდნენ მისი უწმინდესობისგან შენობის დაცლას, სადაც კომკავშირს რამდენიმე დღეში თავისი დაარსების ხუთი წლისთავი უნდა ეზეიმა. კათოლიკოს-პატრიარქმა ამჯერადაც სიმტკიცე გამოიჩინა და განაცხადა, რომ არა აქვს თავისი ნებით შენობიდან გასვლის უფლება, რადგანაც იგი „არის საქართველოს მორწმუნე ერისგან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის მიჩენილი ბინა“, სადაც „მოთავსებულია მცხეთა-ტფილისის საეპარქიო კანცელარია.“ ამ ბინიდან ჩემი გამოძევება, ეკლესიის მოშლა და კანცელარიის გატანა, – წერდა მისი უწმინდესობა, – გამოიწვევს საქართველოს მორწმუნე ერში უკმაყოფილებას, რომელსაც უნდა ვერიდნეთ მეც, როგორც ქართველი ერის მამამთავარი და უმაღლესი მოძღვარი, და თქვენც, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე: ერი დიდია ჩემზედაც და თქვენზედაც და ამის გამო თქვენც და მეც უნდა ხელს უწყობდეთ მის ბედნიერებას, კეთილდღეობას და მყუდროებას“ (აქვე, დოკ. №32).

კათოლიკოს-პატრიარქის სასახლეში დატრიალებული მოვლენების თვითმხილველი ნ.თალაკვაძე იგონებს, რომ 1922 წლის 17 ნოემბერს სასახლეში გამოცხადდნენ ძირითადად არაქართული ეროვნების „ჩეკისტები“, რომლებსაც ჯერ დაუთვალა იერებიათ და მერე მოუხდენიათ ოთახების, აგრეთვე ავეჯეულობის აღწერა. 18 ნოემბერს კი დღის 1 საათზე კათოლიკოს-პატრიარქის სასახლის ეზო შეიარაღებული კომკავშირელებით გავსებულია, რომლებსაც დავალებული ჰქონიათ მთავრობის განკარგულების სისრულეში მოყვანა. არაქართველი კომკავშირელები თუ „ჩეკისტები“ უხეშად ექცეოდნენ კათოლიკოს-პატრიარქს. ერთ სათვალეებიან ახალგაზრდას ტყავის ქუდში და ტყავის „ტუყურკაში“ კათოლიკოსისთვის რუსულ ენაზე ასე მიუმართავს: „მოქალაქე ამბროსი, დაასახელეთ რომელი ნივთები დაგიტოვოთ, თორემ ჩვენ ყველაფერს წავიღებთ.“ შემდეგ მეორე „ჩეკისტი“ მისულა პატრიარქთან და მისი სასახლის ქონების

505. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს. 102, გვ. 233-234.

506. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი, ნ.თალაკვაძის მოგონებები, საინვენტ. №27028, ფ.169ა.

აღწერა მოუთხოვია. ამ დროს ქართველი კომუნისტი მოვიდა ჩემთან, – წერდა ნ. თალაკვაძე, – და მეუბნება, რომ ესმის ჩვენი გულსინყრომა, „მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია რა, ჩვენ უსათუოდ უნდა მოვიყვანოთ სისრულეში ბრძანებაო“. 18 ნოემბერს, შაბათ დღეს, მომხდურებმა კათოლიკოს-პატრიარქს ორშაბათამდე მისცეს ვადა, რათა ის ყოფილი სინოდალური კანტორის შენობაში რაფიელ ივანიცკის ცოლშვილისთვის ჩამორთმეულ ოროთახიან ბინაში გადასულიყო. ნ. თალაკვაძის მიერ ნახსენები ქართველი კომუნისტი თურმე გვარად ღვინეფაძე ყოფილა; იგი და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ლადო ღუმბაძე თითქოს თანაუგრძნობდნენ (ნ.თალაკვაძის მტკიცებით) ეკლესიას. ღვინეფაძეს ასეთი წერილობითი ბრძანება მიუღია ლ.ღუმბაძისგან: „შეაჩეროს გადასახლება საგანგებო განკარგულებამდე“; მეორე ასეთი მონერილობა მოსულა მთავრობის თავმჯდომარისაგან (კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წერილის პასუხად): „შეაჩერონ სამშაბათამდე.“ ნ. თალაკვაძე წერდა, რომ 1922წ. 21 ნოემბერს კომკავშირისთვის გადასაცემად ჩამოგვერთვა ყოფილი სინოდალური კანტორის შენობა, საიდანაც ნივთები კათოლიკოსის სასახლეში გადაუტანიათ.⁵⁰⁷ ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთმა „პრავდა გრუზი“ 22 ნოემბერს გამოაქვეყნა უნიჭო და უხამსი „ლექსი“ სათაურით: „ბოლოსდაბოლოს“. 1922წ. 28 ნოემბერს საკათოლიკოსო საბჭოს წევრებმა ეს ე.წ. ლექსი შეაფასეს „როგორც დამახასიათებელი ნიმუში საბჭოთა პრესის ეკლესიის და სამღვდელოებისადმი მიმართვებისა.“⁵⁰⁸

ყოფილი კანტორის შენობის ჩამორთმევა ახლო მომავალში ეკლესიის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს. ანტირელიგიური კამპანიისთვის მოსამზადებელი ღონისძიებების ფარგლებში 1922 წლის 17 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა განიხილა „საკითხი ცეკას რელიგიურ საქმეთა კომისიის შექმნის შესახებ“ და დაადგინა: „ცეკასთან შეიქმნას რელიგიურ საქმეთა კომისია ამხანაგების კვანტალიანის, ლომინაძის, იოსებ კაკაბაძისა და რაჟდენ კალაძის შემადგენლობით.“⁵⁰⁹ კომისიის შემადგენლობა იმაზე მიუთითებს, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას წარმართავდა კომპარტია (ბ. ლომინაძე) სადამსჯელო ორგანოებთან – საგანგებო კომისიასა (ე.კვანტალიანი) და შს სახალხო კომისარიატთან (ი. კაკაბაძე) ერთად. იმავე ხანებში საქართველოს კომპარტიის ცეკამ დააყენა სამხედრო ტაძრების კლუბებად გადაკეთების, კომკავშირისთვის, აგრეთვე წითელარმიელებისთვის მათი გადაცემის, ამ მიზნით კი წითელარმიელთა რეზოლუციების გამოტანის დაწყებისა და ანტირელიგიურ პროპაგანდასთან კავშირში საგაზეთო პუბლიკაციების მომზადების საკითხი.⁵¹⁰ ანტირელიგიური კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად 1922 წლის დეკემბერში საქართველოს კომპარტიის ცეკამ მოახდინა გამოცდილი კადრების (სულ ათი კაცი) მობილიზაცია, რომლებსაც კონკრეტულ თემებზე ლექციების მომზადება ევალებოდათ. მაგალითად, 7 დეკემბერს ცეკას მდივანმა მ. კახიანმა წერილობით შეატყობინა პ. საყვარელიძეს, რომ ის მობილიზებულია ანტირელიგიური კამპანიის ჩასატარებლად და ევალებოდა ლექციების მომზადება ორ თემაზე: 1) „ორგანული ცხოვრებისა და ადამიანის წარმოშობა და განვითარება“; 2) „რელიგია და კომუნიზმი.“ 1922წ. 12 დეკემბერს ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების კოლეგიის თათბირზე აღინიშნა, რომ ადრე ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხი მწვავედ არ იდგა, მაგრამ ამჟამად ცალკეული პიროვნებების პარტიიდან გარიცხვამ (რელიგიურობისთვის) და „არქიმანდრიტ (ასეა დოკუმენტში?! – ჯ.გ.) ამბროსის გამოსვლამ“ ანტირელიგიური კამპანიის გაძლიერების აუცილებლობა გამოიწვია; ადგილებზე გაიგზავნა ცირკულიარი 20 დეკემბრიდან „კომკავშირული შობის“ კამპანიის დაწყების შესახებ; გამ-

507. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი, ნ. თალაკვაძის მოგონებები, საინვენტ. №27028, ფ.163-164ა.

508. საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.539, ფ.52-53.

509. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.194, ფ.10.

510. იქვე, ს.838, ფ.58.

ოიცა ნ. ბუხარიანისა და ნევსკის ანტირელიგიური ხასიათის ბროშურები; თათბირზე გადაწყდა ასევე ერთჯერადი გაზეთის „ეკლესია და რევოლუცია“ გამოცემა.⁵¹¹

რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის (მდივანი მ.ორახელაშვილი) 1922წ. 14 დეკემბრის გადაწყვეტილებითა და იმავე სამხარეო კომიტეტის მიერ საქართველოს კომპარტიის ცეკაში 19 დეკემბერს გამოგზავნილი ცირკულარის მიხედვით, ხანგრძლივი ანტირელიგიური კამპანიის დასაწყისი უნდა გამხდარიყო რუსეთისა და ამიერკავკასიის კომკავშირული ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი მკრეხელობა – „კომკავშირული შობის“ მონყოლა.⁵¹² ამ ე.წ. ღონისძიებებისთვის იდეური ხელმძღვანელობა პარტიულ ორგანიზაციებს უნდა გაენათ, რისთვისაც ჩამოაყალიბეს სამხარეო და რესპუბლიკური კომისიები პირველი პირების ხელმძღვანელობით. 1922წ. 27 დეკემბერს შ. ელიავა ამიერკავკასიის სამხარეო ორგანიზაციის მდივნის სტატუსით საქართველოს კომპარტიისა და კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტებს შეახსენებდა (დეპეშით), რომ დაუთმონ სერიოზული ყურადღება „კომკავშირული შობის“ ჩატარებას, მოაწყონ ქუჩის მსვლელობები.⁵¹³

ანტირელიგიურ სამზადისში ცენტრალური ადგილი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებს ეკავა. 1922წ. 20 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა მოისმინა საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის „ბერიას მოხსენება პატრიარქ ამბროსის შესახებ“ და დაადგინა: „დაევალოს საგანგებო კომისიას დაუყოვნებლივ დაიწყოს პროცესი ამბროსის წინააღმდეგ, დანიშნოს რა ასეთი პროცესი არაუგვიანეს 1923წ. იანვრის 20-იანი რიცხვებისა.“⁵¹⁴

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისთვის 1921-1922 წლები ეს იყო საბჭოთა რეჟიმთან ღია და მწვავე, არც თუ ისე წარუმატებელი დაპირისპირების, მისი მხილების, საოკუპაციო რეჟიმთან ქართველი ხალხის შეურიგებლობის საერთაშორისო არენაზე დაფიქსირების, ეკლესიის გადარჩენისთვის ზრუნვის პერიოდი. იგი გახლდათ საქართველოში ერთადერთი უფლებამოსილი ოფიციალური, თანაც არჩეული პირი, რომელსაც განგებამ ოკუპირებული ქვეყნის მოსახლეობის სულიერი და პოლიტიკური წინამძღოლის მისია დააკისრა. უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი მონოდების სიმალლეზე აღმოჩნდა, მაგრამ მთავარი გამოცდა მას წინ ელოდა. საოკუპაციო რეჟიმი სერიოზულად მოემზადა ეკლესიაზე, მის პირველ იერარქზე, მთლიანად სამღვდელთაზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად.

10. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი საბჭოთა „მართლმსაჯულების“ წინაშე და საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან ქართული ეკლესიის განადგურების ცდებლობა (1923 წ. იანვარი-1925წ. მარტი)

წინასწარ დამუშავებული გეგმის თანახმად, საოკუპაციო ხელისუფლებამ 1923წ. იანვრიდან მთელს საქართველოში წამოიწყო აქტიური ანტირელიგიური კამპანია. 5 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება წმ. ნინოს ხსენების დღემდე (14/27 იანვარი) მთელი ერთი კვირა ქალთა კრებებზე წაეკითხათ მოხსენებები თემაზე „რატომ არ ვზეიმობთ წმ. ნინოს დღეს.“⁵¹⁵ გაგრძელდა 1922 წლის 20 დეკემბერს დაწყებული მორწმუნეთა შეურაცმყოფელი ღონისძიებები „კომკავშირული შობის“ ფარგლებში. მორწმუნეთა ჯგუფის მიმართვაში საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარისადმი ნათქვამია, რომ თბილისში 6-7

511. იქვე, ფ.60, 61.

512. იქვე, ფ.59, 62.

513. იქვე, ფ.57.

514. იქვე, ს.194, ფ.194ა.

515. შსს არქივი, ფ.14, აღწ. 1, ს.492, ფ.1.

იანვარს ჩატარებულმა „კომსომოლისტების შობამ“ სიმშვიდე დაუკარგა ადამიანებს. გარდა ქუჩაში მსვლელობებისა, ადგილი ჰქონდა შეიარაღებული პირების ეკლესიებში შეჭრას, მლოცველთა შეურაცხყოფას, იარაღით დამინებას. ყოფილ სამხედრო ტაძარში პირდაპირ წირვის დროს შესულან შეიარაღებული ახალგაზრდები ქუდებით და სიგარეტით ხელში, ირონიით ეხებოდნენ ხატებს, შიგ ტაძარში აკრავდნენ ანტირელიგიურ პლაკატებს; წირვის დასრულების შემდეგ ეკლესიის კარებთან შეიარაღებული დაცვა დაუყენებიათ, მეორე დღეს კი გუმბათზე ასულან და ჯვარზე ნითელი დროშა გადაუფარებიათ. მიმართვის ავტორები სთხოვდნენ მთავრობის თავმჯდომარეს ეკლესიის კარების გაღებას და გუმბათიდან დროშის (ნითელი მატერიის) ჩამოხსნას, მომავალში კი დეკრეტით (1921წ. 15 აპრილი) გარანტირებული სინდისის თავისუფლების უზრუნველყოფას.⁵¹⁶ 1923წ. 9 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნული მიმართვა თან დაურთო თავის წერილს და მთავრობის თავმჯდომარეს გაუგზავნა თხოვნით, დააკმაყოფილოს მორწმუნეთა შუამდგომლობა. ამასთანავე იგი წერდა, რომ ის არ არის წინააღმდეგი რელიგიის საკითხების გარშემო იდეოლოგიური ბრძოლისა, მაგრამ „ჩემი არსება ვერ შეურიგდება იმას, რომ რესპუბლიკის ძირითადი კანონების წინააღმდეგ არასრულწლოვან ახალგაზრდობამ შელახოს მოქალაქეთა ცხრა მეათედის რწმენა და სინდისი, ძალით დაიჭიროს სამლოცველო სახლი და მისცეს მას სხვა დანიშნულება“ (აქვე, დოკ. №№35, 36). როცა კათოლიკოს-პატრიარქი ამ სტრიქონებს წერდა საქართველოს საბჭოთა მთავრობას უკვე ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული ყოფილი სამხედრო ტაძრისთვის დანიშნულების შეცვლის შესახებ. 1923წ. 8 იანვრის დადგენილებით სახკომსაბჭომ ეს ტაძარი კომკავშირს გადასცა (აქვე, დოკ. №34). მეორე დღეს საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა ამავე საკითხზე დაადგინა: „ყოფილი სამხედრო ტაძარი გადაეცეს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში ნითელ არმიასთან ერთად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში გამოყენების მიზნით. ტაძარს ეწოდოს 26 კომუნარის (იგულისხმება 1918წ. 20 სექტემბერს დახვრეტილი ბაქოს 26 კომისარი – ჯ.გ.) სახელობის ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის სახლი.

საეკლესიო ქონება გადაეცეს საკათოლიკოსო საბჭოს. განძეულობა ჩაბარდეს საქართველოს დამშეულთა დახმარების კომიტეტს.

წინადადება მიეცეს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცეკას, შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა სახლის რემონტზე, შენახვაზე და წარუდგინოს ცეკას.⁵¹⁷ ამ ორი დადგენილებით გადაწყდა სამხედრო ტაძრების ბედი საქართველოში, მათ შორის თბილისში.

1923წ. 10 იანვარს საკათოლიკოსო საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით უარი უთხრა სახკომსაბჭოს ყოფილი სამხედრო ტაძრის არასარწმუნოებრივი მიზნით გადაცემაზე და ამასთან დაკავშირებით შს კომისარიატში წარმომადგენელთა გაგზავნაზე. იქვე დასძინა, რომ ტაძრის გასაღები მის წინამძღვართან (ანტონ თოთიბაძე) ინახება.⁵¹⁸ აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი სახკომსაბჭოდან შს კომისარიატში გადაიგზავნა. კომისრის მოადგილემ ვ.ტალახაძემ იგი საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს გაუგზავნა თანდართულ წერილთან ერთად, რომელშიც ნათქვამია: „მიგვაჩნია რა საქართველოს კათოლიკოსისა და მასთან არსებული საბჭოს საქციელი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების კანონების შესრულებისადმი აშკარა წინააღმდეგობის განწევად, შს კომისარიატი გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები.“⁵¹⁹ საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს 10 იანვრის გადაწყვეტილება გახდა საბაზი საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის 1922წ. 20 დეკემბრის ზემოთმოტანილი გადაწყვეტილების აღ-

516. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.83, 513.

517. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.492, ფ.3.

518. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.511.

519. იქვე, ფ.503.

სრულებისა და როგორც კათოლიკოს-პატრიარქის, ისე საკათოლიკოსო საბჭოს სხვა წევრების დაპატიმრებისა. 1922-1923 წლების მიჯნაზე გაჩაღებულმა ანტირელიგიურმა კამპანიამ შექმნა გარკვეული ფონი რეპრესიული ზომების მისაღებად.

კათოლიკოს-პატრიარქმა რეალურად შეაფასა შექმნილი ვითარება და 1923წ. 11 იანვარს ხელი მოაწერა განკარგულებას მისი დაპატიმრების შემთხვევაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარედ ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციციშვილი) დანიშნა.⁵²⁰ იმავე დღეს საქართველოს საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილების რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი მიქმა შემდეგი „დასკვნითი დადგენილება“ გამოიტანა: „განვიხილე რა სააგენტურო საქმე №59 კათოლიკოზ ამბროსიზე (იგივე ხელაია ბესარიონ ზოსიმეს ძე), 62 წლის და საქმეში მქონი სააგენტურო მასალა კათოლიკოზის საბჭოს წევრებზე: 1) დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეზე, 2) დეკანოზ იოსებ მირიანოვზე და 3) ერისკაცზე ნიკოლოზ თავდგირიძეზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებზე და მღვდლებზე: 1) კათოლიკოზის საბჭოს კანცელარიის გამგეზე ილია შუბლაძეზე, 2) კათოლიკოზის საბჭოს საფინანსო-სამეურნეო ნაწილის გამგეზე დიმიტრი ლაზარიშვილზე, 3) კანცელარიის გამგის თანაშემწეზე ივანე ქავუაძეზე, 4) ანტონ თოთიბაძეზე და 5) ერისკაცებზე, ეპარქიულ კანცელარიის მდივანზე დავით დავიდოვზე, ვპოვე: საქმეში მქონე სააგენტურო მასალიდან სჩანს მთელი რიგი სხვადასხვა ბოროტმოქმედებები, როგორც პოლიტიკური, ისე წმინდა სისხლის სამართლის ხასიათისა. გამოვდივარ რა აქედან, დავადგინე: პასუხისგებაში იქმნენ მიცემულნი ყველა ზემოთდასახელებულნი საეკლესიო პირნი და ნაყენებულ ექმნესთ მათ ბრალდება: კონტრევოლუციაში, მასიურ ბოროტმოქმედებებში საეკლესიო ძვირფასი ნივთების და ქონების შესახებ, საეკლესიო განძეულობის ჩაუბარებლობაში „პომგოლში“; ანგარიში უნდა გაენიოს, რომ საქართველოში ჩამორთმევა არ ხდებოდა, ვინაიდან კათოლიკოზი ამბროსი თვითონ ახდენდა ჩამორთმევას ეკლესიებიდან „პომგოლში“ ჩასაბარებლად, აღმკვეთ ზომებად ყველა ზემოჩამოთვლილი საეკლესიო პირების წინააღმდეგ, რომ იგინი არ დაემალონ გამოძიებას და სასამართლოს, არჩეულ იქმნეს დაპატიმრება.“⁵²¹ გ. მიქის ეს დადგენილება დაამტკიცა საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ ე. კვანტალიანმა. მეორე დღეს – 1923წ. 12 იანვარს – მანვე საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე გააკეთა მოხსენება „სამღვდელოების სანინააღმდეგო პროცესის შესახებ“. პრეზიდიუმმა დაადგინა: „სანქცირებულ იქნას.“⁵²² იმავე დღეს საკათოლიკოსო საბჭოს წევრები პატიმრობაში აიყვანეს.⁵²³ კათოლიკოს-პატრიარქი კი დატოვეს შინაპატიმრობაში და ჩამოართვეს გაუსვლელობის ხელწერილი (აქვე, დოკ. №37).

ანტისაბჭოთა გამოსვლებით დაშინებულმა საქართველოს საგანგებო კომისისამ იმავე დღეებში დააპატიმრა და მიძვლებად გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლები – სულ 38 კაცი. მათ შორის ნოე ხომერიკი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ისიდორე რამიშვილი (როგორც ზემოთ ითქვა, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის თანაკლასელი თბილისის სასულიერო სემინარიაში) და ა.შ.⁵²⁴

საგანგებო კომისია აგროვებდა აგენტურულ ინფორმაციას და „მონმეთა“ ჩვენებებს ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარის ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებაც. მას ასევე აინტერესებდა მიტროპოლიტის როლი ნ. ჟორდანიას პირადი მდივნის გ. ცინცაძის გან-

520. სერგო ვარდოსანიძე. სრ. საქ. კათოლიკოს-პატრიარქი... ამბროსი, გვ.106.

521. იქვე, ფ.23, 24.

522. შსს არქივი, ფ.14, აღნ.1, ს.492, ფ.4ა.

523. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.408.

524. კომუნისტი, 1924, 17 იანვარი.

კარგულებით გელათისა და ჭრუჭის განძეულობის 1920წ. 23/24 ნოემბერს ქუთაისში გადმოტანის (საიდანაც მერე დევნილმა მთავრობამ ევროპაში გაიტანა) საქმეში.⁵²⁵ 1923წ. 4 თებერვალს მიტროპოლიტი ნაზარი ქუთაისის პოლიტიკოსს (საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანო) რწმუნებულმა კიკალეიშვილმა დაკითხა. მიტროპოლიტი უარყოფდა მის მიერ ანტისაბჭოთა აგიტაციის წარმოებას, მაგრამ 1923წ. 10 თებერვალს ის სწორედ ამ ბრალდებით დააპატიმრა იმავე პოლიტიკოსს სხვა რწმუნებულმა – კალანდარიშვილმა.⁵²⁶ მასთან ერთად დააპატიმრეს ქუთაისელი მღვდელი გაბრიელ ცაგარეიშვილიც.

საოკუპაციო რეჟიმი არ ჩქარობდა 1923წ. იანვარ-თებერვალში დაპატიმრებული სასულიერო პირების, მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქის საქმის გამოძიების დაწყებას. 1923წ. 17 იანვარს გ. მიკმა დაკითხა მხოლოდ ი. ქავჭავაძე. გამოძიებულს აინტერესებდა სოხუმის ეპარქიაში სამსახურის პერიოდში (1888 წლიდან 20 წელიწადზე მეტ ხანს მსახურობდა სამურზაყანოში, გუდაუთაში და სხვაგან, დაიმსახურა რა ქართველი რენეგატის სახელი) მისი კავშირები ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოსთან.⁵²⁷ ამ საკითხს გარკვეული შეხება ჰქონდა პატრიარქის პიროვნებასთან, რომელიც XIXს. 90-იან წლებში თედო სახოკიასთან, აკაკი ჩხენკელთან და სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად უპირისპირდებოდა ი. ქავჭავაძის მოღალატურ საქმიანობას სოხუმის ეპარქიაში.⁵²⁸ 1923წ. 22 მარტს ვინმე მისკინის მიერ დაიკითხა გაბრიელ ცაგარეიშვილიც. გამოძიებულს სურდა მისგან მიეღო „ჩეკასთვის“ სასურველი ინფორმაცია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და მიტროპოლიტ ნაზარის წინააღმდეგ, მაგრამ ამოდ.⁵²⁹ იმავე დღეებში დაიკითხა დიმიტრი ლაზარიშვილიც. საგანგებო კომისიის გამოძიებულს აინტერესებდა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ნივთების ბედი. უნდა ვივარაუდოთ, გამოძიებულს სურდა გაეგო, იმ ნივთებიდან ხომ არ მიითვისა რამე მოქმედმა კათოლიკოს-პატრიარქმა, როგორც ამას უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდეს ძმა ამტკიცებდა. ცხადია, ამ შემთხვევაშიც საგანგებო კომისიამ მისთვის სასურველი ინფორმაცია ვერ მოიპოვა.⁵³⁰ პატიმრობაში მყოფი სხვა სასულიერო პირები „ჩეკისტებს“ დაკითხვებით არ „შეუწუხებიან“. 1923 წლის 29 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქი იქით სთხოვდა „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარს“, რომ მას საქმის გამოძიება დაეჩქარებინა (აქვე, დოკ. №38). სულ მალე კი გაირკვა, რომ საოკუპაციო რეჟიმს დაპატიმრებული საკათოლიკოსო საბჭოს წევრების ამიერკავკასიის ფარგლებიდან გასახლება გადაუწყვეტია, როგორც ამას ადრე კავკასიაში რუსული საერო და სასულიერო ხელისუფლება აკეთებდა. კალისტრატე ცინცაძე 1923 წლის 20 მარტს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს წერდა, რომ 18 მარტს მას გამოუცხადეს ამიერკავკასიის ფედერაციიდან გასახლების შესახებ ისე, რომ დაპატიმრებიდან (12 იანვრიდან) დღემდე ჯერ არც დაუკითხავთ; აღნიშნული მოტივით იგი ითხოვდა გადასახლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შეჩერებას.⁵³¹ დაპატიმრებულმა სასულიერო პირებმა საქართველოში მათი დატოვების თაობაზე კოლექტიური განცხადებით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსაც მიმართეს. ამ უკანასკნელმა აღნიშნული განცხადება 1923წ. 21 მარტს განიხილა და საბოლოო გადაწყვეტილების მისღებად საქართველოს კომპარტიის ცეკას გადაუგზა-

525. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.266-268, 271-272, 274, 282-285. აქვეა გელათისა და ჭრუჭის მონასტრების განძეულობის 1920წ. შედგენილი სია; ცნობა 1920წ. ე. თაყაიშვილისა და კ. კეკელიძის მიერ გელათის განძეულობის ორჯერ მონახულების შესახებ და სხვა საინტერესო მასალა.

526. იქვე, ფ.171-172ა, 179.

527. იქვე, ფ.134ა-136.

528. იხ. ამის შესახებ: ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 586-587, 597; ნმ. მღვდელმონაწივე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 443; ნმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.147-148, 154 და ა.შ.

529. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.192-195.

530. იქვე, ფ.138.

531. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.154-155

ვნა.⁵³² 1923 წლის 27 მარტს ცეკას პრეზიდენტმა განიხილა „საკათალიკოსო საბჭოს დაპატიმრებული წევრების განცხადება საქართველოში მათი დატოვების შესახებ“ და დაადგინა: „წინადადება მიეცეს საგანგებო კომისიას დაპატიმრებული საკათალიკოსო საბჭოს წევრების ცინცადის, თოთიბადის, ლაზარიშვილის, დავითაშვილის, შუბლაძის, ქავჭავაძის, თავდგირიძის და მირიანაშვილის საქართველოს ფარგლებიდან გასახლება შეაჩეროს და აწარმოოს პროცესი მათ წინააღმდეგ.“⁵³³ ძალიან მალე – 1923წ. 19 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდენტმა განიხილა „საკითხი ანტირელიგიური კამპანიის შესახებ,“ ჩამოაყალიბა სპეციალური კომისია (მ. ოკუჯავა, ლ. ქართველიშვილი, მურავიოვი), რომელსაც ამ კამპანიის ხელმძღვანელობის გარდა, დაევალა „შეისწავლოს კათოლიკოს ამბროსიზე არსებული მასალა და წარიმართოს პროცესი მის წინააღმდეგ.“⁵³⁴

კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს წევრების საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყება განაპირობა როგორც უმაღლესი პარტიული ორგანოს ზემოთმოტანილმა დირექტიულმა მითითებებმა, ისე ორმა დამატებითმა გარემოებამ. დაუდგენელმა პირებმა 1923წ. 22 აპრილს შეაღწიეს კათოლიკოს-პატრიარქის კარის ეკლესიაში, იქიდან კი – საგანგებო კომისიის მიერ დალუქულ ოთახში, სადაც საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიის დოკუმენტაცია ინახებოდა. დაპატიმრების შემდეგ პატრიარქის პირველი დაკითხვა მოხდა 1923წ. 23 აპრილს სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით (აქვე, დოკ. №39). დაიკითხა აგრეთვე საკათოლიკოსო საბჭოს ეკონომოსი გრიგოლ სიდამონიძე. ერთ-ერთი ვერსიით, ბოროტმოქმედებს თითქოს სურდათ კათოლიკოს-პატრიარქის ფიზიკური განადგურება. გამოითქვა მეორე ვერსიაც – დანაშაული ჩადენილია მამხილებელი საბუთების გაქრობის მიზნით იმ პირთა მიერ, ვისაც ეხებოდა დაწყებული გამოძიება.⁵³⁵ დამნაშავეთა დადგენა ვერ მოხერხდა. ისიც ვერ დადგინდა, რა წაიღეს ბოლოს და ბოლოს ბოროტმოქმედებმა.

კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქის საქმეზე გამოძიების დაწყება განაპირობა, გახლდათ 1921წ. თებერვალში ქუთაისში გადაძალადული საეკლესიო განძეულობის 1923წ. 25 აპრილს აღმოჩენის გახმაურებული ფაქტი. ვრცელი ინფორმაცია ამის შესახებ გაზეთებმა „კომუნისტმა“ და „ზარია ვასტოკა“-მ ერთ დღეს – 1923წ. 19 მაისს გამოაქვეყნეს. სამღვდლოების მიერ საბჭოთა ოკუპაციის დღეებში განძეულობის გადაძალადის ფაქტი გაზეთმა „კომუნისტმა“ „უდიდესი სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებად“, ხალხის ქონების მითვისებად, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლად შეაფასა და თან ასეთი მუქარაც მიაყოლა: „საბჭოთა ხელისუფლება სათანადოთ შეაფასებს ხუცების მოქმედებას და რევოლუციური კანონების მთელი სიმკაცრით დასჯის მათ, როგორც ხალხის მტრებს და სისხლის სამართლის დამნაშავეთ“.⁵³⁶ ფაქტობრივად განაჩენი წინასწარ იქნა გამოტანილი. განძეულობის აღმოჩენამდე ერთი დღით ადრე – 1923წ. 24 აპრილს – ქუთაისის პოლიტიბუროს წარმომადგენელმა ცირეკიძემ ჯერ დაკითხა და მერე დააპატიმრა არქ. პავლე ჯაფარიძე და ქუთაისელი დეკანოზი პლატონ ცქიტიშვილი. დაკითხვისას არქ. პავლემ აჩვენა, რომ საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებითა და კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს დავალებით, ეპისკოპოს დავითთან (კაჭახიძე) ერთად 1921წ. 24 თებერვალს ქუთაისის ხაზინაში ჩასაბარებლად თბილისიდან წამოიღო 4 ყუთსა და 1 ტომარაში ჩალაგებული სიონის, ასევე მცხეთის ტაძრების განძეულობა; იმგზავრა მატარებლით, რომლითაც მოხდა მთავრობის წევრების ევაკუაცია. იმავე მატარებლით მგზავრობდა თურმე ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც თან მიჰქონდა დიდძალი განძეულობა. არქ.

532. იქვე, ფ.493-495.

533. შსს არქივი, ფ.14, აღნ.1, ს.492, ფ.20.

534. იქვე, ფ.30ა.

535. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.539, 545-550 და ა.შ.

536. კომუნისტი, 1923, 19 მაისი.

პავლე აცხადებდა, რომ ოთხივე ყუთი და ტომარა მან ქუთაისის სადგურში დატოვა, რის შემდეგაც მათ შესახებ არაფერი იცოდა.⁵³⁷ პლატონ ცქიტიშვილის ჩვენებით, 4 ყუთი და ტომარა არქ. პავლესთან ერთად მან ნახა ქუთაისის ტაძარში, საიდანაც ის მღვდელმთავრის სახლში წაიღეს.⁵³⁸ ორივეს დაპატიმრების საფუძველი გახდა ჩვენებებში არსებული შეუსაბამობები. თბილისიდან წამოღებული განძეულობა მართლაც იყო მიტანილი მღვდელმთავრის სახლში. აქტი, რომელსაც 1923 წლის 25 აპრილს ხელი მოაწერეს ქუთაისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლორთქიფანიძემ, კომპარტიის სამაზრო კომიტეტის მდივანმა ვ. ბახტაძემ, პოლიტიბიუროს უფროსმა კუჭუხიძემ, მისმა რწმუნებულებმა ცირეკიძემ, კეთილაძემ და თოდუამ, აგრეთვე პატიმრობიდან განთავისუფლებულმა არქ. პავლე ჯაფარიძემ და დეკ. პლატონ ცქიტიშვილმა, ვკითხულობთ: „დღის რიცხვს, დღის 12 საათზე მივედით არქიელის სახლში, სადაც, თანახმად მიღებულ ცნობებისა, უნდა ყოფილიყო ჩამარხული ოთხი ყუთი ძვირფასეულობით სიონის და მცხეთის სობოროების და კათოლიკოზის საბჭოსი. აღნიშნულ სახლის აივანზე იყო ახდელი იატაკი ქვის პლიტებიდან და ამოთხრილი იყო მინა არშინახევარ სიღრმეზე, სადაც აღმოვაჩინეთ ოთხი ყუთი, რომელიც დიდი ხნის მინაში ყოფნისაგან დაძველებულ იყვნენ და ჰქონდათ ნიშნები გატეხის. ყუთებში აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის ნივთები და ძვირფასი თვლები, რაზედაც შევადგინეთ ამასთანავე დართული აქტი.“⁵³⁹ თანდართული აქტი აქვე სრულად ქვეყნდება (აქვე, დოკ. №40).

1923 წ. 19 მაისს სპეციალურმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ამიერკავკასიის ფინანსთა კომისარიატის რწმუნებული ბიბილეიშვილი, სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი სოკოლოვსკი და საგანგებო კომისიის ხაზინის წარმომადგენელი მეშკოვიჩი, თბილისის უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჯავახიშვილის, აგრეთვე სახელმწიფო ბანკის (ი. ლორთქიფანიძე), განათლების კომისარიატის (მხატვარი დ. შევარდაძე), მუშათა და გლეხთა ინსპექციის (როლკე) წარმომადგენელთა თანდასწრებით პირველადი ექსპერტიზა ჩაუტარა ქუთაისიდან ჩამოტანილ განძეულობას. საქართველოს კომპარტიის ცეკას 1923 წ. 16 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე ისტორიული და მხატვრული ღირებულების მქონე ნივთები გადაეცა განათლების კომისარიატს შესაბამისი მუზეუმისთვის ჩასაბარებლად.⁵⁴⁰ განძეულობის უდიდესი ნაწილი, რა თქმა უნდა, გაიყიდა და განიავდა.

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის, სოხუმში მისი ყოფნის გამო, განძეულობის გადაამალვაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ეს ფაქტი ჯერ გამოძიებამ, შემდგომში კი ბრალდება და სასამართლომ მისი უწმინდესობის წინააღმდეგ მაინც გამოიყენეს.

გამოძიების პროცესის დაწყების გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზად დაპატიმრებულთა წინააღმდეგ რეალური სამხილის უქონლობაც უნდა ჩაითვალოს. საქართველოს საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილების (სეკო-სეკრეტნი ოტდელ) თანამშრომელი ხომიაკოვი 1923 წ. 15 თებერვალს თავის უფროსობას მოახსენებდა, რომ დაპატიმრებული მღვდლების სისხლის სამართლის დანაშაულის ხარისხის დასადგენად საჭიროა იმ ეკლესიების ქონების საგულდაგულო რევიზია, რომელთა წინამძღვრებიც ისინი არიან. მისი აზრით, ასევე საგულდაგულოდ უნდა შეემოწმებინათ საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარია. რევიზიის ჩასატარებლად ხომიაკოვი შესაბამის მანდატს ითხოვდა.⁵⁴¹ ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკას გადაწყვეტილებით, 1923 წლის 19 იანვრიდან მუშაობას უკვე შეუდგა სპეციალური უწყებათაშორისი კომისია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

537. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.215-217, 223.

538. იქვე, ფ.219-220, 223.

539. იქვე, ფ.230.

540. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.373-384ა.

541. იქვე, ფ.447.

წარმომადგენლის ბ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც თბილისის ეკლესიების რევიზია ევალებოდა. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ საგანგებო კომისიის, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა (მუშგლეხინი) და თბილისის საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლები. აქტიური მუშაობა მან 20 თებერვლის შემდეგ დაიწყო, როცა თავისი პირველი სხდომა ჩაატარა. კომისიის თავმჯდომარემ ბ. კაკაბაძემ განუვლი მუშაობის შესახებ 1923წ. 23 მარტს ანგარიში სახალხო კომისართა საბჭოს ჩააბარა.⁵⁴² შემომნდა მრავალი ეკლესია, აღინერა დიდძალი ქონება. იმავდროულად კომისიამ დიდი რაოდენობით ამოიღო ძვირფასი ნივთები.⁵⁴³ ცალკეული ეკლესიების მიხედვით შედგენილ რევიზიის აქტებს დაპატიმრებულთა „ბრალეულობის“ დასამტკიცებლად იყენებდნენ შემდგომში გამოძიებლებიც და მოსამართლეებიც.

საგანგებო კომისიის მიერ გამოძიებლად დანიშნულმა გ. მიკმა 1923წ. 10 მაისს დაკითხა კათოლიკოს-პატრიარქი ქუთაისში გადამალულ განძეულობასთან დაკავშირებით. მისმა უნმინდესობამ ბრძანა, რომ არაფერი იცოდა ამ ფაქტის შესახებ, ხოლო განძეულობის აღმოჩენის თაობაზე კვირანახევრის წინ მასთან მოსულ არქ. პავლე ჯაფარიძისაგან შეიტყო (აქვე, დოკ. №41). ამ ჩვენების გადასამონებლად გ. მიკმა ოდნავ მოგვიანებით კათოლიკოს-პატრიარქისა და არქ. პავლეს ჯვარედინი დაკითხვა მოაწყო. ასეთი გადანყვეტილება გამოძიებელმა იმიტომაც მიიღო, რომ არქ. პავლე 1923წ. 5 და 14 მაისს მიცემულ ჩვენებებში უარყოფდა უნმინდეს და უნეტარეს ამბროსისთან შეხვედრის ფაქტს.⁵⁴⁴ როგორც მათი დაპირისპირებისას გაირკვა, მაისის დასაწყისში არქიმანდრიტი პავლე ნამდვილად იმყოფებოდა კათოლიკოს-პატრიარქთან და მაშინ აცნობა ქუთაისში განძეულობის აღმოჩენის შესახებაც (აქვე, დოკ. №46). საგანგებო კომისია ინტენსიურად დაკითხავდა სხვა დაპატიმრებულებსაც. პროცესს თვალყურს ადევნებდა საქართველოს კომპარტიის ცეკა. 1923 წ. 11 მაისს ცეკას პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი „საეკლესიო საქმეების შესახებ“ და თავის ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკს თ. კალანდაძეს დაავალა „ერთი თვის ვადაში გაეცნოს საგანგებო კომისიის მასალებს პატრიარქ ამბროსიზე და წარიმართოს პროცესი“ (აქვე, დოკ. №42).

კათოლიკოს-პატრიარქი დაკითხა 1923 წლის 16 მაისსაც. გამოძიებელ გ. მიკს ამჯერად გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნის საკითხი აინტერესებდა. პასუხისმგებლობა მემორანდუმის შედგენაზე და გაგზავნაზე მისმა უნმინდესობამ თავის თავზე აიღო, თუმცა გ. მიკის ერთ-ერთი უტაქტო განცხადებით უკიდურესად აღელვებულმა პატარა უზუსტობაც დაუშვა. შეკითხვაზე, „იცოდნენ თუ არა კათალიკოსის საბჭოს წევრებმა მანამდე, ვიდრე თქვენი მონოღება გამოქვეყნდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პრესაში, რომ თქვენს მიერ დაწერილია მონოღება გენუის კონფერენციის მიმართ,“ კათოლიკოს-პატრიარქმა შეცდომით უპასუხა: „იცოდნენ ჩემი სიტყვებიდან პრესაში გამოცხადებამდე. მე ამის შესახებ მოვასხენე აღდგომამდე 1922წ. სხდომას საკათალიკოსო საბჭოსი“ (აქვე, დოკ. №43). როცა მისმა უნმინდესობამ ამ შეცდომის გასწორება (ოქმში შეტანით) მოინდომა, გამოძიებელმა უარი უთხრა. ამან აიძულა კათოლიკოს-პატრიარქი 1923წ. 24 მაისს მიემართა „საქართველოს საგანგებო კომისიის“ თავმჯდომარისათვის და მისთვის აეხსნა საქმის რეალური გარემოებები. უნმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ განმარტა, რომ საკათალიკოსო საბჭოზე მოხსენება მას არ გაუკეთებია, რადგანაც აღდგომის წინადაღები იყო და ქვორუმი ვერ შეგროვდა. სხდომის მოლოდინში კერძო საუბარში საბჭოს მხოლოდ ერთი თუ ორი წევრისთვის კათოლიკოს-პატრიარქს უთქვამს მემორანდუმის გაგზავნის შესახებ (აქვე, დოკ. №45). საგანგებო კომისიამ ეს განმარტება, რომელიც

542. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.830, ფ.115-118.

543. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.574, 611-652; შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.830, ფ.119-139 და ა.შ.

544. საქ. უახლ. ისტ. ცენტრ. არქივი, ფ. 516, აღწ.2, ს.1, ფ.299-304, 335-336.

დაემთხვა საკათოლიკოსო საბჭოს სხვა წევრების ჩვენებებს, ასე თუ ისე, მიიღო და გამოძიების ოქმებშიც (რომლებიც კალისტრატე ცინცაძესთან და იოსებ მირიანაშვილთან დაპირისპირებისას შედგა) დააფიქსირა (აქვე, დოკ. №№47, 48).

კათოლიკოს-პატრიარქის მორიგი დაკითხვა 1923 წლის 18 მაისს კარის ეკლესიაში ხანძრის გაჩენასთან დაკავშირებით მოხდა. 1923წ. 13-14 მაისის ღამეს გაჩენილმა ხანძარმა დიდი ზიანი მიაყენა ეკლესიას, დაინვა 50 ვერცხლის ხატი და ბევრი სხვა ძვირფასი ნივთი.⁵⁴⁵ კათოლიკოს-პატრიარქი 1923წ. 24 მაისის მიმართვაში საგანგებო კომისიის თავმჯდომარისადმი ვერ მალავდა აღშფოთებას გ. მიკის პოზიციის გამო, რომელსაც განუცხადებია, რომ ხანძარი „ეს შინაური საქმეა“. ასეთი განცხადებით იგი ფაქტობრივად მე მდებს ბრალს „იმნაირ სისაძაგლეში, როგორც არის კარების ტეხა, ეკლესიის შეგინება და ცეცხლის ნაკიდება“ (აქვე, დოკ. №45), – წერდა აღელვებული კათოლიკოს-პატრიარქი. საგანგებო კომისიის გამომძიებელმა მისი უნმინდესობა უკანასკნელად 1923წ. 9 ივნისს დაკითხა. გამომძიებელს აინტერესებდა, ვისი ხელით გაიგზავნა მემორანდუმი და ვის გადაეცა იგი, რა მონაწილეობას იღებდა მის შედგენაში რაფიელ (ინგილო) ივანიცკი, რა ხასიათისაა ეს დოკუმენტი; უკანასკნელი შეკითხვა ქუთაისში აღმოჩენილ განძეულობას შეეხებოდა. დასმულ შეკითხვაზე კათოლიკოს-პატრიარქმა სათანადო პასუხები გასცა, დაადასტურა რა ადრე მიცემული ჩვენებები (აქვე, დოკ. №50).

საგანგებო კომისიაში კათოლიკოს-პატრიარქის წინასწარი დაკითხვები დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მის უნმინდესობაზე უხეში ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა. 1923წ. 31 მაისს გაზეთში „რაბოჩაია პრავდა“ დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძის ხელმოწერით გამოქვეყნდა აშკარად ხელისუფლების მიერ „ორგანიზებული“ ბინძური წერილი „ამბროსი-ტიხონის მეორე გამოცემა“. ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი სასულიერო პირის მიერ იყოს შედგენილი (შესაძლოა, წერილის ნამდვილი ავტორი არის ხელისუფლების წარმომადგენელი), მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად. წერილში კათოლიკოს-პატრიარქი დადანაშაულებულია ავტოკეფალიის იდეის „ლალატში“, „მექრთამეობაში“, „კარიერიზმი“ და, რაც სინამდვილეს შეეფერებოდა – საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულ დამოკიდებულებაში. მისი ნამდვილი ავტორი მოითხოვდა: „კათოლიკოსი და მისი საბჭო მთელი ხალხის სამსჯავროზე“! ი. ჩიჯავაძემ უარყო ამ პასკვილის ავტორობა, მაგრამ „რაბოჩაია პრავდამ“ დაადასტურა, რომ ის წერილი ნამდვილად მამა იოსებს ეკუთვნოდა.⁵⁴⁶

1923წ. 2 ივლისს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მორიგი ზეწოლა, შეიძლება ითქვას, რეპრესიული აქტი განხორციელდა, რომელიც გამოიხატა საპატრიარქო რეზიდენციის ჩამორთმევაში (აქვე, დოკ. №51), მისი უნმინდესობის იქიდან საბოლოო გამოსახლებაში და სიონის ეზოში სრულიად შეუფერებელი ბინის მიჩენაში. 1923წ. ივნისის ბოლოს თბილისის აღმასკომის საბინაო განყოფილების მიერ შექმნილ კომისიას დაევალა დალუქოს „ეგზარქოს“(!) ამბროსის ოთახი, რომელშიც მოთავსებულია „ეგზარქოსის“ კაბინეტი და ორი საეკლესიო ოთახი. ამ მიზნით საბინაო განყოფილების გამგემ (დოლიძე) მოითხოვა მილიციის თანამშრომლის გამოყოფა კომისიისთვის (ჭავჭავაძე, ძნელაძე, წულეისქირი) დახმარების აღმოსაჩენად, რათა „შეავიწროვონ ბინა ეგზარხ. ამბროსის“.⁵⁴⁷ კომისიამ დავალება შეასრულა. 1923წ. 7 ივლისს თბილისის საბჭოს აღმასკომმა საგანგებო კომისიას საიდუმლო წერილი გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია: „ეგზარხოსის თავის სასახლედან გამოსახლების გამო განთავისუფლებულ ოთახებს შორის აღბეჭდილია კომისიის მიერ ორი ოთახი და ერთი შუაფი.

545. იქვე, ფ.338-341, 345, 351.

546. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ფ.ს.102, გვ. 277, 278.

547. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.166, ფ.32, 32ა.

ვინაიდან ყოფილი ეგზარხოსის სასახლე სავსებით და დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საბავშვო კოლექტორს, აღმასრულებელი კომიტეტი გთხოვთ სასწრაფო განკარგულებას, რათა ახსნილ ექნეს ბეჭდები ყველა აღბეჭდილ ოთახებს და გადაეცეს საბინაო განყოფილების გამგეს ამხანაგ დოლიძეს ძველი ავეჯეულობითურთ აღმასკომისთვის გადასაცემად.⁵⁴⁸

კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციის ჩამორთმევის გამო ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბინის გარეშე დარჩა არა მხოლოდ პატრიარქი ამბროსი, არამედ მის დაქვემდებარებაში მყოფი მცხეთა-თბილისის ეპარქიის კანცელარია, საკათოლიკოსო საბჭო და სამეურნეო გამგეობა თავიანთი კანცელარიებით, ბიბლიოთეკა, კარის ეკლესია და ა.შ. წერილში „საქართველოს რესპუბლიკის“ შს კომისრისადმი კათოლიკოს-პატრიარქი აღნიშნავდა, რომ რეზიდენციის ჩამორთმევა „უდრის საქართველოს ეკლესიის ცენტრალურ დაწესებულებათა გაუქმებას, ცენტრალურ მართვა-გამგეობის შეჩერებას“, რაც ეკლესიას და სარწმუნოებას ვერ მოსპობდა, მაგრამ რამდენადმე მაინც შეაფერხებდა „მისი ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას“. უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი სთხოვდა შს კომისარს ჩამორთმეული სახლის დაბრუნებას, მასში მოთავსებული კარის ეკლესიის შენარჩუნებას, რომ ის „არ იქნეს დანგრეული, გაუქმებული და ან სხვა რაიმე სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შეუფერებელი დანიშნულებისათვის მოხმარებული.“ შს კომისარს აღნიშნული წერილისთვის ყურადღება არ მიუქცევია. არც საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს გაუცია პასუხი კათოლიკოს-პატრიარქის 1923წ. 8 ივლისის თხოვნაზე, „რაც შეიძლება დაჩქარებით მომცეთ განმარტება, მაქვს თუ არა უფლება კვირა-უქმე დღეებში შევასრულო წირვა-ლოცვა სიონის საკათედრო ტაძარში.“⁵⁴⁹ კარის ეკლესიაში ღვთისმსახურების ჩატარების უფლება შინაპატიმრობაში მყოფ უწმინდეს და უნეტარეს ამბროსის შენარჩუნებული ჰქონდა, მაგრამ სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში იძულებითი გადასახლების შემდეგ ეს უფლება პრაქტიკულად მას ჩამოერთვა. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი თავის იმჟამინდელ მდგომარეობას სავსებით სამართლიანად აფასებდა, როგორც ტყვეობაში ყოფნას. შს კომისარიატში, აგრეთვე თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში 1923წ. 2 ივლისს გაგზავნილი მიმართვების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქის საყოფაცხოვრებო პირობები ოდნავ გაუმჯობესდა ერთი ოთახის მომატებით, ავეჯის გარკვეული ნაწილისა და აგრეთვე ბიბლიოთეკის დაბრუნებით.⁵⁵⁰

ტყვეობაში იმყოფებოდნენ საგანგებო კომისიის ფურღლებში გამომწყვდეული სხვა სასულიერო და საერო პირებიც. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის შემდეგ გამოძიება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარს, რომელიც დაპატიმრების შემდეგ მალე თბილისში გადმოიყვანეს. სანამ დაკითხვები დაიწყებოდა, 1923წ. ივნისის დასაწყისში მან სთხოვა საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ე. კვანტალიანს, „დასაკითხად და ჩვენების ჩამოსართმევად გამოგზავნოთ ქართველი გამომძიებელი და არა რუსი“, ვინაიდან, – ნერდა მიტროპოლიტი ნაზარი, – მშობლიურ ენაზე უკეთესად გამოვხატავ აზრებს, ვიდრე „არამშობლიურ რუსულზე.“⁵⁵¹ ქართველი გამომძიებელი, რა თქმა უნდა, არავითარი შეღავათი არ იყო, მაგრამ ქუთათელმა მიტროპოლიტმა თავისი ამ მიმართვით საგანგებო კომისიის თავმჯდომარისადმი გამოხატა პროტესტი რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. საგანგებო კომისიაში ნაზარი დაკითხვა ოთხჯერ – 1923წ. 5, 23, 26 და 28 ივნისს. ოთხივე შემთხვევაში მას დაკითხავდა ქართველი გამომძიებელი პეტრე მხეიძე. 5 ივნისის დაკითხვა თითქმის მთლიანად მიტროპოლიტის სახლის აივნის ქვეშ აღმოჩე-

548. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.498.

549. იქვე, ფ.521.

550. საპატრიარქოს არქივი, აღნ.1, ს.166, ფ.28.

551. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.393.

ნილი განძეულობის თემას მიეძღვნა. მეუფე ნაზარმა გამომძიებელს განუცხადა, რომ განძის გადამალვა მოხდა სახლში მისი არყოფნის პერიოდში პირადად კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს განკარგულებით; რომ ეს იყო გაკეთებული საეკლესიო ძვირფასეულობის ბოროტმოქმედი პირებისგან და არა მთავრობისგან დაცვის მიზნით. თუ მთავრობა „ამ ნივთებს მოიკითხავდა და მათ აღწერას მოახდენდა,“ – ბრძანა მიტროპოლიტმა, – საეკლესიო მთავრობა ვალდებული იქნებოდა გამოეტანა დამალული განძი. შეკითხვაზე, განძის გადამალვის თაობაზე იყო თუ არა ინფორმირებული კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, – უპასუხა, რომ არ იცის („შესაძლებელია უთხარი, შესაძლებელია – არა“), თუმცა მან ამის შესახებ, როგორც ჩანს, არქ. პავლესაგან იცოდაო,⁵⁵² რაც შეესაბამებოდა სიმართლეს და ემთხვეოდა ამბროსისა და არქ. პავლეს ზემოთმოტანილ ჩვენებებს.

ქუთაისის პოლიტიკურად ჯერ კიდევ 1922 წლის აგვისტოსთვის ჩამოაყალიბა ცრუ ბრალდებები მიტროპოლიტი ნაზარის წინააღმდეგ: მისი ნებართვით გაიყიდა მრევლის მიერ გელათისთვის შენირული ძვირფასეულობა; 1920 წელს ხელი არ შეუშალა განძეულობის გელათიდან ქუთაისში გადმოტანას; თემების აღმასრულებელ კომიტეტებს აუკრძალა ძვირფასი საეკლესიო ნივთების აღწერა დამშეულთა სასარგებლოდ მათი გაყიდვის მიზნით; ქრთამის სახით ძღვენის მიღება.⁵⁵³ საგანგებო კომისიის გამომძიებელი ცდილობდა ამ „ბრალდებების“ დამტკიცებას მონმეთა ჩვენებების საფუძველზე. 1923 წ. 13 ივნისს და 30 ივლისს მონმეთა სახით დაკითხულმა ქუთაისელმა იუველიერებმა კ. ცაგარეიშვილმა, ი. ვოლოხმა და ი. გვეტაძემ დაადასტურეს 1918-1920 წლებში გელათისა და მონამეთას ბერებისგან ოქროს ნივთების შეძენის ფაქტები,⁵⁵⁴ მაგრამ ეს არავითარ დანაშაულზე არ მიუთითებდა. 1920წ. ზაფხულში გელათში მეორედ ჩამოსულმა ექვთიმე თაყაიშვილმა და კორნელი კეკელიძემ (პირველად ისინი 1920წ. ზაფხულში ესტუმრნენ გელათს) შეისწავლეს მონასტრის განძეულობის მდგომარეობა. ე. თაყაიშვილმა მაშინ გამოთქვა სურვილი, რომ არასაეკლესიო ოქროს ნივთები (საათები, საყურეები, ბეჭდები და ა.შ.) გაიყიდოს და მონასტრებს მოხმარდეს,⁵⁵⁵ რაც გაკეთდა კიდევაც მიტროპოლიტ ნაზარის თანხმობით. აღნიშნული ფაქტი დაადასტურეს აგრეთვე 13 ივნისს მონმეთა სახით დაკითხულმა ქუთაისელმა მღვდლებმა ამბროსი ფოფხაძემ და გაბრიელ ცაგარეიშვილმა. ეს უკანასკნელი შეეხო ასევე ნაზარისთვის წაყენებულ კიდევ ერთ ბრალდებას საეკლესიო ძვირფასეულობის აღწერის აკრძალვის შესახებ და აღნიშნა, რომ კი კრძალავდა, მაგრამ, მხოლოდ საკათოლიკოსო საბჭოს ნებართვის მიღებამდე. როგორც გაბრიელ ცაგარეიშვილმა, ისე ამბროსი ფოფხაძემ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმთან დაკავშირებულ შეკითხვაზე უპასუხეს, რომ მას აქვს პოლიტიკური ხასიათი. გამომძიებელმა ამბროსი ფოფხაძეს აგრეთვე ჰკითხა: „როგორი იყო განწყობილება კათოლიკოს ამბროსის და მიტროპოლიტ ნაზარის“, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: „კაი განწყობილება იყო.“⁵⁵⁶

1923წ. 23 ივნისის დაკითხვაზე მიტროპოლიტმა ნაზარმა უარყო მის მიერ ანტისაბჭოთა აგიტაციის წარმოების ფაქტი; განაცხადა, რომ მხოლოდ საკათოლიკოსო საბჭოს ნებართვის მიღებამდე აკრძალა საეკლესიო განძეულობის აღწერა; რომ მხარს უჭერდა საკათოლიკოსო საბჭოს გადანყვეტილებას არქეოლოგიური მნიშვნელობის არმქონე ძვირფასი საეკლესიო ნივთების დამშეულთა დასახმარებლად გამოყენების შესახებ.⁵⁵⁷ 26 ივნისს გაგრძელებულ დაკითხვაზე მიტროპოლიტმა დაადასტურა, რომ გელათის მონასტრის წინამძღვრის ნესტორ ყუბანიშვილის შუამდგომლობით ნება დართო,

552. იქვე, ფ.406-407.

553. იქვე, ფ.274, 282.

554. იქვე, ფ.412-414; 421-423, 554-556.

555. იქვე, ფ.271-272.

556. იქვე, ფ.418-420.

557. იქვე, ფ.452-453.

გაეყიდათ არასაისტორიო-არქეოლოგიური მნიშვნელობის ძვირფასი ნივთები მონასტრის სასარგებლოდ; უარყო მონამეთას მონასტრის წინამძღვრის არქ. ნიკოლოზისაგან (ნამორაძე) ძღვენის მიღების ფაქტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხუთი წლის განმავლობაში ბერების (ნიკოლოზის ჩათვლით) მიერ სხვადასხვა დროს ორი პატარა კრავის გამოგზავნას; თავი აარიდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მისი დამოკიდებულების თაობაზე დასმულ შეკითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას იმ მოტივით, რომ არ შედის „არავითარ პოლიტიკურ დაფასებაში ამა თუ იმ სახელმწიფოსა – თუ ეს ეკლესიას არ ეხება“ (ეს უკვე იყო გარკვეული პასუხი); კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმი შეაფასა როგორც „ეკლესიურ-პუბლიცისტურ, აპოლოგეტიკური ხასიათის“ დოკუმენტი, თუმცა მასში ხედავდა პოლიტიკური ელფერის მქონე დებულებებსაც (მემორანდუმის ორი ძირითადი მოთხოვნა); სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების მდგომარეობის (გამომძიებელი ამას საქართველოს კულტურულ ავტონომიას უწოდებდა?) თაობაზე დასმულ შეკითხვაზე უპასუხა, რომ სკოლებთან კავშირი არა აქვს; ჟურნალ-გაზეთები კი „დღეს გაცილებით უფრო მცირე რიცხვი გამოდის, ვინემ სხვა დროს და სხვა ხანებში“.⁵⁵⁸ დაკითხვა, რომელიც 28 ივნისს გაგრძელდა, მემორანდუმის იმ ნაწილს ეხებოდა, სადაც საუბარია 1921წ. 25 თებერვალს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაზე. ამ ნაწილსაც, – ბრძანა მიტროპოლიტმა ნაზარმა, – „აქვს პოლიტიკური ხასიათი“. გამომძიებლის შეკითხვაზე, „როგორი განწყობილება გაქვთ პატრიარქ ამბროსისთან კერძო ცხოვრებაში და სამსახურის ასრულებაში“, იყო ასეთი პასუხი: „ძალიან კარგი განწყობილება ერთ და მეორე მხარითაც.“⁵⁵⁹ დაკითხვებმა აჩვენეს, რომ თვით საბჭოთა კანონებითაც კი მიტროპოლიტ ნაზარს არანაირი სისხლის სამართლის დანაშაული არ უმტკიცდებოდა.

საგანგებო კომისია „ყურადღებას“ არ აკლებდა საკათოლიკოსო საბჭოს ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულ წევრს, ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვარს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს. იმისათვის, რომ რაიმე გამართლება ჰქონოდა პატიმრობაში მის ყოფნას, ე.წ. საუნწყებათაშორისო სარევიზიო კომისიამ ქვაშვეთში ვითომ ფინანსური დარღვევები და აღურიცხავი ნივთები გამოავლინა. ამ თემას ეხებოდა ორი დაკითხვა 1923წ. 23 აპრილს და 1 ივნისს. გამომძიებლის შეკითხვაზე ამომწურავი პასუხები იქნა გაცემული.⁵⁶⁰ 1923 წლის 3 და 19 მაისის დაკითხვებზე საუბარი იყო საკათოლიკოსო საბჭოში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მუშაობის სტილზე (აძლევა თუ არა ანგარიშს საბჭოს და ა.შ.) და მემორანდუმზე, რომლის შესახებ კალისტრატე ცინცაძეს მხოლოდ საბჭოთა პრესის მეშვეობით შეუტყვია.⁵⁶¹ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა, დეკ. კალისტრატე ცინცაძე კათოლიკოს-პატრიარქთან ერთადაც დაიკითხა.

საგანგებო კომისიამ ორჯერ დაკითხა დეკ. მარკოზ ტყემალაძე – 1923წ. 11 და 21 მაისს. პირველ შემთხვევაში გამომძიებელი მასთან არკვევდა 1921წ. 24 თებერვალს სიონისა და მცხეთის ტაძრების განძეულობის ქუთაისში გაგზავნასთან დაკავშირებულ გარემოებებს; 21 მაისს კი მარკოზ ტყემალაძის დაკითხვის თემა იყო კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმი. ამის თაობაზე ინფორმაცია მას პირადად ამბროსისგან მოუსმენია ქვორუმის უქონლობის გამო არშემდგარ საკათოლიკოსო საბჭოს არაოფიციალურ სხდომაზე სამი კაცის თანდასწრებით. დაკითხვაზე მარკოზ ტყემალაძემ განაცხადა: „ამ მემორანდუმს ვაძლეე პოლიტიკურ მნიშვნელობას და, ვფიქრობ, რომ ამნაირი დანერის უფლება კათოლიკოზ ამბროსის არ ჰქონდა.“⁵⁶²

მარკოზ ტყემალაძისაგან განსხვავებით, პრინციპული პოზიცია ეჭირა ანტონ

558. იქვე, ფ. 457-458.

559. იქვე, ფ. 469-470.

560. იქვე, ფ. 251-252; 394-396.

561. იქვე, ფ. 297-298, 357-359.

562. იქვე, ფ. 325-326, 366-368.

თოთიბაძეს, რომელიც საგანგებო კომისიის გამომძიებელმა 1923 წლის 3, 4 და 21 ივნისს დაკითხა. 3 ივნისს ანტონ თოთიბაძემ უპასუხა ნიკოლოზის ეკლესიისთვის შესამოსელის მიყიდვისა და ძვირფასი ნივთების გადაცემასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე. 4 ივნისის დაკითხვა კათოლიკოს-პატრიარქთან მის ურთიერთობას და მემორანდუმისადმი დამოკიდებულებას შეეხებოდა. ამბროსის სემინარიიდან ვიცნობდი, – განაცხადა ა. თოთიბაძემ. გამომძიებელმა იცოდა, რომ საქართველოს ოკუპაციის დღეებში ა. თოთიბაძე ჯართან ერთად ბათუმამდე ჩავიდა და მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ დაბრუნდა თბილისში. შეკითხვაზე – „რა მნიშვნელობას აძლევთ თქვენ კათოლიკოსის ამბროსის მოწოდებას“, პასუხი იყო შემდეგი: „ამ მოწოდებას მე არ ვაძლევ პოლიტიკურ ხასიათს, მე ვფიქრობ, რომ ამ მოწოდებით მას უნდოდა გამოეხატა მისადმი რწმუნებული ეკლესიის მდგომარეობა.“ გამომძიებლის კიდევ ერთ შეკითხვას – „ამართლებთ თუ არა თქვენ კათალიკოს ამბროსის მისთვის, რომ იგი ჩაერთა სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებაში,“ ანტონ თოთიბაძემ იმ ვითარებაში გმირობის ტოლფასი პასუხი გასცა: „იმდენად, რამდენადაც იგი ზრუნავს თავის ეკლესიისთვის, მე მას ვამართლებ.“ 21 ივნისს გამომძიებელი არკვევდა ბათუმში ოსმალების ყოფნის პერიოდში იქაური სამხედრო ტაძრიდან თბილისის სამხედრო ტაძარში დროებით გადმოტანილი ძვირფასეულობის ბედს. ა. თოთიბაძის განმარტებით, ეს ძვირფასეულობები უკან დაუბრუნებიან, მაგრამ მან არ იცოდა ოქროს კანდელის ადგილსამყოფელი.⁵⁶³

1923 წ. 21 აპრილს და 19 მაისს დაიკითხა იოსებ მირიანაშვილი. პირველ დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ მხოლოდ პრესის მეშვეობით შეიტყო კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმის შესახებ. შეკითხვაზე, „რა მნიშვნელობას აძლევდით თქვენ ამ მოქმედებას“, ასეთი პასუხი გასცა: „მე ვაძლევ მას წმინდა ეკლესიურ-სარწმუნოებრივ მნიშვნელობას, რამდენადაც მახსოვს.“ 19 მაისის დაკითხვაზე გამომძიებელი ცდილობდა გაეგო, იცოდნენ თუ არა საკათოლიკოსო საბჭოს წევრებმა მემორანდუმის გაგზავნის შესახებ. ი. მირიანაშვილმა უპასუხა, რომ მისი თანდასწრებით საბჭოში ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა.⁵⁶⁴ ამის შემდეგ იოსებ მირიანაშვილი კიდევ ერთხელ დაიკითხა კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად, რის შესახებაც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

საგანგებო კომისიაში 1923 წლის მაისში ხუთჯერ დაიკითხა არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე, რომელიც იმავე წლის 4 მაისს დააპატიმრეს. მისი დაკითხვის ერთადერთი თემა იყო ქუთაისში გადამალული განძეულობის საკითხი. პასუხობდა რა გამომძიებლის შეკითხვებზე, დანვრილებით ისაუბრა განძეულობის ქუთაისში გადატანისა და იქ დამარხვის შესახებ; განაცხადა, რომ ამის (დამარხვის) თაობაზე არავინ იცოდა, გარდა ნაზარისა, რომელსაც, მისი აზრით, კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე აუცილებლად ჩააყენებდა საქმის კურსში.⁵⁶⁵ როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე 1923წ. 24 მაისის ახლო ხანებში დაიკითხა კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად იმის გამო, რომ იგი თავის 5 და 14 მაისის ჩვენებებში უარყოფდა ამბროსისთან შეხვედრისა და განძეულობის აღმოჩენის თაობაზე მისი ინფორმირების ფაქტს, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა კათოლიკოს-პატრიარქის 1923 წლის 10 მაისის ჩვენებასთან.

საგანგებო კომისიამ სამჯერ დაიკითხა დიმიტრი ლაზარიშვილი-საპატრიარქოს სამეურნეო განყოფილების გამგე, რომელიც ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობდა ძვირფასეულობების, მათ შორის ქუთაისში გაგზავნილი განძეულობის შესახებ. 1921წ. 23 თებერვალს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე მას წერდა: „მამაო დიმიტრი! მთავ-

563. იქვე, ფ.476-478, 397-399, 429-431.

564. იქვე, ფ.248-250, 360-362.

565. იქვე, ფ. 299-304, 330-331, 338-339, 372-379, 442, 479.

რობა მზათ არის მოგვცეს მცველები და გადაგვიტანოს რკინის გზით ჩვენი განძეულობა ქუთაისში, თუ ჩვენ ყველა ამას მივიტანთ ვოგზლამდე. აბა, დატრიალდი იშოვე სადმე ურემი ან სხვა რამ და ჩააბარე ბარგი რკინის გზაზე. უთქვამთ, რაც შიძლება დააჩქარეთო. ახლა შენზელაა საქმე“.⁵⁶⁶ პირველ დაკითხვაზე 1923 წ. 9 ივნისს დ. ლაზარიშვილმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შეასრულა ლეონიდეს ეს დავალება. 26 ივნისს ჩატარებულ დაკითხვაზე, პასუხობდა რა მემორანდუმთან დაკავშირებულ შეკითხვებზე, განაცხადა, რომ „ამ მემორანდუმს ვსთვლი კერძო ხასიათის წერილად“, მაგრამ მისი გაგზავნის უფლება კათოლიკოს-პატრიარქს არ ჰქონდაო. 27 ივნისის დაკითხვაზე დ. ლაზარიშვილმა უპასუხა გამომძიებლის შეკითხვებზე საპატრიარქოს კარის, ყოფილი სასულიერო თუ სხვა სასწავლებლების და დაშლილი სამხედრო ნაწილების ეკლესიების ძვირფასეულობების ადგილსამყოფელის შესახებ.⁵⁶⁷

სამჯერ დაიკითხა დავით დავიდოვი (დავითაშვილი). 28 მაისის დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ ქუთაისში განძეულობის გაგზავნაში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მემორანდუმის თაობაზე მხოლოდ პრესის მეშვეობით შევიტყვევო. 26 ივნისს უპასუხა გამომძიებლის შეკითხვაზე კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების (სადაც ის ადრე კანცელარიაში მსახურობდა) ძვირფასეულობების ადგილსამყოფელის შესახებ. განაცხადა, რომ საზოგადოების გაუქმების შემდეგ ეს ძვირფასეულობები ჩაიბარა საკათოლიკოსო საბჭომ. 28 ივნისს დ. დავიდოვმა მემორანდუმთან დაკავშირებით გამომძიებელს ასეთი ინფორმაცია მიაწოდა: „გამოქვეყნებამდე ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, შემდეგ მე ხშირად მიხდებოდა საუბარი მემორანდუმის შესახებ საერო და სასულიერო პირებთან. მათთან საუბრების დროს მე გამოვიტანე შთაბეჭდილება, რომ უმრავლესობა მემორანდუმს თანაუგრძნობდა“ (მაგრამ ვერ გაიხსენა, ვინ იყვნენ ისინი პერსონალურად); დავიდოვმა ასევე განაცხადა, რომ ის უარყოფითად აფასებს მემორანდუმის, როგორც პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტის, გენუაში გაგზავნის ფაქტს. განძეულობის ქუთაისში გადაძალასთან დაკავშირებით კი გამოთქვა ვარაუდი, რომ ამის შესახებ იცოდნენ კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, დეკ. მარკოზ ტყემალაძემ და არქ. პავლე ჯაფარიძემ.⁵⁶⁸

საგანგებო კომისიაში 1923 წ. 2 მაისს დაკითხულმა ილია შუბლაძემ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მემორანდუმის გაგზავნას პოლიტიკური აქტი უწოდა და განაცხადა, რომ მის მოქმედებას (რისი უფლებაც მას, ვითომ არ ჰქონდა) არ ამართლებს. იმავე წლის 27 ივნისს ჩატარებულ დაკითხვაზე გამომძიებელს მიაწოდა ინფორმაცია, რომ გასაბჭოების შემდეგ დახურული ეკლესიების (სხვადასხვა სასწავლებლების, სამხედრო ნაწილების და ა.შ.) ძვირფასეულობები ინახებოდა საკათოლიკოსო საბჭოში, რითაც დაადასტურა დ. ლაზარიშვილის ჩვენება.⁵⁶⁹ 1923 წ. 12 ივლისს გ. მიკმა მიიღო გადაწყვეტილება ავადმყოფობის გამო მღვდლების ილია შუბლაძისა და იოანე ქავჭავაძის დროებით პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ თბილისიდან გაუსვლელობის ხელწერილის ჩამორთმევით.⁵⁷⁰

საგანგებო კომისიაში ოთხჯერ დაიკითხა ნიკო თავდგირიძე. პირველ დაკითხვაზე – 1923 წლის 3 მაისს – მან თავი შეიკავა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმის შეფასებისგან. 19 მაისს კატეგორიულად განუცხადა გამომძიებელს, რომ პრესაში გამოქვეყნებამდე მის შესახებ არაფერი სმენია, მათ შორის საკათოლიკოსო საბჭოშიც. მორიგ დაკითხვაზე, რომელიც 1923 წ. მაისის ბოლოს უნდა იყოს ჩატარებული, ნ. თავდგირიძემ ჩვენება შეცვალა და დარწმუნებით თქვა, რომ მემორანდუმის შედგენაში „უშუალო და გულმოდგინე მონაწილეობას იღებდნენ საკათოლიკოსო საბ-

566. იქვე, ს.2, ფ.5.

567. იქვე, ს.1, ფ.409-411, 434-436, 460-462.

568. იქვე, ფ.385-387, 454-456, 466-468.

569. იქვე, ფ.291, 463-465.

570. იქვე, ფ.522.

ჭოს წევრნი ინგილო ივანიცკი, საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიის ყოფილი მმართველი იასონ კაპანაძე“ (ორივე საზღვარგარეთ იმყოფებოდა); რომ ამ უკანასკნელმა წაიღო მემორანდუმი ევროპაში, რათა აკაკი ჩხენკელისთვის ან ნოე ჟორდანიასთვის გადაეცა; რომ საკათოლიკოსო საბჭოს წევრები ამართლებენ კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებას, ეპისკოპოსები კი „წინააღმდეგნი არ იყვენ.“ როგორც შემდგომში სასამართლოზე გაირკვა, ნ. თავდგირიძე გარკვეულ ზენოლას განიცდიდა გ. მიკის მხრიდან, რომელმაც აღნიშნული „ჩვენება“ 1923 წ. 9 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქის დაკითხვისას გამოიყენა. 1923წ. 20 ივლისს გ. მიკმა უკანასკნელად დაკითხა ნ. თავდგირიძე, დაინტერესდა რა მისი ურთიერთობებით ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან.⁵⁷¹

წინასწარი გამოძიების პროცესში საგანგებო კომისიამ რამდენიმე მოწმეც დაკითხა. 1923 წ. 5 მაისს დაკითხა ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე). მან დაადასტურა, რომ საკათოლიკოსო საბჭოსა და მთავრობის გადანყვევტილებით მოხდა განძეულობის გადატანა ქუთაისში, რაშიც მან მონაწილეობა მიიღო; იქვე აღინიშნა, რომ განძის დამარხვის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა. გამომძიებლის შეკითხვაზე მემორანდუმის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ეპ. დავითმა განაცხადა: „ესთვლი მას პოლიტიკურ ნაბიჯათ, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და არღვევს ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების ძირითად პრინციპებს.“ მორიგ შეკითხვაზე, „პირადად თქვენ როგორ უყურებთ კათოლიკოს ამბროსის ასეთ პოლიტიკურ გამოსვლებს“, დავით კაჭახიძემ უპასუხა: „მე კატეგორიულად ვკიცხავ ასეთებს.“⁵⁷² მსგავსი პასუხები არ იყო მოულოდნელი მღვდელმთავრისაგან, რომელიც იმთავითვე საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა.

საკათოლიკოსო საბჭოს თანამშრომელმა მღვდელმა ლაზარ ნათიძემ, რომელიც მოწმის სახით 1923 წ. 12 ივნისს დაკითხა, სამეურნეო საკითხებზე ახსნა-განმარტების მიცემის შემდეგ აღნიშნა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმს „აქვს წმინდა პოლიტიკური ხასიათი“.⁵⁷³

1923 წ. 13 ივლისს მოწმის სახით დაკითხულმა დეკ. ნიკიტა თალაკვაძემ გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნასთან დაკავშირებით განაცხადა: „პირადად ჩემზე მემორანდუმმა მოახდინა მძიმე შთაბეჭდილება. კათოლიკოსის ამ ნაბიჯს მე ვთვლი მოუფიქრებლათ და სახიფათოდ, საჭირო იყო გამოძებნილი ყოფილიყო რაიმე „მოდუს ვივენდი“⁵⁷⁴ საქართველოს ეკლესიას და ხელისუფლებას შორის. თქვენი შეკითხვაზე, თუ რა ხასიათისაა ეს მემორანდუმი, უნდა მოგახსენოთ, რომ, ერთის მხრივ, ის რელიგიურია, მეორეთ კი – პოლიტიკური“. შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა კათოლიკოსს სახელმწიფო საქმეებში ჩარევის უფლება, პასუხისაგან თავი შეიკავა, რადგანაც, – განაცხადა ნ. თალაკვაძემ, – „არა მაქვს უფლება შევიდე კათოლიკოს-პატრიარქის მოქმედების დაფასებაში“. განძეულობის ქუთაისში გადატანა მან მიზანშეწონილად მიიჩნია, მაგრამ იქ დატოვება და დამარხვა არ მოიწონა.⁵⁷⁵

მოწმე ივანე რატიშვილმა 1923წ. 21 ივლისს გ.მიკს ასეთი ჩვენება მისცა: „მემორანდუმს, ჩემის აზრით, აქვს პოლიტიკურიც და საეკლესიო ხასიათიც. ყველა შემთხვევაში შემცდარი ნაბიჯია და ის დაწერილია კათოლიკოს ამბროსის მიერ ვისმეს ჩაგონებით.“⁵⁷⁶ საკმაოდ ზომიერი პასუხი გასცა გამომძიებლის შეკითხვებს 1923წ. 26 ივლისს მოწმის სახით დაკითხულმა კორნელი კეკელიძემ, რომლის ჩვენება სრულად

571. იქვე, ფ. 294-295, 363-365, 388-390, 531-533.

572. იქვე, გვ. 305-309.

573. იქვე, გვ. 489-491.

574. „ცხოვრების წესი“ (ლათ.). ტერმინი გამოიყენება დიპლომატიაში შეთანხმების, კონვენციის მნიშვნელობით (ჯ.გ.).

575. იქვე, ფ. 527-529.

576. იქვე, ფ. 534-536.

ქვეყნდება (აქვე, დოკ. №52). იგივე არ ითქმის ეპისკოპოს ქრისტეფორეზე (ციციქ-იშვილი), რომელიც 1923 წლის ივლისის ბოლოს დაიკითხა (ოქმში ზუსტი თარიღი მითითებული არ არის). შეკითხვაზე, „რა იცით თქვენ იმ მემორანდუმის შესახებ, რომელიც კათოლიკოს ამბროსიმ გენუის კონფერენციას გაუგზავნა“, ეპ. ქრისტეფორემ უპასუხა: „მემორანდუმი კათოლიკოსი ამბროსის თავის შინაარსით უფრო პოლიტიკურია, ვიდრე საეკლესიო. ამ მემორანდუმის შესახებ მე გავიგე მას შემდეგ, რაც ის გამოქვეყნებული იყო საბჭოთა პრესაში. მე ვფიქრობ, რომ ეს მემორანდუმი წინდანი იყო უშედეგოდ დარჩენილი“ (უნდა იყოს „მარცხისთვის განწირული“- «Ореченный на неудачу» – ჯ.გ). ქუთაისში გადამალულ განძეულობასთან დაკავშირებით ეპ. ქრისტეფორემ ბრძანა: „დიდ შეცდომათ ვსთვლი ასეთ ძვირფასეულობის დამალვას.“⁵⁷⁷

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, გაცნო რა მონმეთა ჩვენებებს, ყველაზე მეტად გააოცა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს, ეპ. დავითის, დეკ. ნიკიტა თალაკვაძის და დეკ. ილია შუბლაძის, ჩვენებებმა, რომლებიც (ასევე სხვათა ჩვენებები) მან სპეციალურად ამოიწერა⁵⁷⁸ და სასამართლოზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში პასუხიც გასცა (იხ. აქვე, დოკ. №69 – საბოლოო სიტყვის VII თავის ბოლოში გაკეთებული ჩანართი).

1923 წლის 7 სექტემბერს საგანგებო კომისიის რწმუნებულმა გ. მიკმა, რომელიც წინასწარ გამოძიებას აწარმოებდა, წარმოადგინა ე.კვანტალიანის მიერ დამტკიცებული დასკვნითი დადგენილება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დამნაშავეებად იყვნენ ცნობილი კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, კალისტრატე ცინცაძე, მიტროპოლიტი ნაზარი, იოსებ მირიანაშვილი, ნიკოლოზ თავდგირიძე, დიმიტრი ლაზარიშვილი, ილია შუბლაძე, იოანე ქავჭავაძე, პავლე ჯაფარიძე, ანტონ თოთიბაძე (უდანაშაულოდ არიან ცნობილი პლატონ ცქიტიშვილი, გაბრიელ ცაგარეიშვილი და დავით დავიდოვი). დასკვნის მიხედვით, კათოლიკოს-პატრიარქი კვლავ შინაპატიმრობაში რჩებოდა, ნ. თავდგირიძე, ი. შუბლაძე და ი. ქავჭავაძე გაუსვლელობის ხელწერილის ქვეშ გაანთავისუფლეს, დანარჩენები პატიმრობაში რჩებოდნენ (გ. მიკის დასკვნის სრული ტექსტი ქვეყნდება – აქვე, დოკ. №54).

1923 წლის 8 სექტემბერს საქართველოს საგანგებო კომისიამ განიხილა გ. მიკის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და დაადგინა: „საქმე გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლეს ტრიბუნალს საჯარო სასამართლოზე განსახილველად. მასვე გადაეცეს ნივთმტკიცებები, გადაერიცხოს დაპატიმრებულები.“⁵⁷⁹ 1923წ. 12-15 სექტემბერს გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმმა მოისმინა „იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოხსენება საქართველოს კათოლიკოს ამბროსის ანტისაბჭოთა საქმიანობისა და საეკლესიო ძვირფასეულობის გადამალვის შესახებ.“ მიღებულ დადგენილებაში ჩაიწერა: „ამბროსის საქმე გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.“⁵⁸⁰

საბჭოთა სასამართლო სისტემა საქართველოში ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა. საოკუპაციო რეჟიმმა ჯერ კიდევ 1921წ. 22 მარტს გააუქმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული სენატი და სხვა სასამართლო დანესებულებები,⁵⁸¹ იმავე წლის 3 აპრილს დაამტკიცა დებულება ე.წ. რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ,⁵⁸² 15 აპრილს გაუქმდა ნაფიც ვეჟილთა ინსტიტუტი. 1921წ. 30 ივლისს რევკომმა დაამტკიცა დებულება სახალხო სასამართლოების შეს-

577. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.575-577.

578. იხ. ანა კლდიაშვილის კოლექცია.

579. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.606.

580. შსს არქივი, ფ.14, აღნ.1, ს.490, ფ.7ა.

581. მოამბე შსს კომისარიატისა, 1921, №1, გვ.3-4.

582. იქვე, №16, გვ.13-16.

ახებ, რომლებიც მხოლოდ ტრიბუნალების მიერ გადაცემულ საქმეებს იხილავდნენ.⁵⁸³ 1921 წლის 5 ოქტომბერს იუსტიციის კომისარიატმა დაამტკიცა სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებანი. ცაკ-ის 1922წ. 2 ნოემბრის დადგენილებით სახალხო მოსამართლეთა საბჭოსთან დაარსდა დამცველთა კოლეგია,⁵⁸⁴ 9 ნოემბრის დადგენილებით, იმავე წლის 15 ნოემბრიდან (ცაკ-ის 1922 წლის 23 ნოემბრის დადგენილებით, ამ ვადამ 5 დეკემბრამდე გადაინია) შემოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსი, 11 ნოემბრის დადგენილებით დაარსდა პროკურატურა.⁵⁸⁵ მოსამართლეთა კვალიფიკაცია უკიდურესად დაბალი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1922წ. 27 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმმა მიიღო დადგენილება სახალხო სასამართლოების და სასამართლო ორგანოების ხელმძღვანელობის „არაკომუნისტური და არაპროლეტარული შემადგენლობის“ უმოკლეს ვადაში ერთიანად მუშებით და ღარიბი გლეხებით შეცვლის შესახებ.⁵⁸⁶ 1922წ. 26 დეკემბერს ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისში 25 კომუნისტი გაიწვიეს სასამართლო ორგანოებში და მათთვის ორთვიანი კურსები (!) გაიხსნა.⁵⁸⁷ იგივე გაკეთდა ადგილებზეც. 1923 წლის 17 აგვისტოს ცაკ-მა, იხელმძღვანელა რა სრულიად საქართველოს ცაკ-ის IV სესიის (1923 წ. 21 ივნისი) გადაწყვეტილებით, მიიღო დადგენილება საქართველოში სასამართლო წყობის დებულების იმავე წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედების შესახებ; შესაბამისად, უქმდებოდა 1921 წ. 3 აპრილს შექმნილი რევოლუციური ტრიბუნალები. 1923 წლის 1 სექტემბრიდანვე ფაქტობრივად უნდა ამოქმედებულიყო სისხლის სამართლის კოდექსიც, აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.⁵⁸⁸ ვრცელი ამონარიდები ამ კოდექსებიდან წინამდებარე მონოგრაფიის მესამე ნაწილში ქვეყნდება (იხ. დოკ. №№ 30,31). ცაკ-ის 1923 წ. 15 სექტემბერის დადგენილებით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოებთან გადაწყდა „დამცველი კოლეგიების“ ჩამოყალიბება.⁵⁸⁹ ახალი სასამართლო ორგანოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, იუსტიციის კომისარიატმა საქართველოს რევოლუციური ტრიბუნალი თავისი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილიალებით 1923 წლის 16 სექტემბრიდან გაუქმებულად გამოაცხადა.⁵⁹⁰ როგორც ვხედავთ, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმე გახლდათ ახლადშექმნილი საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღებული პირველი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე. სისხლის სამართლის კოდექსის მთელი რიგი მუხლებიც (13-ე, 60-ე, 73-ე, 105-ე, 116-ე და ა.შ) ამ გახმაურებულ საქმეს მოარგეს. უზენაესი სასამართლო დიდად არ განსხვავდებოდა საგანგებო კომისიისგან, მით უმეტეს თავისი უშუალო წინამორბედის – რევოლუციური ტრიბუნალისაგან. ნიშანდობლივია, რომ მის პირველ თავმჯდომარედ საგანგებო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე კოტე ცინცაძე დაინიშნა. „პროკურატურის შესახებ“ დებულების თანახმად, „პროკურატურის სათავეში, ვითარცა რესპუბლიკის პროკურორი“, იდგა იუსტიციის სახალხო კომისარი. რესპუბლიკის პროკურორისა და იუსტიციის კომისარის თანამდებობაზე იმჟამად ი. ვარძიელი იმყოფებოდა.⁵⁹¹ უზენაეს სასამართლოს ჰყავდა თავისი პროკურორი. ეს თანამდებობა ნ. ოკუჯავამ დაიკავა.

ამრიგად, 1923 წ. სექტემბერში, საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმე ერთი სადამსჯელო სტრუქტურულიდან (საგანგებო კომისიიდან) გადაეცა არსებითად მეორე სა-

583. იქვე, 1921, №16, გვ.5-13.

584. იქვე, 1922, №25, გვ.10-13; №44, გვ.3-4.

585. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს. 27ა, ფ. 32, 48; ს.28, ფ.13, 16-17.

586. შსს არქივი, ფ.14, აღნ.1, ს.189, ფ.22.

587. იქვე, ს.194, ფ.213ა.

588. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1. ს.85, ფ.53,54,70; კომუნისტი, 1923, 23 აგვისტო.

589. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.85, ფ. 70.

590. კომუნისტი, 1923, 18 სექტემბერი.

591. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღნ.1, ს.28, ფ.17.

დამსჯელო სტრუქტურას – უზენაეს სასამართლოს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ნაჩქარევად არ მომხდარა. ეტყობა, ცეკას ხელმძღვანელობაში არ იყო მაშინ სრული ერთსულოვნება მისი უწმინდესობის სასჯელის ზომასთან დაკავშირებით (იხ. აქვე, დოკ. №71, შენიშვნა 1.). არსებობდა მოსაზრება, რომ კათოლიკოს-პატრიარქის გასამართლება კომპარტიას დივიდენდებს არ მოუტანდა, რომ პოლიტიკურად უფრო მომგებიანი იქნებოდა ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის საოკუპაციო რეჟიმის სამსახურში მყოფი სამღვდელოების ხელით თანამდებობიდან გადაყენება და „დანაშაულის აღიარების“ გამოძალვის გზით მისი პიროვნების დისკრედიტაცია. ამ მიზნის მიღწევის მცდელობად უნდა ჩაითვალოს ცეკას 1923წ. 12-15 სექტემბრის პლენუმის წინა დღეებში განვითარებული მოვლენები. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საგანგებო კომისიაში წინასწარი გამოძიების დასრულება და ე.წ. სასამართლოსთვის საქმის გადაცემა დროში ზუსტად დაემთხვა კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ ეკლესიის შიგნით, ხელისუფლების აშკარა ჩარევით, მომზადებული შეთქმულების ფინალურ ეტაპს. შეთქმულების სათავეში ეპისკოპოსები ქრისტეფორე (ციციქიშვილი) და დავითი (კაჭახიძე) იდგნენ. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა. ეპ. დავითმა, რომელიც მაშინ დროებით იმერეთის, ჭყონდიდისა და ბათუმ-შემოქმედის ეპარქიებს მართავდა, 1923 წლის 2-3 სექტემბერს ქუთაისში მოიწვია მის მიერ ჩაფიქრებული რეფორმების პროექტის შემმუშავებელი 12 კაციანი კომისიის სხდომა. წინასწარ მომზადებული „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სარეფორმო პროექტი“ ითვალისწინებდა საკათოლიკოსო საბჭოსა და კათოლიკოს – პატრიარქის თანამდებობის გაუქმებას. საქართველოს ეკლესიის მეთაური იქნებოდა თბილისის მთავარეპისკოპოსი. „რეფორმა“ შეეხებოდა ეპარქიებსაც და, თვით მართლმადიდებელი ეკლესიის წესებსაც.⁵⁹² სხდომის მთავარმა მონაწილეებმა – დასავლეთ საქართველოს პროკურორმა ამბერკ ურუშაძემ და კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მდივანმა ვ. ბახტაძემ წინადადება მისცეს თუ უბრძანეს კომისიას, ჯერ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმისადმი, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლებისადმი და მერე შეუდგეს რეფორმების ჩატარებას. მათ განაცხადეს, რომ მთავრობასა და ეკლესიას შორის გამწვავებული ურთიერთობის მთავარი მიზეზი არის მემორანდუმი და ეს ურთიერთობა არ შეიცვლება, სანამ პატრიარქი არ დაგმობს თავის მოქმედებას. კრებამ მიიღო პროკურორის წინადადება, აირჩია დელეგაცია ეპ. დავითის, ტრიფონ ჯაფარიძისა და პლატონ ციციქიშვილის (აი, რატომ მოუხსნა მას პასუხისმგებლობა საგანგებო კომისიამ) შემადგენლობით, რომელსაც დაევალა მოახსენოს და სთხოვოს კათოლიკოს-პატრიარქს მემორანდუმის უარყოფა, რადგანაც მთავრობა ვითომ ატარებს სწორ ეროვნულ პოლიტიკას, „ბევრი ის ნაკლი, რომელიც მემორანდუმშია აღნიშნული, გაასწორა და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბევრი კიდევ გაასწოროს, რასაკვირველია, ცხოვრების კარნახით.“ კრების ამ დავალების შესახებ დელეგაციას წერილობითი მოხსენება მიუერთმევია კათოლიკოს-პატრიარქისთვის, მაგრამ, ეპ. დავითის სიტყვებით, მან შესაძლებლად ვერ სცნო შეესრულებინა თხოვნა იმ სახით, როგორც დელეგაციას ჰქონდა მოხსენებული.⁵⁹³

ამის შემდეგ შეთქმულების ორგანიზატორები უფრო აქტიურ და რადიკალურ მოქმედებაზე გადავიდნენ. ეპისკოპოსებმა დავითმა და ქრისტეფორემ 1923 წლის 8 სექტემბერს, ანუ იმ დღეს, როდესაც საგანგებო კომისიის კოლეგიამ დაამტკიცა წინასწარი გამოძიების დასკვნითი დადგენილება და საქმე უზენაეს სასამართლოს

592. ამ ე.წ. პროექტის გამო, რომელიც უეჭველად ხელისუფლებასთან იყო შეთანხმებული და გაზეთ „მუშა და გლეხში“ (1923, 26 აგვისტო, №35) გამოქვეყნდა, ეპ. დავითს მოგვიანებით (1925წ. 11 ოქტომბერს) მოუწია ახსნა-განმარტების მიცემა საკათოლიკოსო საბჭოსთვის, რომელმაც 1925წ. 12 ოქტომბერს სპეციალური განჩინებაც გამოიტანა აღნიშნულ საკითხებზე. – ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III, გვ.51-53, 89-91.

593. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.166, ფ.33.

გადასცა, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის შემდეგი განცხადება წარუდგინეს: „ვლენობა რა მხედველობაში, რომ თქვენი ყოფნა საქართველოს ეკლესიის სათავეში დღევანდელ გარემოებაში საზარალოა ამ ეკლესიისთვის, გთხოვთ თქვენი ადგილი დაუთმოთ სხვა პირს. ასეთ პირად ჩვენ ვასახელებთ მიტროპოლიტ გიორგის (ალადაშვილი – ფ.გ.), რომლის აყვანასაც კათალიკოსობის ხარისხში საკათოლიკოსო საბჭოს ნებართვით შესაძლებლად ვცნობთ ახლავე, რადგანაც საეკლესიო კრების მოწვევა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია.“⁵⁹⁴ განცხადების ავტორებმა გადანყვიტეს გაემაგრებინათ ზურგი საკათოლიკოსო საბჭოს გადანყვიტელებითაც. ამ მიზნით იმავე წლის 9 სექტემბერს გაიმართა დროებითი საკათოლიკოსო საბჭოს (რომელიც მისი ნამდვილი წევრების დაპატიმრების შემდეგ, მთავრობის ნებართვით, საბჭოს წევრობის კანდიდატებისა და კოოპტირებული პირებისაგან ჩამოყალიბდა) სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: საბჭოს თავმჯდომარე, პატრიარქის მოსაყდრე ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე, დასავლეთ საქართველოს ეპარქიათა დროებითი მმართველი ეპ. დავითი, დეკ. გ. გამრეკელი, დეკ. ბენიამინ კანდელაკი, სოფრომ მაგლობლიშვილი, ივ. რატიშვილი და გერასიმე იმნაიშვილი. სხდომამ, მოისმინა რა ეპ. დავითის მოხსენება, მიიღო ორი „ცნობა“. პირველ „ცნობაში“ ნათქვამია, რომ „სარწმუნოების შევიწროება არსად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე არ წარმოებს ისე სასტიკად, როგორც საქართველოში. საკათოლიკოსო საბჭოს წევრები იზიარებენ იმ აზრს, რომ ეს გადაჭარბება ამ საქმეში არის მემორანდუმის ბრალი და თუმცა მის უწმინდესობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ამბროსის არ მიუძღვის ბრალი საქართველოს ეკლესიის წინაშე, მაგრამ მისი ყოფნა საქართველოს ეკლესიის სათავეში ვნებას აძლევს ამ ეკლესიას და საქმის სარგებლობისთვის უნდა დაუთმოს ეკლესიის მოთავეობა სხვა პირს. ამისთვის საკათოლიკოსო საბჭოს ყველა წევრი (ერთის გამონაკლისით) იმ აზრს დაადგენენ, რომ კათოლიკოს ამბროსის ეთხოვოს თავისი ადგილი დაუთმოს სხვა პირს. დადგენილების წინააღმდეგი იყო იმნაიშვილი“. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ ამ წინადადების მიღების შემთხვევაში უნდა ამოქმედებულიყო საბჭოს მეორე „ცნობა“, რომელშიც ვკითხულობთ: „უკეთეს კათოლიკოსი დათანხმდება ზემომოყვანილ წინადადებას, მაშინ აღიარებულ იქმნას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად გონება გამჭრიახი მსცოვანი მიტროპოლიტი გიორგი; აღდგენილ იქნეს თბილისის სამღვდელმთავრო კათედრა, აგრეთვე თანამდებობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრისა. მოსაყდრეობა კათოლიკოსისა მიეკუთვნოს თბილელ მღვდელმთავარს, თანახმად სრულიად საქართველოს ეკლესიის პირველ კრებისა. თბილელ ეპისკოპოსად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ამჟამად დანიშნულ იქმნას ქრისტეფორე ურბნელი ეპისკოპოსისავე ხარისხით“. ორივე „ცნობის“ ძირითადი დებულებები საბჭომ თავისი განჩინებით დაამტკიცა. მოგვაქვს მისი სრული ტექსტი: „საკათოლიკოსო საბჭო სცნობს, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსის ყოფნა საქართველოს ეკლესიის სათავეში ამჟამად ვნებას აყენებს ეკლესიას და ამისთვის განაჩინებს:

1. ეთხოვოს მის უწმინდესობას თავისი ადგილი დაუთმოს სხვა პირს. თუ ეს თხოვნა შეწყნარებული იქნება, საკათოლიკოსო საბჭო განაჩინებს: რადგანაც საეკლესიო კრების მოწვევა დღევანდელ გარემოებათა მიხედვით შეუძლებელია, თანახმად უკვე მომხდარ პრეცედენტისა კათოლიკოს-პატრიარქად ლეონიდეს არჩევის საქმეში, დაინიშნოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და მცხეთის მთავარეპისკოპოსის თანამდებობაზე მიტროპოლიტი გიორგი, როგორც გამოცდილი და ეკლესიის წინაშე დამსახურებული მღვდელმთავარი;

2. აღდგენილ იქნეს თბილისის სამღვდელმთავრო კათედრა, თანახმად სრულიად

594. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს.539, ფ.25.

საქართველოს საეკლესიო პირველი კრების დადგენილებისა. კათოლიკოსის მოსაყდრეობა მიეკუთვნოს თბილისის მღვდელმთავარს.

3. თბილელ მღვდელმთავრად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დანიშნულ იქნეს ამჟამად ქრისტეფორე ურბნელი ეპისკოპოსის ხარისხში დატოვებით.⁵⁹⁵ განჩინებას ხელს აწერდნენ ეპ. ქრისტეფორე, ეპ. დავითი, ს. მგალობლიშვილი, დეკ. ბ.კანდელაკი. განჩინებას თან ერთვის ივ. რატიშვილის მინაწერი: „ამ საკითხების გადაწყვეტა ეკუთვნის მხოლოდ მისი უწმინდესობის ნება-უფლებასა“.

დროებითი საკათოლიკოსო საბჭოს განჩინების შინაარსი იმავე დღესვე კათოლიკოს-პატრიარქს სიტყვიერად გააცნო ეპისკოპოსმა დავითმა. მან წერილობით სთხოვა (9 სექტემბერს) მის უწმინდესობას: „გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, რაც საკითხი დაგისვით, გადაწყვიტოთ ისე, როგორც გითხარით. ორშაბათს დილით თორმეტ საათზე კატეგორიული პასუხი უნდა მოგვცეთ.“⁵⁹⁶

ეპისკოპოს დავითის „თხოვნას“ კათოლიკოს-პატრიარქმა ასევე წერილობით უპასუხა:

„ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო!

თქვენი მომართვა გუშინდელი რიცხვიდან, რომლითაც მაძლევთ წინადადებას თქვენგან დასმული საკითხი გადაწყვიტოთ ისე, როგორც თქვენ გსურთ და მოგვცეთ კატეგორიული პასუხი თქვენგან დანიშნული ძალიან მოკლე დროში, ჩემგან ძალიან ძნელი ასასრულებელია. ამისთვის დროა საჭირო.

ჩემი აზრი პირადათ მოგახსენეთ, რომ მე უნდა შევეკითხო აღმოსავლეთ საქართველოს მორწმუნეთაც. თქვენც უნდა გენებებიათ ჩვენება იმ საბუთისა, რომელიც დამარწმუნებდა, რომ თქვენ (საინიციატივო კომიტეტი) არჩეული ხართ მორწმუნეთგან. მე ვალდებული არა ვარ საბუთის წარმოუდგენლად დაგიჯეროთ, რომ თქვენი წინადადება სურვილია მორწმუნეთა თუნდაც ერთი ნაწილისა, რომლის რაოდენობის ცოდნაც ჩემთვის საჭიროა. გარდა ამისა, მე ჯერ არ მიმიღია თქვენი წუხანდელი კრების გადაწყვეტილებაც, იმ კრებისა, რომელშიც დასმული საკითხის ინიციატორი და მომხსენებელი თქვენ ბრძანდებოდით.

ძმურის სიყვარულით, კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი“.⁵⁹⁷

დროებითი საკათოლიკოსო საბჭოს 1923წ. 9 სექტემბრის განჩინების გაცნობის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი უმძიმესი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. მას აუცილებლად უნდა მიეღო სათანადო გადაწყვეტილება.

თავისი დამოკიდებულება ქუთაისიდან ჩამოსული დელეგაციის წინადადებისადმი და დროებითი საკათოლიკოსოს საბჭოს 1923წ. 9 სექტემბრის განჩინებისადმი კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ საკუთარი სამაგიდო კალენდრის ფურცელზე დააფიქსირა: „მე ქუთაისიდან ჩამოსული სამი პირისაგან შემდგარი საინიციატივო კომიტეტის ჩემდამი მომართვას და არც დროებით მოწვეული საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებას ვერ ვხედავ მორწმუნეთა უმრავლესობის სურვილის გამოხატულებად, ვინაიდან რადგანაც პირველნი მოქმედებენ მორწმუნეთა ნაწილის, რომლის რაოდენობა არ ვიცით, სურვილით, ხოლო მეორე-მორწმუნეებთან შეუთანხმებლად, როგორც უზენაესი დაწესებულება, რომელსაც დებულებით არ შეუძლია საკათოლიკოსო კრების ფუნქცია მიითვისოს; მაგრამ რადგანაც კომიტეტი მოქმედებს მთავრობასთან შეთანხმებით, მე იძულებული ვარ დავემორჩილო ამ ჯგუფის სურვილს იმ პირობით, რომ შემდგომში საქმის განხილვა გადაეცეს საეკლესიო კრებას.“ აი, მისი უწმინდესობის კიდევ ერთი ანალოგიური ჩანაწერი: „მიუხედავად ამისა, რადგან ქუთაისის

595. საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.166, ფ.33-34.

596. იქვე, ფ.41.

597. იქვე, ფ.42.

საინიციატივო კომიტეტი აცხადებს, რომ ის მოქმედებს მთავრობასთან შეთანხმებით და, მაშასადამე, იძულებითი ხასიათისაა, რომ ყოველივე უბედურების მიზეზი ჩემი პიროვნებაა, რომ მთავრობა არ შეურიგდება ეკლესიას სანამ მე ვარ მისი მეთაური, მე არ შემძლია ანგარიში არ გაფუნო და ჩემი პირადი ინტერესები არ შევნირო მშობლიურ ეკლესიის ინტერესებს და ამისთვის მე ძალაუნებურად უნდა დავემორჩილო საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებას, ქუთაისის კომიტეტის წინადადებაზე დამყარებულს, იმ იმედით, რომ ყოველივე ეს თავის დროზე მოხსენდება საეკლესიო კრებას“.⁵⁹⁸ ეს მოსაზრება კათოლიკოს-პატრიარქმა პირადად გააცნო ქრისტეფორე ურბნელს. ამასობაში დროებითი საბჭოს ზოგიერთი წევრის პოზიციაც შეიცვალა. 1923წ. 11 სექტემბერს ივანე რატიშვილმა საბჭოს სხდომის ჟურნალს დაურთო განმარტება, რომ საკათალიკოსო საბჭოს არა აქვს უფლება „არც თხოვოს, არც მოთხოვოს“ კათოლიკოსს, რომ იგი გადადგეს. ამასთან დაკავშირებით, მან ვრცელი მოხსენება მიართვა ეპ. ქრისტეფორეს, რომელშიც ამტკიცებდა, რომ საკათალიკოსო საბჭოს ამჟამინდელ შემადგენლობას არავითარი უფლება არა აქვს „გინა თხოვნის, გინა მოთხოვნის“, რომ „მისი უნმიდესობა გადადგეს საპატრიარქო საყდრითგან“. რატიშვილს მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ საკათალიკოსო საბჭოს სხდომის შვიდი მონაწილიდან მხოლოდ ორი – ეპ. ქრისტეფორე და ეპ. დავითი იყვნენ საბჭოს ნამდვილი წევრები, სამი (გ. გამრეკელი, ი. რატიშვილი, გ. იმნაიშვილი) – წევრობის კანდიდატი და ორი (ბ. კანდელაკი, ს. მგალობლიშვილი) – კოოპტირებული. წევრობის კანდიდატები და კოოპტაციის წესით მონვეულები, – წერდა ი. რატიშვილი, – „არც საეკლესიო კანონით არიან ძალმოსილნი საეკლესიო წყობილების ძირითადი საგნების განხილვა-განსჯისათვის და არც მომზადება და გამოცდილება აქვთ როგორც საეკლესიო კანონების ცოდნის მხრით, ისე მიმდინარე საეკლესიო ცხოვრების გაცნობის მხრით...”

აჩქარებით, საქმეში ღრმად არ ჩახედვით, დაუფიქრებლობით, საქმის უცოდინრობით ჩვენ შეგვიძლია როგორც ეკლესიას, ისე სახელმწიფოს სამსახურის განწევის მაგივრად ზიანი მივაყენოთ. ჩვენთვის კი სანადელია, ერთსაც და მეორესაც კეთილი სამსახური გაუნოთ და მშვიდობიანი მორიგების ხერხი მოვუპოვოთ.“⁵⁹⁹

კათოლიკოს-პატრიარქის თანხმობამ გადადგომაზე იმ პირობით, რომ ეს საკითხი მომავალი საეკლესიო კრების განსჯის საგანი გახდებოდა, ასევე, ი.რატიშვილის მოხსენებამ დროებითი საბჭოს სხვა წევრებიც სერიოზულად დააფიქრა. 1923 წლის 12 სექტემბერს ეპ. დავითმა, დეკ. ბენიამინ კანდელაკმა და სოფრომ მგალობლიშვილმა უარი თქვეს „ჟურნალში მოხსენებულ საგანზე რაიმე სთხოვონ მის უნმიდესობას.“⁶⁰⁰ დროებითი საბჭოს 1923წ. 9 სექტემბრის სხდომის მონაწილეთაგან მხოლოდ ეპ. ქრისტეფორე დარჩა თავის პოზიციაზე, რაც მან დააფიქსირა კიდევაც საბჭოს სხდომის ჟურნალში, სადაც თავის მართლებების მიზნით ჩაწერა, რომ საკათალიკოსო საბჭოს წევრთა უმრავლესობას სურდა ეკლესიასა და მთავრობას შორის ლოიალობის აღდგენა; თბილელობა კი მხოლოდ დროებით მჭირდებოდაო.⁶⁰¹ თბილელობა მას, მართლაც, დროებით სჭირდებოდა სანამ პატრიარქის თანამდებობაზე 75 წლის გიორგი ალადაშვილი იქნებოდა. როცა ამ თანამდებობას თვითონ დაიკავებდა, კვლავ აღსდგებოდა მეორე საეკლესიო კრების დადგენილება აღნიშნულ საკითხზე. ამიტომაც ჩაინერა დროებითი საკათალიკოსო საბჭოს განჩინების მესამე პუნქტში: „იქნეს ამაჟამად...”

ამრიგად, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის, ასევე სხვა დაპატიმრებული სასულიერო პირების მორალურად განადგურების, ეკლესიაში დიდი განხეთქილების პრო-

598. იქვე, ფ.38-40.

599. იქვე, ფ.37-37ა.

600. იქვე, ფ.34

601. იქვე, ფ.34-34ა.

ვოცირების მიზნით ხელისუფლების მიერ ინსპირირებული შეთქმულება სამარცხვინოდ ჩაფლავდა. შეთქმულებმა უკან დაიხიეს. საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ლავრენტი ბერიას მიერ შედგენილ ანგარიშში 1923წ. 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე „ჩეკას“ მიერ განეული მუშაობის შესახებ, ნათქვამია, რომ ქართულმა სამღვდლოებამ, რომელიც მოუთმენლად ელოდება კათოლიკოსისა და მისი საბჭოს საქმეზე პროცესის შედეგებს, დაიკავა მომლოდინე მდგომარეობა და თავი ვერაფრით გამოიჩინა; „პროგრესისტი“ მღვდლების ჯგუფიც უქმადაა, ელოდება რა პროცესის დამთავრებას; დაახლოებით ა.ნ. 15 სექტემბერს პატიმრობაში მყოფმა ამბროსიმ ქ. ქუთაისიდან ჩამოსული ქართული სამღვდლოების დელეგაციის მოთხოვნით თითქოს ხელი მოაწერა გადადგომის აქტს; გადადგომის მეორე დღეს კი იგი შემოვარდა ოთახში, სადაც საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა, ეპ. დავითს ვითომ წაართვა მის მიერ ხელმოწერილი აქტი, ნაკუნ-ნაკუნ აქცია იგი და განაცხადა, რომ გადადგება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებას ამის შესახებ მიიღებს თბილისისა და ქუთაისის სამღვდლოების ერთობლივი კრება.⁶⁰² ლ.ბერიას ანგარიშში რამდენიმე უზუსტობაა. საკათოლიკოსო საბჭოს სხდომის ჟურნალში, რომელიც ზემოთ საკმაოდ ვრცლად მიმოვიხილეთ, გადადგომის აქტზე ხელმოწერის თაობაზე არაფერია ნათქვამი. კათოლიკოს-პატრიარქი მხოლოდ აპირებდა გარკვეული პირობებით (შემდგომში გასაჩივრების უფლებით) გადადგომის თაობაზე განცხადების შემოტანას, მაგრამ საბჭოში ვითარება შეიცვალა და საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ლ. ბერიას თარიღიც ოდნავ შეეშალა – 12 სექტემბერს შეთქმულებმა უკან დაიხიეს. ლ. ბერიას ანგარიშიდან მთავარი მაინც სულ სხვაა – „პროგრესისტთა“ (ასე უწოდებდა ხელისუფლება კათოლიკოს-პატრიარქის მოწინააღმდეგეებს, ვისთანაც თვითონ თანამშრომლობდა) უქმად ყოფნა. მათ ვერ მიაღწიეს მიზანს ხელისუფლების დახმარებითაც კი. ძნელი დასაჯერებელია, შემთხვევით მომხდარიყო საგანგებო კომისიის მიერ წინასწარი გამოძიების დასრულების, საბრალდებო დასკვნის შედგენისა და საქმის უზენაესი სასამართლოსთვის გადაცემის დროში ზუსტად დამთხვევა „პროგრესისტების“ მიერ პატრიარქის გადაყენების მცდელობასთან. დიდი ალბათობით, ეს იყო ხელისუფლების მიერ წინასწარ დაგეგმილი სვლა. კათალიკოს-პატრიარქის მიერ საბრალდებო დასკვნაში მითითებული „დანაშაულის“ აღიარებისა და გადადგომის შემთხვევაში საოკუპაციო რეჟიმი „ჭუმანურობას“, „გულმონყალებას“ გამოიჩინდა და მას, მორალურად განადგურებულს, დისკრედიტირებულს საზოგადოების თვალში, ალბათ, პატიმრობიდანაც გაანთავისუფლებდა და საქმესაც შეწყვეტდა. საბჭოთა ხელისუფლებისთვის ეს ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა, ვიდრე ამბროსი ხელაიას ციხეში ყოფნა წამებულის გვირგვინით, რაც ეკლესიის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს. ხელისუფლებისა და „პროგრესისტების“ ერთობლივი პროექტი ჩავარდა. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო საქართველოს კომპარტიის ცეკას 12-15 სექტემბრის პლენუმმა ზემოთხსენებული გადაწყვეტილება კათოლიკოს-პატრიარქის საქმის უზენაეს სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ.

უზენაესი სასამართლო კი სულაც არ ჩქარობდა წინასწარი გამოძიების დაწყებას. მისმა პროკურორმა ნ.ოკუჯავამ 1923წ. 30 ოქტომბერს სთხოვა უზენაეს სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს ი.ცინცაძეს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისთვის აღმკვეთი ზომის გადასინჯვა იმ მოტივით, რომ იმავე წლის ოქტომბერში ის მცხეთაში უნებართვოდ იმყოფებოდა. ი.ცინცაძემ პროკურორის თხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა და 1923წ. 1 ნოემბერს მიიღო დადგენილება შინაპატიმრობის ე.წ. გამოსასწორებელ სახლში დაპატიმრებით შეცვლის შესახებ. მალე კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი №2 „გამასწორებელ სახლში“ მარტო გამოამწყვდიეს (აქვე, დოკ. №№57, 58).

602. შსს არქივი, ფ.14, აღნ.2, ს.17, ფ.826-826ა.

ლის მიზეზი, 1924წ. 18 თებერვალს თავის მიმართვაში უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარისადმი კატეგორიულად უარყო 1923წ. ოქტომბერში მცხეთაში ყოფნის ფაქტი (აქვე, დოკ. №67). აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შემდეგაც უზენაესი სასამართლო ყოველნაირად აჭიანურებდა წინასწარი სასამართლო გამოძიების დაწყებას, რაც უსაფუძვლოდ დაპატიმრებული სასულიერო პირების კანონიერ აღშფოთებას იწვევდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1923წ. 29 სექტემბერს №1 ე.წ. გამოსასწორებელ სახლში მოთავსებულმა მიტროპოლიტმა ნაზარმა, დეკანოზებმა ანტონ თოთიბაძემ, კალისტრატე ცინცაძემ და იოსებ მირიანაშვილმა უზენაეს სასამართლოს მათთვის უცნობ ბრალმდებელს მიმართეს ერთობლივი განცხადებით, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელისმომწერნი, მოხუცებულობისა (57-54 წლისანი) და სნეულებათაგან ისედაც დაუძღურებულნი, 1923წ. იანვარში ვიქენით დატუსაღებულნი. საქართველოს განსაკუთრებულ კომისიისა და გამასწორებელ №2 სახლის საკნებში რვა თვის წამების შემდეგ მიმდინარე თვის 20 ვიქმენით გადმოყვანილნი გამასწორებელ №1 სახლში. აქ გავიგეთ აღმოსავლეთ საქართველოს უმაღლეს სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგის მოქალაქის ჭიჭინაძისაგან, რომ ჩვენ ვიმყოფებით უზენაეს სასამართლოს ბრალმდებლის განკარგულებაში. დაგვებადა იმედი: დაგვკითხავენ, გავიგებთ რა ბრალი გვედება და ამის შემდეგ ვიქნებით გასამართლებულნი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩვენ დღესაც დაუკითხველნი ვართ, დღესაც არ ვიცით რა ბრალდებისა გამო ვიტანჯებით სულიერად და ხორციელად. ამისთვის პატივისცემით მოგახსენებთ: თუ ოქტომბრის ოთხამდის ჩვენ არ ვიქნებით დაკითხულნი და დარწმუნებულნი, რომ ჩვენს საქმეს ახლო მომავალში განიხილავენ ან უზენაესი, ან აღმოსავლეთ საქართველოს უმაღლესი სასამართლო, ოქტომბრის აღნიშნულ (4) რიცხვიდან ჩვენ ვსწყვეტთ საზრდოს მიღებას, ხოლო დღევანდელი დღიდან – საკანისგან გამოსვლას.

ამა ჩვენი გადაწყვეტილების შედეგებისთვის პასუხისგებას ღვთისა და მთავრობის წინაშე ვავალებთ მათ, ვინც საქართველოს საგანგებო კომისიას მისცა ყალბი მასალები ჩვენი რვა თვის განმავლობაში უსაბუთოდ წამებისთვის.“⁶⁰³

განცხადებაზე დადებული რეზოლუციის მიხედვით, იგი „ტრიბუნალის პროკურორს“ წარედგინა. რომელიღაც ჩინოვნიკის მიერ ცნობის სახით განცხადებაზე გაკეთებულია ასეთი მინაწერი: „მოხსენებული პატიმრები ირიცხებიან უზენაეს ტრიბუნალზე.“ როგორც ვხედავთ, საბჭოთა საქართველოს მართლმსაჯულების უმაღლეს ინსტანციაში უზენაეს სასამართლოსა და მის წინამორბედ უზენაეს ტრიბუნალს ერთმანეთში აიგივებდნენ. უზენაესი სასამართლო ყალიბდებოდა უზენაესი რევოლუციური ტრიბუნალის ბაზაზე, მაგრამ ეს პროცესი ჯერ დასრულებული არ იყო. აღნიშნული გარემოებაც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოძიების დაწყების მეტისმეტად გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი. ოთხი პატიმრის უკიდურესმა ნაბიჯმაც საქმეს ვერ უშველა. მათი განცხადების დაწერიდან თითქმის სამი თვის შემდეგ – 1923 წლის 20 დეკემბერს უზენაეს სასამართლოს გამომძიებელმა ვ. გომართელმა საგანგებო კომისიის მიერ წინასწარი გამოძიებისას შეკრებილი მასალების საფუძველზე გამოიტანა დადგენილება კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის, მიტროპოლიტი ნაზარის, სამღვდელი პირების – პავლე ჯაფარიძის, კალისტრატე ცინცაძის, იოსებ მირიანაშვილის, იოანე ქავჭავაძის, დიმიტრი ლაზარიშვილის, ილია შუბლაძის, ანტონ თოთიბაძის, აგრეთვე ნიკო თავდგირიძის დამნაშავეებად ცნობის შესახებ (აქვე, დოკ. №60). იმავე დღეს უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმმა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმეზე შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „დაევალოს პროკურორს დაამთავროს საქმე ერთი კვირის განმავლობაში. საქმის გარჩევაზე სასამართლოს შემადგენლობაში დაინიშნოს შემდეგი ამხანაგები: თავმჯდომარე ამხ. კ. ცინცაძე, წევრები: ამხანაგები თუმანიშვილი და

603. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.108-109.

ნივნივადე.⁶⁰⁴ ეს უკანასკნელი საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდუმის 1923წ. 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით უზენაესი სასამართლოს წევრად დაინიშნა⁶⁰⁵ და შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სასამართლო პროცესში მონაწილეობდა.

როგორც იქნა, დაიწყო წინასწარი სასამართლო გამოძიება, რომელსაც ვ.გომართელი აწარმოებდა. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი მან პირველად 1923 წ. 23 დეკემბერს დაკითხა. მისმა უწმინდესობამ კატეგორიულად უარყო ყველა წაყენებული ბრალდება, ხაზი გაუსვა, რომ ცნობს და არ შეუძლია არ ცნოს არსებული ხელისუფლება, „ვინაიდან ამას გვიკარნახებს საღმრთო წერილი“ (აქვე, დოკ. №64). იმ დღეებში კათოლიკოს-პატრიარქმა ხელი მოაწერა ფორმალურ დოკუმენტს – უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე აშკარად სხვის მიერ შედგენილ განცხადებას, რომ ის ემორჩილება საბჭოთა ხელისუფლებას და მოუწოდებს სამწყსოს იყოს ლოიალური მის მიმართ.⁶⁰⁶

1923 წ. 23 დეკემბერს ვ. გომართელმა დაკითხა ზემოთმოტანილი განცხადების ავტორები მიტროპოლიტი ნაზარი, კალისტრატე ცინცაძე, ანტონ თოთიბაძე, იოსებ მირიანაშვილი, აგრეთვე დიმიტრი ლაზარიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავს დამნაშავეებად არ ცნობდნენ, გამოძიებელმა მათ მიმართ მიიღო დადგენილება აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ.⁶⁰⁷ 1923წ. 22 და 27 დეკემბერს იმავე ვ. გომართელმა დაკითხა აგრეთვე ი. შუბლაძე და ი. ქავჭავაძე, გამოიტანა დადგენილება პატიმრობაში მათი დატოვების თაობაზე.⁶⁰⁸ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ჩვენების საფუძველზე ვ. გომართელმა 1923წ. 30 დეკემბერს დამნაშავედ ცნო ამერიკაში მყოფი იასონ კაპანაძე.⁶⁰⁹ მეორე დღეს მან დამნაშავეებად გამოაცხადა მარკოზ ტყემალაძე და ნიკოლოზ არჯევანიძე, რომლებსაც 1924წ. 3 იანვარს ჩატარებული დაკითხვის შემდეგ აღმკვეთ ღონისძიებად უნებართვოდ თბილისიდან გაუსვლელობა შეუფარდეს.⁶¹⁰

1924 წლის 6 იანვარს ვ. გომართელმა მეორედ დაკითხა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (აქვე, დოკ. №63), იმავე დღეს შეადგინა შემდეგი შინაარსის აქტი წინასწარი გამოძიების დასრულების შესახებ: „1924 წლის იანვრის 6 დღესა მე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გამოძიებელმა, დავასრულე რა ამა საბჭოს წინასწარი გამოძიება, ჩემს შეკითხვაზე – ხომ არაფერი აქვსთ დასამატებელი თავის გასამართლებლად, განაცხადეს, რომ გამოძიების დასამატებელი არა აქვთ რა, რის შესახებ შევადგინე ეს აქტი. წაკითხულია: კათოლიკოსი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი, დეკ. ანტონ თოთიბაძე, არქ. პავლე პლატონის ძე ჯავარიძე, დეკ. დიმ. ლაზარიშვილი, დეკ. ი. მირიანაშვილი, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე.

უზენაეს სასამართლოს გამომძიებელი ვლ. გომართელი.“⁶¹¹

მიუხედავად ამისა, გამოძიება მაინც გაგრძელდა. 1924 წ. 10 იანვარს ვ. გომართელმა დაკითხა ნ.თავდგირიძე და აღმკვეთ ღონისძიებად თბილისიდან უნებართვოდ გაუსვლელობა შეუფარდა.⁶¹² 1924წ. 11 იანვარს მან კვლავ დაკითხა კათოლიკოს-პატრიარქი (აქვე, დოკ. №65), აგრეთვე მიტროპოლიტი ნაზარი, მ.ტყემალაძე, ა.თოთიბაძე, ი. მირიანაშვილი, კალისტრატე ცინცაძე და არქ. პავლე.⁶¹³ უზენაესი

604. იქვე, ს.2, ფ.8.

605. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.492, ფ.75.

606. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქ., ფ.516, აღწ.2, ს.2, ფ.6.

607. იქვე, ფ.15-20ა.

608. იქვე, ფ.10-13, 24-25.

609. იქვე, ფ.33.

610. იქვე, ფ.28, 29, 35, 37, 38.

611. იქვე, ფ. 34.

612. იქვე, ფ.47-48.

613. იქვე, ფ.51-59.

სასამართლოს გამომძიებელი „იკვლევდა“ სამხედრო ტაძრის ჩამორთმევის თაობაზე საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებისთვის „წინააღმდეგობის განევაში“ ამა თუ იმ დაპატიმრებულის მონაწილეობის ხარისხს, მცხეთისა და სიონის განძეულობის 1921წ. 24 თებერვალს ქუთაისში გადატანასთან და იქ მის გადამალვასთან დაკავშირებულ საკითხებს, უწყებათაშორისი კომისიის მიერ თბილისის ეკლესიების რევიზიის დროს ვითომ აღმოჩენილ სამეურნეო და ფინანსურ დარღვევებს და ა.შ.

1924 წ. 11 იანვარს ვ. გომართელმა თავისი დადგენილებით დამნაშავეებად ცნო და დამატებითი ბრალდებები წაუყენა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სისხლის სამართლის მაშინ მოქმედი კოდექსის 10-ე, 15-ე, 74-ე და 116-ე მუხლებით;⁶¹⁴ მიტროპოლიტ ნაზარს, არქ. პავლეს, დეკანოზ ი. ლაზარიშვილს, მ. ტყემალაძეს, ი.კაპანაძეს და კალისტრატე ცინცაძეს – იმავე კოდექსის 10-ე, 15-ე, 16-ე და 116-ე მუხლებით; ა. თოთიბაძეს – 69-ე მუხლის მესამე ნაწილით.⁶¹⁵ იმავე დღეს ვ. გომართელმა დაადგინა: „ბრალდებულ ანტონ თოთიბაძეს, დიმიტრი ლაზარიშვილს, კალისტრატე ცინცაძეს, იოსებ მირიანაშვილს, მიტროპოლიტ ნაზარს, კათოლიკოს ამბროსის და არხიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის წინააღმდეგ მიღებული აღსაკვეთი ზომა – გამასწორებელ სახლში მოთავსება დარჩეს ძალაში.“⁶¹⁶ ვ. გომართელმა 1924 წ. 19 იანვარს უზენაეს სასამართლოს წარუდგინა საკმაოდ ვრცელი „დასკვნითი დადგენილება“ – საბრალდებო დასკვნა (აქვე, დოკ. №66), ხოლო იმავე წლის 21 იანვარს უზენაეს სასამართლოს პროკურორს ნ. ოკუჯავას გადასცა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და სხვათა საქმის ორტომეული. „მიმდევრი მსვლელობის მისაცემად“, – წერდა ვ. გომართელი, – პატრიარქი ამბროსი და სხვა ბრალდებულები „ჩემს მიერ დღეის რიცხვიდან გადმორიცხული არიან დაპატიმრებით თქვენს სახელზე.“⁶¹⁷ ნ. ოკუჯავამ მოიწონა გამომძიებლის საბრალდებო დასკვნა (დასკვნითი დადგენილება), სთხოვა სასამართლოს, დაადასტუროს იგი და ბრალდებულნი მისცეს სამართალში.⁶¹⁸ იმავე დღეს – 21 იანვარს – უზენაეს სასამართლოს სასამართლო კოლეგიის სისხლის სამართლის განყოფილების გამწესრიგებელ სხდომაზე კოტე ცინცაძის თავმჯდომარეობით, წევრების – ა. თუმანოვის, გ.რთველაძის, პროკურორ ნ. ოკუჯავას და მდივნის გ. აბაკელიას მონაწილეობით განიხილეს უზენაეს სასამართლოს პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის⁶¹⁹ თანახმად წარმოდგენილი კათოლიკოს – პატრიარქ ამბროსისა და სხვათა საქმე. სხდომამ დაადგინა: „მიიღო რა მხედველობაში, რომ საბრალდებო დასკვნა სავსებით აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლის მოთხოვნებს, დაადგინა: თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 237-ე და 240-ე მუხლებისა, საბრალდებო დასკვნა დამტკიცებულ იქნას და საქმის საჯარო გარჩევა მოხდეს 20 თებერვალს 1924 წ.“⁶²⁰ უზენაეს სასამართლოში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და სხვათა საქმე 1924 წ. 21 იანვარს 6-ე ნომრად დარეგისტრირდა.⁶²¹ საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა 1924 წ. 15 თებერვალს ასევე განიხილა საკითხი „ამბროსის საქმის შესახებ“ და დაადგინა: „1. საქმის მოსმენა დაინიშნოს არაუგვიანეს 5 მარტისა. 2. მიღებულ იქნას იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინადადება სასამართლოს შემადგენლობის შესახებ.“⁶²² ამის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა უზენაეს სასა-

614. აქ და სხვაგან მოხსენიებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები იხ: აქვე, დოკ. №30.

615. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.2, ფ.50.

616. იქვე, ფ.61.

617. იქვე, ს.1, ფ.8.

618. იქვე, ფ.9.

619. აქ და სხვაგან მითითებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები იხ.: აქვე, დოკ. №31.

620. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.3, ფ.1.

621. იქვე, ფ.8.

622. შსს არქივი, ფ.14, აღწ.2, ს.12, ფ.15.

მართლოს თავმჯდომარეს სთხოვა დამცველების დანიშვნა, გამოძიების მასალებით სარგებლობისა და შვილების ნახვის ნებართვა, აგრეთვე „მომეცეს ნება მივიდე ჩემს ბინაზე, ჩემი პირადი არქივიდან იმ მასალების ამოღებისა, რომელიც გაამყარებს გენუის კონფერენციაზე გამოგზავნილ დებულებებს.“⁶²³

მიუხედავად ცეკას პრეზიდენტის დირექტიული ხასიათის მითითებისა, უზენაეს სასამართლოს კოლეგიის სისხლის სამართლის განყოფილების მორიგმა გამწესრიგებელმა სხდომამ, რომელიც 1924 წ. 16 თებერვალს გ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით გაიმართა, დაადგინა, საქმის მოსმენა გადაიდოს 10 მარტისთვის. ასეთი დადგენილების მიღება იმით დასაბუთდა, რომ საქმე იყო რთული და მისი გაცნობა როგორც სასამართლოსთვის, ისე ბრალმდებელთათვის და დამცველთათვის დიდ დროს მოითხოვდა. იმავე სხდომამ იმსჯელა საკითხზე – „ადგილი, სადაც საქმე უნდა გაირჩეს“ და დაადგინა: „ვინაიდან საქმე პოლიტიკური ხასიათისაა და პროცესით დაინტერესებული არიან მუშები, საქმის გარჩევა მოხდეს ნაძალადევის კლუბის შენობაში.“ როგორც ვხედავთ, უზენაეს სასამართლოს მშვენივრად ესმოდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმე იყო „პოლიტიკური ხასიათის“, შესაბამისად, იგი ემზადებოდა არა ობიექტური მართლმსაჯულების განსახორციელებლად, არამედ პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის. 16 თებერვლის გამწესრიგებელმა სხდომამ განიხილა აგრეთვე ბრალდებულთა შუამდგომლობა მათ მიერ აყვანილი ვეჭილების პროცესზე დაშვების შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, სასამართლო პროცესზე ვეჭილებად დაუშვეს დამცველთა კოლეგიის წევრები კირილე ნინიძე, იესე (იოსებ, ოსიკო) ბარათაშვილი, ირაკლი გუნცაძე, სამსონ დადიანი, იოსებ მაჭავარიანი, სერგო ჯაფარიძე, პეტრე ქავთარაძე, მიხეილ მღვდლიევი (მღვდლიშვილი), ანტონ გელაზაროვი (გელაზარიშვილი), ალექსანდრე ყანჩელი, გიორგი გორდეზიანი და ლაზარე შურლაია. ბრალდებულთა კიდევ ერთი შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ბრალდების გასაბათილებლად მათ დართონ ნება, წარმოადგინონ სასამართლოში საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიაში ან ბინებში მოძიებული საბუთები, გამწესრიგებელმა სხდომამ არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ თითქოს ეს გამოიწვევდა უკვე დასრულებული გამოძიების გაგრძელებას.⁶²⁴

1924 წ. 5 მარტს ჩატარებულმა უზენაეს სასამართლოს სასამართლო კოლეგიის სისხლის სამართლის განყოფილების მესამე გამწესრიგებელმა სხდომამ (თავმჯდომარე გ. ჩხეიძე) იმსჯელა სასამართლოს დარბაზში შესასვლელი ბილეთების განაწილებაზე. გადაწყდა, 700 ბილეთიდან 500 „მუშათა და სხვა ორგანიზაციებში დასარიგებლად გაეგზავნოს პარტიის თბილისის კომიტეტს,“ არაუმეტეს ოთხ-ოთხი ბილეთისა გადაეცეს ბრალდებულთა ნათესავებს, დანარჩენი – სასამართლოების თანამშრომლებს. პატიმრების ციხიდან მოყვანა და უკან გაყვანა უნდა მომხდარიყო დახურული მანქანით, რომლის გამოყოფა გამწესრიგებელმა სხდომამ მთავრობას სთხოვა. წესრიგის დაცვა დაევალა „თბილისის კომენდანტს და მილიციის უფროსს.“⁶²⁵

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და სხვათა წინააღმდეგ 1922 წლის ივნისში დაწყებული წინასწარი გამოძიება გარკვეული ინტერვალებით 1924 წლის იანვარ-თებერვლამდე მიმდინარეობდა და, ვინაიდან ეს იყო პოლიტიკური პროცესი, ყველა ეტაპზე საქართველოს კომპარტიის ცეკას პირდაპირი დირექტივების საფუძველზე წარიმართებოდა. კომპარტია გეგმავდა საჩვენებელი პროცესის გამართვას, რომელიც იქნებოდა ეკლესიის სრული განადგურების მიზნით წამოწყებული, თავისი მასშტაბებით, სისასტიკითა და ცინიზმით თვით რუსეთშიც კი უპრეცედენტო ანტირელიგიური კამპანიის პირველ ეტაპის დამაგვირგვინებელი „ლონისძიება“.

623. ს. ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ამბროსი, გვ. 157-158.

624. საქ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.2, ფ.2-3.

625. იქვე, ფ.4.



ჩხეიძის დროის წმინდანები

უწმინდეს კონსტანტინე რეკლამაციის დამცველნი მამო კირილე და მამო ოსიკო - გაზ. „მუშა“, 1924, 15 მარტი.

სასამართლო პროცესი 1924წ. 10-11 მარტს ნაძალადევის, როგორც მაშინ უწოდებდნენ, გ.პლექანოვის სახელობის მუშათა კლუბში მიმდინარეობდა. უზენაესი სასამართლო გ. ჩხეიძის (თავმჯდომარე), ვ.ნივნივაძისა და გ.რთველადის შემადგენლობით თავის საჯარო სხდომებზე იხილავდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმეს. განსასჯელის სკამზე ისხდნენ აგრეთვე მიტროპოლიტი ნაზარი, არქ. პავლე, დიმიტრი ლაზარიშვილი, მარკოზ ტყემალაზე, იოსებ მირიანაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ანტონ თოთიბაძე, ნიკოლოზ თავდგირიძე და ნიკოლოზ არჯევანიძე. ამერიკაში მყოფი კიდევ ერთი ბრალდებული იასონ კაპანაძე, რა თქმა უნდა, სასამართლოზე არ გამოცხადებულა. ბრალდების მხარეს წარმოდგენდნენ უზენაესი სასამართლოს პროკურორი ნ. ოკუჯავა, მისი

თანაშემწე ნ. მაჭავარიანი და ე.ნ. საზოგადოებრივი ბრალმდებელი ა. ერქომაიშვილი. კათოლიკოს-პატრიარქის დაცვა თავის თავზე აიღეს ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და ამავე დროს პროფესიონალმა იურისტებმა კირილე ნინიძემ და იოსებ ბარათაშვილმა. მათ გარდა, დაცვას უზრუნველყოფდნენ: ნაზარის და ა. თოთიბაძის - ი. გუნცაძე; პავლე ჯაფარიძის - პ. ქავთარაძე; დ. ლაზარიშვილის და მ. ტყემალაძის - ს. დადიანი; ი. მირიანაშვილის - მ. მღვდლიშვილი; კ. ცინცაძის - ა.ყანჩელი; ნ. თავდგირიძის და ნ.არჯევანიძის - ა. გელაზაროვი (გელაზარიშვილი).

ე.ნ. სასამართლო მორალური და ფსიქოლოგიური ტერორის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. დარბაზი გადაჭედილი იყო ვითომ მუშებით, სინამდვილეში კი - უტიფარი კომკავშირლებითა და საგანგებო კომისიის თანამშრომლებით, რომლებიც თავიანთი წამოძახილებით მუდმივად შეურაცხყოფას აყენებდნენ კათოლიკოს-პატრიარქს და სხვა სასულიერო პირებს, მათ დამცველებს. კლუბის შენობასთან თითქმის ყოველდღე მოჰყავდათ „მუშები“, რომლებიც „ბნელეთის მოციქულთა“ და მათ დამცველთა მკაცრად დასჯას მოითხოვდნენ. 1924წ. 11 მარტიდან 21-22 მარტამდე კომუნისტური გაზეთები „კომუნისტი“, „მუშა“, „რაბოჩაია პრავდა“, „ზარია ვოსტოკა“ ყოველდღიურად ვრცლად, თანაც ცინიკური კომენტარებით აშუქებდნენ სასა-



სამღვდელმთავრის ღაფთველი

მუშა: გელაზაროვი, ზეით: გუნცაძე და ს. დადიანი. მზეით: ალ. ყანჩელი და პ. ქავთარაძე. - გაზ. „მუშა“, 1924, 15 მარტი.

მართლო პროცესის მიმდინარეობას, ბეჭდავდნენ „შრომითი კოლექტივების“ კრებების რეზოლუციებს „მშრომელი ხალხის ისტორიული მტრების“ – სამღვდელოების, მათი დამცველების სასტიკად დასჯის მოთხოვნით. აღნიშნული გაზეთების ყოველი ნომერი აჭრელბული იყო სასამართლოზე სპეციალურად მოყვანილი მხატვრების მიერ შესრულებული კარიკატურებით უწმინდესზე და უნეტარესზე, მის დამცველებზე კ.ინიძეზე და ი.ბარათაშვილზე. იბეჭდებოდა წერილები ზოგადად რელიგიის წინააღმდეგ, ფელეტონები, სრულიად უნიჭო ლექსები, რომელთა ავტორები ინიღბებოდნენ ფსევდონიმებით „შაქრო ნავთლულელი“, „მუშა ხარატი“ (გაზ. „კომუნისტი“), „მუშა ს.ბაკი“, „წითელი ჭინკა“ (გაზ. „მუშა“), „ვარვარ“ (გაზ. „რაბოჩაია პრავდა“) და ა.შ.

სასამართლოს მიმდინარეობაზე წარმოდგენას გვიქმნის უზენაესი სასამართლოს 1924 წ. 10-19 მარტის საჯარო სხდომების ოქმი, რომელიც დაცულია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში და რომელიც პირველად აქვე სრულად ქვეყნდება (აქვე, დოკ. №68). მას მნიშვნელოვანწილად ავსებენ ცალკე წიგნად გამოცემული საგაზეთო პუბლიკაციები.⁶²⁶ ისინი გვანვდიან დამატებით ინფორმაციას სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე, გადმოგვცემენ ამ პროცესის ირგვლივ საოკუპაციო რეჟიმის მიერ შექმნილი ფსიქოლოგიური ტერორის ატმოსფეროს. კათოლიკოს-პატრიარქისა და სხვა სასულიერო პირების წინააღმდეგ გამართული ე.წ. სასამართლოს მეტნაკლებად სრული და ობიექტური სურათის აღსადგენად აუცილებელია ოფიციალური საოქმო ჩანაწერების, კომუნისტური და ქართული ემიგრანტული (აქვე, დოკ. №71) პრესის მასალების შეჯერება.

ათდღიანი სასამართლო პროცესის მთავარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ 1924 წ. 17 მარტს წარმოთქმული ისტორიული მნიშვნელობის საბოლოო სიტყვა, რომელიც აქვე პირველად სრული სახით ქვეყნდება (აქვე, დოკ. №69). პირველ რიგში, მან უარყო სამხედრო ტაძართან და აგრეთვე განძეულობის ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებული ბრალდებები. საბოლოო სიტყვაში ძირითადი ყურადღება მაინც მემორანდუმს ეთმობა. ამ თემაზე საუბრისას კათოლიკოს-პატრიარქმა ამხილა და სასტიკად დაგმო რუსული (ცარისტული და საბჭოური) იმპერიალიზმი და შოვინიზმი; საქართველოში არსებული საოკუპაციო რეჟიმი კი პირდაპირ დაადანაშაულა გარეშე ძალის მეშვეობით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობაში, რუსეთის ბატონობის აღდგენაში, კოსმოპოლიტიზმში, ტერიტორიების გასხვისებაში, უკანონო ავტონომიების შექმნაში, ქართული ენის დისკრიმინაციაში, არნახული სისასტიკით ეკლესიის დევნა-შევიწროებაში, ქართული ეკლესიის კვლავ რუსული ეკლესიის დაქვემდებარებაში მოქცევის მომხრე ე.წ. „ცხოველი ეკლესიის“ მიმდევართა მფარველობაში და ა.შ. კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ გამოავლინა კომპარტიისა და მისი ლიდერების მიერ დეკლარირებული ეროვნული, აგრეთვე საეკლესიო პოლიტიკის ჩინებული ცოდნა. ამასთანავე ბრძანა, რომ პრაქტიკული პოლიტიკა ამ სფეროებში დიამეტრალურად საწინააღმდეგო იყო დეკლარირებული იდეებისა, განსაკუთრებით სინდისის თავისუფლებისა და ერთა თვითგამორკვევის უფლებისა გამოყოფამდეც კი, რაც კომპარტიის ეროვნული პროგრამის თითქოს ქვაკუთხედს წარმოაგენდა. კათოლიკოს-პატრიარქის მტკიცებით, სსრ კავშირის შექმნისა და სახელმწიფოებრივი მონყობის ცენტრალიზაციის შემდეგ საბჭოთა საქართველო მხოლოდ კულტურული ავტონომიით თუ სარგებლობდა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ი. სტალინი მკაცრად აკრიტიკებდა კულტურული ავტონომიის მომხრე მეორე ინტერნაციონალის ლიდერს კარლ კაუცკის. გამომდინარე აქედან, ის ვერ ხედავდა დანაშაულს, „კონტრრევოლუციონერობას“ თავის მემორანდუმში, რომელიც გმოზდა თვითგამორკვეული საქართველოს ოკუპაციას, მოითხოვდა რუსული წითელი არმი-

626. წმ. აღმსარებელი ამბროსი კომუნისტური „მართლსაჯულების“ წინაშე. კრ. შეადგინა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო დინარა დარსალიამ. თბ., 2011.

ის უკან გაყვანას (დეოკუპაციას) და ქართველი ხალხისთვის ძალდატანების გარეშე საკუთარი ცხოვრების მოწყობის უფლების მიცემას. ეს მოთხოვნები არანაირად არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთა თავითგამორკვევის კომუნისტურ იდეებს, – უმტკიცებდა კათოლიკოს-პატრიარქი კომუნისტურ სასამართლოს. გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვის მთავარი მიზანი, – ბრძანებდა უნმინდესი და უნეტარესი ამბროსი, – იყო ეკლესიის თავისუფლების დაცვა, მაგრამ დოკუმენტმა პოლიტიკური ელფერი თუ შეიძინა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეკლესიური თავისუფლება მჭიდრო კავშირშია თვით კომუნისტების მიერ აღიარებულ ეროვნულ თავისუფლებასთან. „თუ საბჭოთა ხელისუფლება აღიარებს ერთა თავითგამორკვევას, გაფართოებულს პოლიტიკურად გამოყოფამდის, მაშინ მე ვერ გამიგია, რისთვის უნდა ჩამომერთვას დანაშაულად ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვა და დიდმპყრობლობის დასაგმობად ხმის ამოღება,“ – განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა. მემორანდუმის გაგზავნა მან შეაფასა როგორც საეკლესიო ნორმების მიხედვით მღვდელმთავრისთვის მინიჭებული უფლების, როგორც ღვთის, ეკლესიისა და ერის წინაშე დაკისრებული მოვალეობის აღსრულება.

არც კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის, არც ერთ სხვა განსასჯელს რაიმე ფორმით დანაშაული არ უღიარებია. როგორც წინასწარი გამოძიების პროცესში, ისე ე.წ. სასამართლოზე ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ მათ მიმართ წაყენებულ ყველა ბრალდებას. უზენაესმა სასამართლომ, მიუხედავად ამისა, 1924 წლის 19 მარტს მკაცრი განაჩენი გამოიტანა. მან „სავსებით დამტკიცებულად“ ჩათვალა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 60-ე მუხლით გათვალისწინებული ბოროტმოქმედების („უცხო სახელმწიფოსთან ან მის წარმომადგენელთან ურთიერთობის დაჭერა მის დასაყოლიებლად რესპუბლიკის საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩარევისა...“) ჩადენა, რისთვისაც იგი ვითომ სიკვდილით დასჯას იმსახურებდა, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში კათოლიკოს-პატრიარქისა და სხვა განსასჯელთა ხანდაზმულობა, – ნათქვამია განჩინებაში, – საბჭოთა ხელისუფლების აღიარება, „კათოლიკოს ამბროსის მიერ თავის გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვის შეცდომათ აღიარება,“⁶²⁷ აგრეთვე „მშრომელ მასაში“ ეკლესიის სრული დისკრედიტაცია, ნდობისა და გავლენის დაკარგვა, რის გამოც „გამტკიცებულ არსებულ ხელისუფლებისათვის არ წარმოადგენდნენ არავითარ საშიშროებას“, დაადგინა, მიესაჯოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის პატიმრობა 7 წლით, 9 თვითა და 23 დღით „სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით“; დანარჩენ განსასჯელებს ასევე ქონების კონფისკაციით მიესაჯათ სხვადასხვა ვადით პატიმრობა: იასონ კაპანაძეს (დაუსწრებლად) – 9 წლით, კალისტრატე ცინცაძესა და ნიკოლოზ

627. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ „დანაშაულის“ აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. ასეთი აღიარება რომ მომხდარიყო, კომუნისტური პრესა მას ფართოდ გააშუქებდა და ამის შესახებ მთელს მსოფლიოს ამცნობდა, რაც არ მომხდარა. 1924 წლის მარტში შედგენილ წერილში „კათოლიკოს ამბროსის გასამართლება,“ რომელიც თბილისიდან პარიზში გაიგზავნა და 1927წ. ემიგრანტულ გაზეთ „ბრძოლა“-ში გამოქვეყნდა, ვკითხულობთ: „ამბროსიმ თავი დამნაშავეთ არ იცნო. რეზოლუციაში კი ნათქვამია, ამბროსიმ და სხვებმა თავის დანაშაულობა აღიარესო. ეს ტყუილია თავიდან ბოლომდე“ (იხ. აქვე, დოკ. №71). მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე), 1927წ. დასაწყისში აკრიტიკებდა რა ქუთაისის უკანონო კრების (1926წ. 24-25 დეკემბერი) გადაწყვეტილებებს, წერდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა „დანაშაული“ აღიარა, ამასთანავე იგი უთითებდა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს რეზოლუციას. მიტროპოლიტმა კალისტრატემ კი იცოდა, რომ ეს სიყალბე იყო, მაგრამ საქმის ვითარებას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მაშინ ასე სჭირდებოდა. კათოლიკოს-პატრიარქმა სასამართლოზე ან მის შემდეგ „დანაშაული“ თუ აღიარა, გაუგებარია 1924წ. ოქტომბერში რატომ მოითხოვდნენ მისგან ასე დაყინებითა და მუქარით „დანაშაულის“ მონანიებას? რატომ ადანაშაულებდა ქუთაისის 1926წ. 24-25 დეკემბრის კრება საკათოლიკოსო საბჭოს, რომ მან არ მიიღო ზომები „მემორანდუმის გასაბათილებლად“? იმიტომ, რომ არავითარი აღიარება და მონანიება არ მომხდარა. საპატრიარქოს არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, კათოლიკოს-პატრიარქი საკუთარ „დანაშაულს“ მხოლოდ იუმორის სტილში „აღიარებდა“: „ვინაობ, რომ გაგზავნილი მემორანდუმი საქართველოს მთავრობას არ გაუფუგზავნე“ (საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.539, ფ.29). სხვა „აღიარება“ ბუნებაში არ არსებობს.

თავდგირიძეს – 3 წლით, 9 თვითა და 23 დღით, იოსებ მირიანაშვილსა და მარკოზ ტყემალაძეს – 9 თვითა და 23 დღით (აქვე, დოკ. №70). მიტროპოლიტი ნაზარი და სხვა განსასჯელები სასამართლომ გაანთავისუფლა როგორც უდანაშაულონი.

ეს ე.წ. განაჩენი პირდაპირ მოსკოვიდან იქნა ნაკარნახევი. სასამართლოს მიმდინარეობისას, 1924 წლის 13 მარტს, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანმა ბ. ლომინაძემ საკავშირო კომპარტიის ცეკას სპეციალური დეპეშით მიმართა. ი. სტალინის ჩარევით, პოლიტიბურომ იგი საჩქაროდ განიხილა და შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „პატრიარქ ამბროსის და საქართველოს სხვა სასულიერო წევრების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. გადავაზობთ: 1. სასჯელის გამოტანისას შემოიფარგლეთ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით; 2. ყველა არსებული მასალა ეგზარქოს ამბროსის და სხვა სასულიერო პირების კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ გამოიყენეთ სპეციალურად ორგანიზებულ კამპანიის დროს პრესაში, რადიოში, განსაკუთრებით სოფლად და ა.შ.“⁶²⁸ პოლიტიბუროს გადაწყვეტილების ტონი და შინაარსი, სწორად აღნიშნავს ა. დაუშვილი, იმაზე მიუთითებს, რომ ბ. ლომინაძე თავის დეპეშაში კათოლიკოს-პატრიარქის დახვრეტის ნებართვას ითხოვდა. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 1924 წლის მარტში შემდგარი ე.წ. სასამართლო წარმოადგენდა პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უწმინდესი და უნეტარესი ამბროსის, ზოგადად ეკლესიის წინააღმდეგ, რომ ვითომ 25 საათიანი თათბირის (ამდენი ხანი ელოდნენ „მოსამართლეები“ მითითებას საქართველოს კომპარტიის ცეკადან) შემდეგ გამოცხადდა არა მართლმსაჯულების ვერდიქტი, არამედ უმაღლესი პარტიული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ მოსამართლეებს მიახალა: **„სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული – სამშობლოს, გვამს კი რაც გნებავთ ის უყავით.“** რა თქმა უნდა, ეს სიტყვები, რომლებიც ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების ილიასეული უნივერსალური ფორმულის „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს, სასამართლოს ოქმებში არ დაფიქსირებულა (და ვერც დაფიქსირდებოდა, ვინაიდან ითქვა განაჩენის გამოცხადების, ანუ სასამართლოს დასრულების, შესაბამისად, საოქმო ჩანაწერების შეწყვეტის შემდეგ), არც საბჭოთა პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულა, მაგრამ იმ დროს დარბაზში მყოფთა მეშვეობით შეიტყო და სხვადასხვა ვარიაციით მთელმა საქართველომ აიტაცა. კათოლიკოს-პატრიარქის ამ სიტყვების შესახებ ქართული პოლიტიკური ემიგრაციისთვისაც გახდა ცნობილი. ივ. ზურაბიშვილი თავის წერილში „ორი მღვდელმთავარი“ (1930წ.), რომელიც კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და რუსეთის პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში პატრიარქი) მიტროპოლიტი სერგის (სტაროგოროდსკი) შედარებით დახასიათებას შეიცავდა, ნათქვამია: „კათოლიკოზ ამბროსისათვის თავისუფალი ეკლესია განუყრელი იყო ერის თავისუფლებასთან, – ერს, რომელსაც წაართვეს დამოუკიდებლობა, არც რჯულს შეარჩენდნენ და არც ეკლესიას.“

ამიტომაც არ შეუშინდა ეს დიდებული მამულიშვილი და ქრისტეს მცნებათა ღირსეული მოციქული არცა წამებას და არცა სიკვდილს, გაბედულად დაგმო თავის ერის მტერთა უდიერობა და ქვეყანას ამცნო თავის ქვეყნის წამება და წვალება.

და, როდესაც გაბოროტებულმა და გაშმაგებულმა ძალმომრეობამ ერის ამ გაბედულ გამოსარჩლებისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რა სადა და ამასთან მშვენიერისა და ღრმა გრძნობით აღსავსე სიტყვებით უპასუხა ამ უმსგავს განაჩენს: „სული ჩემი უფალს ეკუთვნის, გული – ერს, სხეულს კი რაც გნებავთ ის უყავით“!

628. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. თბ., 2008, გვ. 387.

ორი მღვდელმთავარი!

ზეცისა და მინისადმი, სინდისისა და ქეშმარიტებისადმი მოვალეობის ორი შეგნება“.⁶²⁹

1923წ. 23 მარტს გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს პირველ გვერდზე გამოქვეყნდა ორი ინფორმაცია: 1. რუსეთის პატრიარქ ტიხონის მიერ „დანაშაულის“ მონანიებისა და მისი საქმის შეწყვეტის შესახებ სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება;⁶³⁰ 2. იმ პერიოდში სსრ კავშირის ცაკ-ის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ნ.ნარიმანოვის განცხადება, რომ „კათოლიკოს ამბროსის საქმე იქნება გაკვეთილი ემიგრანტებისთვის, რომლებსაც ამბროსის დანაშაულებრივი ხელებით სურდათ კონტრრევოლუციის ორგანიზება. ამბროსის კავშირი საზღვარგარეთთან უეჭველად იყო და საბჭოთა მართლმსაჯულებამ იგი ძირშივე მოსპო.“

ამ ორი ინფორმაციის ერთმანეთის გვერდი-გვერდ მოთავსებით საბჭოთა რეჟიმმა აჩვენა თავისი „ჭუმანურობა“ მორჩილთა მიმართ და, სიმკაცრე – მონინალმდევთა მიმართ, იმავდროულად იმაზეც მიანიშნა, თუ რა შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის განთავისუფლება...

საოკუპაციო რეჟიმი ცდილობდა დაპატიმრებული კათოლიკოს-პატრიარქის, აგრეთვე სხვა სასულიერო პირების წინააღმდეგ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში „ხალხის“ სახელით მიმდინარე წინასწარი გამოძიება და სასამართლო პროცესი იმავდროულად ქართული ეკლესიის სასამართლოდ გადაექცია, რათა იმავე „ხალხის“, სახელით გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინათ მისთვის. ქართულ ეკლესიას და მის საჭეთმპყრობელს გაშმაგებით უპირისპირდებოდა სახელმწიფო პროპაგანდისტული და რეპრესიული მანქანა. როგორც ზემოთ ითქვა, ეს მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდა 1922 წლის ბოლოდან და – 1923 დასაწყისიდან, როდესაც საკათოლიკოსო საბჭოს თავმჯდომარე, წევრები და სხვა სასულიერო პირები დააპატიმრეს.

საეკლესიო მთავრობის დაპატიმრების პარალელურად 1923 წ. პირველ ნახევარში გაჩაღებული ანტირელიგიური კამპანიის დამანგრეველმა ტალღამ მთელს საქართველოს გადაუარა. ამ კამპანიას სადამსჯელო ორგანოების (საგანგებო კომისია, შს კომისარიატი) ხელით კომპარტია წარმართავდა, ხელმძღვანელობდა რა რუსეთის კომპარტიის ცეკას დადგენილებით „ანტირელიგიური პროპაგანდის დაყენების შესახებ“ (გამოქვეყნებულია ჟურნალში „ვესტნიკ აგიტაციი ი პროპაგანდი, 1922, №1), რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შესაბამისი ცირკულარით, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცეკაში 1923წ. 27 იანვარს შემოვიდა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მიიღეს დავალება, რათა ანტირელიგიური პროპაგანდა საერთო სააგიტაციო – პროპაგანდისტული მუშაობის შემადგენელ ნაწილად ექციათ, მიეცათ მისთვის სისტემატიური და საყოველთაო (მაზრებში გადატანით) ხასიათი.⁶³¹ საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა 1923წ. 28 თებერვალს მიიღო დადგენილება „ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ“. ცეკას სამდივნოს და აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას აღნიშნულ საკითხზე ცირკულარის მომზადების წინადადება მიეცათ. ერთი ასეთი ცირკულიარი, რომელსაც ხელს აწერდა ცეკას მდივანი მ. კახიანი, გაზეთების მუშაობას შეეხებოდა. პრესას ევალებოდა სისტემატიური ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოება, სპეციალური რუბრიკის შემოღება „რელიგიის შესახებ, სადაც უნდა მოეთავსებინათ სხვადასხვა

629. გურამ შარაძე. დასახ. ნაშრომი, ტ. 2, გვ. 707-709.

630. გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს (1924 წლის 25 მარტი) ცნობით, როცა პატრიარქ ტიხონს მისი საქმის შეწყვეტის შესახებ აცნობეს, მან თითქოს, კიდევ ერთხელ მოინანია ჩადენილი „დანაშაული“ და საბჭოთა რეჟიმის მიმართ თავისი ლოიალობა კვლავ დაადასტურა.

631. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.838, ფ.54-55ა.

წერილები, ფელეტონები, კორესპონდენციები და აგრეთვე კარიკატურები.⁶³² იმავე მ. კახიანის ხელმოწერით, საოლქო და სამაზრო პარტიულ ორგანიზაციებში 1923წ. აპრილის დასაწყისში გაგზავნილი ცეკას ცირკულარი დემაგოგიურად ამტკიცებდა, რომ ანტირელიგიური კამპანია მოედო „მუშებისა და გლეხების“ ფართო მასებს, რის შედეგადაც დაიხურა 450 ეკლესია, რომელიც კლუბებად, სკოლებად, თეატრებად ან ბიბლიოთეკებად არის გადაქცეული. ცირკულარი შეიცავდა თვალთმაქცურ მონოდებას, მომავალში ეკლესიების მხოლოდ ხალხის „ინიციატივით“ და „სურვილით“ დახურვის შესახებ.⁶³³

საკმაოდ ვრცელი დადგენილება მიიღო რუსეთის კომპარტიის XII ყრილობამ (1923წ. 17-25 აპრილი) „ანტირელიგიური აგიტაციისა და პროპაგანდის დაყენების შესახებ.“ არსებულ „პირობებში პარტიის მუშაობას მუშათა და გლეხთა მასებში ყოველი სახის რელიგიური რწმენის საბოლოო აღმოფხვრისათვის (ხაზგასმა ჩვენია – ჯ.გ.) გარდაუვლად ენიჭება უწინარეს ყოვლისა ხასიათი გაღრმავებული სისტემატიური პროპაგანდისა, რომელიც თვალსაჩინოდ და დამარწმუნებლად დაანახევებს თითოეულ მუშას და გლეხს, რომ ყოველი რელიგია ყალბია და მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამხელს სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის კავშირს გაბატონებული კლასების ინტერესებთან და რელიგიურ წარმოდგენათა დრომოჭმული ნაშთების ნაცვლად იძლევა ნათელ მეცნიერულ შეხედულებებს ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებაზე.“ დადგენილებაში „ერთ-ერთ ძირითად და საარსებო“ ამოცანად არის მიჩნეული ანტირელიგიური სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემა, „რომელიც სერიოზულად გააშუქებს რელიგიის ისტორიასა და წარმოშობას“. ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოება, დადგენილების მიხედვით, დიდად იყო დამოკიდებული გამოცდილი ლექტორების შერჩევაზე და მათ მომზადებაზე.⁶³⁴ იმავე XII პარტიული ყრილობის რეზოლუცია სოფლად მუშაობის შესახებ ასევე ამახვილებდა ყურადღებას ანტირელიგიურ პროპაგანდაზე, ეკლესიასთან საბჭოთა სკოლის დაპირისპირებაზე; სიტყვიერად აცხადებდა, რომ დაუშვებელია მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა „ადმინისტრაციული ზემოქმედების უხეში ზომებით“, რომ აუცილებელია „გადაჭრით აღიკვეთოს კომკავშირული გატაცება ეკლესიების დახურვით“ და ა.შ.⁶³⁵ მსგავს პარტიულ დადგენილებებს (ისევე როგორც საბჭოთა კონსტიტუციებში ჩადებულ მუხლებს სინდისის თავისუფლების შესახებ) ჰქონდათ სუფთა პროპაგანდისტული დანიშნულება და განკუთვნილი იყო დასავლეთისთვის, რომელიც სსრ კავშირს მუდმივად ადანაშაულებდა რელიგიის, კულტის მსახურთა დევნა-შევიწროებაში.⁶³⁶

XII ყრილობამდეც და მის შემდეგაც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მომრავლდა „მხატვრული“ და „სამეცნიერო“ ხასიათის პუბლიკაციები ანტირელიგიურ თემაზე. დაიბეჭდა ნ.გაუსმანის წერილები „როგორ წარმოიშვა ქვეყნიერება“ და „ზღვებისა და მთების წარმოშობა დედამიწაზე“,⁶³⁷ მ. პოკროვსკის – „შიში სიკვდილის შიშისა და რელიგიის წარმოებითი მნიშვნელობა.“⁶³⁸ კარიკატურებით სავსე ერთადერთმა ნომერმა ჟურნალისა „ღმერთის წინააღმდეგ“ გამოაქვეყნა წერილები სათაურით: „წინ რელიგიის წინააღმდეგ“ (კ.ორაგველიძე), „შევებრძოლოთ ღმერთებს“, „მინისძვრა და ღმერთი“, „მღვდელი, მთავარი და ბობოლა გლეხი“, „ქვეყნიერების გაჩენა“ (ა. ლოგი-

632. იქვე, ს.492, ფ.18ა; ს.838, ფ.56.

633. იქვე, ს.838, ფ.8-8ა.

634. სკკპ რელიგიის შესახებ, გვ.89-93.

635. იქვე, გვ. 93-94.

636. ასეთ ბრალდებას შეიცავდა, მაგალითად, ცნობილი კერზონის (დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი) ნოტა სსრ კავშირის მთავრობისადმი. თავის პასუხში საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ის „კატეგორიულად უარყოფს მტკიცებას ამა თუ იმ რელიგიის დევნის შესახებ“ (რაბოჩაია პრავდა, 1923, 16 მაისი)?! აქედანაც კარგად ჩანს, რა დიდი განსხვავება იყო ოფიციალურ დოკუმენტებსა და რეალურ ვითარებას შორის.

637. ამიერკავკასიის მშრომელი ქალი, 1923, №2, გვ.16-17; №3, გვ.20-21.

638. კომუნისმის დროშა, 1923, №4-5, გვ.66-78.

ნოვი), „ღმერთი“, „ქრისტე არ არის სოციალისტი და რევოლუციონერი“ და ა.შ. ანტირელიგიური შინაარსის წერილებს სისტემატიურად ბეჭდავდა კომუნისტური თეორიული ჟურნალი „მომავალი“,⁶³⁹ სხვა ჟურნალები და გაზეთები როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

ასეთი იდეოლოგიური ტერორის ფონზე საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 1923წ. პირველ ნახევარში მეტისმეტად აგრესიულ და ველურ ფორმებში მიმდინარეობდა ანტირელიგიური კამპანია. ყველა მაზრაში სოფელ-სოფელ დაიარებოდნენ პარტიის სამაზრო კომიტეტების მიერ გამოყოფილი „მომხსენებლები“, რომლებიც ინვევდნენ კრებებს ძირითადად შეიარაღებული პარტიის წევრებისა და კომკავშირლების მონაწილეობით. ანტირელიგიურ თემაზე გაკეთებულ მოხსენებებში ეკლესიას „ადანაშაულებდნენ“ იმაში, რომ ის ვითომ ემსახურებოდა კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის განმტკიცებას, ახშობდა „მშრომელი მასების“ გონებას, რადგანაც წარმოადგენდა თითქოს სიბნელისა და გაუნათლებლობის კერას და ა.შ. მსგავსი მოხსენებების შემდეგ, როგორც წესი, იარაღის მუქარით გამოჰქონდათ „გადანყვეტილება“ ეკლესიების გაუქმებისა და მათი „სინათლისა და ცოდნის ტაძრად“ – სკოლად, კლუბად, თეატრად ან სამკითხველოდ გადაკეთების შესახებ. 1923წ. იანვარ-თებერვალში ასეთი „ლონისძიებები“ ჩატარდა რაჭაში, სადაც ლექციებს სოფლებში ვინმე ვ. მესხი, ალ. ჭელიძე, გ. მეტრეველი და სხვები კითხულობდნენ.⁶⁴⁰

1923 წლის მარტ-აპრილში თელავის მაზრის სოფლებში კრებები ჩაატარეს პარტიის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლებმა ქრ. კობტაშვილმა, ვ.ბერძენიშვილმა, ს.ცინციბაძემ, ვ.ბულდიაშვილმა და სხვებმა. მოხსენებებში და მიღებულ რეზოლუციებში გვხვდება სიტყვები: „ვეცდებით რათა ეკლესიებზე ჯვრების მაგიერ იქმნას ნითელი ვარსკვლავი“; „ძირს სამღვდლოება და ბერები, ზიზლი მათ და მათ დამქაშებს“; „ვებრძოლოთ რელიგიას, რომ ძირფესვიანად აღმოვფხვრათ სამუდამოდ“ და ა.შ. თელავის მაზრაშიც ფაქტობრივად პარტიულ – კომკავშირული კრებები იღებდნენ გადანყვეტილებებს ეკლესიების დახურვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებად მათი გარდაქმნის შესახებ.⁶⁴¹ ასეთივე კრებები ჩატარდა ფოთში 1923წ. 27-31 მარტს.⁶⁴² სენაკის გაზეთში „კომუნა“ (1923წ. 27 მაისი) გამოქვეყნებული სამაზრო პოლიტიკანათლების სამმართველოს თეზისები „ღვთისა და ეკლესიის წინააღმდეგ“ იუწყებოდა: თებერვალში „15-20 დღის განმავლობაში მთელ მაზრაში მიხურულ იქნენ ყველა ეკლესიები, რომელთა რიცხვი აღწევდა 165-მდე და გადაკეთებული კულტურის კერებად: სასოფლო კლუბებად, თეატრებად, სკოლებად და ქობ-სამკითხველოებად.

ძირს მონობის ბუდე-მღვდელი და ეკლესია!

ძირს რელიგია!

ძირს ცრუმორწმუნეობა – რწმენა ღვთისა და ეშმაკისადმი.“⁶⁴³ სენაკის მაზრაში ანტირელიგიური კომპანიის „წარმატებით“ მიმდინარეობის შესახებ რესპუბლიკური პრესაც წერდა,⁶⁴⁴ მაგრამ, ცხადია, იგი დუმდა იმის თაობაზე, რომ ეს „წარმატება“ მიღწეულ იქნა ძალადობის, ასობით ადამიანის დაპატიმრების გზით.⁶⁴⁵ ერთი და იგივე სცენარით და მეტნაკლები „წარმატებით“ ჩატარდა ანტირელიგიური კამპანია ყველა მაზრაში. ცალკეულ რეგიონებში გამოიყენეს „პროპაგანდის“ ისეთი ფორმა, როგორიცაა რელიგიის „გასამართლება“. ასეთი „სასამართლო“ ჩატარდა ოზურგეთში, აგრეთვე

639. მომავალი, 1923, №2, გვ.61-62; №3, გვ.66-75; №4, გვ.40-42; №5, გვ.24-30, №6, გვ.20-31; №7, გვ.34-42; №8, გვ. 13-22 და ა.შ.

640. საარქივო მოამბე, 2010, №8, გვ. 54-59; შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.838, ფ.1, 16-21.

641. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.561, ფ.1-50.

642. იქვე, ს.840, ფ.1-5.

643. იქვე, ს.812, ფ.14.

644. მინის მუშა, 1923, 10 მარტი.

645. გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ.315.

ქუთაისში 1923წ. 23 იანვარს.⁶⁴⁶ უფრო შორს წავიდნენ სარწმუნოებასთან მეტრძოლები რაჭის მაზრაში. აქტივისტთა ჯგუფმა 1923წ. 5 თებერვალს განცხადებით მიმართა სამაზრო პოლიგანათლების განყოფილებას სარწმუნოებისა და სამღვდლოების გასამართლების მოთხოვნით. დაინერა „საბრალდებო აქტი“, რომლის „განხილვის“ შემდეგ „სასამართლომ“ კ. გობეჯიშვილის, გ.კვიციანიშვილის, ს.შერაზადიშვილის, მ.ჭიჭინაძის და გ. მეტრეველის შემადგენლობით დაადგინა „საქმის გარჩევა დაინიშნოს მიმდინარე წლის 9 თებერვალს“. ეს ე.წ. აქტი დაფუძნებული იყო მოქალაქეთა ჯგუფის მიერ 5 თებერვალს შემოტანილ განცხადებაზე, სათემო კრებების დადგენილებებზე სარწმუნოების „დაგმობასა“ და ეკლესიების დახურვის შესახებ, აგრეთვე ონის პროფკავშირის „აქტზე წმინდა ნიკოლოზის ე.წ. ნაშთების გადათვალისწინებისა სოფ. ნიკორწმინდაში“ (?!) და ა.შ. 1923წ. 9 თებერვალს ონში გლეხთა უპარტიო კონფერენციის პარალელურად სპეციალურად გამართულმა „სასამართლომ“ („განსასჯელის“ სკამზე სიმბოლურად დასვეს ისეთი მღვდლები, რომლებიც თვითონ „ამხელდნენ“ რელიგიას და სამღვდლოებას) სარწმუნოებას და ეკლესიას „მიუსაჯა“ დაგმობა და უარყოფა; სამღვდლოებას – გაკრეჭა ან „მუშურ-გლეხური სახელმწიფოს უღირს წევრად“ გამოცხადება; „სარწმუნოების ნაშთებს“ (ხატებს, ჯვრებს და ა.შ.) – განადგურება (თუ მათ კულტურული ღირებულება არ ჰქონდათ) ან „ხალხის სასარგებლოდ“ გამოყენება. საყდრებს და სამლოცველო ადგილებს კი კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებებზე გადაკეთება „მიესაჯათ“.⁶⁴⁷

ამ ყოველგვარ ზღვარს გადასულ ანტირელიგიურ ისტერიაში არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ნიკორწმინდაში წმ. ნიკოლოზის წმინდა ნაწილების ნაბილწვის („გადათვალისწინების“) ფაქტს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ნაწილების ხელყოფის „გამოცდილება“, ისევე როგორც ანტირელიგიური კამპანიის წარმოების სხვა ფორმები და მეთოდები, ქართველმა კომუნისტებმა რუსი თანაპარტიელებისაგან გადმოიღეს. რუსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1920 წლის ერთ-ერთ დადგენილებაში „წმინდანთა ნაწილების მოსპობის შესახებ“ ნათქვამია: „არხანგელსკის, ვლადიმირის, ვოლოგდის, ვორონეჟის, მოსკოვის, ნოვგოროდის, ოლონეცკის, ფსკოვის, ტამბოვის, ტვერის, სარატოვისა და იაროსლავის გუბერნიებში მშრომელი მასების წამონყებით და დაჟინებული მოთხოვნით მოხდა ეგრეთწოდებულ „უხრწნადი“ წმინდა ნაწილების გახსნა“.⁶⁴⁸ მსგავს გაუგონარ მკრეხელობას, მართალია, საქართველოში მასობრივი ხასიათი არ მიუღია, მაგრამ გარდა ნიკორწმინდისა, ასეთი ფაქტები მაინც მოხდა ზუგდიდში, ბორჩალოში.⁶⁴⁹ განსაკუთრებით ამაზრზენი იყო მოწამეთაში ჩადენილი ბარბაროსობა. 1923წ. 18 თებერვალს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მდივნის ვ.ბახტაძის თაოსნობით მოწამეთაში ხალხის თანდასწრებით წმინდა დავითისა და კონსტანტინეს საფლავები გახსნეს და მათი წმ. ნაწილები სპეციალური მატარებლით ქუთაისში ჩამოასვენეს. ამის შესახებ გაზ. „კომუნისტი“ წერდა: „ქუთაისის სადგური ზღვა ხალხით არის გავსილი... ძლივ-ძლივობით გამოაქვთ კუბო ამდენ ხალხში სადგურის უკან, სადაც სიტყვას ამბობს ამხანაგი ვალია ბახტაძე და წმინდანების ყველა ნაწილებს (რასაკვირველია, ძვლებს) უჩვენებს ხალხს... შემდეგ მიაქვთ „წმინდანები“ ქალაქის ქუჩებში ჩამოსატარებლად.

ნაშთების გახსნას ესწრება წარმომადგენლები დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან“.⁶⁵⁰

ანტირელიგიური კამპანიის ფარგლებში 1923წ. აპრილში ჩატადა კიდევ ერთი არანაკლებ მკრეხელური „ლონისძიება“ – ე.წ. „კომკავშირული აღდგომა“. დირექ-

646. გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 305; შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 496, ფ. 9.

647. საარქივო მოამბე, 2010, №8, გვ. 59-61; შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 496, ფ. 9-10, ს. 838, ს. 22-25.°

648. სკკპ რელიგიის შესახებ, გვ. 79.

649. შსს არქივი, აღწ. 1, ს. 496, ფ. 9° 11°.

650. კომუნისტი, 1923, 23 თებერვალი.

ტიულ მითითებას ამის შესახებ შეიცავდა 1923 წლის მარტში გამოქვეყნებული რუსეთის კომპარტიის ცეკას ცირკულარი „აღდგომის დროს ანტირელიგიური კამპანიის შესახებ“.⁶⁵¹ საქართველოს კომპარტიის ცეკამ მაშინათვე გააფრთხილა რეგიონები, რომ აღდგომის დღეებში მაქსიმალური ყურადღება დაუთმონ ანტირელიგიურ პროპაგანდას. ამაზე საუბარი 1923 წლის აპრილის დასაწყისში რეგიონებში დაგზავნილ ცირკულარშიც. მასში ნათქვამია: „მშრომელი ხალხი ჩვეულებისამებრ და უმთავრესად ეკლესიებისაკენ მიიღვინის დროის გასატარებლად და სამხიარულოდ. „აღდგომის“ დღეს მღვდლებისათვის დახურულ, მაგრამ მშრომელებისათვის კლუბებად გადაკეთებულ ეკლესიებში ხალხს უნდა მიენოდოს გართობისა და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაქსიმუმი“.⁶⁵² აღნიშნული ცირკულარის განხორციელებას მიეძღვნა სპეციალური წერილი გაზეთ „კომუნისტი“ – „აღდგომა“ ახლოვდება“, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ სამი თვის წინეთ ნამოყენებული ლოზუნგი: სასტიკი ბრძოლა ეკლესიისა და სამღვდლოების წინააღმდეგ – მისთვის საბედისწერო შეიქმნა. საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მიყრუებული სოფელი, რომელსაც ეს ბრძოლის ხმა არ მისწვდომოდეს... სულ ამ ცოტა ხანში ჩამოერთვა სამღვდლოებს და ჩაიბარა მშრომელმა ხალხმა 450 ეკლესია. ეს კი დიდი, არაჩვეულებრივი გამარჯვებაა მშრომელი ხალხისა“. ვინაიდან ჩამორთმეული ეკლესიები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებად გადაკეთდა, აგრძელებდა გაზეთი, გლეხობა ამ აღდგომას, მღვდლების ლოცვა-კურთხევის ნაცვლად, ყოფილ ეკლესიებში ამიერიდან საკუთარ თავგადასავალს (თუ როგორ აღსდგა თვითონ მკვდრეთით) და, რაც მთავარია, „ინტერნაციონალს“(!) მოისმენდა.⁶⁵³ „კომკავშირული აღდგომის“ ჩატარების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცეკაში 1923წ. აპრილის პირველ რიცხვებში შემოვიდა კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნის ა.მიასნიკოვისა კომკავშირის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელის ჩაპლინის ხელმოწერილი შემდეგი დეპეშა: „კომკავშირული აღდგომის ზეიმს მიეცეს გაღრმავებული პროპაგანდისტული ხასიათი. კარნავალები ჩირაღდნებითა და მორთულობებით უქმდება. ნება გეძლევათ მოაწყობთ მსვლელობები დროშებითა და ლოზუნგებით წითელარმიელთა მონაწილეობის გარეშე. სოფლებში შემოვიფარგლოთ უჯრედების (პარტიისა და კომკავშირის სასოფლო ორგანიზაციები – ჯ.გ.) კრებებისა და სპექტაკლების გამართვით. კომკავშირს წინადადებას ვაძლევთ დაგვეხმაროს ლექტორებითა და შენობებით“.⁶⁵⁴ საქართველოს კომკავშირის ცეკამ „კომკავშირული აღდგომის“ ჩატარების ხუთდღიანი პროგრამა შეიმუშავა და ადგილობრივ (საოლქო, სამაზრო) კომიტეტებს გაუგზავნა. პირველ დღეს – დიდ ხუთშაბათს ატარებდნენ კრებებსა და საუბრებს ანტირელიგიურ თემებზე, მეორე დღეს კეთდებოდა მოხსენებები, საღამოს იდგმებოდა სპექტაკლები. მესამე დღეს დემონსტრაციისთვის ემზადებოდნენ; მეოთხე დღეს სამაზრო ცენტრებში იმართებოდა კარნავალური მსვლელობები და საჯარო სასამართლოები რელიგიის წინააღმდეგ. მეხუთე დღეს „კომკავშირული აღდგომის“ შედეგებს შეაჯამებდნენ.⁶⁵⁵ როგორც ჩანს, შედეგები საკმაოდ მოკრძალებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ პარტიულ-კომკავშირულ სააღდგომო „ლონისძიებებში“ მოსახლეობას მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ეკლესიების დახურვისათვის.

1923 წლის პირველ ნახევარში, ჩვენი მონაცემებით, სულ 1475 ეკლესია დაიხურა. ეს ციფრი მიღებულია გამოქვეყნებული მასალებისა და საარქივო დოკუმენტების შეჯერების შედეგად.⁶⁵⁶ დახურულ ეკლესიებსა და მონასტრებს ჩამოერთვათ 26 ათასი

651. Известия ЦК РКП (б), март 1923г., №3, გვ. 204-205.

652. შსს არქივი, ფ. 14, აღნ. 1, ს. 838, ფ. 8-8^ა, 49.

653. კომუნისტი, 1923, 4 აპრილი.

654. შსს არქივი, ფ. 14, აღნ. 1, ს. 838, 3.

655. იქვე, ფ.7.

656. საარქივო მოამბე, 2010, №8, გვ.50, 61; შსს არქივი, ფ.14, აღნ.1, ს.496, ფ.9-12ა; ს.812, ფ.14; ს.838, ფ.9-

ჰექტარი მიწაც.⁶⁵⁷ ეკლესიების დახურვის თითქმის პარალელურად უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოები რეგიონებიდან იღებდნენ წერილებს ტაძრების დაბრუნებისა და ღვთისმსახურების განახლების თხოვნით თუ მოთხოვნით. ასე, მაგალითად, გორის მაზრის კავთისხევის რაიონის სოფ. ქვემო ხანდაკის 118 მორწმუნე ამიერკავკასიის შს კომისრის სახელზე გამოგზავნილ წერილში წერდა, რომ 1923წ. 29 აპრილს ოთხმა კომუნისტმა ძალით დახურა მათი ეკლესია. მოსახლეობის შეკითხვაზე, „რა ძალით გვიკეტავთ ეკლესიას“, მოძალადეებს ასეთი პასუხი გაუციათ: „ჩვენ ვკეტავთ – ეს ჩვენი ნებაა და არა ხალხისა“. ხალხის თხოვნაზე, არ დაეკეტათ ეკლესია, კომუნისტებმა მათ თოფები დაუმიზნეს და განაცხადეს: „2 წუთის განმავლობაში არც ერთი არ დაგინახოთ აქ, თორემ სროლას დავიწყებთ“. წერილის ავტორები ეკლესიის გახსნას მოითხოვდნენ. საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარემ მიხა ცხაკაიამ 1923 წ. 24 მაისს თელავიდან მიიღო 1000 კაცის ხელმოწერილი თხოვნა მათთვის ეკლესიის დაბრუნების შესახებ. მსგავსი შინაარსის წერილები მოვიდა 27 მაისს სოფელ ძეგვიდან (გორის მაზრა), 8 ივნისს აფენიდან (სიღნაღის მაზრა) და ა.შ.⁶⁵⁸ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ეკლესიების დახურვით გამოწვეული საყოველთაო უკმაყოფილება, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გარკვეულ სიტყვიერ დათმობებზე მაინც წასულიყო. საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა 1923 წ. 19 აპრილს, განიხილა რა „საკითხი ანტირელიგიური კამპანიის შესახებ“, წინადადება მისცა სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს, იმოქმედონ ფრთხილად; ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას დაევალა, აწარმოოს გაძლიერებული, ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი მუშაობა, სხვადასხვა ენებზე გამოსცეს პლაკატები, ფურცლები, ბროშურები. როგორც ზემოთაც ითქვა, შეიქმნა კომისია მ. ოკუჯავას, ლ. ქართველიშვილისა და მურავიოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ანტირელიგიური კამპანიის წარმართვა, პროპაგანდისტული კამპანიის გაძლიერების მიზნით ამ კამპანიაში გადმობირებული სასულიერო პირების ჩართვა და ა.შ.⁶⁵⁹ იმავე პრეზიდიუმის 1923 წ. 11 მაისის სხდომაზე კი, სადაც „საეკლესიო საკითხები“ განიხილეს, ცეკამ აღიარა ზოგიერთი დახურული ეკლესიის გახსნის, რეგიონებში ანტირელიგიური კამპანიის მიმდინარეობაზე რევიზიის ჩატარების აუცილებლობა. ამასთანავე მეორე ხელით პრეზიდიუმმა მიიღო კატეგორიული გადაწყვეტილება ყველა მონასტრის დახურვის შესახებ, დაამტკიცა რელიგიურ საქმეთა ახალი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მ. კახიანი, ვ. სტურუა, ე. კვანტალიანი, ლ. ქართველიშვილი და მ. ოკუჯავა (აქვე, დოკ. №42).

ანტირელიგიური კამპანიის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები 1923წ. 12 მაისს განიხილა საქართველოს კომპარტიის ცეკაში გამართულმა საოლქო, სამაზრო და რაიონული პარტორგანიზაციების მდივნების თათბირმა. რეგიონების წარმომადგენელთა ანგარიშების მოსმენის შემდეგ სიტყვით გამოსულმა ცეკას მდივანმა ბ. ლომინაძემ განაცხადა, რომ ცეკასთან მოქმედებს „საგანგებო კომისია ანტირელიგიურ საკითხებში“, რომლის გადაწყვეტილებები სანქცირებულია პრეზიდიუმის მიერ. მან აღიარა, რომ „ჩვენ ბევრი შეცდომა დაუშვით“, ამიტომ „ზოგიერთ რაიონში მოგვიწევს ეკლესიების გახსნა“. დასკვნითი სიტყვა წარმოსთქვა მ. კახიანმა. მისი წინადადებით, თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, დახურული ეკლესიები გაიხსნას მხოლოდ იქ, სადაც ამას მოსახლეობის უმრავლესობა მოითხოვს; შემდგომში ანტი-

17, 37-48. როგორც უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) 1941წ. 3 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანს კ. ჩარკვიანს წერდა, გასაბჭოებამდე საქართველოში 1500 შტატის ეკლესია მოქმედებდა, ზედმინერული სასწავლებლების და სამხედრო ტაძრებით – 2300. 1941 წლისთვის კი სულ 15 ეკლესია მოქმედებდა (შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 15, ს.289, ფ.2).

657. გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ.315.

658. საარქივო მოამბე, 2010, №8, გვ. 82-85; შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.830, ფ.62, 146-159, 211-215, 217 და ა.შ.

659. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.492, ფ.30ა.

რელიგიური კამპანიის წარმოებისას გამოყენებულ იქნას „გალრმავებული პროპაგანდის ფორმები და მეთოდები“, ეკლესიების დახურვა კი მოხდეს მორწმუნეთა უმრავლესობის თანხმობით; გადაწყდა ასევე, მოძიებულ იქნას სახსრები „ეკლესიების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე რეორგანიზაციისთვის“.⁶⁶⁰ ასეთი სახსრებიც სულ მალე გამოინახა და 1923 წლის 3 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ანუ დაავალა სახალხო კომისართა საბჭოს გაეღო 5 მილიარდი მანეთი დახურული ეკლესიების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე გადაკეთებისთვის.⁶⁶¹ უნდა ითქვას, რომ დანგრევას გადარჩენილი ზოგიერთი ეკლესია სულ სხვა დანიშნულებითაც (საწყობებად, აბანოდ და ა.შ.) გამოიყენებოდა. ასე, მაგალითად, საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ 1923წ. 24 ოქტომბერს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს შეატყობინა ყვარლიდან მიღებული დეპეშის შინაარსი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ეკლესია, სადაც მარხია მშობლები ილია ჭავჭავაძისა, შეუდგენენ გადააკეთონ აბანოდ. გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა, პატივი სცენ ილიას ხსოვნას და ეკლესია სხვა მხრით მოიხმარონ.“ მწერალთა კავშირის საბჭო სთხოვდა საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძის მშობლების საფლავის დაცვას.⁶⁶²

ცეკას პრეზიდიუმის 1923 წ. 11 მაისის სხდომისა და პარტიული აქტივის 12 მაისის თათბირის გადაწყვეტილებები სულაც არ ნიშნავდა პოლიტიკური კურსის, ეკლესიისადმი დამოკიდებულების შეცვლას. რელიგიისა და ეკლესიის სრული განადგურებისაკენ მყარად აღებული გეზი, რა თქმა უნდა, უცვლელი დარჩა, მაგრამ, წააწყდა რა ხალხის მხრიდან ძლიერ წინააღმდეგობას, კომპარტიამ დროებით უკან დაიხია და ახალი შეტევისთვის მზადებას შეუდგა. შეიცვალა დარტყმის მიმართულება – ამჯერად მთავარ სამიზნედ მონასტრები იქცნენ, რომელთა დახურვას სულაც არ სჭირდებოდა ადგილებზე „კრებების“ ჩატარება და ხალხის სახელით მოქმედება. ეკლესიების გახსნის ცრუდაპირება უკმაყოფილო მოსახლეობის დასაშოშმინებლად და მონასტრების მასობრივი დახურვის შესანიღბავად იქნა გამოყენებული.

1923წ. 30 მაისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებული რელიგიის საქმეთა კომისიის პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ლ. ქართველიშვილი, მ. ოკუჯავა, ბ.ლომინაძე, ე.კვანტალიანი, მურავიოვი, კანდელაკი, ვაშაძე და საგანგებო კომისიის სამღვდელოებასთან ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი (ოქმში მისი გვარი არ არის მითითებული). სხდომამ, მოისმინა რა ცეკას მდივნისა და კომისიის თავმჯდომარის ლ. ქართველიშვილის მოხსენება ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ, დაადგინა, „შეჩერდეს ეკლესიების საყოველთაო დახურვა“; „ჩამორჩენილ კუთხეებში კი“, თუ იქ ამის საჭიროება გაჩნდებოდა, დაშვებულ იქნას ეკლესიების აღდგენა; ცეკას პრეზიდიუმს ეთხოვა, სამაზრო კომიტეტების მდივნების თათბირი დაუკავშიროს ცეკას პლენუმს, რათა მოხდეს მათი ინსტრუქტირება ანტირელიგიური პროპაგანდის გაგრძელების თაობაზე; ე. კვანტალიანს დაევალა კომისიის მორიგი სხდომისთვის მოამზადოს მოხსენება „ცოცხალი ეკლესიის“ შესახებ; არ გამოიცეს ანტირელიგიური პროპაგანდის „№2 ჟურნალი“, დაევალოს გაზეთ „მინის მუშას“ რედაქტორს აწარმოოს ანტირელიგიური პროპაგანდა.⁶⁶³

1923 წელს მიმდინარეობდა მონასტრების დახურვის, ბავშვთა თავშესაფრებად, მუშათა თუ გლეხთა სახლებად, პანსიონატებად და ა.შ. მათი გადაკეთების პროცესი. ბერები და მონაზვნები უსახლკაროდ და არსებობის ყოველგვარი საშუალების გარეშე რჩებოდნენ. ჭიათურასთან ახლოს მდებარე, 1923წ. 6 აპრილს დახურული მღვიმევის მონასტრის წინამძღვარი დედა ქრისტინე იმავე წლის 2 მაისს სახკომსაბჭოს სთხოვდა

660. საარქივო მოამბე, 2010, №8, გვ.50-53; შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.496, ფ.7-14;

661. გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 314.

662. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.600, აღწ.1, ს.174, ფ.78.

663. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.830, ფ.12.

ნებართვას, რათა 25 მონაზონი დარჩენილიყო საცხოვრებლად მონასტერში, რომლის გამოყენება სხვა მიზნებისთვის შეუძლებელი იყო მისი ადგილმდებარეობის გამო.⁶⁶⁴ თხოვნა არ დაკმაყოფილდა. ასევე უყურადღებოდ დარჩა მათხოჯის წმ. ნინოს დედა-თა მონასტრის წინამძღვრის ქეთევანის 1923წ. 3 მაისის მიმართვა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსადმი.⁶⁶⁵ ბოდბეს წმ. ნინოს დედათა მონასტრის კუთვნილი შენობები, მისი წინამძღვრის ნინოს ინიციატივით, 1923წ. თებერვალ-მარტში წითელ ჯვარს გადაეცა იქ საავადმყოფოს გახსნის მიზნით.⁶⁶⁶ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1923წ. 11 აპრილს არ მიიღო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ნ. ლაკობას წინადადება ახალ ათონში ბავშვთა ქალაქის გაშენების შესახებ.⁶⁶⁷ საბჭოთა ხელისუფლებამ მონასტერი ჯერ კიდევ მის გაუქმებამდე (1924წ.) საბჭოთა მეურნეობად გამოაცხადა და ბერებს ყოველდღიური 8 საათიანი სამუშაო ბეგარა დაუწესა.⁶⁶⁸ 1923 წლის ზაფხულში აფხაზეთის საგანგებო კომისიამ ახალ ათონში აღმოაჩინა დაახლოებით 11-12 ათას ოქროს მანეთად შეფასებული გადამალული განძეულობა, რასაც მოჰყვა მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ილარიონისა და კიდევ რამდენიმე ბერის დაპატიმრება. მათი აღიარებითი ჩვენებების საფუძველზე აფხაზეთის საგანგებო კომისიამ მონასტრიდან კიდევ დამატებით ამოიღო დიდძალი განძეულობა.⁶⁶⁹ რუსეთის ჯანდაცვის სახალხო კომისარმა ნ. სემაშკომ, რომლის აფხაზეთში ყოფნისას მოხდა ახალი ათონის მონასტერში გადამალული განძეულობის აღმოჩენა, ამ ფაქტის შესახებ გაზეთ „პრავდა“-ში 1923წ. 15 სექტემბერს წერილი გამოაქვეყნა.

საოკუპაციო რეჟიმს ჯერ არ ჰქონდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მონამეთას მონასტრის გაუქმების შესახებ, როდესაც დაიწყო მისი საერთოდ დანგრევისა და სხვა მიზნებისთვის გამოყენების გეგმის შემუშავება. ამასთან დაკავშირებით სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტმა შეკითხვით მიმართა გამორჩენილ ქართველ მეცნიერებს ივ. ჯავახიშვილს, გ. ჩუბინაშვილს, ს.კაკაბაძეს, რომლებმაც აღნიშნულ საგანგებო კომიტეტს 1923წ. 17 ივლისს შემდეგი საპასუხო წერილი მიართვეს: „პასუხად თქვენის შეკითხვისა, მონამეთის მონასტრის დანგრევისა და მისი სხვა საჭიროებისათვის გამოყენების შესახებ, საჭიროდ ვრაცხთ გაუწყობთ, რომ მონასტრის რაიონში შეიძლება დანგრევა მხოლოდ იმ შენობისა, რომელიც ბერების სადგომს წარმოადგენს; რაიცა შეეხება თვით ეკლესიას, აგრეთვე ძველ კოშკებს, ისინი ხელუხლებლად უნდა იქნენ დატოვებულნი, რადგან:

ა) ეკლესია წარმოადგენს ქართულ ხუროთმოძღვრების დამახასიათებელ ძეგლს მე-19ს. პირველ ნახევარში (ამ ეპოქის სხვა არ მოგვეპოვება).

ბ) კოშკები კი, როგორც უძველესს დროს აგებულნი, იშვიათ საერო ხუროთმოძღვრების ნიმუშებს გვაძლევენ.“⁶⁷⁰ ასე გადაურჩა დანგრევას მონამეთას სამონასტრო კომპლექსი, რომლის ისტორია VIII საუკუნიდან იღებს სათავეს, განახლდა X საუკუნეში (ბაგრატ III-ს დროს) და აგრეთვე XIX ს. პირველ ნახევარში. 1924წ. 20 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნომ სპეციალურად განიხილა საკითხი მონამეთას მონასტრის შესახებ“, მოიწონა მისი დახურვის თაობაზე პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის გადაწყვეტილება, „რეკომენდაცია მისცა სამაზრო კომიტეტს და განათლების კომისარიატს გაანთავისუფლონ მონასტერი ბერებისაგან და გახსნან მასში საბავშვო სახლი.“⁶⁷¹ იმავე წლის 31 მარტს ცეკას სამდივნომ კიდევ

664. იქვე, ფ.19-20.

665. საარქივო მოამბე, 2010, №8, გვ.85.

666. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.600, აღნ.1, ს.130, ფ.59, 60; ს.179, ფ.18ა.

667. იქვე, ს.179, ფ.23ა.

668. В.Пачулия. Новый Афон. Сухуми, 1973, с.32.

669. შსს არქივი, ფ.14, აღნ.2, ს.28, ფ.6, 826-826ა (ლ.ბერიას მიერ 1923 წელს მომზადებული ანგარიშები საგანგებო კომისიის მუშაობის შესახებ).

670. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.600, აღნ.1, ს.153, ფ.44.

671. შსს არქივი, ფ.14, აღნ.2, ს.17, ფ.14ა.

ერთხელ განიხილა იგივე საკითხი და დაადგინა: „1. საჭიროდ ჩაითვალოს მონასტერთან სარკინიგზო პლატფორმის გაუქმება; 2) დადასტურებულ იქნას ქუთაისის სამაზრო კომიტეტის გადაწყვეტილება მონასტრიდან ბერების გამოსახლების შესახებ.“⁶⁷² 1924 წლის განმავლობაში მონასტერთა უმეტესობამ არსებობა შეწყვიტა.

საოკუპაციო რეჟიმის ანტისაეკლესიო პოლიტიკა, კომუნისტური კანონმდებლობით (მათ შორის კონსტიტუციით) აღიარებული სინდისის თავისუფლების სრული უგულვებელყოფა და ფეხქვეშ გათელვა გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერ, ამ ხელისუფლების მიერ „პროგრესისტებად“ მონათლულ სამღვდლოებაშიც. „პროგრესისტებისთვის“ ერთადერთ „შელავათს“ მხოლოდ ის წარმოადგენდა, რომ გადაურჩნენ რეპრესიებს, მაგრამ, როგორც სასულიერო პირნი, ისინიც არც თუ ისე მცირე დოზით განიცდიდნენ შევიწროებას. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ეპარქიების დროებითი მმართველი ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) 1923წ. 1 ივნისს საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიას ამაოდ სთხოვდა ჩამორთმეული სანთლის ქარხნისა და მღვდელმთავრის სახლის დაბრუნებას.⁶⁷³ 1923 წლის მაის-ივნისში მან სხვადასხვა საკითხებზე რამდენჯერმე მიმართა მიხა ცხაკაიას. 4 მაისის წერილში ცაკ-ის თავმჯდომარისადმი ნათქვამია: „თვით კომუნიზმის ინტერესებისათვის გთხოვთ მიეცეს მორწმუნეთა შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ თვისი რელიგიური მოთხოვნები მათ მიერ აშენებულ ტაძრებში და მით გააქრეს ფარული დრტინვა. ყველასი ცდა უნდა იყოს, რომ კომუნიზმმა რაც შეიძლება მეტი და მეტი სიმპათია მოიპოვოს ერის გულში... ნიადაგანია, ხანგრძლივია ის, რაც შენდება მშვიდობა და სიყვარულზე! როცა მე ვმსახურობდი ვიტებსკში 1904-1906 წლებში, მაშინ მე დიდის სიამოვნებით ვბეჭდავდი სტატიებს ადგილობრივ სასულიერო ორგანოში კომუნისტური წესწყობილების დამყარება-აღორძინების სასარგებლოდ (ХРИСТИАНСКИЙ КОМУНИЗМ); ეს ჩემი სტატიები უჩემოთ იბეჭდებოდა (перепечатавались) პეტროგრადის მუშების გაზეთში. ძალიან მსურს ჩემში და ჩემისთანებში არ გააქრეს „ტკბილი ოცნება“. ეპ. დავითი ითხოვდა რევეკომის №21 დეკრეტის (აქვე, დოკ. №20) დაცვას „თვით კომუნისზმისავე სასარგებლოდ.“ ეკლესიაში არსებული პრობლემების მიზეზი თვით რელიგიაში-ქრისტიანობაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ თავად სამღვდლოებაა „გასაჩოთქი“,⁶⁷⁴ – წერდა, სამწუხაროდ, ეპ. დავითი. არ იქნებოდა სწორი, თუ ეს წერილი მისი ავტორის მხოლოდ ტაქტიკური თუ კონიუნქტურული მოსაზრებებით, ეკლესიის გადარჩენის სურვილით შეფასდება და არა კათოლიკოს-პატრიარქთან და, ზოგადად, ტრადიციულ ეკლესიასთან მსოფლმხედველობრივი დაპირისპირებით. 4 დღეში – 1923წ. 8 მაისს ეპისკოპოსი დავითი კიდევ ერთ წერილს უგზავნის მიხა ცხაკაიას. მასში აღნიშნულია, რომ საკათოლიკოსო საბჭო, მისი წევრების დაპატიმრების გამო, არ ფუნქციონირებს, საეკლესიო საქმეების განხილვა შეჩერებულია; შესაბამისად, ვერ ხერხდება რეფორმების დროულად შემუშავება და საეკლესიო ცხოვრებაში ფართო მასშტაბით გატარება. ვინაიდან საკათოლიკოსო საბჭოს დაპატიმრებული წევრების მომავალი ბედი გაურკვეველია, – წერდა ეპ. დავითი, – გთხოვთ ნება დაგვრთოთ მოვინვიოთ ახალი წევრები საკათოლიკოსო საბჭოისა იმ პირთაგან, რომელნიც დასახელებული არიან მესამე საეკლესიო კრების მიერ საკათოლიკოსო საბჭოს კანდიდატებად, აგრეთვე სხვათაგანცა, რომ შესდგეს კანონიერი რიცხვი საკათოლიკოსო საბჭოს წევრებისა – ექვსი და ამგვარად საკათოლიკოსო საბჭომ დაიწყოს მუშაობა.“⁶⁷⁵ ეს იყო ერთადერთი თხოვნა, რომელიც საოკუპაციო რეჟიმმა მასთან თანამშრომლობაში მყოფ სამღვდლოებას შეუსრულა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ გაღრმავებულიყო დაპირისპირება ეკლესიის შიგნით, გადაეყენებინათ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი.

672. იქვე, ფ.28ა.

673. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.830, ფ.13.

674. იქვე, ფ.81-82.

675. შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.830, ფ.80.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს მთავარი მისია 1923წ. 7 სექტემბერს ახალი შემადგენლობით აღდგენილმა საკათოლიკოსო საბჭომ ვერ შეასრულა.

მორიგ წერილში მისა ცხაკაიასადმი, რომელიც 1923 წლის 12 ივნისით თარიღდება, ეპ. დავითი უკმაყოფილებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ საერო მთავრობის მიერ სარწმუნოების თავისუფლების გამოცხადების მიუხედავად, ადგილობრივი მთავრობა „კატეგორიულად უკრძალავს სამღვდელოებას რაიმე მღვდელმოქმედების შესრულებას“.⁶⁷⁶ საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებული სამღვდელოების ერთმა ჯგუფმა, რომელიც თავის თავს „საინიციატივო ჯგუფს“ უწოდებდა, საერო პირებთან ერთად 1923წ. 3 მაისს განცხადებით მიმართა „საქართველოს სოციალურ-კომუნალურ (!) საბჭოთა რესპუბლიკის თავმჯდომარეს“ (უნდა იგულისხმებოდეს სახალხო კომისართა საბჭო და მისი მაშინდელი თავმჯდომარე შ. ელიავა). მასში საუბარი იყო ეკლესიის დიდ დამსახურებაზე ქართველი ხალხის წინაშე, მის როლზე სახელმწიფოებრივი და საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. განცხადების ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ გასაბჭოების შემდეგ ხელისუფლების მიერ ეკლესიის, სასულიერო პირების, როგორც მენშევიკების „აგენტების“, წინააღმდეგ გატარებულ რეპრესიულ ზომებზე და საოკუპაციო რეჟიმს ურჩევდნენ, მისცეს სამღვდელოებას მორწმუნე ერის რელიგიური მოთხოვნების თავისუფლად მოწესრიგების საშუალება. „ჩვენის მხრით საჭიროდ ვსთვლით, – ნათქვამია განცხადებაში, – რომ ქართველი სამღვდელოება და მორწმუნენი დაუყოვნებლივ შეუდგნენ ეკლესიის ძველი ფორმების ნაცვლად ეკლესიურ მართვა-გამგეობაში სათანადო ცვლილებების შეტანას, თან მორწმუნეთა შორის მსოფლმხედველობის წმინდა სახარების მიხედვით განწმენდა-გასუფთავებას, ეკლესიური წესების გამარტივებას. ამისათვის გთხოვთ, მიეცეს სამღვდელოებას და მორწმუნეთ შესაძლებლობა შეუდგნენ სათანადო მუშაობას და მომავალში მონვეულ იქმნას სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელიც გადასინჯავს სარწმუნოებრივი ყოფა-ცხოვრების ძირითად საფუძვლებს და მართვა-გამგეობის დებულებას.“⁶⁷⁷ განცხადებას, რომლის დასკვნითი ნაწილი ე.წ. „ცოცხალი ეკლესიის“ სულისკვეთებითაა გაჟღერებული, ხელს აწერდნენ დეკანოზები დ. ხახუტაშვილი, ი. ჩიჯავაძე, ნ. თალაკვაძე, საერო პირები – ზაქარია ჭიჭინაძე და სოსიკო მერკვილაძე. იმავე პირებმა (ზ. ჭიჭინაძის გამოკლებით) 1923წ. 3 სექტემბერს საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს შ. ელიავას მიართვეს წერილი, რომელშიც, გარდა ეკლესიის ისტორიული დამსახურებისა, საუბარია სამღვდელოების ზეპარტიულობაზე, მის მონოდებაზე და მოვალეობაზე ანუგეშოს „მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, ვარკვიოთ მორწმუნეთა ცხოვრებაში ქრისტიანული მაღალი ზნეობა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანთა შორის სოციალური სამართლიანობის და თანასწორობის დამყარებას“; განცხადების ავტორები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ იმის გამო, რომ ქართულ ეკლესიას დიდძალი ქონება ჩამოართვა ჯერ რუსეთის თვითმკურობელობამ, შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ და, ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც ეკლესია ცენტრალური დანესებულებებისთვის განკუთვნილი შენობების გარეშე დატოვა; შენობები ჩამოერთვათ საეპარქიო დანესებულებებსაც. „ასეთი შევიწროება, – ვკითხულობთ წერილში, – არ განუცდია თბილისში სხვა სარწმუნოებათა თუ აღმსარებელთა ეკლესიებს, არ განუცდიათ ასეთი შევიწროება ფედერაციის არც ერთი რესპუბლიკის ეკლესიას არც რუსეთში, არც აზერბაიჯანში და არც ჩვენ მეზობელ სომხეთში.“ უფრო მეტიც, აღნიშნულ რესპუბლიკებში ეკლესიას დაუბრუნეს ჩამორთმეული ქონების ნაწილი, იქ საერთოდ არ უხლიათ ხელი ცენტრალურ და საეპარქიო დანესებულებათა შენობებისთვის თავიანთი ავეჯითა და ტაძრებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 3 სექტემბრის წერილის ავტორები ითხოვდნენ საპატრიარქო

676. იქვე, ფ.14.

677. იქვე, ფ.57-59.

რეზიდენციის დაბრუნებას მაინც, რათა „ქართულმა სამღვდლოებამ შესძლოს დამუშავება თავისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა, როგორც არის მნივნობრობა, გალობა და ქრისტიანული მოძღვრება დროისა და მეცნიერების მსვლელობის მიხედვით. არსად არ შეწყვეტილა ასეთი კულტურულ-ეკლესიური მუშაობა, ჩვენში კი შეჩერდა და მეტად უნუგემო მდგომარეობაში იმყოფება ყოველივე ესე“.⁶⁷⁸

საოკუპაციო რეჟიმი „პროგრესისტი“ სასულიერო პირების თხოვნასაც ყურადღებას არ აქცევდა და აგრძელებდა ეკლესიის სრული განადგურების პოლიტიკას, თუმცა მოსახლეობის მორწმუნე ნაწილის დაშოშმინების მიზნით შიგა და შიგ იღებდა „მკაცრ“ გადაწყვეტილებებს ანტირელიგიურ კამპანიაში იძულებითი ზომების დაუშვებლობის შესახებ და ვითომ ავალებდა ადგილობრივ ხელისუფალთ ხელი არ შეეშალათ მღვდელმოქმედების შესრულებისთვის. მსგავსი სულისკვეთებისა იყო საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდენტის 1923წ. 15 ივნისისა და 20 ივლისის გადაწყვეტილებები საეკლესიო საკითხებზე, საქართველოს კომპარტიის ცეკას 27 ივლისის ცირკულარი პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტებისადმი, სახკომსაბჭოს და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 10 აგვისტოს ცირკულარი, რუსეთის კომპარტიის ცეკას 16 აგვისტოს წერილი საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს.⁶⁷⁹ ამ უკანასკნელში გაკრიტიკებული იყო საქართველო, სადაც „პარტიის დირექტივების დარღვევით“ იკეტებოდა ეკლესიები, რაც მოსახლეობაში იწვევდა „დრტვინვასა და უკმაყოფილებას“. რუსეთის კომპარტიის ცეკა კრძალავდა ეკლესიების დახურვას რეგისტრაციაში გაუტარებლობის საბაბით და ისეთი კრებების გადაწყვეტილებით, რომლებსაც არ ესწრებოდნენ მორწმუნეები ან სხვა მორწმუნეთა თანხმობით. პარტიულ ორგანიზაციებს ამიერიდან სიმძიმის ცენტრი მორწმუნეთა დევნიდან რელიგიის კრიტიკაზე უნდა გადაეტანათ.

რუსეთის კომპარტიის ცეკას აღნიშნული დირექტიული წერილი, ისევე როგორც სხვა მსგავსი შინაარსის პარტიული დოკუმენტები, ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ და მხოლოდ სიტყვიერად „ზრუნავდნენ“ ეკლესიებზე, მაგრამ მასში საქართველოს უარყოფით კონტექსტში მოხსენიებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა ადგილობრივი საოკუპაციო სტრუქტურების ანტირელიგიურ საქმიანობაში. ისინი იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ რეგისტრაციაში გაუტარებლობის გამო ეკლესიების მასობრივად დახურვის ახალი ტალღის აგორებაზე. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ 1923წ. 20 ივლისის გაზ. „კომუნისტი“ გამოქვეყნებული ცაკ-ის იმავე წლის 7 ივლისის დეკრეტისა („ისეთ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა, რეგისტრაციისა და ზედამხედველობის წესის შესახებ, რომელნიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ“) და ამ დეკრეტთან დაკავშირებით შს სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციის (კომუნისტი, 1923, 26 ივლისი) მიხედვით, ადრე დაარსებული „საზოგადოება, კავშირი და შენაერთი“ თუ არ მოახდენდა „რეგისტრაციას ერთი თვის ვადაზე ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან,“ დახურულად იქნებოდა გამოცხადებული. ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტებში ეკლესიები მოხსენიებულიც არ იყო, რეგისტრაცია მათ არ გაუვლიათ. შესაბამისად, ეკლესიების „კანონიერად“ გაუქმება 20 აგვისტოდან დაიწყებოდა, მაგრამ რუსეთის კომპარტიის ცეკას ზემოთმოტანილი წერილის შემდეგ ანტირელიგიურმა კურსმა გარკვეული კორექტირება განიცადა.

პირველ რიგში, გაძლიერდა ანტირელიგიური პროპაგანდა. გაზეთში „კომუნისტი“ 1923წ. 29 აგვისტოს დაიბეჭდა ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის კ. ორაგველიძის მოწინავე წერილი „აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხები საქართველოში“. ავტორი, შეეხო რა ანტირელიგიური კამპანიის სფეროში დაშვებულ „შეც-

678. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.600, აღწ.1, ს.174, ფ.24-25.

679. გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ.316-320; შს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.492, ფ.52ა; აქვე, დოკ. №53.

დომებს“, წერდა: „ჩვენ რელიგიას ვერასდროს ვერ მოვსპობთ, თუ ფრთხილად არ ვიმოქმედეთ. არ შეიძლება ისე „ურა-იერიშებით“ მივიდეთ ღმერთებზე და ავაფეთქოთ ისინი, როგორც ამას ზოგან ახალგაზრდა კომკავშირის წევრები შვრებოდნენ. არ შეიძლება არც ადმინისტრაციული მეთოდით მოქმედება.“ კ. ორაგველიძის აზრით, საჭირო იყო ანტირელიგიური კამპანიიდან ანტირელიგიურ პროპაგანდაზე გადასვლა და ამ მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, კერძოდ, ანტირელიგიური მარქსისტული სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო ნიგნების გამოცემა, ანტირელიგიური ხაზის გატარება სამეცნიერო ჟურნალებში, სპეციალური ანტირელიგიური ჟურნალის დაარსება, ანტირელიგიური წრეების ჩამოყალიბება, მათ შორის სკოლებში და ა.შ. თავის მორიგ წერილში (კომუნისტი, 1923, 7 სექტემბერი) კ. ორაგველიძე უარყოფდა უღმერთოთა კავშირის დაფუძნების აუცილებლობას იმ მოტივით, რომ კომუნისტი ისედაც „გატაცებული ათეისტი უნდა იყოს ისე, როგორც გატაცებული პოლიტიკური მებრძოლია“. კ. ორაგველიძე პოპულარულად და ზუსტად აყალიბებდა კომუნისტურ შეხედულებას ეროვნებაზე და რელიგიაზე. იგი წერდა: „კომუნიზმი – ეს უკლასო, უერო და ურელიგიო საზოგადოებაა. მეორე და მესამე სახე ამ მომავალი საზოგადოებისა იქნება შედეგი, ისტორიული აუცილებლობა გაერთიანებულ მსოფლიო წარმოებისა, რომელიც ანგრევს და სპობს ნაციონალურ ზღუდეებს. ყოველივე კომუნისტი თან ათეისტიც არის. მთელი კომუნისტური პარტია კი ეს ათეისტების დიდი კავშირია. რელიგიის წინააღმდეგ პროპაგანდა მისთვის ისეთივე საკითხია, როგორც პარტიის გაძლიერება, ახალი ორგანიზაციების დაარსება და გამაგრება... ამრიგად, ჩვენ ათეისტთა ან უღმერთოთა კავშირი გვაქვს კომუნისტური პარტიის სახით“. ურწმუნო საზოგადოების ჩამოყალიბება კი, მისი აზრით, შესაძლებელია სკოლებში რელიგიის მეცნიერული შესწავლით.

„ახალი“ კურსის შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა 1923წ. 4 სექტემბერს განიხილა „რელიგიური საქმეები“ და დაადგინა, დახურული სინაგოგები დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს მორწმუნეებს (რომლებმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს სალოცავების დახურვის კამპანიას); სხვა აღმსარებლობის ეკლესიების დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა 12 სექტემბრისთვის დაგეგმილ საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმამდე გადაიდო; იუსტიციის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა პლენუმის მოწვევამდე მოამზადოს დეკრეტის პროექტი სამლოცველო სახლების იჯარით გადაცემის თაობაზე; იუსტიციის კომისარიატთან ჩამოყალიბდა საეკლესიო საკითხთა კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: მ. ოკუჯავა, ვ.ტალახაძე, მ.კახიანი და ი.ვარძიელი (თავმჯდომარე).⁶⁸⁰ 1923 წლის 12-15 სექტემბერს ცეკას პლენუმმა განიხილა შემდეგი „საეკლესიო საკითხები: ა) სამლოცველო სახლების რეგისტრაციის წესის შესახებ; ბ) ეკლესიების გახსნის შესახებ“. პლენუმმა გარკვეული შესწორებებით მოიწონა იუსტიციის კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქციის პროექტი „რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევისთვის ნებართვის გაცემის წესის შესახებ“ (აქვე, დოკ. №55). პლენუმის შესწორებების გათვალისწინებით, იუსტიციისა და შს კომისარიატებმა ინსტრუქცია 1923წ. 22 სექტემბერს დაამტკიცეს (აქვე, დოკ. №56). ახალი ინსტრუქციის მიხედვით, რეგისტრაციას ექვემდებარებოდნენ როგორც ახლად დაფუძნებული, ისე იმ დროისთვის ფაქტობრივად არსებული (რომლებსაც სამი თვის ვადა ეძლეოდათ რეგისტრაციისთვის) რელიგიური საზოგადოებები. მათ საქმიანობაზე მეთვალყურეობა შს კომისარიატს და მის ადგილობრივ სტრუქტურებს ეკისრებოდათ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობითა და სახალხო კომისართა საბჭოს 1923წ. 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარწმუნოებრივ საზოგადოებათა რეგისტრაციის ვადა, რომელიც 28 დეკემბერს იწურებოდა (ინსტრუქციის გამოქვეყნები-

680. შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 492, ფ. 65°.

დან 3 თვე), მხოლოდ 1924წ. 1 იანვრამდე გაგრძელდა.⁶⁸¹ იუსტიციისა და შს კომისარიატების მიერ 1923წ. 20 დეკემბერს დამტკიცებულმა რელიგიურ საზოგადოებათა შესახებ ინსტრუქციის ახალმა რედაქციამ ეს ვადა 1924წ. 1 თებერვლამდე გააგრძელა (აქვე, დოკ. №61). ინსტრუქციის ახალ რედაქციასთან ერთად გამოქვეყნდა რელიგიურ საზოგადოებათა წესდების, აგრეთვე რელიგიურ საზოგადოებასა და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში (აქვე, დოკ. №62).

1923 წლის განმავლობაში გატარებული ანტირელიგიური პოლიტიკის, ეკლესიამონასტრების უდიდესი ნაწილის დახურვის შედეგად სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა დიდძალი საეკლესიო ქონება და, რაც მთავარია, კულტურის უნიკალური ძეგლები. განათლების კომისარიატის ინიციატივით (1923წ. 7 მარტი),⁶⁸² სახალხო კომისართა საბჭომ 1923წ. 21 მარტს მიიღო დადგენილება სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტის დაარსების შესახებ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ შინაგან საქმეთა (ა.გეგეჭკორი), განათლებისა (დ.კანდელაკი) და იუსტიციის (ი.ვარძიელი) სახალხო კომისრები. 1923წ. 17 აპრილს კომიტეტმა გამოსცა (გამოქვეყნდა 25 მაისს) ინსტრუქცია – „ცირკულარი ყველა სამაზრო აღმასკომებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის და აფხაზეთის ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოებს“ (აქვე, დოკ. №49), რომელსაც ხელს აწერდა სამივე ზემოხსენებული უწყების ხელმძღვანელი. ცირკულარში მითითებულია გაუქმებული ეკლესია-მონასტრების, როგორც ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლების, ასევე ამ ძეგლებში დაცული განძეულობის სამ-სამ კატეგორიად დაყოფის კრიტერიუმები და კატეგორიების მიხედვით მათ აღრიცხვა-დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები. 1923 წ. 3 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულმა საეკლესიო საქმეთა კომისიამ ი.ვარძიელის (თავმჯდომარე), მ.ოკუჯავასა და ვ.ტალახაძის შემადგენლობით, იმსჯელა რა მაზრებში საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ, დაადგინა: „იმ ეკლესიების განძეულობა, რომლებიც დახურული არიან და დაბრუნებას არ ექვემდებარებიან, რჩება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში და ყოველთვის მისი გამოყენება ხდება სახკომსაბჭოს ნებართვით მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო საჭიროებისთვის ისეთნაირად, რომ უკანასკნელ შემთხვევაში (სამეურნეო საჭიროებისთვის – ჯ.გ.) განძეულობის რეალიზაციამ მოგვცეს საგრძნობი შედეგები ადგილობრივი გლეხობისთვის“.⁶⁸³ რელიგიურ საქმეთა კომისიის ეს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1923წ. 23 ნოემბრის №115 დადგენილებას „საეკლესიო განძეულის გამოყენების წესის შესახებ“ (აქვე, დოკ. №59). დადგენილების მიხედვით, მუზეუმებისთვის გადაცემას და ამ გზით დაცვას ექვემდებარებოდა ისტორიული მნიშვნელობის საეკლესიო განძეულობა. დანარჩენი განძეული (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები) გამოყენებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო მიზნებისთვის, უმთავრესად კი გლეხობის საჭიროებისთვის. 1923წ. 23 ნოემბრის სამთავრობო დადგენილებამ წაახალისა ეკლესია-მონასტრების იძულებით დახურვის ვითომ შეჩერებული პროცესის გაგრძელება.

ქართულ ეკლესიაში დაპირისპირების გაღრმავებისკენ იყო მიმართული საოკუპაციო რეჟიმის ზენოლით დროებითი საკათოლიკოსო საბჭოს მიერ 1923 წ. 24 ოქტომბერს მიღებული დადგენილება იმავე წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს ეკლესიაში ახალი სტილის კალენდრის შემოღების შესახებ. მაშინ პატიმრობაში მყოფი

681. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 600, აღნ. 1, ს.179, ფ.55.

682. იქვე, ს.130, ფ.55.

683. იქვე, ს.114, ფ.13.

კათოლიკოს-პატრიარქი თითქოს არ იყო ახალი კალენდრის შემოღების წინააღმდეგი, მაგრამ იმ პირობით, რომ ამისთვის მორწმუნეები წინასწარ შეემზადებინათ. მისი უწინდესობა დაარწმუნეს, რომ ყველა ზომა მიღებულია და ხალხიც მზად არის ახალი კალენდრის მისაღებად. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ხალხმა წინასწარ არაფერი იცოდა ამ სიახლის შესახებ. მორწმუნეთა დიდმა უმრავლესობამ ის არ მიიღო.⁶⁸⁴

საოკუპაციო რეჟიმის მიერ 1923 წელს გაჩაღებულმა, ლამის ისტერიამდე მისულმა ანტისარწმუნოებრივმა, ანტიმართლმადიდებლურმა კამპანიამ, რომელიც “მშრომელი ხალხის” სახელით ეკლესია-მონასტრების ნგრევაში და დახურვაში, “მუშურ-გლეხური სასამართლოს” მიერ კათოლიკოს-პატრიარქის მეთაურობით ქართული საეკლესიო მთავრობის დაპატიმრებაში, სასულიერო პირების დევნა-შევიწროებაში გამოიხატა, თავის სტრატეგიულ მიზანს – რელიგიური რწმენის აღმოფხვრას, ახალი კომუნისტური „რელიგიის“ დანერგვას – ოდნავადაც ვერ მიუახლოვდა. უფრო მეტიც, აშკარა გახდა ფართო საზოგადოების უკმაყოფილება ველური ანტირელიგიური პოლიტიკით. არსებულმა რეჟიმმა, მართალია, მხოლოდ სიტყვიერად, მაგრამ მაინც არაერთხელ აღიარა ამ სფეროში დაშვებული „შეცდომები“. მსგავს აღიარებებს მოჰყვა არა „შეცდომების“ გამოსწორება, საეკლესიო პოლიტიკის გადასინჯვა, არამედ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების დახვეწა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა ძველ, ნაცად მეთოდებზე საბოლოოდ უარის თქმას.

კათოლიკოს-პატრიარქისა და მთელი სასულიერო მთავრობის გასამართლება, მის ნაცვლად კი მორჩილი დროებითი მმართველობის ჩამოყალიბება, ეკლესია-მონასტრების უმეტესობის დახურვა და სხვა ანტირელიგიური ღონისძიებები საბჭოთა ხელისუფლებას უქმნიდა ილუზიას, რომ 1924 წელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით წინა წლებთან შედარებით ბევრად უფრო „წარმატებული“ იქნებოდა. ის არანაირ ანგარიშს არ უწევდა ეკლესიის სათავეში მყოფ კომუნისტური რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ დროებით მმართველობას ეპ. ქრისტეფორეს მეთაურობით და „შეცდომების“ აღიარების პარალელურად კვლავაც აგრძელებდა უხეშ ანტირელიგიურ პოლიტიკას. 1924 წლის აპრილში, ისევე როგორც ერთი წლის წინ, ჩატარდა ე.წ. „კომკავშირული აღდგომა“. ამის თაობაზე 3 აპრილს იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო ბურომ,⁶⁸⁵ 6 აპრილს – ცეკას პრეზიდიუმმა. ამ უკანასკნელმა დაადგინა, „კომკავშირული აღდგომის“ დღეებში „სანქცირებული იქნას მსვლელობა მხოლოდ თბილისის ქუჩებში“.⁶⁸⁶ საქართველოს კომპარტიის ცეკამ თავის ანგარიშში 1924 წლის პირველ ნახევარში აგიტაცია-პროპაგანდის დარგში განეული მუშაობის შესახებ მაღალი შეფასება მისცა და წარმატებული უწოდა „კომკავშირული აღდგომის“ (ასევე „კომკავშირული შობის“) ჩატარებას და სხვა ანტირელიგიურ ღონისძიებებს. „ტფილისში ჩვენ ჩავატარეთ ფართო ანტირელიგიური ყენობა (კარნავალი), – ნათქვამია ანგარიშში, – კლუბებში მოვანყვეთ ბაასი. ეს წელიწადი განსაკუთრებით შესანიშნავია ახალი ყოფაცხოვრების შექმნის მხრით. კომუნისტური ნათვლა, ქორნილი უკვე მასიურ მოვლენად იქცა, იგი ახლა სოფელშიც გადადის და ყველგან ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი არის პიონერი. ახალგაზრდობას შორის უაღრესად და აბსოლუტურად ათეისტური განწყობილებაა გამეფებული. ზოგიერთ კლუბებთან მოწყობილია ანტირელიგიური წრეები, კუთხეები ბუნებისმეტყველებისა და მეცნიერული წრეები“. ანტირელიგიური მუშაობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად და “ახალი ყოფა-ცხოვრების დასამყარებლად“ ცეკას მიზანშეწონილად მიაჩნდა “კომუნისტური ნათლობებისა და ქორნილების“ გარდა შემო-

684. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.102, გვ. 61-62; ს.ვარდოსანიძე. სრ. საქ. კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე III, გვ. 53-55.

685. შსს არქივი, ფ.14, აღწ. 2, ს. 17, ფ.30^ა

686. იქვე, ს.12, ფ.32^ა.

ელოთ „რევოლუციური დღესასწაულებიც, ნაცვლად საეკლესიო დღესასწაულების“.⁶⁸⁷ ასეთი „დღესასწაულები“ მართლაც იქნა დანესებული. შრომის სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირთა საბჭოს 1924წ. 14 ივნისის დადგენილებაში „რევოლუციურ უქმეების და დასვენების დღეების შესახებ“ არც ერთი რელიგიური დღესასწაული არ იყო აღნიშნული, სამაგიეროდ დასვენების დღეებად გამოცხადდა 21 იანვარი (ვლენინის „გლოვის დღე“), 25 თებერვალი („საქართველოს გასაბჭოების დღე“), 12 მარტი (თვითმპყრობლობის დამხობის დღე), 18 მარტი (პარიზის კომუნის დღე), 1-2 მაისი (ინტერნაციონალის დღე), 6 ივლისი (სსრკ კონსტიტუციის დღე), 7-8 ნოემბერი („პროლეტარული რევოლუციის დღე“) და ა.შ.⁶⁸⁸

საქართველოს კომპარტიამ 1924 წ. 6-11 მაისს გამართულ თავის III ყრილობაზე ანტირელიგიური მუშაობის შედეგებიც შეაჯამა. ცეკას საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ბ. ლომინაძემ გააკეთა, ნათქვამია, რომ ეკლესიისა და სარწმუნოების საკითხი „ყოველთვის ჩვენი ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა“; ცეკას ინიციატივით აღიძრა ისეთი საკითხები, როგორიცაა სამხედრო ტაძრის კომკავშირისთვის გადაცემა, მონამეთას მონასტერში ნემსების გახსნა და კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმე. მომხსენებლის მტკიცებით, რაც ძალიან შორსაა სიმართლისაგან, მონამეთას მონასტერში წმინდანთა ნემსების გახსნის შემდეგ, როცა დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან ჩამოყვანილი გლეხთა დელეგატები დარწმუნდნენ, რომ საქმე აქვთ არა უხრწნელ ნემსებთან, „არამედ რაღაც ნაგავთან“(!), მოსახლეობას ეკლესიების დახურვა დაუწყია; ანტირელიგიური კამპანიის საფუძველს წარმოადგენდა თითქოს აგრარული რეფორმა. „გლეხების წინაშე დაისვა კითხვა: უნდა მიეცეს თუ არა მღვდელს მიწა და გლეხები თვითონ ადგენდნენ: ან შენ ემსახურები ღმერთს და მაშინ იკვებები ციური მანანით ან რითაც გნებავთ, მიწა კი ჩვენ დაგვიტოვე, ან გაიხადე ანაფორა და აი შენ მიწა“. ამის შემდეგ ბევრმა მღვდელმა მართლა გაიხადა ანაფორა, – განაცხადა ბ.ლომინაძემ. საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში დაიხურა 1500 ეკლესია; „ეს დიდი მიღწევაა. მაგრამ დაშვებული იქნა პატარა შეცდომა“, – თქვა. ბ. ლომინაძემ, გულისხმობდა რა ადმინისტრაციული მეთოდებით ეკლესიების დახურვას. 1924 წლის მაისისთვის ცეკასთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიაში, მომხსენებლის განცხადებით, ეკლესიების გახსნის მოთხოვნით 60 განცხადება შემოვიდა, რომლებიც უნდა დაკმაყოფილებულიყო. ანტისარწმუნოებრივი კამპანიის მთავარ ამოცანად ყრილობა აცხადებდა არა ეკლესიების ფიზიკურ დანგრევას, არამედ ამ კამპანიის მეშვეობით გლეხობის კულტურული დონის ამაღლებას.⁶⁸⁹

საქართველოს კომპარტიის კონკრეტული ამოცანები ანტირელიგიური პროპაგანდის სფეროში ყრილობამ ჩამოაყალიბა რეზოლუციაში „სოფლად მუშაობის შესახებ“, რომელიც ფ. მახარაძემ მოამზადა. მასში აღნიშნულია, რომ გვაქვს როგორც „უდიდესი მიღწევები“, ისე „საკმაოდ დიდი შეცდომები“. „ყველა ამხანაგებმა უნდა იცოდნენ, – ვკითხულობთ რეზოლუციაში, – რომ ანტირელიგიური პროპაგანდის დროს პარტია გადაჭრით წინააღმდეგია მექანიკური საშუალებების გატარებისა, მაგალითად, ეკლესიათა დახურვისა მხოლოდ ადმინისტრაციული განკარგულებით, მითუმეტეს წინააღმდეგია იგი მორწმუნე გლეხთა რელიგიურ გრძნობათა შეურაცხყოფისა. არ უარყოფთ რა სრულიადაც ანტირელიგიური აგიტაციის მნიშვნელობას, ჩვენ მაინც უმთავრესი ყურადღება რელიგიურ რწმენის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა მივაქციოთ პროპაგანდას“. რეზოლუციის მიხედვით, ანტირელიგიურ პროპაგანდაში იგულისხმებოდა არა მარტო ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების მატერიალისტური ახსნა-განმარტება, არამედ საბჭოთა ხელისუფლების მთელი კულტურულ-საგან-

687. უწყებები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა, 1924, მაის-ივნისი, №6-7, გვ.135.

688. კომუნისტი, 1924, 20 ივნისი.

689. კომუნისტი, 1924, 10 მაისი.

მანათლებლო მუშაობა, სამღვდლოებისა და ეკლესიის „კონტრრევოლუციური“ როლის წარმოჩენა.⁶⁹⁰

საქართველოს კომპარტიის III ყრილობამ, მიუხედავად „პატარა“ (ბ. ლომინაძე), ხან კიდევ „დიდი“ (რეზოლუცია „სოფლად მუშაობის შესახებ“) შეცდომების საქვეყნოდ აღიარებისა, ანტირელიგიური კამპანიის შემდგომი გაღრმავების ამოცანები დასახა. არც დახურული ეკლესიების გახსნას აპირებდა ვინმე, თუმცა ბ. ლომინაძემ ცეკას კომისიაში შემოსული 60 განცხადების დაკმაყოფილება „მოითხოვა“. საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას კი ეპ. ქრისტეფორეს მეთაურობით, ეტყობა, მოეჩვენა, რომ საქართველოს კომპარტიამ ანტირელიგიური კურსი რამდენადმე მაინც შეცვალა და ამიერიდან შესაძლებელია მასთან დიალოგი ეკლესიის მდგომარეობის გამოსწორების თაობაზე. ამ იმედით ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ 1924წ. 15 მაისს მთავრობის თავმჯდომარეს წერილიც გაუგზავნა. იგი დაინერა იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილესთან 1924წ. 10 მაისს ეპ. ქრისტეფორეს შეხვედრის შემდეგ. წერილში მოკლედ არის აღწერილი ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა ეკლესია და ქართული სამღვდლოება ბოლო ერთი წლის განმავლობაში. ეპ. ქრისტეფორე ითხოვდა სასულიერო პირების სხვებთან გათანაბრებას სამოქალაქო უფლებებში, გაპარტახებულ მონასტრებში ჯერ კიდევ მცხოვრები ბერებისთვის მინის გამოყოფას, დახურული ეკლესიების გახსნას მრევლის უმცირესობის მოთხოვნითაც კი, რელიგიურ საზოგადოებათა დაფუძნების წესის გამარტივებას, სასულიერო პირებისთვის საერო ტანისამოსით სამოქალაქო სამსახურში შესვლის უფლების აღდგენას, ღვთისმსახურებისთვის აუცილებელი ქონების დაბრუნებას. ამასთანავე ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ დაადასტურა, რომ საქართველოს ეკლესია „სცნობს დღევანდელ საბჭოთა მთავრობას, დგას პოლიტიკის და პოლიტიკური პროცესის გარეშე და არავის თავის წევრთაგან არ მისცემს უფლებას ამის წინააღმდეგ წავიდეს.“⁶⁹¹

საბჭოთა რეჟიმმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ყურადღება არ მიაქცია არა თუ ეპ. ქრისტეფორეს თხოვნას, არამედ III პარტიულ ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებსაც კი. საქართველოს კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო ბიურომ 1924 წ. 16 მაისს დაამტკიცა საეკლესიო კომისია; ცეკას პრეზიდიუმის იმავე წლის 20 მაისს გადაწყვეტილებამ „ეკლესიების გახსნის წესის შესახებ“ კიდევ ერთხელ ცხადი გახადა, თუ რაოდენ ღრმა იყო უფსკრული კომუნისტების სიტყვასა და საქმეს შორის. მიღებული დადგენილება წინადადებას აძლევდა საქართველოს ცაკ-ს „საჩქარო წესით გაიტანოს დადგენილება თბილისისთვის, ქუთაისისთვის, ფოთისთვის, ბათუმისთვის და სოხუმისთვის დამფუძნებელთა რაოდენობის 1500 კაცამდე გაზრდის შესახებ“.⁶⁹² ცეკას პრეზიდიუმის ეს დადგენილება, რა თქმა უნდა, შესრულდა. 1924 წ. 9 ივლისს იუსტიციისა და შს სახალხო კომისარიატებმა დაამტკიცეს „ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევისათვის ნებართვის გაცემის წესის შესახებ“ (დოკ. №73). იგი აწესებდა კიდევ უფრო მკაცრ, ტოტალურ კონტროლს ეკლესიაზე, მან შემოიღო დამატებითი ბარიერები, რომლებიც აფერხებდნენ, ხშირად კი გამოორიცხავდნენ რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციას და ფუნქციონირებას. ერთ-ერთი ასეთი გადაულახავი ბარიერი გახლდათ მეხუთე პუნქტი, რომლის მიხედვითაც დამფუძნებელთა რიცხვი დიდ ქალაქებში 300-დან, როგორც ეს იყო გათვალისწინებული 1923 წ. 22 სექტემბრის ინსტრუქციით (აქვე, დოკ. 56), 1500 კაცამდე გაიზარდა. დანარჩენი დასახლებული პუნქტებისთვის დამფუძნებელთა რიცხვი იგივე დარჩა. უკვე არსებულ რელიგიურ საზოგადოებებს ევალებოდათ, ახალი ინსტრუქციის მიხედვით, ხელახალი რეგისტრაციის გავლის

690. საქართველოს კომპარტიის (ბ) მესამე ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებანი. თბ., 1924, გვ. 37-38.

691. ს. ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე III, გვ. 58-60.

692. შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 2, ს. 12, ფ. 39ა.

თაობაზე განცხადების შემოტანა 2 თვის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დახურულად გამოცხადდებოდნენ. ანტიმართლმადიდებლური ჯგუფების წახალისების მიზნით სხვადასხვა სექტანტებისთვის (მალაკანები, დუხობორები და სხვ.) დამფუძნებელთა მინიმალური რაოდენობა მხოლოდ 50 კაცით განისაზღვრა.

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ეკლესიის მოშობას ეკონომიკური მეთოდებითაც. 1924 წ. 28 თებერვალს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკ-ის მიერ დამტკიცებულმა მინის კოდექსმა, რომელიც ცაკ-ის და სახკომსაბჭოს „მომბეში“ (1924, №5) გამოქვეყნდა და ცალკე ნიგნადაც გამოიცა, თავისი მე-9 და მე-82 მუხლების ძალით სამღვდელოებას მინით სარგებლობის უფლება ჩამოართვა. ამ მუხლების სპეციალურ განმარტებაში (დაამტკიცა ცაკ-მა 1924წ. 4 ივნისს) პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „მინა უნდა მიეცეს რელიგიური კულტის მხოლოდ იმ მსახურს, რომელმაც ხელი აიღო თავის ხარისხს ან ნოდებაზე“⁶⁹³ (82-ე მუხლის თანახმად, რელიგიური კულტის მსახურს შეეძლო შეენარჩუნებინა მხოლოდ თავისი ადრინდელი სამოსახლო ადგილი). მინის კოდექსიც სოფლად ეკლესიების ფაქტობრივი დახურვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. იგი აიძულებდა სამღვდელოებას ხელი აეღო სასულიერო ნოდებაზე, რათა მიეღო მინის ნაკვეთი ანუ მთავარი საარსებო წყარო. ასე, მაგალითად, 1924წ. 8 აგვისტოს ზესტაფონის რაიონის (შორაპნის მაზრა) სამღვდელოების კრებამ განიხილა მინის კოდექსის მე-9 და მე-82 მუხლები და დაადგინა: „ვსტოვებთ დღეიდან მღვდელმოქმედებას. დღეიდან მივალთ სოფლის გლეხებთან არა როგორც მღვდლები, არამედ როგორც გლეხი – მინის მუშა.“⁶⁹⁴ დადგენილებას ხელს აწერდა 24 მღვდელი. ზუსტად იგივე შინაარსის დადგენილებას მოაწერა ხელი დაბა ჩხარში (შორაპნის მაზრა) 1924წ. 16 აგვისტოს გამართული სამღვდელოების კრების 25 მონაწილემ.⁶⁹⁵ მსგავსი შემთხვევები მრავლად იყო საქართველოში, როდესაც ეკლესიებს თითქოს არ ხურავდნენ (ამით კომუნისტები დაპირებებს „ასრულებდნენ“), მაგრამ მღვდლების გარეშე დარჩენილ ტაძრებში მღვდელმსახურება არ მიმდინარეობდა, რეალურად ისინი არ ფუნქციონირებდნენ. რაჭის სამაზრო-პარტიული კომიტეტიდან 1924წ. 12 აგვისტოს ცეკაში გამოგზავნილი წერილის მიხედვით, იქაურმა სამღვდელოებამ გაიპარსა და ანაფორა გაიხადა. სამაზრო კომიტეტი ითხოვდა 10 ათას მან. ყოფილი ეკლესიების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებად გადაკეთების მიზნით.⁶⁹⁶

ყოველივე ამის შემდეგ არანაირი ფასი არ ჰქონდა რუსეთის ცაკ-ის 1924წ. 14 აგვისტოს ცირკულარის საფუძველზე ამიერკავკასიის ცაკ-ის მიერ მოსახლეობის მოსატყუებლად გავრცელებულ ცირკულარს სინდისის თავისუფლების თაობაზე გამოცემული საბჭოთა კანონების ადგილებზე შესრულების მიმდინარეობის შესახებ.⁶⁹⁷ მასში აღნიშნული ხარვეზები მხოლოდ საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობად შეიძლება შეფასდეს, რადგანაც ყველა ე.წ. საბჭოთა კანონი სინდისის თავისუფლების დათრგუნვისაკენ, ნაბიჯ-ნაბიჯ ეკლესიის განადგურებისაკენ იყო მიმართული.

საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო ზომები ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლების, მათ შორის, პირველ რიგში, დახურული ეკლესია-მონასტრების, აგრეთვე ყოველგვარი განძისა და არქეოლოგიური მნიშვნელობის ცალკეული ნივთების დასაცავად. ამ მიზნით გამოიცა სრულიად საქართველოს ცაკ-ის 1924 წლის 4 ივნისის დადგენილება №95 „სიძველეთა, ბუნების და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ“ (აქვე, დოკ. №72). ამ დადგენილებას სულაც არ შეუძლია ხელი საბჭოთა რეჟიმისთვის აღშფოთებული მოსახლეობის თვალ-

693. კომუნისტი, 1924, 8 ივნისი.

694. კომუნისტი, 1924, 19 აგვისტო.

695. კომუნისტი, 1924, 27 აგვისტო.

696. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 600, აღნ. 1, ს. 167, ფ.51.

697. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღნ.1, ს. 149, ფ.13-15.

ნინ 1924წ. 3 ივლისიდან 2 აგვისტომდე ენარმოებინა ქუთაისის საკათედრო ტაძრის ნგრევა,⁶⁹⁸ იმ ტაძრისა, რომელიც ბატონყმობის გაუქმების აღსანიშნავად ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) ააშენა. ვინაიდან სახელმწიფოს არ გააჩნდა საკმარისი თანხები 1924 წ. 4 ივნისის დადგენილების შესასრულებლად, მთელ რიგ დახურულ მონასტრებში დროებით დატოვეს ბერებისა და მონაზვნების გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც შესაბამისი ძეგლების უსასყიდლოდ დაცვა ევალებოდათ.⁶⁹⁹

საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლება ხშირად „ივინყებდა“ საკუთარ გადანყვეტილებებს, „თვითკრიტიკას“, დაშვებულ „შეცდომებს“ და აგრძელებდა ტერორს მისთვის მიუღებელი სამღვდელოების წინააღმდეგ. 1924 წ. 3 აგვისტოს, როდესაც ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) თავის თანმხლებ პირებთან ერთად სვირის რაიონის სოფ. როდინოულში ადგილობრივი ეკლესიის კურთხევის მიზნით იმყოფებოდა, ის დააპატიმრეს და 19 აგვისტოს ქუთაისის მაზრის პოლიტიუროს რწმუნებულის თანაშემწის გ. შონიას დადგენილებით დახვრიტეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კონტრრევოლუციური საქმიანობის წარმოების ბრალდებით. მასთან ერთად დახვრიტეს მღვდლები გერმანე ჯაჯანიძე, სიმონ მჭედლიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე და პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე. 1995 წ. 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაფართოებულმა კრებამ ღვთისა და ერის წინაშე მონამებრივი ღვაწლისთვის მიტროპოლიტი ნაზარი და მასთან ერთად უმონყალოდ დახოცილი სასულიერო პირები წმინდანთა დასში შერაცხა.⁷⁰⁰

საქართველოს კომპარტიის მკვეთრად გამობატული, მეტისმეტად უხეში და ველური ანტისაეკლესიო პოლიტიკა მოსახლეობის საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევდა. მან თავი იჩინა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული სახალხო აჯანყებისას, რომელმაც 1924 წ. აგვისტოს ბოლოს იფეთქა. მასში მონაწილე ასეულობით სასულიერო პირთა უმეტესობა დახვრიტეს. ქართველი კომუნისტების ცეკას აღიარებით, „გამოსვლების დროს კონტრრევოლუციამ გამოიყენა რელიგიურათ განწყობილი ხალხი. თავის პროკლამაციაში პარტიტეტული კომიტეტის წევრებს წამოყენებული ჰქონდა ლოზუნგი: „ძირს ურჯულო ურიები, გაუმარჯოს ქრისტიანულ სარწმუნოებასო“.⁷⁰¹

ქართველი ხალხის აჯანყებისა და მასში სამღვდელოების მონაწილეობის შესახებ ცნობილი გახდა ევროპაშიც. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ედუარდ ერიო 1924 წ. 8 სექტემბრის მემორანდუმის დამატებაში საუბრობდა მოსკოვის ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ საქართველოში მომხდარ აჯანყებაზე, რომელიც ერთა ლიგის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა მოექცეს; ამასთანავე მან გაიხსენა, რომ „ქართველი ხალხისა და მისი ეკლესიის წარმომადგენლებმა არაერთხელ მიმართეს დახმარებისათვის მოკავშირეთა მთავრობებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.“⁷⁰² ედუარდ ერიო ამკარად კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმს გულისხმობდა.

საქართველოს კომპარტიის 1924 წ. ცეკას ოქტომბრის პლენუმმა სახალხო აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად ანტირელიგიური კამპანიის წარმოებისას დაშვებული შეცდომები მიიჩნია და თავის რეზოლუციაში ჩაწერა: „სოფლად ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდის წარმოების სფეროში პარტიულ ორგანიზაციებს უნდა მიეცეს დირექტივა იმ აზრით, რომ მათ კატეგორიულად შეწყვიტონ ეკლესიების დახურვა.

იმ რაიონებში და ადგილებში, სადაც გლეხობის ზოგიერთი ნაწილი მოითხოვს

698. ს. ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები). თბ., 2010, გვ. 130-131.

699. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 600, აღწ. 1, ს. 256, ფ. 8.

700. ს. ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ამბროსი, გვ. 117-121; ს. ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები გვ. 131.

701. უწყებები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა, 1924, სექტემბერ-ოქტომბერი, №10, გვ. 12-13.

702. გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 334.

ეკლესიების გახსნას, ნებადართული და გაადვილებული უნდა იქნეს ეკლესიების გახსნის საქმე, ამასთანავე წინადადება უნდა მიეცეს ადგილებს სისწორით შეასრულონ ცეკას და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ამ საკითხის შესახებ და თვალყური ადევნონ ამ დირექტივების შესრულებას^{.703}

საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა 1924 წ. 5 ნოემბერს მოისმინა იუსტიციის კომისრის ი.ვარძიელის მოხსენება “ეკლესიების გახსნის წესის შესახებ” და დაადგინა: “საკითხი გადატანილ იქნას ცაკ-ში და შემუშავდეს პროექტი რუსეთის კომპარტიის ცეკას დადგენილების სულისკვეთებით^{.704} პრეზიდიუმს მხედველობაში ჰქონდა რუსეთის კპ ცეკას 1924 წლის ოქტომბრის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი საქართველოში სახალხო აჯანყების შესახებ და სხვა პრობლემებთან ერთად იმსჯელა ანტირელიგიურ პროპაგანდაში დაშვებულ “შეცდომებზე” და მათი გამოსწორების აუცილებლობაზე^{.705} საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა 1924წ. 25 ნოემბერს მოისმინა საკითხი კლუბებად გადაკეთებული ეკლესიების გახსნის შესახებ და მიღებულ დადგენილებაში ჩაწერა: „პარტიული წესით ორგანიზაციებს მიეცეს დირექტივა, რომ დასაშვებია კლუბებად გადაკეთებული ეკლესიების გლეხობისთვის დაბრუნება მათი მოთხოვნის შემთხვევაში^{.706} 1924წ. 5 დეკემბერს ცეკას პრეზიდიუმმა კვლავ განიხილა კლუბებად გადაკეთებული ეკლესიების გლეხობისთვის დაბრუნების საკითხი, ამასთან დაკავშირებით ცეკას საორგანიზაციო ბიუროდან 29 ნოემბერს შემოსული ცირკულარი და მიიღო დადგენილება: „ცირკულარი მიღებულ იქნას. მორწმუნეთათვის ეკლესიების გადაცემის შესახებ ყველა დოკუმენტი გადაეცეს საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმს.

არ იქნას დაშვებული მონასტრებისა და სამონასტრო ეკლესიების (მეტოქის) გახსნა^{.707}

პარტიულ დადგენილებებს გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები უნდა მოჰყოლოდა. საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის 1924 წ. 1 სექტემბრის და სახკომსაბჭოს 4 სექტემბრის გადაწყვეტილებებით ეკლესიების რეგისტრაციის ვადა თბილისში ერთი თვით გაგრძელდა^{.708} 1924 წლის 21 ნოემბერს სრულიად საქართველოს ცაკ-მა მიიღო შედარებით ლიბერალური დადგენილება ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ. შესაბამისად, გაუქმდა ადრე მოქმედი ინსტრუქციები და განკარგულებები, რომლებიც ზღუდავდნენ „მოქალაქეთა მიერ რელიგიური კულტის თავისუფლად აღსრულებას“; რელიგიურ საზოგადოებათა დამფუძნებლების მინიმალური რაოდენობა შვიდამდე ჩამოვიდა; ადრე რეგისტრირებული საზოგადოებები განთავისუფლდნენ ხელახალი რეგისტრაციის ვალდებულებისაგან და ა.შ. ახალი ინსტრუქციის თანახმად, სამხედრო ტაძრები არ ექვემდებარებოდნენ აღდგენას (აქვე, დოკ. №74). ცაკ-ის 21 ნოემბრის დადგენილებაში და მისი აღსრულებისთვის 1924წ. 2 დეკემბერს გამოცემულ ინსტრუქციაში (აქვე, დოკ. №75) არ იყო მითითებული, მაგრამ, როგორც ვნახეთ, საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმის 1924 წ. 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით კატეგორიულად იკრძალებოდა მონასტრების გახსნა. ცაკ-ის 1924 წ. 21 ნოემბრის დადგენილებას, იუსტიციისა და შს კომისარიატების 2 დეკემბრის ინსტრუქციას თან ერთვოდა რეგისტრაციისას რელიგიურ საზოგადოებასა და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში^{.709} 1923 წ. 20 დეკემბრის ნიმუშთან (ქვეყნდება,

703. კომუნისტი, 1924, 12 ოქტომბერი.

704. შსს არქივი, ფ.14, აღწ. 2, ს. 12, ფ. 80^ა.

705. Очерки истории Компартии Грузии, т. 2, გვ. 60-61.

706. შსს არქივი, ფ.14, აღწ. 2, ს. 12, ფ. 85.

707. იქვე, ფ. 86; ს.17, ფ.122.

708. შსს არქივი, ფ.14, აღწ. 2, ს. 12 ფ. 65^ა; საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.600, აღწ. 1, ს.299, ფ.43^ა.

709. ს.ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ამბროსი, გვ. 173-176.

იხ. დოკ. №61) შედარებით მას ცვლილება არ განუცდია, ამიტომ ხელმეორედ არ ქვეყნდება.

როგორც 1924 წ. 21 ნოემბრის დადგენილებამ, ისე 2 დეკემბრის ინსტრუქციამ, ასე თუ ისე, იმუშავეს. საოკუპაციო რეჟიმი გარკვეულ დათმობაზე წავიდა. 1924 წლის ბოლომდე ათასზე მეტი ეკლესია გაიხსნა,⁷¹⁰ თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა პრობლემის დღის წესრიგიდან მოხსნას. 1924წ. სექტემბერში ბანძის თემის (სენაკის მაზრა) კომუნისტური უჯრედი თავის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ გლეხობამ ყველა ეკლესია დახურა და ისინი ნაწილობრივ კულტურულ დაწესებულებადაა გადაკეთებული. 1925წ. თებერვალში კი ბანძაში ჩამოსული მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსპექტორი თაყაიშვილი საქართველოს კომპარტიის ცეკას წერდა, რომ ბანძის თემში “უმთავრესად გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას ეკლესიების დახურვის შესახებ.”⁷¹¹ იმავე წლის 23 მარტს სენაკის მაზრაში მივლინებული ა.კაჭარავა ცეკასთვის წარდგენილ მოხსენებაში წერდა, რომ ადგილობრივი გლეხობა უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებდა იმას, რომ “რელიგიური საკითხი არ არის გადანყვეტილი და არც გადანყდება, რადგანაც თითქმის ყველა ეკლესია დანგრეულია და როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება ეკლესიის გახსნის ნებარვას იძლევა, უმეტეს შემთხვევაში ეს შეუძლებელია მისი არარსებობის გამო”.⁷¹² მეტნაკლებად ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა რეგიონებშიც. სერიოზულ პრობლემად იქცა სასულიერო პირთა კატასტროფული უკმარისობა. ზოგიერთ ადგილზე ეკლესიას წინამძღვარი არ ჰყავდა და მასში ღვთისმსახურება არ აღევლინებოდა. სამღვდლოება კვლავაც იდევნებოდა. შევიწროება-შეურაცხყოფას განიცდიდნენ არა მხოლოდ მოქმედი სასულიერო პირები, არამედ ყოფილი ღვთისმსახურნიც. ასე, მაგალითად, თელავის მაზრის სოფ. ახალსოფლის ყოფილი მღვდელი რაჟდენ თურქაძე, რომელმაც ანაფორა 1924წ. 4 სექტემბერს იძულებით გაიხადა, იმავე წლის 30 სექტემბერს საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარეს წერდა იმის შესახებ, თუ როგორ იდევნება იგი მღვდლობის დატოვების შემდეგაც ადგილობრივი აღმასკომის თანამშრომლების მიერ.⁷¹³

საქართველოს კომპარტიამ მხოლოდ ტაქტიკა შეცვალა, სტრატეგიული მიზანი კი ამჯერადაც უცვლელი დარჩა. “სიახლე” მდგომარეობდა შემდეგში: “ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ არა ეკლესიების დახურვა მიგვიყვანს ჩვენ რელიგიის მოსპობამდე, არამედ თვით რელიგიის მოსპობა და რელიგიური განწყობილების აღმოფხვრა მიგვიყვანს ეკლესიების სრული და საბოლოო დახურვამდე, რადგან ისინი უკვე აღარავისათვის საჭირო არ იქნება”.⁷¹⁴ კომუნისტები, ალბათ, იმედოვნებდნენ, რომ ადგილობრივი, მაგრამ ღვთისმსახურთა გარეშე დარჩენილი ეკლესიები მალე „არავისთვის საჭირო არ იქნებოდნენ“ და აქტიური პროპაგანდისტული მუშაობით რელიგიასაც „მოსპობდნენ“. ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერების მიზნით, საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნომ 1924წ. 8 ოქტომბერს მიიღო დადგენილება გაზეთ “მინის მუშას“ დამატების სახით ანტირელიგიური ყოველთვიური ჟურნალის გამოცემის შესახებ⁷¹⁵ და ა.შ.

1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ რეპრესიებს გადარჩენილი ქართული სამღვდლოება, ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოებას, მისი კეთილგანწყობის მოპოვებას. თბილისის ოლქის სამღვდლოების კრებამ, რომელიც 1924წ. 25-26 სექტემბერს გაიმართა, ხელისუფლებას მორჩილება აღუთქვა და განაცხადა, რომ “არც

710. გ. როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 336.

711. შსს არქივი, ფ.14, აღწ. 2, ს. 314, ფ.6; ს.630, ფ.26.

712. იქვე, ს.630, ფ. 51.

713. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღწ. 1, ს.151, ფ.11-12.

714. უწყებები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა, 1924, სექტემბერ-ოქტომბერი, №10, გვ. 12-13.

715. შსს არქივი, ფ.14, აღწ. 2, ს. 17, ფ.100.

იდეურად და არც მოქმედებით არ იზიარებს ამ სისხლისმღვრელ და ძმათა გამთიშველ გამოსვლებს.“⁷¹⁶ „ახალ“ ვითარებაში რამდენადმე გააქტიურდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობაც. პირველ რიგში, ხელისუფლების საამებლად და მისივე დავალებით მან გადაწყვიტა მორიგი შეტევის განხორციელება პატიმრობაში მყოფი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წინააღმდეგ. ეპისკოპოსებმა ქრისტიანებმა დავითმა და სვიმეონმა (ჭელიძე) 1924წ. 7 ოქტომბერს მის უწმინდესობას გაუგზავნეს განცხადების ნიმუში, რომლითაც მას უნდა მიემართა საქართველოს საბჭოთა მთავრობისთვის. კათოლიკოს-პატრიარქისაგან მოითხოვდნენ იმის აღიარებას, რომ მის მიერ გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნა „იყო დიდი შეცდომა“⁷¹⁷ და გამომდინარეობდა უმთავრესად იმ გარემოებისაგან, რომ მე საკმარისად არ ვიცნობდი საბჭოთა ხელისუფლების ხასიათს. დრომ და დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ საბჭოთა მთავრობის ხელში საქართველო სდგას მტკიცედ კულტურულ-ეკონომიკურ-ეროვნული აღორძინების გზაზე და ასეთი მისი მოღვაწეობა უფრო წარმატებით და სწრაფად წავიდოდა წინ, რომ მას, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, არ უშლიდნენ ხელს ისეთი უპასუხისმგებლო პირნი, რომელთაც აურაცხელი ზიანი მიაყენეს საქართველოს თავის უნიადაგო გამოსვლებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“. განცხადების ნიმუში შეიცავდა 1924წ. აგვისტოს სახალხო აჯანყების დაგმობას, თხოვნას „დანაშაულის“ პატიების, ვადამდე ადრე პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, რათა ხელისუფლების ნებართვით შედგომოდა „საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის საქმეს საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტების და კანონების ფარგლებში, რომელნიც შეეხებიან ეკლესიას და სარწმუნოებას“. სანიმუშო განცხადების ავტორები სთხოვდნენ „კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის, მისცეს მთავრობას ზემოხსენებულ შინაარსის განცხადება. ჩვენ ვცნობთ საქართველოს სსრ მთავრობას, ვემორჩილებით მას და ამასვე ვავალებთ ჩვენის მხრით სრულიად საქართველოს ეკლესიის თავსაც.“⁷¹⁸

კათოლიკოს-პატრიარქმა ეს შემოთავაზება არ მიიღო და კვლავაც დაადასტურა: „შეიძლება მეც მომეთხოვოს იგეთივე სინანული როგორც ჩამოურთმევიათ პატრიარქ ტიხონისათვის და ამის გამო ჩემი განცხადების პროექტი ამნაირი იქნება. მე ჩემი თავი არ მიმაჩნია დამნაშავეთ, რადგან ჩემი წერილი არ იყო მიმართული საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკის და მისი მთავრობის, იმ დროს ბოლშევიკურის, წინააღმდეგ, არამედ იმ გარეშე ძალებისა, რომლებიც შემოიჭრნენ ჩვენს სახელმწიფოში. ეს, თუ ვიტყვი ახლანდელის ენით, იყო ინტერვენცია საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში. ამით დარღვეულ იქმნა სახელმწიფოს სუვერენობა, დაიკარგა პოლიტიკური თავისუფლება, საქართველო გახდა უცხო სახელმწიფოს იმნაირ ნაწილად, რომელსაც არ შეეძლო ცენტრიდან უდირექტივებოდ ცხოვრება. ამნაირი პოლიტიკური ცვლილება მე მაფიქრებინებდა, რომ პოლიტიკური დამორჩილებას მოყვებოდა ეკლესიური დამორჩილებაც, სუვერენობის დაკარგვას უთუოდ უნდა მოყვეს ეკლესიურადაც დამორჩილება და ამისთვის ჩემს წერილს ჰქონდა მიზნათ ეკლესიის დაცვა.“ კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ის თავს არ თვლის დამნაშავედ. „მე დარწმუნებული ვიყავი, – წერდა იგი, – რომ ამ ინტერვენციას საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში მოყვებოდა ეკლესიური თავისუფლების დაკარგვა, რაც მე უბედურებათ მიმაჩნდა ჩემი მშობლიური ეკლესიისათვის. ჩემი შიში სავსებით გამართლდა და ეკლესიას კიდევაც დაატყდა დიდი უბედურება“. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, როგორც ამის შესახებ ზემოთაც იყო საუბარი, მხოლოდ იმ „დანაშაულს“ აღიარებდა, რომ მემორანდუმი მთავრობას არ გაუგზავნა.⁷¹⁹

716. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები, გვ.156.

717. „შეცდომის“ აღიარების მოთხოვნა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ე.წ. სასამართლოზე კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის არავითარი შეცდომა თუ დანაშაული არ უღიარებია (ჯ.გ.).

718. საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.166, ფ.29, 30.

719. იქვე, ფ.28-30.

კათოლიკოს-პატრიარქის პასუხმა ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრები, რა თქმა უნდა არ დააკმაყოფილა. 1924 წლის 16 ოქტომბერს მათ ფაქტობრივად ულტიმატუმი წაუყენეს უწმინდეს და უნეტარეს ამბროსის. დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერდნენ ეპისკოპოსები ქრისტეფორე, დავითი, სვიმეონი და ნესტორი, ნათქვამია: „ჩვენ, ქვემოთ ამის ხელისმომწერნი საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართ, გავითვალისწინეთ რა საქართველოს ეკლესიის დღევანდელი უნუგეშო მდგომარეობა: ტაძრების ნგრევა, მღვდელთაგან ნაძალადევად სამსახურის თავის დანებება, დაჭერა და ციხეში ჩაგდება და ბოლოს დახვრეტაც კი, მორწმუნე ერის ნუხილი და გოდება ეკლესიების გაუქმების გამო, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყოველი ამ მოვლენილ უბედურებათა ერთ მთავარ მიზეზთაგანი არის კათოლიკოს-პატრიარქისაგან გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი. ამ მემორანდუმით კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა როგორც მთლიანად ქართველ ერს, ისე განსაკუთრებულად საქართველოს ეკლესიას. ამისათვის ჩვენ მოვითხოვთ, რომ კათოლიკოსმა ამბროსიმ აღიაროს საჯაროდ თავისი შეცდომა, აღიაროს, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს სსრ წარმატებით იღწვის საქართველოს მკვიდრთა კულტურულ-ეკონომიკურ-ეროვნულ აღორძინებისთვის და რომ ამ საქმეში მას, მთავრობას, რამოდენიმედ მაინც ხელს არ უშლიდნენ ის უპასუხისმგებლო პირები, რომელთაც, სხვათა შორის, მოაწყვეს უგუნური გამოსვლები 28-31 აგვისტოს 1924 წლისას, რომელმა გამოსვლებმაც იმსხვერპლეს მრავალნი ქართველნი, საქართველოს მდგომარეობა ბევრად უკეთესი იქნებოდა.

უკეთეს პატრიარქ-კათოლიკოსი ამბროსი არ ისურვებს აღიაროს თავისი შეცდომა ან ზემოთქმულის შესაფერი განცხადება არ წარმოუდგინა საქართველოს სსრ მთავრობას, მაშინ მონვეულ იქმნეს საქართველოს ეკლესიის საეკლესიო კრება ქ. ტფილისში იმ შემადგენლობით, როგორც მოსახერხებელი იქნება დღევანდელ პირობებში. საგანი ამ მომავალი კრებისა იქნება დღევანდელი ვითარების აწონ-დაწონვა ჩვენი ეკლესიის მდგომარეობის ან შემდეგის მისის მოქმედებისა თუ ასეთი მოქმედება შესაძლებელი იქნება.

ზემოთქმულის განზრახვის სისრულეში მოყვანას ჩვენ ჩვენის მხრით ვანდობთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დროებით მოადგილეს ეპისკოპოსს ქრისტეფორეს.“⁷²⁰

მსგავსი დოკუმენტები ყოველთვის მთავრობასთან წინასწარი შეთანხმებით და მისი კარნახით დგებოდა. მიზანი ამჯერადაც ვერ იქნა მიღწეული, თუმცა აღნიშნული ულტიმატუმი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართულ ეკლესიას. რაც ვერ გააკეთებინეს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის, ნაწილობრივ დროებითი მმართველობის წევრებმა გააკეთეს. ამოძრავებდათ რა ამჯერად ეკლესიის გადარჩენის ინტერესები, კათოლიკოს-პატრიარქის დროებითმა მოადგილემ და ქართლ-კახეთის ეპარქიათა დროებითმა მმართველმა ეპ. ქრისტეფორე ურბნელმა, დავით ქუთათელმა, სვიმეონ ყყონდიდელმა, ბათუმ-შემოქმედელმა ნესტორმა (ყუბანეიშვილი) 1924 წ. 20 ოქტომბერს სახალხო კომისართა საბჭოს ერთგულების გამომხატველი მოხსენება წარუდგინეს. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ავტორები სრულიად დაუმსახურებელ ხოტბა – დიდებას ასხამდნენ საოკუპაციო რეჟიმს, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ცნობენ საბჭოთა ხელისუფლებას, „რომელიც წარმატებით ხელმძღვანელობს ქართველ ერს კულტურულ-ეკონომიკურ-ეროვნულ აღორძინებაში“ (?!). მათ დაგმეს „ის უპასუხისმგებლო პირნი და ჯგუფნი, რომელნიც ცდილობენ, თუმცა ამაოდ, აამხედრონ ქართველი ერი საქართველოში არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ და რომელთა მეოხებით მონყობილ იქმნენ ის უნიადაგო გამოსვლები, რომელთა აქა-იქ ქონდა ადგილი საქართველოში ამ წლის აგვისტოს თვის 28-31 რიცხვებში. ჩვენ არ გვწამს, რომ დასავლეთ

720. იქვე, ფ.26-27.

ევროპის ინტერვენცია საქართველოს მოუტანს რამე სარგებლობას და მოუწოდებთ ყველა მათ, ვინც ხელმძღვანელობს ასეთის იმედით, უკუაგდოს იგი, როგორც ფუჭი და მავნებელი ოცნება“. ხელისუფლებისადმი ერთგულების დადასტურების შემდეგ, მოხსენებაში გამოთქმულია აშკარა უკმაყოფილება ანტირელიგიური პოლიტიკის მიმართ, სინდისის თავისუფლების არარსებობის გამო; მოხსენების ავტორები არც კომუნისტურ შეხედულებებს ეთანხმებოდნენ რელიგიაზე და სარწმუნოებაზე – „სარწმუნოება არსებობდა, სანამ ბატონყმობა და კაპიტალიზმი გაჩნდებოდა ქვეყანაზე და იარსებებს კაპიტალიზმის ნაშთების მოსპობის შემდეგაც“, – ვკითხულობთ მოხსენებაში. ქართველი მღვდელმთავრები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში ეკლესია უფროა შევიწროებული, ვიდრე რუსეთში, სადაც მრევლის არსებობისთვის საკმარისია 50 მორწმუნე. საბჭოთა საქართველოში კი ამისთვის საჭირო იყო 300 (სოფლებში და პატარა ქალაქებში) და 1500 (დიდი ქალაქებში) მორწმუნე, ანუ 6-ჯერ და 30-ჯერ მეტი. როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, აუტანელი გახდა სასულიერო პირთა მდგომარეობა. მათი აბუჩად აგდება, დაცივნა, უმიზეზო დევნა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საქართველოში; სოფლად მიწების, თბილისში კი ბინების ჩამორთმევით, სასულიერო პირებს არსებობის საშუალება მოუსპეს. მოხსენების ავტორები ეკლესიის მიმართ ჩადენილი ამ უსამართლობების გამოსწორებას მოითხოვდნენ, რაც, მათი აზრით, სრულიად დაამშვიდებდა „ქართველ მორწმუნეთ, რომელნიც შეადგენდნენ ქართველი ერის უდიდეს ნაწილს და წაართმევენ საბჭოთა ხელისუფლების მტერთ უკანასკნელ საშუალებას რაიმე გავლენა იქონიონ ქართველ ერზე“.⁷²¹

საოკუპაციო რეჟიმმა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გაამარტივა რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესი, მაგრამ სრულებითაც არ ჩქარობდა, ეკლესიისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა პრობლემებისა და იმ საჭიროებების საკითხების მოგვარებას, რომელთა შესახებ იყო საუბარი მოხსენებაში. ეს არ ყოფილა ხელისუფლების მხრიდან მისი ერთგული „პროგრესისტი“ მღვდელმთავრების თხოვნის იგნორირების პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, რამაც უკვე მერამდენედ დაამსხვრია მითი თითქოს ეკლესიის უბედურების მთავარი მიზეზი ყოფილიყვნენ „რეაქციული“ მღვდელმთავრები კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ხელმძღვანელობით. საოკუპაციო რეჟიმის მიერ „პროგრესისტების“ აბუჩად აგდება კიდევ უფრო დასცა ეპ. ქრისტეფორესა და მის თანამოაზრეთა ისედაც შელახული ავტორიტეტი როგორც სამღვდელეობაში, ისე საზოგადოებაში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1924 წ. 6 ივლისს მორწმუნეთა ჯგუფმა თედო სახოკიას ხელმძღვანელობით ეპ. ქრისტეფორე სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვაზე არ შეუშვა.⁷²² უფრო მეტიც, 1925 წ. 4 და 6 იანვარს გაზეთმა „კომუნისტმა“ ორჯერ გამოაქვეყნა ერთი და იგივე ინფორმაცია იმავე წლის 2 იანვარს თ. სახოკიას თავმჯდომარეობით მოწვეული თბილისის რელიგიურ საზოგადოებათა წარმომადგენლების საოლქო კრების შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ დეკანოზები იოსებ მირიანაშვილი, დიმიტრი ლაზარიშვილი, ანტონ თოთიბაძე, გურგენიძე, გარსიაშვილი, მელქისედეკ ფხალაძე, ნ. მაჭარაშვილი, ნათაძე, ასათიანი, მღვდლები ელისაბედაშვილი, ფარესიშვილი, მთავარდიაკონი კიდურაძე, საკათოლიკოსო საბჭოს წევრი ი. რატიშვილი, ასევე ნ. უგრელიძე, ნინო ჯაიანისა, ანა განერილია, თებრონე ხორავა და ბევრი სხვა. კრების წევრებმა „დაადგინეს: ეპ. ქრისტეფორემ თვითნებობით მიითვისა მოსაყდრის სახელწოდება.

ეპ. ქრისტეფორემ უკანონოდ კოოპტაციით მოწვეულ წევრთაგან შეადგინა საკათოლიკოსო საბჭო.

ეპ. ქრისტეფორეს მიერ უკანონოდ მოწვეულმა საკათოლიკოსო საბჭოს წევრებმა,

721. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 2-4.

722. ს. ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე III, გვ. 61, 111.

წინააღმდეგ საეკლესიო კრების დადგენილებისა, მისცეს ეპ. ქრისტეფორეს მიტროპოლიტობა. ყველა ამის გამო უნდობლობა გამოეცხადოს ეპ. ქრისტეფორეს, არ დაემორჩილოს მის განკარგულებათა და არც მოიხსენიონ.

ეთხოვოს საკათოლიკოსო საბჭოს დაუყოვნებლივ დაითხოვონ კოოპტაციით მოწვეულნი პირნი საბჭოდან და კანონიერი წევრებით შეავსონ საბჭო.

პირველ შეძლებისთანავე მოწვეულ იქნას საეკლესიო კრება.“

დადგენილებისთვის ხელი მოუწერია 19 დეკანოზს და სამრევლო საბჭოების წარმომადგენლებს. კრების პრეზიდიუმმა გამოაცხადა „სახელმძღვანელოდ: ქართლ-კახეთის ეპარქიას განაგებდეს იქნება ეპისკოპოსი პავლე. საკათოლიკოსო საბჭოს უთავმჯდომარეობს დამსწრე მღვდელმთავარი; ნათლისლებას უნდა სწიროს ეპისკოპოსმა პავლემ.“

გაზეთ „კომუნისტის“ ზედიზედ ორ ნომერში ამ კრების თაობაზე ერთი და იგივე ინფორმაციის სიტყვასიტყვით განმეორება იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება მეთოდურად ამწვავებდა დაპირისპირებას ეკლესიაში, გარკვეულ ზეწოლას ახდენდა „პროგრესისტებზე“, რათა მათ ეგრძნოთ „საფრთხე“ და გააქტიურებულიყვნენ. თბილისის რელიგიურ საზოგადოებათა წარმომადგენლების საოლქო კრებამ ეპ. ქრისტეფორეს ავტორიტეტი კიდევ უფრო შეარყია, თუმცა ის მაინც რჩებოდა თანამდებობაზე. აი, ამ ვითარებაში, შელახული რეპუტაციის ნაწილობრივ აღდგენის მიზნით, ქრისტეფორემ გადაწყვიტა თავი შეეხსენებინა საოკუპაციო რეჟიმისთვის, კიდევ ერთხელ მიემართა მთავრობის თავმჯდომარისთვის. 1925წ. 26 იანვარს მან რუსულ ენაზე შედგენილი მორიგი წერილი მიართვა სახკომსაბჭოს. წერილის ავტორი, ცდილობდა რა “თავისიანად“ მოეჩვენებინა თავი საბჭოთა მთავრობისთვის, წერდა: „მე თუმცა ეპისკოპოსი ვარ, მაგრამ მაქვს ჩემი შეხედულება არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ პოლიტიკურ, სახელმწიფო და ეკონომიკურ საქმეებზე. წამოვიჩიტე მე იმავე ბუდიდან, საიდანაც არიან წამოჩიტული ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, სტალინი და ბევრი სხვა თვალსაჩინო ქართველი კომუნისტი – თბილისის სასულიერო სემინარიიდან; ვმონაწილეობდი სემინარელთა წრეებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მიხა ცხაკაია, ნინოშვილი, მახარაძე, ნოე ჟორდანი.“ ეპ. ქრისტეფორე თავის საკმაოდ საინტერესო წერილში საუბრობდა როგორც სემინარიაზე, ისე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლის ისტორიაზე, მის მონაწილეობაზე ამ ბრძოლაში. მთავარი ყურადღება მაინც დათმობილია გასაბჭოების შემდეგ ქართული ეკლესიის დევნა – შევიწროებაზე. არა მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქია გასამართლებული და ციხეში ზის, არამედ სხვა სასულიერო პირებსაც დევნიდნენ, – წერდა ეპ. ქრისტეფორე, – შეურაცყოფდნენ, ძალით კრეჭდნენ; აიძულებდნენ ხელი მოეწერათ, რომ განუდგნენ ქრისტეს; აიძულებდნენ ასევე, საკუთარი ხელით დაეწერიათ ეკლესია; „იყო ამაზე უფრო სამწუხარო მოვლენებიც“. ქრისტეფორე ურჩევდა მთავრობას, მიბაძოს ათეისტი ნაპოლეონის მაგალითს, რომელმაც სინდისის თავისუფლების გამოცხადებითა და ცხოვრებაში გატარებით საფრანგეთის კათოლიკე გლეხების თანაგრძნობა მოიპოვა. ქართველი გლეხობა კი, – წერდა იგი, – გაჩუმებულია, მაგრამ არის უკმაყოფილო ეკლესიების დახურვის გამო. ეპ. ქრისტეფორე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს ცაკ-ის 1924წ. 21 ნოემბრის დადგენილება, მართალია, ამარტივებდა ეკლესიების გახსნის წესებს, მაგრამ მაინც ძალიან ცოტა ეკლესია იხსნება სხვა ხელისშემშლელი მოზეზების გამო. კერძოდ, ხელისუფლება არ თანაუგრძნობდა სოფლად ეკლესიების გახსნას; სასულიერო პირებისთვის არსებობის მთავარი წყაროს- მიწის ჩამორთმევამ მათი დიდი ნაწილი აიძულა თავი დაენებებინა სამსახურისთვის, რის შედეგადაც ბევრი გახსნილი ეკლესია რეალურად არ ფუნქციონირებდა. იყო სხვა პრობლემებიც, რომელთა მოგვარებას სთხოვდა იგი საქართველოს მთავრობას. ქრისტეფორემ თავის წერილში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის,

აგრეთვე კალისტრატე ცინცაძის ვადამდე ადრე განთავისუფლების საკითხიც დააყენა. „პატრიარქ ამბროსის განთავისუფლება, – ნერდა იგი, – გააძლიერებდა საქართველოს მორწმუნეთა ნდობას და ერთგულებას საბჭოთა წყობილებისადმი.“⁷²³ მთავრობაში გაგზავნილმა წერილმა ვერ უშველა ეპ. ქრისტეფორეს და მან სულ მალე მორიგი დარტყმა იგემა თბილისის სამღვდელოების მხრიდან. 1925წ. 12 თებერვალს თ. სახოკიას, ან. თოთბაძისა და ნ. მაჭარაშვილის ინიციატივით მონვეულმა დედაქალაქის სამღვდელოების კრებამ მიიღო დადგენილება აღდგომისა და სხვა დღესასწაულების ძველი სტილით აღნიშვნის შესახებ. ამის შემდეგ ეპ. ქრისტეფორემ გადადგომითაც დაიმუქრა, საჩქაროდ აიღო ერთთვიანი შვებულება, თავისი მოვალეობის შესრულება კი ცხუმელ იოანეს გადააბარა (იქვე, დოკ. №79).

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და მასთან ერთად პატიმრობაში მყოფი პირების განთავისუფლების საკითხი მთავრობის თავმჯდომარისადმი ქრისტეფორეს მიმართვამდეც იდგა დღის წესრიგში. 1924წ. 22 აგვისტოს საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმმა განიხილა „მსჯავრდებულ ნიკო თავდგირიძის თხოვნა შეწყნარების შესახებ“ და დაადგინა, „უარი ეთქვას“. იგივე საკითხი ცაკ-მა 1924წ. 13 ნოემბერსაც (იმ დღეს, როდესაც მან დაამტკიცა დადგენილების პროექტი „ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ“) განიხილა. ამჯერად გადაწყდა, „განთავისუფლებულ იქნას პირობით.“⁷²⁴ 1924წ. 18 დეკემბერს ცაკ-მა მოისმინა „მსჯავრდებულ ცინცაძის და ტყემალაძის თხოვნა შეწყნარების შესახებ“ და დაადგინა: „განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცეს სრულიად საქართველოს ცაკ-ის მცირე პრეზიდიუმს“ (ამ უკანასკნელის შემადგენლობაში მაშინ შედიოდნენ მ. ცხაკაია, ი. ვარძიელი და ს. თოდრია).⁷²⁵ 1924წ. 22 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნომ კალისტრატე ცინცაძისა და მარკოზ ტყემალაძის ამნისტიით განთავისუფლება ნაადრევად მიიჩნია.⁷²⁶ მარკოზ ტყემალაძე მალე განთავისუფლდა. პატიმრობაში რჩებოდნენ უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი და დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე. ცეკას სამდივნომ 1924წ. 17 დეკემბერს განიხილა „კათოლიკოს ამბროსის განცხადება“ და მიიღო გადაწყვეტილება, იგი „ამნისტიის ცენტრალურ კომისიას გადასცეს.“⁷²⁷ მსგავსი გადაწყვეტილება იმის მაუწყებელი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება იხილავდა ან მზად იყო უწმინდესისა და უნეტარესის განთავისუფლების საკითხის განხილვისთვის. დღის წესრიგში მისი დაყენება განაპირობეს გარკვეულმა ფორმალურმა კორექტივებმა ანტირელიგიურ პოლიტიკაში, რუსეთის პატრიარქ ტიხონის საქმის შეწყვეტამ (ქართველი კომუნისტები საეკლესიო პოლიტიკაშიც მუდმივად მოსკოვს ბაძავდნენ), ქართული საზოგადოების წარმომადგენლების მუდმივმა მიმართვებმა რესპუბლიკის მთავრობისადმი, მისი უწმინდესობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრმა გაუარესებამ და სხვა ფაქტორებმა. კათოლიკოს-პატრიარქის ვადამდე ადრე განთავისუფლების თხოვნით 1924წ. მიწურულს საქართველოს საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარეს ეკატერინე გაბაშვილმაც მიმართა. „მე, როგორც ღრმად მოხუცებული კეთილმორწმუნე, – ნერდა იგი, – რამდენჯერმე ამირჩიეს თბილისში მცხოვრებ ქრისტეს მორწმუნეთ მთავრობასთან სათხოვნელათ, რომ ჩვენი კეთილი და ღირსეული მოძღვარი, საქართველოს ეკლესიის მთავარ ხელმძღვანელი კათოლიკოს ამბროსისთვის ეკმარებიათ უკვე გავლილი სასჯელი და როგორც ფიზიკურად დავრდომილი ადამიანისთვის მიენიჭებინათ თავისუფლება. მაგრამ როგორც ჩემი თხოვნა, ისე მრავლისგან სხვისა უარყოფილ იქნა.

კვლავ ამავე თხოვნით მე ჩემის ამხანაგებით მოგმართავთ თქვენ და იმედს არ

723. საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.539, ფ.19-23ა.

724. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღწ. 1, ს.102, ფ.34ა, 44, 45ა.

725. იქვე, ფ.52; ს.124, ფ.1.

726. შსს არქივი, ფ. 14, აღწ.2, ს.17, ფ.136ა.

727. იქვე, ფ.134.

ვკარგავთ, რომ თქვენ როგორც ცნობილი ლმობიერი და სამართლიანი მსაჯული, შეინყნარებთ ქართველ ქრისტიანთა მუდარას და თავისუფლებას მიანიჭებთ მათ მწყემს-კათოლიკოს ამბროსის და მასთან ერთად შერისხულ სამღვდლოებას.⁷²⁸

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ვადაძე ადრე განთავისუფლების საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა სსრ კავშირის მეორე მოწვევის ცაკ-ის მესამე სესიამ, რომელიც 1925 წლის 3-7 მარტს თბილისში გაიმართა. საკითხი, ეტყობა, წინასწარ იყო შეთანხმებული და გადაწყვეტილი. შვებულებაში მყოფმა მიტროპოლიტმა ქრისტეფორომაც (ალბათ, მისი უკიდურესად შელახული ავტორიტეტის ასამაღლებლად ხელისუფლებამ მას ასეთი დავალება მისცა) 6 მარტს საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარეს მ. კალინინს, აგრეთვე იმავე დღეს იმავე ცაკის მდივანს აბელ ენუქიძეს შესაბამისი თხოვნით მიმართა. აი, რას წერდა იგი ა. ენუქიძეს:

„დღეს მე გაუგზავნე მოხსენება ს.ს.რ.კ. ცაკის თავმჯდომარეს კალინინს და ვთხოვ მიაქციოს ყურადღება საკავშირო უზენაეს ხელისუფლებისა კათოლიკოს-პატრიარქის მდგომარეობას. კათალიკოსის მისჯილი აქვს შვიდი წლით ციხეში ჯდომა, რის ატანაც მას, რასაკვირველია, არ შეუძლია მოხუცებულობისა და უძლურებისა გამო.

მე ვთხოვე, წერილობით, კათალიკოსის განთავისუფლება ს.ს.რ.კ. ცაკის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიასაც (ე.წ მოკავშირე რესპუბლიკების ცაკის თავმჯდომარეები იმ პერიოდში ფორმალურად ს.ს.რ.კ. ცაკის თავმჯდომარეებადაც ითვლებოდნენ – ჯ.გ.). ამასვე გთხოვთ ახლა თქვენცა. კათალიკოსის ჯდომა ციხეში დღეს აღარ წარმოადგენს საჭიროებას. მისი ციხეში ყოფნა დღეს უფრო სასურველია თქვენი მოწინააღმდეგეებისათვის, რომ შეიძლება ექნესთ ყველგან და ყოველთვის ილაპარაკონ ამაზე თქვენს საწინააღმდეგოდ (თუ ნებას დამრთავთ, გეახლებით, უფრო დანვრილებით გარემოების ასახსნელად).

აღსანიშნავია, რომ პატრიარქმა ტიხონმა უფრო მკაცრი ურჩობა გაგინიათ თავის მოწოდებებით, ვიდრე კათოლიკოსმა ამბროსიმ, მაგრამ ტიხონი დღეს თავისუფალია. თქვენს სამტროდ არ მოგახსენებთ, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოს ეკლესია და მორწმუნენი განიცდიან ყველაზე მეტს შევიწროებას მთელს საკავშირო ტერიტორიაზე (რუსეთი, სომხეთი და სხვ.) და ქართველი ხალხის მასსა – მორწმუნენი, გულნატკენნი არიან ამით, ისინი ისე არიან დაშინებულნი, რომ ძალიანაც უნდათ, მაგრამ უმრავლესობა მათი ვეღარ ჰბედავს ეკლესიების გახსნას, თუმცა საქართველოს ს.ს რესპუბლიკის ცაკმა სრულიად დამაკმაყოფილებელი დადგენილება გამოაქვეყნა 1924 წლის 21 ნოემბერს (№124) ეკლესიების გახსნის შესახებ (იხ. აქვე, დოკ. №74 – ჯ.გ.). ს. ორჯონიკიძემ, მახარაძემ, კახიანმა გაზეთში ნათლად აღიარეს შეცდომები საქართველოში წარმოებულ საეკლესიო პოლიტიკაში. მე გულწრფელად მრწამს, რომ კათოლიკოს ამბროსის განთავისუფლება და დაბრუნება თავის ადგილზე არავითარ ზიანს არ მიაყენებს საბჭოთა ხელისუფლებას, პირიქით, ეს იქნება ფრიად მიზანშეწონილი ნაბიჯი იმისაკენ, რომ განმტკიცდეს გულწრფელი კავშირი საქართველოსა და რუსეთს შორის. ფრანგები და ინგლისელები ჩვენი ნათლიმამები და ბიძაშვილები რომ არ არიან, ეს უკვე ყველამ დაინახა ამ ოთხი წლის განმავლობაში; დიდი ხანია დავიწყებამ მისცეს მათ 1789 წლის დიდი რევოლუციის ლოზუნგები.

გთხოვთ ხელი შეუწყოთ ამ განცხადების თხოვნის განხორციელებას, რომ საკავშირო ცაკის სესია ტფილისში გამართული საქართველოს მორწმუნეებმა მუდამ მაღლობით მოიგონონ.⁷²⁹ იმავე დღეს (1925 წ. 6 მარტს) თბილისში ცაკ-ის სესიაზე მ. კალინინმა თავის მოხსენებაში გარკვეული ყურადღება რელიგიურ პრობლემატიკასაც დაუთმო. „ჩვენამდის მოაღწია მცხოვრებთა უკმაყოფილების ტალღამ რელიგიაში გა-

728. გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ. სახ. მუზეუმი. ეკატერინე გაბაშვილი. №17019.

729. ზვიად ჟვანია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარი 1917 წლიდან. ქუთაისი, 1994, გვ. 28.

ტარებულ პოლიტიკის გამო, განსაკუთრებით საქართველოში“, – განაცხადა მან... – „ამიერკავკასიელი ამხანაგები ცხოვრებაში ატარებდნენ, ჩემის აზრით, მეტად რევოლუციონურ ხაზს, მათ ძალიან მოკლე დროში სურდათ მორწმუნე გლეხიდან შეექმნათ თუ კომუნისტი არა, ნახევრად კომუნისტი მაინც. კეტავდნენ ეკლესიებს და აქცევდნენ მათ საგანმანათლებლო კლუბებად.“ მ. კალინინის განცხადებით, ეს იყო შეცდომა. რა თქმა უნდა, ის არ იყო გულწრფელი, თუნდაც იმიტომ, რომ რუსმა კომუნისტებმა იგივე „შეცდომა“ ქართველებზე ადრე დაუშვეს, მ. კალინინს კი მის აღსაკვეთად ეფექტური ზომები არ მიუღია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ იგი ამ საკითხში, სსრ კავშირის სხვა „ბელადებთან“ შედარებით, უფრო ლმობიერი იყო.⁷³⁰ ქართველი პატრიოტებისთვის, სამღვდლოებისთვის სასაიამოვნო მოსასმენი უნდა ყოფილიყო მ. კალინინის შემდეგი სიტყვები: „ქართველი გლეხი, როდესაც წინედ იბრძოდა თავის ეროვნულ დამოუკიდებლობისთვის, ამ ბრძოლას აფერადებდა სარწმუნოებით... იბრძოდნენ რა სარწმუნოებისთვის, იმავე დროს იბრძოდნენ თავისი ეროვნებისთვის.“ ამიტომ, – დასძინა მან, – „რელიგიის საკითხებში, ჩემის აზრით, საჭიროა მეტი სიფრთხილის გამოჩენა“.⁷³¹ სსრ კავშირში უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირის ეს სიტყვები უნდა განვიხილოთ თავისუფლების დაკარგვისა და ეკლესიის განადგურების მცდელობის გამო საქართველოში დაგუბებული სახალხო უკმაყოფილების რამდენადმე მაინც განმუხტვის სურვილით ნაკარნახევ „გადაახვევად“ ოფიციალური კომუნისტური იდეოლოგიიდან. მას ამჯერად არ უთქვამს, რომ ეკლესია საუკუნეების მანძილზე ვითომ გაბატონებული კლასების ინტერესებს გამოხატავდა, ატყუებდა „მშრომელებს“ და ა.შ. პირიქით, მ. კალინინმა ყურადღება ქართული ეკლესიის ისტორიულ დამსახურებაზე გაამახვილა. სსრ კავშირის ცაკ-ის თავმჯდომარეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ისიც, რომ ქართველობა არა მარტო შორეულ წარსულში, არამედ მეფის და საბჭოთა რუსეთის ბატონობის პერიოდშიც მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან ეროვნებას და სარწმუნოებას, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების დასაცავად „სარწმუნოებით გაფერადებული“ ბრძოლისთვის სასჯელს იხდიდა კომუნისტური რეჟიმის მიერ ჯვარცმული ქართული ეკლესიის ჯვარცმული საქეთმპყრობელი ამბროსი.

სრულიად ნათელი იყო, რომ მ.კალინინის გამოსვლას აუცილებლად მოჰყვებოდა ტაქტიკური ხასიათის მორიგი უმნიშვნელო ცვლილებები ანტისაეკლესიო პოლიტიკაში. ამ ცვლილებათა კონტექსტში უნდა განვიხილოთ სსრ კავშირის მეორე მოწვევის ცაკ-ის მესამე სესიის დასკვნით სხდომაზე 1925წ. 7 მარტს მიღებული დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პატიმართა სასჯელის შემსუბუქების შესახებ.⁷³² გაზეთმა „კომუნისტმა“ იგი 1925წ. 8 მარტს დაბეჭდა. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, პატიმრობიდან თავისუფლდებოდნენ სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულნი, მათ შორის „საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ კონტრრევოლუციონურ მოქმედებისთვის“ გასამართლებული პირები, რომელთა თავისუფლებაში ყოფნა არ წარმოადგენდა „საფრთხეს რევოლუციონურ წყობილებისათვის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე“; განთავისუფლებას ექვემდებარებოდნენ აგრეთვე მოქალაქეები, რომელთაც „მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა იმ დანაშაულთათვის, რომლებიც ჩაიდინეს ამ პირებმა რელიგიური მოტივებით“. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი მსჯავრდებულთა ამ ორ

730. ქ.პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945), I, გვ. 444-445.

731. კომუნისტი, 1925, 8 მარტი.

732. ეტყობა, წინასწარ იყო შეთანხმებული და ცნობილი, რომ საკავშირო ცაკ-ის გასვლითი სესია თბილისში ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცეკას პრეზიდიუმმა 1925წ. 17 თებერვალს თავისი დადგენილებით უარი თქვა გასაბჭოების დღისთვის – 25 თებერვლისთვის ამნისტიის გამოცხადებაზე (შსს არქივი, ფ.14, აღწ. 2, ს. 354, ფ.10).

კატეგორიაში ხვდებოდა. 1925 წლის 10 მარტს იგი პატიმრობიდან გაანთავისუფლეს. ამასთან დაკავშირებით იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურატურო განყოფილებამ გასცა მოწმობა: „კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ბესარიონ ხელაია) განთავისუფლებულია დარჩენილი სასჯელისაგან, თანახმად სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ცაკის III სესიის დადგენილებებისა“.⁷³³ უნმინდესი და უნეტარესი ამბროსის მოწამებრივ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

11. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი წლები (1925 წ. მარტი – 1927 წ. მარტი)

პატიმრობიდან განთავისუფლებული უნმინდესი და უნეტარესი ამბროსი, მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, მალევე შეუდგა კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის შესრულებას. მანამდე კი – 1925 წ. 11 მარტს მრავალრიცხოვანი საზოგადოების თანდასწრებით სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვა აღავლინა და შეკრებილთ სიტყვითაც მიმართა. უნმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ბრძანა: „სავსებისაგან გულისა ბაგენი იტყვიან“, ამბობს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და ამით გვითითებს ადამიანის ბუნების იმ მოთხოვნილებაზე, რომელიც თვითოეულ ჩვენთაგანს კარგად მოეხსენება, რომლის დასაკმაყოფილებლად ვცდილობთ გულზე მონოლილი გრძნობანი სხვას გაუზიაროთ. ამ ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას ვგრძნობ მე ახლა, როდესაც ორი წლის და ორი თვის დაშორების შემდეგ ვდგევარ ამ წმინდა ტაძარში თქვენ წინაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს წადილი გულში უნდა ჩავიკლა და დავკმაყოფილდე მხოლოდ თქვენდამი მადლობის გამოცხადებით იმისთვის, რასაც მე დღეს აქ ვხედავ. მე ციხეშიაც მესმოდა თქვენი გულისწუხილი ჩემი მდგომარეობის შესახებ. მესმოდა და ვგრძნობდი თქვენს თანაგრძნობას და ეს მამხნევებდა და ამატანია ის, რაც ამ სიბერის დროს მე ავიტანე.

ეს იყო შედეგი არა ჩემი ღირსებისა, არამედ იმისი, რომ თქვენ გიყვართ დედა ელესია და ატარებთ იმ ხარისხს, რომლის სატარებლად აირჩიეთ ჩემი უღირსება. აქ იხატება თქვენი ღრმა სარწმუნოება. რწმენის საქმეებში არ ემსგავსებით ლერწამს, რომელიც მუდამ ქანაობს და გადიხრება იქითკენ, საითკენაც ქრის ქარი, არამედ ხართ მტკიცენი და ურყევენი. ეს არის ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო.

მე ჯერ არ შევდგომივარ ჩემი მოვალეობის შესრულებას, საჭიროა გავეცნო ჩვენი ეკლესიის მდგომარეობას, იმას, თუ რა გაკეთებულა ორი წლის განმავლობაში. შეიძლება ბევრს კიდევაც გაუკვირდეს ამნაირი ჩემი განცხადება და გულში გაიფიქროს, რა საჭიროა ეკლესიის მდგომარეობის გაცნობა, ვინ არ იცის და არ ხედავს, ჩვენი ტაძრები დაკეტილია, ზოგი მთლად დანგრეულია საძირკველამდის, საეკლესიო სამკაულები, ხატები, ჯვრები და ძვირფასეულობა გადატანილია და სხვაო, მაგრამ მე საქმეს ცოტა სხვანაირად ვუყურებ: ნამდვილ ეკლესიას ვგულისხმობ თქვენში – მორწმუნეებში და არა შენობებში, სამკაულებში და ძვირფასეულობაში. კარგია ეკლესია მაშინ, როდესაც ის გამშვენიერებულია სარწმუნოების სიმტკიცით, მისი გაღრმავებით. ამ მხრივ, მე მწამს, რომ ეკლესია ახლა უფრო განმტკიცებული და გამდიდრებულია, ვინემ იყო უწინ. გარეგნულ ხელქმნილ ტაძრების სიღარიბეში ხელთუქმნილი ეკლესია უფრო გალამაზდა. ამას ნათლად ამტკიცებს მორწმუნეთა შემოკრება ამ წმინდა ტაძარში. ეს მეტად სანუგეშოა. მალე ნებითა ღვთისათა შევუდგები მოვალეობის შესრულებას. უნდა განვაცხადო, რომ ჩემი სამსახურის დროს არ გავერევი პოლიტიკაში, ჩემს სწავლა-მოძღვრებას როგორც აქამდისაც არ ჰქონია პოლიტიკური ხასიათი, არც აწი ექნება. მისი საგანი იქნება მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოება და

733. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს.539, ფ.56.

ზნეობა, ეკლესიური ცხოვრების აღდგენა.

მაგრამ რომ ჩემი სამსახური იქნეს ნაყოფიერი, ამისთვის მარტო ჩემი ძალა არ არის საკმარისი. მე ამაში მეჭირება თქვენი – სამღვდელობის და მორწმუნეთა – დახმარება. იმედი მაქვს, მიიღებთ მხედველობაში ჩემს მოხუცებულობას, უძლურებას და შემაწვეთ თქვენს გამოცდილებას და მუშაობის უნარს. ხოლო ეს მოსახერხებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველანი გავიმსჭვალებით ჩვენი დედა ეკლესიის სიყვარულით, ერთმანეთის ძმურად გატანით, როდესაც პირად ინტერესებს ვანაცვლებთ საზოგადო – ეკლესიურს. კათოლიკოსობა თავისთავად არ არის ბედნიერება. როდესაც კათოლიკოსობაზე არჩევს შემდეგ ამ ამბიონზე ავდიოდი, განვაცხადე, რომ მე ავდივარ გოლგოთაზე, რომ მე მიტვირთავს დიდი ჯვარი, რომლის სიმძიმის ქვეშ, შესაძლებელია, დავეცე თუ თქვენი – მორწმუნეების და თანაშემწეების დახმარება არ მექნება – მეთქი. ეს წინასწარმეტყველება გამოდგა, თუმცა ჩემი ნათქვამი თავისთავად არ იყო არავითარი წინასწარმეტყველება. ეს იყო დამყარებული გამოცდილებაზე, ახალ აღდგენილი ავტოკეფალური ჩვენი ეკლესიის სამი თუ ოთხი წლის ისტორიაზე. მე ვარ საქართველოს ეკლესიის მესამე საჭეთმპყრობელი. რაც მოუვიდათ კირიონს და ლეონიდს ყველამ იცის, რაც მომივიდა პირადად მე, ეს უკვე ცხადად ყველამ დაინახა. თუ კირიონს, თუ ლეონიდს სახელს უტეხდნენ სიტყვით თუ თუ წერით, ეს მეც განვიცადე; თუ მათ გადაყენებას ცდილობდნენ, მეც არ დამკლებია ეს მოწყობა. მე უფრო მედგრად მომეთხოვა გადადგომა უმაღლესი საეკლესიო დანესებულებიდან. რა იყო ამის მიზეზი? ამის მიზეზი იყო ჩვენი შეუგნებლობა, ჩვენი უდისციპლინობა, უზომო, ვიმეორებ, თავმოყვარეობა. ჩვენ არ გვესმოდა, რომ ეკლესიის თავის სახელის გატეხა, არის იმავე დროს სახელის გატეხა ეკლესიისა, სახელის გატეხა თვით იმ მორწმუნეთა, იმ ერისა, რომელმაც აირჩია უვარგისი თავი და საჭეთმპყრობელი.

იმ ქვეყნებში, სადაც მორწმუნე ხალხი მომნიჭებულია საზოგადო ეკლესიურ მოღვაწეობისთვის, სხვანაირად იქცევიან: ირჩევენ ხშირად იმდენად მოხუცებულებს, ანუ ხანში შესულებს, რომელნიც მოკლებულნი არიან მუშაობის უნარს, მაგრამ მისი სახელით და მის მაგივრათ აკეთებენ ეკლესიურ საქმეებს.

როგორ სარგებლობენ მტრები ჩვენი უდისციპლინობით და შეუგნებლობით, ამის მაგალითი ბევრია, მაგრამ აქ მოვიყვან მხოლოდ ერთს. რუსეთის ეკლესიას არ მოეწონა ჩვენი ავტოკეფალობის გამოცხადება, რუსეთის ეკლესიიდან ყოველთვის გვიმზადებდნენ სხვადასხვა დაბრკოლებას...⁷³⁴ კათოლიკოს-პატრიარქმა აქ თავი ცუდად იგრძნო და სიტყვა შეწყვიტა, ცრემლმორეულმა გადახედა აქვითინებულ მრევლს და ჯვარი გადასახა მათ.⁷³⁵

კათოლიკოს-პატრიარქის ვადამდე ადრე განთავისუფლებამ მრავალრიცხოვანი მორწმუნე საზოგადოების კმაყოფილება გამოიწვია და მას გარკვეული იმედებიც ჩაუსახა. უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ საკუთარ ხელში აიღო ეკლესიის მართვის სადავეები, გააუქმა დროებითი მმართველობის გადანაცვეტილება ახალი სტილის შემოღების შესახებ; აღადგინა საკათოლიკოსო საბჭო თავისი ლეგიტიმური შემადგენლობით; ეპ. ქრისტეფორე ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავრად იქნა გადაყვანილი, ცხუმელმა იოანემ (მარგიშვილი) კი ურბნისის კათედრა დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ცდილობდა აფხაზეთში ქართული ეკლესიის ინტერესების დაცვას, „ცოცხალი ეკლესიის“ წარმომადგენელ ავრაამ ივანოვის შემოტევების მოგერიებას,⁷³⁶ მან მაინც ვერ მოახერხა ადგილობრივ სამღვდელოებასთან საერთო ენის გამონახვა. ჯერ კიდევ 1923წ. 16 ივლისს აფხაზეთის ქართული, ბერძნული და რუსული სამღვდელოების წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს “მის უწმინდესობას ივერიის

734. ნ.კირთაძე. ნათელი ქრისტესი. საქართველო, ნ.11, გვ. 77-79.

735. ს.ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ამბროსი, გვ. 124.

736. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 308, ფ.187-188.

კათოლიკოს ამბროსის“ აფხაზეთიდან ეპ. იოანეს სასწრაფოდ განწვევის (არისო უხეში, ამაყი, ფსიხოპატი და ა.შ.) შესახებ, “რადგანაც მისი შემდგომი ყოფნა აფხაზეთში საბოლოოდ შეულახავს აქ ავტორიტეტს ივერიის ეკლესიას“. სხვათა შორის, აფხაზეთის სამღვდელთა მასივით ითხოვდა ცხუმ-აფხაზეთის ახალი მღვდელმთავრის დანიშვნამდე სოხუმში „დროებით ეპ. ქრისტეფორეს მივლინებას“.737 აფხაზეთში ეპ. იოანეს მოღვაწეობით უკმაყოფილება გამოხატა მღვდელმა ევსტაფი ავრამიდიმ თავის წერილში (1923წ. აგვისტო) კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი.738 შესაფერისი დრო და ვითარება იოანეს სოხუმიდან განწვევისა და იქ ეპ. ქრისტეფორეს დანიშვნისთვის მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქის პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ შეიქმნა. დროებით შეწყდა ღია დაპირისპირება მღვდელმთავრებს შორის. მთელი ეკლესია მისი საქეთმპყრობელის ირგვლივ ირაზმებოდა.

1925წ. მაისში საკათოლიკოსო საბჭომ, კალისტრატე ცინცაძის წინადადებით შექმნა კომისია, რომელსაც უნდა ეზრუნა სამოძღვრო კურსების ჩამოყალიბებისთვის.739 ხელისუფლებასთან დაძაბული ურთიერთობის შერბილების მიზნით, 1925წ. 10 ივნისს საკათოლიკოსო საბჭომ ეპარქიათა მმართველებს დაავალა, გასცენ განკარგულება, რათა სამღვდელთა არ ერეოდეს პოლიტიკურ საქმეებში.740 მორწმუნე საზოგადოება და სამღვდელთა მხარში ამოუდგა კათოლიკოს-პატრიარქს, რომლის ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა. მან პირადად მოიარა და ეწვია თბილისის არაერთ ეკლესიას, სადაც კრებულებს და მრევლებს მისი უწმინდესობის მიმართ დიდ სიყვარულს გამოხატავდა. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში 1925 წლის 24 მაისს მიბრძანებულ კათოლიკოს-პატრიარქს კრებულმა ანტონ თოთიბაძის ხელმძღვანელობით ასე მიმართა: “უწმინდესო მეუფეო, აღმსარებლო ივერიის ეკლესიისა! ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მრევლი და მისი საბჭო, გამსჭვალული ღრმა სიყვარულით შენდამი, დღე-დღეზე ელოდა შენს ციხიდან განთავისუფლებას და ხილვას აი აქ, ამ პატარა თავის სამლოცველო ტაძარში, როდესაც შენმა ავადმყოფობამ დააშორა ამ სანეტარო წუთებს, იგი უფრო მტკიცე სასოებით განაგრძობდა ვედრებას ღვთისადმი შენი გაჯანსაღებისთვის.

ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და დღეს იგი გხედავს შენ თავის შორის. დარწმუნდი, მეუფეო, ამით შენ მიანიჭე მას უღრმესი სულიერი კმაყოფილება და სამაგიეროდ იგიც ეცდება იყოს ღირსეული სულიერი შვილი ღირსეულ მამისა, როგორც ხარ შენ დღეს, ჩვენო სულიერო ნუგეშო, ღვანღმოსილო მამამთავარო და დიდება ეკლესიისა.

უნეტარესო მეუფეო, შემოდი ამ წმინდა ტაძარში, შესწირე უფალს უსისხლო მსხვერპლი და შეავედრე მას მთელი ქართველი ერი, რომ მასში განმტკიცებულ იყოს ძველი ჩვენი მამა-პაპური მართლმადიდებლური სარწმუნოება თავის შედეგებით – ძმობით, ერთობით და სიყვარულით, რომ ჩვენ მოციქულთან ერთად გვეთქვას: „ესე არის ძლევა, რომელთა სძლებს სოფელსა სარწმუნოება ჩვენი“.741 სიცოცხლეშივე აღმსარებლად შერაცხული კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (რაც 70 წლის შემდეგ ქართულმა ეკლესიამ დააკანონა) ასეთივე პატივით და სიყვარულით მიიღეს 1925წ. 31 მაისს დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაშიც. მისმა წინამძღვარმა დეკ. იოსებ მირიანაშვილმა ასე მიმართა მას: „თქვენო უწმინდესობავ, ივერიის ეკლესიის ერთგულო და თავდადებულო საქეთმპყრობელო... სულით და გულით შემოგხარით, თავს გეველებით, ჩვენი ნატვრაა, რომ გაგრძნობინოთ სიხარულის და სიამოვნების წუთები და გამოვხატოთ ჩვენი თქვენდამი მადლობა.“ თქვენ კარგად იცით, რა აწუხებს ჩვენს

737. იქვე, ფ.189.

738. იქვე, ფ.188 (საქმეში №308 ფურცლების ნუმერაცია რატომღაც მეორდება).

739. კ.კეკელიძის სახ. საქართვე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.16, 31.

740. ს.ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე, გვ. 85.

741. საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.539, ფ.80.

ეკლესიას, – აგრძელებდა იოსებ მირიანაშვილი, – „რადგანაც სიყრმიდანვე ღრმა მოხუცებულებამდი თქვენი პირადი ბედი და უბედობა მჭიდროდ გადააჭედეთ მის ბედს და უბედობას; სიყმანვილიდან აქამდე ღრმად შეიყვარეთ იგი და მისი სიხარული – თქვენი სიხარულია და მისი ტანჯვა – თქვენი ტანჯვაა.“ დღეს ამ ტაძარში შეავედრეთ მაცხოვარს, რომ „მან დაიცვას ჩვენი ერი და ეკლესია ყოველგვარი განსაცდელისაგან; შეეხვეწეთ დიდუბის ღვთისმშობლის ხატს და წმ. თამარს, რათა მათი მეოხებით ყოველთვის ვითარდებოდეს და წინ მიდიოდეს ჩვენი ქვეყანა ქრისტიანული ცხოვრებით, ქრისტიანული განათლებით“,⁷⁴² – ასე დაასრულა იოსებ მირიანაშვილმა თავისი მიმართვა კათოლიკოს-პატრიარქისადმი. უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი საკმაოდ ხშირად იღებდა გულწრფელ მილოცვებს მღვდელმთავრებისგან, რიგითი მღვდელმსახურებისგან და მრევლისგან.⁷⁴³

1925წ. ზაფხულში კათოლიკოს-პატრიარქმა ბორჯომში დაისვენა და შესამჩნევად მომჯობინდა.⁷⁴⁴ იმავე წლის 9-12 ოქტომბერს მღვდელმთავართა მონაწილეობით გაიმართა საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა. 9 ოქტომბრის სხდომაზე საბჭოს დებულებაში შევიდა ცვლილება: „როდესაც კათალიკოზი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით მოკლებულია საშვალეებას საეკლესიო საქმეების ხელმძღვანელობისას, საკათოლიკოსო საბჭო გამოიწვევს ერთ-ერთ მღვდელმთავარს და ნიშნავს მას კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ“.⁷⁴⁵ 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი საკათოლიკოსო საბჭოს წევრებს გაუგრძელდათ უფლებამოსილება IV საეკლესიო კრების მოწვევამდე, შეიქმნა ორი ახალი (ცაგერის და ბოდბეს) ეპარქია.⁷⁴⁶

საქართველოს საგანგებო კომისია, პირადად ლ. ბერია თვალყურს ადევნებდა ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს და პერიოდულად ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ამ უკანასკნელისთვის წარდგენილ „საქართველოს რესპუბლიკის ზოგადპოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვაში“, რომელიც მოიცავდა პერიოდს 1925წ. იანვრიდან 1 ივლისამდე (ხელს აწერდნენ ე. კვანტალიანი და ლ. ბერია), საგანგებო კომისია წერდა: „ქართული სამღვდელთა კათოლიკოს ამბროსის განთავისუფლების შემდეგ ამ უკანასკნელის ირგვლივ დაირაზმა. წინანდელი შუღლი და კინკლაობა სამღვდელთაში თითქოს არ იგრძნობოდა. რამდენადაც ადრე შესამჩნევი იყო განმახლებელთა მოძრაობის ნიშნები, ამჟამად ქართულ სამღვდელთაში იგი სრულებითაც არ არსებობს. ქართული ეკლესია დამოუკიდებელია და აბსოლუტურად არ ემორჩილება არც სინოდს, არც ტიხონს (ორი მიმდინარეობა რუსულ ეკლესიაში – ჯ. გ.). განთავისუფლების შემდეგ ამბროსიმ თვითონ რიგ-რიგობით სწირა ყველა ქართულ ეკლესიაში, მოიზიდეს რა მლოცველთა მასები, რადგანაც მორწმუნეები მას წამებულად მიიჩნევენ.“

ზოგადად, თუ ვიმსჯელებთ ანტირელიგიური პროპაგანდის პერიოდში მოსახლეობაში გამოვლენილი უკმაყოფილების და გლეხების მიერ ეკლესიების გახსნის თაობაზე შემოტანილი არც თუ ისე ცოტა განცხადების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკლესიის გავლენა კიდევ არსებობს და საკმაოდ მნიშვნელოვანწილად.⁷⁴⁷ საქართველოს კომპარტიის ცეკასადმი წარდგენილ მორიგ დოკუმენტში – „საქართველოს რესპუბლიკის ზოგადპოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვაში“ (1925 წლის ივლისი – სექტემბერი) ე. კვანტალიანი, ლ. ბერია და მერკულოვი წერდნენ, რომ „ბოლო დღეებში კათალიკოსი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭო ცდილობდნენ საქართ-

742. იქვე, ფ.81.

743. იქვე, ფ.66.

744. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს. 102, გვ. 22.

745. იქვე, ს.102, გვ. 23.

746. იქვე, ს. 22, 28.

747. შსს არქივი, ფ.14, აღწ.2, ს.17, ფ.797-796.

ველოში ოდესღაც არსებული საეპისკოპოსო კათედრების აღდგენას, რისთვისაც მოხდა ოთხი დეკანოზის ეპისკოპოსად ხელდასხმა; მორწმუნეები მაინც და მაინც არ თანაუგრძნობდნენ კათალიკოსის ამ ღონისძიებებს, რადგანაც ახალი ეპისკოპოსების შენახვა მათ კისერზე დაწვება. ზოგადად, საკათალიკოსო საბჭოს ბოლო დღეების მოქმედება რეაქციულია.⁷⁴⁸ საგანგებო კომისიის ხელმძღვანელებს წინასწარ ჰქონიათ ინფორმაცია კათოლიკოს-პატრიარქის გეგმების შესახებ. მათ მხედველობაში ჰქონდათ საკათალიკოსო საბჭოს 1925წ. 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ცაგერისა და ბოდბეს ეპარქიების დაფუძნება, იმავე წლის 6 ნოემბრის განჩინებით კი მცხეთა-თბილისის ეპარქიიდან ცალკე ნინოწმინდისა და წილკნის ეპარქიების გამოყოფა. ახალ ეპარქიებს სათავეში ჩაუდგინენ მღვდელმთავრებად კურთხეული კალისტრატე ცინცაძე (ნინოწმინდელი), ალექსი გერსამია (ცაგერელი) და სტეფანე კარბელაშვილი (ბოდბელი); კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი პავლე (ჯაფარიძე) წილკნის ეპარქიას განაგებდა⁷⁴⁹ (1926წ. 7 მარტს ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს ვარლამ მახარაძეც, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახლადდაარსებულ მარგვეთის ეპარქიას). კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გამორჩეულ, მისი ნდობით აღჭურვილ ახალ მღვდელმთავართაგან სწრაფად დანიშნაურდა ნინოწმინდელი კალისტრატე ცინცაძე, რომელიც განსაკუთრებული დამსახურებისთვის მისმა უწმინდესობამ 1925წ. 1 ნოემბერს, მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა (აქვე, დოკ. №76). მანამდე კათოლიკოს-პატრიარქმა მისი კანდიდატურა მუდმივი მოსაყდრის თანამდებობაზე წამოაყენა. აღნიშნულ თანამდებობაზე კალისტრატეს დანიშნულებას ერთხმად დაუჭირა მხარი 1925წ. 27 ოქტომბერს გამართულმა თბილისის ოლქის სამღვდლოების კრებამ.⁷⁵⁰ იმავე წლის 30 ოქტომბერს კი საკათალიკოსო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კათოლიკოს-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ კალისტრატე ცინცაძის დანიშვნის შესახებ. იმავე გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში შედიოდა კალისტრატეს მღვდელმთავრად კურთხევის შემდეგ, მას მიენიჭა ბარტყულაზე ჯვრის ტარებისა და ეპარქიების მწყემსმთავართა შორის მღვდელმსახურების დროს უპირატესობა.⁷⁵¹ მიტროპოლიტი კალისტრატე აქტიურად შეუდგა თავისი მოვალეობის თუ მოვალეობების შესრულებას. დიდი გამოცდილების, ფართო განათლებისა და დამსახურებული ავტორიტეტის წყალობით კათოლიკოს-პატრიარქის შემდეგ იგი ყველაზე გავლენიან ფიგურად იქცა. მისი უწმინდესობის დავალებით, საკათალიკოსო საბჭოს სხდომებს, როგორც წესი, მეუფე კალისტრატე თავმჯდომარეობდა, ასრულებდა კათოლიკოს-პატრიარქის სხვა დავალებებს. მღვდელმთავრული საქმიანობის პირველ დღეებში მგალობელთა გუნდის აღორძინებას მოჰყიდა ხელი. ამ მიზნით ჩამოაყალიბა „ქალთა წრე“, შეიმუშავა წესდება და 1925წ. 10 ნოემბერს დასამტკიცებლად კათოლიკოს-პატრიარქს და მის საბჭოს წარუდგინა. წესდებას ამშვენებს უწმინდესი და უნეტარესი ამბროსის შემდეგი რეზოლუცია: „ვამტკიცებ სიამოვნებით, საქართველო ქალის (ღვთისმშობლის) წილხდომილია, ქალისა მიერ (ნინოს) განათლებულია, ქალის მიერ (თამარი) აყვავებულია და ქალისავე მიერ (შუშანიკი და ქეთევანი) გაბრწყინებულია. ვამტკიცებ, რომ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის „ქალთა წრე“ დააყენებს გალობის საქმეს ისე, რომ შეიქმნება სამაგალითოდ სხვებისთვის. მოვიწვევ უფლის კურთხევას ახლად დაყენებულ საქმეზე“.⁷⁵² დროებით თბილისიდან გასვლასთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ ნინოწმინდელ მიტროპოლიტ კალისტრატეს 1925წ. 27 ნოემბერს წერილობით აცნობა ახალი დავალების შესახებ: „ამით განდობთ მცხეთა-

748. იქვე, ფ.606.

749. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.28.

750. იქვე, ს.23.

751. იქვე, ს. 29; ს.102, გვ. 175.

752. ე. ბუბულაშვილი. უცნობი მასალები სასულიერო განათლების შესახებ XX ს.-ის 20-იანი წლების საქართველოში. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (7). თბ., 2010, გვ.410.

თბილისის ეპარქიის მართვას ჩემი ტფილისში არყოფნის დროს, გარეშე კრებულის ადგილზე გამწესებისა. ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ამბროსი“.⁷⁵³

მიღებული ორგანიზაციული და სხვა ზომებით კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ და საკათოლიკოსო საბჭომ საგრძნობლად განიმტკიცეს პოზიციები, რაც არანაირად არ შედიოდა საგანგებო კომისიის გეგმებში. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვაში 1925წ. ოქტომბრიდან 1926წ. მარტამდე, რომელიც ე. კვანტალიანის, ლ. ბერიასა და დეკანოზოვის ხელმოწერით საქართველოს კომპარტიის ცეკას წარედგინა, ნათქვამია: „კათოლიკოს ამბროსის პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ეკლესიაში გატარებული რეფორმები თანდათანობით უქმდებოდა. უწინარეს ყოვლისა, ახალი სტილი გაუქმდა. საკათალიკოსო საბჭო მასთან დაახლოებული მღვდლების მეშვეობით სამოქალაქო ტანსაცმლის ტარების სანინააღმდეგო კამპანიას ატარებდა. საკათალიკოსო საბჭოს ირგვლივ შეიკრიბა ქართული სამღვდლოების ყველაზე რეაქციული ნაწილი, რომელმაც გამოუსწორებელი კონტრრევოლუციონერისა და საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგის სახელი მოიხვეჭა.“⁷⁵⁴ „მიმოხილვაში“ საუბარია აგრეთვე რუსული მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებზე საქართველოში. გარკვეული გავლენა ჰქონიათ „ტიხონოველებს“, განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც თავიანთი ეპისკოპოსიც კი ჰყოლიათ (ანტონი). მის დაქვემდებარებაში შედიოდნენ ახალი ათონის მონასტრის ბერები (250 ბერი), რომლებიც მონასტრის საბჭოთა მეურნეობად გადაკეთების შემდეგ სოხუმიდან 75 კმ-ს დაშორებით მიუვალ მაღალმთიან ადგილებში დაბინავდნენ. იქ ისინი სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდნენ. „ტიხონოველები“, თავის მხრივ, „იმიბორცებად“ და „იმიასლავებად“ ყოფილან გათიშული. საქართველოში „განმაახლებელთა“ სულ 6 რუსული სამრევლო ფუნქციონირებდა, რომლებმაც ვერანაირად ვერ მოიკიდეს ფეხი აფხაზეთსა⁷⁵⁵ და აჭარაში. აფხაზეთის ბერძნული სამრევლოები (5 სამრევლო) ქართულ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ და მტრულად იყვნენ განწყობილი „განმაახლებელთა“ მოძრაობის მიმართ, რომელსაც სათავეში ბერძენი ავრაამ ივანოვი ედგა. წალკის 15 ბერძნული სამრევლო არსებობდა ავტონომიურად, არ შემოდიოდა ქართული ეკლესიის დაქვემდებარებაში, მაგრამ მჭიდრო კავშირი ჰქონდა მასთან (მირონის მიღება, ხელდასხმა და ა.შ.).⁷⁵⁶

საგანგებო კომისიის მიერ ცეკაში წარდგენილ „მიმოხილვებს“, რომლებშიც საკმაო ადგილი ეკლესიასაც ეთმობოდა, მმართველი და მოძალადე პარტია თავისი ყოველდღიური საქმიანობის წარმართვისთვის, ამა თუ იმ სფეროში (მათ შორის საეკლესიო) პოლიტიკის შემუშავებისთვის თუ კორექტირებისთვის იყენებდა. ცხადია, იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა საგანგებო კომისიის ცნობებს ქართული სამღვდლოე-

753. კ.ეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.30.

754. შსს არქივი, ფ.14, აღწ.2, ს.17, ფ.863.

755. საქართველოს კომპარტიის ცეკასთვის წარდგენილ დოკუმენტში „საქართველოს რესპუბლიკის ზოგად-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ (1925წ. ივლის-სექტემბერი) საგანგებო კომისია წერდა, რომ „სოხუმსა და ბათუმში ჩვენ ვანარმოებთ მუშაობას განმაახლებელთა ეკლესიის შესაქმნელად“. 1926წ. დასაწყისისთვის კი, საგანგებო კომისიის მონაცემებით, განმაახლებელთა მოძრაობა აფხაზეთში „სრულიად უწინადაგოა. განმაახლებელთა არქიეპისკოპოსმა ამბროსიმ, რომელიც სოხუმში თითქმის ორი წელი იმყოფებოდა, ერთი სამრევლოც ვერ ჩამოაყალიბა“ (შსს არქივი, ფ.14, აღწ. 2, ს.28, ფ.606, 863). ამის შემდეგ გაუგებარია, რა მონაცემებს ეყრდნობა ქ.პავლიაშვილი, რომლის მტკიცებით, „განახლების“ მოძრაობამ შედარებით წარმატებას საქართველოს ტერიტორიაზე მართო აფხაზეთში მიაღწია, სადაც გასაბჭოების შემდეგ „მხოლოდ ორი ეკლესია მოქმედებდა, ისიც „განმაახლებელთა“: ახალი ათონის და დრანდის მონასტრები“ (ქ.პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945). ნაწ. I. თბ., 2008, გვ. 457, 458). სინამდვილეში კი აფხაზეთში ეკლესიების დახურვა საკმაოდ წელი ტემპით და ფრთხილად მიმდინარეობდა. გასაბჭოებამდე მოქმედი ასამდე ეკლესიიდან 1923წ. მაისისთვის დაიხურა სულ 10 (შსს არქივი, ფ.14, აღწ. 1, ს.496, ფ.8); 1926წ. მარტისთვის ჯერ კიდევ 70 ეკლესია ფუნქციონირებდა (აქვე, დოკ. №79).

756. შსს არქივი, ფ.14, აღწ. 2, ს.17, ფ.862-863.

ბის „რეაქციული“ ნაწილის პოზიციების გაძლიერების, ეკლესიაში დაპირისპირებების არარსებობის (რაც ხელისუფლების ფავორიტი „პროგრესისტების“ დამარცხებას ნიშნავდა), კათოლიკოს-პატრიარქის, როგორც წამებულის, ავტორიტეტის კიდევ უფრო გაზრდის შესახებ და ა.შ.

საოკუპაციო რეჟიმმა 1925 წლის განმავლობაში რამდენადმე შეცვალა ანტირელიგიური კამპანიის, ფორმები და მეთოდები. საქართველოს კომპარტიის ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ანგარიშში 1924-1925 წლებში განეული მუშაობის შესახებ აღნიშნულია, რომ „საანგარიშო პერიოდში დასრულდა ანტირელიგიური ბრძოლის მეთოდების გადახედვა. დასაყრდენ პუნქტებს ამ ბრძოლაში წარმოადგენდნენ ქოხ-სამკითხველოები, მოძრავი პარტიული სკოლები და ზოგადად ყოველგვარი ტიპის სკოლა სოფლად და ქალაქად, რომლებშიც სისტემატიურად და მეთოდურად მიმდინარეობს რელიგიის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების ახსნა, ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების მეცნიერული განმარტება.“⁷⁵⁷ ქოხ-სამკითხველოების თანამშრომელთა და მაშინდელი სკოლების პედაგოგთა განათლების დონის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტირელიგიურმა კამპანიამ კრახი განიცადა. მათ მიერ წარმოებულ პროპაგანდას, რელიგიის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების „ახსნას“, ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების „მეცნიერულ განმარტებებს“ სერიოზულად არავინ აღიქვამდა და უკუშედეგებს იძლეოდა. საქართველოს კომპარტიის მთავარ საზრუნავს ამ ეტაპზე რელიგიის გავლენისაგან საკუთარი წევრების დაცვა-განთავისუფლება წარმოადგენდა. ამ თემაზე დისკუსიაც კი გაიმართა ცეკას ყურნალში „სოფლის კომუნისტი“. დისკუსიაში ჩართულთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ კომუნისტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში, რომელიც სოფლად იმართება (მიცვალებული მეზობლისთვის წესის აგება, ნათლობა, ჯვრისწერა და ა.შ.), მეორე ნაწილს ეს დაუშვებლად მიაჩნდა.⁷⁵⁸ გარკვეულ დათმობად და უკანდახევად უნდა ჩაითვალოს საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნოს 1925 წლის 6 ივნისის დადგენილება სულთმოფენობისა და მარიამობის საეკლესიო დღესასწაულების დასვენების დღეებად გამოცხადების შესახებ.⁷⁵⁹ იმავე წლის 25 ივნისს კი ცეკას სამდივნომ მოისმინა ინფორმაცია „საეკლესიო საკითხების შესახებ“ და თავისი დადგენილებით მოითხოვა დეტალური მონაცემების წარმოდგენა როგორც მაზრებში აღდგენილი ეკლესიების რაოდენობის, ისე ეკლესიების გახსნის თაობაზე მორწმუნეთა თხოვნებზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მხრიდან უარის თქმის მიზეზების შესახებ.⁷⁶⁰

პირდაპირი თუ ირიბი გზებით ეკლესიების გახსნაზე უარის თქმის შემთხვევები კი საკმაოდ მრავლად იყო 1925 წლის ივნისამდეც და შემდგომშიც. მაგალითად, ტიბაანის რელიგიური საზოგადოების დამფუძნებელთა საბჭო 1925-1926 წლებში საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილებში აღნიშნავდა, რომ სოფელი ოთხი წელიწადია ამაოდ ითხოვს დახურული ხირსის მონასტრის ეკლესიის სახით აღდგენას.⁷⁶¹ 1925 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს კომპარტიის ცეკამ და საბჭოთა ცაკ-მა ვერ თუ არ გადაწყვიტეს ოზურგეთში და ახალციხეში ეკლესიების გახსნის საკითხი.⁷⁶² შესაბამისი რელიგიური საზოგადოებების დამფუძნებლები 1925-1926 წლებში ამაოდ ითხოვდნენ თბილისის ივერიის ღვთისმშობლის, შორაპნის მაზრის ს. ფარცხანალის მაცხოვრის, ზუგდიდის მაზრის ს. ხეთას წმ. გიორგის, ს. მარტყოფის

757. იქვე, ს.619, ფ.101.

758. სოფლის კომუნისტი, 1925, №3, გვ.17-19; №5, გვ.36-38; №6, გვ.13-19; №7, გვ.12-13 და ა.შ.

759. შსს არქივი, ფ.14, აღნ.2, ს.363, ფ.100.

760. იქვე, ფ.118ა.

761. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ. 1, ს.149, ფ.17, 32.

762. შსს არქივი, ფ.14, აღნ.2, ს.363, ფ.49ა; საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.217, ფ.13.

ნმ. ანტონ მარტყოფელის და სხვა ეკლესიების გახსნას.⁷⁶³ აშკარად პოლიტიკური ელფერი ჰქონდა ბათუმის რუსული საზოგადოების მოთხოვნას ყოფილი სამხედრო ტაძრის გახსნის თაობაზე. ვინაიდან საქართველოს ცაკ-ის 1924წ. 21 ნოემბრის დადგენილება (აქვე, დოკ. №74) არ ითვალისწინებდა ამ ტიპის ტაძრების აღდგენას, დახმარებისთვის ბათუმელმა რუსებმა 1925წ. 2 ნოემბერს საბჭოთა კავშირის ცაკ-ს მიმართეს. მოსკოვს, თბილისსა და ბათუმს შორის ერთნაირი მიმონერის შემდეგ აჭარის ცაკ-მა 1926წ. 1 ნოემბერს უარი თქვა სამხედრო ტაძრის დაბრუნებაზე, მაგრამ არა საქართველოს ცაკ-ის 1924წ. 21 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, არამედ იმ მოტივით, რომ „მორწმუნეთა განკარგულებაში ბათუმში იმყოფება საკმარისი რიცხვი ტაძრების თავისი კულტის შესასრულებლად.“⁷⁶⁴ საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნომ 1925 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით შეაჩერა ცაკ-ის თავმჯდომარის ფ. მახარაძის განკარგულება მონამეთას მონასტრის სამლოცველო სახლის სახით აღდგენის შესახებ და საკითხი „ქუთაისელი ამხანაგების თანდასწრებით“ განხილვისთვის ცეკას პრეზიდიუმს გადასცა. ამ უკანასკნელმა ოპერატიულად – 1926წ. 6 იანვარს იმსჯელა „ყოფილ მონამეთას მონასტერთან ეკლესიის გახსნის შესახებ.“ მიღებულ დადგენილებაში ჩაინერა: „საკითხი ჩაითვალოს ამონურულად ამხანაგ მახარაძის განცხადებით იმის შესახებ, რომ ცაკ-მა უკვე გააუქმა განკარგულება ამ ეკლესიის გახსნის შესახებ.“

ზოგიერთ ადგილებში მონასტერთა გამოცოცხლების დანყების თაობაზე შემოსული ცნობების გამო შს სახალხო კომისარიატმა ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს მოხსენება საქართველოს სსრ-ში ყოფილი მონასტრების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ.⁷⁶⁵

სხვებზე მეტად „გაუმართლა“ ბიჭვინთის ტაძარს, რომელიც 1924 წლამდე ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა. აფხაზეთის მთავრობამ 1926წ. 9 თებერვალს მიიღო დადგენილება „ბიჭვინთის სახელმწიფო ნაკრძალის შესახებ.“ ნაკრძალის ფარგლებში მოექცა ბიჭვინთის კონცხის ტერიტორია თავისი ფიჭვნარითა და ისტორიული ძეგლებით ბიჭვინთის ტაძრის ჩათვლით. ამით გამოირიცხა მონასტრის ან ეკლესიის სახით მისი აღდგენა და ღვთისმსახურების ჩატარება. 1926წ. ბოლოს ბიჭვინთის ტაძრის მდგომარეობით მოულოდნელად დაინტერესდა სსრ კავშირის მეცნიერების მთავარი სამმართველო (ე.წ. გლავნაუკა), ამ უკანასკნელის მეშვეობით – სსრ კავშირის ცაკ-ი და პირადად მ. კალინინი. მისი ხელმოწერით ამიერკავკასიის ცაკ-ის პრეზიდიუმმა 1927წ. 30 მარტს მიიღო წერილი ბიჭვინთის ტაძრის დაცვის თაობაზე დადგენილებისა და მოხსენების წარმოდგენის შესახებ. მოთხოვნილი მასალები 1927წ. ბოლოს სსრ კავშირის ცაკ-ს მართლაც წარედგინა.⁷⁶⁶

იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოს ცაკ-ი, ხელისუფლების სხვა ორგანოები თითქოს დადებით გადანყვეტილებას იღებდნენ რელიგიურ საზოგადოებათა ამა თუ იმ თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, მაგრამ მისი განხორციელება ვერ ხერხდებოდა ან უსასრულოდ ჭიანჭურდებოდა. ასე მოხდა ბოდბეს ეპარქიის მთლიანი რელიგიური ნმ. ნინოს სახელობის საზოგადოების წარმომადგენელთა 1925წ. 18 ნოემბრის თხოვნასთან დაკავშირებით ნმ. ნინოს ტაძრის გახსნისა და სამღვდლო-სამღვდელმთავრო შესამოსელის გაცემის თაობაზე. ბოდბეს ყოფილ მონასტერში დაცული შესამოსელის დაბრუნების თაობაზე შუამდგომლობა ცაკ-ის წინაშე საკათოლიკოსო საბჭომაც აღძრა. ეს თხოვნა საქართველოს ცაკ-ის მცირე პრეზიდიუმმა ოპერატიულად განიხილა და თითქოს დააკმაყოფილა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნმ. ნინოს სახელობის რელიგიურმა საზოგადოებამ სიღნაღში ამის შესახებ არაფერი იცოდა და აგრძელებდა სხვა-

763. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.149, ფ.38-41, 44; ს.152, ფ.30ა.

764. იქვე, ს.216, ფ.1, 2, 12.

765. შსს არქივი, ფ.14, აღნ.2, ს.363, ფ.86; აღნ.3, ს.2, ფ.1.

766. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.542, ფ.1-14.

დასხვა მაღალ ინსტანციებში მიმართვების გზავნას.⁷⁶⁷

1925 წელს ადგილი ჰქონდა ისეთ ვანდალურ აქტს, როგორცაა თელავის მაზრის თელეთის ეკლესიის დანგრევა. იმავე წლის 4 აგვისტოს საქართველოს პროკურორმა რესპუბლიკის ცაკ-ის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ხელოვნების ძეგლის-თელეთის ეკლესიის დანგრევის საქმეში ჩადენილი უკანონო მოქმედებისთვის თელავის სამაზრო აღმასკომის წევრების პასუხისგებაში მიცემის შესახებ. 1925წ. 19 სექტემბერს ცაკ-ის მცირე პრეზიდიუმმა პროკურორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და მხოლოდ წინადადება მისცა თელავის სამაზრო აღმასკომს „მომავალში იხელმძღვანელოს სიძველეთა, ბუნების და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ არსებული და მოქმედი კანონმდებლობით (ცაკ-ის №95 დადგენილება).“⁷⁶⁸ თავისი უკანონო გადანყვეტილების „კომპენსირება“ ცაკ-ის მცირე პრეზიდიუმმა იმით მოახდინა, რომ იმავე წლის ბოლოს დააკმაყოფილა მრევლის თხოვნა თელავის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის გახსნის შესახებ.⁷⁶⁹

საოკუპაციო რეჟიმი აგრძელებდა საეკლესიო პოლიტიკაში ორმაგი სტანდარტით მოქმედებას. მან იძულებით, მაგრამ მაინც დაუშვა დახურული ეკლესიების დიდი ნაწილის გახსნა. საქართველოს საბჭოთა ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1925 წლის 21 სექტემბრის ერთობლივი დადგენილებით, რომელიც საკათოლიკოსო საბჭოს შუამდგომლობის („სამღვდელოებისთვის მიწის ნორმის მიცემის შესახებ“) გათვალისწინებით იქნა მიღებული, ცვლილება შევიდა მიწის კოდექსის 9-ე მუხლშიც. ამიერიდან მიწით სარგებლობის უფლება სასულიერო პირებსაც მიეცათ.⁷⁷⁰ საბჭოთა რეჟიმი ყოველივე ამას ერთი ხელით თუ აკეთებდა, მეორე ხელით ძალღონეს არ იშურებდა, რათა არ დაეშვა იძულებით გახსნილი ტაძრების რეალური ფუნქციონირება, ეკლესიის აღორძინება. ამ მიზნით კვლავ დაისვა საკითხი ადრე ამოღებული საეკლესიო განძეულობის რეალიზაციისა და კიდევ დამატებით განძეულობის ამოღების შესახებ. 1925წ. 8 აგვისტოს ცაკ-ის მცირე პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა ფ. მახარაძის მოხსენება „საეკლესიო განძეულობის შესახებ“ და დაადგინა: „წინადადება მიეცეთ ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში, ქალაქ თბილისის აღმასკომს და ყველა მაზრის აღმასკომს სასწრაფოდ წარმოადგინონ სრულიად საქართველოს ცაკში დანვრილებითი ცნობები თუ რომელ ეკლესიიდან რამდენი განძეულობა იქნა გამოტანილი, სად იმყოფებოდა დღეს ეს განძეულობა; თუ გაუკეთდა ამ განძეულობას რეალიზაცია, რა დანიშნულებას მოხმარდა რეალიზაციიდან მიღებული თანხები და საერთოდ მიანოდოს საქართველოს ცაკ-ს სრული ცნობები ამ საკითხის შესახებ.“⁷⁷¹ 1925წ. 12 დეკემბერს კი საქართველოს ცაკ-მა მიიღო ამიერკავკასიის ცაკ-ის დავალება საეკლესიო განძეულობის ამოღების კამპანიის ჩატარების შესახებ.⁷⁷² ეს კამპანია თითქმის ერთი წელი მიმდინარეობდა. რეგიონებიდან შემოსული ცნობების საფუძველზე საქართველოს ცაკ-ის საქმეთა მმართველმა ა. მენაბდემ 1926 წლის 6 სექტემბერს ამიერკავკასიის ცაკ-ს წარუდგინა ინფორმაცია საეკლესიო განძეულობის ამოღების კამპანიის ჩატარების შესახებ. ინფორმაციაში მოტანილია მონაცემები ქალაქებისა და მაზრების მიხედვით. ამოღებული განძეულობის უდიდესი ნაწილი იმ დროისთვის უკვე რეალიზებული იყო. მიღებული თანხები ძირითადად ამა თუ იმ მაზრაში მიმდინარე „აღდგენითი სამუშაოებისა“ და ზოგადად „აღმშენებლობის საწარმოებლად“, „კულტურულ-საგანმანათლებლო“ ობიექტების მოსაწყობად და სხვა

767. იქვე, ს.149, ფ.30-33; ს.152, ფ.30ა.

768. იქვე, ს.152. ფ.24.

769. იქვე, ფ.30ა.

770. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.152, ფ.40; ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ... ამბროსი, გვ.166-168.

771. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღნ.1, ს.152, ფ.43.

772. იქვე, ს.215, ფ.11.

მიზნებისთვის დაიხარჯა. ინფორმაციის თანახმად, განძეულობის მცირე ნაწილი გადაეცა უნივერსიტეტის მუზეუმს, აღდგენილ ეკლესიებს, ნაწილი ჯერ კიდევ შესაბამისი მაზრების აღმასკომებში თუ სალაროებში ინახებოდა.⁷⁷³

საეკლესიო განძეულობის რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხებიდან არაფერი ერგო ეკლესიას, რომელიც ეკონომიკური სიდუხჭირის გამო სულს ლაფავდა. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქართული ეკლესიის ცენტრალური დაწესებულებები, პირადად კათოლიკოს-პატრიარქი. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, მიუხედავად იუსტიციის კომისარიატის დაპირებისა, მის უწმინდესობას ბინაც არ მისცეს, რომ არაფერი ვთქვათ ჩამორთმეული რეზიდენციის დაბრუნებაზე, რის თაობაზეც თურმე პრინციპული გადაწყვეტილებაც კი ყოფილა თბილისის აღმასკომში მიღებული. ავადმყოფი კათოლიკოს-პატრიარქი იძულებული იყო მცხეთაში ეცხოვრა და იქიდან ევლო ყოველდღე თბილისში. „ზედმეტია თუ რამდენად აუტანელია მდგომარეობა ჯანგატეხილ მოხუცისთვის“, – წერდა საკათოლიკოსო საბჭო თავის მიმართვაში (1925წ. სექტემბერი) საქართველოს ცაკ-ისადმი და სთხოვდა მას „ინებოს განკარგულება საკათოლიკოსო სახლის დაბრუნებისთვის როგორც კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციისთვის, ისე ცენტრალურ დაწესებულებათა მოთხოვნისთვის“.⁷⁷⁴ საქართველოს ცაკ-ს ასეთი განკარგულება, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, არ გაუცია.

1925 წ. 30 სექტემბერს გაზეთებმა „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“ ერთდროულად გამოაქვეყნეს ინფორმაცია საქართველოში მყოფი ინგლისური დელეგაციის კათოლიკოს-პატრიარქთან მცხეთაში შემთხვევით შეხვედრის შესახებ. უწმინდეს და უნეტარეს ამბროსის თითქოს უთქვამს, რომ ეკლესია ამჟამად სახელმწიფოსაგან დევნას არ განიცდის, მაგრამ ხაზი გაუსვამს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისთვის. „ზარია ვოსტოკას“ ცნობით, დელეგაციის ერთ-ერთ წევრს დახმარების სახით კათოლიკოს-პატრიარქისთვის 1 ფუნტი-სტერლინგი გადაუცია. ეს ფაქტი ყველაზე კარგად ასახავს ქართული ეკლესიის კატასტროფულ ეკონომიკურ მდგომარეობას იმ პერიოდში, როდესაც იგი სადამსჯელო ორგანოების მხრიდან აშკარა დევნას თითქოს არ განიცდიდა.

ქართული ეკლესიის წინაშე მდგარი პრობლემები ჩამოყალიბებულია 1925 წ. ბოლოს ეკატერინე გაბაშვილის მიერ სსრ კავშირის ცაკ-ის თავმჯდომარის მ.კალინინის სახელზე გაგზავნილ წერილში, რომელსაც ბევრი რიგითი მოქალაქეც აწერდა ხელს. წერილის ფორმიდან და შინაარსიდან გამომდინარე, იგი საეკლესიო მთავრობასთან წინასწარი კონსულტაციების შემდეგ უნდა იყოს შედგენილი და მოსკოვში გაგზავნილი. სამღვდელოების თხოვნას არავინ ყურად არ იღებდა; იქნებ ინტელიგენციისა და „ხალხის“ წარმომადგენლების თხოვნას მიაქციონ ყურადღება, – ფიქრობდნენ, ალბათ, წერილის ინიციატორები. მასში ნაჩვენებია, რომ რუსული ეკლესია ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე ქართული. მორწმუნეთა სახელით, ეკატერინე გაბაშვილი ითხოვდა დახმარებას უმაღლესი და საშუალო სასულიერო სკოლების გახსნაში, რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის წიგნებისა და ჟურნალის გამოცემაში, სასულიერო პირებისთვის გადასახადების შემცირებაში, კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენციის დაბრუნებაში, ყოფილი საეკლესიო-სამრევლო სახლების კვლავ რელიგიური საზოგადოებებისთვის გადაცემაში, მონასტრების გახსნაში და, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ყოფილი სამონასტრო მამულებიდან ბერებისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფაში (აქვე, დოკ. №77).

ე. გაბაშვილის წერილთან დაკავშირებით, საკავშირო ცაკ-ის ერთ-ერთი წევრის ხელმოწერით ამიერკავკასიის ცაკ-მა 1926წ. 13 იანვარს მიიღო მოსკოვიდან გამოგ-

773. იქვე, ფ.2, 5, 15-58, 173-174.

774. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს.539, ფ60.

ზავნილი შემდეგი ოფიციალური წერილი: „სსრ კავშირის პრეზიდიუმის დავალებით გეგზავნებათ მოქალაქე ე.გაბაშვილის და სხვათა (არის მოქალაქეთა ხელმოწერები ქართულად) განცხადების ასლი და, აღვნიშნავთ რა ზოგადად რუსეთის ფედერაციაში არსებულ ვითარებაზე განცხადებაში მოტანილი მითითებების სისწორეს, გარდა განცხადების 6-ე პუნქტისა და ნაწილობრივ მეხუთესი, გთხოვთ რაც შეიძლება მოკლე ვადაში სსრ კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმში გამოგზავნოთ თქვენი დასკვნა“.⁷⁷⁵ აღნიშნულმა მასალებმა ამიერკავკასიის ცაკ-იდან საქართველოს ცაკ-ში გადმოინაცვლეს. მისმა მდივანმა ს.თოდრიამ 1926წ. 16 მარტს ეს მასალები საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნოს გადაუგზავნა და სთხოვა, „საკითხი შეიტანონ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომაზე განსახილველად სრულიად საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარის ფ.მახარაძის ან ჩემი თანდასწრებით, რადგანაც ეს საკითხი არის პრინციპიალური ხასიათისა“.⁷⁷⁶ 1926წ. 20 მარტს ცეკამ, თავის მხრივ, ს.თოდრიას სთხოვა, „გამოგზავნოთ ყველა მასალები (დებულებები რელიგიურ საზოგადოების მდგომარეობის შესახებ) ცეკაში“.⁷⁷⁷ გარდა ე. გაბაშვილის წერილისა და მასთან დაკავშირებული მიმოწერისა, საქართველოს ცაკ-იდან კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაგზავნილ მასალებს შორის უნდა ყოფილიყო ურბნელი ეპისკოპოსის იოანეს სამი წერილი ცაკ-ის თავმჯდომარის ფ.მახარაძისადმი: 1926წ. 1 თებერვლის – სასულიერო აკადემიის დაარსების, 1926წ. 19 თებერვლის – უმაღლესი სასულიერო სკოლის დაარსების, 1926წ. 24 თებერვლის – სამოძღვრო კურსების დაარსების შესახებ, აგრეთვე მის მიერვე მომზადებული „წესდება ტფილისის უმაღლესი საღვთისმეტყველო კურსებისა“⁷⁷⁸ და ა.შ. ცეკას სამდივნომ 1926წ. 22 მაისს მოისმინა ს.თოდრიას მოხსენება „ეკლესიებისა და სასულიერო სკოლების გახსნის შესახებ“ და დადგინა: „1. სასულიერო სკოლების გახსნაზე უარი ეთქვას. 2. ეკლესიების გახსნის საკითხზე ცაკ-მა დაიცვას ცეკას დადგენილებები“.⁷⁷⁹ ე.გაბაშვილის წერილში დასმული არც ერთი თხოვნა არ დაკმაყოფილებულა. ეკლესიისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო სასულიერო კადრების მომზადების პრობლემა, რის გარეშეც აზრს კარგავდა ტაძრების მასობრივად გახსნაც.

საოკუპაციო რეჟიმი აშკარა დევნისა და რეპრესიების გარეშეც სხვადასხვა მეთოდებით ახერხებდა ეკლესიის შევიწროებას, თუმცა ვერ შესძლო მთავარი – ვერ გადაიბირა, წელში ვერ გატეხა სამღვდელოების, მათ შორის მღვდელმთავართა ძირითადი ბირთვი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ხელმძღვანელობით, ვერ ჩაკლა მამა-პაპათა სარწმუნოება ქართველთა გულგებში. მისმა უწმინდესობამ განსაცვიფრებელი მოთმინება, ნებისყოფა, შრომისუნარიანობა და ორგანიზაციული ნიჭი გამოავლინა. 1926წ. 29 იანვარს მიტროპოლიტ კალისტრატეს მან წერილი გაუგზავნა ქართულ ეკლესიაში არსებული პრობლემების შესახებ, რომლებზეც უნდა მიექცია მთავარი ყურადღება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს (აქვე, დოკ. №78). უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი პირადად ეწვია მრავალ ეკლესიას და არა მხოლოდ თბილისში ან მცხეთაში. ჯანმრთელობის გაუარესების მიუხედავად (ექიმებისაგან აკრძალული ჰქონდა ინტენსიური საქმიანობა), 1926წ. თებერვლის დასაწყისში მან სენაკის მაზრის სოფ. სუჯუნის წმ. გიორგის ისტორიული ეკლესიის მონახულება გადამწყვიტა.⁷⁸⁰ საკათოლიკოსო საბჭომ 1926წ. 10 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება IV საეკლესიო კრების 1926 წ. 23 მაისისთვის მოწვევის შესახებ და წინადადება მისცა მღვდელმთავრებს

775. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.284, აღწ. 1, ს. 149, ფ.21.

776. იქვე, ფ.25.

777. იქვე, ფ.26-27.

778. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, ს. 308, ფ.192, 197; საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, აღწ. 1, ს. 149, ფ. 4-12; 23, 26-27.

779. შსს არქივი, ფ.14, აღწ. 3; ს.18, ფ.46.

780. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს.539, ფ.68.

იმავე წლის 1 აპრილამდე საბჭოში წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები მომავალ კრებაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.⁷⁸¹ კრებისთვის მზადების პერიოდში „პროგრესისტმა“ მღვდელმთავრებმა გადანყვიტეს ესარგებლათ კათოლიკოს-პატრიარქის ავადმყოფობით, რათა ხელში ჩაეგდოთ რეალური ძალაუფლება. 1926წ. 22 მარტს მათ ასეთი გადანყვიტელებაც კი მიიღეს: „დაევალოს მიტროპოლიტ ქრისტეფორეს შეუდგეს კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის ასრულებას, როგორც საკათოლიკოსო საქმეების, ისე მცხეთა-თბილისის საქმეთა წარმოებაში“;⁷⁸² მაგრამ ეს არ ყოფილა კათოლიკოს-პატრიარქის სურვილი, რომელმაც მცხეთა-თბილისის ეპარქიის დროებითი მართვა მიტროპოლიტ იოანეს დაავალა. „პროგრესისტთა“ მცდელობას არც ამჯერად ეწერა განხორციელება.

კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ კიდევ ერთხელ სცადა საერთაშორისო კავშირების დამყარება. ამ მიზნით, იმავე წლის 29 მარტს ამიერკავკასიის ფედერაციაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებულის მეშვეობით ერთი და იგივე შინაარსის წერილები გაუგზავნა მსოფლიო პატრიარქს და კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს ყოვლად უწმინდეს ბასილ III, მათ უწმინდესობას ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს გრიგოლ III, იერუსალიმის პატრიარქს დამიანეს, ალექსანდრიისა და სრულიად ეგვიპტის პატრიარქს ნიკოდიმოსს, რომლებსაც პასუხი არ გაუციათ 1921 წლის წერილებზე. მათდამი ხელმეორე მიმართვაშიც ნათქვამი იყო, რომ ივერიის ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ 1921 წლის სექტემბერში გამართულმა საეკლესიო კრებამ „მთავარეპისკოპოსად მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღირჩია უღირსება ჩემი.

ვძრწი და ვშიშობ, რაჟამს გულისხმას ვჰყოფ მძიმესა მას უღელსა, რომელი განგებამ ღმერთისამან დამაკასრა მე, გარნა ვითვალისწინებ რა, რომ ივერიის ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში მუდმივ პოულობდა ნუგეშსა და დახმარებას ერთმორწმუნე აღმოსავლეთის ეკლესიებში, ვსასოებ, ასეთ შველასა და დახმარებას დღესაც არ იქნება მოკლებული იგი და გულშემატკივარი დედა, აღმოსავლეთის ეკლესია, ზნეობრივად ეხლაც გაუნვდის მას ხელს.

ამა იმედით აღსრული საყდარსა ზედა ივერიის უპირატესისა, გულითა წრფელითა მოგიკითხავ ყოვლად უწმინდესო მამაო, და გთხოვთ სიყვარულით მიითვალო უღირსება ჩემი, ვინაიდან თქმულებისამებრ წინასწარმეტყველისა, „აჰა ესერა რაიმე კეთილ, ანუ რაიმე შვენიერ, არამედ დამკვიდრებად ძმათა ერთად“ (ფს. 133, 1).⁷⁸³ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი აღმოსავლეთის პატრიარქებს არ სთხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას, რადგანაც მათ არასოდეს გაუუქმებიათ მისი დამოუკიდებლობა.

თითქმის იგივე შინაარსის წერილები, თხოვნით და იმედით, რომ ივერიის ეკლესია არ იქნება მოკლებული ტრადიციულ ძმურ სიყვარულსა და დახმარებას, კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ 1926წ. 29 მარტს გაუგზავნა აგრეთვე დასავლეთის კათოლიკე ეკლესიის პატრიარქს და რომის პაპს პიო X და დიდი ბრიტანეთის უპირატეს მღვდელმთავარს, კენტერბერის მთავარეპისკოპოსს.⁷⁸⁴ ამ უკანასკნელისაგან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ 1926წ. 17 აპრილს შემდეგი შინაარსის საპასუხო წერილი მიიღო: „მცხეთის მთავარეპისკოპოსს და კათოლიკოს-პატრიარქს სრულიად საქართველოსას, მაღალღირსო და ძვირფასო ძმაო!

თქვენის უწმინდესობის მიერ გამოგზავნილმა ეპისტოლემ უუცხოველესი ინტერესი

781. ს. ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ... ქრისტეფორე III, გვ. 98.

782. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს. 102, გვ. 24.

783. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს. 539, ფ. 70.

784. იქვე, ფ. 73-74.

აღმიძრა და ვისწრაფვი დაგარწმუნოთ, რომ გულწრფელად მონადინებული გახლავართ ყოველი ღონე ვილონისძიოთ ყოველგვარად დაგეხმაროთ თქვენა და სხვებსაც, ვისაც გიპყრიათ საჭე ჩვენის ეკლესიის სარწმუნოებისა წინაშე ესოდენ გაჭირვებისა და თვით საფრთხისა კი.

რათგან პირველად მაქვს შემთხვევა ეპისტოლეს მიწერისა თქვენს უწმინდესობასთან მას აქეთ, რაც უმაღლეს ტახტზე აბრძანებულხართ, ნება მიბოძეთ, გამოგიცხადოთ ჩემი ძმური სიყვარული და გამოვსთქვა ჩემი სასოება და ვედრება, რომ უზენაესი ლოცვა-კურთხევა გადმოგვევლინოთ თქვენს უწმინდესობასა და თქვენს ღვანლსა ზედა, რომ ჩვენს შორის სუფევდეს ძმობა და სიყვარული, რათა ერთობით განვამტკიცოთ ქვეყანასა ზედა სარწმუნოება, რომლისთვისაც ყველას ერთგულება შეგვიფიცნია.

დავშთები თქვენის უწმინდესობის ერთგული ძმა და მოსამსახურე⁷⁸⁵.

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და მისი საბჭო აგრძელებდნენ მუშაობას, იმ მიმართულებითაც, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია ელიარებინა. ამ მუშაობამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პირველი სასურველი შედეგი 1927 წლის თებერვალში გამოიღო. მოცემულ ეტაპზე კი მთავარ ამოცანას მაინც ეკლესიის გადარჩენა, მისი ორგანიზაციული განმტკიცება წარმოადგენდა. კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს მთელი ძალისხმევა აქეთკენ იყო მიმართული.

1926 წლის დასაწყისისთვის ქართული ეკლესიის მდგომარეობისა და მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელების ე.კვანტალიანისა და ლ.ბერიას ხელმოწერით საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის მ.კახიანისთვის 1926წ. 27 მარტს წარდგენილი საკმაოდ ვრცელი ანალიტიკური მოხსენება. დოკუმენტის მიხედვით, საგანგებო კომისია აშკარად შეშფოთებული ჩანს შიდაეკლესიურ ცხოვრებაში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და საკათოლიკოსო საბჭოს “რეაქციული” კურსის გამარჯვებით, საოკუპაციო რეჟიმის დაკვეთით “პროგრესისტების” მიერ ჩატარებული „რეფორმების“ გაუქმებით, ცენტრში და ადგილებზე ეკლესიის ორგანიზაციული განმტკიცებით, ეპარქიების რაოდენობის რვიდან ცამეტამდე გაზრდით (მოხსენებაში მოტანილია მოკლე ცნობები არსებული ეპარქიების შესახებ), ამ გზით “რეაქციული სამღვდელოების” გავლენის კიდევ უფრო გაფართოებით, “თავგამოდებული და თვითდაჯერებული რეაქციული კურსის” გამარჯვების შედეგად “სამღვდელოების პროგრესული ნაწილის სახით” არსებული ოპოზიციის სრული დეზორგანიზაციით და ა.შ. საგანგებო კომისიის მოხსენებიდან ვიგებთ აგრეთვე, რომ კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს გადანყვეტილებით, 1926წ. 23 მაისისთვის დანიშნული მორიგი IV საეკლესიო კრების მუშაობაში მონაწილეობას 52 დელეგატი მიიღებდა; საუკეთესო შემთხვევაში, აქედან მხოლოდ 18 დელეგატი თუ იქნებოდა ოპოზიციის მხარდამჭერი.⁷⁸⁶

კრებისწინა პერიოდში ეკლესიაში არსებული ვითარება, როგორც ეს ე.კვანტალიანს და ლ.ბერიას მიაჩნდათ, ოპოზიციური სამღვდელოებისთვის ხელსაყრელი არ იყო, პირველ რიგში, იმიტომ, რომ, ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, მომავალი

785. იქვე, ფ.76-77.

786. ოპოზიციის მხარდამჭერ დელეგატებს საგანგებო კომისია მოელოდა ძირითადად ქრისტეფორეს, იოანეს, დავითის, სტეფანეს ეპარქიებიდან. 1926წ. 19 მარტს იოსებ ჩიჯავაძე ბოდბელ ეპისკოპოს სტეფანეს (კარბელაშვილი) საგანგებო კომისიის ტერმინების გამოყენებით „დავალებას“ აძლევდა, „როცა დრო მოვა დეპუტატის ამორჩევისა კრებისთვის, რომელიც უნდა იყოს 23 მაისს, ყველა ზომები მიიღე ერისკაციც და მღვდელიც შეგნებული, პროგრესულ მიმართულებისა (ხაზგასმა ჩვენია – ჯ.გ.) გამოგ ზავნო, ამათი (კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის და საკათოლიკოსო საბჭოს – ჯ.გ.) მომხრე არ იყოს... ეპ. მელქისედეკს (ფხალაძე, ალავერდი – ჯ.გ.) შეელაპარაკე, ის ცოტა უცნაური კაცია, ყურმოჭრილია სუბორდინაციისა“ (ე.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი, ს. 821). ეტყობა, ეპისკოპოსი სტეფანე „შეელაპარაკა“ მელქისედეკს, რომელიც სულ მალე „პროგრესისტთა“ რიგებში აღმოჩნდა.

კრება უეჭველად მხარს დაუჭერდა საკათოლიკოსო საბჭოს და არა „პროგრესისტებს“; გარდა ამისა, არ იყო გარკვეული, ნებაყოფილობით გადადგებოდა თუ არა კათოლიკოს-პატრიარქი, მასთან ღია დაპირისპირებას კი კრებაზე ვერავინ გაბედვდა. ამის შესახებ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ძალიან საეჭვოა, რომ კათოლიკოსი ნებაყოფილობით გადადგეს; პირადად მის წინააღმდეგ გამოსვლას და გადადგომის მოთხოვნას ოპოზიციიდანაც კი ვერავინ იკისრებს, რადგანაც უცებ საკუთარი თავის წინააღმდეგ აიძულებს მთელს კრებას; აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნისა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიერ გასამართლების შემდეგ სამღვდელოების რეაქციულ ნაწილში ამბროსი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს; წამებულის შარავანდედით შემოსილი ავადმყოფი ადამიანი ჯერჯერობით მოსათმენია ძალიან ბევრი უკმაყოფილო ელემენტისთვის, ვინც მის მალე გარდაცვალებას ელოდება“. ამბროსის გარდაცვალების შემთხვევაშიც, საგანგებო კომისიის აზრით, „პროგრესისტებს“ მაინც არ ჰქონდათ გარანტირებული კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატის გაყვანა, რადგანაც ეკლესიის სათავეში მყოფ „რეაქციულ“ სამღვდელოებას იმავე თანამდებობაზე კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მიტროპოლიტი კალისტრატეს სახით უძლიერესი კანდიდატი ჰყავდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, აგრეთვე მომავალი IV საეკლესიო კრების მნიშვნელობისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „ეკლესიას ძლიერი გავლენა აქვს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე (მორწმუნე მასაზე), რომელშიც ის ანტისაბჭოურ გრძნობებს აღვივებს, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ეკლესიის გავლენა მასაზე ძლიერ გაიზარდა მის ორგანიზაციულ განმტკიცებასთან ერთად“, როგორც საგანგებო კომისიის მოხსენებაშია ნათქვამი, საჭირო იყო „ეკლესიაზე ყველაზე სერიოზული ყურადღების მიქცევა და ამ საკითხზე გარკვეული ტაქტიკის შემუშავება, რათა ეკლესიის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის სრული მოწვევებითობის შენარჩუნებით მოხერხებულად და მარჯვედ გავხრწნათ სამღვდელოება, უმთავრესად დავასუსტოთ მისი რეაქციული ნაწილი“. ამ მიზნით ე.კვნტალიანი და ლ.ბერია IV საეკლესიო კრების ოქტომბრისთვის გადატანის წინადადებას აყენებდნენ, რათა „პროგრესულ სამღვდელოებას“ ორგანიზაციული განმტკიცების, აგრეთვე ხელნაწერი ჟურნალის გამოცემის დრო და საშუალება მისცემოდა. მათი აზრით, საჭირო იყო ასევე „ერთ-ერთი პასუხისმგებელი ამხანაგის გამოყოფა“, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, „პროგრესული“ სამღვდელოების გავლენიან წარმომადგენლებთან დიპლომატიურ მოლაპარაკებებს გამართავდა იმავე სამღვდელოების გახრწნის მიზნით (აქვე, დოკ. №79).

ქართული მრთლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ამ „ჩეკისტურ“ გეგმაში უმთავრესი მომენტებია კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს სხვა წევრების პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მათ მიერ ერთი წლის განმავლობაში განეული მუშაობის შედეგად ეკლესიის ორგანიზაციული განმტკიცების, მოსახლეობაზე მისი გავლენის გაზრდის, პირადად კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის პოპულარობის კიდევ უფრო ამაღლების, „პროგრესისტების“ სრული კრახის აღიარება, აგრეთვე წინადადებები ამ უკანასკნელთა გაძლიერების, „რეაქციული“ სამღვდელოების დასუსტების, IV საეკლესიო კრების გადადების, როგორც „რეაქციული“, ისე „პროგრესული“ სამღვდელოების „გახრწნის“ შესახებ და ა.შ. საგანგებო კომისიის ზემოთმოტანილი დოკუმენტები, მათ შორის 1926 წლის 27 მარტის საპროგრამო ხასიათის მოხსენება მ.კახიანის სახელზე არანაირ ეჭვს არ ტოვებენ იმაში, რომ ოპოზიციური სამღვდელოების მთელი საქმიანობა, განსაკუთრებით ბრძოლა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და მისი საბჭოს წინააღმდეგ 1926 წლის მარტამდეც და შემდგომშიც საქართველოს „ჩეკას“ მიერ შემუშავებული და პარტიულ ხელმძღვანელობასთან

შეთანხმებული სცენარით, პირადად ლ.ბერიას ზედამხედველობით მიმდინარეობდა.

საქართველოში ანტიეკლესიური მუშაობის გამოცოცხლება-გააქტიურებას ხელი შეუწყო სსრ კავშირის კომპარტიის ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან 1926წ. 27 აპრილს შემდგარმა სრულიად საკავშირო ანტირელიგიურმა თათბირმა. მოისმინა რა ე.იაროსლავსკის მოხსენება, მან განსაზღვრა ათეისტური პროპაგანდის ძირითადი მიმართულებები – საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან რელიგიის კავშირის, მისი ანტიმეცნიერული ხასიათის მხილება, მორალური კრიტიკა, „სამღვდელოებისა და სექტანტების მხრივ სოციალიზმის მშენებლობის პირობებთან სამღვდელოების შეგუების ცდების მხილება.“⁷⁸⁷ ათეისტური პროპაგანდის ამ ე.წ. მიმართულებებში არაფერია პრინციპულად ახალი, გარდა სოციალიზმის მშენებლობის პირობებთან შეგუების ცდების მხილებისა. ასეთ მცდელობებს კი ადგილი ჰქონდა მთელს საბჭოთა იმპერიაში, მათ შორის საქართველოშიც. „პროგრესული“ სამღვდელოება ვერ ხვდებოდა, რომ საოკუპაციო რეჟიმი მას მხოლოდ ქართული ეკლესიის დასასუსტებლად იყენებდა და მალე თავადაც მიუღებელი გახდებოდა.

საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ 1926 წ. 27 მარტს საქართველოს კომპარტიის ცეკაში წარდგენილი მოხსენებისა და საკავშირო კომპარტიის ცეკაში იმავე წლის აპრილში გამართული ანტირელიგიური თათბირის შემდეგ საქართველოში ეკლესიის წინააღმდეგ მუშაობა საგრძნობლად გააქტიურდა და ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა: იმ დროისთვის რუსეთში უკვე არსებული “მებრძოლ უღმერთოთა კავშირის” რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებისთვის წინაპირობების შექმნა და „პროგრესული“ სამღვდელოების ქართული ეკლესიის სათავეში მოყვანა.

მძლავრ ანტირელიგიურ ორგანიზაციას „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს“ საფუძველი ჩაეყარა მოსკოვში 1924წ. 27 აგვისტოს გაზეთ „ბეზბოჟნიკ“-ის (გამოდიოდა 1922 წლიდან) რედაქციაში შემდგარ კრებაზე.⁷⁸⁸ საქართველოში მისი დაფუძნება რამდენადმე გაჭიანურდა, რაც 1924წ. აგვისტოს სახალხო აჯანყების შემდეგ ანტირელიგიური კამპანიის დროებითი შესუსტებით უნდა იყოს გამოწვეული. აქტიური მსჯელობა უღმერთოთა ორგანიზაციების საქართველოში დაარსების შესახებ 1926წ. მეორე ნახევრიდან იწყება, ამ მიმართულებით პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც მაშინ გადაიდგა. საქართველოს კომპარტიის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებამ 1926წ. 19 აგვისტოს სსრ კავშირის „უღმერთოთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელ ბიუროს“ მიმართა თხოვნით, „საჩქაროდ გამოგვიგზავნეთ ანტირელიგიური წრეების სანიმუშო პროგრამები ქალაქისთვის და სოფლისთვის ლიტერატურის მითითებით, აგრეთვე ცენტრალური ანტირელიგიური კურსების პროგრამები და სახელმძღვანელოები.“⁷⁸⁹ იგივე შინაარსის წერილი იმავე დღეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკაშიც გაიგზავნა (საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან სამუშაოდ შესაბამისი ლიტერატურისა და პროგრამის მიღების იმედითა და სურვილით).⁷⁹⁰

1926 წლის 17 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებამ, რომელსაც დაგეგმილი ჰქონდა შესაბამისი საოლქო და სამაზრო განყოფილებების გამგეების თათბირის მონვევა, წინასწარ გაუგზავნა მათ ცირკულარული წერილი ანტირელიგიური საქმიანობის შესახებ ცეკასთვის სპეციალური კითხვარის მიხედვით ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. მასში ნათქვამია, რომ „ანტირელიგიურ ფრონტზე ჩვენში სრული სინყნარეა გამეფებული... იმავე დროს უღმერთობის უეჭველ ზრდასთან ერთად (გზა და გზა კულტურულ დონის ამაღ-

787. კომუნისტი, 1926, 29 მარტი; გ.როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 341.

788. ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ.1, გვ.464-474.

789. შსს არქივი, ფ.14, აღწ.3, ს.255, ფ.13.

790. იქვე, ფ.14.

ლება, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცოდნის გავრცელება, მუშების და გლეხების ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესება) დროგამოშვებით და ზოგიერთ ადგილებში ემჩნევა რელიგიურ განწყობილების ზრდა, სამღვდელოების ავტორიტეტის და აქტივობის გაძლიერება, სხვადასხვა სექტანტურ მოძღვრებათა გავრცელება.“ ინფორმაციაში, რომელსაც ცირკულარული წერილი ითხოვდა აგიტაცია-პროპაგანდის ადგილობრივი განყოფილებებისგან, უნდა ყოფილიყო ასეთი ცნობებიც: „დაარსებული იყო თუ არა უღმერთოთა წრეები“, „მოსახლეობის უღმერთობის კონკრეტული ფაქტები“, „შესაძლებელია თუ არა სოფლად და ქალაქად თავის დროზე ანტირელიგიური მუშაობის გაშლა-გაღრმავება, უღმერთოთა საზოგადოებების“, წრეების, მოხსენებების მონყობა და სხვა.“⁷⁹¹

ცირკულარის პასუხად მაზრებიდან მოსული ინფორმაციების მიხედვით, ანტირელიგიური მუშაობა არ მიმდინარეობდა დუშეთის, სიღნაღის, ზუგდიდის მაზრებში⁷⁹² და სხვაგან. ახალქალაქის მაზრა, სადაც შეინიშნებოდა რელიგიურობის ზრდა, ითხოვდა „ანტირელიგიონიკების“ წრის დაარსებას. რაჭის მაზრაში ანტირელიგიური მუშაობა მიმდინარეობდა, მაგრამ „უღმერთოთა საზოგადოებისა და წრეების“ ჩამოსაყალიბებლად სჭირდებოდათ მომზადებული კადრები.⁷⁹³ „შემამფოთებელი“ ინფორმაცია მოვიდა კომპარტიის შორაპნის სამაზრო კომიტეტიდან. მორწმუნეთა რიცხვი აქ საკმაოდ დიდი ყოფილა – „ვღებულობთ ჩამაფიქრებელ რიცხვს“; რელიგიურ ადათ-წესებს მუშები, თვით პარტიისა და კომკავშირის წევრებიც იცავენო; ამ უკანასკნელთა მხრიდან „ხშირია მაგალითი, – ნათქვამია პარტიის სამაზრო კომიტეტის მიერ ცეკაში 1927წ. 5 იანვარს გაგზავნილ მოხსენებაში, – როდესაც დღეობებში წასვლა, ეკლესიებში სიარული, მღვდლების გვერდით გასეირნება იმ დროს, როდესაც ის ასრულებს რელიგიურ წესებს, ჩვეულებრივი მოვლენაა.“⁷⁹⁴

ანტირელიგიური საქმიანობის გააქტიურების მიზნით, საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნომ 1926წ. 10 ნოემბერს სპეციალური კომისია ჩამოაყალიბა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ასრიბეკოვი, არიუთუნოვი, მხითაროვი, შუშანია, ორაგველიძე, ნაჯაფოვი და იმედაძე.⁷⁹⁵ ცენტრალური ანტირელიგიური კომისიის სახელწოდებით იგი ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან ფუნქციონირებდა. კომისიის 1926წ. 6 დეკემბრის სხდომაზე (ოქმი №2) მისი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: ვ. იმედაძე (თავმჯდომარე), მხითაროვი, ცქვიტინიძე, ორლოვი, მახარაძე, ლომთათიძე, ნაჯაფოვი, არიუთუნოვი, დიმოვი, ორაგველიძე (მდივანი). სხდომამ იმსჯელა უმაღლეს სასაწავლებლებში ანტირელიგიური პრობლემატიკის მეცნიერული დამუშავების, სახელმწიფო უნივერსიტეტში და პრესაში ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდის გაძლიერების თაობაზე. დიდი ყურადღება დაეთმო შობის დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონიძირებებს. გადანყდა, დიდ ქალაქებში ანტირელიგიური კამპანიის ჩატარება 1926წ. 20 დეკემბრიდან 1927წ. 1 იანვრამდე, სოფლებში და პატარა სამაზრო ქალაქებში – 25 დეკემბრიდან 7 იანვრამდე. შესაბამისი დავალებები მიეცათ პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს, წითელი არმიის პოლიტგანყოფილებას, პროფკავშირის კულტურის განყოფილებას, კომკავშირს და პიონერულ ორგანიზაციასაც კი. ანტირელიგიურ თემაზე (“შობის დღესასწაულის წარმოშობის შესახებ”) ლექციების ჩატარების გარდა, სასურველად ჩაითვალა, სადაც ამის შესაძლებლობა იქნებოდა, კულტურული და სპორტული ღონიძირებების ორგანიზება.⁷⁹⁶ ცენტრალური ანტირელიგიური კომისიის (რომლის შემადგენლობა 1926წ. 30 დეკემბერს ს. მამულიათი

791. იქვე, ფ.17-18.

792. იქვე, ფ.19ა, 35, 41.

793. იქვე, ფ.27.

794. იქვე, ფ.56-58.

795. იქვე, ს.29, ფ.24ა.

796. იქვე, ს.255, ფ.37, 183.

შეივსო)⁷⁹⁷ უმთავრეს ამოცანას „ულმერთოთა კავშირის“ ჩამოყალიბება წარმოადგენდა. 1927წ. თებერვალ-მარტში უკვე არსებობდა ულმერთოთა კავშირის საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც ვ. იმედაძე (ანტირელიგიური კომისიის თავმჯდომარე) ხელმძღვანელობდა. თავის სხდომაზე საინიციატივო ჯგუფმა დასახა ღონისძიებები „თბილისში სააღდგომო კამპანიის ჩატარების შესახებ“, რომელშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ ვ. იმედაძეს, ივ.გომართელს, დ.ორაგველიძეს, ექ. ლორთქიფანიძეს, ზ.ჩახვაძეს, კ. კეკელიძეს და სხვებს.⁷⁹⁸ 1927წ. 24 მარტს საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნომ განიხილა საკითხი „ულმერთოთა კავშირის დროებითი გამგეობის შემადგენლობის შესახებ“ და დაადგინა: „ულმერთოთა კავშირის დროებითი გამგეობის შემადგენლობაში შეყვანილ იქნან შემდეგი პირები: ჩახვაძე (თავმჯდომარე), გომართელი (მოადგილე), ნათაძე, ჩურსინი, ორლოვი, წერეთელი, ახმედოვი, გოგიბერიძე, მ.ლომთათიძე, კუინზერი, დიმოევი, ადამიანი, ცქვიტინიძე და კეკელიძე კ.“⁷⁹⁹

ანტირელიგიური კამპანიის გაძლიერებისა და საამისოდ საჭირო კადრების მომზადების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცეკამ მოაწყო სამთვიანი კურსები (1926წ. 20 ოქტომბერი – 1927წ. 20 იანვარი). მსმენელთა რაოდენობა 40 კაცს შეადგენდა. მათ შორის იყვნენ პარტიული და კომკავშირული მუშაკები (მდივნები, ინსტრუქტორები და ა.შ.) ყველა მაზრიდან.⁸⁰⁰ შემდგომში ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებისთვის საჭირო კადრების მომზადება უნდა მომხდარიყო პედაგოგიური ინსტიტუტისა და ცენტრალური პარტიული სკოლის უკანასკნელ კურსებზე.

1926-1927 წლების მიჯნაზე საქართველოს კომპარტიის ცეკაში და ცენტრალურ ანტირელიგიურ კომისიაში მუშავებოდა აგიტაცია – პროპაგანდის განყოფილების 1926წ. 19 აგვისტოს წერილის პასუხად საკავშირო ულმერთოთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელ ბიუროდან მიღებული ორი დოკუმენტი: „ინსტრუქცია ულმერთოთა კავშირის სასოფლო უჯრედების დაარსების და მუშაობის შესახებ“ და „ინსტრუქცია ულმერთოთა კავშირის საქალაქო უჯრედების დაარსების და მუშაობის შესახებ.“⁸⁰¹ საქართველოში ერთ-ერთი პირველი იყო ქ. ფოთი, სადაც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის სააგიტაციო კოლეგიამ 1927წ. 8 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება „ულმერთოთა კავშირის საქალაქო უჯრედების დაარსების შესახებ.“⁸⁰²

ანტირელიგიურ პროპაგანდაში თუ კონტრპროპაგანდაში გარედან ყოველგვარი ჩარევის აღკვეთის მიზნით, სრულიად საქართველოს ცაკ-მა 1927წ. 18 თებერვალს დაამტკიცა ახსნა-განმარტება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 11-ე მუხლისა, რომელიც მოქალაქეებს ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლებას ანიჭებდა. ახსნა-განმარტების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე რელიგიური „პროპაგანდის თავისუფლება ეკუთვნის მარტოოდენ საბჭოთა მოქალაქეთ და არა უცხოელთ.“⁸⁰³

ანტირელიგიური კამპანიის ახალ ეტაპზე გადასვლისთვის („ულმერთოთა კავშირის“ დაარსებისთვის) ორგანიზაციული, იდეოლოგიური და სამართლებრივი წინაპირობების შექმნა (რომელიც მოიცავს პერიოდს დაახლოებით 1926წ. მეორე ნახევრიდან 1927წ. მარტამდე) მიმდინარეობდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და საკათოლიკოსო საბჭოს წინააღმდეგ, საგანგებო კომისიის ზემოთგანხილული გეგმის შესაბამისად, გაჩაღებული ბრძოლის პარალელურად. „ჩეკას“ გეგმის თანახმად და მისი ხრიკების შედეგად საკათოლიკოსო საბჭო იძულებული გახდა 1926წ. 8 აპრილს მიეღო გადაწყვეტილება 23 მაისისთვის დანიშნული IV საეკლესიო კრე-

797. იქვე, ფ.88.

798. იქვე, ფ.118.

799. იქვე, ს.344, ფ.99ა.

800. იქვე, ს.255, ფ.178-180.

801. იქვე, ფ.139-150, 165-177.

802. იქვე, ფ.44.

803. ს.ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ამბროსი, გვ. 176-177.

ბის გაურკვეველი ვადით (მღვდელმთავრების მიერ საკათოლიკოსო საბჭოში კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენამდე) გადადების შესახებ.⁸⁰⁴ კრების გადადებამ საშუალება მისცა ე.წ. პროგრესისტებს ფართოდ გაეშალათ თავიანთი ოპოზიციური მუშაობა. ვითარებას ართულებდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ჯანმრთელობის მდგომარეობის თანდათანობითი გაუარესება და მკურნალობისთვის სულ უფრო და უფრო მეტი დროის დათმობა. 1926წ. 2 ივნისს მისი უწმინდესობა 2-3 კვირით მიემგზავრება „ქუთაისს და წყალტუბოს სააქიმოთ“, – წერდნენ საკათოლიკოსო საბჭო (1926წ. 1 ივნისი) და მიტროპოლიტი კალისტრატე (1926წ. 2 ივნისი) შს კომისარიატს, რათა ამ უკანასკნელს მიეღო ზომები „მგზავრობის შეუფერხებლობისათვის“.⁸⁰⁵ კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობის დროებით შესრულება კი მიტროპოლიტ კალისტრატეს დაეკისრა. 1926წ. 31 მაისს უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი მას წერდა: „მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას ნინონმინდელ მიტროპოლიტ კალისტრატეს, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ! გავდივარ რა ტფილისიდან, წინადადებას გაძლევთ შეუდგეთ ჩემი მოვალეობის აღსრულებას როგორც საკათალიკოზოში, ისე მცხეთა-თბილისის ეპარქიაში ამა წლის ივნისის პირველიდან“.⁸⁰⁶ წყალტუბო-ქუთაისიდან კათოლიკოს-პატრიარქის დაბრუნების შემდეგ მიტროპოლიტ კალისტრატეს, გარდა თავისი უშუალო მოვალეობისა (მოსაყდრეობა, ნინონმინდელობა), სხვა დავალებების შესრულებაც უხდებოდა. 1926წ. 15 სექტემბერს საკათოლიკოსო საბჭომ მას მიანდო ურბნისის ეპარქიის დროებითი მართვა, საბჭოს 20 ოქტომბრის განჩინებით კი მიტროპოლიტ კალისტრატეს ურბნელის მოვალეობა ახალი მღვდელმთავრის დანიშვნამდე უნდა შეესრულებინა.⁸⁰⁷

ხელისუფლების აშკარა მხარდაჭერითა და კათოლიკოს-პატრიარქის ავადმყოფობით გათამამებული „პროგრესისტების“ გაღიზიანებას ინვევდა მიტროპოლიტ კალისტრატეს აღზევება და მის განეიტრალებას გეგმავდნენ. ე. კვანტალიანისა და ლ. ბერიას მიერ 1926 წ. 27 მარტს ცეკაში წარდგენილი მოხსენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „პროგრესისტებს“ ჩეკას გეგმის განხორციელების თავი არ ჰქონდათ. იმ დროისთვის ისინი იმდენად გაუბედავი და უძლურები იყვნენ, რომ საკათოლიკოსო საბჭოს მხრიდან რეპრესიებისა და შერისხვის ემინოდათ (აქვე, დოკ. №79). „პროგრესისტთა“ გაძლიერებისთვის და შეტევაზე გადასვლისთვის გარკვეული დრო იყო საჭირო. ეს დროც მალე დადგა. საბაბად იქნა გამოყენებული საკათოლიკოსო საბჭოს 1926წ. 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ეპისკოპოს დავითის ქუთაისის კათედრიდან ურბნისის კათედრაზე გადაყვანის შესახებ. დავითი ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა. 1926წ. 17 დეკემბერს მან მიტროპოლიტ კალისტრატეს მისწერა მღვდელმთავრისთვის ყოვლად შეუფერებელი უბინძურესი წერილი, რომელშიც სრულად გამოავლინა თავისი „პროგრესისტობა“.⁸⁰⁸ საოკუპაციო რეჟიმის მხარდაჭერით გათავსებულ დავით კაჭახიძე უსაფუძვლო და შეურაცმყოფელ ბრალდებებს უყენებდა კათოლიკოს-პატრიარქს და, როგორც წერდა, „ცოლიან მიტროპოლიტ“ კალისტრატეს. იგი ისე გაერთო ამ უკანასკნელის ლანძღვა-გინებით, რომ მის დასაკნინებლად დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის „ავტორიტეტიც“ კი მოიშველია, რომელსაც უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონია კალისტრატესადმი და მისთვის „ქვემ-ქვემა“ უწოდებია.

გადამწყვეტ შეტევაზე „პროგრესისტების“ გადასვლა, უეჭველად, უკავშირდება სახელმწიფო-პოლიტიკურ სამმართველოდ გარდაქმნილი საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ 1926წ. 20 ნოემბერს ლავრენტი ბერიას დანიშვნას, რომელიც მაშინათვე შეუდგა იმავე წლის 27 მარტის ზემოთგანხილულ დოკუმენტში მის მიერ ჩამოყალიბე-

804. ს.ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე III, გვ. 98.

805. საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.539, ფ.138, 139.

806. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ფ.ს.36.

807. იქვე, ს.37, 38.

808. იქვე, ს.41.

ბული გეგმის განხორციელებას. ეპისკოპოს დავითის „განაწყენება“ მხოლოდ ფონად და საბაზად იქნა გამოყენებული. ლ. ბერიას გეგმის შესაბამისად, 1926წ. 24-25 დეკემბერს ქუთაისში გაიმართა ე.წ. „საეკლესიო ყრილობა“, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ თვითნებურად გამიტროპოლიტიზებული ქრისტიანთა (ციციშვილი), ეპისკოპოსები დავითი (კაჭახიძე), რომელიც ქუთაისის კრებამ ასევე უკანონოდ მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა, სიმეონი (ჭელიძე), იოანე (მარგვილი), ნესტორი (ყუბანიშვილი) და სტეფანე (კარბელაშვილი), აგრეთვე დეკანოზები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, საერო პირთაგან – კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ა.შანიძე, ტ.ჯაფარიძე და სხვები, სულ – 77 კაცი.⁸⁰⁹ „ყრილობის“ დღის წესრიგში ხუთი საკითხი დაისვა: „1. დროებითი საეკლესიო მმართველობის დაარსება; 2. საქართველოს მორწმუნე მრევლისადმი მიმართვის ტექსტის მიღება; 3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს მოქმედებისა და მისი დღევანდელი შემადგენლობის გადაყენების შესახებ; 4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის IV საეკლესიო კრების მოწვევის დროის განსაზღვრა; 5. მიმდინარე საკითხები.“ მიღებულ დადგენილებაში ჩაიწერა: „1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს შემადგენლობა გადაყენებულ იქნას; საკათალიკოსო საბჭოს ნაცვლად საეკლესიო კრების მოწვევამდე დაარსდეს საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე მიტროპოლიტი ქრისტეფორე, თანამემწე-ეპისკოპოსი სტეფანე; წევრები: ეპისკოპოსები ალავერდელი მელქისედეკი, ურბნელი სვიმონი, დეკანოზები დ. ხახუტაშვილი, ნ. მაჭარაშვილი, ბ. კანდელაკი, სამოქალაქო პირნი კ. სვიმონიშვილი, გ. გაჩეჩილაძე. 3. დროებით გამგეობას უფლება ეძლევა კოოპტაციით მოიწვიოს თავისი შემადგენლობის შესავსებად ეკლესიისთვის სასარგებლო პირები. 4. საქართველოს ეკლესიის დროებით გამგეობას ევალება ჩაიბაროს საკათოლიკოსო საბჭოს ყოველივე საბუთები, თანხები, ინვენტარი საკათოლიკოსო კანცელარიისა. 5. ყველა ის სასულიერო თანამდებობაზე მყოფი პირნი, რომელნიც არ დაემორჩილებიან საქართველოს ეკლესიის დროებით გამგეობას, დათხოვნილად ითვლებიან; 6. ეპისკოპოსი დავითი დატოვებულ იქნას ქუთაისის კათედრაზე მიტროპოლიტის ხარისხზე აყვანით. დროებით გამგეობამ უნდა მოიწვიოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის IV საეკლესიო კრება. 7. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი რჩება თავის თანამდებობაზე.“⁸¹⁰ დადგენილების ეს უკანასკნელი პუნქტი „ყრილობის“ ორგანიზატორებს დასჭირდათ მორწმუნე საზოგადოებისა და სამღვდელოების დიდი ნაწილის რისხვის (წამებულის შარავანდედით შემოსილი კათოლიკოს-პატრიარქის გადაყენების შემთხვევაში) თავიდან ასაცილებლად და, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანი იყო მათთვის, უკანონო ყრილობის გადამწყვეტილებებისთვის ლეგიტიმურობის მისანიჭებლად (თუ კათოლიკოს-პატრიარქი ამ გადანყვეტილებებს, ასე თუ ისე, დაეთანხმებოდა).

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი 1926წ. 28 დეკემბერს წარდგენილ მოხსენებაში ქრისტეფორე წერდა: „წარმოვადგენ რა პირს დადგენილებისას (დანართებით) ქ.ქუთაისში ა.წ. 24-25 დეკემბერს მომხდარ საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსთა, სამღვდელოთა და მორწმუნე ერისაგანთა კრებისას, მონივნებით გთხოვთ შეხედოთ ჩვენს მოქმედებას როგორც დროისა და შექმნილ გარემოებათა ნაკარნახევს. ჩვენი მიზანია – საქართველოს ეკლესიის ერთიანობა, სიმშვიდე და სიმტკიცე. ჩვენ არავითარი განზრახვა არა გვაქვს უადგილო და უდროო რეფორმები შემოვიღოთ ეკლესიაში. ვარწმუნებთ თქვენს უწმინდესობას, რომ თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა უაღრესად გაღვივდება როგორც ჩვენ, ისე მთელ მორწმუნე ერის გულში, უკეთუ გაიზიარებთ ჩვენს თქვენთან თანამშროლობას, თანახმად წარმოდგენილი დადგენილებ-

809. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები, გვ.159.

810. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე III, გვ.63-64, 72.

ისა, რომელნიც არ არიან მიმართულნი თქვენის უწმინდესობის პიროვნების წინააღმდეგ, არამედ გამონვეულია მხოლოდ საქართველოს ეკლესიის სიყვარულით.⁸¹¹ ძნელი დასაჯერებელია, რომ „ჩეკას“ გეგმისა და სცენარის მიხედვით მოქმედ სამღვდლოებს „მხოლოდ საქართველოს ეკლესიისადმი სიყვარული“ ან მისი უწმინდესობის პატივისცემა ამოძრავებდა, მაგრამ პირადი მიზნების (ლეგიტიმური გზით ეკლესიის სათავეში მოსვლა) მისაღწევად „პროგრესისტებისთვის“ იმდენად მნიშვნელოვანი იყო კათოლიკოს-პატრიარქთან საერთო ენის გამონახვა და თანამშრომლობა, რომ იგი დროებითი მმართველობის თავმჯდომარედაც გამოაცხადეს. ქუთაისის კრების მიერ ამ თანამდებობაზე არჩეული ქრისტეფორე კი თითქმის მისი უწმინდესობის გარდაცვალებამდე დროებითი მმართველობის მოადგილის სტატუსით მოქმედებდა.⁸¹²

ქუთაისის „ყრილობამ“ მიიღო კიდევ ერთი დოკუმენტი – მიმართვა „სრულიად საქართველოს ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ“. მასში ნათქვამია: “ყოველი მორწმუნე ქართველისათვის ცხადი უნდა იყოს, თუ როგორ სატირალ მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესია და ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ თუ დროზე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები ჩვენი ეკლესია მთლიანად განადგურდება... ყოველივე ამის მიზეზია საკათოლიკოსო საბჭოს უტაქტო მოქმედება, საეკლესიო კანონების უგულვებლყოფა, დროისა და გარემოებისათვის ანგარიშის გაუნეწობა. საკათოლიკოსო საბჭოს მუშაობის ნაკლოვანებებია: ა) უსამართლო დასჯა საქართველოს ეკლესიის ყველაზე უხუცესი მღვდელმთავრის ეპისკოპოს დავითისა ქუთათელის კათედრიდან მანყვერელ ეპისკოპოსად გადაყვანით, სადაც არც ბინა არის და არც საშუალება იმის შესანახად (სულ 15-20 ლარი იქნებოდა ეკლესიისა). მას ბრალი წაუყენეს ვითომც ერეტიკოსობაში, კათოლიკოს ამბროსის მიერ გენუაში გაგზავნილი მემორანდუმის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამო. ეპისკოპოს დავითის თავმჯდომარეობით შედგენილი პროექტი საეკლესიო რეფორმებისა არამც თუ სცილდება ამ ფართეთ დასახულ პროგრამას, საკათოლიკოსო საბჭოს მონოდებებს. დავითს ამ პროექტის გამო მწვალებელი შეერქვა. ბ) ეპისკოპოსი დავითი მეტეხის ციხეში იყო უწმინდეს ამბროსთან და მოსთხოვა გადადგომა. ეს არა თუ დანაშაული, არამედ მოვალეობის შესრულება იყო, რომელიც გამოხატავდა სამღვდლოების სურვილს, არ ჩარეულიყვნენ პოლიტიკაში,.. ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება არის ყველაზე ჭიმანური ხელისუფლება, რომლის მოქმედება მიმართულია ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური წარმატებებისაკენ... საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭო 1924 წლიდან იყო ვადაგასული, ქუთაისის კრების მიერ დამტკიცებული საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობა კანონიერია, ვინაიდან მის შექმნას ხელს აწერს 6 ეპისკოპოსი. გ) საკათოლიკოსო საბჭოს დანაშაული იყო 1924 წლის ივლისში მიღებული ბრძანება კათოლიკოს-პატრიარქის მოადგილე ქრისტეფორეს თბილისიდან გორში გადაყვანის და მის მაგივრად ეპისკოპოსის პავლეს დანიშვნისა. ეპისკოპოსთა კრებულში თავის სასარგებლოდ ხმების უფლების შესაქმნელად 1925 წლის შემოდგომაზე აკურთხეს 5 ეპისკოპოსი: მელქისედეკი, სტეფანე, კალისტრატე, ალექსი, ვარლამი... საეკლესიო კანონიკის უხეში დარღვევით კალისტრატე უცებ გაამიტროპოლიტეს... საკათოლიკოსო საბჭოს უკანონობას მოჰყვა ფრიად სამწუხარო განხეთქილებანი ეკლესიაში. ამიტომ საკათოლიკოსო საბჭო დათხოვნილია”.⁸¹³

მიმართვას ხელს აწერდნენ მიტროპოლიტები, ქრისტეფორე და დავითი, ეპისკოპოსები იოანე, ნესტორი, სტეფანე, სიმეონი, დეკანოზები დ. ხახუტაშვილი, ი. აბესაძე, თ. დგებუაძე, პ. კარბელაშვილი.

— უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ როგორც კი შეიტყო ქუთაისში მისი კურთხ-
811. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.102, გვ. 324^ა.

812. იქვე, ს.46; ს.102, გვ.29.

813. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე III, გვ. 73-74.

ევის გარეშე „ყრილობის“ მონვევის შესახებ, 1926 წლის 25 დეკემბერს სასწრაფოდ შეკრიბა საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა, რომელმაც მოისმინა კათოლიკოს-პატრიარქის ოფიციალური განცხადება: „მივიღე ინფორმაცია, რომ ქუთაისში ეპისკოპოს დავითის მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნებართვის გარეშე მონვეული იყო საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ სხვა ეპარქიებიდან ზოგიერთი მღვდელმთავარი და საეკლესიო პირი. საკათოლიკოსო საბჭომ მიიღო რამხედველობაში, რომ ამნაირი კრება არ არის გათვალისწინებული საქართველოს ეკლესიის დებულებით, განაჩინა: ქუთაისში ჩატარებული საეკლესიო კრება გამოცხადდეს უკანონოდ“.⁸¹⁴

„ყრილობის“ მიმართვაში „სრულიად საქართველოს ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ“ წამოყენებულ ბრალდებებზე დასაბუთებული პასუხი გასცა მიტროპოლიტმა კალისტრატემ.⁸¹⁵ პირველ რიგში, ის უარყოფდა, ბრალდებას, თითქოს საკათალიკოსო საბჭოს „სიბრძნისა და წინდაუხედაობის“ უქონლობის გამო საქართველოს ეკლესიასა და საერო მთავრობას შორის არაკეთილმშვიდობიანი დამოკიდებულება დამყარდა. ამგვარ ბრალდებას მიტროპოლიტი კალისტრატე „ცილისწამება-დასმენა-დაბეზღებას“ უწოდებდა და მოჰყავდა ამონაწერი საკათალიკოსო საბჭოს 1926წ. 28 დეკემბრის სხდომის ოქმიდან: „კ. პატრიარქის მიერ მიღებული ცნობა (ქუთაისის „ყრილობის“ გადამწყვეტილებების შესახებ – ჯ.გ.) უნდა ჩათვალოს პირადი და ბოროტი მიზნით გამსჭვალულ ადამიანთა მიერ გავრცელებულ ცილისწამებად, რომელიც გამონვეულია საკათალიკოსო საბჭოს კანონიერ და კანონიკურ ნიადაგზე მტკიცე დგომისა გამო უკმაყოფილებით.“ მიტროპოლიტი კალისტრატე მყარი არგუმენტების მოშველიებით უარყოფდა ბრალდებებს, თითქოს ეკლესიაში დატრიალებული ყველა უბედურების თავი და თავი ყოფილიყო კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმი. იგი ასევე ვრცლად მიმოიხილავდა 1926წ. 3 ნოემბერს ეპ. დავითის ურბნისის ეპისკოპოსად გადაყვანასთან დაკავშირებულ ბრალდებებს და უარყოფდა, რომ ეს გადაყვანა თითქოს დავითის „ერეტიკოსობა-რეფორმატორობა-ანტიმემორანდუმისტობამ“ განაპირობა.⁸¹⁶

მიტროპოლიტი კალისტრატე ეხება კიდევ ერთ ბრალდებას – „მაისის 23 კრების მოუწვევლობით საკათალიკოსო საბჭომ მოსპო თავისთვის არსებობის უფლება.“ ბრალდების ავტორებს მეუფე კალისტრატემ აუხსნა, რომ კრების გადადების მიზეზი გახდა მღვდელმთავართა მიერ საკათალიკოსო საბჭოს 1926წ. 10 თებერვლის გადამწყვეტილების შეუსრულებლობა „ადგილობრივ აღძრული და დამუშავებული საკითხების“ წარმოდგენის შესახებ. მეტი დამაჯერებლობისთვის მას მოჰყავდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის 1926წ. 29 დეკემბრის რეზოლუცია ქუთაისის „ყრილობის“ თავმჯდომარის ეპ. ქრისტეფორეს იმავე წლის 28 დეკემბრის ზემოთმოტანილ მოხსენებაზე. რეზოლუციაში ნათქვამია: „თუმცა საკათალიკოსო საბჭოს წევრებს 1924 წლის ენკენისთვეში გაუფიდათ ვადა, მაგრამ ისინი 1925 წლის ოქტომბრის 10 №11 განჩინებით ჩვენი ეკლესიის ყველა მღვდელმთავართა (მიტრ. ქრისტეფორე, მიტრ. იოანე, ეპისკოპოსნი: დავითი, სვიმონი, ნესტორი და პავლე) – საკათალიკოსო საბჭოს მუდმივ და პასუხისმგებელ წევრთა მიერ დატოვებულ არიან საკათალიკოსო საბჭოს წევრებად ახალ არჩევნებამდე. ამიტომ მათი გადაყენება უკანონო იქნება ყველა მღვდელმთავართა ნებადაურთველად. თუ დღეს ყველა მღვდელმთავარნი მოითხოვენ მათ გადაყენებას, მაშინ თვით ყოვლადსამღვდელოთ უნდა აიღონ ხელში ეკლესიის

814. იქვე, გვ.74.

815. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.102, გვ. 1-175. ვრცელი ამონაწილები ამ დოკუმენტიდან გამოქვეყნებულია ნიგნში: ს.ვარდოსანიძე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე, გვ. 75-102; იხ. აგრეთვე: კალისტრატე ცინცაძე. მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან. – მნიგნობრობა ქართული, ტ. 9, ნ.1. შეადგინა მიხეილ ქავთარიაძე. თბ., 2010, გვ. 305-481. კალისტრატე ცინცაძის „მწარე მოგონებანიც“ დაბეჭდილია მცირე შემოკლებებით.

816. ს.ვარდოსანიძე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე III, გვ. 74-97.

მართვა-გამგეობა. საეკლესიო კრება მონვეული იყო 1926 წლის მაისის 23-სათვის და თუ არ შესდგა, ამის მიზეზი იყო ის, რომ არცერთ მღვდელმთავარს (მათ შორის ყოვლადსამღვდელო ქრისტეფორეს, დავითსა და სტეფანესაც) არ წარმოუდგენიათ მათგან მოთხოვნილი საკითხები, რომელიც უნდა გარჩეულიყო კრებაზე. ამის გამო აპრილის 8 განჩინებით საკათალიკოსო საბჭომ გადასდო კრება და ხელახლა მოსთხოვა საკითხები ეპარქიათა მმართველ ეპისკოპოზთ, მაგრამ არც ამ მოთხოვნილებას გასცეს პასუხი ეპისკოპოზებმა, გარდა ყოვლადსამღვდელო ქრისტეფორესი (წარმოადგინა ამ წლის 30/IX მხოლოდ სია საკითხთა და არა დამუშავებული საკითხები) და ეპ. ნესტორისა – 6/V. ჩემს ეპარქიაში დაინიშნა საეკლესიო კრებაზე განსახილველ საკითხების წამოსაყენებლად და დასამუშავებლად, დეკ. დ.ხახუტაშვილის თავმჯდომარეობით კომისია; მაგრამ ამ კომისიის წაშრომი ჩემთვის ჯერაც არ წარმოედგინათ. ნათქვამიდან ცხადად ჩანს, კრების დაგვიანება საკათალიკოსო საბჭოზე დამოკიდებული არ ყოფილა. ამჟამად კრება მონვეულია 1927 წლის მარტის 23-თვის, და კვლავ მოთხოვნილია მღვდელმთავართაგან დამუშავებული საკითხები, რომელთა გადასასინჯავად და გადასამუშავებლად (თუ ამას მოითხოვს საჭიროება) უკვე თებერვლის 10 განჩინებით დაარსებულია კრების წინასწარი კომისია. მთავარ მიზნად ყოვლადსამღვდელო ქრისტეფორეს დაუსახავს საეკლესიო კრებისათვის მასალების დამზადება. ვფიქრობ, ამ საკითხის მოგვარება შეიძლებოდა ეკლესიაში ანარქიის შეუტანელად, წინასწარი თათბირის კომისიას მინიჭებული აქვს უფლება, საქმისათვის სასარგებლო პირთა მონვევისა (საქმე, №46/926). რაც შეეხება ბრძანებას – “პროექტები კათოლიკოსსა და მის მოსაყდრეს უნდა დაემზადებინათ” – ესეც მოკლებულია სამართლიანობას: კათოლიკოზ-პატრიარქის პროექტები (მაგალითად, მარხვაში ტაძრის დღესასწაულების შესახებ) დღესაც დაცულია კანცელარიაში, ხოლო “მოსაყდრეს” რომ პროექტების დაწერის უნარიცა და გაყვანის შესაძლებლობაც აქვს, ამის მოწმეა სამივე საეკლესიო კრებისა და საკათალიკოსო საბჭოს ჟურნალები, მაგრამ თუ იგი მოელოდა პროექტებს სხვებისაგან, ეს გამოწვეულია შემდეგით: “მოსაყდრეს” ყოველთვის უსაყვედურებდნენ, შენ ქალაქის გარეთ რა ხდება არ იციო, ამისთვის შენი პროექტები ტერიტორიულია, სოფლის მორწმუნეთათვის გამოუსადეგარიო, ამიტომ მე მსურდა, მენახა „პრაქტიკულ“ მოღვაწეთაგან წარმოდგენილი პროექტები, რომელიც მისაღები იქნებოდა მორწმუნეთა უმრავლესობისათვის, მაგრამ ასეთი პროექტი მე ვიხილე მხოლოდ ერთად-ერთი, – საკურთხეველის გვერდებზე “ჩამოშვებულ ფარდების” იქით მოწყობილ “ბუდუარებით” და “სასიკვდინე ზიარებით”... შეიძლება ასეთი პროექტი ფრიად “პრაქტიკული” იყოს, მაგრამ ჩემთვის კი გაუგებარი და მიუღებელია”...⁸¹⁷

როცა მიტროპოლიტი კალისტრატე კრების გადადების მიზეზებს განმარტავდა, კათოლიკოს-პატრიარქი კი ამ რეზოლუციას წერდა, ცხადია, მათ არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ 1926წ. 23 მაისისთვის დანიშნული IV საეკლესიო კრების გადადება დაგეგმა და განახორციელა საგანგებო კომისიამ ქრისტეფორესა და მისი ჯგუფის გაძლიერების, ეკლესიაში განხეთქილებისა და არეულობის შეტანის მიზნით. ე.კვანტალიანისა და ლ.ბერიას 1926წ. 27 მარტის მოხსენებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ, ეკლესიის „რეაქციული“ ნაწილის დასასუსტებლად საჭირო იყო შემდეგი ზომების მიღება: „1. პროგრესული სამღვდლოების ოპოზიციურ ჯგუფს საშუალება მიეცეს, განმტკიცდეს ორგანიზაციულად, რისთვისაც საჭიროა:

ა) ა.წ. 23 მაისისთვის ნავარაუდები IV კრების მონვევის ნებართვა არ მიეცეს, მისი მონვევა საპატიო საბაბით ოქტომბრისთვის გადაიდოს, რათა ოპოზიციას ყრილობისთვის მომზადების საშუალება მიეცეს“ (აქვე, დოკ. №79). ადგილებიდან მღვდელმთავრების მიერ წინადადებების წარმოდგენის დაგვიანება IV კრების გად-

817. იქვე, გვ. 100-102.

ადების მხოლოდ „საპატიო საბაბი“ გახლდათ. შესაძლოა, საკათოლიკოსო საბჭომ იცოდა კიდევაც საქმის რეალური ვითარება, მაგრამ, მიზეზთა გამო, ამის შესახებ ღიად ვერ განაცხადებდა. ყოველივე ამის შემდეგ საგანგებო კომისიის დავალებითა და სცენარით მოქმედი ქრისტიანთა ფეხების მხრიდან საკათოლიკოსო საბჭოსთვის კრების გადადების თაობაზე წაყენებული ბრალდება იყო უსამართლოც და უზნეოც.

დროებითი გამგეობის მიმართვაში მორწმუნეთა მიმართ, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილებული იყო კალისტრატე ცინცაძეზე, მის „უკანონოდ“ გამიტროპოლიტებაზე. ამ და კიდევ სხვა „ბრალდებებზე“ მიტროპოლიტმა კალისტრატემ ამომწურავი პასუხი გასცა; გააკეთა დასკვნა, რომ ქუთაისის კრების მოწვევისთვის და საკათოლიკოსო საბჭოს გადაყენებისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა. მისი აზრით, ქუთაისის კრების მოწვევის ნამდვილი მიზეზი იყო „თვითნებობა, ურჩობა, შფოთვის მოყვარეობა, უღისციპლინობა, დიოტრეფობა,⁸¹⁸ ეგოისტობა და ინტრიგანობა – დიაგნოზი სწორედ არის დასმული“.⁸¹⁹

გაითვალისწინა რა ქუთაისის კრების შემდეგ ეკლესიაში შექმნილი ვითარება, 1926წ. 30 დეკემბერს მიტროპოლიტმა კალისტრატემ საკათოლიკოსო საბჭოს სთხოვა მოსაყდრის თანამდებობიდან განთავისუფლება, „ვინაიდან დავრწმუნდი, – წერდა იგი თავის განცხადებაში, – რომ ის არევე-დარევა, რომელიც დღეს სუფევს ჩვენს ეკლესიაში გამონეწეული ყოფილა უმთავრესად ჩემ მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობის აღსრულებით.“⁸²⁰ დროებითმა გამგეობამ 1927წ. 3 თებერვალს წერილობით შეატყობინა მას, რომ საკუთარი განცხადებისა და უწმინდესი და უნეტარესი ამბროსის განკარგულების საფუძველზე იმავე წლის 12 იანვრიდან იგი განთავისუფლებულია ნინოწმინდელიდან და ურბნისის ეპარქიის დროებით მართვისაგან. ამ დღიდან მიტროპოლიტი კალისტრატე ოფიციალურად განთავისუფლდა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობისგანაც.⁸²¹ ამით ქუთაისის კრების უმთავრესი მიზანი მიღწეული იქნა. საგანგებო კომისიის 1926წ. 27 მარტის „საპროგრამო“ მოხსენების მიხედვით, იმ ეტაპზე კათოლიკოს-პატრიარქის ვადამდე ადრე გადაყენების საკითხი იმდენად აქტუალური არ იყო, რადგანაც უწმინდესისა და უნეტარესის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, საბჭოთა ხელისუფლება „პროგრესისტებთან“ ერთად მის მალე გარდაცვალებას მოელოდა (აქვე, დოკ. №79); ამიტომ არსებული რეჟიმის მთავარ საზრუნავს და მიზანს კათოლიკოს-პატრიარქობის ყველაზე რეალური კანდიდატის მიტროპოლიტ კალისტრატეს გზიდან ჩამოშორება, „პროგრესისტთა“ პოზიციების გაძლიერება, მომავალი საეკლესიო ყრუობის მოსაწვევად და ჩასატარებლად აუცილებელი ბერკეტების წინასწარ მათთვის გადაბარება წარმოადგენდა.

მიტროპოლიტ კალისტრატეს გადადგომით „პროგრესისტებმა“ საგრძნობლად გაიმყარეს პოზიციები, მაგრამ სრული წარმატებისთვის მათ სხვა ნაბიჯებიც გადადგეს. ქუთაისში არჩეულმა და ნაჩქარევად – 1926წ 28 დეკემბერს შს კომისარიატის მიერ რეგისტრაციაში გატარებულმა დროებითმა გამგეობამ იმავე შს კომისარიატის დახმარებით 1927წ. 4 იანვარს სცადა საკათოლიკოსო და მცხეთა-თბილისის საეპარქიო კანცელარიის ხელში ჩაგდება. მოძალადეებმა ანგარიში არ გაუწიეს აღშფოთებული კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგობას და მის შემდეგ განცხადებას: „სანამ მე

818. „...მაგრამ დიოტრეფე, რომელიც პირველობას იჩემებს მათ შორის, არ გვიღებს ჩვენ“ (იოანე, მესამე ეპისტოლე, 9). – ჯ.გ.

819. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.102, გვ. 199.

820. ს.ვარდოსანიძე, სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952წ.წ.). თბ., 2009, გვ. 52.

821. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.44, 45, 51.

ვითვლები დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ და კათოლიკოს-პატრიარქად კანცელარია და „საქმეებიც“ ჩემს განკარგულებაში უნდა იყოს“.⁸²² დროებითი მმართველობის წევრებმა იმ დღესვე მოიწვიეს მილიცია, დალუქეს კანცელარია, მეორე დღეს – 5 იანვარს – იმავე მილიციის დახმარებით ჩაიბარეს საქმეები და კანცელარია. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1927 წ. 12 იანვარს უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ შს კომისარიატს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა: “შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1927 წლის 4 იანვრის ბრძანებით ჩამოგვერთვა როგორც საკათოლიკოსო, ისე საეპარქიო კანცელარია და ჩაბარდა საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას, რომელიც გატარებული ყოფილა რეგისტრაციაში შს კომისარიატის 1926 წლის 28 დეკემბრის განკარგულებით.

აღნიშნულის გამო პატივისცემით მოვახსენებთ შ.ს. კომისარიატს, ჩემი თავმჯდომარეობით არსებული საკათოლიკოსო საბჭო და მის ქვემდებარე ორგანოები ცნობილია საქართველოს მთავრობის მიერ როგორც ოფიციალური დაწესებულებანი. საკათოლიკოსო საბჭო მოქმედებს საეკლესიო კრების (1917-1920წწ.) მიერ შემუშავებული დებულების მიხედვით. მას მიზნად აქვს დასახული მართლმადიდებელ ქრისტიანთა ხელმძღვანელობა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ სფეროში, არ ერევა არავითარ პოლიტიკურ საქმეში. მაგრამ აღმოჩნდნენ საკათოლიკოსო საბჭოს კანონიერი მოქმედებით უკმაყოფილონი, ერთმა ეპისკოპოსმა (დავითმა – ჯ.გ.) თავისი თავი ჩემგან და საკათოლიკოსო საბჭოსგან დამოუკიდებლად გამოაცხადა და 1926 წლის 26-27 დეკემბერს⁸²³ ქ.ქუთაისში კანონიერ მანდატების არ მქონე უკმაყოფილოთა კრება მოიწვია. ხსენებულ კრებას გადაყენებულად გამოუცხადებია დღევანდელი შემადგენლობით საკათოლიკოსო საბჭო, აურჩევია მის ნაცვლად ეკლესიის დროებითი გამგეობა მაშინ, როცა ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ ეკლესიური თვალსაზრისით კანონიერ კრებას. ქუთაისის კრება კი, საეკლესიო კანონების მიხედვით, ოდნავაც არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ კრებათ, ვინაიდან კანონიერად ითვლება მხოლოდ ის კრება, რომელიც მოწვეულია ეკლესიის პირველი მღვდელმთავრისაგან, კათოლიკოს-პატრიარქისაგან. ქუთაისის კრება არამც არ ყოფილა მოწვეული ჩემს მიერ, არამედ პირდაპირ გამოცხადებული იყო ჩემგან და საკათოლიკოსო საბჭოს მიერ უკანონოდ. ვისაც სურს ეკლესიის კეთილდღეობა, მოამზადებს მასალებს მომავალი საეკლესიო კრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის კრება ჩემს მიერ უკანონოდ გამოცხადდა, მას მაინც დაუნყია მუშაობა. პირველ ყოვლისა გადაყენებულად გამოუცხადებია საკათოლიკოსო საბჭოს დღევანდელი შემადგენლობა იმ მოსაზრებით, რომ მას 1924 წლის ივლისში გაუვიდა ვადა. 1924 წლის შემდეგ მართლაც არცერთ წევრს არ სურდა მოვალეობის გაგრძელება, მაგრამ თავმჯდომარემ მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ, რომელიც 1924-1925 წლებში ასრულებდა ჩემს მოვალეობას, მოითხოვა მათგან, განეგრძოთ მუშაობა. შექმნილი რთული ვითარების გამო, ვიღებ რა მხედველობაში ყოველივე ზემოთქმულს და აგრეთვე იმას, რომ ქუთაისის კრების განჩინების საეკლესიო ცხოვრებაში გატარების ცდას უეჭველად მოჰყვება შფოთი და არეულობა მართლმადიდებელ ეკლესიაში, გადავწყვიტე პირადი პასუხისმგებლობით შევუწყვიტო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს უფლებამოსილება და მის მაგიერ მოვიწვიო ორ ბანაკად გაყოფილი საკათოლიკოსო საბჭოს მუდმივ წევრ ეპისკოპოსთა კრებული და მასთან ერთად განვაგო საქართველოს ეკლესიის საქმენი მომავალ საეკლესიო კრებამდე. ეპისკოპოსთა შორის მოწვეულ იქნებიან: მიტროპოლიტი ქრისტეფორე, მიტროპოლიტი იოანე, ეპისკოპოსი სიმეონი, ეპისკოპოსი სტეფანე (ოთხივე ქუთაისის კრების მონაწილენი), ეპისკოპოსი მელქისედეკი, ეპისკოპოსი ალექსი.

822. იქვე, ს.102, გვ. 30.

823. კრება, რომელიც 1926 წ. 24-25 დეკემბერს ჩატარდა, ალბათ, აგრძელებდა მუშაობას 26-27 დეკემბერსაც (ჯ.გ.).

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს, პატივისცემით გთხოვთ, ინებოთ განკარგულება ჩამორთმეული კანცელარიის დაბრუნებისათვის და მომცეთ საშუალება შეუფერხებლად განვაგრძო მუშაობა ჩემს თანამშრომლებთან ერთად. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. 1927 წელი 12 იანვარი“.⁸²⁴

კათოლიკოს-პატრიარქის წერილისთვის შს კომისარიატს ყურადღება არ მიუქცევია, რითაც უკვე მერამდენედ დაადასტურა, რომ „პროგრესისტები“ საბჭოთა ხელისუფლების კარნახითა და მხარდაჭერით მოქმედებდნენ. ამ გარემოებამ და ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნების უზენაესმა ინტერესმა აიძულა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი წასულიყო დათმობაზე და შეეწყვიტა საკათოლიკოსო საბჭოს უფლებამოსილება. მიტროპოლიტ ქრისტეფორეს 1927წ. 21 იანვრის მოხსენებაზე „საკათოლიკოზო საბჭოს ნაცვლად საქართველოს ეკლესიის IV კრებამდე დაწესებულ იქმნას სრულიად საქართველოს საეკლესიო დროებითი მმართველობა“, კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ იმავე წლის 23 იანვარს გასცა შემდეგი განკარგულება: „შექმნილ გარემოებათა გამო, საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიის მთლიანობისა და მშვიდობიანობის დაცვისთვის იძულებული ვარ შევსწყვიტო საკათოლიკოზო საბჭოს მუშაობა და ვინაიდან საკათოლიკოზო საბჭოს მაგივრობის განევას ტვირთულობენ თანამდებობით მისივე წევრნი – ყოვლად სამღვდელონი: ცხუმელი (ქრისტეფორე ციცქიშვილი – ჯ.გ.), ბოდბელი (სტეფანე კარბელაშვილი – ჯ.გ.), ალავერდელი (მელქისედეკი ფხალაძე – ჯ.გ.) და ურბნელი (იოანე მარგიშვილი – ჯ.გ.), დეე იმუშაონ და თუ ხსენებულ მღვდელმთავართა კრებული აუცილებლად დაინახავს, თავის პასუხისმგებლობით ღვთისა და ერის წინაშე, მოიწვიონ საქმისთვის საჭირო და სასარგებლო პირნი. ეპისკოპოზი დავითის საკითხს საბოლოოდ გამოარკვევს მომავალი საეკლესიო კრება“.⁸²⁵ ეს იყო კომპრომისული გადაწყვეტილება. ქუთაისის კრებაზე საქართველოს ეკლესიის დროებით გამგეობაში არჩეულ პირთაგან კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დამტკიცებულ სრულიად საქართველოს საეკლესიო დროებით მმართველობაში დარჩა მხოლოდ იმავე პატრიარქის განკარგულებით უფლებამოსილებაშენწყვეტილი საკათოლიკოსო საბჭოს ოთხი მუდმივი წევრი (მღვდელმთავრები). უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ ის გარემოება, რომ ამით ახალმა უმაღლესმა საეკლესიო ორგანომ, რომლის თავმჯდომარეც კათოლიკოს-პატრიარქი ბრძანდებოდა, ლეგიტიმურობა შეინარჩუნა; რაც მთავარია, ქართული ეკლესია დაშლა-დანანევრებას და, ამდენად, დაღუპვას გადაურჩა. მაგრამ ეს იყო კათოლიკოს-პატრიარქის და არა „პროგრესისტების“ დამსახურება. მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ, ნაწილობრივ მაინც გრძნობდა რა ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის წინაშე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რომელმაც საფრთხის წინაშე დააყენა საქართველოს ეკლესია, 1927წ. 28 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქისთვის მირთმეულ ვრცელ წერილში ყოვლად უსუსური არგუმენტებით („უსამართლო“ მოპყრობა ეპ. დავითისადმი, 1926წ. 23 მაისს დანიშნული IV საეკლესიო კრების გადადება, თბილისის სამღვდელოების 1925წ. 2 იანვრის კრების გადაწყვეტილებები და ა.შ.) ამაოდ ცდილობდა თავის მართლებას.⁸²⁶ წერილში მიტროპოლიტი ქრისტეფორე გამოჩენილ ქართველებს შორის ივანე გომართელსაც ასახელებდა, იმ ივანე გომართელს, რომელიც 1927წ. დასაწყისში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ჩამოყალიბებით იყო დაკავებული. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ქუთაისის კრების მონაწილეებს პიროვნულად რაიმე კავშირი ჰქონდათ ამ აგრესიული ანტიეკლესიური ორგანიზაციის დაფუძნებასთან, მაგრამ ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ საოკუპაციო რეჟიმი ერთდროულად შეუდგა ეკლესიის სათავეში მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ხელმძღვანელობით „პროგრესისტების“ მოყვანას და „მებრძოლ უღ-

824. ს.ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე III, გვ. 103-104.

825. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.43.

826. ს.ვარდოსანიძე. სრ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... ქრისტეფორე III, გვ. 105-111.

მერთოთა კავშირის“ ჩამოყალიბებას. სამი თვის ინტერვალითაა დაფუძნებული თითქმის მსგავსი სახელწოდების ახალი საეკლესიო და ახალი ანტისაეკლესიო ორგანიზაციები: ქუთაისში არჩეული „საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობა“ და „უღმერთოთა კავშირის დროებითი გამგეობა“. ამგვარი მსგავსება სახელწოდებაში იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ორივე ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ გად-ანწყვეტილება ერთმა სახელისუფლებო უწყებამ (სავარაუდოდ, საგანგებო კომისიამ) მიიღო. საბჭოთა ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ საზოგადოების მხარდაჭერას მოკლებული „პროგრესისტების“ ხელში მყოფ ეკლესიას ის უფრო იოლად მოუღებდა ბოლოს, ვიდრე იმავე საზოგადოების მიერ წამებულად შერაცხული „რეაქციული“ საჭეთმპყრობელისა და მისი მხარდამჭერი სამღვდელთა პირობებში.

კათოლიკოს-პატრიარქი, რომლის ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა, აგრძელებდა იძულებით თანაარსებობას დროებით მმართველობასთან, რომელიც თანდათანობით ხელში იღებდა ძალაუფლებას. 1927წ. 20 თებერვალს უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ დროებითი მმართველობისაგან მოითხოვა წერილობითი პასუხი კითხვაზე – ცნობდა თუ არა იგი მას კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად. პასუხმაც არ დააყოვნა: „1927წ. თებერვლის 20. მოხსენდეს მის უწმინდესობას, რომ დროებითი მმართველობა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სცნობს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად და უზენაესი დანესებულების ხელმძღვანელად.“ ამ უკანასკნელში დროებითი მმართველობა იგულისხმებოდა, რომელიც „ღრმა მწუხარებას“ გამოხატავდა მისი უწმინდესობის ავადმყოფობის გამო, რაც არ აძლევდა მას თავისი მოვალეობის შესრულების საშუალებას; ამასთან, იმედს გამოთქვამდა, „რომ ღვთის შეწევნით მალე დაუბრუნდება მშობლიური ეკლესიის სასარგებლო მოღვაწეობას“. დოკუმენტს ხელს აწერდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე, როგორც დროებითი მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე, და მმართველობის სხვა წევრები.⁸²⁷ 1927წ. იანვარ-მარტში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ყოფნა თავის თანამდებობაზე, უფრო მეტიც, მისი აღიარება დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ გარკვეულწილად იყო ფორმალური, მაგრამ აუცილებელი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელთა კანონიკური რიგის შესანარჩუნებლად. ეს კარგად ესმოდა მის უწმინდესობას, რომელსაც არ გაუწყვეტია ურთიერთობა დროებით მმართველობასთან, და ასევე მიტროპოლიტ ქრისტეფორესაც, რომელმაც „დათმო“ დროებითი მმართველობის თავმჯდომარის თანამდებობა კათოლიკოს-პატრიარქის სასარგებლოდ, დათმო აგრეთვე, ქუთაისში არჩეული დროებითი გამგეობის წევრთა უმრავლესობაც.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქართულ ეკლესიაში შემოტანილი შფოთისა და არეულობის ჟამს მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენაც – რუსეთის ეკლესიის სინოდის მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, რასაც წინ ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობა უძღოდა. ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით რუსეთის ეკლესიის სინოდს მიმართეს კათოლიკოს-პატრიარქებმა კირიონ II-მ, ლეონიდე და ამბროსიმ; როდესაც ამბროსი პატიმრობაში იმყოფებოდა, ანალოგიური თხოვნით რუსულ სინოდს მიმართა მიტროპოლიტმა ქრისტეფორემაც (1925წ. 28 იანვარი). ამ უკანასკნელ მიმართვაზე 1925 წ. 7 აპრილს უარყოფითი პასუხი მოვიდა – რუსული მხარის აზრით, ქართულ ეკლესიას კავშირი მსოფლიო ეკლესიასთან მხოლოდ რუსეთის ეკლესიის მეშვეობით უნდა დაემყარებინა. ქართული ეკლესიის აღიარების საკითხში პასიურობას იჩენდნენ აღმოსავლეთის პატრიარქებიც. მათ უპასუხოდ დატოვეს საქართველოს სამივე კათოლიკოს-პატრიარქის, მათ შორის ამბროსის მოკითხვის ბარათები. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბასილ III პასუხი არ გასცა

827. საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.539, ფ.141.

უნმინდესი და უნეტარესი ამბროსის შეკითხვებზე მსოფლიო VIII კრების მოწვევასთან დაკავშირებით. ყოველივე ამით შემოფოთებულმა საკათოლიკოსო საბჭომ 1926 წ. 24 ივლისს ძმური ეპისტოლეთი მიმართა ბასილ III. ეპისტოლეში გამოთქმული იყო სინანული იმის გამო, რომ ქართული ეკლესია VIII მსოფლიო კრებაზე არ მიიწვიეს; მასში გაშუქებულია აგრეთვე მსოფლიო და ქართულ ეკლესიებს შორის XIX საუკუნის დასაწყისამდე არსებული ურთიერთობები; საუბარია ავტოკეფალიის ჯერ დაკარგვის, შემდეგ კი მისი აღდგენის, რუსეთის ეკლესიის მიერ ამ სამართლიანი აქტის არცნობისა და ფილეთიზმისთვის ხელშეწყობის შესახებ. კათოლიკოს-პატრიარქების კირიონ II-ს, ლეონიდესა და ამბროსის მოკითხვის ბარათებზე „აღმოსავლეთის პატრიარქთა მდუმარებამ და საქართველოს ადგილობრივი უძველესი ეკლესიის მიმართ უყურადღებობამ, – ვკითხულობთ ეპისტოლეში, – კადნიერყო შფოთის, მძულვარებისა და ძმათა ურთიერთზე ამხედრების მოყვარენი. არა გვსურს ვიფიქროთ, რომ ეს მდუმარება და უყურადღებობა გამონვლეულია ამა სოფლიო მოსაზრებითა: პატარა ერის ეკლესიური ინტერესები მსხვერპლად შეენიროს დიდი ერის ეკლესიურ მეგობრობას და კეთილგანწყობილებას“. საკათოლიკოსო საბჭო სთხოვდა ბასილ III, რომ ეს ყოველივე მსოფლიო კრებისთვის მოეხსენებინა და სრულ იმედს გამოსთქვამდა: „თქვენი ყოვლადუნმინდესობა, აღძრული ეკლესიური ჭეშმარიტების ძიებით, აღადგენს დანარჩენ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საჭეთმპყრობელებთან ერთად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ძველს ურთიერთობას, ესე იგი ისეთსავე, როგორც სუფევდა ჩვენს შორის XIX საუკუნის დასაწყისამდე.“ იმ შემთხვევაში თუ ეს თხოვნაც უყურადღებოდ დარჩებოდა, „მაშინ ჩვენი ეკლესია იძულებული იქნება დაიცვას თავის ნიაღში ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და კანონიკური ნორმები იმ წესით და საშუალებით, რომელსაც თვით დაინახავს საჭიროდ და მიზანშეწონილად... ხოლო ზნეობრივ პასუხისმგებლად მისი განცალკევებისა ის ჩათვლის აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს, რომელთაც არ მოსურვებს კანონიკური ჭეშმარიტების აღიარება და უკანონო პრეტენზიების მხილება“, ⁸²⁸ – აცხადებდა საკათოლიკოსო საბჭო.

როგორც ჩანს, ამ მუქარანარევმა ეპისტოლემ ბასილ III პოზიციაზე გარკვეული გავლენა მოახდინა და მან რუსეთის ეკლესიას მოუწოდა უახლოეს ხანებში დაამყაროს კანონიკური ურთიერთობები საქართველოს ეკლესიასთან. 1926 წლის ნოემბრიდან დაიწყო ინტენსიური კონსულტაციები რუსული და ქართული ეკლესიების წარმომადგენლებს შორის, რომელიც ქართული ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარებით დასრულდა. რუსული ეკლესიის სინოდის 1927 წ. 25 თებერვლის №825 მიმართვაში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი ნათქვამია: „მის უნმინდესობას, კათოლიკოს-პატრიარქს საქართველოსას ამბროსის! რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდლო სინოდი ამასთანავე უგზავნის თქვენს უნმინდესობას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის ცნობის აქტს, 1927 წლის 8 თებერვალს მიღებულს, როგორც ნიშანს ერთმორწმუნე საქართველოს ეკლესიასთან ძმურ ურთიერთობის განმტკიცების გულწრფელ თავისს სურვილისას და გამოსთქვამს რწმენას, რომ ასეთი ურთიერთობა მომავალში არაფრით არ დაიჩრდილება.

თავის მხრით, სამღვდლო სინოდი მართლმადიდებელ რუსეთის ეკლესიისა სთხოვს თქვენს უნმინდესობას აღმოუჩინოს თქვენი მამობრივი მზრუნველობა რუს მართლმადიდებელ სამრევლოებს საქართველოში და აფხაზეთში მათ მოსაწყობად მათის საეკლესიო ცხოვრების ნაციონალურ ელფერის დაურღვევლად.

თავმჯდომარე სინოდისა და მიტროპოლიტი ლენინგრადისა ბენიამინი. ადმინისტრაციული განყოფილების გამგე, მოსკოვის მიტროპოლიტი სერაფიმე. მდივანი –

828. მნიგნობრობა ქართული, ტ.9, ნ.1, გვ. 354-356.

წვერი სინოდისა პროფესორი ზარინი.⁸²⁹

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის ცნობის აქტში აღნიშნულია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ლეონიდეს, ამბროსის, აგრეთვე კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მიტროპოლიტი ქრისტეფორეს მიმართებებისა და სხვა მასალების განხილვის შემდეგ სინოდის სპეციალურმა კომისიამ დაასკვნა: “ყურადვილებთ რა საქართველოს ეკლესიის სიძველეს (მე-4 საუკუნის დასაწყისი), მის სიმტკიცეს უცხო სარწმუნოებათა წინააღმდეგ ბრძოლაში,⁸³⁰ მის მრავალრიცხოვნებას (2 მილიონ წევრამე), მის ავტოკეფალობას წარსულში (1053 წლიდან 1810 წლამდე), უკვე გამოცხადებულ გადაწყვეტილებას სამღვდლო სინოდისას, მიენიჭოს ს.ს.რ.კ. ხალხებს თავისუფლება თავის ეკლესიურ ცხოვრების მოწყობაში და ვსცნობთ საქართველოს ეკლესიის უდავო უფლებას ავტოკეფალობაზე და წარუდგენთ სამღვდლო სინოდის წევრთა კრებას დასამტკიცებლად შემდეგ დადგენილებას: “ცნობილ იქმნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა. ტფილისისა და სოხუმის ეპარქიები აღარ ითვლებოდეს სამღვდლო სინოდის უწყებაში. საკითხი მათის გაცემის შესახებ გადაწყდეს საქართველოს საკათოლიკოსოსთან მი-მომართვის შემდეგ ისე, რომ რუსთა მართლმადიდებელ სამრევლოებს შეენახოსთ საეკლესიო ცხოვრების რუსული ელფერი”.

აღნიშნული დასკვნა კომისიისა სამღვდლო სინოდის წვრთა საერთო კრებამ მიიღო ერთხმად.

აღსასრულებლად ამისა სამღვდლო სინოდმა 8 თებერვალს 1927 წლისას დადგინა: შესდგეს ცალკე აქტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის ცნობის საქმეზე და წარედგინოს იგი აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქებს და საქართველოს ეკლესიას. ინებოს ღმერთმან, რათა ჰყვადეს უკუნისამნდე უძველესი ქრისტიანული საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია შეკავშირებული მართლმადიდებელი ქრისტეს მთელ ეკლესიასთან მშვიდობიანობითა და სიყვარულითა.

სამღვდლო სინოდის თავმჯდომარე მიტროპოლიტი ლენინგრადისა და ყოვლისა ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარისა ბენიამინი.

წვერნი სინოდისა:

სერაფიმე, მიტროპოლიტი მოსკოვისა.

ღვთისმეტყველების დოქტორი მიტროპოლიტი ალექსანდრე ეველენსკი აპოლოგეტ-კეთილმაუწყებელი.

პროტოპროსვიტერი პ.კრასოცინი

მდივანი – წვერი სინოდისა პროფესორი ზარინი⁸³¹.

რუსეთის ეკლესიის (რომელსაც მაშინ პატრიარქი არ ჰყავდა) სინოდის მხრიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება დიდი სტიმიული და ნუგეში უნდა ყოფილიყო უწმინდესი და უნეტარესი ამბროსისთვის, თუმცა ამ ისტორიული აქტის შემდეგ მან მხოლოდ ერთ თვეზე ოდნავ მეტი იცოცხლა. მძიმედ დასნეულებული (თირკმლების დაზიანებით) კათოლიკოს-პატრიარქის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც იგი, მიტროპოლიტი კალისტრატეს მტკიცებით, დროებითმა საეკლესიო მმართველობამ 1927 „წლის მარტის 22 №51 დადგენილებით განათავისუფლა „საქმეთა წარმოებისაგან“, რაიცა გამოუცხადეს მის უწმინდესობას მარტის 23“. აღნიშნული აქტი არანაირად არ ნიშნავდა კათოლიკოს-პატრიარქობიდან მისი უწმინდესობის გადაყენებას. სავარაუდოდ, იგი მიზნად ისახავდა ავადმყოფობის გამო ფაქტობრივად ქმედუუნარო პატრიარქის ეკლესიის დროებითი მმართველო-

829. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები, გვ. 164.

830. „უცხო სარწმუნოებათა წინააღმდეგ“ ბრძოლაში ქართული ეკლესიის დამსახურებას მუდმივად ხაზს უსვამდა ამბროსი ხელაია პეტროგრადში გამოქვეყნებულ თავის წერილებში, რომლებიც უსათუოდ ცნობილი იყო რუსეთის სინოდისთვის (ჯ.გ).

831. იქვე, გვ. 166-167.

ბის თავმჯდომარეობიდან განთავისუფლებას და ამ თანამდებობაზე მიტროპოლიტ ქრისტეფორეს არჩევას. სიკვილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი კათოლიკოს-პატრიარქისთვის, ცხადია, „პროგრესისტა“ ეს ყოვლად გაუმართლებელი უზნეო საქციელი მორიგი მძიმე დარტყმა იქნებოდა. „ამ გამოცხადების მეორე დღეს, – წერდა მიტროპოლიტი კალისტრატე, – კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ დაკარგა ენის ხმარების შესაძლებლობა (მარტის 25), მარტის 27 – გონებაც, ხოლო მარტის 29 დილის სამ საათზე კი განუტევა სული... არ უნდა ავჩქარებულებავით“.⁸³² იმავე დღეს ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით მისმა თავმჯდომარემ მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ და ეპ. სიმეონმა საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარეს შეატყობინეს: „29 მარტს, დილის 3 საათსა და 45 წუთზე გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, რასაც პატივისცემით მოგახსენებთ სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა.“⁸³³ 29 მარტსვე მიტროპოლიტ ქრისტეფორესა და ეპ. სიმეონის ხელმოწერით მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გაიგზავნა შემდეგი შინაარსის მეორე წერილი (№321): „სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა პატივისცემით გთხოვთ – ნება დართოთ მას, დაასაფლავოს გვამი გარდაცვალებულ კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსისა სიონის საკათედრო ტაძარში კათოლიკოსთათვის მიღებულ წესისამებრ“.⁸³⁴ სახალხო კომისართა საბჭოს აპარატიდან საქმეთა მმართველის ალ. სალარიძისა და საერთო განყოფილების გამგის ი.ჯანელიძის ხელმოწერით 1927წ. 30 მარტს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ასეთი პასუხი მიიღო: “თქვენი ამა წლის 29-ის თარიღით და 321-ე ნომრით მიმართვის გამო გაცნობებთ, რომ თქვენ ნება გეძლევათ გარდაცვალებულ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გვამი დაასაფლავოთ სიონის საკათედრო ტაძარში“.⁸³⁵

29 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებითმა გამგეობამ მორწმუნე ერს ღრმა მწუხარებით აუწყა, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გარდაცვალების შესახებ. პანაშვიდები დაინიშნა სიონის საკათედრო ტაძარში ყოველდღე დილის 12 და საღამოს 19 საათზე.⁸³⁶ იმავე დღეს დროებითმა მმართველობამ მოისმინა მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძის სიტყვიერი განცხადება იმის შესახებ, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა გარდაცვალებამდე 10 დღით ადრე გამოთქვა სურვილი, “რათა მისი დაკრძალვის ჟამს არ იქმნას წარმოთქმული სიტყვები და რომ ამის შესახებ ნაბრძანები ჰქონდა მთავარუხუცესს დეკანოზ ნ.მაჭარაშვილს“. დაადგინეს, რომ, განსვენებულის სურვილის გათვალისწინებით და “თანახმად მიტროპოლიტ კალისტრატეს განცხადებისა, არ იქმნას წარმოთქმული სიტყვები გარდაცვალებულ კათოლიკოს-პატრიარქის დაკრძალვის ჟამს“.⁸³⁷ შეიქმნა დამკრძალავი კომიტეტი ალავერდელი ეპისკოპოსის მელქისედეკის თავმჯდომარეობით.

1927წ. 31 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ “განიხილა საკითხი ღვთივგანსვენებულ პატრიარქ ამბროსის ეკლესიებში ღვთისმსახურებაზე მოხსენიების შესახებ და დაადგინა: „1) წინადადება მიეცეს ეპარქიების მმართველთ გასცენ განკარგულება განსვენებულ კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მოხსენიების შესახებ ერთი წლის განმავლობაში შემდეგი წესით: “მერმეცა გვედრებით განსვენებულისათვის და ცოდვათა მიტევებისათვის სულისა ახლადგარდაცვალებულის მონისა

832. კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.102, გვ. 346-347.

833. საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.600, ს.1244, ფ.3.

834. იქვე, ფ.2.

835. იქვე, ფ.1.

836. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს.539, ფ.84.

837. იქვე, ფ.88.

მღვთისა კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსისა“ და შემდეგი“.838 დადგენილებას ხელს აწერდნენ მიტროპოლიტი ქრისტეფორე, ეპისკოპოსები სტეფანე ბოდბელი, ვარლამ მარგველი, სიმეონი, მელქისედეკ ალავერდელი, დეკანოზი ბ.კანდელაკი, კოტე სვიმონიშვილი. ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა დროებითი მმართველობის 1927წ. 29 მარტის მიმართვა სახკომსაბჭოს თავმჯდომარისადმი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სურათისა და მოკლე ბიოგრაფიული ცნობის გამოქვეყნების თაობაზე839 და შემოიფარგლა იმავე წლის 30 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მოკლე და მშრალი ინფორმაციით: „28 მარტს, ღამის 4 საათზე თბილისში საკუთარ ბინაზე გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა კათოლიკოსი ამბროსი“. არც ოჯახის სახელით პრესისთვის გაკეთებული განცხადება გამოქვეყნებულა, რომელშიც ნათქვამი იყო: „საყვარელი მამა და პაპა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი მარტის 29 გარდაიცვალა, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები ნინა, ანა, ალექსანდრე, ნიკოლოზი (ანას მეუღლე ნიკ. კლდიაშვილი – ჯ.გ.) და შვილიშვილები თამარი (ნინას ქალიშვილი თამარ დონდუა – ჯ.გ.) და გივი (კლდიაშვილი – ჯ.გ.). პანაშვიდები სიონის ტაძარში ყოველდღე საღამოს 7 საათზე და დილის 12 საათზე“.840 სამაგიეროდ, 1927წ. 2 აპრილს გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი მიძღვნილი ყოვლად უხამსი და უზნეო „პატარა ფელეტონი. ორი მემორანდუმი“. მისი ავტორი ვინმე „ს.თ-ია“ (ალბათ, ანტირელიგიური კამპანიის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ცაკ-ის მდივანი სილიბისტრო თოდრია) თავის უნიჭო და სამარცხვინო პასკვილში აქილიკებდა მემორანდუმს გენუის კონფერენციისადმი, მიესალმებოდა რა მეორე „მემორანდუმს“, რომელიც მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გარდაცვალების დღეებში თბილისში მომუშავე საქართველოს საბჭოების IV ყრილობას მიართვა: „საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა ესალმება საბჭოთა ყრილობას და უსურვებს მას ნაყოფიერებას აღმშენებლობითი მუშაობაში“.

როცა საოკუპაციო რეჟიმი თავს ირთობდა ბოლმით სავსე, მაგრამ სასაცილო და სამარცხვინო ფელეტონით, საქართველოს ყველა კუთხიდან მოვიდა სამძიმრის დეპეშები, დაკრძალვის დღეს – 3 აპრილს – ბევრმა რეგიონმა თბილისში დელეგაციაც გამოგზავნა.841 დეპეშაში, რომელიც ქუთაისის უკანონო კრების მონაწილემ ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა ნესტორმა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს სახელზე 1927წ. 31 მარტს გამოგზავნა, ნათქვამი იყო: “29 ამა მარტს საღამოს მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი სამწუხარო დეპეშა, რომელმანაც გვაცნობა კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის გარდაცვალება. ვწუხვართ – ვიღებთ მონაწილეობას სრულიად საქართველოს ეკლესიის შვილთა მწუხარებაში.

უნეტარესო და დაუვიწყარო ჩვენო მამამთავარო ამბროსი! თუმცა 21 და 22 ამა მარტის თვეს გიხილე და ვეამბორე მარჯვენასა შენსა, მაგრამ ახლაც მინდოდა მისვლა და მოდრეკა მუხლთა ჩემთა წინაშე შენი ნეშთისა, რომ ხელი არ შეეშალა ჩემ უღონობას და სხვა გარემოებებს. ვინ არ სტიროდეს თვალთა შენთა საუკუნოდ დახუჭვისათვის, ვინ არ გოდებდეს ბაგეთა შენთა საუკუნოდ დადუმებისთვის, ვინ არა სწუხდეს საუკუნოდ შენი განმორებისათვის.

საქართველოს ეკლესიის შვილნო!

ვიგლოვდეთ ობლებისათვის მამათმთავრისაგან ჩვენისა და ვევედროთ ყოვლად მოწყალესა ღმერთსა ჩვენსა, რათა განუსვენოს მამათმთავართა ჩვენსა ამბროსის წიაღთა შინა აბრაამისა, ისააკისა და იაკობისათა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო მამამთავარო ამბროსი.

838. იქვე, ფ.89.

839. იქვე, ფ.107.

840. იქვე, ფ.85. ამ დროს გაზ. კომუნისტმა 1927წ. 9 იანვარს გამოაქვეყნა ნათესავების განცხადება ბნელი წარსულის (აფხაზეთში) მქონე დეკანოზ იოანე ქავჭავაძის გარდაცვალების შესახებ.

841. იქვე, ფ.92-94, 96, 99, 101, 102, 131, 132; წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 358-359, და ა.შ.

განსვენების და დაკრძალვის დღისთვის ჭყონდიდის ეპარქია წარმომადგენლად ვაგზავნი ფოთის საკათედრო ტაძრის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარეს მოქალაქეს ერასტი პაჭკორიას“.⁸⁴²

სამძიმრის წერილი მიტროპოლიტ ქრისტეფორეს სახელზე გამოგზავნა აგრეთვე კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ახალგაზრდობის მეგობარმა, სოხუმის საკათედრო ტაძრის ყოფილმა მღვდელმა, ეროვნებით ბერძენმა ავრაამ ივანოვმა, შემდგომში დაპირისპირებულმა მის უწმინდესობასთან (იხ. აქვე, ნაწილი II), იმჟამად კი აფხაზეთში “ცოცხალი ეკლესიის” ხელმძღვანელმა (არქიეპისკოპოსმა). თავის წერილში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის იგი „დიდ აღმსარებელს“ უწოდებდა, მის ცხოვრებას და ტანჯვა-წამებას კი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებას და ტანჯვა-წამებას ადარებდა.⁸⁴³ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გარდაცვალების შესახებ ავრაამ ივანოვმა გაზეთ „სოვეტსკაია აზხაზიაში“ 1927წ. 2 აპრილს გამოქვეყნებული შემდეგი განცხადებიდან შეიტყო: „სოხუმის საკათედრო ტაძრის სამრევლო საბჭო ქ.სოხუმისა და მისი შემოგარენის მცხოვრებთ გაუწყებთ, რომ 29 მარტს ქ.თბილისში გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. კვირას, 3 აპრილს სოხუმის საკათედრო ტაძარში შესრულდება სულის მოსახსენიებელი ლიტურგია და პანაშვიდი. ლიტურგიის დასაწყისი – დილის 9 1/2 საათი (ათის ნახევარი – ჯ.გ.), პანაშვიდის – 11 1/2 საათი (თორმეტის ნახევარი – ჯ.გ.). პანაშვიდები ყოველდღიურად საღამოს 6 საათზე“.

ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობის ხელმძღვანელმა მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ 1927წ. 31 მარტს რუსეთის ეკლესიის სამღვდლო სინოდიდან მიიღო მოსკოვის მიტროპოლიტის სერაფიმეს ხელმოწერით გამოგზავნილი დეპეშაც: “სამღვდლო სინოდი მთელი სულითა და გულით იზიარებს ქართული ეკლესიის მწუხარებას, ლოცულობს მარად სახსოვარი უწმინდესი პატრიარქის სულის მოსახსენიებლად“.⁸⁴⁴ ყოველთა სომეხთა კათალიკოსის გევორქ V-ს მიერ 3 აპრილს გამოგზავნილ დეპეშაში კი ნათქვამი იყო: “მიიღეთ და გადაეცით სამღვდლოებას და მრევლს ჩვენი ღრმა თანაგრძნობა სრულიად საქართველოს უწმინდესი კათალიკოსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით“.⁸⁴⁵

განსვენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (ხელაია) 1927 წლის 3 აპრილს, კვირა დღეს, სიონის საკათედრო ტაძარში დაიკრძალა. მორწმუნე საზოგადოება დილის 10 საათიდან, როცა წირვა დაიწყო, ეთხოვებოდა ტანჯულ მწყემსმთავარს. განსვენებულის ანდერძისამებრ, დაკრძალვისას სიტყვები არ წარმოთქმულა.

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გარდაცვალებას გარკვეული საერთაშორისო რეზონანსიც მოჰყვა, რასაც ხელი შეუწყო ქართულმა ემიგრაციამ. „1927 წლის 23 ივლისს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი პარიზის ბერძენთა ეკლესიაში გადაიხადა არქიეპისკოპოსმა ვასილიკოსმა. გალობდა პ. მოსულიშვილის ქართული გუნდი. ესწრებოდნენ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის მდივანი, საფრანგეთის ყველა ეკლესიის წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწეები, უკრაინის მთავრობის თავმჯდომარე ნ.პროკოპოვიჩი, აზერბაიჯანელთა, სომეხთა, ჩრდილო-კავკასიელთა წარმომადგენლები, არგენტინის, ლუქსემბურგის, უნგრეთის, ესტონეთის, ლიტვის, რუმინეთის ელჩები. ნაიკითხეს უამრავი სამძიმრის დეპეშა. 24 ივლისს ხარბინის წმ. სოფიოს ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის პანაშვიდი ქართველებმა გადაიხადეს, წესი აღასრულა ეპისკოპოსმა ნესტორმა, რომელსაც ყაზანის სასულიერო აკადემიაში პატრიარქთან ერთად უსწავლია. იმავე ტაძარში 31

842. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს.539, ფ.112.

843. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 359-362.

844. საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, ს.539, ფ.98.

845. იქვე, ფ.97.

ივლისს პანაშვიდი სომხებმაც გადაიხადეს; ადგილობრივ პრესაში პატრიარქის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა.⁸⁴⁶

* * *

საოკუპაციო რეჟიმმა ქართული ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის წინააღმდეგ გატარებული სასტიკი რეპრესიული ზომებით მხოლოდ ის მოახერხა, რომ ჯანმრთელობა შეურყია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის, დააჩქარა რა მისი გარდაცვალება. სამაგიეროდ ამ არაადამიანურმა რეჟიმმა ვერ მოახერხა ყველაზე მთავარი – ვერ გატეხა მისი უწმინდესობის მტკიცე ნებისყოფა, ვერ დააჩოქა და ვერ დაიმორჩილა იგი. უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი დაუმარცხებელი წავიდა ამ ქვეყნიდან, წავიდა როგორც ადამიანი-იდეა, როგორც სიმბოლო თავისუფლებისათვის ბრძოლისა, საოკუპაციო რეჟიმთან შეურიგებლობისა, მშობლიური ქვეყნისა და ეკლესიისთვის თავდადებისა.

70 წლიანი საბჭოური ოკუპაციის მთელი პერიოდის მანძილზე ამბროსი ხელაიას სახელი, მის მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლთათვის, განსაკუთრებით ამ უთანასწორო ბრძოლის უცხოელ მხარდამჭერთათვის წარმოადგენდა უტყუარ მტკიცებულებას იმისა, რომ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა მსხვერპლი არა შიდა პროცესებისა, არა სახალხო რევოლუციისა, არამედ მოსახლეობის ნების წინააღმდეგ განხორციელებული გარეშე ინტერვენციისა, ოკუპაციისა და ანექსიისა, რომელსაც ქართველი ხალხი არ შეგუებია. ეს ყოველივე კი უცხოელი მეგობრებისთვის იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს, როგორც დაპყრობილი ქვეყნის, ბრძოლა თვითგამორკვევისათვის იყო კანონიერი, სამართლიანი და იგი საერთაშორისო მხარდაჭერას იმსახურებდა. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 1975 წლის 13 მარტის სხდომა. თეთრი სახლის წინასწარი შეკვეთით ამ სხდომაზე ერთა თვითგამორკვევის საკითხზე ნახევარსაათიანი მოხსენებით გამოვიდა 1961-1978 წლებში კონგრესის წევრი ლუიზიანას შტატიდან დემოკრატი ჯოუ დევიდ ვაგონერი (1918-2007წწ.), რომელმაც განაცხადა: „ბატონო სპიკერო, მრავალი წელია მე და ამ განყოფილების სხვა წევრები დაინტერესებულნი ვართ ერთა თვითგამორკვევის პრინციპით. ეს პრინციპი ნაწილია ჩვენი ნაციონალური მემკვიდრეობისა და აირეკლავს ფუნდამენტურ პოლიტიკას შეერთებული შტატებისას მრავალი ურთიერთმომდევნო ადმინისტრაციების განმგებლობის მანძილზე. ჩვენი ნაციის ერთგულება ამ პრინციპისადმი, მიუხედავად ხელისუფლების პოლიტიკის ცვალებადობისა, მუდამ უცვლელი იყო. მე შემძლია მაგალითად მოვიყვანო, თუ რა ფართო მხარდაჭერა აქვს კონგრესში იმ იდეას, რომ განგრძობილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დე იურე აღიარება ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის დამოუკიდებლობისა, ვიდრე მთლიანად არ იქნება აღდგენილი მათი დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა.“

ჩემის აზრით, დროულია ამ საკითხის დაყენება, რამდენადაც ესეისა შესრულდა თებერვლის თვეში 53-ე წლისთავი მნიშვნელოვანი შთამაგონებელი დოკუმენტის შექმნიდან, რომელიც მოდის საქართველოდან. საქართველო პატარა ერია, რომელიც ბალტიური რესპუბლიკების მსგავსად, ძალით შეიერთა საბჭოთა კავშირმა. 1922 წლის 7 თებერვალს საქართველოს ძველი მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ამბროსიმ ამაღლევებელი მონოდებით მიმართა ცივილიზებულ ქვეყნებს, რომლებიც მაშინ მონაწილეობას ლებულობდნენ გენუის ერთა საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც საბჭოთა რუსეთიც იყო წარმოდგენილი. ამ მონოდების გაგზავნის შემ-

846. რ. დაუშვილი. ქართული ემიგრაცია. 1921-1939 წლები. თბ., 2010, გვ. 211.

დეგ პატრიარქი დააპატიმრა საბჭოთა საიდუმლო პოლიციამ. ამბროსი პატრიარქის მოწოდება ისეთივე აქტუალურია დღეს, როგორც 1922 წელს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ყველა იმ ერისათვის, რომელიც მიელტვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამბროსი კათალიკოსის მოწოდებას, რომელიც აღმოჩნდა წიგნში „საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე“ (ავტორი – კონსტანტინე კანდელაკი), მე წაგიკითხავთ მცირეოდენი კომენტარის შემდეგ.

1922 წლის აპრილში, როგორც უკვე მოგახსენეთ, გენუაში გაიმართა ერთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელიც. რუსულმა დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი საქართველოს წარმომადგენელიც იყო ამავე დროს. ამის შესაძლებლობამ დიდად აღაშფოთა ქართველები როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში. ეროვნულმა მთავრობამ (ნ. ჟორდანიას მთავრობამ – ჯ.გ.) გადადგა დიპლომატიური ნაბიჯები თავისი ქვეყნის უფლებების დასაცავად, რასაც მხარი დაუჭირეს საქართველოში იატაკქვეშეთში მყოფმა პოლიტიკურმა პარტიებმა. საქართველოს ეკლესიის მესაჭემ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, გაუგზავნა კონფერენციას წერილი. ეს წერილი გამოირჩეოდა საოცარი გაბედულებით, – პატრიარქი, მართალია, „ჩეკას“ ყოვლისშემძლე კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ამ წერილში მან გამოხატა საზოგადოების ყველა ფენის ერთსულოვანი პროტესტი ოკუპაციის ძალების წინააღმდეგ (პატრიარქი ციხეში ჩააგდეს, სადაც დიდი ხანი დაჰყო)⁸⁴⁷. ასეთი წინასიგყვობისა და ამბროსი ხელაიას მემორანდუმის მნიშვნელობის ბრწყინვალე შეფასების შემდეგ ვაგონერმა კონგრესმენებს გააცნო დოკუმენტის სრული ტექსტი. ამერიკის კონგრესში მემორანდუმის განხილვის შესახებ სულ მალე გახდა ცნობილი საქართველოში. აშშ-ს კონგრესის 1975წ. 13 მარტის სხდომის სტენოგრამიდან ვაგონერის გამოსვლა სრულად თარგმნა და გამოაქვეყნა ზვიად გამსახურდიამ თავის არალეგალურ დისიდენტურ გამოცემაში „ოქროს სანმისი“ (1976, №4), რითაც დიდი სამსახური გაუწია ღრმა იატაკქვეშეთში მყოფ ქართულ ეროვნულ-გამანათავისუფლებელ მოძრაობას.

კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი მოხსენიებულია „საბჭოეთის მიერ ანექსირებული საქართველოს შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის 1989წ. №110 რეზოლუციაშიც, რომელიც გამოქვეყნებულია „კონგრესენალ რეკორდ“-ში (1989წ. 19 აპრილი). რეზოლუცია მოამზადა სენატორმა ჩრდილოეთ კაროლინადან (1973-2003 წლებში), რესპუბლიკური პარტიის წევრმა ჯესი ალექსანდერ ჰელმსმა უმცროსმა (1921-2008წწ.). რეზოლუცია მხარს უჭერდა „ქართველი ხალხის ბრძოლას თვითგამორკვევისათვის“ და „ადამიანის უფლებებისათვის“; მოუწოდებდა „საბჭოთა მთავრობას ყურად იღოს ქართველი ხალხის ხმა“, დააკმაყოფილოს მისი „კანონიერი მოთხოვნები“.

– ვინაიდან ქართველების ეროვნული თვითმყოფადობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე იღებს სათავეს;

– ვინაიდან საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო XIX საუკუნემდე ვიდრე ცარისტული რუსეთი მას რუსეთის იმპერიას შეუერთებდა;

– ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა 1918წ. 26 მაისს..;

– ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა 22 ქვეყანამ აღიარა, მათ შორის საბჭოთა კავშირმა 1920წ. 7 მაისს;

– ვინაიდან 10 თვის შემდეგ – 1921წ. 16 თებერვალს საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკას, დაიკავა დედაქალაქი თბილისი და 1921წ. 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ნყობილება გამოაცხადა;

– ვინაიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა

847. ოქროს სანმისი. შემდგენელი და რედაქტორი მანანა არჩვაძე-გამსახურდია. თბ., 2006, გვ. 313-315.

ამბროსიმ 1922 წელს მხარდაჭერისათვის მიმართა გენუის⁸⁴⁸ კონფერენციას, რათა საერთაშორისო საზოგადოების ზეგავლენით საბჭოთა რუსეთს გაეყვანა ჯარები საქართველოს რესპუბლიკიდან (ხაზგასმა ჩემია – ვ.გ.);

– ვინაიდან 1924წ. ქიათურაში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო... ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, პოლკოვნიკი, თავადი ელიზბარ ვაჩნაძე და ალექსანდრე სულხანიშვილი;

– ვინაიდან ქართველმა ხალხმა განაახლა ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისათვის...,“⁸⁴⁹ და ა.შ.

აი, ასე, გარდაცვალების შემდეგაც კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სახელი, მისი უკვდავი სული და ისტორიულ მემორანდუმში ჩადებული იდეა მოსვენებას არ აძლევდნენ ოკუპანტებს, აგრძელებდნენ ბრძოლას საქართველოს დეოკუპაციისა და თავისუფლებისათვის. დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს (რომელიც ისტორიულად „ერთადერთი მატარებელი იყო წინააზიაში ქრისტიანული კულტურისა, ევროპული ჰუმანიზმისა“) ადგილი კი მის უნმინდესობას წარმოადგენილი ჰქონდა „კულტურული კაცობრიობის“, „განათლებული ევროპის“ გვერდით, როგორც ეს კარგად ჩანს მემორანდუმიდან, ასევე მისი სხვადასხვა ზემოთმოტანილი გამოსვლებიდან და ქადაგებებიდან.⁸⁵⁰

ვინაიდან წმინდა აღმსარებელი ამბროსი წარმატებით უპირისპირდებოდა აფხაზეთის რუსუფიკაციისა და გასხვისების, ქართველთა და აფხაზთა ეროვნული ჩაგვრის, ძმათა შორის შუღლის ჩამოგდების, ქართული კულტურის ძეგლების დამახინჯების იმპერიულ პოლიტიკას, აქტიურად იბრძოდა საქართველოს ეკლესიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის; ვინაიდან ყველაზე მეტად მის სახელს უკავშირდება ქართული ეკლესიის იურისდიქციის აფხაზეთში აღდგენა; ვინაიდან ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე სწორედ მან, ქართველი ხალხის სულიერმა მამამ, გაილაშქრა საქართველოს იძულებითი გასაბჭოების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობის, ტერიტორიული დაქუცმაცების წინააღმდეგ, ღიად მოითხოვა ქვეყნის ფარგლებიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა და ადგილობრივი მოსახლეობის ნების გათვალისწინებით პოლიტიკური ცხოვრების მოწყობა, ამ დიდი მამულიშვილის მთელი მოღვაწეობა, სამეცნიერო და პუბლიცისტური მემკვიდრეობა დღესაც უაღრესად აქტუალურია და პრაქტიკულ მნიშვნელობას ინარჩუნებს.


საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 1995წ. 17 სექტემბრის სხდომამ ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის დანიელის (დათუაშვილი) მოხსენების საფუძველზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) წმინდანთა დასში შერაცხა წმინდა აღმსარებლის სახელწოდებით; ხსენების დღედ 16 (29) მარტი დაანესა.⁸⁵¹

848. ქართულ თარგმანში დაშვებულია უზუსტობა – „გენუის“ ნაცვლად წერია „ჟენევის“ (ვ.გ.).

849. ქართული ფილმი, 1989, 19 ივლისი, №28 (მასალა გაზეთში გამოსაქვეყნებლად მოამზადა ირაკლი კენჭოშვილმა).

850. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს. 187, 323 და ა.შ.

851. მაღლი, 1995, 30 სექტემბერი.



ზოსიმე ხელაია (მოგვანოდა ანა ჭეიშვილმა).



მღვდელი ბესარიონ ხელაია მეუღლესთან ელიზავეტა მერჭულესთან ერთად. ქ. მაიკოპი



არქ. ამბროსი შვილებთან ერთად: ანა (უკან), ალექსანდრე, ნინო. ქ. სტარაია რუსა



ეპ. კირიონი და არქ. ამბროსი. ქ. პეტროგრადი, 1910 წ.



არქ. ამბროსი, ეპ. ანტონი (გიორგაძე) და დეკ. კალისტრატე ცინცაძე. ქ. პეტროგრადი, 1917 წ.



უნმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია).



1917 წ. სექტემბერი. მეორე რიგში, მარჯვნიდან მეშვიდე კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, მეორე – მიტროპოლიტი ლეონიდე, მეცხრე – აშროსი ხელაია საქართველოს საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის (ხელნაწილეთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი №305).



წმინდა ამბროსი კათოლიკოს-პატრიარქად კურთხევის დღეს. მცხეთა, 1921 წ. 14 ოქტომბერი.



მარჯვნიდან: სხედან – არქ. პავლე (ჯაფარიძე), ეპ. იოანე (მარგიშვილი), წმ. ამბროსი, ეპ. დავითი (კაჭახიძე), ეპ. ქრისტეფორე (ციციქვილი); დგანან – გაბრიელ ჩაჩანიძე (შემდგომში მიტროპოლიტი), მთავარდიაკონი სიმონ მონასელიძე, დიაკონი ნიკოლოზ ბოლლაშვილი, დეკ. ლაზარე ნათიძე, მღვდელმონაზონი ეფრემი (სიღამონიძე). მცხეთა 1922 წ. 14 ოქტომბერი.



არქ. ამბროსი (შუაში), დეკანოზები კალისტრატე ცინცაძე, პეტრე მირიანაშვილი და ანტონ თოთიბაძე შვილებთან და ახლობლებთან ერთად.



უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) სიცოცხლის ბოლო დღეებში.



ნმ. აღმსარებელი ამბროსის ხატები

ნანი II

**გაზეთში „ს.-პეტროგრადსკია ვედომოსტი“
გამოქვეყნებული სტატიები (1912-1917 წწ.)**

1. ჩანაწერი სოხუმის ეპისკოპოს ყოვლად სამღვდლო ანდრიას მოღვაწეობის შესახებ

„ს.-პეტერბურგის უწყებების“ №224-ში არის ცნობა სოხუმის ეპისკოპოსის, ყოვლად-სამღვდლო ანდრიას მოღვაწეობის შესახებ. ნათქვამია იმის თაობაზე, რომ ყოვლად-სამღვდლო მოკლე დროში მოახერხა ყველას პატივისცემის მოპოვება, განურჩევლად ეროვნებისა და, რომ, უსაზღვროდ უყვარს რა თავისი საქმე, ის ჩადის ეპარქიის ისეთ კუთხეებში, რომლებსაც არასოდეს უნახავთ მწყემსმთავრები. ვეკუთვნი რა ყოვლადსამღვდლო ანდრიას სამწყსოს, დაე მეც, მომეცეს ნებართვა დავამონმო თითქმის მთლიანად ბოლო 25 წლის განმავლობაში ეს იშვიათი მოვლენა სოხუმის ეპარქიაში. სოხუმის კათედრაზე ყოვლადსამღვდლო ანდრიას დანიშვნის შემდეგ თუმცა გავრცელდა ხმები მის მოღვაწეობაზე, სოხუმის ეპარქიის მოსახლეობის მხრიდან მისდამი საყოველთაო სიყვარულის შესახებ, მაგრამ, ვალიარებ, მოსმენილის არ მჯეროდა. წარმოუდგენლად მიმაჩნდა, რომ სოხუმის ეპარქიას წილად ხვდა ასეთი ბედნიერება – რომ ყოვლადსამღვდლოს, აღმოჩნდა რა ამ მხარეში, უფლის საკურთხეველის მსახურთათვის უჩვეულო პოლიტიკური მოღვაწეობის მორევში, ნაცვლად ქრისტეს ეკლესიის ინტერესებისთვის სამსახურისა, ერთნაირად დაეცვა მას რეგიონის ყველა ხალხის რელიგიური ინტერესები, შეეთავსებინა თავის მოსიყვარულე გულში სიყვარული ყველას მიმართ, განურჩევლად ეროვნებისა.

სინამდვილემ დამარწმუნა იმაში, რაც წარმოუდგენლად მიმაჩნდა.

ამ სტრიქონების ავტორს ამა წლის აგვისტოს ბოლოს მოუწია გავლით სოხუმში ყოფნა და იყო სასიამოვნოდ განცვიფრებული შეფასებებით ყოვლადსამღვდლო ანდრიაზე ქ. სოხუმის რუსული და არარუსული მოსახლეობის მხრიდან. ყველა აღფრთოვანებით საუბრობდა მის ჭეშმარიტად მოციქულებრივ მოღვაწეობაზე, მის შეუპოვრობაზე, უბრალოებაზე, მისანვდომობაზე, უკლებლივ ყველას მიმართ სიყვარულზე, რელიგიური უმეცრების წყვილადმი მყოფთა განათლებისთვის თავგამოდების სულისკვეთებით მის ანთებულობაზე. ერთი სიტყვით, ადრე თავიანთი ყოვლადსამღვდლოებით უკმაყოფილო ეპარქიის არარუსები (инородцы) რაღაც სასწაულით, უცებ გარდაიქმნენ, გახდნენ თავიანთი მწყემსმთავრის მოსიყვარულენი...

ბუნებრივია, სოხუმელების ასეთი შეფასებების შემდეგ მომინდა ყოვლადსამღვდლო ანდრიას ნახვა, მისგან კურთხევის მიღება, ეპარქიის საეკლესიო ცხოვრების ახალი მიმდინარეობის თაობაზე მოსმენილის გამო ჩემი სიხარულის მისთვის გაზიარება. მაგრამ ყოვლადსამღვდლო სოხუმში არ იმყოფებოდა, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დღის წინ ის გაემგზავრა უღელტეხილის გაღმა იმ რუს მოახელშენეთა მოსანახულებლად, რომლებსაც ამ ადგილებში მათი ყოფნის მანძილზე არ უნახავთ არა თუ მღვდელმთავარი, არამედ მღვდელიც კი. მოახალშენები – რუსები, მთელი 10 წელიწადი მიგდებულები ფეხით მოსიარულეთათვისაც კი არც თუ ყოველთვის მისანვდომ ადგილებში, მოკლებული იყვნენ აღსარების ჩაბარების მოვალეობის მოხდის, წმინდა საიდუმლოს მიღების, ქრისტიანული წესით დამარხვისა და საეკლესიო მსახურებით ნუგეშისცემის შესაძლებლობას. იმის თაობაზე, თუ როგორი სიხარული დაეუფლა ამ უბედურთ თავისი მწყემსმთავრის დანახვისას, უკვე იყო ცნობა, არ მახსოვს „ს. – პეტერბურგის უწყებების“ რომელ ნომერში.

თავისი მძიმე და მომქანცველი მოგზაურობიდან მეუფე დაბრუნდა 25 აგვისტოს საღამოს, ღამისთვის დაწყების წინ, რომელზეც სამამულო ომის 100 წლისთავისადმი¹ მიძღვნილი საზეიმო წირვა აღავლინა; ჩემს შემფოთებაზე, რომ, რადგანაც დილით ადრე მმართვედა სოხუმიდან გამგზავრება, არ მომიწევდა მეუფესთან შეხვედრა, მიპასუხეს, რომ, როცა ის ეკლესიაშია, იღებს ნებისმიერ დროს და, მართლაც, მიუხედავად გვიანი დროისა, წირვის დასრულების შემდეგ მიმიღო. არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორ მანუგეშა სულიერად მეუფესთან საუბარმა: მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ მისი დამოკიდებულება ერთნაირია ყველასადმი, მიუხედავად ეროვნებისა. არ ატყვია აჩრდილიც კი იმ მიუწვდომლობისა, ოფიციალურობისა, გულცივობისა, რომელიც ხშირად შეიმჩნევა

მღვდელმთავრებში და რომელიც უცებ ინვეს მათ გაუცხოებას ადამიანებისაგან-ცხოვართაგან.

მწყემსმთავართა მხრიდან შეუწყნარებლობა არარუსებისადმი, მათი რელიგიური გრძნობებისადმი, ეკლესიებში მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების აკრძალვა, ადგილობრივი წმინდანების, ხალხის ზნე-ჩვეულებების მიმართ ღირსეული პატივისცემის უქონლობა მათ წინააღმდეგ ამხედრებდნენ მოსახლეობას და ცხოვართა სიყვარულზე მწყემსმთავრისადმი საუბარიც კი ზედმეტი იყო. ქრისტიან არარუსებს თავიანთი ცუდი დამოკიდებულება და სიყვარულის უქონლობა მწყემსმთავრებიდან ღვთის ტაძრებზე გადაჰქონდათ. ხდებოდა გაუცხოება ეკლესიისაგან და ღვთისმსახურებისაგან.

მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ყოვლადსამღვდელო ანდრია უჩვენა სოხუმელ ქართველებს თავისი შემწყნარებლობა. უკანასკნელებს გაუჩნდათ თავგამოდება და კეთილი განწყობა ღვთისმსახურებისადმი. საქართველოს განმანათლებლის, წმ. მოციქულთასწორი ნინოს ხსენების დღე, ამა წლის 14 იანვარი ქართველებისთვის იყო რელიგიურ გრძნობათა ამალღების დღე: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტი და კეთილი მწყემსმთავრის მოწოდებით ეკლესიის გალავანში მათი დაბრუნების დღე. ამ დღეს „არნახული რაოდენობით“ შეკრებილი ქართველები ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ მივიდნენ მეუფესთან მადლობის სათქმელად ნირვის ჩატარებაზე ნებართვის გაცემისათვის და გამოსახატავად „მადლიერებისა სულიერი აღმავლობისათვის“, რომელიც გამოიწვია ამ ღვთისმსახურებამ ქართველთა შორის, როგორც ეს თავის სიტყვაში თქვა ნ.კ. თავდგირიძემ.²

სოხუმელმა ქართველებმა დაიწყეს უფრო გულმოდგინე სიარული ღვთის ტაძარში. მწყემსმთავრის სიყვარულმა ცხოვართადმი ამ უკანასკნელებში გამოიწვია ისეთივე სიყვარული მის მიმართ, გამოიწვია სიყვარული ღვთის ტაძრებისადმი, ქრისტიანულ მოვალეობათა შესრულებისადმი. ჭეშმარიტად, სიყვარულს შეუძლია სასწაულების მოხდენა მორწმუნეთა და ურწმუნოთა გულებში. ეს ყოველივე იმის აშკარა მტკიცებულებაა, რომ რეგიონის არარუსულ მოსახლეობაში არ არსებობს არავითარი სეპარატიზმი, არავითარი სიძულვილი იმ რუსებისადმი, რომლებიც სარწმუნოების, მისდამი სიყვარულისა და შემწყნარებლობის მატარებლები არიან. სეპარატიზმისა და ზოგადად უკმაყოფილების შექმნას ისინი ცდილობენ, ვისთვისაც ეს სასარგებლოა, ვისაც სურს მღვრიე წყალში თევზაობა, საკუთარი ბედნიერების, საკუთარი კარიერის სხვის უბედურებაზე აგება. ბუნებრივია, ხდება შეცდომები იმ მოღვაწეთა მხრიდან, რომლებიც მოწოდებული არიან რუსული კულტურისა და მოქალაქეობრიობის დანერგვის გზით ემსახურონ რეგიონის არარუსული მოსახლეობის რუს ხალხთან დაახლოების საქმეს.

აღმოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ბედავდნენ მიეთითებინათ ეს შეცდომები და ამით ხელი შეეწყობთ დასახული მიზნისაკენ სწორი გზის არჩევაში. ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით ისინი ამბობდნენ, რომ მსგავს კარიერისტებს, რომლებიც არ ერიდებოდნენ საშუალებებს თავიანთი ეგოისტური მიზნების მისაღწევად, და ზოგადად კავკასიაში მოღვაწეთა შეცდომებს, მივყავართ დასახული მიზნის სრულიად საპირისპირო შედეგებამდესარწმუნოების დაცემისაკენ, არარუსების, განსაკუთრებით ქართველების რუსებთან ერთობისკენ მისწრაფების შესუსტებისაკენ. ნამდვილი ვითარების ამგვარი მამხილებლებისათვის სასჯელის გარეშე ეს არ ჩაივლიდა, მაგრამ სოხუმის ეპარქიის ამჟამინდელი მდგომარეობა აშკარად ამტკიცებს მათ სიმართლეს, გულწრფელობას და სურვილს, უანგაროდ ემსახურონ როგორც რელიგიურ, ისე სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

მეტისმეტად ღრმად არის შეჭრილი ქართველთა გულებში სიყვარული ერთმორწმუნე რუსი ხალხისადმი, როგორც თქვა ერთმა მამხილებელმა,³ რათა ამ მოღვაწეთათვის ასეთი იოლი ყოფილიყო მიზნის მიღწევა, ხალხში ნდობისა და სიყვარულის მოსპობა ჭეშმარიტად ქრისტიანულად განწყობილი რუსი ადამიანებისადმი. ამის დამამტკიცებელი საბუთია ეპისკოპოს ანდრიას მოღვაწეობა. საკმარისი აღმოჩნდა, ყოვლადსამღვდელოს არარუსებისათვის ეჩვენებინა, რომ ის არის ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულის მატარებელი, გულმოდგინედ დაიწყეს მათ სიარული მის მიერ შესრულებულ ღვთისმსახურებაზე, აცხადებდნენ რა, რომ „მათ სჭირდებოდათ არა ენა, არამედ სული“ (ს. —პეტერბურგსკი

ვედომოსტი“, №224). არამოპოლიტიკანო, გულწრფელ, ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით გამსჭვალულ მისიონერებს აი, რატომ ჰქონდათ და ყოველთვის აქვთ წარმატება ურწმუნოთა მოქცევის საქმეში. სიყვარული – აი გზა შემცდართა ეკლესიის გალავანში მოსაყვანად, გზა არარუსების რუსეთის მკვიდრ მოსახლეობასთან კულტურული თვალსაზრისით ასიმილაციისაკენ. ყოვლადსამღვდელო ანდრია – მკაფიო მაგალითია და ჭკუის დამრიგებელი მაგალითია კავკასიაში რუსული საქმის სამსახურისთვის მონოდებულ მოღვაწეთათვის.

ღმერთმა ქნას, რომ ამიერკავკასიის სხვა ადგილებმაც მონახონ ასეთი მწყემსმთავრები, რომელთაც შესწევთ უნარი ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით დააპოშმინონ რეგიონი. მაშინ არ იქნება ნიადაგი უკმაყოფილებისთვის, არ იქნება სეპარატიზმში იმ ხალხის დადნაშაულების საბაბიც, რომელმაც წარსულში დაამტკიცა თავისი ლტოლვა რუსი ხალხისაკენ, ამჟამადაც გულწრფელად უყვარს რუსი ხალხი, გარდა მისი მოპოლიტიკანო წარმომადგენლებისა რეგიონში.

სამურზაყანოელი. 1912⁴

ს. პეტროგრადსკიე ვედომოსტი, 1912, 7(20) ნოემბერი, №251.

შენიშვნები:

1. 25-26 აგვისტოს ღამისთევითი ლიტურგია, როგორც ჩანს, მიეძღვნა 100-ე წლისთავს 1812 წლის 26 აგვისტოს გამართული ბოროდინოს ბრძოლისა ნაპოლეონ ბონაპარტის არმიასა და რუსებს შორის (ჯ.გ.).
2. იხ.; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 691.
3. ამბროსი ხელაიას მხდველობაში ჰყავს საკუთარი თავი, მოჰყავს ამონარიდი თავისი ნაშრომიდან „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“ (ნმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.444) (ჯ.გ.).
4. სტატიის რუსული დედანი იხ.: ნმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 486-491 (ჯ.გ.).

2. სოხუმის ეპარქიის შესახებ

I

როგორც უკვე ცნობილი გახდა, უწმინდესი სინოდის წინაშე აღძრული შუამდგომლობა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობიდან გამოყოფის შესახებ, მაგრამ ისეთნაირად, რომ მდ. ენგურსა და ღალიძგას შორის საზღვრებში მდებარე მეგრელებით დასახლებული სამურზაყანოს უბანი ეკლესიურად გურია-სამეგრელოს ეპარქიას მიუერთდეს.

სასიხარულოა სასულიერო მთავრობის მიერ იმ ჭეშმარიტების აღიარება, რომ სამურზაყანოელები – იგივე მეგრელებია, და, რომ, შესაბამისად, საჭიროა მათი საეკლესიო-რელიგიური ინტერესების სამეგრელოს მოსახლეობის ასეთსავე ინტერესებთან დაკავშირება. მაგრამ იგივეს თქმა არ შეიძლება აფხაზეთის (კოდორის, გუმისთისა და გუდაუთის) მოსახლეობის შესახებ, რომლის ეკლესიურად საქართველოსგან საბოლოო მონყვეტა არის განზრახული. ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრება მართებთ იმათ, რომლებიც აცნობიერებენ საქართველოს მთლიანობის აუცილებლობას თავის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებში, აგრეთვე იმათაც, რომლებიც აფხაზეთის რელიგიური ინტერესებისათვის ზრუნავენ.

იყო დრო, როცა დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ სამურზაყანოელებს არაფერი საერთო ქართველებთან არა აქვთ, და ამიტომ მთელს სამურზაყანოში ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას კრძალავდნენ.

სოხუმში თვითმდგომი კათედრის დაფუძნების დროიდან სოხუმელებს ღვთისმსახურების ქართულ ენაზე მოსმენის შესაძლებლობა ჩამორთმეული ჰქონდათ. ასეთივე ბედი

ენიათ ქართული მოსახლეობისგან შემდგარ იმ სამრევლოებსაც, რომელთა მღვდლებმა რუსული წერა-კითხვა იცოდნენ. სოხუმელი იერარქების შეუწყნარებლობა იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა საგაზეთო წერილების საშუალებით დაიწყეს ჩივილი ამგვარ უსამართლობაზე¹ და უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორსაც მოუწია ამაზე ყურადღების მიქცევა. მოცემულ საქმეზე გამოითხოვეს ცნობები სოხუმის ეპისკოპოს არსენისგან (იზოტოვი – ჯ. გ.), რომელმაც დაუფარავად უპატაკა, რომ ქ. სოხუმისა და დაბა ოჩამჩირის ყველა ეკლესიაში ღვთისმსახურება საეკლესიო-სალაგურ ენაზე აღესრულება, რომ სოხუმის ყოფილ ეპისკოპოს აგაფოდორს განზრახული ჰქონდა ასეთი ღვთისმსახურების შემოღება აფხაზეთისა და სამურზაყანოს ყველა სამრევლოში, და რომ მის, არსენის, მიერ საღვთისმსახურო წიგნები სლაგურ ენაზე დაგზავნილია დასტურად, რათა ღვთისმსახურება ამ წიგნებით შეასრულონ (1897.წ.17მაისის პატაკი, №968).

უფრო მეტიც, აფხაზეთსა და სამურზაყანოში კანდიდატებისათვის სამღვდელმსახურო თანამდებობებზე ქართული ენის ცოდნა დიდ მინუსად ითვლებოდა. ასეთი კანდიდატები არასასურველებად და საშიშებადაც კი ითვლებოდნენ. ამის გამო მსურველები აღნიშნულ თანამდებობებზე თავიანთ წერილობით თხოვნებში ცდილობდნენ ხაზი გაესვათ ქართული ენის უცოდინრობისთვის, სიძულვილისთვისაც კი ქართველებისადმი და ყოველივე ქართულისადმი. ამ სტრიქონების ავტორმა, რომელიც მსახურობდა სოხუმის ეპარქიაში და სამღვდლო-სამედავითნო თანამდებობებზე კანდიდატების შემომომბეული საგამოცდო კომისიის წევრების შემადგენლობაში იმყოფებოდა, კარგად იცის მსგავსი ფაქტების შესახებ.

ცნობილია ეპ. არსენის განკარგულება, სახარება ქართულ ენაზე არ წაეკითხათ მაშინ, როდესაც იგი იკითხებოდა სხვა ენებზე, ლათინურზეც კი, რომელიც მლოცველთაგან არავის ესმოდა. მლოცველთა ორ მესამედზე მეტი ქართველები იყვნენ; ისინი მოუთმენლად ელოდნენ თუნდაც ერთხელ წელიწადში მოესმინათ სახარება მათთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ შეცდნენ მოლოდინში და მათდამი ასეთი უყურადღებობით, რელიგიური და ეროვნული გრძნობის ასეთი შეურაცხყოფით გაბრაზებულები სახარების კითხვის დამთავრებისთანავე ტაძრიდან დემონსტრაციულად გავიდნენ.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება სოხუმის ყველა მღვდელმთავრის დადანაშაულება სხვატომელებისადმი შეუწყნარებლობაში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პოლიტიკურ და რელიგიურ მიზნებს ერთმანეთში არ ურევდნენ. მაგრამ ასეთი პირების მდგომარეობის ტრაგიზმი იმაში იყო, რომ მათ არ იცოდნენ თავიანთი მრევლის ენა, ზნე-ჩვეულებები და ხალხის რელიგიური თავისებურებები თუ მისწრაფებები. ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ მინდობოდნენ საღვთო სამკალის იმ არაკეთილმოსურნე მუშაკებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თავინთი პირადი ინტერესებისათვის იღწვოდნენ, ჰქონდათ მიდრეკილება, საკუთარი კეთილდღეობა ხალხის უბედურებაზე აეგოთ. ამის მაგალითები საკმარისადაა...

ერთ-ერთ სოხუმელ მღვდელმთავარს (ანდრია უხტომსკი – ჯ.გ.) სოფ. ილორში მდებარე ისტორიული ქართული სალოცავის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთება სურდა. იგი ფიქრობდა, ილორი ექცია მისიონერულ ცენტრად, საიდანაც ქრისტეს მოძღვრების სხივები მთელს აფხაზეთს მოეფინებოდა. მაგრამ ეს იქნებოდა რელიგიური ინტერესების ხელყოფა არა მხოლოდ აფხაზეთის მაცხოვრებლებისა, არამედ მთელი მორწმუნე საქართველოსი, რომლის მოსახლეობა რელიგიურად მიილტვის ამ სალოცავისკენ, სადაც 10 ნოემბრის ეროვნული ზეიმი დიდმონაშე გიორგის სახელზე პირველად არის დანესტებული. ყოვლადსამღვდელო შეცდომაში შეიყვანეს მასთან დაახლოებულმა პირებმა, რომლებსაც თავიანთი პირადი ინტერესები ამოძრავებდათ, რომლებსაც სურდათ მყარი ნიადაგის შექმნა მხარეში ბატონობისა და მბრძანებლობისათვის.

ჩვენ მოგვინია ილორის ტაძრის რუსულ მონასტრად გადაკეთების წინააღმდეგ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გალაშქრება და მტკიცება, რომ ქართული სიძველეებით მდიდარი ილორის სალოცავი სრულიად საქართველოს საკუთრებაა, რომ დასავლეთ საქართველოს მთელ მოსახლეობას აქვს ძლიერი ლტოლვა ამ სალოცავისკენ, რომ ილორელებს

არავითარი უფლება არა აქვთ სხვის ხელში გადასცენ იგი, ვინაიდან ეს იქნებოდა მორწმუნეთა უფლებების დარღვევა, რომ ეს არა მარტო ხელს არ შეუწყობდა ხალხში რელიგიურობის ამაღლებას, არამედ, პირიქით, დამლუპველად იმოქმედებდა ილორის გარშემო მოსახლეობის სარწმუნოებაზე, რომ ილორის სალოცავი აფხაზეთისა და საერთოდ მთელი დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაკარგავდა თავის რელიგიურ მნიშვნელობას, როგორც დაკარგეს იგი უცხოთა ხელში გადასულმა ბიჭვინთის, ფსირცხის (ახალი ათონი), დრანდისა და მოქვის ტაძრებმა, და რომ, ბოლოს, უკიდურესად საზიანო და საშიშია ბრძოლა პატივსაცემი სალოცავების თაყვანისცემის ეროვნული თავისებურებების წინააღმდეგ (გაზ. „ზაკავკაზიე“, 1912წ. №82, 83, 270, 271, 272, 274--276). მოსიყვარულე და ხალხის საყვარელმა მეუფემ შეიგნო თავისი შეცდომა, როგორც ამბობენ, თქვა, რომ იგი მოატყუეს, და ილორის სალოცავი მორწმუნე საქართველოს საკუთრებად დარჩა.

ქართულმა საზოგადოებამ და ბეჭდვითმა სიტყვამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ყურადღება არ მიაქცია მაშინ ამ სალოცავის დაცვას და გასაგებია რატომ. უკიდურესი სოციალისტური პარტიები მტრულად იყვნენ განწყობილი ეკლესიისადმი და მისი ინტერესების დაცვის თაობაზე ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით აცხადებდნენ, რომ საჭიროა „სამღვდელოებამ თვითონვე გაასვენოს საკუთარი მიცვალებულები“, ხოლო ზომიერი პარტიები თავის დამცირებად მიიჩნევდნენ ეკლესიის დამცველთა როლში გამოვლას, რადგანაც, მათი აზრით, ეს იქნებოდა რეტროგრადობის, ჩამორჩენილობის დადასტურება და მათი ღირსების შელახვა. ზოგადად კი ქართულ ინტელიგენციაში არ იყო ეროვნული ინტერესების შეგნება, ან კიდევ მას არ ესმოდა ეკლესიის მნიშვნელობა ხალხის ეროვნული აღორძინების საქმეში. მაგრამ მადლობა ღმერთს, მან დროულად მოგვივლინა ეგზარქოსად მოსიყვარულე არქიელი პიტირიმი (ამჟამად პეტროგრადის მიტროპოლიტი). მან თავისი მოღვაწეობით, რომელიც ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით იყო გამსჭვალული, ქართველებში გააცხოველა ინტერესი სარწმუნოებისადმი. ახლა ქართულ თანამედროვე ბეჭდვით სიტყვაშიც ძალიან ხშირად და დაჟინებით იმალლებენ ხმას საქართველოში საეკლესიო ცხოვრების აღორძინების, ქართული ეკლესიისათვის მისი ძველი ცხველმოქმედების დაბრუნების შესახებ.

რამდენიმე სიტყვას ვიტყვით სოხუმელ მოღვაწეთა სასკოლო საქმისადმი დამოკიდებულების შესახებაც. ეს კიდევ უფრო ნათლად დაგვანახებს, თუ როგორ არანორმალურად არის დაყენებული სულიერი აღზრდის, და აფხაზეთისა და სამურზაყანოელების აღორძინების საქმე.

სინოდალური კანტორის განმარტების თაობაზე, რომ მეგრელებით დასახლებულ სამრევლოებში მღვდელმსახურობის კანდიდატებისაგან საჭიროა მოვითხოვოთ ქართული ენის ცოდნა, განსვენებული ყოვლადსამღვდელო არსენი თავის მოხსენებაში არ ეთანხმებოდა კანტორის მოთხოვნას იმ მოტივით, რომ ქართული ენა „სოხუმის ეპარქიის სკოლებში საერთოდ არ ისწავლება“ (სინოდალური კანტორის საქმე, 1897წ. №30). ეს ნათლად მეტყველებს ქართული ენის იმ დევნაზე, რომელიც სოხუმის ეპარქიაში არსებობდა. მაგრამ იმისთვის, რომ უფრო მკაფიოდ დავახასიათოთ სასკოლო საქმის მიმართ დამოკიდებულება, მივუთითებთ ილორის სკოლის მასწავლებლისადმი საეკლესიო-სამრევლო სკოლების სოხუმის საეპარქიო ზედამხედველის დეკანოზ იასტრებოვის 1896წ. 20 ოქტომბრის №336 მიწერილობას, რომელშიც, სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: „გიბრძანებთ თვალსაჩინო ახსნა-განმარტებები აწარმოოთ მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე მეგრული და აფხაზური ენების, მით უფრო ქართულის გამოყენების გარეშე.“ ეს განკარგულება ცირკულარულად დაეგზავნა სოხუმის ოლქის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ყველა მასწავლებელს და მარტო ამის მიხედვითაც იოლი წარმოსადგენია, როგორ იყო დაყენებული სასწავლო საქმე, რამდენად ზარალდებოდა აღნიშნულ სკოლებში რუსული ენის სწავლების საქმე.

არ იფიქროს მკითხველმა, რომ ამ შემთხვევაში ეპარქიალური უფროსობა ხალხის სურვილს ემყარებოდა. სოხუმის საეპარქიო სასწავლო საბჭოს საქმეებში დაცულია სასოფლო

თემების გადაწყვეტილებები სკოლებში ქართული ენის სწავლების უკიდურესი აუცილებლობის შესახებ. ცნო რა ამ გადაწყვეტილებათა მოთხოვნები დაკმაყოფილების ღირსად, სასწავლო საბჭომ დაადგინა: „ქართული ენის სწავლება აღიარებულ იქნას საჭიროდ იმ სამრევლოთა სკოლებში, რომელთა მოსახლეობა ქართული ენის მეგრულ კილოზე მეტყველებს.“ ყოვლადსამღვდელო არსენი კი საეკლესიო სკოლების ზედამხედველის დეკრეტების ზეგავლენით არ დაეთანხმა სასწავლო საბჭოს ასეთ დადგენილებას და სასკოლო საქმე კვლავაც ზარალდებოდა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აფხაზეთში ამჟამადაც იგივე კურსი ტარდება.

მეუფის, საქართველოს ეგზარქოსის, არქიეპისკოპოს პიტირიმის განკარგულებით გალის ორკლასიან სკოლაში ქართული ენის სწავლება შემოიღეს. მოსალოდნელი იყო, რომ სოხუმელი საქმონები ამის მონელებას ვერ შეძლებდნენ და ასეთ ვითარებას მხოლოდ მათთვის ხელსაყრელ დრომდე მოითმენდნენ. ასეც მოხდა. საქართველოში არ არის მეუფე პიტირიმი, არ არის ყოვლად სამღვდელო ანდრიაც, რომელიც ამას თანაუგრძობდა, და, როგორც გაზეთები იუწყებიან, უკვე ძირს უთხრიან განკარგულებას, ასწავლონ გალის სკოლაში ქართული ენა. შეუძლებელი იყო ქართული ენის სწავლების შესახებ განკარგულების უცებ გაუქმება, ამიტომ მიაღწიეს თანხმობას ადგილობრივი ეპისკოპოსისაგან, ამ ენაზე გაკვეთილები მე-6 საათებში გადაეტანათ, რაც მისი სწავლების გაუქმების ტოლფასი იყო. ეს მიენერება ყოვლადსამღვდელოს ინიციატივას, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეპისკოპოსი სერგი, რომელიც, როგორც ამბობენ, ავადმყოფობის გამო, ცუდად იცნობს თავის სამწყსოს და ხალხის სულისკვეთებას, -მოატყუეს გარშემომყოფებმა, საღვთო სამკალის კარგად ცნობილმა „მუშაკებმა“.

მსგავსი ადამიანები ხალხს ცუდ სამსახურს უწევენ. მიდიან რა მხარის მოსახლეობის რელიგიური ინტერესების წინააღმდეგ, თავიანთი მოღვაწეობით ზიანის მომტანი არიან არა მხოლოდ ქრისტეს ეკლესიისათვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც. ისინი ყოველთვის წყალს ამღვრევენ, შეცდომაში შეჰყავდათ სოხუმის ის ეპისკოპოსებიც კი, რომლებიც არ იყვნენ გამსჭვალული მისწრაფებით მხარის ნაძალადევი რუსიფიკაციისკენ. დროდადრო გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებსაც ყოფნიდათ გამბედაობა, მიეთითებინათ ეკლესიის მართვაში დაშვებულ ამ შეცდომებზე, იმ ზიანზე, რომელსაც ისინი აყენებდნენ ქრისტეს ეკლესიას და სახელმწიფოს. მაგრამ მათ ეს ძვირად უჯდებოდათ და ასეთებისთვის ამიერკავკასიის ფარგლებში ადგილი აღარ რჩებოდა.

მადლობა ღმერთს, სასულიერო მთავრობა, ეტყობა, უკვე მივიდა რწმენამდე, ბოლო მოეღოს სამურზაყანოელთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში არსებულ არანორმალურობებს; შესაბამისად, ბოლო მოელება მხარის ადგილობრივი, ვითომ განმანათლებლების საზიანო მოღვაწეობასაც, მათი შეუპოვრობა დაძლეული იქნება... იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადრე თუ გვიან ასეთ გადაწყვეტილებამდე მივლენ აფხაზეთთან მიმართებაშიც, ჯერჯერობით კი ხვედრი, რომელიც მას ელოდება, სამწუხაროა, თუ კი შავი ზღვის ეპარქიასთან მისი სავარაუდო მიერთების პროექტი სისრულეში იქნება მოყვანილი. ”

II

არ არსებობს იმაზე საუბრის აუცილებლობა, რომ აფხაზეთი ისტორიული, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური თვალსაზრისით საქართველოსა და ქართული ეკლესიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აფხაზთა ნათესაობა ქართველებთან ასევე უეჭველია.

ბარტოლდის² სიტყვებით, „ბოლო დროს ქართველი მეცნიერები ცდილობდნენ აფხაზურ ენასა და ე. წ. ივერიული ჯგუფის ენას შორის გენეტიკური ნათესაობის დადგენას.“ ეს განცხადება დამატებას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ მოსაზრება და მტკიცებულება აფხაზთა ნათესაობის შესახებ ქართული ტომის ხალხებთან არსებობდა „ბოლო დროის“ მეცნიერებამდეც. XVIII ასწლეულის პირველი ნახევრის ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილისა და მეორე ბატონიშვილის თეიმურაზის (XVIII ს. ბოლო და XIX

ს.დასანყისი)აზრით, ყველა კავკასიელი მთიელი, მათ შორის აფხაზებიც, თავდაპირველად ქართულ ენაზე მეტყველებდნენ, მაგრამ შემდგომში „მათ ჩამოუყალიბდათ დამოუკიდებელი ენები, თუმცა ბევრი მათ შორის, ზოგჯერ კი მთელი თემები დღემდე (ბატონიშვილების დრომდე) ქართულად მეტყველებდნენ.“ ბატონიშვილებს ვახუშტის და თეიმურაზის ისტორიაში შემოჰყავთ ეპონიმი აფხაზებისთვის. მათი სიტყვებით, აფხაზები წარმოიშვნენ აბხაზისგან და აფხაზისგან-ეგრების ანუ მეგრელების ეპონიმ ეგროსის შვილიშვილისგან.³

ზოგიერთ მეცნიერთა სიტყვებით, აფხაზები სხვა არავინაა, თუ არა იგივე აფსილები, რომელთა შესახებ საუბრობენ, ახსენებენ ძველი მწერლები. შოპენის მიხედვით კი, ჰენიოხები, სანიგები აბსილიელებთან ერთად და ქართველები საერთო წარმოშობისანი არიან.⁴ ძველი მწერლებიც (პროკოპი⁵ დასხვა.), ათავსებენ რა ამ ხალხებს ლაზთა განსახლების ფარგლებში, თვლიან მათ და მეგრელებს საერთო წარმოშობის ხალხებად. მასუდი ამბობს, რომ ტერიტორიაზე რომელზეც ახლა მიდის საუბარი, ძველად ცხოვრობდა ხალხი, რომელიც „აზრა“-ს ენაზე მეტყველებდა და ეწოდებოდა ხაზრანი;⁶ ამ სახელს კი უწოდებდნენ ლაზებს- მეგრელებს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა მტკიცება ცნობილი თურქი ტურისტის ევლია ეფენდის, რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ეწვია. მისი სიტყვებით, თანამედროვე გუდაუთის უბანში მაშინ მცხოვრები „ჩაჩის მთავარი ტომი“იმ დროს მეტყველებდა „იმავე მეგრულ ენაზე, რომელიც ხმარებაშია ფაზისის მოპირდაპირე მხარეს“. „ჩაჩის“ ტომის ქვეშ ის გულისხმობდა არა მხოლოდ შერვაშიძეთა თავადური გვარის წარმომადგენლებს, არამედ მათ მორჩილებაში მყოფ ყველა აფხაზს, რაც ნათელია მისი სიტყვებიდან: „ისინი (ჩაჩის ტომი) ძალიან მამაცები არიან, მათი რაოდენობა 10•000 კაცამდე აღწევს.“ უფრო მეტიც, ევლია ეფენდი ვარაუდობს, რომ არლანის ტომი, რომელსაც ეკუთვნის ლაჩიგის ნავსადგური და რომლის საცხოვრებლები, ბელის მიხედვით, ბიჭვინთის იქით გადადიოდნენ, ასევე მეგრული წარმომავლობისანი იყვნენ.⁷

შესაძლოა, ყოველივე თქმულის შემდეგ სიმართლის რაღაც ნაწილი დავინახოთ ტეციის მტკიცებაში, რომ იბერიელები და აბაზგები ერთი ხალხია. თუმცა, შესაძლებელია, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ტეცს ამ სიტყვებით მხოლოდ იმის თქმა სურდა, რომ აფხაზები ივერიელი მეფის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. მაგრამ ძველი და ახალი მწერლების ცნობებში აფსილიელები ერთსა და იმავე დროს თუ არიან აფხაზებიც, მეგრელებიც, და თუ აბსილიელებით დასახლებულ ტერიტორიაზე ბატონობდა მეგრული ენა, მაშინ აქედან ხომ არ უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ აფხაზები არიან ქართველების ნათესავები და რომ ბატონიშვილების ვახუშტისა და თეიმურაზის, ასევე ტეციის მტკიცება არის ძველი სინამდვილის გამოძახილი? ბოლო დროს კი უფრო და უფრო ძლიერ გაისმის ხმები აფხაზთა და ქართველთა ნათესაობის თაბაზე.

გრაფინია უვაროვა აფხაზებს ქართული ტომის ხალხს მიაკუთვნებს⁸. ბოლო დროის ქართველ მეცნიერთაგან ამ შეხედულებისანი არიან დ. ბაქრაძე, ჯანაშვილი, პროფ. ჯავახოვი⁹ და სხვ. აფხაზური ენის საუკეთესო მცოდნე პ.ჭარაია თავისი ლინგვისტური გამოკვლევების საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ აფხაზური ენის ნათესაობა ქართულთან „ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.“¹⁰ აკადემიკოსმა ნ.ი. მარმა, რომელიც ბოლო დროს აფხაზური ენის კვლევით იყო დაკავებული, თავისი ავტორიტეტით დაასრულა მისი აღიარება ქართული ენის მონათესავედ¹¹ და ამჟამად ამის თაობაზე ეჭვები არ უნდა არსებობდეს.

არსებობს კი ამის შემდეგ საფუძველი, აფხაზები მოვწყვიტოთ ქართველებს და ეკლესიურად მივუერთოთ შავი ზღვის გუბერნიის მოსახლეობას, რომელთანაც საერთო არაფერი აქვთ? მოცემულ შემთხვევაში რით ხელმძღვანელობენ ამ საქმის ინიციატორები? უნდა ვივარაუდოთ--აფხაზთა შორის მისიონერული საქმიანობის წარმატებისათვის უკეთესი პირობების შექმნის სურვილით. მაგრამ მიიღწევა კი ეს მიზანი შავი ზღვის გუბერნიასთან აფხაზეთის მიერთებით? შეიქმნება კი სასურველი ხელსაყრელი პირობები ქრისტიანული მოძღვრების სხივებით აფხაზთა სწრაფი განათლებისათვის საქართველოსგან აფხაზეთის ამგვარი ხელოვნური და არაბუნებრივი გამოყოფით? გვგონია, რომ არა. პირიქით,

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პროექტის სისრულეში მოყვანას ექნება ძალზე არაკეთილსასურველი ზეგავლენა ქრისტიანობის ბედზე აფხაზეთში.

უეჭველია, მისიონერული მოღვაწეობის წარმატებისათვის აუცილებელია იმ პირობების ცოდნა, რომელშიც საღმრთო სიტყვის მქადაგებელს უნევს მოქმედება. აუცილებელია შევისწავლოთ ხალხის ცხოვრება, მისი რელიგიური მდგომარეობა, ზნე-ჩვეულებანი, მიდრეკილება და მისწრაფებანი. უფრო მეტიც: საჭიროა ხალხის წარსული ცხოვრების შესწავლა, შესწავლა იმ ისტორიული გზისა, რომელმაც მიიყვანა ის აწინდელ მდგომარეობამდე. ყოველი ხალხის ამჟამინდელი მდგომარეობა არის მისი მრავალსაუკუნოვანი წარსული ცხოვრების ნაყოფი. მართალია, ხალხის განვითარება გარკვეულ კანონებს ემორჩილება, მაგრამ ყველა ხალხში ეს კანონები ერთნაირად არ მოქმედებენ, და ეს მრავალფეროვან პირობებზეა დამოკიდებული. ხალხის ხასიათი, მისი ზნე-ჩვეულებანი, თავისებურება ადგილისა, სადაც ეს ხალხი ცხოვრობს, კლიმატური პირობები, ნიადაგის ნაყოფიერება და მრავალი სხვა განაპირობებენ ხალხური ცხოვრების ამა თუ იმ გამოვლინებას. ამის მიხედვით, თვით ხალხური ცხოვრების განვითარების კანონები, რომლებიც ამ პირობებზე არიან დამოკიდებული, არ გამოირჩევიან უნივერსალურ-საყოველთაო და უცვლელი ბუნებით, მაგრამ ყოველ ხალხის მოქმედებათა შედეგებში ვლინდება მისი ნიშანდობლივი ხასიათი.

მისიონერული საქმიანობის წარმატებისთვის, ვიმეორებთ, საჭიროა იმ ხალხის წარსულის შესწავლა, რომლის გაქრისტიანება გვსურს, საჭიროა დავაკვირდეთ იმ გზას, რომელმაც ქრისტიანი ხალხი რელიგიური თვალსაზრისით შეცდომებამდე მიიყვანა. არ შეიძლება გავწყვიტოთ კავშირი ხალხის წარსულ ისტორიასთან და უგულვებელვყოთ მისი ყოფითი თავისებურებები. პირიქით, ახალი უნდა დავაშენოთ იმ მყარ საძირკველზე, რომელიც ჩაყრილია და ამოყვანილია ხალხის მეცადინეობით მრავალი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ რომლის ერთ მთლიან, სავსებით დასრულებულ შენობად დაგვირგვინება შექმნილ არახელსაყრელ ვითარებათა გამო მან ვერ მოასწრო ან ვერ შეძლო.

აფხაზეთის ძველქრისტიანული კულტურის ნაშთები – ბიჭვინთვის, ლიხნის, ფსირცხის (ახალი ათონის,) დრანდის, მოქვის, ბედიის და სხვა ტაძრები – ნათლად მოწმობენ, რომ საძირკველი აქ იყო მყარი და რომ მხარის ძველ აბორიგენტთა ქრისტიანული კულტურა ყურადღებას და შესწავლას იმსახურებს.

ყოველ ხალხს უყვარს თავისი წარსული, ზოგჯერ აქვს მისწრაფება, თავისთვის იდეალური შორეული წინაპრების ცხოვრებაში ეძიოს. „ყველაზე საქმიანი ადამიანიც, ყველაზე მხურვალე სულიც არ ცხოვრობს მარტო დღევანდელით და მხოლოდ და მხოლოდ მომავალზე როდი ფიქრობს იგი. ჩვენი აზრი ზოგჯერ მიემართება შორეული წარსულისაკენ, რომლის ცოდნის გარეშე უძლურნი ვართ აწმყო გავიაროთ“... ბ. ბელინსკის სიტყვებით, „ძველი არის ყოველივე ახლის წყარო“¹², შესაბამისად, მისიონერმა უნდა გამოიყენოს კაცობრიული სულის, ხალხური სულის ეს მისწრაფება. ფეხქვეშ კი არ უნდა გაითელოს ხალხის ისტორიული ტრადიციები, არამედ, პირიქით, მათ შესახებ უნდა შევახსენოთ მას, თუ დაივიწყა ან ბუნდოვნად ახსოვს. ხალხში იმ კავშირებისა და პირობების აღდგენაა საჭირო, რომელშიც ის თავის რელიგიურ ცხოვრებას ატარებდა. მხოლოდ ამ ვითარებაში იქნება მყარი რელიგიური თვალსაზრისით ხალხის განათლება.

ასე არ იქცევიან თანამედროვე სამისიონერო მოღვაწენი ზოგადად და, კერძოდ, აფხაზეთისა. აკადემიკოს ნ. ი. მარის სიტყვებით, „თუ ახალ ქრისტიანულ მისიონერობას (აფხაზეთში) სურდა ყოფილიყო ძველქრისტიანულ მისიონერთა საქმის გამგრძელებელი“, სოხუმელ მოღვაწეებსა და თარჯიმნებს მართებდათ ხალხის ცხოვრებაში არსებული ქრისტიანული ელემენტები „გამოერკვიათ, შეეკრიბათ და გამოეყენებინათ, უპირველეს ყოვლისა, თარგმანებში, მაგრამ თარჯიმნებმა გადაწყვიტეს განთავისუფლება მეგრულიზმისაგან,“ აფხაზეთში ხალხურად ქცეული ქრისტიანული სახელებისგანაც კი. უკუაგდეს „მათ წინაშე წამოჭრილი ქართული და მეგრული წარმომავლობის ქრისტიანული ტერმინები.“¹³ მაგრამ კეთილგონივრული თუ არის ასეთი საქციელი? საღვთო სამკალის სოხუმელი მუშაკები, რომლებსაც არ სურთ ანგარიში გაუწიონ ხალხის ისტო-

რიას, ზნე-ჩვეულებებსა და გადმოცემებს(ვიტყვივით წინასაყრილობო სათათბიროსათვის წარმოდგენილი ერთი მოხსენების სიტყვებით) „ეპისკოპოსების მიერ გაიაზრებოდნენ როგორც „გამარუსებლები“ („ობრუსიტელი“), მხარისთვის კი იყვნენ „დამაქცევრები“ („ობრუსიტელი“) .

III

ბევრს მოგვითხრობს ისტორია აფხაზთა სარწმუნოების შესახებ. აფხაზებს ის ეუბნება, რომ მათი წინაპრები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართველებთან რელიგიის სფეროში. ამას ადასტურებენ აფხაზეთის ძეგლები: საოცარი არქიტექტურული ნაწარმოებები, წარწერები მათ კედლებზე, ხელნაწერები და ხატები. ქრისტიანობის შემოღებიდან აფხაზეთი ეკლესიურად საქართველოსთან ერთ განუყოფელ მთლიანს წარმოადგენდა. ნუთუ საჭიროა ამ რელიგიური კავშირის დანგრევა, და ხომ არ იმოქმედებს ეს უკიდურესად უარყოფითად რელიგიური თვალსაზრისით აფხაზთა შემდგომ განვითარებაზე? აფხაზეთში ქრისტიანობის ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობა ხომ არ არის ბოლოდროინდელი მისიონერების შეცდომების შედეგი, როლებსაც არ სურდათ ანგარიში გაეწიათ ზნე-ჩვეულებებისთვის და აფხაზთა რელიგიურობის გამოვლენის ხასიათისთვის?

ეს ზნე-ჩვეულებები და აფხაზთა რელიგიურობის გამოვლინების ეს ხასიათი ქართველებთან მათი მავალსაუკუნოვანი კავშირის ნაყოფს წარმოადგენს.

ყოველივე ამის გაგება შეუძლია საღვთო სამკალის არა ყველა მუშაკს, არამედ მხოლოდ იმას, ვინც ახლოსაა ხალხთან სისხლითა და სულისკვეთებით. ამით აიხსნება დაუვიწყარი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა (ქიქოძე – ჯ.გ) და დეკანოზ მაჭავარიანის მისიონერული მოღვაწეობის უზარმაზარი წარმატება და 1885 წლიდან ისლამისკენ აფხაზთა ლტოლვის გაძლიერება სხვა ენაზე მოსაუბრე უცხო სულისკვეთების ეპისკოპოსებისა და მისიონერების დანიშვნის გამო.

სოხუმის ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა (ანდრია უხტომსკი – ჯ.გ), მიუხედავად თავისი ჰუმანურობისა და სულის იმვიათი თვისებისა, რომელიც მას ჭეშმარიტ მწყემსმთავრად აქცევდა (დანარჩენებზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია), ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და ენის უცოდინრობის გამო ვერ შეძლო ხალხის რელიგიურობის ადგილობრივი გამოვლინების გაგება, ვერ შეძლო ღმერთის თაყვანისცემის იმ ფორმებთან შეგუება, რომელიც ახასიათებთ არა მხოლოდ სამურზაყანოელებსა და აფხაზებს, არამედ ქართული ტომის ყველა ხალხს. მან გაილაშქრა რელიგიურობის ამ გამოვლინებების წინააღმდეგ და გადაწყვიტა მათთან ბრძოლა, გადაწყვიტა ილორის სალოცავის თაყვანისცემის იმ წესის განადგურება, რომელიც, „ძველთაძველი დროიდან“ დადგინდა და ქართველთა რელიგიურობის გამოვლინებების ეროვნულ თავისებურებას წარმოადგენს. მაგრამ ეს მეტისმეტად ცუდ ზეგავლენას მოახდენდა ხალხის სარწმუნოებაზე.

ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით მას მიეთითა, რომ XIX საუკუნის 40-იან წლებში აფხაზები თაყვანს სცემდნენ ბიჭვინთის, დრანდის და სხვა ტაძრების ნანგრევებს, მიჰქონდათ იქ შესანიშნავი და მაშინ მათთვის მისანვდომი სახით ლოცულობდნენ. ამ სალოცავების უცხოთა ხელში გადაცემით აფხაზებმა შეწყვიტეს მათი თაყვანისცემა და რწმენა დაკარგეს. ამას მოჰყვა პასუხი, რომ „ამჟამად ზედმეტი ცრუმორწმუნეობა თუ არ არის, მხოლოდ უნდა გვიხაროდეს.“

მაშინ ამ განცხადების წინააღმდეგ, სხვათა შორის, გამოითქვა შემდეგი მოსაზრება:“რა თქმა უნდა, ხალხის რელიგიურ ჩვევებში ბევრია ცრუმორწმუნეობის ელემენტი, მაგრამ მათ მიმართ მეტისმეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებით იმათმა, ვინც ფიქრობს მისიონერობას ისეთ ხალხში, როგორიც აფხაზები არიან ...“¹⁴

ხალხური ბუნების თავისებურებები და ისტორიული გავლენები აყალიბებენ ხალხისთვის ერთ, მეტნაკლებად განსაკუთრებულ რელიგიურ თვალთხედვას და პრაქტიკას. ამიტომ ხალხის მასაში, – ამბობს კ. პობედონოსცევი, –

„რელიგიური წარმოდგენა, რელიგიური გრძნობა გამოიხატება მრავალ წეს-ჩვეულებაში და გადმოცემაში, რომლებიც უკიდურესი თვალსაზრისით შეიძლება ცრუმორწმუნეობად

და კერპთაყვანისმცემლობად მოგეჩვენოს. სარწმუნეობის მკაცრი ქომაგი აღშფოთებულა და ისწრაფვის მოძალადე ხელით დაამსხვრიოს ხალხური სარწმუნეობის ეს გარსი. მაგრამ ხალხური სარწმუნეობის არაიშვიათად უხემ გარსში იმალება რწმენის მარცვალი, რომელსაც განვითარებისა და გასულიერების უნარი აქვს, იმალება იგივე მარადიული ჭეშმარიტება... ნესჩვეულებებში, გადმოცემებში, სიმბოლოებში და ზნე-ჩვეულებებში ხალხის მასა ხედავს იმის რეალურ და ნამდვილ განსახიერებას, რაც განყენებულ იდეაში მისთვის არარეალური და არაქმედითი იქნებოდა. რა მოხდება თუ, დავამსხვრევთ რა გარსს, მოვსპობთ თვით ჭეშმარიტების მარცვალსაც? რა მოხდება თუ, მოვაშორებთ რა ღვარძლს, მასთან ერთად ხორბალსაც მოვსპობთ? რა მოხდება თუ, ცრუმორწმუნეობის საბაბით მივისწრაფვით რა ხელად გავწმინდოთ ხალხური სარწმუნეობა, მოვსპობთ თვით სარწმუნეობასაც.“

სამწუხაროდ, ასე იქცევიან აფხაზეთში სარწმუნეობის თანამედროვე, ხალხის სულსკვეთებისთვის უცხო მქადაგებლები, და დაიღუპა იქ ის „ჭეშმარიტების მარცვალი“, რომელიც იმალებოდა მოძალადე ხელით დამსხვრეული ხალხური სარწმუნეობის გარსში.

იოლია დანგრევა, მაგრამ ძნელია დანგრეულის ადგილზე შენება.

„დასანგრევად განირული ღრმად ჩაყრილ საძირკველზე იდგა, მაგრამ, როცა ის ჩამოიქცა, ახალი შენობისთვის საჭირო გახდა ახალ სიღრმეში ახალი საძირკვლის ჩაყრა და კადნიერი ხელით სწრაფვა კაცობრიული სულის საუკუნეობრივი შრომის გამეორებისკენ. ვინ მისცა ამის უფლება და ძალა არამკითხვ მნგრეველს?“¹⁵

ხალხური სარწმუნეობისადმი, მისი ზნე-ჩვეულებისადმი მსგავსი დამოკიდებულებით ხომ არ აიხსნება აფხაზების ის საშინელი ინდეფერენტობა და ზიზღიც კი ქრიტიანული სარწმუნეობისადმი, რომელსაც მათი მამა-პაპანი აღიარებდნენ?

ეკლესიური თვალსაზრისით აფხაზეთის გამოყოფა საქართველოსგან ტოლფასია ხალხის ცნობიერებაში ღრმად ჩაყრილი საძირკვლის ნგრევისა და მისწრაფებისა „კადნიერი ხელით“ გაიმეორო კაცობრიული სულის საუკუნეობრივი შრომა აფხაზების სულიერი ერთიანობის საძირკვლის ჩასაყრელად შავი ზღვის გუბერნიის ამჟამინდელ მოსახლეობასთან, რომელთანაც არაფერი აქვთ საერთო არც ისტორიული და არც ლინგვისტური თვალსაზრისით... მაგრამ შესაძლებელია კი ასეთი საძირკვლის ჩაყრა? ხომ არ იქნება ეს ქრისტიანულ საქართველოსთან იმ რელიგიური კავშირის მოსპობა, რომლის შეგნება დღეს ჯერ კიდევ არსებობს აფხაზთა შორის, და ხომ არ მიგვიყვანს ეს იმ სარწმუნეობის საბოლოო დავინყებამდე, რომელსაც მათი წინაპრები აღიარებდნენ?

ჩვენი აზრით, აფხაზეთის განცალკევება სამურზაყანოსგან საერთოდ საქართველოსგან მოუხერხებელია კიდევ სხვა, ასევე სუფთა რელიგიური მოსაზრებითაც. როგორც ცნობილია, აფხაზები დიდ პატივს სცემენ ძველქრისტიანულ ძეგლებს. ბიჭვინთის, ფსირცხის (ახალ ათონში), დრანდის, მოქვის და სხვა ტაძრები წარმოადგენენ საერთო ქონებას, საერთო თაყვანისცემისა და სიამაყის საგანს აფხაზებისა და ქართველებისა სამურზაყანოელებთან ერთად. ხომ არ ჩათვლის თითოეული ამ ხალხთაგანი, თავისი უფლების შელახვად სალოცავთა ერთი ნაწილის მიკუთვნებას შავი ზღვის გუბერნიისათვის, მეორე ნაწილისა კი-სამეგრელოსათვის? მაგალითისათვის ავიღოთ ილორის წმ. დიდმონაწიე გიორგის სასწაულმოქმედი ხატი. ილორის ტაძარი ზედ სამურზაყანოსა და აფხაზეთის საზღვარზე მდებარეობს. მთელ დასავლეთ საქართველოდან მოსალოცად აქ თავს იყრიან ქართველები და აფხაზები, ამ უკანასკნელთა შორის ისეთებიც კი, რომლებიც თავიანთ თავს მაჰმადიანობის მიმდევრებად თვლიან. შეურაცხყოფა ხომ არ იქნება ქართველებისა და სამურზაყანოელებისათვის ილორის მიკუთვნება შავი ზღვის გუბერნიისთვის და, პირიქით, მისი მიკუთვნება სამეგრელოს ეპარქიისთვის – ასეთივე შეურაცხყოფად აფხაზებისთვის? ხომ არ მოუღებს ეს ბოლოს აფხაზების კეთილისმყოფელ რწმენას, სიყვარულსა და სასოებას სალოცავის მიმართ? ხომ არ დაკარგავს ილორი თავის რელიგიურ მნიშვნელობას აფხაზებისთვის, როგორც დაკარგეს იგი ბიჭვინთამ, დრანდამ, ფსირცხამ და მოქვმა?

შემდეგ, საქართველოს ეკლესიისგან აფხაზეთის გამოყოფა წარმოადგენს დარღვევას კანონიკური ნორმებისა, რომელთა საფუძველზე იმართებიან ეპარქიები და სამრევლოები. დაღმამთის ეპისკოპოსის კანონისტ ნიკოდიმის¹⁶ სიტყვებით, „ახალი საეკლესიო ოლქის დაფუძნება ან მცირე ოლქის მაღალ ხარისხში აყვანა, აგრეთვე გაუქმება ან ორი ოლქის გაერთიანება ექვემდებარება უმთავრესად შესაბამისი ადგილობრივი ეკლესიის კრების ძალაუფლებას. ასე, ახალი ეპარქიის დაფუძნებისას ან მისი ამალღებისას მიტროპოლიის ხარისხში, ან თავად მიტროპოლიისა—უმალღეს ხარისხში და, საერთოდ, საეკლესიო ორგანიზმში ყოველი ცვლილებებისას კანონები კრებების უპირატეს უფლებას აღიარებენ.“

უნიშნავდნენ რა ადგილობრივ ეკლესიებს მწყემსებს, ამ უკანასკნელებს მოციქულები ნებას რთავდნენ „მოწყობით რელიგიური ურთიერთობები ადგილობრივი საზოგადოებრივი პირობების შესაბამისად“. პირველი მსოფლიო კრებები საკანონმდებლო წესით ადასტურებენ ამ რელიგიური ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობას „ადგილობრივი საზოგადოებრივი პირობების შესაბამისად“ – კერძო სამართლის, ზნე-ჩვეულებების, ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობის გათვალისწინებით და, მაშასადამე, კანონიერ ძალას ანიჭებენ იმას, რაც „რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ზნე-ჩვეულებებით დამკვიდრდა.“ „ამ კანონებში იერარქიის შესახებ, აგრძელებს ეპ. ნიკოდიმი,-- აი რატომ არის ყოველთვის საუბარი გარკვეული ეკლესიების ადგილსამყოფელი ქალაქების ეროვნული და პოლიტიკური მდგომარეობის თაობაზე.“

აქ არავის არ უნდა აშინებდეს ის გარემოება, რომ ეკლესიები, რომელთა „ადგილობრივი საზოგადოებრივი პირობების შესაბამისად“ მოწყობის შესახებ არის ნათქვამი კრებების დადგენილებებში, იწოდებიან ადგილობრივებად და ამის საფუძველზე არ უნდა იფიქრონ, რომ ეს არ მიესადაგება აფხაზეთს, საერთოდ ქართულ ეკლესიას, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს აფხაზეთი, ვინაიდან ქართული ეკლესია ამჟამად მოიაზრება არა დამოუკიდებლად, არამედ რუსული ეკლესიისადმი დაქვემდებარებულად. მაგრამ ის გარემოება, რომ ქართული ეკლესია იმართება ეგზარქოსის, დროებით დაქვრივებული საპატრიარქო ტახტის მეთვალყურის მიერ, ქმნის აუცილებლობას, რომ საქართველოს ეგზარქოსები ზრუნავდნენ ივერიის ეკლესიის ძველ ისტორიულ საზღვრებში შენარჩუნებისთვის. მეორეს მხრივ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მსოფლიო ეკლესიის ზემოაღნიშნული პრაქტიკა არ მიესადაგება ისეთ მცირე საეკლესიო ერთეულს, როგორც არის აფხაზეთი. იგივე კანონისტი, რომლის წიგნიდანაც ზემოთ ნაწყვეტები მოვიტანეთ, თავის სიტყვებს ამ საკითხზე ამატებს, რომ ყოველივე მის მიერ ნათქვამი „დიდი საეკლესიო ოლქების შესახებ ეხება სამრევლოებსაც გარკვეული ეპარქიის ფარგლებში“ და რომ „მართლმადიდებელ ეკლესიაში ამ კანონიკურ პრაქტიკას ამჟამადაც აქვს მნიშვნელობა.“

აქედან ნათლად ირკვევა, რომ საკითხი ეკლესიური თვალსაზრისით აფხაზეთის მოწყობის შესახებ განსახილველად უნდა გადაეცეს ქართული ეკლესიის მღვდელმთავრების კრებას საქართველოს ეგზარქოსის მეთაურობით. ამაში უჩვეულო არაფერი იქნება უწმინდესი სინოდის თვალთახედვითაც, ვინაიდან, როგორც უკვე ცნობილია, ამჟამად იხილება საკითხი სამიტროპოლიტო ოკრუგების შექმნის შესახებ, რომელთა ფარგლებში მსგავსი საკითხები თითოეული სამიტროპოლიტო ოკრუგის მღვდელმთავრების კრებაზე უნდა წყდებოდეს.

შეუძლიათ გვითხრან ჩვენ, რომ აფხაზეთში ცხოვრობენ არა მარტო აფხაზები და ქართველები, არამედ რუსებიც, და რომ მოახალშენე რუსების ინტერესები აფხაზეთის შავი ზღვის გუბერნიასთან შეერთებას და მათთვის რუსი ეპისკოპოსის დანიშვნას მოითხოვენ. მაგრამ შევხედოთ, რას გვეუბნება სტატისტიკა. ამჟამად ჩვენ არა გვაქვს უკანასკნელი წლების სტატისტიკური მონაცემები და ვსარგებლობთ გაზ. „საქართველოს“ მიერ 1910 წლის ოფიციალური „კავკასკი კალენდარ“-იდან მოტანილი მონაცემებით.¹⁷ ამ მონაცემებით, სოხუმის ოკრუგის მართლმადიდებელი მოსახლეობა ეროვნებების მიხედვით წარმოდგენილია ასეთი სახით: რუსები – 3648 სული ორივე სქესისა, აფხაზები – 37•976 სული, ბერძნები – 4079 სული, სვანები – 170, სამურზაყანოელები – 35•516, მეგრელები – 17346 და ქართველები (ქართლები, იმერლები და გურულები) – 6059 სული, სულ 104•788

სული, რომელთა შორის ქართველები, მეგრელები და სამურზაყანოელები – 59085 სული. გამოვრიცხავთ რა ამ რაოდენობიდან სამურზაყანოელებს, საკუთრივ აფხაზეთზე მოვა 23569 სული ქართველი. დაუმატოთ ამას აფხაზებიც, რომლებიც, როგორც ლინგვისტიკა ადგენს, ქართველთა მონათესავენი არიან: ქართულ, მეგრულ და აფხაზურ ენაზე მოსაუბრე ყველა მაცხოვრებელი, გარდა სამურზაყანოელებისა, 1910 წელს იყო 61545 სული

ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით, რომელიც სცოდავს სიმართლის წინაშე. სინამდვილეში ქართული ენის მეგრულ კილოზე მოსაუბრეები აფხაზეთში შეუდარებლად მეტი იქნება. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ოპერირებენ ზოგჯერ არსებული სინამდვილით ადამიანები, რომლებსაც არ სურთ დაინახონ აფხაზეთში ქართული ელემენტი, მიუთითებთ მაგალითზე განსვენებული ეპისკოპოს არსენის მოღვაწეობიდან. როცა 1897წ. სინოდალური კანტორიდან მან მიიღო განმარტება, რომ მეგრული მოსახლეობისგან შემდგარ სამრევლოებში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა შესრულდეს, მაშინ მთელს ეპარქიაში მხოლოდ სამი მეგრული სამრევლო იპოვა და დიდსულოვნად დართო მათში ამ ენაზე წირვის ჩატარების უფლება. გარდა ამისა, აფხაზეთში მოსახლეობის ოფიციალური სტატისტიკის შედგენისას მოსდით უნებლიე, რატომღაც ყოველთვის ქართველებისთვის არახელსაყრელი შეცდომები. მივიღებთ რა ყოველივე ამას მხედველობაში, ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომ აფხაზეთში ქართველ-მეგრელების საერთო რაოდენობა არანაკლებ 25-26 ათასი სულამდე მიაღწევს. იქნება კი სამართლიანი აფხაზეთის ეკლესიური მოწყობისას ისინი მხედველობაში არ მივიღოთ? იქნება კი სამართლიანი 37979 სული აფხაზისა და 25-26 ათასი ქართველის ინტერესები მსხვერპლად შევწიროთ 3648 რუსი მოახალშენეს ინტერესებს და ეკლესიური თვალსაზრისით მთელი აფხაზეთი მიუერთოთ შავი ზღვის გუბერნიას, რომლის მოსახლეობასთან აფხაზებს და ქართველებს საერთო არაფერი აქვთ? შავი ზღვის გუბერნიაშიც – ადლერში ხოსტაში, სოჭში, პლასტუნკაში, ტუაფსეში და სხვა ადგილებში, ქართველთა რაოდენობა, ალბათ, რამდენიმე ათასია, მაგრამ იქნება კი მათი მხრიდან სამართლიანი, მთელი გუბერნიის საქართველოს ეკლესიაზე მიწერა რომ მოითხოვონ?

ამიტომაც, ქართულ საზოგადოებას მართებს შეკრიბოს ყველაზე ზუსტი მონაცემები აფხაზეთში ქართველთა რაოდენობის შესახებ.

დაბოლოს, უნდა ვახსენოთ კიდევ იმის შესახებ, რაც თითქოს არაკანონიკურია-სწორედ წმინდა ბიჭვინთის მოწყვეტა ქართული ეკლესიისგან, სადაც ქართველ კათოლიკოსებს XVII საუკუნის შუახანებამდე¹⁸ გააჩნდათ თავიანთი საბრძანებელი, რომელსაც XVII საუკუნის შემდეგაც ისინი ხანდახან ეწვეოდნენ დროებით იქ დარჩენისა და გარშემომყოფი მოსახლეობისთვის სულიერი წინამძღვრობის გასანევაად, სადაც ისინი დღესასწაულებზე ჩასვლას წმინდათა-წმინდა მოვალეობად მიიჩნევდნენ ღვთისმსახურების ჩატარებისა და ეპისკოპოსთა ხელდასხმისთვის, ვინაიდან თითოეული ეპისკოპოსად გამწესებულთაგანი თავისთვის ბედნიერებად თვლიდა ამ წმიდა ადგილას კურთხევის მიღებას. ქართველებს ამის (ბიჭვინთის მოწყვეტის – მთარგმნ.) დაშვება არ შეუძლიათ და თუ ვერ მოახერხებენ მათთვის წმინდა და დაუვინყარი ბიჭვინთის შენარჩუნებას, მაშინ მარად გოდებაში იქნებიან ამ აუნაზღაურებელი დანაკარგის გამო.

რა უნდა გაკეთდეს სამართლიანობის დასაცავად, იმ ტკივილის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც მუდმივად იგრძნობს საქართველო მისი ცოცხალი ორგანიზმიდან ისეთი მგრძნობიარე ნაწილის წაგლეჯის გამო, როგორც არის ქართველებისათვის აფხაზეთი მისი დაუვინყარი სინამდვილებითა და ისტორიული ძეგლებით – მათი სარწმუნოებისა და ქრისტიანული კულტურის მოწმეებით, რომლებითაც სამართლიანად შეუძლია იამაყოს და წამდვილად ამაყობს მართლმადიდებელი საქართველო?

ჩვენი აზრით, აფხაზებსა და სამურზაყანოელებს უნდა დარჩეს სოხუმის ეპარქია, გამოიყოს რა მისგან შავი ზღვის გუბერნია. სოხუმში უნდა იჯდეს ცხუმელი, როგორც ეს იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის ჟამს.

იტყვიან: „მცირე იქნება ეპარქია,“ მაგრამ ეს ვერ გამოდგება საფუძვლიან სანინააღმდეგო აზრად სწორედ ამჟამად, როცა რუსულ ეკლესიაში უკვე არის ძლიერი მისწრაფება

ამ თვალსაზრისით მიუახლოვდეთ ძველ პრაქტიკას და ეპარქიები მომცრო გავხადოთ. ეს არის საჭირო მორწმუნეთა ინტერესების უკეთესად მომსახურებისთვის, რაც განსაკუთრებით აუცილებელია ისეთი ეპარქიისათვის, როგორცაა სოხუმის – სამისიონერო. აფხაზეთი და სამურზაყანო, რომელთა ფარგლებში წინა საუკუნეებში არსებული ოთხი ეპარქიის მოსახლეობას სულიერად წინამძღვრობდნენ ეპიკოპოსები-სოხუმის (ცხუმელი), დრანდის (დრანდელი) მოქვის (მოქველი) და ბედიის (ბედიელი)- იმსახურებენ იმას, რომ, იქნებინან რა განუყოფლად ქართული ეკლესიის შემადგენლობაში, დამოუკიდებლად ჰყავდეთ ერთი ეპისკოპოსი სოხუმში. ეს უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება მალე, მხოლოდ თუ გვინდა, რომ აფხაზეთში საეკლესიო საქმე სათანადო სიმაღლეზე იყოს დაყენებული. მართო ყოველივე თქმულის შესრულების შემთხვევაში აფხაზეთა რელიგიური განათლების საქმე წავა წინ სწრაფი ნაბიჯებით, ამიტომ იმედი გვაქვს, ეს ყველაფერი მხედველობაში იქნება მიღებული და საკითხი სამართლიანობის სულისკვეთებით ქრისტეს ეკლესიის საკეთილდღეოდ გადაწყდება.

ამბერი.¹⁹

Петроградские Ведомости, 1916, 23 апреля (6 мая), №88; 28 апреля (11 мая), №92, 6(19) мая, №99.

შენიშვნები:

1. ქართველთა საჩივრები ქვეყნდებოდა ქართულ და რუსულ პრესაში, მათ შორის: თ.სახოკია. პროვინციის ცხოვრება. აფხაზეთი(ჟ. მოამბე, 1995, №11,გვ.114-125);“სოხუმი“(ცნობის ფურცელი, 1897, 4სექტემბერი); „ქართული წირვა-ლოცვა-აფხაზეთში“ (ცნობის ფურცელი,1898, 12 მარტი); “Сухум“ (С. _ Петербургские Ведомости, 1899, 22 февраля); Из Сухума (С. _ Петербургские Ведомости, 1900, 14 июня); „ქართული ენა და ეკლესია აფხაზეთში“(ცნობის ფურცელი, 1905, 5 ივლისი. წერილში საუბარია თხუთმეტწლიანი აკრძალვის შემდეგ სოხუმის ეპისკოპოს სერაფიმეს მიერ ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აღდგენის შესახებ) და ა. შ. (ჯ.გ.).

2. ბარტოლდი ვ.ვ (1869-1930 წ.წ.) – ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე.მის კალამს ეკუთვნის მუსულმანური ენციკლოპედიისათვის განკუთვნილი წერილი „აბხაზი“.–В.В. Бартольд. Сочинения, т.2, ч. I. М., 1963, გვ.861-865 (ჯ.გ.).

3. იხ. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.-ქართლის ცხოვრება, ტ. IV.თბ., 1973, გვ.783-786; თეიმურაზ ბატონიშვილი. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ე.ი. გიორგიისა. სპბ, 1848, გვ. 23 (ჯ.გ.).

4. Шопен И. Новые заметки на древняя истории Кавказа и его обитателей. СПб., 1886, გვ. 282 – 283 (ჯ.გ.).

5. პროკოფი კესარიელი (VI ს.). მისი ცნობები აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ლაზთა მკვიდრობის შესახებ იხ.: გეორგიკა, ტ. 2. თბ.,1965, გვ. 101, 136 (ჯ.გ.).

6. არაბი მოგზაურის მასუდის (გარდაიცვალა 956წ.)ცნობა ხაზრანთა შესახებ იხ.: Дж. Гамахория, Б. Гогия . Абхазия _ историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 195, 552-553 (ჯ.გ.).

7. მოტანილი ცნობები თურქი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ევლია ჩელებისა (1611-1682\ 3წწ.) იხ.: ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკ. I. თბ. ,1973, გვ.100. ავტორის მიერ მოხსენიებულია ჯეიმს სტანისალავ ბელი – ინგლისელი ვაჭარი, ჯამუში, მოგზაური და მეცნიერი, რომელიც 1837-1840წ.წ. უბიხებსა და შაფსულებს შორის ცხოვრობდა. 1840წ. ლონდონში გამოცემული ბელის დღიურების ორტომეული შეიცავს ცნობებს აფხაზეთის შესახებაც (ჯ.გ.).

8. პ.ს. უვაროვას შრომებში აფხაზეთი წარმოდგენილია საქართველოს ნაწილად (Материалы по археологии Кавказа, вып. II. Под ред. графини П.С. Уваровой. М., 1889, გვ. 35; იქვე, вып. III. М., 1893, გვ. 8-29; იქვე, вып. IV. М., 1894, გვ. 7-34; П.С. Уварова. Абхазия , Аджария, Шавшетия, ч. II. М., 1891, გვ. 77,85 და ა.შ.) (ჯ.გ.).

9. Д. Бакрадзе. История Грузии на основе новых изысканий. СПб., 1873, გვ. 2-3;
 დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. თბ., 1889, გვ. 272-273; М. Джанашвили. Абхазия и абхазцы. Тифлис, 1892; მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, ტ. I. თბ., 1906, გვ. 305-306, 319-320, 350-352; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ნ. I – II. თბ., 1913, გვ. 55 (ჯ.გ.).
10. П. Дчарая. Об отношении абхазского языка к яфетическим. СПб, 1912, გვ. 16 (ჯ.გ.).
11. ქართული, ქართველური და აფხაზური ენების ნათესაობის შესახებ იხ.: Н. Марр. О языке и истории абхазов. М.,-Л., 1938, გვ. 1-33, 125-149; 394-399 და ა.შ. ნ. მარის მოსაზრებები ამ საკითხზე განხილულია მონოგრაფიაში: არნ.ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბ., 1965, გვ. 347-361 (ჯ.გ.).
12. ბ. ბელინსკი (1811-1848 წ.წ.)- რუსი კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. ამბროსი ხელაიას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ბ. ბელინსკის სიტყვები იმის შესახებ, რომ ისტორიულ პროცესში „ყოველი შემდგომი მოვლენა აუცილებლად გამომდინარეობს წინამავალი მოვლენიდან, ხოლო ყოველი წინამავალი – შემდგომის წყარო.“ -ბ. გ. ბელინსკი. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი. თბ., 1948, გვ. 506-507 (ჯ.გ.).
13. იხ.: Н. Марр. О языке и истории абхазов, გვ. 60-61 (ჯ.გ.).
14. იხ. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 492-504, 529 (ჯ.გ.).
15. 1880-1905 წლებში უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის კ. პობედონოსცევის მოსაზრებები მოტანილია წიგნიდან: Московский сборник. Изд. К.П. Победоносцева. М., 1897, გვ. 161-162. იხ. აგრეთვე: წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 532-533 (ჯ.გ.).
16. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის გამოჩენილი ჩერნოგორიელი სასულიერო მოღვაწე, კანონისტი ნიკოდიმ მილაში, 1890-1912 წწ. დალმატია-ისტრიის ეპისკოპოსი (ჯ.გ.).
17. მონაცემები აღებულია კ. კეკელიძის („ნელი“) წერილიდან „ახალი სიურპრიზი“ (საქართველო, 1916, 29 მარტი). „კავკასუსკი კალენდარ“-ში (1910წ. ,ნან. 1) გამოქვეყნებულია სტატისტიკური მასალა სოხუმის ოლქის სასოფლო თემების მოსახლეობის შესახებ 1909 წ. 1 იანვრისთვის. კ. კეკელიძის წერილში სწორად არის მოტანილი მონაცემები მხოლოდ აფხაზების, სამურზაყანოელების, სვანებისა და ბერძნების რაოდენობის შესახებ. „კავკასუსკი კალენდარ“-ის მიხედვით, რუსთა რაოდენობა აფხაზეთში შეადგენდა 2648 კაცს, მეგრელების-12371, ქართველების-155, იმერლების-218, გურულების-35 (Кавказский Календарь на 1910, год, ч. I, статистический отдел, გვ. 501 _ 503) (ჯ.გ.).
18. აფხაზეთის კათოლიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში XVI ს. შუახანებში გადავიდა (ჯ.გ.).
19. სტატიის რუსული დედანი იხ.: წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 548-570 (ჯ.გ.).

3. უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის შესახებ

ჭეშმარიტად, მრავალტანჯულია ქართული ეკლესია! მის ტანჯვას დასასრული არა აქვს... ერთ-ერთმა თვალსაჩინო რუსმა იერარქმა თქვა, რომ საქართველო არა მხოლოდ, მრავალტანჯულია, არამედ მრავლისმომთმენია, და, თითქოს, კმარა უკანასკნელი სიტყვების გამოცდა თავის ისტორიულ საზღვრებში ქართული ეკლესიის მთლიანობის წინააღმდეგ ახალ-ახალი გამოსვლებით, რათა ამით შეექმნას დაბრკოლება მისი კანონიკური წყობის აღდგენის მეძიობლობას. პირიქით, ამ გამოსვლებით სულ უფრო და უფრო ნათლად უმტკიცებენ ქართველ ხალხს მისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისკენ მისწრაფების აუცილებლობას.

უხვად ცვივა ქართული ეკლესიის გარდაქმნის პროექტები, და ყველა ისინი ისახავენ არა ხალხის სურვილის დაკმაყოფილებას, არა სუფთა რელიგიურ მიზნებს, არამედ,

პირიქით, ისეთ მიზნებს, რომლებიც რელიგიის ინტერესების საპირისპიროა.

რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ სამი ასეთი პროექტი ვიხილეთ. თავდაპირველად წამოაყენეს კავკასიის მიტროპოლიის შექმნის პროექტი, რათა სახელწოდებას – ეგზარქოსი არ შეეხსენებინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობის შესახებ, ვინაიდან თვითონ ეს სახელწოდება მიუთითებს, რომ ქართული ეკლესიის პირველი მღვდელმთავრები, რომლებიც დღეს ინიშნებიან, წარმოადგენენ დაქვრივებული საპატრიარქო კათედრის მოსაყდრეებს.

შემდეგ, ცენაზე გამოჩნდა საქართველოს საეგზარქოსოსაგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის პროექტი, რათა საქართველოს ეკლესიისაგან მოენწყვიტათ აფხაზეთი, რომელიც მოფენილია აფხაზებისა და ქართველების ერთობლივი კულტურული მუშაობისა და რელიგიური ცხოვრების მონმე ისტორიული ძეგლებითა და ხალხისათვის სათაყვანო სიმინდეებით.

ქართველებმა ვერ მოასწრეს დამშვიდება ამ პროექტის უარყოფის თაობაზე ეგზარქოსის მიერ მათი დარწმუნების შემდეგ, რაც წამოაყენეს ახალი პროექტი, რომელიც არანაკლებ შხამიანად გესლავს ქართული ნაციის შემადგენლობაში შემავალი ხალხების ინტერესებს, არანაკლებ ემუქრება ქართული ეკლესიის მთლიანობას მის ისტორიულ საზღვრებში: ეს არის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დახურვის პროექტი.

ამ დღეებში ჩვენ წავიკითხეთ ცნობა, რომ „სასინოდო წრეებში საკმაოდ გაცეცხული არიან უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის დახურვის მოულოდნელად ამოტივტივებული პროექტი“ და, რომ, „ზოგიერთი სინოდალური მოღვაწის აზრით, იგი (კანტორა – ჯ.გ.) თითქოს ემსახურება ქართველი ავტოკეფალისტების გულისთქმას (ВОЖДЕЛЕНИЮ), ამიტომაც მისი შემდგომი არსებობა არასასურველია.“

უცნაური ცნობაა! მხოლოდ იმიტომ, რომ სინოდალური კანტორა საეგზარქოსოსთან ერთად გამოჩნდა ავტოკეფალური ქართული ეკლესიის ნანგრევებზე, არ შეიძლება ავტოკეფალისტთა გულისთქმას წარმოადგენდეს: შესაბამისად, არ შეიძლება იგი სარგებლობდეს ქართველი ხალხის განსაკუთრებულად ძლიერი სიმპათიებით. მაგრამ არის მოსაზრებები, რომლებიც აუცილებელს ხდიან სინოდალური კანტორის არსებობას.

იურიდიულად არგაუქმებულ ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიას ეგზარქოსი – დროებით დაქვრივებული საპატრიარქო კათედრის მოსაყდრე – ფაქტობრივად მართავს სინოდალური კანტორის მეშვეობით, რომელიც ქართული ეკლესიის ყველა ეპარქიას აერთიანებს. როგორც ასეთი, იგი (კანტორა) საჭიროა და უნდა არსებობდეს ეკლესიის კანონიკური წყობის აღდგენამდე.

მაგრამ შეუძლიათ იკითხონ: სასარგებლოა თუ არა ამჟამად სინოდალური კანტორა, გამოწვეულია თუ არა მისი არსებობის აუცილებლობა ქართველი ხალხის რელიგიური ინტერესებით, ამსუბუქებს თუ არა საქართველოს ეგზარქოსის შრომას საეგზარქოსოს მართვისას.

ჩვენ არა ვართ ისეთი დაწესებულებების მოტრფიალე, როგორებიცაა სინოდალური კანტორა და კონსისტორიები, მაგრამ ამჟამინდელ პირობებში არ შეიძლება არ ვისაუბროთ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შენარჩუნების აუცილებლობის სასარგებლოდ იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც მას საეგზარქოსოში ეკისრება. ერთ-ერთმა გაზეთმა სავსებით სწორი მოსაზრება გამოთქვა, რომ „სინოდალური კანტორა სერიოზულ სამუშაოს ასრულებს, არსებითად ამსუბუქებს და განტვირთავს რა საქართველოს ეგზარქოსის უზომო შრომას; ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის რთული საქმე, რომლებიც ადგილობრივი ყოფისა და ურთიერთობების ცოდნას მოითხოვენ, ან კანტორაში წყდება, ან შემდგომი მიმართულება ეძლევა. ეგზარქოსს რჩება მხოლოდ მისი დამონება“. ეს თავისთავად ცხადია და ამაზე საუბარი საჭირო არ არის.

შემდეგ, სინოდალურ კანტორას აქვს საყურადღებო მნიშვნელობა რეგიონის, თავგამოდებული რუსიფიკატორების მონდომების შესაკავებლად. მისი ზოგიერთი წევრის მიერ ადგილობრივი ცხოვრების ცოდნის შედეგად იგი უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს სიმართლის, სარწმუნოებისა და ხშირად დევნილი ქართული სამღვდელოების დამცველს.

ამის დამადასტურებელ უამრავ მასალას გვაძლევს სოხუმის ეპარქიის საეკლესიო ცხოვრება.

ვინმე ამბერი (ამბროსი ხელაია – ჯ.გ.), ასლან-ბეი და სხვები თავიანთ წერილებში საუბრობენ ქართული ენის დევნის შესახებ სამურზაყანოსა და აფხაზეთის იმ ნაწილის სკოლებსა თუ ეკლესიებში, სადაც მოსახლეობა ქართულ ენაზე ან მის მეგრულ კილოზე საუბრობს („პეტროგრადსკიე ვედომოსტი“, „ზაკავკაზსკაია რეჩ“, „საქართველო“ და სხვ.).¹ სოხუმელმა მღვდელმთავრებმა, მცირე გამოწვევის გარდა, არ იცოდნენ საზღვარი თავიანთ რუსიფიკატორულ მისწრაფებებში. ვის შეეძლო დაეცვა აფხაზეთისა და სამურზაყანოს მოსახლეობა მათი მშობლიური ენისა და რელიგიური ინტერესების დევნისაგან, თუ არა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას? ის აძლევდა მღვდელმთავრებს შესაბამის მითითებებს და განმარტებებს.

ილორის ეკლესიაში, სადაც თითქოს მხოლოდ ქართველები მოდიან, ახლახან დაინიშნა წინამძღვარი, რომელიც კრძალავს ქართულ ენაზე ღვთისმსახურებას. ერთი თვის წინ გაზ. „საქართველო“ (№109) იუწყებოდა, რომ ეკლესიაში ღვთისმსახურება სლავურ ენაზე აღევლინებოდა; როდესაც გუნდის ლოტბარმა ის იყო გადანწყვიტა, ერთი გალობა მაინც შეესრულებინა ქართულად, მაგრამ როცა დაიწყო, წინამძღვარმა შესძახა: „არ იგალობოთ ქართულად“ და გუნდი უნდა გაჩუმებულიყო. ამან მლოცველთა რელიგიურ გრძობაზე დამთრგუნველი ზემოქმედება მოახდინა. რისთვის დაინიშნა წინამძღვრად მღვდელი, რომელმაც ქართული არ იცის? ვის და რისთვის სჭირდება გართულებებისა და უკმაყოფილების შექმნა სარწმუნოების ინტერესების საზიანოდ?

მსგავს შემთხვევებში უმთავრესად მოქმედებენ ღვთის სამკალის ის პატარ-პატარა „მუშაკები“, რომელთა მავნე მოღვაწეობის შესახებ ცნობილია ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით. სოხუმელ მეუფეთა ეს თანამშრომლები სინდისის ქენჯნის გარეშე ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ეკლესიისა და ხალხის ბედისმწერალნი. ასე, მაგალითად, სოხუმის საქალაქო სათათბიროს სხდომაზე დეკანოზმა გოლუბცოვმა განაცხადა, რომ საეგზარქოსოს შემადგენლობიდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის პროექტი მას ეკუთვნის და ამ პროექტს რეგიონის მოსახლეობამ მხარი უნდა დაუჭიროს და რომ უნდა გვიხაროდეს მისი სისრულეში მოყვანა („ზაკავკაზსკაია რეჩ“, 1916, №96).² მოსახლეობა კი შეშფოთდა ცნობით საეგზარქოსოს შემადგენლობიდან აფხაზეთის სავარაუდო გამოყოფის შესახებ და, სადაც ჯერ არს, აგზავნის დეპუტაციას შუამდგომლობით, იხსნას იგი გოლუბცოვის წამოწყებისაგან. აღმოჩნდა, რომ პროექტის შემქმნელები მოქმედებდნენ თითქოს ხალხის სურვილის შესასრულებლად. აი, როგორ უბოდიშოდ მოქმედებენ ბატონი გოლუბცოვები და მათი მსგავსი ხალხის „კეთილისმყოფელები“! ვინ დაიცავს ხალხს ამგვარი მოღვაწეების მავნე გავლენისაგან, თუ სინოდალური კანტორის ნაცვლად შეიქმნება სხვა დაწესებულება, რომელშიც საქმეთა გამგებლები ადგილობრივი პირობებისა და ხალხის ყოფის არმცოდნე პირები იქნებიან? ყოველთვის ხომ ვერ შესძლებს ხალხი დეპუტაციის თბილისში გაგზავნას ამგვარი „მოღვაწეებისაგან“ თავისი ინტერესების დასაცავად!

ვინ იცავდა ილორის სინმინდეს მის რუსულ მონასტრად გადაკეთებისაგან, თუ არა სინოდალური კანტორა („ზაკავკაზიე“, 1913, №№270, 271, 272, 274, 275 და 276).³ მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, ეს საკითხი კვლავ ამოტივტივდა და საბოლოო გადანწყვიტების მისაღებად სინოდალურ კანტორას გადაეცა. იცის რა, რომ ილორის სინმინდის რუსულ მონასტრად გარდაქმნა, რელიგიური თვალსაზრისით, უკიდურესად მავნედ იმოქმედებს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე, ეჭვსგარეშეა, ის გადანწყვეტს საკითხს სამართლიანობის სულისკვეთებით, თუ საიდანმე ზენოლა არ იქნა.

დაბეჩავებულ მდგომარეობაშია აფხაზეთისა და სამურზაყანოს სამღვდლოება, მაგრამ ვინ გაუნოდა და ვინ გაუნვდის მას დახმარების ხელს? აი, რას წერდა ამის თაობაზე ზემოხსენებული ამბერი:

„ადგილობრივი სასულიერო მთავრობა მხარს არ უჭერდა მღვდლებს, მათ ავტორიტეტს და მნიშვნელობას ხალხში, რაზეც მიუთითეს სამურზაყანოში მწყემსთა შეკრებაზე მეცადინეობის დროსაც კი. ის უფრო ენდობოდა სამოქალაქო მოსამსახურეებს, რომლებიც

უპატივცემლოდ ეპყრობიან სასულიერო წოდების პირებს. სოხუმის ოკრუგის უბნების უფროსები მღვდლებს არაფრად აგდებდნენ, მათზე დაქვემდებარებულად მიიჩნევდნენ. უფრო მეტიც: ისინი მათ სოფლის მამასახლისებზე დაბლა აყენებდნენ, რომელთაც ეგზავნებოდათ ბრძანებები მათ კანცელარიაში მღვდლების მოყვანის შესახებ. სოხუმის ეპარქიის ერთმა მღვდელმთავარმა (ეპ. დიმიტრი სპეროვსკი – ჯ.გ.) მღვდლებს, რომლებმაც სთხოვეს მას, შემონიშნების გარეშე არ დაუჯეროს მათზე უბნების უფროსების დასმენას, უთხრა, რომ რუსი ჩინოვნიკების უფრო სჯერა, ვიდრე ადგილობრივი მღვდლების“ („ზაკავკაზიე“, 1913, №272).⁴

პოლიციის წარმომადგენლები აშკარად ერეოდნენ სასულიერო საქმეებში. „ასე, მაგალითად, კოდორის უბნის ყოფილი უფროსი ჩ. – მ სასამართლოზე განაცხადა, რომ აზნაურ ფარნა დავითიას დევნიდა, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ის (დავითია) „ცდილობდა ადგილობრივ (ოჩამჩირის) ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარებას“ („ნოვოეობოზრენიე“, №5081 და „ზაკავკაზსკაია რეჩ“, 1916, №103).⁵

მოიყვანა რა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც უბნების უფროსები წერილობით წინადადებებს აძლევდნენ მამასახლისებს (კოდორის უბნის უფროსის 1912 წლის 12 ნოემბრის №6451 და 1913წ. 19 თებერვლის №839 ბრძანებები), თვალყური ედევნებინათ მღვდლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე, აგრეთვე გადაცდომების მიზეზებზე მოესხნებინათ მათთვის, ამბერი სამართლიანად სვამს კითხვას:

„ვინ არის ამ შემთხვევაში მღვდლების უფროსი ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვინ არ არის მათი უფროსი? ისინი, რა თქმა უნდა, ექვემდებარებიან საეპარქიო მთავრობას, ექვემდებარებიან სამოქალაქოსაც წერა-კითხვის უცოდინარი სოფლის მამასახლისის ჩათვლით, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს გამოძიება საკურთხევლის მსახურთა სამსახურებრივი მოქმედებების შესახებ. სამღვდლოების მაღალი დანიშნულების უფრო მეტი დამცირება შუძლებელია. მისი ავტორიტეტის ასეთი დამცირების შემდეგ რა გავლენა შიძლება ჰქონდეს რელიგიურად ჯერ კიდევ ნაკლებად განათლებულ ხალხზე?“ („ზაკავკაზიე“ 1913, №272).⁶

ვის შეუძლია აღიმალლოს ხმა დევნილი სამღვდლოების დასაცავად? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სინოდალური კანტორა, რომელმაც თავისი ზოგიერთი წევრის სახით იცის რელიგიური ცხოვრების ადგილობრივი პირობები, ყოველთვის იცავდა ამ დევნილებს. ამის მაგალითები ბევრია, მაგრამ არ არის საჭირო მათი მითითებებით წერილის მოცულობის გაზრდა.

საქართველო-იმერეთის კანტორის დაფუძნებისას ნათლად ესმოდათ ის სარგებლობა, რომელიც ახალი საეკლესიო წყობის დროს შეეძლო მას მოეტანა ქართული ეკლესიისთვის. როდესაც გენერალ ტორმასოვის პროექტის თანახმად, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოდან გაასახლეს, მთელი საქართველოს საეკლესიო მმართველობა „არსებული ეპარქიების შემადგენლობით გაერთიანდა ერთი ეგზარქოსის მეთაურობით“ (ბოგოსლოვსკაია ენციკლოპედია, IV, 719-720). „ქართული ეკლესიის წინანდელი ავტოკეფალურობის პატივისცემისთვის“, 1814წ. 8 მაისს საზეიმოდ გაიხსნა სინოდალური კანტორა და ამის წყალობით, „გარკვეულწილად შენარჩუნდა წინანდელი ერთიანი მართვა“ (ibidem). ამრიგად, მაშინაც იგრძნობოდა, რომ ქართული ეკლესიის ახალი წყობის შემოღება ანტიკანონიკური ზომა იყო. არ შეიძლებოდა ეს ქართველებსაც არ ეგრძნოთ, იმიტომ „არ შეეძლოთ მათი ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობასთან და უნმ. სინოდისადმი მის დაქვემდებარებასთან შერიგება. უკლებლივ ყველა ქართველს ენანებოდა თავისი მეფური კათოლიკოსი. ჯერ კიდევ 1819წ. საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე პეტერბურგს ოფიციალურად მოახსენებდა, რომ ქართულ ეკლესიებში ღვთისმსახურებისას მხოლოდ მაშინ ახსენებდნენ უწმინდეს სინოდს, როდესაც ეკლესიაში რუს ჩინოვნიკებს შენიშნავდნენ, ყველა სხვა დროს კი მის იგნორირებას ახდენდნენ“ („ხრისტიანსკოე ჩტენიე“, ნოემბერი, 1905წ., გვ. 543).

მამასადამე, ქართველებს სინოდალური კანტორის დახურვა თუ არ უნდათ, ეს იმიტომ კი არა, რომ ის აკმაყოფილებს და უნაზღაურებს მათ საეკლესიო დამოუკიდებლობის და-

ნაკარგს, არამედ სრულიად სხვა მიზეზებით, რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

მაშინ (სინოდალური კანტორის დაფუძნებისას) მთავრობას ახსოვდა ქართული ეკლესიის უფლებების შესახებ და მაინც ფიქრობდა იმაზე, რომ მართვა ხალხის ინტერესების შესაბამისი ყოფილიყო, ცდილობდა ახალი დანესებულება (სინოდალური კანტორა) ამ მიზნის მისაღწევად გამოეყენებინა. ა. ერმოლოვიც კი თავის მიმართვაში სასულიერო საქმეთა მინისტრ თავად გოლიცინისადმი, საუბრობდა რა ხალხის აღელვების მიზეზებზე, წერდა, „რომ შეიძლებოდა ამ აღელვების თავიდან აცილება, მიტროპოლიტ თეოფილაქტეს რომ შეეჩერებინა სასულიერო ნაწილის გარდაქმნის პროექტის სისრულეში მოყვანა, ხედავდა რა, რამდენად შეუსაბამო იყო იგი ადგილობრივ პირობებთან“ (ibidem).

ამიტომ სინოდალური კანტორის მთელი შემადგენლობა ქართული წარმომავლობის პირებისაგან შესდგებოდა, რომლებმაც იცოდნენ ადგილობრივი პირობები და ზნეჩვეულებები. უმაღლესად დამტკიცებული დებულების მიხედვით, სინოდალური კანტორის პროკურორადაც უნდა დანიშნულიყო „რუსული და ქართული ენების“ მცოდნე პირი (Акты..., ტ.V, 407 და 408). პირველი პროკურორი ქილაევი სწორედ ასეთი იყო, მაგრამ მის შემდეგ ეს მოთხოვნა არ სრულდებოდა; პროკურორებად ინიშნებოდნენ ქართული ენის, ხალხის ზნე-ჩვეულებების არმცოდნენი. კანტორის გავლენიანი წევრებიც ხშირად უცხონი იყვნენ ხალხის სულისკვეთებისთვის, ამიტომ კანტორაში ხშირად იქმნებოდა ამ უკანასკნელებისათვის მოსაწონი პოლიტიკის გატარებისკენ მისწრაფება – პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონის რუსიფიკაციას. ზოგჯერ ამ პოლიტიკის კანტორაში დამკვიდრება მით უფრო იოლად ხერხდებოდა, რომ ქართველთაგან მის წევრებად ხშირ შემთხვევაში ნიშნავდნენ უთქმელებს, რომლებსაც არ შეეძლოთ და სიმართლისთვის ხმის ამოღების ეშინოდათ.

ყოველივე ნათქვამიდან ცხადია, რომ სინოდალური კანტორა უნდა არსებობდეს ქართული ეკლესიის კანონიკური წყობის აღდგენამდე. ის საჭიროა: 1) როგორც დანესებულება, რომელიც უმსუბუქებს შრომას საქართველოს ეგზარქოსს; 2) როგორც ინსტანცია, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ მიმართონ სამღვდელოებად და ხალხმა თავისი ინტერესების დასაცავად; 3) როგორც საეკლესიო მმართველობა, რომელიც აერთიანებს მთელს საქართველოს „არსებული ეპარქიების შემადგენლობებით ერთი ეგზარქოსის მეთაურობით“, რათა გარკვეულწილად შენარჩუნდეს წინანდელი (ანუ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისდროინდელი) ერთიანი მმართველობა; დაბოლოს, 4) როგორც დანესებულება, რომელიც 1814 წელს გაიხსნა „ქართული ეკლესიის წინანდელი ავტოკეფალურობის პატივისცემისთვის.“ მაგრამ იმისათვის, რომ ის პასუხობდეს იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც გაიხსნა, კანტორაში უნდა დაინიშნოს „რუსული და ქართული ენების“ მცოდნე პროკურორი, როგორც ამას მოითხოვს უმაღლესად დამტკიცებული დებულება; კანტორის წევრებად კი არჩეული იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც ეცოდინებოდათ საეკლესიო ცხოვრების ადგილობრივი პირობები, რომლებიც გამოირჩევიან გაბედულობით, დაიცვან სიმართლე და არ დაემორჩილონ გარედან ზეწოლას. საჭიროა მოიხსნას სინოდალური კანტორის წევრებზე რამენაირი ზეწოლის თვით შესაძლებლობა. აი, ამ პირობებში, მათი ეკლესიის კანონიკურ წყობის აღდგენის განხორციელებამდე, რასაც ქართველები მოელოდნენ, შესაძლებელია ქართული საზოგადოებრივი აზრის დამშვიდება.

სამურზაყანოელი.

შენიშვნები:

1. ავტორს მხედველობაში აქვს: ამბერის ხელმოწერით „პეტროგრადსკიე ვედომოსტში“ 1916წ. აპრილ-მაისში გამოქვეყნებული საკუთარი სტატია „სოხუმის ეპარქიის შესახებ“, რომლის ქართული თარგმანი აქვე ქვეყნდება; ასლან-ბეის ფსევდონიმით 1916წ. 7 მაისს „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ში გამოქვეყნებული „წერილები სოხუმიდან“; გაზ. „საქართველოს“ 1916, 24 მაისს (6 ივნისი) ცნობა ილორში ღვთისმსახურების სლავურ ენაზე შესრულების შესახებ და ა.შ. (ჯ.გ.).

2. 1916წ. 18 აპრილს სოხუმის საქალაქო სათათბირო ქალაქის თავის ნიკო თავდგირიძის თავმჯდომარეობით იხილავდა საკითხს სოხუმის ოკრუგის ცალკე გუბერნიად გარდაქმნის შესახებ. თავმჯდომარის წინადადებას, რომ სოხუმის ოკრუგი გადაკეთდეს გუბერნიად და მიეცეს მას დამოუკიდებელი ერობა, ხოლო მთავრობის მიერ ამაზე უარის თქმის შემთხვევაში ოკრუგი მიუერთდეს ქუთაისის გუბერნიას, ხმა მისცა 15 ხმოსანმა, წინააღმდეგი აღმოჩნდა – 9 ხმოსანი. ამ უკანასკნელებს არ მოსწონდათ წინადადების მეორე ვარიანტი – ქუთაისის გუბერნიასთან მიერთება. მოწინააღმდეგეთა შორის იყო დეკ. გ. გოლუბცოვიც, რომელმაც ა. გრიგოლიას განცხადებას, რომ არსებობს სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსგან გამოყოფის პროექტი, უპასუხა, რომ ასეთი პროექტი მართლაც არსებობს და თვითონაა მისი ავტორი („ზაკავკასკაია რერ“, 1916, 29 აპრილი, №96) (ჯ.გ.).

3. იხ. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 505-547 (ჯ.გ.).

4. იხ. იქვე, გვ. 525 (ჯ.გ.).

5. გაზეთ „ნოვოე ობზრენიეში“ 1898წ. 20 ოქტომბერს (№5081) გამოქვეყნებული „სასამართლო ქრონიკა“. მასში საუბარია თბილისის სასამართლო პალატის გასვლითი სხდომის შესახებ, რომელიც სოხუმში გაიმართა და კოდორის უბნის ყოფილი უფროსის შტაბს-კაპიტან ვლ. ჩეჩელევის საქმე განიხილა (იმხილებოდა სხვადასხვა ბოროტმოქმედებებში); ბრალდებულს დაუსვეს შეკითხვა, რატომ ცდილობდა იგი ოჩამჩირიდან ფარნა დავიათაიას გასახლებას? ვლ. ჩეჩელევმა უპასუხა: დავიათაიას სურდა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღება, „გარდა ამისა დავიათაია ცდილობდა ადგილობრივ ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულებას. ერთი სიტყვით, ის იყო ერთ-ერთი მთავარი საქმოსანი არაკეთილსაიმედო მოქმედებებში.“ ეს ფაქტი მოხსენიებულია ასლან-ბეის „წერილებში სოხუმიდან“ („ზაკავკასკაია რერ“, 1916, 7 მაისი, №103) (ჯ.გ.).

6. იხ. წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 526 (ჯ.გ.).

О ГРУЗИНО-ИМЕРЕТИНСКОЙ КОНТОРЕ СВ. СИНОДА

Поистине, многострадальна Грузинская Церковь! Страданиям ея нет конца... Один из самых видных иерархов Русской Церкви выразился, что Грузия не только многострадальна, но и многотерпелива, и, казалось бы, довольно испытывать верность последних слов новыми и новыми выступлениями против целостности Грузинской Церкви в ее исторических границах, думая этим создать препятствие домогательству восстановления в ней канонического строя. Напротив, этими выступлениями все ярче и ярче доказывают грузинскому народу необходимость стремления к восстановлению автокефальности его Церкви.

Как из рога изобилия, сыплются проекты преобразований в Грузинской Церкви, и все они преследуют не удовлетворение желаний народа, не чисто религиозные цели, а, напротив, цели, идущая в разрез с интересами религии...

На протяжении нескольких месяцев мы видим три таких проекта. Сначала выдвинут был проект об образовании Кавказской митрополии, чтобы название экзарха не служило напоминанием об автокефальности Грузинской Церкви, так как самое это название указывает, что назначаемые ныне первосвятители Грузинской Церкви являются местоблюстителями вдовствующей патриаршей кафедры.

Далее, появляется на сцену проект выделения Сухумской епархии из состава экзархата с целью отхвата от Грузинской Церкви Абхазии, усеянной историческими памятниками и чтимыми в народе святынями, свидетелями совместной культурной работы и религиозной жизни абхазцев и грузин.

Не успели успокоиться грузины после заверений экзарха Грузии об отклонении этого проекта, как выдвигается новый проект, не менее ядовито уязвляющий интересы народностей, составляющих грузинскую нацию, _ не менее угрожающий целостности Грузинской Церк-

ви в исторических ее границах: это – проект закрытия Грузино-Имеретинской Синодальной Конторы.

Нам на-днях пришлось прочитать сообщение, в котором говорится, что «в синодских сферах немало удивлены неожиданно выплывшим проектом закрытия Грузино-Имеретинской Конторы Св. Синода» и что, «по мнению некоторых синодских деятелей, она будто бы служит вожделениям грузинских автокефалистов, почему дальнейшее существование ее и нежелательно».

Странное сообщение! Синодальная контора по одному тому, что она вместе с экзаршеством появилась на развалинах автокефальной Грузинской Церкви, не может служить вожделениям автокефалистов: не может она пользоваться, следовательно, особенно сильными симпатиями грузинского народа. Но есть соображения, делающие необходимым существование Синодальной Конторы.

Юридически неупраздненная Грузинская Автокефальная Церковь фактически управляется экзархом Грузии – местоблюстителем временно вдовствующей патриаршей кафедры – при посредстве Синодальной Конторы, которая объединяет все епархии Грузинской Церкви. Как таковая, она (контора) нужна и должна существовать до восстановления канонического строя в Церкви.

Но могут спросить: полезна-ли Синодальная Контора в настоящее время, вызывается-ли необходимость существования ее религиозными интересами грузинского народа, облегчает ли она экзархам Грузии труды по управлению экзархатом?

Мы – не поклонники таких учреждений, как синодальная контора и консистории, но при нынешних условиях нельзя не высказаться в пользу необходимости оставления Грузино-Имеретинской Синодальной Конторы для выполнения тех функций, которые возлагаются на нее в экзархате. Совершенно правильно высказалась одна из газет, что

«Синодальная Контора выполняет серьезную работу, облегчая и разгружая, в сущности говоря, непомерный труд грузинского экзарха; все дела местного значения, – сложные, требующие знания местного быта и взаимоотношений, – в Конторе получают или свое решение, или же дальнейшее направление. Экзарху только остается скреплять их». Это само собою ясно, и об этом нет надобности распространяться.

Далее, Синодальная Контора имеет важное значение для умерения ревности ярых руссификаторов края. Она, вследствие знания некоторыми ее членами местной жизни, в большинстве случаев является защитницей правды, интересов веры и часто гонимого грузинского духовенства. Церковная жизнь Сухумской епархии для подтверждения этого дает обильный материал.

Некие Амбери, Аслан-бей и др. в своих статьях говорят о гонениях на грузинский язык в церквях и школах Самурзакании и тех частей Абхазии, где население говорит на грузинском языке или на мингрелском его наречии («Петроградские Ведомости», «Закавказская Речь», «Сакартвело» и др.). Сухумские архипастыри, за малыми исключениями, не знали границ в своих руссификаторских стремлениях. Кто же мог защитить население Абхазии и Самурзакании от преследования их родного языка и религиозных интересов, как не Грузино-Имеретинская Синодальная Контора? Она и давала архипастырям соответствующие указания и разъяснения.

В Илорскую церковь, которая посещается почти исключительно грузинами, недавно назначен настоятель, который воспрещает служение на грузинском языке. Месяц тому назад в газ. «Сакартвело» (№109) сообщалось, что в церкви служба шла на славянском языке; регент хора вздумал, было, хоть одно песнопение совершить по-грузински, но, когда начал, получил сильный окрик настоятеля: «Не петь по-грузински!» – и хор должен был замолчать. Это гнетуще подвизывало на религиозное чувство молящихся. Для чего назначен настоятелем священник, незнающий грузинского языка? Кому и для чего нужно создавать осложнения и недовольство в ущерб интересам веры?

В подобных случаях главным образом действуют те мелкие «деятели» на ниве Божий, о вредной деятельности которых известно по сообщениям печати. Эти сотрудники сухумских владык без зазрения совести утверждают, что они являются вершителями судеб Церкви и народа. Так, протоиерей Голубцов в заседании Сухумской Городской Думы заявил, что проект выделения Сухумской епархии из состава экзархата принадлежит ему, что этот проект должен быть поддержан населением края и что нужно радоваться претворению его в действительность («Закавказская Речь», 1916г., №96). Население же было встревожено известием о предполагавшемся выделении Абхазии из состава экзархата и посылает депутацию, куда следует, с ходатайством избавить его от голубцовских затей. Оказалось, что творцы проекта действовали во исполнение, якобы, желаний народа. Вот как безцеремонно действуют господа Голубцовы и подобные им «благодетели» народа! И кто же будет защищать народ от вредного влияния подобных деятелей, если на место Синодальной Конторы появится другое учреждение, в котором будут вершить дела лица, незнакомыя с местными условиями и бытом народа? Не всегда же возможно будет народу снаряжать депутацию в Тифлис для ограждения своих интересов от подобных «деятелей»!

Кто защищал Илорскую святыню от обращения ее в русский монастырь, как не Синодальная Контора («Закавказье», 1913 г., №№270, 272, 274, 275 и 276)? Но, как сообщили газеты, этот вопрос опять выплыл и передан на окончательное рассмотрение Синодальной Конторы. Она же, нет сомнения, зная, что обращение Илорской святыни в русский монастырь крайне вредно подействует в религиозном отношении на насельников западной Грузии, решит вопрос в духе справедливости, если не будет давления откуда-либо.

Неприглядно положение грузинского духовенства в Абхазии и Самурзакании, но кто простирал ему и простирает руку помощи? Вот что писал упомянутый выше Амбери в 1913 году по этому поводу:

«Духовное местное начальство не поддерживало священников, их авторитета и значения в народе, на что указывалось даже во время занятий пастырского собрания в Самурзакании. Оно больше верило гражданским чинам, которые непочтительно относились к лицам духовного звания. Участковые начальники Сухумского округа священников ни во что не ставили, считали их подчиненными себе. Мало того: они ставили их ниже сельских старшин, которым писались приказы о приводе священников в их канцелярию. Один из архипастырей Сухумской епархии священникам, просившим его без проверки не давать веры доносам на них со стороны участковых начальников, сказал, что русским чиновникам верит больше, чем местным священникам» («Закавказье», 1913г., №272).

Полицейские чины явно вмешивались в духовные дела. «Так, бывший Кодорский участковый начальник Ч. заявил на суде, что преследовал дворянина Парна Давитая, между прочим, за то, что он (Давитая) «старался добиться отправления богослужения в местной (Очемчирской) церкви на грузинском языке» («Новое Обозрение», №5081 и «Закавказская Речь», 1916г., №103).

Приведя несколько случаев, когда начальники участков делали письменные предложения старшинам (приказы начальника Кодорского участка от 12 ноября 1912г., №6451 и от 19 февраля 1913г., №839) следить за исполнением священниками служебных обязанностей и об упущениях, а равно о причинах таковых упущении доносить им, Амбери справедливо спрашивает:

«Кто в данном случае является начальником над священниками или, лучше сказать, кто не является начальником над ними? Они подчинены, конечно, епархиальной власти, подчинены и светской — включительно до неграмотного сельского старшины, который волен производить следствие о служебных действиях служителей алтаря. В деле уничижения высокого служения духовенства дальше некуда идти. Какое же оно после такого уничижения его авторитета может иметь влияние на мало еще религиозно-просвещенный народ?» («Закавказье», 1913г., №272).

Кто же может возвысить голос в защиту гонимого духовенства? Опыт показывает, что Синодальная Контора, зная, в лице некоторых своих членов, местные условия духовно-религиозной жизни, этих гонимых всегда брала под свою защиту. Примеров этого много, но нет надобности указанием их удлинять статью.

При учреждении Грузино-Имеретинской Конторы ясно понимали ту пользу, которую она при новом церковном строе могла приносить Грузинской Церкви. Когда, по проекту генерала Торماسова, упразднена была автокефальность Грузинской Церкви, а Католикос-Патриарх выслан был из Грузии, церковное управление всей Грузии было «объединено в состав наличных епархий под главою одного экзарха» (Богословская энциклопедия, IV, 719-720). В 1814 году 8 мая торжественно открыта была Синодальная Контора «во уважение недавней автокефальности Грузинской Церкви» и, благодаря этому, «в некоторой степени сохранялось прежнее единство управления» (ibidem). Таким образом, и тогда чувствовалось, что введение нового строя в Грузинской Церкви было антиканоническою мерою. Не могли не чувствовать этого и грузины, а потому

«не могли помириться с уничтожением самостоятельности их Церкви и с подчинением ее Св. Синоду. Все грузины без исключения жалели о своем царственном католикосе. Еще в 1819 году экзарх Грузии, митрополит Феофилакт, официально доносил в Петербург, что в грузинских церквях тогда только при богослужении воспоминали Святейший Синод, когда замечали в церкви русских чиновников, а во всякое другое время его игнорировали» («Христианское Чтение» за ноябрь 1905 г., стр. 543).

Следовательно, если грузины не желают закрытия Синодальной Конторы, то это не потому, что она удовлетворяет их и возмещает им утрату церковной независимости, а совершенно по другим причинам, о которых нами выше сказано.

Тогда (при учреждении Синодальной Конторы) правительство помнило о правах Грузинской Церкви и думало, все же, о том, чтобы управление соответствовало интересам народа, _ старалось новое учреждение (Синодальную Контору) приспособить к достижению этой цели. Даже А.Ермолов, в своем отношении к министру духовных дел князю Голицыну, говоря о причинах возмущения народа, писал,

«что возможно было бы отвратить это возмущение, если бы митрополит Феофилакт приостановил приводить в исполнение проект преобразований духовной части, видя, сколь мало соображен он был с местными обстоятельствами» (ibidem).

Поэтому весь состав Синодальной Конторы состоял из лиц грузинского происхождения, знавших местные условия и обычаи. По Высочайше утвержденному положению, и прокурором Синодальной Конторы должно было назначаться лицо, знающее «российский и грузинский «языки» (Акты, т. V, 407 и 408). Первый прокурор Чилиев был именно таков, но после него это требование не стало осуществляться; стали назначаться прокуроры, не знающие грузинского языка, нравов и обычаев народа. Влиятельнейшие члены Конторы также часто были чужды духу народа, и потому в конторе часто создавалось стремление проводить ту политику, которая нравилась сим последним, _ политику, ставившую своею целью русификацию края. Эту политику иногда удавалось водворять в Конторе тем легче, что членами ее из грузин назначали в большинстве случаев безгласных, не умевших и боявшихся возвышать голос за правду.

Из всего сказанного явствует, что Синодальная Контора должна существовать до восстановления канонического строя в Грузинской Церкви. Она необходима: 1) как учреждение, облегчающее труд экзарха Грузии; 2) как инстанция, в которую могут обращаться в потребных случаях духовенство и народ для ограждения своих интересов; 3) как церковное управление, объединяющее всю Грузию «в составе наличных епархий под главою одного экзарха», – чтобы в некоторой степени сохранилось прежнее (то есть времен самостоятельности Грузинской Церкви) единство управления; и, наконец, 4) как учреждение, открытое в 1814 году «во уважение недавней автокефальности Грузинской Церкви». Но, чтобы она отвечала

тем целям, для достижения которых была открыта, нужно назначать в Контору прокурора, знающего «российский и грузинский языки», как этого требует высочайше утвержденное положение, а членами Конторы избирать таких лиц, которые знали бы местные условия церковной жизни, отличались бы смелостью стоять за правду и не поддаваться давлению со стороны. Необходимо устранить самую возможность какого бы то ни было давления на членов Синодальной Конторы. Вот, при этих условиях, до осуществления ожидаемого грузинами восстановления канонического строя их Церкви, можно успокоить грузинское общественное мнение.

Самурзаканец.

Петроградские Ведомости, 1916, 20 июля (2 августа), №150.

4. ნაილი კავასილი

ჯერ კიდევ მოციქულთა ხანაში ბიბლიური სწავლების ნათელით გაცისკროვნებული, თვით მოციქულთა ნაკვალევით კურთხეული აფხაზეთი, VIII საუკუნეში, როგორც ამის შესახებ მოწმობს წმინდა მონამე აბოს ცხოვრების აღწერა, წარმოადგენდა ქვეყანას, სადაც ქრისტიანობა ყვაოდა. IX-XI საუკუნეებში ის მოიფინა დიდებული არქიტექტურული ძეგლებით, რომლებიც მისი მაღალი ქრისტიანული კულტურის შესახებ მოწმობენ. მაგრამ XVII ს. შუახანებიდან რეგიონში ქრისტიანობისთვის მძიმე უამი დგება, ძლიერდება თურქეთის გავლენა, ხოლო XVIII ს. ბოლოსთვის კი აბორიგენტთა უმრავლესობა ლალიძგამდე (ეგრისი წყალი) შეავიწროვდა და აფხაზეთში მოჰმადიანობა იწყებს გავრცელებას. მართლმადიდებელ რუსეთთან შეერთების შემდეგ კი XIX ასწლეულის პირველ მეოთხედში, როგორც უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, თითქმის მთელი აფხაზეთი იქცა ქვეყანად, სადაც მაჰმადიანური სარწმუნოება ბატონობდა. ამ სამწუხარო მოვლენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ რუსეთის სახელმწიფოსთან აფხაზეთის მიერთების შემდეგ გარკვეული დროით მთლიანად დაავიწყდათ მისი მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნილებების შესახებ, რითაც ძალზე მოხერხებულად და მარჯვედ ისარგებლეს მაჰმადიანობის მქადაგებლებმა.

მხოლოდ 1831 წ. გაიხსენეს ხალხის რელიგიური ინტერესების შესახებ. მთავარმა მიხეილ (ჰამუდბეი) შარვაშიძემ ბარონ როზენს მიანოდა მოსაზრება აფხაზეთა შორის ბიბლიური ქადაგების სწორად ორგანიზების აუცილებლობის შესახებ და მიუთითა ამის გაკეთების უნარის მქონე ცაგერის მონასტრის წინამძღვარზე მღვდელმონაზონ ანტონზე (დადიანთა თავადური გვარიდან), რომელიც დაინიშნა კიდევაც მისიონერად არქიმანდრიტის ხარისხში აყვანით (Записки Императорского Одесского Общества Истории и Древностей, т. XI, с. 424, примечание 28-е).

აღნიშნული არქიმანდრიტი ანტონის, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის (Православное Обозрение, 1868, т. 27, с. 329), განსაკუთრებით კი 18 ათასი სულის მომნათველი მარად სახსოვარი ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე – ჯ.გ.) მეცადინეობის წყალობით, აფხაზეთი, მცირე გამონაკლისის გარდა, ქრისტეს ეკლესიის გაღავანში მიიყვანეს (Отчеты Общества Возстановления Христианства на Кавказе за 1868-1879гг.) და ამ გზით მოხდა აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენა. მაგრამ 1885 წლიდან ვითარება უარესობისკენ შეიცვალა. მოხდა ცვლილება და ეპ. გაბრიელი იძულებული გახდა აფხაზეთა შორის თავისი მისიონერული მოღვაწეობა შეენწყვიტა. მისი ადგილი ხალხის ენის, ზნე-ჩვეულებების უცოდინარმა, პოლიტიკანური მისწრაფებით გამსჭვალულმა სოხუმის ეპისკოპოსებმა დაიკავეს და რეგიონში ქრისტიანობის დაცემა დაიწყო. ახლადმონათლული აფხაზეთი კვლავ მაჰმადიანობას უბრუნდებოდნენ, რასაც ხელს უწყობდა შემდეგი გარემოებაც.

1889 წელს აფხაზეთს გამოუცხადეს განკარგულება მათ მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შესახებ, რომელმა განკარგულებამაც რეგიონში მართლმადიდებლობის საქმეს არც თუ ისე ცოტა ზიანი მიაყენა. საქმე იმაშია, რომ 1886 წ. 26

მაისის კანონის საფუძველზე სამხედრო სამსახურის უშუალოდ ანუ პირადად მოხდა ევალეობოდათ მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიან აფხაზებს. ქრისტიანობისგან გამდგარნი და ისინი, ვინც თავის თავს მაჰმადიანს უწოდებდა, მისგან განთავისუფლებული იყვნენ. ამ უკანასკნელთათვის, ისევე როგორც თერგისა და ყუბანის ოლქებისა და ამიერკავკასიის მთელი მუსულმანური მოსახლეობისთვის, სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ დაწესდა განსაკუთრებული ფულადი მოსაკრებელი სახელწოდებით: „გადასახადი სამხედრო სამსახურის მოხდის სანაცვლოდ“. ამან მართლმადიდებელ აფხაზთა მხრიდან უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი გაცემული იყვნენ, რატომ მიენიჭათ ასეთი უპირატესობა მათთან, ქრისტიანებთან, შედარებით სარწმუნოებით მაჰმადიანებს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მთავრობა მაჰმადიანებს უფრო კეთილგანწყობილად, შემწყნარებლურად და თანაგრძნობით ეპყრობოდა, ვიდრე ქრისტიანებს. მით უმეტეს, აფხაზებს შეეძლოთ ისეთ დასკვნამდე მისულიყვნენ, რომ ეს იყო ნაკარნახევი სამხედრო სამსახურის ფულით ჩანაცვლების სარგებლიანობით. ამ დროიდან მათ დაიწყეს მაჰმადიანობის მიმართ სიმპატიების გამოვლენა. ამის გამო არც თუ ისე ცოტა აფხაზი განუდგა ქრისტიანობას (ყურნალი „მწყემსი“, 1889, №12). თუმცა მთავრობა მალევე გონს მოეგო და განკარგულება სამხედრო სამსახურის შესახებ გააუქმა, მაგრამ აფხაზებისთვის მაჰმადიანობისკენ ნაჩვენები მიმართულება სწრაფად ვერ გამოსწორდებოდა.

ამ გარემოებათა გამო, ნაცვლად იმისა, რომ გადაერთონ პოლიტიკანობაში, დაკავდნენ საეგზარქოსოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოყოფის საკითხით და ადგილობრივი ნაციონალური სინმინდეების რუსულ მონასტრებად გარდაქმნით, ნაცვლად იმისა, რომ ხალხის მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურება აკრძალონ და საერთოდ აჰყვნენ გამარუხებელ მისწრაფებებს, – სოხუმის საეპარქიო მთავრობა და საღვთო სამკალის მუშაკები უნდა შეუდგნენ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას – ეკლესიის ინტერესების სამსახურს და მიიღონ ზომები იმისათვის, რათა არარუხების განვევის შესახებ ამჟამად გამოცხადებული განკარგულება არ გახდეს ქრისტიანი აფხაზების ისევე გამაჰმადიანების მიზეზი. დაე, ამ მოპოლიტიკანო მუშაკებმა დაიმახსოვრონ, რომ „ქრისტიანობა, რომელიც გარდაქმნის არარუხის სულს, არ ხელყოფს მის ტომობრივ თვისებებს. ქრისტიანობის ჭეშმარიტი მუშაკების საქმიანობა არის არა ნაციონალური, არა რუსიფიკატორული, არამედ მარტო სულიერი, ზნეობრივი“ (Церковные Ведомости, 1906, №9, с. 440) და ის, რომ „მწყემსებს – პოლიტიკანებს“, – როგორც «Церковные Ведомости» ამბობს, – საზოგადოება არ გაჰყვება და მხოლოდ სინანულით იტყვის, რომ ისინი თავიანთი საქმით არ არიან დაკავებულები (Церковные Ведомости, 1906, №8, с. 367).

ПИСЬМО С КAVKAZA

Абхазия, озаренная светом евангельского учения еще в век апостольский, освященная стопами самих апостолов, в VIII веке представляла, как об этом свидетельствует жизнеписание Св. мученика Або, страну, где христианство находилось в цветущем положении. В IX-XI веках она покрывается величественными архитектурными памятниками, свидетельствующими о высокой христианской культуре ея. Но с половины XVII столетия наступают трудные времена для христианства в крае, влияние Турции усиливается, а к концу XVIII века большинство аборигенов оттесняются до реки Галидзга (Игрисцкали), и в Абхазии начинает распространяться магометанство. После же присоединения страны к православной России, в первой четверти XIX столетия, как ни странно это, почти вся Абхазия делается странною, где господствовала магометанская вера. Одною из главных причин этого прискорбного явления служило то обстоятельство, что, после присоединения Абхазии к Российской державе, на некоторое время совершенно забыли о духовных и религиозных нуждах ея насельников, чем весьма умело и ловко воспользовались проповедники ислама.

Только в 1831 году вспомнили о религиозных интересах народа. Владетельный князь

Михаил (Гамуд-бей) Шарвашидзе подал барону Розену мысль о необходимости правильной организации евангельской проповеди среди абхазцев и указал на способного к этому делу настоятеля Цагерского монастыря, иеромонаха Антония (из князей Дадиани), который и был назначен миссионером с возведением в сан архимандрита («Записки Императорского Одесского Общества Истории и Древностей», т. X, стр. 424, прим. 28).

Благодаря трудам означенного архимандрита Антония, епископа Александра Окропиридзе («Православное Обозрение», 1868 г., т. 27, стр. 329), особенно приснопамятного епископа Гавриила (Кикодзе), окрестившего более 18 тысяч душ, абхазцы, за весьма малым исключением, приведены были в ограду Церкви Христовой (Отчеты общества возстановления христианства на Кавказе за 1868-1879гг.) и таким образом произошло возстановление христианства в Абхазии. Но с 1885 года обстоятельства изменились к худшему. Произошла перемена и еп. Гавриил принужден был прекратить свою миссионерскую деятельность среди абхазцев. Его место заняли Сухумские епископы, не знавшие языка, нравов и обычаев народа, проникнутые стремлением к политиканству, – и христианство начало падать в крае. Новообращенные абхазцы опять стали уклоняться в магометанство, чему много способствовало и следующее обстоятельство.

В 1889 году оъявлено было абхазцам распоряжение об исполнении ими воинской повинности, каковое распоряжение принесло немало вреда делу православия в крае. Дело в том, что, на основании закона 26 мая 1886 года, к непосредственному или личному отбыванию воинской повинности прилекались одни только христиане. Абхазцы, отпавшие же от христианства и именовавшие себя магометанами, были освобождены от нея. Для последних, как и для всего мусульманского населения Терской и Кубанской областей и Закавказья, взамен натуральной воинской повинности, установлен был особый денежный сбор под наименованием «налога взамен исполнения воинской повинности натурою». Это вызвало недовольство со стороны православных абхазцев. Они недоумевали, почему дано было такое предпочтение магометанам по вере пред ними, христианами, и пришли к заключению, что правительство к магометанам относится более благосклонно, снисходительно и участливо, чем к христианам. Тем более абхазцы могли придти к такому заключению, что это подсаживалось им выгодою замены воинской повинности деньгами. С этого времени они начали выказывать свои симпатии к магометанству. Благодаря этому, немало абхазцев отпало от христианства (журнал «Пастырь», 1889 г., №12). Хотя правительство скоро спохватилось и отменило это распоряжение о воинской повинности, но данное абхазцам направление к магометанству не скоро могло быть исправлено.

Ввиду этих обстоятельств, вместо того, чтобы предаваться политиканству, заниматься вопросом выделения Абхазии из состава экзархата и обращения местных национальных святынь в русские монастыри, вместо того, чтобы воспрещать богослужение на родном языке народа и вообще предаваться обрусительным стремлениям, _ Сухумскому епархиальному начальству и деятелям на ниве Божией следовало бы заняться исполнением своих прямых обязанностей _ служением интересам Церкви и принять меры к тому, чтобы ныне объявленное о призыве инородцев распоряжение не послужило причиною нового бегства абхазцев-христиан в магометанство. Пусть эти политиканствующие деятели помнят, что христианство, перерождая душу инородца, не посягает на его племенные особенности. Работа истинных работников христианства-не национальная, не русификаторская, а исключительно духовная, нравственная» (Церковные Ведомости» за 1906г., №9, стр. 440), и что «за пастырями-политиканами, _ как выразились «Церковные Ведомости», _ общество не поидет, но только с сожалением будет говорить, что они занялись не своим делом («Церковные Ведомости», 1906г., №8, стр. 367).

Самурзаканец.
Петроградские Ведомости, 1916, 6 (19) августа, №162.

5. პასუხად ყოვლადსამღვდელო სერგის

„პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში (№205) მოთავსებულია სტატია, რომელშიც ყოვლადსამღვდელო ავტორი ამბობს: „რუსებს არაერთხელ გამოუხატავთ აღმფოთება და ნუხილი იმის თაობაზე, რომ „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ში ხშირად აქვეყნებენ ისეთ წერილებს, როგორცაა დურნოვოს „კვლავ ქართული ეკლესიის შესახებ“-მას წერენ სიცრუეს, ის კი ენდობა თავის კორესპონდენტებს“.¹

ასეთი ვითარების გამო, საჭიროდ მიგვაჩნია ითქვას, რომ აუცილებელია ყოვლადსამღვდელო სერგის სტატიას დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ. საკუთარი თანამშრომლები ყოვლადსამღვდელოს, როგორც ჩანს, აშკარად ცრუ მონაცემებს აწვდიან, ის კი მრევლის ენის არცოდნის გამო იძულებულია დაუჯეროს მათ ცნობებს. ამიტომ შევიტანთ ზოგიერთ შესწორებას ყოვლადსამღვდელოს მტკიცებაში, – რათა არ მივცეთ საბაბი, საპირისპირო მხრიდან დაგვადანაშაულონ ამ არასწორ მონაცემებზე მითითების სურვილის არქონაში. ამას მოითხოვს სამართლიანობა და ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა.

ავტორი ამბობს, რომ „ილორის ეკლესიის მრევლმა მიმართა“ მას „თხოვნით მათთან აფხაზი მღვდლის დანიშვნის შესახებ, ვინაიდან **აფხაზებს, ილორის ეკლესიის მრევლს, არ ესმის ქართული ენა**“ (ხაზგასმა ჩვენი). უფლება არ გვაქვს ყოვლადსამღვდელო ავტორს უზუსტობა დავსწამოთ.

პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ეკისრებათ მის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც სურთ ყოვლადსამღვდელო არ იყოს გათვითცნობიერებული ეპარქიაში ნამდვილად არსებული მდგომარეობის შესახებ. ჩვენ აქ საქმე გვაქვს საკუთარი მრევლის ენის არმცოდნე ეპისკოპოსის მდგომარეობის ტრაგიზმთან. მწყემსმთავარმა არ იცის რა ენაზე საუბრობენ მისი სულიერი შვილები! მისი მდგომარეობა შემადრწუნებელია!.. მაგრამ მას და მის მსგავსთ რატომ არ ესმით ეს, სანამ დასთანხმდებიან ასეთ უცხოენოვან ეპარქიაში კათედრის დაკავებას, რატომ არ ეკითხებიან საკუთარ თავს: იქნებიან კი სასარგებლო ასეთი მრევლისთვის? ხომ არ იქნებიან უცხოენოვანი ცხოვარნი „სხვისი ცხვრები“? გაიგებენ და მოისმენენ მის ხმას? ხომ არ არის ჭეშმარიტება მაცხოვრის სიტყვები, რომ ცხვრები გარბიან ასეთი მწყემსისგან, რადგანაც „უცხოთა ხმას არ იცნობენ“ (იოანე, 10. 3-5-ჯ.გ.). დაბოლოს, ყოვლადსამღვდელოს ეკითხა იმავე მღვდელ მ. გვაზავასთვის². თუ მას, მღვდელ გვაზავას, არ შეეძლო საკუთარი თავის წინააღმდეგ მოწმედ გამოსულიყო და ეთქვა, რომ მის სამრევლოში აღსარებისა და წმინდა საიდუმლო ზიარების გარეშე აღესრულებიან, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ილორელებზე შეძლებდა სიმართლის თქმას. მას შეეძლო წერილობით ეცნობებინა თავისი მეუფისთვის, რომ ილორში ერთი ოჯახიც არ არის, სადაც აფხაზურ ენაზე საუბრობენ. შესაბამისად, თუ ადგილი ჰქონდა ისეთ უცნაურობას, რომ ყოვლადსამღვდელოსთან შემოვიდა ილორელების თხოვნა აფხაზურ ენაზე, სწორედ აფხაზურ ენაზე, მოსაუბრე აფხაზ მღვდელზე, მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, ეს ისეთივე სიყალბეა, როგორც ეპარქიის მოსახლეობის სახელით შუამდგომლობის აღძვრა საეგზარქოსოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ. ვისაც შეეძლო ეთქვა, რომ ასეთი გამოყოფა არის მთელი ხალხის სურვილი, ის თამამად იტყოდა ისეთ აბსურდს და აშკარა სიცრუეს, რომ ილორელები აფხაზურ ენაზე მეტყველებენ, და მოტყუებით აიძულებდა ზემოთნახსენები თხოვნის წარდგენას, ასეთი პირები მომავალში დაარწმუნებენ მეუფეს, რომ სოხუმის ეპარქიაში არც ერთი ქართველი არ ცხოვრობს, რომ მთელს მოსახლეობას კარგად ესმის რუსული და შესანიშნავად იმოდღვრება მისი მწყემსმთავრული სიტყვებით.

მეორეც, ყოვლადსამღვდელო ახსენებს მთელს საქართველოში ძლიერ სათაყვანო ილორის სინმინდის რუსულ მონასტრად გადაკეთების განზრახვას. საკითხის ისტორია ცნობილია. ამაზე საკმარისად დაინერა (იხ. „სოტრუდნიკ ზაკავკაზსკოი მისიი“, 1912, №№ 10, 13 და „ზაკავკაზიე“, 1913, №№82, 83, 270-272, 274-276)³, ამიტომ გამეორების აუცილებლობა არ არსებობს. ამბობენ, საკითხი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, მაგრამ დაე სოხუმელ „საქმოსნებს“ იმედი ნუ ექნებათ, რომ ქართველებში

(ვეგულისხმობთ სამურზაყანოელებსაც აფხაზებთან ერთად) გაღვიძებულმა ეროვნულ-რელიგიურმა თვითშეგნებამ დაუთმო მათ ამ საკითხში.

შემდეგ, როგორც ავტორი გვარწმუნებს, ირკვევა, რომ ქართველები დადიან საკათედრო ტაძარში და თავიანთ უცხოენოვან მწყემსმთავართან კურთხევის მისაღებადაც კი მიდიან. ქება და დიდება ქართულ დიდ მოთმინებას! იყო და არის ყველა პირობა იმისთვის, რომ ზურგი შეაქციონ სოხუმის ტაძარს, სადაც არა მხოლოდ არ ჩატარებულა ღვთისმსახურება მათთვის გასაგებ ენაზე, არამედ, როგორც პრესა იტყობინებოდა, ბრწყინვალე აღდგომის დღესაც ქართულ ენაზე ბიბლიის წაკითხვის ნებასაც არ აძლევდნენ, თუმცა ის იკითხებოდა ბერძნულ და მკვდარ ლათინურ ენებზე. სასიხარულოა, რომ ქართველებს ჯერ კიდევ ახსოვთ მამა-პაპათა სარწმუნოება და შემორჩათ სწრაფვა ღვთისმსახურებაზე დასწრებისკენ. მაგრამ შეუძლია კი ყოველადსამღვდელოს ეს ჩათვალოს საკუთარ დამსახურებად? უცდია კი მას იმათ გამო ესწავლა ღვთისმსახურება ქართულად, თუ ძალუძს, დამოდვროს ისინი მათ მშობლიურ ენაზე? ტაძარში დადის ათობით ქართველი, მაგრამ ათასები ღვთისმსახურებისა და რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე რჩებიან, თუ იფიქრა მეუფემ, მიიღოს ზომები, რათა ეს უკანასკნელები რელიგიურად არ გაველურდნენ. მეუფეს შენუხებას არ ვაკადრებ, მაგრამ სასურველი იქნებოდა ყველა ამ კითხვაზე პასუხის მიღება. მტკიცება, რომ ტაძარში არის ქართველი მღვდელი, რომ ის ასრულებს საეკლესიო წესებს, რათა წმინდა საიდუმლოს მიღების გარეშე ადამიანები არ გარდაიცვლებოდნენ, რომ ამის შესახებ მეუფესთან განცხადებები არ შემოდიოდეს, ვერაფერს გვიმტკიცებს. ერთი საეკლესიო წესის შესრულებით შემოფარგვლა არ შეიძლება. მორწმუნეთათვის საჭიროა ტაძრები, ღვთისმსახურება, მათთვის გასაგებ ენაზე დამრიგებლური ქადაგებები. სხვანაირად მორწმუნეები იქამდე მივლენ, რომ ვერ იგრძნობენ აღსარებისა და სიკვდილის წინ წმ. საიდუმლოს მიღების აუცილებლობასაც კი. შესაბამისად, ამის თაობაზე საჩივრები და განცხადებები არ შემოვა და ფორმალურად ყველაფერი რიგზე იქნება. ამით თვითდამშვიდება სახიფათო!

არის სოხუმში სასაფლაოს ეკლესია, სადაც წარმოშობით ბერძენი დეკანოზი ივანოვი⁴ მსახურობს. არ ვიცით, ასრულებს თუ არა ის ღვთისმსახურებას ბერძნულ ენაზე, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ სოხუმის კათედრაზე რუსი მღვდელმთავრების გამოჩენამდე ეს იყო ქალაქის ქართული მოსახლეობისათვის განკუთვნილი სამრევლო ეკლესია. ის ამენებულა 60-იან წლებში მარადსახსოვარი სოხუმის ეპიკოპოსის ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მიერ საკუთარი სახსრებით, იმიტომ რომ სოხუმელი ქართველები მისთვის იყვნენ „თავისი ცხვრები“ (იოანე, 10, 3-ჯ.გ). ქართველთა რელიგიური ინტერესების თავგამოდებული მსახურის და ამის გამო ხალხის საყვარელი მღვდლის ტიმოთე სახოკიას (თედო სახოკიას მამა – ჯ. გ.) 1887წ. გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, საკათედრო ტაძრის კრებულის შემოსავლების გასაზრდელად, სამრევლო დახურეს. ათი წლის წინ სასაფლაოს ეკლესიაში ისევ დაუმევეს შტატი, მაგრამ ძნელად ასახსნელია, რატომ დანიშნეს იქ მღვდლად ბერძენი და არა ქართველი. ალბათ, ამას მოითხოვდა სარწმუნოების მქადაგებელთა რუსიფიკატორული მისწრაფებები, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არანაირად არ იყო ჩადებული მასში ქართული მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილების ინტერესები. ასეთი შემთხვევების გამო ქართველები ჩვეულებრივ ამბობენ, რომ „ასეთია მათი ბედი, ყველგან ისინი შეძლებულნი და დევნილნი უნდა იყვნენ, მათმა ინტერესებმა ყოველთვის უნდა იზარალონ ყოველგვარი სამართლიანობისა და ადამიანურობის აშკარად ფეხქვეშ გათელით.“ ხომ არ გვეტყვიან, ყველასათვის საერთო სამშობლოს მუდამ ერთგული ქართველები რატომ მიჰყავთ იმ შეგნებამდე, რომ სარწმუნოებისა და ქრისტიანული სიყვარულის მქადაგებლები სიძულვილით ეპყრობიან მათ? სასარგებლოა კი ზოგადად ასეთი პოლიტიკა სარწმუნოებრივ საქმეში? დროა, როგორც ჩანს, ამაზე დაფიქრება.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტიკის დარგში მეუფე სრულებითაც არ უწევს ანგარიშს კავკასიური ენათმცოდნეობის მეცნიერების თანამედროვე დებულებებს. მისი სიტყვებით, „არასწორია მტკიცება, რომ აფხაზური და ქართული ენები მონათესავეა: მსაგავსება მათ შორის ისეთივეა როგორც რუსულსა და ინგლისურს შორის“ (ხაზგასმა

ჩვენია). ავტორი უაღრესად ზუსტია ქართულ და აფხაზურ ენებს შორის განსხვავების დადგენაში და, შესაბამისად, ფუჭია აკადემიკოს მარისა და აფხაზური ენის მცოდნე პ. ჭარაიას შრომა. ვერ ვიკისრებთ, რომ ყოვლადსამღვდელოს აზრი შევაცვლევინოთ შეცდომაზე მისი სანმყსოს სასაუბრო ენასთან მიმართებაში. ეს იქნება ამაო გარჯა, ვინაიდან თანამშრომელ – „საქმოსანთა“ სიტყვა მეუფისთვის ყოველთვის იქნება უფრო დამაჯერებელი, ვიდრე ჭეშმარიტი მეცნიერების ყველაზე უცილობელი მონაცემები.

ამით უნდა დამთავრებულიყო პასუხი ყოვლადსამღვდელო ავტორისადმი, მაგრამ მის წერილში მოტანილია ერთი ძალიან საინტერესო მხილება, რომელსაც შეუძლია აღძრას სევდიანი ფიქრები ყველაში, ვისაც გული შესტიკვია საეკლესიო–რელიგიური თვალსაზრისით საქართველოს ამჟამინდელ სავალალო მდგომარეობაზე. საკუთარი ქართველი მრევლის ქართულ ენაზე დამოძღვრის ვალდებულების მქონე მღვდელ მ. გვაზავას შვილებმა თურმე ქართული არ იციან. გვაზავა 1897 წლიდანაა მღვდელმსახური..., და მისმა შვილებმა (ალბათ, ჭაბუკობის ასაკში არიან) მშობლიური ენა არ იციან?! თავად გვაზავასაც ხომ არ დაავიწყდა ქართული ენა? ესეც შეიძლება მომხდარიყო, თუ თითქმის ოცნლიანი მღვდელმსახურობის განმავლობაში მას არ მიეცემოდა ქართულად მსახურებისა და ქადაგების საშუალება. მერე ასეთი მღვდელი ასეთი რეჟიმის პირობებში მწყემსავს ქ. სოხუმისა და მისი მიდამოების ქართულ მოსახლეობას!..

უკანასკნელი ერთდღიანი აღწერის მიხედვით, ქ. სოხუმის მთლიანი მოსახლეობა შეადგენს 24•072 სულს, რომელთა შორის 16•840 ქართველია. გარდა ამისა, ქალაქგარეთ ქალაქისთვის გადაცემულ მიწებზე სამი ათას სულამდე ქართველი არენდატორია. თუ ამას დაუმატებთ კერძო მფლობელობაში მყოფ მიწებზე მომუშავე არენდატორებს, აგრეთვე ქალაქში დროებით მაცხოვრებლებს, ქართველთა საერთო რაოდენობა, რომელიც საჭიროებს რელიგიურ მომსახურებას, 20 ათას სულზე ბევრად მეტი უნდა იყოს. მღვდელ გვაზავას შეუძლია იამაყოს იმით, რომ მისი სამწყსო მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით არ ჩამორჩება ბერძნული აღმოსავლური ეკლესიის ბევრ მიტროპოლიას. ერთი მღვდელი კეთილსინდისიერად როგორ მოემსახურება ასეთ სამწყსოს? თქვას თვითონ გვაზავამ, ამჟამინდელი ეპისკოპოსის დროს ან საერთოდ თუ შეუსრულებია ოდესმე ლიტურგია, სხვა საეკლესიო სამსახური თავისი მრევლის მშობლიურ ენაზე... საეპარქიო უფროსობამ ყველაფერ ამაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, მაგრამ უნდა მოემუშავა პოლიტიკანობას და ქართველთა გარუსების მიზნით, ქართული ენის დევნას, რასაც იგი, თამამად გარწმუნებთ, ვერც მიაღწევს.

კორენბედიელი.⁵

პეტროგრადსკიე ვედომოსტი, 1916, 25 ოქტომბერი, (7 ნოემბერი), №213.

შენიშვნები:

1. ეპ. სერგის წერილი იხ.: წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 576-577.
2. მიხეილ გვაზავა–სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელი 1898წ. 25 იანვრიდან. მან დაიკავა 1897 წელს ყაზანის აკადემიაში ჩარიცხული მამა ამბროსი ხელაიას მიერ გამოთავისუფლებული ადგილი. მხარს უჭერდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მონაწილეობდა სრულიად საქართველოს I საეკლესიო კრების (1917წ. 8–17 სექტემბერი) მუშაობაში; 20–იან წლებში დეკანოზის ხარისხით სოხუმის საკათედრო ტაძრის საბჭოს თავმჯდომარედ მსახურობდა (ჯ.გ.).
3. იხ.: წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 492-547.
4. ავრაამ ივანოვი XIX ს. 90–იანი წლებიდან მსახურობდა სოხუმის ეპარქიაში, წლების მანძილზე იყო ბლალორინი მღვდელი (თანამედროვე სოხუმისა და გულრიფშის რაიონებისა). საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შეუერთდა ე.წ. განმახლებლებს და 1923 წლიდან გახდა მათი ეპისკოპოსი აფხაზეთში. ა. ივანოვის შესახებ იხ. აქვე ამბროსი ხელაიას წერილი „სოხუმელი საქმოსნები“ (ჯ.გ.).
5. სტატიის რუსული დედანი იხ.: წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 517-577 (ჯ.გ.).

6. სასულიერო სემინარია ქუთაისში

როგორც ცნობილია, უწმინდესმა სინოდმა გასცა განკარგულება ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის შესახებ. დანიშნეს მასწავლებლები, ჩამოვიდნენ მოსწავლეები, მაგრამ მაინც, როგორც გაზეთები იუწყებიან, სემინარია არ ფუნქციონირებს. სად არის ამ უცნაური მოვლენის მიზეზი?

ამჟამინდელი არნახული სიძვირის დროს მოსწავლეებისა და მათი ღარიბი მშობლების მდგომარეობა ძალზე მძიმეა. მშობლების მატერიალური ზარალის გარდა, მოსწავლეები კარგავენ ძვირფას დროს, რომელსაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ.

ისინი დაივიწყებენ იმასაც, რაც სასწავლებელში შეიძინეს, სასწავლო წლის უკეთესი ნაწილიც დასასრულისკენ მიდის და, ეჭვს გარეშეა, მათ გაუჭირდებათ სემინარიის პირველი კლასის კურსის გავლა, რათა აღმოჩნდნენ მეორეში გადასვლის ღირსნი. მშობლებს, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ არ იყვნენ შენუხებულები, რადგანაც მათ შვილებს ნაერთვათ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის შესაძლებლობა, ხოლო საკითხი ქუთაისის სემინარიის ფაქტობრივი გახსნის შესახებ ჯერ კიდევ ჰაერშია ჩამოკიდებული. საჭიროა საკითხი რაც შეიძლება სწრაფად გადაწყდეს ან ასე, ან ისე.

ამბერი.

ДУХОВНАЯ СЕМИНАРИЯ В КУТАЙСЕ

Как известно, Святейшим Синодом сделано распоряжение об открытии в г. Кутаисе духовной семинарии. Назначены преподаватели, съехались ученики, но, все же, как говорят газеты, семинария не функционирует. Где причина этого странного явления?

При настоящей баснословной дороговизне, положение учеников и их бедных родителей весьма тяжелое. Кроме материального ущерба для родителей, ученики теряют дорогое время, которое могли бы употребить с пользой для себя.

Они могут позабыть и то, что приобрели в училище, а лучшая часть учебного года идет к концу, и, нет сомнения, трудно будет им пройти курс первого класса семинарии для того, чтобы оказаться достойными перейти во второй. Родители не могут, конечно, не беспокоиться, ибо дети их лишились возможности учиться в Тифлисской духовной семинарии, а вопрос о фактическом открытии Кутаисской семинарии пока еще висит в воздухе. Следует в возможной скорости разрешить вопрос в том или другом смысле.

Амбери.

Петроградские Ведомости, 1916, 20 ноября, (3 декабря), №232.

7. სოხუმის ეპარქია

„პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-მ №205-ში დაბეჭდა სოხუმის ეპისკოპოსის სერგის წერილი, საიდანაც ვიგებთ, რომ ქ. სოხუმში არიან ქართველი და ბერძენი მღვდლები, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არის ცნობა, რისთვის არსებობენ ისინი, ვინაიდან, ეტყობა, ქართველთა და ბერძენთა ენაზე ღვთისმსახურების შესრულება არ წარმოადგენს მათ პირდაპირ მოვალეობას. ეს ჩანს ყოვლადსამღვდელოს წერილიდან. „არიან აგრეთვე სოხუმში, – ნათქვამია წერილში, – ბერძნული სამღვდელოების წარმომადგენლები: დეკანოზი ავრაამ ივანოვი და მღვდელი ქრისტოფორ კოფიდისი. ბერძნები უფრო ესწრებიან ადრეულ ლიტურგიას და როცა ასეთი მსახურების რიგი სერგეი პროტოპოპოვზე¹ მოდის, მაშინ ის ბერძნულად სწირავს“. სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი იმაზე, სწირავენ თუ არა ბერძნულად თავად ბერძნული სამღვდელოების წარმომადგენლები დეკანოზი ა. ივანოვი და მღვდელი ქრ. კოფიდისი. მაგრამ ისმის კითხვა: იმიტომ ხომ არ დასჭირდათ მამა ს.პროტოპოპოვის ბერძნული ღვთისმსახურება, რომ ბერძნული სამღვდელოების ეს

წარმომადგენლები რატომღაც ამ ენაზე წირვას არ ასრულებენ? მამა კოფიდისი, ეტყობა, შტატგარეშე მღვდელია და არ ვიცით, აქვს თუ არა მას ეკლესია, სადაც მღვდელმსახურობს და სადაც ღვთისმსახურებას ჩაატარებდა; დეკანოზი ივანოვი კი ადრე სოხუმელი ქართველების კუთვნილი სამრევლო ეკლესიის-სასაფლაოს ეკლესიის წინამძღვარი. უაზრო იქნებოდა იქ ბერძნულად წირვა, ვინაიდან ბერძნები იქ არ დადიან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სოხუმში არიან ბერძნული სამღვდლოების წარმომადგენლები, რომლებიც არაბერძნებისთვის არსებობენ და რომლებსაც მშობლიურ ენაზე წირვის ჩატარების საშუალება არ ეძლევათ. სოხუმელ ბერძნებს მაინც შეუძლიათ არ იყვნენ განაწყინებულნი საეპარქიო უფროსობაზე, რადგანაც ჰყავთ რა არა მათთვის მომსახურე საკუთარი მწყემსები, მათი მომსახურება ხდება საკათედრო ტაძრის რუსი მღვდლის მიერ. კარგი იქნებოდა ყოვლადსამღვდლოს იმის შესახებაც ეთქვა, რუსი მღვდლებიდან ვინ წირავს ტაძარში ქართულად, როცა იქ ქართველები მოდიან; ქართველები რომ დადიან საკათედრო ტაძარში, ამაში წერილიც გვარწმუნებს ან, შესაძლოა, ტაძრის მღვდელს მ. გვაზავას ამჟამად უკვე მიეცა უფლება აღავლინოს წირვა ამ ენაზე იმათთვის, ვისი რელიგიური ინტერესების მომსახურებაც მას ევალება?

უაღრესად მადლიერები ვართ ყოვლადსამღვდლო სერგის, რომ მან საჭიროდ ჩათვალა წერილობით დაემშვიდებინა ისინი, ვისაც აქვს უნარი იყოს შემოფოთებული სოხუმელი არარუსების, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობის ორი მესამედის შემცველი ქართველების რელიგიური ინტერესების მომსახურების სავალალო მდგომარეობით. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა უფრო გარკვევით ითქვას –თუ ბერძნულ ენას ითმენენ საკათედრო ტაძარში და ბერძნები, მღვდელ პროტოპოპოვის თავაზიანობით, შეიძლება დამშვიდებულები და კმაყოფილები იყვნენ, მაშინ არანაირად არ შეიძლება იგივეს თქმა ქართული ენისა და ქართველების მიმართ, ვინაიდან ყოვლადსამღვდლომ, საეჭვოა, განაცხადოს, რომ რუსი მღვდლებიდან ვინმე ასრულებს იქ ღვთისმსახურებას ქართველებისათვის მათ ენაზე. მაგრამ საჭირო იყო ამ უკანასკნელთა დამშვიდებაც.

სამურზაყანოელი.²

პეტროგადსკიე ვედომოსტი, 1916, 23 ნოემბერი (6 დეკემბერი), №233

შენიშვნა:

1. ს. პროტოპოპოვი–1905 წლიდან სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკი; 1919წელს გ.გოლუბცოვთან (სოხუმის საკათედრო ტაძრის ყოფილი წინამძღვარი) და ტ. ავტონომოვთან (სოხუმის საეპარქიო კანცელარიის ყოფილი მდივანი) ერთად გაძევებულია სოხუმიდან „ანტისამთავრობო პროპაგანდისა და მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორის წინააღმდეგ ამხედრების მცდელობისათვის“ (წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ.294-295) (ჯ.გ.).

2. სტატიის რუსული დედანი იხ.: წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 578-579 (ჯ.გ.).

8. ქართველი ეპისკოპოსების უფლებოცა და საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლები

ძნელია წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაში იმყოფება საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების საქმე. ამ ენის მასწავლებლებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი მოსაზრება თავიანთი საგნის სწავლების საქმეშიც კი.

ყველაფერი სასწავლებელთა ზედამხედველების ნება-სურვილზეა დამოკიდებული, რომლებიც საქართველოს საეგზარქოსოში ბოლო ხანებში რატომღაც თითქმის ყოველთვის არაქართველები არიან. მათი აზრით, ქართული ენის მასწავლებელი მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ იყოს რუსული ენის მასწავლებლის თანაშემწე. ამიტომ მისგან ხშირად მოითხოვენ, რომ მან კლასში თავისი გაკვეთილის დროს მოსწავლეებთან რუსულად ისაუ-

ბროს და რომ თხზულებები ქართულ ენაში რუსულ ენაზე იწერებოდა.

ამჟამად საქართველოში, სამწუხაროდ, ისეთი ვითარებაა, რომ სასულიერო სასწავლებლებმა უნდა მოამზადონ სამღვდლო კანდიდატები, – და შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორები უნდა იყვნენ ხალხის სულიერი წინამძღოლები დღევანდელი რეჟიმის დროს! ისინი, რომლებიც ქართულ სასულიერო და საერო ლიტერატურას არ იცნობენ, რომლებიც გონებრივი განვითარებით ბევრ თავის მრევლთაგანზე დაბლა დგანან, ვერ შეძლებენ მორწმუნეთა დარიგებას და ხალხი, რა თქმა უნდა, რწმენას კარგავს.

იმ დროს, როდესაც, სასულიერო სასწავლებლებში ზედამხედველებად ქართველები იყვნენ, ქართული ენის სწავლების საქმე, გამომდინარე აქედან, რუსული ენის შეგნებული ათვისებაც თავის სიმაღლეზე იდგა; ახლა კი, ვინც მშობლიური ენის ცოდნის გარეშე ამთავრებს სასწავლებელს, სრულიად უსარგებლოა ხალხისთვის. ამიტომ არ შეიძლება თქმა, რომ ამჟამინდელმა ხელმძღვანელებმა სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა გააუმჯობესეს; პირიქით, ბოლო დროს საეგზარქოსოს სასწავლებლებში არა მხოლოდ გაუარესდა რუსული ენის ცოდნა და საგნის შეგნებული ათვისება, არამედ, როგორც ერთ-ერთი ქართული გაზეთი სამართლიანად ჩივის, სასწავლებლის კურსდამთავრებულები ვერ აბარებენ გამოცდებს საშუალო სასწავლო დანესებულებების პირველ კლასშიც კი. ყველაფერი ეს დამოკიდებულია ზედამხედველების, მათი თანაშემწეებისა და მასწავლებლების მიერ თავიანთი მოსწავლეების სულისკვეთებისა და ენის უცოდინრობაზე, დამოკიდებულია იმაზეც, რომ ადგილობრივ ქართველ მღვდელმთავრებს წართმეული აქვთ უფლება, თვალყური ადევნონ სკოლებში და სასწავლებლებში აღმზრდელობითი და სასწავლო საქმის სწორად დაყენებას. ამ სტრიქონების ავტორს, რომელიც ქუთაისში (მარტვილში – ჯ.გ.) სწავლობდა, ახსოვს როგორ ხშირად მოდიოდა სასწავლებელში მარად სახსოვარი ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), როგორ მკაცრად სჯიდა ზოგადად აღზრდისა და სწავლების საქმეში მცირე ნაკლოვანებებისათვის. ეს იყო საუკეთესო ყამი სასულიერო სასწავლებლების ცხოვრებაში, როცა სამღვდლოებას ზედამხედველებისა და მათი თანაშემწეების არჩევის უფლება ჰქონდა და როცა ქართველ ეპისკოპოსებს არ ჰქონდათ წართმეული სასწავლო დანესებულებებში მეცადინეობების მიმდინარეობაზე ზედამხედველობის უფლება, ახლა კი სულ პირიქით ხდება.

არც ისე დიდი ხნის წინ ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი გარდაიცვალა და როგორც გაზეთი „საქართველო“ (№250)¹ იუწყება, ადგილობრივი მღვდელმთავარი გიორგი (ალადაშვილი – ჯ.გ.) ეძებდა ქართული ენის კარგ მცოდნეს, მაგრამ ვერ მოასწრო მიხედ-მოხედვა რომ მიიღეს უმაღლესი სასულიერო მთავრობის განკარგულება ვაკანსიის შევსების შესახებ. გაზეთი სამართლიანად გაოცებულია:

„დიდად საინტერესოა ვიცოდეთ, ამბობს ის, ვის უფრო შეეძლო რიგიანი ქართული ენის მასწავლებლის გამონახვა: ყოვლად სამღვდლო გიორგის, რომელიც ქართველ საზოგადოებაში მოღვაწეობს აგერ ნახევარი საუკუნეა, თუ უმაღლეს სასულიერო მთავრობას“?

ქუთაისის ახლადგასახსნელ სემინარიაში მასწავლებლებად დანიშნული არიან ადამიანები, რომლებმაც არა თუ თავიანთი მომავალი მოსწავლეების სულისკვეთება და ენა არ იციან, არამედ, ეტყობა, ისიც არ იციან, რომ ქართველები ქრისტიანული აღმსარებლობისანი არიან. როგორც ჩანს, მათი დანიშვნისას საჭიროდ არ ჩათვალეს ეთხოვათ თანხმობა ყოვლადსამღვდლო გიორგისთვის, როგორც ადგილობრივი მწყემსმთავრისთვის. ქართველებს კი უწევთ სამსახური ჩრდილოეთში და ციმბირის ეპარქიებში.

თუ არის სასურველი, რომ საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებში სწავლების საქმე ნორმალური გზით მიდიოდეს, რომ ისინი უშვებდნენ ეკლესიისთვის სასარგებლო მოღვაწეებს, მაშინ საჭიროა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმის სათავეში დავაყენოთ მოსწავლეთა ენისა და სულისკვეთების მცოდნე პირები.

ამ თვალსაზრისით, მივესალმებით რა ქართველის (კორნელი კეკელიძის – ჯ.გ.) დანიშვნას თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად, იმედს ვიქონიებთ, რომ ქუთაისის სემინარიაშიც და საეგზარქოსოს ყველა სასულიერო სასწავლებელში სასწავლო საქმის

სათავები დააყენებენ მოსწავლეებთან სულისკვეთებით, სისხლით, ენის, ზნე-ჩვეულებებისა და მიდრეკილებების ცოდნით ახლო მდგომ პირებს. ყველაზე მთავარია, სასწავლო დანესებულებებში სწავლების საქმე მოექცეს ადგილობრივი მღვდელმთავრების მკაცრი კონტროლის ქვეშ, და საერთოდ, ქართველ მწყემსმთავრებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე უფლებები, როგორც აქვთ რუს იერარქებს თავიანთ ეპარქიებში.

ამბერი.

შენიშვნა:

1. იგულისხმება მ. ბუაჩიძის წერილი „ქართული ენის მდგომარეობა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში“. – საქართველო, 1916, 9 გიორგობისთვე, №250 (ჯ.გ.).

БЕЗПРАВИЕ ГРУЗИНСКИХ ЕПИСКОПОВ И ДУХОВНЫЯ УЧИЛИЩА ЭКЗАРХАТА

Трудно себе представить, в каком положении находится дело преподавания грузинского языка в духовных училищах экзархата. Преподаватели этого языка не могут иметь своего суждения даже в деле преподавания своего предмета.

Все зависит от усмотрения смотрителей училищ, которые в последнее время почему-то в грузинском экзархате-почти всегда негрузины. По их взглядам, учитель грузинского языка существует только для того, чтобы служить помощником преподавателя русского языка. Часто поэтому от него требуется, чтобы он в классе, во время своего урока, с учениками объяснялся по-русски и чтобы сочинения по грузинскому языку писались на русском языке.

В настоящее время в Грузии, к прискорбию, дело обстоит так, что духовные училища должны давать кандидатов священства, – и можно себе представить, каковы должны быть духовные руководители народа при нынешнем режиме! Они, незнакомые с грузинской духовной и светской литературой, стоящие по умственному развитию гораздо ниже многих из своих прихожан, не могут назидать верующих, и народ, конечно, обезверивается.

В то время, когда в духовных училищах смотрителями были грузины, дело преподавания грузинского языка, а отсюда и сознательное усвоение русского языка, стояло на высоте, а теперь без знания родного языка окончивающие училища совершенно бесполезны для народа. Нельзя поэтому сказать, чтобы нынешние руководители подняли училища в учебно-воспитательном отношении; напротив, в последнее время в училищах экзархата настолько упало знание русского языка и сознательное усвоение предметов, что, как справедливо жалуется одна из грузинских газет, окончившие училищный курс не выдерживают испытания даже в первый класс средних учебных заведений. Все это зависит от непонимания смотрителями, их помощниками и учителями духа и языка своих учеников; зависит и от того, что у местных грузинских иерархов отнято право, следить за правильной постановкою дела воспитания и обучения в духовных училищах и школах. Пишущий эти строки, как обучавшийся в Кутаисе, помнит, как часто посещал училище приснопоминаемый епископ Гавриил (Кикодзе), как он строго взыскивал за малейшие упущения в деле воспитания и преподавания вообще. Это были в жизни духовных училищ лучшие времена, когда духовенство имело право выбора смотрителей и их помощников и когда у грузинских епископов не были отняты права по наблюдению за ходом занятий в учебных заведениях, а теперь видим совершенно обратное.

Недавно в г. Кутаисе скончался учитель грузинского языка в духовном училище, и как сообщает газета «Сакартвело» (№250), местный преосвященный Георгий (Аладашвили – Дж.Г.) озабочен был приисканием хорошаго знатока грузинского языка, но не успел осмотреться, как уже получилось распоряжение высшего духовнаго начальства, о состоявшемся замещении вакансии. Газета справедливо недоумевает:

«Интересно знать, – говорит она, – кто мог найти лучшего кандидата на должность учителя грузинского языка: преосвященный Георгий, который почти 50 лет служит среди грузин, или высшее духовное начальство?!»

В Кутаисскую новооткрываемую семинарию назначены преподавателями люди, не только не знающие духа и языка своих будущих учеников но, кажется, не знающие и том, что грузины исповедуют Христову веру. Повидимому, при их назначении не нашли нужным спросить согласия преосвященного Георгия, как местного архипастыря. Грузинам же приходится служить на севере и в Сибирских епархиях.

Если желательно, чтобы дело обучения в духовных училищах экзархата шло нормальным путем и чтобы они выпускали полезных для церкви деятелей, необходимо во главе учебно-воспитательного дела поставить лиц, знающих язык и дух учащих.

Приветствуя в этом смысле назначение грузина ректором Тифлисской духовной семинарии, будем надеяться, что и в Кутаисской семинарии и во всех духовных училищах экзархата во главе учебного дела будут поставлены лица, близкие по духу, крови и пониманию языка, обычаев и наклонностей учащимся. А, самое главное, дело преподавания в учебных заведениях нужно поставить под строгий контроль местных архиереев и вообще за грузинскими архипастырями признать те права, какия имеют русские иерархи в своих епархиях.

Амбери.

Петроградские Ведомости, 1916, 15 (28) декабря, №248.

9. უცნაური კომპენსაცია

(საქართველოს საეგზარქოსოში საქმის ვითარების თაობაზე)

თავის წერილში სათაურით „ქართველი ეპისკოპოსების უუფლებობა და საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლები“ („პეტროგრადსკი ვედომოსტი“-ში) თბილისის სასულიერო სემინარიაში რექტორად ქართველის დანიშვნაში ამბერის სურს დაინახოს შემობრუნება უკეთესობისკენ ქართული ეკლესიის მართვის საქმეში და ქართველთა უფლების აღიარებაში, ემსახურონ მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს მშობლიურ ქვეყანაში. ამიტომ, მიესალმება რა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ქართული ეკლესიის ცხოვრებაში, ის ამბობს: „იმედს ვიქონიებთ, რომ ქუთაისის სემინარიაშიც და საეგზარქოსოს ყველა სასულიერო სასწავლებელში სასწავლო საქმის სათავეში დააყენებენ მოსწავლეებთან სულისკვეთებით, სისხლით, ენის, ზნე-ჩვეულებებისა და მიდრეკილებების ცოდნით ახლო მდგომ პირებს“.

მაგრამ ამ იმედს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ უწერია მალე აღსრულება... თბილისის სასულიერო სემინარიის ამჟამინდელი რექტორი დეკანოზი კ. კეკელიძე ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე თბილისის საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორად მსახურობდა. აღნიშნული სასწავლებლის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ინსპექტორად კვლავ ქართველის დანიშვნის შესახებ, მაგრამ უარი მიიღო, და, როგორც ქართული გაზეთი „საქართველო“ (№279) ამბობს, გამოირკვა, რომ სემინარიის რექტორად ქართველის დანიშვნის „სასწავლო“ საჭიროებს კომპენსაციას, და რომ ამიტომ, საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორად ქართველის დანიშვნა არ შეიძლება.¹

ქართველი დანიშნულია რექტორად რუსის ადგილზე და ამის კომპენსირება უნდა მოხდეს იმით, რომ უუფლებო ქართველებს წაერთვათ ერთადერთი მათი უფლება, თავიანთი ქალიშვილებისთვის სასწავლებელში ჰყავდეთ ქართველი ინსპექტორი. ნუთუ ეს არის სამართლიანობა?

იტყვიან: სასწავლებლის მოსწავლეთა დაახლოებით ერთი მესამედი არაქართული წარმოშობისაა და არ შეიძლება მათი დასჯა ქართველის დანიშვნით, მაგრამ, პირველ რიგში, ერთ მესამედს შორის უმრავლესობა ასევე არარუსული წარმოშობისაა; და, მეორეც, ნუთუ არაქართული წარმოშობის მოსწავლეთა ერთ მესამედს უნდა შევწიროთ

ორი მესამედი ქართველი გოგონების ინტერესები? ქართველი ინსპექტორის დროს რუსი მოსწავლე გოგონების ინტერესები დაზარალდება? ვფიქრობთ, არა, ვინაიდან თუ უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლება მიღებულ ქართველებს შესწევთ უნარი ემსახურონ ყმანვილების სულიერ-რელიგიური აღზრდის საქმეს რუსულ გუბერნიებში, მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, ისინი უფრო სასარგებლონი უნდა იყვნენ თავიანთ ქვეყანაში და არ იქნებიან საზიანონი საეგზარქოსოს სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა რუსული უმცირესობისთვის.

ხალხის რელიგიური აღზრდის საზიანოდ რატომ უკეტავენ ქართველს გზას, იმსახუროს მშობლიურ ქვეყანაში?

თუ სხვებისთვის საჭირო ხდება „კომპენსაცია“, მაშინ რატომაა იგი სრულიად ზედმეტი და საზიანო ქართველისთვის? რატომ არ მიაჩნიათ საჭიროდ მათაც გაუკეთონ იმ დანაკარგის კომპენსირება, რომელიც განიცადა ქართულმა ეკლესიამ ას წელიწადზე მეტ ხანს საეგზარქოსოს არსებობის მანძილზე?

ქართული ეკლესიის ავტოკეფალია განადგურებულია, დახურულია კათედრები, ჩამორთმეულია საეკლესიო მამულები, წართმეულია წმინდა ადგილები (ბიჭვინთა, ფსირცხა, დრანდა, მოქვი, საფარა, ბოდბე და სხვ.). ქართველებისთვის რით არის ეს ყველაფერი კომპენსირებული? ცხუმელის ნაცვლად (ასე იწოდებოდა ეპისკოპოსი, რომელიც სათავეში ედგა სოხუმის სამღვდლოებას) სოხუმში რუსი ეპისკოპოსი ზის; სოხუმის ეპარქიის ქართველებს ჩამორთმეული აქვთ ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე მოსმენის საშუალება, ქართველთათვის წმინდა სიონის ტაძარშიც (ქ. თბილისშია) კი ქართული ეკლესიის ამჟამინდელი პირველი მღვდელმთავრები – კათოლიკოს-პატრიარქების მოსაყდრეები (მესტობლიუსტიციელი) წირვას ასრულებენ არა ქართველთა ენაზე. რით ხდება ქართველებისთვის ყველაფერ ამის კომპენსირება? განა მხოლოდ იმით, რომ ვინც არ ისურვა ყოფილიყო ყოველივე ამის უტყვი მაყურებელი, ვისაც არ შეეძლო სინდისისა და მოვალეობის წინააღმდეგ ემოქმედა, გადაასახლეს ჩრდილოეთის გუბერნიებში, რომ იმპერიაში დატოვეს ორი უუფლებო ეპისკოპოსი – ქართველი? თუ იმით, რომ ქართული ეკლესიის დაბეჩავებისა და გალატაკების გამო ქართველი ხალხის ემბაზი – ყოველი ქართველისთვის წმინდა მცხეთის საპატრიარქო ტაძარი დანგრევის პირასაა? და კიდევ იმით, რომ ქართველებს ბოდბეს სინმინდე წაართვეს? სინოდი გულმოდგინედ გასცემს სახსრებს, მცხეთის დედათა მონასტერი კი სახსრების უქონლობის გამო სულს ძლივს ღაფავს, მონასტერში სამთავროს ტაძარი ინგრევა...

სემინარიები, სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლები და საეკლესიო-სასკოლო ინსპექცია, მცირე გამოწვლიის გარდა, მთლიანად არაქართველებისგან შესდგება: სად არის კომპენსაცია ამის გამო? განა მხოლოდ იმაშია, რომ სკოლებიდან ქართული ენის სათანადო სწავლების ამოღების შედეგად მახინჯდებიან მოზარდი თაობები, ხდებიან უსარგებლონი ხალხისთვის და ყოველივე ამის გამო ხალხი რწმენას კარგავს? ირწმუნებიან, რომ ეს ისტორიაში არნახული (პირველი მსოფლიო – ჯ.გ.) ომი, რომელშიც ქართველებმა დაამტკიცეს ტახტისადმი და რუსეთისადმი ერთგულება, მიზნად ისახავს აგრეთვე მცირე ერების უფლებების დაცვას. ჩვენ კი ამ დროს გვეუბნებიან, რომ რექტორობის კომპენსაციისთვის საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორად ქართველი არ შეიძლება იყოს დანიშნული!

სომხების, პოლონელების, ლიტველების და სხვა არარუსებისგან განსხვავებით, ქართველებს ომის განმავლობაში არავითარი პოლიტიკური მოთხოვნები და სურვილები არ განუცხადებიათ, რადგანაც ეგონათ, რომ მამულისთვის საერთო საფრთხის პირობებში არადროულია პოლიტიკური საკითხებით მეტროპოლიის შეწუხება.

არ დადგა ჟამი, მოხდეს ქართველებისთვის სისხლის კომპენსირება, რომელიც მათ დაღვარეს და ღვრიან რუსებისთვისაც და ქართველებისთვისაც საერთო სამშობლოსთვის?...

ქართული ეკლესიის კანონიკური უფლებები ქართველებს სულიერ-რელიგიური განვითარების უფლებას აძლევს. ამას მოითხოვს სამართლიანობა. ქართველები თავიანთი

შენიშვნა:

1. ამის შესახებ ნათქვამია ვინმე „ხოსროიანი“-ს ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილში „საეპარქიო სასწავლებლის საქმეებისა გამო“. – საქართველო, 1916, 14 ქრისტეშობისთვე, №279 (ჯ.გ.).

СТРАННАЯ КОМПЕНСАЦИЯ (По поводу положени дел в Грузинском экзархате)

Амбери в статье своей под заглавием: «Безправие грузинских епископов и духовных училища экзархата» (в «Петроградских Ведомствах») в назначении ректора Тифлисской духовной семинарии грузина хочет видеть поворот к лучшему в деле управления Грузинской Церковью и признания за грузинами права служения делу воспитания подрастающего поколения в родной стране. Поэтому, приветствуя это выдающееся событие в жизни Грузинской Церкви, он говорит:

«Будем надеяться, что и в Кутаисской семинарии, и во всех духовных училищах во главе учебного дела будут поставлены лица, близкия по духу, крови и пониманию языка, обычаев и наклонностей учащихся».

Но этой надежде, как видно, еще не скоро суждено осуществиться...

Нынешний ректор Тифлисской духовной семинарии, протоиерей К. Кекелидзе до своего назначения на эту должность состоял инспектором Тифлисскаго епархиального училища. Совет означеннаго училища возбудил ходатайство о назначении инспектором опять грузина, но получил отказ и, как говорит грузинская газета «Сакартвело» (№279), выяснилось, что «чудо» назначения грузина ректором семинарии требует компенсации, и что поэтому инспектором епархиального училища нельзя назначить грузина.

Ректором назначен на место русскаго грузин, и это нужно компенсировать тем, чтобы отнять у безправных грузин единственное их право иметь для своих дочерей в училище инспектора- грузина?! Справедливо-ли это?

Скажут: около одной трети учащихя в училище _ негрузинскаго происхождения, и их нельзя наказывать назначением грузина. Но, во-1-х, в числе одной трети большинство _ также нерусскаго происхождения; и во – 2-х, неужели одной трети учащихя негрузинскаго происхождения нужно жертвовать интересами 2/3 грузинок? При грузине _ инспекторе пострадают-ли интересы русских учениц? Думается, нет, ибо, если грузины, кончившие высшее богословское образование, способны служить делу духовно-религиознаго воспитания юношества в русских губерниях, то, нужно полагать, они еще больше должны быть полезными в своей стране и не могут быть вредными для меньшинства русских учащихя в духовно- учебных заведениях экзархата.

Для чего же в ущерб интересам религиознаго воспитания народа преграждать грузинам дорогу к служению в родной стране?

Если другим нужна бывает компенсация, то почему совершенно излишна и вредна она для грузин? Почему не находят нужным и им компенсировать ту утрату, которую Грузинская Церковь понесла за сто с лишним лет существования экзархата?

Уничтожена автокефалия Грузинской Церкви, закрыты кафедры, отобраны церковныя имена, отняты святыни (Пицунда, Псырцха, Дранда, Мокви, Сафара, Бодбе и др.). Чем все это компенсировано грузинам? Вместо Цхумели (так назывался возглавлявший Сухумское духовенство епископ) в Сухуме сидит русский епископ; грузины Сухумской епархии лишены возможности слышать богослужение на родном языке, даже в священном для грузин

Сионском соборе (в г. Тифлисе) нынешние первосвященники Грузинской Церкви, _ местоблюстители Католикоса _ Патриарха, службу совершают не на языке грузин. Чем же все это компенсируется грузинам? Разве только тем, что не желавших быть безгласными зрителями всего этого, неумевших действовать против совести и долга выселяли в северные губернии, что в Империи оставили двух безправных епископов-грузин? Или тем, что купель грузинского народа _ священный для всякого грузина Мцхетский патриарший собор близок к разрушению вследствие обездоленности и обеднения Грузинской Церкви? И еще разве тем, что отнята у грузин святыня Бодбийская? Синод усердно отпускает средства, а Мцхетский женский монастырь вследствие отсутствия средств еле влачит свое существование и Самтаврский собор в монастыре разрушается...

Преподаватели семинарий, духовных училищ и церковно-школьная инспекция, за весьма малым исключением, вся состоит не из грузин: где компенсация тому? Разве только в том, что вследствие изгнания из школ должного преподавания родного языка, калечатся подрастающие поколения, делаются бесполезными для народа, и, вследствие всего этого, народ обезверивается?

Уверяют, что эта небывалая в истории война, в которой грузины доказали свою верность Престолу и России, имеет целью также защиту прав малых народностей. И в это же время нам говорят, что для компенсации ректорства не может быть назначен инспектором епархиального училища грузин!

Грузины, в отличие от армян, поляков, литовцев и других инородцев, не заявляли за время войны никаких политических требований и пожеланий, полагая, что, в момент общей для Отечества угрозы, несвоевременно тревожить метрополию политическими вопросами.

Не пришло время компенсировать грузинам кровь, которую они пролили и проливают за общее и для русских, и для грузин Отечество?..

Канонические права Грузинской Церкви предоставляют грузинам право свободного духовно-религиозного развития. Этого требует справедливость. Грузины ждут восстановления погрязших прав своей Церкви.

Korenbedieli.

Петроградские Ведомости, 1917, 28 января, (10) Феврала, №19.

10. სოხუმელი საქმოსნები (პასუხად დეკანოზ ივანოვს)

„პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ს №213 მოთავსებულმა ჩემმა წერილმა ნაწილობრივ მიზანს მიაღწია. მან გამოაშკარავა, რომ დეკანოზი ავრამ ივანოვი არის ერთ-ერთი თავგამოდებული ქართველთმოდულე და სოხუმის ეპისკოპოსების შთამაგონებელი ყოველივე ქართულის დევნაში. ამიერიდან ვიცი, რომ ისიც, ეროვნებით ბერძენი, არის რეგიონის რუსიფიკაციის ძლიერი ქომაგი. წერილობით ხომ არ გამოვლენ კიდეც სხვა სოხუმელი საქმოსნები? მტრების ცოდნა აუცილებელია მათთან ბრძოლაში წარმატების მისაღწევად.

ჩემს წერილში არა მარტო არ მითქვამს რაიმე შეურაცხმყოფელი ბერძნებისთვის, არამედ, პირიქით, ვცდილობდი დამეცვა მათი რელიგიური ინტერესები და წამექეზებინა დეკანოზი ივანოვი, რათა მათთვის ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე შეესრულებინა. ვფიქრობდი, რომ დეკანოზი ივანოვი არის სოხუმის ეპარქიის მართვის სისტემის მსხვერპლი და თუ ის, „სასაფლაოს ეკლესიის მრევლისთვის აუცილებელი რუსული, ქართული, ბერძნული და თურქული ენების მცოდნე“, ბერძნებისთვის ნირვას მათ მშობლიურ ენაზე არ ასრულებს, მაშინ ეს დამოკიდებულია იმ გამარუსებელ სისტემაზე, რომელიც ახრჩობს აფხაზეთში მაცხოვრებელი ხალხების სარწმუნოებას; მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი თავად არის რუსიფიკატორული იდეების ენერგიული მატარებელი. აი, პირდაპირ რატომ არ პასუხობს ის ჩვენს გაოცებაზე: „ასრულებს თუ არა იგი ღვთისმსახურებას ბერძნულ

ენაზე“, მაგრამ ეპისკოპოს სერგის და მღვდელ გვაზავას დაცვა იკისრა. უკანასკნელი – „სრულწლოვანია“ («в совершенных летах») და, თუ ის მართალია, შეუძლია დაიცვას თავისი მოძღვრული მოღვაწეობის ხასიათი. მაინც დიდ მადლობას მოვასხენებთ სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის წინამძღვარს დეკანოზ ივანოვს, რომ მან თავისი ნამდვილი ფიზიონომია გვიჩვენა.

რას წარმოადგენს დეკანოზ ივანოვის საპასუხო წერილი („პეტროგრადსკიე ვედომოსტი“, №20)? ეს არის ნათელი ნიმუში იმისა, როგორ არ შეიძლება და არ არის საკადრისი წერა. აქ-სხვისი აზრებისა და სოხუმის ეპარქიაში არსებული ნამდვილი ვითარების სრული დამახინჯებაა; აქ – პირფერობა და მათემატიკაა; აქ ყველაფერი ქართველებისადმი სიძულვილით სუნთქავს.

ავტორი ამბობს, რომ მე (დეკანოზი ივანოვი ანონიმურ ავტორს მიწოდებს, მაგრამ, ვფიქრობ, „ფსევდონიმსა“ და „ანონიმს“ შორის არსებითი განსხვავებაა) სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შემოღებას მოვითხოვ და ამ მოთხოვნის გამართლების მიზნით მომყავს „გაბერილი ციფრები, რათა დავამტკიცო, რომ სოხუმელ რუსებს, ბერძნებსა და სხვებს შორის ქართული ეროვნება ჭარბობს“. უარყოფს რა ჩემს მოსაზრებებს და ჩემს ციფრებს, ის ამბობს რომ ქართველები, საერთოდ, ქალაქში ცოტანი არიან, მაგრამ ცხოვრობენ მეგრელები, რომლებიც მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ“ (დეკანოზი ავრაამ ივანოვი. სოხუმის ეპარქიაში საქმის ვითარების შესახებ. – პეტროგრადსკიე ვედომოსტი, 1917, 29 იანვარი/1 თებერვალი, №20 – ჯ.გ.). ვინმე «П.И.» კი, რომელშიც, წერილის ხასიათის გათვალისწინებით (П.И.წერილი სოხუმიდან. – პეტროგრადსკიე ვედომოსტი, 1917, 31 დეკემბერი/13 იანვარი, №257 – ჯ.გ.), უფრო მაინც იმავე დეკანოზ ივანოვს ვხედავ, ეყრდნობა რა შაქრის გასანაწილებლად ჩატარებულ რაღაც აღწერას, სოხუმში ქართველთა რაოდენობა 4000 სულამდე დაჰყავს («Петроградские Ведомости», 1916, №257). არ ვიცი, რამდენად სამართლიანია დეკანოზ ივანოვის მტკიცება, მაგრამ ერთი რამ სწორია – კორენბედიელმა თავისი მონაცემები სოხუმის მოსახლეობის შესახებ ოფიციალური დოკუმენტიდან ისესხა. ეს დოკუმენტი სიტყვა-სიტყვით შემდეგს გვეუბნება: „სოხუმის საქალაქო გამგეობის მიერ 1912 წელს ჩატარებული ერთდღიანი აღწერის მიხედვით, ქ. სოხუმის მთლიანი მოსახლეობა შეადგენს 24072 მაცხოვრებელს, რომელთა შორის 16840 სული ქართველია, ქალაქგარეთ კი, უპირატესად ქართველი მოიჯარეებით დასახლებულ ქალაქისთვის გადაცემულ მიწებზე 3 ათასამდე მართლმადიდებელი ქართველია“. მათსადამე, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სოხუმში და ქალაქის მიწებზე 1912 წ. 19840 სული ქართველი ცხოვრობდა. ამ რაოდენობას უნდა მიემატოს დროებითი მაცხოვრებლებიც, აგრეთვე ქალაქის ადგილ-მამულების მიღმა მცხოვრები ქართველები, რომლებსაც რელიგიურად სოხუმის საკათედრო ტაძრის კრებული ან, შესაძლოა, მრევლისთვის საჭირო ენების მცოდნე სასაფლაოს ეკლესიის წინამძღვარი ემსახურება, და მაშინ ჩვენ მივიღებთ ქართველთა საერთო რაოდენობას დაახლოებით 24 ათასს. დეკანოზ ივანოვს ეჭვი თუ შეეპარება ამ 1912 წლის მონაცემების სისწორეში, დაე შეინუხოს თავი, რათა ქალაქის გამგეობაში ზუსტი ცნობები მიიღოს.

არ ვდაობ, ქ. სოხუმში ქართული მოსახლეობა შეიძლებოდა და უნდა შემცირებულიყო კიდევაც 1916 წელს, მაგრამ მაინც, ვფიქრობ, არა იმდენად, რომ დეკანოზ ივანოვის მტკიცება სწორად და უპირობო ნდობის ღირსად მივიჩნიოთ. ეს შემცირება შეიძლებოდა მომხდარიყო დღევანდელი სახელის დამოკიდებულებით მიზეზებით. ქართველებმა, როგორც ეს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, გულთან ახლოს მიიტანეს მათთვის და რუსებისთვის საერთო სამშობლოს ინტერესები. ისინი ნებაყოფლობითაც და განვევითაც ხალხით წავიდნენ თავიანთი სამოქალაქო მოვალეობის მოსახდელად, სამშობლოს მტრებთან საბრძოლველად. ეჭვს გარეშეა, იგივე უნდა ითქვას ქ. სოხუმის ქართველობაზეც. თურქეთის ქვეშევრდომებს კი, ალბათ, ასეთ მოვალეობაზე ფიქრის აუცილებლობა არ ჰქონდათ, და ჩვენი საქმე არ არის იმაზე საუბარი, რამდენად არიან ისინი დაინტერესებული რუსული იარაღის წარმატებაში.

ავტორი ამტკიცებს, რომ „კორენბედიელი, განზრახ ურევს რა ქართველებში მეგრე-

ლებს, სამურზაყანოელებსა და აფხაზებს, უსაფუძვლოდ აცხადებს, რომ ყველა ამ ხალხს ესმის ქართული ენა“.

მამა ივანოვს არავინ ეკითხება, რომელ ეროვნებას უნდა მივაკუთვნოთ მეგრელები და სამურზაყანოელები! სოხუმის ეპისკოპოსები, ივანოვისა და სხვა მათი შთამაგონებლების მსგავსად, არა თუ სამურზაყანოელებსა და მეგრელებს, არამედ ქართლელებსაც, იმერლებსაც და გურულებსაც ცალკე ეროვნებად მიიჩნევდნენ (საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საქმე, 1898 წ., №68).

მეგრელებსა და სამურზაყანოელებს მე კი არ ვურევ ქართველებში, არამედ მივიჩნევ, რომ ისინი ქართველ ეროვნებას მიეკუთვნებიან. ამიტომ ავტორი ნუ შენუხდება, რათა მღვდელი გვაზავა საკუთარი დაცვის ქვეშ აიყვანოს. წინასწარი განზრახვის არმქონე და მიუკერძოებელი ყოველი ადამიანი იტყვის, რომ მეგრელს თავისი მშობლიური ლიტერატურული ენის ცოდნა სჭირდება ზუსტად ისე, როგორც ყოველმა ბერძენმა, რომელიც თურქულ ან ხალხურ, დამახინჯებულ ბერძნულ ენაზე საუბრობს, არ უნდა უგულვებელყოს საკუთარი ლიტერატურული ენის შესწავლა, მხოლოდ თუ არ სურს იყოს რენეგატი.

რაც შეეხება ავტორის რწმუნებას, თითქოს მე ვამტკიცებდე, რომ აფხაზებმა ვითომ იციან ქართული ენა და ამიტომ მათთვის ღვთისმსახურება ქართულად უნდა სრულდებოდეს, ეს არის დაუშვებელი და საძრახისი ცილისწამება. ასეთი რამ მე არსად მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა. ავტორი მსგავს რამეს ჩემს წერილში ვერ მიუთითებს. რატომღა დასჭირდა მას ტყუილისთვის მიემართა?

მართალია, მსგავსი ავტორებისთვის „სიცრუე – გადამრჩენი მხედარია“ («ЛОЖЬ-КОНЫ ВО СПАСЕНИЕ»), მაგრამ დასაშვებია კი ეს ზოგადად და განსაკუთრებით მისი ხარისხის მქონე ადამიანებისათვის? ყოვლადსამღვდელო სერგი ამტკიცებდა, რომ „ილორის ეკლესიის მრევლი მიმართავდა მას თხოვნით მათთვის აფხაზი მღვდლის დანიშვნის შესახებ, ვინაიდან აფხაზებმა, ილორის ეკლესიის მრევლმა, ქართული ენა არ იცის“. მე კი მას ვპასუხობდი, რომ ეს შეუძლებელია, რადგანაც „ილორში ერთი ოჯახიც არ არის, სადაც აფხაზურ ენაზე საუბრობენ“. მაგრამ ნიშნავს კი ეს, რომ აფხაზებმა იციან ქართული? სამეცნიერო ავტორიტეტზე დაყრდნობით, მე ვამბობდი, რომ აფხაზური ენა ქართულის მონათესავეა. მაგრამ ამის გამო შეიძლება მე მომანერონ მტკიცება, რომ ამ ენებს შორის განსხვავება არ არის? მე კი ვამტკიცებდი, რომ აფხაზთა წინაპრები რელიგიის სფეროში მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართველებთან, რომ ამის შესახებ მონიშნა აფხაზეთის ქრისტიანული ძეგლები, რომ აფხაზეთი იქ ქრისტიანობის გავრცელებიდანვე ეკლესიურად შეადგენდა ერთ განუყოფელ მთლიანობას საქართველოსთან, და რომ ეს რელიგიური კავშირი არ უნდა დაინგრეს, რადგანაც ეს იქნება, ერთის მხრივ, ანტიკანონიკური, ხოლო მეორეც – შეუძლია ზიანი მოუტანოს მართლმადიდებლობას აფხაზეთში. მაგრამ შეიძლება აქედან გაკეთდეს დასკვნა, რომ მოვითხოვ აფხაზეთისთვის ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულებას?

არა, ქართველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი, როგორც ამის შესახებ ისტორია მოწმობს, ყოველთვის გამოირჩეოდნენ ფართო შემწყნარებლობით, გამსჭვალულები იყვნენ იდეით, რომ აუცილებელია ყველა ხალხი რელიგიურ მოძღვრებას საკუთარ ენაზე ეუფლებოდეს და სწავლობდეს. ამიტომ ქართველთაგან არავის გაუხდია სადაოდ აფხაზთა უფლება მათთვის მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებისა. პირიქით, ვფიქრობთ, დეკანოზ ივანოვისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი, რომ ყოვლადსამღვდელო კირიონმა სოხუმის კათედრაზე ხანმოკლე ვადით ყოფნისას მოასწრო საღმრთო წერილისა და საღვთისმსახურო წიგნების აფხაზურ ენაზე თარგმნის ორგანიზაციის საქმის დაწყება, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, სოხუმელი „საქმოსნები“ ამ დამსახურებას სხვებს მიაწერენ.

დაე, ავტორმა წაიკითხოს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების 1868 და 1873 წლების ანგარიშები და ის დაინახავს რა აზრისა იყო ამაზე მარად სახსოვარი ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), როგორი დაბეჯითებით შუამდგომლობდა იგი, რათა თბილისის სასულიერო სემინარიაში დაეფუძნებინათ აფხაზური ენის კათედრა აფხაზეთისთვის სამ-

ღვედლო კანდიდატების მოსამზადებლად.¹

სასაფლაოს ეკლესიასთან დაკავშირებით ავტორი ადასტურებს ჩემს დებულებას. ბერძენი სკამარანტის² შესახებ ცნობები არ გამაჩნია; მაგრამ, როგორც საეგზარქოსო კანცელარიის საქმეებიდან ჩანს, სოხუმელმა მეგრელებმა – ადამიანებმა, რომლებიც დეკანოზ ივანოვის ახლანდელი შეფასებით, ღვთის ტაძრებს არ საჭიროებენ, 1868 წელს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) სთხოვეს ეშუამდგომლა, რათა მათთვის (ამ ეკლესიის განახლების) ნებართვა მიეცათ (საეგზარქოსო კანცელარიის 1866-1869 წლების საქმე, №41, ეპისკოპოს ალექსანდრეს მოხსენება ეგზარქოსისადმი, №67). ბერძენს კი ამასთან დაკავშირებით არავითარი პრეტენზია არ განუცხადებიათ და, ალბათ, იგი მათ არ ეკუთვნოდა ან არ სჭირდებოდათ (ibid, მოხსენება №87). ეპისკოპოსმა ალექსანდრემ კი გადაწყვიტა მისი განახლება საკუთარი სახსრებით „ხელმწიფე იმპერატორის სიცოცხლის ორჯერ (1866წ. 4 აპრილს და 25 მაისს) სასწაულებრივი გადარჩენის³ მოსახსენებლად (ibid, მოხსენება, №191), რისთვისაც დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მადლობა მიიღო (ibid, №3778). თვით ქართველებმა ისურვეს თავიანთი სამრევლო ეკლესიისთვის სასაფლაოს ეკლესია ენოდებინათ (ibid, მოხსენება, №191). აღნიშნული ეკლესიისთვის საღვთისმსახურო წიგნები, წმინდა ჭურჭლეულობა და სხვა საეკლესიო ნივთები ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თავისი სახსრებით შეიძინა (ibid, 1868წ, №139). ამიტომ ავტორს ამის შესახებ ეჭვი არ უნდა შეეპაროს. მაგრამ აი, რა არის საინტერესო:

მამა ივანოვი ამტკიცებს, რომ ქართველ მღვდლებს მხოლოდ საეკლესიო წესების შესრულებიდან მიღებული შემოსავლებით ცხოვრება არ შეეძლოთ და ამიტომ, სხვა წყაროების უქონლობის გამო, სამრევლო დახურეს. როგორც კი სასაფლაოს ეკლესიას შტატი ისევ დაუმტკიცეს და სახსრებიც გამოჩნდა, მაშინ უკვე საჭიროდ არ ჩათვალეს ქართველის დანიშვნა და (საკათედრო) ტაძრიდან ბერძენი გადმოიყვანეს. მაშასადამე, ქართული სამრევლო დიხხურა იმისთვის, რომ გაეხსნათ იგი როგორც ინტერნაციონალური, უფრო სწორად, რუსული სამრევლო, რადგანაც ეს უფრო შეესაბამებოდა რეგიონის გამარუხებელთა შეხედულებებს.

მოაქვს რა ცნობები მეტრიკებიდან, ავტორი ამბობს: „მკითხველი ხედავს, რამდენად არის სამრევლო ქართული. შეიძლება, – აგრძელებს იგი, – მოგვეტანა სხვა ცნობებიც ავტორის საჩივრების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად, მაგრამ, ვფიქრობ, მეტრიკებიდან მოტანილი მონაცემები საამისოდ საკმარისია.“ ძალზე უცნაური მსჯელობაა! ქართველებს ჰქონდათ ეკლესია, მის გალავანში (в ограде ея) ბერძენებმა და რუსებმა დაიწყეს თავიანთი მიცვალებულების დაკრძალვა; მათვე დაიწყეს ამ ქართული სამრევლოს მღვდლის მოწვევა საეკლესიო წესების შესასრულებლად; მაშასადამე, ეკლესია მესაკუთრეებს უნდა წაართვა? სოხუმში ბერძენები ახლა თავიანთ ეკლესიას აშენებენ, შტატი გაიხსნება. შესაძლოა, დეკანოზი ივანოვი, როგორც ბერძენი, იქ გადაიყვანონ, მაგრამ მას, როგორც „ბერძენული, რუსული, ქართული და თურქული ენების“ მცოდნეს, შუძლია თავის ეკლესიაში მოიზიდოს რუსები და ქართველები, რომლებიც ბერძენებზე ბევრად მეტნი არიან სოხუმში. მაშასადამე, მამა ივანოვის მორალის მიხედვით, დასაშვებია რუსებისა და ქართველების მიერ ბერძენული ეკლესიის დაუფლების შესაძლებლობა. ჩვენ კი ეს ყოველად დაუშვებლად მიგვაჩნია.

მოძღვარი – ქართველოფობი ძალიან კმაყოფილია, რომ ბერძენები არ ჩივიან (საკათედრო) ტაძარში ღვთისმსახურების სლაჟურ ენაზე შესრულების გამო. „ბერძენებმაც არ იციან იგი (სლაჟური – ჯ.გ.), ამასთანავე, აკურატულად მოდიან ტაძარში, მხოლოდ მეგრელებს არ უნდათ იქ სიარული“, წერს ის, – და სვამს კითხვას: „ნუთუ აქაც ეპისკოპოსია დამნაშავე“. მაგრამ მამა ივანოვი სცოდავს ჭეშმარიტების წინაშე, რადგანაც თავად ყოვლადსამღვდელო, ალბათ, ბერძენების თხოვნით, არანორმალურად მიიჩნევს მათთვის ღვთისმსახურების სლავიანურ ენაზე ჩატარებას და ამიტომ გასცა განკარგულება, რომ მათთვის ადრეული ლიტურგია მღვდელმა პროტოპოპოვმა შეასრულოს («Петроградские Ведомости,» 1916, №205). ეტყობა, ივანოვი ამის გამო უკმაყოფილოა და, ალბათ, ამიტომაც ეს მიაჩმიათ. ის ამტკიცებს, რომ ქართველებისთვის ჯვრის ეკლესიაში მსახურობს

მღვდელ-მონაზონი თეოფილე,⁴ რომელიც დიდი ხანია ბედიში (ქ. სოხუმიდან 70 კილომეტრში) ცხოვრობს. ისევ ვსვამ კითხვას: „მღვდელი გვაზავა ქართულ ენაზე ასრულებს თუ არა ღვთისმსახურებას, ქადაგებს თუ არა თავის მრევლში, ცდილობს თუ არა დაიყოლიოს ისინი ეკლესიაში სიარულზე“. ეს არსებითად აუცილებელია, ხოლო მღვდელმონაზონ თეოფილეს, რომელიც ადრე ჯვრის ეკლესიაში მსახურობდა, არა აქვს საკმარისი განათლება იმისთვის, რათა შესძლოს თავისი ქადაგებით მღვდელ გვაზავას მრევლის დარიგება. ამიტომ მე ახლაც ვიმეორებ ნათქვამს: „ერთი საეკლესიო წესის შესრულებით შემოფარგვლა არ შეიძლება: მორწმუნეთათვის საჭიროა ტაძრები, ღვთისმსახურება, მათთვის გასაგებ ენაზე დამრიგებლური ქადაგებები. სხვანაირად მორწმუნეები იქამდე მივლენ, რომ ვერ იგრძნობენ აღსარებისა და სიკვდილის წინ წმინდა საიდუმლოს მიღების აუცილებლობასაც კი: შესაბამისად, ამის თაობაზე საჩივრები და განცხადებები არ შემოვა და ფორმალურად ყველაფერი რიგზე იქნება... ამით თვითდამშვიდება სახიფათოა!“⁵ ასე ვპასუხობდით სოხუმის ეპისკოპოსსაც, რომელიც „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ს მკითხველებს არწმუნებდა, რომ წმინდა საიდუმლოს მიღების გარეშე ქართველთა გარდაცვალების შემთხვევები არ ყოფილა, რადგანაც ამის შესახებ განცხადებები მასთან არ შემოსულა.⁶ ახლა კი მამა ივანოვისთვის საკმაოდ ნაცნობი ავტორი ჩვენ გვეუბნება, რომ „ქრისტიანი ქართველები, რომლებიც არ დადიან ტაძარში, გარდაიცვლებიან ქრისტიანული მონანიების გარეშე ან იმიტომ, რომ დროზე არ ინვევენ მღვდელს წმინდა საიდუმლოს მისაღებად, ან ინვევენ მაშინ, როცა ავადმყოფი კარგავს გრძნობას და მისი ზიარება არ შეიძლება,“ და რომ ამაში „**გასაკვირი არაფერია**“ („პეტროგრადსკიე ვედომოსტი“, №257. ხაზგასმა ჩვენია).

სოხუმელი „საქმოსანი“ საფუძვლიანად უარყოფს თავის მეუფეს.

შემდეგ, ავტორი ძალზე უცნაურად ასაბუთებს სოხუმის კათედრაზე რუსი ეპისკოპოსების დაცვას და მათ მიერ სამწყსოს ენის არცოდნის გამართლებას. „სოხუმის ეპისკოპოსები თავიანთ ქვეყანაში არიან და თავისი ხალხისთვის, – ამბობს იგი, – ტაძარში ღვთისმსახურება სლავიანურ ენაზე უნდა ჩაატარონ საამისოდ ქართველთა მხრიდან კურთხევისა და ნებართვის საჭიროების გარეშე.“

რამდენად უნდა იყოს ადამიანი დაბრმავებული ხალხისადმი სიძულვილით (ამ შემთხვევაში ქართველებისადმი), რომ ასეთი აბსურდი თქვას! სოხუმის ეპისკოპოსები თავიანთ ქვეყანაში იმყოფებიან, განა ჩვენ საკუთარ ქვეყანაში არ ვიმყოფებით? ისინი ტაძარში ღვთისმსახურებას ასრულებენ თავისი... ჩვენ კი ვისი ხალხი ვართ? „სოხუმის ეპისკოპოსები, – ამბობს იგი, – ღვთისმსახურებას სლავიანურ ენაზე ასრულებენ თავისი რუსი ჯარისკაცების, ოფიცრების, ჩინოვნიკების, ხელოსნებისა და მზარეულებისთვის“. დაე, ავტორი ნუ გვართმევს უფლებას, ამ რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებსაც, სიტყვამ მოიტანა, სოხუმში საკუთარი ეკლესია აქვთ,⁷ ვუნდოთ ჩვენი ჯარისკაცები. ჩვენ არა ვართ თურქეთის ქვეშევრდომები და თურქეთიდან გამოსულები, რომ ისინი თავისიანებად არ ჩავთვალთ. უფრო მეტიც, ქრისტიანული ძმათამოყვარებით, ჩვენ რუს ხელოსნებსაც და მზარეულებსაც ჩვენთანებად მივიჩნევთ, როგორც ერთმორწმუნეებს და როგორც ერთიანი სამშობლოს – დიდი რუსეთის შვილებს.

გარდა ამისა, დაე თქვას მამა ივანოვმა, რომელი საღმრთო და ადამიანური კანონების მიხედვით უნდა გაავლოს ზღვარი ეპისკოპოსმა თავისი სამწყსოს წევრებს შორის: ერთნი მიიჩნიოს თავისიანებად, მეორენი კი – არათავისიანებად?! დიახ, სწორედ იმაზე მოვთქვამთ ჩვენ, რომ სოხუმის მღვდელმთავრები არ მიგვიჩნევენ თავის „ცხვრებად“, რომ ჩვენზე არ ზრუნავენ, რომ არღვევენ ქრისტეს მცნებას „თავისი სული დადო ცხვრებისთვის“ (იოანე, 10, 11, – ჯ.გ.) და ყოველი ცალკე „ცხვრისთვის“, არ მივყავართ თავიანთ ფარეხში, არამედ იქიდან გვერეკებიან მგლების დასაგლეჯად. ეს ყველაფერი დიდი ხანია ჩვენ უკვე ვიცით, მაგრამ პირველად გვესმის ასე ღიად მოძღვარ-გამარუსებლის ბაგეთაგან. ნუთუ დეკანოზ ივანოვისთვის ნებადართულია ასე შეაფასოს თავისი მწყემსმთავარი? ღმერთო, დაგვიფარე ამგვარი დამცველებისაგან.

დაბოლოს, ავტორი განსაკუთრებით ძლიერად უსვამს ხაზს ქართველთა არარელიგიურობას, მათ სიძულვილს ღვთის ტაძრებში სიარულისადმი და ამის მიზეზს ვარაუდობს

არა იქ, სადაც ის უნდა ეძიო. უშვებს რა, რომ მღვდელი გვაზავა „რენეგატი“ და ქართული საზოგადოების ნდობით არ სარგებლობს, მეორე ავტორი, რომელიც იგივეობამდე ახლოსაა მამა ივანოვთან, სვამს კითხვას: „სხვა ქართველი მღვდლები სამრევლოებში რატომაც არ სარგებლობენ თავისი სამწყსოს (пасомых) ნდობით? ისინი ხომ ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ასრულებენ... საინტერესოა, ეს როგორ უნდა აიხსნას?“ („პეტროგრადსკი ვედომოსტი“, №257).

ამ სამრევლო მღვდლებზე გვექნება საგანგებო საუბარი, ახლა კი რამოდენიმე სიტყვით დავაკმაყოფილებ ავტორის ცნობისმოყვარობას და ვპასუხობთ. ეს აიხსნება იმით, რომ ცუდად ხდება მღვდლების შერჩევა; ხდება იმის გამო, რომ, ალბათ, ზოგიერთი მათგანი ნაკლებად შეეფერება თავის მაღალ დანიშნულებას; იმის გამო, რისთვისაც ერთი ბერძენი მღვდელი საღვთისმეტყველო განათლებით (ა. ივანოვი უნდა იგულისხმებოდეს – ვ.გ.), არ უყვარდა სოფლის ბერძნულ მრევლს, სადაც სოხუმში გადასახლებამდე მსახურობდა; იმის გამო, რისთვისაც მან მიატოვა თავისი სამრევლო საეპარქიო მთავრობის დაუკითხავად, ნებართვის გარეშე და მთელი ექვსი და მეტი თვე სამსახურის გარეშე ცხოვრობდა სოხუმში არა ბერძენთან, არამედ, ამბობენ, რომელიღაც ქართველთან. ასე არ იქცევიან (ღვთის) სიტყვის ფარის (словесного стада) ჭეშმარიტი და იდეური მწყესები. იმისთვის, რომ საძულველი თვისტომი სამრევლო რუსულზე ან სხვისტომზე გაცვალოს, ცრუ მწყემსს სჭირდება პირფერობა იმათთან, რომლებზეც ისინი არიან დამოკიდებული. და ასეთი ადამიანები ტალახს ესვრიან მთელს ხალხს და მთელს მის სამღვდელოებას! ყველას არ შეუძლია გამოვიდეს სხვათა მხილებით მანამდე, სანამ თვითონ არ განინიშნდება.

„აქიმო, თავად განიკურნე!“

კორენბედიელი.

შენიშვნები:

1. იხ. წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, გვ. 279-280, 389 (ვ.გ.).
2. სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის ფორმულიარებში აღნიშნულია, რომ თავდაპირველად ის აშენდა 1821 (და არა 1810 წ., როგორც ა. ივანოვი წერდა) წელს ბერძენი ვაჭრის გ. სკარდანას სახსრებით; 1868 წელს ტაძარი ნამდვილად განაახლა ეპ. ალექსანდრემ, რის შემდეგაც მას სასაფლაოს ეკლესია ეწოდა (ვ. გამახარია. აფხაზეთის და მართლმადიდებლობა, გვ. 859). მღვდლებად მსახურობდნენ ტიმოთე სახოკია (თედო სახოკიას მამა), იოსებ ტიტვინიძე, ბოლოს – ლუკა ობოლაძე (1887-1890წწ.) (ვ.გ.).
3. ალექსანდრე მეორეზე პირველი თავდასხმა მოხდა 1866წ. 4 აპრილს პეტერბურგში (განახორციელა დ. კარაკოზოვმა), მეორე თავდასხმა 1867წ. 25 მაისს პარიზში (განახორციელა ა. ბერეზოვსკიმ) (ვ.გ.).
4. იგულისხმება მღვდელმონაზონი თეოფილე შავდია (იხ. მის შესახებ: წმ. მღვდელმონაშე კირიონ II და აფხაზეთი, გვ. 350) (ვ.გ.).
5. იხ. აქვე ამბროსი ხელაიას სტატია: „პასუხად ყოვლადსამღვდლო სერგის“.
6. ეპ. სერგის წერილი „პეტროგრადსკი ვედომოსტი“ (1916, 13/26 ოქტომბერი, №205). – წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 576-577 (ვ.გ.).
7. 1898წ. ივლისში სოხუმის პოლკს მუდმივი სარგებლობისთვის გადაეცა სოხუმის საკათედრო ტაძარზე მიწერილი მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც იმავე პოლკის დროებით სარგებლობაში იყო 1884 წლიდან (სცსსა, ფ.489, აღწ.1, ს. 45282, ფ.1, 4-8) (ვ.გ.).

СУХУМСКИЕ ДЕЛЬЦЫ (В ответ протоиерею Иванову)

Моя статья, помещенная в №213 «Петроградских Ведомостей», отчасти уже достигла своей цели. Она обнаружила, что протоиерей Авраамий Иванов является одним из ярых ненавистников грузин и вдохновителем Сухумских епископов в преследовании всего грузинского населения.

зинского. Отныне знаем, что и он, по национальности-грек, является сильным поборником русификации края. Не выступят ли печатно и другие сухумские «дельцы»? Знание врагов необходимо для успеха в борьбе с ними.

Я в своей статье не только не высказал ничего оскорбительного для греков, но, напротив, старался защищать их религиозные интересы и побудить протоиерея Иванова служить для них на родном языке. Думалось, что протоиерей Иванов-жертва системы управления Сухумской епархией, и что, если он, «знающий, русский, грузинский, греческий и турецкий языки, нужные для прихожан кладбищенской церкви», не служит для греков на их родном языке, то это зависит от той обрусительной системы, которая душит веру народностей Абхазии; но оказалось, что он сам деятельный носитель русификаторских идей. Вот почему он не отвечает прямо на наше недоумение: «совершает ли он богослужение на греческом языке», а взялся защищать епископа Сергия и священника М. Гвазава. Последний сам- «в совершенных летах» и может выступить в защиту характера своей пастырской деятельности, если только прав. Все же, приносим глубокую благодарность настоятелю Сухумской кладбищенской церкви, протоиерею отцу А. Иванову, что он показал нам свою подлинную физиономию.

Что представляет ответная статья протоиерея Иванова («Петроградские Ведомости», №20)? Это – яркий образец того, как непозволительно и не подобает писать. Здесь – сплошное извращение чужих мыслей и истинного положения вещей в Сухумской епархии; здесь – подслуживание и угодничество; здесь все дышит ненавистью к грузинам.

Автор говорит, что я (протоиерей Иванов меня называет анонимным автором, но, думается, между «псевдонимом» и «анонимом» есть существенное различие) требую богослужения в Сухумском кафедральном соборе на грузинском языке и что, для оправдания этого требования, привожу «дутья цифры, чтобы доказать, что грузинская народность в Сухуме является преобладающей среди русских, греков и других». Опровергая меня и мои цифры, он говорит, что «грузин, вообще, в городе мало, а живут мингрельцы, составляющие меньшинство жителей». Некий же «П. И.», в котором, принимая во внимание характер письма, я склонен видеть того же протоиерея Иванова, основываясь на какой то переписи для распределения сахара, число грузин в Сухуме низводит до 4000 душ («Петроградские Ведомости» 1916г., №267). Не знаю, насколько справедливо уверение протоиерея Иванова, но одно то верно, Korenbedieli свои данные о населении г. Сухуми позаимствовал из официального документа. Этот документ слово в слово нам говорит следующее: «По произведенной Сухумской городской управой в 1912 году однодневной переписи, всех постоянных жителей в г. Сухуме – 24.072, из коих грузин-16.840 душ, за чертою же города, на городских надельных землях, населенных преимущественно грузинами-арендаторами, до 3 тысяч православных грузин». Следовательно, по официальной статистике, в Сухуми и на городских землях в 1912 г. было грузин 19840 душ. К этому числу нужно прибавить и временно проживающих, а также живущих за чертою городских владений грузин, религиозно обслуживаемых причтом Сухумского кафедрального собора, а, может быть, и настоятелем кладбищенской церкви, знающим языки, нужные прихожанам, и тогда мы получим общее число грузин около 24 тысяч. Если протоиерей Иванов усомнится в верности этих сведений за 1912 г., пусть потрудится получить точные сведения в городской управе.

Не спорю, грузинское население в г. Сухуме могло и должно было уменьшиться в 1916 г., но, все же, думается, не настолько, чтобы уверение протоиерея Иванова считать правильным и заслуживающим безусловного доверия. Это уменьшение могло произойти по причинам, зависящим от переживаемого времени. Грузины, как и нужно было ожидать, очень близко к сердцу приняли интересы общего для них и русских Отечества. Они и добровольно, и по призыву охотно пошли исполнять свой гражданский долг, сражаться с врагами Отечества. Это же, нет сомнения, нужно сказать и о грузинах г. Сухума. Турецко-поданным же выходцам, вероятно, не было нужды думать о своем долге, и не наше дело говорить о том, насколько они заинтересованы в успехе русского оружия.

Автор уверяет, что «Коренбедиели, намеренно смешивая мингрельцев, самурзаканцев и абхазцев с грузинами, голословно заявляет, что все эти народности понимают грузинский язык».

Не отцу Иванову судить о том, к какой народности отнести мингрельцев и самурзаканцев! Сухумские епископы, подобно отцу Иванову и другим их вдохновителям, не только самурзаканцев и мингрельцев, но даже карталинцев, имеретин и гурийцев считают отдельными национальностями (Дело Грузино-Имеретинской Синодальной Канторы за 1898г., №68).

Я же не смешиваю мингрельцев и самурзаканцев с грузинами, а считаю их принадлежащими к грузинской национальности. Поэтому, пусть автор не беспокоится брать священника Гвазава под свою защиту. Всякий непредубежденный и безпристрастный человек скажет, что мингрельцу нужно знать свой родной литературный язык точно так же, как и всякому греку, говорящему на турецком или на вульгарном испорченном греческом языке, не следует пренебрегать изучением своего литературного языка, если только не охота быть ренегатом.

Что же касается уверения автора, что якобы я утверждаю, будто абхазцы понимают грузинский язык и, поэтому для них службу нужно совершать на грузинском языке, то это-непозволительная и предосудительная клевета. Этого я нигде не говорил и не мог сказать. Ничего подобного автор не может указать в моей статье. Почему же ему понадобилось прибегнуть ко лжи?

Правда, для подобных авторов «ложь-конь во спасение», но позволительно-ли это вообще и в особенности для людей его сана? Преосвященный Сергей утверждал, что «прихожане Илорской церкви обращались к нему с прошением о назначении к ним священника-абхазца, так как абхазцы, прихожане Илорской церкви, не понимают грузинского языка». Я же ему отвечал, что этого не могло быть, так как «в Илорах нет ни одного семейства, где бы употреблялся абхазский язык». Но значит ли это, что абхазцы понимают грузинский язык? Я, на основании ученых авторитетов, говорил, что абхазский язык родственен грузинскому, – но можно ли поэтому приписать мне утверждение, что между этими языками нет различия? Я утверждал, что предки абхазцев в области религии тесно были связаны с грузинами, что об этом свидетельствуют христианские памятники Абхазии, что Абхазия в церковном отношении с самого начала там христианства составляла одно нераздельное целое с Грузией и что не нужно разрушать эту религиозную связь, ибо это будет, с одной стороны, антиканонично, а с другой – может принести вред православию в Абхазии. Но из этого можно ли вывести заключение, что я требую служения для абхазцев на грузинском языке?

Нет, к чести грузин нужно сказать, что они, как об этом свидетельствует история, всегда отличались широкою терпимостью, были проникнуты идеей необходимости каждому народу просвещаться религиозно и поучаться на своем языке, и поэтому никто из грузин не оспаривал права абхазцев служения для них на родном их языке. Напротив, думается, что протоиерею Иванову хорошо известно, что преосвященный Кирион за короткое время своего пребывания на Сухумской кафедре успел начать дело организации перевода Священного Писания и богослужебных книг на абхазский язык, хотя, по понятной причине, эта заслуга сухумскими «дельцами» приписывается другим.

Пусть автор справится в отчетах Общества возстановления христианства на Кавказе за 1868 и 1873 гг. – и он увидит, какого об этом был мнения приснопамятный епископ Гавриил (Кикодзе), как он усиленно ходатайствовал учредить даже кафедру абхазского языка в Тифлисской духовной семинарии для приготовления кандидатов священства в Абхазию.

Касательно кладбищенской церкви автор подтверждает мое положение. О греке Скамаранте я не имею сведений; но, как видно из дел экзаршеской канцелярии, сухумские мингрельцы, о которых теперь отец Иванов отзывается, как о людях, не нуждающихся в храмах Божиих, в 1868 г. просили еп. Александра (Окропиридзе) исходатайствовать им разрешение на возобновление этой церкви (Дело экзаршеской канцелярии за 1866-1869 г.г., №41, рапорт еп. Александра экзарху, №67); греки же по этому поводу не заявляли никаких претензий и, видимо, она им не принадлежала, или они не нуждались в ней (*ibid.*, рапорт №87). Епископ же Александр решился возобновить ее на свои средства «в память двукрат-

наго чудесного (4 апреля и 25 мая 1866г.) сохранения жизни Государя Императора (ibid, рапорт №191), за что получил благодарность от Великого Князя Михаила Николаевича (ibid, №3778). Сами же грузины пожелали эту свою приходскую церковь назвать кладбищенской (ibid, рапорт №191). Для названной церкви богослужбные книги, священные сосуды и другие церковные принадлежности приобретены еп. Александром на свои средства (ibid, 1868 г., №139). Поэтому, сомневаться автору на этот счет не следует. Но вот что интересно:

Отец Иванов утверждает, что грузинам-священникам одними доходами за требоисправления нельзя было жить, и потому, вследствие неимения других источников, приход был закрыт. Когда же снова при кладбищенской церкви штат был утвержден и появились средства, тогда уже не нашли нужным назначить грузина, а перевели грека из собора: значит, закрыт грузинский приход для того, чтобы открыть его, как интернациональный или, лучше сказать, русский приход, так как это соответствовало видам обрусителей края.

Автор, приводя справки из метрик, говорит: «Насколько приход является грузинским, видит читатель. Можно было бы, – продолжает он, – привести и другие справки для доказательства неосновательности жалоб автора, но, думаю, приведенные данные из метрик достаточны для сего». Довольно странное разсуждение! Грузины имели для себя церковь, _ в ограде ее начали хоронить своих покойников греки и русские; они же стали приглашать священника этого грузинского прихода для совершения треб; значит, церковь нужно отобрать от собственников? Греки теперь строят в Сухуме свою церковь, штат будет открыт. Возможно, что протоиерей Иванов, как грек, будет переведен туда, но он, зная «греческий, русский, грузинский и турецкий языки», может привлечь в свою церковь русских и грузин, которых в Сухуме несравненно больше греков. Следовательно, по морали отца Иванова, допускается возможность завладения греческой церковью русскими или грузинами. Нам же кажется это совершенно недопустимым!

Пастырь грузинофоб очень доволен, что греки не жалуются за служение в соборе на славянском языке. «И греки не понимают его, – говорит он, – между тем, аккуратно посещают храм, и только одни мингрельцы не хотят посещать его», и спрашивает: «Неужели и здесь епископ виноват?» Но отец Иванов грешит против истины, ибо сам преосвященный, – не без просьбы, вероятно, греков, – находит ненормальным служение для них на славянском языке, и потому им сделано распоряжение, чтобы раннюю литургию для них служил священник Протопопов («Петроградские Ведомости» 1916 г., №205). Видимо, Иванов этим недоволен и потому, вероятно, замалчивает это. Он уверяет, что для грузин в Крестовой церкви служит иеромонах Феофил, который давно живет в Бедии (в 70 верстах от г. Сухума). Опять спрашиваю: «служит-ли священник Гвазава на грузинском языке, проповедует-ли он своим прихожанам, старается-ли привлечь их к хождению в церковь?» Это существенно необходимо, а иеромонах Феофил, который раньше служил в Крестовой церкви, – без достаточного образования для того, чтобы мог назидать прихожан священника Гвазава своею проповедью. Поэтому, я и теперь повторяю сказанное: «Одним требоисправлением нельзя ограничиться: нужны для верующих храмы, церковные службы и назидательные проповеди на понятном для них языке; иначе верующие могут дойти до того, что не будут чувствовать необходимости даже исповеди и св. причастия пред смертью: следовательно, об этом жалоб и заявлений не будет поступать, и с формальной стороны все будет благополучно... Опасно успокаивать себя этим!...» Так мы отвечали и Сухумскому епископу, уверявшему читателей «Петроградских Ведомостей», что случаев смерти грузин без напутствия св. Тайнами не было, ибо об этом заявлений к нему не поступало. А теперь небезызвестный отцу Иванову автор нам говорит, что «непосещающие храма христиане-грузины умирают без христианского покаяния или потому, что не приглашают во-время священника для напутствия, или приглашают тогда, когда больной теряет сознание, и его причастить нельзя», и что в этом **«нет ничего удивительного»** («Петроградские Ведомости», №257. Курсив наш).

Сухумский «делец» основательно опровергает своего владыку.

Далее, автор очень странно аргументирует свою защиту русских епископов на Сухумской кафедре и оправдание незнания ими языка паствы. «Сухумские епископы в своем государстве и для своего народа, _ говорит он, _ должны служить в соборе на славянском языке, не требуя для сего благословения и разрешения грузин».

Насколько человек должен быть ослеплен ненавистью к народу (в данном случае – к грузинам), чтобы говорить такой абсурд! Сухумские епископы находятся в своем государстве, – а мы разве находимся не в своем государстве? Они служат в соборе для своего..., а мы-то чей народ? «Сухумские епископы, – говорит он, – служат на славянском языке для своих русских солдат, офицеров, чиновников, мастеровых и кухарок». Пусть автор не лишает нас права называть этих русских солдат и офицеров, имеющих, кстати сказать, свою собственную церковь в Сухуме, нашими солдатами. Мы – не турецкоподанные и не выходцы из Турции, чтобы их не считать своими. Мало того, по христианскому братолюбию, мы и русских мастеровых, и кухарок считаем своими, как единоверцев и как сынов единого Отечества – великой России.

Помимо этого, пусть скажет отец Иванов, по каким законам Божеским и человеческим епископы должны полагать различие между членами своей паствы: одних считать своими, а других – не своими?! Да, об этом именно плачем мы, что сухумские архипастыри считают нас не своими «овцами», что о нас не заботятся, что нарушают завет Христа «полагать душу свою за овцы» и даже за каждую единую «овцу», не привлекают нас в свою ограду, а отгоняют на растерзание волкам. Все это мы знаем уже давно, но первый раз слышим это так откровенно из уст пастыря-обрусителя. Неужели протоиерею Иванову позволительно так отзывать о своем архипастыре? Сохрани, Господи, от таких защитников!

Наконец, автор особенно сильно подчеркивает безрелигиозность грузин, нелюбовь посещения ими храмов Божиих, и причину этого полагает не там, где нужно ее искать. Допуская, что священник Гвазава – «рenegат» и не пользуется доверием грузинского общества, другой, до тождественности близкий к отцу Иванову, автор спрашивает: «Отчего же другие грузинские священники в приходах не пользуются доверием своих пасомых? Ведь, они совершают богослужение на грузинском языке... Интересно, чем это объяснить?» («Петроградские Ведомости», №257).

Об этих приходских священниках речь будет особо, а теперь в нескольких словах удовлетворю любопытство автора и отвечаю: это объясняется тем, что подбор священников неважный; происходит оттого, что, вероятно, некоторые из них мало соответствуют своему высокому назначению; оттого, отчего один священник-грек с богословским образованием не был любым сельским греческим приходом, где служил до переселения в Сухум; оттого, отчего он бросил свой приход без ведома и разрешения епархиального начальства и целых шесть или более месяцев жил без места в Сухуме не у грека, а, говорят, у какого-то грузина. Так не поступают истинные и идейные пастыри словесного стада. Не-истинному пастырю для того, чтобы сменить ненавидимый единоплеменный ему приход на русский и инородный, необходимо подслуживаться к тем, от которых они зависимы. И такие люди бросают грязью на целый народ и на все его духовенство! Не всякому можно выступать с обличениями других прежде, чем самому очиститься.

«Врачу, исцелися сам!»

Korenbedieli.

Петроградские Ведомости, 1917, 22 Февраля (7 марта), №35.

11. სალაში ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიას

ქრისტე აღსდგა, ივერიის მართლმადიდებელი ეკლესიის შვილნო! სალაში შენც, საკათოლიკოსო დედაო ეკლესიაჲ! ქრისტე აღსდგა! აღსდექ შენც უძველესი შენი სიდიადით!

აჩვენე შენი ცხოველმყოფელობა ლამის რწმენადაკარგული ხალხის საკეთილდღეოდ! მოიცილე ის უწმინდურობა, რომელიც მოგეცხო შენი კათოლიკოს-პატრიარქების კათედრის ასწლიანი ქვრივობის ჟამს, შთაბერე შენს შვილებს რწმენა და სიმტკიცე მრავალტანჯული ხალხის რელიგიური და ეროვნული ინტერესების დაცვაში! აღმოზრწყინდი ძველებური სისპეტაკითა და სინმინდით!

მძიმეა შენი ამჟამინდელი მდგომარეობა: შენი ტაძრები დაცარიელებულია, განძეულია დატაცებულია, ქონება წართმეულია, მრავალი სინმინდე სხვათა ხელში გადავიდა. ადრე ძალაუფლების მპყრობელთა მხრიდან ძალადობის შედეგად მივიწყებულია მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკით შექმნილი უძველესი წეს-ჩვეულებები, ეროვნული წესჩვეულებები. შენი შვილები ურწმუნობამდე მიიყვანეს, ისინი უფსკრულის პირას იდგნენ. შენი სიკეთე, როგორც შენი მტრები ფიქრობდნენ, დაასამარეს და შენს კუბოსთან ის-ის იყო უზარმაზარი ქვა მოაგორეს, მაგრამ აღსდგა ქრისტე-აღსდექ შენც. დათრგუნე სიკვდილი-შენი მტრებიც გაიფანტებიან!

მართალია, ამჟამინდელი მწიგნობრები ფარისევლურად ამტკიცებენ, რომ შენ XVII და განსაკუთრებით XVIII საუკუნის ბოლოს დაემსგავსე ავაზაკის ხელში ჩავარდნილს და რომ გულმონყალე სამარინანელებად (ლუკა, 10, 30 – 35 – ჯ.გ.) მოგვევლინენ უცხოენოვანი ეგზარქოსები, რომლებმაც ვითომ მოგიშუშეს იარები; მაგრამ თვით ეს „გულმონყალე სამარინანელები“ იძულებული გახდნენ ელიარებიანთ, რომ მათ ხელში შენ ტრალიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდი და გარდაუვალი კრახისკენ მიდიოდი (Церковные Ведомости, 1916, №21).¹

დაე, ამ ფარისევლმა მწიგნობრებმა ამტკიცონ, რომ შენი ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობა საეგზარქოსო მმართველობის შედეგი კი არ არის, არამედ „გარდასულ ჟამთა მანკიერებების გამოვლინებაა“ (Протоколы предсоборного присутствия). შენ კი გაიხსენე შენი მდგომარეობა XVII-XVIII ასწლეულებში და აჩვენე მსგავს ცრუმონმეებს, რომ ისინი შეგნებულად სცოდავენ ჭეშმარიტების წინააღმდეგ.

განა შენი საეკლესიო მთავრობა არ იყო ერთობ მტკიცე შენი სისპეტაკისა და სინმინდის ინტერესების დაცვაში, მსოფლიო ეკლესიის კანონების დაცვაში? განა მან არ ჩამოართვა მეფე სოლომონ დიდის ძმას, არჩილს ურწმუნოების გამო ქრისტიანული წესით დაკრძალვის უფლება? განა მან არ ჩამოართვა იმავე სოლომონის ვაჟიშვილს, უფლისწულს და ტახტის მემკვიდრეს ალექსანდრეს საეკლესიო კანონების დარღვევისთვის ისეთივე წესით დაკრძალვის უფლება? განა მან არ გაყარა სარწმუნოების სინმინდის დაცვის მიზნით კაცია მანუჩარის ძე დადიანი უკანონო მეუღლესთან? განა მან არ უგულვებელყო თხოვნები და მუქარები ძლიერთა ამა სოფლისანი და თვით იმერეთის მეფის სოლომონ პირველისა? XIX ასწლეულის დასაწყისშიაც კი განა ის არ დაემუქრა ეკლესიისგან განკვეთით და არ ამხილა სამეგრელოს მთავარი, მისი მეუღლე ნინო გიორგის ასული მეოთხე მოდგმის ნათესავზე – ლეჩხუმის მოურავის ვაჟიშვილზე-ქალიშვილის გათხოვების განზრახვისთვის, მიუხედავად იმისა, რომ გენერალი ტორმასოვი 1811 წლის 3 მარტის წერილში ნინო გიორგის ასულს „ურჩევდა“, არ დამორჩილებოდა, სამეგრელოს მღვდელმთავრებს (აქტები..., ტ.4. თბ., 1870, გვ. 399-402 – ჯ.გ.)? უფრო ადრეც, 1701 წელს, განა ის არ შეენინააღმდეგა სულიერი ნათესავების გიორგი ლიპარტიანისა და თამარის ქორწინებას, მიუხედავად მკაცრი მბრძანებლის გიორგი აბაშიძის მუქარებისა და იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის რჩევებისა, წინააღმდეგობა არ გაენიათ მათი ქორწინებისთვის? განა ის არ ესარჩლებოდა დევნილებს, არ ანუგეშებდა ხალხს გლოვისა და უბედურების დღეებში, არ გამოისყიდდა ტყვეებს, არ პატრონობდა ავადმყოფებს, ღარიბებს, ქვრივებს და ობლებს და ა.შ.

ასე მაღლა ეჭირათ შენს მღვდელმთავრებს მართლმადიდებლობის დროშა, ასე უშიშრად იცავდნენ შენს სისპეტაკეს და სინმინდეს!

ამის შემდეგ შეიძლება თქმა, რომ შენი შვილების ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობა არის „გარდასულ ჟამთა მანკიერებების გამოვლინება“ (პროფეს. ოსტროუმოვი, 1906წ. – ჯ.გ.)?

მაგრამ იტყვიან: ეს არის ქართული წყაროების მოწმობა და რომ ძნელია ვენდოთ მათ,

შესაძლებელია ისინი ტენდენციურ ხასიათს ატარებენ და ცდილობენ ქართულ ხალხურ ცხოვრებაში მხოლოდ კარგი, ქების ღირსი მხარეები დაინახონ. ამას ვეთანხმებით, თუმცა ქართული წყაროები ხალხური ცხოვრების კარგ, დადებით მხარეებთან ერთად, სადაც და როდესაც ეს საჭიროა, თამამად უჩვენებენ ქართველი ხალხის ცხოვრებაში უარყოფით გამოვლინებებს. ვეთანხმებით იმიტომ, რომ ადამიანის თვისებაა, ხშირად თვალი დახუჭოს საკუთარი ხალხის ნაკლოვანებებზე. ნიცშე ერთ-ერთ თავის აფორიზმში სამართლიანად ამბობს, რომ „იმისთვის,“ რათა უფრო ზუსტად განვსაზღვროთ კოშკის სიმაღლე, არ შეიძლება მის შიგნით იჯდე ან ძირთან იდგე, არამედ საჭიროა გარკვეულ მანძილზე მოსცილდე და გვერდიდან შეხედო“.

მიეცი შესაძლებლობა შენც, დედაო-ეკლესიავე, შენს შესახებ დაამონმონ არა საკუთარ-მა შვილებმა, არამედ იმათ, ვინც გვერდიდან გიყურებდა, ხშირად კი უცხო რჯულისა და განსხვავებული რწმენის ქრისტიან არაკეთილმოსურნეებსაც მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელთა მიმართ, დაამონმონ წინაპართა სარწმუნოებაზე შენი შვილების მტკიცედ დგომის შესახებ.

უთვალავ მოწმეთაგან ჩვენ მივმართავთ მხოლოდ რამდენიმეს, რომლებიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში ყველაზე შავბნელ და უღიმღამო ჟამს, XVII და XVIII საუკუნეებს მიეკუთვნებიან. ამ საუკუნეებში ქართულ სახელმწიფოში გამეფებული ყოველგვარი აშლილობებისა და უბედურების დროსაც შენი შვილების რწმენა არ შესუსტებულა; ისინი მტკიცედ იცავდნენ შენს ინტერესებს.

სცხსსა, ფ. 440. აღწ. 1, ს. 791, ფ. 305.

№65.

СВИДЕТЕЛЬСТВО

Предъявитель сего, Георгий Хелаия, сын Священника Зосима, Сухумского Округа, сел. Илори, от роду 15 лет, поступил в Мингрельское Духовное училище в 1872 г. и окончил в оном полный курс учения в 1879 при поведении (5) отличном и успехах:

По языкам

- Русскому (4) очень хороших
- Греческому (4) очень хороших
- Латинскому (4) очень хороших
- Грузинскому (5) отличных
- Простр. Христ. катихизису (4) очень хороших
- Краткому церковному уставу (4) очень хороших
- Священной истории (4) очень хороших
- Всеобщей и русской географии (4) очень хороших
- Арифметике (4) очень хороших
- Нотному обиходному пению (5) отличных
- Чистописанию (5) отличных

Определением Правления Мингрельского Училища, от 9-го июня 1879 года №762, утвержденным ЕГО ПРЕОСВЯЩЕНСТВОМ, ПРЕОСВЯЩЕННЕЙШИМ ГАВРИИЛОМ Епископом Имеретии, он Хелаия, причислен к первому разряду воспитанников училищ.

Дано это свидетельство Правлением Мингрельского Духовного училища за надлежащим подписом и приложением училищной печати июня 9-го дня 1879 года.

Председатель Правления,
Смотритель училища А. Хеладзе
Печать
Делопроизводитель Василий Нечаев

სცხსსა, ფ. 440. აღწ. 1, ს. 791, ფ. 307.

**№7. Ректору Тифлисской православной духовной семинарии Отцу
Архимандриту Авраамииу. Окончившего полный курс в Мингрельском духовном
училище Виссариона Хелая**

ПРОШЕНИЕ

19 июня 1879г.

Желая поступить в первый класс вверенной Вам семинарии, прошу сделать распоряжение о допущении меня к приемному испытанию. При сем прилагаю свидетельство за №754 об успехах и поведении, и обязуюсь, в случае принятия меня, приходящим учеником, иметь одежду установленного образца, а в случае принятия полным пансионером, непременно выезжать на вакансии с июня по 31 августа, без всякого пособия от казны и являться из отпусков к сроку.

Виссарион Хелая.

სცსსა, ფ. 440. აღწ. 1, ს. 788, ფ. 304.

**№8. В правление Тифлисской духовной православной семинарии Священника
Абхазской епархии селения Илори Зосима Хелая**

ПРОШЕНИЕ

1 ноября 1879г.

Содержа на свой счет до сих пор своих сыновей, не имея уже более средств для материального обеспечения, потому, что скудные доходы от моего прихода даже не могут служить источником для содержания огромного моего семейства, состоящего из 5 душ, из коих два сына воспитываются в Тифлисской духовной семинарии на свой счет и одного Порфиру, который тоже воспитывается на свой счет в Мингрельском духовном училище, имею мать в преклонном возрасте и поэтому не имея возможности содержать огромного семейства, прибегаю к стопам господам членам семинарского правления с просьбой принять одного из сыновей моих на казенное содержание в качестве полного пансионера и тем дать возможность к дальнейшему продлению учения.

მღვდელი ზოსიმე ხელაია

სცსსა, ფ. 440. აღწ. 1, ს. 788, ფ. 297.

**№10. В правление Тифлисской духовной православной семинарии
Учеников I класса оной семинарии Виссариона и Георгия Хелая**

ПРОШЕНИЕ

25 ноября 1879 г.

Имея ревностное желание продолжать дальнейшее образование при всей несостоятельности отца, мы два брата Виссарион и Георгий, поступили сюда в семинарию с той одинакой надеждою, что при открывшейся вакансии будем приняты на казенное содержание. Руководствуясь этим соображением и отец наш, едва снабдив нас нужными средствами для поддержания жизни, пустил нас. Прошло три месяца и мы опять на своем содержании;

между тем бедность отца все более и более стала чувствительнее, так что он находится в большом затруднении не только двух, но и даже одного обеспечить в материальном отношении. Принимая к сведению крайнюю бедность отца и наше безвыходное положение, покорнейше просим правление обратить внимание на наше критическое положение и принять одного из нас на казенный счет.

Ученики I класса Тифлисской духовной семинарии Виссарион и Георгий Хелая.

სცსსა, ფ. 440. აღწ. 1, ს. 788, ფ. 310.

№10. ბესარიონ ხელაიას ატესტატი (ასლი) თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შესახებ

1885 წლის 17 ივნისი

А Т Т Е С Т А Т

Воспитанник Тифлисской Духовной Семинарии Виссарион Хелая, сын священника Зосима Хелая, Сухумского Округа, селения Илори.

Родившийся в седьмой день, месяца октября 1861 года. По окончании полного курса учения в Мингрельском духовном училище, поступил в месяце сентябре 1879 года в Тифлисскую Духовную Семинарию, в коей обучался по 15-ое число июня месяца 1885 года и при поведении отличном (5), оказал успехи:

- По изъяснению св. писания – отличные (5).
- Общей церковной истории - отличные (5).
- Истории Русской церкви - отличные (5).
- Богословию Догматическому – очень хорошие (4).
- Богословию Основному - очень хорошие (4).
- Богословию Нравственному - отличные (5).
- Практическому руководству для пастырей - отличные (5).
- Гомилетике - отличные (5).
- Литургике - очень хорошие (4).
- Русской словесности - очень хорошие (4).
- Истории Русской литературы - отличные (5).
- Всеобщей гражданской истории - отличные (5).
- Русской гражданской истории - отличные (5).
- Алгебре - отличные (5).
- Геометрии - очень хорошие (4).
- Тригонометрии и пасхалии - очень хорошие (4).
- Физике с Космографией – отличные (5).
- Логике – хорошие (3).
- Психологии - очень хорошие (4).
- Обзору философских учений - очень хорошие (4).
- Педагогике¹
- Языкам:
- Греческому - очень хорошие (4)²
- Латинскому - отличные (5).
- Французскому – хорошие (3).
- Немецкому – не обучался.
- Еврейскому – не обучался.
- Церковному пению³ – не обучался.

По окончании полного курса учения в Семинарии Виссарион Хелая причислен педагогическим Собранием Семинарского Правления, с утверждения Его Высокопреосвященства, Высокопреосвященнейшаго Павла, Архиепископа экзарха Грузии, к первому разряду воспитанников оной со всеми преимуществами, присвоенными окончившим полный курс учения в Семинарии §178 Высочайше утвержденного 22 августа 1884 года устава православных духовных семинарий.

По отправлению воинской повинности он пользуется льготами, предоставленными воспитанникам учебных заведений 2-го разряда (устав о воинской повинности параграф 56, п. 2).

Во время обучения в Семинарии содержался на свой счет.⁴

В удостоверение чего и дан ему, Хелая, сей аттестат от Правления Тифлисской Духовной Семинарии за надлежащим подписанием и с приложением печати Правления. Город Тифлис. 1885 года, месяца июня «17» числа.

Ректор Протоерей
Инспектор семинарии
Член Правления преподаватель

Павел Чудецкий.
Як. Степанов.
Павел Потоцкий.

МГП⁵

Секретарь

В. Колмаков.⁶

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია (ეპისტოლური მემკვიდრეობა). გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები, კომენტარები და საძიებლები დაურთო გოჩა საითიძემ, თბ., 2011, გვ. 8-10.

შენიშვნა:

1. სიტყვა გადახაზულია, ნიშანი მითითებული არ არის, თუმცა პედაგოგიკის კურსი ბესარიონმა მეხუთე კლასში გაიარა.
2. გადახაზულია, თუმცა ბესარიონმა სემინარიის I-V კლასებში გაიარა ბერძნული ენის კურსი.
3. როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, ბესარიონმა კლასგარეშე გაიარა ქართული გალობის კურსი. 1884 წლიდან ამ საგანს სემინარიაში პოლიევქტოს კარბელაშვილი ასწავლიდა.
4. როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, ბესარიონი 1880 წლის 1 მაისიდან იღებდა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სტიპენდიას.
5. **Место гербовой печати** (საღერბო ბეჭდის ადგილი).
6. მდივნის (**секретарь**) ხელმოწერის შემდეგ გაკეთებულია ასეთი მინაწერი: **Подлинный аттестат за № 599-м и метрическое свидетельство, выданное из Синодальной Конторы 23 октября 1872 года за № 3082-м, получил Виссарион Хелая. 1885 года, июня 20 дня** (ნამდვილი ატესტატი №599 და სინოდალური კანტორის მიერ 1872 წლის 23 ოქტომბერს გაცემული №3082 სამეტრიკო მოწმობა მიიღო ბესარიონ ხელაიამ. 1885 წლის 20 ივნისი).

№10ა. ინფორმაცია წმინდა ნინოს ხსენების დღეს ბესარიონ ხელაიას მიერ ყაზანის სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარების შესახებ

1898 წლის 14 იანვარი

Из Казани

14 января сего года, в день памяти Святой Равноапостольной Нины, просветительницы Грузии, в академическом храме была совершена ранняя литургия на грузинском языке и с песнопениями грузинского роспева. Литургию совершал студент I курса священник Виссарион Хелая со студентом III курса иеродиаконном Давидом (в мире Евфимии Качахидзе); оба грузины по происхождению. Пели за литургией студенты – питомцы Тифлисской семинарии (грузины и русские).

Отметим некоторые особенности в самом напеве грузинской службы по сравнению с русской. Прежде всего, самый характер произнесения возгласов, ектений, чтения Апостола и Евангелия несколько иной. У нас ектений и возгласы произносятся по большей части сплошным речитативом ровного темпа на одной ноте, редко на двух; Апостол и Евангелие читаются или таким же образом, или постепенно восходящей гаммой, так что к концу приходится самая высокая и сильная нота, которая является пробным камнем голосовых средств и искусства чтеца. В грузинской же службе замечается большее разнообразие тонов и темпа: быстрые речитативы идут попеременно с небольшими мелодическими фразами в пределах трех и даже четырех нот; последнее особенно заметно в чтении Апостола и Евангелия, где повторяется одна мелодическая фраза. Пение за литургией было трехголосное (два тенора и бас); главная господствующая мелодия идет в среднем голосе (2-й тенор), хотя и другие два голоса не лишены мелодического движения. Во многих мелодиях замечается особенность, свойственная древним церковным тонам, восточным и нашим народным напевам: мелодия закончивается не основным тоном, в каком она построена, а одним из соседних родственных тонов, причем все три голоса кончают в унисон (так называемое «косвенное заключение» или «плагальная каденция»). Так, например, в мелодии «Упало шегвицкале» («Господи помилуй») преобладает тон фа-мажор, а кончается унисоном в ля. Мелодии немногочисленны, но довольно богаты и изобилуют мелкими, нередко едва уловимыми, нотками и форшлагами, которые так свойственны вообще Востоку.

На литургии присутствовали многие студенты и некоторые профессора во главе с преосвященным ректором.

Прибавления к Церковным Ведомостям, 1898, №5, 31 января, с.199.

№11. ილია ჭავჭავაძის გასვენებაზე არქიმანდრიტ ამბროსის „სიტყვა წარმოთქმული 8 სექტემბერს სიონის ტაძარში პანაშვიდის წინ მე-2 საათზე“

1907 წლის 8 სექტემბერი

ვკადნიერდები და ვბედავ მეც ამ დიდებულ ცხედრის წინაშე ვსთქვა ორიოდ სიტყვა. დღეს მთელი საქართველო დასტირის დიდებული მამულის შვილის ცხედარს. დღეს საქართველომ დაჰკარგა უდიდესი მგოსანი, საუცხოვო და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, სიამაყე ეროვნული ლიტერატურისა. არა გვყავს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, – მოჭირნახულე თავის ერისა. ის მოიკლა ბარბაროსების ბინძურის ხელით.

მაგრამ მოკვდა კი დიდებული ილია? „იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკვდილამდე და მოგცენ გვირგვინი ცხოვრებისაო“ (გამოცხ. 2, 10), გვიბრძანებს ჩვენ უფალი მოციქული იოანე, ღვთის მეტყველის პირით და ამით გვისახავს იმას, თუ რა ნაირი უნდა ვიყოთ ჩვენ ამ ქვეყნად რომ დავიმკვიდროთ საუკუნო გვირგვინი, – გვირგვინი უკვდავებისა. ნეტარია

ის, ვინც ამქვეყნად პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას, სწამს და თავგანწირულად ემსახურება სიმართლეს, ამას ისახავს მოქმედებად – მოღვაწეობის საფუძვლად; „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი“ ამნაირის კაცისა (ფსალ. 115, 6). ის უკდავია მისი ნამოქმედართ, მისი ხსოვნა უკუნისამდე დარჩება მაღლიერ ერში. ამისთანა კაცი სიკვდილის შემდეგაც თვისის ნამოქმედარ – ნაღვანით მასწავლებელი და დამრიგებელია, რადგან, მოქციქულის თქმით, ის სიკვდილის შემდეგაც მეტყველებს (ებრ. 11, 4).

მამასადამე არ მომკვდარა ილიაც; ის ცოცხალია. ის მხოლოდ გარდაიცვალა სიკვდილისაგან ცხოვრებად. თუმცა დასდუმდნენ მჭევრმეტყველებით განთქმულნი ბაგენი, მაგრამ საქმენი მისნი მჭევრმეტყველურადვე ღაღადებენ და ილაღადებენ. ის თვისი ნაშრომ-ნაღვანით უკდავით დარჩება, სანამ ქართველი ერი იარსებებს. მეტსაც: ქართველი ერიც რომ გადაგვარდეს, განადგურდეს უკულმართ დრო გარემოებათა გამო, მაშინაც არ იქნება დაკარგული დიდებულ მგოსან-მოღვაწის ხსოვნა, ვინაითგან ამ დიდებულს საქართველოს შვილის ნაწარმოები ეკუთვნის არა მარტო ქართველ ერს, არამედ მთელ კაცობრიობას, რომლის ნაწილსაც შეადგენს ქართველობა.

განსვენებული დიდებულია თვისი მრავალმხრივი მოღვაწეობით სამშობლოს საკეთილდღეოთ. მისი ღვაწლის სიდიადე არის მიზეზი, რომ ასე მწარეთ დასტირის მას მთელი საქართველო. მაგრამ, ქართველნი, არა დაუვინყარი დიდებული ილიაა საგლოვო – სატირალი, არამედ ბედისაგან განწირული ჩვენი სამშობლო, – მისი დამკარგველი. განა არ კმაროდა, რაც უკულმართ დრო – ვითარებამ უბედურება დაგვატეხა თავზე, რომ ჩვენ თვითონ აუნერგელი უბედურება არ მიგვემატებია?! მაგრამ დასაჯერებელი კია, ეს უმაგალითო ბარბაროსული მკვლელობა ჩაედინოს საქართველოს შვილს, იმ საქართველოსას, რომლის თავგანწირულად სამსახურში გაატარა განსვენებულმა მთელი ორმოც და ათი წელიწადი.

თუ კი ეს ბრალი დაედო ქართველობას, მაშინ ჭეშმარიტად ჩვენი გახრწნილება, ზნეობრივით დაცემა, ველურობა, უკულმართობა იქნება სატირალი. ამას უნდა ღრმით ჩაუფიქრდეთ, თუ გვინდა დავრჩეთ ქართველ ერად. – განსვენებული კი ნეტარია. მან კეთილად განვლო გზა, მისი ნავალი და კვალი, მისი ნავალი წარუშლელია, ეკლიანი გზა გაკაფულია. ის უკანასკნელ წუთამდის ერთგულად ემსახურებოდა იმ იდეალებს, რომლებიც მან ამ ნახევარი საუკუნის წინად აირჩია ქართველი ერის საკეთილდღეოთ; ერთის ნაბიჯითაც არ გადაუხვევია, არ უღალატნია მათთვის და ამისთვის, მოქციქულის თქმისაებრ, მზა არს მისთვის „გვირგვინი ცხოვრებისა“ (გამოცხ. 2, 10), გვირგვინი უკვდავებისა.

დიდებულ გვამთა გარდაცვალებასაც კი აქვს ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა, ისიც უთუოდ რამეს გვასწავლის.

მივიჩნიოთ ეს ბარბაროსთაგან დაღვრილი სისხლი ჩვენი ეროვნულ ცოდვათა განსაწმენდად, უკულმართ გზიდან მოსაქცევათ, მთლად საქართველოს შვილთა შესაერთებლად – განსამტკიცებლად.

შევფიცოთ ამ წინამდებარე ცხედარს, რომ ვიქნებით ნამდვილი აღმასრულებელი იმ მცნებისა, რომელიც განსვენებულმა თვისის მოღვაწეობით გვიანდერძა ჩვენ.

თუ ჩვენ გვექნება ერთობა ეროვნულ იდეალების მსახურებაში, მაშინ შექველია ჩვენი სამშობლო მხარე შეიძლებს კიდევ წარმოშობოს ილიასებრი დიდებული მოღვაწენი და მაშინ კი საბოლოოდ განიხარებს განსვენებულის დიდებული უკვდავი სული.

ღმერთო მაღალო და ძლიერო, გვაკმარე ეს უბედურება. ეს იყოს უკანასკნელი მსხვერპლი, სამშობლოს საკეთილდღეოდ და ჩვენთა ეროვნულ ცოდვათა სახსრად შეწირული ეროვნულ ტრაპეზზედ. სიდიადე ამ მსხვერპლისა თავდებია, რომ მომავალში ჩვენი უკულმართობა, ჩვენი შეუგნებლობა მოსპობილ იქნება და ერთობილის ძალით შევუდგებით პირნათლად სამსახურს სამშობლო მხარის აღორძინებისას. თუ ამნაირი ღვაწლი დაგვდო ჩვენ ამ მსხვერპლის სისხლმა, თუ ჩვენ შეგვაერთა მამულისათვის თავდადებით სამსახურში, – ეს იქნება უკანასკნელი ჭეშმარიტად დიადი ღვაწლი დიდებულის ილიასი, – მისი ხანგრძლივი შრომის სასურველი ნაყოფი და გვირგვინი. ჩვენის მხრითაც ეს იქნება ნამდვილი ვალის მოხდა, მისი ანდერძის აღსრულება და თან საუკეთესო პატივისცემაც განსვენებულის ხსოვნისა. ღმერთმან მოგვცეს ამის შეძლება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მამულისათვის თავდადებულო, დიდებულო მგოსანო ილიავ!

არხიმ. ამბროსი

ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება. თბილისი, 1907, გვ. 172-175.

12. უწმინდესი სინოდისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გადანყვეტილებები არქიმანდრიტ ამბროსის რუსეთში გადასახლებასთან დაკავშირებით

1908 წლის 22 დეკემბერი, 1909 წლის 9 იანვარი

1909 года января 9 дня. По указу Его Императорского Величества, Грузино-Имеретинская Святейшаго Правительствующаго Синода Контора слушали: 1. сданный в канцелярию Экзарха Грузии 3 сего января указ Святейшаго Синода на имя Временно Управляющаго Грузинским Экзархатом, Преосвященнаго Григория Епископа Бакинскаго, от 22 декабря 1908г. за №16514, следущаго содержания: По указу Его Императорскаго Величества, Святейший Правительственный Синод Слушали: отчет вице-директора канцелярии Обер-Прокурора Святейшаго Синода В.Яцкевича и старшаго столоначальника хозяйственнаго управления при Святейшем Синоде Н.Сперанскаго по обозрению делопроизводства Грузино-Имеретинской Синодальной Конторы и канцелярии Экзархата Грузии и епархиальных – Имеретинской и Гурийско-Мингрельской, с изложением тех мер, принятие коих представляется необходимым к пресечению отмеченных в отчете недостатков в сказанном делопроизводстве и сопровождающих их печальных явлений в жизни Грузинскаго экзархата. Приказали: 1) Члена Грузино-Имеретинской Синодальной Конторы Архимандрита Амвросия, по увольнении от должностей члена Конторы и настоятеля Иоанно-Крестительской пустыни, перевести в число братии Троицкаго монастыря Рязанской епархии, поручив его особливому надзору преосвященнаго Рязанскаго, епископа Никодима, и запретив его в священнослужении впредь до особых распоряжений, 2) предписать Вашему Преосвященству образовать из местных священнослужителей и преподавателей духовно-учебных заведений комиссию для разбора и приведения в порядок дел и бумаг Грузино-Имеретинской Синодальной Конторы, со включением в состав комиссии и лиц грузинскаго происхождения, а так же войти в суждение о способах и размере временнаго увеличения состава служащих в Конторе для рассмотрения и скорейшаго разрешения нерешенных дел Конторы, равно об увеличении числа заседаний Конторы, и о последующем донести Святейшему Синоду. 2. Поступившее в Синодальную Контору 8 сего января заявление Архимандрита Амвросия, в коем объясняя, что безпрекословно подчиняется решению Святейшаго Правительствующаго Синода, но будучи мучим и терзаем неизвестностью тех причин, которые могли вызвать такое непонятное для него наказание, просит Синодальную Контору ходатайствовать пред Святейшим Синодом разрешить ему прибыть лично в С. – Петербург для ознакомления с теми мотивами, которые могли привести Святейший Синод к такому решению или, если это почему-либо не будет разрешено, предъявить ему обвинение по пунктам, дабы он имел возможность оправдать себя и возстановить свою незаслуженно поруганную репутацию, и 3. Заявление члена Грузино-Имеретинской Синодальной Конторы, Преосвященнаго Давида, Епископа Алавердскаго, третьяго викаря Грузинской епархии, сданное им Присутствию Синодальной Конторы 9 сего января, по докладе указа Святейшаго Синода за №16514, в котором изъяснено, что в Присутствии Синодальной Конторы, 9 января 1909г. по выслушании указа Святейшаго Синода об увольнении Архимандрита Амвросия и заявления последнего, им было высказано следующее мнение: он более года состоит членом Синодальной Конторы, присматривался к Архимандриту, как и к прочим коллегам своим по Конторе, и ни разу ничего предосудительнаго и незаконнаго в словах и действиях его он не замечал;

наоборот, он обращал на себя внимание всех, как человек трудолюбивый, деловой, весьма честный и блюститель законности и порядка. В Бозе почивший экзарх Грузии, архиепископ Никон был о нем хорошего мнения и благодарил его с выдачей ему грамоты. Поэтому он, по чувству справедливости и из жалости к трем его детям, обучавшимся в учебных заведениях и лишенным средств к содержанию, должен сказать, что наказание Архимандрита Амвросия, наверно, есть дело недорозумения и дело его нужно было бы выяснить.

Приказали: по пункту I-му а) объявить содержание указа Святейшаго Синода за №16514 бывшему Члену Синодальной Конторы и настоятелю Иоанно-Крестительской пустыни, Грузинской епархии, Архимандриту Амвросию и предписать ему выехать в Троицкий монастырь Рязанской епархии, по сдаче, кому следует монастырского имущества и дел Синодальной Конторы; Казначею Синодальной Конторы предписать разсчитать жалованием Архимандрита Амвросия по должности Члена Синодальной Конторы и настоятеля Иоанно-Крестительской пустыни по 8-е сего января включительно и выдать ему из бланочных сумм Конторы, заимообразно, деньги на проезд от Тифлиса до Рязани, разсчитав по числу верст на четыре лошади: до Владикавказа по 3 коп. за версту, а за 200 ½ верст по шоссе до Владикавказа – 24 руб. 12 коп.; от Владикавказа до Рязани по железной дороге 1620 верст, считая по 2 ½ коп. за версту, – 162р., а всего 186р. 12 коп.; выдать их под особую расписку, которую препроводить в Хозяйственное Управление при Святейшем Синоде, с просьбою о высылке указанной в расписке суммы в возврат заимообразно выданной Архимандриту Амвросию суммы; б) временное управление Иоанно-Крестительскою пустынею возложить на преосвященного Давида, Епископа Алавердскаго, которому Архимандрит Амвросий имеет сдать монастырское имущество в присутствии благочиннаго монастырей Грузинской епархии, с тем, чтобы акт о сдаче и принятии имущества был представлен в Синодальную Контору; в) выслать в Рязанскую духовную консисторию формулярный список Архимандрита Амвросия; г) не входя в рассмотрение заявлений Преосвященного Давида и Архимандрита Амвросия по существу, таковыя представить на благоусмотрение Святейшаго Правительствующаго Синода. По пункту 2-му: для разбора и приведения в порядок архива, дел и бумаг Грузино-Имеретинской Синодальной Конторы образовать комиссию из четырех лиц с высшим образованием: преподавателей – Тифлисской духовной семинарии Ивана Гортинскаго и Тифлисскаго духовнаго училища Антона Натроева и священников Каллистрата Цинцадзе и Георгия Гамрекелова, предварительно запросив их о согласии принять на себя обязанности членов названной комиссии, которой незамедлительно приступить к исполнению своих обязанностей; для успешнаго ведения дел комиссиею временно назначить к каждому из членов комиссии по одному писцу; назначить членам комиссии по 50р. каждому в месяц, а каждому писцу по 30 рублей, а всего в месяц 320 руб., об отпуске каковой суммы, ввиду неимения у Синодальной Конторы свободных средств, просить Святейший Синод, впредь до окончания работ комиссиею; до отпуска же этой суммы Святейшим Синодом выдавать содержание членам комиссии и писцам из бланочных сумм; б) число заседаний Присутствия Синодальной Конторы увеличить до трех в неделю, вместо существующих двух. в) Для рассмотрения и скорейшаго разрешения нерешенных дел Конторы, необходимо временно увеличить штат Конторы назначением еще четырех столоначальников, по два на каждое отделение, из лиц опытных и знакомых с ведением дел в духовных консисториях, с возложением на них ответственности, – как за штатных и присяжных чиновников, – за ведение порученнаго им делопроизводства, и восьми писцов, назначив содержание столоначальникам в размере, получаемом ныне столоначальниками Синодальной Конторы, по 81 руб. в месяц, а восьми писцам – по 30 руб. каждому, о чем и доложить Святейшему Синоду, прося его содействия относительно командировки в Контору столоначальников. По получении отзывов от намеченных Синодальною Конторою в члены комиссии лиц о принятии на себя обязанностей членов, о вышеизложенном определении донести Светейшему Синоду, согласно его указу за №16514. Копию с сего определения по пункту I приложить к делу

об Архимандрите Амвросии.
Григорий, Епископ Бакинский
Петр, Епископ Горийский
Епископ Давид
Архимандрит Пимен
Протоиерей Ткемаладзе.¹

სცსსა, ფ. 489. აღწ. 1, ს. 64073, ფ. 18-19ა.

შენიშვნა:

1. გრაფის ქვეშ «когда исполнено» – წერია: «17 января 1909г. за №755.» (Дж. Г.).

13. არქიმანდრიტ ამბროსის წერილი რომანოზ ფანცხავასადმი¹

1915წ. 3 ნომბერი

დაუფინყარო ძმაო რომანოზ!

ბოდიშს ვიხდი, რომ შენი წერილებზე ამდენი ხანს არ გავეცი პასუხი. თუმცა 15 ივნისს დანერილი შენი წერილი მივიღე, მაგრამ, მართალი გითხრა, არ მინდოდა ჩემი მოგზაურობის² გაგრძელება, რადგან იმან, რაც სტატიას დამართეს ცენზორმა და განსაკუთრებით ასოთამწყობთა, დამიკარგეს სურვილი და ხალისი მისი გაგრძელებისა. მიუხედავად ამისა, ვასრულე შენ თხოვნას, უკანასკნელ ღია წერილში გამოთქმულს და გიგზავნი გაგრძელებას. იმედია, უშეცდომოთ დაიბეჭდება. გაგრძელებას ამ თვეშივე გამოგიგზავნი. თუ მკითხველთათვის საინტერესო იქნება, ვეცდები ყოველ თვის თავის დროზე მოგაწოდო.

მე ჩემ სტატიებში იმდენ ღირსებას ვერ ვხედავ, რამდენათაც შენ იწერები და თუ იმდენად დაკნინდა ჩვენი ისტორიული შინაარსის ლიტერატურა, რომ ჩემი ნაწერიც იქცევეს ყურადღებას, რა გაენწყობა, შენი ნებაა, არ დავიზარებ გზავნას.

ჩემი საქმის გამობრუნება ძნელია, თუ გარემოება რადიკალურად არ შეიცვლა. ახლა ჩემ მეტი არავინ არ არის სასჯელ ქვეშ, ჩემ მეტ სხვა ყველას ახადეს საეჭვო პირების სახელი. კირიონმა მიიღო კარგი ადგილი, ლეონიდისთვის ხომ ხელი არ უხლიათ, დავითიც კარგათ არის მოწყობილი და, მე ვფიქრობ, თუ მოისურვებს, დაბრუნებაც შეუძლია.

მხოლოდ ამბროსი არ არის ღირსი რამესი და არასაიმედო პირათ არის მიჩნეული სინოდის უწყებაში. არ ვიცი კი რა დააშავა. ალბათ უბედურ მთვარეზეა დაბადებული. ყოველ შემთხვევაში დიდ მადლობას გწირავ თანაგრძნობისათვის, რადგანაც ჩვენებთაგანაც არა ვარ ჩვეული თანაგრძნობას. ჩვენებმაც (მაქვს სახეში ზოგიერთები, რომელთაც სახელი აქვთ ჩვენში მოხვეჭილი) ამ ბოლო დროს, როდესაც მეძლეოდა შემთხვევა სამშობლოში დაბრუნებისა, გვარიანად ჩამწიხლეს. ღმერთმა აპატიოს. ჩემ მდგომარეობაში მყოფისთვის ეს არ უნდა ექნათ. მართალია, მე ჩემ თავს დიდათ არ ვაფასებ, დიდი წარმოდგენა არა მაქვს ჩემ ნიჭზე და ძალ-ღონეზე, მაგრამ მეც მინდოდა იქ მემოღვაწევა და ცოტადენი მეც მეშრომა სამშობლოსათვის.

ამნაირები ვართ, საუბედუროთ, ქართველები, ჯერ კიდევ ვერ მივსულვართ იმ დონეზე, რომ საზოგადო საქმე პირადს არ ვანაცვალოთ. ჩვენ ხშირად, უმეტეს შემთხვევაში მეტსაც ვიტყვი, თითქმის ყველანი პატრიოტები ვართ იმ დრომდის, სანამ უზრუნველყოფილნი და მაძღარნი ვართ.

საქართველო და სამშობლოს სიყვარული ჩვენში ჯერ კიდევ, განსვენებული აკაკის თქმის არ იყოს, კუჭზეა დამოკიდებული. როდესაც საქმე შეეხება პირად ინტერესებს, მეგობრობა-ნათესაობას, მაშინ ყველაფერს ვივინყებთ, მაშინ სამშობლოს ინტერესები გვავინყდება.

როდის მოვესწრებით, რომ ჩვენ, ქართველებმა, შევიგნოთ ნამდვილი მამულის შვილობა ღმერთმა უწყის. ნუთუ ყველა ის, რაც ხდება ჩვენს გარეშე, არ გამოგვავიძობს.

გიკითხავ და გისურვებ დღეგრძელობით ყოფნას.

შენი ერთგული ამბროსი.

ქ. სტარაია რუსა.

გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, საინ. №3447

შანიშნა:

1. რომანოზ ფანცხავა (1861-1928წწ). (ჯ.გ.)

2. იგულისხ. წერილების სერია „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (ჯ.გ.)

№14. ქართველის საფლავი ქალაქ რიაზანში

1917 წლის 9 მარტი

1909 წლის იანვრის მეორე ნახვარში მერგო წილად ცრემლების ფრქვევით მოვშორებოდი სამშობლო მხარეს და გადმოვსახლებულვიყავი ჩრდილოეთისაკენ. 28 იანვარს მივალწიე ჩემთვის საცხოვრებლად დანიშნულ ადგილს. ეს იყო რიაზანის სამების მონასტერი. დიდხანს ვერ მოვახერხე მონასტრის ღირსშესანიშნავ ადგილების დათვალიერება. გადატანილ მოგზაურობის და სულიერი ტანჯვის გამო დაავათმყოფებული ჩამაგდეს ნესტიან სენაკში და ექიმის მოწვევის ნებასაც დიდხანს არ მაძლევდნენ. ამის გამო ჩემი ავადმყოფობა გაგრძელდა მთელი თვენახევარი. პირველ ხანებში, ჩემთან შემოსვლის ნებას არავის აძლევდნენ მონასტრის ხაზინადრის მღვდელმონაზონის ბასილას გარდა. თავისუფლად სიარულის ნებაც არ მქონდა არამც მონასტრის კედლების გარეთ, არამედ მონასტრის ეზოშიაც. ამას დაერთო ზამთრის სისასტიკე და დიდი თოვლიც და ამის გამო ვიყავი გამოკეტილი ჩემ ნესტიან სენაკში.

დადგა გაზაფხული და მომეცა შეძლება სხვათაშორის სამონასტრო სასაფლაოს დათვალიერებისა. მოხსენებულმა ხაზინადარმა, რომელიც სეირნობის დროს მუდამ ჩემთან უნდა ყოფილიყო, მიმითითა ერთ საფლავზე და მითხრა, რომ იქ მარხია საქართველოს დედოფალი. ამან გამაკვირვა და გავეშურე იქითკენ და მართლაც ვნახე ქართული წარწერა. აღმოჩნდა, რომ იქ დასაფლავებულია არა დედოფალი, არამედ დედოფლის მხლებელი.

საფლავზე დადგმულია თლილი ქვისაგან გაკეთებული ძეგლი ორნახევარი არშინის სიმაღლისა. ძეგლს წინა მხარეზე აქვს ამნაირი ქართული წარწერა: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს მტვერი საქართველოს დედოფლის მხლებელის მარიამისი, რომელიცა აღსრულდა 22 აგვისტოსა ყვა წელსა ოცდამეთვრამეტისა წლისა შობისგან“.

მეორე მხარეზე კი იკითხება ამნაირი რუსული წარწერა: „Под сим камнем покоится прах царицы фрейлины девицы Марии, скончавшейся 22 августа 1821 года на 38 году от рождения“.

დანამდვილებით ძნელია თქმა, რომელი დედოფლის მხლებელი უნდა ყოფილიყო განსვენებული მარიამი, რადგან რუსეთში გადასახლებული იყვნენ ორი ქართლის დედოფალი: მარიამი, მეუღლე უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-სა და დარეჯანი, მეუღლე მეფე ირაკლი მეორისა.

მარიამი გაგზავნეს ქალაქ ვორონეჟში (Археографические Акты, II, 113) და ეს სასჯელი გენერალ ლაზარევის მოკვლისათვის შემდეგში შეუცვალეს ბელგოროდის (კურსკის გუბერნიისში) დედათა მონასტერში დამწყვედვით; მასთან იყვნენ ოთხი ვაჟიშვილი (ჯიბრაილი, ილია, ოქროპირი და ირაკლი) და ორი ქალიშვილი (თამარი და ანა). 1811 წელს მონასტერში დამწყვედვისაგან განთავისუფლებული იქმნა და დაბინავდა მოსკოვში, სადაც გარდაიცვალა 30 მარტს 1851წ. დასაფლავებულია მცხეთის ტაძარში (პლ. იოსელიანი. ცხოვრება მეფის გიორგი მეცამეტისა, გვ. 302).

დედოფალი დარეჯანი მოაშორეს სამშობლო მხარეს 1804 წელს, მიიცვალა პეტრო-

გრაფი 1807წ. 8 ნომბერს (პროფ. ცაგარელი. Сведения о памятниках грузинской словесности, т.1, выпуск III, 286) და დასაფლავებულ იქმნა ალექსანდრე ნეველის მონასტრის ხარების ეკლესიაში, – იმ საფლავში, რომელიც 1796 წელს განთავისუფლდა იმპერატორი პეტრე III-ს გვამის საიმპერატორო საძვალეში გადატანის შემდეგ (პლ. იოსელიანი. ხსენებული თხზულება, გვ. 299).

დედოფალ მარიამის მხლებლებში, რომელნიც გაჰყვნენ მას რუსეთში, არ იხსენიება არცერთი მარიამი (Акты, II, 77), დარეჯანის მხლებლებში მოხსენიებულია ამ სახელით ორი მხლებელი (სხ. 107). – (Акты, II, 107 – ჯ.გ.).

რიაზანის სამების მონასტრის ახლო, სამონასტრო კედლების გვერდით გადიოდა ის ერთადერთი დიდი შარაგზა, რომელიც იმ დროს სამხრეთ რუსეთიდან მიიმართებოდა მოსკოვისაკენ. შესაძლებელია, დედოფლის მხლებელი 1821 წელს ბრუნდებოდა სამშობლოში, აქ, რიაზანში, უნია სანყალს სიკვდილმა და ბედმა არ არგუნა ენახა თავისი სამშობლო, რომ მშობლიური მიწა დაჰყოდა გაცივებულ გულ-მკერდზე.

ჩემ რიაზანში ყოფნის დროს ერთადერთ ნუგეშად მიმაჩნდა ამ საფლავთან მისვლა და მთელი საათობით ჯდომა, რადგანაც აქ ვგრძნობდი რაღაც მშობლიურს და ვნუგეშობდი უსაზღვრო ოცნებებით. აქ ხშირად ფიქრებში გართულს ცრემლებიც კი ვერ შემიკავებია. იფიქრებდა კი უცხოეთში სიკვდილის წინ საცოდავი მარიამი, რომ ოდესმე მის საფლავს ნახავდა ვინმე ქართველი, მშობლიურ ენაზე საუკუნო ხსენებას შეუთვლიდა და სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებული ცრემლებსაც დაღვრიდა ამ საფლავთან?!

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ რუსეთში იყვნენ აგრეთვე იმერეთის დედოფლებიც: მარიამ, მეუღლე მეფე სოლომონ მეორისა, ვატია დადიანის ასული, რომელიც გადასახლდა რუსეთში 1811 წელს, მიიცვალა 18 მარტს 1841 წელს, დასაფლავებულია პეტრო-გრაფში (ცაგარელი, იქვე, გვ. 288) და დედოფალი ანა, მეუღლე მეფე დავითისა, მიიცვალა მოსკოვში, 1836წ. და დაეფლა დონის მონასტერში.

არქიმანდრიტი ამბროსი.

საქართველო, 1917, 9 მარტი, №54.

№15. მიტროპოლიტ ამბროსის სიტყვა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის II დაკრძალვისას

1918 წლის 7 ივლისი

უნმინდესო და უნეტარესო მამათმთავარო!

ეს შენი ცხედარი არის პირველი მსხვერპლი ჩვენი განთავისუფლებული ეკლესიის ცხოვრებაში. გაუმადლარმა და შეუბრალებელმა სიკვდილმა საქართველოს ეკლესიას გამოსტაცა შენი – პირველის მამათმთავრის სიცოცხლე. შენ ეკლესიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გეკავა შესამჩნევი ადგილი. ბევრი შრომა მიგიძღვის შენ მშობლიური ეკლესიის ტყვეობა-მონობიდან გამოსხნის საქმეში. ბევრი დევნა და ტანჯვა გამოიარე მიზნის მიღწევამდის. შენი შრომა როგორც მშობლიური ეკლესიის ისტორიის მკვლევარისა, როგორც სიძველეთა და ისტორიულ ნაშთთა შემომკრებისა, შენგან ამისთვის განუთელი ხარჯი, შენი სიუხვე და სიქველე მამულიშვილთა გამოზრდის საქმეში, შენი სტუმართმოყვარეობა ჩვენში უკვე ცნობილია და ამაზე სიტყვის გაგრძელებაც მეტი იქნება.

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანისათვის აუცილებელია შეცდომები, მაგრამ ჩვენ ხშირად ვიცით კაცის შეცდომების გაზვიადება, შენ კი, უნეტარესო მამათმთავარო, გვაპატიე ყოველი ჩვენი ამ მხრივ გადაჭარბებული მსჯელობა, რადგანაც ესეც კაცის ბუნების უსრულობის ბრალია. არ სცდება მხოლოდ ის, ვინც არას აკეთებს. ადამიანი შეცოდებისაგან უზრუნველყოფილია მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ ცივი სამარე იხსნის მას ამ ნაკლოვანებებისაგან! თუ ჩვენი ეკლესიური საქმე ძალიან ნელის ნაბიჯით მიდიოდა წინ შენი საჭეთმპყრობელობის დროს, ამის მიზეზი იყო ჩვენი თავისუფალი ეკლესიის გან-

თავისუფლებულ სახელმწიფოში უფლებობა, ჩვენი მოუმზადებლობა, უდისციპლინობა და თანხმობით მოქმედების უქონლობა, ასი წლის მონობამ გადაგვაჩვია ამ თანხმობით მოქმედებას. ეს დიდი ნაკლია, მაგრამ განა მხოლოდ ეკლესიურ ცხოვრებაში ვხედავთ ამნაირ მოუმზადებლობას? განა საერო ცხოვრებაშიც ამნაირი არ არის ჩვენი მდგომარეობა? სანამ ჩვენში არ მოისპობა პარტიული ინტერესების თვალსაზრისით მოქმედება საზოგადო საქმეებში, სანამ ყველანი არ შევთანხმდებით და არ შევერთდებით მამულის და მშობლიური ეკლესიისადმი სიყვარულით, შეცდომები აუცილებელი იქნება და საზოგადო საქმესაც არ დაეტყობა ჩქარის ნაბიჯით წინმსვლელობა.

მამულის და ეკლესიისათვის გამოვლილი დევნულება-ტანჯვა-ექსორიობამ დაგვალა შენ, შეგისუსტა ძალა და ენერგია, თუმცა ამას ნათლად ხედავდა ჩვენი ხალხი, მაგრამ გრძობდა შენი წარსული შრომის და გადატანილ ტანჯვის დაფასების საჭიროებას. და კიდევაც ჩაგაბარა შენ განთავისუფლებულ ეკლესიის საჭეთმპყრობელობა. ეს სამართლიანი დაფასება იყო შენი ღვაწლისა, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ვერ შევსძელით შეგვექმნა შენს გარშემო იმნაირი პირობები, რომ, დღევანდელ აუტანელ პირობებში ყოფნის მიუხედავად, ჩვენით შეგძლებოდა ნაყოფიერი მუშაობა.

შენი სიკვდილი გარემოცულია საიდუმლოებით. საჭიროა ამ საიდუმლოებას აეხადოს ფარდა. შეიძლება ეს სასარგებლოც იქნეს ჩვენის გამოფხიზლებისათვის. ყოველი ცხედარი, თუ კაცი მის წინაშე ჩაუფიქრდება თავის ცხოვრებას, უსათუოდ მასწავლებელია. როდესაც მიიცივალა ისრაელთა მამამთავარი იაკობი (შვილნი მისნი და) ყოველი ისრაელი იგლოვდა მისი დაკარგვას. იმდენად დიდი, იმდენად გამომაფხიზლებელი და მასწავლებელი იყო მათთვის მის ცხედრის წინ თავიანთ მდგომარეობის განცდა, რომ უცხო ტომთაც ათქმევინა: „ესე გლოვა დიდ არს მეგვიპტელთაო“.

ჩვენც ვგლოვობთ ჩვენ განთავისუფლებულ ეკლესიის პირველ მამამთავარს, მაგრამ შენი ცხედარი ახლანდელი ცხოვრების პირობების მიხედვით ხმამალა და მკაფიოდ გვეუბნება ჩვენ: „ნუ სტირთ ჩემთვის, არამედ თავთა თქვენთათვისო“ (ლუკა, 23, 28 – ჯ.გ.), ჩაუფიქრდით თქვენს ცხოვრებას, თუ თანხმობა და ერთობა არ იქნება თქვენს შორის, ვერ მიაღწევთ სანადელს. მაშ, ამ შენმა ცხედარმა, ჩვენო მამამთავარო, გამოგვალვიძოს, შეგვაერთოს მშობლიური ეკლესიის პირნათლად სამსახურისთვის, გაგვასწორობიოს ჩვენი ისტორიული ნაკლი.

უნმინდესო მამათმთავარო! ნეტარი ხარ შენ, ვინაითგან მოესწარი იმას, რასაც ელტვოდი – ეკლესიის და სამშობლოს თავისუფლებას. შენს შრომას, შენს ღვაწლს, სამშობლოს კეთილდღეობისათვის შენგან მიღებულ ტანჯვას მომავალშიაც არ დაივინყებს სამშობლო, ქართველი ერი. თავყვანს სცემს შენს წმინდა ცხედარს ჩემთან ერთად ჩემი უღირსების სამწყსო – სამეგრელო, გურია და აფხაზეთ-სამურზაყანო. მეტადრე დაუვინყარი იქნება შენი ხსოვნა აფხაზეთ-სამურზაყანოსათვის, სადაც შენ მწყემსმთავრობდი. იქ, იმ სამწყსოსათვის, რომელსაც 1885 წლიდან განაგებდნენ უკიდურეს გამარუსებულ პოლიტიკის მიმდევარნი მღვდელმთავარნი, შენ იყავი იმნაირივე გულშემატკივარი მამა, როგორნიც იყვნენ მათთვის დაუვინყარნი და ნეტარხსენებულნი გაბრიელი და ალექსანდრე; შენ დაჰგმე ხალხის გადაგვარების მიმდევართა პოლიტიკა, შენ ჩაუყარე მტკიცე საძირკველი აფხაზურ ენაზე ნირვა-ლოცვის და საღმრთო წერილის თარგმნის საქმეს.¹ ამას არ დაივინყებს აფხაზთა მრავალტანჯული ერი. განისვენე ქართველთა ეკლესიის მონობისაგან განთავისუფლების შემდეგ პირველო ჩვენო მამათმთავარო, განისვენე ამ დიდებულ, მრავალსაუკუნოების განმავლობაში სამშობლო მხარის ავ-კარგის მონამე ტაძარში. უთხარ შენ წინამოადგილე ტანჯულს, სამშობლოდან განდევნილ, შორეულ ჩრდილოეთში მშობელ ერისაგან დაუტირებლად ცივ სამარეს მიბარებულ მამათმთავარს ანტონი მეორეს და სხვათა, რომ საქართველოს ეკლესია თავისუფალია, რომ მისი თავისუფლება დაუდგა საფუძვლად ერის თავისუფლებას, მას მოჰყვა სამშობლოს თავისუფლებაც.

ჩვენ წმინდა მამებთან ერთად შევედრე ყოვლადმონყალე ღმერთს, რათა გვიხსნას და განგვეურნოს ჩვენ ჩვენი ისტორიული ნაკლისაგან და მოგვცეს მან ერთობა სარწმუნოებრივ-ეროვნულად განმტკიცებისათვის მოღვაწეობაში. ილოცე მხურვალედ ჩვენი მოჭირ-

ნახულე და გულშემატკივარ წინაპრებთან ერთად სამშობლო მხარის ქრისტიანულად და კულტურულად აღორძინება-აყვავებისათვის.

კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს. 193.

შენიშვნა:

1. იხ. ამის შესახებ: წმ. მღვდელმონაქე კირიონ II და აფხაზეთი, გვ.33, 222-223, 229, 268, 305-306.

№16. კორესპონდენცია გიორგი შარვაშიძის ხსოვნის აღნიშვნისა და მიტროპოლიტ ამბროსის ქ. სოხუმში სტუმრობის შესახებ

1918 წ. სექტემბერი

ცნობილ საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებიდან ნახევარი წლის აღსანიშნავად მის პატივის მცემელ აფხაზ-ქართველთა, სხვათა შორის, განიზრახეს პირველ სექტემბრისათვის მისი მოსახსენებელ წირვა-პანაშვიდის შესასრულებლად მოწვევა სოხუმში ჭყონდიდელ მიტროპოლიტის ამბროსისა. ეს უკანასკნელი საკათალიკოზო საბჭოს მორიგ სესიაში განვევის გამო იმყოფებოდა თბილისში, მაგრამ ის სრული თანაგრძნობით შეხვდა სოხუმელ აფხაზ-ქართველთა ამგვარ კეთილ მამულიშვილურ მისწრაფებას და არ დაიზარა ამ მეტად შემანუხებელი მიმოსვლის დროს თბილისიდან სოხუმში გამგზავრება, მით უფრო, რომ სახელოვან ქართველის გასვენებას 19 თებერვალს ბოლშევიკების მიერ გამონვეულ საშინელ არეულობისა¹ გამო ბევრი მისი თაყვანის მცემელი ვერ დაესწრო და ამისათვის მისი დასაფლავება მოქვის ტაძარში მოხდა მეტად უფერულად და სადად. მოსახსენებელ დღეთ დანიშნული იყო პირველი სექტემბერი.

31 აგვისტოს დღისით, 10 საათზე მიტროპოლიტი ამბროსი ფოთის პორტის უფროსის ჯავახიშვილის ნათავაზე მოტორი „გიდროგრაფით“ გამოემგზავრა ფოთიდან სოხუმისაკენ თანხლებით არქიმანდრიტ ნაზარისა (ლუჟავა – ჯ.გ.), ფოთის ტაძრის კრებულისა და ქუთაისიდან საგანგებოდ მიწვეულის მგალობელთა გუნდისა. ამინდი იყო მეტად საამო და წყნარი, ზღვის ღორების გამუდმებული თამაში ჩვენი გემის მახლობლად ართობდა და აქცევდა ყველას და განსკუთრებით კი მგალობელთა გუნდის პატარა ბავშვებს, რომელნიც პირველად მიემგზავრებოდნენ ზღვით. მშვენიერი და ლამაზი სამეგრელო-აფხაზეთის ზღვის სანაპიროები, შემკული მდიდარი თვალ უწვდენელი ტყეებით და სხვა და სხვა ტროპიკული მცენარეებით, მგზავრებზე საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენდა და ამავე დროს წარმოდგენა იმისა, რომ ეს ჩვენი ედემისებრ მშვენიერი ტურფა ქვეყანა დღეს ჩვენს საკუთარ ხელშია და ჩვენს საკუთარ სახელმწიფოს შეადგენს, ყველას გულში იწვევდა აუნერეულ სიხარულსა და ბედნიერებას, და ამ სიამოვნების განცდის ნიადაგზე არა ერთხელ და ორჯელ ყოვლად სამღვდლო მიტროპოლიტის წინადადებით გემზე შესრულებულიყო გუნდის მიერ ეროვნული გიმნი და სხვა ქართული პატრიოტული სიმღერები; ბავშვების ტკბილი ხმების წკრიალი ატკობდა სმენას და სიამით გაისმოდა ზღვის სივრცეში.

სოხუმში ჩვენ მოგველოდნენ სალამოს შვიდ საათზე, მაგრამ ჩვენმა გემმა, გასათბობ მასალის სიმცირის გამო, 10 საათზე ძლივს მიაღწია ნავთსადგურს, სადაც მიტროპოლიტს, ჩვენდა გასაკვირველად, დაუხვდნენ მხოლოდ ზოგიერთი კომიტეტის წევრნი. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ 7 საათისათვის სოხუმის ნავთსადგურზე ჭყონდიდელის შესაგებებლად მოზღვავებულმა ხალხმა იფიქრა ალბად, მიტროპოლიტი ხვალ მოდისო და დაიშალა. კომიტეტის წევრებმა მიტროპოლიტი საგანგებო მატარებლით მხლებლებითურთ წაიყვანეს ცნობილ ვაჭრის სამსონ ნინუას სახლში, სადაც მათი მეუფებისათვის განემზადებინათ ბინა.

მეორე დღეს ქალაქში დილით ელვასავით გავრცელდა ამბავი ქართველ მღვდელმთავრის, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის მოსვლისა და, როდესაც 9-ს ნახევარზე გაისმა სოხუ-

მის საკათედრო ტაძრის ზარის ხმა, ურიცხვმა ადგილობრივ აფხაზ-ქართველობამ მიაშურა საკრებულო ტაძარს, რათა გაიგონოს და დასტუბეს ქართული სამღვდელმთავრო წირვის მოსმენით. სწორედ 10 საათზე მოზრდნდა თვით მირტოპოლიტი, რომელსაც ეკლესიის გალავანთანვე მიეგება ხალხი, გამომთხოველი მისგან ლოცვა-კურთხევისა.

ტაძარში მიტროპოლიტმა მიჰმართა რა ხალხს მოციქულებრივი მისაღმებით, სხვათა შორის, სთქვა: „შესრულდა ოცდა ორი წელი მას შემდეგ, რაც მე იძულებით დავსტოვე ეს ჩემი საყვარელი ქალაქი და ტაძარი, სადაც ამ ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი და ვმღვდელთმსახურებდი. იმ დროს მაშინდელი ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი იმისთანა უკულმართ და ჩვენი დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომ ამ ტაძარში ერთი ასამაღლებელიც არ წარმოითქმოდა ქართულად; აღდგომას ნაიკითხებოდა სახარება ხოლმე მრავალ სხვა და სხვა ენებზე, ქართული სახარება კი ყოველთვის განგებ იყო დატოვებული, რომ ამ საშუალებით მოესპოთ, გაექარწყლებიათ და აღმოეფხვრათ ქართველების გულში სამშობლო ქვეყნისა და ეკლესიის სიყვარული. თუმცა უტყუარ ისტორიულ დოკუმენტების მიხედვით, საქართველოს საზღვრები არამც თუ სოხუმს, ტუაპსეს იქითაც გადასცილდებოდა, მაგრამ ისინი სოხუმს, ჩვენი მოძმე აფხაზების დედაქალაქს, რუსეთად სთვლიდნენ და ამნაირის აზრებით და გრძნობებით ჰკვებავდნენ და ზრდიდნენ მკვიდრ მცხოვრებთ. დღეს კი დადგა სხვა გარემოება, ისტორიამ ასი წლის ბოროტი უსამართლობა გაასწორა და იქ, სადაც პირველი საუკუნიდან მშობლიურ ენაზე გაისმოდა ღვთის ვედრება, დღეს ხელახლა შესაძლებელი გახდა მისი აღდგენა, ჩვენ ყველანი დღეს ამის მოწმენი ვართ და სწორეთ ამ სასიამოვნო გარემოებამ შეგკრიფათ თქვენ დღეს ასე ბლომათ“.

შემდეგ დაიწყო წირვა. დიდი ტაძარი გაჭედილია ხალხით, მოსულან რუსებიც. გაისმის ტკბილი ქართული გალობა, სულგანაბული ისმენს ხალხი ქართულ ღვთისმსახურებას და ყველას ცხადათ ეხატება სახეზე სიამოვნება და სიხარული. ეტყობა დიდი გულნაკლულნი ყოფილან აქაურნი მკვიდრნი იმით, რომ დღემდე მოკლებული იყვნენ ამგვარ სულიერ სიამოვნებას. წირვის გათავებისას ყოვლადუსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა კვლავ მიჰმართა ხალხს გრძნობიერი სიტყვით და განუმარტა მას მიზანი მისი სოხუმში მოსვლისა: გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულება, დაასურათხატა განსვენებულის მოღვაწეობა, პოლიტიკური და ეროვნული მისი იდეალები და მისწრაფებანი, შეეხო აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულებას და ურთი-ერთობას უძველეს დროიდან; რუსების ამ უკანასკნელ ხანის აფხაზ-ქართველთა გამთიშველ პოლიტიკას. „არც ძველად, სთქვა მიტროპოლიტმა, როდესაც ჩვენი ეკლესია თვით განაგებდა თავის ბედს, არ უწარმოებია და არც, რასაკვირველია, ეხლაც არ აწარმოებს მასზე უფრო მცირერიცხოვან ერების ეკლესიურად შთანთქმის პოლიტიკას, პირიქით, ყოველთვის ხელს უწყობდა სხვა თანამორწმუნე ხალხთა ეკლესიის ნაციონალიზაციას. საქართველოს ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენელნი ამ გვარად მოქმედებდნენ, წარმოიდგინეთ, იმ დროსაც კი, როდესაც აქ საშინლად ბობოქრობდა ჩვენი ხალხის გამანადგურებელ რუსის სინოდალური საეკლესიო პოლიტიკა. ამ აზრის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ სულმნათი ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც აფხაზთა შორის ქრისტიანობის დამკვიდრების საუკეთესო საშუალებად სთვლიდა სემინარიაში აფხაზური ენის სწავლების შემოღებას. მეორე ქართველმა მოღვაწე მღვდელმთავარმა, ან უკვე განსვენებულმა კათალიკოსმა კირიონმა თავის სოხუმში ყოფნის დროს ბევრი აფხაზთა ეროვნების სასარგებლო საქმეები გააკეთა, სხვათა შორის, ჩაუყარა მტკიცე საფუძველი საღმრთო წერილის და სამღვდელმსახურო წიგნების გადათარგმნის საქმეს აფხაზურ ენაზე. აფხაზ-ქართველნი უნდა შეერთდნენ ისე, რომ ნაციონალურად თითოეულმა მათგანმა შეინარჩუნოს თავისი საკუთარი ელფერი მსგავსად იმისა, როგორც სხვა და სხვა საამო სუნის ყვავილები, თუმცა შედიან თაიგულში, როგორც მისი ელემენტები, მაგრამ თავის სპეციფიკურ თვისებას კი არ ჰკარგავენ და ამავე დროს ყველანი ერთად შეადგენენ ერთ საუცხოო და მშვენიერ თაიგულს“. თავისი დიდ მნიშვნელოვანი სიტყვა (მისმა) მეუფებამ იმით დაამთავრა, რომ მსმენელთ კვლავ მოაგონა ანდერძი განსვენებული გიორგი შარვაშიძისა, რომ აფხაზეთი უსაქართველოდ არ ივარგებს და საქართველო უაფხაზეთით და ურჩია ამ ორივე უმახლო-

ბლეს მონათესავე ტომთა სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ ამ სახელოვანი ადამიანის დიდებული აზრების შეთვისება და ახლო მომავალში მათი განხორციელება. ნაწირვებს ეკლესიის გალავანში ჭირისუფალთა თხოვნით მიტროპოლიტმა გადაიხადა რევოლუციის მებრძოლთა საფლავებზე პანაშვიდი და შემდეგ, დალოცა რა ხალხი, ეტლით დაბრუნდა თავის ბინაზე, სადაც ზევით დასახელებულმა უხვმა და სტუმართმოყვარე მასპინძელმა ნინუამ გაუმართა მას ნადიმი, რომელზეც მონვეულნი იყვნენ აფხაზთა საბჭოს წევრნი ვარლამ შარვაშიძის მეთაურობით, სოხუმის ყველა ეროვნებათა საბჭოს წარმომადგენელნი და მრავალი საპატიო პირნი.

სადილობამდის ჭყონდიდელ მიტროპოლიტს წარმოუდგა აფხაზთა საბჭოს ხუთი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია. დეპუტაციის მეთაურმა ვ. შარვაშიძემ მოახსენა მის მეუფებას, რომ ამჟამად მზად არის ნიადაგი აფხაზ-ქართველთა შორის ძველი მეგობრობის განახლება-განმტკიცებისა. აფხაზთა განკერძოებული მოქმედება გაუგებრობის შედეგი იყო, რასაც ხელს უწყობდა რუს-თათართა პროვოკაციული მოქმედება. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მათ მეუფებას, შუამდგომლობა ადგილობრივ სამხედრო მთავრობასთან, რომ 1) გაენთავისუფლებინათ უბრალო ეჭვით ან პროვოკატორთა ცილისწამებით დატუსაღებულნი; 2) შეეჩერებინათ დამნაშავეთა დახვრეტა; „სამაგალითოდ და შეუბრალებლად დამნაშავეთა დასჯა“, სთქვა ბ. შარვაშიძემ, „სამართლიანი და კანონიერი და ამის წინააღმდეგ არავინ არაფერს იტყვის, მაგრამ უდანაშაულო ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების აწიოება, მათი სარჩო-საბადებლისა და სახლ-კარის განადგურება აღემატება ყოველგვარ მტარვალობას“; 3) მთავრობამ აუნაზღაუროს აფხაზებს ზოგიერთი ჯარის ნაწილების უკანონობით მიყენებული ზარალი და 4) თუ შესაძლებელი იქნეს თვით საკათალიკოზო საბჭომ გამოუგზავნოს განადგურებულ და გადაბუგულ აფხაზთა ოჯახებს თავისი წვლილი; ამას ექმნება დიდი მორალური მნიშვნელობა ხალხისათვის და ხელს შეუწყობს აფხაზ-ქართველთა მეგობრობის განმტკიცებას. მიტროპოლიტმა დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით მოუსმინა ყოველივე ეს აფხაზთა თავმჯდომარეს და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება. 4 საათზე მიპატიჟებულნი დასხდნენ სადილად. ნადიმის დროს ბევრი საგულისხმიერო სიტყვები წარმოითქვა აფხაზ-ქართველთა შორის მეგობრულ კეთილ განწყობილების დამყარების საჭიროებაზე მიტროპოლიტიდან დანყებული სხვა და სხვა საპატიო და სასულიერო და საერო პირთაგან და ყველა (ეროვნულ) საბჭოთა წარმომადგენელთა მიერ. სიტყვებში შეეხნენ, სხვათა შორის, რუს-ქართველთა და ბერძენ-ქართველთა დამოკიდებულებას. ნადიმის დროს თავ. ჯოტო შარვაშიძემ გადასცა მიტროპოლიტს 1•000 მანეთი პრემია იმისთვის, ვინც საუკეთესო თხზულებას დასწერს აფხაზებზე. მეორე დღეს დილით კვლავ მოვიდა მიტროპოლიტთან აფხაზთა საბჭოს თავმჯდომარე ჯოტო შერვაშიძე (ასეა ტექსტში – ჯ. გ.), უკანასკნელი მეტად დალონებული იყო. მან ამცნო ჭყონდიდელს რომ აფხაზთა საბჭოს უკანასკნელი ცნობებით, აფხაზთა სოფლებში კვლავ ჰქონდა ადგილი სახლების გადაწვას. “ეხლა – მოახსენა მიტროპოლიტს შარვაშიძემ, ზედმეტია თქვენი შუამდგომლობა სამხედრო მთავრობის წინაშე და უსარგებლოა აფხაზ-ქართველთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის. აწი თვით გარემოებათა მსვლელობას მივანდოთ აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულების გამორკვევა“. მიუხედავად ამგვარ მეტად გამწვავებულ მდგომარეობისა, 3 სექტემბერს ყოვლად სამღვდელმომარქიანდრიტ ნაზარის თანხლებით ინახულა საავადმყოფოში გენ. მაზნიაშვილის მოადგილე ავადმყოფი პოლკოვნიკი თუხარელი, რომელთანაც მიტროპოლიტს ჰქონდა ხანგრძლივი ბაასი ამ ბოლო დროს აფხაზეთში მომხდარ ამბების გამო. მათმა მეუფებამ, როგორც ზედმინევიტით მცოდნემ აფხაზთა ზნე-ჩვეულებისა და ხასიათისა, მისცა ბ-ნ. თუხარელს ფასდაუდებელი ცნობები აფხაზ-ქართველთა შორის კეთილ განწყობილების დასამკვიდრებლად. გამოთხოვებისას მიტროპოლიტმა, თანახმად აფხაზთა საბჭოს თავმჯდომარის წინადადებისა, აღძრა ბ-ნ. თუხარელის წინაშე შუამდგომლობა და პოლკოვნიკმა სიტყვა მისცა, რომ მის შუამდგომლობას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა და შესაძლებლობისამებრ შესრულებული იქნება. მართლაც, მეორე დღეს ადგილობრივმა სოხუმის გაზეთმა «Наше Слово»-მ გამოაქვეყნა, რომ პოლკოვნიკმა თუხარელმა ჭყონდიდელ მიტროპოლი-

ტის შუამდგომლობით გაანთავისუფლა 8 ტუსალი აფხაზი და აგრეთვე გაუგზავნა ფიცხელი ბრძანება პოლკოვნიკ კარგარეთელს ოჩამჩირეში, რომ მის მისვლამდის სახლ-კარის გადანვა შეჩერებული იქნეს, გამოყვანილი იყოს ჯარი იმ სოფლებიდან, სადაც მათი ყოფნა სამძიმოა მშვიდობიან მცხოვრებლებსათვის.

4 სექტემბერს მიტროპოლიტი დაესწრო ხალხით გაჭედილ ადგილობრივ თეატრში განსვენებულ გ. შარვაშიძის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ საღამოს, რომელზედაც ნაკითხულ იქნა განსვენებულის ბიოგრაფია, მისი ზოგიერთი დაუბეჭდავი ლექსები. ქუთაისის გუნდმა შეასრულა ქართული საეკლესიო საგალობლები და საერო სიმღერები.

მათმა მეუფებამ სოხუმში ყოფნის დროს დაათვალიერა სატუსალო, საავადმყოფო და ერთი ქალაქის განაპირა მდებარე სოფელი და მათი დროებითი ეკლესია. ხალხი დიდის აღტაცებით და სიხარულით შეხვდა მღვდელმთავარს; მან დარიგებით მიმართა ხალხს, განუმარტა სხვათა შორის თანამედროვე გარემოებათა მსვლელობა და ურჩია არ აჰყენებოდა ბოლშევიკურ დამლუპველ მოძრაობას. მიტროპოლიტმა სოხუმში დაჰყო ერთ კვირამდე. ამ შემთხვევით ისარგებლა ბევრმა აფხაზეთის სხვა და სხვა კუთხის საერო და სამღვდელო საპატიო და გავლენიანმა პირმა, რომელთაც ინახულეს მათი მეუფება და მსჯელობდნენ ჩვენი პოლიტიკურ და საეკლესიო კითხვებზე. მიტროპოლიტი ყველას შესაფერ დარიგებასა და რჩევას აძლევდა.

ცხრა სექტემბერს სოხუმში ტუაფსედან მოვიდა ჩვენი რესპუბლიკის სწრაფმავალი გემი „ტავრიდა“, რომლითაც ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი უკანვე ფოთში დაბრუნდა. საზოგადოთ მათი მეუფების ყოფნამ სოხუმში ადგილობრივ მცხოვრებლებზე და კერძოდ აფხაზებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჭახრაკი.

საქართველო, 1918, 2 ოქტომბერი.

№17. მიტროპოლიტ ამბროსის სიტყვა კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე ლეონიდეს არჩევისას

1919 წლის 11 თებერვალი

„თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,
მონყალეო მწყემსმთავარო!

აღსრულდა ჩვენის გულისწადილი. ჩვენს დროებით დაქვრივებულ ეკლესიას დაედგა ბუნებრივი თავი. შენ უკვე არჩეული ხარ ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელ კათოლიკოს-პატრიარქად. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან შენი შრომა, შენი ღვაწლი მშობლიური ეკლესიის აღორძინების საქმეში დიდია.

ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენ ეკლესიაში ლოცვით მოვიგონეთ შენი 30 წლის მოღვაწეობა (1918წ. სექტემბერი – ჯ.გ.). ამ ხნის განმავლობაში შენ კიდით კიდე შემოიარე მთელი საქართველო, ყველგან სთესე, ყველგან ავრცელე ქრისტეს უკვდავი სწავლა. მშობლიურ ეკლესიის ბედილბალს და ღვთის განგებას ისე მოუწყვია შენი მოღვაწეობის საქმე, რომ შენი მზრუნველობა ამ ხნის განმავლობაში ყოფილა მუდმივი; ის არ შეწყვეტილა სამშობლო მხარის შენის მოშორებით. მუდამ სამშობლოში გიმსახურია, ხოლო ამან მოგცა საშუალება, რომ მისი მდგომარეობა, ვითარება და საჭიროებანი სავსებით შეგესწავლა. ორჯერ ექვს-ექვს თვეობით კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეობამაც შეგძინა გამოცდილება ეკლესიის მეთაურობისა. ნამდვილად კი ამნაირი მოღვაწე ესაჭიროებოდა ჩვენს ასი წლის მონობისაგან განთავისუფლებულ ეკლესიას და შეგვიძლია მოციქულთან ერთად ვსთქვათ შენზე: „ესე ვითარი, ვითარცა შენ შეჰგვანდა ჩვენდა მღვდელმთავარი“ და საჭეთმპყრობელი ოდესღაც ცხოველყოფელ ძალის მექონე, ხოლო ახლა მონობაში მიღებულ ჭრილობათა და სიდამბლისაგან გამომრთელების გზაზე დამდგარ ეკლესიისა.

ამის გამო აღფრთოვანებით ვეგებებით შენს არჩევას. იმედი გვაქვს და კიდევაც

გვწამს, შენი საჭეთმპყრობელობის დროს მოისპობა ჩვენში უმოქმედობა, შუღლი და უთანხმოება იმათ შორის, ვინც განგებამ მოუვლინა ჩვენს ეკლესიას მოჭირნახულეთ, რომ ჩვენი ეკლესია შენს ხელში დაადგება აღორძინების და ჩქარის ნაბიჯით წინმსვლელობის გზას. საჭიროა თავდადებით შრომა ერში სარწმუნოების განმტკიცებისათვის, მეტადრე ეს საჭიროა ეკლესიისათვის ამ აუტანელ დროს, როდესაც შინაური და გარეული მტრები იმას ცდილობენ, რომ დასცენ ჩვენში სარწმუნოება და ეკლესიურ-პოლიტიკური თავისუფლება.

ვსასოებთ მაღალყოვლადუსამღვდელოესო მწყემსმთავარო, რომ მოსალოდნელი შენი თავდადებული ღვაწლი, შენს გამოცდილება და ნიჭთან შეკავშირებული ჩაპბერავს და მისცემს ჩვენს ეკლესიას ცხოველმყოფელ ძალას, შეაერთებს მთელს სამღვდელოებას, რომ ერთსულოვნებით და თავგანწირულათ იშრომოს შენის მოთავეობით სარწმუნოების განმტკიცებისათვის.

გაგვიძეხ მეუფეო, როგორც გამოცდილმა მოღვაწემ და მოჭირნახულემ ამ დიად საქმეში, ხოლო ჩვენ ფიცსა ვსდებთ, რომ გაგინევთ ერთგულ თანამშრომლობას, რომ საზოგადო საქმისთვის მუშაობის დროს ჩვენ არ მივაქცევთ ყურადღებას პირად ანგარიშებს და მხოლოდ საზოგადო სარგებლობის თვალსაზრისით ვიმოქმედებთ და ვიმუშავებთ ეკლესიის აღორძინებისათვის.

გსთხოვთ ზეცათა მეუფეს, რომ ხანგრძლივი და ნაყოფიერი ჰყოს მან მშობლიური ეკლესიის საკეთილდღეოდ შენი მოღვაწეობა და საჭეთმპყრობლობა და ჩვენც მოგვეცეს ძალა და უნარი გაგინიოთ ნამდვილი ნაყოფიერი თანამშრომლობა. გისურვებთ ხანგრძლივი სიცოცხლეს და გულის სიღრმიდან შემოგძახებთ „ის პოლა ეტი დესპოტას“ (ბერძნ.: „მრავალუჭამიერ, მეუფეო“ – ჯ.გ.).

კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ფ.ს.206.

№18. მიტროპოლიტ ამბროსის სიტყვა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს კურთხევისას

1919 წლის 23 თებერვალი

უნწინდესო და უნეტარესო მამათმთავარო!

ბედნიერათ მიგვაჩნია ჩვენი ეკლესია, ვინაითგან შენ გხედავთ უკვე მის საჭეთმპყრობელად არჩეულს, კათოლიკოს-პატრიარქის მაღალის ხარისხით აღჭურვილს. დღეს შენ ახვედი იმ მამათმთავართა კათედრაზე, რომელნიც ამშვენებდნენ ჩვენს თავისუფალ ეკლესიას. აქ, ამ წმიდა და დიდებულ ტაძარში, განისვენებენ მრავალნი კათალიკოს-პატრიარქნი და დღეს სულით ხარობენ, ვინაითგან შენ გხედავენ ღირსეულ მოჭირნახულე მამათმთავრათ მათგან შექმნილ და გადმოცემულ ეკლესიისა, შენგან მოელიან, რომ შენი მოსალოდნელი თავდადებული მოღვაწეობა განკურნავს ჩვენს ეკლესიას იმ ჭრილობათაგან, რომელიც მას მიუღია ასის წლის მონობის დროს; მოელიან, რომ შენი შრომა, მოღვაწეობა და გამოცდილება შთაბერავს მას იმ ცხოველმყოფელ ძალას, რომლითაც ცნობილი და აღჭურვილი იყო ჩვენი დედა ეკლესია.

სულით ხარობენ დიდებულნი, სამშობლოს და ეკლესიის მოყვარულნი და მოჭირნახულენი მეფენი და საზოგადოთ ჩვენი მამულისათვის თავდადებულნი წინაპარნი, რომელთაც იცოდნენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოების და ეკლესიის აღორძინებას ხალხის ეროვნულად და პოლიტიკურად აღორძინება-განმტკიცებისთვის.

ჰხარობს დედა ეკლესია, დარწმუნებული, რომ შენში მან ჰპოვა თავდადებული მოღვაწე და ღირსეული საჭეთმპყრობელი. ხარობს სამშობლო მხარე, რადგან შენში ის ხედავს იმ ძალას, რომელმაც უნდა შემოკრიბოს და მიიზიდოს ყველა სხვა ძალები, შემოკრიბოს მუშაკნი და შეაერთოს ეკლესიის აღორძინების საქმეში, ვინაითგან მან ისტორიულის გამოცდილებით უკვე იცის, რომ სარწმუნოებამ შეინახა ჩვენი ერი გადაგვარება-განადგურებისაგან, მან

შენახვია მას ენა და ეროვნული სახე, რომ ის – ჩვენი სამშობლო – ბედნიერი იყო, აღორძინების და ძლევამოსილების გზას ადგა მხოლოდ იმ ხანებში, როდესაც ძლიერი და ცხოველმყოფელის ძალის მქონე იყო ჩვენი ეკლესია, როდესაც ხალხში განმტკიცებული იყო სარწმუნოება. სარწმუნოებრივად მტკიცე ქართველობა მედგრად იცავდა როგორც ეკლესიას, ისე სამშობლოსაც. სამშობლოს დაცვაში ერი ხედავდა სარწმუნოების დაცვასაც, ხოლო უკანასკნელი აძლევდა მას სიმხნევს, ვინაიდან სარწმუნოებისათვის სიკვდილი მას მიაჩნდა ბედნიერებათ. ომის დროს მას მუდამ თან ჰქონდა სამშობლოდან წაღებული მინა, მით ეზიარებოდა ომში სიკვდილის წინ და იტყოდა: „მექმნეს მე ზიარებად ჩემი მშობლიური დედამინაო“. სარწმუნოების და სამშობლოს მტკიცე სიყვარულის გამო, იმ მტკიცე კავშირისა გამო სამშობლოს და სარწმუნოება – ეკლესიის ქართველის გულში, ქართველ მეომრისაგან მიღებული მშობლიური მინა მართლაც ზიარებად ერგებოდა ძველ ქართველებს. ამით, ამ რწმენით, ამნაირი სარწმუნოებასთან კავშირით, იყო ძლიერი ჩვენი სამშობლო, ხოლო ისტორიავე გვიმტკიცებს, რომ ხალხში სარწმუნოების შესუსტებას თან სდევდა სამშობლოს ძლიერების შესუსტებაც. ამისთვის ბევრ რამეს ეუბნება ქართველის გულს და გონებას სიტყვა: „კათალიკოზ-პატრიარქი“, რადგანაც მრავალსაუკუნოებიან საქართველოს ისტორიას უკვე დაუფასებია ეკლესიის თავისუფლების მნიშვნელობა, ღრმად აღუბეჭდავს ქართველის გულში და სულში კათალიკოზ-პატრიარქთა ამაგი და ღვანლი ჩვენი ეკლესიისა და სამშობლოსათვის. ამის გამო ადვილი ასახსნელია სამშობლოს სიხარული განთავისუფლებულ ეკლესიის მამათმთავრად შენი, როგორც გამოცდილი მოღვაწის, არჩევის შესახებ.

დღეს ამ მომხიარულეთა ფერხულშია გაბმული ჩვენი სამშობლოს ის ნაწილიც, რომელიც შედგება ჩემს სამწყსოს: ოდიშ-სამეგრელო, გურია და აფხაზეთ-სამურზაყანო.

მათი აღფრთოვანებითი სიხარულის სუსტი გამომხატველი ვარ მე და ჩემთან ერთად ჩამოსული ჩემის სამწყსოს წარმომადგენლები.

გულის სიღრმიდან გილოცავს, უნეტარესო მამათმთავარო, ჩემი სამწყსო ამ შენთვის და მთელი მოაზროვნე ქართველობისათვის მეტად სასიხარულო სინამდვილეს და გისურვებს მრავალჟამიერ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.209.

№19. დ. დავითაშვილის წერილიდან აფხაზეთში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს სტუმრობის შესახებ

1919 წ. 30 ოქტომბერი¹

წარსულ ენკენისთვეში აფხაზეთში მოხდა მეტად საგულისხმიერო ფაქტი-აფხაზეთა ეკლესიურად შეერთება საქართველოსთან. ამ გარემოებამ მოითხოვა საქართველოს კათოლიკოზიდ გამგზავრება სოხუმში. მათ უწმინდესობას თან ახლდნენ დეკანოზი ი. კაპანაძე და მდივანი დ. დავითაშვილი.

16 ღვინობისთვეს კათოლიკოზი თბილისიდან სოხუმს გაემგზავრა ფოთით. მცირედი შეგვიანებით მატარებელი ფოთში მივიდა ღამის 11 ნახევარ საათზე. სადგურზე მათ უწმინდესობას დაუხვდა სამღვდელთა და ქალაქის წარმომადგენელი, რომელთაც გზა გაუთავაზე მიტროპოლიტის სადგომამდე. დილის 9-ზე იმავე პირებმა უწმინდესი ლეონიდი მიაცილეს ნავთსადგურამდე. მშვენიერი დილა იდგა. ბუნება თითქოს თანაურგრძნობდა ძვირფასს მგზავრებს. ნავთსადგურზე თავაზიანმა ინჟინერმა გ. ანდრონიკაშვილმა განკარგულება გასცა და საათის 10-ზე მათი უწმინდესობა თავისი ამალით საქართველოს რესპუბლიკის გემით „ტავრიდით“ გაუდგა გზას. სოხუმთან მისვლისას გაისმა ზარბაზნის გრიალი, – ნიშანი ძვირფასი სტუმრის მოახლოებისა; პირველს მიჰყვა მეორე, მესამე ხმა, შეიქმნა ზღვის ნაპირს ჩოჩქოლი. სანაპიროზე მდგომ გემებზე საამოდ დაფრიალებდნენ საქართველოს ბაირაღები. ბაქანი ხალხით იყო გატენილი; სადგურზე თავისუფალი

ადგილი აღარსადა სჩანდა; სანაპირო ქუჩა ხალხით გაჭედილია. ჩვენი გემი მისრიალდა ნაპირზე. ბაქანის კუთხიდან გამოიმართა ნავი, რომელშიაც გამოჩნდა ფეხზე მდგომი ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი და მასთან წინააღმდეგ გაგზავნილი დეკანოზი, საკათალიკოზო საბჭოს წევრი კალისტრატე ცინცაძე. პირველი ესენი მიესალმნენ კათოლიკოსს; მათ შემდეგ გემში ჩამოვიდნენ აფხაზეთის მთავრობის და ქალაქის წარმომადგენელი. მიტროპოლიტი და დეკ. ცინცაძე გაეშურნენ ტაძარში მათ უწმინდესობის დასახვედრად. ცოტა ხნის მოცდის შემდეგ ნავი მოართვეს კათოლიკოსსაც. ბაქანზე ასვლისას მას დაუხვდა სასალამო სიტყვით ადგილობრივ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ექიმი ა. გრიგოლია. მას შემდეგ წარსდგა სოხუმის ქალთა საზოგადოების წარმომადგენელი ქ-ნ ანჩაბაძისა.² ორივეს მეუფემ მაღლობა გამოუცხადა და გამოსთქვა იმედი, რომ ახლად აღორძინებულ თავისუფალ სამშობლოში ქალთა საზოგადოებაც არ დაზოგავს თავის ძალღონეს, რომ იგი ღირსეულ მემკვიდრედ ჩაირიცხოს ისეთ დიდებულ ადამიანთა, როგორებიც იყვნენ თამარი, ნინო და სხვანი. ამის შემდეგ მეუფე გაემართა ქალაქისაკენ. ბაქანის ორივე მხარეს იდგნენ მოსწავლენი და ჯარები. გაისმა საამო ქართული ჰიმნი. მიმავალ კათოლიკოსს ხალხი თან მისდევდა. მის უწმინდესობას სთხოვეს ეტლში ჩაბრძანება, რომელსაც ირგვლივ შემოხვეული მოქალაქენი მისდევდნენ საეპარქიო ტაძარში. აქ მეუფეს მიეგება ქართული და ბერძნული სამღვდლოება მიტროპოლიტ ამბროსის წინამძღოლობით, რომელმაც შესაფერი სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ეს ის ტაძარია, რომელშიც ადდგომის დღესაც კი აკრძალული იყო ქართულ ენაზე სახარების კითხვაო (დოკ. №83 – ჯ. გ.). გადახდილ იქმნა პარაკლისი, რის შემდეგ კათოლიკოზმა მეტად გრძნობიერ სიტყვით მიმართა დამსწრეთ. შაბათს კათოლიკოზმა ილოცა ტაძარში და კვირას სწირა მიტროპოლიტის თანამსახურებით. თანამწირველად იყვნენ ქართველი, ბერძენი და რუსი მღვდლები. წირვა სწარმოებდა სამ ენაზე. იმ დღეს მათმა უწმინდესობამ მღვდლად აკურთხა ბერძენი ვინმე საბა ლაზარიდი, ხოლო მიტროპოლიტმა – რუსი ნიკ... წირვაზე დამსწრე საზოგადოებას კათოლიკოზმა მიმართა სიტყვით. ორშაბათს, 20 ოქტომბერს დღის 12 საათზე მეუფე ლეონიდმა ინახულა ადგილობრივი ქართული გარნიზონი, რომელსაც მიესალმა, მიულოცა, რომ ბედნიერება ხვდათ თავიანთ სამშობლოს სამსახურს; განუმარტა თუ რა ერთგულებით უნდა ემსახურონ ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს, რომ იგი განმტკიცდეს, აღორძინდეს. რადგან გარნიზონში ბევრი მეგრელებიც ერია, მათ უწმინდესობის სიტყვა მეგრულ ენაზე გადასცა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ. ჯარისკაცები და მათი ხელმძღვანელები დიდად ნასიამოვნები დარჩნენ. საათის პირველზე კათოლიკოზი გამოესალმა და აქიდან ნაბრძანდა სასაფლაოს და ბერძენების ეკლესიის დასათვალისწინებლად, საიდანაც დაბრუნდა 2 საათზე.

სამშაბათს, 21 ოქტომბერს, მათი უწმინდესობა თავის ამალით ნაბრძანდა ახალ ათონის მონასტერში. წინამძღვარი და ბერები (რიცხვით 60-მდე) მიეგებნენ ტაძარში ზარების საზეიმო რეკით; გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელზედაც ილოცეს საქართველოს მთავრობისა და კათალიკოზ ლეონიდეს დღეგრძელობისათვის. პარაკლისის გათავებისას მისმა უწმინდესობამ მიმართა მეტად გრძნობიერი სიტყვით და აღნიშნა, რომ ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ცნობილი ვისიმე დევნით. ტაძრიდან გამოსვლის შემდეგ დათვალისწინებულ იქმნა ყოველივე საყურადღებო. საათის ორზე სტუმრებს მიაართვეს საუზმე და სამ საათზე მათი უწმინდესობა დაბრუნდა სოხუმში. მეორე დღეს, 22 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე დანიშნული იყო მიტროპოლიტის ბინაზე კრება, რომელზედაც უნდა დასწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობისა და ქალაქის წარმომადგენელი. საგანი კრებისა – ახალ ეპარქიის მოწყობა, მოწესრიგება. მოსმენილ იქმნა ხარჯთაღრიცხვა ეპარქიის შესანახად. მეტად საგულისხმიერო იყო ეს სხდომა. ეპარქიის შესანახად საკმარისი მნიშვნელოვანი ხარჯის დაკისრება იყო საჭირო და, ერთის შეხედვით, ადამიანს უნდა ეფიქრა, რომ სოციალისტური მთავრობა ასე ადვილად ვერ იკისრებდა საეკლესიო საქმისათვის ასეთი ხარჯის გადახდას, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა, თითქოს ყველას დაავინყდა პარტიული უწინანობა-ფანატიკურობა და შეთქმულები ყოფილიყვნენ უსათუოდ მივეშველოთ ეპარქიის გამტკიცებასაო. სულ ნახევარ საათში გადასწყვიტეს ის, რაც შეიძლება სხვას მთელი დღის

სალაყბოდ ეყოფოდა. ერთხმად გამოსთქვეს აზრი, რომ ეკლესიის საკითხი დღეს ეროვნული საკითხიაო და მოვალენი ვართ ყველა ზომა მივიღოთ, რომ დაწყებული საქმე შუა გზაზე არ გაიყინოსო. მიტროპოლიტს ამბროსის ალუთქვეს სრული თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება. ასე გასინჯეთ, საეკლესიო მგალობელთა გუნდის შენახვის ხარჯიც კი არ იყო დატოვებული უყურადღებოდ. მას თვეში ესაჭიროებოდა 10000 მანეთი. ერთხმად დაადგინეს, ეს სავალდებულოდ გაუხადონ სოხუმში არსებულ ფილარმონიულ საზოგადოებას. სხდომის დამთავრებისას კათოლიკოზმა დიდი მადლობა გამოუცხადა ყველა დამსწრეთ და აღნიშნა, რომ ხელი-ხელ ჩართული საქმიანობით ბედნიერი უნდა გახდეს ჩვენი ქვეყანაო.

დილით ამავე დღეს კათოლიკოზ-პატრიარქი ბრძანდებოდა დრანდის მონასტერში. აქ ბერებს გვიან გაგებოდათ მათი უწმინდესობის განზრახვა და მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ. აქაც მეუფემ სიტყვით მიმართა და მცირე საუბრის შემდეგ დაბრუნდა ისევ სოხუმში. 23 ოქტომბერს, ხუთშაბათს სოხუმის საზოგადოებას გაემართნა ნადიმი, რომელზედაც მიწვეულ იქმნა მათი უწმინდესობა თავისი ამალით. ნადიმს დაესწრო მთელი აფხაზეთის მთავრობა და სოხუმის ინტელიგენცია, აფხაზების წარმომადგენელნიც. სუფრაზე წარმოთქმულ იქნა ბევრი საგულისხმო სიტყვები, რომლის დედა აზრი იყო ის, რომ ეკლესია და საეკლესიო საკითხი ქართველ ერისათვის უბრალო, შეუმჩნეველი საკითხი არ არის და რომ ამას მთავრობაც ანგარიშს უწევს. გარკვევით გამოითქვა ისიც, რომ სამღვდელთა და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელნი ყოველთვის სამშობლოს ერთგულნი ყოფილან და არიან დღესაც. ერთმა ადგილობრივ მთავრობის პირმა ისიც კი განაცხადა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება არის პროგრესიული სარწმუნოება და არა რეტროგრადული, როგორც ეს ზოგიერთსა ჰგონია.

გაზ. საქართველო, 1919, 30 ოქტომბერი.

შენიშვნა:

1. წერილის გამოქვეყნების თარიღი (ჯ.გ.).
2. მ. დადიანი – ანჩაბადისა (1857-1935წწ.) (ჯ.გ.).

№20. დეკრეტი №21 საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტისა სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ

1921წ. 15 აპრილი

1. სარწმუნოება არის პირადი საქმე ყოველი მოქალაქისა; ყოველ მოქალაქეს შეუძლიან აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მას უნდა, ან და არც ერთი არ აღიაროს.
2. სარწმუნოება არავითარ უპირატესობას და პრივილეგიებს არ ჰქმნის.
3. ეკლესია განიყოფება სახელმწიფოსაგან.
4. აკრძალულია გამოცემა ადგილობრივი ხასიათის კანონებისა ან დადგენილებებისა, რომელთაც შეუძლიათ შეზღუდვა ან შევიწროება სინიდიის თავისუფლებისა.

გაუქმებულია ყველა ის კანონი და დადგენილებანი, რომლებიც მოქალაქეს უზღუდავდნენ ან უსპობდნენ უფლებას სარწმუნოების აღიარებისა ან მისი უარყოფის გამო.

შენიშვნა: ყველა ოფიციალური აქტებიდან ამოშლილ უნდა იქნეს ყოველგვარი ცნობა სარწმუნოების აღიარებისა ან მისი უარყოფის შესახებ.

5. სახელმწიფო ან სხვა საჯარო უფლებით მოსილ საზოგადო დაწესებულებათ მოქმედების დროს აკრძალულია სარწმუნოებრივი წესების აღსრულება.

6. სარწმუნოებრივი წესის შესრულება უზრუნველყოფილია იმდენად, რამდენადაც იგი არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და არ ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს. ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლიან ამგვარ შემთხვევების დროს მიიღოს საჭირო ზომები საზოგადოებრივ წესრიგისა და მშვიდობიანობის დასაცავად.

7. არავის არა აქვს უფლება თავისი სარწმუნოებრივი შეხედულების მიზეზით უარი განაცხადოს მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე; როგორც გამონაკლისი ამ მუხლისა, შეიძლება ერთი სამოქალაქო ვალდებულების მეორეთი შეცვლა ყოველ ცალკე შემთხვევაში, თანახმად სახალხო სასამართლოს განაჩენისა.

8. სარწმუნოებრივი ფიცი ან დაფიცება გაუქმებულია; აუცილებელ შემთხვევაში შეიძლება საჯაროდ აღთქმის დადება.

9. სამოქალაქო მდგომარეობის აქტებს მხოლოდ სამოქალაქო მმართველობის ორგანოები ასრულებენ, სახელდობრ სამოქალაქო მდგომარეობის აღრიცხვის განყოფილებანი.

10. სკოლა განიყოფება ეკლესიისაგან.

11. აკრძალულია სამღვთო სჯულის სწავლება სახელმწიფო, საზოგადოებრივ და იმ კერძო სასწავლებლებში, სადაც საერთო განათლების ხასიათის საგნებს ასწავლიან; სამღვთო სჯულის სწავლება ან მისი შესწავლა მოქალაქეებს შეუძლიათ კერძოდ.

12. საეკლესიო და სარწმუნოებრივი საზოგადოებანი ექვემდებარებიან არსებულ საერთო დებულებებს საზოგადოებათა და კავშირების მოქმედების შესახებ და არ სარგებლობენ არავითარი უპირატესობით ან დახმარებით არც სახელმწიფოსა და არც მის ადგილობრივ ან სხვა ავტონომიურ თვითმმართველ ორგანოების მხრივ.

13. აკრძალულია საეკლესიო და სარწმუნოებრივი საზოგადოებათა სასარგებლოდ იძულებით გადასახადების დაწესება და აკრება; აკრძალულია აგრეთვე აღნიშნულ საზოგადოებათა მხრივ თავიანთ წევრების მიმართ ძალდატანებითი მოქმედება ან მათი დასჯა.

14. არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიონ საკუთრება. მათ იურიდიული პიროვნების უფლება არა აქვთ.

15. საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად.

ის შენობები და ნივთები, რომლებიც მღვდელმსახურების კულტის შესრულებისათვის არის საჭირო, მიეცემათ სათანადო სარწმუნოებრივ საზოგადოებათ სარგებლობისათვის უფასოდ ადგილობრივი ან ცენტრალური მმართველობის საგანგებო დადგენილებით.

სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის დეკრეტის ცხოვრებაში გატარების წესის შესახებ გამოქვეყნებულ იქნება ცალკე ინსტრუქცია იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ.

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921წ., აპრილი 15. ქ. ტფილისი, სასახლე.

მოამბე შსს კომისარიატისა, 1921, №1, 23 აპრილი, გვ. 11-12.

№21. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა (განმარტება დეკრეტისა №21)

1922წ. 15 აპრილის შემდეგ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი №21, რომლის ძალითაც ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სარწმუნოება გამოცხადებულია მოქალაქეთა საკუთარი სინდისის საქმედ.

ეს მნიშვნელოვანი აქტი სავსებით შეესაბამება სოციალისტურ სახელმწიფოს სტრუქტურას.

სოციალისტურ მთავრობას არ შეუძლიან სახელმწიფოებრივი ფუნქციები მიაკუთვნოს ეკლესიას, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ბიუროკრატია თავის სასარგებლო იარაღად იყენებდა დამონავებულ მასსათა გონებრივ ესპლოატაციისთვის, უნერგავდა მათ ამ ქვეყნად მონობის გრძნობას და სამაგიეროდ ჰპირდებოდა ზეციურ სამოთხესა და განცხრომას – მაშინ, როცა იგივე ბიუროკრატია ყოველმხრივად ჰყვლეფდა ამ მასებს და

განცხრომით განისვენებდა ამქვეყნიურ სამოთხეში.

ამ ნიადაგზე გაბატონებული კლასი თავის სასარგებლოდ იყენებდა ხალხის განუვითარებლობას, გონების სიბნელეს და ბუნების საიდუმლო ძალთა ცვალებადობას.

ბუნების იდუმალ ძალთა შეუცნობლობის ნიადაგზე აღმოცენდა სხვა და სხვა სარწმუნოება და ყოველი სარწმუნოება ცდილობდა დატანჯული ადამიანის გონება და აზრი აეცილებინა „ამ ქვეყნიური წუთიერი“ ვაებისაგან და საუკუნო „საიქიო“ ნეტარებისათვის მიექცია.

„მაშვრალნო და ტვირთმძიმენო! იქონიეთ მოთმინება და უფალი იმ ქვეყნად მოგანიჭებთ ბედნიერებას“-ო ასწავლის ადამიანს სარწმუნოება.

მაგრამ ამქვეყნად ყველა ერთგვარად უბედური და ტანჯული როდია.

უბედურთა და ტვირთმძიმეთა გვერდით არიან ბედნიერნიც, განცხრომის შვილნი, რომელნიც თავის ბედნიერებას სხვის უბედურებაზე ამყარებენ. ამ ბედნიერთა ინტერესები მოითხოვს, რომ კაცობრიობის იმ ნაწილს, რომელსაც ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაქცევია, მიუთითოს სამოთხე და იქ დაჰპირდენ საუკუნო ნეტარება. თუ ღარიბ-ღატაკნი, გაჭირვებულნი მართლაც დარწმუნდებიან, რომ ამქვეყნიური ცხოვრება თვით ღვთაებისაგანაა ასე გაჩენილი და დანესებული, აღარ შეებრძოლებიან არსებულ სიდუხჭირეს და ნესწყობილებას.

როგორც ვსთქვით – არსებული ნეს-წყობილების ბატონ-პატრონებმა სარწმუნოება და სასულიერო წოდება გამოიყენეს თავის ბატონობის, ძალ-მომრეობის, ექსპლოატაციის გასამართლებლად და კლასობრივი სახელმწიფო, სახელმწიფო, რომელიც იცავდა გაბატონებული კლასის ინტერესებს, აცხადებდა რომელიმე მოძღვრებას სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად, ჰქმნიდა მთელს წესებს, კულტს კერპთმსახურების, „ღმერთმსახურების“ და „იდეიურად“ ამართლებდა თავის ბატონობას.

სოციალისტურმა მოძღვრებამ დიდი ხანია ფარდა აჰგლიჯა ამქვეყნიურს და იმქვეყნიურს „საიდუმლოებათ“, მეცნიერულად დაასაბუთა და განმარტა არსებულის წესი და დასახა მომავალი სახე საზოგადოებისა. სოციალისტები ჰხედავენ ადამიანთა ტანჯვას აქვე. ამ სიცოცხლეში და მთელი მათი გეგმები და ცოდნა იქითკენაა მიმართული, რომ ეს სინამდვილე, ეს რეალური ვაება მოსპონ და გადაჰგლიჯონ მშრომელ მასსების გონებას დამაბრმავებელი ფარდა საიქიოს იმედებისა.

ხალხმა უნდა იცოდეს ამქვეყნიური ტანჯვის მიზეზი და მაშინ იგი შესძლებს სოციალ-პოლიტიკური მონობის დამსხვრევას.

ცხადია, მაშასადამე, როდესაც კლასი დაჩაგრულთა, კლასი მშრომელთა, კლასი ყოველივე სიმდიდრის შემქმნელი, მაგრამ მაინც მშიერი და გაყვლეფილი – აშენებს თავის სახელმწიფოს და ანგრევს არსებულს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურს წეს-წყობილებას, დაინტერესებულია აუხილოს თვალები მშრომელთა მასებს და აუხსნას მათ, თუ რის მოციქულია ყოველი სასულიერო წოდება.

პროლეტარიატი დაინტერესებულია სრულიად მოსპოს ყოველივე სარწმუნოება, კულტი მღვდელთმსახურება, როგორც კრიტიკული გონების დამაჩლუნგებელი, დამაბნელებელი, მაგრამ იგი ანგარიშს უწევს იმასაც, რომ განუვითარებელი გონება ადამიანისა ისე ძალუმად შებოჭილია მთელი საუკუნოების განმავლობაში ცრუმორწმუნოებით და შემცდარი აზრებით, რომ ძნელია ერთბაშად მისი გადარწმუნება, გათვითცნობიერება; ეს უნდა მოხდეს თანდათანობით და რაც შეიძლება უმტკივნეულოდ. ამით აიხსნება, რომ საბჭოთა რესპუბლიკაშია ცხადი სრულიად კი არ არის აღკრძალული სარწმუნოება, არამედ გამოცხადებულია სინიდისის სრული თავისუფლება.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის დეკრეტი აცხადებს ყოველს სარწმუნოებას თითოეული მოქალაქის პირად საქმეთ და ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ძალაუფლება არც არავის ძალას დაატანს აღიაროს ესა თუ ის სარწმუნოება და არც არავის აუკრძალავს იყოს მიმდევარი რომელიმე ეკლესიისა და სარწმუნოებისა; აგრეთვე მოქალაქეს უფლება აქვს არ აღიარებდეს მოძღვრებას არც ერთი ეკლესიის (მართლმადიდებელი, კათოლიკე, მაჰმადიანი, ებრაელი და სხვ.).

ყველა თავისუფალია იყოს აღმსარებელი ამა თუ იმ სარწმუნოებისა, მაგრამ მოქალაქეს

ეს არ ანიჭებს არავითარს უფლებებს და უპირატესობათ.

სარწმუნოებრივი, საეკლესიო (კულტის) საქმეები სრულიად განცალკევებულია საერთო სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისაგან და სახელმწიფოს ორგანოები არ ერევან საეკლესიო საქმეებში, არ გამოიცემა არავითარი კანონი ან დადგენილება ადგილობრივი ხასიათისა, რომელიც ზღუდავდეს სინდისის თავისუფლებას, გარეშე ამ დეკრეტისა, და აგრეთვე გაუქმებულია ყველა ის კანონები და დადგენილებანი, რომელნიც მოქალაქეს უზღუდავდნენ უფლებებს რომელიმე სარწმუნოების აღიარებისთვის ან და ყოველივე სარწმუნოების უარყოფისათვის; არც ოფიციალურს აქტებში არ მოიხსენიება ცნობები სარწმუნოების აღიარებისა ან სრულიად უარყოფისა. სარწმუნოებრივი ფიცისა და დაფიცების ნაცვლად მოქალაქე სდებს საჯარო აღთქმას.

სარწმუნოებრივი წესის ასრულება უზრუნველყოფილია, მხოლოდ იგი არ უნდა არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა უფლებებს და არ უნდა ეხებოდეს სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობას ევალება წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ყოველი მოქალაქე თავისუფალია სარწმუნოების საქმეში. მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას უარი განაცხადოს რაიმე სამოქალაქო და სახელმწიფოებრივ მოვალეობის ასრულებაზე, ხოლო სახალხო სასამართლოს განაჩენის თანახმად, კერძო შემთხვევაში შეიძლება ერთი ვალდებულება მეორეთი იქნას შეცვლილი.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტებს, როგორც, მაგალითად, დაბადება, სიკვდილი, ქორწინება და სხვა, აწარმოებენ სამოქალაქო მდგომარეობის აღრიცხვის განყოფილებანი.

განათლება დაბალი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურამდე, კერძო თუ სახელმწიფო სასწავლებლებში საერო ხასიათისაა, არ ექვემდებარება ეკლესიას და საღვთო სჯულის შესწავლა მოქალაქეს შეუძლია კერძოდ.

ერთი და იმავე სარწმუნოების მიმდევარნი აარსებენ მორწმუნეთა საზოგადოებათ, რომელნიც დაექვემდებარებიან საერთო დებულებებს საზოგადოებათა და კავშირების შესახებ. ამ საზოგადოებათ არა აქვთ არავითარი უპირატესობანი და არც რაიმე დახმარება მიეცემათ სახელმწიფოსი და მის ორგანოებიდან. ამ საზოგადოებებს აკრძალული აქვთ მორწმუნეთა და მიმდევართა შორის რაიმე გადასახადის დაწესება და აკრეფა. სარწმუნოებრივ საზოგადოებათ უფლება არა აქვთ თავიანთი წევრების დასჯის და ან რაიმე ძალდატანებისა.

სარწმუნოებრივი საზოგადოებანი ექვემდებარებიან კავშირების შესახებ კანონებს, ხოლო სხვა საზოგადოებათა და კავშირებისაგან იმით განირჩევიან, რომ სარწმუნოებრივს და საეკლესიო საზოგადოებათ არა აქვთ უფლება იქონიონ საკუთრება, ე.ი. მათ არა აქვთ იურიდიული პიროვნების უფლებანი. ამის მიხედვით, მთელს რესპუბლიკაში არსებული მთელი საეკლესიო ქონება გამოცხადებულია ხალხის კუთვნილებად, ხოლო ყოველივე ქონება, ნივთები და შენობები, რომელნიც საჭირონი არიან მღვდელმსახურებისთვის და კულტის (სარწმუნოების) არსებობასთან დაკავშირებულია, ადგილობრივი ან ცენტრალური მმართველობის საგანგებო დადგენილებით, მიეცემათ სარწმუნოებრივ საზოგადოებათ უფასოდ სარგებლობისათვის. ის ორგანოები, რომლებიც არიან სახელმწიფო ძალაუფლების ადგილობრივი გამტარებლები, ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოვალენი არიან ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ დეკრეტი შეითვისონ სწორეთ ამ თვალსაზრისის მიხედვით და მიიღონ კანონიერი ზომები მისი ცხოვრებაში სისწორით გასატარებლად.

მომავლ შსს კომისარიატისა, 1921, №14, 20 აგვისტო, გვ.22-23.

მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოსა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ პრაქრისტიანულ ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპის ზღვებს შორის, ქართულ მოდგმის ტომებმა შეჰქმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და მდიდარი აქტუალური ნიჭით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინააზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველ ჰყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა ამკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკურსა და ეროვნულ-კულტურულ ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერჯია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენული პოლიტიკურ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს, პატარა, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელმეორეთ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენათ ბედნიერადა ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუნცი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლათ ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართული ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გალატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მორწინილ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან; ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, მას უბლაღავენ წმიდათა-წმიდას, – სარწმუნეობრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნულია; მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამალგებისა და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია იმდენათ, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა. ამგავრ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონათ ვსთ-

ქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთ წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუნყოფს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ: 1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქმნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქმნეს მისი მინა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან; 2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალადაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიხიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნათ დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულვებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილმოხილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.¹

მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოსა.

7/II-1922წ.

ტფილისი

მნათობი, 1989, №9, გვ.111-112.

შენიშვნა:

1. შედარებულია და გასწორებულია კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ხელნაწერის მიხედვით: საქ. უახ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1,ფ.132-133. (ჯ.გ.)

№23. საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომლის მიერ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისთვის ჩამორთმეული ჩვენებები

1922წ. 12 ივნისი და 20 ივნისი

1922 წლის ივნისის 12 დღესა დაკითხულია ხელაია ბესარიონ ზოსიმეს ძე ამბროსი, 62 წლის, უმაღლესი განათლებით, საქართველოს კათალიკოსი, რომელმაც გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ მოწოდების გამო აჩვენა შემდეგი:

მოწოდება გენუის კონფერენციის სახელზე იყო ჩემ მიერ შედგენილი და ხელმოწერილი.

კითხვა: რა საბუთები გაქვთ იმისა, რომ ქართველი ერი გმინავს, არ შეუძლია აღამაღლოს თავისი ხმა და ბედკრულ მდგომარეობაშია?

პასუხი: ცნობებს, იმის შესახებ, რომ ხალხი ასეთ მდგომარეობაშია, ვლებულობდი პირადი დაკვირვებით, ეს ხდებოდა სოხუმის ოლქში, სადაც მიხდებოდა მორწმუნეთა შორის რელიგიოზურ საკითხებზე ბაასი და რაც შეეხება პოლიტიკურ ხასიათის ლაპარაკს საყდარში, როგორც მე და ისე სხვებსაც არ ვანებებდი. გარეშე ეკლესიისა პოლიტიკურ თემებზე ლაპარაკი ხდებოდა, მხოლოდ ინიციატივა ამისა ჩემგან არ იყო და მორწმუნეები კი თვით ეხებოდნენ პოლიტიკას. სოხუმის ოლქში ხშირად იყო მოვლენა, რომ აგიტატორები ეხებოდნენ სარწმუნოებას, ლანძღავდნენ სარწმუნოებას და ეკლესიას; ასეთი შემთხვევები მენშევიკურ მფლობელობის დროსაც იყო, მე ამას სათანადო ყურადღებას ვაქცევდი, რის გამო მივმართამდი მენშევიკურ მთავრობას. უმეტესად ეს აგიტატორები სოფლად იყვნენ ქართველები. ასეთი მოვლენები სამღვდელოების წინააღმდეგ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც იყო. მე დადებით თქმა იმისა არ შემიძლიან, რომ აგიტატორები მთავრობიდან იყვნენ, მაგრამ მე და ხალხიც ასე ფიქრობს, რომ წარმომადგენელი

მთავრობის მოხელენი არიან. მე უშვალო დამოკიდებულება საქართველოს ხალხთან არა მქონია, მხოლოდ ჩემთან მოდიოდნენ მორწმუნენი, ერის ხალხი, სამღვდელოების და სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელი. ჩემთან მოდიოდნენ წმინდა საეკლესიო საქმეებზე და მორწმუნეთა წარმომადგენელი პოლიტიკას არ ეხებოდნენ. არ ვლებულობდი მათ პოლიტიკის შესახებ და მხოლოდ მუსაიფის დროს კი ჩამოვარდებოდა ლაპარაკი მთავრობის შესახებ, თავიანთ ცუდ მდგომარეობის ყოფნის გამო. არც ერთ ჩემთან ყოფილ წარმომადგენელს ჩემთვის არ მოუმართავს, რომ მე მათი სახელით მიმემართა გენუის კონფერენციისათვის. უმეტესნი მომსვლელ წარმომადგენლობისა ჩემთან აცხადებდნენ, რომ დღევანდელ არსებულ მთავრობის დროს სარწმუნოება და მორწმუნენი უფრო ცუდ პირობებშია, ვინაიდან ეკონომიურად, ეროვნულ სახით და სხვა, დაჩაგრულნი ვართ.

კითხვა: მოწოდება ვისი სახელით იყო და სთვლიდით თქვენ თავს ქართველი ერის წარმომადგენლად?

პასუხი: ქართველი ერი მე მრწამს ყველა მორწმუნეთ, და რამდენადაც მე ეს ასე მწამს, ვსთვლი მე ჩემს თავს მისგან, ერისაგან არჩეულს და მისი სახელით, მორწმუნეების, ვლაპარაკობ.

კითხვა: თქვენ გქონდათ რაიმე მინდობილობა იმ ერისაგან, რომელმაც აგირჩიათ?

პასუხი: მე არავითარი არც ოფიციალური და არც არა ოფიციალური მინდობილობა ერისაგან და საეკლესიო ყრილობისაგან, რომელმაც მე პატრიარქად ამირჩია, არ გამაჩნია, რომ მიმემართა გენუის კონფერენციისათვის, მხოლოდ ეს მიმართვა გამონწვეული იყო ჩემის პირადი დაკვირვებით და სინდისის მიხედვით, იმ სინდისით, რომლის მიხედვით მე დამავალა საეკლესიო ყრილობამ, მათი ინტერესების დაცვა. ვიმეორებ, რომ უმთავრესად ჩემი ეს მოქმედება ეხებოდა საეკლესიო საქმეებს.

კითხვა: აძლევდით თუ არა ხსენებულ მოწოდებას პოლიტიკურ ხასიათს, როდესაც მას სწერდით?

პასუხი: პოლიტიკურ ხასიათს არ ვაძლევდი, ვინაიდან საბჭოთა რუსეთს არ ვსთვლი მოკავშირედ, არამედ ოკუპანტად.

კითხვა: ოკუპაცია არის თუ არა პოლიტიკური ნაბიჯი?

პასუხი: ოკუპაცია არის დროებითი პოლიტიკური ნაბიჯი.

კითხვა: სთვლით თქვენს თავს ვალდებულად, ჩაერიოთ იმ საქმეში, რასაც თქვენ უწოდებთ ოკუპაციას?

პასუხი: მე ვალდებულად ვსთვლი თავს ჩავერიო იმ საკითხებში პოლიტიკური ხასიათისას სარწმუნოების სახელით.

კითხვა: რით აიხსნება ის წინააღმდეგობა თქვენს ჩვენებაში, რომ სამღვდელოება პოლიტიკურ საქმეებში არ ერევა, მაგრამ ოკუპაციის საკითხში, რომელიც პოლიტიკური ნაბიჯია, თქვენ ჩაერიეთ ხსენებულ მოწოდების დაწერით?

პასუხი: იმიტომ ჩავერიე ამ საქმეში, რომ ოკუპაცია გათავებული მეგონა და მინდოდა მთავრობას ჰყოლოდა საკუთარი ჯარი.

კითხვა: შეგიძლიათ თქვენ სთქვათ, რომ ქართული ჯარი არ არსებობს?

პასუხი: ქართული ჯარი არსებობს.

კითხვა: რით ამტკიცებთ, რომ რუსეთის წითელი ჯარი არის ოკუპაციონური?

პასუხი: ჯარი შემოვიდა და დარჩა.

კითხვა: სთვლით, რომ საქართველოში არ არსებობს მთავრობა?

პასუხი: საქართველოს მთავრობა არსებობს, საქართველოს დამოუკიდებლობა კი, ჩემის აზრით, არ არსებობს.

კითხვა: სახელმწიფოს დამოკიდებულობისა და დამოუკიდებლობის შესახებ არის თუ არა პოლიტიკური კითხვა?

პასუხი: არის.

კითხვა: ვინ წაართვა საქართველოს დამოუკიდებლობა?

პასუხი: დამოუკიდებლობა საქართველოს წაართვა რუსეთის საბჭოთა მთავრობამ.

კითხვა: სცნობთ თუ არა საჭიროდ, როგორც სარწმუნოების წარმომადგენელმა ხმა

აღიმაღლოთ დამოუკიდებლობის შესახებ?

პასუხი: ვსცნობ იმდენათ, რამდენათაც ეს ჩარევა ხელს შეუწყობს ეკლესიის და ხალხის აღორძინებას.

კითხვა: ჩაერთა თუ არა უცხო ელემენტები უშვალოდ, სახელდობრ რუსეთის ჯარი, ეკლესიის საქმეებში?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: ჩაერთა თუ არა თქვენ მიერ უცხო ელემენტებათ წოდებული ჯარი ან სხვა ვინმე კერძო პირი საეკლესიო საქმეებში სხვისი ვინმეს საშვალებით?

პასუხი: ამ კითხვაზე პასუხის მოცემა არ შემიძლიან.

კითხვა: ჩაერთა თუ არა საქართველოს საბჭოთა მთავრობა საეკლესიო საქმეებში?

პასუხი: ჩაერთა.

კითხვა: რაში გამოიხატება ეს ჩარევა?

პასუხი: სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფაში, რომელიც, ჩემი აზრით, დასაგმობი არ არის. სხვა ჩარევა გამოიხატა შემდეგში: უარყოფითი შეხედულება მთავრობისა სამღვდელთაზე, მამულების, სახლების და ყოველნაირ ივრიდიულ უფლებების ჩამორთმევა.

კითხვა: რაში გამოიხატა ივრიდიულ უფლებების ჩამორთმევა?

პასუხი: იმაში, რომ ეკლესიას არ შეუძლიან შეიძინოს საეკლესიო ქონება, მეორე, სკოლების გახსნის უფლების ჩამორთმევა.

კითხვა: არის თუ არა რაიმე განსხვავება ყოფილ სამეფო რუსეთის და დღევანდელ საბჭოთა რუსეთის შორის?

პასუხი: განსხვავება არის.

კითხვა: რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

პასუხი: წინათ რუსეთს განაგებდა თვითმპყრობელი მეფე, ახლა კი განაგებს რუსეთის მშრომელთა წარმომადგენლობა საბჭოთა მთავრობის სახით, რომლის მოძღვრება აძლევს ყველას თანასწორობას, თავისუფლებას სიტყვისას, რწმენისას, სწავლისა და ივრიდიულ უფლებას, აგრეთვე საბჭოთა მოძღვრება აძლევს თვითგამორკვევის უფლებას.

კითხვა: ეხება თუ არა საბჭოთა რუსეთს მონოდების სიტყვები, სადაც ნათქვამია, რუსეთს არ შეეძლო მოეთმინა საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც მის წინანდელ მზავრელს?

პასუხი: ეხება საბჭოთა რუსეთს.

კითხვა: სთვლით თუ არა საბჭოთა რუსეთს იმპერიალისტურ სახელმწიფოთ, რომელსაც მიზნად აქვს ახალ-ახალი ქვეყნების შეერთება?

პასუხი: მოძღვრებით და იდეით არ ვსთვლი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სინამდვილე ამას არ ეთანხმება.

კითხვა: დაიპყრო თუ არა საბჭოთა რუსეთმა საქართველო?

პასუხი: დაიპყრო.

კითხვა: დაიპყრო თუ არა, საბჭოთა რუსეთმა სხვა ერი?

პასუხი: არა, მხოლოდ გამიგონია, რომ საბჭოთა რუსეთს სურს დაპყრობა სხვა ერისა.

კითხვა: რით ხსნი, რომ საქართველო დაიპყრო რუსეთმა?

პასუხი: ეს მე ვერ ამიხსნია, მით უმეტესად, რომ იდეას და საბჭოთა მთავრობის მოძღვრებას ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველოს მშრომელთა ხალხს დახმარება ეთხოვა საბჭოთა რუსეთისთვის, საქართველოს ბურჟუაზიულ მთავრობის ჩამოსაგდებათ?

პასუხი: შესაძლებელია, თუმცა მე არ ვიცი.

კითხვა: რაში გამოიხატა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა?

პასუხი: ჯარის შემოსვლაში, მის აქ დარჩენაში და სუვერენობის დაკარგვაში.

კითხვა: რაში გამოიხატება სუვერენობის დაკარგვა და დამოკიდებულება?

პასუხი: იმაში, რომ მართვა-გამგეობა წარმოიბს მოსკოვის დირექტივებით.

კითხვა: მიმითითეთ მხოლოდ ერთ დირექტივზე?

პასუხი: არც ერთ დირექტივებზე მითითება არ შემოიქცინა, მხოლოდ ასე ვფიქრობ.

კითხვა: შეგიძლიანთ თუ არა, საბუთიანათ დამტკიცება ხსენებულ მონოდებაში ნათქვამისა: ერის მონობის, ჩაგვრის, ძალდატანებისა და უბედურების შესახებ?

პასუხი: ვფიქრობ, რომ შემოიქცინა.

კითხვა: მიმითითეთ მხოლოდ ერთ საბუთზე ერის მონობის, ძალდატანების და ჩაგვრის დასამტკიცებლად?

პასუხი: ეხლა არც ერთ საბუთზე მითითება არ შემოიქცინა.

კითხვა: რაში გამოიხატება მორალური და ფიზიკური გადაგვარება ერისა?

პასუხი: გამოიხატება ერის სარწმუნოების წინააღმდეგ მოქმედებაში, რასაც მოსდევს ფიზიკური გადაგვარება.

კითხვა: ვინ აკეთებს საქართველოში ექსპერიმენტებს საქართველოზე, ერზე ბოლო წლის განმავლობაში?

პასუხი: ის, ვინც ოკუპაცია მოახდინა.

კითხვა: ვინ მოახდინა ოკუპაცია?

პასუხი: ოკუპაცია მოახდინა რუსეთმა.

კითხვა: რაში გამოიხატა ექსპერიმენტები?

პასუხი: რუსეთის ექსპერიმენტები გამოიხატა მინის სოციალიზაციაში, სარწმუნოების შევიწროებაში და სახლების მუნიციპალიზაციაში.

კითხვა: მიმითითეთ რომელიმე დეკრეტზე, რომელიც რუსეთის მთავრობის სახელით იყოს მოწერილი ზემოხსენებულ ექსპერიმენტების გასატარებლად საქართველოში?

პასუხი: ვერც ერთ დოკუმენტზე ვერ მიგივითებთ.

კითხვა: ამ ექსპერიმენტებს ატარებს თუ არა საქართველოს მთავრობა?

პასუხი: ექსპერიმენტებს საქართველოს მთავრობა ატარებს. მხოლოდ საქართველოს მთავრობა არ არის, არამედ მე ვსთვლი მას საქართველოში რუსეთის მთავრობათ, კონკრეტულად ამის დამტკიცება ჯერ-ჯერობით არ შემოიქცინა.

კითხვა: ვინ ართმევს საქართველოს ქონებას და უყოფს უცხო მოძალადე ელემენტებს?

პასუხი: რუსეთი ართმევს ხალხს ქონებას და უყოფს უცხო ელემენტებს.

კითხვა: რა ქონება არის ჩამორთმეული?

პასუხი: სახლები, ტერიტორია, რომელიც გადადის სხვის მფლობელობაში, მაგალითად, ზაქათალის ოლქი და ცხინვალი.

კითხვა: დამისახელეთ ერთი მაგალითი, რომ ქართველ მესაკუთრეს ჩამოართვეს სახლი და მისცეს სხვას, უცხო, ან და ქართველები გამოასახლეს და ჩაასახლეს უცხოელები?

პასუხი: ამის შესახებ ცნობები არ მომეპოვება.

კითხვა: რა საარსებო საშვალება წაართვეს ქართველ ხალხს და გაგზავნეს უცხოეთში?

პასუხი: ასეთი ცნობები ჩემ მიერ იქნება წარმოდგენილი, ახლა არ გეტყვით.

კითხვა: რაში გამოიხატა დედაენის ჩაგვრა საქართველოში, არის თუ არა განდევნილი ქართული ენა დაწესებულებებიდან და სასწავლებლებიდან?

პასუხი: დაწესებულებებიდან ქართული ენა განდევნილი არ არის, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში სწარმოებს მიმონერა უცხო ენაზე.

კითხვა: რაში გამოიხატა ან რამ გამოიწვია ნაციონალური კულტურის დამახინჯება?

პასუხი: ნაციონალური კულტურის დაცემა და მისი დამახინჯება საბჭოთა მთავრობის ბრალია იმდენად, რამდენადაც აქ საქართველოში არ არის დამყარებული მშვიდობიანი მმართველობა, კონკრეტულად მითითება არ შემოიქცინა, მხოლოდ საერთო მდგომარეობა ასეთია.

კითხვა: დამისახელეთ ისეთი მაგალითი, რომ უცხოელების მიერ იყოს შეურაცხყოფილი სარწმუნოება ან და ფიზიკურად შეეხო ეკლესიას როგორც საბჭოთა მთავრობა ან მისი წარმომადგენელი?

პასუხი: ახლა კონკრეტული ფაქტების მოცემა არ შემოიქცინა.

კითხვა: რატომ სწერდით ყველა ამას მონოდებაში?

პასუხი: იმიტომ, რომ მთავრობის უბრალო წარმომადგენლები შეურაცხყოფას აყენ-

ებდნენ სარწმუნოებას და ეკლესიას.

კითხვა: მიმითითეთ რომელიმე მთავრობის წარმომადგენელზე.

პასუხი: ახლა დასახელება არ შემოიძლიან.

კითხვა: ასეთი შეურაცხყოფა სისტემატურია თუ არა? ან და სდევნიდნენ სამღვდელ-ლოებას იმისთვის, რომ ისინი იყვნენ სარწმუნოების მატარებელნი?

პასუხი: არა.

კითხვა: იყო თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ სდევნიდნენ ერის ხალხს იმიტომ, რომ ის მორწმუნე იყო?

პასუხი: არა.

კითხვა: რისთვის მიმართეთ გენუის კონფერენციას?

პასუხი: მივმართე გენუის კონფერენციას იმისთვის, რომ მეგონა დაისმებოდა მცირე ერების საკითხი და რამდენადაც ერი განთავისუფლდებოდა, ამით სარწმუნოება აღორძინდებოდა, ვინაიდან ერი მწამს იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს სარწმუნოების გაძრიელებას და ერის აღორძინებას. საქართველოს საბჭოთა იდეა ხელს უწყობს ერის აღორძინებას.

კითხვა: დღევანდელი საბჭოთა საქართველო ხელს უშლის თუ არა ერის აღორძინებას?

პასუხი: ხელს ვერ შეუწყობს.

კითხვა: ხელს უწყობს თუ არა დღევანდელი მთავრობა გაბატონებას მშრომელი ხალხისას, მის გაძლიერებას პოლიტიკურად და ეკონომიკურად?

პასუხი: თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად გაცნობილი არა ვარ თქვენს მოქმედებას.

კითხვა: რა წაართვა რუსეთის წითელმა ლაშქარმა საქართველოს?

პასუხი: ძალით ჯარს არაფერი არ წაურთმევია, მხოლოდ ეს ჯარი იკვებება საქართველოს სურსათით.

კითხვა: საიდან გაქვთ ეს ცნობა, რომ საქართველოს სურსათით იკვებება რუსეთის ჯარი?

პასუხი: ფაქტიური საბუთები იმისა, რომ რუსეთის წითელი ლაშქარი სცხოვრობს საქართველოს ხარჯზე არა მაქვს, მხოლოდ ასეთი აზრი ტრიალებს საზოგადოებაში.

კითხვა: ეს ჯარი უფლებრივად და პოლიტიკურად სწავრავს თუ არა ქართველს ერს?

პასუხი: ვფიქრობ, რომ ჩაგრავს.

კითხვა: რაში გამოიხატება პოლიტიკური და უფლებრივი ჩაგვრა?

პასუხი: მე მიმაჩნია, რომ შელახულია სუვერენობა.

კითხვა: მშრომელ ხალხს მიაჩნია თუ არა მჩაგვრელად წითელი ჯარი?

პასუხი: პასუხის მოცემა არ შემოიძლიან.

კითხვა: წითელი ჯარის აქ ყოფნა თუ საჭიროებათ მიაჩნიათ საქართველოს მთავრობას და ასეთი იყო გადაწყვეტილება მთავრობის, მაშინ თქვენ გქონდათ თუ არა უფლება მოეთხოვათ ჯარის გაყვანა?

პასუხი: უფლება მაქვს თუ არა, არ ვიცი; თუ კი ეს მთავრობის დადგენილება იყო, უფლება არ მქონდა გენუის კონფერენციაზე ჯარის გაყვანა მომეთხოვნა.

კითხვა: რუსეთის წითელი ჯარი სამუდამოდ არის აქ, საქართველოში, დარჩენილი თუ არა?

პასუხი: ამაზედ პასუხის მოცემა არ შემოიძლიან, ვინაიდან არ ვიცი.

კითხვა: იცით თუ არა, რომ საქართველოს მთავრობის დაუკითხვად რაიმეს გატარება ცხოვრებაში არ შეიძლება?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: იცოდით თუ არა, რომ ჯარის აქ დარჩენა იყო მთავრობის დადგენილება?

პასუხი: არ ვიცოდი.

კითხვა: იცით თუ არა საბჭოთა მთავრობის მმართველობა-გამგეობის სისტემა, მათი უმაღლესი ორგანოები, მათი კანონები, სამართალი, დეკრეტები და სხვა?

პასუხი: სავსებით გაცნობილი არა ვარ.

კითხვა: იცით თუ არა, რომელია უმაღლესი ორგანო?

პასუხი: არ ვიცი.

კითხვა: იცოდით თუ არა, რომ ყრილობა იყო საბჭოების და ამ ყრილობამ აირჩია მთავრობა?

პასუხი: ვიცოდი, ყრილობა იყო, მაგრამ არ ვიცოდი, ამ ყრილობამ აირჩია მთავრობა თუ არა.

კითხვა: იცოდით თუ არა, რომ საქართველოში არსებობდა საბჭოთა მთავრობა?

პასუხი: ვიცოდი.

კითხვა: იყო თუ არა საბჭოთა მთავრობა ხალხის სურვილების გამომხატველი?

პასუხი: უნდა ყოფილიყო.

კითხვა: რომელი მთავრობა უფრო გამოსატყავს ხალხის ინტერესებს?

პასუხი: საბჭოთა მთავრობა, თუ კი ის დამოუკიდებელი იქნება.

ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოსა.

დამატებითი ჩვენება

1922 წლის ივნისის 20 დღესა, პატრიარქი სრულიად საქართველოსი ამბროსი (ბესარიონ ხელაია) დამატებით ჩემ ჩვენებაზე ვაჩვენებ შემდეგს:

კითხვა: ვის გაატანეთ მონოდება უცხოეთში, გენუის კონფერენციაზე?

პასუხი: მონოდება ვის გავატანე არ ვიცი, ვიცოდი, რომ საზღვარგარეთიდან იყო ჩამოსული და მას გავატანე.

კითხვა: ვისაც თქვენ გაატანეთ მონოდება, ის სპეციალურად მონოდებისთვის იყო ჩამოსული თუ არა, რა დავალება ჰქონდა იმ პირებისაგან, რომლებიც საქართველოდან კომუნისტების განდევნას ჰფიქრობენ?

პასუხი: დეკანოზ კაპანაძის საშუალებით გადავეცი მონოდება უცნობს, რომელიც კაპანაძემ დამიხასიათა საიმედო პიროვნებათ, პირადად მე არ მინახავს. ეს უცნობი წამლები მონოდებისა ვინ იყო ან რა მოხელე, არ ვიცი, მხოლოდ მე ვენდობოდი კაპანაძეს.

კითხვა: თქვენ როგორც სამღვდელოების წარმომადგენელს, უფლება გაქვთ თუ არა ჩაერიოთ მთავრობის საქმეებში, როგორც პიროვნება, ან და ეკლესიის თავი?

პასუხი: იმდენად, რამდენათაც მთავრობა სჩაგრავს ეკლესიას და მისი წინააღმდეგია, მე ჩემს თავს ზნეობრივად მოვალეობათ ვსთვლი, ჩავერიო მთავრობის საქმეში ეკლესიის და სარწმუნოების დასაცავად.

კითხვა: გარდა ეკლესიის და სარწმუნოების საქმეებისა, უფლება გაქვთ თუ არა ჩაერიოთ სახელმწიფოს პოლიტიკურ საკითხებში?

პასუხი: მე, როდესაც სახელმწიფო არ ეხება ეკლესიას და სარწმუნოებას, ან მის მოქმედებას არ აქვს გავლენა სარწმუნოებაზე, უფლება არა მაქვს ჩავერიო პოლიტიკურ საკითხებში.

კითხვა: ყოფილა თუ არა რაიმე გავლენა მთავრობის მიერ სარწმუნოებაზე?

პასუხი: საზოგადოდ ვამბობ, რომ არის გავლენა უარყოფითი, თუ საჭირო იქნება დასამტკიცებელ საბუთებს წარმოგიდგინებ.

კითხვა: თქვენ ამბობთ, რომ მთავრობის მოქმედებას შეგიძლიანთ შეეხოთ მაშინ, როდესაც ეხება ეკლესიის საკითხს, და უფლება არა გაქვთ, პოლიტიკურ საკითხებს შეეხოთ, მაგრამ, თქვენ ამის და მიუხედავად, გენუის კონფერენციას მიმართეთ, რომ პოლიტიკური ცვლილება მოეხდინა საქართველოში – ეს ჩარევაა თუ არა მთავრობის პოლიტიკურ საკითხებში?

პასუხი: მთავრობის პოლიტიკური მოქმედება ეხება ეკლესიას, სარწმუნოებას, ვინაიდან აქაური მთავრობა დამოკიდებულია. ერს სუვერენობა აქვს დაკარგული. ამის დასამტკიცებელ საბუთებს წარმოვადგინე. მე იმდენათ ვერევი პოლიტიკურ საკითხებში, რამდენათაც საქართველოს მთავრობა არ არის დამოუკიდებელი.

ამბროსი, პატრიარქი საქართველოსა.

საქ. უახ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღწ. 2, ს. 1, ფ. 96-107, 125-129.

ამ თვის 13-ს მე ვიყავი მიწვეული თქვენ მიერ საგანგებო კომისიაში ჩვენების ჩამოსართმევად, ჩემ მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ მემორანდუმის გამო. მე თქვენ მოგეცით ვრცელი განმარტება მემორანდუმის გასაშუქებლადაც მისთვის, რომ არც მთავრობას და არც საზოგადოებას არ ეფიქრა, ვითომც მე უარს ვყოფდე მემორანდუმში აღნიშნულ დებულებათა.

მე ვფიქრობდი, რომ ჩემი განმარტება კმასაყოფელ იქნებოდა საქმის სათანადო მსვლელობისათვის, მაგრამ თქვენ მიერ დანიშნულმა გამომძიებელმა მოქალაქე ქავჭავაძემ ამ 4 დღის წინათ მიმინვია საგანგებო კომისიაში და დამავალა დავასაბუთო მემორანდუმში აღნიშნული დებულებანი. ამის გამო საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო შემდეგი: ყველასათვის ნათელია თუ რაზომ დიდი მონანილეობა მიიღო საქართველომ რუსეთის დიდ რევოლუციაში, რისთვისაც იგი დიდ იმედებს ამყარებდა ამ რევოლუციაზედ. მართლაც რევოლუციის პროცესში ქართველმა ერმა მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა და სამიწის განმავლობაში განაგებდა თავის საქმეებს სუვერენულ ნებისყოფის თანახმად.

საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ 1920 წლის თებერვლის 7-ის (7 მაისი – ჯ.გ.) ხელშეკრულებით იმ საზღვრებში, რომელიც აღნიშნულია ხსენებულ ხელშეკრულებაში. მიუხედავად ამისა, 1921 წლის თებერვალში რუსეთის ჯარმა გადმოლახა ჩვენი საზღვრები მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და მოსპო ქართველი ერის სუვერენიტეტი. ამ გარემოებას მოჰყვა საქართველოს დაქუცმაცება: ერთი მისი ნაწილი გადაეცა აზერბაიჯანს, მეორე – სომხეთს, მესამე – ახალ შექმნილი ავტონომიურ ოსეთს (დადგენილება საზღვრების შესახებ 1921 წლის მაისის 5-ის და ნოემბრის 6-ის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რუქა), გამოეყო ცალკე რესპუბლიკის სახით აფხაზეთი და აჭარისტანი, საქართველოს რკინის გზა შეუერთდა რუსეთის რკინის გზას. საქართველოს ჯარი გაითქვიფა საქართველოში მოქმედ რუსეთის ნითელ ჯარში, ქართული ენა გამოიდევნა რკინის გზის სამმართველოდან, შევიწროვებულია სხვა დაწესებულებებშიც (თუნდაც, საგანგებო კომისიაში, საიდანაც უწყებები იგზავნება და შესასვლელ ბარათებს იძლევიან რუსულ ენაზე), დაქვეითდა კულტურა (გამოდის მხოლოდ ერთი გაზეთი „კომუნისტი“ და დროგამოშვებით „ტრიბუნა“, გამოიცა მხოლოდ ორი წიგნი – პროფესორის ნუცუბიძისა და ნიკ. ბარათაშვილის), თბილისში მოქმედი სტამბები გაიგზავნა სომხეთში (იხ.: *Первый год деятельности ВСНХ*, т. 1), მოქალაქეთ ნაერთვა სარჩოსაბადებელი (საკათალიკოზო საბჭოს მიმართვა მთავრობისადმი №1538, 1921 წ. ივლისის 14-ს და №55, 1922 წ. თებერვლის 21-ს), შეილახა სარწმუნოებრივი გრძნობა (საკათალიკოზო საბჭოს მიმართვა №3022, 1921წ. ნოემბრის 21-ს და №315, 1922წ. ივნისის 12-ს), შეურანყოფას განიცდიან ერის მოძღვარნი (საკათალიკოზო საბჭოს მიმართვა №3022 და №3006, 1921 წ. ნოემბრის 10-ს. №14, ამა წლის იანვარის 13-ს, №3335, ა. წ. ივნისის 23-ს), ბინიდან ერეკებიან მღვდლებსა და მღვდელმთავართ (მიმართვა №1538; ა.წ. 14 ივლისს, №1878, მ. წ. აგვისტოს 20-ს, №64, ა.წ. 24 თებერვალს და სხვა).

მე, როგორც სიტყვის, ბეჭდვის, სინდისის თავისუფლებისა და ერის თვითგამორკვევის მომხრეს (ყოველსავე ამას აღიარებს საბჭოთა ხელისუფლებაც) და ამასთან ერთად მონაწილენ საქართველოს მამამთავარს და სულიერ მოძღვარს არ შემეძლო არ ამემალებინა ხმა ზემოაღნიშნულის შემდეგ. მე შევასრულე ჩემი მოვალეობა ღვთისა და მშობელ ერის წინაშე და თუ ეს ჩამეთვლება დანაშაულად, მზად ვარ, საჯაროდ ვაგო პასუხი.²

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი.

საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 516, აღწ.2, ს.1, ფ.118.

შენიშვნა:

1. კათოლიკოს ამბროსის ეს წერილი საქართველოს ჩეკას თავმჯდომარისადმი გა-

მოქვეყნებულია ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“ (1, 1997, გვ. 112), მაგრამ იგი წარმოადგენს ქართული დედნის რუსული თარგმანის კვლავ გადმოქართულებულ ვარიანტს და ამიტომ რამდენადმე განსხვავდება აქ გამოქვეყნებული დედნისაგან (ჯ.გ.).

2. კათოლიკოსმა ამბროსიმ ამ წერილთან ერთად იმავე დღეს (1922 წლის 26 ივნისი) საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს კოტე ცინცაძეს მიართვა შემდეგი წერილი: „გაახლებთ რა ამასთანავე ჩემ მიერ აღთქმულ წერილს, მაქვს პატივი გთხოვოთ, გასცეთ განკარგულება, რომ, თუ საჭირო არ იქნება პირადათ თქვენ მიერ ჩემი ნახვა, ნუ იწებებთ ჩემს დაბარებას, განსაკუთრებით იმ სახით, როგორსაც ადგილი ჰქონდა დღეს: მოვიდა უბარათო ერთი ყმანვილი და გადასცა ჩემს მსახურს დაუყოვნებლივ გამოცხადებულ ვიყავ კომისიაში. ვიმედოვნებ, რომ პატივს სცემთ მოხუცებულებას და ხშირ ავადმყოფობას და შემისრულებთ თხოვნას. კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი“ (საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 516, აღწ.2, ს.1, ფ.119).

№25. ცირკულარულად დეკრეტი №21 დარღვევის გამო

1922 წ. 3 ივლისი

საქართველოს რევოლუციონურმა კომიტეტმა გამოსცა წლის 15 აპრილს დიდი მნიშვნელობის დეკრეტი №21 (იხილე მოამბე №1) „სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის“ შესახებ. ამ დეკრეტის დედა აზრი პირველ მუხლშია გამოხატული, რომელშიც ნათქვამია, რომ სარწმუნოება არის მოქალაქეების პირადი საქმე. დეკრეტი რასაკვირველია ნებას არ აძლევს სარწმუნოებრივი წესის მიმდევართ დაარღვიონ თვით დეკრეტი №21 და აგრეთვე არსებული კანონები: ძალდატანება, შევიწროვება, და სხვა მათ არ შეუძლიათ. მაგრამ ამასთან ერთად არც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიანთ გამოცემა ადგილობრივი ხასიათის კანონებისა ან დადგენილებისა, რომელიც ზღუდავს, ან შეავიწროებს სინდისის თავისუფლებას (იხ მუხლი 4). მუხლი 6 იმავე დეკრეტისა აღიარებს, რომ სარწმუნოებრივი წესის შესრულება უზრუნველყოფილია იმდენათ, რამდენადაც იგი არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და არ ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო ვალდებულია ასეთ შემთხვევებში მიიღოს საჭირო ზომები საზოგადოებრივი წესრიგის და მშვიდობიანობის დასაცავად.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მოსდის ცნობები, რომ ზოგიერთ მაზრაში არის ისეთი შემთხვევა, როცა თვით ადმინისტრაცია არღვევს წესრიგს; იგი საკმაო სიფრთხილით არ ეკიდება მორწმუნეთა გრძნობებს და ამით ზოგიერთ სასულიერო პირებს, მთავრობის სხვა მოძულეთა და თვით მორწმუნეთაც საბაბს აძლევენ სხვა და სხვა გვარი მითქმა-მოთქმისათვის.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ეს, წინადადებას აძლევს ყველა აღმასრულებელი კომიტეტებს და ავტონომიურ რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებს მიიღონ ზომები, რათა სასტიკათ იქნეს დაცული დეკრეტი №21 და დამნაშავე მის დარღვევაში, ვინც არ უნდა იყოს იგი, მიეცეს პასუხისგებაში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

1922 წ. ივლისის 3.

მოამბე შსს კომისარიატისა, 1922 წ. №36, 8 ივლისი, გვ. 10.

№26. „მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი“

პირი
სრულიად საიდუმლოდ
1922წ. ივლისი №1

№№ რიგ	ლი- ტერ	შინაარსი	შემუშავება
1.	აგენ.	<p>ჯგუფი: „სამღვდელოება“.</p> <p>საქართველოს პატრიარქის ამბროსის გენუის კონფერენციისადმი მოწოდებასთან დაკავშირებით, რომელიც უზურპატორულად გამოვიდა საქართველოს მთელი ხალხის სახელით და მოითხოვა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ძველი, საქართველოს მუშებისა და გლეხების მიერ დამხობილი მენშევიკური მთავრობის აღდგენა. ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ პატრიარქი ამბროსი ეწევა ანტისაბჭოურ მუშაობას და მის ირგვლივ თავს იყრიან რექციული სამღვდელოება და ანტისაბჭოური პარტიების წევრები. პატრიარქ ამბროსისა და ყველა მასთან დაკავშირებულთა კონტრეგოლიციური მოღვაწეობის მოძრაობის გამოსავლენად შემოვიღეთ სააგენტო საქმე სახელწოდებით „წმინდანი“ და დავანესეთ სააგენტო მეთვალყურეობა, სააგენტო მეთვალყურეობის შედეგად 4 ივნისიდან 5 ივლისამდე დადგინდა მთელი რიგი ანტისაბჭოური გამოსვლები პატრიარქ ამბროსისა და მის ახლობელ პირთა მიერ. შეკრებილთა დამი მიმართული სიტყვებით ამბროსი მოუწოდებდა ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გათელილი ერისა და რელიგიის დაცვისაკენ, ამ მიზნით, მოუხმობდა ყოველნაირად ებრძოლონ საბჭოთა ხელისუფლებას. ასეთ გამოსვლათა დასადასტურებლად მომყავს შემდეგი სააგენტო ცნობები: 10/VI დღის 8 საათზე „წმინდანი“ საკუთარი ფაქტონით გაემგზავრა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში, სადაც შეხვდა ეპისკოპოსი ქრისტეფორე. ეკლესიაში ბევრი ხალხი იყო და, ვგონებ, მიდიოდა ჯიბლადის პანაშვიდი. ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ წარმოთქვა სიტყვა და შეეხო საბჭოთა ხელისუფლებას. ქრისტეფორეს შემდეგ სიტყვა წარმოთქვა „წმინდანმა“ და მოიხსენია ნოე ჟორდანია, ჩხენკელი, ჯუღელი და ყველა გაქცეული მენშევიკი. ამასთან, თქვა, რომ მენშევიკები იესო ქრისტეს ნაკვალევს მიჰყვებოდნენ, ხოლო კომუნისტები ანტიქრისტენი არიანო. ეზოში სიტყვას ამბობდა ცნობილი ქართველი მწერალი ბაოლო იაშვილი. აქიაქებდა და აგინებდა საბჭოთა ხელისუფლებას. შეკრება მთელ საათს გაგრძელდა; შემდეგ კი „წმინდანი“ შინ გაემგზავრა. 18/VI დღის 10 საათისათვის „წმინდანი“ ორი მღვდლისა და კანცელარიის გამგის თანხლებით გაემგზავრა ფაქტონით ზემო ნაძალადევის ეკლესიაში, სადაც მას ელოდა რკინიგზელთა, მღვდელთა და სხვადასხვა მოქალაქეთა უზარმაზარი ბრბო. იდგა მღვდელთა საბატიო ყარაული, და ორი მღვდლის ხელკავით შევიდა ეკლესიაში, სადაც ჩაატარა წირვა. „წმინდანმა“ სიტყვა წარმოთქვა ჯერ ქართულად, შემდეგ კი რუსულად, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „თქვენ, მასა, იცავთ ეკლესიას, წმინდა წერილს და რომ ქრისტე სოციალისტი იყო, ხოლო სოციალისტთა ახლანდელი მესვეურები არიან იუდეები და მოლალატენი“. ეწეოდა აგიტაციას საეკლესიო ძვირფასეულობის ამოღების წინააღმდეგ და მიმართა მასას, თქვა: თუ თქვენ ქართველები ხართ და გიყვართ თქვენი ერი და სამშობლო, ხელი ჩაჰკიდეთ ერთმანეთს და არ დაანებოთ კომუნისტებს, ამოიღონ საეკლესიო ძვირფასეულობა. მისი სიტყვის შემდეგ ხალხი აღელვდა. უმეტესობას სურდა ეყვირა ვაშა, მაგრამ გაახსენდათ, რომ ეკლესიაში იმყოფებოდნენ. სხვათა შორის „წმინდანმა“ სიტყვაში თქვა: ბევრი რამ ვერ გითხარით და კიდევაც გეტყოდით, მაგრამ... 23/VI „წმინდანი“ წავიდა ეგზარქოსის მოედ.</p>	<p>სააგენტო ურო ცნობათა შესამონებლად მოცემულია დავალება: დაადგინონ რამდენიმე პირი, რომლებიც დაესწრებიან „წმინდანის“ მიერ წარმოთქმული ანტისაბჭოური ხასიათის სიტყვას. მიეცა დავალება დადგინდეს „წმინდანის“ კავშირი ეპისკოპოს ქრისტეფორესთან და ანტისაბჭოური პარტიების წევრებთან. საქმის გამო შედგენილია ამ საქმეში მონაწილე პირთა სქემა და სია. სექსოტ ვოსტოკის დაევალა მოიპოვოს ფაქტობრივი მასალები „წმინდანის“ საქმის გამო. მოცემული დავალება უუსტად დაადგინონ, გამოვიდა თუ არა სიტყვით პ. იაშვილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და დედებით შემთხვევაში დაგვიდასტურონ. მოცემულია დავალება: საჯაროდ ანტისაბჭოური მიმართულების სიტყვებით გამოსვლის დროს, შეძლებისდაგვარად, ჩაინერონ სიტყვათა ცალკეული წინადადებები და შეარჩიონ რამდენიმე პირი, რომ-</p>

	<p>№2 კონსისტორიაში, სადაც მას ელოდებოდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პრორექტორი კეკელიძე კორნელი და ვინმე ბერი ევგენი, რომლებმაც „წმინდანს“ რალაც ქალღმერთი მიუტანეს. კონსისტორიაში მათ ჰქონდათ რალაც თათბირი და დღის 3 საათზე დაიშალნენ. 25/VI დღის 9 საათზე „წმინდანთან“ მივიდნენ ეპისკოპოსი ქრისტეფორე და სტუდენტი სემინარისტი სიდომონიძე, რომლებთანაც ერთად „წმინდანი“ წავიდა სიონის ტაძარში. წირვის შემდეგ ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ სიტყვით მიმართა მლოცველებს, რომელშიც, სხვათა შორის, თქვა: „ქართველები უნდა შემჭიდროვდნენ ერთმანეთთან, დაიცვან თავისი ერი და ა.შ. ეპისკოპოსი ქრისტეფორე და სტუდენტი სიდომონიძე სადილად იყვნენ „წმინდანთან“, შემდეგ კი სახლში წავიდნენ.</p> <p>შენიშვნა: ეკონომიკური საზოგადოების მალაზია „იბერთკავშირი“, რომელიც თბილქალაქმასკომის ქვეშაა, მეტად საეჭვოა, აქ თავს იყრის „წმინდანის“ ყველა მნახველი.</p> <p>30/VI დღის 12 საათზე „წმინდანი“ წავიდა ეგზარქოსის მოედ. №2 კონსისტორიაში, სადაც ქუთაისელი ეგზარქოსის მონანილეობით გაიმართა კრება, რომელიც დასრულდა დღის 3 საათზე. 1/VII გამოსცეს დაბეჭდილი განცხადება იმის თაობაზე, რომ კვირას 2 ივლისს, სიონის ტაძარში შესრულდება ლიტურგია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „წმინდანი“ და ქუთაისელი ეგზარქოსი.</p> <p>2./VII დღის 11 საათზე ორი მღვდლისა და კანცელარიის გამგის თანხლებით „წმინდანი“ წავიდა სიონის ტაძარში ლიტურგიის შესასრულებლად, სხვებთან ერთად ტაძარში იყვნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კეკელიძე, მოქ. თავდგირიძე და დავითაშვილი (აქციზ. კონტროლიორი). ტაძარში ასევე იყვნენ ინტელიგენციის მასა და საეჭვო პირთა და ქალთა ჯგუფი. დღის ორ საათზე ლიტურგია დამთავრდა და „წმინდანმა“ სიტყვა წარმოთქვა, რომელიც საეკლესიო სულისკვეთებით დაიწყო და დაამთავრა საბჭოთა ხელისუფლების უკმაყოფილებით: „არ დაგავინყდეთ, რომ ჩვენთან ინახება ძველი ისტორიული წიგნები, რომლებშიც წერია, რომ ქართველმა ხალხმა დაიცვა თავისი ერი და რელიგია“. შემდეგ „წმინდანმა“ შეწყვიტა ლაპარაკი. მხოლოდ დასძინა: „რაც გითხარით, საზგასმით გიმეორებთ“.</p> <p>სიტყვის დამთავრების შემდეგ ქუთაისელი ეგზარქოსისა და ეპისკოპოსის ქრისტეფორეს თანხლებით, „წმინდანი“ შინისკენ გაემართა. მას თან ახლდა ხალხის ბრბო. სახლთან წმინდანი რალაცაზე ელაპარაკებოდა ქალებს. ამასთან, აზრი გამოთქვა: „ანტანტაში ნათქვამია, რომ თუ ჩვენს ტერიტორიაზე იმუშავებენ და დაეხმარებიან დასუსტებულ და დაუძლურებულ მამაკაცებს, მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ.“</p> <p>ხალხთა დიდ ბრბოს გამოეყო მოქ. დავითაშვილი ზაქარია და თქვა: „ოღონდ „წმინდანმა“ იცოცხლოს, ჩვენ ყოველმხრივ შევეცდებით შევფიცოთ, რომ ერთგულნი ვიქნებით ჩვენი დაპირებისა“. „წმინდანმა“ პირფვარი დასწერა ყველას და აჩქარებდა ბრბოს, შინ წადიო, რის შემდეგ ბრბო დაიშალა, ხოლო მოქ. დავითაშვილი აყვანილი იქნა მეთვალყურეობის ქვეშ. მაგრამ ის ჩაჯდა ტრამვაიში და შინ გაემგზავრა.</p> <p>სააგენტურო მეთვალყურეობის მთელი ხნის მანძილზე გამოვლინდა „წმინდანის“ კავშირი, როგორც ბევრ სასულიერო პირთან, ისე სხვა ანტისაბჭოურ ელემენტებთანაც.</p> <p>ყველა თავყრილობის ცენტრალური აქტი არის ეგზარქ. მოედნის №3 კონსისტორია. „წმინდანთან“ ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვთ: ეპისკოპოსი ქრისტეფორეს (ემსახურება ყოფილ სამხედრო ტაძრის გოლოვინის პროსპექტზე), რომელიც ცხოვრობს სანგრის ქ. №3, წმინდანის თანაშემწეს მღვდელ ტყემალაძეს, ასათიანს, რომლებიც ცხოვრობენ ერეკლეს ქ. №6-4; ნიკოლოზის ეკლესიის – ალექსანდრეს ბაღი – მღვდელს ხუციავს გიორგის, რომელიც</p>	<p>ლებიც შემდგომში შეძლებენ ჩვენების მიცემას. მიცემულია დავალება. გამოავლინონ პირები, რომლებიც თანაუგრძნობენ წმინდანს და რომლებიც მისი წინააღმდეგი არიან.</p>
--	---	---

	<p>ცხოვრობს ნიკოლოზის 1. №14, მღვდელ ტატიშვილს, მცხოვრებს სურინოვის ქ. №12, მღვდ. კერესელიძეს ნიკოლოზს (არსად არ მსახურობს), მცხოვრებს ალექსანდრეს ქ. 34, მღვდელ წულაძეს, მცხ. ბაგრატიონის ქ. №16. მღვდელ ბოლგაშვილს (?), მცხ. ერეკლეს ქ. №6-4, მღვდელ ივანიცკის პეტრეს, მცხ. წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, მღვდ. კახაბელის, მცხ. მაზუთის ქ. №2. მღვდლებს: ცინცაძეს, ჩიკვაძეს, გიორგი სიდომონიძეს, კონტრიძეს ბენიამინ ბესარიონის ძეს; სტუდენტ სემინარისტს სიდომონიძეს. მცხ. ერეკლეს ქ. №6-4, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პროტოიერეი კეკელიძე კორნელის, მცხ. გუნიბის №7, მწერალ პაოლო იაშვილის, ნაძალადევის ეკლესიის მღვდლებს: მახათაძეს მიხეილს, დავიდოვს ალექსანდრეს, მოქ. აბრამიშვილს ელიზავეტას, მცხ. სანგრის ქ. 39, ეროვნულ-დემოკრატიკ თავდგირიძეს, მცხ. ამაღლების №7, მოქ. ბერკს ევგენის, მცხ. ისმაილის ქ.19. განუსაზღვრელი საქმიანობის პირს. მღვდ. მიხეილს? რაიონის სოფ. ჭალა, გიორგაძეს, ინჟინერ სულაკაძეს პლატონს, ნიკოლოზის ქ. №13, დირექტორ გაჩეჩილაძეს, მცხ. გრიბოედოვის ქ. №14.</p>	
--	--	--

მოცემულ დავალებათა შესახებ ცნობები არ შემოსულა. №4•000
 რწმუნებული – ხელმოწერა
 ხელმოწერები
 11//11/22წ. საფუძველი: ფ. 63, ს. 6, ფ. 49-50.
 ჯვარი ვაზისა, 1, 1997, გვ. 113-115.

**№27. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სიტყვა მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის
 სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე**

1922 წლის 30 აგვისტო

მართლმადიდებელნი ქრისტიანენო და მამულისშვილნი! დღეს ჩვენ ვიგონებთ ფრიად სამწუხარო შემთხვევას ჩვენი ერის ცხოვრებიდან; დღევანდელი დღე ქართველთათვის ცუდად მოსაგონარია, ეს ჩვენი ერისთვის სამარცხვინო დღეა. ბედნიერი ვიქნებოდით, რომ ამას და ამნაირ დღეებს ჩვენს ცხოვრებაში არ ჰქონდეს ადგილი. ეს არის დღე, როდესაც ქართველმავე მოულო ბოლო თავის სამშობლოს საუკეთესო შვილს ილია ჭავჭავაძეს, რომლის მოღვაწეობას აქვს დიადი მნიშვნელობა ქართველ ერის გამოღვიძების და გათვითცნობიერების საქმეში. უმადურმა, შეუგნებელმა ქართველმა ტყვიით გაუგმირა მას შუბლი, ის შუბლი, რომელიც მუდამ აზროვნებდა ქართველი ერის საკეთილდღეოდ, რომელიც ხანგრძლივი გონებრივი მუშაობით მას დანაოჭებული ჰქონდა; წინამურის ველი მოირწყო მისი სისხლით. ნამებული ილიას დასაფლავების დღეს, მისი ცხედრის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში (დოკ. №11 – ჯ.გ.) მე ვინატრე, რომ ეს სისხლი ქართველ ერს არ დასდებოდა, რადგანაც ეს იქნებოდა დამამტკიცებელი ჩვენის ველურობისა, უკულტურობა-შეუგნებლობისა; მაგრამ, ვაი სირცხვილო, ვგონებ, უკვე დამტკიცებულია, რომ ეს უღირსი შვილი, ან უკეთ ვსთქვათ, შვილები აღუზრდია ქართლის დედას. ვერ შევრიგებვიარ იმ აზრს, რომ ქართველ ერს წარმოეშვას ამისთანა უღირსი შვილები, მაგრამ შესაძლებელია, ილიას მონამებრივი სიკვდილი იყო უკანასკნელი მისი სამსახური, უკანასკნელი მსხვერპლი, შეწირული ჩვენი ერისთვის მისი ეროვნულად გამოღვიძება-გასწორებისათვის. მაშასადამე, 30 აგვისტო ქართველი ერისთვის სინანულის, ცოდვების და შეცდომების გასწორების დღეა. ამან უნდა ჩავგახედოს ჩვენს ცხოვრებაში, რომ მოვიშორეთ ნაკლი.

შესაძლებელია, ილიას სისხლმა, მისმა მონამებრივობამ ბევრი რამეში კიდევაც გაგვასწორა, მაგრამ მე აქ მინდა მივაქციო ქართველობის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ეს

„მთა-წმიდა“ – წმიდაა ქართველთათვის არა მარტო დავით გარეჯელის აქ ცხოვრებით, არა მარტო მისი ქართველთათვის დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობით, არამედ იმიტაც, რომ აქ განისვენებენ საუკეთესო შვილნი მამულისანი, მისთვის თავდადებულნი: ილია, აკაკი, დიმიტრი. ისინი ამ სიმალიდან ახლაც მოგვინოდებენ, ვიყოთ სამშობლოს ერთგულნი შვილნი, ვბაძოთ მათ მამულისათვის თავდადებაში. ჩვენც სასოებით და პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ ამ წმ. ადგილს, აქ ყველაფერი უნდა ბრწყინავდეს. მაგრამ რას ვხედავთ? ყველაფერი მოუწყობელია და თვით ილიას ეს საფლავიც არ არის უზრუნველყოფილი დაქცევისაგან, ხოლო აკაკის საფლავზე არას ვიტყვი, რადგან ეს ჩვენთვის მეტად სასირცხვილოა, მისი მდგომარეობის მოგონება ჩვენი თავმოყვარეობის შეურაცხმყოფელი და შემლახავია.

შევავედროთ, მორწმუნენო და სამშობლოს ერთგულნო, დიდებული ილიას სული ზეცათა მეუფეს და შევსთხოვოთ მას, რომ ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს ბევრი ილიასებრივი შვილები გამოუზარდოს და მათი ღვაწლის დაფასების შეძლებაც მოგვცეს.

კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.265.

№28. სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოსაგან

1922წ. 19 ოქტომბერი

მიმდინარე წლის ოქტომბრის 14, სვეტიცხოვლობას, შესრულდა ხუთი წელიწადი, რაც საქართველოს ეკლესიამ, რუსეთის ეკლესიის თვითმპყრობელ სინოდის 106 წლოვან ტყვეობისაგან განთავისუფლებისა და შვიდი თვის დროებითი მმართველობის განცდის შემდეგ, ოფიციალურად აღადგინა კათალიკოზ-პატრიარქობა და შექმნა საბჭოებზედ დაყრდნობილი საეკლესიო მართვა-გამგეობა.

ეს ხუთი წელიწადი საქართველოს ეკლესიამ, სამი საეკლესიო პერიოდული კრების, მუდმივ მოქმედის უზენაესის ორგანოს – საკათალიკოზო საბჭოს, საეპარქიო და საოლქო კრებათა და სამრევლო საბჭოების სახით, მოანდომა თვითგამორკვევას, მმართველ ორგანოთა შექმნას, დამოუკიდებლობის გამაგრებას და შინაგანი ცხოვრების ისეთი მხარეების მოწესრიგებას, რომელიც პირველი შეხედვით წვრილმანია, მაგრამ არსებითად ფრიად მნიშვნელოვანია საეკლესიო ორგანიზმის მთლიანობისთვის.

მრავალი, უმეტეს შემთხვევაში ფართო საზოგადოებისთვის უჩინარი, დაბრკოლება ელობოდა ჩვენს ეკლესიას შემოქმედებითი მუშაობის დროს: ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ კურსის, ორიენტაციის და ხელისუფლების ცვალებადობაში ეკლესიას წინ ედგა საფრთხე. არა ნაკლებ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა სახელმწიფო ტერიტორიის განუსაზღვრელობა, რესპუბლიკის განაპირა ნაწილების უფლებათა საკითხი და სხვ.

ამის გამო დადგა დრო, როდესაც შინაგან თითქმის მონყობილი ეკლესია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მის მიერ წინასწარ დასახულ მიზნების განხორციელებას: განიწმინდოს მონარქიულ რეჟიმის ზეგავლენის ნაშთებისაგან, შეუფარდდეს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას, განმარტივდეს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით, მაგრამ ისე კი, რომ ხელუხლებელი დარჩეს ქრისტე მაცხოვრის დიადი მოძღვრების არსებითი მხარე.

მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოაღნიშნული, სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს სრულმა შემადგენლობამ (საქართველოს ყველა მმართველ მღვდელმთავართა მონაწილეობით) 1922 წლის ოქტომბრის 19 გამოიტანა შემდეგი განჩინება: „1) ცნობილ იქნას პრინციპიალურად, რომ საქართველოს ეკლესიას ესაჭიროება შეიტანოს თავის წყობილებაში თანამედროვე ცხოვრების შესაფერისი ცვლილებანი და რომ ამ ცვლილებათა ცხოვრებაში უმტკივნეულოდ გატარებისათვის მას შესწევს საკუთარი ძალღონე; 2) ცნობილ იქნას სასურველად, რომ ეს ცვლილებანი მოხდეს სამღვდელთა და მორწმუნე ერის მონაწილეობით ისე კი, რომ ყოველნაირ ცვლილებათა პროექტი და-

გროვდეს ცენტრში-განხორციელებისათვის ერთ სპექტრში გასატარებლად; 3) დაევალოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს, დაუყოვნებლივ მოახდინონ განკარგულება ოლქებში თუ რაიონებში ცვლილებათა დამამუშავებელ კომისიების არჩევის შესახებ და კომისიათა მიერ დასაბუთებული და დამამუშავებელი პროექტები წარმოუდგინონ საკათალიკოზო საბჭოს უცვლელად, თავიანთი დასკვნის (ცალკე) დართვით, და 4) განემარტოს მღვდელმთავართა საშუალებით სამღვდლოებას და მორწმუნეებს, რომ არჩეულ კომისიების გარეშეც ყველა მათგანს შეუძლიან წარმოადგინოს წინა მუხლში აღნიშნულ წესით საჭირო ცვლილებათა დასაბუთებული პროექტი“.

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს თავმჯდომარე, კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი.

- საბჭოს წევრნი: 1) მიტროპოლიტი ნაზარ ქუთათელი
- 2) ეპისკოპოზი დავით ჭყონდიდ-შემოქმედი
- 3) ეპისკოპოზი იოანე ცხუმ-აფხაზეთელი
- 4) ეპისკოპოზი ქრისტეფორე ურბნელი
- 5) დეკ. კ. ცინცაძე
- 6) დეკ. მ. ტყემალაძე
- 7) პროფ. კ. კეკელიძე
- 8) ივანე რატიშვილი

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ.82.

№29. კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის სიტყვა მთაწმინდაზე დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდზე

1922 წლის 12 ნოემბერი

**„მე ან ესერა შევინირვი და ყამი გამოინია“
(2 ტიმ. 4, 6). „დალათუ შევინირვი
მსხვერპლსა მას ზ ~ ა მსახურებისა სარწმუნოებისა
თქვენისასა, მიხარის და გიხაროდესცა
თქვენ ყოველთა თანა“ (ფილიპ. 2, 17)**

ამ სიტყვებს ამბობს პავლე მოციქული იმ დროს, ოდეს იგი გამზადებული იყო შეენირა თავი ერისა და სარწმუნოებისათვის. ის გვეუბნება, რომ ეს სასიხარულო იყო მისთვის და მორწმუნე ერისთვის.

ხალხის ცხოვრებაში, მის ისტორიულ მსვლელობაში ხშირათ იბადებიან მადლიანი, მირონცხებული პირები. ხალხი ცხოვრობს არა ანმყოთი მარტო, არა მარტო მომავლის იმედით, არამედ ის ხშირად იხედება უკან, ათვალეირებს განვლილ გზას, ითვალისწინებს თავის ნამუშევარს, ისტორიულ შეცდომებს და ცდილობს მომავალში აიცდინოს ის შეცდომები, რომლებმაც მიიყვანა აწინდელ მდგომარეობამდის, თუ მისი აწინდელი მდგომარეობა არასანუგეშოა. ამ ისტორიის მსვლელობაში ის ხედავს იმ ისტორიულ პირებს მანათობელ ლამპარად. ისინი არიან გზის მაჩვენებელნი, ისინი გვითითებენ იმ მოვალეობაზე, რომელიც უნდა ვასრულოთ ერის საკეთილდღეოდ. ამ მოვალეობას თვითონ სწირავენ თავს, ემსახურებიან მას. ეს მათთვის სასიხარულოა, ვინაიდან ბედნიერება მხოლოდ მოვალეობის აღსრულებაშია. და ერისთვისაც უცილობლად სასიხარულოა და გამამხნეველებელია მათი მოგონება. უმათოდ ისტორია ჩვენთვის არ იქნებოდა მასწავლებელი, ვინაიდან ისინი პავლე მოციქულთან ერთად გვეუბნებიან: „მოზაძავ ჩემდა იყავით, ვითარცა მე ქრისტესიო“, რომელმაც თავი შესწირა კაცობრიობის ინტერესებს. ერთი ამნაირად სამშობლოს და მშობლიურ ეკლესიის სამსხვერპლოზე შეწირული პირთაგანია განსვენებული დიმიტრი ყიფიანი.

ეს იყო დრო, როდესაც საქართველოს ეკლესიის თვითთაობა მოსპობილი ჰქონდა,

როდესაც მას ედგა არაბუნებრივი, არამშობლიური თავი, როდესაც მას განაგებდნენ ერისთვის უცხო ენით მოსაუბრე მამათმთავარნი, როდესაც ეკლესია გადააქციეს ერის გადაგვარების იარაღად, როდესაც ქართულ ენას სახელდებდნენ „ძალის ენად“, ქართულ გალობას – „პირუტყვების ბლავილად“ და ამისთვის ქართულ ენაზე ღვთისმსახურება დიდ დანაშაულად და შეუფერებლად ითვლებოდა. ამ დროს განსვენებული გამოდის სამსხვერპლოზე თავის დასადებად.

ეს იყო ის მომენტი, როდესაც საქართველოს ეკლესიის არაბუნებრივ ერთმა თავთაგანმა (ეგზარქოსი პავლე ლებედევი – ჯ.გ.) სემინარიის რექტორის (პ.ჩუდეცკი – ჯ.გ.) მკვლელობის გამო საჯაროდ დასწყევლა მთელი მისგან სიძულვილის საგნად გამხდარი ერი, – თავისივე სულიერი სამწყსო. რა დიდი ბოროტებაა მღვდელმთავრისაგან მისი სულიერ შვილთა დაწყევლა! დაწყევლა იმისგან, ვისგან მოელიან მხოლოდ ლოცვა-კურთხევას? და კიდევაც ამან ალაშფოთა მორწმუნეთა სული. იმდენად დიდი იყო ეს აღშფოთება, რომ მისი გამოძახილი ახლაც გვემის. ახლაც ხშირად მესმის მორწმუნე ქართველთაგან მწუხარება ამ წყევლის გამო, ეშინიათ მისი და გამოსტყვამენ სურვილს მისი ახსნისთვის, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა. დაუმსახურებელ წყევას არა აქვს გასავალიო, ამბობს ბრძენი სოლომონი, ხოლო დაუმსახურებელი იქნება ის მაშინ, როდესაც ჩვენ ვართ ერთგულნი შვილნი ეკლესიისანი, როდესაც ურწმუნოებაში და ბოროტების მორევში არა ვართ ჩაფლულნი, როდესაც ჩვენში არის გამეფებული სიყვარული და სამართლიანობა. მოაბის მეფე ბალაკ... უნდოდა, რომ ბალაამს დაეწყევლა ებრაელები, მაგრამ ღმერთმა უთხრა ბალამს: „არა მნებავს წყევად ერისაო“ (რიცხ. 22, 12), ამისთვის ბალაამის წყევა ღმერთმა მოაქცია კურთხევადო“, დასძენს წიგნი ნეემიასი (13, 2). მაშასადამე თუ ღირსი ვიქნებით ამისი, ღმერთი ჩვენს ერსაც ეტყვის იმასვე, რაც უთხრა ისრაელთა ერს: „მაკურთხედნი შენნი კურთხეულ იყვნენ, მანყევარნი შენნი თვით ღირსნი იქნებიან წყევლისაო“ (რცხ. 24, 9).

დიალ, ამ არაჩვეულებრივი მოვლენამ ალაშფოთა მორწმუნე ქართველობა და მან, ამ კოლექტიურმა აღშფოთებამ, ნახა თავისი გამოსავალი განსვენებული დიმიტრის პიროვნებაში. ის მედგრად წინააღმდეგა ამ მოქმედებას, დაგმო იგი, წერილით მიმართა მწყემსმთავარს და უთხრა მას დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ეს მისგან დაწყევლილი ქვეყანა. დიმიტრი გადაასახლეს ჩრდილოეთში და იქ მას მოუსპეს სიცოცხლე მოსყიდულმა, როგორც ერთ უცხოეთელი გამოცემა ამბობს, პირებმა. მაღლიერმა ერმა ამ მეორე დიმიტრი თავდადებულის გვამი დიდის ამბით და ზეიმით გადმოასვენა სამშობლოში და მიაბარა მშობლიურ მიწას აქ მთანმინდაზე.

რას გვეუბნება და გვასწავლის ჩვენ ეს საფლავი? ის გვეუბნება, ვიყოთ მოვალეობის აღმასრულებელნი ჩვენის დედა ეკლესიის წინაშე, რომ სარწმუნოებას ერის ცხოვრებაში აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ის არის ღრმად ჩაყრილი საძირკველი, აუცილებლად საჭირო ეროვნული შენობის სიმაგრისთვის, რომ ის არამც თუ არ უნდა გამოვაცალოთ მას, არამედ უნდა ვეცადოთ მისი გამაგრებისთვის, თუ კი გვინდა ვემსახუროთ ერის კეთილდღეობას.

ამ სიმალიდან განსვენებული გადაძახის საქართველოს დედაქალაქს და ქართველ ერს: „მობაძავ ჩემდა იყავითო“, იყავით ერთგულნი შვილნი ერისა და ეროვნულ ეკლესიასაო და მისი მაღლიერებმა აუსრულოთ მას სურვილი და სათხოვარი.

კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას არქივი, ს.273.

№30. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – კათოლიკოს პატრიარქ ამბროსის წინააღმდეგ გამოყენებული და ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებული მუხლები

1922 წლის 5 დეკემბერი

ზოგადი ნაწილი

I. სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების ფარგალი

... II. ზოგადი დებულებანი

... 10. უკეთეს სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ არ იქნება ნაჩვენები დანაშაულის ცალკე სახე, სასჯელი ან სოციალური დაცვის სხვა ღონისძიება შეფარდებულ უნდა იქნეს სამართლის კოდექსის იმ მუხლების თანახმად, სადაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვართ უმეტესად მსგავსი დანაშაული; თანაც დაცულ იქნეს ამა კოდექსის ზოგადი ნაწილის წესი.

... 13. დანაშაულის ხელყოფად ჩაითვლება დანაშაულის ჩასადენად მიმართული ისეთი მოქმედება, რომლის დროსაც მისი ჩამდენი ვერ შეასრულებს ყველა ამას, რაც საჭიროა მისი განზრახვის განსახორციელებლად, ან როდესაც, თუნდაც შეასრულოს ყველა ის, რაც – კი საჭიროდ მიაჩნდა, მის მოქმედებას მაინც არ მოჰყვება დანაშაულებრივი შედეგი მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

... 15. იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილი იქნება რამდენიმე პირის მონაწილეობით ან მთელი ჯგუფის მიერ, დაისჯება როგორც აღმასრულებელი, ისე წამქეზებელი და დამხმარე. დანაშაულის თვითველ მონაწილისათვის სასჯელის ზომა განისაზღვრება როგორც იმით, თუ რაოდენი მონაწილეობა მიუღია მას, აგრეთვე იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ საფრთხეს წარმოადგენს დამნაშავე და მისგან ჩადენილი დანაშაული.

16. აღმასრულებლად ჩაითვლება ის, ვინც უშუალო მონაწილეობას მიიღებს დანაშაულებრივი მოქმედების შესრულებაში, რაშიაც უნდა გამოიხატოს ეს მონაწილეობა.

... III. სასჯელის ზომის განსაზღვრა

...24. სასჯელის ზომის განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როდენ და რა ხასიათის საფრთხეს წარმოადგენს როგორც თვით დამნაშავე, ისე მის მიერ ჩადენილი დანაშაული.

ამის გადასაწყვეტად შესწავლილ უნდა იქნეს ყველა გარემოება, რომელშიაც დანაშაული მოხდა, და გამორკვეული დამნაშავეს პიროვნება, რამდენადაც იგი გამოაშკარავდა ჩადენილ დანაშაულსა და მის მოტივებში, და რამდენადაც დამნაშავეს პიროვნების გამორკვევა შესაძლებელი იქნება მისი ყოფა-ცხოვრებისა და წარსულის მიხედვით, აგრეთვე გადაწყვეტილ უნდა იქნეს, თუ თვით დანაშაული დროისა და ადგილის თანამდეგ პირობებში რამდენად არღვევს საზოგადოებრივი უშიშროების საფუძველს.

25. ამიტომ სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს საჭიროა გარჩევა: ა) ჩადენილია დანაშაული ბურჟუაზიის ხელისუფლების აღსადგენად, თუ დამნაშავეს მარტოდენ პირადი ინტერესით; ბ) მიმართულია დანაშაული სახელმწიფოს, თუ ცალკე პიროვნების წინააღმდეგ; გ) ჩადენილია დანაშაული შიმშილისა და გაჭირვების დროს, თუ არა; დ) ჩადენილია დანაშაული მდაბალი მოსაზრებით, ანგარებით, თუ უამისოდ; ე) ჩადენილია დანაშაული იმ ვნების სრული შეგნებით, რომელიც მას უნდა მიეყენებინა, თუ უვიცობით და შეუგნებლად; ვ) ჩადენილია დანაშაული პროფესიონალური დამნაშავეს ან რეციდივისტის მიერ, თუ იგი პირველადაა ჩადენილი; ზ) ჩადენილია დანაშაული ჯგუფისა (ბრბო, ბანდა), თუ ერთი პირის მიერ; ც) ჩადენილია დანაშაული ძალმომრეობით, თუ უამისოდ; თ) გამოუჩე-

ნია დანაშაულის ჩამდენს წინასწარ მოფიქრებული განზრახვა, სიმკაცრე, მზაკვრობა, თუ დანაშაული ჩადენილია გულფიცხობით, გაუფრთხილებლობით, მოუფიქრებლობით ან სხვა პირის იძულებით და მუქარის ზეგავლენით.

... 28. იმ შემთხვევაში, როდესაც, საქმის განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, სასამართლო დარწმუნდება, რომ საჭიროა სასჯელის ზომის გადანყვეტა იმ უმდაბლეს საზღვარზე დაბლა, რომელიც ნაჩვენებია სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ დანაშაულის შესაფერ მუხლში, ან დარწმუნდება, რომ საჭიროა გადავიდეს სხვა, ამ მუხლში გათვალისწინებულ ნაკლებად მძიმე გვარის სასჯელზე, – სასამართლოს შეუძლიან ასეთი გადახვევა მხოლოდ იმ პირობით, თუ განაჩენი დაწვრილებით აღნიშნავს მოტივებს, რომელთაც აიძულებს იგი ასე მოქცეულიყო.

... 30. უკეთეს სასამართლოში მიცემულს განაჩენის გამოტანამდე ორი ან მეტი დანაშაულებრივი ქმედობა ექნება ჩადენილი, სასამართლო, განსაზღვრავს რა თვითოეული ამ დანაშაულისათვის ცალკე სასჯელს, გადაუწყვეტს დამნაშავეს ყველაზე უმძიმეს განჩენილ სასჯელთაგან; ამასთანავე ეს სასჯელი შეიძლება ანეულ იქნეს იმ მუხლში დაწესებულ უმაღლეს საზღვრამდე, რომლის ძალითაც სასჯელია გადანყვეტილი.

31. სასჯელის გადანყვეტის დროს სასამართლომ თავისუფლების აღკვეთის ვადაში უნდა ჩაუთვალოს მსჯავრდადებულს ის დრო, რომელიც მან წინასწარ პატიმრობაში დაჰყო გასამართლებამდე.

IV. სასჯელთა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებათა გვარი და სახე

... 39. ფულადი ჯარიმა არის სასჯელი, რომელსაც სასამართლო განუჩენს მსჯავრდებულს, მისი ქონებრივი შეძლების მიხედვით, იმ ფარგლებში, რაც დაწესებულია სისხლის სამართლის ცალკე მუხლებით.

უკეთეს მსჯავრდებული ჯარიმის გადახდას თავს აარიდებს, სასამართლოს დადგენილებით ჯარიმა შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებით მუშაობითაც დაუპატიმრებლად; შეცვლა თავისუფლების აღკვეთისა ჯარიმად და ჯარიმის – თავისუფლების აღკვეთად არ შეიძლება.

განსაკუთრებული ნაწილი

თავი I

სახელმწიფოებრივი დანაშაული

კ ა რ ი 1

კონტრ-რევოლუციონური დანაშაულის შესახებ

58. კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებად ჩაითვლება ყოველი მოქმედება, რაც მიმართულია მუშათა და გლეხთა საბჭოებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალით არსებული მუშათა და გლეხთა მთავრობის დასამხობად, მისთვის ძირის გამოსათხრელად და დასასუსტებლად, აგრეთვე მოქმედება, მიმართული საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილის ხელის შეწყობისთვის, რომელსაც კაპიტალიზმის ნაცვლად მომავალი კომუნისტური სისტემა საკუთრებისა სწორუფლებიანად არ მიაჩნია და ისწრაფვის დაამხოს იგი ინტერვენციით, ბლოკადით, ჯაშუშობით, პრესისათვის ფინანსურად ხელის გამართვით და სხვ.

კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი მოქმედება, რომელიც, თუმცა პირდაპირ მიმართული არ არის ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, მაგრამ მაინც, ამ მოქმედების ჩამდენის წინასწარი შეცნობით, იგი წარმოადგენს ხელყოფას პროლეტარული რევოლუციის პოლიტიკურ ან სამეურნეო ძირითად მონაპოვართა წინააღმდეგ.

59. კონტრ-რევიოლუციონური მიზნით შეიარაღებული აჯანყების ან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მინა-წყალზე შეიარაღებული რაზმების თუ ბანდების შემოსევის ორგანიზაცია, აგრეთვე მონაწილეობა მცდელობაში იმავე მიზნით ცენტრსა და ადგილობრივად ხელისუფლების დასაპყრობად, ან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მინა-წყლის რომელიმე ნაწილის ჩამოსაკვეთად, ან რესპუბლიკის მიერ დადებული ხელშეკრულების დასარღვევად და ა ი ს ჯ ე ბ ა

სასჯელის უმაღლესი ზომით და მთელი ქონების კონფისკაციით; ამასთანავე შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო სასჯელი შიძლება დანეულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ ხუთი წლისა სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით.

უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ მონაწილეს არა სცოდნია ამ მუხლში აღნიშნული დანაშაულის საბოლოო მიზანი, ეს მონაწილეობა და ა ი ს ჯ ე ბ ა თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა.

60. უცხო სახელმწიფოსთან ან მის წარმომადგენელთან ურთიერთობის დაჭერა მის დასაყოლიებლად რესპუბლიკის საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩარევისა, ან ომის გამოცხადებისა, ან სამხედრო ექსპედიციის გაგზავნისათვის, აგრეთვე უცხო სახელმწიფოსათვის ხელის შეწყობა მას შემდეგ, რაც ის ომს გამოაცხადებს ან ექსპედიციას გაგზავნის, რაშიც უნდა გამოიხატოს ეს ხელის შეწყობა, დაისჯება. 59 მუხლის 1 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

... 63. წინააღმდეგობის განევა სახელმწიფო დანესებულებათა და საწარმოთა ნორმალური მოქმედებისათვის, ან მათი სათანადო გამოყენება სახელმწიფოს მრეწველობისა, ვაჭრობის და ტრანსპორტის დასანგრევად და ძირის გამოსათხრელად, იმ ქმედობის ჩადენის მიზნით, რაც გათვალისწინებულია 58 მუხლში (ეკონომიკური კონტრ-რევიოლუცია), დაისჯება

59 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით.

ესევე მოქმედება, როდესაც იგი გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე შეგნებულად არ შეასრულებს სამსახურით დაკისრებულ მოვალეობას, ან განზრახ დაუდევრად შეასრულებს ან და გაართულებს მას კანცელარიაში საქმის ზედმეტი გაჭიანურებით და სხვ. (საბოტაჟი) – უკეთუ ამ მოქმედებას არ ექნება 58 მუხლის ნიშნები – დაისჯება 108 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით.

... 69. პროპაგანდა და აგიტაცია, რომელიც მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის ძალმომრეობით, ლალაგით ან მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის აქტიური თუ პასიური წინააღმდეგობის განევით, ან მოქალაქეთათვის დაკისრებული საგადასახადო თუ სამხედრო ბეგარის მასიური შეუსრულებლობით, დაისჯება

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით.

იმავე დანაშაულისათვის, უკეთუ იგი ჩადენილია საომარი მდგომარეობის ან ხალხის მღელვარების დროს, სასჯელი აინევეს უმაღლეს ზომამდე.

მონოდება ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებისადმი წინააღმდეგობის განევისა ან მისი შეუსრულებლობისათვის, თუ ამასთანავე დამტკიცებულ არ იქნა, რომ ამ მონოდებას კონტრ-რევიოლუციონური მიზანი ჰქონდა, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

... 73. კონტრ-რევიოლიუციონური მიზნით გამოგონება და გავრცელება ტყუილი ხმების და შეუმონმებელი ცნობებისა, რომელთაც შეუძლიანთ გამოიწვიონ საზოგადოებრივი პანიკა, დაჰბადონ უნდობლობა ხელისუფლებისადმი ან სახელი გაუტეხონ მას, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ექვსი თვისა.

უკეთუ არ დამტკიცდა, რომ აღნიშნულ მოქმედებას კონტრ-რევიოლიუციონური მიზანი ჰქონდა, სასჯელი შეიძლება შეიცვალოს იძულებით მუშაობად არა ნაკლებ სამი თვისა.

კ ა რ ი 2 მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულის შესახებ

74. მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულად ჩაითვლება ყოველი მოქმედება, რომელიც მიმართულია მართველობისა ან სახალხო მეურნეობის ხელქვეითი ორგანოების წესიერი მუშაობის დასარღვევად, და რომელსაც თან ერთვის საბჭოთა ხელისუფლების კანონებისადმი წინააღმდეგობა ან დაუმორჩილებლობა, მისი ორგანოების მიშაობისათვის ხელის შეშლა და ამ ხელისუფლების ძლიერებისა და ავტორიტეტის დამასუსტებელი სხვა მოქმედება.

... 105. დამალვა ისტორიული და ხელოვნების სიძველეთა კოლექციისას, რომელიც გასატარებელია რეგისტრაციაში, აღსარიცხი ან სახელმწიფო საცავში გადასაცემია. დ ა ი ს ჯ ე ბ ა იძულებითი მუშაობით ერთ წლამდე და დამალული ქონების კონფისკაციით.

... თ ა ვ ი II თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშაული

... 108. ბოროტად გამოყენება ხელისუფლებისა, ესე იგი თანამდებობის პირის ისეთი მოქმედება, რაც მას შეეძლო ჩაედინა მარტოოდენ სამსახურებრივი მდგომარეობის მეოხებით და გამოწვეული კი არ იყო სამსახურის საჭიროებით, ხოლო რასაც შედეგათ მოჰყვა დაწესებულების ან საწარმოს წესიერი მუშაობის აშკარა დარღვევა, ან რამაც მიაყენა მას ქონებრივი ზარალი ან გამოიწვია საზოგადოებრივი წესიერების ან ცალკე მოქალაქეთა კანონით დაცული უფლებისა და ინტერესის დარღვევა, უკეთუ ასეთ მოქმედებას თანამდებობის პირი ჩაიდენს სისტემატიურად ან ანგარებით თუ სხვა პირადი ინტერესით, ან უკეთუ ასეთ მოქმედებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი ან, თანამდებობის პირის წინასწარი შეცნობით, მძიმე შედეგი უნდა მოჰყოლოდა, დ ა ი ს ჯ ე ბ ა თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში იგივე მოქმედება დ ა ი ს ჯ ე ბ ა დისციპლინარული წესით, თანაც თანამდებობიდან დათხოვნიტურთ,

მიყენებული ზარალი ანაზღაურებისა ან მავნე შედეგის გასწორების მოვალეობის დაკისრებითურთ, ან უამისოდ.

შენიშვნა. თანამდებობის პირად იგულისხმება ის პირი, ვისაც უჭირავს მუდმივი ან დროებით თანამდებობა ამა თუ იმ სახელმწიფო (საბჭოთა) დაწესებულებასა ან საწარმოში, აგრეთვე ორგანიზაციასა ან შენაერთში, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს განსაზღვრული უფლება, მოვალეობა და რწმუნებულება სამეურნეო, საადმინისტრაციო, საგანმანათლებლო და სხვა სახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელებისთვის.

109. გადამატება ხელისუფლებისა, ესე იგი თანამდებობის პირის ისეთი მოქმედება, რაც აშკარად გადასცდება კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებისა და რწმუნებულების საზღვარს, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

108 მუხლის 1 და 2 ნაწილში სათანადოდ გათვალისწინებული სასჯელით.

უკეთუ ხელისუფლების გადამეტებას თან სდევდა ძალადობა ან იარაღის ხმარება ან დაზარალებულისათვის განსაკუთრებით საწვალებელი თუ მისი პირადი ღირსების შეურაცმყოფელი მოქმედება, იგი გადამეტება დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებათა გამო – სასჯელის უმაღლესი ზომით.

... 116. მითვისება ან გაფლანგვა თანამდებობის პირის მიერ ფულისა, ქონებისა ან სხვა განძეულისა, რომელიც მას თანამდებობით ან სამსახურის გამო ჰქონდა ჩაბარებული, დ ა ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა და თანამდებობიდან დათხოვნიტით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, რომელიც განსაკუთრებული რწმუნებით იყო აღჭურვილი, ან მითვისება უაღრესი მნიშვნელობის სახელმწიფო განძეულისა, აგრეთვე სისტემატიური მითვისება, ან და მითვისება განსაკუთრებული დიდი ქონებისა და ი ს ჯ ე ბ ა

109 მუხლის 2 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

... თ ა ვ ი III

სახელმწიფოსგან ეკლესიის ჩამოშორების წესის დარღვევა

122. ხალხის რელიგიური ცრუმორწმუნეობის გამოყენება მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასამხობად ან მისი კანონებისა და დადგენილებათა საწინააღმდეგო შეგუიანებისათვის და ი ს ჯ ე ბ ა

69 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით.

123. მოსატყუებელი მოქმედების ჩადენა ხალხში ცრუმორწმუნეობის აღსაძრავად, აგრეთვე ამით რაიმე სარგებლობის მოსაპოვებლად და ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან ამავე ვადით იძულებითი მუშაობით.

124. სწავლება მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთათვის რელიგიური მოძღვრებისა სახელმწიფო ან კერძო სასწავლებელსა და სკოლაში და ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით ერთ წლამდე.

125. ყოველივე ძალდატანება საეკლესიო და რელიგიური ორგანიზაციისა და ჯგუფის სასარგებლოდ გადასახადის აკრეფის დროს და ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე ადგილობრივ საბჭოსთან ხელშეკრულების დადების უფლების ჩამორთმევით ორ წლამდე ღვთისმსახურებისათვის საჭირო ქონებისა და შენობის მოხმარების შესახებ და ორგანიზაციის ქონების კონფისკაციით.

126. მითვისება რელიგიური ან საეკლესიო ორგანიზაციის მიერ საადმინისტრაციო, სამოსამართლო ან საქვეყნო სამართლის ხასიათის სხვა ფუნქციისა ან და იურიდიული პიროვნების უფლებისა და ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობითი მუშაობით ექვს თვემდე აღნიშნული ორგანიზაციის ლიკვიდაციით და მისი ქონების კონფისკაციით.

127. შესრულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში რელიგიური წესისა, აგრეთვე მოთავსება ამ შენობაში რაიმე რელიგიური გამოხატულებისა და ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით სამ თვემდე ან ჯარიმით 300 მანეთამდე ოქროთი.

128. ხელის შეშლა რელიგიური წესის ასრულებისათვის, უკეთუ ეს წესი არ დაარღვევს საზოგადოებრივ წესიერებას და ამის შესრულებას თან არა სდევს მოქალაქეთა უფლების შელახვა, და ი ს ჯ ე ბ ა

იძულებითი მუშაობით ექვს თვემდე.

თავი IV

სამეურნეო დარგის დანაშაული

... 131. უყაირათობა, რომელსაც საფუძვლად აქვს სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საწარმოს სათავეში მდგომი პირის ან მისი რწმუნებულის მიერ მათთვის მინდობილი საქმისადმი დაუდევარი ან არაკეთილსინდისიერი მოპყრობა, რასაც შედეგად მოჰყვება დაწესებულების თუ საწარმოს ქონების გაფლანგვა, ან და ისეთი ზარალის მიყენება, რომლის ანაზღაურებაც საძნელო იქნება, და ი ს ჯ ე ბ ა

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა.

ზემოაღნიშნული ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია თანამდებობის პირთა მიერ ურთიერთთან ან სხვებთან შეთანხმებით, იმ მიზნით, რომ სახელმწიფო ქონება გაეფლანგათ ან მონაწილეთ პირადი გამორჩენა ჰქონოდათ, და ი ს ჯ ე ბ ა

63 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით.

კ ა რ ი 5
სხვა დანაშაული პიროვნებისა და მისი ღირსების წინააღმდეგ

185. წინასწარი შეცნობით ტყუილი ჩვენება მონმისა, ექსპერტისა ან თარჯიმანისა საქმის მოკვლევის, გამოძიების ან სასამართლოში გარჩევის დროს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა.

სსსრ სისხლის სამართლის კოდექსი (1924წ. რედაქციით). ტფილისი 1924, გვ. 3-33.

№31. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის სასამართლოზე გამოყენებული მუხლები

თ ა ვ ი IX

...113. ისეთ გარემოებად, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა აქვს, ჩაითვლება სისხლის სამართლის კოდექსის 24 და 25 მუხლში აღნიშნული გარემოება, აგრეთვე ყველა სხვა გარემოება, რომლის შესრულებამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის სწორედ გამოძიებაზე.

თ ა ვ ი XI

...139. დაკითხვის დამთავრებისას ოქმი უნდა წაეკითხოს ბრალდებულს, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს ოქმის დამატება და შესწორება მის მიერ მიცემული ჩვენებისამებრ.

ბრალდებულს, უკეთუ მან მოითხოვა, უფლება აქვს თავისი ნაჩვენები თითონ დაწეროს.

ოქმს ხელს მოაწერენ ბრალდებული და გამომძიებელი.

თ ა ვ ი XIII

... 166. მოწმეს უნდა მიეცეს კითხვები მარტოოდენ ისეთი ფაქტის შესახებ, რომლის გამორკვევასაც განსახილველი საქმე მოითხოვს, და აგრეთვე ბრალდებულის პიროვნების დახასიათებისათვის.

თ ა ვ ი XIV

... 175. გამომძიებელი, როდესაც მას საკმაო საბუთი აქვს იფიქროს, რომ რომელიმე სადგომში არის ან ვისმეს აქვს ისეთი საგანი, რომელსაც შეიძლება საქმისთვის მნიშვნელობა ჰქონდეს, მოითხოვს საგნის მისთვის გადაცემას და ამოარკვევს მას; უკეთუ საგანი არ იქნება გადაცემული, გამომძიებელი იძულებითი წესით ჩამოართმევს მას ან მოახდენს გაჩხრეკას. ასეთ მოქმედებისათვის მან უნდა შეადგინოს დასაბუთებული დადგენილება.

... თ ა ვ ი XVII

... 208. უკეთუ ბრალდებულმა დაასახელა ისეთი გარემოება, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა აქვს და რომელიც მანამდე გამოკვლეულ არა ყოფილა, გამომძიებელი მოვალეა შესაფერისად შეავსოს წინასწარი გამოძიება.

209. გამოძიების შედეგებისას, ხოლო, უკეთეს ასეთი შედეგება საჭირო არ არის, ბრალდებულის დაკითხვისა ან მისთვის საქმის ჩვენების უმაღლეს გამოძიებელმა უნდა შეადგინოს საბრალმდებლო დასკვნა.

210. საბრალმდებლო დასკვნა უნდა შესდგეს ორი ნაწილისგან:

პირველ (აღწერილობით) ნაწილში გამოცემულ უნდა იქნეს საქმის გარემოება ისე, როგორც იგი წინასწარმა გამოძიებამ გამოარკვია იმ დამამტკიცებელი საბუთების აღნიშვნით, რომელზედაც დამყარებულია გამოძიებლის დასკვნა ბრალდებულის სამართალში მიცემის საჭიროების შესახებ;

მეორე (სარეზოლუციო) ნაწილში აღნიშნულ უნდა იქნეს სახელი, მამის სახელი, გვარი და მეტი სახელი ბრალდებულისა, მისი ასაკი, სამართალში მყოფელობა, კლასობრივი მდგომარეობა, ხელობა, დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი და მოტივები, თუ მათი გამორკვევა შესაძლებელ იყო, დაზარალებულის ვინაობა.

ამას გარდა, სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულ უნდა იყოს, სისხლის სამართლის რომელ სახელდობრ კანონით დაისაჯა ხსენებული დანაშაული.

საბრალმდებლო დასკვნას უნდა დაერთოს იმ პირთა სია, რომელთა საქმე გამოყოფილ იქნა ან მოისპო, აგრეთვე სამსჯავრო სხდომისთვის დასაბარებელ პირთა სია.

211. საბრალმდებლო დასკვნის შედგენისას გამოძიებელი საქმეს პროკურორს გაუგზავნის.

... თ ა ვ ი XIX

... 229. პროკურორი, უკეთეს სცნობს, რომ საქმე საკმაოდ გამორკვეულია, და რომ არის საფუძველი ბრალდებულის სამართალში მისაცემად, ხოლო თუ საჭიროდ არ მიიჩნევს გამოძიებლის საბრალმდებლო დასკვნაში რაიმე ცვლილების შეტანას, აცნობებს სასამართლოს, რომ ეთანხმება საბრალმდებლო დასკვნას, და წინადადებას აძლევს დაამტკიცოს ეს დასკვნა და ბრალდებული სამართალში მისცეს.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც პროკურორი საჭიროდ მიიჩნევს გამოძიებლის საბრალმდებლო დასკვნაში ცვლილების შეტანას, იგი მოვალეა შეადგინოს ახალი დასკვნა საპროცესო კოდექსის 210 მუხლის მოთხოვნისამებრ და გაუგზავნოს ეს დასკვნა სასამართლოს წინადადებით დაამტკიცოს იგი და ბრალდებული სამართალში მისცეს.

ასეთ შემთხვევაში პირვანდელი საბრალდებო დასკვნა საქმიდან ამოღებულ უნდა იქნეს და პროკურორის საქმეში დარჩება.

... 236. სასამართლომ გამწესრიგებელ სხდომაზე უნდა განიხილოს მარტოოდენ შემდეგი საკითხები:

1) საკმაოდ დასაბუთებულია თუ არა წაყენებული ბრალდება იმ მასალით, რომელიც მოყვანილია საბრალმდებლო დასკვნის პირველ, აღწერილობით ნაწილში;

2) სწორად არის თუ არა ბრალდება ჩამოყალიბებული, თანახმად საბრალდებო დასკვნის აღწერილობითი ნაწილისა;

3) გათვალისწინებულია თუ არა წამოყენებული ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსში და თუ გათვალისწინებულია სახელდობრ რომელ მუხლში;

4) უნდა შეიცვალოს თუ არა სამსჯავრო სხდომაზე დასაბარებელ პირთა სია და, თუ უნდა შეცვალოს როგორ...

შენიშვნა: გამწესრიგებელი სხდომა უნდა დასჯერდეს მხოლოდ საბრალმდებლო დასკვნის განხილვას და მას არ შეუძლიან წინასწარი გამოძიების საქმეების განხილვა.

237. საბრალმდებლო დასკვნის განხილვისას სასამართლო დაადგენს საბრალმდებლო დასკვნის დამტკიცების და ბრალდებულის სამართალში მიცემას, ან საქმის დამატებითი გამოძიებისათვის წარმართავს, ან საქმის მოსპობას.

238. სასამართლო, უკეთეს იგი სცნობს, რომ წაყენებული ბრალდება საკმაოდ დასაბუთებული არ არის (საპროცესო კოდექსის 236 მუხლის 1 პუნქტი), დაადგენს – საქმე მოისპოს ან გადაიცეს დამატებითი გამოძიებისათვის.

გამწესრიგებელ სხდომას მოხსენება უნდა წარუდგინოს სახალხო სასამართლოში სახალხო მოსამართლემ, ხოლო ოლქის სასამართლოსა და რევიოლუციონურ ტრიბუნალში ოლქის სასამართლოს ან ტრიბუნალის წევრმა.

... 240. სასამართლო, უკეთუ სცნობს, რომ საბრალმდებლო დასკვნა შეესაბამება საპროცესო კოდექსის 236 მუხლის მოთხოვნას, დაადგენს საბრალმდებლო დასკვნა დამტკიცდეს და ბრალდებული სამართალში მიეცეს.

უკეთუ სასამართლო არ დაეთანხმება ბრალდების ისე ჩამოყალიბებას, როგორც ეს საბრალმდებლო დასკვნაშია, იგი მიიხსნება ერთ-ერთ მოსამართლეს შეადგინოს ახალი საბრალმდებლო დასკვნა შეცვლილი საბრალმდებლო პუნქტისამებრ.

ახალი საბრალმდებლო დასკვნა პირვანდელი დასკვნის მაგიერია, ხოლო პირვანდელი ამ შემთხვევაში საქმიდან ამოღებულ უნდა იქნეს.

სასამართლოს საბრალმდებლო დადგენილება უნდა შეესაბამებოდეს საპროცესო კოდექსის 210 მუხლის მოთხოვნას.

... თ ა ვ ი XXI

...253. როდესაც მხარე მოითხოვს მონმის და ექსპერტის დახმარებას ან სხვა დამამტკიცებელი საბუთის გამოთხოვნას, მან უნდა აღნიშნოს, რა გარემოების ასახსნელად უნდა იქნეს დაბარებული მონმე და ექსპერტი და გამოთხოვილი სხვა დამამტკიცებელი საბუთი. მხარის თხოვნა დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს, უკეთუ გამოსარკვევ გარემოებას შეიძლება საქმისათვის მნიშვნელობა ჰქონდეს (საპროცესო კოდექსის 113მუხ.). უკეთუ მხარის თხოვნა უარყოფილ იქნა, სასამართლომ თავის დასაბუთებულ დადგენილებაში უნდა აღნიშნოს უარის საფუძველი.

254. უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ იმ გარემოებას, რომლის ახსნასაც მხარე თხოულობს, შეიძლება საქმისთვის მნიშვნელობა ჰქონდეს, მას უფლება არ აქვს მონმისა და ექსპერტის დაბარებაზე და სხვა დამამტკიცებელი საბუთის გამოთხოვნაზე უარი სთქვას იმ მიზეზით, რომ საქმე საკმაოდ გამორკვეულია.

თ ა ვ ი XXII

...272. მას შემდეგ, როდესაც გადაწყდება, რომ შესაძლებელია გამოუცხადებელ მონმეთა და ექსპერტთა დაუსწრებლად საქმის მოსმენა, სასამართლო ეკითხება მხარეებს, თხოულობენ ისინი თუ არა, სამსჯავრო სხდომაზე უკვე დაბარებულ მონმეთა და ექსპერტთა გარდა, ახალი მონმის და ექსპერტის დაბარებას და ახალი დამამტკიცებელი საბუთის გამოთხოვნას, ან იმ დამამტკიცებელი საბუთების საქმეში ჩართვას, რომელიც ამჟამად მხარეებს თან ექნებათ. მხარე, უკეთუ ამას მოითხოვს, მოვალეა აღნიშნოს, რა გარემოების ასახსნელად უნდა იქნეს დაბარებული ახალი მონმე და ექსპერტი და მოთხოვნილი ახალი დამამტკიცებელი საბუთი. ეს თხოვნა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საპროცესო კოდექსის 253 და 254 მუხლში აღნიშნული წესის თანახმად, ამასთანავე მან წინასწარ უნდა მოისმინოს მონინალმდევე მხარის დასკვნა, მხარის მიერ ამა თუ იმ მუხლის ძალით განცხადებული თხოვნის გადაწყვეტა არა ზღუდავს მის უფლებას, კვლავ ესვე თუ სხვა რამ ითხოვოს სამსჯავრო გამოძიების ყოველ დროს, ამ გამოძიების მსვლელობის მიხედვით.

თ ა ვ ი XXVI

...302. სასამართლოს, როდესაც იგი სცნობს, რომ საქმე საკმაოდ გამორკვეული არ არის, და რომ შესაძლებელია ახალი დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება, უფლება აქვს საკუთარი თაოსნობით ან რომელიმე პირის თხოვნით, გადასდოს საქმე და მოითხოვოს ახალი დამამტკიცებელი საბუთი, ან საქმე გადასცეს გამომძიებელს ან მომკვლევ

ორგანოს დამატებითი გამოკვლევისათვის...

... თ ა ვ ი XXVIII

...398. სამსჯავრო სხდომიდან საქმის მიქცევა დამატებითი გამოძიებისათვის შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ოლქის სასამართლო სცნობს, რომ საქმეში არსებული მასალა ისე უსრულია, რომ მისი შევსება ამავე სამსჯავრო სხდომაზე ყოვლად შეუძლებელია; ყველა დანარჩენ შემთხვევაში საქმის მიქცევა დამატებითი გამოძიებისათვის არ შეიძლება. დამატებითი გამოძიებისათვის საქმის მისაქცევად ოლქის სასამართლომ უნდა გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება.

საბჭოთა სამართლის მაუნყებელი, 1923, 15 აგვისტო, №6.

№32. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წერილი „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს“

1922 წლის 19 ნოემბერი

საქართველოს ეკლესიის გროშებით დაგროვილი ფულით (ეგრეთ წოდებულ ГРУЗИН-СКОЕ ЦЕРКОВНОЕ КАЗНАЧЕЙСТВО – დან) წარსულ საუკუნეში აშენებულ იქმნა ის სახლი, რომელშიც მოთავსებულია ღვთისმშობლის ტაძრის ეკლესია, ჩემი ბინა და ჩემი საეპარქიო კანცელარია. ამ სახლში, თვითმპყრობელ რუსეთისაგან კათალიკოზობის მოსპობის შემდეგ, ჩასახლებულ იქმნა იმავე რუსეთის სინოდის წარმომადგენელი, საქართველოს ეგზარქოსად წოდებული. საქართველოს მორწმუნე ერმა 1917წ. მარტში ეგზარქოსი იძულებულ ჰყო დაბრუნებულიყო რუსეთში, აირჩია ეკლესიის საკუთარი თავი და აგვისტოს 15 დააბინავა იმავე სახლში: აქ ცხოვრობდნენ კათალიკოზები კირიონ მეორე და ლეონიდე და აქვე მიმინჩიეს ბინა მეც, საქართველოს ეკლესიის დღევანდელ მამამთავარს და კათალიკოზ-პატრიარქს. ეს სახლი თვით იმპერიალისტურ რუსეთის მიერ ცნობილ იქმნა საქართველოს ეკლესიის საკუთრებად.

მართალია, საქართველოს მთავრობამ დეკრეტით №21 (აქვე, დოკ. №20) გამოყო ეკლესია სახელმწიფოსაგან, მაგრამ ის დევნილ დაწესებულებად არ გამოუცხადებია, პირიქით, ამ დეკრეტით და დეკრეტით №28¹ აღიარებულია სარწმუნოების და სარწმუნოებრივი კულტის შესრულების თავისუფლება და მამასადამე კულტისათვის საჭირო შენობების (ეკლესიების, მღვდელმსახურთა ბინების) ხელშეუხებლობა. ამიტომაც საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ოქტომბრის 25 და ნოემბრის 14 №№3137 და 3433 განკარგულებებით ეკლესიის გალავანში არსებული შენობები გადაცემულია ეკლესიის განკარგულებაში.

ადვილი წარმოსადგენია ამის შემდეგ ჩემი განცვიფრება, როცა ამა თვის 17 მოვიდნენ ჩემს ბინაში თბილისის საბინაო განყოფილების წარმომადგენელი, გაზომეს იგი, შევიდნენ ეკლესიაში და თვით საკურთხეველში, ქუდებით, მიუხედავად ჩემის წარმომადგენლის პროტესტისა და დაინყეს თავის მართლება მით, რომ დღეს სინდისის თავისუფლებააო. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ნოემბრის 18 თქვენ გაახელით ცალკე დელეგაცია სამი პირისაგან შემდგარი და გთხოვეთ დაგეცავით მოსალოდნელ შეურაცხოფისა და უსამართლობისგან. ჯერ დელეგაცია არ დაბრუნებულიყო, რომ ჩემს ბინაში შემოიჭრა თხუთმეტიოდე ახალგაზრდა, რომელთაგან ორის გარდა ყველა იყო თოფებითა და რევოლვერებით, ზოგმა დაიჭირეს გასასვლელი კარები, უმრავლესობა კი შემომეხვია გარს და ერთმა მათგანმა ბრძანების, მაგრამ ზრდილობიან კილოთი გამომიცხადა, რომ მთავრობის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული დადგენილებით, მე უნდა გავსულვიყავ ჩემ ბინიდან. ამ მოხელეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სიტყვა დამთავრებული (მელაპარაკებოდა ქართულად), როცა მოიჭრა ჩემთან ერთი ახალგაზრდა (როგორც ეტყობოდა

სახისა და ენის მეტყველებაზე უცხოელი ებრაელი) და დამიყვირა: „თქვენ ხართ უფლებათაყრილი პიროვნება, თქვენ არა გაქვთ ნება გეჭიროთ ეს ბინა, იგი უნდა დავიჭიროთ კომსომოლისტებისათვის, რომელთა ხუთინლისთავის დღესასწაული უნდა აქ გადავიხადოთ ოთხშაბათს. გადით აქედან ეხლავ, თორემ ჩემს განკარგულებაშია თოფითა და ტყვიისმფრქვევლებით შეიარაღებული ჯარის ნაწილები (მართლაც ფანჯრიდან სჩანდა 40-დე შეიარაღებული, რასაკვირველია არატყვიისმფრქვევლებით კაცი), სახლის ავეჯეულობა-მონყობილობა ჩვენ მიგვაქვს რეკვიზიციის ძალით. თქვენ მოგცემთ მხოლოდ იმას, რასაც დავინახამთ თქვენთვის აუცილებელ საჭიროდ; თქვენ სცნობთ საქართველოს მთავრობას?“ ზემოაღნიშნულის შემდეგ მე იძულებული ვიყავ განმეცხადებინა შემდეგი: მე მიეჭვება, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა ქონდეს სწორი და სრული ინფორმაცია, თოფისა და ტყვიისმფრქვევლების უნდა ეშინოდეს მას, ვინც შემოსილია ამგვარივე იარაღით; რესპუბლიკის მთავრობას რომ არ ვცნობდე, მასთან არ გავგზავნიდი დელეგაციას; ვწუხვარ, რომ თქვენ არაზრდილობიანი მოქმედებით უტეხავთ სახელს იმ მთავრობას, რომლის სახელით მოსულხართ აქ. სწორედ რესპუბლიკის უზენაესი მთავრობის განკარგულების თანახმად, მე არა მაქვს ბინის დაცლის უფლება და ამისათვის სანამ არ გამაგდებთ აქედან, მე ვერსად ვერ წავალ. ამის შემდეგ ჩემს შეურაცხყოფის განკარგულებით შეუდგნენ ჩემი ბინის აღწერას და ბოლოს გამომეცხადა: თუ გახვალ აქედან, მოგეცემათ საწოლი ოთახის მონყობილობა, სურათები (ე.ი. ხატები), ერთი სასადილო და ერთი საწერი მაგიდა, ორი შკაფი წიგნებისათვის და ექვსი სკამი. მე კვლავ განვაცხადე, რომ ბინიდან გასვლის უფლება არა მაქვს და ვერც გავალ მეთქი.

გაცნობებთ, რა ყოველივე ამას, პატივისცემით გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში, რომ ის ბინა, რომელიც მე მიჭირამს, არის საქართველოს მორწმუნე ერისგან საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქისათვის მიჩენილი ბინა, რომლიდანაც გასვლა ჩემი ნებით მე არ მეუფლება, რომ ეს ბინა დაკავშირებულია ეკლესიასთან და, როგორც ასეთი, ხელუხლებელია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ორგანოს განკარგულებით, რომ აქ მოთავსებულია მცხეთა-ტფილისის საეპარქიო კანცელარია, რომ ამ ბინიდან კათოლიკოზ-პატრიარქის გამოძევება, ეკლესიის მოშლა და კანცელარიის გატანა გამოიწვევს საქართველოს მორწმუნე ერში უკმაყოფილებას, რომელსაც უნდა ვერიდნეთ მეც, როგორც ქართველი ერის მამამთავარი და უმაღლესი მოძღვარი, და თქვენც, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე: ერი დიდია ჩემზედაც და თქვენზედაც და ამის გამო თქვენც და მეც უნდა ხელს უწყობდეთ მის ბედნიერებას, კეთილდღეობას და მყუდროებას.

საპატრიარქოს არქივი, აღწ.2, ს.539, ფ.1-1ა.

შენიშვნა:

1. საქართველოს ე.წ. რევოლუციური კომიტეტის 1921წ. 28 აპრილს №28 დეკრეტი „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ“ ქორწინებისთვის დაბრკოლებად არ მიიჩნევა მონაზვნობას, მღვდლობას და მთავარდიაკონობას, ამა თუ იმ პირის (თუნდაც სასულიერო წოდების) მიერ უქორწინობის აღქმას (პარაგრაფი 74, 75). 86-ე პარაგრაფის შენიშვნის მიხედვით, „ყველა ამ კანონის დადგენილებანი ვრცელდება იმ საეკლესიო და რელიგიური წესით შესრულებულ ქორწინებაზე, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ამ კანონის გამოქვეყნებამდე“ (მსს კომისარიატის მოამბე, 1921, №10, გვ. 5, 6). ალბათ, 86-ე პარაგრაფის ამ შენიშვნას გულისხმობდა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი.

№33. საკათოლიკოსო საბჭოს წერილი „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატს“

1922წ. 29 დეკემბერი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კანცელარიამ ამა წლის იანვრის 3 №117 მომართვასთან წარმოუგზავნა საკათოლიკოსო საბჭოს შინაგან საქმეთა კომისარიატის 1921წლის 31 დეკემბრის №11041/9399 მიმართვის პირი, რომლითაც კომისარიატი აცნობებდა მთავრობის კანცელარიას სხვათა შორის შემდეგს: „ამასთანავე გაცემულია ცირკულიარული ბრძანება სამაზრო რევეკომებისადმი, რათა უკანასკნელნი და ქვემდებარე მისი რევეკომები არ ერეოდნენ ეკლესიის შინაურ საქმეებში უკეთუ სამღვდელოების განკარგულებას არ ექნება ბოროტმოქმედების ხასიათი“. მიუხედავად შინაგან საქმეთა კომისარიატის ასეთი კატეგორიული და გარკვეული ბრძანებისა, საკათოლიკოზო საბჭოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსდის ცნობები, რომ ადმინისტრაციის დაბალი მოხელენი საკმაო მიზეზს გარეშე ერევიან ეკლესიის შინაურ საქმეებში და ამის გამო აიძულებენ სასულიერო მთავრობას შეაწუხონ რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალნი. საკათოლიკოზო საბჭომ რამდენიმე ხნის წინად დაგზავნა ეპარქიებში მოწოდება, რომლითაც მორწმუნეთა ყოველ ჯგუფსა და კერძო პირთ ევალებათ ამდროინდელ მოთხოვნილებათა მიხედვით სასულიერო ცვლილებათა პროექტების შედგენა და წარმოდგენა საკათოლიკოზო საბჭოში, მაგრამ თავისი შედეგებით ძლიერ სამწუხარო იქნება, თუ ამის განსახორციელებლად პროვინციაში საჭირო ჯგუფობრივი მუშაობა არ იქმნა დაშვებული. წარმოგიგზავნის რა ამასთანავე ზემოაღნიშნულ მოწოდების „30“ ცალსა, საკათოლიკოსო საბჭო პატივისცემით თხოვს შინაგან საქმეთა კომისარიატს, იწებოს განკარგულება, რათა ძალისა გამო კომისარიატის ცირკულიარული ბრძანებისა ქალაქისა და მაზრების ადმინისტრაციის მიერ არ იქმნას აღკრძალული მორწმუნეთა ჯგუფობრივი მუშაობა.

საკათოლიკოზო საბჭოს წერილი დეკ. კ. ცინცაძე

კანცელარიის გამგე დეკ. ი. შუბლაძე

საქმის მწარმოებელი, დიაკონი ს. მონასელიძე

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.585.

№34. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სამხედრო ტაძრების კომკავშირისთვის გადაცემის შესახებ.

1923წ. 8 იანვარი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო იზიარებს რა სურვილს საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობისას, რომელმაც ამა იანვრის 6-7 მიმართა ყველგან სათანადო ხელისუფლებას თხოვნით, რათა სამხედრო ტაძრები გადაეცეულ იქნეს მოზარდი თაობის საკულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კერად და, მიაჩნია რა მიზანშეწონილად ასეთი გამოყენება ხსენებული ტაძრებისა, რომელნიც აშენებულია მეფის მთავრობის მიერ საქართველოს დაპყრობის ნიშნად და მუშათა და გლეხთა შვილების სულიერი დამოწმებისათვის – ადგენს:

1. ყველა სამხედრო ტაძარი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა, – ყოველგვარი თავისი საეზოვო შენობებით, – გადაეცეს საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირს იმ მიზნით, რათა მან, – მუშათა და გლეხთა წითელარმიასთან ერთად გამოიყენოს ეს ტაძრები საკულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის ახალგაზრდობისა და წითელარმიელთა შორის.

2. იმ ქალაქების კომუნალური მეურნეობის განყოფილებათ, სადაც სამხედრო ტაძრებია, უნდა მიიღონ თავიანთ გამგებლობაში ეს ტაძრები და უზრუნველყონ განათებითა

და გათბობით.

**საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.
თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.
ტფილისი – სასახლე.**

საქ. უახლ. ისტ. ცენტრ. არქივი, ფ. 600, აღნ.1, ს. 72, ფ. 82.

**№35. კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის წერილი „საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარეს“**

1923წ. 9 იანვარი

წარმოვგზავნი რა ამასთანავე თბილისის წმ. გიორგის (ყოფილი სამხედრო) ტაძრის მლოცველთა წარმომადგენელთ, რომელთაც მომმართვეს მე სათანადო შუამდგომლობით, პატივისცემით გთხოვთ შეიწყნაროთ მათი თხოვნა.

ამ შუამდგომლობის აღძვრას მახედვინებს, ერთის მხრით, ჩემი მოვალეობა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მართლმადიდებელ მოსახლეობის მამამთავარისა, ხოლო, მეორე მხრით, რესპუბლიკის უზენაესი მთავრობის მიერ გამოცემული კანონები სარწმუნოების და სინდისის თავისუფლების შესახებ. აღნიშნულს დავსძენ, რომ მე არა ვარ წინააღმდეგი არამორწმუნეთა მიერ იდეურ ბრძოლისა მორწმუნეებთან, მაგრამ ჩემი არსება ვერ შეურიგდება იმას, რომ რესპუბლიკის ძირითად კანონების წინააღმდეგ არასრულწლოვან ახალგაზრდობამ შელახოს მოქალაქეთა ცხრა მეათედის რწმენა და სინდისი, ძალით დაიჭიროს სამლოცველო სახლი და მისცეს მას სხვა დანიშნულება. თბილისის ახალგაზრდობის ამგვარი მოქმედება მით უფრო დაუშვებელია, რომ მოქალაქეებს შეიძლება მიზაძონ სოფლებელმაც და ამ ნიადაგზე მოხდეს მორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის შეხლა-შემოხლა, რაც არც თქვენთვის და არც ჩემთვის არ დარჩება სასურველად და სასიამოვნოთ.

სავსებით დარწმუნებული, რომ თქვენ, მოქალაქე მთავრობის თავმჯდომარე, დაიცავთ კანონიერებას, დავშთები თქვენი პატივისცემელი.

კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 72, ფ. 512.

№36. კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის მიერ გაცემული მონაშობა

1923წ. 10 იანვარი

ესე მიეცა ამის წარმომადგენელთ მ. მაჩაბელს, ი. თულაშვილს, დ. დავითაშვილს, ნ. გელოვანისას და ე. თულაშვილს მას შინა, რომ იგინი უფლება მოსილნი არიან, ჩემ მიერ წარუდგენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და მთავრად მას შუამდგომლობა ტფილისის წმიდის გიორგის (ყოფილი სამხედრო) ტაძარში ღვთისმსახურების დაუბრკოლებლად შესრულებისათვის.

**მცხეთა-ტფილისის მთავარეპისკოპოსი და სრულიად
საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი**

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 84.

1923г. 12 января

1923г. января 12 дня, я, нижеподписавшийся Католикос Грузии Амвросий (по миру Виссарион Хелая) даю настоящую подписку Чрезвычайной Комиссии Грузии в том, что обязуюсь до особого распоряжения не выезжать из пределов гор. Тифлиса и, как мне было объявлено представителями Чрезвычайной Комиссии Грузии, не отлучаться из дому и не принимать никого без ведома и разрешения надлежащей власти; по первому требованию Чрезвычайной Комиссии Грузии обязуюсь явиться в указанное мне место и ничего во вред советской власти не принимать, зная что за нарушение сего я подлежу ответственности по законам военно-революционного времени.

Читал, в чем и подписываюсь: კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი.

Уполномоченный Мик.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 80.

№38. კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის მიმართვა „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარს“

1923წ. 29 იანვარი

უკვე მესამე კვირა გადის, რაც დაპატიმრებულნი არიან საკათალიკოზო საბჭოს სამი წევრი, საბჭოს კანცელარიის გამგე, მისი თანაშემწე და სამეურნეო გამგეობის დირექტორი. მეც აღკრძალული მაქვს ბინიდან გასვლა, მთხოვნელების მიღება და, მაშასადამე, ჩემი მოვალეობის აღსრულება. იმათი უხერხული მდგომარეობა, რომელთაც საქართველოს ეკლესიის ცენტრალურ დაწესებულებებთან აქვთ საქმე, საქმეების წარმოების სრულიად შეჩერება და წირვა-ლოცვის შესრულების ჩემთვის შეუძლებლობა მორწმუნეთა შორის ბადებს არასასურველ მითქმა-მოთქმას.

ამისათვის გთხოვთ დაჩქარებულ იქმნას საქმის გამოძიება, რომ ამით, რაც შეიძლება მალე ბოლო მოეღოს ამ გამოურკვეველ და არასასურველ მდგომარეობას.

პატივისცემით,

კათალიკოზ-პატრიარქი ამბროსი

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 131.

№39. გამომძიებელ მიკის მიერ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის დაკითხვის ოქმი

1923წ. 23 აპრილი

კითხვა: როდის და ვისგან გაიგეთ თქვენ, რომ ეკლესიის კარები და დაბეჭდილი ოთახი შემტვრეული იყო?

პასუხი: 22 აპრილს, დილის 8 საათზე, საკათალიკოსო სახლის ეკონომმა განმიცხადა მე, რომ საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ დაბეჭდილ ოთახში საკათალიკოსო კანცელარიისა ვილაც ბოროტმოქმედს შეუმტვრევია კარები, მე პირადად დავათვალიერე და უბრძანე შეეტყობინებია მილიციისთვის.

კითხვა: დაიკარგა თუ არა ეკლესიიდან და კანცელარიიდან რაიმე?

პასუხი: ეკლესიიდან არაფერი არ დაკარგულა, კანცელარიის შესახებ არ ვიცი.

კითხვა: გაქვთ ვისმეზე ეჭვი?

პასუხი: პირადად მე ეჭვი არავისზე არ მაქვს. ვფიქრობ, რომ ამას იზამდა ის, ვინც

მტრულის თვალთ მიყურებს მე, ან ის, ვინც კანცელარიას განაგებდა.

კითხვა: თქვენი დაპატიმრების შემდეგ თქვენ გინახულათ ვინმემ?

პასუხი: მე მნახულობენ ნაგვიანათ, და თუ ვინმე მოდის ჩემთან სამსახურის გამო, ეკლესიაში, რომელიც ჩემთან არის, მოდის 2 და 3 პირი. მე თუ ვლვებულობ ვისმეს, ისიც ჯამაგირის თაობაზე. ამ დროით მე არავითარ განკარგულებებს არ ვიძლევი საკათო-ლიკოსო საბჭოს შესახებ.

კათალიკოსი ამბროსი.

რუსული დედანი ხელმოწერილია.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 542-544.

№40. ქუთაისში გადამალული საეკლესიო განძეულობის აღმოჩენისას საგანგებო კომისიის მიერ შედგენილი აქტი

1923წ. 25 აპრილი

1923წ. აპრილის 25 დღესა, ამავე რიცხვის შედგენილ აქტის ძალით, რომლითგანაც ჩანს, რომ არქიელის სახლის იატაკის აყრის შემდეგ საიდანაც ამოღებული იყო ოთხი ყუთი ძვირფასეულობით თანდასწრებით 1) აღმასკომის თავმჯდომარის ქუთაისის მაზრის ამხანაგ ლორთქიფანიძისა, 2) ქუთაისის უკომის საპასუხისმგებლო მდივნის ამხ. ბახტაძისა, 3) ქუთაისის პოლიტიბიუროს უფროსის ამხ. კუჭუხიძისა, 4) პოლიტიბიუროს რწმუნებულის ამხ. ცირეკიძის, 5) პოლიტიბიუროს რწმუნებულის ამხ. კეთილაძისა, 6) გორმილიციის უფროსის თანაშემწის ამხ. მოგელარისა, 7) რაბკრინის წარმომადგენლის ამხ. ყიფიანისა, 8) არქიმანდრიტ პავლეს, 9) დეკანოზის ცქიტიშვილისა, 10) პოლიტიბიუროს რწმუნებულის ამხ. თოდუასი და 11) გამონვეულ როგორც სპეცის იუველერის მოქ. ისაი ვოლოხისა, შევადგინეთ ეს აქტი ნაპოვნი ძვირფასეულობის აღწერილობის შესახებ და აღმოჩნდა: 1) ვერცხლის კოვზი, 2) 6 ცალი ლახვარი, რომლიდგანაც ორი ვერცხლის და, 3) 6 ვერცხლის პატარა თეფში, 4) ერთი ვერცხლის თეფში, 5) ერთი ვერცხლის ტაკუკი, 6) ერთი ვერცხლის ფეშხუმი, 7) სამი ვერცხლის ჯვარი უბრალო თვლებით, 8) ერთი ვერცხლის ფეშხუმი, 9) ორი ვერცხლის ვარსკვლავი, 10) ორი ვერცხლის ბარძიმი, 11) ერთი სახარება ვერცხლის ოქროში გაფერილი, 12) სანაწილე, 13) ოქროს საათი „ლუნ გრიეზელ“ №18426 ოქროს ძენკვით, 14) ერთი ვერცხლის ფეშხუმი, 15) ვერცხლის ვარსკვლავი, 16) ორი პატარა ვერცხლის თეფში, 17) ორი ვერცხლის პატარა თეფში, 18) ვერცხლის საცეცხლური, 19) ვერცხლის სანაწილე, 20) ვერცხლის ფეშხუმი, 21) ორი ვერცხლის ფეშხუმი, 22) ერთი ვერცხლის კოვზი, 23) ორი ვერცხლის ვარსკვლავი, 24) ტაკუკი თეფში ვერცხლის და ლახვარი ფრაფესი, 25) სლავიანური სახარება ვერცხლის ყდაში, 26) ორი ვერცხლის გვირგვინი გარდაცვალებულებისათვის, 27) ას ოცდა ხუთი ცალი ვერცხლის ჯვრები 3-მე ხარისხოვანის „ობშჩესტვო ვოსტანოვლენია პროვოსლავნოგო ქრისტიანსტვა ნა კავკაზე“, 28) 26 ცალი ამნაირივე ჯვრების და II ხარისხის, 29) ერთი ვერცხლის სატრაპეზო დიდი ჯვარი, 30) ერთი დიდი მხატვრული ომოფორი, ამისთანავე ერთი ოლარი, ერთი საკოსი მარგალიტის ჯვრით. რწყვილი მარგალიტის რგოლებში (პორუჩენ), პალიცა, 31) ერთი არქიელის ოქროში გაფერილი ვერცხლის კვერთხი, 32) ოქროს მიტრა (ჩერვონნაია) ძვირფასი თვლებით და აღმასის ჯვრით, 33) ერთი მიტრა ძვირფას თვლებით და მარგალიტებით, 34) ერთი მარგალიტის პატარა ძვირფასი თვლებით, 35) ერთი ამნაირივე მიტრა, 36) ამნაირივე მიტრა მარგალიტებისაგან, 37) მიტრა შეკერილი მარგალიტით, 38) ამნაირივე მიტრა, 39) ერთი დიდი საღმრთო ჭურჭლების ვერცხლის პრიბორი, 40) პატარა ვერცხლის სახარება 3-2გოქ, 41) ოთხი კოვზი, ორი თეფში და ერთი ვერცხლის ტაკუკი, 42) ერთი რწყვილი ქოშები, ძველებური ნაკეთები, 43) ორი ვერცხლის ვარსკვლავი, 44) გამოსასვენებელი პატრიარქის ვერცხლის ჯვარი წინა ნაწილი ოქროსი ძვირფასი თვლებით, 45) 3 ცალი დაფარნა ოქროთი შეკერილი, 46) რწყვილი ვერცხლის რიპიდი, 47) ორი ვერცხლის თეფში, 48) ორი ვერცხლის ფეშხუმი, 49) ერთი საღმრთო ჭურჭლების ვერცხლის

პრიბორი, 50) ხუთი სატრაპეზო ვერცხლის ჯვარი, 51) სახარება ვერცხლის ყდაში 521 ერთი რწყვილი ტრიკირი და ტდრიკირი, 53) პატრიარქის გულზე დასაკიდებელი ვერცხლის ჯვარი ძენკვით, 54) დიდი ვერცხლის ყდა სახარებისათვის ოქროში გაფერილი, 55) დიდი ვერცხლის ბლუდი, 56) ორი დიდი ვერცხლის ბლუდი, 57) ვერცხლის ხელის დასაბანი, 58) ვერცხლის ოქროში გაფერილი მიტრა, 59) სამი ვერცხლის ბარძიმი, 60) ფეშხუმი, ვარსკვლავი და კოვზი და ტაკუეკი, 61) 6 ვერცხლის ხელის დასაბანი, 62) 2 ცალი ტასის რიპიდისგან, 63) სახარება პერგამენტისაგან, 64) ანგელოზები კუნკულზე მარგალიტებისაგან, 65) ვერცხლის ძენკვი, 66) 13 პანაგია ვერცხლის და ოქროს ძენკვებით, 67) ორი გულზე დასაკიდებელი ოქროს ჯვარი, 68) ორი ყელის ოქროს ჯვარი ძვირფასი თვლებით, 69) სახარება ვერცხლის ყდაში, 70) სატრაპეზო ჯვარი წინა ნაწილი ოქროსი და უკანასკნელის ძვირფასი თვლებით, 71) ხის ჯვარი შევერცხლილი, 72) ამნაირივე ჯვარი, 73) დიდი ძველებური ვერცხლის ჯვარი, 74) ერთი ჯვარი ხატებით, 75) საღმრთო ჭურჭლების ოქროს პრიბორი, ბარძიმი ფეშხუმი, ვარსკვლავი და კოვზი, 76) ჯვარისნაირი ხატი ხის ყუთში სათაური ასოებით, 77) პატარა პარკში მარგალიტები და სხვა თვლები, 78) გიურგვინები ვერცხლის რამდენიმე ხატებისაგან/კორონები ხატებისაგან, 79) მიტრის ჯვარი, 80) დიდი ოქროში გაფერილი ბარძიმი, 81) ვერცხლის წმინდა გიორგის ხატი, 82) ვერცხლის პატარა ჭურჭელი, 83) ყუთი ბრასლეტით უბრალო თვლებით და ჯვარით, საყურეები და ორი ბეჭედი, 84) სახარება ოქროს ყდაში, 85) წმინდა გიორგის ვერცხლის ხატი, 86) დიდი ვერცხლის სანაწილე, 87) ღვთისმშობლის ოქროს ხატი ძვირფასი თვლებით, 88) ღვთისმშობლის ხატი ვერცხლის ჩარჩოში, 89) ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი, 90) დიდი ხატი წმინდა ნაწილებით, 91) ორი ბარძიმი და ორი ფეშხუმი ვერცხლის, 92) საღმრთო ჭურჭლების ვერცხლის პრიბორი, 93) ბარძიმი, 94) პატარა პარკი თვლებით, 95) ფეშხუმი, 96) ოქროში გაფერილი ვერცხლის ჯვარი ხის ყუთში, 97) ვერცხლის ჭიქა ცხელი წყლისათვის.

ნივთები, რომლებიც არ არის აღნიშნული სიებში.

1) თხუთმეტი დიდი და პატარა ვერცხლის შანდალი, 2) რვა სხვა და სხვა ზომის ვერცხლის პატარა ბლუდები, 3) თერთმეტი სხვა და სხვა ზომის ვერცხლის კოვზი, 4) სამი ვერცხლის ვარსკვლავი, 5) ორი ვერცხლის ტაკუეკი, 6) ორი ხატი ნაწილებით, 7) ორი არქიმანდრიტის ჯვარი, 8) ოქროს ყუთი ნაწილებით, 9) ვერცხლის ხატი ნაწილებით, 10) ვერცხლის ჯვარი უძენკვით, 11) ხატი ძენკვზე თვლებით, 12) ვერცხლის ძენკვი ყუთით, 13) 9 ცალი ვერცხლის და ოქროს ნატეხები, 14) ვერცხლის ჯოხები ორი ცალი ჯვრით, 15) ვერცხლის ყუთი. გარდა ამისა, აღმოჩენილი იყო ერთი პაკეტი სახელმწიფო ობლიგაციის ბილეთებით, რომელნიც დიდი ხნის მინაში ყოფნის გამო დამპალიყვნენ და გამოცნობა ნომრების და მათი ღირებულების შეუძლებელია. ყუთები დაბეჭდილია და ინახება პოლიტიუროში.

ხელი მოაწერეს:

ალმასკომის თავმჯდომარე ლორთქიფანიძე

პოლიტბიუროს უფროსი კუჭუხიძე

პოლიტბიუროს რწმუნებული ცირეკიძე

პოლიტბიუროს რწმუნებული კეთილაძე

პოლიტბიუროს რწმუნებული თოდუა

ქალაქის მილიციის უფროსის თანამემნე მოგელარი

რაბკრინის წარმომადგენელი ყიფიანი

არქიმანდრიტი პავლე

დეკ. ცქიტაშვილი

ექსპერტი ი. ვოლოხი

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 233-234.

№41. საგანგებო კომისიის გამომძიებლის გ.მიკის მიერ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის დაკითხვის ოქმი

1923წ. 10 მაისი

კითხვა: რა იცით, თქვენ ძვირფასეულობის თბილისიდან ქუთაისში გადაზიდვის შესახებ?

პასუხი: ძვირფასეულობის თბილისიდან ქუთაისში გადაზიდვის შესახებ შემძლია ვსთქვა, რომ გაგონილი მქონდა, რომ ძვირფასეულობა წაღებულია ქუთაისში, საიდანაც მენშევიკებმა წაიღეს სამზღვარგარეთ.

კითხვა: პირადად თქვენ არ იცოდით, რომ ძვირფასეულობა დატოვებულია საქართველოში?

პასუხი: არა, უკანასკნელ დრომდე ბოლო ხანებში ვიდრე ძვირფასეულობას ნახავდნენ, გავრცელდა ხმა, რომ ძვირფასეულობა დატოვებულია საქართველოში.

კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ ცოდნოდა, რომელიმე კათალიკოსის საბჭოს წევრს, რომ ძვირფასეულობა დამალულია ქალაქ ქუთაისში?

პასუხი: მაგ კითხვაზე დანამდვილებული პასუხის მოცემა არ შემძლია.

კითხვა: კათალიკოსის საბჭოს დადგენილების თანახმად იყო გატანილი ძვირფასეულობა თუ კათალიკოს ლეონიდის ბრძანებით?

პასუხი: ნამდვილი პასუხის მოცემა მაგ კითხვაზე არ შემძლია. უფრო მცოდნე პირი ამ საქმეში არის სიონის სობოროს დეკ. მ. ტყემალაძე.

კითხვა: როდის ინახულეთ უკანასკნელად არქიმანდრიტი პავლე?

პასუხი: კვირანახევრის წინათ ის მოვიდა ჩემთან, რომ დამელოცნა და, სხვათა შორის, მომიყვა ჩაფლულ ძვირფასეულობის ნახვის შესახებ.

კითხვა: გარდა ნანახ საეკლესიო სიებისა, იყო კიდევ რაიმე ძვირფასეულობა თუ არა, რომელიც შეეძლოთ წაეღოთ თან მენშევიკებს და სახელდობრ რომელ ეკლესიებიდან?

პასუხი: კიდევ იყო ძვირფასეულობა წაღებული მენშევიკების მიერ, მაგრამ სახელდობრ რომელი ეკლესიებიდან არ შემძლია ვსთქვა, ვინაიდან სრულიად არ ვიცი.

კითხვა: რითი შეგიძლიათ ახსნათ, რომ მენშევიკებმა წაიღეს თან ძვირფასეულობა და დატოვეს სიონის და მცხეთის სობოროების ძვირფასეულობა საქართველოში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ძვირფასეულობა თბილისიდან ქუთაისში მიჰქონდათ ერთ რონოდში სხვა ძვირფასეულობასთან ერთად.

პასუხი: მენშევიკური მთავრობის დაბნევით, მეტი ვერაფრით ახსნა არ შემძლია.

კათალიკოს პატრიარქი ამბროსი დავკითხე.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღწ.2, ს. 1, ფ. 322-324.

№42. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება საეკლესიო საკითხების შესახებ

1923 წლის 11 მაისი

მოისმინეს:

3. О церковных делах (доклад товарища Картвелишвили).

დაადგინეს:

1. Поручить товарищу Ф.Каландадзе в месячный срок ознакомиться с имеющимися материалами у ЧК на патриарха Амвросия и вести процесс.

2. Вопрос о дальнейшем проведении антирелигиозной кампании поставить на совещание секретарей укомов (уездных комитетов компартии – ჯ.გ.) для инструктирования их.

3. Признать необходимым открытие церквей там, где закрытие происходило вопреки

желанию населения.

Выполнение этого решения поручить секретарям укомов с привлечением ответственных работников уезда, предложив им решение это провести в жизнь осторожно, не поддаваясь панике.

4. Поручить орготделу (организационному отделу _ ჯ.გ.) ЦК командировать товарищей в уезды для обследования, насколько нормально проводилась там антирелигиозная пропаганда.

5. Признать необходимым закрытие всех монастырей.

6. Комиссию по религиозным делам утвердить в составе товарищей Кахиани, В.Стуруа, Кванталиани, Картвелишвили и М.Окуджава.

შს არქივი, ფ.14, აღნ.1, ს.492, ფ.34ა.

№43. საგანგებო კომისიის გამომძიებელ გ.მიკის მიერ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის დაკითხვის ოქმი

1923წ. 16 მაისი

კითხვა: როდის და ვისგან არის დაწერილი მონოღება გენუის კონფერენციის სახელზე?

პასუხი: თებერვლის თვეში 1922წ. პირადად ჩემს მიერ ყოველივე შემწეობის აღმოუჩენლად ვისიმე მხრიდან, ინიციატივა იყო პირადად ჩემი.

კითხვა: ვისი ხელით იყო გაგზავნილი მონოღება?

პასუხი: მე გადავეცი მონოღება დეკანოზ კაპანაძეს იასონს, რომელმაც მითხრა, რომ მას პირადად წასვლა ცოტათი აგვიანდება, მაგრამ არის შესაძლებლობა გაგზავნის, სახელდობრ, ვისი ხელით, მე არ ვიცი.

ჩვენება წავიკითხე და ხელისმონერით ვამოწმებ კათალიკოს ამბროსი.

კითხვა: ვის სახელზე იყო დაწერილი თქვენს მიერ მონოღება?

პასუხი: გენუის კონფერენციის სახელზე.

კითხვა: როდის და ვისგან გაიგეთ თქვენ, რომ თქვენი მონოღება მივიდა გენუის კონფერენციამდე?

პასუხი: გასული წლის აღდგომამდე დადიოდა ხმები, რომელმაც ჩემამდისაც მოაღწია იმის შესახებ, რომ ჩემი მემორანდუმი მისულა გენუის კონფერენციამდე.

კითხვა: იცოდნენ თუ არა კათალიკოზის საბჭოს წევრებმა მანამდე, ვიდრე თქვენი მონოღება გამოქვეყნდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პრესაში, რომ თქვენს მიერ დაწერილია მონოღება გენუის კონფერენციის მიმართ?

პასუხი: იცოდნენ ჩემი სიტყვებიდან პრესაში გამოცხადებამდე. მე ამის შესახებ მოვახსენე აღდგომამდე 1922 წ. სხდომას საკათალიკოსო საბჭოსი.

კითხვა: თქვენი მოხსენების გამო კათალიკოზის საბჭომ გამოიტანა თუ არა რაიმე დასკვნა?

პასუხი: არა.

ჩვენებას ხელისმონერით ვამოწმებ კათალიკოსი ამბროსი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 354-356.

**№44. საგანგებო კომისიის გამომძიებლის გ. მიკის მიერ კათოლიკოს-პატრიარქის
ამბროსის დაკითხვის ოქმი**

1923წ. 18 მაისი

კითხვა: რა იცით თქვენ საკათოლიკოსო საბჭოს კარის ეკლესიის(თვის) ცეცხლის წაკიდების შესახებ?

პასუხი: ღამით 13 და 14 მაისს, ღამის პირველ საათზე გამაღვიძეს და მითხრეს, რომ ჩემს სახლს ცეცხლი წაეკიდა. როდესაც მე გამოვედი ეზოში, ცეცხლის ჩამქრობი რაზმი უკვე მოსულიყო და მიელო ზომები. მე ცეცხლწაკიდებულ ადგილამდე არ მიმიშვეს. მეტიც დამატება არაფრის არ შემიძლია.

კითხვა: გაქვთ თუ არა ვინმეზე რაიმე ეჭვი?

პასუხი: არა, არავისზე არავითარი ეჭვი მე არ მაქვს.

კითხვა: შეეძლოთ თუ არა ქურდობა და დაწვა თავის კვალის დასამალავად ჩაედინათ თქვენ სახლში მცხოვრებ მობინადრეებს.

პასუხი: პირდაპირის პასუხის მოცემა ამ კითხვაზე არ შემიძლია და არავისზე მათგანზე ეჭვის შეტანა არ შემიძლია.

ოქმი წავიკითხე და ჩვენებას ჩემსას ვამონებ კათალიკოსი ამბროსი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღწ.2, ს. 1, ფ. 332-334.

**№45. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წერილი „საქართველოს საგანგებო კომისიის
თავმჯდომარეს“**

1923წ. 24 მაისი

გამომძიებელ მიგის (გ.მიკის – ჯ.გ.) მიერ ჩამორთმეულ ჩემს ჩვენებაში ადგილი აქვს ერთ გაუგებარ (უმნიშვნელო) გარემოებას, რაიც აიხსნება იმ ჩემი წერვიული მდგომარეობით, რომელსაც მე დღეს შეუპყრივარ. მინდოდა ამის შესახებ განმარტების მიცემა, მაგრამ გამომძიებელმა არ ინება ჩემი განმარტების ჩატანა უკანასკნელ ჩვენების ოქმში და ცალკე განცხადების მიღებაზედაც უარი განმიცხადა. ვფიქრობ, ეს მოვლენა, ალბათ, აიხსნება იმით, რომ ჩემი მოთხოვნილება აღემატება მის უფლებებს და ამისთვის იძულებული ვხდები შეგანუხოთ ამ ჩემი განცხადებით, რომელშიც ნათლად დაინახავთ საქმის გასაშუქებლად საჭირო გარემოებას. საქმე შემდეგია:

ამა წლის 12 იანვრიდან დაბეჭდილია საქათალიკოსო საბჭოს კანცელარია. 21 აპრილს ვილაც ბოროტმოქმედმა ჩემი კარის ეკლესიიდან კანცელარიის კარები შეამტვრია. როდესაც მე დამკითხეს იმის შესახებ, თუ ვის უნდა ექმნა ეს ბოროტმოქმედება, მე განვაცხადე, რომ ეს, ჩემის აზრით, ჩადენილი უნდა იყოს პირადი მტრებისგან ჩემიან იმ პირებისა, რომელთაც დამოკიდებულება აქვს კანცელარიის საქმეებთან. რამდენიმე ხნის შემდეგ მოქალაქე მიგმა განმიცხადა, რომ ამის ბრალი მე მედება, თავის დროზე, ამას არ მივაქციე ჯეროვანი ყურადღებაო და ამისთვის მთავრობისაგან მივიღე საყვედურიო. ამან ჩემზედ დიდი და თავზარდამცემი გავლენა იქონია: დამეტყო ამის შემდეგ წერვების აშლილობა. სამჯერ ვთხოვე გამომძიებელს, რომ ის ვერცხლის ხატები, ჯვრები და საეკლესიო ნივთები, რომლებიც დალუქული იყო და იმყოფებოდა საგანგებო კომისიის განკარგულებაში, სადმე გადაეტანათ და ანუ მიელო ზომები მათი დაცვის უზრუნველყოფისათვის, დამპირდა, მაგრამ დაპირების სისრულეში მოყვანა ვერ მოასწრო. და კიდევაც მოხდა უბედურება – ცეცხლი წაუკიდეს იმ საკუჭნაოს, სადაც ინახებოდა ზემოაღნიშნული ვერცხლეულობა (დეფისის შემდეგ 8 სიტყვა ხაზგასმულია წითელი მელნით – ჯ.გ.). როდესაც 14 ამ თვეს გამომძიებელმა მიგმა გაიმეორა ბრალდება, რომ ეს შინაური საქმეაო, მე იმდენად ავლელდი, იმდენათ ამეშალა წერვები, რომ სხვა პირებთან მას ვუპასუხე – ამნაირი

შეხვედულების, გამოთქმით სპობთ ბოროტმოქმედთა აღმოჩენის გზას, რომ ამ პირობებში მე არ შემიძლია აქ ვიცხოვრო და გთხოვთ ციხეში გადმიყვანოთ მეთქი. რასაკვირველია, ეს მათქმევინა მეტისმეტმა მლელვარებამ და ნერვების აშლამ. ეს ნერვიულობა გამოიწვია იმან, რომ მე ბრალს მდებდნენ იმნაირ სისაძაგლეში, როგორიც არის კარების ტეხა, ეკლესიის შეგინება და ცეცხლის წაკიდება.

რამდენიმე დღის შემდეგ მიმინვიეს საგანგებო კომისიის შენობაში, სადაც ჩემი არანორმალურ-ნერვებაშლილი მდგომარეობა თვით გამომძიებელმა აღნიშნა, მითხრა, რომ ანატირები ხარო. მე ვუპასუხე, რომ ჩემი მდგომარეობა იმდენათ ნერვიულია, რომ დაწყნარებით მსჯელობა და აზროვნება არ შემიძლია, სულ ცრემლები მომდის მეთქი. ამ პირობებში მოხდა ჩემი დაკითხვა, სადაც მე ვითომ ვაჩვენე, რომ ოფიციალურად მოვახსენე საბჭოს ჩემგან მემორანდუმის გაგზავნა გენუის კონფერენციაზე და ამ მდგომარეობაში მაქვს ხელი მოწერილი. რასაკვირველია, შემდეგ ცოტათი დაწყნარებისა ჩემი პირველი ჩვენება განვმარტე და მივეცი დამატებითი ჩვენება, რომ ოფიციალური მოხსენება არ ყოფილა, რომ, რადგან ის უნდა ყოფილიყო უკანასკნელი სხდომა აღდგომის წინ (ვნების კვირები) ქვორუმი წევრებისა, მათი მოუცლელობის გამო, არ შესდგა და მე ეს განვუცხადე კერძო ლაპარაკში-კრების მოლოდინში, არ მახსოვს ვის – ერთს, თუ ორს წევრს და ამის გამო არც სხდომის ჟურნალშია აღნიშნული.

მე რომ მდომოდა ამაზედ უარის თქმა – სიცრუის თქმა, ამას მოვიმოქმედებდი მთავარი საკითხის შესახებ და ვიტყოდი, რომ მემორანდუმი მე არ გამიგზავნია, ყალბია – თქო და არა იმ საკითხის შესახებ, რომელსაც ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მე ვიძეორებ, გამომძიებელ მიკს არას ვაბრალებ, შესაძლებელია, მას უფლებაც არ ჰქონდა ჩემი განმარტება შეეტანა ჩვენებაში და ან ცალკე განცხადების სახით მიეღო.

დასამტკიცებლად იმისა, რომ მართლა ჩემი ნერვების მდგომარეობა იმნაირი იყო, როგორათაც ვახსიათებ, თუ ეს საჭირო იქნება, წარმოვადგენ მონმობას იმ ექიმებისას, რომელნიც მე ამჟამად მწამლობენ ამ ავთამყოფობისაგან.

ექიმების მოწვევის ნება გამოვითხოვე გამომძიებელისაგან.

კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 380-381.

№46. საგანგებო კომისიის გამომძიებელ გ.მიკის მიერ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის დაპირისპირებისას შედგენილი ოქმი

1923წ. მაისი

ვართ რა გაფრთხილებულნი, რომ ცრუ ჩვენებისათვის პასუხს ვაგებთ რევოლუციური ტრიბუნალის სასამართლოს წინაშე, ვაჩვენებთ:

კათოლიკოსი ამბროსი, არქიმანდრიტი პავლე

კითხვა მოქალაქე ჯაფარიძე პავლეს;

მაისის თვის დასაწყისში (2,3,4 მაისს) თქვენ ინახულეთ კათალიკოსი ამბროსი?

პასუხი: ვინახულე.

კითხვა ამბროსის (ხელაია ბესარიონ):

მაისის დასაწყისში ა.წ. არქიმანდრიტმა პავლემ გინახულათ თქვენ?

პასუხი: მინახულა.

კითხვა ჯაფარიძეს პავლეს:

რა უთხარით თქვენ კათალიკოს ამბროსის?

პასუხი: მე მივედი კათალიკოს ამბროსისთან მხოლოდ და მხოლოდ მისთვის, რომ მომეთხრო მისთვის ქ. ქუთაისში ეკლესიის ძვირფასეულობის აღმოჩენის შესახებ და რაც ვქენი.

კითხვა კათალიკოს ამბროსის:

რა გითხრათ, სახელდობრ, რისთვის მოვიდა თქვენთან არქ. პავლე ჯაფარიძე?
პასუხი: მოვიდა, რომ მიეღო ჩემი ლოცვა და მოეთხრობია ქ. ქუთაისში აღმოჩენილ დამალულ ძვირფასეულობის შესახებ.

ჩვენება ნავიკითხე კათოლიკოსი ამბროსი.

არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე

დავკითხე – მიკი

კითხვა: რითი ხსნით თქვენს ცრუ ჩვენებებს 5 მაისს და 14 მაისს ა.წ. კათოლიკოს ამბროსის ნახვის შესახებ?

პასუხი: როდესაც მოვათავე ლაპარაკი კათალიკოსთან იმის შესახებ, რომ ძვირფასეულობა ქუთაისში აღმოჩენილია, კათალიკოს ამბროსიმ მითხრა, ნადი ტაძარში, იცხოვრე იქ, ნურავის ნუ ეტყვი, რომ ძვირფასეულობა ნაპოვნია და ამიკრძალა მე მეთქვა ვისთვისაც უნდა ყოფილიყო, რომ მასთან ვიყავი. ჩვენ გვაქვს წესდება, რომელიც ამბობს, რომ თუ ეპისკოპოზი (საზოგადოდ უმაღლესი მოხელე) რამეს გიბრძანებს, ის უნდა შეასრულო, ამიტომ მე უარსცყოფდი, რომ მე ვიყავი კათოლიკოსთან.

ჩვენებას ვამონმებ პავლე ჯაფარიძე.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 369-370.

№47. საგანგებო კომისიის გამომძიებელ გ.მიკის მიერ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის დაპირისპირებისას შედგენილი ოქმი

1923 წ. მაისი

ვართ რა გაფრთხილებულნი, რომ ცრუჩვენებებისათვის პასუხს ვაგებთ რევეტრიბუნალის სასამართლოს წინაშე მთელი რევოლუციონურის კანონების სიმკაცრით, ვაჩვენებთ:

კათოლიკოსი ამბროსი

დეკანოზი ცინცაძე

კითხვა მოქ. ცინცაძეს კალისტრატეს:

როდის და ვისგან გაიგეთ თქვენ, რომ კათალიკოს ამბროსის მიერ გაგზავნილია მონოდება გენუის კონფერენციაზე?

პასუხი: პირველად მე გავიგე, ნავიკითხე რა ეს მონოდება საბჭოთა ხელისუფლების პრესაში. მანამდე მასზე არაფერი არ ვიცოდი.

ნავიკითხე და ნაკითხულს ვამონმებ დეკ. ცინცაძე

კითხვა: გასულ წელს აღდგომამდე აპრილის თვეში კათ. ამბროსიმ მოახსენა სხდომაზე საკათალიკოზო საბჭოს იმის შესახებ, რომ მის მიერ გაგზავნილია მონოდება გენუის კონფერენციაზე?

პასუხი: ამნაირ სხდომაზე, რომელზედაც ეს მოხსენდა, მე არ ვყოფილვარ და არ ვიცი მოხსენდა თუ არა ეს წერილი სხდომაზე. თუ მოხსენებული იყო, ის უნდა ყოფილიყო მოთავსებული კათოლიკოსის საბჭოს სხდომის ოქმებში.

კითხვა კათოლიკოს ამბროსის:

მოახსენეთ თუ არა თქვენ საკათალიკოზო საბჭოს სხდომაზე, რომ თქვენს მიერ გაგზავნილია მონოდება გენუის კონფერენციაზე.

პასუხი: ოფიციალურად მე არ მომიხსენებია ამის შესახებ. მე უთხარი კერძოთ საკათალიკოსო საბჭოს წევრებს, სახელდობრ, ვის, არ მახსოვს და რამდენი იყო წევრები აგრეთვე არ მახსოვს. ვიცი, რომ ქვორუმი არ ყოფილა და სხდომა არ შესდგა.

ნავიკითხე: კათოლიკოსი ამბროსი.

ნავიკითხე: დეკ. კ. ცინცაძე.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 371-372.

№48. საგანგებო კომისიის გამომძიებელ გ.მიკის მიერ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისა და დეკანოზ იოსებ მირიანაშვილის დაპირისპირებისას შედგენილი ოქმი

1923წ. მაისი

ვართ რა გაფრთხილებულნი, რომ ცრუჩვენებებისათვის პასუხს ვაგებთ მთელი რევოლუციონურ ხანის სიმკაცრით, ვაჩვენებთ:

კათოლიკოსი ამბროსი

დეკ. ი. მირიანაშვილი

კითხვა მირიანაშვილს:

აპრილში წარსული წლის აღდგომამდე კათოლიკოს ამბროსიმ მოახსენა საკათოლიკოსო საბჭოს სხდომაზე, რომ მის მიერ გაგზავნილია მოწოდება გენუის კონფერენციაზე?

პასუხი: საკათოლიკოსო საბჭოს სხდომაზე ჩემის თანდასწრებით ამნაირი მოხსენება კათოლიკოს ამბროსის მიერ გაკეთებული არ ყოფილა.

კითხვა კათოლიკოს ამბროსის;

მოახსენეთ თუ არა თქვენ საკათოლიკოსო საბჭოს სხდომაზე იმის შესახებ, რომ თქვენს მიერ გაგზავნილია მოწოდება გენუის კონფერენციაზე?

პასუხი: საკათოლიკოსო საბჭოს სხდომაზე არ მომიხსენებია, მხოლოდ ამის შესახებ უთხარი კერძო საუბარში ქვორუმის მოლოდინში ერთ საკათალიკოსო საბჭოს წევრს, ამიტომ საკათოლიკოსო საბჭოს სხდომის ოქმებში ამის შესახებ არ არის აღნიშნული.

წავიკითხე: კათოლიკოსი ამბროსი.

ოქმი წავიკითხე და ჩვენებას ჩემსას ხელისმონერით ვამოწმებ დეკ. ი. მირიანაშვილი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 373-374.

№49. ცირკულარი ყველა სამაზრო აღმასკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის და აფხაზეთის ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოებს.

1923წ. 25 მაისი¹

ს.ს.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში მოსულ ცნობით, ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ადგილობრივ ბევრგან ისეთ სახუროთმოძღვრებო ძეგლებსა და შიგ დაცულ სიმდიდრეთ შეეხენ, რომელთაც დიდი სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობა აქვთ.

რათა დაცულ იქმნას ზემომოხსენებული განძები ისტორიისა და კულტურისათვის, თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, ა.წ. 21 მარტს, დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც შედიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი და იუსტიციის სახალხო კომისარი ი.ვარძიელი.

გაუწყებთ რა ზემოაღნიშნულს, საგანგებო კომიტეტი წინადადებას გაძლევთ-ეკლესია მონასტერის გაუქმებისა და ჩამორთმევისას მიუცილებლად იხელმძრვანელოთ შემდეგით:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთმოძღვრო ძეგლები დაყოფილია სამ კატეგორიად:

ა) ძეგლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულად, მაგრამ წარწერებითა, არქიტექტურულ ფორმით, თუ სხვა რითმე მაინც დიდ ღირებულებას წარმოადგენენ;

ბ) ძეგლები – ძვირფას განძეულობითურთ, რომელნიც დღემდე ურყევად დგანან და სადაც წარმოებს ან და უკანასკნელამდე წარმოებდა მღვდელმსახურება;

გ) ძეგლები, რომელნიც თავის თავად არავითარ სახუროთ-მოძღვრებო ღირებულებას

არ წარმოადგენდნენ, მაგრამ დღემდე შემცველი არიან ძვირფას განძეულობათა.

ზემოთ დასახელებულ ძეგლთაგან პირველ ორი კატეგორიის – სათანადოდ აღნუსხული, შენახული და დაცული უნდა იქნას ისტორიისა და კულტურისათვის და, მამასადამე, არავითარი შეკეთება, ან სხვა რაიმე მიზნისათვის მათი გამოყენება, სანამ საბოლოოდ არ გამოირკვა ადგილობრივ დაარსებულ საისტორიო მუზეუმების ადგილი – არ შეიძლება და სასტიკადაც აკრძალულია.

რაცა შეეხება თვით ძეგლებში დაცულ განძებს, ისიც სამგვარია:

ა) ჭედვით ხელოვნების კოლექციები: ხატები, ჯვრები და სხვა.

ბ) ქსოვით ხელოვნების ნივთები;

გ) სხვა და სხვა შინაარსის ძველი ხელნაწერები;

პირველ ორ კატეგორიის განძეულობა ღირებულებით ორ ნაწილად იყოფა:

ა) ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის ძვირფასი ნახელავი, იშვიათის თვლებით, ქვებითა და წარწერებით შემკული.

ბ) განძეულობა, რომელიც მხოლოდ ნივთიერ ღირებულებას წარმოადგენს.

გაუქმებულ ეკლესია-მონასტერში თავდაპირველად საჭირო და აუცილებელია ყველა განძის აღნუსხვა, დამოუკიდებლად მათი ამა თუ იმ ღირებულებისა.

აღნუსხვას აწარმოებენ ადგილობრივ აღმასკომის პასუხისმგებელი ამხანაგები, მცოდნე პირთა თანდასწრებით.

ყველა ნივთი მესამე კატეგორიისა ეკლესია-მონასტრიდან გამოღებული, თუ იგი გაუქმდა, დაუყოვნებლივ გადატანილ უნდა იქმნას, სათანადო აქტის შედგენით, მეორე კატეგორიის იმ ეკლესია-მონასტერში, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ცეცხლის თუ სხვა ხიფათისგან.

ასე უნდა მოხდეს რესპუბლიკის სიმდიდრეთა პირველი მოკითხვა, პირველი რეგისტრაცია, რომელსაც მოჰყვება მეორე ნაბიჯის გადადგმა, სახელდობრ, მთელს რესპუბლიკაში სათანადო პუნქტების ამორჩევა, სადაც დაარსებული იქნება საისტორიო მუზეუმები.

ამიტომ დროებითაც, სანამ საამისოდ სათანადო კომისიები შედგებოდა, რომელნიც თვითოეულ ნივთს შესაფერ ღირებულებას გამოარკვევენ და საბოლოოდ დაადგენენ, თუ რომელი, მეორე კატეგორიაში მოქცეულ ძეგლთაგანი, უნდა გადაკეთდეს მუზეუმად, – ყველა აღნუსხულ ნივთის მოვლა-პატრონობა ევალება ადგილობრივ აღმასკომის მიერ დანიშნულ პირს – აღმასკომისა და პირველის ურთიერთის პასუხისმგებლობის ქვეშ.

განძთა ნუსხისა და აქტის ერთი ცალი გამოგზავნილ უნდა იქმნას განათლების სახალხო კომისარიატში – სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის საგანგებო კომიტეტისათვის.

აქვე გვგზავნებათ სია იმ ეკლესია-მონასტერთა და საარქეოლოგო ძეგლთა, რომელიც დაცულ უნდა იქნან სამეცნიერო მიზნით. დამატებითი ინსტრუქციების მიღებით.

საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე ს.ს.ს. რესპუბლიკის კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: **ალ. გეგეჭკორი**

წევრნი: განათლების სახალხო კომისარი: **დ. კანდელაკი.**

იუსტიციის სახალხო კომისარი: **ი. ვარძიელი.**

მოამბე შსს კომისარიატისა, 1923, №51, 25 მაისი, გვ.7.

შენიშვნა:

1. გამოქვეყნების თარიღი.

№50. გამომძიებელ გ. მიკის მიერ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის დაკითხვის ოქმი

1923წ. 9 ივნისი

კითხვა: ვისი ხელით იყო გაგზავნილი თქვენს მიერ თქვენი მემორანდუმი გენუის კონფერენციაში?

პასუხი: მე გადავეცი იგი (ე.ი. მემორანდუმი) დეკანოზ კაპანაძეს, რომელიც მიდიოდა სამზღვარგარეთ (ამერიკაში), სადაც იგი იყო მინვეული სამსახურში, შემდეგის მე არაფერი არ ვიცი: როგორ წაიღო კაპანაძემ ეს მემორანდუმი ანუ ვისმე მან იგი გადასცა, მე აგრეთვე არ ვიცი.

კითხვა: ვისთვის უნდა ყოფილიყო გადაცემული მემორანდუმი სამზღვარგარეთ?

პასუხი: იგი იყო გენუის კონფერენციის სახელზე მიმართული. ვის გადასცა იგი კაპანაძემ მე სწორეთ არ ვიცი.

კითხვა: უთხარით თუ არა თქვენ საკათალიკოზო საბჭოს წევრს მოქალაქე თავდგირიძეს, რომ კაპანაძემ უნდა გადასცეს ის მემორანდუმი ან აკაკი ჩხენკელს, ან ნოე ჟორდანიას?

პასუხი: არა, არ მითქვამს. შემიძლია ეს დავადასტურო დაპირისპირების დროს.

კითხვა: რა მონაწილეობას იღებდა მონადების შედგენაში ინგილო ივანიცკი.

პასუხი: სრულიად არავითარ მონაწილეობას არ იღებდა და მე მისთვის არ მითქვამს, რომ ჩემს მიერ დაწერილია და გაგზავნილი მემორანდუმი გენუის კონფერენციაზე.

კითხვა: რა ხასიათი გინდოდათ მიგეცათ თქვენ თქვენი მემორანდუმისათვის?

პასუხი: მე ვაძლევდი ამ მემორანდუმს წმინდა საეკლესიო ხასიათს.

კითხვა: რა იცით თქვენ და რა შეგიძლიათ სთქვათ ძვირფასეულობის შესახებ?

პასუხი: წარსულ წლის დამლევს ან ამა წლის დასაწყისში მე გავიგე, რომ ძვირფასეულობა დარჩენილია საქართველოში, ქ. ქუთაისში (ხმებით), მაგრამ სად – არ ვიცოდი. მე პირადად ვფიქრობდი უქმეების შემდეგ მქონოდა მსჯელობა ამის შესახებ საკათალიკოსო საბჭოში, რომ გადმომეტანა ის ძვირფასეულობა თბილისში მთავრობისთვის შეტყობინებით. არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძესთან დამალულ ძვირფასეულობის შესახებ არ მისაუბრია, არ მისაუბრია აგრეთვე ეპისკოპოს დავით კაჭახიძესთან. ნაზარის აგრეთვე ჩემთვის არაფერი არა უთქვამს.

წავიკითხე: კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 486-488.

№51. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წერილი „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარს“

1923წ. 2 ივლისის შემდეგ

2 ამ თვისას მე იძულებით გადასახლებული ვიქენი საკათალიკოზო ბინიდან, მაგრამ ჩემ პირადობაზე მე ამას ვიტყვი. იმის გარდა, რომ ძალა და უფლება მთავრობის ხელშია და უნდა იყოს, მე ახლა განვიცდი პატიმრობას და როგორც პატიმარი შეუძლიათ წამიყვანონ იქ, სადაც საჭიროთ დაინახავენ, მაგრამ ამ საქმეს პირადი მნიშვნელობის გარდა აქვს, საზოგადო მნიშვნელობაც და არ შემიძლია არ განვაცხადო, რომ მოხსენებულ შენობაში მოთავსებული იყო ჩემი და ჩემი ეპარქიის კანცელარიის გარდა საკათალიკოზო საბჭო, სამეურნეო გამგეობა, მათი კანცელარიები, სამღვდელმოქმედო და საღვთისმეტყველო შინაარსის წიგნების ბიბლიოთეკა, საკათალიკოსო საბჭოს სხდომების დარბაზი და კათოლიკოს-პატრიარქის კარის ეკლესია. ამ დაწესებულებების ყურადღებაში მიუღებლობა, მათთვის შესაფერის ბინის მიუჩენლობა უდრის საქართველოს ეკლესიის ცენტრალურ დაწესებულებათა გაუქმებას – ცენტრალურ მართვა-გამგეობის შეჩერებას.

ამით პერიფერიებიდან დაწყებული საქართველოს ეკლესიის ნგრევა დამთავრდება ეკლესიის ცენტრალური მთავარი სასიცოცხლო ნერვის გადაჭრით, რაც, თუმცა, რასაკვირველია, ეკლესიას და სარწმუნოებას არ მოსპობს, რამდენადმე მაინც შეაფერხებს მისი ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას. ეს კი, ვფიქრობ, მთავრობის წინაგანზრახულობაში არ უნდა შედიოდეს, რადგან, ჩემის აზრით, ეს იქნება მიზანშეუწონელი და სარგებლობას მოკლებული.

რადგანაც ჯერჯერობით მე არავისგან არა ვარ თანამდებობიდან გადაყენებული და მხოლოდ დროებით, ჩემი ტყვეობის ასე თუ ისე დასრულებამდის, ჩემი მოვალეობის ასრულება გადაცემული მაქვს სხვა მღვდელმთავრისათვის, ვალდებულად მიმაჩნია ჩემი თავი მოგმართოთ თხოვნით, სახლი, რომლიდანაც გადმომასახლეს, დარჩეს საქართველოს ეკლესიის განკარგულებაში კათოლიკოსის და საკათოლიკოსო დაწესებულებათა მოსათავსებლად, ხოლო ის ეკლესია, რომელიც ამ შენობაშია მოთავსებული და რომელიც მშვენივრად არის მოწყობილი მორწმუნეთა სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არ იქმნეს დანგრეული, გაუქმებული და/ანუ სხვა რაიმე სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შეუფერებელი დანიშნულებისათვის მოხმარებული.

საპატრიარქოს არქივი, აღწ.1, ს.166, ფ.31.

№52. გამომძიებელ გ. მიკის მიერ კორნელი კეკელიძის მონმის სახით დაკითხვის ოქმი

1923წ. 26 ივლისი

მონმე კეკელიძე კორნელი სამსონის ძე, 43 წლის, ქართველი, გლეხი, უსახლკარო, ცოლიანი, მყავს სამი შვილი, უმაღლესი განათლებისა, ისტორიკოსი, ეპარქიალურის სასწავლებლის გამგე და სემინარიის რექტორი, საქართველოს გასაბჭოებამდე სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გასაბჭოების შემდეგ იგივე და სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსებული საქართველოს მუშათა ფაკულტეტის ლექტორი, პასუხისგებაში არ ვყოფილვარ, უპარტიო. მისამართი: გუნიბის ქუჩა 40.

კითხვა: რა დროიდან ხართ თქვენ საკათოლიკოსო საბჭოს წევრი?

პასუხი: პირველად ვიქენი არჩეული 1917 წელს და ვითვლებოდი 1920 წლამდე. მეორედ 1921წ. სექტემბერში და ვიყავი წევრად 1922 წლის ოქტომბრის დამდეგამდე, როდესაც გამოვედი საკათოლიკოსო საბჭოდან.

კითხვა: კათოლიკოს ლეონიდის დროს გქონდათ თუ არა თქვენ რაიმე კავშირი საკათოლიკოსო საბჭოსთან ან პირადად კათოლიკოს ლეონიდთან?

პასუხი: სრულებით არავითარი და რაც შეეხება კათოლიკოს ლეონიდს, არც ველაპარაკებოდი მას, მას მერე როცა ანაფორა გავიხადე.

კითხვა: როდის და ვისგან გაიგეთ თქვენ, რომ კათოლიკოს ამბროსიმ მემორანდუმი გაუგზავნა გენუის კონფერენციას?

პასუხი: მე გავიგე გაზეთებიდან.

კითხვა: რა ხასიათს აძლევთ თქვენ ამ მემორანდუმს?

პასუხი: მე მას ვაძლევ საეკლესიო-პოლიტიკურ ხასიათს. კათოლიკოსი ამბროსი იწყებს თავის მემორანდუმს ეკლესიების მდგომარეობის აღწერით და ამთავრებს მას პოლიტიკური მხრის შეხედვით.

კითხვა: დაესწართ თუ არა თქვენ საკათოლიკოსო საბჭოს სხდომას დაახლოებით წარსული წლის აღდგომამდე, რომელზედაც კათოლიკოს ამბროსიმ მოხსენება გააკეთა ანუ ლაპარაკობდა, რომ მან შეადგინა და გაგზავნა გენუის კონფერენციაზე მემორანდუმი?

პასუხი: არა, არ დავსწრებივარ.

კითხვა: საკათოლიკოსო საბჭოში თქვენი წევრათ ყოფნის დროს არ აღძრულა საკითხი იმის შესახებ, თუ სად არის სიონის და მცხეთის ტაძრის ძვირფასეულობა?

პასუხი: არა, სრულებით არა.
ოქმი წავიკითხე და ჩვენებას ვადასტურებ:
კორნელი კეკელიძე.
დაკითხა: მიკ.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს. 1, ფ. 551-553.

**№53. „ცირკულარულად ყველა მაზრის, ქალაქის და თემის აღმასრულებელ კომიტეტს“
– ანტირელიგიური ბრძოლის მეთოდების შესახებ**

1923წ. 10 აგვისტო

ასლი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ცნობებით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ზოგიერთი წარმომადგენელი, ამ ბოლო დროს გაძლიერებული ანტირელიგიური ბრძოლის პროცესში მორწმუნეთა ცალკე ჯგუფების, საზოგადოებების, აგრეთვე კერძო მოქალაქეთა მიმართ ხმარობენ უშუალო ადმინისტრაციული ზეგავლენის ზომებს, ასეთ ზომებს კი ზოგიერთ შემთხვევაში მორწმუნეთა რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა მოსდევს. სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლებლად მიაჩნია საუკუნოებით განმტკიცებულ რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლაში ასეთი ზომების ხმარება, რადგან ბრძოლის ამგვარი საშუალებანი მიზანს არ აღწევენ. ამიტომ საბჭო განმარტავს, რომ ნაყოფიერი ბრძოლა ჩამორჩენილი მასების რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან შეიძლება და უნდა სწარმოებდეს ხანგრძლივი და დაჟინებული ზომებით ამ მასების აღზრდის საქმეში, ხოლო ეს ზომები უნდა გაატაროს მშრომელთა მონინავე წრემ თავისი პარტიული, პროფესიული, კულტურული და სხვა ორგანიზაციების შემწევობით.

ძალდატანებითი ზეგავლენის ზომები კი, რომელთაც ხელისუფლების ორგანიების ზოგიერთი წარმომადგენელი ხმარობენ, გარდა იმისა, რომ მათ შეუძლიანთ მოიტანონ სანინალმდეგო შედეგი, ესე იგი გააძლიერონ მორწმუნეთა რელიგიური ფანატიზმი, ეწინააღმდეგებიან საბჭოთა ხელისუფლების კანონს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ.

ამ კანონის აზრით: „ყოველ მოქალაქეს შეუძლიან აღიაროს ესა თუ (ის) რელიგია ან არ აღიაროს არც ერთი და ყოველ ეკლესიას ან რელიგიურ საზოგადოებას, რომელიც კი საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში არსებობს, ეძლევა რწმენის აღიარების და კულტის აღსრულების სრული თავისუფლება.

ადგილობრივ ხელისუფალთ კანონი უკრძალავს რაიმე ისეთ დადგენილებას გამოცემას, რომელიც შეავიწროებს ან შეზღუდავს სინდისის თავისუფლებას. მაგრამ რელიგიური წესების ასეთი თავისუფალი შესრულება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმდენად, რამდენადაც ეს „წესები არ დაარღვევენ საზოგადოებრივ წესიერებას და მის შესრულებას თან არა სდევს მოქალაქეთა და საბჭოთა სახელმწიფოს უფლებების შელახვა“.

ყველა ზემონათქვამის გამო, სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს მაზრის, ქალაქის და თემის აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. ნება არ მისცენ, რომ ადმინისტრაციული წესით ხმარებულ იქნას რაიმე ძალდატანება ან მიღებულ იქნას უშუალო ზეგავლენის რაიმე ზომა და თავშივე მოსპონ. ხელისუფლების ცალკე წარმომადგენელთა ყოველი ისეთი ქმედება, რომელსაც შეუძლიან მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა.

2. სათანადო შემთხვევები, სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლის ძალით, აღძრან სისხლის სამართლის დევნა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც დამნაშავე იქნებიან რელიგიური წესების შესრულების ხელის შეშლაში, რამდენადაც ეს წესები არ დაარღვევენ საზოგადოებრივ წესიერებას და მათ შესრულებას თან არა სდევს მოქალაქეთა და

საბჭოთა რესპუბლიკის უფლებების შელახვა.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა, იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი ი. ვარძიელი.

კომუნისტი, 1923, 19 აგვისტო, №189.

№54. საგანგებო კომისიაში მომზადებული დასკვნითი დადგენილება წინასწარი გამოძიების შედეგების შესახებ

1923 წლის 7 სექტემბერი

1923 წლის სექტემბრის 7 დღეს მე, საქართველოს საგანგებო კომისიის რწმუნებულმა გიორგი მიკმა, განვიხილე რა საგამოძიებო საქმე №1417 ბრალდებისა გამო კათალიკოზ ამბროსის მეთაურობით საკათოლიკოზო საბჭოსი:

1) კონტრევოლუციაში, 2) საეკლესიო ქონებათა დამალვაში, 3) მთავრობის დადგენილების წინააღმდეგობაში, 4) მასიური ხასიათის ანგარების მიზნით ბოროტმოქმედებაში შესახებ საეკლესიო ქონებათა და განძეულობათა, ვპოვე:

ბრალდებანი:

პირველი ჯგუფი: 1. სრულიად საქართველოს კათალიკოსი ამბროსი (ქვეყნად ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია), 62 წლის, სასულიერო წოდებისა, უმაღლესი განათლებისა, ქვრივი, უპარტიო.

2. ცინცაძე კალისტრატე მიხეილის ძე, 56 წლის, მღვდელი, უმაღლესი განათლებისა, ცოლ-შვილიანი, უპარტიო.

3. ლეჟავა ნაზარი ანდრიას ძე, 53 წლის, მიტროპოლიტი, უმაღლესი განათლებისა, უპარტიო.

4. მირიანაშვილი იოსებ მიხეილის ძე, 54 წლის, მღვდელი, საშუალო განათლებისა, ცოლშვილიანი, უპარტიო.

5. თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე, 53 წლის, ოზურგეთის მაზრის ყოფილი თავადი სოფ. აკეთიდგან, იურისტი, საქართველოს გასაბჭოების წინ არჩეული წევრათ ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

მეორე ჯგუფი: საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოსთან მყოფი მომსახურენი:

1. ლაზარიშვილი დიმიტრი ივანეს ძე, 52 წლის, მღვდელი, საშუალო განათლებისა, ცოლშვილიანი, უპარტიო.

2. შუბლაძე ილია თევდორეს ძე, 45 წლის, მღვდელი უმაღლესი სწავლით, ცოლშვილიანი, უპარტიო.

3. ქავჭავაძე ივანე სერაპიონის ძე, 57 წლის, საშუალო სწავლისა, ქვრივი, უპარტიო.

4. დავიდოვი დავით ალექსის ძე, 53 წლის, პირადი აზნაური, ყოფილი მცხოვრები სოფ. ხიდიკუსი თერგის ოლქისა, საშუალო განათლებისა, უპარტიო, ცოლშვილიანი.

მესამე ჯგუფი: ის პირნი რომელიც მონაწილეობას იღებდნენ ქ. ქუთაისში საეკლესიო ძვირფასი ნივთების და განძეულობის დამალვაში, აგრეთვე საკათალიკოსო საბჭოს დამხმარენი ამ საქმეში.

1. ჯაფარიძე პავლე პლატონის ძე, 35 წლის, ბერი, საშუალო სწავლისა, უპარტიო.

2. ცქიტიშვილი პლატონ ლავრენტის ძე, 48 წლის, უმაღლესი განათლებისა, ცოლშვილიანი, უპარტიო.

3. თოთიბაძე ანტონ მაქსიმეს ძე, 53 წლის, საშუალო სწავლისა, უპარტიო, ცოლშვილიანი.

4. ცაგარეიშვილი გაბრიელ პეტრეს ძე, 64 წლის, მღვდელი და უმაღლესი განათლებისა, ცოლშვილიანი, უპარტიო.

საქმის გარემოება

1. 1922 წლის მაისში გენუის გაზეთ „კაფარა“-ში მოთავსებული იყო საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს თავმჯდომარის, კათალიკოს-პატრიარქის გენუის კონფერენციისადმი მიმართული მონოდების ტექსტი. დედანი ამ მონოდებისა გადაეცა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს. ძირითადი კონკურენტული მოთხოვნებიანი ამა მონოდებისა იყო შემდეგი:

1) დაუყოვნებლივი გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან რსფსრ საოკუპაციო წითელი ლაშქრისა, გარანტია იმისა, რომ არ იქნება გატაცებული და გატანილი საქართველოს ქონება უცხოელების მიერ.

2) მიეცეს ქართველ ერს საშუალება თავისუფლად მოაწყოს ორგანიზება თავის ცხოვრების ისე, როგორც ის ამას დაინახავს საჭიროთ, განამტკიცოს თავისი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ისეთი ფორმა, რომელიც საუკეთესოთ შეესაბამებოდეს და ეთანხმებოდეს მის ზნე-ჩვეულებას, ნაციონალურ კულტურას, სულისკვეთებას და მიდრეკილებას. ამის გამო საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ მოხდენილ იქნა ძიება როგორც კათალიკოს ამბროსის, ისე მის მეთაურობის ქვეშ მყოფი საკათალიკოსო საბჭოს შესახებ. გამოირკვა, რომ გენუის კონფერენციისადმი მიმართულ მონოდების შედგენაში და ამ მონოდების გაგზავნაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კათალიკოსო ამბროსი, როგორც საკათალიკოზო საბჭოს თავმჯდომარე და წევრნი საკათალიკოსო საბჭოსი, რომლის სხდომებზე დაისვა და გაიჩნა საკითხი გენუის კონფერენციაზე მონოდების გაგზავნის შესახებ.

საკათალიკოზო საბჭო არ დაკმაყოფილდა თავის კონტრევოლუციონური მონოდებით გენუის კონფერენციისადმი და აგრეთვე მონოდებით ინტერვენციისაკენ. მან განაგრძო საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მიმართული პოლიტიკა და არ დაემორჩილა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ა.წ. 8 იანვრის №68 დადგენილებას თბილისის სამხედრო ტაძრის „კ.ს.მ“-ადმი (კომკავშირისადმი – ავტ.) გადაცემის შესახებ. შეადგინა სპეციალური კომისია, სადაც უნდა შესულიყვნენ საკათალიკოსო საბჭოს ორი წარმომადგენელი და ა.წ. 10 იანვრის სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „საკათალიკოსო საბჭო საქართველოსა მიუღებლად სცნობს მთავრობის დადგენილებას, არ შეუძლია გაგზავნოს თავის წარმომადგენლები და არ სურს აგრეთვე გადასცეს ტაძარი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით“ (იხ. საქმე, ფ. 408, 415, 416 და 418).

ამგვარი გამოლაშქრებამ ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ საკათალიკოზო საბჭოს კათალიკოს ამბროსის მეთაურობით აუღია შეურიგებელი გეზი ს.ს.რ. მიმართ. ამის გამო ა.წ. 12 იანვარს ღამით დაპატიმრებულ იქნენ საკათალიკოსო საბჭოს წევრნი ერთად მათ წინამძღოლ კათალიკოს ამბროსისთან (რომელიც დატოვებულ იქნა შინაურ დაპატიმრებაში) და აგრეთვე საკათალიკოსო საბჭოსთან მყოფნი ზოგიერთი მოსამსახურენი. დაპატიმრების შემდეგ შესდგა საუნწყებათაშორისო კომისია, შემდგარი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, მუშურ-გლეხური ინსპექციის, საქართველოს საგანგებო კომისიის და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებისგან იმ ეკლესიებისა და საკათალიკოსო საბჭოს დანესებულებათა სარევიზიოთ, რომელთაც ეკუთვნოდნენ დაპატიმრებული მღვდელმთავარნი; რევიზიის გათავების შემდეგ დაიწყო გამოძიება შემდეგი საკითხების მიხედვით.

1) მონოდება გენუის კონფერენციისადმი;

2) არ დამორჩილება ს.ს.რ. დადგენილებებისა;

3) ანგარების მიზნით ბოროტათ გამოყენება საეკლესიო ქონებისა.

გამოძიების წარმოების დროს დაპატიმრებულ იქნენ მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, მღვდლები ცაგარეიშვილი და ცქიტიშვილი პლატონ და ჯაფარიძე პავლე (არქიმანდრიტი) ბრალდებისა გამო, მათი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციაში და სიონის და მცხეთის ტაძრების საეკლესიო ქონების დამალვაში. გამოძიებით დასტურდება, რომ საეკლესიო განძეულობის დამალვაში წილი უდევს მთელ საკათალიკოსო საბჭოს და მის

სათავეში მყოფ კათოლიკოს ამბროსის, რის გამო შეერთებულ იქნა ერთ მთლიან საქმეთ ყველა ბრალდებულთა შესახებ წარმოებული საქმე საერთოდ გამოსაძიებლათ.

გამოკვლევა და მისი შედეგი

პირველათ ამ საქმეზე დაკითხულმა როგორც ბრალდებულმა კათოლიკოს ამბროსიმ არ სცნო თავი დამნაშავეთ მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში და თავის გასამართლებლად აჩვენა, რომ მოწოდება იყო შედგენილი, შემუშავებული და ხელმოწერილი მის მიერ და გასცა სანდო, მაგრამ უცნობ პირს, რომელსაც იცნობდა მღვდელი კაპანაძე, ამ უკანასკნელის მეშვეობით მისატანად გენუის კონფერენციაზე (კაპანაძე არის საკათალიკოსო საბჭოს წევრი) (იხ. საქმ. 1, ფ. 87 და 287). მეორეთ დაკითხულმა იმავე გარემოებაზე კათოლიკოს ამბროსიმ აჩვენა: „მემორანდუმი გადავეცი დეკანოზ კაპანაძეს, რომელიც მიდიოდა საზღვარგარეთ (ამერიკაში), სადაც მიწვეული იყო სამსახურში. დანარჩენი არ ვიცი, არ ვიცი აგრეთვე მიიტანა თუ არა კაპანაძემ ის მემორანდუმი, გადასცა ის ვისმეს თუ არა“ (სამის ფ. 392). საკათალიკოსო საბჭოს წევრის თავდგირიძის ჩვენებიდან ჩანს, რომ კათოლიკოს ამბროსიმ პირადად უთხრა მას, რომ დეკანოზი კაპანაძეს უნდა გადაეცა მემორანდუმი აკაკი ჩხენკელისათვის ან ნოე ჟორდანიასათვის როგორც საქართველოს ინტერესების დამცველთათვის (საქმის ფ. 312). კათოლიკოს ამბროსი არ აძლევს მოწოდებას პოლიტიკურ მნიშვნელობას, რადგან საბჭოთა რუსეთს ის სთვლის დამპყობლათ და არა მოკავშირეთ (საქმის ფ. 84); მოვალეთ სთვლის თავის თავს ჩაერთოს პოლიტიკურ ხასიათის კითხვებში მორწმუნეთა სახელით, რადგან ქართველი ერი მიაჩნია მორწმუნეთ და რამდენადაც ის ამ ერის მიერ არის არჩეული, ლაღაღებს ამ ერის სახელით, ე.ი. სრულიად საქართველოს სახელით. წინადადებაზე, დაადასტუროს მემორანდუმის პუნქტები, კათალიკოს ამბროსი აცხადებს, რომ ნითელი ლაშქარი ძალით შემოიჭრა საქართველოში, დაიპყრო იგი, გააუქმა ქართველი ერის სუვერენობა, დაქსაქსა საქართველო, მიაკუთვნა რა ერთი მისი ნაწილი აზერბაიჯანს, მეორე – სომხეთს, მესამე – ოსეთს, ჩამოაცილა რა მას ავტონომიური რესპუბლიკების სახით აჭარა და აფხაზეთი. რკინისგზა მისი შეუერთა რუსეთს, საქართველოს ლაშქარი – რუსის ლაშქარს, ქართული კულტურა დაეცა, ქართული ენა განდევნილია დანესებულებებითგან. მაგალითად აქ მას მოჰყავს ის, რომ საქართველოს საგანგებო კომისიაში უწყებები იწერება რუსულ ენაზე (საქმის ფ. 94). საერთო ხასიათი როგორც მემორანდუმისა, აგრეთვე ამბროსის ჩვენებისა აშკარა კონტრეველუციური და შოვინისტურია. შესახებ იმისა, იცოდნენ თუ არა საკათალიკოსო საბჭოს წევრებმა, რომ მემორანდუმი იგზავნებოდა გენუის კონფერენციაზე, კათოლიკოსი განმარტავს, რომ წარსული წლის აპრილში, მოწოდების გამოყენებამდე, მან, კათოლიკოსმა, მოახსენა საბჭოს სხდომაზე, მაგრამ საკათალიკოსო საბჭოს ამის შესახებ არავითარი დასკვნა არ გამოუტანია (საქმის. ფ. 344). ამა საქმეზე ვითარცა ბრალდებულნი დაკითხულნი იყვნენ საკათალიკოსო, საბჭოს წევრნი ცინცაძე, მირიანაშვილი და თავდგირიძე, რომელთაც კატეგორიულად უარჰყვეს ეს, განაცხადეს რა დაპირისპირების დროს კათოლიკოს ამბროსისთან, რომ მათ სრულებით არ მოხსენებიათ სხდომაზე საკათალიკოსო საბჭოში არავითარი ამ მოწოდების შესახებ (საქ. ფ. 347-355). საკათალიკოსო საბჭოს წევრებმა მ. ტყემალაძემ დაკითხვის დროს აჩვენა, რომ მოწოდების შესახებ კათალიკოსმა გააკეთა მოხსენება საკათალიკოსო საბჭოში, რომელსაც დაესწრო არანაკლებ სამი წევრისა, მათ შორის ისიც მოხსენება იყო პროვოკაციური, რის გამო ის არ იყო შეტანილი სხდომის ოქმში. ამ მოხსენების დროს კათოლიკოს ამბროსიმ აუწყა მათ, რომ მას აქვს ცნობა, რომ მოწოდება მიღებულია უკვე გენუის კონფერენციაზე (საქმის ფ. 356-358). ამ უკანასკნელს ადასტურებს თვით კათოლიკოსი ამბროსიც, მაგრამ ვისგან მიიღო ეს ცნობა, არ ამბობს, ამბობს მხოლოდ: ჯერ კიდევ „აღდგომამდე“, ე.ი. მოწოდების პრესაში გამოქვეყნებამდე, იყო ხმა, რომელმაც მის ყურამდეც მოაღწია, რომ მოწოდება მიუვიდა გენუის კონფერენციას (საქმის ფ. 344). საკათალიკოსო საბჭოს წევრებმა მირიანაშვილმა, ცინცაძემ და თავდგირიძემ, რომელნიც დაკითხულ იყვნენ ვითარცა ბრალდებულნი, და ეპისკოპოს

ციციქიშვილმა, დაკითხულმა როგორც მონმემ, შესახებ მოწოდების შინაარსის ხასიათისა, აჩვენეს იგივე, რაც კათოლიკოს ამბროსიმ, ე.ი. რომ მოწოდებას თავისი შინაარსით აქვს რელიგიური და მორალური ხასიათი (საქმის ფ. 491), მაგრამ დაკითხვის დროს იბნევიან ჩვენებებში. რაც შეეხება თავდგირიძეს, რომელსაც ჩამოერთვა დეტალური ჩვენება, ისეთ გამჟღავნებულ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ უარი განაცხადა ამ საკითხის შესახებ რაიმე ჩვენების მიცემაზე (საქმის ფ. 294). რამოდენიმე საეკლესიო პირმა და მათ შორის საკათოლიკოსო საბჭოს წევრებმა ეპისკოპოსმა დავითმა, მიტროპოლიტ ნაზარიმ, დეკანოზ ტყემალაძემ და სხვებმა განაცხადეს, რომ ეს მემორანდუმი ჩაითვლება პოლიტიკურ ნაბიჯად, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რითაც დარღვეულია ძირითადი პრინციპები ეკლესიის სახელმწიფოსგან ჩამოშორებისა (საქმის ფ. 290, 335, 333, 356, 375, 395, 432, 439).

საეპარქიო მმართველობის მდივნის დავითაშვილის ჩვენებიდან სჩანს, რომ თუმცა საკათოლიკოსო საბჭოს წევრი უარს ჰყოფენ მემორანდუმის შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ თანაუგრძობენ მას (საქმის ფ. 375); გარდა ამისა, ზემოხსენებულ ჩვენებებიდან სჩანს, რომ თუ საკათოლიკოსო საბჭო არ იღებდა საერთოდ აქტიურ მონაწილეობას მოწოდების შედგენაში, ყოველ შემთხვევაში იცოდა თვით კათალიკოსისგან – ამ უკანასკნელის მოხსენებით – რომ ასეთი მოწოდება არსებობდა, და წევრი სავესტით იზიარებდნენ მოწოდებას, არ ამხელდნენ მოწოდების შინაარსს კონფერენციისაგან დადებითი შედეგების მოლოდინში.

მოწოდების შესახებ წინასწარ გამოძიების დროს, იმ მიზნით რომ გამორკვეულ ყოფილიყო დაპატიმრებულთა მიერ ჩადენილი საეკლესიო ნივთების შესახებ ბოროტმოქმედებანი, შესდგა, როგორც ზემოთ აღნიშნულია, საუნწყებათაშორისო კომისია, რომელმაც დაიწყო სარევიზიო მოქმედება ა.ნ. 1 თებერვალს. 30 მარტს რევიზია მოხდენილ იქნა შემდეგ ეკლესიებში:

1) ქვაშვეთის გიორგის, 2) დიდუბის, 3) პეტრე-პავლეს სასაფლაოს, 4) ხარფუხის, 5) ვერის ნიკოლოზის, სანთლის ქარხნის და საკათოლიკოსო საბჭოს ყველა განყოფილება-სა.

რევიზიის შედეგი იყო:

ქვაშვეთის ეკლესიის სარევიზიო აქტებიდან სჩანს, რომ რაოდენობა ინვენტარისა რევიზიის დროს, არ ეთანხმება საინვენტარო წიგნს, აღმოჩნდა ისეთი ნივთები, რომელიც არ იყო აღნიშნული წიგნში და ზოგი წიგნში აღნიშნული არ აღმოჩნდა. შემოსავალ-გასავალი ნომბრის და დეკემბრის 1922 წლისა არ იყო შეტანილი საანგარიშო წიგნში (შემოსულ-გასავლის წიგნში). დეკანოზ ცინცაძე, როგორც ეკლესიის წინამძღვარი, ხსნის ამას იმით, რომ დრო არ ჰქონდა, და მიენდო ეს ვინმესთვის არ ცნობდა საჭიროთ (საქმის ფ. 20). 1922წ. საფულე წიგნიდან სჩანს, რომ იყო განეული მთელი რიგი ხარჯებისა, გამამართლებელი დოკუმენტები და ხელწერილები კი ამ ხარჯებისა, რომელიც უნდა გატარებულიყო წიგნში არ მოიპოვება (იხ. ქვაშვეთის ეკლესიის სარევიზიო აქტები №1,2 და ოქმები 2,3 და 4).

დიდუბის ეკლესიის სარევიზიო აქტებიდან სჩანს, რომ ინვენტარის და ძვირფასი ნივთების რაოდენობის წიგნებში აღნიშვნებთან შედარების დროს არ აღმოჩნდა რამოდენიმე ოქროს და ვერცხლის ნივთები. შემოსავალ-გასავლის წიგნიდან სჩანს, რომ გამოწერილია დასახარჯავათ, გასამართლებელ დოკუმენტების მიუღებლათ სხვადასხვა საჭიროებისათვის 10.625000 მან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დიდუბის ეკლესიის ძვირფასეულობას, რომელიც 28 შეხვეულში 30 გირვანქა წონით ნახულ იქნა კედლის საღაროში (в несгораемой стеной кассе – ფ. 598 – ჯ.გ). ძვირფასეულობა ესე – ბრილიანტები, მარგალიტები, ოქროს ნივთები და სხვა (იხ. დიდუბის ეკლესიის სარევიზიო აქტი). ამ ძვირფასეულობის შესახებ და აგრეთვე იმ ნივთებისა, რომელთაც არავითარი საერთო საეკლესიო ძვირფასეულობასთან არ ჰქონდათ და უნდა გადაცემულიყო დამმუელთა დასახმარებლად, კომისიამ ცალკე წერილით აცნობა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს (იხ. დანვრილებით აქტები 3 და 4 და ოქმები 3 და 5).

პეტრე-პავლეს ეკლესიის რევიზიამ მოიტანა დადებითი შედეგები (იხ. აქტი №5), აგრეთვე ხარფუხის ეკლესიის რევიზიამ, სადაც ყველა ნივთი თავის ადგილას და წესიერად აღმოჩნდა, გარდა ექვსი ნივთისა, რომელიც მოპარული იყო (იხ. აქტი №6).

ვერის ნიკოლოზის ეკლესიის რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი ნივთი არ იყო დავთარში ჩანერილი. ამ ეკლესიის წიგნებთა შორის აღმოჩნდა სამხედრო ტაძრის ნივთები, გადმოცემული და გაყიდული ტაძრიდან ვერის ნიკოლოზის ეკლესიაზე დეკანოზ ზედამხედველის ანტონ თოთიბაძის მიერ (იხ. აქტი №7 და საქმის ფ. 384). სამხედრო ინვენტარის წიგნის შესამოწმებლად მოხდენილ რევიზიიდან აღმოჩნდა, რომ ყველა ნივთი არ იყო შეტანილი დავთარში და კომისიის მიერ აღწერილობის შედგენის დროს გამოირკვა, რომ ნივთები მეტია, ვიდრე ეს არის აღნიშნული საინვენტარო წიგნში. მაგალითად, არ არის წიგნში შეტანილი: დიაკვნის სტიქარი – 19, ფელონი – 14, ვერცხლის ხატები, ვერცხლის ნივთები, ხალიჩები და სხვ. (დანვრილებით იხ. აქტი სამხედრო ტაძრის რევიზიის).

სანთლის ქარხნის შესახებ რევიზიამ ვერა აღმოაჩინა რა. თავის დასკვნაში ეკლესიების პირველ რევიზიისა გამო საუწყებათაშორისო კომისიამ ჰპოვა, რომ მატერიალური ანგარიშები წარმოებოდა იყო არანესიერათ, რადგან ყველა ნივთი არ იწერებოდა და გამოიწერებოდა დავთრის წიგნში; გარდა ამისა, ყველა ფულის დახარჯვის და შემოსავლის მომენტები არ ინიშნებოდა შემოსავალ-გასავალ წიგნში გასამართლებელ დოკუმენტების მოყვანით და აღნიშვნით და დღემდე არ არის წარდგენილი „პომგოლ“-ში ის ნივთები, რომელიც შემოწირული იყო დამშეულთა სასარგებლოთ, რაშიდაც სარევიზიო კომისია ხედავს სამღვდელოების დაუდევრობას და დამშეულთადმი გულცივობას და ამ უკანასკნელთა მიმართ თავის სამოქალაქო მოვალეობის შეუსრულებლობას. 1923 წლის 5 მაისს საუწყებათაშორისო კომისიამ, მოახდინა რა დამატებითი რევიზია შემოსავალ-გასავალის წიგნებისა ეკლესიებისა და საკათოლიკოზო საბჭოსა, აღმოაჩინა ახალი ბოროტმოქმედებანი საეკლესიო პირთა, რომელთა შორის (ხაზგასმული სიტყვები რუსული დედნიდან ვთარგმნე – ჯ.გ.) ღირსშესანიშნავია ისეთი დამახასიათებელი ხარჯები, როგორც ხარჯი დამალულ ძვირფასეულობის ქუთაისში გადასატანად განეული, რაც მოწმობს იმას, რომ საკათოლიკოსო საბჭოში მჯდომ პირებს კარგად უნდა სცოდნოდათ სად და რისთვის იყო წაღებული ძვირფასი ნივთები. გარდა ამისა, ისეთი ხარჯი, როგორცაა გაცემა ფულით დახმარებისა, ბინის მონყობა ყველა მოწყობილობით დაპატიმრებული და მერმეთ გაძევებულ საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ივანიცკისათვის („ინგილო“). ყოველგვარი დახმარება ეძლევა იმ პარტიის წევრებს, რომლის სახელით მოქმედებს ჩოლოყაშვილის ბანდა, იმ ივანიცკის, რომელიც, თავდგირიძის სიტყვით, ეხმარებოდა კათოლიკოს ამბროსის მემორანდუმის შედგენაში (იხ. ფ. 311).

გამოძიების პროცესში ზემოხსენებულის პუნქტების მიხედვით, ჩნდება ახალი ბოროტმოქმედებანი სამღვდელო პირებისა, სახელდობრ ა.წ. 25 აპრილს ქ. ქუთაისში საარქიელო სახლის აივნის ქვეშ აღმოჩენილ იქნა მინაში ჩაფლული საეკლესიო განძეულობა სიონის და მცხეთის ტაძრებისა, რომელნიც გატანილ იქნა თბილისიდან საქართველოს გასაბჭოების წინ.

დაკითხულმა როგორც ბრალდებულმა არქიმანდრიტმა პავლე ჯაფარიძემ თავი არ ცნო დამნაშავედ და აჩვენა, რომ ძვირფასეულობა თბილისიდან წამოიღეს მან და ეპისკოპოსმა დავით კაჭახიძემ, მაგრამ გზაში წაართვეს მათ მენშევიკ ბ. ჩხიკვიშვილმა და პროფ. თაყაიშვილმა, რომელმაც წაიღეს საზღვარგარეთ (იხ. საქმის ფ. 181). დაკითხულმა ვითარცა ბრალდებულმა განძეულობის დამალვის გამო მღვდელ ცქიტიშვილმა აჩვენა, რომ ქ. ქუთაისში რამოდენიმე დღის წინ გადატრიალებამდე ის მივიდა „სობორში“ და დაინახა იქ ოთხი ყუთი და მათთან არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე. ეს ყუთები მეორე დღესვე გატანილ იქნა მიტროპოლიტ ნაზარის სახლში, სადაც ჩამოვიდა კათალიკოსი ლეონიდე (იხ. საქმის ფ. 183). დაპირისპირების დროს მღვდელ ცქიტიშვილთან არქიმანდრიტი ჯაფარიძე გატყდა და აღიარა, რომ მან, მართალია, კათალიკოს ლეონიდე გასაქარგულებით, დამარხა ყუთები ძვირფასეულობით არქიელის სახლის აივნის ქვეშ და დაახურა ზევიდან

ქვის პლიტა“ (საქმის ფ. 184). არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის, მ. ტყემალაძის და ლაზარიშვილის დაკითხვიდან (იხ. საქმის ფ. 246, 265, 330) გამოირკვა, რომ სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობა 1921 წლის 23 თებერვალს წითელ ლაშქრის შემოტევის გამო თბილისისაკენ საკათოლიკოსო საბჭოს მთელ შემადგენლობის – კათალიკოს ლეონიდეს მეთაურობით – დადგენილების თანახმად უნდა გატანილ ყოფილიყო ქ. ქუთაისში – მენშევიკური მთავრობის წინადადებით – სახელმწიფო ხაზინაში ან ბანკში შესანახად. საქართველოს ეკლესიის სახელზე თბილისიდან ქუთაისში ამ განძეულობის გადმოზიდვა დაავალეს ეპისკოპოს დავით კაჭახიძეს და არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს. პირველი მათგანი, როგორც სჩანს ჩვენებებიდან, ძლიერ ავად ყოფილა მაშინ, რის გამოც გაემგზავრა შინ, ქუთაისში საექიმოთ, მეორე – კათოლიკოს ლეონიდთან დაახლოებული და მისი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი – იყო ფაქტიური წამომღები განძეულობისა და პასუხისმგებელი ამ განძეულობის შენახვაში და დაცვაში უკლებლივ. აქტიური და გაცხოველებული მონაწილეობა განძეულობის შეკვრაში და თბილისიდან გაგზავნაში მიიღო საკათალიკოსო საბჭოს სამეურნეო მმართველობის დირექტორმა დეკანოზ ლაზარიშვილმა, რომელმაც ზედმეტი მუყაითობა გამოიჩინა და გარდა ზემოხსენებული ორი ტაძრის განძეულობისა გადაგზავნა აგრეთვე საკადატო კორპუსის ეკლესიის და კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების ნივთები, რომელთა შორის იყო ოქროს ჯვრები, მენდლები და სხვადასხვა სახელმწიფო რენტები (იხ. საქმის ფ. 331, აღწერა 186, 305). ეს ნივთები მიიღო მან აღნიშნული საზოგადოების კანცელარიის მმართველი დ. დავითაშვილისგან, რომელმაც დაკითხვის დროს აჩვენა, რომ ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების ძვირფასი ქონება, როგორც ოქროს ჯვრები, 200-ზე მეტი საპროცენტო ქალაქები ამოღებულ იქმნა საკათალიკოსო საბჭოს ხაზინიდან. აღწერის შედგენაში იმ ნივთებისა, რომელიც იგზავნებოდა ქუთაისში, გარდა ხსენებულ პირებისა, იღებდნენ მონაწილეობას დეკანოზი აიასონ კაპანაძე-საკათალიკოსო საბჭოს წევრი, დიაკონ მონასელიძე სიმონ და ბერი ნიკოლოზი. განძეულობა დატვირთვის შემდეგ ჩააბარეს ხელწერილის ქვეშ პავლე ჯაფარიძეს და დ. კაჭახიძეს და მილიციის თანხლებით მიიტანეს სადგურზე, სადაც შეიტანეს ვაგონში, რომლითაც გარბოდა მენშევიკური მთავრობა. ქ. ქუთაისში ჩამოტანისთანავე საეკლესიო ძვირფასეულობა ჯერ შეიტანეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში; აქედან პავლე ჯაფარიძეს გადააქვს ის ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარის სახლში. ქ. ქუთაისში ჩამოსვლისთანავე კათალიკოს ლეონიდემ და მიტროპოლიტ ნაზარიმ აირჩიეს ადგილი განძეულობის დასამალავად. მიტროპოლიტ ნაზარის სახლის აივნის ქვეშ ეს განძეულობა ჩაფლა მიწაში არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძემ (საქმის ფ. 327). დაკითხულმა ვითარცა ბრალდებულმა მიტროპოლიტ ნაზარიმ შეკითხვაზე, მოახსენა თუ არა კათალიკოს ამბროსის, სად იმყოფება დამალული ძვირფასეულობა, არ მისცა პირდაპირი პასუხი – „არ მახსოვს შეიძლება უთხრა, შეიძლება არა“ (იხ. საქმის ფ. 328). თვით კათალიკოს ამბროსიმ აჩვენა, რომ მან გასულ 1922 წლის დამლევს თუ 1923 წლის დამდეგში გაიგო, რომ განძეულობა არ იყო ქუთაისიდან გატანილი და დარჩა ქ. ქუთაისში, და რომ მას განზრახვა ჰქონდა საშობაო უქმეების შემდეგ გაერჩია ეს საკითხი საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე და მთავრობის ნებადართვით გადმოეტანა განძეულობა თბილისში (საქმის ფ. 393). აქ საგულისხმოა ფაქტი, რომ როგორც კი აღმოჩენილ იქნა დამალული განძეულობა, განთავისუფლებული არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე დაუყოვნებლივ მიემგზავრება თბილისში, საიდუმლო გზით ნახავს კათალიკოს ამბროსის, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ამბროსის პატიმრობა და რომ მისი ნახვა აკრძალული იყო. მოახსენებს მას განძეულობის აღმოჩენას და აგრეთვე საკათალიკოსო საბჭოს წევრ მ. ტყემალაძეს. დაპატიმრებული ამის შემდეგ პ. ჯაფარიძე დაჟინებით უარსა ამბობს რა, რომ ამბროსი მას არ უნახავს მაშინაც, როდესაც ამბროსი ადასტურებს, რომ ის ინახულა პ. ჯაფარიძემ (244, 247, 254, 263). დაპირისპირების დროს კათალიკოს ამბროსისთან, ჯაფარიძე აღიარებს, რომ ყალბი ჩვენება მისი გამოწვეული იყო ამბროსის წინადადებით, რომ მას დაემალა მისი ნახვა, წასულიყო მონასტერში და არ ეთქვა, რომ განძეულობა აღმოჩენილ იქნა (296). საკათალიკოსო საბჭო აძლევს საგ-

ზაო ფულს პ. ჯაფარიძეს და ფულს იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც განძეულობის დამალვამ გამოიწვია (258). უკანასკნელი გარემოება სხვა გარემოებებთან ერთად ამტკიცებს იმას, რომ საკათოლიკოსო საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ კათალიკოს ამბროსიმ იცოდნენ ყოველივე თბილისიდან გატანილი განძეულობის შესახებ, ჩვენება კი მათი ვითომდაც ლეონიდ კათალიკოსს ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ ეთქვას, რომ განძეულობა წაიღო მენშევიკურმა მთავრობამ და იგი დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს ეკლესიისთვის, არის მტკნარი სიცრუე. გამოძიებით დადასტურდა, რომ მიტროპოლიტი ნაზარი, სანამ განძეულობა აღმოჩენილ იქნებოდა, ჰყიდა საეკლესიო ქონებას. მაგალითად, 1920 წელს მან ნება დართო მონამეთის და გელათის მონასტრის ბერებს გაეყიდნათ კერძო პირებისათვის ძვირფასეულობა, რომელიც შემონიშნული იყო მონასტრებისთვის – გაეყიდნათ „მათი საკვებათ და საჭიროებისათვის“, რაც მათ კარგად შეასრულეს. აუარებელი ნივთები ორივე მონასტრიდან როგორც ოქროს საათი სამაჯითურთ, ოქროს ბეჭდები, ოქროს ჯვრები, საყურე და სხვა სულ 35000 მანეთ. – მიყიდულ იქნა ვოლოხზე, ცაგარელზე და გვეტაძე (იხ. საქმის ფ. 332, 339, 343).

ქუთაისის მღვდელი ფოფხაძის ჩვენებიდან (იხ. საქმის ფ.336) სჩანს, რომ აქტიური მონაწილეობა სხენებულ ნივთების ყიდვაში მიუღიათ მონამეთის მონასტრის ბერს ილარიონ ბლიაძეს, გელათის მონასტრიდან – არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილს, მათე ბერიკაშვილს და ეპიფანე გაბელიას. გელათის და მონამეთის მონასტრების საეკლესიო ძვირფასეულობის გაფლანგვის შესახებ (ჯერ) კიდევ 1920წ. ხმებს მიუღწევია ყოფილ მენშევიკურ მთავრობამდე, რომელსაც გაუგზავნია რესპუბლიკური კომისია ამ ნივთეულობის აღსაწერად და ხაზინაში გადასაცემად, საიდანაც ნივთები წაღებული იქნა საზღვარგარეთ. საკათოლიკოსო საბჭოს რევიზიის დროს გამოირკვა, რომ 1922 წელს კათოლიკოს ამბროსის წინადადებით და ამ საბჭოს დადგენილებით ყველა ქართულ ეკლესიას წინადადება მიეცა ჩაებარებია საბჭოს სამეურნეო განყოფილებისათვის ყველა ზედმეტი საეკლესიო ნივთი დამშეულთა კომიტეტისათვის ჩასაბარებლათ. მართლაც, საეკლესიო ნივთები ხატებამდის ბევრი ეკლესიიდან ჩაბარდა სამეურნეო მმართველობის, მაგრამ აქედან ისინი დამშეულთა კომიტეტისათვის არ გადაუციათ, გაყიდულ იქნენ და ფულები გაუხმარებლათ ინახებოდა საკათოლიკოსო საბჭოს სამეურნეო მმართველობაში, სადაც აღმოჩენილ იქნენ რევიზიის დროს სარევიზიო კომისიის მიერ. ჰკრებდნენ რა ძვირფასეულობას სხვადასხვა პატარა ეკლესიებიდან, არც კათოლიკოს ამბროსის და არც საკათოლიკოსო საბჭოს არც გახსენებით და არ ჩააბარეს დამშეულთა კომიტეტს არც ქუთაისში დამალული განზეულობა და არც დიდუბის ეკლესიაში შენახული 30 გირვანქა ძვირფასი თვლები. ყველა ძვირფასეულობა სარევიზიო კომისიის მიერ აღმოჩენილი, აღწერის შემდეგ მოგროვილ იქნა, დაბეჭდილი პატარა საკუჭნაოში კათალიკოს ამბროსის სახლის ეკლესიაში, სადაც გამოუკვლეველ მიზეზების გამო თვით საკუჭნაო და განძეულობას 14 მაისს ღამისას გაუჩნდა ცეცხლი (საქმის ფ. 273, 274, 283 და აქტი ცეცხლის შესახებ).

ამ შემთხვევამდე იმავე საეკლესიო სახლში კათოლიკოს ამბროსისა, რომლის კლიტები მუდამ ჰქონდა კათოლიკოს ამბროსის ეკონომს ბერ ეფრემს, უცნობ პირებს გაეტეხათ კარი საკათოლიკოსო საბჭოს დაბეჭდილ ოთახისა, საიდანაც ძვირფასეულობა არ უნდა ყოფილიყო წაღებული, როგორც ეს გამოირკვა, რაც ნიშნავს იმას, რომ ქურდის მიზანს შეადგენდა არა ძვირფასეულობა, რომ კარის გატეხა მოთხოვნილ იქნა იმ პირების მიერ, რომელნიც დაინტერესებულ იყვნენ არა ძვირფასეულობით, არამედ საკათოლიკოსო საბჭოს საიდუმლო ქალაქდებით და საქმეებით. რა ქალაქდები იქნა წაღებული და იქნა თუ არა წაღებული – გამოურკვეველათ დარჩა, რადგან საუწყებათაშორისო კომისიას საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიის რევიზიის დროს არ შეუდგენია ამ უკანასკნელის ქალაქდების და საქმეების აღწერა (საქმის ფ. 443).

გამოძიებით აიხსნა, რომ ცეცხლი გაჩნდა არა თავისით, არამედ ის გააჩინა ბოროტმოქმედმა, მაგრამ მოპარული არაფერი არ იყო, მხოლოდ ძვირფასეულობა, რომელიც უნდა ჩაბარებოდა დამშეულთა კომიტეტს, დამწვარი და დამახინჯებული იყო (269, 276, 280).

კათოლიკოს ამბროსი და მისი ეკონომი ბერი ეფრემი, იგივე გრიგოლ სიდამონიძე,

რომელიც ცეცხლის გაჩენის ღამეს წასულ იყო შინ, არ იძლევიან შინაარსიან ჩვენებას ამის შესახებ. ეპისკოპოზი კაჭახიძემ აჩვენა, რომ მისი გარკვეული მოსაზრებით, ამ საქმეში მიიღებდნენ მონაწილეობას ის პირნი, ვინც ახლო იდგა საკათოლიკოსო საბჭოსთან. (248).

ბერი ეფრემმა აჩვენა, რომ კარების გატეხვა არის იმ პირთა საქმე, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ მოეპარათ საბუთები კანცელარიიდან ან ის, ვისაც უნდოდა საქმის ჩაფუშვა.

დასკვნა

თანახმად ზემოხსენებულისა მთელ საგამომძიებლო წარმოებისა და კონკრეტული ფაქტებისა, რომელიც საქმეში არის შესახებ ბრალდებულებისა, გამოძიება ცხადჰყოფს, რომ მოწოდება გენუის კონფერენციისადმი, რომელიც დაწერილი იყო, რომ გამოენვია უცხო სახელმწიფოების შეიარაღებული ჩარევა რესპუბლიკის საქმეებში და საქართველოს სსრ წინააღმდეგ პროპაგანდის მიზნით საზღვარგარეთ, შედგენილი იყო საკათოლიკოსო საბჭოს თავმჯდომარის კათოლიკოს ამბროსის მიერ საკათოლიკოსო საბჭოს თანხმობით, რომელი ბოროტმოქმედება ისჯება თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 60-ე მუხლის I ნაწილისა და იმავე კოდექსის 69-ე მუხლის I ნაწილისა.

საგამომძიებო მასალის მიხედვით, გამოძიება მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქ. ქუთაისში საეკლესიო განძეულობის დამალვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მიტროპოლიტი ნაზირი, არქიმანდრიტი ჯაფარიძე, რომელთა ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის I ნაწილში. იცოდნენ განძეულობის დამალვა და ჰფარავდნენ ამას მთავრობისაგან კათალიკოსი ამბროსი, საკათოლიკოსო საბჭო, საქართველოს საბჭო სამეურნეო მმართველობის დირექტორი დეკანოზი ლაზარიშვილი, რომელი ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის I ნაწილში და შესახებ არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძისა, რომელიც ყალბ ჩვენებებს აძლევდა წინასწარ გამოძიების დროს – კიდევ იმავე კოდექსის 185-ე მუხლის I ნაწილში.

შესახებ ცინცაძისა, მირიანაშვილისა, შუბლაძისა და კავჭარაძისა საუწყებათაშორისო კომისიის მიერ რევიზიის წარმოების დროს გამორკვეულ იქნა უთავბოლო და დაუდევასარი წარმოება ფულის და მეტერიალური ანგარიშებისა, რასაც შედეგად მოჰყვა ქონების გაფლანგვა, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 131 მუხლში.

შესახებ იმ პირთა, რომელნიც იღებდნენ მონაწილეობას საკათალიკოსო საბჭოს სხდომაზე 10 იანვარს ამა წლისა, რომელზედაც იყო გამოტანილი დადგენილება: „მთავრობის დადგენილება ჩაითვალოს მიუღებლათ, არ გაიგზავნოს წარმომადგენლები და არ გადაეცეს სამხედრო ტაძარი“ – სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლით, როგორც ხელისუფლების (ადმი) წინააღმდეგობა.

შესახებ ბრალდებულისა დავიდ დავიდოვისა, გამოძიებით მისი წილი ბოროტმოქმედებებში არ დამტკიცდა, რის გამო ის განთავისუფლებულ იქნას პატიმრობიდან ხელწერილის ჩამორთმევის ქვეშ.

მოხსენებული საქმე №1417 წარედგინოს კოლეგიას უზენაეს სასამართლოსთვის გადასაცემათ საჯარო (гласного – ჯ.გ.) გასამართლებისათვის პატიმრების და დამამტკიცებელ საბუთებთან ერთად.

ნარკვევი (справка – ჯ.გ.): კათოლიკოს ამბროსი იმყოფება შინ დატუსაღებული, მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, მღვდელი ცინცაძე, მირიანაშვილი იოსებ, თოთიბაძე ანტონ – გამოსასწორებელ სახლში №2;

დავიდოვი დავით, ლაზარიშვილი დიმიტრი, ჯაფარიძე პავლე – გამოსასწორებელ სახლში №1;

თავდგირიძე ნ., შუბლაძე ილია, კავჭარაძე ივანე – თავისუფლათ ხელწერილის ქვეშ; ცაგარეიშვილი და ცქიტიშვილი, როგორც საქმეში არამონაწილენი – თავისუფლათ.

გრ №4 სეკო-ს¹ რწმუნებულის მოადგილე მიკი
„თანახმა ვარ“ ნაწ (აღნიკ) სეკო (ხელმოწერა)
„ვამტკიცებ“ საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კვანტალიანი.
საქ. უახლ. ისტ. ფ. 516, აღწ.1, ს.1, ფ. 587-593.

შენიშვნა:

1. სეკო – უნდა იყოს რუსული შემოკლებული ფორმა ერთ-ერთი განყოფილების სახელწოდებისა – „სეკრეტნი ოტდელ“ (ჯ.გ.).

№55. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საეკლესიო საკითხების შესახებ

1923 წლის 12-15 სექტემბერი

მოისმინეს:

2. Церковные вопросы:

ა) О порядке регистрации молитвенных домов.

ბ) Об открытии церквей.

დაადგინეს:

1. Представленную НКЮстом (народный комиссариат юстиции _ ჯ.გ.) инструкцию о порядке регистрации религиозных обществ и выдачи разрешения на созыв съезда таковых в целом принять со следующими поправками:

ა) число учредителей увеличить до 300.

ბ) ввести к параграфу б примечание:

1. Уисполкомам (уездным исполнительным комитетам _ ჯ.გ.) предоставить право в зависимости от разбросанности населенных мест в виде исключения разрешать открытие молитвенных домов и при меньшем, но не менее 50 числе учредителей.

2. На основе инструкции признать возможным отдачу в пользование отдельным религиозным обществам церквей с необходимым культовым имуществом.

3. При невозможности вернуть ту или иную церковь до объявления решении об этом верующим, весь материал всеми мотивами и доводами, послужившими основанием к отказу, спешно направлять в специальную комиссию по церковным делам при ЦК КПГ.

4. Безусловно не возвращать военные соборы, миссионерские церкви и монастыри.

5. Признавая совершенно необходимым открытие церквей по требованию верующих (на основе принятой пленумом инструкции), ЦК дает в то же время директиву всем парторганизациям не превращать этого частичного открытия церквей в беспорядочное отступление и не развязывать стихию, руководимую антисоветскими элементами настолько, чтобы допустить возможность предъявления требований об открытии всех закрытых церквей. В то же время ЦК считает необходимым во избежание неправильных толкований, разъяснить следующее: закрытие церквей ни в каком случае нельзя считать сплошной ошибкой. В основе она имела здоровое политическое движение крестьянских масс, направленное против церкви и религии.

ЦК находит только, что парторганизации не сумели в должной мере правильно поставить антирелигиозную пропаганду среди этих масс и что часто было допущено административное вмешательство и определенное давление на решения крестьянства и что в некоторых случаях закрытие церквей проводилось голосами неверующих.

Только в этих пределах были допущены ошибки, подлежащие в настоящее время исправлению.

შს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.490, ფ.7-7ა.

№56. ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მონვევისთვის ნებართვის გაცემის წესის შესახებ.

1923წ. 22 სექტემბერი

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტისა („იმ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი, რომელნიც მოგების მიღებას არ მისდევენ, და ამ საზოგადოებათა და კავშირთა მოქმედების მეთვალყურეობის წესი“) იხ. „კომუნისტი“ №165), შეუძლიანთ მოაწყონ საეკლესიო და რელიგიური საზოგადოებანი და მოსახმარად მიიღონ რელიგიური წესების შესრულებისთვის საჭირო სამლოცველო სახლები და ქონება.

შენიშვნა: რელიგიური საზოგადოების ან უკვე არსებული მრევლის წარმომადგენელნი ტაძრის (სამლოცველო სახლს) და ქონების უფასო სარგებლობისთვის მიიღებენ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 15 თარიღით და 21-ე ნომრით გამოცემული დეკრეტის (დოკ. №20 – ვ.გ.) 15 მუხლის თანახმად, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისაგან ხელშეკრულებით, რომლის ფორმაც ამა ინსტრუქციას აქვს დართული (დოკ. №№61,62 – ვ.გ.).

2. ზემოაღნიშნული რელიგიური და საეკლესიო საზოგადოებანი უნდა გატარებულ იქნან რეგისტრაციაში ამა ინსტრუქციაში აღნიშნული წესით.

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის ივლისის 7 დეკრეტის თანახმად, არც ერთ რელიგიურ საზოგადოებას, რა კულტისაც უნდა იყოს იგი, არ შეუძლიან დაიწყონ მოქმედება, უკეთუ მისი რეგისტრაცია არ მოხდება მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მმართველობის განყოფილებაში.

4. მოქალაქენი, რომელთაც სურთ დაარსონ რელიგიური საზოგადოება, მოვალენი არიან მმართველობის განყოფილებას, რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად (სამ ცალად), წარუდგინონ სამ-სამ ცალად: ა) საზოგადოების დამფუძნებელთა კრების ოქმი; ბ) საზოგადოების წესდება; გ) დამფუძნებელთა სია, სადაც მოყვანილი იქნება ცნობები შემდეგი ფორმით:

1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, 3) სოციალური მდგომარეობა, 4) საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობა 1914 წლიდან, 5) რა წოდებას ეკუთვნოდა რევოლუციამდე 6) ქონებრივი მდგომარეობა, 7) როდის შეუერთდა ამ რელიგიურ კულტს, და საღერბო გადასახადი დაწესებული რაოდენობისა.

5. ამა ინსტრუქციის გამოცემის დროს ფაქტიურად არსებული რელიგიური საზოგადოება მოვალეა რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად (3 ცალად), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წარუდგინოს სამ-სამ ცალად: ა) საზოგადოების წესდება, ბ) საზოგადოების და მისი აღმასრულებელი ორგანოს წევრების სია, რომელიც ამა ინსტრუქციის მესამე მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული ფორმით უნდა იქნას შედგენილი, გ) სამღვდლუბისა და სხვა არჩეული პასუხისმგებელი პირებისა, იმ ფორმით, რომელიც მესამე მუხლის „გ“ პუნქტშია ნაჩვენები.

შენიშვნა: უკეთუ მრევლს, წრეს და სხვ. წესდება არ ექნება, იგი შედგენილ უნდა იქნას ამ სანიშნო წესდების მიხედვით, რომელიც ამა ინსტრუქციას აქვს დართული.

6. მმართველის სათანადო განყოფილებამ რეგისტრაციაზე უარი უნდა უთხრას ფაქტიურად არსებულ, ან ახლად დასაარსებელ რელიგიურ საზოგადოებას, უკეთუ 1) სასამართლოს მიერ უფლებებში არ შეზღუდულ მისს წევრთა, ან დამფუძნებელთა რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებთაგან 300 კაცზე ნაკლებია; 2) სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდება საზოგადოებისა, მისი მიზნები და მოქმედების მეთოდები ეწინააღმდეგებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციას და მის კანონებს.

შენიშვნა: იმ ადგილს, სადაც მცირე და გაფანტული მოსახლეობაა, წევრთა რიცხვი

შეიძლება ნაკლებიც იყოს, მაგრამ არა ნაკლებ 50 კაცისა.

7. უკეთეს რეგისტრაციის დამაბრკოლებელი პირობები არ აღმოჩნდება, მმართველობის განყოფილება აძლევს საზოგადოებას წესდების ცალს ზედწარწერით, საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების შესახებ და ბეჭედს, რომელიც რელიგიური საზოგადოების საქმეებთან ინახება.

8. ამა დადგენილების გამოცემამდე ფაქტიურად არსებული ის რელიგიური საზოგადოება, რომელიც ამა ინსტრუქციის გამოქვეყნებისა დღიდან სამი თვის განმავლობაში არნიშნული წესით რეგისტრაციას არ მოახდენს, დახურულად ჩაითვლება.

9. ერთისა და იმავე კულტის რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლიანთ მოაწყონ ადგილობრივი, ან სრულიად საქართველოს ყრილობები იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტში („კომუნისტი“ №165) და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის 1923 წლის 17 ივლისის ინსტრუქციაში („კომუნისტი“ № 170).

10. რელიგიურ საზოგადოებათა ადგილობრივ და სრულიად საქართველოს ყრილობებს შეუძლიანთ აირჩიონ აღმასრულებელი ორგანოები; ცნობები მათ შესახებ, მესამე მუხლის „გ“ პუნქტში ნაჩვენები ფორმის დაცვით, უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

11. რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებს და მათ მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოებს არ შეუძლიანთ: 1) დაანესონ იძულებითი გადასახადი; 2) ფლობდნ საკულტო ქონებას ან მიიღონ ასეთი ქონება ხელშეკრულებით; 3) შეჰკრან რაიმე ხელშეკრულება ან გარიგება.

12. რელიგიურ საზოგადოებათა, ყრილობათა და მათ შემაკავშირებელ ორგანიზაციათა მოქმედების მეთვალყურეობა ევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს.

13. ყოველი რელიგიური საზოგადოება ექვემდებარება საზოგადო დებულებათა კერძო საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან იგი განირჩევა იმით, რომ არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და საკუთრების უფლება არა აქვთ.

14. ყოველგვარი კულტის რელიგიური საზოგადოებანი უფლებათა და მოვალეობათა მხრივ თანასწორნი არიან და არც ერთი მათგანი არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით და სუბსიდიით, არც მის ადგილობრივ და ავტონომიურ დაწესებულებათაგან.

15. რელიგიური საზოგადოების წევრებს, ან მათ რწმუნებულებს შეუძლიანთ ნებაყოფლობითი შემონირულობის შეკრეფა საკულტო ქონების სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად, როგორც არის: გათბობა, დაცვა, სუფთად შენახვა ამ ქონებისა და სხვა, აგრეთვე შეკეთება საკულტო შენობისა.

16. თუმცა რელიგიურ საზოგადოებას არა აქვს იურიდიული პირის უფლებანი და საკუთრების უფლება, მაგრამ მას მაინც შეუძლიან კერძო უფლებრივი ხასიათის ისეთი გარიგების დადება, რომელსაც კავშირი აქვს საკულტო ქონების სარგებლობასთან, მაგალითად, ხელშეკრულების დადება მაგლობელთა დაქირავების, შეშის მოწოდება – მოტანის, წიგნების შეკეთების და სხვათა შესახებ.

შენიშვნა: ამგვარი გარიგების შინაარსად არ შეიძლება იყოს ისეთი ხელშეკრულებითი ურთიერთობა, თუნდაც კულტთან დაკავშირებული, რომელიც სავაჭრო ან სამრეწველო მიზნებს მისდევდეს, როგორც არის: იჯარა სანთლის ქარხნისა, სტამბის სარწმუნოებრივ – ზნეობრივი წიგნების დასაბეჭდავად და სხვა.

17. თავიანთ საზოგადო კრების და დადგენილებათა შესასრულებლად აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის მოქალაქეებს, საჭიროებისდაგვარად, შეუძლიანთ დანიშნონ კულტის მოსამსახურენი და თავიანთ წრიდან გამოჰყონ საჭირო რიცხვი რწმუნებულებისა, რომელთაგან თვითეული იმოქმედებს მისთვის მიცემული რწმუნების ფარგლებში.

შენიშვნა: კულტის მოსამსახურეთა და სხვა პასუხისმგებელ პირთა სიები ცნობების ზედდართვით უნდა წარედგინოს მმართველობის განყოფილებას ამა ინსტრუქციის მე-

სამე „გ“ პუნქტში ნაჩვენები ფორმით.

18. რელიგიურ საზოგადოებათა დახურვის წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტით.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ტალახაძე.

კომუნისტი, 1923, 28 სექტემბერი, №222.

№57. უზენაეს სასამართლოს პროკურორის ნ. ოკუჯავას წერილი განსაკუთრებული საქმეების გამომძიებელს ი. ცინცაძეს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ

1923წ. 30 ოქტომბერი

გთხოვთ გადასინჯოთ აღკვეცის ზომის საკითხი ბესარიონ ხელაიას (იგივე მიტროპოლიტი ამბროსი) მიმართ, ვინაიდან მის წინააღმდეგ წამოყენებულია მეტად მძიმე დანაშაული და მასთან ერთად, ჩემ მიერ მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ შინაური დაპატიმრების წესი მან დაარღვია და ამა ოქტომბერში გაემგზავრა ნებადაურთველად მცხეთაში (იხ. დოკ. №67 – ჯ. გ.).

უზენაეს სასამართლოს პროკურორი ნ. ოკუჯავა

მდივანი ე. დალაქიშვილი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ. 656.

№58. უზენაეს სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა დროებითი გამომძიებლის ი. ცინცაძის დადგენილება კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის პატიმრობაში აყვანის შესახებ

1923წ. 1 ნოემბერი

1923 წლის ნოემბრის 1 დღეს უზენაეს სასამართლოსთან განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა დროებითმა გამომძიებელმა ივანე ცინცაძემ განვიხილე რა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებისა გამო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის და სხვათა სისხლის სამართლის კოდექსის I ნაწილის 60 და I ნ. 69-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედობის ჩადენაში და მივიღე რა მხედველობაში, რომ კათოლიკოს ამბროსის შესახებ – აღსაკვეთ ზომათ საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ აღებული იყო შინ დაპატიმრება, დანარჩენ ბრალდებულთა შესახებ კი – დაპატიმრება გამსახლში (გამოსასწორებელ სახლში – ჯ.გ.), რომ კვლევადიებით და წინასწარი გამომძიებით მოგროვილია მხილება საკმაო მასალა, რომ ბრალდებულთადა მათ შორის განსაკუთრებით კათოლიკოს ამბროსის მოელის მძიმე სასჯელი, რასაც სრულებით არ შეეფერება ის მსუბუქი აღსაკვეთი ზომა, რომელიც მიღებულია ხსენებულ კათალიკოსის წინააღმდეგ, რომ სამართლის წინაშე თანასწორობის პრინციპის მიხედვით – საფუძვლიანი იქნება, რათა მთავარ ბრალდებულ კათოლიკოს ამბროსის შესახებ მიღებულ იქნეს ისეთივე აღსაკვეთი ზომა, რომელიც მიღებულია დანარჩენ ბრალდებულთა წინააღმდეგ, დავადგინე: მიღებული კათოლიკოს ამბროსის წინააღმდეგ წინასწარი აღსაკვეთი ზომა, შინ დაპატიმრება – რათა მოკლებულ იქნეს იგი საშვალეებს თავი აარიდოს სასამართლოს – შეცვლილ იქნეს აუცილებელ დაპატიმრებით გამოსასწორებელ სახლში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმეთა დროებითი გამომძიებელი ი. ცინცაძე.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღნ.2, ს.1, ფ. 655.

№59. დადგენილება №115 საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი „საეკლესიო განძეულის გამოყენების წესის შესახებ“

1923წ. 23 ნოემბერი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება არის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში.

2. ამ ქონების ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, დაცული უნდა იქნეს სახალხო განათლების კომისარიატის სამუზეუმო დაწესებულებათათვის გადასაცემად (სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ 1923 წლის აპრილის 17-ის თარიღითა და 232 ნომრით გამოცემული ინსტრუქცია).

3. დანარჩენი საეკლესიო განძეული (ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები), რომელსაც, მეორე მუხლში აღნიშნული მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თვითოეულ შემთხვევაში საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით საკულტურო-საგანმანათლებლო მიზნებისთვის, აგრეთვე ადგილობრივი სამეურნეო საჭიროებისათვის, უმთავრესად კი ადგილობრივი გლეხობის საჭიროებისათვის.

4. ყველა სხვა საეკლესიო ქონებას, რაც საჭიროა ღვთისმსახურებისთვის, შეინახავენ აღმასრულებელი კომიტეტები და ეს ქონება შეიძლება გადაეცეს – ადგილობრივ მცხოვრებთ რელიგიური საზოგადოების სახით – იმ წესის თანახმად, რაც განსაზღვრულია იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ რელიგიურ საზოგადოებათა შესახებ გამოცემულ ინსტრუქციაში (გაზ. კომუნისტი, №222, 1923 წ. სექტემბრის 28).

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

ტფილისი – სასახლე.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრ. არქივი, ფ. 600, აღწ. 1, ს. 74, ფ. 63.

№60. უზენაესი სასამართლოს გამომძიებლის ვ. გომართელის დადგენილება კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმესთან დაკავშირებით

1923 წ. 20 დეკემბერი

1923წ. დეკემბრის 20 დღესა, მე უზენაესი სასამართლოს გამომძიებელმა ვლადიმერ გომართელმა, განვიხილე რა ეს საქმე და მივიღე რა მხედველობაში, რომ სრულიად საქართველოს პატრიარქი ამბროსი (ქვეყნად ბესარიონ ხელაია), ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი (ქვეყნად ლეჟავა), სამღვდლო პირნი-არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე, დეკანოზები კალისტრატე ცინცაძე და იოსებ მირიანაშვილი, მღვდლები ივანე კავჟარაძე, დიმიტრი ლაზარიშვილი, ილია შუბლაძე, ანტონ თოთიბაძე და ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძე საკმაოდ იმხილებიან მათ წინააღმდეგ წინასწარ გამოძიებაზე შეკრებილ მასალით და ამიტომ დავადგინე: მოწოდებულ იქნენ ზემოხსენებულნი პირნი ამ საქმეში ვითარცა ბრალდებულნი და პატრიარქ ამბროსის წაეყენოს ბრალდება მასში, რომ მან 1922წ. მიმართა გენუის კონფერენციას მოწოდებით, რომელიც მიწერილი იყო იმ მიზნით, რომ გამოენვია უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ჩარევა (ინტერვენცია) რესპუბლიკის საქმეებში, ე.ი. ბოროტმოქმედებაში, გათვალისწინებულ სისხლის სამართლის კოდექსის 60-ე მუხლით; მიტროპოლიტ ნაზარს და არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს – 1921 წელს ქ. ქუთაისში სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობის გადამალვაში, ე.ი. ბოროტმო-

ქმედებაში, გათვალისწინებულ იმავე კოდექსის 15-ე და 105-ე მუხლებით; რომ იცოდნენ რა აღნიშნულ განძეულობის დამალვა, კალისტრატე ცინცაძემ და იოსებ მირიანაშვილმა, კათოლიკოს ამბროსიმ და საკათალიკოსო საბჭოს სამეურნეო მმართველობის დირექტორმა დიმიტრი ლაზარიშვილმა აღნიშნულ განძეულობის გადამალვა დაფარეს მთავრობისაგან, ე.ი. ბოროტმოქმედებაში გათვალისწინებულ კოდექსის 16-ე და 105-ე მუხლებით და იმავე პავლე ჯაფარიძეს – იმაში, რომ ცრუ ჩვენებები მისცა წინასწარ გამოძიების დროს, ე.ი. ბოროტმოქმედებაში, გათვალისწინებულ იმავე კოდექსის 105-ე მუხლით; კალისტრატე ცინცაძეს, იოსებ მირიანაშვილს, ილია შუბლაძეს, ივანე კავჭარაძეს და ანტონ თოთიბაძეს – იმაში, რომ უწყებათაშორის კომისიის მიერ რევიზიის წარმოების დროს გამორკვეულ იქნა უთავბოლო და დაუდევარი წარმოება ფულის და მატერიალური ანგარიშებისა მათი რწმუნებულ ეკლესიების შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა ქონების გაფლანგვა, რაც გათვალისწინებულია იმავე კოდექსის 131-ე მუხლით; პატრიარქი ამბროსი, ნიკოლოზ თავდგირიძე, კალისტრატე ცინცაძე და იოსებ მირიანაშვილი – მასში, რომ არ დაემორჩილნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 8 იანვრის №68 დადგენილებას თბილისის სამხედრო ტაძრის კ.ს.მ-დმი (კომუნისტიჩესკი სოიუზ მოლოდიოჟი – ანუ კომკავშირი – ჯ.გ.) გადაცემის შესახებ, რის გამო შედგენილ იქნა სპეციალური კომისია, სადაც უნდა შესულიყვნენ საკათოლიკოსო საბჭოს ორი წარმომადგენელი, მაგრამ ამა წლის 10 იანვარს ზემოხსენებულმა ოთხმა ბრალდებულმა, როგორც საკათოლიკოსო საბჭოს წევრებმა, გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: „საკათოლიკოსო საბჭო ძალისა გამო 1921წ. №21 დეკრეტისა (დოკ. №20 – ჯ.გ.) ვერ სცნობს თავისთვის შესაძლებლათ დასთმოს თფილისის წმ. გიორგის (ყოფილი სამხედრო) ტაძარი არასარწმუნოებრივ და ღვთისმსახურებრივ მიზნებისთვის და ამის გამო ვერც წარმოგზავნის შინაგან საქმეთა კომისარიატში თვის წარმომადგენელთ აღნიშნულ ტაძრის საღვთისმსახურო საგნების ჩასაბარებლათ, რაც შეეხება ტაძრის გასაღებს, იგი ინახება ამ ტაძრის წინამძღვართან“, ე.ი. ბოროტმოქმედებაში, გათვალისწინებულ იმავე კოდექსის 15-ე და 69-ე მუხლებით, | ნაწილი.

უზენაესი სასამართლოს გამომძიებელი ვ. გომართელი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქ. ფ.516, აღნ.2, ს.2, ფ.9.

№61. იუსტიციისა და შს კომისარიატების „ინსტრუქცია იმ საკითხების გამო, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ გამოცემულ დეკრეტთან და ინსტრუქციასთან რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ“

1923 წლის 20 დეკემბერი

ვინაიდან გამოქვეყნებული არ არის იუსტიციის სახალხო კომისარისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ 1923 წლის სექტემბრის 22-ს რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ გამოცემულ ინსტრუქციაში („კომუნისტი“, №222, 1923 წ., სექტემბრის 28) აღნიშნული ნიმუში ხელშეკრულებისა ტაძრების და საეკლესიო ქონების სარგებლობისათვის მიღების შესახებ, აგრეთვე რელიგიურ საზოგადოებათა სანიმუშო წესდება, ამიტომ ხსენებულ ინსტრუქციით დაწესებული ვადა უკვე არსებულ რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისთვის უნდა გაგრძელებულ იქნეს.

ამას გარდა, შეფარდება დეკრეტისა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ (საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის დეკრეტი №21-1921წ. აპრილის 15), აგრეთვე ინსტრუქციისა რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ ადგილობრივ ცოტათი გაძნელებულია.

ამის გამო იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი თავისი 1923 წ. სექტემბრის 22-ის ინსტრუქციის დასამატებლად და მე-3, 5 და 9 მუხლების შესაცვლელად,

ადგენენ:

1. ვადა ფაქტიურად არსებულ რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისათვის გაგრძელებულ იქნეს 1924 წ. თებერვლის 1-მდი.

2. 1923 წ. სექტემბრის 22-ის ინსტრუქციის (“კომუნისტი“, №222, 1923, სექტემბრის 28) მე-3, 5 და 9 მუხლი აღნიშნოს შემდეგნაირად:

ა) „არც ერთ რელიგიურ საზოგადოებას, რა კულტისაც უნდა იყოს იგი, არ შეუძლიან დაიწყოს მოქმედება, უკეთუ მისი რეგისტრაცია არ მოხდება მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მართველობის განყოფილებაში (მუხლი 3)“.

ბ) „ამა ინსტრუქციის გამოცემის დროს ფაქტიურად არსებული რელიგიური საზოგადოება მოვალეა რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად წარუდგინოს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის მმართველობის განყოფილებას: 1) საზოგადოების წესდება – 3 ცალად, 2) საზოგადოებისა და აღმასრულებელი ორგანოს აწინდელ წევრთა სია, რომელიც ამა ინსტრუქციის მეოთხე მუხლის „გ“ პუნქტში აღნიშნული ფორმით უნდა იქნეს შედგენილი – 3 ცალად, 3) სია მღვდლებისა, ეპისკოპოსებისა, მქადაგებლებისა და სხვა არჩეული პასუხისმგებელი პირებისა იმ ფორმით, რაც მეოთხე მუხლის „გ“ პუნქტშია ნაჩვენები.“

შენიშვნა. რელიგიური საზოგადოების წესდება შედგენილ უნდა იქნეს იმ სანიმუში წესდების მიხედვით, რომელიც ამა ინსტრუქციას აქვს დართული, თუ ამ ინსტრუქციის გამოცემის დროს ფაქტიურად არსებულ რელიგიურ საზოგადოებას უკვე აქვს თავისი წესდება, იგი შეიძლება განსხვავდებოდეს სანიმუშო წესდებისაგან, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონისა და ამა ინსტრუქციის მოთხოვნას.

გ) „ერთისა და იმავე კულტის რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლიანთ მოაწყონ ადგილობრივი ან სრულიად საქართველოს ყრილობები იმ საფუძვლითა და წესით, რაც აღნიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წ. ივლისის 17 (უნდა იყოს 7 – ჯ.გ.) დეკრეტში („კომუნისტი“, №165, 1923 წ., ივლისის 20) (მუხლი 9)“.

3. რელიგიური საზოგადოების წესდება, რომელიც გამოქვეყნებული იქნება ამა ინსტრუქციასთან ერთად, წარმოადგენს ტიპურ წესდებას და შეიძლება შევსებულ იქნეს სხვადასხვა დამატებითი მუხლებით, მაგალითად, უნდა უფრო დაწვრილებით აღნიშნულ იქნეს მოძღვრება და პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს რელიგიური საზოგადოების დოგმატიურ დებულებას და სხვ.

4. დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ არის ძირითადი კანონი, რომელსაც უნდა დაემყაროს ადგილობრივი ხელისუფლების ყველა განკარგულება და მოქმედება.

5. იმ შემთხვევაში, უკეთუ გამოაშკარავდება რელიგიური საზოგადოების მონაწილეობა კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლებში, ან და უკეთუ გამოაშკარავდება საეკლესიო ქონების ბოროტად გამოყენება ან მისი გაფლანგვა, ხელშეკრულება ამ რელიგიურ საზოგადოებასთან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მოიშლება, ტაძარი სხვა რელიგიურ საზოგადოებას გადაეცემა, ხოლო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი კი მიეცემა სამართალში.

6. კულტის ასრულება, აგრეთვე ქადაგების წარმოქმნა, რამდენადაც ეს შეადგენს კულტის ღვთისმსახურების აუცილებელ ნაწილს, შეიძლება თავისუფლად, წინასწარი ცენზურის მოუხდენლად, იმ პირობით კი, რომ იგი თავისი შინაარსით ფაქტიურად მართოდენ რელიგიური ხასიათისა იყოს; აგრეთვე თავისუფლად და ისე, რომ ყოველ ცალკე შემთხვევისათვის საჭირო არ არის წინასწარი ნებართვა, მოქმედების მლოცველთა კრება რელიგიურ საზოგადოების სარგებლობაში მყოფ სადგომში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ადამიანი მონაწილეობს ამ კრებაზე, აგრეთვე კრება მოწვეული იმ საკითხების გამო, რაც შეეხება ტაძრის დაცვა-შენახვას და საკულტო ქონების გამგეობას.

7. ბურჟუაზიულ-ანარქიული და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოძღვრების რელიგიური მოძღვრების სახით, გავრცელებისა და ქადაგებისათვის, რაც საბჭოთა ხელისუ-

ფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული, დამნაშავე სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების ძალით, სისხლის სამართალში იქნება მიცემული.

8. რელიგიურ ორგანიზაციას, თანახმად დეკრეტისა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ, არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება, აგრეთვე უფლება იურიდიული პირისა. ამის გამო რელიგიურ ორგანიზაციას, კერძოდ ყოფილ კონსისტორიებს, რომელთაც ეხლა საეპარქიო საბჭო, მმართველობა, გამგეობა, გენერალური კონსისტორია და სხვ. ეწოდება, რა სახელიც უნდა ერქვათ, და რა კულტისაც უნდა იყვნენ, არ შეუძლიანთ მიითვისონ სასამართლო, დამსჯელი და საგადასახადო ფუნქციები; ვინაიდან რელიგიურ ორგანიზაციას არა აქვს იურიდიული პირის უფლება, მას არ შეუძლიან სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და სხვ. მიზნით გასცეს მონაშობა ან მანდატი რელიგიური ორგანიზაციისა ან შენაერთის წარმომადგენლობისათვის. აგრედვე ძალა არ აქვს ყოველგვარ ექსპერტიზას, მონაშობას და სხვა, რასაც გასცემს ეგრედ ნოდებული „რელიგიურ საზოგადოებათა და ჯგუფების გაერთიანებული საბჭო“ იმ საქმის გამო, რომელიც შეეხება რელიგიური რწმენის მიზეზით სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებას და სხვ. რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლიან გასცეს მანდატი, მონაშობა და სხვა მარტოოდენ რელიგიური საქმეებისათვის რელიგიურ ჯგუფსა და საზოგადოებას შეუძლიან იხმაროს შეტემპელი, ბეჭედი და ბლანკი.

9. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეს შეუძლიან თავისი და თავისი ერთმორწმუნეთა სახელით მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ყრილობაში, ხოლო არავითარ შემთხვევაში მას უფლება არა აქვს ამ ყრილობაზე გამოვიდეს საზოგადო, სახელმწიფო, საპროფესიო ან სამრეწველო დარგის მშრომელთა სახელით, როგორც მათი წარმომადგენელი.

10. თანახმად საკულტო შენობის უსასყიდლოდ სარგებლობის ხელშეკრულებისა, რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელნი პასუხს აგებენ მათდამი რწმუნებული სახალხო ქონების შენახვისა და სიმრთელისათვის, აგრედვე ტაძარში წესიერების დაცვისათვის.

ამის გამო თვით რელიგიური საზოგადოების ნებაყოფლობით თანხმობაზეა დამოკიდებული დაემორჩილოს ცენტრალურ ან საეპარქიო ორგანოთა მიერ შინაგანი საეკლესიო დისციპლინის წესით გაცემულ განკარგულებას იმდენად, რამდენადაც ეს განკარგულება შეეხება საკულტო ქონების სამეურნეო მართვას, ან საეკლესიო თანამდებობის პირთა (კულტის მსახურთა, დარაჯების და სხვ.) მიერ თავისი მოვალეობის აღსრულებას.)

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მაგიერ ვ.ტალახაძე.

ქ. ტფილისი.

კომუნისტი, 1923წ., 21 დეკემბერი, №294.

№62. იუსტიციისა და შს კომისარიატების მიერ შედგენილი „ინსტრუქციის დამატებანი იმ საკითხების, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ გამოცემულ დეკრეტთან და ინსტრუქციასთან რელიგიურ საზოგადოებათა შესახებ“

1923 წლის 20 დეკემბერი

დამატება I

წესდება

საზოგადოების სახელწოდება, შეთანხმებული სამლოცველო სახლის ან კულტის სახელწოდებასთან (რელიგიური საზოგადოება, ქალაქ ... ან მაზრის ... თემის ... სოფლის...).

1. საზოგადოების მიზანი

1. ... (სახელწოდება) რელიგიურ საზოგადოებას მიზნად აქვს გაერთიანება... სარწმუნოების მოქალაქეთა... რაიონში (ქალაქი, სოფელი ან ის ადგილი, სადაც სამლოცველო სახლი მდებარეობს).

2. ამ მიზნით... (სახელწოდება) რელიგიური საზოგადოება: 1) მართავს სალოცავ კრებებს, 2) განაგებს საბჭოთა ხელიუფლების ადგილობრივ ორგანოთაგან ხელშეკრულებით მიღებულ ქონებასა, 3) სდებს კერძო უფლებრივი ხასიათის გარიგებას, რომელსაც კავშირი აქვს საკულტო ქონების მართვა-გამგებლობასთან, 4) მონაწილეობას იღებს რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებში, 5) ნიშნავს კულტის მოსამსახურეებს რელიგიურ წესების შესასრულებლად.

2. საზოგადოების შედგენილობა

3. ... (სახელწოდება) რელიგიური საზოგადოების წევრად ყოფნა შეუძლიან ყველა ადგილობრივ მცხოვრებს, რომელი ხსენებულ კულტს ეკუთვნის.

4. საზოგადოების წევრად ჩარიცხვა ხდება საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაზე ახდელი კენჭისყრით ხმის უბრალო უმრავლესობით.

5. საზოგადოებიდან გასვლა ხდება ან გამსვლელის პირადი განცხადებით, ან საზოგადოების დამსწრე წევრთა 2/3-ს დადგენილებით სიებით).

6. საზოგადოების წევრთა სიები ყოველწლივ უნდა წარედგინოს. აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილებას.

3. საზოგადოების საშუალებანი

7. საზოგადოების ცალკე წევრს ან საზოგადოების რწმუნებულს შეუძლიან ნებაყოფლობითი შემოწირულობათა შეკრება საკულტო ქონების მოხმარებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

შენიშვნა: საზოგადოების წევრებზე სავალდებულო სანევრო გადასახადის შეწერა არ შეიძლება.

საზოგადოების საქმეთა მართვა-გამგებლობა

8. საზოგადოების ცხოვრებაში აღძრული ყველა საკითხი, გარდა საზოგადოების წესდების 5 და მე-2-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, უნდა გადაწყდეს საზოგადოების საზოგადო კრებაზე ახდელი კენჭისყრით ხმათა უბრალო უმრავლესობით; საზოგადოების საზოგადო კრებები ღია უნდა იყოს და მათი მოწვევის დროს დაცულ უნდა იქნეს საამისოთ მიღებული საერთო წესი.

9. თავისი დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად, აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის, საზოგადო კრება, საჭიროებისდაგვარად, თავის წრიდან ირჩევს რწმუნებულებს, რომელთაგან თვითთული მოქმედებს მინიჭებული რწმუნების ფარგლებში (იხ. მუხლი 2).

წესდების შეცვლის წესი

10. საზოგადოების წესდება შეიძლება შეცვლილ იქნეს საზოგადოების საზოგადო კრების მიერ, მისი წევრების წინადადებით, ხმათა 2/3-ს უმრავლესობით და ძალაში შედის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დამტკიცების შემდეგ.

საზოგადოების დახურვის წესი

11. საზოგადოების დახურვა შეიძლება; 1) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით ისეთი შემთხვევების დროს, რომელიც აღნიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტის მე-3 მუხლის შენიშვნაში; 2) საზოგადოების წევრთა ნაწილის დაპატიმრების გამო; 3) საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით.

12. უკეთეს საზოგადოება დახურულ იქნა, საზოგადოების სარგებლობაში მყოფი მთელი ქონება საზოგადოების საზოგადო კრებაზე არჩეული საგანგებო რწმუნებულის მიერ, საინვენტარო სიით დაუბრუნდება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს.

დამატება №2

ხელშეკრულება

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომწერთ, წარმომადგენელთ (ამა და ამ) რელიგიური საზოგადოებისა, (ამა და ამ ადგილას ან ამა და ამ ქალაქში მცხოვრებით), დავდეთ ეს ხელშეკრულება (ამა და ამ) აღმასრულებელ კომიტეტთან, მისი რწმუნებულის (თანამდებობა, სახელი და გვარი) სახით მას შინა, რომ 192.... წელს ... თვეს რიცხვს აღმასრულებელი კომიტეტისაგან უვადოთ და უფასო სარგებლობისათვის მივიღეთ (აქა და აქ) მდებარე (ესა და ეს) ღვთისმსახურების შენობა) და ღვთისმსახურების საგნები ჩვენი ხელმოწერით შემონმბეული განსაკუთრებული აღწერილობით, შემდეგი პირობით:

1. მთელი ჩვენი (ესა და ეს) რელიგიური საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს გაუფრთხილდეს მასზე გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ამ ქონებით მარტოოდენ მისი დანიშნულების შესაფერისად, ამასთან საზოგადოება კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ჩაბარებული ქონების სიმრთელისა და შენახვისთვის, აგრედვე ამ ხელშეკრულებით თავისთავზე მიღებულ ყველა სხვა მოვალეობის შესრულებისათვის.

2. საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს ტაძრებითა და იქ შენახულ ღვთისმსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოოდენ რელიგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს მიიღოს ყოველი ზომა იმისათვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ისეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულების 1-ლ და 2 მუხლს.

კერძოდ, საზოგადოება მოვალეა აღკრძალოს მის გამგებლობაში გადასულ ღვთისმსახურების სადგომში:

ა) საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრებების გამართვა;

ბ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართულ წიგნების, ბროშურების, ფურცლების და ეპისტოლების დარიგება და გაყიდვა;

გ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ქადაგების და სიტყვების წარმოთქმა;

დ) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მცხოვრებთა აღელვების მიზნით ზარის რეკით განგაშის მოხდენა.

4. საზოგადოება მოვალეა თავისი ქონებით გაისტუმროს ტაძრის (ან სხვა ღვთისმსახურების შენობის) და ამ ტაძარში დაცული საგნების შესანახად საჭირო მიმდინარე ხარჯები, სახელდობრ, რემონტი, გათბობა, დაზღვევა, დაცვა, გასტუმრება ვალებისა, გადასახადებისა, ადგილობრივი შენაწერისა და სხვა.

5. საზოგადოება მოვალეა იქონიოს ღვთისმსახურების ქონების საინვენტარო აღწერილობა, საიდანაც შეტანილი უნდა იქნას რელიგიური კულტის ყოველი ახლად შესული (შენიშნულებით, სხვა ტაძრებიდან გადაცემით ან სხვა გზით) საგანი, რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო საკუთრებას არ შეადგენს.

6. საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთისმსახურება არა სწარმოებს, შეუშვას ტაძარში

აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი ქონების დრო გამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალისწინებლად.

7. მიღებული ქონების დაკარგვის ან გაფუჭებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს სოლიდარულად, იმ ზარალის ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

8. საზოგადოება მოვალეა, უკეთეს საჭირო იქნება მიღებული ქონების უკანვე ჩაბარება, ჩააბაროს იგი იმ სახით, რა სახითაც მან მიიღო სასარგებლოდ და შესანახად.

9. უკეთეს საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულების მოსპობას, იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობოს კომიტეტს, ამასთან ამ განცხადების შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი აღსრულებისათვის; საზოგადოება მოვალეა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

10. საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრულებაზე ხელი უწერია, შეუძლიან გავიდეს ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვიდან; ამისთვის მან წერილობით განცხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მთელი იმ ზარალისთვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას იღებდა ამ ქონების სარგებლობაში და გამგებლობაში იმ დრომდე, ვიდრე იგი სათანადო განცხადებას შეიტანდა:

ამ ხელშეკრულების დედანი ინახება... აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში, ხოლო სათანადოდ შემოწმებული პირი გვეძლევა ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენელთ, რომელთაც ამ ხელშეკრულებაზე ხელი გვინერია და რომელთაც აღწერილობით... 1923წ. რელიგიურის მიზნით, სასარგებლოდ მივიღეთ ღვთისმსახურების შენობაში და მათდამი დაცული საგნები.

11. უკეთეს საზოგადოება, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა შესაძლებელ ღონისძიებას, ხელშეკრულება ესე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შეიძლება მოსპობილ იქნას; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნება დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მაგ. ტალახაძე.

ქ. ტფილისი.

კომუნისტი, 1923წ., 22 დეკემბერი, №295.

№63. საქართველოს უზენაეს სასამართლოს გამომძიებლის ვ. გომართელის მიერ კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის დაკითხვის ოქმი

1923წ. 23 დეკემბერი

მე ჩემს თავს დამნაშავედ არ ვცნობ. ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებში (წარედგინა ბრალდებები თანახმად დადგენილებისა) და მას, რაც უჩვენე საგანგებო კომისიის გამომძიებელს, დაუმატებ კიდევ შემდეგს: მე ველოდი, რომ გენუაში უნდა შედგეს სამშვიდობო კონფერენცია, სადაც სხვათა შორის იქნებოდა დასმული საკითხი მცირე ერების თვითგამორკვევის შესახებ. მე მეგონა, რომ იმ კონფერენციაზე იქნებოდა ჩვენი ეხლანდელი საქართველოს მთავრობის წარმომადგენელიც, რომელიც დაიცავდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს და მე ჩემი მონოდებით ვფიქრობდი, ხელს შეუწყობდი მას და მე სრულიადაც მიზნად არ მქონია აღნიშნული მონოდებით გამომენვია უცხო სახელმწიფოების ინტერვენცია. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ვცნობ და არ შემიძლია არ ვცნო, ვინაიდან ამას გვიკარნახებს საღმრთო წერილი. მე ჩემის მონოდებით სრულიად არ მსურდა ჩარევა მთავრობის შინაურ საქმეებში. სიონისა

და მცხეთის ძვირფასეულობის ქ. ქუთაისში დამარხვის შესახებ მე არაფერი არ ვიცოდი სანამ არქიმანდრიტ ჯაფარიძემ არ გადმომცა აღნიშნული ძვირფასეულობის აღმოჩენის შესახებ. მე სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელი საეკლესიო ძვირფასეულობა წაღებულია მენშევიკურ მთავრობის მიერ საზღვარგარეთ. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ ვითომ საკათოლიკოზო საბჭომ, რომლის თავმჯდომარეც მე ვიყავი, თავის დადგენილებით წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას, არ არის სწორი და ამის შესახებ გიჩვენებთ, რომ საკათოლიკოზო საბჭომ მოახსენა მთავრობას, ჩაებარებია სამხედრო ტაძარი უკანასკნელის წინამძღვრის დეკანოზ ანტონ თოთიბაძისაგან, მხოლოდ საბჭო სთხოვს მთავრობას, რომ საბჭოს არ მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ ტაძრის მოშლაში, ასე რომ ამ შემთხვევაში საბჭოს მთავრობისათვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

მოწოდება ჩემს მიერ დაწერილი იყო ქართულ ენაზე და საგანგებო კომისიის თხოვნით მე დავწერე რუსულად, რომელიც საქმეშია ჩართული. ვასწორებ ჩემს ჩვენებას განძეულობის დამალვის შესახებ. ვიდრე მე დამატუსაღებდნენ ჭორად გავიგე, რომ სიონის და მცხეთის ტაძრის, ქონება შენახულია საქართველოში, მაგრამ სად, არ გამიგია. საკათოლიკოზო საბჭოს კრების წინ მე ვიყავი სხვებთან ერთად დაპატიმრებული. მე ეს ჭორები არ მჭირდება, მჯეროდა და ვიყავი დარწმუნებული, რომ საეკლესიო განძეულობა წაღებულია საზღვარგარეთ. ყოველ შემთხვევაში, მის შესახებ დატუსაღებისა გამო ვერ მოვასწარი მოხსენება გამეკეთებია საკათოლიკოზო საბჭოსათვის.

წაკითხულია:

კათოლიკოსი ამბროსი.

უზენაესი სასამართლოს გამომძიებელი ვლ. გომართელი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრ. არქივი, ფ. 516, აღნ. 2, ს. 2, ფ. 14.

№64. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამომძიებლის ვ. გომართელის მიერ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის დაკითხვის ოქმი

1924წ. 6 იანვარი

ჩემს თავს დამნაშავედ არ ვცნობ ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაში, ესე იგი ცრუ ხმების ჩემს მიერ გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილ მოწოდებით გავრცელებაში, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე და ჩემს გასამართლებლად გიჩვენებთ: მაშინ, როდესაც მე ვწერდი გენუის კონფერენციისადმი მოწოდებას, გადაჭრით ყველა ლაპარაკობდა, რომ საქართველოთგან იყო გატანილი როგორც ტრამვაის, ისე რკინისგზის რონოდები. ამბობდნენ აგრეთვე სამხედრო ქონების გატანის და ბევრი სხვა და სხვა. ახლა ამერიკაში მყოფი დეკანოზი იასონ კაპანაძე იყო საკათალიკოზო საბჭოს მმართველად. იოსებ მირიანაშვილი საკათალიკოზო საბჭოს წევრად იყო არჩეული ჩემი პატრიარქად არჩევის შემდეგ, ესე იგი 1921 წ. სექტემბერში. მეტს არას დაუმატებ.

წაკითხულია,

კათოლიკოზი ამბროსი, უზენაესი სასამართლოს გამომძიებელი ვ. გომართელი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ. 2, ს. 2, ფ. 34, 43.

№65. უზენაესი სასამართლოს გამომძიებლის ვ. გომართელის მიერ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის დაკითხვის ოქმი

1924წ. 11 იანვარი

მე ჩემს თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ წამოყენებულ ბრალდებებში (წარედგინა ბრალდებულ პატრიარქ ამბროსის ბრალდება თანახმად გამომძიებლის ამავე რიცხვის თარიღ-

ით დადგენილებს) და მას, რაც უნინ ნაჩვენები მაქვს ამ საქმეზე, დავსძენ შემდეგ: მე კიდევ ვიმეორებ, რომ სიონის და მცხეთის განძეულობის ქ. თბილისდგან ქ. ქუთაისში გადატანის შესახებ და მისი დამალვისა არაფერი არ ვიცოდი, ვინაიდან მე იმ დროს ვმსახურობდი მიტროპოლიტად აფხაზეთში. საქართველოში ჩამოვარდნილ შიმშილობის გამო მე ჩემის პირადი ინიციატივით შევიტანე საკათალიკოსო საბჭოში წინადადება, რომ ეკლესიებს თავის მხრივ აღმოეჩინათ დახმარება დამშეულთათვის. ჩემი წინადადება სავსებით გაიზიარა საკათალიკოსო საბჭომ და მან დაადგინა მიეცეს ეკლესიებს და მონასტრებს წინადადება ცირკულიარის სახით თუ რაც მეტი რამ ჰქონდათ, გადმოეგზავნათ საკათალიკოზო საბჭოს სამეურნეო გამგეობაში, გარდა იმ ნივთებისა, რომლებსაც ქონდათ ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობა. ამ დადგენილების შესახებ საკათალიკოზო საბჭომ თავის დროზე აცნობა „პომგოლს“. მასსოვს, რომ ზოგიერთი ტფილისის ეკლესიებითგან შემოვიდა ნივთები და ზოგიერთებიდან – ფული. ამა თუ იმ ეკლესიიდან შემონირულობა უნდა მომხდარიყო ეკლესიის სამრევლო საბჭოს თანხმობით, ასე რომ საკათალიკოზო საბჭოს დადგენილებას არ ჰქონია მაინცა და მაინც ძალდატანებითი ხასიათი. მე, როგორც მასსოვს, საქართველოს მთავრობის მიერ არ ყოფილა გამოცემული რაიმე ცირკულიარი, ანუ დეკრეტი ეკლესიებიდან განძეულობის ამოკრეფის შესახებ დამშეულთა სასარგებლოთ. მართალია, საუნწყებათაშორის სარევიზო კომისიამ საკათალიკოზო საბჭოში აღმოაჩინა ეკლესიების მიერ შემონირული ნივთები, როგორც, მაგალითად, ხატები და სხვა, მაგრამ ჩვენი რელიგიური რწმენის მიხედვით, გვეშინოდა რა მათი დამტვრევის, გვინდოდა გაგვეყიდნა და ფულად გაგვეგზავნა „პომგოლისთვის“. მეტს არას დაუმატებ.

ნაკითხულია,

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, უზენაეს სასამართლოს გამომძიებელი. ვლ. გომართელი.

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ.516, აღწ. 2, ს.2, ფ. 60-61.

№66. უზენაეს სასამართლოს გამომძიებელ ვ. გომართელის დასკვნითი დადგენილება კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმესთან დაკავშირებით

1924წ. 19 იანვარი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს 1) ამბროსის /ქვეყნად ბესარიონ ხელაია/, ქუთაისის მიტროპოლიტის 2) ნაზარის /ქვეყნად ანდრია ლეჟავა/, ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვრის დეკ. 3) კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძის, დიდუბის ეკლესიის წინამძღვრის დეკ. 4) იოსებ დიმიტრის – ძე მირიანაშვილის, ქვაშვეთის ეკლესიის დეკანოზ 5) დიმიტრი ივანეს ძე ლაზარიშვილის, 6) მცხეთის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის, 7) ვერის ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრის დეკ. ანტონ თოთიბაძის, 9) სიონის ტაძრის წინამძღვრის, საკათალიკოზო საბჭოს ყოფილი მმართველის იასონ კაპანაძის, 10) ნიკოლოზ ივანეს ძე არჯევანიძის და 11) ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძის ბრალდებისა გამო ბოროტმოქმედებებში, გათვალისწინებულ სისხლის სამართლის კოდექსის 10, 15, 16, 60, 69 მე-3 ნაწ. 73, 74, 116 მე-2 ნაწ. და 131 მუხლებით.

1922წ. თებერვალში, სრულიად საქართველოს კათოლიკოზმა ამბროსიმ (ქვეყნად ბესარიონ ხელაია) გენუის კონფერენციას მიმართა შემდეგი შინაარსის მონოდებით.

აღნიშნული მონოდება მოთავსებული იყო იმავე წელში მისში გენუის გაზეთ „კაფარა“-ში /იხ.ს.ფ. I 02-104/, რომლის შინაარსი წინასწარ გამოძიებაზე დაადასტურა და თავის ხელით დასწერა კათოლიკოზმა ამბროსიმ.

ამის გამო საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ მოხდენილ წინასწარ გამოძიებით გამოირკვა, რომ გარდა კათოლიკოზ ამბროსისა, გენუის კონფერენციისადმი მიმართულ მონოდების შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ საკათალიკოზო საბჭოს წევრი კალის-

ტრატე ცინცაძე, ნიკოლოზ თავდგირიძე, მარკოზ ტყემალაძე და იოსებ მირიანაშვილი.

კათალიკოზი ამბროსი და საკათალიკოზო საბჭოს წევრნი არ დაკმაყოფილდნენ ზემოხსენებული კონტრევოლუციონური მონოდებით გენუის კონფერენციისადმი და განაგრძობდნენ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის წინაარმდეგ მიმართულ პოლიტიკას, რაც გამოიხატა მასში, რომ 1923 წელს 9 იანვარს საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს, რომლის თავმჯდომარე იყო კათალიკოზი ამბროსი, სახალხო კომისართა საბჭომ გაუგზავნა ტელეფონოგრამა /იხ. დამატკიცებელი საბუთი საკათალიკოზო საბჭოს საქმე №36, იმის შესახებ, რომ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით №68 რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ტაძრები გადაეცა კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირს და ამიტომ ევალება საბჭოს გაგზავნოს, იმავე იანვრის 10-ს პირველ საათზე თავისი ორი წარმომადგენელი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ამხ. კაკაბაძესთან თბილისის სამხედრო ტაძრის მღვდელმსახურობის და სხვა საგნების ჩასაბარებლად. ამ ტელეფონოგრამისა გამო საკათალიკოზო საბჭომ იმავე 10 იანვარს კათალიკოზ ამბროსის თავმჯდომარეობით და საბჭოს წევრების კალისტრატე ცინცაძის, მარკოზ ტყემალაძის, ნიკოლოზ თავდგირიძის და ნიკოლოზ არჯევანიძის თანდასწრებით გამოიტანა დადგენილება, რომლითაც საკათალიკოზო საბჭომ, ძალისა გამო 1921წ. №21 დეკრეტისა, ვერ სცნო თავისთავის შესაძლებლად დასთმოს თბილისის წმინდა გიორგის /ყოფილი სამხედრო/ ტაძარი არა სარწმუნოებრივ და ღვთისმსახურებრივ მიზნებისთვის და ამის გამო ვერც წარგზავნის შინაგან საქმეთა კომისარიატში თავის წარმომადგენელთ აღნიშნულ ტაძრის საღვთისმსახურო საგნების ჩასაბარებლად და რაც შეეხება ტაძრის გასაღებს კი, იგი ინახება ამ ტაძრის წინამძღვართან. ეს საბჭოს დადგენილება იმავე დღეს ეცნობა შინაგან საქმეთა კომისარიატს /იხ. საქმე, ფ. 508/.

ამგვარმა გამოლაშქრებებმა ერთხელ კიდევ ნათელყო ის, რომ საკათალიკოზო საბჭოს კათალიკოზ ამბროსის მეთაურობით აუღია შეურიგებელი გეზი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ და ამიტომ იმავე წლის 12 იანვარს ღამით დაპატიმრებულ იქმნენ ზოგიერთი ზემოდხსენებულნი პირნი და აგრეთვე საკათალიკოზო საბჭოსთან მყოფნი ზოგიერთი მოსამსახურენი. სხვათა შორის დატუსაღებული იყო სამხედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ანტონ თოთიბაძე, რომელიც, გამოცხადდა რა იმავე იანვრის 12-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, ამხ. კაკაბაძეს განუცხადა, რომ მას არ შეუძლია დაესწროს სამხედრო ტაძრის გადაცემის დროს, ვინაიდან საკათალიკოზო საბჭოს აღნიშნულ ტაძრის გადაცემის შესახებ სამოქალაქო ხელისუფლებისადმი დადგენილება არ გამოუტანია და გარდა ამისა, პირადათაც არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ტაძრის ჩაბარებაში თავისი რელიგიური რწმენისა გამო /იხ. ს. ფ. 506-507, 641-642/.

ამის შემდეგ შესდგა საუწყებათამორის კომისია, შემდგარი შ.ს.ს კომისარიატის მუშათა და გლეხთა ინსპექციის, საქართველოს საგანგებო კომისიის და თბილისის საბჭოს აღმსაკომის წარმომადგენლებისაგან რევიზიის მოსახდენათ იმ ეკლესიებისა და საკათალიკოზო საბჭოს დაწესებულებათა, რომელთაც ეკუთვნოდნენ დაპატიმრებულნი მღვდელ-მთავარნი. აღნიშნულმა კომისიამ, რომელმაც დაიწყო სარევიზიო მოქმედება 1923 წ. 1 თებერვალს და დაამთავრა თავის მუშაობა იმავე წელს 30 მარტს, მოახდინა რევიზია შემდეგ ეკლესიებში:

1) ქვაშეთის – გიორგის, 2) დიდუბის, 3) პეტრე-პავლეს სასაფლაოს, 4) ხარფუხის, 5) ვერის ნიკოლოზის, 6) საკათალიკოზო საბჭოს – ყველა განყოფილებებისა და სხვ.

რევიზიის შედეგი იყო.

ქვაშეთის ეკლესიის სარევიზიო აქტებიდან სჩანს, რომ რაოდენობა ინვენტარისა, ნახული რევიზიის დროს, არ ეთანხმება საინვენტარო წიგნს, აღმოჩნდა ისეთი ნივთები, რომელიც არ იყო აღნიშნული წიგნში, და ზოგი წიგნში აღნიშნული – არ აღმოჩნდა. შემოსავალ-გასავალი ნოემბრის და დეკემბრის 1922წ. არ იყო შეტანილი საანგარიშო წიგნში (შემოსავალ-გასავლის წიგნში). დეკანოზი ცინცაძე, როგორც ეკლესიის წინამძღვარი, ხსნის ამას იმით, რომ მას დრო არა ჰქონდა და მიენდო ეს ვინმესთვის არ სცნობდა საჭიროდ. 1922წ. საფულე წიგნიდან სჩანს, რომ იყო განუღი მთელი რიგი ხარჯებისა,

გასამართლებელი საბუთები და ხელნაწერები კი ამ ხარჯებისა, რომელიც უნდა გატარებულიყო ნიგნში, არ მოიპოვება (იხ. ქვაშვეთის ეკლესიის სარევიზიო აქტები №1 და 2 და ოქმები 2, 3 და 4).

დიდუბის ეკლესიის სარევიზიო აქტებიდან სჩანს, რომ ინვენტარის და ძვირფასი ნივთების რაოდენობის ნიგნებში აღნიშვნებთან შედარების დროს არ აღმოჩნდა რამოდენიმე ოქროს და ვერცხლის ნივთები. შემოსავალ-გასავლის ნიგნიდან სჩანს, რომ გამოწერილის დასახარჯავათ გასამართლებულ საბუთების მიუღებლად სხვა და სხვა საჭიროებისათვის (დახარჯულია) 10 625 000 მან. განსაკუთრებული ყურადღება სარევიზიო კომისიის მიიქცია დიდუბის ეკლესიის ძვირფასეულობამ, რომელიც 28 შეხვეულში 30 გირვანქა ნონით ნახულ იქმნა კედლის საღაროში, როგორც მაგალითად ბრილიანტები, მარგალიტები, ოქროს ნივთები და სხვა (იხ. დიდუბის ეკლესიის სარევიზიო აქტი), რომელთაც არავითარ საერთო საეკლესიო ძვირფასეულობასთან არა ჰქონდათ და უნდა გადაცემულიყო დამშეულთა დასახმარებლად. (იხ. დაწვრილებით აქტები 3 და 4 და ოქმები 3 და 5)

ვერის ნიკოლოზის ეკლესიის რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი ნივთი არ იყო დავთარში ჩანერილი. ამ ეკლესიის ნივთებთა შორის აღმოჩნდა სამხედრო ტაძრის ნივთები, გადაცემული და გაყიდული სამხედრო ტაძრიდან ვერის ნიკოლოზის დეკანოზ ანტონ თოთიბაძის მიერ (იხ. აქტი №7 და საქმის ფ. 472-474).

სამხედრო ტაძრის ინვენტარის ნიგნის მოხდენილ რევიზიიდან აღმოჩნდა, რომ ყველა ნივთი არ იყო შეტანილი დავთარში და კომისიის მიერ აღწერილობის შედგენის დროს გამოირკვა, რომ ნივთები მეტია, ვიდრე ეს არის აღნიშნული საინვენტარო ნიგნში, მაგალითად: არ არის ნიგნში შეტანილი დიაკვნის 19 სტიქარი, 14 ფელონი, ვერცხლის ხატები, ვერცხლის ნივთები, ხალიჩები და სხვა. (დაწვრილებით იხ. აქტი სამხედრო ტაძრის რევიზიისა). თავის დასკვნაში ეკლესიების პირველი რევიზიის გამო, საუწყებათაშორისო კომისიამ ჰპოვა რომ მატერიალური ანგარიშები ნარმოებული იყო არა წესიერად, რადგან ყველა ნივთები არ იწერებოდა და გამინერებოდა დავთრის ნიგნში. გარდა ამისა ყველა ფულის დახარჯვის და შემოსავლის მომენტები არ ინიშნებოდა შემოსავალ-გასავალ ნიგნში გასამართლებელ საბუთების მოყვანით და აღნიშვნით და დღემდე არ არის წარდგენილი „პომგოლ“-ში ის ნივთები, რომელიც შემოწერილი იყო დამშეულთა სასარგებლოდ, რაც ნიშნავს სამღვდელთა მხრივ დაუდევრობას, დამშეულთადმი გულცივიობას და ამ უკანასკნელთ მიმართ თავის სამოქალაქო მოვალეობის შეუსრულებლობას.

საუწყებათა შორისო კომისიამ, მოახდინა რა დამატებითი რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა საეკლესიო პირების მხრივ ახალი ბოროტმოქმედებანი, როგორც, მაგალითად, ღირსშესანიშნავია ისეთი დამახასიათებელი ხარჯები, როგორც ხარჯი დამალულ ძვირფასეულობის ქ. ქუთაისში გადასატანად განეული, რაც მოწმობს იმას, რომ საკათალიკო-ზო საბჭოში მჯდომ პირებს კარგად უნდა სცოდნოდათ სად და რისთვის იყო ნაღებული ძვირფასი ნივთები.

გამოძიების პროცესში კიდევ აღმოჩნდა ახალი ბოროტმოქმედება სამღვდელთა პირების, სახელდობრ: 1923წ. აპრილში, ქუთაისში, საარქიელო სახლის აივნის ქვეშ აღმოჩენილ იქმნა მინაში ჩაფლული მცხეთისა და სიონის ტაძრების განძეულობა /იხ. ს. ფ. 224-225/, რომელიც გატანილ იქმნა ქ. თბილისიდან 1921 წელს 24 თებერვალს არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის მიერ, როგორც საქმის გარემოებიდან და აგრეთვე საქმეში ჩართულ საბუთებიდან /იხ. ს.ფ. 215-219/ სჩანს, აღნიშნულ განძეულობის გატაცებაში ან უკვე გარდაცვალებულ ლეონიდთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ ეხლა ამერიკაში მყოფ დეკანოზ იასონ კაპანაძეს, დეკანოზ მარკოზ ტყემალაძეს, დეკანოზ დიმიტრი ლაზარიშვილს და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს.

დაკითხულებმა ამ საქმეზე, როგორც ბრალდებულებმა კათალიკოზ ამბროსიმ, არქიმანდრიტმა პავლე ჯაფარიძემ, მიტროპოლიტმა ნაზარმა, დიმიტრი ლაზარიშვილმა, მარკოზ ტყემალაძემ, იოსებ მირიანაშვილმა, კალისტრატე ცინცაძემ, ანტონ თოთიბაძემ, ნიკოლოზ არჯევანიძემ და ნიკოლოზ თავდგირიძემ არ სცნეს თავი დამნაშავედ მათ წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებებში და თავის გასამართლებლად ახსნეს პირველმა –

ამბროსიმ – რომ მონოდება იყო შედგენილი, შემუშავებული და ხელმონერილი მის მიერ და გადაეცა სანდო, მაგრამ უცნობ პირს, რომელსაც იცნობდა დეკანოზი იასონ კაპანაძე, ამ უკანასკნელის მეშვეობით გენუის კონფერენციაზე მისატანად. მეორეთ დაკითხულმა იმავე გარემოებაზე კათალიკოზმა ამბროსიმ აჩვენა, რომ მემორანდუმი გადასცა მან დასახელებულ კაპანაძეს, რომელიც მიდიოდა საზღვარგარეთ (ამერიკაში), სადაც ის მიწვეული იყო სამსახურში, დანარჩენი კი არ იცის და არ იცის აგრეთვე მიიტანა თუ არა კაპანაძემ ეს მემორანდუმი (იხ. საქ. ფ. 491).

საკათოლიკოზო საბჭოს წევრის თავდგირიძის ჩვენებიდან სჩანს, რომ კაპანაძეს უნდა გადაეცა მემორანდუმი აკაკი ჩხენკელისათვის და ნოე ჟორდანიასათვის, როგორც საქართველოს ინტერესების დამცველთათვის. კათოლიკოზი ამბროსი არ აძლევს მონოდებას პოლიტიკურ მნიშვნელობას, რადგან საბჭოთა რუსეთს ის სთვლის დამპყრობელად და არა მოკავშირეთ. ის მოვალეთ სთვლის თავის თავს ჩაერიოს პოლიტიკურ ხასიათის კითხვებში მორწმუნეთა სახელით, რადგან ქართველი ერი მიაჩნია მორწმუნეთ და რამდენადაც ის ამ ერის მიერ არის არჩეული, ლაღაღებს ამ ერის სახელით, ე.ი. სრულიად საქართველოს სახელით. წინადადებაზე, დაადასტუროს მემორანდუმის მუხლები, კათალიკოზი ამბროსი აცხადებს, რომ წითელი ლაშქარი ძალით შემოიჭრა საქართველოში, დაიპყრო იგი, გააუქმა ქართველი ერის სუვერენობა, დაქსაქსა საქართველო, მიაკუთვნა რა ერთი მისი ნაწილი აზერბაიჯანს, მეორე – სომხეთს, მესამე – ოსეთს, ჩამოაცილა რა მას ავტონომიური რესპუბლიკების სახით აჭარა და აფხაზეთი, რკინის გზა მისი შეუერთა რუსეთს, ლაშქარი – რუსის ლაშქარს, ქართული კულტურა დაეცა, ქართული ენა განდევნილია დაწესებულებებიდან და მაგალითად მას მოჰყავს ის, რომ საქართველოს საგანგებო კომისიაში უწყებები იწერება რუსულ ენაზე.

საერთო ხასიათი, როგორც მემორანდუმისა, აგრეთვე ამბროსის ჩვენებისა აშკარა კონტრევოლუციონური და შოვინისტურია. შესახებ იმისა, იცოდნენ თუ არა საკათალიკოზო საბჭოს წევრებმა, რომ მემორანდუმი იგზავნებოდა გენუის კონფერენციაზე, კათალიკოზი განმარტავს, რომ 1922 წლის აპრილში, მონოდების გამოქვეყნებამდე, მან, კათალიკოზმა, მოახსენა საბჭოს სხდომაზე, მაგრამ უკანასკნელს ამის შესახებ არაფერი დასკვნა არ გამოუტანია. დაკითხულებმა ამ გარემოების შესახებ საკათალიკოზო საბჭოს წევრებმა კალისტრატე ცინცაძემ, იოსებ მირიანაშვილმა და ნიკოლოზ თავდგირიძემ კატეგორიულად განაცხადეს, რომ მათ სრულებით არ მოხსენებიათ სხდომაზე საკათალიკოზო საბჭოში არაფერი ამ მემორანდუმისა გამო. საკათალიკოზო საბჭოს წევრებმა მარკოზ ტყემალაძემ დაკითხვის დროს აჩვენა, რომ მონოდების შესახებ კათალიკოზმა გააკეთა მოხსენება საკათალიკოზო საბჭოში, რომელსაც დაესწრო არა ნაკლებ სამი წევრისა, მათ შორის თითონაც; მოხსენება იყო არაოფიციალური, რის გამო ის არ იყო შეტანილი სხდომის ოქმში. ამ მოხსენების დროს კათალიკოზ ამბროსიმ აუწყა მათ, რომ მას აქვს ცნობა, რომ მონოდება მიღებულია უკვე გენუის კონფერენციაზე. ამ გარემოებას ადასტურებს თვით კათალიკოზი ამბროსიც, მაგრამ ვისგან მიიღო ეს ცნობა, არ ამბობს, ამბობს მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ „აღდგომამდე“, ე.ი. მონოდების პრესაში გამოქვეყნებამდე იყო ხმა, რომელმაც მის ყურამდეც მიაღწია, რომ მონოდება მიუვიდა გენუის კონფერენციას. ბრალდებულმა მირიანაშვილმა, ცინცაძემ და თავდგირიძემ და მოწმემ ეპისკოპოზ ციციშვილმა შესახებ მონოდების შინაარსის ხასიათისა აჩვენეს იგივე, რაც კათალიკოზ ამბროსიმ, ე.ი. რომ მონოდებას თავის შინაარსით აქვს რელიგიოზური და მორალური ხასიათი, მაგრამ დაკითხვის დროს დასახელებულნი პირნი იბნევიან თავის ჩვენებებში. რაც შეეხება ნიკოლოზ თავდგირიძეს, რომელსაც ჩამოერთვა დაწვრილებითი ჩვენება, ის ჩავარდა ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, რომ უარი განაცხადა ამ საკითხის შესახებ რაიმე ჩვენების მიცემაზე. რამდენიმე საეკლესიო პირებმა და მათ შორის ეპისკოპოსმა დავითმა, მიტროპოლიტ ნაზარიმ, დეკანოზ ტყემალაძემ და სხვებმა განაცხადეს, რომ ეს მემორანდუმი ჩაითვლება პოლიტიკურ ნაბიჯად, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და რითაც დარღვეულია ძირითადი პრინციპები ეკლესიის სახელმწიფოდგან ჩამოშორებისა საეპარქიო-მმართველობის მდივნის დავითაშვილის ჩვე-

ნებიდან სჩანს, რომ თუმცა საკათალიკოზო საბჭოს წევრი უარს ჰყოფენ მემორანდუმის შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ თანაუგრძობდნენ მას, რომ თუ საკათალიკოზო საბჭო, დავითაშვილის სიტყვით, არ იღებდა საერთოდ აქტიურ მონაწილეობას მონოდების შედგენაში, ყოველ შემთხვევაში, საბჭომ იცოდა თვით კათალიკოზისაგან – ამ უკანასკნელის მოხსენებით – რომ ასეთი მონოდება არსებობდა და წევრი სავსებით იზიარებდნენ მონოდებას, მხოლოდ არ ამხელდნენ მის შინაარსს კონფერენციისაგან დადებითი შედეგების მოლოდინში.

კათალიკოზი ამბროსი გადაჭრით აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ის სცნობს და არ შეუძლია არ იცნოს, ვინაიდან ამას უკარნახებს სამართო წერილიც, რომ თავის მონოდებით სრულიადაც არ სურდა ჩარევა მთავრობის შინაურ საქმეებში. სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობის ქ. თბილისიდან ქუთაისში გადატანის და მათი ქუთაისის საარქიელო სახლის აივნის ქვეშ დაკრძალვის შესახებ, ვინაიდან იგი მაშინ მსახურობდა მიტროპოლიტად აფხაზეთში, მან არა იცოდა რა, ვიდრე არქიმანდრიტმა პავლე ჯაფარიძემ არ აცნობა მას აღნიშნულ განძეულობის აღმოჩენის შესახებ, რომ თუმცა მან თავის დატუსაღებამდე ჭორად გაიგო, რომ ეს განძეულობა დარჩენილია საქართველოში, მაგრამ მას არ სჯეროდა, ვინაიდან დარწმუნებული იყო მასში, რომ განძეულობა წაღებულია საზღვარგარეთ მენშევიკური მთავრობის მიერ. რაც შეეხება ბრალდებას, რომ ვითომ საკათალიკოზო საბჭომ მისი თავმჯდომარეობით გაუწია მთავრობას წინააღმდეგობა სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ, ამბროსიმ აჩვენა, რომ საბჭომ აცნობა მთავრობას, რომ აღნიშნული ტაძარი მიეღო წინამძღვრის ანტონ თოთიბაძისაგან, მაგრამ ამასთანავე საბჭო ვერ სცნობდა თავისთვის შესაძლებლად მიეღო მონაწილეობა ტაძრის მოშლაში /იხ. ს. მე-2 ტ. ფ. 9/. საქართველოში ჩამოვარდნილ შიმშილისა გამო, მან ამბროსიმ, თავისი პირადი ინიციატივით შეიტანა საკათალიკოზო საბჭოში წინადადება, რომ ეკლესიებს თავის მხრივ აღმოეჩინათ დახმარება დამშეულთათვის. ეს წინადადება მისი სავსებით გაიზიარა საბჭომ, რომელმაც ცირკულიარულად დაუგზავნა ქალაქი ეკლესიებს და მონასტრებს, გადმოეგზავნათ საკათალიკოზო საბჭოს სამეურნეო გამგეობაში ყველა ნივთები, რომელსაც არ ჰქონდა ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობა, რა დადგენილებაც საბჭომ თავის დროზე აცნობა „პომგოლს“. ეკლესიებიდან შემონირულობა უნდა მომხდარიყო ეკლესიის სამრევლო საბჭოს თანხმობით, ასე, რომ საბჭოს დადგენილებას ამ შემთხვევაში არ ჰქონდა მანცა და მანცა ძალდატანებითი ხასიათი. საქართველოს მთავრობის მიერ კი, როგორც მას ახსოვს, არ ყოფილა გამოცემული რაიმე ცირკულიარი, ანუ დეკრეტი, ეკლესიებიდან განძეულობის ამოკრეფის შესახებ დამშეულთა სასარგებლოდ. მართალია, საუნწყებათაშორისო კომისიამ აღმოაჩინა საკათალიკოზო საბჭოში ეკლესიების მიერ შემონირული ნივთები, როგორც, მაგალითად, ხატები და სხვ., მაგრამ მათი, ე.ი. სამღვდელთა პირების რელიგიური რწმენისა გამო, ეშინოდათ რა დამტკრევის, უნდოდათ გაეყიდნათ და ფულად გაეგზავნათ პომგოლისათვის /იხ. ს.ფ. 87-98, 105-108, 117-121, 315-317, 325-327, 347-349, 482-484, 541-543 და ს. მე-2 ტ. ფ. 54 და 55/. არქიმანდრიტმა პავლე ჯაფარიძემ აჩვენა, რომ ძვირფასეულობა თბილისიდან წამოიღო მან და ეპისკოპოზმა დავით კაჭახიძემ, მაგრამ გზაში წაართვეს მათ მენშევიკმა ბენია ჩხიკვიშვილმა და პროფ. თაყაიშვილმა, რომლებმაც წაიღეს საზღვარ-გარეთ. დაკითხულმა ვითარცა ბრალდებულმა განძეულობის დამალვის შესახებ მღვდელმა პლატონ ცქიტიშვილმა, რომლის შესახებ საქმე მოსპობილია წარმოებით, აჩვენა, რომ ქუთაისში, რამოდენიმე დღის წინ გადატრიალებამდე, ის მივიდა სობოროში და დაინახა იქ ყუთი და მათთან არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე. ეს ყუთები მეორე დღესვე გადატანილი იქმნა მიტროპოლიტ ნაზარის სახლში, სადაც ჩამოვა კათალიკოზი ლეონიდე. დაპირისპირების დროს მღვდელ ცქიტიშვილთან არქიმანდრიტი ჯაფარიძე გამოტყდა და აღიარა, რომ მან მართლა კათალიკოზ ლეონიდის განკარგულებით დამარხა ყუთები ძვირფასეულობით საარქიელო სახლის აივნის ქვეშ და ზევითგან დაახურა ქვის პლიტა. უკანასკნელად დაკითხულმა ჯაფარიძემ განმარტა, რომ ან გარდაცვალებულმა კათალიკოზმა ლეონიდემ დააფიცა იგი ჯვარზე და ხატზე, რომ ამის შესახებ ის არავის ეტყვის, ვიდრე თვით კათალიკოზი არ მოახდენს

განკარგულებას განძეულობის შესახებ. იცოდა თუ არა მიტროპოლიტმა ნაზარმა განძეულობის დამარხვის შესახებ, ბრალდებულმა არ იცის. ყოველ შემთხვევაში მას ნაზარისთვის ამის შესახებ არაფერი არ უთქვამს /იხ. ს. ფ. 292-297, 313-324, 328-329, 369-370, 435 და ს. მე-2 ტომი, ფ. 11 და 52/.

მიტროპოლიტმა ნაზარმა – რომ საკათალიკოზო საბჭოს განკარგულებით 10 დღის წინეთ, ვიდრე ქუთაისში დამყარდებოდა საბჭოთა ხელისუფლება, თბილისიდან ქუთაისში ჩამოტანილი იქმნა სიონის და მცხეთის ტაძრის განძეულობა არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის მიერ-იმავე საღამოს ჩამოვიდა კათალიკოზი ლეონიდე, რომლის განკარგულებით აღნიშნული განძეულობა დაკრძალულ იქნა საარქიელო სახლის აივნის ქვეშ. ამ დაკრძალვაზე იგი არ დასწრებია, მხოლოდ ლეონიდმა ფრიად საიდუმლოდ გაანდო იგი მასში, რომ ამ განძეულობის დამარხვის ანდობს არქიმანდრიტ პავლეს. განძეულობის დამარხვაში ბრალდებული მიტროპოლიტი ნაზარი ვერ ხედავს ვერავითარ ბოროტმოქმედებას, პირიქით, ის მიაჩნდა მას უფრო საიმედო დაცვა-შენახვისათვის, ვიდრე თვით საკათედრო ტაძარში, მით უმეტეს, რომ 1922 წელს ქ. ქუთაისში საკათედრო ტაძარი გატეხა რუსის ჯარისკაცმა რომანოვმა. 1921 წელს აპრილში საბჭოთა ხელისუფლებამ საეკლესიო ქონება გამოაცხადა სახელმწიფო საკუთრებათ და ამის შემდეგ ბრალდებული დღითი-დღე ელოდა საგანგებო კომისიას, რომელიც საკათალიკოზო საბჭოს საშუალებით მოსთხოვდა მას მთელი მისი ეპარქიის ეკლესიების განძეულობას და მაშინ, რასაკვირველია, ჩააბარებდა კომისიას ყოვლის მიზეზ გარეშე და მათ შორის ზემოაღნიშნულ დაკრძალულ განძეულობასაც. ნაზარმა დაუმატა, რომ მას არ ახსოვს, მოახსენა თუ არა კათალიკოზ ამბროსის, თუ სად არის დამალული ზემოაღნიშნული ტაძრების განძეულობა, შეიძლება მოახსენა, შეიძლება არა /იხ. ს.ფ. 161-164, 399-400, 447-448, 452-453, 465-466 და საქ. მე-2 ტ. ფ. 14 და 53/.

დიმიტრი ლაზარიშვილმა – რომ 1921წ. 23 თებერვალს კათალიკოზმა ლეონიდე უბრძანა მას საკათალიკოზო საბჭოში მყოფ ძვირფასეულობის შეგროვება ქ. ქუთაისში გასაგზავნათ, მან შეაგროვა ზოგიერთი ნივთები ყოფილ კადეტთა კორპუსის ეკლესიისა, სემინარიის ეკლესიის და კავკასიაში მართლმადიდებლობის გამავრცელებელ საზოგადოების ნივთები: სახელდობრ, ოქროს ჯვრები და მენდლები, სახელმწიფო და საკათალიკოზო საბჭოს რენტები. სუყველა ეს ნივთები კათალიკოზის განკარგულებით მან ჩაალაგა ერთ ყუთში და ჩააბარა ხელწერილის ქვეშ არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს, – მეორე დღეს ლეონიდე მისწერა მას წერილი, რომელიც ბრალდებულს სახლში აქვს შენახული. ლეონიდე სწერდა მას, რომ მთავრობა მზად არის მისცეს მცველები, თუ განძეულობა მიტანილი იქნება, რკინის გზის სადგურამდე, რისთვისაც კათალიკოზი ავალეებდა მას ემოვნა ურემი. ეს თხოვნა ლეონიდესი ბრალდებულმა არ შეასრულა, ე.ი. არც ურემი უმოვნია და არც განძეულობა სადგურამდე მიუტანია. მეორე დღეს იგი კათალიკოზთან და პავლე ჯაფარიძესთან ერთად წავიდა სიონის ტაძარში, სადაც ლეონიდის კარნახით იყო შედგენილი სიები იმ ნივთებისა, რომელიც მან ჰპოვა საჭიროდ წაღების, სახელდობრ სიონისა და მცხეთის ტაძრების ძვირფასეულობის, რომლის ჩალაგების შემდეგ იგინი ჩააბარეს არქიმანდრიტ ჯაფარიძეს. ლეონიდისვე ბრძანებით, მან მისცა ჯაფარიძეს სამგზავრო ფული. როგორ იყო გაგზავნილი განძეულობა მან არ იცის, როდესაც კათალიკოზი ლეონიდე დაბრუნდა ტფილისში, მან უთხრა ბრალდებულს, რომ ყველა ძვირფასეულობა დაკარგულია, რადგან არევ-დარევის დროს მათ ვერ მოასწრეს განძეულობის ჩამოღება მატარებლიდან და იგინი წაიღეს ქუთაისიდან ქვეითო. თუმცა პირადათ ბრალდებული ლაზარიშვილი წინააღმდეგი იყო განძეულობის გაგზავნის ქ. ქუთაისში, ვინაიდან იგინი არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ ეს მოხდა ლეონიდის დაჟინებით მოთხოვნისა გამო /საქ. ფ. 129-131, 402-404, 428-430, 455-457, 530-532, ს. II ტ. ფ. 13 და 49/.

მარკოზ ტყემალაძემ აჩვენა, რომ კათალიკოზმა ლეონიდე განუცხადა მას, რომ თანახმად მენშევიკურ მთავრობის განკარგულების და საკათალიკოზო საბჭოს დადგენილებისა, ყველა ძვირფასეულობა სიონის და მცხეთის ტაძრებისა, რომელიც ინახება სიონის ტაძარში, უნდა გაიგზავნოს ქ. ქუთაისში ხაზინაში ჩასაბარებლად, ყველა ძვირფასეულობა

ჩალაგებული იყო სამ ყუთში, რომელნიც კათალიკოზის განკარგულებით მან და დეკ. იასონ კაპანაძემ ჩააბარეს ხელწერილის ქვეშ არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს, სადგურამდე ძვირფასეულობას გაჰყვა იასონ კაპანაძე, რომელმაც გადასცა მას, ბრალდებულს, რომ ძვირფასეულობა ჩააბარა სადგურზე პავლე ჯაფარიძეს ქუთაისში ჩასატანად. ბრალდებულმა არ იცოდა, რომ ძვირფასეულობა ქუთაისში იყო დამალული, მით უმეტეს, რომ პავლე ჯაფარიძემ უთხრა მას, რომ ძვირფასეულობაც ჩააბარა ქუთაისის ხაზინაში და ამიტომ ბრალდებული ფიქრობდა, რომ იგი სხვა ძვირფასეულობასთან ერთად წაღებულია საზღვარგარეთ. ბრალდებულმა სამხედრო ტაძრის ჩაბარების შესახებ განმარტა, რომ მას, როგორც საკათალიკოზო საბჭოს წევრს, სრულიად არავითარი მიზანი არა ჰქონია მთავრობისთვის გაენია რაიმე წინააღმდეგობა აღნიშნულ ტაძრის ჩაბარებაში, მით უმეტეს, რომ ტაძარი ეკუთვნოდა რუსებს, რომელთაც იგი ააშენეს. ამ შემთხვევაში საკათალიკოზო საბჭოს თავის დადგენილებით ის უნდოდა ეთქვა, რომ ისინი პირადად თავის რელიგიური რწმენის მიხედვით ვერ სცნობენ შესაძლებლად მიიღონ მონაწილეობა ტაძრიდან ნივთების გამოტანაში და თუ ამნაირი აზრი სავსებით არ არის გატარებული მათ დადგენილებაში, ეს უნდა მიენეროს მათ უცოდინარობას და იმ სიჩქარეს, რომელიც თან სდევდა განაჩენის გამოტანას. ბრალდებულმა დაუმატა, რომ მას არ სურდა განძეულობის გაგზავნა ქ. ქუთაისში და ლეონიდეს სამჯერ უთხრა უარი და ურჩევდა, რომ საეკლესიო ნივთები დარჩენილიყო თბილისში, მაგრამ კათალიკოზი მას არ დაეთანხმა (იხ. საქმე, ფ. 318-320, 357-359, ს. II. ტ. ფ. 23 და 30).

იოსებ მირიანაშვილმა – რომ არავითარი უთავბოლო და დაუდევარ წარმოებას ფულის და მატერიალური ანგარიშებისა დიდუბის ეკლესიაში, რომლის წინამძღვარი იგი არის, ადგილი არა ჰქონია. რვა ცალი ვერცხლის ხატი მიტანილი იყო ეკლესიაში გარდაცვალებულების ნათესავების მიერ, ასე რომ ამ ხატების წიგნში გატარება მას არ შეეძლო, ვიდრე ხატის მომტანი არ მოისურვებდა ხატის შეწირვას. რაც შეეხება ათი მილიონის და ექვსას ოცდახუთი ათასი მანეთის გამონერას და ამ ფულის შესახებ გასამართლებულ საბუთების უქონლობას, ამაში მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის, ვინაიდან 1922წ. დეკემბერში შესავალ-გასავლის წიგნი მას ჰქონდა გათავებული ყოველივე გასამართლებული საბუთებით. საუნყებათაშორისო კომისიის მიერ დიდუბის ეკლესიის რევიზია მოხდენილია 1923წ. 27 თებერვალს და ის კი ამ საქმეზე დატუსაღებული იყო იმავე წლის 12 იანვარს, ასე რომ იანვრის და თებერვლის შესავალ-გასავალ ანგარიშებში ის პასუხისმგებელი არ არის. საკათალიკოზო საბჭოს 1923წ. 10 იანვრის სხდომას იგი არ დასწრებია, აღნიშნულ საბჭოს წევრად იგი არჩეული იყო 1921წ. ენკენისთვეში. რაც შეეხება კომისიის მიერ მის ეკლესიაში ძვირფასეულობის აღმოჩენას, ბრალდებულმა განმარტა, რომ კათალიკოზმა ამბროსიმ შეიტანა საკათალიკოზო საბჭოში წინადადება, რომ ეკლესიებს შეენირათ დამშეულთათვის ის საეკლესიო ნივთები, რომელთაც არ ჰქონდა არქეოლოგიური, ისტორიული და აგრეთვე კულტურისთვის მნიშვნელობა. საბჭომ, მიიღო რა ეს წინადადება, დაუგზავნა ეკლესიებს თავისი დადგენილება და ამასთანავე დაავალა ეკლესიებს ფულითაც დახმარებოდნენ დამშეულთ. დიდუბის სამრევლო საბჭოს დიდის ხნობიდან ჰქონდა გადანყვეტილი იმ ნივთებით, რომელიც აღმოაჩინა საუნყებათაშორისო კომისიამ, აეშენებია ახალი ეკლესია და ამიტომ ვერ სცნო შესაძლებლად შეენირა აღნიშნული ნივთები, მაგრამ სამაგიეროდ დიდუბის ეკლესიიდან ყოველ თვე იგზავნებოდა საკათალიკოზო სამეურნეო გამგეობაში ფული დამშეულთა სასარგებლოდ. რა გარემოების დასადასტურებლად ბრალდებულმა დაასახელა მთელი რიგი მოწმეებისა. ამასთანავე ბრალდებულმა დასძინა, რომ საკათალიკოზო საბჭოში, როგორც მას ახსოვს, არის მიმონერა შინაგან კომისარიატთან, რომლიდანაც სჩანს, რომ მთავრობის განკარგულება საეკლესიო ნივთების ამოკრეფის შესახებ საქართველოში დამშეულთა სასარგებლოდ არა ყოფილა /იხ. ს. ფ. 240-242, 353-355, ს. II. ტ. 12, 48 და 49).

კალისტრატე ცინცაძე – რომ მას, როგორც საკათალიკოზო საბჭოს წევრს, სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ არავითარი წინააღმდეგობა მთავრობისათვის არ გაუწევია, რომ საბჭომ მოახსენა მთავრობას აღნიშნული ტაძარი ჩაებარებია დეკანოზ ანტონ

თოთიბადისაგან, მხოლოდ ამასთანავე სთხოვდა, რომ საბჭოს არ მიეღო მონაწილეობა ეკლესიის ტრაპეზის მოშლაში. მცხეთის და სიონის განძეულობა გაგზავნილ იქმნა სახელმწიფო ბანკში, თანახმად საკათალიკოზო საბჭოს დადგენილებისა თებერვლის 21 თარიღით. საკითხი ნივთების დაცვის შესახებ აღძრული იყო ლეონიდის მიერ. ამჟამად ბანკი გახიზნული იყო ქუთაისში, სადაც ამის გამო გაიგზავნა აღნიშნული ნივთები და აგრეთვე ის ნივთები, რომელიც ინახებოდა საბჭოში. ნივთების გაგზავნის შესახებ მიწერ-მონერა ჰქონდა საბჭოს შინაგან საქმეთა მინისტრთან. უკანასკნელს საბჭო სთხოვდა ადგილს მატარებელში ნივთებისათვის, ორი ბილეთს ნივთების წამლებათვის მატარებელშივე და მცველებს სიონიდან სადგურამდე. ამ საგნის შესახებ სათანადო მიწერ-მონერა და ყურნალი უნდა მოიძებნოს საბჭოს კანცელარიაში. ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ ლეონიდისა პირველსავე სხდომაზე ბრალდებულმა ჰკითხა ლეონიდეს, თუ სად არის წაღებული ნივთები, რაზედაც კათალიკოზმა მას მოკლედ უპასუხა „ნივთები დაბინავებულია საიმედო ალაგასა, ისინი მიფრინავენ ევროპაშიო. ბრალდებულის განცხადებაზე, შემდგარიყო ამის შესახებ სათანადო ოქმი, კათალიკოზმა მას უპასუხა: „თავმჯდომარე აქ მე ვარ და არა შენო“, რასაც დაადასტურებს დეკანოზი ბენიამინ კონტრიძე. ბრალდებული პირადათ არ ყოფილა მომხრე ნივთების ადგილიდან დაძვრისა, მიუხედავად იმისა, რომ ქვაშვეთის ეკლესიასაც აქვს საკმაო ვერცხლეულობა, მაგრამ მას არსად არაფერი გაუგზავნია.

რაც შეეხება შესავალ-გასავლის წიგნის გულგრილად და უთავბოლოდ წარმოებას, ეს ბრალდებაც მას მიუღებლად მიაჩნია, ვინაიდან ქვაშვეთის ეკლესიაში იყო წესი: თვის გასვლის შემდეგ შეიკრიბებოდა სამრევლო საბჭო, რომელსაც მოხსენდებოდა საანგარიშო თვის შემოსავალ-გასავალი. წარედგინებოდა გასამართლებული საბუთები და ნაღდი დანაშთი, შესდგებოდა წიგნში სათანადო ოქმი, მოაწერდნენ ხელს; შემდეგ ცალკე ყურნალი შესდგებოდა ამის შესახებ, ყველა დამსწრე მოაწერდა ხელს და წარედგინებოდა კათალიკოს-პატრიარქს კეთილ განსახილველად/ცნობად/. ერთად-ერთ გამონაკლისად ამ წესიდან უნდა ჩაითვალოს 1922 წლის ნოემბრის – დეკემბრის შემოსავალ-გასავალი, რომელიც დანერილია შავად/ცალკე წიგნში/ და არ არის გადატანილი თეთრ წიგნში. ეს წიგნები წაღებულია ბრალდებულის მაგიდიდან 1923წ. 12 იანვარს, საგანგებო კომისიის თანამშრომლის მიერ გაჩხრეკის დროს. ნაღდი დანაშთი ინახებოდა ეკლესიაში მის, ბრალდებულის, უჯრაში, რომლის გასაღები გადაეცა მის ოჯახს. უნდა ეკითხოს დიაკონ ანტონ ლაზარიშვილს, თუ რამდენი დახვდა იქ ნაღდი – იმავე უჯრაში, მის, ბრალდებულის, განკარგულებაში მყოფი სანთელი. ის ინვენტარი, რომელიც საგანგებო კომისიის თანამშრომლებმა წაიღო, შედგენილია 1900წ. (ბრალდებულის ქვაშვეთი გადაყვანამდე) და შეეხება ძველ – 1904წელში დაქცეულ ეკლესიას. უმთავრესი ამ საინვენტარო წიგნში აღნიშნულ ნივთებთან განი გაცემულია ღარიბ ეკლესიებზე ეკზარხოსის ნებართვით, რის შესახებ ქვაშვეთის ეკლესიის არქივში ინახება სათანადო საბუთები. ამნაირად, ეს წიგნი ახალ 1904-1910 წლებში აშენებულ ქვაშვეთის ეკლესიას სრულებით არა უდგება. ამის გამო ბრალდებულმა დაიწყო ახალ საინვენტარო წიგნის შედგენა, რომელიც ნახევრად უკვე გადაწერილია. ზოგიც შავად არის დანერილი ცალკე ფურცლებზე, რომელიც წაიღო საგანგებო კომისიის თანამშრომელმა, მხოლოდ დანარჩენი წვრილმანი თავის დროზე შეტანილ იქნებოდა ახალ წიგნში. ეს უკვე შედგენილი წიგნი ინახება ეკლესიაში. ეკლესიაში შემოსული ნივთები თანდათანობით და დრო გამოშვებით შეჰქონდა ძველ წიგნშიაც, განსაკუთრებით თვალსაჩინოები, წვრილმანი კი დაუყოვნებლივ ინახებოდა დიდ რკინის კასაში. მიცვალებულებთან ერთად მოსვენებული ხატები არ შეჰქონდა წიგნში, რადგანაც მათ უკანვე თხოულობდნენ ხოლმე ნათესავები, ხანდისხან 4-5 წლის შემდეგ. დაკარგულია მხოლოდ ერთად-ერთი ნივთი ვერცხლის შანდალი, წონით ცხრა მისხალი.

ნივთები ბანკში გაიგზავნა, იმიტომ, რომ კათალიკოზს ეშინოდა ყაჩაღების დაცემის, მითუმეტეს, რომ ის მოელოდა მთავრობის გასვლას ტფილისიდან და როდის დამყარდებოდა ახალი წესწყობილება, ეს საბჭომ, რასაკვირველია, არ იცოდა, მთავრობის განკარგულება საეკლესიო ნივთების დამშეულთა სასარგებლოდ გაღებისათვის არ ყოფილა.

იყო მხოლოდ განკარგულება საეკლესიო ნივთების აღწერისათვის, მაგრამ ეს შეჩერებულ იქმნა მის შემდეგ, როცა „პომგოლის“ მეთაურმა თოდრიამ მოისმინა ბრალდებულის და ფრანგების მღვდლის მოზალოვის განმარტებანი. საკათალიკოზო საბჭო შეეკითხა შინაგან საქმეთა კომისარიატს, იყო თუ არა მთავრობის განკარგულება საეკლესიო ნივთების ამოკრეფისათვის და პასუხი იქმნა მიღებული რომ კომისარიატმა ამგვარი განკარგულება არ იცისო. ამის შესახებ მოიპოვება სათანადო მიმოწერა საკათალიკოზო საბჭოში და თუ ბრალდებულს მიეცემა საშუალება ყოველივე ამას ის დაამტკიცებს საბუთებით /იხ. ს. ფ. 148-149, 243-245, 290-291, 350-352, 386-388. ს. ტ. II, ფ. 10, 50 და 51/.

ანტონ თოთიბაძემ – რომ არავითარი წინააღმდეგობა მას საუნწყებათაშორის კომისიისათვის სამხედრო-ტაძრის ჩაბარების შესახებ არ გაუწევია. 1923წ. 12 იანვარს, თანახმად კომისიის თავმჯდომარის კაკაბაძის დაბარებისა, ბრალდებული გამოცხადდა დილის ცხრა საათზე შინაგან კომისარიატში კაკაბაძესთან, რომლისგანაც მან, ბრალდებულმა, გაიგო, რომ საკათალიკოზო საბჭოს ქალაქი მას არ მიუღია, რის შემდეგ თოთიბაძემ სთხოვა კაკაბაძეს განთავისუფლება, ვინაიდან ბრალდებულს თავისი რელიგიური რწმენით არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ტრაპეზის დაშლაში და საეკლესიო ნივთების დანგრევაში, რაზედაც კაკაბაძემ მას უარი უთხრა. ამის შემდეგ კაკაბაძემ უბრძანა ბრალდებულს წაყოლოდა სამხედრო ტაძარში, რაც ბრალდებულმა დაუყოვნებლივ შეასრულა. კომისიამ ჩაიბარა სამრეკლო და მის ქვეშ მყოფი შენობები, რის შემდეგ იქ მოვიდა შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილე მოქ. ტალახაძე, რომელიც მოელაპარაკა კაკაბაძეს და ბრალდებული კი იყო დატუსაღებული. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სამხედრო ტაძრის ქონების ნიგნში არ იყო შეტანილი ზოგიერთი შემოსავალი, ეს აიხსნება იმით, რომ ეს შესამოსლები აღნიშნულ ტაძრისთვის არ იყო საჭირო და თანახმად კათალიკოზ ლეონიდის და სამხედრო ტაძრის კრებულის სურვილისა ეს ნიგნები უნდა დარიგებოდა სოფლის ღარიბ ეკლესიებს, ოთხი პატარა ხატი აღმოჩნდა იმ გროვა ხატებში, რომელიც დარჩენილი იყო მენშევიკების დროს სამხედრო კომისიისგან, რომელმაც ვერცხლის ხატები წაიღო ბანკში ჩასაბარებლად. ამნაირი უბრალო ხატები ბევრი აწყვია სამხედრო ტაძრის სარდაფში, რომელსაც კომისიამ ყურადღება არც კი მიაქცია, გაიგო რა თუ რაში იყო საქმე /იხ. – ს.ფ. 389-392, 422-424, 472-474, ს. ტ. II, ფ. 15 და 47/.

ნიკოლოზ თავდგირიძემ – რომ, მართალია, საკათალიკოზო საბჭოს 1922წ. 10 იანვრის დადგენილებას მან ხელი მოაწერა, მაგრამ ამ დადგენილებით არც მას და არც ერთ საბჭოს წევრს, აზრათაც არა ჰქონია მთავრობისათვის წინააღმდეგობის განწევა. მას აღნიშნული დადგენილება ისე ესმოდა, რომ ყოველი ქონება, ნივთი და ბინა, რომელიც კულტის საჭიროებისათვის არის დანიშნული, უნდა ჰქონდეს მორწმუნეთა წარმომადგენელთ თავიანთ განკარგულებაში. ამ წესით არის გამოცემული საბჭოთა მთავრობის დეკრეტი, რომლის დაცვა და აღსრულება დავალებული ჰქონდა მას და სხვა საბჭოს წევრებს საეკლესიო კრებისგან. ბრალდებულმა დასძინა, რომ საბჭოს აზრად არ ჰქონია წინააღმდეგობის განწევა. ეს უფრო ნათლად სჩანს იმავე დადგენილებიდან, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ტაძრის გასაღები ამა და ამ წინამძღვარს აქვს და ის ჩააბარებს მთავრობას მოთხოვნილებისამებრ /იხ. ს. ფ. 287, 289, 354-356, 380-382, ს. ტ. II, ფ. 41/.

ნიკოლოზ არჯევანიძე – რომ მანაც მოაწერა ხელი ზემოაღნიშნულ საბჭოს დადგენილებას, მაგრამ მას აზრადაც არ მოსვლია მთავრობისათვის გაენია წინააღმდეგობა, მით უმეტეს, რომ სამხედრო ტაძარი ეკუთვნოდა რუსებს, საკათალიკოზო საბჭოს საქმის მმართველის ილია შუბლაძის მიერ იყო შედგენილი იქვე სხდომაზე დადგენილება, რომელსაც ბრალდებულმა წაუკითხავად მოაწერა ხელი, სრული დარწმუნებული მასში, რომ მსჯელობის შემდეგ გამოირკვა, რომ არც ერთი საბჭოს წევრი წინააღმდეგი არ არის გადააბაროს მთავრობას ტაძარი. ბრალდებულმა დასძინა, რომ საბჭოს დადგენილების რედაქცია შეუფერებლად არის შედგენილი, შედარებით იმ მოლაპარაკებასთან, რომელსაც მაშინ აწარმოებდნენ საბჭოს წევრნი /იხ. ს. ტ. II, ფ. 33 და 34/.

ზემოაღნიშნულისა გამო ბრალდებულთ სრულიად საქართველოს კათალიკოზ ამბროსის და საკათალიკოზო საბჭოს წევრებს კალისტრატე ცინცაძეს, იოსებ მირიანაშვილს,

მარკოზ ტყემალაძეს და ნიკოლოზ თავდგირიძეს ბრალი ედებათ მასში, რომ მათ 1922 წელს, თებერვალში, წინასწარ ურთიერთშორის შეთანხმებით შეადგინეს ზემოხსენებული მოწოდება და გაუგზავნეს იგი გენუის კონფერენციას იმ მიზნით, რომ გამოენვიათ უცხო სახელმწიფოების შეიარაღებული ჩარევა /ინტერვენცია/ რესპუბლიკის საქმეებში და რომ იმავე პირებმა აღნიშნულ მოწოდებაში მოათავსეს და გაავრცელეს კონტრევოლიუციონური მიზნით ცრუ ხმები, რომ ვითომ ქართველ ერს ართმევენ ქონებას უცხო ტომთა მოძალადენი და გააქვთ საზღვარი გარეთ და სხვა და სხვა, ე.ი. ბოროტმოქმედებებში, გათვალისწინებულ 10, 15, 73, 74 და 60 მუხლებით სისხლის სამართლის კოდექსის; არქიმანდრიტ ჯაფარიძეს, დიმიტრი ლაზარიშვილს, იასონ კაპანაძეს, მარკოზ ტყემალაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, კათალიკოზ ამბროსის და მიტროპოლიტ ნაზარის – პირველს, ჯაფარიძეს, – მასში, რომ 1921 წელს 24 თებერვალს ქ. თბილისიდან მენშევიკების გაქცევის დროს გაიტაცა საეკლესიო ქონება – სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცხადდა სახალხო ქონებად, რა განძეულობაც მან დამალა ქუთაისში საარქიელო სახლის აივნის ქვეშ, ე.ი. ბოროტმოქმედებაში, გათვალისწინებულ იმავე კოდექსის 10, 15 და 116 მ.მ. მე-2 ნაწ., და რომ ამ ბოროტმოქმედებაში ბრალდებულ ჯაფარიძეს ხელს უწყობდნენ დიმიტრი ლაზარიშვილი, იასონ კაპანაძე, მარკოზ ტყემალაძე და კალისტრატე ცინცაძე, ე.ი. ბოროტმოქმედებებში, გათვალისწინებულ იმავე კოდექსის 10, 15, 16 და 116 მუხლებით მე-2 ნაწილით, რომ კათალიკოზმა ამბროსიმ და მიტროპოლიტმა ნაზარიმ, იცოდნენ რა აღნიშნულ ბოროტმოქმედების შესახებ, დაჰფარეს მთავრობისაგან, ე.ი. ბოროტმოქმედებაში, გათვალისწინებულ იმავე კოდექსის 10, 15, 16 და 116 მუხლების მე-2 ნაწილით, – პატრიარქ ამბროსის, მარკოზ ტყემალაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, ნიკოლოზ არჯევანიძეს და ანტონ თოთიბაძეს ბრალი ედებათ მასში, პირველს ხუთს – რომ წინასწარ ურთიერთშორის შეთანხმებით 1923წ. 10 იანვარს, როგორც საკათალიკოზო საბჭოს წევრები, არ დაემორჩილნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისის სამხედრო ტაძრის „კ.ს.მ“ (კომკავშირისთვის ჯ.გ.) -სადმი გადაცემის განკარგულებას და არ წარგზავნეს საბჭოდგან საუწყებთა-შორისო კომისიაში ორი თავისი წარმომადგენელი აღნიშნულ ტაძრის საღვთისმსახურო საგნების ჩასაბარებლად, ე.ი. ბოროტმოქმედებაში, გათვალისწინებულ იმავე კოდ. 15 და 69 მუხლების მე-3 ნაწილით და მეექვსეს, – ანტონ თოთიბაძეს – მასში, რომ იმავე წლის 12 იანვარს წინააღმდეგობა გაუწია ზემოაღნიშნულ კომისიის თავმჯდომარეს მოქ. კაკაბაძეს იმავე ტაძრის ჩაბარების დროს, ე.ი. ბოროტმოქმედებაში, გათვალისწინებულ იმავე კოდექსის 69 მუხლის მე-3 ნაწილით; იოსებ მირიანაშვილს ბრალი ედება მასში, რომ რწმუნებულ მის დიდუბის ეკლესიაში ინახავდა 30 გირვანქა ძვირფასეულობას ქონების წიგნში გაუტარებლად იმ მიზნით, რომ დაემაღლა და არ ჩაებარებია დამშეულთა სასარგებლოდ, ე.ი. ბოროტმოქმედებაში გათვალისწინებულ იმავე კოდექსის 10, 116 ნაწილით და 74 მუხლებით; კალისტრატე ცინცაძეს, იოსებ მირიანაშვილს და ანტონ თოთიბაძეს კიდევ ბრალი ედებათ მასში, რომ ზემოდ დასახელებულ კომისიის მიერ რევიზიის წარმოების დროს გამორკვეულ იქმნა უთავბოლო და დაუდევარი წარმოება ფულის და მატერიალური ანგარიშების მათი რწმუნებულ ეკლესიების შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა ქონების გაფლანგვა, რაც გათვალისწინებულია იმავე კოდექსის 131 მუხლით და იასონ კაპანაძეს ბრალი ედება კიდევ მასში, რომ მან ზემოაღნიშნულ კათალიკოზ ამბროსის და საკათალიკოზო საბჭოს წევრების კალისტრატე ცინცაძის, იოსებ მირიანაშვილის, მარკოზ ტყემალაძის და ნიკოლოზ თავდგირიძის მიერ გენუის კონფერენციის სახელზე გაგზავნილი მოწოდება (მემორანდუმი) წაიღო საქართველოდგან საზღვარგარეთ, სადაც გადასცა დანაშნულებისამებრ ე.ი. ბოროტმოქმედებაში, გათვალისწინებულ იმავე კოდექსის 16 და 60 მუხლებით.

ზემოაღნიშნულისა გამო დასახელებულნი ბრალდებულნი გასამართლებლნი უნდა იქმნენ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს მიერ და ამიტომ, თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211 მუხლით, სამე ესევე ეგზავნება აღნიშნულ სასამართლოს პროკურორს.

შედგენილია 19 იანვარს 1924წ. ქ. თბილისი.
უზენაეს სასამართლოს გამომძიებელი: ვლ. გომართელი.

ბრალდებულების სია:

- 1) კათალიკოზ ამბროსი (ქვეყნად ბესარიონ ხელაია) – გამასწორებელი სახლი №2
- 2) მიტროპოლიტი ნაზარი (ქვეყნად ანდრია ლეჟავა) – გამასწორებელი სახლი №1
- 3) არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე – იქვე
- 4) დიმიტრი ლაზარიშვილი – იქვე
- 5) იასონ კაპანაძე – ამერიკაში
- 6) მარკოზ ტყემალაძე – მე-4 სამილიციო უბანი, ირაკლის ქ. სახლი №4
- 7) იოსებ მირიანაშვილი – გამასწორებელი სახლი №1
- 8) კალისტრატე ცინცაძე – გამასწორებელი სახლი №1
- 9) ანტონ თოთიბაძე – იქვე
- 10) ნიკოლოზ თავდგირიძე – მე-3 სამილიციო უბანი, ამაღლების ქ. სახლი №7
- 11) ნიკოლოზ არჯევანიძე – მე-2 სამილიციო უბანი, გიორგის ქ. სახ. №5

მოწმეების სია:

- 1) თალაკვაძე ნიკიტა მალაქიას ძე – ანჩისხატის ქ. №5./ იხ. საქმე, ფ. 525-527/
 - 2) რატიშვილი ივანე გიორგის ძე – პანასევიჩის ქ. №3 (იხ. საქმე, ფ. 533-535)
 - 3) სიდამონიძე გრიგოლ შიოს ძე – ეკზარხის მოედანი №1 (საქმე, ფ. 544-549)
 - 4) კეკელიძე კორნელ – გუნიბის ქ. №40 (საქმე, ფ. 550-553)
 - 5) გვეტაძე იოსებ პავლეს ძე – მოსკოვის ქ. №18 (ს.ფ. 554-556)
 - 6) ციციშვილი ქრისტეფორე მურმანის ძე – ირაკლის ქ. №4 (საქ. ფ. 579-578)
 - 7) დავიდოვი დავით ანჩისხატის ქ. №1 (საქმე, ფ. 377-379, 449-451 და 462-264)
 - 8) კაკაბაძე – შინაგან სახალხო კომისარიატი
 - 9) შუბლაძე ილია – პეტრე პავლეს სასაფლაო (მე-7 სამილიციო უბანი) (საქმე, ფ. 283-285, 417-420 და 458-460)
 - 10) კავჭარაძე ივანე – ხარფუხის ეკლესია, მე-5 უბანი (საქმე, ფ. 126-128)
 - 11) კაჭახიძე დავით ოქროპირის ძე – ქვაშვეთის ეკლესია (საქ. ფ. 298-303)
 - 12) ცქიტიშვილი პლატონ ლავრენტის ძე – ქ. ქუთაისი, ჯულაშვილის ქ. სახ. მიქელაძისა (საქმე, ფ. 205-213)
 - 13) ნათიძე ლაზარე მიხეილის ძე – ვარდისუბნის ქ. №4 (იხ. საქმე, ფ. 485-487)
- უზენაესი სასამართლოს გამომძიებელი ვ. გომართელი.**
საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღწ. 2, ს.3, ფ. 154-167ა.

№67. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიმართვა უზენაეს სასამართლოსადმი

1924წ. 18 თებერვალი

ჩვენ – დაპატიმრებულ სამღვდელოების – შესახებ წარმოებულ საქმის გადათვალისწინების დროს წავაწყდი ერთ საბუთს, რომელსაც არ შეეძლო არ მოვეყვანე განცვიფრებაში. საბუთი ირწმუნება, რომ ვითომ მე დავარღვიე შინაური პატიმრობის წესი და ოქტომბერში (1923 წლის) ნებადაურთველად გავემგზავრე მცხეთაში (საქმე, ფ.661). ცხადად ჩანს, რომ ამ ყალბმა ცნობამ გამოიწვია ის გარემოება, რომ საგანგებო გამომძიებელმა საჭიროდ დაინახა, შინაური პატიმრობა შეეცვალა ციხეში სასტიკი იზოლაციით დაპატიმრებით (იხ. დოკ. №57 – ჯ.გ.). ეს უსაფუძვლო, პროკურატურისაგან შეუმონმებლად მიღებული როგორც ჭეშმარიტება, ჭორი ჩემს პიროვნებას ჩრდილს აყენებს და საქმის

გარჩევის დროს შესაძლებელია ექმნეს გავლენა ჩემი პიროვნების არასასურველად დახასიათებისათვის. ამისთვის ვსთხოვ სასამართლოს გამათავისუფლოს ამ დაუმსახურებელ ბრალდებიდან, საჭირო(ა) გამოკვლევის მოხდენა.

კათალიკოსი ამბროსი.

ანა კლდიაშვილის კოლექციიდან.

№68. უზენაეს სასამართლოს საჯარო სხდომების ოქმი¹

1924წ. 10-19 მარტი

1924 წ. მარტის 10, დღესა შუადღის 2 საათსა საქართველოს ს.ს.რ. უზენაესი სასამართლო საჯარო სხდომაზედ პლენაროვის სახელობაზე მუშათა კლუბში შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე – გ. ჩხეიძე

წევრნი: ვ. წივნივაძე

გ. რთველაძე

პროკურორები: ნ. ოკუჯავა, ნ. მაჭავარიანი

საზოგადო ბრალმდებელი ა. ერქომაიშვილი

მდივანი გ. აბაკელია

შეუდგა გარჩევას საქმისა ბრალდებისა გამო კათალიკოს ამბროსისა,

მიტროპოლიტ ნაზარისა და სხვ.

გამოცხადდნენ ბრალდებულები:

1. კათალიკოს ამბროსი (ხელაია),
2. ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი (ლეყავა),
3. არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე,
4. ლაზარიშვილი დიმიტრი,
5. ტყემალაძე მარკოზ,
6. მირიანაშვილი იოსებ,
7. ცინცაძე კალისტრატე,
8. თოთიბაძე ანტონ,
9. თავდგირიძე ნიკოლოზ,
10. არჯევანიძე ნიკოლოზ.

არ გამოცხადდა ბრალდებული კაპანაძე იასონ, რომელიც ცნობების მიხედვით, გაქცეულია ამერიკაში.

მონმეებიდან გამოცხადდნენ ყველანი:

1. თალაკვაძე ნიკიტა, 2. რატიშვილი ივანე. 3. სიდამონიძე გრიგოლ, 4. კეკელიძე კორნელ, 5. გვეტაძე იოსებ, 6. დავითაშვილი დავით, 7. კაკაბაძე, 8. შუბლაძე ილია, 9. ქავჭავაძე ივანე, 10. კაჭახიძე დავით, 11. ციციშვილი ქრისტეფორე, 12. ნათიძე ლაზარ და, 13. კონტრიძე. გარდა პლატონ ცქიტიშვილისა, რომელიც ცხოვრობს ქ. ქუთაისში და ვის შესახებაც, ჩაიბარა თუ არა უწყება – ცნობა არ არის.

მონმეებს განემარტათ ცრუ ჩვენებისათვის პასუხისმგებლობა და ჩამოერთვა ხელწერილი.

თავმჯდომარე ამონმებს გამოცხადებულ ბრალდებულთ და სათითაოდ ეკითხება მათ: ვინ რამდენი წლისაა, რა მოღვაწეობას ეწევა და იყო თუ არა რომელიმე მათგანი პასუხისგებაში და რისთვის და ყავთ თუ არა დამცველები. ყველა ბრალდებულები განმარტავენ, რომ პასუხისგებაში არ ყოფილან, გარდა კათალიკოს ამბროსისა, რომელიც, თავმჯდომარის შეკითხვაზე რა ბრალს სდებდნენ მას – უპასუხებს: „იმას, რასაც ეხლაო“.

დამცველებთაგან არიან:

1. ნინიძე კირილ (დამცველი კათალიკოს ამბროსისა)

2. ბარათაშვილი იოსებ (კათალიკოზ ამბროსის)
3. გუნცაძე (დამცველი ნაზარისა)
4. ქავთარაძე პეტრე (დამცველი ჯაფარიძისა)
5. დადიანი სამსონ (დამცველი ლაზარიშვილის და ტყემალაძის)
6. მღვდლიშვილი (დამცველი მირიანაშვილის)
7. ყანჩელი (დამცველი ცინცაძის) და
8. გელაზარაშვილი (დამცველი თავდგირიძის და არჯევანიძის).

ბრალდებულთა შეკითხვისა და მოწმეთა შემოწმების შემდეგ თავმჯდომარე წინადადებას აძლევს მხარეებს, გამოსთქვან თავიანთი აზრი საქმის გარჩევის შესაძლებლობის შესახებ.

პროკურატურა, პროკურორ **მაჭავარიანის** სახით, აცხადებს, რომ ის, თუმც არ გამოცხადებულა, მოწმე ცქიტიშვილი, მოსახერხებლად ნახულობს, საქმე გაირჩეს დღევანე, რადგანაც წერილობითი ჩვენება ცქიტიშვილისა, რომელიც საქმეში ინახება, სრულიად საკმარისია და არ ითხოვს საჭიროებას მისი პირადად დაკითხვისას.

დამცველი **ნინიძე** მიაქცევს რა სასამართლოს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ კათალიკოზ ამბროსის ბრალდება „უცხო სახელმწიფოსთან ურთიერთობის დაჭერა მის დასაყოლებლად რესპუბლიკის საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩარევისა ან ომის გამოცხადებისა“, ე.ი. ბოროტმოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 60-ე მუხლით – მემორანდუმის გადაცემა გენუის კონფერენციის თავმჯდომარისათვის. თანახმად ამავე კოდექსის 13-14-ე მუხლებისა, ხელყოფა ანუ მცდელობა ბოროტმოქმედების ჩადენისა დაისჯება ნაკლებ სასტიკად, ვინემ შესრულებული დანაშაული, მაგრამ გამოძიებას ყურადღება არც კი მიუქცევია იმ გარემოებისათვის, მართლა გადაეცა თუ არა მემორანდუმი გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს, ან თუ გადაეცა, ვისი ხელით. ნაცვლათ ასეთი გამოძიებისა, საქმეში არის უბრალო ქალაქი, მანქანაზე დაბეჭდილი, რომელიც იხსენიებს საქართველოს საელჩოს. მაგრამ ამ ქალაქს არა თუ არ აზის რაიმე ბეჭედი, ის უთარილო და ხელმოუწერელიცაა და, რაც თავი და თავია, ისიც კი არ არის აღნიშნული, თუ თითონ ეს ქალაქი საიდან გაჩნდა საქმეში. ასეთი ნაკლი საგამომძიებლო მოქმედებისა ქმნის სრულს გაურკვევლობას და საშუალებას ართმევს ბრალდებულს თავის მართლებისათვის, ხოლო სასამართლოს – მართლმსაჯულების დაცვისათვის.

ამის გამო ვშუამდგომლობთ უზენაეს სასამართლოს წინაშე, რათა დამატებით იქნეს გამოძიებული ეს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. გარდა ამისა მას, კათალიკოზ ამბროსის, ბრალდება ცრუ ხმების გავრცელება კონტრრევოლუციონური მიზნით. ვინაიდან ბრალდებულს არ ქონია რაიმე კონტრრევოლუციონური მიზანი, არამედ ის მოქმედებდა სრულიად კეთილსინდისიერად, ამიტომ საქმისათვის ფრიად მნიშვნელოვანია, შესაძლებლობის ფარგლებში, შემოწმებული იყოს განცხადება ბრალდებულისა, რომ:

1) რკინის გზის საქმეებში მოიპოვება ბიულეტენები უცხოეთში გაზიდული საქონლის შესახებ (განსაკუთრებით თბილის-ბათუმიდან) და

2) ეკლესიის შევიწროების შესახებ №21 დეკრეტის (დოკ. №20 – ჯ.გ.) წინააღმდეგ კათალიკოზ ამბროსის არა ერთხელ მიუმართავს მთავრობისათვის.

რაიცა შეეხება საქართველოს მინა-წყლის განაწილებას, ამის შესახებ საჭიროა სასამართლომ განიხილოს რუქა საქართველოსი და მეცნიერ-ექსპერტთა შემოწმებით გამორკვეულ იქმნეს, თუ რამდენათ მართალი იყო ბრალდებულის განცხადება ტერიტორიის განაწილების შესახებ.

ყოველივე ზემოდ ნათქვამის გამო მოვითხოვთ აღნიშნული საქმის დამატებით გამოსაძიებლად წარგზავნას.

გუნცაძე – დამცველი ნაზარისა, აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ ბრალდებულ ნაზარის ბრალდება მონაწილეობის მიღება ქუთაისში წაღებულ საეკლესიო განძეულობის გატაცებაში – დასძენს, რომ ბრალდება ნაზარისა ამ სახით ვერ არის გამომძიებლის მიერ სწორად გაშუქებული; განძეულობა იყო გატანილი მაშინვე მთავრობის ნებართვით, რის

შესახებაც არის საკმარისი გამამართლებელი საბუთები და გამოძიებაც ვალდებული იყო, შემომნმა ყველა ეგ საბუთი. ამიტომ ითხოვს: საქმის გარჩევა გადაიდოს და საქმე დაუბრუნდეს გამომძიებელს აღნიშნულ დეფექტის შესავსებად.

დამცველი ჯაფარიძისა – **ქავთარაძე** – განუმარტავს სასამართლოს მნიშვნელობას მოწმის პირადად დაკითხვისა, ითხოვს: ვინაიდან ჯაფარიძის დანაშაულის გამორკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოუცხადებელ მოწმის ცქიტიშვილის დასწრებას, საქმის გარჩევა გადადებულ იქნას.

სამსონ დადიანი – დამცველი ლაზარიშვილის და ტყემალაძის – განუმარტავს სასამართლოს, რომ ბრალდებულ ლაზარიშვილს ბრალდება არქიმანდრიტ პავლესათვის განძეულობის გატაცებაში ხელის შეწყობა; რომ ეს ბრალდება არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც ლაზარიშვილი ამ შემთხვევაში მოქმედებდა კათალიკოზ ლეონიდის დავალებით, რის შესახებაც მას აქვს მისი წერილი, რომ ლაზარიშვილმა ამ წერილის არსებობაზე მიუთითა როგორც საგანგებო კომისიის გამომძიებელს, ისე სასამართლოს გამომძიებელს, მაგრამ არც ერთმა გამომძიებელთაგანმა ლაზარიშვილს ასეთ განცხადებებს ყურადღება არ მიაქცია; ამიტომ ამ წერილს ის ადგენს ეხლა, მაგრამ, რადგანაც ის ხელმოწერილია ან განსვენებულ ლეონიდის მიერ და ხელის მოწერა ითხოვს ექსპერტიზის საშუალებით შემოწმებას, რომ გარდა ამისა, საკათალიკოზო საბჭოში არის საქმე სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობათა შესახებ და რომ იმ საქმეებში მოიპოვება სია, ჯაფარიძის მიერ ხელმოწერილი, იმ ნივთებისა, რომელიც 1921 წელს თებერვლის შუა რიცხვებში ქუთაისში გაიგზავნა, რომელი სიაც მოწმობს იმას, რომ ლაზარიშვილმა ეგ ნივთები ჩააბარა ჯაფარიძეს უფროსების დავალებით, მაგრამ ეგ სია კი გამოთხოვილი და შემოწმებული გამომძიებლის მიერ არ არის, ისე როგორც დადგენილება ამავე საბჭოსი განძეულობის ქუთაისში ევაკუაციის შესახებ – ითხოვს, საქმე გადადებულ იქნეს და მოხდეს დამატებითი გამოძიება.

მღვდლიშვილი – დამცველი მირიანაშვილის – განმარტავს რა იმას, რომ მირიანაშვილს ბრალდება შემოწმებულ ნივთეულობათა გადამალვა, აღნიშნავს, რომ ამ მხრივ გამოძიებას არაფერი არ გაუკეთებია, ვინაიდან არ არის განხილული ის სამი წიგნი, რომელიც საქმეში წარმოდგენილია, რომ არის კიდევ ეკლესიაში ერთი წიგნი, სადაც შეტანილია ეკლესიის ყველა ქონება, დაწყებული 1912 წლიდან, რომ ეს წიგნი მაჩვენებელია ეკლესიის მთელი ქონებისა, მაგრამ არც ეს წიგნია დახედული და შემოწმებული, ამიტომ საჭიროა მათი დახედვა და შემოწმება, აგრეთვე დაკითხვა ზოგიერთი მოწმეებისა, რომლებიც აღნიშნავენ დანიშნულებას იქ ჩანერილ ნივთებისა და შემოწმებულთა, რის გამო საქმის გარჩევა გადადებულ იქნას და გადაცემული დამატებითი გამოძიების მოსახდენად.

ყანჩელი – დამცველი ცინცაძისა – ითხოვს საქმის გარჩევა გადადებულ იქნას და გადაცემული დამატებითი გამოსაძიებლად, რადგანაც ანგარიშის წიგნები ქვაშვეთის ეკლესიაში შედგენილია შავად და დაუმთავრებელი თეთრად.

გელაზარაშვილი – დამცველი თავდგირიძის და არჯევანიძისა, ითხოვს საქმის გარჩევა გადადებულ იქნას დამატებითი გამოძიების მოსახდენად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საუნყებათაშორის კომისიის ოქმების დასათვალისწინებლად, გამოსარკვევად იმ გარემოებისა: როდის, ე.ი. რომელ რიცხვს იყო დანიშნული საკათედრო ტაძრის ჩაბარების დღე – 10 იანვარს, როგორც მოწმობს საქმეში დართული ოქმი კომისიისა, თუ 12 იანვარს; ეცნობა თუ არა საკათალიკოზო საბჭოს წევრებს ამის შესახებ, ვინაიდან მათ ბრალდებათ, რომ არ დაემორჩილენ და წინააღმდეგობა გაუწიეს სამხედრო ტაძრის ჩაბარებას მით, რომ არ გაგზავნეს წარმომადგენელი 10 იანვარს 1923 წელს; რა შინაარსის განკარგულება იყო გაცემული მთავრობის თავმჯდომარის მიერ, რომელზედაც უთითებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის თანამემწე „ჩეკის“ თავმჯდომარის სახელზედ მიწერილობაში 11 იანვრის თარიღით, იყო თუ არა ამ განკარგულებაში ნათქვამი რაიმე საღვთისმსახურო საგნის ჩაბარებაზე, თუ მხოლოდ ტაძრის ჩაბარებაზე და ეცნობა თუ არა ეს უკანასკნელი განკარგულება საკათალიკოზო საბჭოს; ამ გარემოებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან რაკი მთავრობის თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა კომისიის დანიშვნა 12 იანვარს,

ცხადია, ეს უნდა შეეცყობინებია საკათალიკოზო საბჭოსათვის, რომელსაც შეეძლო სულ სხვა დადგენილება გამოეტანა, მითუფრო საჭირო იყო ეს, რომ 10 იანვარს არავითარი კომისია არ შეგროვილა და, მაშასადამე, არც წინააღმდეგობის განევა შეიძლებოდა.

პროკურატურა ხელახლად აღნიშნავს საქმის გადაუდებლობის შეუძლებლობას, ვინაიდან მემორანდუმის გაგზავნას და მიღებას მისას გენუაში არ უარყოფს თვით ბრალდებული კათალიკოზი ამბროსი და რომ მემორანდუმში აღნიშნული გარემოებების ცალკე გამოძიებას ბრალდების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელობა არა აქვს; რომ განძეულობის გადამალვას აქვს ხანგრძლივი და გაგრძელებითი ხასიათი და რომ ზოგიერთ საბუთების განხილვას და შემოწმებას ექსპერტების საშუალებით გარემოება არ ითხოვს, ვინაიდან საქმეში ყველა გარემოებათა გამოსარკვევად საკმარისად დაგროვილია მასალა.

დამცველი **ბარათაშვილი** – მიუთითებს სასამართლოს იმ გარემოებაზე, რომ დარღვეულია საერთოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175, 208, 139, 398 მუხლები და ამიტომ, ასეთ პირობებში, შეუძლებელია საქმე გარჩეულ იქნეს დღესვე, რის გამოც უნდა გადაიდოს და მოხდეს დამატებითი ძიება.

დამცველი **დადიანი**, სხვათა შორის, ითხოვს შეტანილ იქმნეს ოქმში ის გარემოება, რომ პროკურატურამ საპასუხო სიტყვაში წარმოსთქვა ის, რომ ტყემალაძეს ბრალად ედება „დაფარვა გატაცებულ განძეულობისა“.

პროკურატურის და დამცველების განმარტებების მოსმენის შემდეგ საქმის გადადებისა თუ გარჩევისა შესახებ – სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში დადგენილების გამოსატანად.

გამოსვლისას – **სასამართლომ** გამოაქვეყნა შემდეგი დადგენილება:

მოისმინა რა სასამართლომ ბრალდებულთა განცხადება, გამოუცხადებელ კაპანაძის და მოწმე ცქიტიშვილის დაუსწრებლად საქმის დღევანდელ სხდომაზე მოსმენის შესახებ და აგრეთვე დამცველთა შუამდგომლობა – ვინაიდან: 1. საქმის გამოძიება არ არის სრული მით, რომ საქმეში მითვისებული მასალებიდან არ ირკვევა ბრალდებულ ხელაიასადმი ნაყენებულ ბრალდებაში აღნიშნული ქმედობა – იყო დასრულებული მოქმედება, ხელყოფა, თუ იგი იყო მარტო ცდა, რომ საქმეში არ არის საკმარისი მასალა იმის შესახებ, ბრალდებულ ხელაიამ თავის მემორანდუმში გენუის კონფერენციას მიაწოდა ტყუილი ცნობები თუ იქ მოყვანილ ცნობებს მართლა ქონდა ადგილი, რომ აუცილებლად საჭიროა გამოწვეულ იქნას ექსპერტები, კალიგრაფები წარმოდგენილ ან გარდაცვალებულ კათალიკოზ ლეონიდის წერილის ექსპერტიზის მოსახდენად, რადგან აღნიშნულ წერილს, სადაც ნათქვამია, რომ მაშინ არსებულ მთავრობის მიერ განძეულობის თბილისიდან გაზიდვა ნება დართული იყო – აქვს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა, რომ ამიტომ და აგრეთვე იმიტომ, დარღვეულია სისხ. სამ. საპრ. კოდექსის 208 მუხ. თანახმად 272 და 302 მუხ., საქმე უნდა იქნას მოსმენით გადადებული და გამოძიებით შევსებული, და სასამართლომ იმსჯელა რა აღძრულ შუამდგომლობების შესახებ, მიიღო რა მხედველობაში, რომ საქმე საკმარისად არის გამოძიებული, რომ დამატებითი გამოძიება ვერ შესცვლის საქმის არსებით მხარეს, რომ რაც შეეხება წარმოდგენილ ან განსვენებულ ლეონიდის წერილის ექსპერტიზის მოხდენას, სასამართლოს ზედმეტად მიაჩნია, რადგან ეჭვი არ ეპარება წერილის სინამდვილეში, რომ რადგან გამოუცხადებელ მოწმის, ცქიტიშვილის რამოდენიმე ჩვენება საქმეში არსებობს და თუ მხარეები აღძრავენ შუამდგომლობას, თავის დროზედ იქნება გამოქვეყნებული, რომ აგრეთვე, რადგან, სასამართლოს აზრით, საქმეში საკმაოთაა დაგროვილი მამხილებელი საბუთები არა საპატიო მიზეზებით გამოუცხადებულ ბრალდებულ კაპანაძის წინააღმდეგ და ამიტომ საჭიროდ მიაჩნია მის, ბრალდებულ კაპანაძის, დაუსწრებლად მის შესახებ საქმის დღევანდელ სხდომაზედ განხილვა, –

დაადგინა: 1. საქმე იქნეს მოსმენილი დღევანდელ სხდომაზე და 2. გამოუცხადებელ კაპანაძის შესახებ საქმე იქნეს განხილული მის დაუსწრებლად.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა საბრალმდებლო ოქმი.

საბრალმდებო ოქმის წაკითხვის შემდეგ სხდომა დაიხურა საღამოს 7 საათზედ და გადაიდო მეორე დღის საღამოს 5 საათისათვის.

მეორე დღე
11 მარტი 1924 წ.

სხდომა გაიხსნა საღამოს 6 საათზედ.

სასამართლოს მოხსენდა წინა დღეს გამოუცხადებელი მონმის, **პლატონ ცქიტვილის** გამოცხადება.

თავმჯდომარე აფრთხილებს მას, ილაპარაკოს საქმის შესახებ ყველაფერი სიმართლე და არა რა დაფაროს, რის შემდეგ იგი გაყავთ მონმების ოთახში.

თავმჯდომარე მოუწოდებს სათითაოდ ბრალდებულთ და უკითხავს ბრალდებას:

1. **კათალიკოზ ამბროსის** იმაში, რომ მან სხვებთან ერთად, ინტერვენციის მიზნით, შეადგინა მონოდება გენუის კონფერენციისადმი, სადაც მოათავსა ცრუ ცნობები საქართველოში არსებულ მდგომარეობის შესახებ; რომ მან იცოდა, სად ინახებოდა მენშევიკურ მთავრობის დროს გატაცებული საეკლესიო განძეულობა და არ ამცნო ეს მთავრობას, რომ მან საკათალიკოზო საბჭოს წევრებთან ერთად არ დაემორჩილა მთავრობის დადგენილებას და არ წარგზავნა თავისი წარმომადგენლები საუნყებათაშორისო კომისიაში სამხედრო ტაძრის ჩასაბარებლად;

2. ქუთაისის მიტროპოლიტ **ანდრია ლეჟავას (ნაზარი)** – იმაში, რომ მან იცოდა, სად ინახებოდა მცხეთისა და სიონის ტაძრებიდან გატაცებული საეკლესიო განძეულობა და არ აუწყა ეს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას მაშინ, როდესაც ეს განძეულობა გამოცხადებული იყო ხალხის საკუთრებად და უნდა მოხმარებოდა დამშეულთა გამოკვებას (ტექსტშია – გამორკვევას. – ჯ.გ.);

3. ბრალდებულ **ცინცაძეს** – იმაში, რომ ის ლეზულობდა მონაწილეობას ამბროს ხელაისთან ერთად გენუის კონფერენციისადმი მონოდების შედგენასა და შიდ ცრუ ხმების მოთავსებაში; რომ მან ხელი შეუწყო ჯაფარიძეს განძეულობის გატაცებაში და წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას სამხედრო ტაძრის გადაცემაში;

4. ბრალდებულ **ტყემალაძეს** – ისეთივე, როგორც ცინცაძეს, და უთავბოლოდ საეკლესიო ანგარიშების წიგნებში გატარება და ქონების გაფლანგვა;

5. არქიმანდრიტ **ჯაფარიძეს** – იმაში, რომ მან გაიტაცა მცხეთისა და სიონის ტაძრის განძეულობა და დაკრძალა ის ქუთაისში არქირეის სასახლის აივნის ქვეშ;

6. იოსებ **მირიანაშვილს** – იმაში, რომ ის ამბროსისთან ერთად მონაწილეობას იღებდა გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის შედგენაში; რომ დიდუბის ეკლესიაში, მითვისების სურვილით, ინახავდა 30 გირვანქა ვერცხლს წიგნებში გაუტარებლივ, და რომ გაფლანგა ხალხის ქონება;

7. დიმიტრი **ლაზარიშვილს** – იმაში, რომ მან ხელი შეუწყო ჯაფარიძეს საეკლესიო განძეულობის გატაცებაში;

8. **ანტონ თოთიბაძეს** – იმაში, რომ ის არ დაემორჩილა მთავრობის განკარგულებას სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ და საეკლესიო წიგნების წარმოების გლახათ გატარებით გაფლანგა ხალხის ქონება;

9. **ნიკოლოზ თავდგირიძეს** – იმაში, რომ ის მონაწილეობას ლეზულობდა ამბროსისთან ერთად, გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის შედგენაში და რომ არ დაემორჩილა მთავრობის განკარგულებას სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ;

10. **ნიკოლოზ არჯევანიძეს** – იმაში, რომ არ დაემორჩილა მთავრობის განკარგულებას სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ; და ეკითხება: სცნობენ თუ არა ისინი თავიანთ თავს დამნაშავედ წამოყენებულ ბრალდებაში.

ყველა ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ სცნობენ.

ბრალდების ბრალდებულისადმი წაყენებისა და შეკითხვის შემდეგ სხდომა წყდება ხუთი წუთით.

სხდომის განახლებისას სასამართლო გადადის საჯარო გამოძიებაზედ.

სასამართლო ჩვენებას ართმევს **ამბროსი ხელაის** და მის შემდეგ, როდესაც ის აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით სათქმელი არა აქვს რა და მზათ არის უპასუხოს სასამართლოს

კითხვებზე, თავმჯდომარე აძლევს რამდენიმე შეკითხვას;

შეკითხვაზე: მისი დანერვილია მემორანდუმი თუ არა – უპასუხებს, რომ მისი; კითხვაზე: რისთვის მიმართა მონოდებით გენუის კონფერენციას და რას მოელოდა ამ მონოდების გაგზავნით – უპასუხებს: რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის მოთხოვნით ის იცავდა, ერთის მხრივ, ანმყო მთავრობის დამოუკიდებელ არსებობას და, მეორეს მხრივ, ასეთი თავისუფლების განმტკიცებით – ეკლესიის თავისუფლებას. შემდეგ კითხვებზე: რისთვის მოითხოვდა გაყვანას საქართველოდან წითელი ლაშქრის, რომელიც არის მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი – ბრალდებული უპასუხებს, რომ მან დღესაც არ იცის, ვის ინტერესებს იცავს წითელი ლაშქარი, რომ, როდესაც ის წითელ ლაშქრის გაყვანას ითხოვდა, მას ჰქონდა მხედველობაში ინტერვენცია, რადგანაც ინტერვენცია ხდება ჯარის საშუალებით.

შეკითხვაზე, როდის იყო საქართველო უფრო თავისუფალი – ადრე (უნდა იყოს – ახლა. – ჯ.გ.) თუ წითელი ლაშქრის შემოსვლამდე – უპასუხებს: წითელ ლაშქრის შემოსვლამდე; მის შემდეგ კი, რაც წითელი ლაშქარი შემოვიდა, დამოუკიდებლობა საქართველოს დაიკარგა და რომ, მისი აზრით, ხალხიც ეგრე ფიქრობდა. შეკითხვაზე – იცის თუ არა მან, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცავს მშრომელთა ინტერესებს – უპასუხებს: ვიცი, უსათუოდ. შეკითხვაზე: რაში ხედავს ის მორწმუნეთა ინტერესების შელახვას და როდის უფრო იყო შელახული სარწმუნოებრივი ინტერესები ეკლესიისა – უპასუხებს: სარწმუნოებას ნიკოლოზიც იცავდა, მაგრამ მე მაშინაც ვიბრძოდი და ეხლაც ვიტანჯვი. ჩემის დაკვირვებით, საბჭოთა ხელისუფლება თელავდა სარწმუნოებრივ ინტერესებს მშრომელთა ხალხისა, ამაში მე დარწმუნებული ვიყავი და ეს გამართლდა კიდევ.

თავმჯდომარე: – მემორანდუმში თქვენ ნათქვამი გაქვთ, რომ ქართველ ხალხს ართმევენ მიწა-წყალს და ურიგებენ სხვა ერებს. დამისახელეთ: რა წაართვეს ხალხს და ვის რა გადასცეს?

ამბროსი: – არამც თუ მიწა-წყალი, ხალხიც გადაცემულია სხვა ერებზე. ეს დამტკიცდება მაშინ, როდესაც მოიტანთ საქართველოს რუქას და თუ ასეთი გზით დამტკიცება სასამართლოს შეხედულებით საჭირო არ არის – მაშინ გავჩუმდები.

თავმჯდომარე: – თქვენ ამბობთ, რომ წინააღმდეგი ხართ უცხო სახელმწიფოს ჩარევისა და თითონ კი ისეთ ხალხს მიმართავთ, რომლებიც მშრომელი ხალხის ინტერესებს არ იცავენ?

ამბროსი: – გენუაში იყო მოწვეული სამშვიდობო კონფერენცია, სადაც სხვათა შორის, ირჩეოდა პატარა ერების თავისუფლების საქმე; იქ იყო წასული საქართველოს წარმომადგენელი და მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას; ამიტომ ვფიქრობდი მემორანდუმის გაგზავნით მის დახმარებას.

თავმჯდომარე: – დამისახელეთ, რა ნივთები და სად რა გაიტანეს საქართველოდან?

ამბროსი: – ნივთების გატანის შესახებ იყო ლაპარაკი ხალხში; თუ რა წაიღეს – ამის შესახებ არის საბუთები და თუ საშუალებას მომცემთ, დაგიმტკიცებთ.

თავმჯდომარე: – როგორ უყურებთ მამულების ჩამორთმევას?

ამბროსი: – ეს მთავრობის საქმეა: ისე კი მიწა მას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც მას ამუშავებს.

თავმჯდომარე: – რა დამოკიდებულება გქონდათ კათალიკოზ ლეონიდთან?

ამბროსი: – ვემორჩილებოდი. რა ხდებოდა საკათალიკოზო საბჭოში მისი კათალიკოსების დროს – არ ვიცოდი; მეცოდინებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწვეული ვიქნებოდი საბჭოს რომელიმე სხდომაზე.

თავმჯდომარე: – გითხრათ თუ არა რაიმე ლეონიდმა განძეულობის გატანის და დამალვის შესახებ?

ამბროსი: – არაფერი უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა, რადგანაც მე ვიყავი სოხუმის ეპარქიაში, სადაც მისვლა-მოსვლა არ იყო. ლეონიდს ცოცხალს ვერ მივუსწარი.

თავმჯდომარე: – იცნობთ თუ არა ჯაფარიძეს და გითხრათ თუ არა მან რაიმე გადამაღული განძეულობის შესახებ?

ამბროსი: – ჯაფარიძეს კარგათ ვიცნობ. მე, როგორც მღვდელთმთავარს, უნდა მცოდნოდა გადამალული განძეულობის შესახებ, მაგრამ, ვინაიდან მეც და საბჭოც დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ განძეულობა გატანილია საზღვარგარეთ, არავისთვის არაფერი მიკითხავს, ჯაფარიძემ უთუოდ იცოდა, მაგრამ არ უთქვამს ჩემთვის, ალბათ იმიტომ, რომ ფიცქვეშ დავალება ქონდა არავისთვის არაფერი ემხილა.

თავმჯდომარე: – ვისთვის ინახებოდა განძეულობა?

ამბროსი: – ეკლესიისათვის.

კითხვებს აძლევს სასამართლოს წევრი ნივნივაძე.

ნივნივაძე: – იყავით, თუ არა კათალიკოზის საბჭოს თავმჯდომარედ.

ამბროსი: – ვიყავი.

ნივნივაძე: – აქვს თუ არა საკათალიკოზო საბჭოს რაიმე დებულება, რომელიც საზღვრავს საბჭოსა და მისი თავმჯდომარის უფლებებს?

ამბროსი: – არა.

ნივნივაძე: – იყო თუ არა რომელიმე საბჭოს სხდომაზედ დასმული გადასაწყვეტად დიდი იგი საკითხი?

ამბროსი: – იყო.

ნივნივაძე: – როგორ წყდებოდა ასეთი საკითხები? დებულებების ძალით?

ამბროსი: – ყოველი საკითხის გადაჭრა მე შემიძლია ჩემი პასუხისმგებლობით.

ნივნივაძე: – უნდა მოგეხსენებიათ ეს მერმე საბჭოსათვის?

ამბროსი: – კიდეც შემეძლო, კიდეც არა.

ნივნივაძე: – გენუაში გაგზავნილი მემორანდუმი დიდი საკითხია, თუ მარტო თქვენ შეგეძლოთ მისი გაგზავნის გადაწყვეტა?

ამბროსი: – ვფიქრობ, რომ მე შემეძლო, როგორც მორწმუნე ხალხის არჩეულს. – მე საჭიროდ არ ვსთვლიდი, ეს საკითხი საბჭოში დამესვა. მხოლოდ ამ მოსაზრებით არ შევეკითხე საბჭოს, სხვა რამ მოსაზრება არ მქონია. დავაპირე მომეხსენებია მერმე, როდესაც უკვე ხმა გავრცელდა, მაგრამ უქმეებისა გამო სხდომები არ ყოფილა და მოხსენებაც არ გამიკეთებია.

ნივნივაძე: – იცოდნენ თუ არა მემორანდუმის შესახებ საბჭოს წევრებმა მისი პრესაში გამოქვეყნებამდე?

ამბროსი: – მე ეს არ ვიცი.

ნივნივაძე: – ვისი დავალებით გაიტანა ჯაფარიძემ განძეულობა?

ამბროსი: – ჩემი წინაპრის, კათალიკოზ ლეონიდესი. ეს მე გავიგე მერმე, როდესაც ნივთები აღმოჩნდა. გავიგე არქიმანდრიტ ჯაფარიძესაგან.

ნივნივაძე: – იცოდით თუ არა, როდესაც კათალიკოზობას შეუდექით, რომ მცხეთისა და სიონის ტაძრებში ინახებოდა მდიდარი განძეულობა და მოიკითხეთ თუ არა ისინი?

ამბროსი: – მე შევეკითხე ტაძრების წინამძღოლთ, რომლებმაც მიპასუხეს, რომ საზღვარგარეთ არის გატანილი და მეც მეტი არ დავინტერესებულვარ, რადგანაც თვით ვიყავი ამაში დარწმუნებული. ეს იყო მიზეზი, რომ მათ აღმოჩენამდე არავითარი ზომები არ მიმიღია და საზღვარგარეთ კი ვერ მივწვდებოდი.

რთველაძე (სასამართლოს წევრი): – სცნობთ თუ არა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ხალხის თავისუფლების დამცველი?

ამბროსი: – ვცნობ და მის წინააღმდეგ მე მემორანდუმში კრინტიც არ დამიძრავს. მე საბჭოთა ხელისუფლების მომხრე ვარ, მაგრამ ამავე დროს მინდა, რომ საქართველოში ის იყოს თავისუფალი. ერის თავისუფლებაც იმაშია, რომ მთავრობა მისი იყოს დამოუკიდებელი; საქართველოში კი მთავრობა დამოკიდებულია სხვა ერის მთავრობისაგან. საქართველოში თავისუფლება ავტონომიურია.

შეკითხვებს იძლევა პროკურატურა.

პროკ. მაჭავარიანი – რელიგიოზურია თუ როგორი თქვენ მიერ გენუის კონფერენცი-აზედ გაგზავნილი მემორანდუმი?

ამბროსი: – რელიგიოზური, და თუ პოლიტიკური მიმართულებაც მიიღო, ეს გამოწვეუ-

ლია არსებულ მდგომარეობით.

პროკ. მაჭავარიანი: – ტერიტორიის საკითხის შესახებ პოლიტიკურია თუ რელიგიოზური?

ამბროსი: პოლიტიკურიც და რელიგიოზურიც, რადგანაც ტერიტორიის დაკარგვა – დაკარგვაა ეკლესიისათვის.

პროკ. მაჭავარიანი: ვის გაატანეთ მემორანდუმი?

ამბროსი: – კაპანაძეს.

პროკ. მაჭავარიანი: – კაპანაძე საკათალიკოზო საბჭოს წევრია?

ამბროსი: – კაპანაძე საბჭოს წევრი არ იყო.

პროკ. მაჭავარიანი: – ვისთვის უნდა გადაეცა კაპანაძეს მემორანდუმი – გენუის კონფერენციის თავმჯდომარესათვის, თუ ვინმე პირისათვის?

ამბროსი: – მემორანდუმი უნდა გადაეცა გენუის კონფერენციის თავმჯდომარესათვის, რადგანაც სხვა ვისმეს სახელზედ ის გაგზავნილი არ იყო.

პროკ. მაჭავარიანი: – როდის გაცნობათ ჯაფარიძემ განძეულობის დამალვის შესახებ, და რისთვის გინახულათ იმ დროს, როდესაც შინაურ პატიმრობაში იყავით?

ამბროსი: – მაცნობა ნახვის შემდეგ და მინახულა კი იმიტომ, რომ კათალიკოზი და მისი უფროსი ვიყავი.

პროკ. ოკუჯავა: – ვისი ბრძანებით და განკარგულებით ჩამოეჭრა საქართველოს მიწა?

ამბროსი: – ვისი ბრძანებით და განკარგულებით – ეს ჩემი საქმე არ არის.

პროკ. ოკუჯავა: – იქნებ ომით ჩამოერთვა?

ამბროსი: – არ ვიცი, მე ვხედავ მხოლოდ, რომ ჩვენი მიწა-წყალი სხვის ხელშია.

პროკ. ოკუჯავა: – გნამდათ თუ არა საბჭოთა მთავრობა?

ამბროსი: – ყოველთვის მნამდა და ეხლაც მრწამს, რადგანაც ამას ითხოვს ჩემი სარწმუნოება.

პროკ. ოკუჯავა: – იცოდით თუ არა, რომ სხვა სახელმწიფოები მტრულად ექცევიან საბჭოთა ხელისუფლებას?

ამბროსი: – ვიცოდი.

პროკ. ოკუჯავა: – რას ფიქრობდით? მემორანდუმი რაიმე შვებას მოუტანდა საქართველოს?

ამბროსი: – ვფიქრობდი.

პროკ. ოკუჯავა: – დამისახელეთ, რომელი საბუთის ძალით წაერთვა საქართველოს დამოუკიდებლობა?

ამბროსი: – ინტერვენციით.

პროკ. ოკუჯავა: – თქვენ ამბობთ მემორანდუმში, რომ რუსეთი არის მჩაგვრელი პატარა ერებისა? რომელი რუსეთი, ძველი თუ ახალი?

ამბროსი: – მე ძველი რუსეთი მქონდა მხედველობაში და ეხლაც ამ აზრისა ვარ.

პროკ. ოკუჯავა: – რათ უწოდებთ რუსეთის ლაშქარს საოკუპაციო ლაშქარს?

ამბროსი: – იმიტომ, რომ მან მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

პროკ. ოკუჯავა: – იცოდით თუ არა, რომ საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლა იყო მოთხოვნილება ქართველ კომუნისტების და მშრომელი ხალხის.

ამბროსი: – მე ეს არ ვიცოდი.

პროკ. ოკუჯავა: – რაში გამოიხატა საქართველოს დამონება რუსეთის მხრივ?

ამბროსი: – ას ოცი წლის თავისუფლების, დამოუკიდებლობის მძებარ ხალხის თავისუფლების ინტერვენციით წართმევაში.

პროკ. ოკუჯავა: – დამოუკიდებელია თუ არა დღეს საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დროს?

ამბროსი: – საბჭოთა ხელისუფლების ხელში საქართველო მე მიმანია დამოუკიდებელი იდეურად, მაგრამ ფაქტიურად ეს ეგრე კი არ არის.

პროკ. ოკუჯავა: – დამისახელეთ, რაში გამოიხატა ფიზიკური გადაშენება ხალხისა.

ამბროსი: – ენის დევნაში, ტერიტორიის სხვის ხელში გადაცემაში და იმაში, როდესაც ხელისუფლება ქართველთა ხელში არ არის.

პროკ. ოკუჯავა: – იცოდით თუ არა თქვენ, როდესაც წითელ ჯარის საქართველოდან გაყვანას მოითხოვდით, სურდა თუ არა ეს საქართველოს მთავრობას?

ამბროსი: – არ სურდა; გაზეთებიდან ვიცი.

პროკ. ოკუჯავა: – იცოდით თუ არა, როდესაც ინგლისს მიმართავდით, რომ ის მოითხოვდა საქართველოს არსებულ მთავრობის გადაყენებას და მისი მზგავსის დაყენებას?

ამბროსი: – ჩემს წერილში მე არ მითქვამს არსებულ მთავრობის გადაყენების შესახებ. მე ვითხოვდი მხოლოდ ჩვენი მთავრობის დამოუკიდებლობას. როგორი მთავრობას მოითხოვდა ინგლისი, მე ეს არ ვიცი; მე ვითხოვდი ისეთი მთავრობას, როგორი მთავრობასაც ქართველი ერი ისურვებდა. სხვაფრივ კი წესწყობილების საკითხის განხილვაში არ შევსულვარ და არც შევდივარ.

ბრალმდებელი ერქომიშვილი: – არის თუ არა ჯარის გაყვანის მოთხოვნა პოლიტიკური ხასიათის?

ამბროსი: – პოლიტიკურია იმდენად, რამდენადაც ის ხელს უშლის ეკლესიის თავისუფლებას.

ერქომიშვილი: – მაგალითად, რაში გამოიხატა რუსეთის ჯარის ჩარევა ეკლესიის თავისუფლებაში?

ამბროსი: – მაგალითად ვერ მოვიყვან, მხოლოდ თავისუფალ ერს უნდა ყავდეს თავისუფალი ჯარი; რამდენად თავისუფალია ერი, იმდენად თავისუფალია ეკლესიაც.

ერქომიშვილი: – როგორ უყურებთ მენშევიკურ დროს საქართველოში გერმანიის და ინგლისის ჯარების ყოფნას. იყო მაშინ შელახული დამოუკიდებლობა საქართველოსი?

ამბროსი: – გერმანიის და ინგლისის ჯარების ყოფნას საქართველოში – საქართველოს დამოუკიდებლობა არ მოუხსნია.

ერქომიშვილი: – იყო თუ არა სანინალმდეგო დადგენილება საკათალიკოზო საბჭოსი შესახებ იმისა, რომ სამხედრო ტაძრის გადაცემაში საბჭოს წარმომადგენლებს მონაწილეობა არ მიეღოთ?

ამბროსი: – დადგენილება საკათალიკოზო საბჭოსი შესახებ სამხედრო ტაძრის მთავრობის მიერ ჩაბარების დროს მონაწილეობის მიუღებლობისა არ არის მთავრობის სანინალმდეგო, რადგანაც ტაძრის დარღვევაში მონაწილეობის მიღება იყო ჩვენი რწმენის საკითხი და ამიტომ ჩვენთვის მიუღებელი.

ერქომიშვილი: – რატომ ფიქრობთ თქვენ, რომ რუსეთის ჯარს არჩენს საქართველო?

ამბროსი: – იმიტომ, რომ მისი ჯარი აქ არის.

ერქომიშვილი: – მოახსენეთ თუ არა თქვენ საკათალიკოზო საბჭოს მემორანდუმის გენუაში გაგზავნის შესახებ მანამდე, სანამ ეს პრესაში გამოქვეყნდებოდა?

ამბროსი: – არ მომიხსენებია.

ერქომიშვილი (მიმართავს სასამართლოს): ვინაიდან ამბროსის ასეთ განცხადებას და გამომძიებელთან მიცემულ ჩვენებასა შორის არის წინააღმდეგობა, ვითხოვ წაკითხულ იქმნას ოქმი მისი ჩვენებისა (გვერდი საქმისა 349).

სასამართლო აქვეყნებს აღნიშნულ ჩვენებას ამბროსისას, საიდანაც სჩანს, რომ ის ადასტურებს იმას, რომ მემორანდუმის შესახებ მან მოახსენა საბჭოს მანამდე, სანამ ეს გაზეთებში გამოცხადდებოდა (იხ. 1923წ. 16 მაისის ჩვენება, დოკ. №43. – ჯ.გ.).

პასუხად ამისა ამბროსი ითხოვს, წაკითხულ იქმნას მისი განცხადება, რომელიც მითვისებულია საქმესთან და მოთავსებული საქმის 371 გვერდზე (იხ. 1923წ. 24 მაისის განცხადება, დოკ. №45. – ჯ.გ.).

სასამართლო აკმაყოფილებს მის შუამდგომლობას. განცხადებაში ის უარყოფს მის ჩვენებას და განმარტებისათვის დასძენს:

საბჭოს სხდომა არ ყოფილა, ამიტომ ვერც მოხსენებას გავაკეთებდი, მხოლოდ ერთს თუ ორ წევრს არა ოფიციალურად საიდუმლოება გავანდე. სხდომა რომ შემდგარიყო,

უეჭველად მოვახსენებდი მემორანდუმის გაგზავნას.

ამბროსი: – უკანასკნელი განცხადება, პროკურატურა ითხოვს, შეტანილი იქმნას ოქმში.

ერქომაიშვილი: – რაში გამოიხატა შემოხიზნულთათვის მინა-წყლის დარიგება? საზღვრების ჩამოჭრასა თუ მიწების დარიგებაში?

ამბროსი: – ადგილი აქვს ორივე შემთხვევას. მხედველობაში მქონდა ყარაიაში რუსების შემოხიზვნა და დასახლება.

ერქომაიშვილი: – იცით თუ არა, რომ ისინი ადრე აქ ესახლენ, მერმე გაიქცნენ და ეხლა ისევ დაბრუნდნენ?

ამბროსი: – მე ვიცი ის, რომ მათი გახიზვნის შემდეგ იქ იყვნენ დასახლებული ქართველები.

ერქომაიშვილი: – სად არის დევნილი მშობლიური ენა?

ამბროსი: – მიგითითებ განათლების კომისარიატის განკარგულებაზე, რომელიც მოხდენილია მემორანდუმის გაგზავნის შემდეგ. ეს განკარგულება შეეხება წარმოების ქართულ ენაზედ შემოღებას. სჩანს, წარმოება ადრე რუსულად ყოფილა.

ერქომაიშვილი: – იცოდით თუ არა თქვენ, რომ რუსეთის სამღვდელთა ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას?

ამბროსი: – ვიცოდი, მაგრამ ეს საქართველოს არ ეხება.

თავმჯდომარე: – თქვენ ამბობთ, რომ ქართული ენა დევნილია, ეს რომ ეგრე იყოს, შეიძლება განა ასეთი სასამართლო, როგორც დღესაა?

ამბროსი: – ეს არის დღეს, ნაციონალიზაციის გატარების შემდეგ.

ერქომაიშვილი: – ვისზედ და რაში გამოიხატა ქართველების უფლებების აყრა.

ამბროსი: – მორწმუნეებზედ.

ბარათაშვილი (დამცველი): – ვის გაუგზავნეთ მემორანდუმი, კონფერენციას თუ რომელიმე სახელმწიფოს?

ამბროსი: – კონფერენციას.

ბარათაშვილი: – ფიქრობდით თუ არა, რომ კონფერენციის შემადგენლობა ომს გამოუცხადებდა რუსეთს, თუ რომ საქართველოს საკითხში მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებდა.

ამბროსი: – არა; კონფერენცია იყო სამშვიდობო.

ბარათაშვილი: – ნაიკითხეს თუ არა კონფერენციაზე მემორანდუმი?

ამბროსი: – ამის ცნობა მე არ მაქვს.

ბარათაშვილი: – გქონდათ თქვენ რაიმე კავშირი რომელიმე სახელმწიფოსთან?

ამბროსი: – არა, არ მქონდა.

ბარათაშვილი: რა ხასიათი ჰქონდა თქვენს მემორანდუმს?

ამბროსი: – გენუის კონფერენციაზედ იყო საქართველოს წარმომადგენელი და იქ უნდა დაცულიყო ჩვენი ერის სუვერენობა; ვფიქრობდი, რომ ჩვენს წარმომადგენელს ეს მემორანდუმი დახმარებას გაუწევდა და მეც ამიტომ გავგზავნე.

ბარათაშვილი: – იყო თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ მღვდლები პროპაგანდას ეწეოდნენ არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ?

ამბროსი: – არა, არ იყო, და რომ ყოფილიყო – მე წინააღმდეგი წავიდოდი.

პროკ. მაჭავარიანი: – იცით, ვისი ინიციატივით იყო მოწვეული კონფერენცია?

ამბროსი: – არა, არ ვიცი.

პროკ. ოკუჯავა: – თუ რომ საბჭოთა წყობილების არა ხართ, როგორი წყობილებას ითხოვდით?

ამბროსი: – ყოფილიყო ასეთივე, მაგრამ დამყარებულიყო ხალხის სურვილზედ.

პროკ. ოკუჯავა: – ხომ იცით, რომ საბჭოთა მთავრობას ხალხი ირჩევს?

ამბროსი: – ახლა ვიცი, პირველი ყრილობის შემდეგ; მემორანდუმის დაწერამდე ყრილობა არ ყოფილა.

პროკ. ოკუჯავა: – თუ რომ არსებული მთავრობის დახმარება გსურდათ – რისთვის

ამის შესახებ მთავრობას ან არ შეეკითხეთ ან არ გააგებინეთ?

ამბროსი: – ვფიქრობდი, რომ საჭირო არ იყო...

ნივნივაძე: – რამდენი ენაზედ ლაპარაკობთ?

ამბროსი: – სამ ენაზედ: ქართულ, რუსულ, მეგრულზედ.

ნივნივაძე: – რომელ ენაზედ იყო დანერილი მემორანდუმი?

ამბროსი: – ქართულ ენაზედ.

ამბროსის დაკითხვის შემდეგ სხდომა სწყდება 10 წუთით. სხდომის განახლებისას ჩვენებს ართმევენ ბრალდებულ ლეჟავას (ნაზარის).

თავმჯდომარე: – იცოდით თუ არა მემორანდუმის გაგზავნის შესახებ.

ნაზარი: – არა.

თავმჯდომარე: – როდის გაიგეთ?

ნაზარი: – პრესაში დაბეჭვდის შემდეგ.

თავმჯდომარე: – როგორი იყო თქვენი შეხედულება მემორანდუმზედ გაგების შემდეგ?

ნაზარი: – მე ეს არ მბრალდება და ამიტომ არ გიპასუხებთ.

თავმჯდომარე: – დამალულ განძეულობის შესახებ როდის გაიგეთ?

ნაზარი: – გავიგე საიდუმლოდ ლეონიდესგან.

თავმჯდომარე: – ვის გაანდევით?

ნაზარი: – არავის.

თავმჯდომარე: – ვის ქონდა შენახული?

ნაზარი: – ლეონიდის გადმოცემით, შენახვა მიუნდვია პავლე ჯაფარიძესათვის.

თავმჯდომარე: – გააგებინეთ თუ არა ამბროსის განძეულობის შენახვის შესახებ?

ნაზარი: – ამბროსისათვის არაფერი მითქვამს.

თავმჯდომარე: – რატომ არ უთხარით?

ნაზარი: – მე ვიცავდი ლეონიდეს საიდუმლოებას. ამასთანავე მე ვიყავი ქუთაისში და დირექტივებსაც იქიდან ვღებულობდი – იცოდა თუ არა განძეულობის გადამალვის შესახებ რაიმე ეკლესიის თავმა – ეს მე არ ვიცოდი.

თავმჯდომარე: – ეკლესიისათვის ინახებოდა განძეულობა?

ნაზარი: – ეკლესიისათვის და ქართველ ერისთვის.

თავმჯდომარე: – მაშ, ამბროსის არ უნდა სცოდნოდა, სად ინახება ეკლესიის განძეულობა?

ნაზარი: – მე არ მიცნობებია და ისე კი ცოდნა მისთვის საჭირო იყო.

თავმჯდომარე: – რატომ მთავრობას არ განუცხადეთ, რომ სიონის და მცხეთის განძეულობა გადამალული ქონდათ?

ნაზარი: – რატომ უნდა განმეცხადებია?!

თავმჯდომარე: – იმიტომ, რომ ის მთავრობაა!

ნაზარი: – ის იყო ეკლესიის განძეულობა, ეპატრონებოდა ეკლესია და განუცხადებდი მთავრობას მაშინ, როდესაც მოითხოვდა; ისე კი არავითარი დეკრეტი არ იყო ან ჩაბარებისა, ან კიდევ ცნობისა, სად რომელი განძი გვქონდა შენახული.

თავმჯდომარე: – რატომ მიწიდან არ ამოიღეთ და ეკლესიაში არ წაიღეთ?

ნაზარი: – იმიტომ, რომ უფრო საიმედო ადგილს იყო შენახული; ის რომ ეკლესიაში ყოფილიყო შენახული, შესაძლებელია მოეპარათ. ასეთი შემთხვევა კიდევ იყო და ამიტომ მათი ეკლესიაში შენახვა წარმოადგენდა საშიშროებას.

თავმჯდომარე: – რატომ მაინც ეკლესიის თავს არ შეატყობინეთ?

ნაზარი: – იმიტომ, რომ განძეულობა შენახული იყო ლეონიდის მიერ კონსპირატიულად და მეც ამ მხრივ ტრადიცია დავიცავი, ისე კი ვფიქრობდი, რომ ამბროსიმ ეს იცოდა.

თავმჯდომარე: გამოსულხართ როდესმე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ?

ნაზარი: არა, და არც შემეძლო გამოსულვიყავ, რადგანაც ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთს დაშორებულია. არამორწმუნე – კომუნისტიც არის და არა კომუნისტიც. მე მივდიდოდი საზოგადოდ წინააღმდეგ, მხოლოდ ყველა არა მორწმუნეთა წინააღმდეგ.

ნივნივაძე: რათ დაუმალეთ მთავრობას, რომ განძეულობა დამალული გქონდათ?

ნაზარი: მთავრობისაგან არ დაგვიმალავს.

ნივნივაძე: როგორ იყო შენახული?

ნაზარი: მე არ დავსწრებვარ და ამიტომ არ შემიძლია აგინეროთ.

ნივნივაძე: სად იყო შენახული?

ნაზარი: როგორც ლეონიძმა გადმომცა, არქირეის სასახლის აივნის ქვეშ, მიწაში ჩაფლული.

ნივნივაძე: – საზოგადოდ ეგრე ინახავენ განძეულობას?

ნაზარი: – თუ რომ გარემოება მოითხოვს.

ნივნივაძე: – მაშასადამე, გარემოებამ მოითხოვა ეგრე შეენახათ? ეძახით ამას დამალვას?

ნაზარი: – ეს დამალვა არ არის. ეს არის საიმედო ადგილას შენახვა, რომ არ დაკარგულიყო.

ნივნივაძე: – ვისგან რომ არ დაკარგულიყო?

ნაზარი: – ბოროტ ავაზაკებისაგან.

ნივნივაძე: – როდის იყო ასეთი მომენტი?

ნაზარი: – მაშინ, როდესაც განძეულობა იმარხებოდა. მაშინ არეული ხანა იყო და ძარცვა ძლიერ გახშირებული.

ნივნივაძე: – დიდ ხანს გაგრძელდა ასეთი დრო?

ნაზარი: – დიდ ხანს.

ნივნივაძე: – როდის აღმოაჩინეს განძეულობა?

ნაზარი: – მე მაშინ დაჭერილი ვიყავ.

ნივნივაძე: – როდესაც აღმოაჩინეს, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცებული იყო?

ნაზარი: – იყო.

ნივნივაძე: – მშვიდობიანობა დამყარებული იყო თუ არა?

ნაზარი: – შედარებით მშვიდობიანი დრო იყო.

ნივნივაძე: მაშ რისთვის ინახავდით?

ნაზარი: – ვინახავდით ეკლესიისათვის.

ნივნივაძე: – გქონდათ თუ არა განზრახვა, დაგეფარათ მთავრობისაგან ის, რომ განძეულობა გადამალული გქონდათ?

ნაზარი: – არ მქონდა. მე მას შევატყობინებდი მთავრობას, როდესაც გამოიცემოდა ბრძანება მათი გადაცემის შესახებ.

ნივნივაძე: – თქვენ არ მიგიღიათ მონაწილეობა განძეულობის დამარხვაში?

ნაზარი: – არა.

ნივნივაძე: – როგორ მოხდა, რომ განძეულობა თქვენს ბინის ქვეშ ინახებოდა და თქვენ კი ეს არ იცოდით?

ნაზარი: – მაშინ მე შინ არ ვიყავი.

თავმჯდომარე: – ხომ იცოდით, რომ იყო დეკრეტი, ეკლესიების განძეულობის ხალხის ქონებად გამოცხადებისა? რატომ არ შეატყობინეთ მთავრობას, რომ ქონება შენახული გქონდათ?

ნაზარი: – მე დღითი დღე ველოდი მთავრობის განკარგულებას განძეულობის გადაცემის შესახებ. ჩვენ მონასტერშიც ბევრი განძეულობა გვაქვს შენახული საიდუმლო ადგილებში. ამიტომ მთავრობას რომ ჩვენთვის ეთქვა „მოგვეცით განძეულობაო“, ჩვენც მას ამოვიღებდით და მივცემდით. თვით დეკრეტი კი განძეულობის ხალხის ქონებად გამოცხადებისა არ მავალვებდა განძეულობა მთავრობისათვის ჩამებარებია. ამიტომ ველოდი განკარგულებას და ნივთებსაც ყოველ მიზეზის გარეშე ჩავაბარებდი. ისე კი, სადაც არ უნდა ყოფილიყო განძეულობა შენახული, ის იყო ეკლესიის განკარგულებაში.

პროკ. ოკუჯავა: – იცოდით თუ არა რამე მემორანდუმის შესახებ და როგორია მის შესახებ თქვენი აზრი?

ნაზარი: – მემორანდუმის შესახებ ვიცოდი მის შემდეგ, როდესაც ის გამოცხადდა პრესაში. ჩემ აზრის გამოთქმაზედ უარს ვამბობ.

პროკ. ოკუჯავა: – იცოდით თუ არა, რომ მინაში ისეთი განძეულობა იყო ჩაფლული, რომელიც გაფუჭდებოდა?

ნაზარი: – ვიცოდი.

პროკ. ოკუჯავა: – ვინ არის პასუხისმგებელი გაფუჭებისათვის?

ნაზარი: – ის, ვინც ჩაფლა.

პროკ. ოკუჯავა: – ვინ იცოდა განძეულობის დაკრძალვის შესახებ?

ნაზარი: – მე, პავლე ჯაფარიძემ და ლეონიძმა.

პროკ. ოკუჯავა: – ვინ არის თქვენში უფროსი – ჯაფარიძე, თუ თქვენ? ვის უნდა მოხსენებინა ამბროსისათვის?

ნაზარი: – ეს იყო საიდუმლოება და ამბროსისათვის უნდა ეთქვათ ლეონიდს, მე კი ვერ ვეტყვოდი.

პროკ. ოკუჯავა: განძეულობას მთავრობას უნახავდით, თუ ითვისებდით?

ნაზარი: – არ ვითვისებდით.

პროკ. ოკუჯავა: – იცოდით, თუ არა, სად უნდა ჩაეფლო ლეონიდს განძეულობა?

ნაზარი: – არ ვიცოდი.

ერქომიშვილი: – ციხეში იყავით, როდესაც განძეულობა ნახეს?

ნაზარი: ციხეში.

ერქომიშვილი: – დაგკითხეს თუ არა?

ნაზარი: – გაზეთებში წავიკითხე, რომ სამღვდელოება ქურდებთან ჰყავდათ დასახული, მაგრამ მე მაშინ დაუკითხავი ვიყავი.

ერქომიშვილი: – ხართ თქვენ საკათალიკოზო საბჭოს წევრი?

ნაზარი: – ვარ მაშინ, როდესაც თბილისში ვიმყოფები, ე.ი. ვითვლები.

ერქომიშვილი: – იყავით თუ არა მინვეული იმ სხდომაზედ, როდესაც ამბროსის უნდა მოხსენება გაეკეთებინა საბჭოსათვის მემორანდუმის გაგზავნის შესახებ?

ნაზარი: – არ ვიყავი.

მხარეებს მეტი საკითხი არ აქვთ.

სასამართლო გადადის ბრალდებულ ჯაფარიძის დაკითხვაზედ.

თავმჯდომარე: – ვინ დაგავალათ სიონის და მცხეთის განძეულობის გატანა და შენახვა?

ჯაფარიძე: – კათალიკოზ ლეონიძმა, მე ქუთაისში ვცხოვრობ, ისე კი იმ ხანებში თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს ვისმენდი; ერთს დღეს, ლექციების შეწყვეტისა გამო, წაველ კათალიკოზ ლეონიძთან ლოცვა-კურთხევის გამოსათხოვად. სწორედ იმ დღეს დამავალა ლეონიძმა წაღება განძეულობისა ქუთაისში და შენახვა ბანკში. მე ვიყავი მისი მორჩილი და ამიტომ დავალების შესრულებაში უარი ვერ ვუთხარი. განძეულობა ჩავიბარე ტყემალაძისა და ლაზარიშვილისაგან, სადგურამდე გამომყვა ტყემალაძე და კაპანაძე. სადგურთან კაპანაძე ჩამომშორდა. სადგურზედ დიდ ძალ ხალხს მოეყარა თავი, იყო ჩოჩქოლი და ლაპარაკი, რომ თბილისს სცლიანო, ამიტომ მიიჩქაროდნენ, ჩქარა გამეტანა განძეულობა, რომ არ დაგვრჩენოდა და არ დაკარგულიყო. იყო ლამის 2 საათი, როგორც იქნა, მოვთავსდი ერთ რონოდაში, ამავე მატარებლით მოდიოდა **ბენია ჩხიკვიშვილი** და **არქეოლოგი თაყაიშვილი**; როდესაც ამათ გაიგეს რა მიმქონდა, მთხოვეს მათთვის გამეტანებია, მაგრამ მე უარი ვუთხარი, რადგანაც დავალება მქონდა კათალიკოზიდან, წამელო ის ქუთაისში. ქუთაისში რომ ჩაველ, ქალაქი იცლებოდა. ვინაიდან ბანკსა ცლიდენ, განძეულობა პირდაპირ საკათედრო ტაძარში მივიტანე და ვუცდიდი ლეონიდის ჩამოსვლას. ლეონიძიც ჩამოვიდა და როდესაც გაიგო, როგორი მდგომარეობა იყო შექმნილი ქუთაისში, მიბრძანა განძეულობის სადმე საიმედო ადგილს შენახვა. განძეულობა წავიღეთ არქირეის გორაზედ და დავკრძალეთ არქირეის სასახლის აივნის ქვეშ. განძეულობასთან ერთად ჩავფლეთ მინაში ბოთლი, რაშიც იყო ჩადებული სია განძეულობისა და ბრძანება შესახებ იმისა, რომ განძეულობა წამოღებულია საკათალიკოზო საბჭოს

განკარგულებით. აქვე ლეონიდმა დამაფიცა ჯვარზედ, რომ განძეულობის შენახვა საიდუმლოდ შემენახა და არავისთვის არაფერი მეთქვა მანამ, სანამ მის შესახებ რაიმე ახალ განკარგულებას არ გამოსცემდა. ისე კი ხმა უნდა გამეგრცელებინა, რომ განძეულობა მთავრობამ საზღვარგარეთ წაიღო. ვინაიდან მე ვიყავი ფიცით შებოჭილი, განძეულობის დაკრძალვის შესახებ არავისთვის არაფერი მითქვამს. რაც შეეხება კათალიკოს ამბროსის – შეიძლება მისთვის მეთქვა, მაგრამ მის შემდეგ, თუ კი რომ ის ამის შესახებ ოდესმე შემეკითხებოდა. ის მე არაფერს მეკითხებოდა და ამიტომ მეც ვდუმდი.

პროკ. მაჭავარიანი: – არაფერი უთქვამს თქვენთვის კათალიკოს ლეონიდეს შესახებ იმისა, თუ რისთვის გაჰქონდა განძეულობა ქუთაისში?

ჯაფარიძე: – როგორ არა, სთქვა, რომ ძლიერ არეული დროა, შესაძლებელია განძეულობა გაიტაცონ და ამიტომ უნდა გადავარჩინოთ; როდესაც ქვეყანა დაწყნარდება, მაშინ ამოვიღებთო.

პროკ. მაჭავარიანი: – როდესაც ქვეყანა დამშვიდდა და უკვე საშიშროება არ იყო, რატომ მერმე მანაც არ განუცხადეთ მთავრობას, სად იყო დამალული განძეულობა?

ჯაფარიძე: – ვიყავი ფიცით შებოჭილი: არავისთვის არაფერი მეთქვა; თანაც ამის შესახებ მთავრობის არც ერთი ბრძანება არ იყო.

პროკ. მაჭავარიანი: – იცოდით თუ არა, რომ საეკლესიო განძეულობა სახალხო ქონებად იყო გამოცხადებული?

ჯაფარიძე: – უმეტესი ნაწილი მონასტერში ვცხოვრობ და მთავრობის განკარგულებებს ძლიერ ნაკლებ ვადევნი თვალყურს, ამიტომ არ ვიცოდი.

პროკ. ოკუჯავა: – თქვენ სთქვით, რომ კათალიკოს ლეონიდის დავალებით, თუ რომ ვინმე გკითხავდათ გატანილ განძეულობის შესახებ, უნდა გეთქვა, რომ განძეულობა საზღვარგარეთ არის გატანილი. ეს ხომ ტყუილის თქმაა, რომელიც სასულიერო პირს არ შეფერის?

ჯაფარიძე: – ტყუილის თქმაც არის და ტყუილის თქმაც. ღმერთის განრისხება იმდენად არაფერია, რადგანაც ის მრავალ მოწყალეა და შევინანებდი.

პროკ. ოკუჯავა: – როგორ ფიქრობთ, ტყუილის თქმა ღვთის წინააღმდეგია?

ჯაფარიძე: – წინააღმდეგიც არის და არც არის წინააღმდეგი, და იმის და მიხედვით, თუ რას შეეხება ტყუილი. ზოგ შემთხვევაში ტყუილის თქმა შესაწყნარებელია, მით უმეტეს, რომ, ჩვენ საშუალება გვაქვს ტყუილის თქმა საიდუმლო აღსარებით მოვინანიოთ.

პროკ. ოკუჯავა: – როდესაც განძეულობა ნახეს და თბილისში ჩამოხვევლით რათ მოახსენეთ ამბროსის, რომ განძეულობა ნახესო?

ჯაფარიძე: – თბილისში ვიყავი ჩამოსული ორი დღით და ვალდებული ვსთვლიდი თავს, მენახულა ამბროსი და ყველაფერი მომეხსენებია.

დამცველი ქავთარაძე: – აღსარებაში თქმული, საიდუმლოებაა?

ჯაფარიძე: – საიდუმლოებაა და მისი გამჟღავნება არ შეიძლება.

წივნიაძე: რა მიზანი ქონდა განძეულობის მიწაში ჩაფლას?

ჯაფარიძე: – საშიშროების თავიდან აცილება და მათი გადარჩენა.

წივნიაძე: როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი განძეულობის მიწიდან ამოღება?

ჯაფარიძე: – მაშინ, როდესაც მთავრობა, მოახდენდა რა შემონახვას სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობისას, მოითხოვდა მათი მოტანას, ან გამოსცემდა რაიმე სათანადო დეკრეტს.

დამცველი დადიანი იძლევა განმარტებას შესახებ დეკრეტის №21 და აცხადებს, რომ ამ დეკრეტის ძალით სამღვდლოება სრულებით ვალდებული არ იყო მოეხსენებია, ან ჩაეხრებოდა მთავრობისათვის სად, რომელი და როგორი განძეულობა ჰქონდათ შენახული.

ჯაფარიძის დაკითხვის შემდეგ სასამართლოს სხდომა შეწყდა ღამის 11 და 30 წუთზედ და გადაიდო მეორე დღის დილის 12 საათისათვის.

მესამე დღე 12 მარტი 1924 წელი

სხდომა გაიხსნა შუადღის 1 საათზე და 20 წუთზე.

დამცველ ნინიძეს დამცველებთან სახელით შემოაქვს შემდეგი განცხადება:

„მოგახსენებთ სასამართლოს, რომ ჩვენ სრულის დამშვიდებით შევხვდით სასამართლოს დარბაზში დამყარებულ წესრიგს, განსაკუთრებით პროცესის პირველ დღეს. ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ პროცესი ბოლომდის ნორმალურ პირობებში იწარმოებდა, მაგრამ სურათი თანდათან იცვლება: როგორც დარბაზში, ისე პრესაში თავი იჩინა მტრულმა განწყობილებამ, რომელიც ექსცესების სახეს იღებს; ისმის ყვირილი „ძირს მიუქთახორები“ და სხვ., როგორც ბრალდებულთა, ისე დამცველთა წინააღმდეგ.“

აგიტაცია ბრალდებულთა და დამცველთა წინააღმდეგ გადალახა ყოველივე შესაძლებლობა და არსებულ კანონების წინაარსის და საფუძვლის უკუღმართი განმარტება წამოაყენა: მაშინ, როდესაც კანონი იცავს სამართლიანობას და მხარეთა თანასწორობას, პრესა, ამის საწინააღმდეგოთ, წინასწარ შედის ჩვენი მოქმედების დაფასებაში და ბრალდებულთა წინააღმდეგ უკვე გამოაქვს საბრალდებლო განაჩენი, ხოლო დამცველებს „სინდისის და პატიოსნების“ მოვაჭრე პირებათ აცხადებენ.“

მოგახსენებთ რა ამას სასამართლოს, გთხოვთ, განუმარტოთ პრესას, რომ სანამ განჩინება არ არის გამოტანილი, მანამდე არსებობს მხოლოდ ბრალდებული და არა გამტყუნებული. ხოლო დამცველი არის წარმომადგენელი მხრის და პასუხს აგებს კანონის და თავისი სინდისის წინაშე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პროკურატურა მიაქცევს ამას ყურადღებას და აღკვეთს კანონიერების შელახვას და ამით საშუალებას მოგვცემს ჩვენ განვაგრძოთ ჩვენი მოვალეობის ასრულება“.

ერქომანიშვილი: – პასუხად დამცველთა განცხადებისა განუმარტავს სასამართლოს, რომ სასამართლოს არ შეუძლია და არც არის ვალდებული პასუხი აგოს იმაში, რაც ხდება ქუჩაში, რომ დამცველები, რაკი პირველმა ცდამ საქმის სხვა დროისთვის გადადებისა უნაყოფოდ ჩაუარათ, ცდილობენ პროცესი სააგიტაციო მასალათ გამოიყენონ. აქ არის ძველი და ახალი ძალების შეტაკება. მშრომელი მასა ლელავს, რადგანაც ვერ წარმოუდგენია, რომ საბჭოთა წყობილების დროს სამღველოებას იცავდეს ის, ვინც გუშინ მარქსიზმის სახელით მის წინააღმდეგ იბრძოდა, რომ ეს გარემოება დამცველებს ნერვებს უშლის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს უფლებას არ აძლევს მათ გამოდიოდნენ სასამართლოში ასეთის განცხადებით.

ოკუჯავა: – ჩვენის აზრით, მეორე მხარე აგრძელებს ობსტრუქციას. მას სურს პროცესის მოწყვეტა (ასეა ტექსტში – ჯ.გ.). ამას ისინი თავიდანვე ცდილობდნენ, მაგრამ რადგანაც ვერ შესძლენ, ეხლა სხვა ოინებს მიმართავენ, ამიტომ წესიერებას არღვევენ თვით და ხალხიც ამას პასუხს აძლევს, ამიტომ ვითხოვ, მათი განცხადება საქმესთან მითვისებული არ იქნეს.

სასამართლო გადის სათათბირო ოთახში დადგენილების გამოსატანად.

გამოსვლისას სასამართლო აცხადებს დადგენილებას:

„სასამართლომ მოისმინა რა დამცველთა კოლექტიური შუამდგომლობა მათი წერილობითი განცხადების საქმეში ჩართვის შესახებ და ბრალდებულთა პასუხი, დაადგინა: აღნიშნული წერილობითი განცხადება დამცველებისა მითვისებულ იქმნას საქმესთან“.

სასამართლო აგრძელებს სხდომას და ეკითხება ბრალდებულს ლაზარიშვილს:

თავმჯდომარის შეკითხვაზე, აქვს თუ არა რაიმე სათქმელი, ლაზარაშვილი განმარტავს, რომ მის შემდეგ, რაც მან თავის გასამართლებლად წარმოადგინა კათალიკოზ ამბროსის (უნდა იყოს: ლეონიდეს – ჯ.გ.) წერილი, სათქმელი არა აქვს რა და მიცემულ კითხვებზედ ამბობს,

რომ მან მემორანდუმის შესახებ პრესაში მისი გამოქვეყნებამდე არაფერი იცოდა და ვინაიდან იმოდენა სწავლა და ცოდნა მას არ შესწევს არც მისი პოლიტიკური შეფასება შეუძლია. ქუთაისში გატანილი განძეულობის შესახებ განმარტავს, რომ ეგ განძეულობა

მან, ლეონიდეს დავალებით, ჩააბარა ქუთაისში წასაღებად პავლე ჯაფარიძეს, რომ ჯაფარიძემ ის გაიტანა ქუთაისში, მაგრამ იქ რა ბედი ეწვია მას, მან არ იცის. საკათალიკო-ზო საბჭოს წევრი ის არ ყოფილა.

მაჭავარიანი: – მიაცილეთ თუ არა ჯაფარიძე სადგურამდე?

ლაზარიშვილი: – არ წავყოლივარ, რადგანაც ავად ვიყავი, მე შევასრულე მხოლოდ დავალება ლეონიდესი, რომელიც შეეხებოდა განძეულობის ჯაფარიძესადმი გადაცემას და ამიტომ რა ბედი ეწვია მაგ ნივთებს ქუთაისში, არ ვიცი. ნათქვამი ქონდათ ჩემთვის, რომ ეს განძეულობაც მთავრობამ წაიღო საზღვარგარეთაო.

ოკუჯავა: – იცოდით, ხმებით სად იყო განძეულობა?

ლაზარიშვილი: – ხმებით ვიცოდი, რომ იყო გატანილი საზღვარგარეთ, თვით ლეონიდიდან ვიცოდი, რომ გატანილი იყო საზღვარგარეთ. ამიტომ, თუმცა ხშირად შევხვედრილვარ ამის შემდეგ ჯაფარიძეს, მე მისთვის გატანილი განძეულობის შესახებ არაფერი მიკითხავს.

ერქომაიშვილი: – რომ გცოდნოდათ, სად იყო განძეულობა, ეტყოდით მთავრობას? ფიცით ხომ არ იყავით შებოჭილი?

ლაზარიშვილი: – არავის დაუფიცავარ. მაგრამ რომ ვეტყოდი თუ არა მთავრობას, არ ვიცი, რადგანაც ასეთი მდგომარეობა არ მიცდია.

ნივნივაძე (სასამართლოს წევრი): – საიდან იცით, რომ განძეულობა, გატანილი ქუთაისში, ბანკში უნდა შეენახათ?

ლაზარიშვილი: – განძეულობის გატანის შესახებ იყო დადგენილება საკათალიკოზო საბჭოსი, ამ დადგენილებით გატანა მისი ევალეზობდათ ეპისკოპოსს დავითს და პავლე ჯაფარიძეს.

ნივნივაძე: – ვისგან გქონდათ გაგებულება, რომ განძეულობა საზღვარგარეთ იყო გატანილი?

ლაზარიშვილი: – კათალიკოზ ლეონიდესაგან.

ნივნივაძე: – მენშევიკურ მთავრობის დროს იყო შემთხვევა მთავრობის მიერ საეკლესიო ქონების ჩამორთმევისა?

ლაზარიშვილი: – არა, არ იყო.

ნივნივაძე: – ხომ არ უმაღავედა სამღვდელოება მენშევიკურ მთავრობას განძეულობას?

ლაზარიშვილი: – არა.

ნივნივაძე: – იყო თუ არა სამღვდელოება თანამგრძნობი იმისა, რომ გადამალული განძეულობა მენშევიკურ მთავრობას თან წაეღო?

ლაზარიშვილი: – არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ სამღვდელოება უკმაყოფილო იყო, როდესაც მთავრობა გელათის მონასტრიდან განძეულობას ეზიდებოდა.

ოკუჯავა: – თქვენ რომ გცოდნოდათ, რომ სიონის და მცხეთის ტაძრის განძეულობა მიწაშია ჩაფლული, მოითხოვდით მის ამოღებას?

ლაზარიშვილი: – მოვითხოვდი, რადგანაც განძეულობათა შორის იყო ერთი სამოსელი, რომელიც სინოტესაგან წახდებოდა.

სასამართლო ეკითხება ბრალდებულ მარკოზ ცყემალაძეს.

თავმჯდომარის შეკითხვებზედ მემორანდუმის და განძეულობის გატანის და შენახვის შესახებ ბრალდებული განუმარტავს სასამართლოს, რომ ის კრება, რომელზედაც კათალიკოზ ამბროსის მოხსენება უნდა გაეკეთა გაგზავნილი მემორანდუმის შესახებ, საკმარისი რიცხვი წევრების გამოუცხადებლობისა გამო, არ შესდგა. წევრებს შორის იყო მხოლოდ კერძო ლაპარაკი; „ვიყავით მე, პატრიარქი ამბროსი და ერთი სხვაც. აქ ამბროსიმ სხვათა შორის გვითხრა, რომ მან გენუაში გაგზავნა მემორანდუმი და რომ, როგორც ხმები დადის, მემორანდუმი მისულა გენუაში. იმ დღეს უნდა ყოფილიყო საკათალიკოზო საბჭოს მორიგი სხდომა, ქვორუმი არ შესდგა, წესრიგი შემუშავებული არ იყო და ამიტომ არ შემიძლია ვსთქვა, გააკეთებდა თუ არა პატრიარქი იმ დღეს მოხსენებას მემორანდუმის შესახებ. ქუთაისში შესანახად გაგზავნილი განძეულობის ყუთებში ჩანყოფას მე

თვით დავესწარი; ძლიერ მიმიძიდა ლეონიდესი დავალების შესრულება, უარიცა ვსთქვი, მაგრამ ლეონიდმა ჩამაჩუმა, მითხრა: ეს საკათალიკოზო საბჭოსი და მთავრობის დადგენილებაა და უნდა შესრულდესო. ქუთაისში გადატანამდე ეგ განძეულობა ინახებოდა სალაროებში. რაც შეეხება ბრალდებას, თითქოს მე წინააღმდეგობა გამეწიოს მთავრობის განკარგულებისათვის სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ სინამდვილეს ეს არ შეეფერება. თუმც საბჭოს დადგენილებაზე მეც ხელი მიწერია, მაგრამ საბჭოს ხსენებულ დადგენილებაში მთავრობის განკარგულებისადმი სანინააღმდეგო არაფერია, ჩვენგან მოითხოვდნენ მონაწილეობის მიღებას ტრაპეზისა და ტაძრის სხვა ნაწილების დარღვევაში და ეს კი ჩვენს სარწმუნოებრივ რწმენას ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ მოსახერხებლად ვერ ვნახულობდი მონაწილეობის მიღებას. ისე კი წინააღმდეგი არ ვიყავით ტაძარი მთავრობას წაეღო და შესაფერისი ბრძანებაც მიეცა ტაძრის წინამძღვარს, ტაძრის გასაღები მთავრობის წარმომადგენლისათვის გადაეცა.

წივნივაძე: – სერიოზულია თუ არა ამბროსის მიერ გადადგმული ნაბიჯი?

ტყემალაძე: სერიოზულია.

წივნივაძე: – ვალდებულია თუ არა კათალიკოზი, თავის გადადგმულ ნებიჯების ან განკარგულებების შესახებ აცნობებდეს საბჭოს?

ტყემალაძე: – შეუძლია არ აცნობოს, ვინაიდან ამის უფლება მას, როგორც მღვდელმთავარს, ტრადიციითა აქვს მინიჭებული. მას შეუძლია პასუხი მოსთხოვოს მხოლოდ საეკლესიო კრებამ.

წივნივაძე: – რამდენი წელია საბჭოს წევრი ხართ?

ტყემალაძე: – სამი. მღვდელობას ვეწევი 35 წელი.

წივნივაძე: – რაში გამოიხატა თქვენი დამოკიდებულება მემორანდუმისადმი.

ტყემალაძე: – არ მიფიქრია. ჩემს აზროვნებაში მის შესახებ არავითარი შეხედულება არ დამუშავებულა. მის შედგენა ეკუთვნის ავტორს და პასუხიც საკუთრივ მას მოეთხოვება.

წივნივაძე: – მართალია თუ არა ის ცნობები, რომლებიც მემორანდუმშია აღნიშნული?

ტყემალაძე: მე არ ვიცი. გიპასუხებთ თვით დამწერი. მე კი მისთვის არავითარი ცნობა არ მიმიცია.

ოკუჯავა: – ქონდა თუ არა უფლება ამბროსის, დაეწერა ეს მემორანდუმი?

ტყემალაძე: – არ ვიცი.

ოკუჯავა: – პოლიტიკური ხასიათისაა თუ არა მემორანდუმი?

ტყემალაძე: – ერთი შეხედულებით პოლიტიკურია, მაგის დაფასება მე არ შემიძლია, რადგანაც სასულიერო განათლება მაქვს და პოლიტიკურად მომზადებული არ ვარ.

ოკუჯავა: – თქვენ წინასწარ გამოძიების დროს განაცხადეთ, რომ მემორანდუმს ქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა.

ტყემალაძე: – მე ეს არ გამიცხადებია.

ვინაიდან პროკურატურა ბრალდებულ ტყემალაძის ასეთ ჩვენებაში ხედავს წინააღმდეგობას პირვანდელ მის ჩვენებასთან, ითხოვს წაკითხულ იქმნას მისი ჩვენება, მიცემული წინასწარ გამოძიებისათვის.

თავმჯდომარე კითხულობს წინასწარ გამოძიების ოქმს, სადაც ტყემალაძე მემორანდუმის შესახებ ამბობს: – „მე მემორანდუმს ვაძლევ პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამნაირი მემორანდუმის დაწერის უფლება ქართველი ერის სახელით ამბროსის აქ ქონდა“.

თავმჯდომარე: – თქვენ მიერ ნათქვამში, რომელი მიგაჩნია სწორად?

ტყემალაძე: – ახლა რომ ვამბობ.

ოკუჯავა: – იცოდით, სად ინახებოდა ქუთაისში გატანილი განძეულობა?

ტყემალაძე: – არ ვიცოდი, ლეონიდისაგან ვიცოდი, რომ ნივთები წაღებული იყო საზღვარგარეთ.

ერქომიშვილი: – იყო თუ არა დადგენილება საბჭოსი სამხედრო ტაძრის გადაცემის შესახებ მონაწილეობის არ მიღება?

ტყემალაძე: – ჩვენ მთავრობის განკარგულებას წინააღმდეგობას არ ვწევი. ჩვენ მხოლოდ სარწმუნოების მიხედვით არ შეგვეძლო მონაწილეობა მიგველო ტაძრის დარღვევაში. ჩემის აზრით, რედაქცია დადგენილებისა ვერ არის სწორად დაწერილი, რადგანაც ის იქ ვერ არის საბჭოს აზრი გამოხატული ისე, როგორც ეს საჭირო იყო.

ერქომაიშვილი: – წაგიკითხათ თუ არა ამბროსიმ მემორანდუმის შინაარსი?

ტყემალაძე: – მემორანდუმი ამბროსის არ წაუკითხავს, მან მხოლოდ შინაარსი გადმოგვცა.

ერქომაიშვილი: – მოუტანა მემორანდუმმა სამღვდელოებს რაიმე სარგებლობა?

ტყემალაძე: – ვერ განვსჯი. შეიძლება ვნებაც მოუტანა.

ბარათაშვილი: – პლენუმის სხდომაზედ რომ მიხვიდოდით, იყო რაიმე წესრიგი შემუშავებული?

ტყემალაძე: – წესრიგი არ მინახავს, რადგან, არავის მოუტანია, თუმცა იმ დღეს უნდა გარჩეულიყო მორიგი საკითხები. სხდომა ხანდახან კვირაში ორჯერ ხდებოდა.

დადიანი: – მიაქცევს ყურადღებას სასამართლოსი იმაზედ, რომ მოწმეს ან ბრალდებულს აძლევდნენ ისეთ კითხვებს, რომლებიც ფაქტებს შეეხება და არა ბრალდებულის პიროვნების დახასიათებას.

პროკ. ერქომაიშვილი: – ვერ იზიარებს დადიანის ასეთ განმარტებას, რომელიც ემყარება ძველ დახავსებულ კანონების შეხედულებას.

დადიანი: – მიუთითებს სასამართლოს საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლზე და კრილენკოს განმარტებაზედ შესახებ იმისა, რომ მოწმეს ან ბრალდებულს უნდა ეკითხებოდნენ მხოლოდ ფაქტების შესახებ.

მაჭავარიანი: – პროკურატურის სახელით აცხადებს, რომ პროკურატურას არაფერი არ დაურღვევია, რადგანაც მუხლი 166 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მკაფიოდ აღნიშნავს «О характере личности обвиняемого». ამიტომ პროკურატურას სრული უფლება აქვს ასეთი კითხვების მიცემისა. რაც შეეხება განცხადებას ბრალმდებლის ერქომაიშვილისა, რომ ის საერთოდ არ ეყრდნობა კანონებს, სამართლიანია, რადგანაც ჩვენი კანონმდებლობა ახალია, შეიძლება ის სრულიც არ იყოს, მაგრამ ის უნდა შევსებული იქმნას რევოლუციონური და სოციალისტური შეგნებით და შეხედულებით. სიტყვა „დახავსებული“ კი შეეხება ძველს, ყოფილი რუსეთის კანონებს და არა დამცველებს.

ეკითხებიან ბრალდებულ მირიანაშვილს.

შეკითხვებზედ უპასუხებს, რომ მემორანდუმის გაგზავნის შესახებ პირველად გაიგო გაზეთებიდან და რომ მანამდინ მის არსებობის შესახებ მან არაფერი იცოდა. რაც შეეხება იმ განძეულობას, რომელიც მისი რწმუნებულ ტარის კედელში „განჯინაში“ აღმოაჩინეს, განმარტავს, რომ ის მორწმუნეთაგან შემონირულია ახალი ტაძრის ასაშენებლად და როგორც ასეთს, მას ქონდა განსაკუთრებული დანიშნულება და როდესაც თავმჯდომარე ეკითხება მას: რომელი უფრო საჭირო იყო ხალხისათვის: ტაძრის აშენება თუ პურიო – უპასუხებს, რომ ხალხს ორივე ერთნაირად ეჭირვება; შემონირულებას ქონდა სპეციალური დანიშვნა და შემომწირველთა სურვილის წინააღმდეგ მას არ შეეძლო. მემორანდუმის შესახებ უპასუხებს პროკურატურას, რომ მისი არსებობა მან შეიტყო გაზეთებიდან, მანამდე კი არაფერი იცოდა, მის შესახებ მას გარკვეული აზრი არა აქვს, რადგანაც ჯერაც არ გარკვეულა იმაში, რა ხასიათისაა იგი: პოლიტიკური, რელიგიოზური და თუ ორივე ერთად. არ შეუძლია არაფრის თქმა შესახებ იმისა: მოუტანა თუ არა მემორანდუმის გაგზავნამ ვნება სამღვდელოებას.

მირიანაშვილის ჩვენების შემდეგ სხდომა წყდება ნახევარ საათით.

განახლებისას ეკითხებიან ბრალდებულ კალისტრატე ცინცაძეს.

- მე ვარ წვერი საკათალიკოზო საბჭოსი 1917 წლიდან. იმ სხდომას, რომელზედაც კათალიკოზ ამბროსიმ რამოდენიმე პირს გააცნო მემორანდუმის შინაარსი, მისი გაგზავნა და გენუის კონფერენციისადმი მიღწევა, მე არ დავსწრებივარ. რა ხასიათი ჰქონდა მემორანდუმს, ამის შესახებ ნებართვას ვითხოვ, არ გიპასუხოთ. ჩემის აზრით, სამღვდელო პირს, როგორც მოქალაქეს, ნება აქვს ჩაერიოს სამოქალაქო საქმეებში, როგორც მღვდელს

– არა. რაც შეეხება სამღვდლოების, აზრს მემორანდუმზედ, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც ასეთი საკითხი არ დასმულა. პირადათ კი ვფიქრობ, რომ მემორანდუმი ისახავს რელიგიოზურ მიზანს. მოუტანა თუ არა სარგებლობა მემორანდუმის გაგზავნამ სამღვდლოებას ამის თქმა ჩემთვის ძნელია. ეკლესიის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის ცხოვრებაში გატარება სამღვდლოებას სავსებით აკმაყოფილებს, მაგრამ იყო თუ არა ამის შემდეგ საჭირო გაგზავნა მემორანდუმისა, პასუხს ვერ გაცემთ. პროკურორ **მაჭავარიანის** შეკითხვაზე: რაში გამოიხატება განსხვავება – „ვერ სცნობს მოსახერხებლად, თუ არ სცნობს მოსახერხებლად“ – ბრალდებული განმარტავს, რომ „ვერ“, ნიშნავს შეუძლებლობას, „არა“ – უარს. სამხედრო ტაძრის კომსომოლისტებს გადაცემაზედ საბჭო წინააღმდეგი არ იყო, რადგანაც ფაქტიურად ის მაინც მისი არ იყო.

პროკ. ოკუჯავას შეკითხვაზედ, ვალდებულია თუ არა სამღვდლო პირი, დაემორჩილოს მთავრობის დადგენილებასა და განკარგულებას – ბრალდებული **ცინცაძე უპასუხებს**: ვალდებულია, თუ რომ ის დადგენილება ან განკარგულება არ იქნება სანაღმდეგო მისი სინდისისა და რწმენის, კანონს კი უნდა დაემორჩილოს. ამიტომ იყო კიდევ, საბჭომ უბრძანა სამხედრო ტაძრის წინამძღვარს, გადაეცა ტაძრის გასაღებები მთავრობის წარმომადგენლისათვის და როდესაც პროკურატურა აძლევს მას საკითხს: წინააღმდეგია თუ არა მემორანდუმის გაგზავნა წესწყობილების – ცინცაძე ნებას ითხოვს ამაზედ არ უპასუხოს. მისი აზრით, ამბროსის, როგორც კათალიკოსს, უფლება ქონდა გაეგზავნა მემორანდუმი, საკათალიკოზო საბჭოს სახელით კი – არა. ანგარიშების წარმოების შესახებ ამბობს, რომ ანგარიშებს ის ატარებს შავსა და თეთრ საანგარიშო წიგნებში. ყველა ხარჯთაღრიცხვა მას აქვს გატარებული შავსა და თეთრ წიგნში, მხოლოდ ბოლო ორი თვის ანგარიში გატარებული აქვს შავ წიგნში, თეთრშიც უნდა გაეტარებია, მაგრამ ვერ მოასწრო. შავ საანგარიშო წიგნს ის ატარებს 1917 წლიდან. მისი განმარტებით, შავი და თეთრი საანგარიშო წიგნების წარმოება იმისთვისაა საჭირო, რომ თეთრი სარევიზიოთ იგზავნება, შავი კი საქმეებში რჩება. წიგნები კი, რომლებიც შემონიშნულობის სახით შემოდის, ინერებოდა ინვეტარის წიგნში. შეკითხვაზედ: როდის უნდა ყოფილიყო ანგარიში შეტანილი თეთრ წიგნში – უპასუხებს: ყოველთვის ბოლოში. პროკურატურის შეკითხვაზედ – იცნობს თუ არა ის საბჭოს მდივანს შუბლაძეს და შეეძლო თუ არა მას, საბჭოს დადგენილების დანერის დროს სავსებით ვერ გამოეცხადა ის, რასაც საბჭო სწყვეტდა – უპასუხებს, რომ ის შუბლაძეს ძალიან კარგად იცნობს, მას არ შეუძლია სთქვას, რომ ის ცუდი მდივანია და საბჭოს დადგენილებაც შესახებ სამხედრო ტაძრის გადაცემაში მონაწილეობის მიუღებლობისა, მან ცუდი რედაქციით დასწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მას ხელს არ მოაწერდა. დადგენილების რედაქცია კი, მისი აზრით, არ შეიცავს არავითარ წინააღმდეგობის გამოხატვას მთავრობისადმი, რადგანაც ტაძრის დაშლაში მონაწილეობის მიღება ეწინააღმდეგებოდა მხოლოდ საბჭოს წევრების სინდისს და რომ ეს ეგრეა, სჩანს იქიდან, რომ საბჭომ განკარგულება მისცა თოთიბაძეს, გადაეცა ტაძრის გასაღებები მთავრობის წარმომადგენლისათვის, და თუ თოთიბაძემ მაინც მიიღო რაიმე მონაწილეობა ეკლესიის ქონების გადაბარებაში, ეს მისი პირადი სინდისის საქმეაო.

ერქომიშვილი: – რა აზრისა ხართ მემორანდუმის შესახებ? მართალია ყველაფერი ის, რაც იქ სწერია?

ცინცაძე: – არ ვიცი, არ აღმინიშნავს.

წივნივაძე: – სდგას თუ არა ამბროსი სამღვდლოების სათავეში? საერთოდ ხელმძღვანელია თუ არა ეკლესიისა და სამღვდლოების?

ცინცაძე: – არის.

წივნივაძე: – გამოთქვამს თუ არა მემორანდუმი იმას, რომ ერიცა და სამღვდლოებაც იმ აზრისაა?

ცინცაძე: – ვერ გეტყვით, რადგანაც არ ვიცი.

წივნივაძე: – ვის წინაშე აგებს პასუხს კათალიკოზი თავის მოქმედებაში?

ცინცაძე: – საეკლესიო კრების წინაშე.

ნივნივაძე: – შედისართ როდესმე იმის განსჯაში, რას აკეთებს კათალიკოზი?

ცინცაძე: – მის მოქმედების განხილვაში ვერ შევალ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის მოქმედება იქნება უზნეო, ან მიმართული ქრისტიანულ სარწმუნოების წინააღმდეგ.

სასამართლო გადადის ბრალდებულ თოთიბაძის დაკითხვაზე.

თავმჯდომარის შეკითხვებზედ უპასუხებს, რომ მემორანდუმის გენუაში გაგზავნის შესახებ მან გაიგო გაზეთებიდან, მანამდე არაფერი იცოდა. მისი აზრი მემორანდუმის შესახებ გაურკვეველია, რადგანაც იქ აღნიშნული ცნობები მას არ შეუმონებია, თოთხმეტი თვეა, რაც ციხეში ზის და არაფერი იცის, რა ხდება ქვეყნიერებაზედ. სიონის და მცხეთის განძეულობის ქუთაისში შენახვის შესახებ მან არაფერი იცოდა. რაც შეეხება საკითხს სამხედრო ტაძრის „კომსომოლისტების“ განკარგულებაში გადაცემას – ამბობს, რომ მას საკათალიკოზო საბჭოსაგან ნაბრძანები ქონდა, გადაეცა ტაძრის გასაღებები მთავრობის წარმომადგენელისათვის. თითონ კი კომისიაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო, რადგანაც ეს ეწინააღმდეგებოდა მის სარწმუნოებრივ სინდისს, რომ მას არ შეეძლო მიეღო მონაწილეობა ისეთ კომისიაში, რომლის დანიშნულებაც იყო დაშლა ტაძრისა. მით უმეტეს, ის არ იყო წინააღმდეგი ტაძრის დაშლისა, რადგანაც ტაძარი დაბეჭდილი იყო და ფაქტიურად მას ჩამორთმეული ქონდა.

სხდომა შეწყდა საღამოს 6 საათზედ და გადაიდო მეორე დღის საღამოს 5 საათისათვის.

მეოთხე დღე 13 მარტი 1924 წ.

სხდომა გაიხსნა საღამოს 6 საათზედ.

სასამართლო ეკითხება **ბრალდებულ თავდგირიძეს.**

თავმჯდომარისა და პროკურატურის შეკითხვებზედ თავდგირიძე განუმარტავს სასამართლოს, რომ მან გენუაში გაგზავნილ მემორანდუმის შესახებ პირველად გაიგო გაზეთ „კომუნისტიდან“ და რომ მანამდე მის არსებობაზედ არაფერი იცოდა; რომ მემორანდუმი, კათალიკოზ ამბროსის სიტყვით, დაწერილია კათალიკოზ ამბროსის მიერ და რომ დახმარება მემორანდუმის შედგენაში, მისი აზრით, უნდა გაენია მისთვის საკათალიკოზო საბჭოს მდივანს კაპანაძეს და საბჭოს წევრს ივანიცკის. პროკურატურის შეკითხვაზედ: ხომ არ უთქვამს ამბროსის, ვის გავატანე მემორანდუმი და ვის სახელზედო – თავდგირიძე ამბობს: კაპანაძესო, გენუის კონფერენციის სახელზედო.

ვინაიდან ბრალდებულის ასეთ განცხადებაში პროკურატურა ნახულობს წინააღმდეგობას ამა და იმ ჩვენებას შორის, რომელიც ბრალდებულს გამომძიებლისათვის აქვს მიცემული, ითხოვს წაკითხულ იქნას მისი ჩვენება გამომძიებელთან.

თავმჯდომარე კითხულობს თავდგირიძის ჩვენებას, მიცემულს გამომძიებლისათვის. – ჩვენებიდან სჩანს, რომ მემორანდუმის შედგენაში ამბროსის ეხმარებოდნენ უშუალოდ კაპანაძე და ივანიცკი და რომ მემორანდუმი იყო გაგზავნილი აკაკი ჩხენკელის და ნოე ჟორდანიას სახელზედ.

ამ გარემოებას ბრალდებული ხსნის იმიტ, რომ ის გამოთქვამდა „თავისი აზრს“, რომ აკაკი ჩხენკელისა და ნოე ჟორდანიასათვის ამბროსის არ შეეძლო მემორანდუმის არამც თუ გაგზავნა, არამედ ხელშიც ჩავარდნოდა მათ, რადგანაც არ უნდოდა რაიმე დამოკიდებულება ქონოდა მათთან და რომ ის, რასაც ის ეხლა ლაპარაკობს, – არის სიმართლე, ვინაიდან ლაპარაკობს ისეთ პირობებში, როდესაც მისი პიროვნებაც და ლაპარაკის თავისუფლებაც სავსებით დაცულია, რომ განსაკუთრებულ კომისიაში ჯდომის დროს მისი პიროვნება და თავისუფლება ისეთი მძიმე პირობებით იყო შეზღუდული, რომ ის იძულებული იყო, რათა ტანჯვასა და მოსალოდნელ ხიფათისაგან თავი ეხსნა, ელაპარაკნა სიცრუე. თუმცა ვიცოდი – განაგრძობს იგი – რომ ჩემს განსაკუთრებულ კომისიაში ნაჩვენებს მემორანდუმის შესახებ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საქმის მსვლელობისათვის – მე მით ვინუგეშებდი თავს, რომ გამოვსთქვამდი „ჩემს აზრს“ და სრულებით არ

აღვნიშნავდი რაიმე ფაქტს, ჩემს აზრს კი საქმისათვის სავალდებულო მნიშვნელობა არ უნდა ქონოდა.

თავდგირიძის დაკითხვის დროს სასამართლოს წარუდგა მუშათა ორგანიზაციების დელეგატები და განუცხადეს მას, რომ ისინი ითხოვენ ბრალდებულების სასტიკად დასჯას და მათთან ერთად დამცველებისას, როგორც კონტრევილუციის დამცველებად გამოსულებისა.

გრძელდება დაკითხვა ბრალდებულების. ეკითხებიან ბრალდებულს არჯევანიძეს.

შეკითხვებზედ უპასუხებს, რომ მემორანდუმის გაგზავნის შესახებ მან არაფერი იცოდა, გაიგო მის შემდეგ, როდესაც მის შესახებ გაზეთებში გამოქვეყნდა, არ იცოდა არაფერი შესახებ განძეულობის გატანისა; რაც შეეხება საკათალიკოზო საბჭოს დადგენილებას სამხედრო ტაძრის კომკავშირისათვის გადაცემის შესახებ – განმარტავს, რომ საბჭოს ტაძრის გადაცემაზედ მთავრობისათვის უარი არ უთქვამს, პირიქით საბჭომ განკარგულება გასცა სამხედრო ტაძრის გამგისადმი: გასაღებები ტაძრისა გადაეცა ტაძრის ჩამბარებელ კომისიის წარმომადგენლისათვის და რომ საბჭოს დადგენილებაში არ იყო ნათქვამი, რომ საკათალიკოზო საბჭო „არ სცნობს საჭიროდ ტაძრის გადაცემასა“. შეკითხვაზედ – რათ აქვს მას ნათქვამი „რომ ტაძარი რუსებისაა და რუსებს უნდა გადასცესო, მაშინ როდესაც ის გადაცემული ჰქონდა საქართველოს მთავრობას“ – არჯევანიძე ხსნის მით, რომ ეს მას „ნამოცდა“, ისე კი ის არ არის წინააღმდეგი იმისა, რომ ტაძარი მთავრობას გადაცეს.

ერქომიშვილი: – თქვენ წევრი ხართ საკათალიკოზო საბჭოსი?

– ვიყავი.

– მთავრობის დადგენილება შესახებ ტაძრის გადაცემისა სინდისის წინააღმდეგია?

– არ ვიცი; ამ საკითხში გარკვეული არა ვარ.

– რას აკეთებდით საბჭოში? ღებულობდით თუ არა მონაწილეობას საკათალიკოზო საბჭოს გადანყვეტილებებში?

– მე ვიყავ არჩეული საკათალიკოზო საბჭოს კანდიდატად საეკლესიო კრების მიერ გელათში 1921წ. და კრებებს საბჭოსი ნაკლებად ვესწრებოდი; მე კარგათ არც კი ვიცი: ან რისთვის ვიყავ არჩეული ან კიდევ ვინ ამირჩია.

– თქვენი ხელობა?

– ადრე ჯარის სამსახურში ვიყავი, გენერალ ზაქარია ჭავჭავაძის ადიუტანტი.

პროკ. მაჭავარიანი: /ეკითხება ამბროსის/ სწორი ნაბიჯი იყო თქვენის მხრივ გადადგმული მემორანდუმის გენუაში გაგზავნა?

ამბროსი: ჩემის რწმენით – სწორი; კიდევ ვიმეორებ, რომ მემორანდუმში მთავრობის საწინააღმდეგო მე არაფერი მითქვამს, მე ვიცავდი ერისა და მთავრობის ინტერესებს.

– სჯობდა თუ არა ჯერ მთავრობისათვის გეცნობებიათ ეგ თქვენი სურვილი და მერმე გაგეგზავნათ მემორანდუმი?

– ვხედავ, რომ ეს უფრო სწორი ნაბიჯი იქნებოდა.

ბრალდებულთა დაკითხვა თავდება. სასამართლო გადადის მოწმეების დაკითხვაზედ.

ჩვენებას ართმევენ **ნიკიტა თალაკვაძეს:**

შეკითხვაზედ, რა იცის ამ საქმის შესახებ – ითხოვს მისცეს კითხვები.

პროკ. მაჭავარიანი: რა დამოკიდებულება გქონდათ საკათალიკოზო საბჭოსთან.

იმ ჟამს, რა ჟამსაც ეგ პროცესი ეკუთვნის, არავითარი. მემორანდუმის გაგზავნის შესახებ გავიგე გაზეთებიდან. ამ გარემოებამ ჩემზედ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, რადგანაც ვიგრძენი, რომ ეს გამოიწვევდა ჩვენი ეკლესიის შევიწროებას.

– რა აზრისა ხართ მემორანდუმზედ და ქონდა თუ არა ამბროსის უფლება მისი გაგზავნისა?

– არსებითად მის განხილვაში არ შევსულვარ. მე ვარ მღვდელი და როგორც შეზღუდული ერთგვარი ეტიკით, უფლება არ მაქვს კათალიკოზის მოქმედების განხილვაში შევიდე. ჩემის აზრით, მემორანდუმი არის რელიგიოზური ხასიათის, თუმცა არ არის მოკლებული პოლიტიკურ ხასიათსაც იმდენად, რამდენად ეროვნულია.

– რას იტყვით განძეულობის გატანისა და გადამალვის შესახებ?

– იმას, რომ, როდესაც თბილისის რუსეთის წითელი ჯარი უახლოვდება, იყო საშინელი მითქმა – მოთქმა, ამბობდნენ, რომ მოდის ბანდა, რომელიც არბევს სახლებს, ტაძრებს და ყველაფერსო. ამიტომ ვცდილობდით გადაგვერჩინა საეკლესიო განძეულობა და ვფიქრობ, რომ ამ მხრივ სამღვდლოება დასაძრახისი არ არის. ასე იყო ადრე, ასეც მოხდა ეხლა; სასიხარულოდ ჩვენდა ვალდებულათ ვსთვლი ჩემს თავს აღვნიშნოთ ის, რომ საქართველოს სამღვდლოებას ძირს დროშა არასოდეს არ დაუშვია და ამით ჩვენ ვამაყობთ.

– იცოდით თუ არა, რომ საეკლესიო განძეულობა მთავრობამ გამოაცხადა ხალხის კუთვნილებად?

– ვიცი და ამის წინააღმდეგი ჩვენ არ ვიყავით. რაც შეეხება იმას, რომ განძეულობა, ვისაც ის შენახული ქონდა, მთავრობისათვის უნდა ჩაებარებია – განვმარტავ, რომ კათალიკოზ ლეონიდს, როდესაც დაინახა, რომ ანარქია არ არის, უნდა საფარიდან ამოელო და თბილისში გადმოეტანა; მაგრამ ეს მას არ დასცალდა, რადგანაც უდროოდ მოკვდა – მხოლოდ მას ქონდა უფლება მისი დაბრუნებისა. სხვები კი, როგორც მერმე გავიგე, ფიცით ყოფილან შეკრულნი. ამასთანავე, დავსძენ, რომ ნივთების ჩაბარება მთავრობას ჩვენთვის არ მოუთხოვია, ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ სამღვდლოება განძეულობას მთავრობას უმალავდა.

დამცველი ნინიძე: – სანამ ლეონიდე მოკვდებოდა, უთხრა თუ არა ვისმეს სად ინახებოდა ქუთაისში განძეულობა?

– არ ვიცი. იმ დროს, როდესაც ლეონიდე გარდაიცვალა, ამბროსი იყო სოხუმის ეპარქიაში. მე ვარ ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი, ამ ეკლესიას აქვს დიდი განძეულობა და მეც ვრცელი სია ამ განძეულობის აღმასკომს წარვუდგინე. ისე კი განძეულობის ჩაბარების შესახებ მთავრობის მხრივ არავითარი განკარგულება არ ყოფილა; ამით აიხსნება ის, რომ არც ერთი ეკლესიას განძეულობის შესახებ მთავრობისათვის არაფერი შეუტყობინებია.

დამცველი გელაზაროვი: ღებულობდა თუ არა ქუთაისში გადამალულ განძეულობის გატანაში მონაწილეობას მენშევიკური მთავრობა?

– მგონი კი და ლეონიდეც ამას ეყრდნობოდა. განძეულობა გაიტანეს მთავრობის მატარებლით. ამ განძეულობის ქუთაისში გატანის შესახებ პირადათ მე მიაშობ პლატონ ცქიტიშვილმა; მან მითხრა, რომ პავლე ჯაფარიძემ ჩამოიტანა ოთხი ყუთი განძეული. ოთხი დღე ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქონდა და მერე არქირეის მთაზე აიტანაო. მხოლოდ რა ბედი ეწვია მერმე ამ განძეულობას, ცქიტიშვილმა არაფერი იცოდა.

– უნდოდა თუ არა მენშევიკურ მთავრობას ამ განძეულობის გატანა?

– უნდოდა, მაგრამ მის შემდეგ, როდესაც ლეონიდემა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას გელათიდან განძეულობის გატანის შესახებ, ის მეტი არ გვანუხებდა.

– რა არის ცხოველი ეკლესია და როგორია ამ ეკლესიის დამოკიდებულება მთავრობასთან?

– არ ვიცი.

დამცველი ნინიძე: სად იყავით 1914 წელს?

– ანჩისხატის ეკლესიაში.

– როდესაც თათრებმა სარაკამიში აიღეს – იყო თუ არა მაშინ ლაპარაკი საეკლესიო განძეულობის გატანის შესახებ?

– იყო და იყო კიდევ ბჭობა. უნდა გაეტანათ ეკატერინოდარში, მაგრამ არ დავანებეთ და მით გადავარჩინეთ დალუპვისაგან.

– იცით სად ინახება განძეულობა დიდუბის ეკლესიაში?

– ვიცი. ტაძარს აქვს ეგრენოდებული „განჯინები“. ერთში ინახება განძეულობა, მეორეში – სამკაულობა. ვიცი, რომ ჩემი მოადგილემ მირიანაშვილმა ჩადვა ერთ განჯინაში რკინის ყუთი, სადაც დაცული იყო განძეულობა ბოროტმოქმედებისაგან. დეკანოზი მირიანაშვილი არის სასტიკი საქმის მწარმოებელი, ჩემის ღრმა რწმენით, დაუშვებელია, რომ მან რაიმე დანაშაული ჩაიდინოს. პირადათ მე მირიანაშვილთან კარგი განწყობილება

არა მაქვს. ვფიქრობ, რომ მირიანაშვილის დაპატიმრება გამოიწვია იმან, რომ ის არის საკათალიკოზო საბჭოს წევრი.

- რას იტყვით ცოცხალ ეკლესიის აგენტების შესახებ თბილისში?
- თბილისში ცოცხალ ეკლესიის აგენტები არ ყოფილან, თუმცა ასახელებდნენ ჩიჯავაძეს, მაგრამ ეს ხმა არ გამართლდა.
- იცით თუ არა რაიმე დამოკიდებულება რუსეთის ახალ სამღვდელოებას და ჩვენს სამღვდელოებასა შორის?
- რუსეთის სამღვდელოებასა და ჩვენს სამღვდელოებას შორის დამოკიდებულება არ ყოფილა.
- გატარებულია თუ არა რეგისტრაციაში ეკლესიების მთელი ქონება?
- მთელი ქონება ეკლესიებისა ამჟამად გატარებულია რეგისტრაციაში და გადაცემული მორწმუნეთა საზოგადოებებისათვის.
- იცნობთ კავჟარაძეს და იყო თუ არა ის ცოცხალ ეკლესიის აგენტი?
- ვიცნობ; გამოგონია, რომ მას მისცეს წინადადება ყოფილიყო ცოცხალ ეკლესიის აგენტი.
- როგორი წესი გაქვთ საეკლესიო წიგნების წარმოების შესახებ?
- საანგარიშო წიგნებს ვღებულობთ საკათალიკოზო საბჭოდან, დანუმრულს და ბანარ გაყრილს; გვიკეთებენ.
- გაქვთ თუ არა ამჟამად რაიმე ინსტრუქცია მთავრობისა საანგარიშო წიგნების წარმოების შესახებ?
- არავითარი.
- აკეთებს თუ არა მთავრობა რევიზიას თქვენი საანგარიშო წიგნებისას?
- დღემდე მთავრობას ჩვენთვის არავითარი რევიზია არ გაუკეთებია.
- ქონდა თუ არა რაიმე საუბარი თქვენთვის საგანგებო კომისიის გამომძიებელს მიკს ცოცხალ ეკლესიის შესახებ?
- არა, არ ქონია.
- გქონდათ თუ არა რაიმე მოლაპარაკება რუსეთის სამღვდელოებასთან მანამდე, სანამ ახალ ეკლესიაზედ ლაპარაკს დაიწყებდნენ?
- არავითარი მოლაპარაკება არ გქონია, რადგანაც ავტოკეფალიზამ რუსეთის და ჩვენი სამღვდელოება გათიშა.
- დაესწრო ამბროსი კათალიკოზ ლეონიდის დაკრძალვას?
- არ დასწრებია, რადგანაც ის იყო სოხუმის ეპარქიაში და მაშინაც, როდესაც ის კათალიკოზად ავირჩიეთ, მის მისამართს ძლივსლა მივაგენით. ამბროსი თბილისში ჩამოვიდა. პირდაპირ კათალიკოზად.
- იცნობთ თუ არა ამბროსის პიროვნებას და როგორი აზრისა ხართ მასზედ?
- ადრეც და ახლაც ამბროსის მე ძლიერ კარგათ ვიცნობ. ეს არის უმნიელო ადამიანი, რომლითაც შეუძლია იამაყოს ყოველივე ეკლესიამ, მას დიდი შეტაკება ქონდა სინოდალურ კანტორის მოხელეებთან, რის გამო ბევრი დევნა, წამება და უსიამოვნება განიცადა. მას აქვს ბევრი პუბლიცისტური და მეცნიერული ნაწარმოები, რომლებიც ჯერ დაბეჭდილი არ არის. მისი ნაწარმოებები არის, როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის. ამბროსი იყო გადასახლებული ტამბოვის (ნოვგოროდის – ჯ.გ.) გუბერნიის ერთ-ერთ მიყრუებულ მონასტერში, ეს იყო ნიკონის მოკვლის შემდეგ. დაბრუნდა სამშობლოში დიდი რევოლუციის დროს, როდესაც საქართველოში გამოცხადდა ავტოკეფალია. მისი პუბლიცისტური ნაწარმოები – შეეხებოდა აფხაზეთის საზღვრების გამოკვლევას. იმპერიალისტური ხანაში – ამბროსი განიცდიდა დევნას სოხუმის ეპარქიაში, სადაც მას ვერ ეგუებოდა რუსის სამღვდელოება. რუსეთის ძველი ეკლესია იყო ისეთივე იმპერიალისტური, როგორც თვით რუსეთის ძველი მთავრობა. ეხლაც, რუსეთის ახალი ეკლესია ისეთ მიმართულებას ადგია, რომ მასთან საქართველოს ეკლესიამ რაიმე დამოკიდებულება დაიჭიროს, ის მას ჩაყლაპავს. ცოცხალი ეკლესია და ტიხონის ეკლესია ერთნაირ პირობებში არ არის. ახალ ეკლესიას რუსეთის მთავრობა თავაზობს. ცოცხალი ეკლესია უარსყოფს ბერობას,

ეპისკოპოზი არის ცოლიანი და სხვა და რომ ჩვენი ეკლესიაც ასეთ გზას დადგომოდა – ამის შესახებ ჩვენს საკათალიკოზო საბჭოსაც ქონდა მიცემული წინადადება. საერთოდ რუსეთის მხრივ ქართულ ეკლესიის დევნას აქვს პოლიტიკური ხასიათი. რუსეთის ეკლესია ვერ გუობს ჩვენს დამოუკიდებლობას. თავის მიმართულებით ცოცხალი ეკლესია ცენტრალისტურია, ამიტომ თუ ჩვენშიც შემოვიდა ცოცხალი ეკლესია, მას უეჭველად ჩაყლაპავს მოსკოვის ეკლესია.

დამცველი ყანჩელი: როგორი კომპეტენცია აქვს საკათალიკოზო საბჭოს.

– საბჭოს აქვს თავისი დებულება და იგი არის უზენაესი დანესებულება. საბჭოს თავმჯდომარეა კათალიკოზი, რომელიც აღჭურვილია სამი მოვალეობით: 1) ის არის მამამთავარი და ამ მხრივ მოქმედება მისი დამოუკიდებელია; 2) ის არის საეპარქიო დანესებულების გამგე და 3) საბჭოს თავმჯდომარე.

– ცინცაძეს იცნობ?

– ცინცაძეს ვიცნობ კარგად. თავის ეკლესიის საანგარიშო წიგნებს ის კარგად განაგებს, რადგანაც, როდესაც მისგან მე ტაძარი ჩავიბარე, ანგარიშები ზედმინწევით წესიერად ქონდა ნაწარმოები.

დამცველი ქავთარაძე: – თუ იცნობთ ჯაფარიძეს და რა აზრისა ხართ მასზე?

– ჯაფარიძეს ვიცნობ, ის არის ანგელოზებრივი სიფაქიზით შემკული პიროვნება და ასეთის აზრის არიან ყველანი, ვინც მას იცნობს. ასეთს პიროვნებას რაიმეს გატაცება ან მითვისება არ შეუძლია.

შეკითხვაზე – შეეძლო თუ არა ჯაფარიძეს ფიცის გატეხა – მონწე უპასუხებს:

– ის არის ბერი და ბერისათვის ფიცის დარღვევა სასტიკად აკრძალულია.

დამცველი გელაზაროვი: მემორანდუმში აღნიშნული მინა-წყალი, თქვენის აზრით, ნიშნავს ტერიტორიას, თუ სახნავ-სათეს მიწებს?

– ტერიტორიას და არა სახნავ მიწებს.

– საგარეჯოს მონასტერი იცით? სად არის ეს ეხლა?

– საგარეჯოს მონასტერი ვიცი. ის არის ქართული მონასტერი და იყო საქართველოში, ეხლა კი მგონია ადერბეიჯანშია.

წიგნივაძე: სერიოზული ნაბიჯია თუ არა მემორანდუმი?

– ისტორიული ნაბიჯია.

– იყო თუ არა საჭირო, სანამ მემორანდუმს გაგზავნიდა გენუაში, ჯერ საბჭოსათვის მოეხსენებია?

– არა, არ იყო, საბჭოს დაუკითხავად შეეძლო, რადგანაც ამის უფლება მას ტრადიციითა ქონდა.

– რამდენად შეეფერება სინამდვილეს მემორანდუმში მოხსენებული საქართველოს მინა-წყლის სხვა ტომის ხალხზედ დარიგების შესახებ?

– რუქა არ მინახავს, ამიტომ არ ვიცი.

პროკ. ოკუჯავა: რას ეძახით შემოხიზნულს?

– უცხო ხალხს. რომელიც მოსულა ჩვენში და სარგებლობს ჩვენი მასპინძლობით.

– შემოხიზნულებს, რომ მინა-წყალი მივცეთ, ეს მოჭრა იქნება ტერიტორიის?

– თუ ის უცხოტომელია და არა ჩვენი ქვეშევრდომი, ეს ნიშნავს შემოხიზვნას, ჩვენს საზღვრებში ჩამოსახლებას.

– ვინ იყო კირიონი?

– პირველი კათალიკოზი ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ, ცნობილი სწავლული, რომელსაც მთელი რუსეთი იცნობდა, რომელიც 20 წელი გადასახლებული იყო და დაბრუნდა საქართველოში მოხუცებლობაში.

– სად ინახავთ საზოგადოთ განძეულობას: ეკლესიაში თუ მინაში?

– ეკლესიაში.

დამცველი მღვდლიევი: როდის დაარსდნენ სამრევლო საბჭოები?

– 1917 წლიდან; სამრევლო საბჭო გამგეა ეკლესიის საქმეებისა მოძღვრის თავმჯდომარეობით.

/ურჩევნებს დიდუბის ეკლესიის საანგარიშო წიგნს/

– როგორი ნაწარმოებია ეს წიგნი?

– ეს წიგნი, რომელსაც თქვენ მიჩვენებთ, არის უკეთ ნაწარმოები, ვიდრე მე მაგისტრანს ვანარმოვებდი იმავე „დიდუბის ეკლესიაში“; ამ წიგნში სწორად და სრულიად არის ჩანერილი ყველა ძვირფასი ნივთები, ოქმი ამ ნივთებისა ხელმოწერილია საბჭოს მთელი შემადგენლობის მიერ.

მღვდლიევი (სასამართლოს): გთხოვთ ეს წიგნი მიიღოთ საქმეში.

სასამართლო შუამდგომლობას აკმაყოფილებს.

ეკითხებიან მონმეს პლატონ ცქიტვილის.

დაკითხვა მისი თავმჯდომარის წინადადებით იწყება პროკურორ მაჭავარიანის კითხვების მიცემით.

მაჭავარიანი: – სთქვით, რა იცით ქუთაისში გატანილ სიონის და მცხეთის ტაძრების განძეულობის შესახებ?

ცქიტვილი: შარშან აპრილში ქუთაისის პოლიტიბიურომ გაჩხრიკა ჩემი ბინა და დამაპატიმრა. დამინყეს დაკითხვა; მეკითხებოდნენ, ვიცნობდი თუ არა მე არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს და როდესაც გამოირკვა, რომ პავლე ჯაფარიძე ჩემი ნათესავია და ხშირადაც ვნახულობდით ერთმანეთს, შემეკითხნენ იმ 13 ყუთი განძეულობის შესახებ, რომელიც პავლე ჯაფარიძემ თბილისიდან ქუთაისში ჩამოიტანა; მე ვუამბე, რომ ჯაფარიძემ ჩამოიტანა ოთხი და არა ცამეტი ყუთი განძეულობა, ისიც არა მალულად, არამედ ცხადად, ყველას თვალის წინ, თებერვლის შუა რიცხვებში 1921 წ. იყო ეს ასე: მე მივდიოდი საკაფედრო ტაძრისაკენ; ტაძრის კიბეზედ იდგა პავლე ჯაფარიძე, იქვე იდგა ოთხი ყუთი და გარს ეხვია ბლომად ხალხი; ჯაფარიძე იქ მყოფთ რაღაცას უამბობდა. გალავნის შესავალთან იდგნენ ურმები. იქვე იყვნენ მილიციონერები. ეს ოთხი ყუთი პავლემ მე გადმომცა ტაძარში შესანახად. რომ ვკითხე: რაშია საქმე მეთქი – მითხრა: ამ ყუთებში ლეონიდეს ნივთებია და შესანახად გამომატანაო. მეც ნავილე, ეს ყუთები და შევინახეთ სალამბარაში. სამი დღის შემდეგ პავლემ შემომითვალა: კათალიკოზი ლეონიდე ჩამობრძანდა და ყუთებს თხოულობსო. დავიქირავე მუშები და ყუთები ავატანიე ლეონიდთან არქიერეის მთაზედ. მეც თან ვეახელი. ვინახულე ლეონიდე და ყუთები ჩავაბარე. ამის შემდეგ მე წამოვედი. იმ დღიდან ამ ნივთების სვე-ბედის შესახებ მე არაფერი ვიცოდი. არ ვიცოდი ისიც, თუ რა იყო ყუთებში და არ შემეძლო მცოდნოდა, რადგანაც ლეონიდეს ჩემთვის არაფერი უთქვამს და ისე კი მე არ შემეძლო კათალიკოზისათვის კონტროლი გამეკეთა. ამ დაკითხვის რამდენიმე დღის შემდეგ მე ისევ გამიყვანეს დასაკითხავად. დასაკითხავ ოთახში დამხვდა პავლე ჯაფარიძე. აქ განმამეორებინა ჩემი ჩვენება და მერმე დაეკითხნენ პავლეს. პავლე ძალიან შეშინებული იყო, რაც სახეზედ ეტყობოდა და დალაგებულად ვერ უპასუხებდა. ეს იმათაც შეამჩნიეს და როდესაც შეეკითხნენ: რატომ დალაგებით არ ლაპარაკობთ – უთხრა: მეშინია და რომ დავმშვიდდები, მერმე გეტყვითო. თანაც სთხოვა მათ ამ ღამით მე მასთან დავრჩენილვიყავ. ამის ნებართვა მას დართეს და იმ ღამეს მე და ის ერთად ვიყავით. აი, აქ გავიგე ჯაფარიძესაგან, რომ ის ოთხი ყუთი კათალიკოზ ლეონიდის ბრძანებით მან დაკრძალა არქიერეის აივნის ქვეშ, და თან დასძინა: ამიტომ არეულად ვუპასუხებდი გამომძიებელს, რომ ერთი, რომ მეშინია დახვრეტის და მეორეც, ფიცი მაქვს მიცემული ლეონიდესათვის განძეულობის დაკრძალვის შესახებ არავის არაფერი ვუთხრაო; ამიტომ წყევლის შიშით არავისთვის არაფერი მითქვამსო და ეხლა ვერ ვსთქვიო; ეხლა კი, რადგანაც ლეონიდე გარდაცვლილია, ფიცი უნდა გავტეხო და ყველაფერი ვსთქვაო; ვიტყვი ყველაფერს და მერმე ნავალ კათალიკოზ ამბროსისთან და შენდობას გამოვითხოვ მის ლოცვა კურთხების ქვეშაო.

პროკ. მაჭავარიანი: არ გითქვამთ თქვენ პავლესათვის, რომ პოლიტ-ბიურომ ყველაფერი იცის და ურჩევდი ყველაფერში გამოტეხილიყო?

– მე ვუთხარი, რომ უთუოდ ყველაფერი იცის, რადგანაც გამომძიებელი მეუბნებოდა: „ყველაფერი ვიცით და ნივთებიც მიგნებული გვაქვსო“. ამიტომ ვურჩევდი პავლეს ყველაფერი ეთქვა.

მაჭავარიანი: როდის დაანებეთ თავი მღვდლობას?

– მღვდლობას თავი დავანებე ოქტომბერში.

მაჭავარიანი: როგორია თქვენი ეხლანდელი დამოკიდებულება სამღვდლოებასთან?

– ჩემი ეხლანდელი დამოკიდებულება სამღვდლოებასთან მტრულია. ბევრი მათგანი განძეულობის აღმოჩენაში ბრალს მე მდებენ; მაგრამ ამის ინფორმატორი მე არ ვარ.

პროკ. ოკუჯავა: არის თუ არა მღვდლებს შორის მტრობა და შური?

ძალიან დიდი და ხდება ეს კარიერის ნიადაგზედ. სხვათა შორის ამას ძლიერ მწვავედ განიცდის თვით კათალიკოზი. ამბროსი, ვინც საქმის მართვაში იჩენს დიდ სწორ ხაზიანობას, რისთვისაც მას მღვდლები ხშირად კიდევც დამუქრებიან.

პროკ. ოკუჯავა: იცნობდით თუ არა კირიონს?

– ვიცნობდი ჯერ კიდევ იმ დღიდან, როდესაც ის ჩემი სკოლის მასწავლებელი იყო.

– უნდოდა თუ არა ახალი რეფორმების შემოტანა ეკლესიის საკითხებში.

– არ ვიცი.

– ვინ მოკლა იგი?

– არც ეს ვიცი.

ერქომაიშვილი: ქონდა თუ არა უფლება ჯაფარიძეს განძეულობის აღმოჩენამდე განცხადებია საიდუმლოება მთავრობისათვის?

– ფიცისა და ტრადიციის მიხედვით არ შეეძლო. ის იყო შეკრული ფიცით, რომლის ახსნაც შეეძლო გაენდო ამბროსისათვის.

– რა შეხედულებისა ხართ ამბროსიზედ?

– ამბროსი როგორც პიროვნება დიდი ღირებულების ადამიანი და დამსახურებული მღვდელმთავარია.

– რა აშინებდა ჯაფარიძეს?

– ფიცის გატეხა. განძეულობის დაკარგვის შესახებ კი მას შიში არ ქონდა, რადგანაც ლეონიდესაგან ქონდა გაგებულება, რომ განძეულობას მიწაში რომ არ წამხდარიყო, მალე ამოიღებდნენ, მაგრამ ლეონიდეს ეს არ დასცალდა, რადგანაც მალე უდროოდ გარდაიცვალა. ამიტომ პავლე აპირებდა ამბროსისთან მოლაპარაკებას და ეს იყო მიზეზი, რომ მანამდინ მას ვერც მთავრობისათვის და ვერც სხვისთვის რაიმე ვერ ეთქვა. პავლე დიდი მორწმუნეა, ის 13 წლისა არ იყო, რომ მშობლებს გაექცა და ათონის მონასტერში წავიდა; ამ დღიდან დანწყებული ის უწყვეტი და მტკიცე მორწმუნეა; ის არასოდეს არ ყოფილა და რაც ეხლა არის კარიერის მაძიებელი. ის არის გამსჭვალული ბერობით, ამიტომ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ის რაიმეს სხვისას, ან სახელმწიფოებისას მიითვისებდა, დაუშვებელია, რადგანაც ფაქიზი ხასიათისაა.

სასამართლო ეკითხება მოწმე დავით კაჭახიძეს

მაჭავარიანი: გვიამბეთ, რა იცით განძეულობის გატანის შესახებ?

– იმ ხანებში, როდესაც რუსეთის წითელი არმია თბილისს უახლოვდება, მე ვიყავი ავად და შევებულებაში ვითვლებოდი. ვიყავი მწოლარე ავადმყოფი. ჩემთან მოვიდა კათალიკოზი ლეონიდე და მითხრა: „შენ მაინც ქუთაისში მიდიხარ და პავლე ჯაფარიძესა და შენ განძეულობას გაგატანთო, რადგანაც აქ მათ ბოლშევიკების შემოსვლით საშიშროება მოეღისო. განძეულობას ლაზარიშვილი ჩაალაგებს და ის ჩაგაბარებსო“; თუმც არ მესიამოვნა ასეთი დავალება, მაგრამ ბრძანებას დავემორჩილე; მივიღე ბლანკზედ დანერვილი ნივთების გატანის შესახებ ბრძანების ქალაქი, წაველ სადგურზედ; განძეულობა ყუთებში ჩაწყობილი მოიტანეს აქ მილიციონერების თანხლებით. ადგილი მატარებელში მოგვცეს ბრძანების მისიის რონოდაში. ქუთაისში რომ ჩავედით, მე ძმასთან წაველ, განძეულობა კი დავუტოვე პავლე ჯაფარიძეს, რომელმაც იგი წაიღო საკათედრო ტაძარში. სხვათა შორის ჩვენი მატარებლით მოემგზავრებოდა არქეოლოგი **თაყაიშვილი**, ის მთხოვდა განძეულობა მისთვის გამეტანებია საზღვარგარეთ, მაგრამ არ ვქენით. იცოდა თუ არა რაიმე განძეულობის გადამალვის შესახებ კათალიკოზი ამბროსიმ – არ ვიცი, რადგანაც მე სამსახურს კარგა ხანია თავი დავანებე. არც მემორანდუმის შესახებ არაფერი ვიცოდი, რადგანაც ვიმყოფებოდი ფოთში.

დამცველი დადიანი: აძლევს რამდენიმე შეკითხვას ცოცხალ ეკლესიის შესახებ და ეკითხება: სად დაიჭირეს ის და ინახულა თუ არა ის სამეგრელოში ჯავახიამ?

– მე დამიჭირეს სენაკში; ჯავახიამ მინახულა და მელაპარაკა ეკლესიის საქმეებში რა-ღაც რეფორმების შემოღების შესახებ. ცხოველი ეკლესია მას ჩემთან არ დაუსახელებია, მაგრამ რეფორმების შემოღების შესახებ ძლიერ ფართე მასშტაბით მელაპარაკებოდა. დასძინდა, რომ ისა და მისი მიმდევრები მარტონი არ არიანო და რომ თბილისიდან მოს-დით ინსტრუქციები. მანდატი რაიმე მას ჩემთვის არ უჩვენებია, მხოლოდ მთხოვდა, რომ რეფორმებს ეხლავე ჩავდგომოდი სათავეში, რათა საქმე არ დალუპულიყო და მერმე გვიან არ ყოფილიყო.

სასამართლო გადადის მონმე დავით დავითაშვილის დაკითხვაზე.

პროკ. მაჭავარიანის შეკითხვაზედ მონმე უპასუხებს: მე ვიყავი საეპარქიო კანცელარი-ის მდივანი. მემორანდუმის შესახებ არაფერი ვიცოდი და გავიგე მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც მის შესახებ ცნობები პრესაში გამოქვეყნდა. ჩემის შეხედულებით, მემორან-დუმი რელიგიოზური ხასიათისაა, მაგრამ არ არის მოკლებული პოლიტიკურ ხასიათსაც. მემორანდუმის გამოქვეყნების შემდეგ მე მქონდა ლაპარაკი როგორც ერისკაცებთან, ისე სამღვდელოებასთან და ის აზრი გამოვიტანე, რომ უმრავლესობა მემორანდუმს იზ-იარებდა. რაც შეეხება იმას – იყო თუ არა ლაპარაკი მემორანდუმის შესახებ საკათო-ლიკოზო საბჭოში, მე ეს არ მახსოვს, მხოლოდ შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ლაპარაკი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქვეყანა ამაზედ ლაპარაკობდა და უთუოდ საბჭოშიც ილა-პარაკებდნენ. ჩემის შეხედულებით, ამბროსის კიდეც შეეძლო, კიდეც არა მემორანდუმის შესახებ საბჭოსათვის მოხსენება გაეკეთებია და ვინაიდან მემორანდუმის გაგზავნა იყო საიდუმლო ხასიათის საკითხი, მისი საჯაროდ დასმას ამბროსი ვერც კი გაბედავდა, მით უფრო, რომ ამის უფლება მას ქონდა.

დამცველი დადიანი აძლევს მონმეს რამდენიმე კითხვებს ცხოველი ეკლესიის შესახებ და ეკითხება, როგორი დამოკიდებულება იყო ცხოველ ეკლესიის წარმომადგენელ კრას-ნიცკის და იოსებ ჩიჯავაძის შორის, რაზედაც მონმე უპასუხებს:

– ვიცი, რომ კრასნიცკისა და იოსებ ჩიჯავაძეს შორის იყო მიწერ-მონერა; თვით მე ვნახე კრასნიცკის წერილი, დაწერილი ბლანკზედ და ნომერდასმული; კრასნიცკი კი ავალებ-და ჩიჯავაძეს გაეგრცელებია ცხოველ ეკლესიის იდეა საქართველოშიც; ამ ნიადაგზედ საქართველოს სამღვდელოებას ჰქონდა მასთან უსიამოვნება და ლალატს სწამებდნენ, რაშიც ჩიჯავაძე ბოლოს გამოტყდა; ქონდა თუ არა ჩიჯავაძეს რაიმე მანდატი ცხოველ ეკლესიის დაარსების შესახებ, არ ვიცი.

დამცველი გელაზაროვი: რამდენჯერ ქონდა კრება კვირაში საკათოლიკოსო საბჭოს?

- კვირაში ორჯერ.
- ხშირად ესწრებოდნენ ამ კრებაზე ერისკაცები?
- არ ვიცი.

– **წიგნივადე:** რა იცით თქვენ იმის შესახებ, რომ ჩიჯავაძე ცხოველ ეკლესიის შესახებ მიწერ-მონერას აწარმოებდა სამეგრელოში?

- ვიცი იქიდან, რომ ერთი ასეთი წერილი უნახეს ხელში ჩემს ნაცნობს ჯავახიას.

პროკურატურა მოითხოვს დავით კაჭახიძის დამატებითი დაკითხვას.

პროკ. ოკუჯავა: მონმე კაჭახიძე, თქვენ ლეონიდთან ერთად ცხოვრობდით?

- ერთად.
- როგორი იყო თქვენი იმასთან განწყობილება?
- კარგი.
- საბჭოს კრებებს ესწრებოდით?
- ბოლო ხანებში ნაკლებად.
- დიდი თუ პატარა საქმე იყო თქვენს თვალში განძეულობის საკითხი?
- დიდი, ამიტომ იყო კიდეც, რომ ვცდილობდი მისი პირველი ტალღებისაგან გადარ-ჩენას.
- როგორ გითხრათ ლეონიდმა: საბჭო გავალებს გატანასო თუ მეო?

- საბჭო არ უხსენებია, მე გავალებო.
 - ვის ქონდა ხელი მონერილი გატანის ქალაქებზე?
 - მდივანს, ლეონიდის ხელი იქ არ იყო.
 - პოლიტიკური ხასიათისაა თუ არა მემორანდუმი?
 - მიზანი ქონდა რელიგიოზური და გადავარდა პოლიტიკაში. ეს აქტი, ჩემი შეხედ-
ულებით, არის პოლიტიკაში ჩარევა.
 - ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოდან ეწინააღმდეგება ძირითად პრინციპებს?
 - როგორც ჩამოშორებული არ უნდა იყოს ეკლესია სახელმწიფოდან, რაიმე შემაერთე-
ბელი მთავრობასთან მას მაინც რჩება.
 - როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზედ მემორანდუმმა?
 - მემორანდუმი მე არ მომეწონა, რადგანაც ვიცოდი, რომ ევროპა ჩვენ არ დაგვეხ-
მარებოდა და ეკლესიას კი ეს ავნებდა.
- ვინაიდან პროკურატურა კაჭახიძის ჩვენებაში ნახულობს წინააღმდეგობას იმ ჩვენ-
ებასთან, რომელიც მან გამოძიებას მისცა, ითხოვს მისი ჩვენების გამოქვეყნებას.
- თავმჯდომარე აქვეყნებს კაჭახიძის ჩვენებას.**
- სასამართლოს სხდომა დაიხურა 1 საათსა და 30 წუთზედ და გადაიდო მეორე დღის
საღამოს 5 საათისათვის.

**მეხუთე დღე
14 მარტი 1924წ.**

სასამართლოს სხდომა იწყება მონმე ბენედიქტე კაკაბაძის ჩვენების ჩამორთმევით.

კაკაბაძე: მე ვიყავი თავმჯდომარე იმ კომისიისა, რომელიც უნდა ჩამეზარებია (ასეა
ტექსტში - ჯ.გ.) საკათალიკოზო საბჭოსაგან სამხედრო ტაძარი და გადამეცა იგი კომ-
კავშირისათვის. კომისიაში ორი მთავრობის წარმომადგენელი, ორი ახალგაზრდა კომკავ-
შირისაგან და ორიც უნდა ყოფილიყო საკათალიკოზო საბჭოსაგან. მიღება ტაძრისა უნდა
დანწყებულიყო 10 იანვარს 1923წ., მაგრამ ამ დღისათვის საკათალიკოზო საბჭოს თავის
წარმომადგენლები არ გამოუგზავნია. ვინაიდან ტაძრის გამგის დასწრება ტაძრის ჩაბ-
არებისას იყო აუცილებელი, მე ვაცნობე გამგეს ტაძრისა თოთიბაძეს გამოცხადებულიყო
ეკლესიის გადასაბარებლად 12 იანვარს დილის 9 საათისათვის. თოთიბაძე გამოცხადდა,
მაგრამ განმიცხადა, რომ მას არ შეუძლია თავისი ნებით ჩააბაროს მას სამხედრო ტაძარი,
რადგანაც ასეთია განკარგულება საკათალიკოზო საბჭოსი და რომ გარდა ამისა კომი-
სიაში მონაწილეობის მიღება მას არ შეუძლია რელიგიოზური მოსაზრებით; ამის შემდეგ
შემადგია ტაძრის გასაღებები, მაგრამ გასაღებები მე მისგან არ მივიღე, რადგანაც ნაბრ-
ძანები მქონდა: თუ რომ ის მე წინააღმდეგობას გამიწევდა, დამეპატიმრებია. როდესაც მე
ეს თოთიბაძეს განვუცხადე, მან მიპასუხა, რომ ის დაემორჩილება მხოლოდ ძალას. ამი-
ტომ მე ეს გარემოება ვაცნობე შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილეს, რომელმაც მიბრ-
ძანა შემედგინა ოქმი და წარმედგინა მისთვის. შევადგინე ოქმი და გადავუგზავნე მასვე.
ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ტალახაძე, მას თან ახლდა ჩეკის გამომძიებელი მიკი, რომელ-
მაც თოთიბაძე დააპატიმრა და წარგზავნა იგი ჩეკაში. ორახელაშვილის განკარგულებით
შესდგა ახალი კომისია. კომისიაში შედიოდნენ წარმომადგენელნი შინაგან საქმეთა
კომისარიატისაგან, მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან და რამდენიმე სხვა სახელმწიფო
დანესებულებებისაგან. კომისიამ იწყო ჩაბარება 20 იანვარს 1923 წელსა. ჩაბარებაზედ
ვისწრებდით მღვდელს თოთიბაძეს, რომელიც ჩეკიდან გამოგვყავდა. ნივთების აღწერის
დროს ბევრი ნივთი საანგარიშო წიგნში ჩაუწერავი აღმოჩნდა. ამიტომ შესდგა ახალი
კომისია, რომელსაც უნდა მოეხდინა რევიზია საეკლესიო ქონებისა და ანგარიშებისა.
რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ აქაც და სხვა ეკლესიებში ბევრი ნივთი ჩაუწერელი იყო
და ბევრი ჩანწერილიც აკლდა.

ოკუჯავა: რა მოყავდათ მღვდლებს მიზეზად იმისა, რომ წიგნებში ყველაფერი რიგზედ
არ იყო?

– აცხადებდნენ, რომ ნივთების ჩანერა ხან ვერ მოვასწარით, ხან გვაგინწყდებოდაო.

მაჭავარიანი: ვიცი განკარგულებით უნდა ჩაგებარებიათ თქვენ სამხედრო ტაძარი და რაში გამოიხატა თოთიბაძის წინააღმდეგობა?

– ტაძარი უნდა ჩამებარებია მთავრობის განკარგულებით. თოთიბაძის წინააღმდეგობა გამოიხატა იმაში, რომ ეკლესიის ქონების აღწერის დროს უნდა დამსწრეობდა, მაგრამ არ ინდომა დასწრება. მაძლევდა გასაღებებს, რომლებიც მე არ ჩავიბარე, რადგანაც ასეთი ბრძანება არ მქონდა.

– თქვენ დაესწარით ეკლესიების რევიზიას?

– დავესწარი და აღმოვაჩინე, რომ ზოგი ნივთები წიგნებში გატარებული არ იყო, ზოგიც წიგნში გატარებული – სულ არ იყო.

ოკუჯავა: რას გეუბნებოდათ თოთიბაძე, როდესაც სამხედრო ტაძარს არ გაბარებდათ?

– მითხრა, რომ საკათოლიკოზო საბჭოს დადგენილებაა, ტაძარი არ გადაგაბაროთო; ამასთანავე განმარტავდა, რომ მას არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ტაძრის გადაცემაში, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება მის რელიგიოზურ რწმენასო. და როდესაც დავემუქრე დაპატიმრებით, მითხრა, რომ შემიძლია დავემორჩილო მხოლოდ ძალასაო.

– რომელია ის ეკლესიები, სადაც ქონების გაფლანგვა და საქმეების წარმოების დაუდევრობა აღმოაჩინეთ?

– ვერის, დიდუბის, ქვაშვეთის და სამხედრო ტაძარი.

ერქომაიშვილი: რა გითხრათ თოთიბაძემ, რისთვის არ შემიძლია ტაძარი გადმოგცეთო?

– მითხრა, რომ არ შემიძლია შევურიგდე იმას, რომ სამოქალაქო უფლების წარმომადგენლებს ჩავაბარო ეკლესია და რომ საკათოლიკოზო საბჭოს დადგენილება ეწინააღმდეგება მთავრობის დადგენილებასაო.

დამცველი გუნცაძე: რა უთხარით თქვენ თოთიბაძეს, როდესაც მან ტაძრის გასაღებები შემოგაძლიათ?

– ვუთხარი, რომ გასაღებებს ვერ ჩავიბარებდი და წინადადება მივე მხლებოდა ტაძარში, მაგრამ წამოსვლა არ ისურვა.

– იყო თუ არა მისი დასწრება საჭირო?

– იყო, რადგანაც ხდებოდა ჩაბარება; ჩაბარების დროს კი ერთი აბარებს, მეორე კი იბარებს.

– გთხოვდათ თუ არა ის, გაგენტავისუფლებიათ კომისიაში მონაწილეობისაგან?

– რამდენჯერმე მთხოვა და როდესაც ძალა დავატანე წარმყოლოდა, მითხრა: ძალას დავემორჩილებიო.

– ვისგან ქონდათ, თქვენ მიღებული განკარგულება თოთიბაძის დაპატიმრების შესახებ?

– მისი დაპატიმრების უფლება მინიჭებული მქონდა შინაგან საქმეთა კომისარიატისაგან. უნდა დამეპატიმრებია იმ შემთხვევაში, თუ რომ ის ჩემს მოთხოვნილებას არ დაემორჩილებოდა.

– როდესაც პირველად კომისია ტაძრის ჩასაბარებლად მოვიდა, ტაძარი იყო თუ არა დაბეჭდილი და ვის მიერ?

– ტაძარი იყო დაკეტილი და დაბეჭდილი ახალგაზრდათა კომკავშირის ბეჭდით. გასაღებები ეკლესიისა კი იყო თოთიბაძის ხელში.

წინიძე: როდის მიიღეთ განკარგულება თოთიბაძის დაკავებისა და იყო ეს განკარგულება წერილობითი თუ სიტყვიერი?

– თოთიბაძის დაპატიმრების შესახებ მე მივიღე სიტყვიერი განკარგულება შინაგან საქმეთა კომისარიატის მოადგილისაგან 11 იანვარს დილით. განკარგულება ასეთი იყო გაცემული იმისათვის, რომ, როგორც ხმა დადიოდა, საკათალიკოზო საბჭო წინააღმდეგი იყო ტაძრის გადმოცემისა.

– თოთიბაძე საბჭოს წარმომადგენელი იყო?

– არა. ჩვენ ის მოვიწვიეთ როგორც ტაძრის წინამძღვარი და არა საბჭოს წარმომადგენელი.

დადიანი: თქვენ თქვენს ოქმში სწერთ, რომ დარღვეულია დადგენილება «ОН ИЗЪЯТИИ ЦЕННОСТЕЙ В ПОЛЬЗУ ГОЛОДАЮЩИХ» – დამისახელეთ ეს განკარგულება.

– არ მახსოვს.

– ესწრებოდა თუ არა თოთიბაძე ტაძრის ქონების ჩაბარებას?

– ესწრებოდა. ეს ჩეკიდან გამოგვყავდა და ისე ვისწრებდით.

– ჩაბარებას სხვაც ესწრებოდა?

– ესწრებოდა ორი უცხო მღვდელი, ვისიც გვარი არ მახსოვს.

– გქონდათ რაიმე ინსტრუქცია ტაძრის ჩაბარების შესახებ?

– არა, არ გვქონია, გვქონდა მხოლოდ განკარგულება. შინაგან საქმეთა კომისრისა, რომელსაც ჩაბარების შემდეგ აქტი წარუვუდგინეთ.

წინიძე: შესაძლებელი იყო თუ არა უთოთიბაძოდ სამხედრო ტაძრის ქონების ჩაბარება.

– შესაძლებელი, რადგანაც ჩაბარება კიდევ მოხდა, მაგრამ თოთიბაძის დასწრება საჭირო იყო, რადგანაც ხდებოდა ჩაბარება იმისა, რომელ ქონებასაც თოთიბაძე განაგებდა.

ოკუჯავა: სთქვა თუ არა თოთიბაძემ, რომ საბჭოს დადგენილება ეწინააღმდეგება მთავრობის დადგენილებასო, მეორეც იმიტომ, რომ რელიგიოზური რწმენა ნებას არ მძლევსო?

– დიახ, ეგრე იყო.

– რა ნივთები აკლდა აღწერის დროს ტაძარს?

– არ მახსოვს.

ერქომაიშვილი: საბჭოს რომ თავის ორი წარმომადგენელი გაეგზავნა, საჭირო იყო თუ არა მაშინაც თოთიბაძის დასწრება?

– საჭირო იყო.

ერქომაიშვილი: აპირებდით თუ არა ტაძარში ჩაბარების დროს ისეთ მოქმედებას, რომელიც შებღალავდა თოთიბაძის რელიგიოზურ რწმენას? მაგალითად, ხატების ჩამოღებასა და სხვა?

– არა.

მღვდლიშვილი: დიდუბის ეკლესიაში რევიზიის დროს რა აღმოაჩინეთ?

– კასას აკლდა მილიონ ნახევარი მანეთი, რომლის შესახებაც ეკლესიის მოლარემ განაცხადა, რომ ეს ფული თანა მატქვსო და კიდევ იქვე შეავსო.

– რევიზიის დროს დატუსაღებული იყო თუ არა მღვდელი მირიანაშვილი?

– იყო.

დამცველი მღვდლიევი მიაქცევდა ყურადღებას სასამართლოსი იმ გარემოებაზედ, რომ მირიანაშვილი დაპატიმრებული იყო 12 იანვრიდან, რევიზია კი მოხდა 1 მარტს, ისე რომ კასაში დანაკლისი აღმოაჩინეს მაშინ, როდესაც ის დაპატიმრებული იყო და შემოსვლის – მოსავლის შესახებ პასუხს ვერ აგებდა.

დადიანი: როგორ გესმით თქვენი ასეთი მიწერილობა: „გამოგზავნეთ თქვენი ორი წარმომადგენელი ნივთების ჩასაბარებლათო“?

– ისე, რომ საკათალიკოზო საბჭოს უნდა ჩაეხარებია მთავრობისათვის და არა კომისიას, რადგანაც ჩასაბარებელი ქონდა საბჭოს კომისიისათვის და არა კომისიას-საბჭოსათვის.

წივნივაძე: შესაძლებელი იყო თუ არა თქვენთვის მოქცეულ იყავით სხვაფრივ, როდესაც საბჭოს წევრები არ გამოცხადნენ?

– ეს უბრალო საქმე არ არის. ასეთ შემთხვევებში ისწრებენ მოწმეებს; მაგრამ მე ასე არ მოვქცეულვარ, რადგანაც ჩამბარებული თოთიბაძე იქ იყო.

ყანჩელი: – თქვენ აწარმოებდით ქვაშვეთის ეკლესიის რევიზიას?

– მე.

– რა აღმოაჩინეთ?

– როგორც მახსოვს – იქაც ზოგიერთი ნივთი წიგნებში ჩანერილი არ იყო, მაგრამ რა აკლდა – არ მახსოვს.

რევიზიის დროს ცინცაძე იქ იყო, მაგრამ როგორი განმარტება მომცა მან „ხატების“ შესახებ, არ მახსოვს. ჩემთვის ნათქვამი აქვთ, რომ ხატები მოაქვთ, მაგრამ ისინი ერთხანს არ ინერებიათ, მაგრამ ვინ მითხრა ეს, არ მახსოვს. ანგარიშების შემოწმების დროს ნოემბრის და დეკემბრის თვის ანგარიშები გატარებული იყო შავში, და არ იყო გატარებული თეთრში. ამას ის ხსნიდა დროს უქონლობით.

რამდენიმე წუთით სხდომა წყდება.

პროკურორი მაჭავარიანი პროკურატურის სახელით აცხადებს, რომ ისინი ანთავისუფლებენ ჩვენების ჩამორთმევისაგან შემდეგ მოწმეებს:

1. ციციშვილს
2. ნათაძეს
3. რატიშვილს
4. კეკელიძეს და
5. გვეტაძეს.

დამცველები ითხოვენ ჩამოთვლილ მოწმეებისაგან მოწმეები კეკელიძე და ციციშვილი დაკითხულნი იქმნან.

სასამართლო აკმაყოფილებს ორივე მხარის შუამდგომლობას და ადგენს, განთავისუფლებულნი იქმნა ჩვენების ჩამორთმევისაგან 1) ნათაძე, 2) გვეტაძე და 3) რატიშვილი.

პროკურორი ოკუჯავა შუამდგომლობს: ვინაიდან მოწმე კაკაბაძემ თავის ჩვენებაში აღნიშნა ის გარემოება, რომ თოთიბაძის დაპატიმრება მას ნაბრძანები ქონდა შინაგან საქმეთა კომისრის ტალახაძისაგან – დაკითხულ იქნას ტალახაძე, რომელიც ამჟამად დარბაზში იმყოფება.

დამცველები არ არიან წინააღმდეგი ტალახაძის დაკითხვისა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რომ ტალახაძე არ იყო სასამართლოს დარბაზში მოწმე კაკაბაძის დაკითხვის დროს.

პროკურატურა ეთანხმება დამცველთა განცხადებას და შეთანხმებით მათთან შუამდგომლობს დაკითხულ იქმნას იგი მისი ჩვენების ოქმში შეუტანლად.

სასამართლო აკმაყოფილებს მხარეთა შუამდგომლობას და ადგენს, დაკითხოს ტალახაძეს მისი ჩვენების ოქმში ჩაუტანლად.

სასამართლო ართმევს ჩვენებას ტალახაძეს.

ნინიძე: /კაკაბაძეს/ – იცით თუ არა მოწმემ, რომ თოთიბაძეს მოწვევის უწყება ჩაბარდა?

– არ ვიცი. ამბობდნენ, რომ უწყება გაგზავნილი აქვსო, მაგრამ ჩაბარდა თუ არა – არ ვიცი. ვინაიდან თოთიბაძის დასწრება კომისიისთვის საჭირო იყო, მე თვით მიველ თოთიბაძესთან სახლში. ეს იყო 11 იანვარს, თოთიბაძე შინ არ იყო. დავავალე მის შვილს გადაეცა მისთვის: ხვალ დილის 9 საათისათვის გამოცხადებულიყო სამხედრო ტაძრის გალავანში. მეორე დღეს თოთიბაძე გამოცხადდა.

ჩვენებას ართმევენ მოწმე გრიგოლ სიღამონიძეს.

პროკ. მაჭავარიანი: რა დამოკიდებულება გქონდათ საკათალიკოზო საბჭოსთან?

– ვიყავი საკათალიკოზო საბჭოს სამეურნეო განყოფილების მწერალი.

– რა იცით საკათალიკოზო საბჭოს კანცელარიის კარების გატეხის შესახებ?

იყო კვირა დილა. შეველ ეკლესიაში სალოცავად. შევნიშნე, რომ კანცელარიის კარები გამოხერხილია და მაშინვე ეს გარემოება ვაცნობე კათალიკოზ ამბროსის. კათალიკოზმა მიბრძანა ეს გარემოება დაუყონებლივ მეცნობებია მილიციისა და განსაკუთრებულ კომისიისათვის. მილიცია და განსაკუთრებული კომისია მაშინვე გამოცხადდა და შეუდგა ძიებას. ეს იყო მგონი აპრილის თვეში, როდესაც ბრალდებულები დაპატიმრებულნი იყვნენ. საგანგებო კომისია განსაკუთრებით დაეძებდა საკანცელარიო ქაღალდებს. არც ტაძარში და არც კანცელარიაში დაკარგული არაფერი აღმოჩენილა. რათ იყო კანცელარიის კარი გატეხილი და ვინ იყო ამის ჩამდენი, მე ვერ მივხვდი. ჩემის აზრით, ეს იყო ჩადენილი

ბოროტმოქმედების მიზნით, ან კანცელარიიდან რასმესი გატანის სურვილით, მაგრამ რისი გატანა სურდათ, ეს არ ვიცი. ეჭვი შემეპარა: ეგებ კათალიკოზის მოკვლა უნდათ მეთქი. კარის გამტეხი ჯერ ეკლესიაში უნდა შემოსულიყო; ეკლესიაში შესვლა შეიძლება მხოლოდ ეზოდან. ეზოში არის ძაღლი, მაგრამ ისეთი უმსგავსი, რომ არაფერს არიგებს. ამ ბოროტების ჩამდენი, ჩემის შეხედულებით, კერძო კაცი არ უნდა იყოს, რადგანაც, თუ რომ ის უბრალო ქურდი იყო, კანცელარიის კარის გატეხვამდისაც შიდ ტაძარში უფრო მეტს იშოვნიდა. მას ან წიგნების გატაცება უნდოდა, ან კიდევ ამბროსის მოკვლა. კანცელარიას აქვს სამი კარი და სამივე დაბეჭდილი იყო შიგნიდან განსაკუთრებულ კომისიის მიერ, რადგანაც კათალიკოზი და საბჭოს წევრები დაპატიმრებულნი იყვნენ. თქვენს შეკითხვაზე, გაიტაცეს თუ არა კანცელარიიდან კარების დაბეჭდის შემდეგ რაიმე საბუთები არ ვიცი, არ გამიგია.

– უნდოდა თუ არა ვინმეს კათალიკოზ ამბროსის მოკვლა?

– არ ვიცი, რადგანაც პირადი მტრები არ უნდა ყავდეს, მაგრამ ისეთი არეული დროა, რომ გასაკვირველი არაფერი იქნებოდა, მტერიც რომ აღმოჩენოდა.

– რისთვის უნდა ჩაედინათ ასეთი ბოროტება?

– შეიძლება იმიტომ, რომ სურდათ დაპატიმრებულების მდგომარეობის გართულება..

დამცველი ნინიძე: იყო ისეთი შემთხვევა, რომ საგანგებო კომისიის გამომძიებელმა მიკმა თქვენ თავის ბინაზე მიგიწვიათ, და თუ იყო, რა გკითხათ?

– მიკმა ერთხელ მართლაც მიმიპატიჟა მის ბინაზე და მკითხა: ხომ არ იცით ვინ მოახდინა კანცელარიის კარის გატეხვა.

– ხომ არ უთქვამთ თქვენთვის, რომ ამ საქმეზედ მონმედ უნდა გამოხვიდეთ?

– არა, არ უთქვამთ; ყოველ შემთხვევაში არ მახსოვს.

– სხვა არაფერი უკითხავს?

– როგორ არა, მეკითხებოდა: ვინ დაიარება ამბროსისთან და სხვა, მაგრამ რას – კარგად არ მახსოვს.

– ხომ არაფერი არ ულაპარაკნია თქვენთან ვინმე ინგლისელ კოუცის შესახებ?

– დიახ, ქონდა ლაპარაკი; მეკითხებოდა, რაზედ ქონდათ მასა და კათალიკოზს ლაპარაკიო, მაგრამ მე ვუპასუხე, რომ არ ვიცი, რადგანაც მათ ლაპარაკს არ დავსწრებივარ მეთქი.

ამბროსი: აქ იყო ნათქვამი, რომ მე უფლება არ მქონდა ვინმე მიმელო, ამიტომ უპასუხეთ სასამართლოს: როდესაც კოუცი მოვიდა და ჩემი ნახვა მოინდომა, რა დაგავალეთ, გადაგეცათ მისთვის?

– ამბროსის დავალებით მე გადავეცი მას, რომ კათალიკოზი დაპატიმრებულია და მისი ნახვა არ შეიძლება მეთქი; მან მიპასუხა, კარგად არ მახსოვს, განსაკუთრებულ კომისიის, თუ მთავრობის თავმჯდომარემ მომცა ნახვის უფლებაო. მე ეს გადავეცი ამბროსის, მაგრამ ამბროსიმ მოსთხოვა წერილობითი ნებართვა, ამიტომ ის მაშინვე გაბრუნდა და მოიტანა განსაკუთრებულ კომისიის თავმჯდომარისაგან წერილობითი ნახვის ბარათი და კათალიკოზმაც ამის შემდეგ ის მიიღო.

დამცველი ბარათაშვილი: იცნობთ კათალიკოზ ამბროსის შინაურ ცხოვრებას?

– ვიცნობ, მისი შინაური ცხოვრება იმდენად უბრალოა, რომ ხშირად ლობიოს მეტი არა აქვს რა.

სასამართლო ართმევს ჩვენებას მონმე შუბლაძეს.

პროკურორ მაჭავარიანის შეკითვებზედ მემორანდუმის გაგზავნის და მისი პირად შეხედულების შესახებ ამ საგანზედ, მონმე უპასუხებს:

– მემორანდუმის გაგზავნის შესახებ გავიგე მის შემდეგ, როდესაც მის შესახებ ცნობები დაიბეჭდა გაზეთებში. ჩემის შეხედულებით მემორანდუმი რელიგიოზური ხასიათისაა, მაგრამ არის პოლიტიკური ელემენტიც, უფრო კი ეროვნულია. როდესაც მემორანდუმის გაგზავნისა და შინაარსის შესახებ გავიგე, მაშინ ეკლესია სახელმწიფოს ჩამოშორებული იყო.

– აქვს თუ არა უფლება ეკლესიას პოლიტიკაში ჩარევისა?

– ჩემის აზრით, ეკლესია „აპოლიტიკურია“, პოლიტიკაში არ ერევა და მემორანდუმის ავტორსაც, როგორც საეკლესიო ეპარქიის მმართველს, მისი დაწერის უფლება არ ქონდა, მაგრამ თავის აზრის გამოთქმის უფლება ყოველთვის აქვს.

– იცოდით თუ არა განძეულობის დამალვის შესახებ და თუ არა, როდის გაიგეთ?

– განძეულობის გატანის და დამალვის შესახებ მე არაფერი ვიცოდი და გავიგე „ზარია ვოსტოკა“-დან 19 მაისს 1922 წ. მეგონა, რომ გაზეთი სტყუოდა, სანამ მერმე საგანგებო კომისიაში არ დავრწმუნდი.

– იცოდით თუ არა, რომ ეკლესიების განძეულობა სახალხო ქონებად იყო გამოცხადებული?

– არ ვიცოდი.

– როდესაც ის სახალხო ქონებად გამოცხადდა, იყო თუ არა მაშინ შემნახველი ვალდებული ემცნო მთავრობისათვის მათი არსებობის შესახებ?

– ვალდებული იყო.

ნინიძე: – რა აზრისა ხართ საქართველოს საეკლესიო რეფორმების შესახებ?

– საქართველოს ეკლესიას დოგმატურად ვეთანხმები, მაგრამ რეფორმების მხრივ მას შეუძლია ახალ გზას დაადგეს. როგორც ვიცი, ასეთი ნაბიჯები საბჭომ კიდეც გადადგა თავისი მონოდეტების დაგზავნით (დოკ. №28 – ჯ.გ.).

დანარჩენ შეკითხვებზე უპასუხებს: – „მინა-წყალი“, რომელზედაც მემორანდუმშია ნათქვამი, ჩემი აზრით, ნიშნავს სახელმწიფო ტერიტორიას და ტერიტორიის ჩამოცილება კი – მავნებელია ეკლესიისათვის, რადგანაც მაშინ ეკლესიასაც ეცლება ტერიტორია და გადადის სხვა ტომის მორწმუნეთა ხელმძღვანელების ხელთ-ქვეით. რაც შეეხება იმას, რომ რუსეთის სამღვდლოება ცდილობდა აგენტების საშუალებით საქართველოში ცხოველ ეკლესიის იდეების გავრცელებას, ამის შესახებ შემიძლია მოვიყვანო ორი შემთხვევა: ერთი სამეგრელო, სადაც ეს სამარცხვინო საქმე ხდებოდა. ჯერ კიდეც 1918წ., როდესაც სამეგრელო დიდ შიმშილობას განიცდიდა, მთელი ოლქის სამღვდლოებამ, კირილე ჯავახიას მეთაურობით, დაადგინა: თუ რომ მრევლი ძველ დრამას არ მოგვცემს, გავიფიცნეთ და არავითარი წესი არ შევასრულოთო. ამის გამო გამოვიწვიეთ ფოთიდან ეპისკოპოზი ამბროსი და ვსთხოვეთ ბოლო მოელო ასეთ სამარცხვინო საქმისათვის. ამბროსიმ ეს საქმე მაშინ ჩააქრო. 1922წ., როდესაც იგივე ჯავახია ამყარებდა სამეგრელოში დამოუკიდებელ სამწყსოს და სწყვეტდა კავშირს ივერიის ეკლესიასთან – კათალიკოზ ამბროსიმ გამგზავნა მე. მე თან მახლდნენ საერო პირნიც, გამოვიკვლიეთ ყველაფერი და დავინახეთ, რომ ეს იყო განმეორება 1918წ. გაფიცვისა ჯავახიას მეთაურობით. ჯავახიას ჯგუფს ხელმძღვანელობდა თბილისი დეკანოზ ჩიჯავაძის მეთაურობით, ეს უკანასკნელი კი მოქმედობდა ცხოველ ეკლესიის კომიტეტის დავალებით.

– ვინ აწარმოებდა საეკლესიო საქმეებს საგანგებო კომისიაში?

– **გამომძიებელი მიკი.** ჩემთანაც ქონდა მას ამ საგანზედ ლაპარაკი, მაგრამ ძალიან ცოტა.

– იყო თუ არა რაიმე უსიამოვნება მიკსა და დაპატიმრებულ კავჭარაძეს შორის?

– იყო. ვიცი, რომ ამ უსიამოვნების ნიადაგზედ კავჭარაძე ბევრ საჩივრებსა სწერდა, მაგრამ ვის უჩივოდა და რას ჩიოდა, არ ვიცი.

რთველაძე: ერის სიმდიდრის დაკარგვა უფრო მეტ ვნებას მოიტანს, თუ ფიცის გატეხა?

– როგორც მღვდელი, ფიცის გატეხას ქვეყანას ვანცვალებ, ისე კი ფიცის გატეხა თავის თავად დიდი დანაშაული არ არის.

პროკურორი ოკუჯავა აცხადებს პროტესტს იმისა გამო, რომ დამცველი ნინიძე აგრძელებს თავისი ობსტრუქციას და მონმეს აძლევს ისეთ კითხვებს, რომელსაც საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

დამცველი ნინიძე უპასუხებს, რომ მის კითხვებს აქვს მნიშვნელობა საქმის გამორკვევისათვის.

სასამართლო ეკითხება მონმეს, პროფესორ კეკელიძეს, რომელიც აჩვენებს:

– მემორანდუმის შინაარსს ვიცნობ. ჩემის შეხედულებით, საეკლესიო კანონების მიხედვით კათალიკოზ ამბროსის ქონდა მისი გაგზავნის უფლება. ამის მაგალითები ბევრია საქართველოს ისტორიის წარსულიდან, როგორც, მაგალითად, ბიზანტიასთან, მე-16 საუკუნიდან მოყოლებული – რუსეთთან და სხვა. კათალიკოზ ამბროსის ვიცნობ, როგორც ჩინებულ პუბლიცისტს, მიხედვით მისი წერილობითი გამოსვლებისა სინოდის წინააღმდეგ და აგრეთვე სხვა მეცნიერულ ნაშრომებით. რამდენადაც მე ვიცნობ, მისი ხელით ნაწერები, ჯერ კიდევ დაუბეჭდავი, არის მეცნიერულ ხასიათისა. ეს ცნობები, ეკუთვნის იმ დროს, სანამ ის კათალოკოზობას მიიღებდა, აქვს თუ არა ეხლა მას დრო ასეთ შრომისათვის არ ვიცი. ამას დავუმატებ იმას, რომ ის გულახდილი და პატიოსანი კაცია.

დანარჩენი კითხვებზე უპასუხებს:

– მე ვარ პროფესორი ქართულ ლიტერატურის ისტორიისა; ბერობა დამყარებულია ფიცზე და ფიცს ბერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს; ფიცს აქვს მისთვის წმინდა რელიგიური მნიშვნელობა, რომელიც ამყარებს ურთიერთობას ბერათ აღკვეცილსა და მის უფროსს შორის, რაც გამოიხატება მისდამი სრულ მორჩილებაში. საკათალიკოზო საბჭო არის ის ორგანო, რომელიც ეხმარება კათალიკოზს სასულიერო მმართველობაში. შეკითხვაზე, შეეძლო თუ არა ამბროსის დამოუკიდებელი საბჭოსა მემორანდუმის გაგზავნა, უპასუხებს – , რომ მემორანდუმის გაგზავნა ამბროსის შეეძლო, საბჭოს კი – არა, რადგანაც ისეთი საკითხის გადაჭრა, როგორც არის მემორანდუმის გაგზავნა, არ შეადგენს საბჭოს კომპეტენციას.

– ვის კუთვნილებას შეადგენს საეკლესიო ნივთეულობა?

– ადრე იყო ეკლესიის საკუთრება; საბჭოთა ხელისუფლების დროს ეკლესიის წესები შეიცვალა.

– ვის აქვს ეკლესიის რევიზიის უფლება?

– წინათ ეგ უფლება ჰქონდა ეპარქიულ მთავრობას.

– როგორი იყო სამღვდლოება ცარიზმის დროს?

– ის იყო რევოლუციონური და თუ არ ვცდები 1905წ., რევოლუციის პირველ ხანებში პირველი მათრახი სამღვდლოებამ იგემა.

პროკ. მაჭავარიანი: არის თუ არა დასაშვები, რომ მთავრობის გაუცნობლად სამღვდლოების მხრივ იგზავნებოდეს მიმართვა უცხო სახელმწიფოსადმი?

– დღევანდელ პირობებში უცხო სახელმწიფოსადმი უშუალოდ და მთავრობის გაუცნობლად მიმართვა არ არის დასაშვები.

წიგნივაძე: როდის დაიწყო უნივერსიტეტის აღორძინების ხანა, და რა მდგომარეობაში იმყოფება უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლების დროს.

– უნივერსიტეტის საქმე ძლიერ კარგად მიდის, საბჭოთა ხელისუფლება სათანადო ყურადღებით ექცევა მას; მეტადრე კარგად არის გატარებული ეროვნული ხაზი განათლების სფეროში. გამომცემლობაც უმაღლეს წერტილზედ სდგას.

პროკ. ოკუჯავა: რას იტყვით, მართალია თუ არა ის ადგილი მემორანდუმში, სადაც ნათქვამია, „რომ საბჭოთა ხელისუფლება აუცილებლად მიიყვანს ქართველ ერს ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გახრწნის და გაველურების გზაზე“, სამი წლის საბჭოთა ხელისუფლების არსებობა გაძლევთ თქვენ ამის შესახებ რაიმე საბაბს?

– მე არ მაქვს ფაქტები ვსთქვა, რომ ამბროსის დებულება მართალია.

– ვისი ცდით და ინიციატივით მოხდა ჩამოტანა რუსეთიდან 117 წლის წინათ საქართველოდან გატანილ ისტორიულ განძეულობისა?

– არსებულ ხელისუფლების მეცადინეობით.

სასამართლო გადადის მოწმე ციციქიშვილის დაკითხვაზე:

პროკურორის შეკითხვებზე, მოწმე უპასუხებს: განძეულობის გატანის შესახებ ვიცი ის, რაც გაზეთებში იყო დაბეჭდილი. ჩემის შეხედულებით, მემორანდუმს აქვს მიზნით დასახული ეკლესიის დაცვა, მაგრამ მიმართულებით პოლიტიკური ხასიათისაა.

შეკითხვაზე: უნდა ემორჩილებოდეს თუ არა ეკლესია და სამღვდლოება სახელმწიფო კანონებს, მოწმე განმარტავს:

სახელმწიფო კანონებს ეკლესია და სამღვდელეობა უნდა ემორჩილებოდეს.

დამცველი ნინიძე: იცით თქვენ თუ არა, რომ ქუთაისიდან ამბროსისთან ჩამოსული იყო დელეგაცია?

ვიცი, იყო.

– რას მოითხოვდა?

– მთავრობასთან დამოკიდებულებას, და ასაბუთებდა ამას იმით, რომ გამოგზავნილია მორწმუნეთა კრების მიერ; მაგრამ, როგორც ვიცი, ასეთი კრება არ ყოფილა.

ნაზარი: ვალდებულია თუ არა ეკლესია დაემორჩილოს მთავრობის ისეთ კანონს, რომელიც შეავიწროებს ეკლესიის თავისუფლებას?

– არა; ყოველი მღვდელი ვალდებულია ამას შეებრძოლოს.

ოკუჯავა: როდის შევიწროვდა ეკლესიის თავისუფლება საბჭოთა ხელისუფლების ხელში?

– მემორანდუმის გაგზავნის შემდეგ.

სასამართლო ართმევს ჩვენებას მონმე დეკანოზ კავჭარაძეს:

დამცველი დადიანი: იყავით დაჭერილი განსაკუთრებულ კომისიაში?

– ვიყავი.

– ვინ იყო შენი გამომძიებელი?

– მე გამომძიებელი არ მინახავს; ეგრე 8 თვე პატიმრობაში გავატარე.

– ცუდად გრძნობდით თავს განსაკუთრებულ კომისიაში? ხომ არავის უჩიოდით?

– ცუდად და საჩივრებიც ბევრი აღვძარი: ხან განსაკუთრებულ კომისიის თავმჯდომარესთან, ხან შინაგან საქმეთა კომისარიატში, ხან პროკურორთან და სხვ.

– ვის უჩიოდით?

– გამომძიებელ მიკს.

– მოგცათ თუ არა წინადადება მიკმა ყოფილიყავით განსაკუთრებული კომისიის აგენტი?

– არამც თუ მომცა, ქალაღზედაც ხელს მანერიებდა, მაგრამ მე არ მოვანერე ხელი.

პროკურორი ოკუჯავა: ქონდა თუ არა მიკს რაიმე საბაბი იმისა, რომ ასეთის წინადადებათი მოემართა თქვენთვის?

– მე სუფთა ადამიანი ვარ და ჩემი მოსყიდვას ვერავინ შეიძლებს.

ვინაიდან მონმე კავჭარაძის ჩვენება ეწინააღმდეგება მის ჩვენებას, მიცემულ განსაკუთრებულ კომისიის გამომძიებელთან, **პროკურორი ოკუჯავა** ითხოვს წაკითხულ იქმნას მისი ჩვენება.

სასამართლო აკმაყოფილებს აღნიშნულ შუამდგომლობას და აქვეყნებს კავჭარაძის ჩვენებას. წაკითხულ ჩვენებიდან ირკვევა, რომ მონმეს ჰქონია დამოკიდებულება ცარიზმის დროს სოხუმის ყოფილ ეპისკოპოს არსენისთან, რომელიც ითვლებოდა რუსიფიკატორად, აგრეთვე კავშირი ჟანდარმერიასთან.

მონმე რაიმე კავშირს ჟანდარმერიასთან, ან დამოკიდებულებას არსენისთან უარს ყოფს.

დამცველი დადიანი: გახდით თუ არა აგენტად მიკის წინადადებით?

– არასოდეს.

– **ბრალდებული თავდგირიძე,** როდის იყავით დაჭერილი და რას მოითხოვდა თქვენგან გამომძიებელი მიკი?

– მე დამიჭირეს 25 დეკემბერს; გამომძიებელი მიკი ხელწერილ ქვეშ და დახვრეტის დამუქრებით მოითხოვდა ჩემგან ჯაშუშობას სამღვდელეობაზედ.

ეკითხებიან მონმე კონტრიძეს:

დამცველი გელაზარიშვილი: დაესწართ თბილისიდან განძეულობის გატანას?

– დიახ, დავესწარი; ჩემს გარდა დაესწრნენ კათალიკოზ ლეონიდე, ტყემალაძე, ლაზარიშვილი, დიაკვნები და 5-6 ერის კაცი.

– იყო სია ნივთებისა შედგენილი?

– იყო; ორი სია: ერთი დარჩა აქ, ერთიც წაიღეს ქუთაისში. განძეულობის გატანაში

გვეხმარებოდა მთავრობა; გატანაც მათი აქედან იყო – მთავრობის განკარგულება.
სხდომა შეწყდა ღამის 1 საათზე და გადაიდო მეორე დღის 5 საათისათვის.

მეექვსე დღე 15 მარტი 19246.

სხდომა გაიხსნა საღამოს 6 საათზე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ მონმეების დაკითხვა დამთავრებულია და სასამართლო გადადის საბუთების გამოქვეყნებაზე.

პროკ. მაჭავარიანი ითხოვს გამოქვეყნებული იქმნან სარევიზიო ოქმები.

პროკ. ოკუჯავა – ამბროსის ჩვენება საქმის 359-ე გვერდზე და დამატებითი საქმის მეორე ფურცელზე, შუბლადის ჩვენება და ამბროსის შუბლადესთან დაპირისპირების ოქმი.

პროკ. ერქომაიშვილი – ითხოვს: ვინაიდან პროკურატურას უხდება მუშაობა ძალიან ცუდ პირობებში ზოგიერთ დამცველთა გამოსვლებისა გამო, გამოქვეყნებული იქმნან ჩვენებები ქუჩუასი (ბერმონაზონი გრიგოლ ხუჭუა, 1922წ. 26 ივლისს მიტრ. ნაზარს მექრთამეობაში ადანაშაულებდა. – იხ საქ. უახლ. ისტ. არქ., ფ.516, აღწ.2, ს.1, ფ.262. – ჯ.გ.) და ფოფხადის ბრალდებულ ნაზარს პიროვნების გასაშუქებლად.

დამცველი გელაზაროვი ითხოვს გამოქვეყნებას გამომძიებელ მიკის დადგენილებისას პავლე ჯაფარიძის ბრალდებისაგან განთავისუფლების და განკარგულების „სოვნარკომის“ ტაძრის გადაცემის შესახებ (იხ. 1923წ. 8 იანვრის დოკ. – ჯ.გ.).

მღვდლიშვილი – დაკითხვას საანგარიშო და საინვენტარო წიგნების განმარტებისათვის დავით ნახუცრიშვილისა და სამსონ ბაკურაძის და ნაკითხვას დიდუბის ეკლესიის სარევიზიო კომისიის აქტებისა.

დადიანი – ნაკითხვას სახალხო კომისართა საბჭოსადმი მიმართვისა საქმის 147-ე გვერდზედ გამოსარკვევად „ნეკი ეგზარხის“ ვინაობისა, საქმის გვერდებისა 509-511, 575, 73, 74, 25, 58, 15 და მონერილობას ტალახადის საგანგებო კომისიისადმი.

ქავთარაძე – უფლების მიცემას გზადაგზა იმ საბუთებსა და გარემოებებზედ მითითებისა, რომელიც საჭირო იქნება ჯაფარიძის დაცვისათვის.

გუნცაძე – შუამდგომლობს, უარი ეთქვას პროკურატურას ქუჩუა და ფოფხადის ჩვენების გამოქვეყნებაში; აგრეთვე უფლების მიცემას სამხედრო ტაძრის და წმ. ნიკოლოზის საანგარიშო და საინვენტარო წიგნების მითითებასა და დათვალიერებაზედ.

ნინიძე – უფლების მიცემას მემორანდუმის განხილვის დროს სარგებლობდეს ოფიციალურ გამოცემებით, გაზეთებით და სამეცნიერო შრომებით; აგრეთვე გამოქვეყნებას ამბროსის ჩვენებისა საქმის 117-ე ფურცელზედ, მემორანდუმის შინაარსის გარემოების დასამტკიცებლად დაკითხულ იქმნან ივანე ჯავახიშვილი და პავლე ინგოროყვა ზოგიერთ ისტორიულ გარემოებათა გასაშუქებლად.

ბრალდებული ცინცაძე – გამოქვეყნებას იმისა, თუ რისთვის არის იგი დაპატიმრებული, გამოქვეყნებას მონოდებისა, რომელიც საკათალიკოზო საბჭომ დაგზავნა ეპარქიაში, დეკანოზ ცაგარელის ჩვენებას, მის თხოვნას, მიმართულს საერთაშორისო კომისიისადმი შესახებ ნებადართვისა ანგარიშების შავიდან თეთრში გადატანისა, მის ჩვენებას – საქმის 50 და 51 გვერდზედ, დავითაშვილის ჩვენებას, საქმის 462 გვერდზედ, საკათალიკოზო საბჭოსთან გამოგზავნილ ტელეფონოგრამისა, საბჭოს დადგენილებისა და იმ „ზარია ვოსტოკი“-ს ნაჭერის შინაარსისა, რომელიც საქმეშია მითვისებული.

პროკურატურა აცხადებს, რომ შუამდგომლობა ნინიძისა ექსპერტების ჯავახიშვილის და ინგოროყვასი დაკითხვის შესახებ, ზედმეტია, რადგანაც ამბროსის ბრალდება მემორანდუმის შედგენა და დამტკიცება იმისი, თუ რომელი ნაწილი ტერიტორიისა მოეჭრა საქართველოს საზღვრებს, ბრალდებისათვის არსებით მნიშვნელობას არ წარმოადგენს.

სასამართლო გადის სათათბირო ოთახში და გამოსვლისას აცხადებს შემდეგ დადგენილებას:

„სასამართლომ მოისმინა რა მხარეთა შუამდგომლობა საქმეში არსებულ წერილობითი საბუთების გამოქვეყნების შესახებ და აგრეთვე დამცველ მღვდლიშვილის შუამდგომლობა დაკითხულ იქნას ახალი მონმეები ნახუცრიშვილი და ბაკურაძე, დასამტკიცებლად იმისა, რომ დიდუბის ეკლესიაში ფულისა და მატერიალური ანგარიშების წარმოება ხდებოდა წესიერად, და მოქალაქე ნინიძის – გამონვეულ იქნან პროფესორი ჯავახიშვილი და ისტორიკოსი ინგოროყვა, როგორც ექსპერტები, გასაშუქებლად იმ საკითხისა მართლა ჩამოეჭრა ზოგიერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა საბჭოთა ხელისუფლების დროს და გადაეცა სხვა ტომისა და სარწმუნოების ერებთ თუ არა, და აგრეთვე ნება მიეცეთ მათ – დამცველებს კამათის დროს მიუთითონ მეცნიერულ ნაწარმოებს, ოფიციალურ გამოცემებს და გაზეთებს, საიდანაც ქონდეთ მათ უფლება ციტატების მოყვანისა, მიიღო რა მხედველობაში, რომ 1) საქმეში მითვისებულია საკმაო წერილობითი მასალა და საბუთები დასამტკიცებლად იმისა, თუ როგორ წარმოებდა დიდუბის ეკლესიაში ფულისა და მატერიალური ანგარიშების წარმოება, 2) რომ, რადგან არც ერთ ბრალდებულთ არ ედებათ ბრალი ტყუილი ხმების გავრცელება საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოს ტერიტორიის ნაწილის მეზობელ სახელმწიფოებისათვის გადაცემის შესახებ და რომ საქმის გასაშუქებლად მნიშვნელობა ექნება მხოლოდ მეცნიერულ გამოკვლევებსა და ნაწარმოებებზედ მითითებას და იქიდან ციტატების მოყვანას და არა გაზეთებიდან ნაწყვეტების კითხვას – დაადგინა: ახალი მონმეთა ნახუცრიშვილის და ბაკურაძის, პროფესორ ჯავახიშვილის და ისტორიკოს ინგოროყვას როგორც ექსპერტების გამონვევის შესახებაც აღძრულ შუამდგომლობაზედ ეთქვას უარი, აგრეთვე უარი ეთქვას მხარეთ გაზეთებზედ მითითებაზედ და იქიდან ციტატების მოყვანაზედ, დარჩენილი შუამდგომლობები იქმნას დაკმაყოფილებული“.

ამ დროს ცხადდება მუშათა დელეგაციები, რომლებიც ითხოვენ ბრალდებულების სასტიკად დასჯას.

სხდომა რამდენიმე წუთით წყდება.

განახლებისას – სასამართლოს წევრი ნივნივაძე აქვეყნებს საბუთებსა და ოქმებს თანახმად ზემოაღნიშნულ დადგენილებისა.

ამის შემდეგ სასამართლო საჯარო გამოძიებას დამთავრებულად აცხადებს.

სხდომა შეწყდა ლამის I საათზედ, და გადაიდო მეორე დღის 12 საათისათვის.

მეშვიდე დღე 16 მარტი 1924წ.

სასამართლოს სხდომა გაიხსნა შუადღევის 1 საათზედ.

სიტყვა ეძლევა სახელმწიფო ბრალმდებელს მაჭავარიანს.

პროკურორი მაჭავარიანი განუმარტავს რა სასამართლოს, რომ ამ არაჩვეულებრივი პროცესით დაინტერესებულია არამც თუ საბჭოთა სახელმწიფოები, არამედ მთელი ევროპა და რომ მას აქვს როგორც იურიდიული, ისე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. გადადის საქმის იურიდიული მხარის განხილვაზედ და ამბობს, რომ იმ მასალის მიხედვით, რომელიც დაგროვებულია საქმეში, ხელისუფლებას სრული უფლება ქონდა დაესვა საბრალდებო სკამზედ ისინი, ვინც ამ ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა და სასჯელიც ამ დანაშაულისათვის ბრალდებულებმა უნდა მიიღონ იმ კანონების მიხედვით, რომელიც სახელმწიფოს მიერ გამოცემულია. მთავარ ბრალდებას, წაყენებულს კათალიკოზ ამბროსის და საკათალიკოზო საბჭოს წევრებისადმი, მემორანდუმის შედგენასა და გენუის კონფერენციაზედ გაგზავნის შესახებ, მთელი რიგი მოყვანილ მოსაზრებათა გამო მას დამტკიცებულად მიაჩნია; ასევე დამტკიცებულად სთვლის საეკლესიო ქონების დამალვას და წინააღმდეგობის განევას მთავრობის განკარგულებისადმი სამხედრო ტაძრის გადაცემის მოთხოვნის დროს და საეკლესიო ინვენტარულ წიგნების და ანგარიშების დაუდევრად წარმოებას. დასასრულ დასძენს, რომ ამრიგად ყველა ბრალდებები მას დამტკიცებულად მიაჩნია, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა, რის გამო ამბობს, რომ სასამართლო ბრალს

ვერ დასდებს სამღვდლოებას ნივთების გატანაში, რადგანაც გატანა მოხდა მენშევიკების დროს მთავრობის ნებართვით და რადგანაც სხვა რამ ბრალდება ლაზარიშვილს არ ედება – საბრალმდებლო ნაწილი უარს ამბობს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაზე, და რადგანაც ამ გატანაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ცინცაძე, მირიანაშვილი და ტყემალაძე – ამ ნაწილში ბრალდება ამათაც უნდა მოეხსნასო.

პროკ. ოკუჯავა მიაქცევს რა ყურადღებას სასამართლოსი იმ გარემოებაზე, რომ ცენტრალური ადგილი პროცესში უჭირავს იმ მემორანდუმს, რომელიც საკათალიკოზო საბჭომ, ამბროსის მეთაურობით, ანტანტას გაუგზავნა – განმარტავს, რომ მემორანდუმის დანიშნულება იყო ქართველი მშრომელი ხალხის ცეცხლის ალში გახვევა. მთელი რიგი მონმეების ჩვენებიდან ციტატების მოყვანით ის უმტკიცებს სასამართლოს, რომ მემორანდუმში შედგენილია საკათალიკოზო საბჭოს მიერ და რომ მემორანდუმმა შედეგსაც მიაღწია, რადგანაც ევროპამ, დაეყრდნო რა იმ ცრუ ხმებს, რომელიც მემორანდუმში იყო მოყვანილი, ყალბი შეხედულება იქონია საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებაზე საქართველოში. მეორე ბრალდების შესახებ: განძეულობის გატაცებაში, ისე, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ბრალდებულებს ბრალსა ხსნის, მაგრამ ბრალსა სდებს იმაში, რომ განძეულობის დამალვას ისინი აგრძელებდნენ იმ დროსაც, როდესაც სახელმწიფოში სრული სიმშვიდე იყო და ქონებაც გამოცხადებული ხალხის საკუთრებად. ამიტომ ამ მხრივ ბრალდება მას დამტკიცებულად მიაჩნია. აგრეთვე დამტკიცებულად სთვლის ის იმ ბრალდებას, რომელიც შეეხება სამხედრო ტაძრის გადაცემის დროს წინააღმდეგობის განევას და დასასრულ მიუთითებს სასამართლოს იმაზე, რომ საბჭოთა სასამართლო თუმცა გუმანიურია და ეს ესეც უნდა იყოს, მაგრამ ამ გარემოებამ ის არ გაიტაცოს, რადგანაც ბრალდებულთა მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელია და რომ რევოლუცია ჯერ კიდევ არ გათავებულა, რის გამო სასამართლო სასტიკი უნდა იყოს მშრომელი ხალხის მტრების მიმართ, რადგანაც თუ ისინი არ იქნენ დასჯილნი, მაშინ ბოლომდე განაგრძობენ შავს საქმეებს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ.

საზოგადოებრივ ბრალმდებელი ერქომაიშვილი – განმარტავს რა იმას, რომ სიტყვა სამართალი არასოდეს არ შეიცავდა მტკიცე ცნებას, რომ ის რაც არის ერთისათვის სიმართლე, მეორესათვის ის არ არის; აღნიშნავს, რომ სამღვდლოება იყო და არის გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი და მჩაგვრელი მშრომელი ხალხისა. ასე იყო ის თვითმპყრობელობელ რეჟიმის დროს, ასეთივეა დღესაც, რადგანაც ვერ შერიგებია ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორებას და რომ ეს ასეა – ამის დამამტკიცებელია მემორანდუმის გაგზავნა გენუის კონფერენციაზე, რომელ კონფერენციას შესცქერდა არამც თუ საქართველოს სამღვდლოება, არამედ რუსეთისაც. იხილავს რა შემდეგ მემორანდუმის შინაარსს, ის მიიქცევს ყურადღებას უზუნაეს სასამართლოს იმ პროვოკაციაზე, რომელსაც ადგილი აქვს მემორანდუმში და რომელ პროვოკაციული ცნობებს ემყარებიან საზღვარგარეთ მეორე ინტერნაციონალის წევრები და მუშების ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ნდობით ეპყრობიან მეორე ინტერნაციონალს – ამ მხრივ, ბრალმდებლის აზრით, მენშევიკები და ქართველი სამღვდლოება ერთნაირად მუშაობენ და მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. დასასრულ ითხოვს ისეთი განაჩენის გამოტანას, რომელიც დააკმაყოფილებს მუშათა კლასს.

ბრალმდებელთა სიტყვების შემდეგ სიტყვა ეძლევა დამცველს ნინიძეს.

ის უარყოფს რა ამბროსისადმი წაყენებულ ბრალდების ცალკე დებულებებს-ამბობს, რომ მემორანდუმის შედგენა და გაგზავნა არ შეიცავს სახელმწიფო ღალატის ელემენტებს, რომ ქმედობა ამბროსისა განიმართლება იმით, რომ ძველად, ისტორიულ ხანებში ეგრე იქცეოდნენ საქართველოს კათალიკოზები, თუკი დაინახავდნენ, რომ ერსა და ეკლესიას რაიმე საფრთხე მოელოდა გარეშე, ან შინაურ მდგომარეობით გამოწვეულ პირობებისაგან. მემორანდუმში მოთავსებულ ცნობების სინამდვილეს განუმარტავს სასამართლოს სხვა და სხვა წიგნებიდან ამოკრეფილ ციტატების, სტატისტიკურ ცნობების და ოფიციალურ ანგარიშებზე მითითებით და დასასრულს სთხოვს მას, რომ კათალიკოზ ამბროსის სასამართლომ არ მიაწეროს იმაზედ მეტი ბრალდება, რაც მას ჩაუდენია და

მით არ დაამძიმოს მისი ისედაც გართულებული მდგომარეობა.

მეორედ ლაპარაკობს **დამცველი ბარათაშვილი**: მას სწამს, რომ სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ ის კლასიურია, იქნება მიუდგომელი, რადგანაც ის არის კლასიური და არა პარტიული, არჩეული მშრომელი ხალხის მიერ. ყოველივე ბრალდება, მისი განმარტებით, თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა უნდა იქნეს დამტკიცებული, ამბროსისადმი წაყენებული ბრალდება კი დამტკიცებული არ არის: კათალიკოსს ბრალი ედება თანახმად 60 მუხლისა სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლი შეიცავს სამს ნაწილს, შესდგება სამი ცნებისაგან: საჭიროა ურთიერთობის დაჭერა სხვა სახელმწიფოსთან, დაყოლიება მისი და შეიარაღებული ჩარევა; არც ერთ ამას აქ ადგილი არა აქვს; ფაქტიური მასალა არის მშრალი; მემორანდუმი გაიგზავნა, მაგრამ მიიღეს თუ არა, ვინ მიიღო, რა ბედი ეწვია მას – ეს საქმიდან არ სჩანს;

თვით კონფერენციას ქონდა სამშვიდობო დანიშნულება და მშვიდობიანათაც დაიშალა, მემორანდუმსაც განზრახვა ქონდა მშვიდობიანობის და არ ინტერვენციის გამოწვევა. ამიტომ არ არის ნიშნები ქმედებისა, რომელიც გათვალისწინებულია 60 მუხლით. შეიძლება, რომ იყო აგიტაცია, პროპაგანდა – ეს სულ სხვაა, ამისათვის უნდა მოინახოს სხვა მუხლი კანონისა და არა 60 მუხლი სისხლის სამართლის კოდექსის.

რაც შეეხება ქონების მითვისებასა და გაფლანგვას, აქ კათალიკოზი ამბროსი არის შემთხვევით მიკონინებული, რადგანაც, როდესაც განძეულობა ქუთაისში გაიტანეს და დამალეს, ის იყო სოხუმში და დაბრუნდა თბილისში მხოლოდ კათალიკოზ ლეონიდის სიკვდილის შემდეგ და განძეულობის გადამალვის შესახებ არც ლეონიდეს სიცოცხლეში და არც მერმე მისთვის არავის არფერი უთქვამს, ამიტომ ეს გარემოება მას დანაშაულად არ უნდა ჩაეთვალოს, რადგანაც შიდ არ არის რაიმე ნიშანი ბოროტებისა.

არ არის ნიშნები დანაშაულისა ამბროსის იმ მოქმედებაში, რომელიც შეეხება სამხედრო ტაძრის გადაცემის შეუძლებლობაში, რადგანაც ამ შემთხვევაში ის მოქმედებდა მიხედვით მისი რელიგიოზური რწმენისა და სინდისის მიხედვით.

სხდომა დაიხურა ლამის 2 საათზედ და გადაიდო მეორე დღის 5 საათისათვის.

მერვე დღე 17 მარტი 1924ს.

სხდომა გაიხსნა საღამოს 6 საათზედ.

სიტყვა ეძლევა დამცველ გუნცაძეს.

გუნცაძე – დამცველი მიტროპოლიტ ნაზარის და მღვდელი თოთიბაძის – განუმარტავს სასამართლოს, რომ ნაზარის მოქმედებაში შესახებ იმისა, რომ მან განძეულობის დამალვის შესახებ მთავრობას არაფერი შეატყობინა, არ არის ნიშნები დანაშაულისა, რადგანაც მთავრობის დეკრეტის გამოქვეყნება ეკლესიის ქონების ხალხის საკუთრებად გამოცხადების შესახებ მოხდა განძეულობის აღმოჩენის შემდეგ. ნაზარის წაყენებული აქვს ბრალდება მიხედვით 116 მუხლის სისხლის სამართლის კოდექსის, რომელიც გულისხმობს დანაშაულს, ჩადენილს თანამდებობის პირის მიერ, მაგრამ მისადმი ამ მუხლის წაყენება დაუშვებელია, რადგანაც ნაზარი არის სასულიერო პირი და სახელმწიფო ან საზოგადოებრივ თანამდებობაზედ არ იმყოფება.

შესახებ თოთიბაძისა, ვისაც ერთის მხრივ ბრალდება მთავრობის წინააღმდეგობა ტაძრის გადაბარების დროს და მეორე მხრივ დაუდევრობა და ეკლესიის ქონების გაფლანგვა, მას დაუმტკიცებლად მიაჩნია და ამიტომ ითხოვს ორივე ბრალდებულის სრულ გამართლებას.

დადიანი. დამცველი ტყემალაძისა, განუმარტავს სასამართლოს, რომ 1) ვინაიდან არც წინასწარი გამოძიებით და არც სასამართლოში არაფრით არ დამტკიცდა, რომ ტყემალაძეს მიეღოს მონაწილეობა მემორანდუმის შედგენაში ან გაგზავნაში, უნდა მოეხსნას 60 მუხლი და აგრეთვე 73 მუხლიც, რადგანაც, თუ შედგენაში არ მიუღია მონაწილეობა, შინაარსიც მას არ შეეხება; 2) თუ ბრალს დავდებთ მას იმაში, რომ მან შემდეგში გაიგო

და მაინც არ გაამხილაო, მაშინ უნდა წაეყენებიათ 91 მუხლი. მაგრამ არც ეს შეიძლება, რადგან ფაქტიურად ამის გამხელა მიზანშეწონილი არ იყო, ვინაიდან თუ ვინიცობა მემორანდუმი გზაში დაკარგულიყო, გამცხადებელი ვერ დაამტკიცებდა ნათქვამს და იგი შეიძლებოდა ასეთი ცილისწამებისათვის სასტიკად დაისჯებოდა; 3) განძეულობის ევაკუაცია და დამალვა არ შეიცავს დანაშაულებრივ ქმედებას, ვინაიდან ეს მოხდა გასაბჭოებამდე. მაშასადამე, „ხელის შეწყობაც“ გატაცებაში, ე.ი. ისეთს რამეში, რაცა დანაშაული არ არის, არ შეიძლება დასჯილ იქნას და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 4-ე მუხლის ძალით უნდა მოსპობილ იქნას ბრალდება; 4) აგრეთვე უნდა მოიხსნას 69 მუხლიც, ვინაიდან საკათალიკოზო საბჭოს დადგენილებაში დანაშაულებრივი ქმედობა არ არის „მონოდება“ წინააღმდეგობის განწევისათვის თავის თავისა, ან მთავრობისა უაზრობა იქნებოდა და ეს იყო დადგენილება საკათალიკოზო საბჭოსი, რომელიც მხარვეს მთავრობას; 5) ლაზარიშვილს ხომ თვით ბრალმდებლებმაც ახსნეს ბრალდება და ამნაირად შუამდგომლობს ორივეს გამართლებას.

დამცველი ყანჩელი აცხადებს, რომ ის არის დამცველი მოქალაქე კალისტრატე ცინცაძის, არა მღვდელი ცინცაძის, არა სამღვდელოების წარმომადგენლის, არამედ საბჭოთა საქართველოს მოქალაქის, ადამიანის, რომელსაც კანონის ძალით მოელის უმაღლესი სასჯელი. მე მოვედი, ამბობს ის, სასამართლოში არა როგორც დახავსებული იურისტი, არამედ როგორც „სპეცი“, რომელიც პროკურატურასთან ერთად ეხმარება სასამართლოს ქვეყნის გამოკვლევაში. და ამ მოსაზრებით მე მოგახსენებთ თქვენ ამ საქმეზე დასკვნას და დამცველის თვალსაზრისით: მოქალაქე ცინცაძეს ბრალი ედება იმაში, რომ მან, სხვებთან ერთად, შეადგინა და გაგზავნა გენუაში მემორანდუმი. ამის დასამტკიცებელი საბუთი საქმეში არ მოიპოვება. თვით პროკურატურა ბრძანებს, რომ ამ შემთხვევაში საქმეში არის მხოლოდ არა პირდაპირი მხილებანი; პირველი მხილება არის ვითომ იმ მოსაზრებაში, რომ კათალიკოზ ამბროსის არ შეეძლო ამ აქტის შედგენა მარტო, მაგრამ მონმეთა ჩვენებებით დამტკიცებულია, რომ ამბროსი ხელაია არის მწერალი, მას აქვს მრავალი პუბლიცისტური და ისტორიული ნაწარმოები; მეორე მხილებას ხედავენ მასში, რომ ასეთ მნიშვნელოვან ნაბიჯს ის ვერ გადასდგამდა უსაბჭოთ, მაგრამ საკათალიკოზო საბჭოს დებულებიდან, ეკლესიის კონსტიტუციიდან სჩანს, რომ საბჭო განაგებს მხოლოდ საეკლესიო და სამეურნეო საქმეებს მხოლოდ შინაურ ფარგლებში; რაც შეეხება გარეგან ცხოვრებას, მხოლოდ კათალიკოზს, როგორც „ზეკაცს“ შეეძლო გადაედგა ეს ნაბიჯი.

მეორე ბრალდება შეეხება წინააღმდეგობას სამხედრო ტაძრის გადაცემაში. მაგრამ რომ მოვიგონებთ საკათალიკოზო საბჭოს მიმართვას, სადაც უარი წარმომადგენლობის წარგზავნაში არის დასაბუთებული №21 დეკრეტით, ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ წინააღმდეგობა კი არ იყო, არამედ იყო შუამდგომლობა და გასაჩივრება მთავრობის დადგენილებისა.

მესამე ბრალდება ეხება არასწორად ანგარიშების წარმოებას. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გადასინჯოს ნივთიერი საბუთები, საიდანაც ნათლად დაინახავს ამ ბრალდების უსაფუძვლობას. მე მინდა ამ შემთხვევაში აღვნიშნო ერთი საგანი: სხვათა შორის ცინცაძეს ბრალი ედება მასში, რომ მან არ ჩასწერა 4 შანდალი, მაგრამ ეს შანდალები არის შენობის ნაწილი, რადგან იატაკიდან ამოშენებული მარმარილოს გამოქანდაკებულნი არიან. მაშინ უნდა ჩაწერილიყო კედლებიც, კანდელიც და სხვ.

ამ მოსაზრებისა გამო ის სთხოვს უზენაეს სასამართლოს ცინცაძის გამართლებას.

დამცველი ჯაფარიძისა პ. ქავთარაძე განმარტავს, რომ განძეულობის გატანა მოხდა საქართველოს გასაბჭოებამდე კანონიერი გზით და რამე გატაცებას ადგილი არ ქონია, მაშასადამე არ აქვს ადგილი დანაშაულის განგრძობასაც. ესეც არ იყოს, ჯაფარიძე იყო მხოლოდ ტექნიკური შემსრულებელი უფროსების დავალებისა და არ შეიძლება ბრალდებულად ცნობილ იქნას. დაუშვებელია აგრეთვე შეფარდება მისთვის 116-ე მუხლისა, რადგანაც ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორებისა გამო, სამღვდლო პირნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივ თანამდებობაზე არ ითვლებიან.

ამისა და მიხედვით ითხოვს მის სრულს გამართლებას.

დამცველი მღვდლიშვილი განმარტავს, რომ ის იცავს მღვდელს მირიანაშვილს, რომელსაც ბრალდება: 1) 30 გირვანქა ვერცხლის გადამალვა მითვისების მიზნით, 2) მემორანდუმის დაწერაში მონაწილეობის მიღება და 3) წინააღმდეგობის გაწევა მთავრობისათვის სამხედრო ტაძრის გადაცემის დროს.

პირველ ბრალდების შესახებ ამბობს, რომ არა რას იტყვის, რადგანაც ეს ბრალდება მოხსნილია თვით ბრალმდებლების მიერ.

მეორე ბრალდებას ნახულობს დაუმტკიცებლად.

მესამეს – სრულებით უსაფუძვლოდ, რადგანაც მირიანაშვილი იმ კომისიის სხდომას, სადაც საბჭომ გადასწყვიტა არ მიეღო მონაწილეობა ტაძრის მიმღებ კომისიის მუშაობაში, არ დასწრება.

ამიტომ ითხოვს მის გამართლებას.

დამცველი გელაზარიშვილი: მღვდლიშვილმა მოახსენა სასამართლოს, რომ ჩემს მარწმუნებელს დეკ. მირიანაშვილს ბრალდება დიდუბის ეკლესიის ნივთების – 30 გირვანქა ძვირფასეულობის წიგნში გაუტარებლად შენახვა იმ მიზნით, რომ ისინი დაემალა და არ ჩაებარებია დამშეულთა სასარგებლოდ... მე დაგიმტკიცეთ თქვენ უტყუარი საბუთებით. ერთი კი არა, ოთხი წიგნით-, რომ ეს ბრალდება უსაფუძვლოა, უსაბუთო და ახასიათებს გამომძიებლის დაუდევრობას; გარდა ამისა, ბრალდება, რომ ეს ნივთები მირიანაშვილმა არ გადასცა დამშეულთა კომიტეტს – ეს სრულებით უკანონოა და მოწმობს ამ ბრალდების წარმდგენთა ჩვენი კანონების არცოდნას. თვით პროკურორმა მოხსნა ეს ბრალდება. შემდეგ – უთავბოლო და დაუდევრად ფულის ანგარიშების წარმოება – ესეც რალაც გაუგებრობაა... მირიანაშვილი დააპატიმრეს 12 იანვარს. საანგარიშო წიგნში კი შეამონმეს 1 მარტს, კასაში აკლდა 1300000 მან. და ყველაფერი ეს მომხდარა იმ დროს, როდესაც მირიანაშვილი თავისუფლება ახდელი იყო... მაშასადამე, რა ლოლიკით, რა სამართლით აგებინებენ მას პასუხს სხვის მოქმედებისათვის. ესეც რომ არ იყოს, 1300000 მან დანაკლისი უდრის 1 მან. 75 კაპ. ოქროთი... მე ვფიქრობ, სიტყვის გაგრძელება მეტია, რადგან უზადრუკია ეს ბრალდება – მგონი, ესეც მოხსნეს პროკურორებმა.

მე უნდა გაუწიო ანგარიში მესამე და უკანასკნელ ბრალდებას. ვითომ მირიანაშვილმა მიიღო მონაწილეობა მემორანდუმის შედგენაში. დასამტკიცებლად ამისა წამოყენებულია ის გარემოება, რომ მირიანაშვილი იყო საკათალიკოსო საბჭოს წევრი, მაგრამ რითი მტკიცდება ბრალდება, რომ საკათალიკოსო საბჭომ მიიღო მონაწილეობა მემორანდუმის შედგენაში? სრულებით არაფრით... პირველმა პროკურორმა პირდაპირ სთქვა, რომ პირდაპირი დამტკიცება არ არის, მაგრამ ვერც ერთი არაპირდაპირი დამაკმაყოფილებელი მხილებაც ვერ გვაჩვენა... სისუსტე და დაუსაბუთებულობა ამ ბრალდებისა, სხვათა შორის, იმაშიც მდგომარეობს, რომ მეორე პროკურორი მიუთითებს გამომძიებლისათვის უცნობ პარიტეტულ კომიტეტს. აი მთელი უნიადაგობა ბრალდებისა. მან თვითონ არ იცის ვის ეცეს და სად ეძიოს დამნაშავე.

ჩამოთვლილ გარემოებათა გამო ითხოვს, მირიანაშვილი იყოს სრულიად გამართლებული.

სიტყვების გათავების შემდეგ, როგორც პროკურატურა, ისე დამცველები საპასუხო სიტყვის თქმაზედ უარს აცხადებენ.

უკანასკნელი სიტყვა ეძლევა ბრალდებულთ:

ლაპარაკობს ამბროსი:

მე მედება კონტრრევოლუცია, რომელიც გამოიხატა მემორანდუმის დაწერასა და გაგზავნაში. ბევრი ფიქრის შემდეგ მოველ იმ დასკვნამდე, რომ ჩემს მემორანდუმში საკონტრრევოლუციო არა არის რა. ჩემს მემორანდუმში მე ვამბობდი იმას, რასაც ალიარებს თვით კომუნისტური პროგრამა, სახელდობრ „ერის თვით გამორკვევაზედ“. ყოველივე ერმა თვით უნდა მოაწყოს თავისი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება ისე, როგორც ამას ითხოვს მის ზნე, ჩვეულება და ცხოვრების პირობები. გენუაში იყო სამშვიდობო კონფერენცია. აქ იყო ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს. ვინაიდან ჩემი სურვილი იყო და არის ჩვენი მთავრობის, რომლის არსებობაც მე მწამს და მიმაჩნია, დამოუკიდებლობა – ამიტომ მიწოდდა

დავხმარებოდი და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გავაგზავნე მემორანდუმი. მე საზოგადოდ ვიყავი და ვარ ინტერვენციის წინააღმდეგი და ამიტომ ბრალდება ჩემი იმაში, რომ მე უცხო სახელმწიფოთა ინტერვენციას მივმართე არ შეეფერება სინამდვილეს. ჩემი მემორანდუმი იყო რელიგიოზური ხასიათის, მაგრამ იმავ დროს, პოლიტიკურიც, რადგანაც ერის პოლიტიკურ მდგომარეობიდან დამოკიდებულია ეკლესიის მდგომარეობაც. მთელი ჩემი სიახლგაზრდე მე გავატარე საქართველოს ეკლესიის და ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რისთვისაც განვიცდიდი თვითმპყრობლობისაგან დევნას. ორჯერ გადამასახლეს და ორჯერვე დამაბრუნა სამშობლოში რუსეთის 1905 და 1917 წწ. რევოლუციებმა. ამიტომ, ვიღებ რა მორჩილებით განაჩენს უზენაეს სასამართლოსას, ისე, როგორც ქრისტემ მიიღო ტანჯვა, ვიმედოვნებ, რომ სასამართლო განაჩენის გამოტანის დროს არ დაივინყებს ჩემს წარსულ მოღვაწეობასაც ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოთ და მასაც დასდევს სათანადო მსჯავრს (სრული ტექსტი იხ. დოკ. №69 – ჯ.გ.).

სხდომა დაიხურა ლამის 12 საათზედ და გადაიღო მეორე დღის საღამოს 5 საათისათვის.

მეცხრე დღე 18 მარტი 1924წ.

სხდომა გაიხსნა საღამოს 6 საათსა და 50 წუთზე.

გრძელდება სიტყვა დანარჩენ ბრალდებულებისა. დანარჩენი ბრალდებულები სიტყვის თქმაზედ უარს ამბობენ და სთხოვენ სასამართლოს გამართლებას.

საათის 6 და 55 წუთზედ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.

25 საათის თათბირის შემდეგ მეორე დღეს საათის 8 და 15 წუთზედ უზენაეს სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ იმ პირთა შესახებ, რომლებიც სასამართლომ დამნაშავეებად იცნო, მაგრამ განაჩენის გამოცხადებამდე თავისუფლებაში იმყოფებოდნენ, პროკურატურა ითხოვს წარკვეთის ზომა შეცვლილი იქმნას დაუყოვნებლივ დაპატიმრებით.

თავმჯდომარე გ. ჩხეიძე

მდივანი გრ. აბაკელია

საქ. უახლესი ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღწ. 2, ს.3, ფ. 172-224.

შენიშვნა:

1. იბეჭდება დედნიეული სტილისა და მართლწერის ზუსტი დაცვით. მხოლოდ ალაგ-ალაგ, ტექსტის უკეთ გასაგებად, ჩამატებულია სასვენი ნიშნები, გასწორებულია აშკარა გრამატიკული და კორექტურული შეცდომები (ჯ.გ.).

№69. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საბოლოო სიტყვა სასამართლოზე

1924 წ. 17 მარტი

სანამ რამეს ვიტყოდე იმ დანაშაულების შესახებ, რომელსაც მე მანერენ, საჭიროთ მიმანია განვაცხადო, რომ ჩვენ – მღვდელთმსახურნი ქრისტიანული სწავლა-მოძღვრების მიხედვით ვალდებული ვართ, დავემორჩილოთ „ხელმწიფებასა უმთავრესისასა“ (რომ. 13, 1), რადგანაც ხელმწიფებასა შინა მყოფნი „მსახურნი ღმრთისანი არიან“ (6 მუხ. ანუ – რომ. 13, 6 – ჯ.გ.), მათთვის უნდა ვილოცოთ (1, ტიმ. 2, 2) და მათზე არა ვსთქვათ ბოროტი (საქ. მოც. 23, 5), მაგრამ ბოროტის არა თქმა იმას არ ნიშნავს, რომ მათ მოქმედებას კრიტიკის თვალთ არ შევხედოთ, მათი შეცდომები არ აღვნიშნოთ. ამისათვის ჩემს სიტყვაში მთავრობის შეცდომების აღნიშვნის დროს თუ რამე არამართებული წამომცდეს, გთხოვთ, ეს ჩარიცხოთ უნებლიეთი შეცდომათ, ანუ მიიღოთ უბრალო Lapsus Linguae-დ

და ბოროტ განზრახვლების ხასიათი არ მისცეთ. მე სახეში მყავს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

ჩვენ – საკათალიკოსო საბჭოს მთელ შემადგენლობას – ბრალად გვედება ის, რომ არ შევასრულეთ მთავრობის წინადადება, გაგვეგზავნა წარმომადგენელი ყოფილი სამხედრო ტაძრის ჩამორთმევის დროს დასასწრებლად და რომ არ მოვისურვეთ ჩვენის ხელით ჩაგვებარებინა იგი არასარწმუნოებრივი მიზნებისათვის მოსახმარად. საკათალიკოსო საბჭომ ეს თავისთვის ჩათვალა მიუღებლად, რაც მას ჩამოერთვა წინააღმდეგობის განევა და აჯანყებისაკენ ხალხის მოწვევად და სხვ. ამნაირი ბრალდების არსებობა მე გავიგე მხოლოდ უკანასკნელი დაკითხვის დროს და ჩემს გაოცებას სამზღვარი არ ჰქონდა. ვერ გამიგია, საიდან შეიძლება ამნაირი დასკვნის გამოყვანა.

რელიგია არ არის სახელმწიფოსაგან წარმოშობილი და დაწესებული. მას აქვს თავისი დამოუკიდებელი საფუძველი არსებობისა. სახელმწიფო და ეკლესია ამის გამო ორი სხვადასხვა დაწესებულებაა, მათ აქვთ სხვადასხვა სფერო მოქმედებისა. თავისი დანიშნულების ასრულებაში ორივე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. სახარების დევიზია: „კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა“. სახელმწიფო ეკლესიურ შინაურ ცხოვრებაში არ ერევა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილია. დაე, გამოყოფილ ეკლესიას წაართვან ყველა უფლებები იურიდიული პიროვნებისა, მას მაინც დარჩება ერთი სფერო თავისუფალი მოქმედებისა, ერთი კუთხე, თავისი წმიდათა წმიდა, რომელშიაც სახელმწიფო არ უნდა შეიჭრას. ეს არის მისი შინაური რელიგიური ცხოვრება, რომელიც ექვემდებარება ღვთისგან დაწესებულ ნორმებს. ვინც ეკლესიის მსახურთაგანი ამას გადაუხვევს, ის მოლაღატეა სარწმუნოებისა. ამის გამო ამნაირ შემთხვევებში, როგორც გვეუბნება ქრისტიანული სწავლა-მოდერნობა, ჩვენ ვალდებული ვართ ვემორჩილოთ უფრო ღმერთსა, ვიდრე კაცთა (საქ. მოც. 5, 29). ეს ნორმები ეკლესიური ცხოვრებისა, ამნაირი ურთიერთობა სახელმწიფოს და ეკლესიას შორის მიღებულია ყველა საქრისტიანო ქვეყნებში და არ გვეგონა, თუ ჩვენი მთავრობა ამას არ გაუწევდა ანგარიშს. ამ თვალსაზრისით ვსთქვით, რომ წინადადება ჩვენთვის მიუღებელი იყო, ვინაითგან იმისი მიღებით ჩვენ გავხდებოდით ღვთის დადგენილების და სარწმუნოების მოლაღატენი. ეს არის და ეს. ჩვენ აზრათაც არ მოგვსვლია, რომ ჩვენს ამნაირ კანონიერ განცხადებას მთავრობა მიიღებდა სანაწილადმდეგოდ. მით უმეტეს, რომ ტაძარს ჰყავდა თავისი წინამძღვარი, რომლის განკარგულებაში იყო ეკლესიის ქონება და რომელიც თავისთავად იყო სასულიერო მთავრობის წარმომადგენელი. საქართველოში დაიკეტა 1200-ზე მეტი ეკლესია, ზოგი მთლად დაგრეულ იქნა, მაგრამ არც ერთის შესახებ სასულიერო მთავრობისათვის არც კი შეუტყობინებიათ და რაღა სამხედრო ტაძრის ჩაბარება არ შეიძლებოდა უკათალიკოსო საბჭოთ. გვცოდნოდა, რომ ჩვენს, ჩვენის თვალსაზრისით კანონიერ განცხადებას, საერო მთავრობა მიიღებდა სანყენათ, ჩვენ სხვანაირათ გამოვსთქვამდით ჩვენს აზრს და წინააღმდეგობას არ გავუწევდით. ამას წინათ რამდენიმე ჯარისკაცმა-ბაპტისტმა, განაცხადა, რომ მათ სარწმუნოება უკრძალავს ჯარში სამსახურს და ეს განცხადება სამხედრო სასამართლომ სცნო პატივსაღებათ და გაათავისუფლა ისინი სამხედრო ბეგარის მოხდისაგან. დარწმუნებული ვარ, უზენაესი სასამართლოც ასე შეხედავს ჩვენს განცხადებასაც და ამისათვის ამის შესახებ მეტის თქმა არ მიმაჩნია საჭიროთ.

1) დანაშაულად მითვლიან იმასაც, რომ მცხეთის და სიონის ტაძრების განძების დამალვა ვიცოდი. ამნაირი ბრალდება მიმაჩნია გაუგებრობად, ვინაითგან ნივთების ქუთაისში წაღების დროს მე ვმსახურობდი სოხუმში და ნივთების დამალვა მოხდა უჩემოთ; 2) არც ჩემი და არც სხვების ჩვენებიდან არ სჩანს, რომ ეს მე ვიცოდი ნივთების აღმოჩენამდე. საიდან და როგორ არის ეს ბრალდება შეთხზული, არ ვიცი და 3) მართლაც რომ ვყოფილიყავი დამალვის მონაწილე, მაშინაც ვერ ჩავთვლიდი ჩემს თავს დამნაშავედ, ვინაითგან სამღვდელთაგან მოვალე იყო ეზრუნა ეკლესიის ქონების დაცვისათვის და უხსოვარ დროიდან არეულობის და მტრების შემოსევის დროს განძეულობის დაცვისათვის მიმართავდნენ ამ საშუალებას, ამან შეგვინახა იგი. როდესაც მისი გადატანა მოხდა ქუთაისში, ეს განძეულობა არ შეადგენდა მთავრობის კუთვნილებას. ეს მოხდა ძველი მთავრობის

დროს, როდესაც ეკლესიას არ ჰქონდა ჩამორთმეული საკუთრების უფლება. თუნდაც ჩამორთმეული ჰქონოდა, მაშინაც სამღვდლოების მოვალეობა იქნებოდა, რადგან მის ხელში იქნებოდა მისი მოვლა-დაცვის საქმე. ამის შემდეგ განსაცვიფრებლად მიმაჩნია საბრალდებო ოქმში ხმარება სიტყვის „გატაცება“, მეტი თქმას ამის შესახებ არ ვსთვლი საჭიროდ.

საბრალდებულო¹ ოქმში მოხსენებული ჩვენ – სამღვდლოების – წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები დამყარებულია საგანგებო კომისიის მიერ მოხდენილი წინასწარ გამოძიებაზე (იხ. საბრალდებო საქმე, გვ. 3), ხოლო საგანგებო კომისია სავსებით ეფუძნება აგენტებისაგან მიღებულ ცნობებს (საქმე, ფ.14); მაგრამ როგორია აგენტებისაგან მიღებული ცნობები, შეგვიძლია თუ არა ამ ცნობებზე დავემყაროთ განუკითხავათ. ამას გვიხსნის შემდეგი დასკვნა ჩემს შესახებ.

1923 წლის 12 იანვრიდან მე ვიყავი შინაურ პატიმრობაში, მაგრამ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად იმავე წლის 1 ნოემბრიდან ის შემიცვალეს ციხეში ჯდომით სასტიკი იზოლაციის ქვეშ. ამის მიზეზი იყო ის ცნობები, რომელნიც საიმედო აგენტებიდან მიუღია უზენაეს სასამართლოს პროკურორს. ამ ცნობებით, მე შინაურ პატიმრობაში მყოფს, დამირღვევია ვითომ პატიმრობის წესი და მცხეთაში გავმგზავრებულვარ ნებადაურთველად. ამ ბრალდების სინამდვილე – სამართლიანობა არავის დაუნახავს საჭიროთ შეემონებიათ. აი, აგენტების ცნობებს როგორ შეუძლია მიიყვანოს შეცდომამდის თვით მართლმსაჯულების დამცველნი. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, რამდენათ სახიფათოა, სასამართლო დაემყაროს ჩეკის აგენტების ცნობებს.

უმთავრესი ბრალდება ჩემს საწინააღმდეგოდ წამოყენებული, როგორც საბრალდებულო ოქმიდან სჩანს და როგორც პროკურორის სიტყვიდანაც მესმა, არის კონტრრევოლუცია. ჩემი კონტრრევოლუციონერობა გამოიხატა გენუის კონფერენციაზე ჩემ მიერ წერილის გაგზავნაში, მაგრამ არ მესმის რა იყო კონტრრევოლუციონერული ჩემს წერილში. ნუთუ ის ერთადერთი ძირითადი დებულება, რომ თითოეულმა ერმა თავისი საქმეები მოაწყოს ისე, როგორც ეს მას უნდა, მაგრამ ეს ჩემი მოგონილი ხომ არ არის? უკანასკნელმა საერთაშორისო ომმა ბევრი უბედურობა მოუტანა კაცობრიობას, მაგრამ მანვე ამართა დროშა, რომელზედაც მსხვილის ასოებით წარანერა: „მცირე ერების თვითგამორკვევის უფლება“. ეს ლოზუნგი იმდენად აღმაფრთოვანებელი, სანეტარო და სასიხარულო იყო, რომ მისთვის ანგარიში უნდა გაენიათ. ასეც მოხდა, თვით ნიკოლოზ მეორის მთავარსარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე² ერთადმი თავის მიმართებაში ამბობს, რომ ის იბრძვის ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის. მეტყვით, ეს განცხადება არ იყო გულწრფელი და მეც სავსებით გეთანხმებით, მაგრამ აქ მნიშვნელობა აქვს არა იმას, გულწრფელი იყო ეს განცხადება თუ არა, არამედ იმას, რომ მთავარსარდალი იძულებული გახდა ანგარიში გაენია ცხოვრების სინამდვილისათვის, აღეარებია ის, რასაც თვითონაც არ თანაუგრძობდა. დიახ, ის წამოაყენა ცხოვრებამ და მას ყველაზე უწინ ანგარიში გაუწია სოციალისტურ მიმართულებამ, მაგრამ სტალინის სიტყვით, მეორე ინტერნაციონალმა და მისმა ლიდერმა კაუცკიმ ეს ლოზუნგი ჩამოაქვეითეს კულტურულ ავტონომიამდე, ხოლო პოლიტიკური და ეკონომიური მხარე დაუტოვეს ისევ გაბატონებულ ერებს. საბჭოთა ხელისუფლებამ კი გააფართოვა ის მცირე ერებისათვის პოლიტიკურად გამოყოფის უფლების მინიჭებამდე.³

აი, ეს თვითგამორკვევის უფლება თხოულობს, რომ თითოეულმა ერმა თავისი ცხოვრება და მართვა-გამგეობა მოაწყოს ისე, როგორც თვითონ მოისურვებს და თუ სტალინის სიტყვა შეიცავს ჭეშმარიტებას, თუ საბჭოთა ხელისუფლებამ გააფართოვა თვითგამორკვევის ლოზუნგი და მცირე ერებს უბოძა უფლება პოლიტიკური გამოყოფისა, თავისუფლება – სუვერენობისა, მაშინ, ცხადია, თვითგამორკვეული და სუვერენული ერისათვის თავისუფლების წართმევა ამ ლოზუნგის დარღვევით უნდა ჩაითვალოს. მეტი არც მე მითქვამს რა.

მე არ ვეკუთვნი არც ერთ პარტიას, ჩემთვის სულერთია რომელი პარტიის ხელში იქნება მართვა-გამგეობა, რომელს ექნება ძალაუფლება და რომლის დიქტატურა იქ-

ნება დამყარებული, ამის განხილვაში შესვლა ჩემი საქმე არ არის. მხოლოდ მრწამს და სასურველად მიმაჩნია მართვა-გამგეობა დამყარებული იყოს ხალხის ნებისყოფაზე და თვითგამორკვევაზე. ხალხის სურვილი ჩემთვის კანონია. ამ სურვილზე დამყარებული წესწილობა მარგებელია ხალხის ეროვნული მთლიანობისათვის და მისი კულტურულად წინმსვლელობისათვის. მე არ გამეგონა, რომ მომხდარიყოს ხალხის დაკითხვა ამის შესახებ და ამის გამო, როდესაც პირველი დაკითხვის დროს დამისვეს კითხვა, არჩეულია თუ არა ხალხისაგან ახლანდელი ჩვენი მთავრობაო, მეტი რომ არ მეთქვა, ვუპასუხე, არ ვიცი მეთქი. როდესაც დამკითხველმა საყვედურით მითხრა, როგორ, ინტელიგენტმა კაცმა არ უნდა იცოდე, რომ წარსულ თებერვალს (ეს იყო 1922 წელი) იყო ყრილობა და მან აირჩიაო, მე ბოდში მოვიხადე და მხოლოდ შევნიშნე, რომ მაშასადამე 1921 წ. თებერვლიდან 1922 წ. თებერვლამდის – ერთი წლის განმავლობაში – აურჩევლად უმსახურნიამეთქი. და ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ერთი წელიწადი საჭიროც იქნებოდა ხალხის დაწყნარება და თვითგამორკვევისათვის. ჩვენ, ეკლესიის მსახურნი კი იმ აურჩეველ მთავრობასაც ვცნობდით, ვინაიდან ანგარიშს ვუწვევდით ფაქტს – ეროვნული მთავრობის არსებობას და არ შევდიოდით კანონიერება-უკანონობის განხილვაში.

როდესაც შემოყავდათ საქართველოში რუსეთის ჯარი, კარგათ იცოდნენ, რასაც მობოდნენ. ამ შემთხვევაში, ჩვენ გვექონდა საბუთი გვეფიქრა, რომ ისინი ემსახურებოდნენ მთლიანი რუსეთის შექმნის იდეას; ისინი შეგნებულად ანხორციელებდნენ რუსების საზოგადო მისწრაფებას დიდპყრობელობისას. მახსოვს პუციკოვიჩის⁴ გეოგრაფია, რომელშიაც თვითოეული კუთხის აღწერა დასურათებული იყო ადგილობრივ მკვიდრთა ტიპებით. ველიკოროსი გამოყვანილია: დიდი, ახოვანი, კმაყოფილი სახით და ამაყი გამომეტყველებით და ქვეშ მიწერილი ჰქონდა: „Хозяин земли русской“. სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი იყო მონის და დაჩაგრულის გამომეტყველებით. თვით შკოლა აწვდიდა ხალხს ამ დიდპყრობელობითი იდეას და რა გასაკვირია, რომ მის მისწრაფებათ იქცა ყველასათვის ეცქირათ, როგორც მონებისათვის, მათი ქვეშევრდომთათვის. ოცდაათიოდე წლის წინათ მოწამე ვიყავი შემდეგი სანახაობისა: ქ. სოხუმის ბულვარი, ზღვის პირად მრავალი მოსეირნე, აქვე დგას ორი რუსი ძალზე შეზარხოშებული, ერთი მათგანი უჩვენებს თოვლიან მთებზე და ეუბნება მეორეს: «Эти горы наши. Сказывают, оне сахарные. Все народы там живущие наши подданные и все здесь гуляющие нам подчинены» – და დააბოლოვა იმნაირი სიტყვებით, რომლების მოყვანა აქ არ შეიძლება. 1905 წ. მე ვიყავი დონის ოლქში და, როდესაც გავრცელდა ხმა, რომ კავკასიაში, საქართველოში გამოცხადდა თავისუფლება რუსეთის ბატონობიდან, ხშირი იყო შემთხვევა, რომ მეკითხებოდნენ როგორც ქართველს, ნუთუ მართლა საქართველო გამოეყოფა რუსეთსო. ეს შეუძლებლად მიაჩნდათ. მით უფრო, რომ ადგილობრივი რუსობაც ასე ფიქრობდა. როდესაც 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მართლა დაარსდა საქართველოს რესპუბლიკა, სოხუმის რუსობა, სადაც ვმსახურობდი, ვერ ურიგდებოდა საქართველოს თავისუფლებას. დიდი თუ პატარა, ნასწავლი თუ უსწავლელი – ყველა გაიძახოდა: „როგორ შეიძლება საქართველო იყოს თავისუფალი, ეს დროებითია, მოვა ჩვენი ჯარი და ისევ დავიმორჩილებთო“. საქართველოს თავისუფლება სასაცილოთ მიაჩნდათ. მას სახელდებდნენ: «Кукурузная республика» ანუ «Республика на 1½ часа». ბატონობის იდეაზე აღზრდილი ბუნებრივად გულკეთილი ადგილობრივი რუსობა მოსურნე იყო ბატონობისა და თანასწორობას ვერ გუობდა.

ამ საზოგადო დიდპყრობელობითი მისწრაფების სისრულეში მოყვანა საქართველოს შესახებ წილათ ერგო რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას, იმ ხელისუფლებას, რომელმაც აღიარა მცირე ერების პოლიტიკურად გამოყოფის უფლება: დიახ, საქართველოს დამპყრობელნი ასრულებდნენ ხალხის სურვილს, მაგრამ ძნელი სათქმელია, ქართველი კომუნისტები, რომელნიც ჯარს მოუძღოდნენ და ხელს უმართავდნენ, ვისი სურვილის აღმასრულებელნი იყვნენ. ერთი კი ცხადია, მათ სურდათ, საქართველო შესულიყო დიდი რუსეთის ფარგლებში, თუნდაც ამას მოჰყოლოდა ქართველი ერის ეროვნულად მოსპობა, მისი გათქვეფა რუსეთის ოკეანეში. მათ არ სწამდათ საქართველოს თავისუფლება. კომუნისტური პრესა [ამას] თანაუგრძობდა. მაგალითად, გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ

შარშანდელ თუ შარშანინდელ ნომერში ნათქვამია, რომ რეკოლუციონერული თვალსაზრისი მოითხოვდა თავის დროზე ტფილისზე დაკვრას და პოლონეთზე გალაშქრებასო. ქართველი კომუნისტებიც ამ იდეას ემსახურებოდნენ და ამას ასაბუთებდნენ რეკოლუციის ინტერესებით. გამოდის, რომ რეკოლუცია თხოულობს ერისათვის თავისუფლების წართმევას. იმავე გაზეთის შარშანდელ ნომერის ერთ ნომერში (№263) ესევე აზრი უფრო ცხადად არის გამოთქმული. იქ ნათქვამია, რომ საქართველოს თავისუფლება კომუნისტური თვალსაზრისით არ იყო მისაღები, „საქართველოში თავისუფლად დათარეშობდნენ იმპერიალისტური ჯარები, რაც დიდ საფრთხეს უმზადებდა რუსეთს და სხვა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებს“. ამისათვის „რუსეთის წითელი არმიის 11 თებერვლის ისტორიული ნაბიჯი მარქსისტულათ გაგებულ რეკოლუციონერული ომების თეორიის მიხედვით გამართლებული ხდება“.

მე არ ვიცი მარქსისტულად გაგებულ რეკოლუციონერული ომების თეორია და ამის შესახებ ვერას ვიტყვი, მხოლოდ შევნიშნავ, რომ სახიფათოდ და მოლიპულ გზაზე დადგომად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ საქართველოს მდგომარეობა საშიში იყო რუსეთისათვის და ამის გამო მომხდარი ინტერვენცია გასამართლებელი იყოს. აწინდელი მდგომარეობა საბჭოთა რუსეთისათვის მთელი ბუნებრივად ევროპას და სხვა ქვეყნებსაც მიაჩნიათ არასასურველად და სახიფათოდ და, წარმოთქმული თეორიით, ამ სახელმწიფოთა ინტერვენციაც გახდება გასამართლებელი. ინტერვენცია ყოველთვის ინტერვენციაა, ყოველთვის დასაგმობია, არ შეიძლება მხოლოდ ჩვენგან მოხდენილი ინტერვენცია გამართლოთ და სხვისი უარყოფით. ეს ერთი. მეორეთ, უნდა აღვნიშნო, რომ თავისუფლება თავისთავად არასდროს არ უნდა იყოს დასაგმობი. ის ყოველთვის სასურველია. არ ყოფილა ხალხი, რომელიც მას არ შეხაროდა, არ ეძებდა, რომლის მიღწევა არ მიაჩნდა ბედნიერებათ. შესაძლებელია, საქართველოს ყოფილი მთავრობამ ვერ მოიხმარა იგი, როგორც ამას რიგი მოითხოვდა, მაგრამ აქ თავისუფლება არაა შუაშია. თუ ძველი მთავრობის დროს საქართველოში იმპერიალისტური ჯარები თავისუფლად დათარეშობდნენ, დე, ახალი მთავრობამ აიღოს ეს თავისუფლება და განახორციელოს ის, როგორც საჭიროა, დე, ახალი სუვერენული რესპუბლიკის მთავრობის ხელში ნუ ითარეშებენ იმპერიალისტური ჯარები და საქართველოს თავისუფლება ნუ იქნება საშიშარი სხვა ერებისათვის. ეს იყო ჩემი აზრი და არა ახალი ხელისუფლების უარისყოფა, მაგრამ... აქ დავუხსვამ მრავალწერტილებს და გავჩუმიდები. მხოლოდ არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ საქართველოს თავისუფლება კომუნისტების ერთ ნაწილს მიაჩნდა სასაცილოდ და მასხარათ ასაგდებათ, ერთი რუსული ასოებით დაბეჭდილი გაზეთი («Правда Грузии...») ამნაირად იხსენიებდა მას: „თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული და ნეიტრალური ზურნა“. აქ საჭირო არ არის კომენტარები. ყველა ეს სრულიად არაფერში არ ეთანხმება ხალხის თვითგამორკვევის და პოლიტიკურად გამოყოფის უფლებას, პირიქით, პირდაპირი მისი უარყოფაა. შეიძლება ვსცდებოდე, ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემთვის გაუგებარია, რადგან მარქსისტული თეორია ჩემს სპეციალობას არ შეადგენს, მაგრამ არცოდნა არცოდნააო, ნათქვამია და ამისთვის მომეტევება.

V⁵

5. მიუხედავად ზემონათქვამისა, მე მეუბნებიან, რომ ჩემი გამოსვლით ვითომ ვულარულად ჩვენს მთავრობას, სახელი გავუტეხე მას, გავაბიაბრუე, არ უნდა მიმემართა გენუის კონფერენციისათვის, რომ ჩემის მიმართით მე მინდოდა გამომეწვია ინტერვენცია, ევროპის შეიარაღებული ჯარებით ჩარევა საქართველოს საქმეებში, რომ ამით მე ხელი შევუშალე ჩვენს იქ წარმომადგენელს მის საქართველოს საკეთილდღეოდ ზრუნვაში. ამნაირი ბრალდება მე მიმაჩნია გაუგებრობის ნაყოფად და ამის გამო უსამართლობად. მე ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგო არა მითქვამს რა. მე ვგმობდი გარემო დაღების შემოჭრას საქართველოში, იმ ინტერვენციას, რომელმაც ჩემის შეხედულობით, შელახა ხალხის სუვერენული უფლებები, მოსპო თავისუფლება. მაშასადამე, ჩემი წერილი მი-

მართული იყო დიდპყრობელობის წინააღმდეგ და ეს ცხადად არის მასში გამოთქმული, როდესაც ვამბობ, რომ ყოფილი ბატონი, მცირე ერების მჩაგვრელი დიდპყრობელობით რუსეთი ვერ შეურიგდა საქართველოს თავისუფლებას და მართლაც მან დასძრა თავისი საოკუპაციო ჯარები და საქართველოს დაადგა მონობის უღელი მეთქი. ერთი სიტყვითაც არ დამიგმია ახალი ხელისუფლება საქართველოში, პირიქით, იქ გამოთქმულია, რომ მე არ შევდივარ იმის განხილვაში, როგორი უნდა იყოს მართვა-გამგეობა, რადგან ეს ჩემი საქმე არ იყო. წერილი დაწერილია ახალი ხელისუფლების არსებობის წლისთავზე, ხოლო ჩვენი ქრისტიანული მოძღვრებით ყოველი დამკვიდრებული მთავრობა განუკითხავად უნდა ვიცნაოთ და ვემორჩილოთ ყოველი სამოქალაქო ხასიათის საქმეებში. ამის გამო, ცხადია, მე მინდოდა დამოუკიდებლობა უკვე დამყარებული მთავრობისათვის. გენუის კონფერენცია მე წარმოდგენილი მქონდა, როგორც სახელმწიფოების წარმომადგენლების კრება, მონვეული მშვიდობიანი მოლაპარაკებებისათვის – კრება, რომელსაც საგნათ ჰქონდა მცირე ერების პრეტენზიების განხილვა და ამისთვის ვფიქრობდი, რომ ყველას ჰქონდა უფლება მიემართა მისთვის თავისი აზრის გამოთქმით. გარეშე ძალების შემოყვანა საქართველოში მე სახეში არ მქონია და სასაცილოც იქნებოდა, ვსწერდი ინტერვენციის წინააღმდეგ. მე ვიცოდი, რო იქ იყო ჩვენი წარმომადგენელიც, რომელიც დარწმუნებული ვიყავი, დაიცავდა ჩვენი ქვეყნის სუვერენობა-თავისუფლებას და რომელსაც ამაში ეჭირებოდა დახმარება. ამ შემთხვევაში კი ჩემს წერილს შეეძლო რამდენადმე მაინც გაეადვილებია ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. **მოქალაქე ერქო-მაიშვილი კი ჩემდა გასაცვიფრებლად ამტკიცებს, რომ ჩემმა მემორანდუმმა უკვე მიაღწია თავის დანიშნულებას, რომ ეს იყო მიზეზი რუსეთის და საქართველოს დამოუკიდებლობა – სუვერენობის არცნობისა.** თუ ის იყო საქართველოს წარმომადგენელი მხოლოდ სიტყვით, საქმით კი გამოდიოდა დამატებათ რუსეთის წარმომადგენლისა და დამცველად დიდპყრობელობისა, მაშინ, რასაკვირველია, წერილი მას სამსახურს ვერ გაუწევდა, მაგრამ ეს უკანასკნელი არც იყო მიზანი წერილის, და, მაშასადამე ამაში არ შემიძლია ვიყო პასუხისმგებელი. ყველა ამის შემდეგ მე კიდევაც მიკვირს, რისთვის მასამართლებს საქართველოს უზენაესი სასამართლო და არა რუსეთის, მაგრამ ვინც უნდა გამასამართლოს – საქართველომ იმისათვის, რომ მე ვიცავ ეროვნული ეკლესიის და ერის თავისუფლებას, თუ რუსეთმა – იმისათვის, რომ ხმა ამოვიღე დიდპყრობელობის წინააღმდეგ, სულ ერთია, ორივე შემთხვევაში ცხადად მტკიცდება, რომ საქართველო არ არის თავისუფალი რესპუბლიკა და მოქმედებს გარეშე დირექტივებით.

VI

დიდ დანაშაულად მეთვლება, რომ ხმა დავსძარი ჯარების შესახებ, მაგრამ როგორ შეიძლებოდა არა მეთქვა რა, რადგან ინტერვენციის მოხდენა ხდება ჯარის საშუალებით. მისი შემოსვლა და ამდენი ხნით დაბანაკება ხალხს აგრძნობიებდა, რომ ოკუპაცია უკვე მომხდარია. **იმის დამტკიცება, რომ საქართველო დაიპყრო რუსეთის წითელმა ჯარმა, მეტათ ადვილია. ამას ადასტურებს რადეკის განცხადება ბერლინის კონგრესზე,⁶ ფ.მანარადის საიდუმლო მოხსენება⁷ და ტროცკის წიგნი „Между революцией и империализмом.“ ყველა ეს გვიმტკიცებს, რომ ხალხის ნებისყოფას აქ ადგილი არ ჰქონია.⁸ რომ ჯარი ხალხის სურვილის თანახმად შემოსულიყო, მაშინ იმდენი სისხლი არ დაიღვრებოდა, რამდენიც დაიღვარა; არც ჯარის ამდენი ხნით იქნებოდა საჭირო აქ გაჩერება და თუ გააჩერეს, იმისათვის, რომ დამპყრობლებს ხალხის თანაგრძნობის იმედი არ ჰქონდათ. ეს უკანასკნელი მოსაზრება არ ყოფილიყო, საბჭოთა რუსეთი არ დაარღვევდა თავის გადაწყვეტილებას ამის შესახებ, ხოლო როგორი იყო მისი გადაწყვეტილება, ამაზე გვეუბნება სტალინი. „თავისთავად ცხადია და ამას არ უნდა მტკიცება, – ამბობს იგი, – რომ ჩვენ ვერ დავიმსახურებდით რუსეთის პროლეტარიატის თანაგრძნობას, თუ ჩვენ არ გვეთქვა უარი ჩვენს უფლებებზე ფინლანდიაში, არ გამოგვეყვანა ჯარები ჩრდილო სპარსეთიდან, მანჭურიდან, ჩინეთის ნაწილებიდან და სხვა და სხვა.“⁹ მე არ ვიცი რომელი ქვეყნები იგულისხ-**

მება იმ „სხვადასხვაში“, საიდან ჯარები გაიყვანეს, მხოლოდ, ცხადია, რომ თითქმის ამ სიტყვის თქმის დროს (მგონი, 1921წ. მარტი) შემოიყვანეს დამოუკიდებელ საქართველოში ჯარები და ახლაც აქ არიან დაბანაკებულნი. სანამ კაცი კაცისათვის, როგორც ამბობენ რომაელები, მგელია, ჯარების ყოლა, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ ეროვნული თვალსაზრისი მოითხოვს, რომ ჯარი იყოს უსათუოდ ეროვნული.

VII

მქონდა თუ არა უფლება მე, როგორც სასულიერო პირს, შევხებოდი იმნაირ კითხვებს, რომელნიც წამოყენებულნი არიან ჩემს წერილში? მეუბნებიან, რომ ჩემს უფლებებს გადავამეტე, რომ მე არ მქონდა უფლება გავრეოდი პოლიტიკაში და ამომელო ხმა. არ ვიცი, მაქვს თუ არა საბჭოთა ხელისუფლების თვალსაზრისით რაიმე მოქალაქეობრივი უფლება, მაგრამ ის კი ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენ თვითონ ვცდილობთ ცხოვრებაში გავიყვანოთ პრინციპი: „კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა“ – ამის გამო არ ვერევიტ სახელმწიფო წყობილების და მართვა-გამგეობის საქმეში, მთავრობის უარყოფა და წინააღმდეგობაში და სხვა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირში წყალი ჩავიყენოთ და არა ვსთქვათ რა, როდესაც ვხედავთ უსამართლობას, გარეშე ძალების მარეობას (იგულისხმება ქონების დატაცება – ჯ.გ.), ხალხის შევიწროებას, ერისთვის საზიანო შეცდომებს და საზოგადოთ არ ვიტვირთოთ ხალხის სამსახური, მისი ინტერესების დაცვა და მისი მწუხარების საგანი არ ვამცნოთ ქვეყანას. ყველა ამას ქრისტიანული მოძღვრება არ გვიკრძალავს. ქრისტეს ებრალებოდა ერი, მას ემსახურებოდა და მასზე ზრუნავდა, ამბობდა ხშირად: „მენყალვის ერი ესეო“ (მარკ. 8,2). „ნუ დაიდუმებთ ერისთვისაო“, გვეუბნება ჩვენი მოძღვრება და ამის აღსრულებას პირნათლად მისდევდა სამღვდელეობა. გადაათვალიერეთ ისტორია და თქვენ იქ დაინახავთ ამის აუარებელ მაგალითებს. მოიგონეთ ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი და მათი გამოსარჩლება ხალხის კეთილდღეობისათვის, ბრძოლა ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან, მის უსამართლობასთან, – მოიგონეთ ამბროსი მედიოლანელი, რომელმაც მრისხანე იმპერატორი თეოდოსი არ შეუშვა ეკლესიაში მისგან თესალიაში მოხდენილი სისხლისღვრის გამო (379-395 წ.წ. რომის იმპერატორმა თეოდოსი I 390 წ. თესალონიაში არეულობის დროს 15000 კაცი დახოცა – ჯ.გ.) და მრავალი სხვა. გადახედეთ საქართველოს ისტორიას და აქაც დაინახავთ უამრავ მაგალითებს, სამღვდელეობის ბრძოლას სარწმუნოების და ერის ინტერესების დასაცავად ამქვეყნიურ ხელისუფალთა მძლავრებისაგან. სამღვდელეობა ყოველთვის იყო დამცველი საქართველოს თავისუფლების იდეისა. რამდენათ მოურიდებელნი იყვნენ მღვდელმთავარნი ამ შემთხვევაში, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი. იმერეთის მეფე სოლომონ დიდის მემკვიდრე, ალექსანდრე, ურწმუნოებისა და სხვა დანაშაულობისათვის სამღვდლო კრებამ განკვეთა ეკლესიიდან და როდესაც ის მიიცივალა, აღუკრძალა მისი ქრისტიანული დამარხვა (იხ. აქვე, ნაწილი II – „სალამი ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიას“. – ჯ.გ.). ის დაასაფლავეს წესის აუგებლად ეკლესიის და სასაფლაოს გარეშე. თვალცრემლიანი მეფე სოლომონ დიდის მუდარება და თხოვნამ ვერ გაჭრა, ვერ შეაშინა მღვდელმთავართა კრებული. მოიგონეთ ანტონ ჭყონდიდელი და მისი გამოსვლა ტყვეთა ყიდვის წინააღმდეგ,¹⁰ რაც იმერეთის მეფეს და გურია-სამეგრელოს მთავრებს გადაქცეული ჰქონდათ სახელმწიფოს მართვის სისტემათ, როგორც სავალდებულო ბეგარა. აუარებელი ახალგაზრდა ქალვაჟი იგზავნებოდა სტამბოლში სულტანისთვისაც ყოველწლივით. კრებამ ძალა დაატანა მეფეს და მთავრებს და ხელწერილი დაადებინა ამ სენის მოსპობისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსების დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების ხანა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ამ დროს ეკლესიის და ერის თავისუფლების დამცველებათ გამოდიან ქუთათელი და გენათელი და ხალხის აჯანყებას სათავეში უდგებიან.¹¹ ორივე გაამგზავრეს რუსეთისაკენ, მაგრამ მხოლოდ გენათელმა ექვთიმემ ჩააღწია ნოვლოროდში, სადაც ის უნდა დაებინავებიათ. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მოისურვა მისი ნახვა, ჩაიყვანეს პეტერბურღში, იმპერატორმა დიდი ზეიმით და პატივით მიიღო, მაგრამ ამისათვის

არ მოერიდა ემხილება საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წართმევისათვის და სამშობლოს დამცველების წამებისათვის, მას უწოდა ახალი ნერონი. ეს იყო მიზეზი, რომ ის გააგზავნეს ალექსანდრე სვირის მონასტერში ოლონეცკის გუბერნიაში, სადაც განისვენა და დასაფლავებულია (მისი ნეშტი ამჟამად დაკრძალულია გელათში – ჯ.გ.).

ამნაირად, როგორც სარწმუნოებრივი, ისე ისტორიული მაგალითები მაძლევდნენ მე უფლებას ხმის ამოდებისას. არა, ეს უფლება არ არის, ეს არის მოვალეობა, და მისი აუსრულებლობა გამხდოდა მე უღირსად ჩემი თანამდებობისა – პასუხისმგებლად ღვთის, ეკლესიისა და ერის წინაშე.

მიუხედავად ყველა ამისა, ჩემი წერილი იყო ნამდვილი ეკლესიური აქტი და თუ მან მიიღო გარეგნულად პოლიტიკური ხასიათი, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ასეთი თუ ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა, მისგან აღებული გეზის ცვალებადება გვაძლევს შეძლებას, წარმოვიდგინოსთ პერსპექტივები ეკლესიის მდგომარეობისა მომავალში. ახალი ხელისუფლებას პირველ ხანებში ხალხი უნდოდ უყურებდა და მეც მაფიქრებდა ეკლესიის მომავალი ბედი, ვინაიდან მთავრობის გეზი ეკლესიურ საკითხებში სავსებით უარყოფითი იყო. თუ ხალხს არ მოსწონდა თავისუფლების დაკარგვა, მეც ვფიქრობდი, რომ პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვას მოყვებოდა ეკლესიის დევნა და მისი თავისუფლების მოსპობა, რაც სავსებით გამართლდა. ფაქტიურად ეკლესიის თავისუფლება ფეხქვეშ გათელილია და იურიდიულადაც ცდილობდნენ მის მოსპობას. შარშანწინ რუსეთში იყო გამართული დიდი კამპანია, ბევრს სწერდნენ ეკლესიურ ავტოკეფალიების მოსპობის საჭიროებაზე, რადგან რუსეთის მთავრობას სურდა ეკლესიურ ცხოვრებაშიც შემოეღო ისეთივე ცენტრალიზაცია, როგორც იყო დამყარებული პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამნაირი იყო მისწრაფება მთავრობისა საქართველოშიც. ამ მიზნით უნდოდა მას საქართველოში დამყარებულიყო ცხოველი ეკლესია და ამის პროპაგანდას ეწეოდა სამღვდელთაში. ზოგიერთნი წევრნი სამღვდელოებისა გაებნენ დაგებულ მახეს და ერთი მათგანი (მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე – ჯ.გ.) კიდევაც ჩაენერა სწორედ იქაურ ცხოველი ეკლესიის წევრათ მთავარ კომიტეტში. ამ მიზნით მეც მომეცა წინადადება, დამენყო მიწერ-მონერა ცხოველ ეკლესიასთან, დაემორჩილებოდი მას, ხოლო ერთ საბჭოს წევრთაგანს (უნდა იგულისხმებოდეს ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე – ჯ.გ.) შეაძლიეს საპატიო თანამდებობა – ჩადგომოდა ცხოველ ეკლესიას სათავეში, მაგრამ ეს, რასაკვირველია, უარყოფილ იქნა, როგორც ცდა ეკლესიური თავისუფლების მოსპობისა და ეკლესიური ცენტრალიზაციისა. მიუხედავად ამისა, მოქალაქე ერქომაიშვილი გვარწმუნებს, რომ ქართულ სამღვდელთა კავშირი ჰქონდა რუსეთის ეკლესიასთან, მას ვითომ აქვს ამის დამამტკიცებელი საბუთები, მაგრამ საბუთები არ უჩვენებია. ვინ ყავს სახეში, ნუთუ საქართველოს სამღვდელთადაც გულისხმობს მხოლოდ იმ პატარა წრეს, რომლის ლიდერმა მართლაც კიდევაც უარყო საქართველოს ეკლესია და ჩაება ცხოველ ეკლესიაში. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ – საქართველოს ეკლესიის მმართველი აპარატის წევრები – ჩავკვთავალეს კონტრრევოლუციონერებათ და რეფორმების წინააღმდეგად, თუმცა საკათოლიკოსო საბჭოს უკვე ჰქონდა... დანყებული საქმე ფართე რეფორმების შემოღებისა ეკლესიურ ცხოვრებაში (იხ. დოკ. №28. – ჯ.გ.). მაგრამ საქმე შეაფერხა საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების დაპატიმრებამ, ხოლო იმ პირებმა, რომლებიც მოწინავედ და პროგრესულად სთვლიდნენ თავიანთ თავს და დარჩნენ თავისუფლად სამოქმედო ასპარეზზე, რომელთა ლიდერის თავმჯდომარეობით სარეფორმო კომისიაც კი იყო არჩეული, ვერაფრის გაკეთება, როგორც მოსალოდნელიც იყო, ვერ შეძლეს. საქმე იმაშია, რომ საკათალიკოსო საბჭოს უნდოდა რეფორმების შემოღება ეროვნულ ნიადაგზე, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ხოლო „მოწინავე“ სამღვდელოების წრე, რომელსაც შერჩა მოქმედების ასპარეზი, ფიქრობდნენ რეფორმების მოხდენას რუსეთის ეკლესიის ტრაფარეტით იმ მიზნით, რომ საქართველოს ეკლესია გაებათ მონობის უღელში, დაემორჩილებიათ ისევე რუსეთის ეკლესიისათვის.

რადგანაც ამნაირი უარყოფითი იყო მთავრობის გეზი სარწმუნოებრივ საკითხებში და

მოველოდი ამნაირი შედეგებს, მე, როგორც ეკლესიის თავი, ვეძებდი საშუალებას ეკლესიის ინტერესების დაცვისათვის და ამ მიზნით მივმართე გენუის კონფერენციას.

აქ თავისთავად ისმება კითხვა, აქვს თუ არა ეკლესიის თავს უფლება ეკლესიის თავისუფლებასთან ერთად თქვას რამე ეროვნული თავისუფლების შესახებაც და, თუ აქვს, იქნება თუ არა ეს პოლიტიკური სფეროში შეჭრა? ჩემის რწმენით, ამის უფლებას ჩვენ გვაძლევს ქრისტიანული სწავლა-მოდღვრება. ის გვეუბნება, რომ კაცი ღვთისაგან თავის სახედ და მსგავსად შექმნილია. ღვთის სახეობა და მსგავსება აღბეჭდილია მის სულიერ თვისებებში, რომელთა შორის უმთავრესი თვისებაა თავისუფლება. პავლე მოციქული გვეუბნება, რომ ჩვენ ნოდებულ ვართ თავისუფლებისათვის. ქრისტემ მოგვანიჭა ეს თავისუფლება და მტკიცეთ უნდა შევიინახოთ იგი. ერთხელ განთავისუფლებულმა არ უნდა დავიდგათ ისევ მონობის უღელი (გალ. 5, 1, 13); გვეტყვიან, რომ მოციქული ამბობს ინდივიდუალური და სარწმუნოებრივი თავისუფლებაზე და ხალხის თავისუფლებას არ ეხებაო, მაგრამ ვინც ჩაუკვირდება მოციქულის სიტყვებს, დარწმუნდება, რომ ის გულისხმობს კოლექტიური ინდივიდუუმებს – ერებს და მათს ამქვეყნიურ ურთიერთობას. ამას მოციქული ცხადათ გვიმარტავს, როდესაც გვეუბნება, რომ თავისუფლება უნდა გვქონდეს არა „საფარველად უკეთურებისა“ (1 პეტ. 2, 16), არა „მიზეზად ხორცთა“, არამედ ძმათა სიყვარულისათვის, ხოლო უკეთუ „ურთიერთარს იკბინებოდეთ და შეიჭამებოდეთ, იხილეთ ნუ უკვე ურთიერთას განილინეთ“, ამბობს იგი (გალ. 5, 13-15). ე.ი. თუ ერთმანეთში უთანხმოება, მტრობა და ბრძოლა გექნებათ, ვაითუ ამოწყდეთო. ცხადია, აქ ნათქვამია ადამიანების კრებულთა და ხალხთა შორის ურთიერთობაზე. ამის გამო თუ მე ჩემს წერილში შევეხე ერის თავისუფლების საკითხს, ამის უფლებას მაძლევდა საღმრთო წერილი და ჩვენ – სასულიერო პირნი, ამ მოვალეობის ასრულებას გვერდს ვერ აუხვევთ. **ამას ემსახურებოდნენ არა მარტო მამათმთავარნი და მღვდელმთავარნი, არამედ ქალაქის და სოფლის სამღვდლოებაც. უკანასკნელნიც, თუ მას უნდა დარჩეს მოჭირნახულედ ხალხისა და მისი ინტერესების დამცველად, გვერდს ვერ აუხვევს ამ მოვალეობას. ამის გამო განსაცვიფრებლად მიმაჩნია ის გარემოება, რომ ქართველ სამღვდლოების ნაწილი, რომელიც თავის თავს სთვლის მონინავედ და მართლად სთვლის, გამოდის ჩემგან გენუაში გაგზავნილ წერილის და, მაშასადამე, ერის და ეკლესიის თავისუფლების უარყოფელად. ვინ აიძულა ის ეთქვა, რომ ჩემი მემორანდუმი არის წმინდა წყლის პოლიტიკური აქტი, რომ ამნაირ გამოცხადების უფლება ვითომ მე არ მქონდა, რომ ის ამ გამოცხადებას არ თანაუგრძნობს, რადგან ის არის მოუფიქრებელი აქტი და ამის გამოც ამნაირი, უღლეურად დაბადებული და წინასწარ უნდა მცოდნოდა, რომ მიზანს ვერ მიაღწევდა და სხვა.¹² რისთვის ვერ ჩაუფიქრდნენ მემორანდუმის დედააზრს, რისთვის ვერ მიხვდნენ, რომ ის დაწერილია – ჩვენი აწინდელი მთავრობის უარყოფა არ იყო მასში, არამედ, პირიქით, მისი და ერის სუვერენობის და ეკლესიის თავისუფლების დაცვის სურვილით. რისთვის ვერ მიხვდნენ, რომ ამნაირი მსჯავრი იყო მოუფიქრებელი და ერის ინტერესების საწინააღმდეგო, რომ ამით მსჯავრს სდებდა თავის თავს და გამოდიოდა თავის მოვალეობის უარყოფელად.** ეს ერთი.

მეორეს მხრით, როგორ გინდა არ შეეხო ხალხის ცხოვრების საკითხებს, და ამან არ მიიღოს პოლიტიკური სახე, როდესაც ეკლესიის და პოლიტიკური ერთეულის შემადგენლობა ერთი და იგივეა – ეკლესიის წევრნი იმავე დროს არიან სახელმწიფოს წევრნი. ამის გამო ყოველი ჩვენს მოქმედებას, ყოველი სიტყვას შეიძლება მიეცეს პოლიტიკური ხასიათი, თუ ამისი სურვილი გვექნება. ეკლესიის და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან გამოყოფა მე ისე მესმოდა, რომ გამოყოფილ ეკლესიის შინაურ საქმეებში სახელმწიფო არ ჩაერეოდა, მაგრამ სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ვსცდებოდი. 1922 წელს ერთ პროვინციის ქალაქში ეკლესიაში ხალხს მივმართე სიტყვით, რომელშიაც ვეუბნებოდი მას, რომ იყოს ერთგული ეკლესიისა, რომ ასრულოს ქრისტიანული მოთხოვნილება, რომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოდან, რომ მთავრობა ამის გამო არ ერევა მის შინაურ საქმეებში, მორწმუნეებს არ უკრძალავს იქონიოს თავისი სარწმუნოება, სინდისის თავისუფლებაა და სხ. თურმე ეს სიტყვაც ადგილობრივი ხელისუფალთ მოეჩვენათ საწინააღმდეგოდ და უთქვამთ, როგორ გაბედა ამის თქმაო. იყო შემთხვევა, მქადაგებელმა თავის სიტყვაში

მოიყვანა ქრისტეს სიტყვები: „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან“ ეკლესიასო. აჰა, ჯოჯოხეთი გვიწოდო. დასაბამიდან ქრისტიანობისა ეკლესიაში მიღებულია ლიტანიობა, მაგრამ ამასაც სთვლიან კონტრევოლუციონერულ დემონსტრაციად და სხვა.

VIII

საქართველოს ეკლესია და სამღვდლოება არასდროს არ ყოფილან კონტრევოლუციონერული მიმართულების. თუ მათზე მსჯელობენ რუსეთის ეკლესიის ანალოგიით, ეს დიდი უსამართლობა იქნება. ჩვენმა ეკლესიამ და ერმა 120 წელიწადი გაატარეს მონობაში. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიბრუნა თავისუფლება და სურს შეინარჩუნოს ის. სამღვდლოების ზრახვები ამის იქით არ მიდის. სულ სხვაა რუსეთის ეკლესია. პირველსავე საეკლესიო კრებაზე (1917-18 წლები) იყო გამოთქმული, რომ რუსეთის ხსნა მხოლოდ თვითმპყრობელ მეფეშია, მასზე მსჯელობდნენ და ოცნებობდნენ, ხოლო ამ კრების გაგრძელებამ (კარლოვიცში) კიდევაც დაადგინა, მონვეულ იქმნას რუსეთის ტახტზე ერთ-ერთი ნევრი რომანოვების სახლისა და ამ დადგენილებას 87 დელეგატთაგან ხელს აწერდა 86 (როძიანკომ შეიკავა თავი), ერთმა მღვდელმთავარმა (მიტრ. პლატონი), როგორც გამოქვეყნებული იყო, შეადგინა საღმრთო რაზმი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, – აბა, გვიჩვენეთ ამნაირი რამ საქართველოს ეკლესიის კრებების ან კერძო სამღვდლო პირის ისტორიაში? მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკლესია გაცილებით უფრო კარგ პირობებშია, ვიდრე საქართველოსი. რაშია საქმე? თუ აქ ჩემი წერილია მიზეზი, ხალხი და სამღვდლოება რა შუაშია. ის ჩემი დაწერილია ეკლესიური და ეროვნული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით და მევე მეთხოვება პასუხი.

IX

როგორ არის დაყენებული ეროვნული საკითხი? პირველად საბჭოთა ხელისუფლებას არც კი ჰქონდა თავის პროგრამაში ეროვნული საკითხი, ის უარყოფილი და დაჩრდილული იყო ინტერნაციონალურ მიმართულების უკიდურესობით (ის ემსახურებოდა მხოლოდ დიდპყრობელობის იდეას). შემდეგ ამ საკითხს მიექცა ყურადღება. სტალინი ამბობს, რომ ნიკოლოზ მეორის დროს მხოლოდ და მხოლოდ ერების გარუსებაზე ფიქრობდნენო. ამაში მეც სავსებით ვეთანხმები, რადგანაც ჩემი 37 წლის მსახურების განმავლობაში ამ ბოროტებას ვებრძოდი ბეჭდვითის სიტყვით (ადგილობრივ და სატახტო პეტროგრაღის ჟურნალ-გაზეთებში) და საქმით, რის გამო დევნა, ტანჯვა და მწუხარების მეტი არა დამიმსახურებია რა. მაგრამ განაგრძოს სტალინიმა, როგორია ახლა ამ საკითხის მდგომარეობა. ახლა სულ სხვააო, ამბობს იგი, საბჭოთა ხელისუფლება არ ცდილობს ყველა ერები ალაპარაკოს ერთ ენაზე. რაც უნდა პატარა იყოს ერი, ის სცდილობს შეუქმნას მას წერა-კითხვა და მწერლობა. მე-X ყრილობამ დაადგინა: 1. საბჭოთა ხელისუფლება ყველა ერებში მოეწყოს ადგილობრივი პირობების, ზნე-ჩვეულების და მიდრეკილობის მიხედვით და შეფარდებით; 2. საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა უსათუოდ უნდა იქმნეს ადგილობრივ ენაზე. და 3. შკოლებში სწავლების ენად უნდა იქმნას უსათუოდ ადგილობრივი ენა. მე-XII ყრილობამ კიდევ უფრო გააფართოვა ეროვნული საკითხი. ამნაირად, საბჭოთა ხელისუფლება ეროვნულ საკითხის უარყოფიდან გადისხარა მის ცნობამდ, მისი სამსახურისაკენ, თუმცა ეს ჯერ, სავსებით არ არის განხორციელებული. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ამას თხოულობდა ცხოვრება და ამისათვის ძალაუნებურათ ანგარიში უნდა გაენიათ.

მიუხედავად ამისა, ყველა რუსი კომუნისტი ამას არ თანაუგრძნობს. ლენინმა სთქვა: „გაფხიკეთ ზოგიერთო კომუნისტი რუსი და თქვენ დაინახავთ წითელ პატრიოტს და შოვინისტსაო“. მათში ბევრია დიდპყრობელობის იდეის მიმდევარნი – იმ დიდპყრობელობის, რომელსაც ლენინმა უწოდა **русотяпство**. X ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ რუსი კომუნისტები განაპირა ქვეყნებში ამაცობენ თავისი რუსობით, მათ სწამთ არა ფედერაცია,

არამედ განუყოფელი რუსეთი. უკრაინის წარმომადგენელი კომუნისტი ზატონსკიმ აღნიშნა X კრებაზე (რუსეთის კომპარტიის X ყრილობაზე, გაიმართა 1921 წელს. ჯ.გ.), რომ პოლონეთის და გალიციის წინააღმდეგ მიმავალ ჯარს ამხნეებდნენ რუსული პატრიოტიზმით, რუსეთის განუყოფლობით. თვით სახელწოდება „საბჭოთა რუსეთში“ ზატონსკი ხედავს იმავე დიდპყრობელობითი იდეას და ამბობს: გერმანიაც რომ შემოგვიერთდეს, ნუთუ მაშინაც დარჩება სახელი „საბჭოთა რუსეთიო“. როგორც რუსეთის დიდპყრობელობას, *русотия*-ს, წითელ პატრიოტიზმს, შოვინიზმს და რუსეთის განუყოფლობას, ისე ზატონსკის პროტესტს აქვს თავისი საფუძველი. აქ ნათლად მოჩანს ბუნება ადამიანისა, სიყვარული თავისი ერისა და სამშობლოსადმი, – პატრიოტიზმი, მართალია, პირველ შემთხვევაში ზოოლოგიური, მაგრამ მაინც პატრიოტიზმი. ამნაირი მიმართულებას, რასაკვირველია, ლენინი და საუკეთესო კომუნისტები გმობენ, მაგრამ მისი არსებობა მაინც ფაქტია. ერთი ჩვენი უმაღლესი ხელისუფალთაგანმა ერთ თავის სიტყვაში გამოსთქვა, რომ რუსეთის დიდპყრობელობას უნდა ვებრძოლოთო. მაშ რაშია საქმე? მარტო ჩემთვის ხომ არ უნდა იყოს დანაშაული დიდპყრობელობის წინააღმდეგ ხმის ამოღება. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ის დებულებანი, რომელნიც დაედვა ჩემს წერილს, არ ყოფილან უმნიშვნელო. იმნაირ კითხვებისათვის ოდესმე უნდა მიექციათ ყურადღება და მიაქციეს კიდეც.

X

ეროვნულ ცხოვრების მიმდინარეობაში დეფექტების მაჩვენებელი ფაქტებიო, მკითხვენი. არ ვიცი, საჭიროა ფაქტების მოყვანა თუ არა. ამბობენ, რომ ახლა მდგომარეობა უარესია, ვინემ იყო იმ დროს, როცა ჩემი წერილი იგზავნებოდა გენუის კონფერენციაზე. უარესობისას მე ვერას ვიტყვი, რადგან უკანასკნელი წელიწადი პატიმრობაში მყოფობისა გამო მოწყვეტილი ვარ საზოგადოებრივი ცხოვრებას, მაგრამ თუ ეროვნული ცხოვრების მდგომარეობის უარესობა სინამდვილეა, მაშინ საჭიროა გამოირკვეს, სად არის ამის მიზეზი. ჩვენი კომუნისტების ენერგია, შრომის მოყვარეობა და ქართველი ერის საკეთილდღეოთ ზრუნვა მრწამს და ამისთვის, ვფიქრობ, ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ გარეშე პირობებში – ჩვენში მოქმედ გარეშე ძალების სიძლიერეში. იმედია, ჩვენი მუშაკების ენერგია შეებრძოლება ამ არა (ასეა ტექსტში – ჯ.გ.) ხელის შემშლელ პირობებსაც და დაძლევს მათ ერის საკეთილდღეოდ. ჩემს მემორანდუმში მე ვამბობ: „ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას და მას უბილწავენ მამა-პაპეულ ეროვნულ კულტურას“. ნიშნავს თუ არა ამისი თქმა „ცრუ ხმების გავრცელებას“, რომელშიაც მე ბრალი მედება? არა. მშობლიური ენა რომ იდევნებოდა ხმარებიდან, ეს ოფიციალურად დაადასტურა თვით კომუნისტურმა პრესამ და ხელისუფლებამ. რუსეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობის რეზოლუცია „პარტიული და სახელმწიფო მშენებლობაში ნაციონალური მომენტების შესახებ“ („კომუნისტი“, №102, 8 მაისი, 1923წ.) აღნიშნავს, რომ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივებში და აგრეთვე საბჭოთა მუშაკების თავში არსებობს ველიკორუსული დიდპყრობილური შოვინიზმი, საჭიროთ სთვლის, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებს და ოლქებს ხელმძღვანელობდნენ ისინი, რომელთაც იციან ადგილობრივი ენა და ზნე-ჩვეულება“. ამის შესახებ დაადგინა სათანადო კანონმდებლობა. თუ ყოფილიყო მშობლიური ენის ხმარება, რათ დასჭირდა ამნაირი კანონის გამოცემა? ცხადია, რომ მხოლოდ ამ რეზოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის ცაკ-ის სესიამ 1923 წლის ივნისის დამლევს გამოსცა დეკლარაცია ენის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა სპეციალური კანონების გამოცემა, რომელნიც უზრუნველყოფენ სამშობლო ენას რესპუბლიკებში. ამ დეკლარაციას გაზ. „კომუნისტი“ 1923, №149 მიუძღვნა მონიწივე წერილი, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი: „აქამდის არ იყო დაცული ეროვნული ენა იმიტომ, (რომ) არ გვყავდა საკმაო რიცხვი მუშაკთა ქართველებიდან...“ და ამ დეკლარაციის თანახმად, ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 13 აგვისტოს გამოსცა დეკრეტი ენის შესახებ დანესებულებაში და შემდეგ ამის განხორციელების შესახებ საქართველოს რესპუბლიკაშიც გამოიცა

ინსტრუქციები.

მე არ შევეხები იმას, რა მდგომარეობაშია ამ თუ იმ ნაციონალიზაციის საქმე ფაქტიურად, მხოლოდ განმეორებით აღვნიშნავ, რომ ყოველივე ზემოხსენებული ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ქართული ენა საქართველოში დევნილი იყო. ეს იმდენათ უდავოა, რომ ზედმეტია ამისი დასამტკიცებლად ფაქტების დასახელება, ამიტომ მე მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთ ამ მხრივ სანიმუშო და დამახასიათებელ ფაქტს.

ჩვენ, ბრალდებულებმა, კარგად ვიცით, საგანგებო კომისიაში დავადასტურებთ, რომ იქ უმეტესობა არაქართველები და ქართული ენის უცოდინარნი მსახურობენ. ამხელად კი მაინც მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ა. დაწესებულებებში ყველაზე უკეთ მე ვიცნობ საგანგებო კომისიას, რადგან ორი წელიწადზე მეტი ჩემი ცხოვრება მასთან იყო დაკავშირებული. ჩემი პირველად ამ დაწესებულებაში შესვლის დროს თავმჯდომარის კაბინეტის კარებთან მჯდომ დარაჯს ვკითხე ქართულად რაღაც, ხოლო მან მიპასუხა: «Но я по грузински не знаю». მე, რადგან ვიცოდი რუსული, მივიღე დაკმაყოფილება, მაგრამ რა ქნას რუსულის უცოდინარმა? მას მეკარესთანაც მოენე სჭირდება.

აფხაზეთიდან ჩამოვიდა გლეხი, შვილი ჰყავდა დაპატიმრებული ჩეკაში და მისი ნახვა უნდოდა. იარა მთელი ორი თვე და ვერავის გააგებია თავისი სურვილი, რადგან ჩეკაში წამყოლი მოენის შოვნა ძნელია. მერე ურჩიეს და თხოვნით მიმართა ჩეკის თავმჯდომარეს, რამაც გასჭრა, მიიღო დაკმაყოფილება, მაგრამ რამდენი დაუჯდა საწყალ გლეხს შვილის ნახვა? წამოსვლის დროს გაყიდა ხარ-კამეჩები სახარჯოდ და დაჰკარგა ორის საუკეთესო თვეების (მაისი და ივნისი, როდესაც აფხაზეთში წარმოებს ხვანა-თესვა სიმინდისა) სოფლის მუშაობა.

დააპატიმრეს ჩემთან მყოფი მღვდელმონაზონი ეფრემი (1960-1972 წ.წ. კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II სიდამონიძე – ჯ.გ.). გავუგზავნეთ სადილი ქართულად დაწერილი ბარათით, დამიბრუნეს უკან, არ მიიღეს, ბარათი რუსულად უნდა იყოს დაწერილი.

იქვე მოპასუხე არქიმანდრიტი პავლე ემუდარება გამომძიებელს, მომიყვანეთ მოენე და მალაპარაკეთ ქართულადო, გამომძიებელმა არ დაუკმაყოფილა თხოვნა და დაასაბუთა ამნაირად: «Все равно и по грузински так же будет врать, как и по русски»-ო.

ბ. ფოსტა. იმ ხანებში, როდესაც გავგზავნე წერილი გენუაში, ჩემმა კანცელარიამ გაგზავნა საქმის წერილი დუშეთის მაზრაში. დააბრუნეს ამანათზე რუსული წარწერით, რომ მისამართი რუსულად უნდა იყოს დაწერილი. ერთმა დიდმა ხელისუფალმა თავის სიტყვაში გამოაქვეყნა შემდეგი: „ერთის ფოსტის უფროსისაგან შემოვიდა მოთხოვნილება: რადგან საქართველოს რესპუბლიკაში ქართული ენა სავალდებულოა, მოგვაშორეთ რუსი მოხელე ქართულის უცოდინარი, რომელიც ვერ ასრულებს მოვალეობასო. ეს საკითხი მშვენიერათ გადავწყვიტეთო. რუსულ ენაზე მოსრული ტელეგრამა რუსმა მიიღოს, ხოლო ქართულ ენაზე – ქართველმაო“. მხოლოდ არ იყო მოხსენიებული, იმ ფოსტის განყოფილებაში არსებობს თუ არა მოხელეთა მორიგეობა და თუ არსებობს, რას იზამს რუსი ქართულის უცოდინარი, როდესაც მისი მორიგეობის დროს მოვა დეპეშა ქართულ ენაზე. არის თუ არა ამნაირი პრივილეგია ქართველისათვის რუსეთში. მაგალითად, მოსკოვში, პეტროგრადში, ვლადიკავკაზში და სხვაგან, სადაც ქართველობა ბლომდაა.

გ. რკინის გზა. უკანასკნელ დრომდე იქ ქართული ენა განდევნილი იყო. ერთმა ხელისუფალმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მთავრობას უსაყვედურებენ, რომ რკინის გზაზე საქმის წარმოება არ არის ქართულად. ახლა მუშავდება კანონ-პროექტი, ორის კვირის შემდეგ გამოვა, რომლის შემდეგ ქართველ გლეხს შეეძლება მოგზაურობა ქართული ენის საშუალებითო. ამ განცხადებამ სიხარული და ტაში გამოიწვია. გამოქვეყნდა ეს სასურველი კანონი, რომელიც გვეუბნება, რომ რკინის გზის სამმართველოში საქმე უნდა სწარმოებდეს რუსულ და ქართულ ენაზე, რუსი – თუნდაც ქართული ენის უცოდინარი მოსამსახურენი საჭირონი არიან, რადგან საქართველოს რკინის გზა შესულია რუსეთის რკინის გზათა ცხრილში და სხვ. იმის გამო, რკინის გზა შეუერთდა რუსეთის რკინის გზებს, ქართველს, რუსულის მცოდნეს, არ შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაში

საპასუხისგებო ადგილები დაიკავოს რკინის გზის სამმართველოში, ალბათ იმისათვის, რომ ქართველს ნდობა დაკარგული აქვს. ამას წინადად გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ რკინის გზაზე მომხდარ რაიმე გაუგებრობის შესახებ პრეტენზიები უნდა განასაჩივრონ სარკინისგზო ცენტრალურ დაწესებულებაში, რომელიც იმყოფება მოსკოვში. ნუთუ არ შეიძლებოდა აქ, თბილისში დაარსებულიყო ამნაირი დაწესებულება ანუ განყოფილება მაინც, სადაც ყველა ქართველს თავის ენაზე შესძლებოდა მიემართა საჩივრით.

დ. ამბობენ, რომ უმთავრეს საფინანსო დაწესებულებაში – სახელმწიფო ბანკში – ქართველის სამსახური იშვიათია და თუ ვინმე მსახურობს, უკავია სულ დაბალ მოსამსახურის ადგილი.

ე. განათლების კომისარიატში მხოლოდ შარშან გადვიდენ საქმის ქართულ წარმოებაზე. 1923 წლის მაისის თვეში გამოვიდა კომისარიატის ბრძანება ამის შესახებ.

ვ. რალაც სამედიცინო დაწესებულებაში უნდოდათ აერჩიათ პასუხისმგებელი მდივანი ქართული ენის უცოდინარი. კრების დამსწრეთაგანმა განაცხადა, რომ საქართველოს ფარგლებში მოსამსახურისთვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა და ამისთვის მას «Ранняя Правда»-მ უწოდა შოვინისტი და პურიშკევიჩი.

მემორანდუმში ნათქვამი მაქვს საქართველოს მინა-წყლის დაკარგვაზე, რაც უცილობელი ფაქტია. რამდენად შემოკლდა, დაპატარავდა ჩვენი სამშობლოს ტერიტორია, ამას ნათლად გვიჩვენებს ის რუქა, რომელიც გამოცემულია 1922 წლის 5 ნოემბერს. აქიდან ჩანს, რომ საქართველოს გაუსაჩუქრებია ერთი მესამედი თუ არა, ერთი მეოთხედი მაინც თავისი ტერიტორიისა. მეზობელ რესპუბლიკების ტერიტორიიდან კი საქართველოს ერთი ტკაველი მინა არ მომატებია. ვისაც ართმევენ, ხმა არ უნდა ამოიღოს, რადგან ეს იქნება უკიდურესი შოვინიზმი, ხოლო ვინც საქართველოს წაართმევს რამეს, ის არის უალრესად სიმართლის დამცველი! ამნაირ თვალსაზრისი მე ვერ გამიგია და ვერც ვინ შესძლებს, გამაგებოს. ჩემი თვალსაზრისია: მეზობელ ერებს არ უნდა წაართვა რამე და არც მათ უნდა იკადრონ საქართველოს ტერიტორიის მითვისება და ამით ქართველი ერის შევიწროება. განყენებულად რომ ვსთქვათ, რასაკვირველია, ამნაირი(ა) ქართველური გულკეთილობა, მაგრამ რამდენათ სასარგებლო თვით საქართველოსათვის, ეს ზოგიერთებისთვის გამოურკვეველია.

იმავე წერილში (მემორანდუმში) ვამბობ, რომ საქართველოს ქონება მიაქვთ სხვა ერებს, მაგრამ განა ეს „ცრუ ხმების“ გავრცელებაა. როდესაც ჩემგან იწერებოდა გენუაში წერილი, დადიოდა დაბეჭდილი მახარაძის საიდუმლო მოხსენება, სადაც დასახელებული იყო ის, თუ რა იყო წაღებული რუსეთში. ამის გარდა, ყველა იმას ამბობდა, რუსეთში წაღებული იყო ტრამვაის და რკინის გზის ვაკონები და ორთქმავლები, რომელნიც რუსეთში დადიოდნენ ქართულს წარწერებით და სხვა.

იტყვიან, ყველა ეს ჭორებია, რომ არ ყოფილა არავითარი საიდუმლო მოხსენება, მაგრამ იმ დროს ამ მოხსენების სინამდვილეში ეჭვი არავის არ შეჰქონდა. მაგრამ თუნდაც ეს ყველაფერი ჭორი ყოფილიყოს, განა სხვა მაგალითები ცოტაა, მაგალითები ჩვენი ქონებით უცხოელების დასაჩუქრებისა. ზემოთმოყვანილი მეზობელ ერების საქართველოს ტერიტორიით დასაჩუქრება განა საეჭვოა? განა ფაქტი არ არის, რომ ამ ტერიტორიასთან, ამ საქართველოს მინა-წყალთან ერთად ოთხიათასამდე მოსახლე ქართველი უძრავ-მოძრავი ქონებით გადაეცა ყმებათ ოსეთის რესპუბლიკას, რომელიც დააარსეს ჩვენსავე მინა-წყალზე?¹³ რამდენი კულტურული ნაშთები გადასულა უცხოელთა ხელში: ტაო-კლარჯეთის – ამ საქართველოს კულტურულ კერის – მეტი ნაწილი გადასულა ოსმალეთის ხელში? ოსმალეთისთვის მიუციათ სიამაყით მოსაგონარი კულტურული ნაშთები: ოპიზა, შატბერდი, ანჩა, ბერთა, ტბეთი, რაბათი და სხვა. სომხებს რგებია ახტალის ტაძარი, ადერბაიჯანლებს – დიდებული დავით-გარეჯის მონასტერი და საინგილოს ნაშთები; ოსებს – თიღვა, იკორთა, ლავისი, მონასტერი, ყანჩაეთი, ხოფა და სხვა.

ვამბობ, რომ მინა-წყალს ურიგებენ უცხოეთიდან გადმოსახლებულებსო. ესეც არ არის სიცრუე. კახეთში დაუსახლებიათ ეზიდები, ყარაიას იმ ნაწილში, რომელიც ჩვენს ხელში დარჩა – რუსები; უდინების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ რისთვის არ იგუეს იგი მეზობლებმა. გაზეთის ცნობა 10000 სომეხის გადმოსახლებაზე...

სხვა მაგალითების მოყვანას მე არ შეუდგები, მაგრამ არ შემიძლია გვერდი აუხვიო იმ შეკითხვებს, რომლებსაც აძლევენ ყოფილი მენშევიკები ხელისუფალთ 1923 წლის აგვისტოს ყრილობის დროს, რადგან ეს შეკითხვები ხალხის სურვილების მაჩვენებელი არიან.

ზ. თქვენ ამბობთ, ეუბნებიან ყოფილი მენშევიკები კომუნისტებს, რომ რუსეთის პროლეტარიატი არავის მისცემს ნებას, რომ ქართული ენა იქმნეს დაჩაგრული. თუ ჩვენი რესპუბლიკა დამოუკიდებელია, რისთვის ჩვენი პროლეტარები, კომუნისტები და ხელისუფლებამ არ უნდა იზრუნოს და მიიღოს ზომები ამის შესახებო.

შ. როდესაც ქართველი მსახურობს ქარხანაში, ვალდებულია ის უყვარდეს თავისი სამშობლო თუ არაო.

თ. რა საჭიროება იყო საქართველოს დაყოფა ავტონომიებათ, განსაკუთრებით რა საჭიროო იყო ოსეთის და აჭარის რესპუბლიკების დაარსება. საჭიროა თუ არა ყველა მაზრას თემს და სოფელს ჰქონდეს ავტონომიური უფლებებიო.

ი. როდის გავა რუსეთის ჯარი საქართველოდანო.

კ. როდესაც ქართველი გლეხი – რუსულის უცოდინარი – მიდის რომელიმე დაწესებულებაში, ვალდებულია ის თუ არა თავისთვის მოენე თვითონ იმოვოს.

ლ. მიაქციეს ყურადღება ტფილისში ხალხის გამრავლებას და ცრემლში ამოვლებულ ირონიით ამბობენ: „მარქსმა სთქვა, ყველა ქვეყნის პროლეტარებო შეერთდით და არას დროს, არსად არ უთქვამს, ყველა ქვეყნის ბეჟენცებო ტფილისში შეგროვდითო“ და სხვ.

ჩაუკვირდით ამ შეკითხვებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ხალხი რალაციით არ არის კმაყოფილი, რალაც აწუხებს მას და ვერ გრძობს თავს ბედნიერათ. ჩაუკვირდით და თქვენ იმასაც დაინახავთ, რომ მე იმისთანა არაფერი მითქვამს, რაც სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდეს და მომაკვდინებელ ცოდვათ შეიძლებოდეს ჩამეთვალოს.

XI

შეიძლება ვინმემ მომცეს შენიშვნა, რომ ამდენს ვლაპარაკობ ეროვნული კითხვების შესახებ და თითქმის არაფერი მითქვამს ეკლესიის მდგომარეობაზე, მაგრამ განა საჭიროა რაიმეს თქმა ეკლესიის მდგომარეობაზე? თითოეული ჩვენგანი, რომელიც ხალხის ცხოვრებას უკვირდება, ნათლად ხედავს ეკლესიურ ცხოვრების სინამდვილეს, ხოლო ვისაც ისტორია უსწავლია ან გასცნობია ოდნავ მაინც, მან იცის, რომ ამნაირი დევნულობა, როგორც ჩვენში მოხდა, ისტორიამ არ იცის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქრისტიანობის პირველ საუკუნეებს, როდესაც მორწმუნენი იძულებულნი იყვნენ თავიანთ სარწმუნოებრივი მოვალეობების აღსასრულებლად ჩამძვრალიყვნენ კატაკომბებში. იმნაირი სისასტიკე, როგორც ჩვენში გამოიჩინა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, არ ყოფილა არც რუსეთში და არც სხვა საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკებში. რუსეთიდან ჩამოსულები განცვიფრებაში მოდიან, როდესაც გაიგებენ ეკლესიის მდგომარეობას საქართველოში. ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში“ (30 ნოემბერი, 1923 წელი, №276) მოყვანილი იყო ცნობა, რომ განჯის მუსულმანურ სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა დიდი ბრიტანეთის აღმოსავლეთში ძალადობაზე მოხსენების მოსმენის შემდეგ გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიაც კიცხავენ ინგლისის იმ აგენტებს, რომელნიც სამუსულმანო ქვეყნებში ავრცელებენ უმეცრებას და ცრუმორწმუნებას, სდევნიან სამღვდლოებას, საღმრთო უფლებებს და შეურაცხყოფენ მუსულმანთა წმინდა ადგილებს. ყველა ამისთვის კიცხავენ ბრიტანეთს და მადლობას უცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას სამართლიან მოპყრობისა და მისგან დამყარებული რწმენის თავისუფლებისათვის. ბედნიერი მუსულმანი მორწმუნენი! მათში არ ყოფილა დევნა სარწმუნოებისა! ბედნიერი მუსულმანი სამღვდლოება! რამდენათ წინ წასულა იგი სამი წლის განმავლობაში, რამდენათ გაუსწრვია ჩვენი ქართული სამღვდლოებისათვის!!! ვაი, ჩვენი სირცხვილი! არც სომხების რესპუბლიკაში დაკეტილა არამც თუ იმდენი ეკლესიები, რამდენიც საქართველოში, არამედ მისი მესაქედიც. დიახ, მარტო ჩვენშია დევნა სარწმუნოებისა, მაგრამ იმედია, მომავალში ჩვენც მოგვეცემა რწმე-

ნის თავისუფლება. ამის ნიშნები უკვე არის (მთავრობის ინსტრუქციები იხ. „კომუნისტი“, №294 და 295). (იხ. დოკ. №№61,62. – ჯ.გ.).

სად იყო ამ სისასტიკის მიზეზი? ამბობენ, რომ ამის მიზეზი იყო თვით ხალხი. მას არ უნდოდა ეკლესიები, სამღვდელეობა და სარწმუნოებაო, მაგრამ მართალია ეს? სასულიერო მთავრობის წარმომადგენლის თანდასწრებით ეკითხათ ხალხისათვის ფარული ხმის მიცემის საშუალებით, თორემ პირდაპირ გამოთქმას ხალხი ვერ ბედავს, რომ ამან არ გამოიწვიოს რეპრესიები ან რაიმე ბუგეულში მომხდარი უბედურების მსგავსი.¹⁴ თუ ფარული დაკითხვის შემდეგ მორწმუნეთა რიცხვი მცირე აღმოჩნდებოდა, მაშინ ჩვენ თვითონ დავკეტავდით ეკლესიას და მორწმუნეთ მივანერდით სხვა სამრევლოს.

გადმოგვცემენ, რომ ერთ სოფელში (სამეგრელო) ეკლესიის დაკეტვის და მღვდლისათვის მღვდელ მოქმედების აღკრძალვის შემდეგ ერთ ღამეს მოგვარეს მღვდელს სამოცი მოსანათლი ბავშვში, რამდენი ყოფილა ამ სოფელში მორწმუნე? თითო ოჯახში ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ, გამოვა სამასი სული მორწმუნე. ახლა რამდენი მორწმუნე ოჯახი იქნებოდა, რომელსაც მოსანათლავი არ ეყოლებოდა. აი ეს და ამნაირი სოფლები ურწმუნოებათ არიან გამოცხადებულები. მე ხელში მქონდა და შეიძლება ახლაც მქონდეს, აღწერილობა აბაშის ეკლესიის დანგრევის ისტორიისა. ბუგეულის ეკლესიის დაკეტვის ისტორია სასამართლოს კარგად მოეხსენება და სხ. სამეგრელოდან, ამბობენ, მოსანათლავი ბავშვები მიჰყავთ და ჯვარსანერათ მიდიოდნენ იმერეთში, აფხაზეთში და სხვაგანაც, ყოფილა მაგალითი ტფილისშიაც ჩამოყვანისა. მიცვალებულებს წესის აუგებლად მარხავენ, ხოლო წესის ასაგებად და წირვის გადასახდელად სანყლები მიდიან შორეულ ადგილებში. ამდენად დიდია შეწუხებაო, ამბობენ, მაგრამ შეიძლება ეს ხალხისათვის სასარგებლო იყოს სარწმუნოებრივად და ეკონომიურათაც? რას გვეუბნება ამნაირი მაგალითები?

როდესაც ხალხის ურწმუნოების მტკიცება არ გამოდგა საკმარისად, დევნულობის მიზეზად გამოაცხადეს ჩემი გენუის კონფერენციისადმი მიმართვა და დაინყეს მტკიცება, რომ მანამდის არ ყოფილა სარწმუნოების დევნაო. თუ ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ ხალხის სურვილი აქ არა შუაშია და თუ ხალხის სურვილი იყო ეკლესიების დაკეტვა, ურწმუნო ილოთაც მოხდებოდა ის, რაც მოხდა. მეორეს მხრით, საკადრისი იქნებოდა მთავრობისათვის ჩემი დანაშაულისათვის ხალხის დასჯა სარწმუნოებრივად? მაგრამ ვიკითხოთ, მართალია ის მტკიცება, რომ ჩემი წერილის გაგზავნამდის არ ყოფილიყოს ვითომ დევნა სარწმუნოებისა? როდესაც ახალი ხელისუფლება მყარდებოდა საქართველოში, მე განვაგებდი სოხუმის ეპარქიას. რა ვნახე? სოხუმში ახალი მთავრობის პირველი თითქმის აქტი იყო ქართველებისა და აფხაზებისათვის საკათედრო ტაძრის ჩამორთმევა და გადაცემა რუსებისათვის, რომლებიც რაოდენობით სოხუმის მკვიდრთა ერთ მეოთხედსაც არ შეადგენდა და რომელნიც არ ემორჩილებოდნენ საქართველოს ეკლესიას. მეორე, ეკლესიისათვის საკეთილო ზომა იყო სამღვდელმთავრო სახლის ჩამორთმევა, ჩემი იქიდან ძალით გამოგდება, ბარგების ქუჩაში გამოყრა, ჩემი კომისარიატიდან კომისარიატში შეიარაღებული მილიციონერების საშუალებით ტარება და ჩემი ხუთი თვის განმავლობაში ხან ვისთან და ხან ვისთან თავის შეფარება. მე-3, კარის ეკლესიის დანგრევა, 4. კანცელარიისა და ისტორიისათვის ძვირფასი არქივის სანახევროთ განადგურება და ნაშთის სამზარეულოსთან ნესტიან ოთახში შეყრა, სადაც სისტემატიურად ნადგურდებოდა. 5. საეკლესიო სახლების ჩამორთმევა და მღვდელმსახურთა შევინროება, რის გამო ზოგიერთი მღვდელთაგანი იძულებული გახდა სოფელში შეეფარებია თავი და თავის რიგის შესასრულებლად იქიდან ეარა ქალაქში და სხვ. ყველა ეს მოხდა ახალი მთავრობის დამყარების პირველ თვესავე.

აგეთივე მოხდა ფოთში, რის გამოც მღვდელმთავარი, რომელსაც ბინა წაართვეს, იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებია (იგულისხმება ჭყონდიდელი და ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი გიორგი ალადაშვილი – ჯ.გ.). საკათალიკოსო საბჭოს შუამდგომლობით შინაგან საქმეთა კომისარიატმა გასცა განკარგულება ფოთის სამღვდელმთავრო სახლის დაბრუნების შესახებ, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ უყურადღებოთ დასტოვა ცენტრალურ მთავრობის განკარგულება. რუსეთის ცენტრალიზა-

ციის სისტემას მტკიცედ ვიცავთ და ვემორჩილებით და შინ კი ვერ განგვიხორციელებია ეს სისტემა. შინაგან საქმეთა კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი, რომ ის შენობები მაინც დარჩნენ ხელუხლებლნი, რომელნიც იმყოფებიან ეკლესიის ეზოებში. პროექტი დამტკიცებულ იქნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან, მაგრამ სისრულეში მოყვანას ვერ ეღირსა. საკათალიკოსო საბჭოს საქმეებში ბევრია მაგალითები პროვინციის დაბა-სოფლებში სახლების ჩამორთმევისა და სამღვდლოების შევინროებისა. ცხადია, ახალი ხელისუფლებას თავიდანვე ეტყობოდა, თუ რანაირი იქნებოდა მისი გეზი საეკლესიო საქმეებში და ტყუილია იმისი მტკიცება, რომ ყველაფერი ჩემი წერილის ბრალი იყოს, მე ამას ვერ დავუშვებ, იმდენად ვერ დავამცირებ მთავრობას, რომელსაც პატივს ვცემ. **მოქალაქე ერქომაიშვილმა განცხადა: ჯერ არ გამოგვილაშქრია სამღვდლოების წინააღმდეგ. ეს მომავალში იქნებაო. ნუთუ კიდევ არ კმარა, კიდევ უარესობას უნდა მოველოდეთ იმის შემდეგ, რაც დეკრეტი გამოვიდა და ინსტრუქციაც არის გამოცემული, რომლითაც ეკლესიას ეძლევა უფლება სინდისის თავისუფლებისა? არ მჯერა, ყოველ შემთხვევაში, მართლმსაჯულების წინაშე მაინც არ უნდა ყოფილიყო საჭირო ღვარძლის და სიძულვილის გამოტანა, ვინაიდან სამართლის წინაშე ყველა სწორია.**

გარეშე ამისა უნდა აღვნიშნო ერთი რამ. ისტორია გვიმტკიცებს, რომ დევნულება უძლურია მოსპოს სარწმუნოება. პირიქით, შენიშნულია, რომ დევნულობა აძლიერებს მას. მეცნიერთა აზრით, პირველ საუკუნოებში [რომ] არ ყოფილიყო სასტიკი დევნულობა, შეიძლება ქრისტიანობას არც კი გაემარჯვა, ჩამქრალიყო, მაგრამ ბრძოლამ მისცა მას ძალი არსებობის განმტკიცებისა. სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნულობა ამ მოთხოვნილებას უფრო აძლიერებს. ის ღრმავდება, იკუმშება და გუბდება და ამოხეთქავს გაძლიერებულის ძალით. ასე იყო ყველგან, ასე იქნება ჩვენშიაც, საქართველო არ იქნება გამონაკლისად საზოგადო კანონებიდან. მაშინ ხალხს დასჭირდება ეკლესიები, სამკაულები და შესამოსლები. ვინ აღუდგენს მას დანგრეულ ეკლესიებს, დაუბრუნებს შესამოსლებს და ეკლესიურ აუცილებლად საჭირო სამკაულებს? მიზანშეწონილი და მოფიქრებულად შეგვიძლია ჩავსთვალოთ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა ეკლესიის შესახებ? მე მესმის მხოლოდ იდეური ბრძოლა, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარესაც უნდა ჰქონდეს უფლება თავისი რწმენის დაცვისა. მაგრამ კმარა ამის შესახებ. ვინაიდან ახლა თვით მთავრობა მიმხვდარია, რომ მისი მოქმედება გადაჭარბებული იყო, შეცდომა მოუვიდა. ეს ბეჭდვითაც კი გამოაქვეყნა მან, რაც მომასწავებელია გეზის შეცვლისა.

XII

ჩვენ მოვისხენით, რომ ხელისუფლებამ აღიარა თავისი შეცდომებიო. აგრეთვე ყოფილ მენშევიკების ყრილობის დროს და სხვა შემთხვევებშიაც კომუნისტური პარტიამ განაცხადა, რომ მას ბევრი შეცდომები მოუვიდა, მაგრამ ამის აღიარების მას არ რცხვენია. დიდად სასახელო თვისებაა. ყოველი ადამიანი შეცდომის შვილია, შეცდომები მას თან სდევნენ, მისი თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ, როდესაც ადამიანი არ ჯიუტობს, როდესაც გულახდილად მისი აღიარებისა არ რცხვენია, ეს მომასწავებელია გასწორებისა და წინმსვლელობისა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი კომუნისტების დაყოფა ორ ბანაკად – ცენტრალისტების და უკლონისტებისა – შედეგია უკანასკნელთაგან ეროვნულ საკითხში თავის შეცდომების შეგნებისა და ეროვნული პრინციპების მიღებისა. პირველმა პარტიამ გარეშე ხელშემწყობილებისა გამო გაიმარჯვა, ხოლო უკლონისტები გარიყულ იქმნენ იმის გამო, რომ დიდმპყრობელი ერისათვის საჭირო და მარგებელი იყო ცენტრალიზმი. ზინოვიევი თავის იმ წერილში, რომელმაც გამოიწვია დისკუსიები, ამბობს: „ისეთი ქვეყნის მმართველს, როგორც ჩვენი ქვეყანაა, **რუსეთის** (ხაზი ჩემია) კომპარტიას არ შეუძლია არ იყოს ცენტრალისტურ ორგანიზაცია“ – („კომუნისტი“, 9 დეკემბერი, 1923 წელი, №284). როგორც ამ სიტყვებიდანაც სჩანს, კომუნისტურ ხანაში სუყველა ერებისათვის არ არის საჭირო და სავალდებულო ცენტრალისტური წესწყობილება, ხოლო არ არის გამორკვეული საკითხი, არის თუ არა მარგებელი საქართველოსთვისაც ცენტრალ-

იზმი და, ჩემის აზრით, ქართულ დისკუსანტებისათვის საჭირო იყო მიექციათ უმთავრესი ყურადღება ამ საკითხის გამორკვევისათვის.

საკავშირო ცაკის მესამე ყრილობაზე მოსკოვში ჩვენი მთავრობის წარმომადგენელმა წარადგინა დებულების პროექტი სადირექტივო კომისარიატის დაარსების შესახებ და ამის საჭიროების დასაბუთებლად სთქვა შემდეგი: „კლასობრივი მხრით ჩვენ ვართ აბსოლიუტურად ცენტრალისტები“, მაგრამ იმავე დროს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალურ თავისებურობებს და შევიტანოთ ეს ჩვენს კონსტიტუციაში. ცენტრალიზაციამნილი საერთო საკავშირო კომისარიატები შეეფერებიან საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივ საფუძველს. მეორე მხრით, ჩვენ გვაქვს კომისარიატები, რომლებიც გამოხატავენ ნაციათა მისწრაფებებს და შეეფერებიან ცალკე რესპუბლიკების კულტურულ-ისტორიულ და ყოფა-ცხოვრების თავისუფლებებს (ასეა ტექსტში – ჯ.გ.), ეს კომისარიატები აბსოლიუტურად ავტონომიური არიან („კომუნისტი,“ 10 ნოემბერი, 1923 წ. №259). აქიდან ცხადია, რომ ჩვენ გვაქვს მხოლოდ კულტურული ავტონომია, მაგრამ ისიც არ ვიცით დანამდვილებით, ამ სფეროშიც ვართ თუ არა სრულიად თავისუფალი და ის სადირექტივო კომისარიატი, რომელიც უნდა დაარსდეს, ალბათ საჭიროა ამ ავტონომიურ ფარგლების კითხვებისათვის. ბეჭდვითი სიტყვას არც კი დაუსვამს საკითხი, გამოერკვია, აქვს თუ არა, ქართველ ერს რაიმე საქმეებში დამოუკიდებლობა, არსებობს თუ არა რაიმე თავისუფლება. ეს კითხვა შეიძლება დაისვას ფორმალური მოსაზრებით, ხოლო ნამდვილად კი ზემოთ ნათქვამის შემდეგ ცხადია, რომ საქართველოში არ არსებობს ეროვნული თავისუფლება. კომუნისტური მოძღვრება წინააღმდეგია სახელმწიფოებრივობის არსებობისა და ხელს უწყობს მის სრულიად მოსპობას. სტალინი ამბობს ამის შესახებ შემდეგ: „1917 წელს, როცა ჩვენ წინ, ოქტომბრისკენ მივდიოდით, ჩვენ საქმე ისე წარმოგვედგინა, რომ გვეჩვენა კომუნა, რომ ეს იქნება მშრომელთა ასოციაცია, რომ ბიუროკრატიზმს დაწესებულებებში მოუღებთ ბოლოს და რომ სახელმწიფოს, თუ უახლოეს პერიოდში არა, ორი-სამი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მაინც, გადავაქცევთ მშრომელთა ასოციაციად. პრაქტიკამ კი დაგვანახვა, რომ ეს არის იდეალი, რომლიდანაც ჩვენ კიდევ შორს ვართ, რომ იმისათვის, რათა სახელმწიფო განთავისუფლდეს ბიუროკრატიზმის ელემენტებისაგან, იმისთვის, რომ საბჭოთა საზოგადოება მშრომელთა ასოციაციად გადაიქცეს, საჭიროა მოსახლეობის მაღალი კულტურული დონე, საჭიროა გარშემო სრულიად უზრუნველყოფილი მშვიდობიანი პირობები, იმისთვის რომ საჭირო არ იყოს ჯარების დიდი კადრები, რომლებიც მოითხოვენ აუარებელ ხარჯებს და მძიმე უწყებებს, რომლებიც თავის დაღს ასვამენ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებსაც“ („კომუნისტი,“ 14 დეკემბერი, 1923 წ. №288). დიახ, თვით კომუნისტები დარწმუნდნენ, რომ კომუნიზმის განხორციელებაზე ფიქრი ძალიან ნაადრევია. განხორციელება კომუნიზმისა მოხდება მაშინ, როდესაც დადგება ის დრო, როდესაც გახდება შესაძლებელი დავინახოთ „თხა და მგელი ერთად ძოვდეს“, როდესაც, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, საომარი იარაღები სახნისებად იქნებიან გადაკეთებული (ესაია, 2,4; იოველ, 4, 10: მიქა, 4, 3. – ჯ.გ.), როდესაც კაცი კაცისათვის არ იქნება მგელი, ერთის სიტყვით, როდესაც ადამიანის ბუნება გარდიქმნება. მართალია, ეს დრო სანატრელია, მაგრამ ეს არის ოცნება, მართალია, ძალიან ტკბილი, მაგრამ მაინც მხოლოდ ოცნება. დავუშვათ, რომ ეს ოცნება შეიძლება იქცეს სინამდვილედ და მისთვის საჭიროა მზადება, თანდათანობითი განხორციელება ამ იდეალისა, მაგრამ ვერ გაგვიგია, რისთვის უნდა დაწყებულ იქმნას უსათუოდ საქართველოდან, მისი დამოუკიდებლობის გაუქმებიდან. დაიწყოს თვით დიდპყრობელმა და საქართველო – ცნობილი თავისი წამბაძველობითი თვისებით – უსათუოდ მიყვება მის მაგალითს. უამისოდ ცენტრალიზაცია – ნვრილ ერებისაგან თავისუფლების დაკარგვის საშუალებით მომხდარი, – მარგებელი იქნება მხოლოდ დიდპყრობელი ერის ძლიერება-ბატონობის განმტკიცებისათვის. იტყვიან, ეს საჭიროა იმ კავშირისათვის, რომელიც არსებობს და მარგებელია პატარა ერების ფიზიკურად შენახვისათვის, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თავისუფალ, დამოუკიდებელ ერებს შორის [კავშირი] უფრო სამართლიანი იქნება, ვიდრე ბატონი და მონებთა შორის.

XIII

ერთმა ჩვენმა ხელისუფალთაგანმა ერთ თავის სიტყვაში სთქვა: „1921 წლის განმავლობაში მე კიდევ მესმოდა საშიშროება ქართველი ერის ეროვნულად განადგურებისაო“ („კომუნისტი“...). შესანიშნავი ეროვნული თვალსაზრისის გამომხატველი სიტყვებია. ბერი რამეს გამოყვანა შეიძლება ამ სიტყვებიდან, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო ამხელად ამის ტვირთვა არ შეიძლება. შევნიშნავ მხოლოდ, რომ თუ მას მოუვიდა ამნაირი საშიშროება, სხვებსაც და მათ შორის მეც მქონდა უფლება, დამბადებოდა იგივე საშიშროება და თუ დამებადა იგი, გეკითხებით თქვენ, ვიყავი მოვალე ამომელო ხმა თუ არა? როდესაც სახლს ცეცხლი ეკიდება, ნუთუ გულგრილად უნდა ვუცქიროთ იმ იმედით, რომ ის თავისთავად ჩაქრება. მე ვფიქრობ და, იმედი მაქვს, თქვენც დამეთანხმებით, რომ თუ ვხედავდი ხალხის ეროვნულად მოსაზრების საშიშროებას, მოვალე ვიყავი, ხმა ამომელო, ხოლო ახლა ამ მოვალეობის ასრულებისათვის ვსდგევარ საქართველოს უზენაეს ეროვნულ სასამართლოს წინაშე, რომელიც მასამართლებს, როგორც დამნაშავეს.

XIV

ერთმა არაქართველმა პასუხისმგებმა კომუნისტმა და გაზ, „Рабочая Правда“-მაც (№29, 1924 წ.), მითხრა, რომ მე ჩემის გამოსვლით გადავიკიდე ერის მშრომელი ნაწილი, მაგრამ რომელ ერს გულისხმობს?! რასაკვირველია, გარეგნულად ასახელებს ქართველ ერს, მაგრამ ნუთუ ჩემი გამოსვლის წინააღმდეგი იქნება ქართველი ერის მშრომელთა უმრავლესობა, რომლის ინტერესებისათვისაც მინდოდა შემეჩინრა ჩემი თავი და ჩემი პირადი ინტერესები კიდევაც შეესწირე. არა, არ დავიჯერებ. გლეხობა, რომელიც შეადგენს ქართველი ერის 90% მეტს, რომელიც მუდამ დაჰყურებს დედამიწას და რწყავს მას თავის ოფლით, რომელიც მისგან მოელის თავისი საზრდოს, რომლის წინაპრების სისხლით მორწყული და ძვლებით გაპოხიერებულია სამშობლოს ველ-მინდვრები, ეს გლეხობა, მრწამს, მუდამ იქნება თავის სამშობლოს მოსიყვარულე და მისი თავისუფლების იდეის დამცველს არასდროს არ შეიძულებს და არც გადაეკიდება.

დარწმუნებული ვარ, იმ ქართველ მშრომელთ, რომელნიც ქალაქებში მუშაობენ, დროგამოშვებით მაინც აუძგერდება გული სამშობლოს ბედ-იღბლის და მდგომარეობის მოგონებით. ქართველი მუშის დამახასიათებელია ის თვისება, რომ ის იშვიათ შემთხვევაში სწყვეტს კავშირს სოფელთან, შრომობს და ნაშრომის გადანარჩენი უმეტეს შემთხვევაში მიაქვს თავისი მამაპაპეული ოჯახის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენში ძალიან ცოტაა ეგრეთ ნოდებული ბოგანო მუშა. ის დარწმუნებულია, რომ მისი ინტერნაციონალური და კოსმოპოლიტიური მსოფლმხედველობა არ არის თავისი სამშობლოს სიყვარულის წინააღმდეგი. ამა თუ იმ ერისთვის ზრუნვა არ უშლის და არ ეწინააღმდეგება მისი კოსმოპოლიტიურ შეხედულებას. პირიქით, მან იცის, რომ ქართველი ერისთვის ზრუნვა იმავე დროს არის კაცობრიობის სამსახური, ვინაიდან ქართველობაც არის ამ კაცობრიობის ნაწილი. მართალია, ინტერნაციონალურ მიმართულების განვითარების პროცესში არის ერთი პერიოდი, რომელსაც უძახიან სანტიმენტალურ კოსმოპოლიტიკობას, რომლის შინაარსს შეადგენს ოცნებობა მთელი ქვეყნიერობის ბედნიერებაზე და იმავე დროს მისი მიმდევარნი არ აქცევენ ყურადღებას თავის ოჯახს, თავის ხალხს, თავის სახელმწიფოს, თავისას ყველაფერს უცხოელზე დაბლა აყენებენ და აღფრთოვანებულია ყველა იმით, რაც სხვისია. მხოლოდ იმისთვის, რომ ის სხვისია (...апология христианства, 489).¹⁵ არ ვიცი, გავლილია თუ არა ეს ხანა ჩვენი ერის ცხოვრებაში. მხოლოდ ვიცი, რომ ამნაირი მიმართულება იყო ჩვენში და ახლაც არიან ზოგიერთები, რომელნიც მზათ არიან დიდმპყრობელ ერთან დაკავშირებას შესწირონ ქართველი ერის თავისუფლება და ეროვნული ინდივიდუალობა. ამისთვის გასაგებია ზემოთ მოხსენებული შეკითხვა: „ქართველი, როდესაც ის მუშაობს ქარხანაში, არის თუ არა მოვალე უყვარდეს თავისი სამშობლო“. 1904 თუ 1905 წელს ჩვენი სამშობლოს რომელიღაც კუთხეში იყო შიმშილობა და გაზეთებმა გამართეს ფულის შეგროვება დამშეულ ქართველებისათვის დასახმარებლად.

ერთმა ქუთაისურმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა გამოსთქვა, რომ ის თანახმაა აგროვოს შეწირულობა მხოლოდ იმ პირობით, თუ შეგროვილი ფული გაეგზავნება გერმანიის მუშებს. ამ განცხადებამ გააოცა საზოგადოება. შეეკითხნენ ამის შესახებ ბებელს, რომელმაც განუმარტა შემკითხველს, რომ გერმანიის მუშებს იმ დროს არ ეჭირებოდა ქართველების შემწეობა და ურჩია, რომ იზრუნონ თავის ერისათვის, მისი კულტურულად ამაღლებისათვის, რომ ის გახდეს ღირსეული წევრი ინტერნაციონალურ ოჯახისა და ეს უკანასკნელი იქნება სამსახური კაცობრიობისა. იმედია, ახლა ამნაირ სანტიმენტალურ კოსმოპოლიტიზმს ჩვენს მუშებში არა აქვს ადგილი, რომ მათ შეგნებულად უყვართ თავისი სამშობლო და, მაშასადამე, არც იქნებიან წინააღმდეგი ჩემი გამოსვლისა, რომელსაც საგნად ჰქონდა თავისუფლების და ეროვნული ინტერესების დაცვა, მით უმეტეს, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ კონტრევოლუციური მიმართულების და არსად არ მითქვამს მუშათა დიქტატურის წინააღმდეგ. ამის გამო „შრომის“ მოთხოვნები ვასრულებ და მე გავცემ პასუხს მუშებს და გლახობას და იმედი მაქვს ქართველი ერის მშრომელი ნაწილი არ შეასრულებს ამ გაზეთის რჩევას და არ „დამასამარებს“.¹⁶ არ მნამს, რომ მას ჰქონდეს ამნაირი გადაწყვეტილება, რადგან მე არას დროს არ ვყოფილვარ კონტრევოლუციონერიული მიმართულებისა.

XV

ჩემი 37 წლის სამსახური მე მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას. ვიბრძოდი როგორც მოქმედებით, ისე პრესის საშუალებით, რამაც შემძინა აუნერელი დევნულობა და ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ტკბილი და მყუდრო დღეები. ორჯერ განვიცადე სამშობლოდან ექსორიობა, ორჯერ ვიყავი გადასახლებული რუსეთში და ორჯერვე სამშობლოში დამაბრუნა რევოლუციამ (1905 და 1917წწ.). განსაკუთრებით სასტიკი იყო ჩემთვის მეორე გადასახლება, რომელიც მოხდა 1909 წლის იანვარში; წართმეული მქონდა ზოგიერთი უფლებები – არ მქონდა ნება წირვა-ლოცვისა და მღვდელ მსახურებისა ისევე როგორც ახლა – ამ ერთი წლის განმავლობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ეს უფლება წამართვა სათანადო მთავრობამ, ხოლო ახლა საერო მთავრობამ, რომელსაც ამის უფლება არ უნდა ჰქონოდა. ჩემი ცხოვრების უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში მე აღვნიშნავ სამ მომენტს, რომელიც დამახასიათებელია ახლანდელი ჩემი მდგომარეობისა.

[1.] მეორე ექსორიობის დროს, მთელი 1909 წლის განმავლობაში, ჩემი საქმე ჰქონდა ხელში გენერალ-პროკურორს, ყოფილ იუსტიციის მინისტრს, ცნობილ შეგლოვიტოვს,¹⁷ მაგრამ მანაც ვერ სცნო შესაძლებლად ის გადაეცა სასამართლოსთვის. შესაძლებელია, ამ არარუსების მოძულესაც ეკლესიური თავისუფლების საკითხი მიაჩნდა იმდენად ნაზ და პატივსაცემ საკითხად, რომ მისი სასამართლოსთვის გადაცემა შეუფერებლად მიაჩნდა. ამის გამო საქმე მოსპო და მე დამიბრუნეს უფლებები, გარდა სამშობლოში დაბრუნებისა. 2. 1917 წლის რევოლუციამ მომიხსნო ქ. სტარაია რუსაში (ნოვლოროდის გუბერნია), სადაც ვიყავი დანიშნული მონასტრის წინამძღვრად. რევოლუციის პირველ ხანებში სტარაია რუსაში იყო არეულობა, სახლების რბევა, ცარცვა და ჩემი მონასტერიც განსაცდელში იყო ჩავარდნილი, მას მოელოდა დიდი საშიშროება და არ ვიცოდი, რა საშუალებისათვის მიმემართა. ახალმა რევოლუციონურმა მთავრობამ სრულიად მოულოდნელად დამიბარა თავის ერთ კრებაზე და შემეკითხა, თანახმა ვარ თუ არა, რომ მთავრობამ იკისროს მონასტრის დაცვა. მე, რასაკვირველია, თანხმობა განვუცხადე და მაღლობაც გადავუხადე მზრუნველობისათვის და, მართლაც, ამის შემდეგ მონასტერს არ ჰქონია არავითარი საშიშროება. ამის გამო, როდესაც პეტროგრადში გამიწვიეს მონაწილეობის მისაღებად იმ დელეგაციაში, რომელიც საქართველოდან იყო გაგზავნილი ეკლესიის თავისუფლების რუსეთის მთავრობისაგან დადასტურებისათვის, სამი თვის განმავლობაში იქ ყოფნის დროს სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რადგან მონასტრის დაცვის საქმე უზრუნველყოფილად მიმაჩნდა, რასაც დაადასტურებს იქ მყოფი დელეგაციის ერთი წევრთაგანი. რა

იყო მიზანი მონასტრისათვის რევოლუციონერული მთავრობის ამნაირი ყურადღებისა? რასაკვირველია, არა ჩემი თვალების სიმშვენიერე, ჩემდამი სიყვარული, არა მათი ღრმა სარწმუნოება და სიყვარული მონასტერ-ეკლესიებისადმი, რადგან სტარაია რუსას რევოლუციონერები თითქმის ყველა არაქრისტიანები იყვნენ, არამედ ის გარემოება, რომ მე ვიყავი დასჯილი და ექსორიაყოფილი საქართველოდან თავისუფლების ძებნისათვის. მესამე შემთხვევა, რომლის აღნიშვნა მინდა, ეხება საბჭოთა ხელისუფლების ხანას. პირველი დაკითხვის დროს, 1922 წლის ივნისში, დამკითხველი მაძლევს კითხვას: ნიკოლოზ მეორის დროს ვიყავი მე დასჯილი თუ არა. ვუპასუხე, რომ მთელი ჩემი სამსახური გავატარე დევნულებაში და ორჯერ რუსეთშიც ვიყავი გადასახლებული, მაგრამ ნუთუ ესეც მინუსია ჩემი ცხოვრებისა-მეთქი, მიპასუხა: „არა, ეს უცილობელი პლიუსი არისო“.

როდესაც ამ სამ მომენტს ვითვალისწინებ ახლა, ვერ მომიხერხებია ისინი შევეუთანებო ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ მიზეზი დევნულობის ერთი და იგივე იყო როგორც ნიკოლოზ მეორის დროს, ისე შემდეგაც და ვერ გამიგია, როდის ვიყავი დამნაშავე, მაშინ, როდესაც შეგლოვიტოვმაც კი ვერ მიმცა თავისუფლების ძებნისათვის სამართალში, თუ ახლა, იმავე დანაშაულისათვის, თუ ეს დანაშაულებად შეიძლება ჩაითვალოს. თუ 1917 წელს, როგორც თავისუფლების მიძებნელს, პატივით მეპყრობოდნენ რევოლუციონერები, რისთვის ახლა უაღრესი სოციალისტური მიმართულების დროს, როდესაც გამოცხადებულია მცირე ერების თვითგამორკვევის უფლება, და, მაშასადამე, თავისუფლებისაც, ვერ გამიგია, რისთვის უნდა ვიდევნებოდე და ვიდგე ეროვნულ სასამართლოს წინაშე, როგორც დიდი დამნაშავე.

თუ მე ვიცავდი ჩვენი ერის თავისუფლებას, თუ ამის უფლებას მაძლევს ჩვენი სარწმუნოებრივი მოძღვრება, თუ საბჭოთა ადგილობრივი მთავრობის სანინაალმდეგო არა მითქვამს რა და მხოლოდ ვიცავდი მის დამოუკიდებლობას, თუ მე ხმა ამოვიღე რუსეთის დიდპყრობილების სანინაალმდეგოდ – იმ დიდპყრობილებისა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას გვირჩევენ ერთი ჩვენი უმაღლეს ხელისუფალთაგანი (ი. სტალინი – ჯ.გ.), თუ საბჭოთა ხელისუფლება აღიარებს ერთა თვითგამორკვევას, გაფართოებულს პოლიტიკურად გამოყოფამდის, მაშინ მე ვერ გამიგია, რისთვის უნდა ჩამომერთვას დანაშაულად ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვა და დიდპყრობილების დასაგმობად ხმის ამოღება.

ვათავებ და ვიტყვი, რომ მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორის თვალთ შებედავს ეროვნული უზენაესი სასამართლო ჩემგან ეროვნული ინტერესების დაცვის ცდას, ამას დაგვანახებებს ის განაჩენი, რომელიც გამოტანილი იქნება. ესევე განაჩენი დაგვანახებებს იმასაც, საბჭოთა ხელისუფლება მართლა იზიარებს მისგან აღიარებულ ლოზუნგს ერთა თვითგამორკვევისას, თუ ეს მხოლოდ იდეალია, რომლის განხორციელებას უნდა ველოდოთ შორეულ მომავალში. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენს წინაპრებს ტკბილად მიაჩნდათ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ტანჯვის მიღება, ეგრეთვე ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომიხჯის უზენაესი სასამართლო მშობლიურ ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვარისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ თითქმის 37 წლის განმავლობაში.

ჩემგან ეროვნული ინტერესების და თავისუფლების დასაცავად ამოღებული ხმა და ის მსჯავრი, რომელსაც მომიხჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველი ქართველის გულში, – იმ ქართველის, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერათ ჩავთვლი ჩემს თავს. როგორც მორწმუნე ვიტყვი – იყოს ნება ღვთისა! – და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: „ასულწო იერუსალემისანო, ნუ სტირთ ჩემთვის, არამედ სტიროდეთ თავთა თქვენთა და შვილთა თქვენთა“ (ლუკა 23, 28).

ანა კლდიაშვილის კოლექციიდან (შემოკლებებით გამოქვეყნებულია: მნათობი, 1988, №10, გვ. 147-161).

შენიშვნა:

1. აქ და შემდეგ გამოუქებულია ძირითადი ტექსტის შედგენის შემდეგ კათოლიკოს-

პატრიარქ ამბროსის მიერ გაკეთებული ჩანართები; ხაზგასმული ადგილები კი 1988 წლის პუბლიკაციიდან ამოღებული იყო საბჭოთა ცენზურის მიერ (ჯ.გ.).

2. უნდა იგულისხმებოდეს კავკასიაში უკანასკნელი მეფისნაცვალი ნ.ნ. რომანოვი, რომელიც დროებითა მთავრობამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნა (ჯ.გ.).

3. II სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერის კარლ კაუცკის (1854-1938წწ.) კრიტიკა ეროვნული პოლიტიკის საკითხებში მოცემულია ი. სტალინის სტატიაში „ეროვნული საკითხის დაყენებისათვის“, რომელიც გაზ. „პრავდამ“ 1921წ. 8 მაისს გამოაქვეყნა (И. Сталин. Соч., т. 5. М., 1953, გვ. 52-59. – ჯ.გ.).

4. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი უნდა გულისხმობდეს თ.თ. პუციკოვიჩის სახელმძღვანელოს: «Наша Родина. Краткая русская история, география для элементарных училищ» (ჯ.გ.).

5. I-IV ნაწილებად დაყოფა ტექსტში მითითებული არ არის (ჯ.გ.).

6. კათოლიკოს-პატრიარქი, ალბათ, გულისხმობს 1922წ. აპრილში ბერლინში შემდგარ II, III/2 და III ინტერნაციონალების წარმომადგენელთა გაერთიანებულ კონგრესს, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა კ. რადეკი III ინტერნაციონალის სახელით (კ. ცეტიხთან და ნ. ბუხარინთან ერთად). – ჯ.გ.

7. იგულისხმება ნაციონალ-უკლონისტად გამოცხადებული და რევკომის თავმჯდომარეობიდან განთავისუფლებული ფილიპე მახარაძის 1921წ. 6 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი რუსეთის კომპარტიის ცეკას სახელზე, რომელშიც იგი წერდა, რომ „საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო“ (ლ. თოიძე. ინტერვენცია, გვ. 119). აღნიშნული საიდუმლო დოკუმენტი ხელში ჩაუვარდა პარიზში მყოფ საქართველოს დევნილ მთავრობას, რომელმაც იგი გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ 1922წ. 24-ე ნომერში გამოაქვეყნა. აქედან გახდა ეს მოხსენება ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. – ჯ.გ.

8. ლ. ტროცკის არაერთხელ უთქვამს, რომ წითელი არმიის საქართველოში შემოსვლა იყო წარმატებული „სამხედრო ინტერვენცია“ (ლ. თოიძე. ინტერვენცია..., გვ. 117). – ჯ.გ.

9. იხ. ი. სტალინის სტატია „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა,“ რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „პრავდაში“ 1921წ. 6-7 ნოემბერს. – И. Сталин. Соч., т. 5, с. 115 (მანჯურის ნაცვლად სტატიაში დასახელებულია მონღოლეთი). – ჯ.გ.

10. ამბროსი ხელაიას მონათხრობი ანტონ ჭყონდიდელის ღვანლის შესახებ ტყვეთა სყიდვის აღკვეთის საქმეში იხ.: საპატრიარქოს უწყებანი, 2006, №39, გვ. 17-18. – ჯ.გ.

11. კათოლიკოს-პატრიარქს მხედველობაში აქვს იმერეთის სამღვდელოების 1819-1820 წლების აჯანყება, რომელსაც სათავეში ედგნენ ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი) და გენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შერვაშიძე); 2005 წელს ორივე სასულიერო მოღვაწე წმინდანთა დასში შეირაცხა. – ჯ.გ.


12. უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ეს ჩანართი გააკეთა მას შემდეგ, რაც გაეცნო მონმის სახით დაკითხული მიტროპოლიტ ქრისტეფორეს, ეპ. დავითის, დეკანოზების ნიკიტა თალაკვაძისა და ილია შუბლაძის (ასევე სხვათა) ჩვენებებს (წმ. ამბროსის ამონაწერები ამ ჩვენებებიდან დაცულია ანა კლდიაშვილის კოლექციაში), რომლებიც მოტანილია წინამდებარე მონოგრაფიის მე-10 თავში. – ჯ.გ.

13. ამ შემთხვევაში მისი უწმინდესობა ეყრდნობოდა მონაცემებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესული ქართული სოფლების შესახებ მათი მოსახლეობის რაოდენობის მითითებით. ეს მონაცემები დაცულია ანა კლდიაშვილის კოლექციაში. – ჯ.გ.

14. სოფ. ბუგეულში (ამბროლაურის რ-ნი) 1923წ. მარტში ძალის გამოყენებით ეკლესიის დახურვის დროს ერთი ქალი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობაში იმხილებოდნენ ადგილობრივი აღმსაკომის თავმჯდომარე ბობოხიძე და კომუნისტი ჭელიძე, ხელისუფლებამ მათ მაგივრად სასულიერო პირები დააპატიმრა (შსს არქივი, ფ. 14,

აღნ. 1, ს.830, ფ.15-16). – ჯ.გ.

15. ნიგნის სრული სახელწოდების წაკითხვა ვერ მოხერხდა იხ. აქვე ასლი – (ჯ.გ.).



16. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი უნდა გულისხმობდეს გაზეთში „მუშა“ 1924 წლის 15 მარტს გამოქვეყნებულ „მუშათა მოთხოვნას“ იმის თაობაზე, რომ „შავი ყორნები კონტრრევოლუციისა დასჯილ იქმნან უმაღლეს სასჯელით.“ – ჯ.გ.

17. რუსეთის იუსტიციის მინისტრი 1906-1915 წლებში. – ჯ.გ.

№70. რეზოლუცია საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით 1924 წელსა მარტის 10-11-12-13-14-15-16-17-18 და 19 დღეებში რესპუბლიკის უზენაეს სასამართლომ თავის საჯარო სხდომებზე

შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე გ. ჩხეიძე, წევრნი: 1. გ. რთველაძე, 2. ვ. წივნივაძე

ბრალმდებელნი: 1. ნ. მაჭავარიანი, 2. ნ. ოკუჯავა

საზოგადო ბრალმდებელი: ალ. ერქომაიშვილი, მდივანი: აბაკელია

განიხილა რა საქმე ბრალდებისა გამო ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიას (სამღვდელოებაში სრულიათ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი), ნესტორ ანდრიას ძე ლეჟავასი (სამღვდელოებაში ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი), ქვაშვეთის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძის, დიდუბის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ იოსებ დიმიტრის ძე მირიანაშვილის, ქვაშვეთის ეკლესიის დეკანოზ დიმიტრი ივანეს ძე ლაზარიშვილის, მცხეთის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძის, ვერის ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრის ანტონ მაქსიმეს ძე თოთიბაძის, სიონის ტაძრის წინამძღვრის მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძის, საკათალიკოსო საბჭოს ყოფილი მმართველის იასონ კაპანაძის, საკათალიკოსო საბჭოს წევრთა ნიკოლოზ ივანეს ძე არჯევანიძის და ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძის – იმ ბოროტმოქმედებათა ჩადენაში, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 10,15,16,60,69 მუხლის მესამე ნაწილში, 73, 116-ის მუხლის მეორე ნაწილში და 131 მუხლში, ჰპოვა: ბოროტმოქმედება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 60 მუხლით, რაიც მოითხოვს უმაღლეს სასჯელს – სიკვდილით დასჯას – უნდა ჩაითვალოს სავსებით დამტკიცებულათ, მაგრამ სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიას და აგრეთვე საკათალიკოსო საბჭოს სამართალში მიცემულ წევრთა, პირველი – ღრმა მოხუცებულობა, მეორე – მათ მიერ საბჭოთა ხელისუფლების გადაჭრითი ცნობა, მესამე – ბრალდებულ ბესარიონ ხელაიას, იგივე კათალიკოს ამბროსის მიერ თავის გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვის შეცდომათ აღიარება და მეოთხე – ის გარემოება, რომ ვინაიდან ისინი საქართველოს მშრომელთა მასაში არ სარგებლობენ არავითარი ნდობითა და გავლენით და ამიტომ განმტკიცებულ არსებულ ხელისუფლებისათვის არ წარმოადგენენ არავითარ საშიშროებას, დაადგინა: 1) ბრალდებულ ბესარიონ ხელაიას (სამღვდელოებაში კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი), საკათალიკოსო საბჭოს წევრთ – კალისტრატე ცინცაძეს, იასონ კაპანაძეს დაუსწრებლად, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 10,13,15,16,60 და 73 მუხლებისა; 2) იმავე ბრალდებულთ ბესარიონ ხელაიას, კალისტრატე ცინცაძეს, იასონ კაპანაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს, მარკოზ ტყემალაძეს და აგრეთვე ანტონ თოთიბაძეს თანახმად სისხლის

სამართლის კოდექსის 10 და 69 მუხლის მესამე ნაწილისა; 3) ბრალდებულთ ბესარიონ ხელაიას, ნესტორ ლეჟავას და არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 15,16,10 და 105 მუხლებისა, მიესაჯოთ: 1) ბრალდებულ ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიას (სამღვდელოებაში კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი) მისთვის, რომ მან საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან კალისტრატე ცინცაძესთან, იოსებ მირიანაშვილთან, იასონ კაპანაძესთან, მარკოზ ტყემალაძესთან და ნიკოლოზ თავდგირიძესთან წინასწარ შეთანხმებით და ერთად, შეადგინა და გაუგზავნა გენუის კონფერენციას მოწოდება იმ მიზნით, რომ გამოენვია უცხო სახელმწიფოების ჩარევა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საქმეებში (ინტერვენცია), რა ბოროტმოქმედებაც აღნიშნულია სისხლის სამართლის კოდექსის 10 და 60 მუხლებში – თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლით სასტიკი იზოლაციით და ყოველი მისი ქონების კონფისკაციით; 2) იმავე ბრალდებულს ბესარიონ ხელაიას მისთვის, რომ სხვა ზემოაღნიშნული საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად შეადგინა და გაუგზავნა რა გენუის კონფერენციას მემორანდუმი – მოათავსა შიგ კონტრევოლუციონურ მიზნით ცრუ ხმები ვითომ საქართველოს ერს ართმევენ ქონებას და გააქვთ საზღვარგარეთ, მიწაწაღას ურიგებენ სხვა ტომის შემოხიზნულ ხალხს და სხვა, რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლში – თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით გამასწორებელ სახლში მოთავსებით; 3) იმავე ბრალდებულს ბესარიონ ხელაიას, აგრეთვე ნესტორ ანდრიას ძე ლეჟავას (სამღვდელოებაში მიტროპოლიტი ნაზარი) და არქიმანდრიტ პავლე პლატონის ძე ჯაფარიძეს მისთვის, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც განაგრძობდნენ ყოფილ მენშევიკურ მთავრობის დროს თბილისიდან გატანილ და ქუთაისში მიწაში ჩაფლულ მცხეთისა და რიონის ტაძრების განძეულობის დამალვას, რა ბოროტმოქმედებაც აღნიშნულია სისხლის სამართლის კოდექსის 15,16,10 და 105 მუხლებში – იძულებითი მუშაობა თვითოეულ მათგანს ერთი წლის ვადით; 4) იმავე ბრალდებულ ბესარიონ ხელაიას თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 69 მუხლის მესამე ნაწილისა – ერთი წელიწადით თავისუფლების აღკვეთა; სისხლის სამართლის კოდექსის 30 მუხლის ძალით ბესარიონ ხელაიასადმი იმავე კოდექსის 73,69 მუხლის მესამე ნაწილში და 105 მუხლში აღნიშნულ ქმედების ჩადენისათვის მისჯილი სასჯელი დაფარულ იქნეს იმავე ბრალდებულისათვის თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 10 და 60 მუხლებში აღნიშნულ ქმედების ჩადენისათვის მისჯილ სასჯელით და ცალკე სისრულეში მოყვანილი არ იქნეს; თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 8 მარტის ამნისტიის მეორე მუხლისა მისჯილ ნესტორ ანდრიას ძე ლეჟავას და არქიმანდრიტ პავლე პლატონის ძე ჯაფარიძისათვის დადებული სასჯელი სრულიად მოხსნილ იქნას; სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის ძალით მისჯილ ბესარიონ ხელაიას დადებულ სასჯელში ჩაეთვალოს დრო მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული; 4) საკათალიკოსო საბჭოს წევრთ – იასონ კაპანაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს მისთვის, რომ მისჯილ ხელაიასთან წინასწარ შეთანხმებით და ერთად შეადგინეს და გაუგზავნეს გენუის კონფერენციას მოწოდება იმ მიზნით, რათა გამოენვიათ უცხო სახელმწიფოების საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საქმეებში ჩარევა (ინტერვენცია), რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 10 და 60 მუხლებში – თავისუფლების აღკვეთა – პირველს: იასონ კაპანაძეს ცხრა წლით, დანარჩენთ – კალისტრატე ცინცაძეს, მარკოზ ტყემალაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს და იოსებ მირიანაშვილს – ხუთი წლის ვადით თვითოეულ მათგანს სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით; 5) ამავე ბრალდებულთ იასონ კაპანაძეს, კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს მისთვის, რომ შეადგინეს და გაგზავნეს რა გენუის კონფერენციაზედ მოწოდება – მოათავსეს შიგ ცრუ ხმები, ვითომ საქართველოს ხალხს ართმევენ ქონებას და ეზიდებიან საზღვარგარეთ და სხვა, რა ქმედობებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლში – თავისუფლების აღკვეთა თვითოეულს თითო წლის ვადით; 6) ბრალდებულთ მარკოზ ტყემალაძეს, კალისტრატე ცინცაძეს,

ნიკოლოზ თავდგირიძეს, ნიკოლოზ არჯევანიძეს და ანტონ თოთიბაძეს სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლის მესამე ნაწილში აღნიშნულ ქმედობისთვის თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით თითოეულ მათგანს სასტიკი იზოლაციით; თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლისა მისჯილთ კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძისათვის იმავე კოდექსის 10 და 60 მუხლების ძალით დადებული სასჯელით დაფარული იქნას იმავე ბრალდებულთათვის თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 73 და 69 მუხლის მესამე ნაწილის დადებული სასჯელი და ეს უკანასკნელი სისრულეში მოყვანილი არ იქნეს; სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 25 თებერვლის ამინსტიის მეორე მუხლის ძალით მისჯილთ თოთიბაძესა და არჯევანიძეზე დადებული სასჯელი სრულიათ მოხსნილ იქნას; გარდა ამისა, სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში 1) შესახებ იოსებ მირიანაშვილისა – მისი მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ავადმყოფობა და აგრეთვე მისი მცირე ინტელექტუალური მონაწილეობა ქმედებაში, 2) შესახებ ბრალდებულ ტყემალაძისა – მისი გულწრფელი აღიარება თავის დანაშაულისა და მემორანდუმის შედგენისა და გაგზავნის შეცდომის თავიდანვე ცნობა – თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლისა შეუმცირდეთ – მირიანაშვილს და ტყემალაძეს მისჯილი ხუთ-ხუთი წელიწადი ორ-ორ წლამდე თვითოეულ მათგანს; იმავე კოდექსის 31 მუხლის ძალით და აგრეთვე თანახმად იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულიარისა მისჯილთ კალისტრატე ცინცაძეს, ნიკოლოზ თავდგირიძეს, იოსებ მირიანაშვილს და მარკოზ ტყემალაძეს თავისუფლების აღკვეთის ვადაში ჩაეთვალოთ ის დრო, რომელიც მათ წინასწარ პატიმრობაში და სამართლის ქვეშ დაყვეს. ამის გამო მსჯავრდებულნი მოთავსებული იქმნან გამასწორებელ სახლში თითოეული შემდეგი ვადით: 1) ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია – შვიდი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით, 2) იასონ კაპანაძე – ცხრა წლით სასტიკი იზოლაციით და მთელი მისი ქონების კონფისკაციით; 3) კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე – სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით, 4) ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძე – სამი წელიწადი, ცხრა თვე და ოცდასამი დღით (3წ. 9თ. 23დ.) სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით, 5) იოსებ დიმიტრის ძე მირიანაშვილი – ცხრა თვე და ოცდასამი დღით სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით, 6) მარკოზ პავლეს ძე ტყემალაძე – ცხრა თვე და ოცდასამი დღით (9თ. 23დ.) სასტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით. ბრალდებული დიმიტრი ივანეს ძე ლაზარიშვილი როგორც უდანაშაულო სავსებით იქნას გამართლებული. მსჯავრდებულნი კალისტრატე ცინცაძე, იოსებ მირიანაშვილი და ანტონ თოთიბაძე იმ ბრალდებაში, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლში დაუმტკიცებლობის გამო ცნობილ იქმნას უდანაშაულოთ. სასამართლოს ხარჯები მიღებულ იქნას სახელმწიფოთ. ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთები დარჩეს საქმეში, გარდა საეკლესიო წიგნებისა, რომლებიც დაიგზავნოს კუთვნილებისამებრ. განაჩენი საბოლოოა და არ განსაჩივრდება. დასაბუთებული განაჩენი გამოცხადებული იქნება კანონიერ ვადაში (განაჩენი სიტყვასიტყვით იმეორებს რეზოლუციას. – მუშა, 1924, 21 მარტი. – ჯ.გ.).

თავმჯდომარე გ. ჩხეიძე; წევრნი: 1. გ. რთველაძე, 2. ვ. წივნივაძე
საქ. უახლესი ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღნ.2, ს.3, ფ.245-248.

№71. „კათალიკოს ამბროსის გასამართლება“ – წერილი ემიგრანტული გაზეთიდან „ბრძოლა“

1924 წლის 21 მარტის შემდეგ

10 მარტს 1924 წელს გაიხსნა „უზენაესი სასამართლოს“ სესია. როგორც იცით, ამბროსის ბრალი ედება იმაში, რომ მან შეადგინა და გაუგზავნა გენუის კონფერენციას მემო-

რანდუმი რუსის ჯარის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ; აგრეთვე, – მას და სხვა ბრალდებულთ – სიონის ტაძრის და სხვა განძეულობის გადამალვასა და დაფარვაში.

ამ პროცესით საქართველოს დღევანდელ მმართველთ უნდოდათ უკანასკნელი დაფნის გვირგვინი ჩაენათ იმ თავიანთ „დიდ მოღვაწეობაში“, რომელიც რუსოფილ-ცენტრალისტებმა დაიწყეს ამ ერთი წლის წინათ და რომელიც გამოიხატა ქართველი ხალხის სინიდისის შელახვაში, ქართული ეკლესია-მონასტრების დანგრევაში და აოხრებაში, სამღვდლოების დევნაში, ბევრი მათგანის ქურდულათ მოკვლაში და სხვა. ამბობენ, ორჯონიკიძე წინააღმდეგი იყო ამ პროცესის წამოწყებისა, მაგრამ ცეკაში მოპირდაპირე აზრმა გაიმარჯვაო.² ორჯონიკიძე მართალი გამოდგა, რადგან ამ პროცესით კომუნისტებმა მიაღწიეს სრულიად წინააღმდეგს იმისა, რაც მიზნად ქონდათ დასახული. პროცესმა აშკარა ჰყო ყველასთვის და უპირველესად კომუნისტებისთვის, რომ მთელი ქართველი ხალხი შეურყეველათ ადგია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზას. ამ „გასამართლებამ“ მთელი საზოგადოება ააფორიაქა. რამდენი დღე გადიოდა, იმდენი ატმოსფერა იკუმშებოდა. ბრალდებულები, დამცველები, მოწმეები ხალხის საერთო თანაგრძნობით იყვნენ გარემოცული. ხოლო მთავარ ბრალდებულს, კათალიკოს ამბროსის წამებულის გვირგვინი დაადგეს ოკუპანტებმა...

სასამართლოს თავმჯდომარეთ, თითქოს განგებ, გიორგი ჩხეიძე წამოასკუპეს, რათა უფრო აშკარა გამხდარიყო ბრალდებულთა ინტელექტუალური და ზნეობრივი სიმადლე ბრალმდებელთა სიბნელის და ზნეობრივი სიმახინჯის გვერდით. გიორგი ჩხეიძე ცნობილია, როგორც ქურდი და გათახსირებული ადამიანი. ის ერთ დროს მოიჯარადრეთაც იყო და მუშებს ტყავს აძრობდა. ეხლაც კარგათ ითბობს ხელს, როგორც სხვა დიდი კომუნისტები, უვიცი, ხეპრე; მეორე მხრივ, ჩვენი სამღვდლოების ყველაზე მეტათ განათლებული და ზნეობრივი საუკეთესო ნაწილი თითქმის ყველა – ცარიზმის დროს საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისთვის მებრძოლნი.

საქმის გარჩევა ღია კარებში იქნებო – გამოაცხადეს. სინამდვილეში კი – ჩვეულებრივი ჩეკისტური ძალმომრეობა; პროცესს აუარებელი ხალხი მოაწყდა; დარბაზში კი სცდილობდნენ არავინ შეეშვათ, გარდა თავისიანებისა. მიუხედავად ამისა, ხალხის ნაწილი მაინც ახერხებდა შესვლას. ნაძალადევის თეატრის ეზოში და ახლო-მახლო ქუჩებში მოზღვავებული ხალხი ღამის 12 საათამდე არ იშლებოდა. წესრიგის და აუდიტორიის განმენდის საქმე ებარა პირველი რაიკომის თავმჯდომარე, ვინმე გოლდბაუმს. ეს ვაჟი ოფლში ინურებოდა, რომ დავალება კარგათ შეესრულებია დარბაზს კომსომოლებით და ხულიგნებით ავსებდა. ქართველ საზოგადოებას კი ახლოს არ აკარებდა. ამ ნიადაგზე ერთ საღამოს შეტაკებამდისაც კი მივიდა საქმე. კურსანტებმა რამდენიმეჯერ თოფები გაისროლეს და აღელვებული ხალხი გაფანტეს. არ ყოფილა ისეთი დღე, რომ აუდიტორიაში რამდენიმე კაცი არ დაეჭიროთ. იჭერდნენ ყველას, ვისაც კარანდაშს და ქალაღდს დაუნახავდნენ. დაიჭირეს ერთი გიმნაზიის მოწაფე რომელსაც აბრალდნენ სტენოგრაფის წერას თითქოს სოციალ-დემოკრატების ცეკას დავალებით. ერთ დღეს მოწყალება მიიღეს და დეპო-სახელოსნოების მუშები თავისუფლათ შემოუშვეს (ეს მას შემდეგ, როცა იმათ კოლექტიური პროტესტი განაცხადეს, რომ არ უშვებდენ).

მოაწყვეს რუსული შაბლონით „დელეგაციები“, რომლებიც ითხოვდნენ ბრალდებულების და დამცველების დახვრეტას. ასეთი „დელეგაციები“ და „პროცესები“, შემდგარი რუსების, სომხების, ქურთ-დვორნიკების და ქუჩის ბიჭებისგან, რამოდენიმეჯერ მოათრიეს „სასამართლოში“ პლაკატებით და სხვა.

შიგ სასამართლოს დარბაზში ხომ ნამდვილი ვაკხანალია იყო, გოლდბაუმმა მოახდინა კომსომოლისტების მობილიზაცია, კომსომოლის უმრავლესობა ხომ უცხოელებია, ხულიგნები, ბიჭ-ბუჭები: მთელი ქანდარა ამათ ეკავათ, ყოველ გამოსვლას ბრალდებულთა თუ დამცველთა სტვენით, ყიჟინით, ლანძღვა-გინებით ხვდებოდნენ. განუწყვეტილად გაისმოდა ყვირილი: „ძირს წინიძე, ძირს ამვროსი, ძირს ბარათოვი“. სახელდახელოთ ასწავლეს ამ უცხოელებს ორი-სამი ქართული სალანძღავი სიტყვა და აყვირებდნენ უდიერათ, ქუჩურათ. დამცველებს ყოველგვარ დაცინვით და შეურაცყოფით უმასპინძლებოდენ, აბამ-

დენ პალტოზე კარიკატურებს, ან ადიოდენ სასამართლოს მაგიდასთან და კარიკატურებს ცხვირში სწრიდენ ვექილებს და ბრალდებულებს. საჭირო იყო იობისებური მოთმინება, რომ კაცს ეს დამცირება და ძალმომრეობა აეტანა. ვექილებს და ბრალდებულებს შესანიშნავათ ეჭირათ თავი. მათ სიმშვიდეს მოთმინებიდან გამოჰყავდა ხულიგანთა ბრბო. ამ უკანასკნელთა 90 პროცენტი ხომ უცხოელები იყვნენ, ქართული არ იცოდნენ. ამისთვის ლოჟაში გოლდბაუმმა დასვა ქართულის მცოდნე კომუნისტი, რომელიც იქიდან ქანდარას ცხვირსახოცით ნიშანს აძლევდა, როდის ეყვირათ და როდის არა. ყველაფერი ეს, ყოველი სიტყვა, მოქმედება ელვის სისწრაფით ედებოდა მთელ ქალაქს და ხალხს ალელვებდა. მიუხედავად ათასგვარი ზომებისა, უკანასკნელი სამი სხდომის გარდა (როცა გოლდბაუმს მხოლოდ სიებით შეეყავდა კომუნისტები), დარბაზში საკმაო ხალხი ახერხებდა შეძრომას. ამისთვის გალიზიანებული საზოგადოება ყოველივე ხრიკებს და ეშმაკობას მიმართავდა.

პირველ დღეს, როცა ამბროსი შემოიყვანეს, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. მოსამართლეების შემოსვლაზე კი არ ამდგარან. მეორეჯერაც ასეთი სურათი განმეორდა. ამის შემდეგ ჩხეიძემ „უხრიკა“ და ყოველთვის სასამართლოს წევრები შემოდოდნენ ამბროსისთან ერთად, რათა გაენელებიათ ეს აშკარა დემონსტრაცია.

ბრალდებულებმა არაჩვეულებრივი სიმხნევე და გაბედულება გამოიჩინეს. მთელი პროცესის განმავლობაში შეურყეველი ფრონტით იდგენ ეროვნული ინტერესების ნიადაგზე. ამბროსის ჰკითხეს, იყავით თუ არა როდესმე მიცემული პასუხის გებაშიო. – ცარიზმის დროს მდევნიდენ და დამსაჯეს სწორეთ იმისთვის, რისთვისაც თქვენ მასამართლებთო, – უპასუხა კათალიკოსმა.

დამცველებმა მოითხოვეს საექსპერტო კომისიები გამოსარკვევით მემორანდუმში აღნიშნულ ცნობებისა საქართველოს ქონების გაზიდვის, საქართველოს მინა-წყლის უცხოელებისათვის გადაცემის და სხვა ფაქტების შესახებ. რასაკვირველია, ეს შუამდგომლობა სასამართლომ უარყო. მიუხედავად ამისა, პროცესმა რამდენიმეთ მაინც ახადა ფარდა იმ საშინელებას, რაც საქართველოს დაატყდა და სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩეკა და გოლდბაუმი ასე ცხრილავდენ დამსწრეებს. ქონების გაზიდვა დამტკიცდა: როსტოვში რომ ტფილისის ტრამვაის საუკეთესო ვაგონები წაიღეს და სხვა. მინა-წყლის გაცემა ხომ იოლი დასამტკიცებელი იყო. უცხოელების გაბატონება, ენის შერყვნა, ქართველების დამცირება და სხვ. და სხვ. ყველასათვის ნათელი შეიქნა. ბრალდებულთა უმეტესობა ჩეკაში აწამეს სასურველი ჩვენების მისაღებათ. საბჭოს ერთი წევრი (ნ. თავდგირიძე – ჯ.გ.) პროკურორი ოკუჟავას შეკითხვაზე – რატომ ეხლა სხვას ლაპარაკობ და ჩეკაში კი სხვა გითქვამსო, უპასუხებს: იქ სხვა პირობებში ვიყავიო. ოკუჟავა დაჟინებით მოითხოვს – რა პირობები იყოო. ბრალდებული სთხოვს, გაანთავისუფლონ ამ კითხვაზე პასუხის მიცემიდან, რადგან ეს პასუხი მთავრობას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებსო. შემდეგ მაინც ამბობს ზოგ რამეს, თუმცა, ძლიერ ცოტას. დაკითხვის წინ გამომძიებელმა მიკმა (საგამომძიებლო მასალა რუსულ ენაზეა შედგენილი) ჩეკის სარდაფიდან შეიყვანა ის პატარა, სრულიად ბნელ კარცერში, სადაც, მიუხედავად დაპირებისა – მალე შემოვალ და გაგიყვან ჩვენებისთვისო, ბრალდებულს 24 საათი უნდა გაეტარებია ფეხზე, ნახევრად მოხრილს (სივინროვის გამო). იატაკზე საშინელი სიბინძურე იყო. მეორე დღეს მიკი მოვიდა და დაემუქრა – უარესი მოგელის, თუ ისეთი ჩვენება არ მოგვეცი, რაც ჩვენ გვესაჭიროებაო.

სასამართლოში ყველას ღირსეულათ ეჭირა თავი. ყველამ ერთნაირათ და გაბედულათ აღნიშნეს, რომ ამბროსის მიერ გაგზავნილი მემორანდუმი მიზანშეწონილი იყო, რომ მისი გაგზავნის უფლება მას ქონდა, რომ მემორანდუმი გამოხატავდა ხალხის სულისკვეთებას და ამიტომაც იყო, რომ მას ხალხი ალფრთოვანებით შეხვდა. მონმეებსაც გაბედულათ ეჭირათ თავი, მაგალითად, პროკურორი ერქომანიშვილი (კოოპერატივის ყოფილი მოანგარიშე) ეკითხება მონმე თალაკვაძეს: „ქონდა თუ არა უფლება ამბროსის გაეგზავნა მემორანდუმი საკათალიკოსო საბჭოს დაუკითხავათ?“ თალაკვაძე – „ის, როგორც პატრიარქი, ალჭურვილი იყო ყოველნაირი უფლებებით და ამიტომ ქონდა ამის უფლებაო.“ ერქომ: „როდის გაიგეთ მემორანდუმის შინაარსი?“ – თალაკვაძე: „როდესაც გაზეთებში

გამოქვეყნდა“. ერქომ.: „რა გავლენა მოახდინა თქვენზე მემორანდუმმა?“ – თალაკვაძე: „მემორანდუმმა შემაშინა იმდენათ, რამდენათაც ის კიდეც უფრო გააძლიერებდა ეკლესიის წინააღმდეგ დევნას“. ერქომ.: „როგორი გავლენა იქონია ხალხზე მემორანდუმმა?“ – თალაკვაძე: „მემორანდუმს ალფრთოვანებით შეხვდა ქართველი ხალხი და მასთან ერთად ქართველი სამღვდლოება“. – ერქომ.: „თუკი ხალხის სულისკვეთების გამომხატველი იყო მემორანდუმი, რატომ არ მოინვია ამბროსიმ ხალხი და საბჭო და მათთან ერთად არ შეადგინა ის?“ თალაკვაძე: „ხალხის თავის მოყრა არ შეიძლებოდა, არც საბჭოსი; დაიჭერდნენ, დაშლიდნენ და მემორანდუმსაც ველარ გაგზავნიდაო.“

თანდათან, რაც დრო გადიოდა, პროცესზე როლები იცვლებოდა. ბრალდებულები და ვეჭილები თავდაცვიდან შეტევაზე გადადიოდნენ. სასამართლო და ბრალმძებლები თავს იცავდნენ. ეს სრულიად აშკარა ჰყო „პროკურორის“ სიტყვამ. საცოდავი ერქომიანიშვილი არაფერს არ გავდა. ცდილობდა თავი დაეცვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ნინიძემ დიდი და სერიოზული სიტყვა წარმოსთქვა. მან ხაზი გაუსვა მისი მდგომარეობის სიძნელეს, როცა მას, სოციალისტს, უხდება დაცვა სამღვდლოების და, ამავე დროს, თავის თავისაც ქანდარის ბრბოსაგან. მას აუარებული ფაქტები მოყავს მემორანდუმში მოყვანილი დებულებების დასამტკიცებლათ. ნინიძის სიტყვა ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა, რასაც ასამდე კაცის დაჭერა მოყვა. შემდეგ სხვა ვეჭილებმა ილაპარაკეს.

ამბროსიმ თავი დამნაშავეთ არ იცნო. რეზოლუციაში კი ნათქვამია, ამბროსიმ და სხვებმა თავის დანაშაულობა აღიარესო. ეს ტყუილია თავიდან ბოლომდე...

რაც შეეხება განძეულობის გადამალვას, ამის შესახებ ბრალდებულებმა, მონშეებმა და ვეჭილებმა მრავალი ფაქტი მოიყვანეს, რომ ძველათ საქართველოში, როცა მტერი შემოესეოდა – სამღვდლოება ქონებას საიმედო ალაგას მალავდა, რათა ის ერისთვის შეენახა. ეხლაც ამ მიზნით მოვიქეციით ასეო.

გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.1. თბ., 2001, გვ.338-342 (მასალა მონოდებულია თბილისიდან და გამოქვეყნებულია ემიგრანტულ გაზეთში „ბრძოლა“, 1927, №22).

შენიშვნა:

1. წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი დაწერილია „სასამართლოს“ დასრულებისა და განაჩენის გამოქვეყნების, ანუ 1924 წლის 21 მარტის შემდეგ (ჯ.გ.).

2. დანამდვილებით, უცნობია გ. ორჯონიკიძის პოზიცია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკას 1923წ. 12-15 სექტემბრის პლენუმმა თავისი გადაწყვეტილება კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის საქმის უზენაეს სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ მიიღო 16 ხმით 7-ს წინააღმდეგ. საოქმო ჩანანერში კენჭისყრის შედეგებზე ხაზია გადასმული (შსს არქივი, ფ.14, აღწ.1, ს.490, ფ.7ა) – ჯ.გ.

№72. სრულიად საქართველოს ცაკ-ის დადგენილება №95 „სიძველეთა, ბუნების და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ“

1924 წლის 4 ივნისი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა, აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სიძველეთა და ხელოვნების და აგრეთვე ბუნების ძეგლთა სათანადოდ დაცვისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რემონტი, რესტავრაცია, გადაკეთება, დანგრევა ან რაიმე მიზნისათვის გამოყენება საერო და რელიგიური კულტის შენობათა (სასახლე, ციხე, ეკლესია-მონასტერი) უნდა ხდებოდეს მხოლოდ განათლების კომისარიატთან არსებულ რესპუბლიკის სამეცნიერო დანესებულებათა მთავარ სამმართველოს წინასწარის ნებართვით.

შენიშვნა: ხუროთმოძღვრების ძეგლთა ფაქტიური დაცვა ეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის ადგილობრივ მუზეუმთა ან მათ სამაგიერო დანესებულებათა უშუალო მონაწილეობით.

2. მიღებულ იქნეს სათანადო ზომები არქეოლოგიურ ძეგლთა დასაცავად და მათი გათხრა და შესწავლა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ სამეცნიერო დანესებულებათა მთავარ სამმართველოს ნებართვით.

3. ყოველგვარი აღმოჩენილი განძი და აგრეთვე არქეოლოგიური მნიშვნელობის ცალკე ნივთები აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო მუზეუმს.

4. ყოველგვარი სამუზეუმო ქონება, თუ ვინცობა მუზეუმის ლიკვიდაცია მოხდა, გადადის სამეცნიერო დანესებულებათა მთავარ სამმართველოს განკარგულებაში.

5. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა სამუზეუმო მნიშვნელობის ყოველგვარი საგანი, რომელიც უპატრონო ქონებად ითვლება (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 68) ან და რომელიც სამეცნიერო დანესებულებათა მთავარ სამმართველოს წინასწარ ნებადაურთველად გამოყენებული იქნება სამეურნეო მიზნით, აღმოჩენისთანავე აუცილებლად უნდა გადაეცეს სამეცნიერო დანესებულებათა მთავარ სამმართველოს.

6. აკრძალულია მინათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად

ა) თვითნებობით მოჭრა ხეებისა, მოსპობა და განადგურება ტყისა და მცენარეთა და შეცვლა და დარღვევა გეგმათა და ისტორიულ-მხატვრულ პეიზაჟებისა პარკებისა და ბაღების;

ბ) თვითნებობით გაჩეხა ხელშეუხებ ტყისა, აგრეთვე ნადირობა მხეცებზე და ფრინველებზე, თევზაობა, ბუდეთა დანგრევა, მიწის წიაღთა ექსპლოატაცია და სამელიორაციო მუშაობა-სამეცნიერო მიზნით დასაცავ ადგილებში.

7. განკარგულება სიძველისა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დასაცავად გაიცემა ადგილობრივი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

8. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე მიეცემა პასუხისგებაში, თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 102, 105 და 110 მუხლისა.

9. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება წარმოებს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დანესებულებათა მთავარ სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქციის მიხედვით, ხოლო საჭირო შემთხვევაში, მინათმოქმედების სახალხო კომისარიატის სათანადო განყოფილების თანხმობით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკ-ის მდივანი პ. საბაშვილი.

კომუნისტი, 1924, 15 ივნისი.

№73. იუსტიციის და შს კომისარიატების „ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევისათვის ნებართვის გაცემის წესის შესახებ“

1924 წლის 9 ივლისი

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923წ. 7 ივლისის დეკრეტისა („იმ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი, რომელნიც მოგების მიღებას არ მისდევენ და ამ საზოგადოებათა და კავშირთა მოქმედების მეთვალყურეობის წესი“-იხ. კომუნისტი“, 1923, 20 ივლისი, №165), შეუძლიათ მოაწყონ საეკლესიო და რელიგიური საზოგადოებანი და მოსახმარათ მიიღონ რელიგიური წესების შესრულებისათვის საჭირო სამლოცველო სახლები და ქონება.

შენიშვნა: რელიგიურ საზოგადოების ან უკვე არსებული მრევლის წარმომადგენელნი ტაძარს (სამლოცველო სახლს) და ქონებას უფასო სარგებლობისათვის მიიღებენ საქართ-

ველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 15 თარიღით და 21-ე ნომრით გამოცემული დეკრეტის 15-ე მუხლის თანახმად ადგილობრივ აღმასრულებელი კომიტეტისაგან ხელშეკრულებით, რომლის ფორმა ამა ინსტრუქციას აქვს დართული.

2. ზემოთაღნიშნული რელიგიური და საეკლესიო საზოგადოებანი უნდა გატარებულ იქნან რეგისტრაციაში ამა ინსტრუქციაში აღნიშნული წესით.

3. არც ერთ რელიგიურ საზოგადოებას, რა კულტისაც არ უნდა იყოს იგი, არ შეუძლია დაინყოს მოქმედება, თუ მისი რეგისტრაცია არ მოხდება მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

4. ფაქტიურათ არსებული რელიგიური საზოგადოებები და აგრეთვე ის მოქალაქენი, რომელთაც სურთ დააარსონ რელიგიური საზოგადოება, მოვალენი არიან სათანადო აღმასკომს რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად წარუდგინონ სამ-სამ ცალად:

ა) საზოგადოების დამფუძნებელი კრების ოქმები; ბ) საზოგადოების წესდება; გ) საზოგადოების დამფუძნებელთა აღმასრულებელი ორგანოს წევრთა და საზოგადოების რელიგიური კულტის მოსამსახურეთ არჩეულ პირთა მიერ პირადად ხელმოწერილი სია შემდეგი ფორმით:

1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, 3) სოციალური მდგომარეობა, 4) საზოგადოებრივი და სამსახურეობრივი მდგომარეობა 1914 წლიდან, 5) რა ნოდებას ეკუთვნოდა რევოლუციამდე, 6) ქონებრივი მდგომარეობა, 7) როდის შეუერთდა ამ რელიგიურ კულტს, 8) სახელდობრ, სად და რას აკეთებს დღეს და საღერბო გადასახადი დაწესებული რაოდენობისა.

შენიშვნა: რელიგიური საზოგადოების წესდება შედგენილ უნდა იქნეს იმ სანიმუშო წესდების მიხედვით, რომელიც ამ ინსტრუქციას აქვს დართული. თუ ამ ინსტრუქციის გამოცემის დროს ფაქტიურათ არსებულ რელიგიურ საზოგადოებას უკვე აქვს თავისი წესდება, იგი შეიძლება განსხვავებოდეს სანიმუშო წესდებისაგან, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის და ამა ინსტრუქციის მოთხოვნას.

5. სათანადო აღმასკომმა რეგისტრაციაში უარი უნდა უთხრას ფაქტიურად არსებულ ან ახლად დაარსებულ რელიგიურ საზოგადოებას თუ: 1) სასამართლოს მიერ უფლებებში შეუზღუდველ მის წევრთა ან დამფუძნებელთა რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებთაგან ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში და სოხუმში 1500 კაცზე და სხვა ადგილას 300 კაცზე ნაკლებია; 2) სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდება საზოგადოებისა, მისი მიზნები და მოქმედების მეთოდები ეწინააღმდეგება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციას და კანონებს.

შენიშვნა: იმ ადგილას, სადაც მცირე და გაფანტული მოსახლეობაა და აგრეთვე სხვადასხვა სექტების (მალაკნები, დუხობორები და სხვ.) მიმართ წევრთა რიცხვი შეიძლება ნაკლებიც იყოს, მაგრამ არანაკლებ 50 კაცისა.

6. უკეთუ რეგისტრაციის დამაბრკოლებელი პირობები არ აღმოჩნდება, აღმასკომი აძლევს საზოგადოებას წესდების ცალს საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების შესახებ, რომელიც რელიგიური საზოგადოების საქმეებთან ინახება.

7. ამა დადგენილების გამოცემამდე ფაქტიურად არსებული ის რელიგიური საზოგადოება, რომელიც ამა ინსტრუქციის გამოქვეყნების ანუ გამოქვეყნებულ ინსტრუქციის ადგილობრივ მიღების დღიდან ორი თვის განმავლობაში მე-4 მუხლში აღნიშნულ წესით არ შეიტანს სათანადო აღმასკომში განცხადებას რეგისტრაციის შესახებ, დახურულად ჩაითვლება.

8. ერთისა და იმავე კულტის რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლიათ მოაწყონ ადგილობრივი ან სრულიად საქართველოს ყრილობები იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1923 წლის 17 (უნდა იყოს 7 – ჯ.გ.) ივლისის დეკრეტში (კომუნისტი, №165).

9. რელიგიურ საზოგადოებათ, ადგილობრივ და სრულიად საქართველოს ყრილობებს შეუძლიათ აირჩიონ აღმასრულებელი ორგანოები. ცნობები მათ შესახებ მეოთხე მუხლის

„გ“ პუნქტში ნაჩვენები ფორმის დაცვით უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

10. რელიგიურ საზოგადოების წესდება, რომელიც ქვეყნდება ამ ინსტრუქციასთან ერთად, წარმოადგენს ტიპიურ წესდებას და შეიძლება შევსებულ იქნეს სხვადასხვა დამატებითი მუხლებით, მაგალითად, უნდა უფრო დანვრილებით აღნიშნულ იქნეს მოძღვრება და პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს რელიგიურ საზოგადოების დოგმატურ დებულებას და სხვა.

11. დეკრეტი სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ არის ძირითადი კანონი, რომელსაც უნდა დაემყაროს ადგილობრივ ხელისუფლების ყველა განკარგულება და მოქმედება.

12. იმ შემთხვევაში, უკეთეს გამოაშკარავდება რელიგიური საზოგადოების მონაწილეობა კონტრევოლუციონურ გამოსვლებში, ანდა უკეთეს გამოაშკარავდება საეკლესიო ქონების ბოროტად გამოყენება ან მისი გაფლანგვა, ხელშეკრულება ამ რელიგიურ საზოგადოებასთან ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მოიშლება, ტაძარი სხვა რელიგიურ საზოგადოებას გადაეცემა, ხოლო დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი კი მიეცემა სამართალში.

13. კულტის ასრულება, აგრეთვე ქადაგების წარმოქმნა, რამდენადაც ეს შეადგენს კულტის ღვთისმსახურების აუცილებელ ნაწილს, შეიძლება თავისუფლად, წინასწარი ცენზურის მოუხდენლათ იმ პირობით კი, რომ იგი თავის შინაარსით ფაქტიურად მარტოოდენ რელიგიური ხასიათისა იყოს; აგრეთვე თავისუფლად და ისე, რომ ყოველ ცალკე შემთხვევისთვის საჭირო არ არის წინასწარი ნებართვა, მოქმედებს მლოცველთა კრება რელიგიური საზოგადოების სარგებლობაში მყოფ სადგომში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ადამიანი მონაწილეობს ამ კრებაზე, აგრეთვე კრება მონვეული იმ საკითხის გამო, რაც შეეხება ტაძრის დაცვა-შენახვას და საკულტო ქონების გამგეობას.

14. ბურჟუაზიულ – ანარქიული და სახელმწიფოს სანინალმდეგო მოძღვრების რელიგიური მოძღვრების სახით გავრეცელებისა და ქადაგებისათვის, რაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული, დამნაშავე სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების ძალით სისხლის სამართალში იქნება მიცემული.

15. რელიგიურ ორგანიზაციას, თანახმად დეკრეტისა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ, არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება, აგრეთვე უფლება იურიდიული პირისა. ამის გამო რელიგიურ ორგანიზაციას, კერძოდ ყოფილ კონსისტორიებს, რომელთაც ეხლა საეპარქიო საბჭო, მართველობა, გამგეობა, გენერალური კონსისტორია და სხვ. ეწოდება, რა სახელიც უნდა ერქვას და რა კულტისაც უნდა იყვნენ, არ შეუძლიათ მიითვისონ სასამართლო, დამსჯელი და საგადასახადო ფუნქციები, **ვინაიდან რელიგიურ ორგანიზაციას არა აქვს** იურიდიული პირის უფლება; მას არ შეუძლიან სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და სხვ. მიზნით გასცეს მონაშობა ან მანდატი რელიგიური ორგანიზაციისა ან შენაერთის წარმომადგენლობისათვის. აგრეთვე ძალა არა აქვს ყოველგვარ ექსპერტიზას, მონაშობას და სხვა, რასაც გასცემს ეგრედ ნოდებული „რელიგიური საზოგადოებათა და ჯგუფების გაერთიანებული საბჭო“ იმ საქმის გამო, რომელიც შეეხება რელიგიურ რწმენის მიზეზით სამხედრო ბეგარისგან განთავისუფლებას და სხვ. რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლია გასცეს მანდატი, მონაშობა და სხვა მარტოოდენ რელიგიური ხასიათის საქმის გამო და მარტოოდენ რელიგიურ საქმეებისთვის რელიგიურ ჯგუფსა და საზოგადოებას შეუძლიან იხმაროს შტამპელი, ბეჭედი და ბლანკი.

16. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეს შეუძლია თავისი და თავისი ერთმორწმუნეთა სახელით მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ყრილობაში, ხოლო არავითარ შემთხვევაში მას უფლება არა აქვს ამ ყრილობაზე გამოვიდეს საზოგადო, სახელმწიფო, საპროფესიო და სამრეწველო დარგის მშრომელთა სახელით, როგორც მათი წარმომადგენელი.

17. თანახმად საკულტო შენობის უსასყიდლოთ სარგებლობის ხელშეკრულებისა, რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელნი პასუხს აგებენ მათდამი რწმუნებულ სახალხო

ქონების შენახვისა და სიმრთელისათვის, აგრეთვე ტაძარში წესიერების დაცვისათვის.

ამის გამო თვით რელიგიური საზოგადოების ნებაყოფლობით თანხმობაზეა დამოკიდებული დამორჩილოს ცენტრალურ და საეპარქიო ორგანოთა მიერ შინაგანი საეკლესიო დისციპლინის წესით გაცემულ განკარგულებას იმდენათ, რამდენათაც ეს განკარგულება შეეხება საკულტო ქონების სამეურნეო მართვას, ან საეკლესიო თანამდებობის პირთა (კულტის მსახურთა, დარაჯების და სხვ.) მიერ თავისი მოვალეობის აღსრულებას.

18. რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებს და მათ მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოებს არ შეუძლიათ დაანესონ იძულებითი გადასახადი.

19. რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობათა და მათ შემაკავშირებელ ორგანიზაციათა მოქმედების მეთვალყურეობა ევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს.

20. ყოველი რელიგიური საზოგადოება ექვემდებარება საზოგადო დებულებათ კერძო საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან იგი განირჩევა იმით, რომ არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და საკუთრების უფლება არა აქვს.

21. ყოველგვარი კულტის რელიგიური საზოგადოებანი უფლებათა და მოვალეობათა მხრივ თანასწორნი არიან და არც ერთი მათგანი არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით და სუბსიდიით არც სახელმწიფოსაგან და არც მის ადგილობრივ და ავტონომიურ დაწესებულებათაგან.

22. რელიგიური საზოგადოების წევრებს ან მათ რწმუნებულებს შეუძლიათ ნებაყოფლობით შემოწირულობის შეკრება საკულტო ქონების სარგებლობასთან დაკავშირებულ ხარჯების დასაფარავად, როგორც არის გათბობა, სუფთად შენახვა და დაცვა ამ ქონებისა და სხვა, აგრეთვე შეკეთება საკულტო შენობისა.

23. თუმცა რელიგიურ საზოგადოებას არა აქვს იურიდიული პირის უფლებანი და საკუთრების უფლება, მაგრამ მას მაინც შეუძლია კერძო უფლებრივი ხასიათის ისეთი გარიგების დადება, რომელსაც კავშირი აქვს საკულტო ქონების სარგებლობასთან, მაგალითად, ხელშეკრულების დადება მგალობელთა დაქირავების, შეშის მონოდება – მოტანის, წიგნების შეკეთების და სხვათა შესახებ.

შენიშვნა. ამგვარი გარიგების შინაარსად არ შეიძლება იყოს ისეთი ხელშეკრულებითი ურთიერთობა, თუნდაც კულტთან დაკავშირებული, რომელიც სავაჭრო ან სამრეწველო მიზნებს მისდევდეს როგორც არის: იჯარა სანთლის ქარხნისა, სტამბის-სარწმუნოებრივ-ზნეობრივ წიგნების დასაბეჭდავად და სხვ.

24. თავიანთ საზოგადო კრების და დადგენილებათა შესასრულებლად, აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის მოქალაქეებს, საჭიროებისდაგვარად, შეუძლიათ დანიშნონ კულტის მოსამსახურენი და თავიანთი წრიდან გამოჰყონ საჭირო რიცხვი რწმუნებულებისა, რომელთაგან თვითთვეული იმოქმედებს მისთვის მიცემული რწმუნების ფარგლებში.

25. რელიგიური საზოგადოების დახურვის წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური (აღმსარულებელი) კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტით.

26. ინსტრუქცია ესე გამოიცემა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1923 წლის სექტემბრის 22 და დეკემბრის 20 გამოცემულ ინსტრუქციების შესაცვლელად და დასამატებლად.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ვ. ტალახაძე.

კომუნისტი, 1924, 23, 24 ივლისი.

**№74. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
დადგენილება №124 „ეკლესიების გახსნის და რელიგიურ საზოგადოებათა
რეგისტრაციის წესის შესახებ“**

1924 წლის 21 ნოემბერი

რათა მტკიცედ განხორციელებულ იქნეს ძირითადი კანონი სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების შესახებ (1921წ. აპრილის 15-სა და 21 №-რის დეკრეტი), რომლითაც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია სარწმუნოებისა და რელიგიური კულტის თავისუფლად ასრულება, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) გაუქმებულ იქნეს ყველა მომქმედი დადგენილება, ინსტრუქცია და ადმინისტრაციული განკარგულება, რაც შეეხება რელიგიურ საზოგადოებათა და ზღუდავს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ რელიგიური კულტის თავისუფლად ასრულებას.

2) შემოღებულ იქნეს ქვემოთ აღნიშნული წესი ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა ხელში სარგებლობისთვის გადაცემისა, რომელთა გადაცემის შესახებ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმება ჯერ არ მომხდარა; ესევე წესი შემოღებულ იქნეს აგრეთვე წინადასახურული ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და გადაცემისათვის, ხოლო იგი არ ვრცელდება იმ სამხედრო ტაძრებზე, რაც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადაეცა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარათა საბჭოს 1923 წ. იანვრის თარიღით და 68 ნომრით გამოცემული დადგენილების ძალით:

ა) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთ შეუძლიანთ მიიღონ სარგებლობისთვის თავისი სარწმუნოების ტაძრები და სამლოცველო სახლები, აგრეთვე ღვთისმსახურებისა და რელიგიური წესებისათვის მიკუთვნებული ქონება, რისთვისაც უნდა დააარსონ რელიგიური საზოგადოება, რომლის დამფუძნებელ წევრთა რიცხვი შვიდზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ბ) რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელი ტაძრებს, სამლოცველო სახლებს და ქონებას მიიღებენ სარგებლობისათვის ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტისაგან ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ და უვადოდ თანახმად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წ. აპრილის 15 თარიღით და 21 ნომრით გამოცემული დეკრეტის მე-15 მუხლისა.

გ) ხელშეკრულების დადებისას, რელიგიურ საზოგადოებას რეგისტრაცია უნდა ექნეს სათანადო მაზრისა ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

ვ) ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის უარი ხელშეკრულების დადებაზე ან რელიგიურ საზოგადოების რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ერთი თვის ვადაზე იმ დღიდან, როდესაც ჩაბარებული იქნება წერილობით დასაბუთებული დადგენილება უარის შესახებ.

4) ამა დადგენილების გამოცემამდე დაარსებული და რეგისტრაცია ქმნილი რელიგიური საზოგადოება განაგრძობს თავის არსებობას ახალი რეგისტრაციის მოუხდენლად. დადგენილება ესე გავრცელდება ამ საზოგადოებაზედაც.

5) რელიგიური საზოგადოება შეიძლება დახურულ იქნეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონის საწინააღმდეგო მეთოდით იმოქმედებს.

6) დაწესებულება და თანამდებობის პირი, რომელიც ამა თუ იმ სახით წინააღმდეგობას გაუწევს ეკლესიის სამლოცველო სახლის გახსნას და სხვ., ან დევნას აღძრავს იმ

პირის წინააღმდეგ, ვინც ეკლესიის გახსნას ითხოვს, აგრეთვე ღვთისმსახურს კულტის შესრულებისათვის დევნას დაუწყებს, პასუხს აგებს, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის.

7) მეთვალყურეობა ამა დადგენილების მტკიცედ აღსრულებისათვის დაეკისრებათ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს და მათვე დაევალებათ ამა დადგენილების განსავითარებლად გამოსცენ სათანადო ინსტრუქციები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

ტფილისი – სასახლე.

სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უნმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927წწ.). თბ., 2009, გვ.168-170.

№75. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ ინსტრუქცია

1924 წლის 7 დეკემბერი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ნოემბრის 21 თარიღით და 124 №-ით გამოცემული დადგენილების – „ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ“ – ასრულებისთვის.

1. შემოღებულ იქნეს ქვემო აღნიშნული წესი საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთათვის, როგორც იმ ეკლესიების გადაცემისათვის, რომელნიც წინადასახურულ იქნენ ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების განკარგულებით, ისე იმ ეკლესიების გადასაცემად, რომელთა მორწმუნეთათვის გადაცემის შესახებ შეთანხმება ჯერ არ მომხდარა (გარდა იმ სამხედრო ტაძრებისა, რაც სახალხო კომისართა საბჭოს 1923წ. იანვარს 8 თარიღის და 68 №-ის დადგენილებით გადაეცათ სახელმწიფო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს).

2. უკეთუ მოქალაქენი, რიცხვით არა ნაკლებ 7 კაცისა, მოისურვებენ რელიგიური საზოგადოების შედგენის და ეკლესიის ან სამლოცველო სახლის და ღვთისმსახურებისთვის საჭირო ნივთების უსასყიდლოდ სარგებლობისათვის მიღებას, – იმათ საამისო განცხადება უნდა შეიტანონ ადგილობრივ – მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

3. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იყოს: ა) რელიგიური საზოგადოების დამფუძნებელთა (უკეთუ საზოგადოება ჯერ შედგენილი არ არის), ან წარმომადგენელთა სახელი, მამის სახელი და გვარი, ბ) რელიგიური საზოგადოების სახელწოდება, გ) დამფუძნებელთა ან წარმომადგენელთა საცხოვრებელი ადგილი და დ) სახელწოდება ეკლესიისა (სამლოცველო სახლისა), რომლის ღვთისმსახურებისთვის მიღება სურთ მათ.

4. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი ქონებას და მის აღწერილობას გადასცემს იმ მოქალაქეთ, რომელთაც განაცხადეს სურვილი ამ ქონების სარგებლობისათვის მიღებისა, ხოლო აღწერილობის მეორე ცალს მიმღებთა ხელმოწერით დაიტოვებს თავისათვის.

5. წინა მუხლში ნახსენებ ეკლესიისა და ქონების მისაღებად საზოგადოების დამფუძნებელნი ან განმკარგულებელი ორგანო დასდებენ ხელშეკრულებას სათანადო მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან.

შენიშვნა: სანიმუშო ხელშეკრულება ამასთანავე დართულია.

6. ხელშეკრულების დადების შემდეგ რელიგიური საზოგადოება წინასწარ გატარებულ უნდა იქნეს რეგისტრაციაში ადგილობრივ მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში, რის შემდეგაც მას შუქლიან დაიწყოს მოქმედება.

7. უკეთეს ეკლესია და ქონება დამფუძნებლებმა მიიღეს, იგინი რელიგიური საზოგადოების შედგენის შემდეგ ეკლესიას (სამლოცველო სახლს) და ქონებას გადასცემენ რელიგიური საზოგადოების განმკარგულებელ ორგანოს, და ქონების გადაცემის აქტს, აგრეთვე ცნობას რელიგიური საზოგადოების განმკარგულებელი ორგანოს შემადგენლობის შესახებ, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს განმკარგულებელი ორგანოს თვითოეული წევრის სახელი, მამის სახელი და გვარი, – წარუდგენ სათანადო აღმსარებელ კომიტეტს.

8. ხელშეკრულებით, რომელიც დაიდება საკულტო შენობის და ქონების უფასო სარგებლობის შესახებ, რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელნი (განმკარგულებელი ორგანო) პასუხს აგებენ, თუ მინდობილი სახალხო ქონება უკლებლად და წესიერად არ იქნება შენახული, აგრეთვე თუ ტაძარში წესიერება დარღვეულ იქნება.

9. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის უარი ხელშეკრულების დადებაზე და რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტში ერთი თვის ვადაზე იმ დღიდან, როდესაც ჩაბარებული იქნება წერილობითი დასაბუთებული დადგენილება უარის შესახებ.

10. თავის საზოგადო კრებების დადგენილებათა აღსრულებისათვის, აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის რელიგიური საზოგადოება თავის წრიდან აირჩევს წარმომადგენლებს (განმკარგულებელ ორგანოს), რომელნიც უძღვებიან მიმდინარე მუშაობას, ინვევენ საზოგადოების მიერ დანიშნულ ვადაზე საზოგადო კრებებს და სხვ.

რელიგიური საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფის სარგებლობაში მყოფ სადგომში მორწმუნეთა კრება ხდება თავისუფლად და ისე, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში წინასწარი ნებართვა საჭირო არ არის, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხალხი მონაწილეობს ამ კრებაზე; ამრიგადვე მოხდება კრება, მონვეული იმ საკითხების გამო, რაც შეეხება ტაძრის დაცვა-შენახვას და საკულტო ქონების გამგებლობას.

12. ქადაგება შეიძლება თავისუფლად იმ პირობით – კი, რომ თავისი შინაარსით ქადაგება იყოს მარტოოდენ რელიგიური და რელიგიურ-დამრიგებელი ხასიათისა.

13. რელიგიური საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფის წევრებს შეუძლიან შეაგროვონ ნებაყოფლობითი შემონიროლობანი იმ ხარჯების დასაფარად, რაც დაკავშირებულია საკულტო ქონების სარგებლობასთან, ეკლესიის მსახურთა და მაგალობელთა დაქირავებასთან და სხვ.

14. გაუქმებულ იქნეს ყველა წინად გამოცემული ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის, აგრეთვე ეკლესიების და ღვთისმსახურებისათვის მიკუთვნებული ქონების სარგებლობის წესის შესახებ.

ისუტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი შ. მათიკაშვილი.

ქ. ტფილისი.

სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927წ.). თბ., 2009, გვ.170-173.

№76. „სიტყვა თქმული 1925 წლის გიორგობის 1 მისი უწმინდესობის კათოლიკოზ-პატრიარქის ამბროსის მიერ სიონის საკათედრო ტაძარში ნინოწმინდელ მიტროპოლიტის კალისტრატესადმი, ჟამსა კვერთხის ჩაბარებისას“

1925წ. 1 ნოემბერი

დღეს შენ მიიღე უმაღლესი ღირსება და ხარისხი მღვდელობისა, გუშინ კი მიეცი ღმერთს ალთქმა, იშრომო და იმოღვაწეო ამ ხარისხში თავგანწირულად. მოგილოცავ ამ ხარისხს და გისურვებ ზილო იგი ალთქმისაებრ ღირსეულად, მოგეტანოს ჩვენი დედა ეკ-

ლესიისათვის ის სარგებლობა, რომელსაც ის მოელის შენგან! ამის გარანტია გვაქვს ჩვენ წარსულს შენს მოღვაწეობაში. შენი მოღვაწეობა დაიწყო ჩვენი ეკლესიის მონობის დროს მაშინ, როდესაც იმის ბედ-იღბალს განაგებდნენ რუსეთის სინოდი და მისგან დაყენებულნი, ქართული ენის არმცოდნე ეგზარქოსები. შენ იმ მონობის დროს ემსახურებოდი ეკლესიურ თავისუფლების იდეას, საქართველოს ეკლესიურ ავტოკეფალური უფლებების აღდგენას: წერდი ავტოკეფალიის შესახებ წერილებსა და წიგნებს. მივალწიეთ ეკლესიის თავისუფლებას. ამ დღიდან შენი შრომა და ღვაწლი ეკლესიის საკეთილდღეოდ ყველამ, ვისაც აინტერესებს მშობლიო ეკლესიის ბედ-იღბალი, კარგად იცის, რის გამო ამაზე აქ არას ვიტყვი. ჩემი სიტყვა უფრო მკრთალი გამომხატველი იქნება სინამდვილისა, ვინემ ეკლესიურ საქმეებით დაინტერესებულ მსმენელების დაკვირვებით შექნილი წარმოდგენა შენს მოღვაწეობაზე.

მე აქ მივაქცევ მსმენელთა ყურადღებას შენი მოღვაწეობის ერთ მომენტზე, რომელიც ქართველ საზოგადოების დიდი უმრავლესობისათვის უცნობია. საქმე შემდეგია: 1917წ. ივნისის პირველ რიცხვებში „სტარაია რუსაში“ მივიღე დეკრეტი, რომლითაც მეცნობა, – პეტროგრადში მიემგზავრება დელეგაცია შუამდგომლობით მაშინდელ მთავრობის მიერ ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობისათვის. მევალეობდა, მეც მიმელო მასში მონაწილეობა. მე არას ვიტყვი დელეგაციის მესამე წევრზე (ყოვლადსამღვდელო ანტონ გიორგაძეზე), რომელიც თავისი ხარისხის მიხედვით, იყო მეთაური და დელეგაციის უფროსი. თვით ჩემს შესახებ უნდა ვსთქვა, რომ ბევრი შრომა არ შემხვედრია, ვინაიდან ამის მიზეზი იყო, ერთის მხრით, ჩემი ავადმყოფობა, ხოლო მეორე მხრით და უმთავრესად ის, რომ მაშინ მე ფაქტიურად საქართველოს ეკლესიის გარეშე ემსახურებოდი და კანონიკურად ვიყავი წევრი რუსეთის ეკლესიისა: გადასახლებული ვიყავი რუსეთში 1909 წლიდან. ეს გარემოება ქმნიდა ჩემთვის უხერხულ მდგომარეობას, უნდა ვყოფილყავი მოკრძალებით და ვერიდებოდი აშკარად გამოსვლას, რომ ჩემთვის არ ეთქვათ: „სანამ ხარ წევრი რუსეთის ეკლესიისა და ოფიციალურად არ დათხოვნილხარ მას, არა გაქვს უფლება იყო წევრი დელეგაციისაო“. სინოდის ერთმა წევრთაგანმა კიდევაც მომცა ასეთი შენიშვნა: ეს შენ კარგად იცი.

ნათქვამიდან ცხადია, დელეგაციის მომუშავე წევრად რჩებოდი შენ და აკი ნამდვილადაც შენ მუშაობდი. ჩემს თავს ვრაცხ მოვალედ აღვნიშნო ეს, რადგანაც ვერაფერ ვერ იტყვის, რომ დელეგაციის მუშაობას არ ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა ჩვენის ეკლესიისათვის: დელეგაციის მუშაობის შედეგი იყო ჩვენი ეკლესიის ცნობა ავტოკეფალურ უფლებებში საერო მთავრობის მიერ.

დღიდან საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს გახსნისა შენ იყავი მისი მუდმივი, სამივე კრების მიერ არჩეული წევრი და უმთავრესი პასუხისმგებელი მუშაკი, რისთვისაც ბევრი დაუშასხურებელი უსიამოვნებაც კი განგიცდია. ბოლო ხანებში, როდესაც ჩემი ჯანმრთელობა შეირყა იმდენად, რომ ინტენსიური მუშაობა აღარ შემეძლო, იძულებული შევიქნენ მომეძებნა საიმედო თანაშემწე, ჩემი ყურადღება შენ მიიპყარი, როგორც ეკლესიის ერთგულმა და მისთვის თავდადებულმა მუშაკმა, ხოლო თხოვნა, რომლითაც მოგმართე, იყო არაჩვეულებრივი, მიგელო მღვდელმთავრის ხარისხი, უარგეყო ოჯახური სიამოვნება, განშორებოდი საყვარელ მეუღლეს. შენ პასუხი ვერ მომეცი მეუღლის დაუკითხავად. უკანასკნელმა, როგორც ღირსეულმა მეუღლემ და ადამიანმა, გამოიჩინა დიდი სიყვარული ჩვენი ეკლესიისა: როდესაც გაიგო, რომ შენთავს საჭიროებს ეკლესია, ორთავემ თანხმობით გაიღეთ ეს დიდი მსხვერპლი დედა ეკლესიის სიყვარულისა გამო.

ბოლოს აღვნიშნავ იმასაც, რომ მშობელი ეკლესია გაჯილდოებს შენ მიტროპოლიტის პატივით. აქ გმართებს კეთილგონიერება, თავმდაბლობა, განდიდების სურვილის უარყოფა, რაც გახასიათებდა წარსულში. დიდია საფრთხე, მაგრამ შეუძლებელი არ არის მისი დაძლევა. შენ იცი, რომ ვინც ახლა შენ სიტყვით მოგმართავს, მანაც ერთსა და იმავე დღეს მიიღო მღვდელმთავრობა და მიტროპოლიტობა, ხოლო რამდენად შეპყრობილია იგი სიამაყით და განდიდების სურვილით, მონშეა შენი გული. დიდია შენგან მიღებული ღირსება და პატივი, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის იწროება, შრომა, ვაება და წყენა,

რომელიც შენ მოგეგლის. აქ საჭიროა მოთმინებით ატანა ყველა იმისა, რაც ეკლესიის კეთილდღეობისათვის შეგხვდება ცხოვრებაში. რამდენადაც ამაღლები, იმდენად უფრო მეტად უნდა დამდაბლდე: აქ არის ნამდვილი სიმაღლე სულიერი. ეს ჩვენ გვასწავლა მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ.

თითქოს განგებით ღვთის ნაკითხული სახარება მოგვითხრობს იგავს მთესველისათვის: იშრომე, სთესე დაუღალავად და გულმოდგინეთ სიტყვა ღვთისა, ევედრე უფალსა, რომ შენმა ნამუშაკ-ნათესმა გამოიღოს ნაყოფი ასნილი. დიდი შრომა მოგველის, მაგრამ გამაგრდი: მოციქულები და მათი მიმდევარნი წმინდა მამანი ამნაირად შრომობდნენ და ძლითა ღვთისათა მათმა შრომამ გამოიღო ღვთის ყანაში დიდი ნაყოფი.

დასასრულ, მიიღე კვერთხი ესე – სიმბოლო მღვდელმთავრის უფლებისა და დალოცე ერი, რომელიც სასოებით მოელის შენგან კურთხევას. ქრისტე არს ჩვენს შორის!

კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს. 20.

№77. Копия обращения Ек. Габашвили и других верующих к «председателю ЦИК союзных республик СССР» М.И. Калинину о состоянии грузинской церкви (прислан из Москвы в ЦИК Закавказской Федерации)

1925 წლის დასასრული

Высокочитимый Михаил Иванович!

С изданием декрета об отделении церкви от государства каждому гражданину великого Союза ССР дарована возможность удовлетворять свободно свои религиозные потребности. Но чтобы возможность эта превратилась в действительность, для этого необходимы пастыри, и пастыри образованные, не стесненные при исполнении своих обязанностей, по существу мелкими, а для них весьма важными препятствиями. А таковые препятствия для нашей церкви и наших духовных руководителей имеются, и имеются только у нас, тогда как их нет вовсе в других Республиках Союза. Так, например:

1. В РСФСР и на Украине имеются и высшие духовно-учебные заведения, и средние, а у нас нет никаких, о чем Вам и было доложено в Кутаисе во время Вашего там пребывания.¹

2. В РСФСР и на Украине свободно издаются не только книги, но и журналы, а у нас с большим затруднением было получено разрешение на напечатание церковного календаря – карточки на 1926 г. и то в количестве не более 500 экземпляров.

3. Тогда как в РСФСР налоговое обложение служителей культа происходит применительно к так называемым книгам о «братских доходах», у нас служители культа причислены к одному разряду с адвокатами и медиками.

4. Тогда, как в других республиках Союза архиереи имеют помещения для себя и вспомогательных органов при церквях и монастырских подворьях, наш даже Первоиерарх не имеет в кафедральном своем городе помещения и вынужден жить в деревнях, у знакомых и подчиненных, а Совет Грузинского Католикосата и епархиальные управления не имеют угла, где можно было бы устраивать заседания, поставить письменный стол или шкаф для хранения «дел».

5. Тогда, как в союзных республиках служители культа живут при церквях, в бывших церковно-причтовых домах, многие наши священники изгнаны из бывших церковных помещений и проживают где попало и тем вынуждают своих прихожан, в большинстве рабочих и крестьян, терять по несколько часов на свои розыски, вдали от храмов и молитвенных домов.

6. Тогда, как в северных республиках Союза древние и почитаемые монастыри открыты и служат местом для удовлетворения религиозных потребностей народа, наши монастыри (даже Бодбийский и Гелатский) закрыты и вследствие спертости в них воздуха, подвергаются

порче, особенно живопись.

Докладывая о вышеизложенном, просим убедительно оказать верующим Грузии содействию:

1) в беспрепятственном открытии пастырских школ как высшего, так и среднего типа, с отводом для них помещения (впоследствии);

2) в беспрепятственном разрешении на издание книг, брошюр и периодических журналов духовно-нравственного содержания;

3) в распространении на Грузинскую Республику циркуляра наркомфина РСФСР от 2 января 1925г. за №482 об обложении налогами служащих культа;

4) в возвращении Католикосу-Патриарху Грузии его бывшего помещения на площади Бебеля, где будут сосредоточены канцелярии и архивы Совета Католикосата и епархиальных управлений Мцхето-Тифлисского и Ниноцминдийского, а на первых порах и пастырские курсы;

5) в передаче религиозным обществам бывших церковно-причтовых домов для помещения в них служащих культа

и 6) в открытии закрытых монастырей с предоставлением монашествующим на общем основании земельной нормы из бывших монастырских угодий для обработки собственными силами.

По уполномочению верующих грузин г. Тифлиса Екатерина Ревазовна Габашвили и подписи граждан на грузинском языке.

Верно: делопроизводитель секретариата председателя ВЦИК Иванов (подпись, печать).

საქ. უახლ. ისტ. ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწ.1, ს. 149, ფ. 16-16ა.

შენიშვნა:

1. მ. კალინინი ქუთაისში 1925წ. 7 მარტს იმყოფებოდა ფ. მახარაძის, ვ. სტურუასა და ს. თოდრიას თანხლებით, დაათვალიერა ბაგრატიის ტაძარი (კომუნისტი, 1925, 8 მარტი).

№78. კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის წერილი მიტროპოლიტ კალისტრატესადმი ქართული ეკლესიის მდგომარეობის შესახებ

1926 წლის 29 იანვარი

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ნინოწმინდელ მიტროპოლიტ კალისტრატეს, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ!

დღევანდელ მდგომარეობა მშობლიო ეკლესიისა მოითხოვს მის ერთგულ მსახურთაგან გაორკეცებულ ენერგიით მოქმედებას. ეს პირველყოვლისა ევალება მღვდელმთავარს. რთულია მღვდელმთავრის მოვალეობა, პასუხსაგებია მისი სამსახური. საქართველოს ეკლესიის „დებულების“ მიხედვით, ეპარქიის მღვდელმთავარი არის საეკლესიო კრების ფუნქციების განმასახიერებელი. იგი ვალდებულია ცხოველი კავშირი იქონიოს საეკლესიო მართვა-გამგეობასთან, ბეჯითად გაატაროს ცხოვრებაში მისი დადგენილებანი; დაუზარელად მიმოიხილოს ეპარქია და მის სარწმუნოებრივ ყოველივე მოვლენას გაუწიოს სათანადო ანგარიში. დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი ეკლესიისა იძლევა ფართე მასალას მწყემსმთავრული მოქმედებისათვის.

სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილებზე ეპარქიებში საეკლესიო ცხოვრება მოდუნებულია; ცნობები არ იგზავნება იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც საეპარქიო კრება იმართება; უზენაესი დანესებულების ბრძანება-განკარგულებანი სუსტად სრულდება. ეს არის მიზეზი, რომ დღევანდელ ეკლესიებში ვერ წარხოცეს ბეჭედი საქართველოს ეკლესიის მონობისა – რუსული ოდიკი დამოუკიდებლობის ემბლემით – ქართული ოდიკით.

ამითვე აიხსნება, რომ დღევანდლამდე არ იმეკონება სრული უსაჭიროესი ცნობები ისეთ საკითხზე, როგორცაა საკათალიკოზოში მოქმედ ეკლესიათა და მღვდელმსახურთა შესახებ. ეკონომიურ საკითხში ეპარქიების დაუდევრობით საქმე ფერხდება და ისედაც მცირე სამუალებანი უაზროთ იფლანგება (ოდიკების მეორედ დაბეჭდვაზე განეული ზედმეტი ხარჯები), ხოლო ზოგიერთ საკითხში (ჯილდოების) სრული უსისტემობაა. დასასრულ, სათანადო ყურადღება არა აქვს მიქცეული დებულების მოთხოვნილებას წლიური ანგარიშებისათვის ეპარქიების მდგომარეობის შესახებ; გარნა ასეთი ანგარიშები ამჟამად უსაჭიროესია.

ვიმედოვნებ, რომ ყოველსავე ზემოაღნიშნულს თქვენი მეუფება მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და ამ ყურადღების ნაყოფით არ მომაკლებთ სიამოვნებას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ამბროსი.

კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქივი, ს.177.

№79. საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის ხელმძღვანელების ე. კვანტალიანისა და ლ. ბერიას სრულიად საიდუმლო ანალიტიკური მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანის სახელზე ქართული ეკლესიის მდგომარეობისა და მის წინააღმდეგ გასატარებელი ზომების შესახებ.

1926 წლის 27 მარტი

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
СЕКРЕТАРЮ ЦК КПГ тов. КАХИАНИ

Актом 12 марта 1917 года грузинское духовенство, собравшись с участием мирян на первом поместном соборе /Мцхетском/, объявило автокефалию Грузинской Церкви. Безусловно, этот акт необходимо считать прогрессивным явлением в жизни грузинского духовенства, добивавшегося автокефалии еще в 1905 году во время общенародного движения против царизма. Во главе Грузинской Церкви стал Католикос _ Патриарх Кирион, человек вполне прогрессивный. Прямую противоположность последнему представлял митрополит Леонид, пользовавшийся поддержкой группы реакционного духовенства. Борьба между ними шла не на жизнь, а на смерть. В июле 1918 г. Кирион умер /многие убеждены в насильственной его смерти/. Без выборов, католикосом поставили Леонида.

В 1920 году в Тифлисе созывается второй собор. Собором руководит Леонид и его клика, под влиянием которых все живое на соборе подавляется. Собор не обратил внимание на появившееся новое реформистское течение в духе «обновленчества», выразившееся в подаче собору акта подписанного 25-ю священниками _ делегатами. Здесь необходимо отметить одно знаменательное явление вполне характеризующее реакционную группу духовенства, захватившую церковную власть в свои руки. За два дня до собора от имени «группы обновленцев» была выпущена прокламация, в которой разоблачались темные дела реакционного духовенства в лице Цинцадзе, Давидова, Шубладзе /ныне прогрессист _ снял рясу/, Цицкишвили, ныне прогрессист, епископ Сухумский, Тотиадзе и др., а сам Католикос Леонид был выведен как убийца Кириона.

На следующий день, т. е. накануне открытия II-го собора, средь бела дня автор прокламации священник Бакурадзе был убит. Все следы убийства были замечены.

Под таким террором прошел собор и Леонид был утвержден католикосом. Собор уничтожил коллегиальность в управлении церковью. По постановлению II собора: 1/ ликвидированы епархиальные и окружные /благочиннические/ советы как «вредные» учреждения, 2/ взамен епархиальных советов восстановлено архиерейское самодержавие, 3/ взамен окружных советов восстановлен полусамодержавный институт благочинных, 4/ строго за-

прещено духовенству стричь бороду, 5/ вне службы духовенству ходить исключительно в рясах, 6/ увеличены родственные препятствия при вступлении в брак, 7/ уменьшены поводы бракоразвода, 8/ запрещено во время поста совершать браки.

Вскоре после установления советской власти в Грузии, в июле 1921 года католикос Леонид умер. Осуществилась мечта друзей и поклонников митрополита Сухумского Амвросия, соперника Леонида по реакции. В 1921 году в Гелатах созывается III поместный собор. Все было устроено, чтобы провести в католикосы Амвросия: пропаганда, подтасовка выборов и голосования кандидатуры Амвросия при отсутствии кворума. Если до того и оставались кое-какие права за приходскими советами, то и это было отнято собором и вся власть предоставлена Амвросию. Католикосский Совет и даже канцелярия были составлены из ярых приверженцев Амвросия.

С этого времени Амвросий, человек деспотической школы архиепископа Антония Храповицкого,¹ где абсолютизм власти раньше всего/, продолжает душить всякое живое проявление мысли. Запрет благочиннических собраний, назначения священников _ любимцев, посвящения в епископы помимо выборов, требования от приходов денег и т.п., и переброшившееся в то время из России – «обновленческое» движение, разделило духовенство Грузии на два враждебных лагеря: реакционное /Амвросий и его приближенные/ и прогрессивное /благочинный Хахуташили с группой тифлиского духовенства/. Известную роль в этом деле сыграл «знаменитый» меморандум Амвросия к Генуэсской конференции от 7 февраля 1922г., сфабрикованный без ведома духовенства Амвросием и его приближенными.

С домашним арестом Амвросия и арестом членов Католикосского Совета, прогрессивная группа тифлиского духовенства собравшись в количестве 12-ти человек, избрала комиссию из 3-х человек в составе благочинного Хахуташили, прот. Талаквадзе и прот. Чиджавадзе для переговоров с правительством о судьбах Грузинской Церкви. На приеме у председателя ЦИК» _ а товарища М.Цхакая комиссию дали понять, что вся судьба Грузинской Церкви будет зависеть от того- останется ли во главе церкви Амвросий или нет, так как на последнего у советской власти сложился взгляд как на определенного врага.

Как только заговорили об отречении католикоса Амвросия поднялся целый бунт. Центром приверженцев Амвросия считалась и является и в настоящее время Верийско-Николаевская Церковь во главе с протоиереем Тотиадзе, Гарсиашили, вокруг которых сгруппировались все реакционные священники и верующие.

Несмотря на травлю, сплетни, инсинуации и осуждения в различных слоях общества, прогрессивная часть духовенства продолжала свою работу.

В начале сентября 1923 года из Кутаиса в Тифлис прибыла делегация от Кутаисского духовенства в составе: епископа Давида /Качахидзе/, протоиерея Цкитишвили и гражданина Трифона Джапаридзе, с поручением от духовенства и мирян, воздействовать на католикоса для блага Грузинской Церкви отказаться от меморандума и отречься от должности. Католикос после бурных совещаний дал согласие и даже подписал отречение, но настаивал собрать хотя-бы из кандидатов Католикосский Совет и если таковой предложит ему отречение, то он примет его. Епископ Урбнисской Христофор созвал совет из протоиерея Гамрекели, граждан Имнайшвили и Ив. Ратиева и приглашенных по кооптации прот. Канделаки и Софрома Мгалоблишвили. Совет усиленный делегацией предложил Амвросию отказаться от меморандума и должности. Требование это не поддержали лишь трое: протоирей Гамрекели, Имнайшвили и Ратиев, и наоборот настроили Амвросия так, что тот вырвал из рук уже подписанное отречение и разорвал его.

Кутаисская делегация уехала обратно ни с чем. На другой день агенты Верийско-Николаевской церкви – кликуши пошли по городу с подписным листом о выражении католику благодарности за отказ от подписи отречения от меморандума и должности.

После осуждения Амвросия и части членов Католикосского Совета /Цинцадзе, Ткема-

ладзе, Мирианшвили, Тавдгиридзе/ Верховным Судом, во главе церкви в качестве патриаршего местоблюстителя по указанию самого Амвросия стал митрополит Христофор /Цицкишвили/. Совет пополнился членами по кооптации: прот. Канделаки Вениамином /прогрессист/, гражданином Мгалоблишвили Софромом, священником Контридзе Вениамином /ныне снял рясу/, и протоиереем Гамрекели Георгием/ член совета/.

С этого момента Католикосский Совет во главе с Христофором определенно стал на путь проведения в церкви реформ. В первую очередь, был введен новый стиль, священникам разрешено во внеслужебное время носить штатскую одежду, посты и богослужения сокращены, разрешено совершать венчания в постное время и даже был намечен к разрешению вопрос о второбрачии священников. Все эти реформы необходимо понять как желание Христофора, человека сочувствующего советской власти, перевести церковь из враждебного советской власти лагеря и повести ее по пути обновленчества.

Новшества эти встретили самое ярое противодействие со стороны реакционной и антисоветской части духовенства и верующих, в лице священников Тотибадзе, Гарсиашвили /оба из Верийско-Николаевской церкви/, Мирианшвили, Лазаришвили, Мачарашвили /ныне Тифлисский благочинный/, Пхаладзе /ныне епископ Аллавердский/, и граждан Сахокия Тедо, национальный демократ, бывший председатель ЦК радикальных демократов, ближайший сотрудник паритетного комитета/, Чикваная Фома и др.

